პირველ რიგში უნდა გადაიჭრას რამდენიმე ძირითადი საკითხი, რომლებიც მიწის კონსოლიდაციის სტრატეგიის მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენენ. ამჟამად, ვერც სოფლის მოსახლეობა და ვერც სხვადასხვა დონის გადაწყვეტილების მიმღები პირები აცნობიერებენ მიწის კონსოლიდაციის პოტენციურ კონტრიბუციას. მიწის კონსოლიდაციის მნიშვნელობა ერთნაირად გააზრებული და გაცნობიერებული უნდა იქნეს სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების მიერ. საჭიროა ბევრად მაღალი დონის საჯარო ინფორმირება, განსაკუთრებით პოლიტიკოსებისთვის, თუ მიწის კონსოლიდაცია ჩაითვლება საქართველოში სასოფლო განვითარების შესაძლო სტრატეგიად. საჯარო ინფორმირებისთვის უმნიშვნელოვანესი კონტრიბუცია იქნება შეტანილი საცდელი პროექტების საშუალებით.

არსებული პროცედურებისა და კანონმდებლობის გამარტივებას შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდეს მიწის ბაზრის განვითარებაზე, რაც სასიცოცხლო მნიშვნელობის ელემენტს წარმოადგენს მიწის კონსოლიდაციაში. კანონმდებლობის საკითხი უნდა ჩაჯდეს გრძელვადიან სტრატეგიაში სასოფლო ფართობების გაუმჯობესების მიზნით. საქართველოში უნდა შეიქმნას და წარმოდგინდეს მიწის კონსოლიდაციის შესახებ სამართლებრივი აქტი. სამართლებრივი ჩარჩოები აუცილებელ საფუძველს წარმოადგენს მიწის კონსოლიდაციის პროცედურების განსახორციელებლად. ეს ასევე უზრუნველყოფს ფერმერთა სტიმულირებას სასოფლო განვითარების მცდელობებში მონაწილეების მისაღებად.

მიწის კონსოლიდაცია აუცილებელი არ არის განხორციელდეს საჯარო სექტორის მიერ. შესაძლებელი კერძო სექტორის ჩართვა განხორციელების პროცედურებში კონტრაქტის საფუძველზე. თუმცა, მიწის კონსოლიდაციის კოორდინირება და ზედამხედველობა საჯარო სექტორის პასუხისმგებლობის ფარგლებში უნდა დარჩეს. უნდა შეიქმნას შესაბამისი ინსტიტუციური მოწყობა და სამართლებრივი ჩარჩოების ფარგლებში განისაზღვროს საზოგადოების, სახელმწიფოსა და კერძო სექტორის როლი და პასუხისმგებლობები.

მიწის კონსოლიდაციის ყველა სქემა უნდა ჩაჯდეს სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების საქმიანობაში. მიწის კონსოლიდაცია ზოგადად ითვლება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებად სასოფლო სამეურნეო პროდუქციის გასაუმჯობესებლად მიწის ფრაგმენტაციის შემცირების საშუალებით, რაც შესაძლებელია მიწის ნაკვეთების ხელახალი განაწილებისა და ფერმერული მეურნეობების ხელახალი მოწყობით. თუმცა, ეს არ წარმოადგენს მიწის კონსოლიდაციის ერთადერთ ინსტრუმენტს. საქართველოში მიწის კონსოლიდაციის პროცედურაში ღონიძიებებათა პრიორიტეტი გასხვავდება სხვა მრავალი ევროპული ქვეყნებისგან. როგორც აღმოჩნდა, საქართველოს სასოფლო ტერიტორიებზე გადაუდებელ საჭიროებებს წარმოადგენს. სასოფლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, მიწის გაცვლისა და საზღვრების დაზუსტება სოფლებში. ნაკვეთეების კონსოლიდაცია, ოპტიმალური ფორმის, ზომისა და მდებარეობის მქონე ნაკვეთების ხელახალი განაწილება;

პირველია მიწის ნებაყოფლობითი გაცვლის პროცედურა, რომელიც ფოკუსირებული იქნება მიწის ნაკვეთების ხელახალ გამოყოფაზე ნებაყოფლობით ბაზაზე და რომელიც ეცდება ხელი შეუწყოს იჯარას საზოგადოების შიგნით.

მეორე ალტერნატივას წარმოადგენს გამარტივებული პროცედურა, რომელიც კონცენტრირდება არსებული სასოფლო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციასა და მიწის ნაკვეთების ხელახალ განაწილებაზე. გამარტივებულ პროცედურას არ დასჭირდება ყოვლისმომცველი დაგეგმარების ფაზები.

მესამე ალტერნატივას წარმოადგენს ყოვლისმომცველი პროცედურა, რომელიც გააერთიანებს სასოფლო სამეურნეო დანიშნულების გზების, ახალი ინფრასტრუქტურის ქსელების მშენებლობას, სასოფლო განახლების ღონისძიებებს და ნაკვეთების ხელახალ განაწილებას. ყოვლისმომცველი პროცედურა საჭიროებს კომპლექსური დაგეგმარების პროცედურებს.

თითოეულ მიწის მესაკუთრეს უნდა ჰქონდეს უფლება შეამოწმოს რეგულაციების ზემოქმედება თავის საკუთრებასთან მიმართებაში. მონაწილეობის, თანაბარი ღირებულების, საკუთრების გაცვლის, ხარჯების კომპენსაციისა და კონტრიბუციის პრინციპები ნათლად უნდა იქნენ ჩამოყალიბებული. ამგვარად, საჭიროა სპეციალური მიწის კონსოლიდაციის აქტის შედგენა, რომელიც პირველ რიგში უნდა მოიცავდეს მიწის კონსოლიდაციის მიზანსა და ამოცანას.

მიწის კონსოლიდაციის აქტი უნდა არეგულირებდეს შემდეგ საკითხებს:

განსაზღვროს, თუ ვინ იქნება პასუხისმგებელი პროცესზე, მიღებაზე და მიწის კონსოლიდაციის პროცედურის შემოწმებაზე. სახელმწიფო ადმინისტრაციის როლი და კერძო სექტორის როლი ნათლად უნდა იქნეს განსაზღვრული.

ნათლად უნდა ჩამოყალიბდეს მონაწილეობის პროცედურები. საკრებულოს და ინდივიდუალური მონაწილეების ამოცანები და ვალდებულებები განსაკუთრებულად მკაფიოდ უნდა იქნეს განსაზღვრული. კანონმა უნდა განსაზღვროს თუ ვის შეუძლია მოითხოვოს მიწის კონსოლიდაციის პროექტის დაწყება. შესაძლოა გადაწყდეს, რომ მიწის მესაკუთრეებს შეეძლებათ მოითხოვონ პროექტი თუ ამ ფართობზე მიწის მესაკუთრეების ორ-მესამედზე (66%) მეტი ეთანხმება ამ წამოწყებას.

ყველა მიწის მესაკუთრეს აქვს უფლება მიიღოს იმავე ხარისხისა და იმავე ღირებულების მიწის ნაკვეთი, რომელსაც ის გასცემს. ნაკვეთების შეფასება წარმოადგენს მიწის ნაკვეთების გაცვლის საფუძველს. ამგვარად, მიწის კონსოლი დაციის აქტი უნდა მოიცავდეს მიწის შეფასების პრინციპებს. უთანხმოების შემთხვევაში ასევე უნდა არსებობდეს შეფასების მიმართ პრეტენზიის ან საჩივრის შეტანის საშუალება.

კომპენსაციის პრინციპები საჭიროებს სამართლებრივ დარეგულირებას. მიწის ღირებულებაში გასხვავებები კონპენსირებული უნდა იქნეს. მიწის მესაკუთრეს ასევე შეუძლია ფულადი კონფენსაციის მიღება, თუ ის ამაზე თანხმობას განაცხადებს. აქტივების კონპენსაცია ჩვეულებრივ მოხდება ფულადი სახით.

შესაძლოა წარმოიშვას ხარჯები მიწის კონსოლიდაციის ღონისძიებებთან დაკავშირებით. მონაწილეთა ფინანსური კონტრიბუცია უნდა დარეგულირდეს და წარმოდგენილ იქნეს შესაძლო ხარჯების განაწილების მოდელები.

ზოგიერთ შემთხვევებში მიწის კონსოლიდაციას გააჩნია საკუთრების უფლებების დროებითი დატვირთვა. შესაძლოა საჭირო გახდეს საკუთრების პირობითი გადაცემა გარკვეული ტექნიკური მიზეზებით. მესამე პირის უფლებები, წინააღმდეგობები და შეზღუდვები ძველი ნაკვეთებიდან უნდა გადავიდეს ახალ ნაკვეთებზე. ეს დროებითი რეგულაციები ნათლად უნდა იქნეს განსაზვრული კანონით. ასევე უნდა განისაზღვროს პროცედურის დასასრული. ჩვეულებრივ ეს ემთხვევა საჯარო რეესტრის განახლების შემდეგ სერთიფიკატების გადაცემას.

კონსოლიდაციის ტერიტორიის ზომიდან და შესასრულებელი ღონისძიებებიდან გამომდინარე პროექტი ზოგიერთ ტერიტორიებზე შესაძლოა

ჩართული იქნენ მომეზობლე მიწის მესაკუთრეთა მცირე ჯგუფები, ხოლო სხვა ტერიტორიებზე კი უფრო დიდი ჯგუფები და შესაძლოა მთლიანი სოფლებიც. მონაწილე ჯგუფებს მოუხდებათ საბჭოების ან კომიტეტების არჩევა თავიანთი ინტერესების წარმოსადგენად. ეს საბჭოები ძირითადი მონაწილეები იქნებიან მიწის კონსოლი დაცვის ღონისძიებების განხორციელებისას დაგეგმარებასა და გადაწყვეტილების მიღებაში. რა თქმა უნდა, ასეთი საბჭოები შესაძლებლობები შეზღუდული იქნება და ასევე მიიღებენ დახმარებას მრჩეველი ორგანოს მხრიდან.

მიწის კონსოლიდაცია ზოგიერთ შემთხვევაში მოიცავს გადაწყვეტილების მიღებას, სადაც შესაძლოა ყველა მონაწილე და დაინტერესებული პირები არ დაეთანხმონ ერთობლივ სტრატეგიას. ამგვარად, მიწის კონსოლიდაციის პროცედურები სავარაუდოდ კონფლიქტს წარმოშობს.

მიუხედავად იმისა, რომ კონსულტანტი უნდა წარმოადგენდეს ნეიტრალურ პარტნიორს, ასევე გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება სხვა გარეშე პარტნიორის ჩართვას, რომელსაც შეეძლება შუამავლის როლი შეასრულოს მწვავე კონფლიქტების შემთხვევაში. ასეთი ფუნქცია შესაძლებელია შეასრულონ არასამთავრობო ორგანიზაციებმა. არსებობს რიგი არასამთავრობო ორგანიზაციებისა, რომლებიც შესაძლოა ჩერთონ ამ სახის სამუშაოში, კერძოდ, მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაცია. არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ დიდი წვლილი შეიტანონ მიწის კონსოლიდაციის პროექტების საჯარო ინფორმირებისა და კანონმდებლობის კომპონენტში, ვინაიდან ეს ორი სფერო წარმოადგენს საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების სამუშაოს უმნიშვნელოვანეს ნაწილებს და მათი მდიდარი გამოცდილება გამოყენებული უნდა იქნეს სამუშაო წარმართვაში.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენის აზრით გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს საქართველოში ჩატარდეს სასაოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების კონსოლიდაცია, ასევე გადაუდებელ აუცილებლობაა აღდგეს საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი, რაც ყველაზე არსებითია, უნდა დამუშავდეს და საქართველოს პარლმენტმა მიიღოს საქართველოს მიწის კოდექსი. საჭიროა კანონმდებლობა იცავდეს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს დანაწევრებისგან და მის გადაყვანას არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით;

უნდა განხორციელდეს მიწათსარგებლობის აღრიცხვა და მონიტორინგი, რომელმაც პასუხი უნდა გასცეს კითხვებს: როგორია მიწათსარგებლობის საერთო მდგომარეობა ქვეყანაში, რა არასასურველი ცვლილებებია მოსალოდნელი და რა ღონისძიებებია განსახორციებელი.

პირველ რიგში უდა დავიწყოთ ყოველწლიური მიწის ბალანსის შედგენა; უნდა შემუშავდეს მიწის გაუმჯობესებული მართვის სტრატეგია, რაც ხელს შეუწყობს მიწის ფრაგმენტაციის პრობლემის მოგვარებას. ასევე შესამუშავებელია დანიშნულებისა და კატეგორიების მიხედვით მიწის აღრიცხვის კონცეფცია. უნდა განისაზღვროს სახელმწიფო ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს მიწათსარგებლობის აღრიცხვისა და მიწის მონიტორინგის ფუნქციის განხორციელებას. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის 25 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონები: "სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ" და „მიწის მიზნიობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასაოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ". და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში შეიქმნა „მიწათსარგებლობის მონიტორინგის, მიწის მდგრადი მართვის ეროვნული სააგენტო" და იმედია ჩვენს მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს გაითვალისწინებენ და მდგომარეობა საგრძნობლად გამოსწორდება.

### გამოყენებული ლიტერატურა

**1.**ნოდარ ჭითანავა „საქართველოს სოფლის მეურნეობა" 2015 წელი, გამომცემლობა „ივერიონი";

2. ალექსანდრე სიჭინავა, პაატა კოღუაშვილი, დავით ეგიაშვილი, ანზორ მესხიშვილი „უძრავი ქონების ეკონომიკა" სახელმძღვანელო, ქ. თბილისი, 2013 წელი;

3. საქართველოს კონსტიტუცია 2019 წელი 25 მაისი;

4. პაატა კოღუაშვილი, ალექსანდრე სიჭინავა „მიწის კონსოლიდაცია-სოფლად ყოფაცხოვრებისა და მეურნეობის განვითარების მძლავრი იარაღი. აწსუ-სსპკ, შრომების კრებული, ქუთაისი 2013წელი;

5. დავით ეგიაშვილი „ საქართველოს მიწის რესურსების მართვის სისტემის სრულყოფა საბაზრო ურთიერთობათა პირობებში" თბილისი 2006 წელი;

6. ნორმატიული აქტების კრებული „უძრავი ქონება, პრივატიზაცია" თბილისი 2007 წელი;

7. ანზორ მესხიშვილი „როდემდე ვჯიჯგნოთ ქართული მიწა" ქ. თბილისი 2016 წელი;

8. ანზორ მესხიშვილი „როცა ქართულ მიწას პატრონი არ ყავს" ქ. თბილისი 2017 წელი;

9. ჯუმბერ ფაჩულიძე, გიორგი ბუცხრიკიძე „მიწათრეგულირებისა და ადმინისტრირების საფუძვლები" თბილისი 2012 წელი;

# საპენსიო რეფორმა საქართველოში

***ნანა შონია***
*აწსუ პროფესორი;*
***დავით მამრიკიშვილი***
*სტუ დოქტორანტი*

**რეზიუმე**

ბოლო წლებში გამოიკვეთა საქართველოს საპენსიო სისტემის ნაკლოვანებები, კერძოდ მისი არაადეკვატურად დაბალი დონე, მოქალაქეთა სამუშაო სტაჟის გაუთვალისწინებლობა და მზარდი ტვირთი სახელმწიფო ბიუჯეტზე. ამის საპასუხოდ საქართველოს მთავრობამ წარმოადგინა ინიციატივა უნივერსალური სოციალურ პენსიასთან ერთად დაინერგოს მეორე საპენსიო სვეტი, კერძო, დაგროვებითი, სავალდებულო საპენსიო მოდელის სახით.

სამაგისტრო ნაშრომი შეისწავლის თუ რა განაპირობებს კერძო საპენსიო სქემების არსებობის საჭიროებას თანამედროვე საერთაშორისო ბაზარზე. განიხილავს საპენსიო სქემების ტიპებსა და მათ სპეციფიკას. იკვლევს თუ რა სახის რეგულაციები არსებობს ასეთ ფონდებთან დაკავშირებით ეკონომიკური განვითარებისა და თანამეგობრობის წევრ და ზოგიერთ განვითარებად ეკონომიკაში. განიხილავს დაგროვებითი პენსიის შესახებ საქართველოს კანონს და ექსპერტთა მოსაზრებებს მასთან დაკავშირებით.

კვლევის მიზანია შეაფასოს, თუ რა რაოდენობის დანაზოგების აკუმულირებაა მოსალოდნელი რეფორმის ამოქმედებიდან პირველი წლის ბოლოს და რა სავარაუდო ვექტორებით მოხდება მათი ინვესტირება, ისე, რომ არ დაირღვეს კანონის მოთხოვნები.

ჩატარებული კვლევა მონაცემების ბაზისად იყენებს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბიუროს მეორეულ ინფორმაციას შრომით ბაზართან დაკავშირებით და სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგებს. კვლევის დასკვნით ნაწილში გამოთქმულია შეშფოთება იმასთან დაკავშირებით თუ რომელ ქართულ ფასიან ქაღალდებში უნდა მოხდეს ინვესტირება, მაშინ როდესაც საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარი წლებია სტაგნაციას განიცდის.

**საკვანძო სიტყვები:** კერძო საპენსიო სისტემა, საქართველო, კაპიტალის ბაზარი.

**ABSTRACT**

The shortcomings of current Georgian pension system are widely being discussed in recent years, namely its inadequate level of support, failure to distinguish workers with large about contribution and increasing pressure on national budget. In response, Georgian government proposed to establish a second pension pillar, as a compulsory, private, fully funded pension fund.

The master thesis attempts to look deeper to understand the reason behind private pension fund in modern markets. It reviews different types of pension funds and their specifics. It researches the legal regulations over such funds in the OECD countries and some emerging markets. It also discusses the legal background of the reform and expert critique on it.

The goal of the research is to evaluate the expected amount of savings in the pension fund during the first year of its operation and to find out some plausible investment vectors, while staying within the legal limits.

The research is based on secondary data from the National Statistics Office of Georgia and the survey results of The Institute of Social Studies and Analysis.

As a conclusion, a concern over local investment strategies is expressed, based on the fact that Georgian equity market is stagnant over the past years

**Keywords:** Private pension plan, Georgia, Capital markets.

## შესავალი და კვლევის მიზანი

საპენსიო რეფორმა მსოფლიოსთვის ერთ-ერთი აქტუალური საკითხია, რომელიც დღეს მნიშვნელოვანი ეკონომიკური თემაა და მომდევნო ათწლეულების განმავლობაშიც მუდმივად განხილვის საგანი იქნება. იქიდან გამომდინარე, რომ თითოეული ქვეყნის ბიუჯეტს ტვირთად აწევს მოუგვარებელი საპენსიო სისტემა, საჭიროა ქმედითი ღონისძიებების გატარება და გარკვეული ცვლილებების განხორციელება. თავდაპირველად ლათინურ-ამერიკულმა ქვეყნებმა, ხოლო მოგვიანებით აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებმა გაატარეს ახალი საპენსიო რეფორმა. ისეთი ქვეყნები, როგორიცაა რუსეთი და ჩინეთი, საჭიროებიდან გამომდინარე ამჟამად საკითხის შესწავლის პროცესში არიან და ცდილობენ აღნიშნული სისტემის დროულად გარდაქმნას.

ამ მიმართულებით საქართველოშიც განხორციელდა გარკვეული ცვლილებები და სახელმწიფოს გადაწყვეტილებით გადანაწილებით სისტემასთან ერთად დაინერგა სავალდებულო დაგროვებითი მოდელი. ცხადია, ასაკოვანი მოსახლეობის სოციალური დაცვა ყველა ქვეყანაში აქტუალური საკითხია და შესაბამისად, ჩვენი საზოგადოებაც მუდამ ფიქრობდა, იმის შესახებ, თუ როგორი უნდა ყოფილიყო მოსახლეობის მატერიალური უზრუნველყოფა სიბერეში. ახალი „სავალდებულო დაგროვებითი

მოდელი" სწორედ იმას გულისხმობს, რომ დასაქმებულებმა მიიღონ პენსია საკუთარი დანაზოგით. იმის გამო, რომ ეკონომიკურ ბაზარს არ ძალუძს დამოუკიდებლად მოაგვაროს აღნიშნული პრობლემა, მასზე სახელმწიფო ზრუნავს. სწორედ სახელმწიფოს წინაშე მდგარმა საფრთხეებმა ხელი შეუწყო ახალი მოდელის შექმნას - კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემის დანერგვას, რომლის მიზანია მომავალში პენსიის ადეკვატურობის მიღწევა. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, სახელმწიფო საპენსიო სისტემის სიმყარეს თან ახლავს ბევრი რისკი და გამოწვევა. საქართველოში სახელმწიფო პენსია იმდენად მცირეა, რომ ხანდაზმულ ადამიანებს უჭირთ ცხოვრების მინიმალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. ყოველივე ამას კიდევ უფრო ამწვავებს საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობა. შესაბამისად, აუცილებელია განვითარებული ქვეყნების გამოცდილებისა და შედეგების გაანალიზება, რათა მივიღოთ ისეთი საპენსიო უზრუნველყოფა, რომელიც ოპტიმალური იქნება საქართველოს არსებული პირობებისთვის. ამ რეფორმას შეუძლია ქვეყანას მოუტანოს დიდი სარგებელი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის მუშაობს ეფექტურად და უზრუნველყოფს თანხების მიზნობრივად გამოყენებას ინვესტიციებში. სწორედ არსებული მოქმედი მოდელების წარმატება იყო განმსაზღვრელი ფაქტორი დაგროვებითი საპენსიო სისტემის შემოღებისა.

ჩვენი მიზანია გამოვკვეთოთ რეფორმის საფრთხეები:

- ✓ რამდენად უნდა იყოს სქემაში მონაწილეობა სავალდებულო;
- ✓ რამდენად შესაბამისია ჩვენი ქვეყნისთვის სხვა ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობა;
- ✓ რამდენად შესაძლებელია აღნიშნული რეფორმის მიზნების განხორციელება საქართველოს ამჟამინდელი მდგომარეობის გათვალისწინებით.

**კვლევის მიზანია შეაფასოს, თუ რა რაოდენობის დანაზოგების აკუმულირებაა მოსალოდნელი რეფორმის ამოქმედებიდან პირველი წლის ბოლოს და რა სავარაუდო ვექტორებით მოხდება მათი ინვესტირება, ასევე ექნება თუ არა მას შესამჩნევი ეფექტი საქართველოს კაპიტალის ბაზარზე.**

**შესწავლის საგანს შეადგენს საპენსიო სააგენტოს მიერ მისაღები და დასაბანდებელი თანხები, ასევე კანონმდებლობა, რომელიც ამ ოპერაციებს არეგულირებს. საკვლევ პრობლემას წარმოადგენს ის, თუ რამდენად მისაღებია მოსახლეობისთვის შემოსავლის ნაწილის დათმობა, და იქნება თუ არა შესაძლებელი ეფექტიანი ინვესტირების განხორციელება ქართულ ფასიან ქაღალდებში, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარი განვითარების დაბალ დონეზეა. კვლევის პრაქტიკული ღირებულება მდგომარეობს იმაში, რომ შევძლოთ რეფორმის სავარაუდო ეფექტის პროგნოზირება კაპიტალის ბაზარზე და საჭიროების შემთხვევაში დროებით აღმოიფხვრას საქართველოს საფონდო ბირჟაზე არსებული პრობლემები.**

თუმცა, საზოგადოების უმრავლესობა აპროტესტებს ამ რეფორმას იმიტომ, რომ მათი ჩართულობა ამ სისტემაში არ იყო ნებაყოფლობითი. სახელმწიფომ, ადამიანების ნაცვლად გადაწყვიტა რა არის მათთვის უკეთესი და სავალდებულო გახადა სისტემაში ჩართვა. რეალურად სახელმწიფო ვერ აძლევს მოსახლეობას იმის გარანტიას, რომ ისინი თავიანთ დაზოგილ თანხებს დაიბრუნებენ, რადგან გარემო არაპროგნოზირებადია და რისკების შემცველია. ეს იქნება მაღალი ინფლაცია, ეკონომიკური კრიზისები თუ საბაზრო კრახები. ის რასაც ადამიანი თმობს დღეს, უნდა იყოს იმის ტოლი რასაც წლების შემდეგ აიღებს.

**საპენსიო სქემიდან გამოსული ადამიანების სტატისტიკა.** დღესდღეობით არ არსებობს ზუსტი სტატისტიკა, თუ რამდენი ადამიანი ამოიწერა საპენსიოდან. თუმცა ზოგადად აღინიშნება 40 წლის ასაკიდან საპენსიო სისტემის დატოვების ტენდეცია. ეს უფრო მეტად არის გამოხატული კერძო სექტორში, რადგან სახელმწიფო ორგანოებში დასაქმებულები უფრო მეტად იკავებენ თავს სისტემის დატოვებისაგან. ასევე მნივნელოვანია ის საკითხიც, რომ არ არსებობს არანაირი გარანტია იმის შესახებ, რომ შენარჩუნდება მდგრადი ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა და არ იქნება საგარეო შოკები. შესაძლებელია ამ სისტემამ პირიქით, უფრო მძიმე დანაკარგები და სავალალო შედეგები მოიტანოს. საპენსიო რეფორმამ შესაძლოა უმუშევრობის დონე კიდევ უფრო გაზარდოს, რადგან საგადასახადო ტვირთი იზრდება დამსაქმებელზეც. კომპანიის ხარჯები იზრდება და მათ მიერ განკარგული სახსრები შემცირდება თითოეულ დასაქმებულზე. კომპანიები თავს შეიკავებენ ახალი სამუშაო ადგილების შექმნაზე და შესაძლოა ზედმეტმა ხარჯებმა მოახდინოს თანამშრომელთა შემცირება, რაც სიღარიბის დონეს კიდევ უფრო გაზრდის.

**საპენსიო ფონდის საინვესტიციო პოლიტიკა.** სისტემის ამოქმედების დაწყებიდანვე მნიშვნელოვანია განისაზღვროს ამ თანხების სწორად ინვესტირების საკითხი. საპენსიო ფონდის შექმნის ერთ-ერთი მთავარი მიზანი კაპიტალის ბაზრის განვითარებაა, თუმცა საკითხავია ჩვენი ქვეყნის პირობებში რამდენად მოსახერხებელია აღნიშნულ სექტორში კაპიტალდაბანდება და რამდენად იქნება ის რისკები გათვალისწინებული, რაც თან ერთვის ამ პროცესს. მიუხედავად იმისა, რომ საპენსიო ფონდს შეუძლია მეორადი ბაზარი განავითაროს, გახადოს ლიკვიდური და ამასთანავე თვითონ განათავსოს გრძელვადიანი ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში. საწყის ეტაპზე საკმაოდ სადაო საკითხი იქნება, რადგან საქართველოს პირობებში, საფონდო ბირჟა ჩანასახის ეტაპზეა. ამ სფეროში კვალიფიციური

კადრების ნაკლებობაა, არ არსებობს მაღალი დონის სარეიტინგო სააგენტოები და ანალიტიკოსები, დაბალია, როგორც ფინანსური გამჭვირვალობა ასევე სააქციო საზოგადოებებს შორის პარტნიორობა. კაპიტალის ბაზრის განვითარებისთვის საჭიროა ფუნდამენტური სამუშაოები, რათა წინასწარ განისაზღვროს, მომზადდეს და დამუშავდეს ის მნიშვნელოვანი ეტაპები, რასაც ფასიანი ქაღალდების აქტიური ვაჭრობა მოჰყვება კაპიტალის ბაზარზე. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ მაქსიმალურად უნდა შემცირდეს ხარჯები, რომლებსაც საპენსიო ფონდი იტვირთავს.

**საუკეთესო საინვესტიციო სექტორები.** რა მიმართულებით მოხდეს თანხების ინვესტირება? ინფრასტრუქტურა – ღრმაწყლოვანი პორტის განვითარება. საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა ხელს უწყობს ღრმაწყლოვანი პორტის განვითარებას. საქართველოს აქვს იმის პოტენციალი, რომ გახდეს აზიის ევროპასთან დამაკავშირებელი სატრანსპორტო მაგისტრალი. ჩინეთი, რომელიც ერთ–ერთი მსხვილი ექსპორტიორია მსოფლიოში, მათი ტვირთის გადატანა საქართველოს გავლით ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი წარმატების მომტანი იქნება.

გადაზიდვებთან მიმართებაში რკინიგზას არცთუ ისეთი სახარბიელო შედეგი აქვს, პორტთან დაკავშირებით, კი 34,9 %იანი ზრდა ფიქსირდება.

**საპენსიო ფონდის საინვესტიციო საბჭოს პოლიტიკა.** ძალიან მნიშვნელოვანი და საყურადღებო, რაც საპენსიო ფონდის შექმნას უკავშირდება არის საინვესტიციო მმართველი კომპანიის შექმნა, რომელიც განკარგავს და მართავს შეგროვებულ თანხებს. საერთაშორისო პრაქტიკით, კერძო საპენსიო ფონდების განაწილებისა და მართვის ოპტიმალური პრაქტიკა არ გამოგვადგება, რადგან უნდა არსებობდეს მმართველების რაოდენობასა და ინვესტიციებზე მიღებულ სარგებელს შორის კავშირი. ასევე მოსახლეობის მონაწილეობის დონეც მნიშვნელოვანია, რადგან მათზეა დამოკიდებული დაგროვებული აქტივების რაოდენობა.

კანონის ამოქმედებიდან 4 თვის განმავლობაში, საპენსიო ფონდის დირექტორის მოადგილის- ვაჟა ჯაფოშვილის თქმით, შეგროვებულია 125 000 000 ლარი, რაც არ არის საკმარისი საინვესტიციო საბჭოს ჩამოსაყალიბებლად და მათი გათვლებით იმ თანხების მობილიზებას, რაც საკმარისი იქნება მათ დასანიშნად, დასჭირდება მინიმუმ 5 წელი. „კანონში ვადები პირდაპირ არაა განსაზღვრული, თუ როდის უნდა იყოს დაკომპლექტებული საინვესტიციო საბჭო და დაიწყოს ინვესტირება; როცა შეგროვდება საკმარისი თანხა, მაშინ უნდა დავიწყოთ ინვესტიციები, რა თქმა უნდა“, - განაცხადა ლევან სურგულაძემ (საპენსიო სააგენტოს დირექტორმა).

საინვესტიციო საბჭო შეიქმნება პარლამენტის მიერ, რომელიც განსაზღვრავს საინვესტიციო პოლიტიკას, თუ სად განთავსდეს თანხები. ამ ეტაპზე, პირველი 5 წლის განმავლობაში, ამ თანხების ნაწილი განთავსებული იქნება პირად საბანკო ანგარიშზე, დაბალრისკიან პორტფელში, რომელსაც დაერიცხება 5-6 პროცენტი სარგებლის სახით, დარჩენილი თანხები კი ხაზინაში, სააგენტოს ანგარიშზე ჩაირიცხება. ერთის მხრივ, საკითხავია ამ ეტაპზე როგორ იმართება ეს თანხები და რას ხმარდება, მეორეს მხრივ, კი ეს რესურსები არ უნდა განაწილდეს რისკიან ბანკში.

რეალურად, ხუთ წევრიანი საინვესტიციო საბჭო, რომელმაც უნდა მოახდინოს დანაზოგების ინვესტირება დაკომპლექტებული არაა, მაგრამ, საერთაშორისო კონკურსი ჩატარებულია და შესარჩევი კომისიაც ჩამოყალიბებულია. არსებობს რამდენიმე ალტერნატივა. თუ საქართველოში სისტემის ამოქმედებისთანავე, დანაზოგები პირდაპირ აქციებსა და ობლიგაციებში განთავსდა, მაშინ ერთი მმართველი კომპანია სრულიად საკმარისი იქნება. თუმცა ამ შემთხვევაში, შესაძლოა მთავრობა ჩაერიოს და განახორციელოს ამ თანხების მიმართვა გარკვეულ პროექტებში ან იაფად ისესხოს თანხები ფონდიდან. ფონდის განვითარებისთვის და ზრდისთვის საჭიროა რამდენიმე მმართველი კომპანიის შექმნა, რის შედეგადაც გაიზრდება გამჭვირვალობა, კონკურენცია, პასუხისმგებლობა და ეფექტიანობა, გარკვეულწილად დანახარჯების მხრივაც. ცალკე განხილვის საკითხია საერთაშორისო კომპანიის მართვის საკითხიც.დღეს საქართველოში, საექსპორტო პოტენციალის მქონე და ტექნოლოგიური დარგების განვითარებაა მნიშვნელოვანი, რომელიც ქვეყანას სასარგებლო შედეგებს მოუტანს გრძელვადიან პერსპექტივაში. პერსპექტიულ პროექტებს მოჰყვება თანამედროვე ნოუ-ჰაუ, ტექნოლოგიური ცოდნა, რომელიც ეკონომიკური ზრდისთვის უმნიშვნელოვანესია და რაც მთავარია ეს ყველაფერი რჩება ჩვენს ქვეყანაში.

## დასკვნა

სავალდებულო კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემის რეფორმას თან ახლავს მრავალი რისკი და გამოწვევა. ის ყოველთვის სახელმწიფოსთან იქნება დაკავშირებული. მთავრობის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებებმა, დაზოგილი თანხების მმართველი კომპანიების საინვესტიციო შედეგებმა და სხვა ფაქტორებმა შესაძლოა გააჩინოს სოციალური მღელარება და საჯარო სტრუქტურებისადმი ნდობის დაკარგვა. ამიტომ, უმჯობესია, აქცენტი გაკეთდეს სახელმწიფოს როლზე, როგორც საპენსიო დანაზოგების წახალისებაზე, ადმინისტრირების გამარტივებაზე, ფინანსური სექტორის ზედამხედველობასა და სტაბილურობის უზრუნველყოფაზე, გამჭვირვალობის გაუმჯობესებასა და ფინანსური განათლების ამაღლებაზე. მთავარია სწორედ მოხდეს ამ თანხების მართვა და არ მოახდინოს სახელმწიფომ ამ ფონდის ნაციონალიზება. მნიშვნელოვანია, ეს ფული სახელმწიფოს მიმართულებით არ წავიდეს, როგორც ეს

ლათინურ-ამერიკულ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მოხდა. მნიშვნელოვანია განისაზღვროს რა მოცულობითი პროპორციით და სად მოხდება ინვესტირება ადგილობრივ თუ საერთაშორისო ბაზარზე. ამიტომ უპირატესია სწორად მოხდეს ამ თანხების ინვესტირება ისეთ მომგებიან ბიზნეს სექტორებში, რომლებიც გრძელვადიან პერსპექტივაზე იქნება გათვლილი და მნიშვნელოვანია ამ ფონდს ჰყავდეს სწორად განსაზღვრული მმართველი ორგანო.

დროის მოკლე პერიოდში მოხდეს კვალიფიციური და სანდო საინვესტიციო საბჭოს დაკომპლექტება. ვინაიდან დღეის მდგომარეობით ფონდში თანხები უკვე საკმაოდ დიდია და არ ხდება მათი განკარგვა და ინვესტირება. საჭიროა ძალიან ფრთხილად და წინდახედულად შეიქმნას მაღალი კვალიფიკაციის და გამოცდილების მქონე წევრებით დაკომპლექტებული გუნდი. ალბათ, მიზანშეწონილი იქნება წარმატებული ქვეყნებიდან გამოცდილმა წევრებმა გაგვიზიარონ საკუთარი გამოცდილება, როგორიცაა ჩილე, მექსიკა, სინგაპური, ნორვეგია და ა.შ; მიზანშეწონილია, ეროვნულმა ბანკმა გამიჯნოს საკუთარი რეგულაცია. უმჯობესი იქნებოდა კომერციული ბანკების ბაზარს, კაპიტალის ბაზარს და ახლა უკვე საპენსიო სააგენტოსაც ერთი მარეგულირებელი ორგანო არ მართავდეს. სახელმწიფომ გაზარდოს მოსახლეობის ინფორმირებულობა. მათ უნდა მიაწოდონ ინფორმაცია თუ რა მიმართულებით განთავსდება თანხები და მოსახლეობას შესთავაზოს გამჭვირვალე მექანიზმები, რაც უფრო მეტად აამაღლებს საზოგადოების ნდობას.

ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დაზოგილი თანხების ინვესტიცია მოხდეს ადგილობრივად, რადგან ეს ქვეყანაში ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაზე იმოქმედებს. ქვეყანაში შემოვა ახალი და ინოვაციური ტექნოლოგიები. საქართველოს აქვს იმის პოტენციალი, რომ გამოიმუშავოს საკუთარი ელექტროენერგია და აღარ იყოს დამოკიდებული მეზობელი ქვეყნის იმპორტირებულ პროდუქტზე. დღეის მდგომარეობით ბევრი პროექტი გადავადებულია უსახსრობის გამო. ამიტომ თანხების განკარგვა ამ მიმართულებით დადებით შედეგებს მოიტანს. არა მარტო ელექტროენერგიის, არამედ განახლებადი ენერგიის, როგორიცაა მზის, ქარის და სხვა ენერგიების ათვისებაც შეუძლია ქვეყანას, რა მხრივაც დაწყებულია უკვე პროექტები.

ყველაზე მნიშვნელოვანი ინვესტიცია, რაც ქვეყანას უდაოდ წარმატებას მოუტანს არის ღმაწყლოვანი პორტის განვითარება. არა მარტო ეკონომიკური, არამედ საქართველოს გეოპოლიტიკური ინტერესებისთვის ამ პორტის აშენება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია! მისი ამუშავებით ჩვენი ქვეყანა ძალიან დიდ ნახტომს გააკეთებს ეკონომიკური განვითარებისთვის. მისი აშენება კი უზარმაზარ ფინანსებს მოითხოვს, რომელიც საპენსიო ფონდიდან უნდა იქნას მიმართული.

კომპანიათა გამართული ფუნქციონირებისთვის, აუცილებელია გამარტივდეს დეკლარირების პროცესი და სისტემა გახდეს გამართული, სადაც მოსახლეობა გააკონტროლებს საკუთარი თანხების ოდენობას და თითოეული ადამიანი იქნება ინფორმირებული სად მოხდა მისი კუთვნილი თანხის განთავსება; სოციალური კუთხით, საინტერესოა, შემოიღონ დანამატი სტაჟისა და დამსახურების მიხედვით, რათა წახალისდეს ისეთი მნიშვნელოვან პროფესიები, როგორიც არის პედაგოგი, ექიმი და სამხედრო მოღვაწე რომელზეც მრავალი ფაქტორია დამოკიდებული.

პენსიის გაცემის დროს დაცული იყოს გენდერული ბალანსი. მინიმალური საპენსიო ასაკის გადასინჯვა, შესაძლო გაზრდის და/ან სქესთა შორის გათანაბრების თვალსაზრისით საპენსიო ასაკთან შემცირებს საბიუჯეტო ტვირთს. ეს საკითხი კიდევ უფრო მეტ აქტუალურობას იძენს, როდესაც მსოფლიოში შეინიშნება მოსახლეობის მატებისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდის ტენდეცია. OECD-ის მიერ 2011 წელს გამოცემულ დოკუმენტში "Pensions at a Glance" აღნიშნულია: "დასანანი იქნება იმ საპენსიო რეფორმებიდან გადახვევა, რომლებიც მიზნად ისახავდა მეტი კერძო დანაზოგის დაგროვებას სიბერისთვის გრძელვადიანი პერსპექტივით. გადანაწილებითი და დაგროვებითი საპენსიო მოდელების კომბინაცია წარმოადგენს არა მხოლოდ ყველაზე რეალისტურ პერსპექტივას, არამედ საუკეთესო პოლიტიკას" (OECD, 2011c). მსოფლიო ბანკის ექსპერტთა აზრით, იმ სახელმწიფოებს, სადაც ყველაზე ინტენსიურად მიმდინარეობს მოსახლეობის დაბერება, მომავალში გაუჭირდებათ ჩანაცვლების კოეფიციენტის იმავე დონეზე შენარჩუნება და იმისათვის, რომ მკვეთრად არ შემცირდეს ადამიანის ცხოვრების დონე პენსიაზე გასვლის შემდეგ, საჭიროა კერძო საპენსიო დანაზოგების განხორციელების წახალისება.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. საქართველოს მთავრობა - რეგულირების გავლენის შეფასება დაგროვებით საპენსიო რეფორმაზე (2018 წელი);
2. კვლევითი ცენტრის „პიემსი"-ის მიერ პოლიტიკის კვლევა - დაგროვებითი საპენსიო სისტემა (გამოწვევები და საერთაშორისო პრაქტიკა);
3. უროტაძე ჯ. საპენსიო პოლიტიკა და საერთაშორისო გამოცდილება - თბილისი;
4. უგლავა დ. საპენსიო სისტემების რეფორმა განვითარებულ ქვეყნებში;
5. აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა-საპენსიო რეფორმის განხორციელების მნიშვნელობა საქართველოში სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;
6. საქართველოს საგადასახადო კოდექსი-„დაგროვებითი პენსიის შესახებ".

# უმუშევრობა და დასაქმება საქართველოში

*დალი სილაგაძე*
*აწსუ ასოცირებული პროფესორი*

**UNEMPLOYMENT AND EMPLOYMENT IN GEORGIA**

**Dali Silagadze**
Doctor of Business Management, Associate Professor
Akaki Tsereteli State Universitu

**RESUME**

Unemployment in Georgia is the most severe socioeconomic problem, as evidenced by various surveys conducted in the country. Unemployment is high in both urban and rural areas, however, according to official statistics, Its level in the country, according to the latest data, has declined slightly, but it is still at 12.7%.

The article discusses the statistical picture of unemployment in Georgia. Analysis of unemployment and employment levels, distribution of employees by types of economic activity 2017-2018, causes of unemployment, indicators of unemployment growth, factors affecting its growth.

Ways to reduce unemployment are outlined and a statistical picture of expected trends is outlined.

**Keywords:** Unemployment rate, Employment rate, Employees, Self-employed, Growth rate.

* * * *

საქართველოში უმუშევრობა ყველაზე მწვავე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემაა, რომელსაც ადასტურებს ქვეყანაში ჩატარებული სხვადასხვა გამოკვლევა. უმუშევრობა მაღალია როგორც ქალაქად, ასევე სოფლად, თუმცა, ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, მისი დონე ქვეყანაში ბოლო მონაცემებით, მართალია, მცირედ, მაგრამ მაინც შემცირდა და ის 12,7 % -ის დონეზეა.

საქართველოში უმუშევრობა დღეს ერთ-ერთ ყველაზე მწვავე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემას წარმოადგენს. ფაქტია, რომ ის კვლავ რჩება სიღარიბის განმაპირობებელ მთავარ ფაქტორად, ამიტომ უმუშევრობა ქვეყნისათვის აქტუალური და მეტად სერიოზული გამოწვევაა. საქართველოში რეალური სურათი ისეთია, რომ უმუშევრობის დონე მაღალია როგორც ქალაქად, ისე სოფლად, უმუშევარ მოსახლეობას შორის სჭარბობს ახალგაზრდობა, რაც კიდევ უფრო მწვავეს ხდის პრობლემას და შესაბამისად ზრდის სოციალურ რისკებს, რადგან ის ქვეყნის მომავალს ეხება.

მაინც რა განაპირობებს უმუშევრობას საქართველოში და როგორია მისი ტენდენციები? პირველ რიგში,ალბათ ის, რომ არ არსებობს სამუშაო ძალის კვალიფიკაციის შესაბამისი სამუშაო ადგილები, აქედან გამომდინარე შეზღუდულია მოთხოვნა სამუშაო ძალაზე; ხშირ შემთხვევაში უმუშევრობის ერთ-ერთ განმაპირობებელ ფაქტორად გვევლინება შრომის დაბალი ანაზღაურება და პროფესიული მომზადების დაბალი ხარისხი; შეინიშნება სამუშაო ძალის დაბალი პროფესიული მობილურობა; სამწუხაროდ მაღალია სამუშაოს მაძიებელთა პასიურობის ხარისხი, გარკვეული დროის გასვლის შემდეგი იზრდება სამსახურის შოვნის იმედგაცრუების მოლოდინები და სხვა.

ბუნებრივია, უმუშევრობის ზემოაღნიშნული მიზეზებიდან გარკვეული ნაწილი ობიექტური, ნაწილი კი სუბიექტური ხასიათისაა, მაგრამ მათი გავლენის შედეგი ერთია: საქართველოში სამსახურის შოვნა რთულია, ხოლო დასაქმებულთა დიდი ნაწილისათვის მიღებული შემოსავლები ხშირ შემთხვევაში არ არის საკმარისი საკუთარი თავისა და ოჯახის რჩენისათვის, რაც საბოლოო ჯამში კიდევ უფრო ამწვავებს სოციალურ პრობლემებს.

დასაქმება ნიშნავს ისეთი სამსახურის ქონას, რომელშიც ადამიანს უხდიან ფულს და რომელიც უზრუნველყოფს როგორც მისი, ასევე მისი ოჯახის ნორმალურ არსებობას. თუ ამ ტერმინის შესაბამისად ვიმსჯელებთ, საქართველოს მოსახლეობის თითქმის უმრავლესობა დაუსაქმებელია, რადგან ცოტა თუ მოძიებნება, რომელსაც საკუთარი ხელფასით შეუძლია, თავიც და ოჯახიც ნორმალურად არჩინოს.

ქვეყანაში ცხოვრების დონის ერთ-ერთი საზომი  უმუშევრობა და დასაქმებაა. საქართველოში უმუშევრობა მწვავე პრობლემაა, რომელიც თითქმის ყველა საზოგადოებრივი აზრის შესწავლაში ვლინდება. ბოლო დროს განხორციელებულ საზოგადოებრივი აზრის შესწავლის შედეგებში საერთო ეროვნულ საკითხებს შორის, მოსახლეობის აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა უმუშევრობაა. მოსახლეობის შეფასებით, სამუშაო ადგილების არარსებობა უფრო მნიშვნელოვანი საკითხია, ვიდრე ტერიტორიული მთლიანობა, ადამიანის უფლებების დაცვა, ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურება, განათლება და ა.შ. ამავდროულად ვიღებთ სურათს, როცა მოსახლეობის დიდი ნაწილი თავს უმუშევრად მიიჩნევს, ხოლო ოფიციალურ სტატისტიკაში განსხვავებული მაჩვენებლებია1 . მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ბოლო წლებში დასაქმების მაჩვენებელი გასულ ათი წელთან შედარებით გაზრდილია, ქვეყანაში უმუშევრობის დონე კვლავ მაღალ ნიშნულს იკავებს. წლების მანძილზე დასაქმების ზრდის ტემპი საკმაოდ დაბალია და მას გამოკვეთილი ზრდის ტენდენცია არ ახასიათებს. ასევე ჩანს, რომ არსებულმა ეკონომიკურმა ზრდამ უმუშევრობის შემცირებაზე მნიშვნელოვანი გა-

ვლენა ვერ მოახდინა. 1998-2018წლებში, საქართველოში უმუშევრობა/დასაქმების კუთხით შემდეგ საკითხები გამოიკვეთა: საქართველოში სამუშაო ძალის სრულყოფილი გამოკვლევა არ ხორციელდება. შესაბამისად, ოფიციალური სტატისტიკა არსებულ მდგომარეობას სრულად არ ასახავს; ევროპისა და ცენტრალური აზიის მაღალი შემოსავლის არმქონე ქვეყნების ჯგუფში (რეგიონი) უმუშევრობის დონე საშუალოდ 10.2%-ია. ამ რეგიონში საქართველო 13.9%-იანი უმუშევრობის დონით მე-6 ადგილს იკავებს; რეგიონის იმ ქვეყნებში, სადაც ეკონომიკური ზრდა სტაბილურად მაღალი იყო, უმუშევრობის დონე მნიშვნელოვნად შემცირდა; ბოლო წლებში, საქართველოში უმუშევრობის დონის შემცირების ერთ-ერთი მიზეზი შრომისუნარიანი მოსახლეობის სამუშაო ძალიდან გასვლაა. შრომისუნარიანი პირების სამუშაო ძალიდან გასვლა ცალსახად არ ნიშნავს, რომ ამ პირებს მუშაობა არ სურთ ან დასაქმებისთვის მზად არ არიან; საზოგადოებრივი აზრის შესწავლის შედეგებსა და ოფიციალურ სტატისტიკას შორის არსებითი სხვაობის ერთ-ერთი მიზეზი არასრული დასაქმებაა, როცა დასაქმებულებს არ გააჩნიათ საკმარისი სამუშაო და მიღებული შემოსავალი რეალურ საარსებო მინიმუმზე ნაკლებია. ძირითადად, ისინი საზოგადოებრივი აზრის შესწავლისას თავს უმუშევრად მიიჩნევენ; 2016-2018 წლებში უმუშევრობის დონე შემცირდა, მაგრამ ამ წლებში დასაქმებულთა რაოდენობა 16.5 და 10.6 ათასი პირით შემცირდა (იხ. სქემა 1);

როგორც ვხედავთ წლების მიხედვით დასაქმება და უმუშევრობა ცვალებადია,წინა წლებთან შედარებით უმნიშვნელოდ შემცირდა უმუშევრობის დონე 2018 წელს და 12,7 % შეადგინა (იხ. სქემა 2).

საქართველოში თვითდასაქმების წილი დასაქმებაში 51.7%-ია, რაც მაღალი მაჩვენებელია. ეს მაჩვენებელი ევროპისა და ცენტრალური აზიის მაღალი შემოსავლის არმქონე რეგიონში საშუალოდ 21.1%-ია, ხოლო ევროკავშირში კი საშუალოდ 15.9%;

ძირითადად, თვითდასაქმება სოფლის მეურნეობაშია და წარმოებული პროდუქციის უმეტესი ნაწილი შინამეურნეობის ფარგლებში მოიხმარება. თავის მხრივ, სოფლის მეურნეობის წილი ეკონომიკაში დაბალია; თბილისში მთლიანი მოსახლეობის 31.1% ცხოვრობს, ხოლო დაქირავებით დასაქმების 39.3% და მთლიანი დასაქმების 22.5% თბილისზე ნაწილდება; ბოლო წლებში დასაქმების დონე შიდა ქართლში და იმერეთში მცირდება, ხოლო კახეთში და ქვემო ქართლში კი იზრდება; უმუშევრობის მაღალი დონე 20-29 წლის ასაკობრივ კატეგორიაშია. ამ ასაკის შრომისუნარიანი პირები ყველაზე აქტიურად ეძებენ სამსახურს, მაგრამ ნაკლებად საქმდებიან. დასაქმების მაღალი დონე კი 45-59 ასაკობრივ კატეგორიაშია; მთლიან დასაქმებაში კერძო სექტორში დასაქმების წილი 83.4%-ია. 2010-2014 წლებში, როცა შედარებით მაღალი ეკონომიკური ზრდა იყო, ამ სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა საშუალოდ 24.4 ათასი პირით იზრდებოდა, მაგრამ 2016-2018 წლებში (ეკ. ზრდა 2.9% და 2.8%) კერძო სექტროში დასაქმებულთა რაოდენობა შემცირდა; საქართველოში კერძო სექტორის მიერ სამუშაო ძალის მაღალი მოთხოვნა ვაჭრობის სფეროშია. შესაბამისად, პროფესიის მიხედვით, მოთხოვნის მაღალი რაოდენობა გაყიდვების სფეროს მუშაკებზეა; საქართველოში საჯარო სექტორის დასაქმების წილი მთლიან დასაქმებაში ყველაზე დაბალი 2013-2014 წლებში იყო, მაგრამ მომდევნო წლებში ეს მაჩვენებლები იზრდება; საქართველოში 2017 წელს საჯარო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობამ 283.8 ათასი პირი შეადგინა, რაც მთლიანი დასაქმების 16.6% და სამუშაო ძალის 14.3%-ია; საქართველოში მთავრობის მიერ საჯარო საქონელი და მომსახურების წარმოება/მიწოდებაში უფრო მეტი ადამიანური რესურსია გამოყენებული, ვიდრე რეგიონის სხვა ქვეყნებში.

დასკვნები და რეკომენდაციები: იმისათვის, რათა დავსახოთ უმუშევრობის გადაჭრის რეალური გზები, პირველ რიგში, აუცილებელია განვიხილოთ მისი გამომწვევი მიზეზები. უშუალოდ მიზეზების გარკვევის შემდეგ შესაძლებელი იქნება სწორი სტრატეგიის შერჩევა აღნიშნულ პრობლემასთან საბრძოლველად.

შრომის ბაზრისთვის დამახასიათებელი თავისებურებები: დასაქმების შეზღუდული შესაძლებლობები, სამუშაო ადგილების მცირე რაოდენო-

**დასაქმება და უმუშევრობა (სქემა 1)**

| | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა), ათასი კაცი | 2 004.5 | 1 978.6 | 1 984.6 | 2 018.0 | 1 996.2 | 1 983.1 | 1 939.9 |
| დასაქმებული, ათასი კაცი | 1 659.4 | 1 643.4 | 1 694.4 | 1 733.8 | 1 717.3 | 1 706.6 | 1 694.2 |
| უმუშევარი, ათასი კაცი | 345.1 | 335.2 | 290.2 | 284.2 | 278.9 | 276.4 | 245.7 |
| უმუშევრობის დონე, პროცენტებში | 17.2 | 16.9 | 14.6 | 14.1 | 14.0 | 13.9 | 12.7 |

**წყარო:** საქსტატი

**დასაქმებულთა განაწილება ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით 2017-2018 (სქემა 2)**

| | ათასი კაცი | |
|---|---|---|
| | **2017** | **2018** |
| სულ დასაქმებულები | 1 706,6 | 1 694,2 |
| სოფლის მეურნეობა, ნადირობა და მეტყევეობა, თევზჭერა, მეთევზეობა | 736,5 | 659,2 |
| მრეწველობა | 137,5 | 140,4 |
| მშენებლობა | 82,0 | 98,1 |
| ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი | 174,1 | 187,6 |
| სასტუმროები და რესტორნებ | 37,4 | 44,4 |
| ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა | 82,6 | 90,2 |
| საფინანსო საქმიანობა | 30,7 | 33,5 |
| ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა | 40,7 | 42,8 |
| სახელმწიფო მმართველობა | 8,3 | 91,9 |
| განათლება | 151,5 | 151,6 |
| ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება | 67,4 | 65,7 |
| კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა | 63,0 | 67,4 |
| კერძო საოჯახო მეურნეობა დაქირავებული მომსახურებით | 14,2 | 19,4 |
| ექსტერიტორიული ორგანიზაციების საქმიანობა | 0,5 | 1,1 |
| არაიდენტიფიცირებული | 0,2 | - |

**წყარო:** სამუშაო ძალის გამოკვლევა.

ბა, მოთხოვნასა და მიწოდებას შორის არსებული მკვეთრი დისბალანსი, მოქმედების შეზღუდული არეალი, ნაკლები ელასტიკურობა, სამუშაო ძალის დაბალი მობილობა, დაბალი ანაზღაურება და ხანგრძლივ უმუშევართა მაღალი წილი უარყოფით გავლენას ახდენს საქართველოს შრომის ბაზრის ფუნქციონირებაზე, რაც თავისთავად აისახება უმუშევრობის გამომწვევ ძირითად მიზეზებში. კერძოდ:

• შეზღუდული მოთხოვნა სამუშაო ძალაზე;
• სპეციალობით სამუშაოს შოვნის სირთულე;
• შრომის დისკრიმინაციული პირობები;
• შრომის დაბალი ანაზღაურება;
• პროფესიული მომზადების დაბალი ხარისხი;
• სამუშაო ძალის დაბალი პროფესიული მობილობა;
• სამუშაოს მოძიებისა და თვითპრეზენტაციის უნარ-ჩვევების ნაკლებობა
• სამუშაოს მაძიებელთა პასიურობა (ე.წ. „იმედგაცრუებულები");
• დასაქმების სფეროში საშუამავლო სერვისის განუვითარებლობა/ ხელმიუწვდომლობა.

აღნიშნული მიზეზებიდან ნაწილი ობიექტურია, ნაწილი სუბიექტური. შედეგად კი, საქართველოში სამუშაო ადგილის მოძიება და დასაქმება ძალიან რთულია, ხოლო დასაქმებიდან მიღებული შემოსავლები ხშირ შემთხვევაში არ არის საკმარისი საკუთარი თავისა და ოჯახის სარჩენად. შეფასების სახით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში შრომის ბაზრის განუვითარებლობა სერიოზულად აფერხებს ქვეყნის წინსვლას და უამრავ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემას წარმოშობს უმუშევრობის, სიღარიბის, არალეგალური მიგრაციისა და მათთან დაკავშირებული პრობლემების სახით. ამიტომ, ქვეყანაში ბიზნესგარემოს გაუმჯობესებასთან ერთად (რაც ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ბუნებრივი და ძირითადი ფაქტორია), აუცილებელია შრომის ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირების ხელშეწყობა სახელმწიფოს მხრიდან მისი ელემენტების განვითარების მხარდაჭერის გზით, რაც, შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიის განსაზღვრას მოითხოვს, ასევე საჭიროებს სათანადო საკანონმდებლო, ორგანიზაციული და ფინანსური ბერკეტების შემუშავებასა და გამოყენებას.

## ლიტერატურა:


1. ბიკენტი გაბიძაშვილი, სტატისტიკა ეკონომიკაში, ბიზნესსა და მენეჯმენტში, თბ., გამომცემლობა უნივერსალი, 2008 წ.

2. ბესო ნამჩავაძე -18 ნოემბერი, 2015 • ფორბს-მოსაზრება

ჰტტპ://ფორბეს.გე/ნეწს/960/უმუშევრობის-პრობლემა

3. მერაბ ჯანიაშვილი უმუშევრობის პრობლემა საქართველოში. მაისი 23, 2017

4. www.geostat.ge

# ეკონომიკური უსაფრთხოება გლობალიზაციის პირობებში

*ნატო ჩიკვილაძე*
*სტუ პროფესორი*

**რეზიუმე**

დღევანდელ პირობებში როგორც სახელმწიფო, ისე ნებისმიერი ეკონომიკური სუბიექტის ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვა მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს. ეკონომიკური უსაფრთხოება ეროვნული უსაფრთხოების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია,რადგანაც ეკონომიკა იჭრება სახელმწიფოს საქმიანობის თითქმის ყველა სფეროში. სტატიაში მოცემულია ეკონომიკური უსაფრთხოების მნიშვნელობა.ეკონომიკური უსაფრთხოების მრავალი განმარტება არსებობს.ავტორი შეეცადა მოეცა ეკონომიკური უსაფრთხოების ერთ-ერთი განზოგადოებული განმარტება.ვინაიდან ეკონომიკური უსაფრთხოება ყოველთვის იმყოფება საშიშროების ქვეშ,საჭიროა ყოველი მათგანის სწორად განსაზღვრა და შეფასება.

ეკონომიკური საფრთხის გაძლიერება ხდება გლობალიზაციისა და ინტეგრაციული პროცესების პირობებში.სისტემატურად მიმდინარეობს მსოფლიო ეკონომიკური მეურნეობის სავაჭრო,სამეწარმეო და ფინანსური ურთიერთობის გააქტიურება. ეროვნული ეკონომიკები გადახლართულნი არიან ერთმანეთში,ურთიერთდანამატს წარმოადგენენ,ერთმანეთზე არიან დამოკიდებული,სწორედ ეს გვაძლევს საშუალებას გამოვყოთ ეკონომიკური უსაფრთხოების საშიშროება-დაკავშირებული გლობალიზაციასთან,ასევე გამოვიკვლიოთ მასთან კავშირში არმყოფი.

გლობალიზაცია, მთელი რიგი სპეციალისტების აზრით, წარმოადგენს საზოგადოების განვითარების ევოლუციურ ტენდენციას. ამავე დროს გლობალიზაცია ერთის მხრივ ქმნის საფრთხეებს,სხვა მხრივ იძლევა განვითრების ახალ შესაძლებლობებს.

ნაშრომში განზოგადებულია და მოკლედ განმარტებულია ეკონომიკური უსაფრთხოების როგორც შესაძლო ისე აშკარა საფრთხე გლობალიზაციის პირობებში, ამ საკითხთან დაკავშირებით აგრეთვე განხილულია მეცნიერ- ეკონომისტთა შეხედულებები. ავტორის მიერ მოცემულია გლობალიზაციის პირობებში ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებები.

**РЕЗЮМЕ**

Обеспечение экономической безопасности, как государства, так и любого другого экономического субъекта, играет важную роль. Экономическая безопасность – важная составляющая национальной безопасности, ведь экономика пронизывает все сферы деятельности государства. В статье отражена важность обеспечения экономической безопасности. Экономическая безопасность имеет большое количество трактовок. Автор статьи предлагает одно из обобщенных определений экономической безопасности. Экономическая безопасность постоянно подвергается угрозам различного характера. В процессе их нивелирования важно их правильно классифицировать и оценить. Усиление и появление новых угроз экономической безопасности происходит в условиях проявления глобализационных и интеграционных процессов. Продолжается активное развитие мирового хозяйственного комплекса торговых, производственных, финансовых отношений. Национальные экономики переплетаются и взаимодополняют друг друга, зависят друг от друга. Это делает очевидной вы- деление еще одной классификации угроз экономической безопасности – угроз, связанных с глобализацией, и угроз, не зависящих от нее. Глобализация, по мнению многих ученых – эволюционная тенденция развития общества. При этом глобализация, с одной стороны, несет угрозы, а с другой, создает новые возможности. В статье обобщены и кратко описаны как возможности, так и угрозы экономической безопасности в условиях глобализации. По этому вопросу также рассмотрены основные воззрения ученых-экономистов.

**Ключевые слова:** экономическая безопасность, национальная безопасность, глобализация

* * * *

ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა სახელმწიფოს ფუნქციონირების აუცილებელი პირობაა. საზოგადოება ყოველთვის განიცდიდა თავისი უსაფრთხოების უზრუნველყოფის საჭიროებას,მაგრამ ეკონომიკური უსაფრთხოების სფეროს ცალკე გამოყოფა შედარებით ახალი მოვლენაა. ტერმინი "ეკონომიკური უსაფრთხოება"პირველად გაჟღერდა დიდი დეპრესიის პირობებში. 1934 წელს რუზველტმა შექმნა ეკონომიკური უსაფრთხოების ფედერალური კომიტეტი,მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავდა ეროვნული უსაფრთხოების ფარგლებში ახალი მიმართულების შექმნას.

გაეროში მე-20 საუკუნის 80 წლებიდან სისტემატურად განიხილება ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხები. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიდგომები მიმართულია უპირველეს ყოვლისა ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის საერთაშორისო ასპექტების კვლევაზე,რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც განვითარებული ,ისე განვითარებადი ქვეყნებისთვის, მსოფლიო

ეკონომიკის ძირითად პრობლემების, განვითარებადი ქვეყნებისათვის საფრთხის ეროვნულ და საერთაშორისო წყაროების განალიზებაზე.

“ეკონომიკური უსაფრთხოების” მრავალი განმარტება არსებობს ეკონომიკურ ლიტერატურაში. შეგვიძლია გავაკეთოთ ეკონომიკური უსაფრთხოების განმარტება,რომელიც შეიძლება გამოიხატებოდეს იმაში რომ ეს მდგომარეობა - საშიშროების არ არსებებობა,ეკონომიკის დაცულობა საშუალებას აძლევს ეკონომიკური საქმიანობის სუბიექტებს იქნება ეს სახელმწიფო,რეგიონი,საწარმო ან სხვა განვითარდნენ და უწყვეტად შეასრულონ თავიანთი ფუნქციები. ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა წარმოადგენს სტრატეგიულ ამოცანას მთელი ქვეყნის მასშტაბით,რამდენადაც მასზე, ეკონომიკურ სფეროზე დამოკიდებულია, როგორც სოციალური,ისე პოლიტიკური, სამხედრო, ტექნოლოგიური, სასურსათო და ეროვნული უსაფრთხოების სხვა სფეროები. სწორედ ეროვნული უსაფრთხოების პირობებშია შესაძლებელი ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა, მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდა, სახელმწიფოს აყვავება.

საშიშროებას,რომელიც ემუქრება სახელმწიფოს ეკონომიკურ უსაფრთხოებას შეიძლება ჰქონდეს გავლენის და წარმოშობის სხვადასხვა დონე და ხასიათი. საშიშროების სწორმა კლასიფიკაციამ შეიძლება მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს მათ მართვაში. ეკონომიკური უსაფრთხოების მრავალი საშიშროების გაძლიერება ხდება გლობალიზაციის გავლენით. გრძელდება მსოფლიო ეკონომიკის სავაჭრო, საწარმოო, ფინანსური ურთიერთობების სამეურნეო კომპლექსების აქტიურად განვითარება. ეროვნული ეკონომიკები ერთმანეთს ერწყმიან და ავსებენ ერთმანეთს. ეს ცხადყოფს,რომ არსებობს ეკონომიკური უსაფრთხოების კიდევ ერთი კლასიფიკაცია, გლობალიზაციასთან დაკავშირებულია და მისგან დამოუკიდებელი საფრთხეები.

გლობალიზაცია ევოლუციური ტენდენციაა საზოგადოების განვითარებაში.უფრო მეტიც,ეს ორაზროვანი ფენომენია და აქვს როგორც დადებითი ისე უარყოფითი თვისებები. გლობალიზაციის პოზიტივი გამოიხატება საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებაში, იმპორტისა და ექსპორტის პროცესების განვითარებაში,სახელმწიფოებს შორის კულტურული კავშირების გაძლიერება-გაღრმავებაში და ა.შ. უარყოფითი ისაა,რომ გლობალიზაციის პროცესმა შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს სახელმწიფოს ეკონომიკური უსაფრთხოების მდგომარეობაზე, რადგან ქვეყნის ეკონომიკა უფრო ღია ხდება, ეროვნული ბაზრები სხვა სახელმწიფოს ბაზრებზეა დამოკიდებული. საზოგადოების და ნედლეულის უსაფრთხოების დამამძიმებელი პრობლემები გლობალური ხდება. გლობალიზაცია ეკონომიკური საქმიანობის ახალი დონეა, რომელიც მოქმედებს ერთიან ეკონომიკურ სივრცეში. გლობალიზაციას ახასიათებს მსოფლიო ეკონომიკური ურთიერთობების გაბატონება ეროვნულზე. გლობალიზაცია ტრადიციულის გაძლიერების და სახელმწიფოს ეკონომიკური უსაფრთხოების ახალი საშიშროების წარმოშობის ფაქტორია და ეს აშკარად ჩანს ეკონომიკური უსფრთხოების ინდიკატორების ყველა მაჩვენებელში. რესურსების ინტეგრაცია,რომელიც გლობალიზაციისათვის არის დამახასიათებელი სერიოზულ კონკურენცის უწევს პირველ რიგში განუვითარებელი ქვეყნებს,რადგან მაღალგანვითარებული ქვეყნები და ტრანსნაციონალური კორპორაციები თავად ხელმძღვანელობენ ამ პროცესს.

ტექნოლოგიური თვალსაზრისით ,გლობალიზაცია კონვეიერის ტექნოლოგიებიდან მოდულურ წარმოებაზე გადასვლაა საერთაშორისი აუთსორსინგის ფართო გამოყენებით,რესურსებისა და მატერიალური ხარჯების მართვის ოპტიმიზაციის მიზნით. ამჟამინდელი ტექნოლოგიური რევოლუციის ერთ-ერთი რეალური შედეგი იქნება შრომითი რესურსების მნიშვნელოვანი სიჭარბის გაჩენა და ცუდად განვითარებული ქვეყნების მსოფლიო ეკონომიკის ბალასტის პოზიციაზე გადაადგილება. ამრიგად, გლობალიზაციის და ინტეგრაციის პროცესების ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შესაძლებლობა ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებაში. უფრო მეტიც,ხშირად ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების ორი ასპექტი არსებობობს:

• განხილული სახელმწიფოს სუბიექტების პოლიტიკური გადაწყვეტილებების დამოუკიდებლობა სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისაგან;

• ქვეყნის პოლიტიკური გადაწყვეტილების მიმღებების დამოუკიდებლობა ეროვნული პოლიტიკური ბაზრებისაგან,სადაც მოქმედებენ როგორც რეზიდენტი,ისე არარეზიდენტი სუბიექტები.

გლობალიზაციის პირობებში ახალი გამოწვევების და საფრთხეების იდენტიფიცირების და ჩამოთვლის სხვადასხვა მიდგომა არსებობს.მაგალითად, ი.რ.ფამინსკი ასეთად წარმოებისა და კაპიტალის ინტერნაციონალიზაციას, საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის ლიბერალიზაციას მიიჩნევს. Gგლობალიზაციიდან გამომდინარე ეკონომიკური უსაფრთხოების საშიშროება ვ.აფირსოვთან ასოცირდება გლობალური ბაზრების ბუნდოვანებასთან, არასტაბილურობასთან, უსამართლობასთან, გლობალური ეკონომიკის ღიაობასთან და გლობალური ეკონომიკური პროცესებისა და კორპორაციების არასაკმარის მართვასთან. მრავალი მეცნიერი ამტკიცებს, რომ გლობალიზაცია ავლენს ფართომასშტაბიანი და ეკონომიკური საქმიანობის მქონე სახელმწიფოების მონოპოლიასა და ოლიგოპოლისტურ კორპორაციულ ბიზნესს; გლობალური წარმოების და მოხმარების დისბალანსი, გლობალური ინდუსტრიული და ფინანსური კაპიტალის ფართომასშტაბიანი ვირტუალიზაცია, გლობალურ დონეზე ეკონომიკუ-

რი პროცესების ცუდად მართვა და ა.შ.

მიუხედავად ჩამოთვლილი საფრთხეებისა მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია სერიოზულ საფუძველს ქმნის ადამიანის მრავალი პრობლემის გადასაჭრელად. გლობალიზაცია ხელს უწყობს სპეციალიზაციისა და შრომის საერთაშორისო დანაწილების გაღრმავებას. Gგლობალიზაციის პირობებში მატერიალური სახსრები და რესურსები უფრო ეფექტურად არის განაწილებული, რაც საბოლოოდ ხელს უწყობს ცხოვრების საშუალო სტანდარტის გაზრდას და მოსახლეობის ცხოვრებისეული პერსპექტივების გაფართოებას. მის პირობებში, პირდაპირი ინვესტიციების ზრდის ტემპი გაცილებით მაღალია მსოფლიო ვაჭრობის ტემპთან შედარებით, რაც სამრეწველო ტექნოლოგიების ტრანსფერტის, მრავალეროვნული კომპანიების ფორმირების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, ეს აგრეთვე პირდაპირ გავლენას ახდენს ეროვნულ ეკონომიკებზე.

გლობალიზაციის უპირატესობებს წარმოადგენს ის ეკონომიკური სარგებელები,რომლებიც მიიღება წამყვანი უცხოური ქვეყნების მოწინავე სამეცნიერო, ტექნიკური, ტექნოლოგიური და საკვალიფიკაციო დონის გამოყენების შედეგად სხვა ქვეყნებში. ამ შემთხვევაში ახალი გადაწყვეტილებების განხორციელება ხდება მოკლე დროში და შედარებით დაბალ ფასად. გლობალიზაციამ შეიძლება გამოიწვიოს შრომის ნაყოფიერების ამაღლება გლობალურ დონეზე წარმოების რაციონალიზაციისა და მოწინავე ტექნოლოგიების გავრცელებით, აგრეთვე გლობალური მასშტაბით ინოვაციების მუდმივ დანერგვაზე კონკურენტული ზეწოლით. GGGგლობალიზაცია საშუალებას აძლევს ქვეყნებს მობილიზებულნი იყვნენ ფინანსური რესურსების სულ უფრო დიდი რაოდენობით, რადგან ინვესტორებს შეუძლიათ გამოიყენონ უფრო ფართო ფინანსური ინსტრუმენტები მზარდი ბაზრების პირობებში.L

მრავალი მეცნიერი გლობალიზაციას ლეგიტიმურ ობიექტურ პროცესად მიიჩნევს. ამავე დროს, გლობალიზაცია,ერთი მხრივ, სახელმწიფოებს ახალ შესაძლებლობებს უქმნის, ხოლო მეორე მხრივ ის უარყოფითად მოქმედებს ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე.

სახელმწიფოს სწორი მიდგომებით გლობალიზაციის პერსპექტივების, სოლიდარობის და ქვეყნებს შორის თანამშრომლობის სურვილის გათვალისწინებით, შესაძლებელია ყველა შესაძლებლობების გაძლიერება და საფრთხეების ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანა,რაც დადებითად იმოქმედებს კეთილდღეობის ზრდაზე. Gგლობალიზაცია შეიძლება გახდეს ის ფაქტორი, რომელიც აიძულებს შიდა მწარმოებელს თავისი საქმიანობის შენარჩუნებისათვის გავიდეს განვითარების ახალ დონეზე, ხოლო ქვეყნის ეკონომიკა გახდეს უფრო კონკურენტუნარიანი, რადგან გამოწვევები და საფრთხეები აუცილებელს ხდიან ქვეყნის ყველა ეკონომიკური პოტენციალის გაუმჯობესებასა და განვითარებას.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. ოთინაშვილი რ. ეკონომიკური უსაფრთხოება,თბ.2005,.440გვ.

2. მაღლაკელიძე თ.ეკონომიკური უსაფრთხოება,თბ.2002,302 გვ.

3. ჭითანავა ნ. გარდამავალი პერიოდის სოციალურ –ეკონომიკური პრობლემები: გლობალიზაცია და ეროვნულ-ეკონომიკური უსაფრთხოება,ნაწ.III თბ. 2001, 420გვ.

4. Фирсов В. А. Глобализация как фактор усиления традиционных и возникновения новых вызовов и угроз экономической безопасности государства. // Бизнес в законе. 2009. № 5.

# ჟურნალ „ეკონომიკის„ პირველი ნომრები ეკონომიკის ზოგიერთი დარგის პრიორიტეტულობის შესახებ და თანამედროვეობა

***რევაზ შენგელია***
*ემდ, სტუ პროფესორი*
***ჟუჟუნა წიკლაური-შენგელია***
*ემდ, სტუ პროფესორი*
***ნათია შენგელია***
*ეად, სტუ ასოცირებული პროფესორი*
*ოქსფორდის უნივერსიტეტის ბიზნესის*
*ფაკულტეტის კურსდამთავრებული*

### რეზიუმე

ჟურნალი „ეკონომიკა", რომლის პირველი ნომერი „საქართველოს ეკონომისტის" სახელწოდებით 1918 წელს გამოიცა, უკვე 101 წლისაა. იგი იმთავითვე გამოირჩეოდა აქტუალური პრობლემების ოპერატიული გაშუქებით. სისტემატურად აქვეყნებდა სტატიებს ეროვნული მეურნეობის ისეთ დარგებზე, როგორიცაა მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა და ა.შ. აწყობდა დისკუსიებს ქვეყნის მომავალი განვითარების გზების შესახებ და სხვ. თავისი ძირითადი შინაარსით ამ ჟურნალში დასმული საკითხები რეტროსპექტულია და საქართველოში მიმდინარე რეფორმების პროცესში ახლანდელ პრობლემებზეც, მათ შორის ეკონომიკური პროფილის პრესის სატკივარზეც არანაკლებ სამართლიანად მიგვანიშნებს.

**საკვანძო სიტყვები:** ეროვნული მეურნეობის პრიორიტეტული დარგები, კონკურენცია, თვითკრიტიკა.

### THE FIRST EDITIONS OF THE JOURNAL "ECONOMICS" ABOUT THE PRIORITY OF SOME SECTORS OF ECONOMY AND THE CONTEMPORANEITY

**Revaz Shengelia,** PhD, GTU, Professor,
**Jujuna Tsiklauri-Shengelia,** PhD, GTU, Professor,
**Natia Shengelia,** PhD, GTU Associate Professor,
Oxford Brookes University
Graduate, Business Faculty

### RESUME

The First Edition of Journal "**Economics**", entitled "**The Economist of Georgia**" was published in 1918 and it is already 101 anniversary. It has always been differentiated by writing immediately about the actual issues and problems. The articles about the sectors such as industry, agriculture, trade and etc. were systematically issued there. Moreover, the journal organized many discussions about the development ways of the country. By its content the topics published in this journal are retrospective and also describe the ongoing problems in Georgia under the current reform, among them it fairly pays the attention to the worry of economic-profile press.

**Key words:** Priority Sectors of National Economy, competition, self-criticism.

### ძირითადი ტექსტი

ჟურნალი „ეკონომიკა", რომლის პირველი ნომერი „საქართველოს ეკონომისტის" სახელწოდებით 1918 წ. გამოიცა, იმთავითვე გამოირჩეოდა აქტუალური პრობლემების ოპერატიული გაშუქებით. სისტემატურად აქვეყნებდა სტატიებს ეროვნული მეურნეობის ისეთ დარგებზე, როგორიცაა მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა და ა.შ. აწყობდა დისკუსიებს ქვეყნის მომავალი განვითარების გზების შესახებ და სხვ.

ჟურნალში, უწინარეს ყოვლისა, მეცნიერ-ეკონომისტების და განსაკუთრებით ეკონომისტ-ჟურნალისტების ყურადღებას იპყრობს აუცილებლობის შემთხვევაში პრესის მხრიდან ისეთი თვითკრიტიკული გამოსვლა, რომელიც ობიექტურად, პრინციპულად ამხელს საკუთარ ნაკლოვანებებს. ამ მხრივ, დღევანდელი ჟურნალების რედაქციებისათვის, მეცნიერ-ეკონომისტებისათვის სამაგალითოა 1935 წ. #9-10-ში დაბეჭდილი მეთაური წერილი. აი, ზოგიერთი ადგილი ამ წერილიდან: ჟურნალს „ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი... კიდევ უფრო უნდა გავაძლიეროთ კონკრეტული ეკონომიკის აქტუალური საკითხების გაშუქება... ჟურნალში დაბეჭდილი ორიგინალური წერილები მოისუსტებენ. არ კმარა მარტო ფაქტებისა და ციფრების კონ-

სტატაცია, საჭიროა მათი ანალიზი, ერთგვარი განზოგადება, თეორიული დასაბუთება... ეს, რა თქმა უნდა, ნაკლია და მომავალში უნდა გამოსწორდეს. უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე რაიონში წარმოებული ეკონომიკურ-კულტურული მშენებლობის გაშუქების მნიშვნელობა. ბევრი რამ კეთდება ჩვენს რაიონებში. საჭიროა ამ მიღწევებისა და რაიონების მომავალი განვითარების პერსპექტივების გაშუქება"(1).

თითქმის 8 ათეული წლის წინანდელი ეს აღიარება თავისი ძირითადი შინაარსით რეტროსპექტულია და საქართველოში მიმდინარე რეფორმების პროცესში ახლანდელ პრობლემებზეც, მათ შორის ეკონომიკური პროფილის პრესის სატკივარზეც არანაკლებ სამართლიანად მიგვანიშნებს.მართლაც, სავსებით მისაღებია ზემოაღნიშნული შენიშვნა იმის თაობაზე, რომ „კონკრეტული ეკონომიკის აქტუალური საკითხების გაშუქება, დაბეჭდილი ორიგინალური წერილები, ფაქტებისა და ციფრების კვალიფიციური ანალიზი, ერთგვარი განზოგადება, თეორიული დასაბუთება, პუბლიკაციები საქართველოს რაიონების(რეგიონების) სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აქტუალური პრობლემების შესახებ, დღესაც მოისუსტებენ. ასეთი მიმართულებით მასალების გამოქვეყნებას, ვფიქრობთ, უდიდესი სახელმწიფოებრივი და სოციალური-ეკონომიკური დატვირთვა ექნება. ამით, ჩვენი აზრით, დღევანდელ სწრაფცვალებად კონკურენტულ სამყაროში გაძლიერდება: ჯერ ერთი, ნაშრომების მეცნიერული დონე, კონკურენტუნარიანობა და,მაშასადამე,- საერთაშორისო აღიარება;მეორე, თვითკრიტიკის შედეგად იმატებს ორიგინალური-ე.ი.**კრეატიული,** შემოქმედებითი,მნიშვნელოვანი სიახლის შემცველი ნაშრომები და, რაც მთავარია, მესამე, იმაზე, თუ როგორ მონახავენ რეგიონები საკუთარ თავს, ადგილს, დიდად იქნება დამოკიდებული ქვეყანაში დაბალანსებული, ეფექტიანი ეკონომიკის ჩამოყალიბების სტრატეგიული ამოცანის გადაწყვეტა. ფაქტია, რომ საქართველო რომელიმე კუთხის, რეგიონის, მასზე ზრუნვის გარეშე ერთსულად ვერასოდეს შეიკვრება, ისე როგორც არ შეიკვრება თუნდაც ერთი თითით ნაკლული ხელი - მუშტად. აი, ამიტომ არის და უნდა იყოს თითოეულ კუთხეზე, რეგიონზე, მხარეზე ზრუნვა აყვანილი სახელმწიფოს რანგში არსებული ეკონომიკური და მწვავე სოციალური პრობლემების გადასაჭრელად.

ჟურნალში არანაკლებ ყურადღებას იპყრობს მასალები საქართველოში ეროვნული მეურნეობის ამა თუ იმ დარგის პრიორიტეტული განვითარების აუცილებლობის დასაბუთების შესახებ.ზოგიერთი ავტორის აზრით მეურნეობის ესა თუ ის დარგი განხილულია ცალმხრივად ისე, რომ საქართველოს ტრადიციული დარგები უყურადღებოდაა დარჩენილი.მაგალითად, ჟურნალ „ეკონომისტის" 1925 წ. #3-ში ვკითხულობთ: „...ჩვენი ქვეყანა მარტოოდენ სოფლის მეურნეობის ქვეყანაა, მომავალშიც ასეთად დარჩება და უნდა დარჩესო, მეორენი კი საქართველოს ხსნას მხოლოდ მის ინდუსტრიალიზაციაში ხედავდნენ,-სასოფლო მეურნეობას ჩვენში მომავალი არა აქვს, საქართველო წმინდა სამრეწველო ქვეყანა გახდებაო."(2, გვ.1).ამ მასალის განალიზება დღევანდელი ეკონომიკური პროფილის პრესისათვის სამაგალითოა იმიტომ, რომ ასეთ ცალმხრივ, არასწორ მოსაზრებებს იმთავითვე, სწრაფად მოჰყვებოდა სამართლიანი, ობიექტური რეაგირება.მაგალითად, სტატიაში „ჩვენი სამეურნეო განვითარების გზები"(2, გვ.1, 3, 5) საკმაოდ დამაჯერებელი არგუმენტებით სწორადაა გაკრიტიკებული იგი და ქვეყნის მეურნეობის ორივე დარგის განვითარება სავსებით შესაძლებლადაა მიჩნეული. მართალია იმ პერიოდში საქართველო უპირატესად სასოფლო-სამეურნეო ქვეყანა იყო, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავდა, რომ მომავალშიც ასე დარჩებოდა. კერძოდ, სსოფლო-სამეურნეო კულტურების არსებობა(მევენახეობა,მეაბრეშუმეობა, მეხილეობა, მებამბეობა,მეთამბაქოეობა და სხვ. გავრცელებული იყო საქართველოში და თანდათან უფრო ფართოვდებოდა), ასევე მესაქონლეობა აუარებელ ნედლ მასალას იძლეოდა სხვადასხვა სამრეწველო დარგების(საფეიქრო, ტყავის მრეწველობის და სხვ.) აღორძინებისათვის.მეორე, ხე-ტყის დიდი მარაგის არსებობის გამო შესაძლებელი იყო ქაღალდის მრეწველობის განვითარება, მითუმეტეს, რომ მაშინ მსოფლიო ქაღალდის ნაკლებობას განიცდიდა. და ბოლოს, საქართველო მდიდარი იყო სხვადასხვა მადნით- ჭიათურის შავი ქვა, ტყიბულის ნახშირი, ტყვარჩელის ჯერ კიდევ ხელუხლებელი ქვანახშირი მსხვილი ინდუსტრიის აყვავების უტყუარი საწინდარი იყო.ამრიგად„ არსებობდა საჭირო პირობები იმისათვის,რომ საქართველო მოწინავე ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანა გამხდარიყო.

საქართველოს მომავალი განვითარების შესახებ ასეთ დრული რეაგირების შედეგად გაკეთებულ დასკვნებს დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა. იგი იძლევა მძლავრ იმპულსს საქართველოში მრეწველობის და , კერძოდ მისი ისეთი დარგების განვითარებისათვის, , რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყანაში ტრადიციული დარგების თანამედროვე სამრეწველო ყაიდაზე გარდაქმნას და ცოდნაზე დაფუძნებული ინოვაციური ეკონომიკის ჩამოყალიბებასა და განვითარებას.სამრეწველო საწარმოების პრიორიტეტული განვითარება სულაც არ ნიშნავს სასოფლო-სამეურნეო საწარმოების განუვითარებლობას.პირიქით, ასეთი საწარმოების, კომპანიების განვითარება უნდა მოხდეს თანამედროვე საერთა-

შორისო მოთხოვნების შესაბამისად, რათა აქ შემნილი პროდუქცია იყოს მოთხოვნადი, კონკურენტუნარიანი მსოფლიო მასშტაბით.მაგალითისათვის კარგად გამოგვადგება ნიდერლანდების მაგალითი. ეს ქვეყანა-ტერიტორიულად მცირე ევროპული ქვეყნა-ფართობით საქართველოზე 1.67-ჯერ ნაკლებია, მოსახლეობით კი 4.5-ჯერ მეტი. შემოსავლები 1 სულ მოსახლეზე 5-ჯერ მეტი და HDI ინდექსით გვისწრებს რა 63 პოზიციით, მე-7 ადგილზეა. მართალია, ქვეყანას აქვს ბუნებრივი რესურსები, მე-5 ადგილზეა ბუნებრივი აირის ექსპორტის მხრივ და მე-17-ზე ნავთობის ექსპორტის მხრივ, მაგრამ იგივე რესურსები უფრო დიდი ოდენობით ვენესუელასაც გააჩნია. ქვეყნის ტერიტორიის 20% ზღვის დონის ქვემოთაა მოქცეული, ზღვა გამუდმებით რეცხავდა და იტაცებდა სანაპირო ტერიტორიას. მიუხედავად ამისა, ამ ქვეყანამ დაამარცხა ჩრდილოეთის ზღვა. რაც შეეხება **სოფლის მეურნეობას,** ამ საქმეშიც ნამდვილად მისაბაძია. ქვეყნის აგროექსპორტი საქართველოს მთლიან ექსპორტს 35-ჯერ აღემატება და 95 მილიარდ დოლარს აღწევს. ის მეორეა აშშ-ს შემდეგ, მაგრამ აქვე უნდა ითქვას მთავარი, ამ სექტორში დასაქმებულია **სამუშაო ძალის მხოლოდ 4 პროცენტი** (3). ყოველივე ეს კაცობრიობის მიერ მრავალი წლის განმავლობაში დაგროვილი მაღალკვალიფიციური ცოდნის გამოყენების შედეგია.

ამრიგად, თვალის ერთი გადავლებითაც კი ჩანს, რომ ჟურნალ „ეკონომიკის“ ფურცლებზე, დღიდან მისი დაარსებისა, გამოქვეყნებულია დიდძალი ორიგინალური მასალა, როგორც საერთო-ეკონომიკური მეცნიერების, ისე კონკრეტულ-დარგობრივი ეკონომიკის მრავალ საჭირბოროტო პრობლემაზე. მასში მოცემული თემატიკა აქტუალურია დღესაც და დიდი მნიშვნელობა აქვს დღევანდელი საქართველოს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისათვის გამოცდილების თვალსაზრისით, მით უმეტეს როცა ჟურნალის პირველი ნომრების გამოცემის პერიოდი, ეპოქა და დღევანდელობა გარკვეულწილად ერთმანეთს მიესადაგება. გამოქვეყნებული სტატიების ძირითადი ნაწილი მაინც არსებითად ხელს უწყობს ეკონომიკური ცოდნის გავრცელებას მოსახლეობაში, ეკონომიკური აზრის განვითარებას. გვჯერა, რომ დიდი ტრადიციაგამოვლილი ჟურნალი მომავალშიც კვლავ მაღალი ენთუზიაზმით გააგრძელებს თავის შემოქმედებით საქმიანობას და ჯეროვან წვლილს შეიტანს ეროვნული ეკონომიკის აღორძინების საქმეში.

**ლიტერატურა:**

1. იხ. ჟურნ. „საქართველოს სოციალისტური მეურნეობა“, 1935 წ. N9-10

2. ჟურნალ „ეკონომისტი“,N3, 1925წ.

# ეკოლოგიური პოლიტიკა - ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების გარანტი

*მეგი გორგასლიძე*
*ეად, აწსუ ასოცირებული პროფესორი,*

**ЭКОЛОГИЧЕСКАЯ ПОЛИТИКА - ГАРАНТ ЭКОНОМИЧЕСКОЙ БЕЗОПАСНОСТИ СТРАНЫ**

**Меги Горгаслидзе**
Академический доктор экономики;
ас. Профессор Государственный
университет им. Акаки Церетели.

**РЕЗЮМЕ**

Разработанный в стране план экономического развития предполагает реализацию успешной экологической политики, от которой во многом зависит экономическая безопасность страны.

Экономическая безопасность страны требует рационального использования ее природных ресурсов,охраны природы, что актуально не только для одной страны, но и имеет глобальный характер.

Современный этап развития Грузии направлен на устранение экологического дисбаланса,что требует разработки целевой экологической программы, отражающей экологическиепроблемы в соответствии с общепризнанными нормами.

Экологическая политика предполагает использование экологически чистых технологий в производствеи регулирование этих процессов с помощью рыночного механизма.

**Ключевые слова:** экономическая безопасность, устойчивое развитие, экологическая политика,-природные ресурсы.

**საკვანძო სიტყვები:** ეკონომიკური უსაფრთხოება; მდგრადი განვითარება; ეკოლოგიური პოლიტიკა; ბუნებრივი რესურსები.

* * * *

ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე დიდ გავლენას ახდენს ის ეკოლოგიური პოლიტიკა,რომელიც შემუშავებული სწორი მიდგომებით.აღნიშნულიდან გამომდინაარე ეს პრობლემა აქტუალური და ყოვლისმომცველია თავისი ბუნებით და ცდება ერთი ქვეყნის ფარგლებს.

ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოება დამოკიდებულია არა მხოლოდ მისი რესურსების არსებობაზე,არამედ იმ მნიშვნელოვან პროცესებზეც,რომელიც მიმდინარეობს ქვეყანაში და რასაც საბოლოოდ მოჰყვება მატერიალური კეთილდღეობის მატება და შესაბამისად ეკონომიკური ზრდა - განვითარება.

ბუნებრივი რესურსები ანუ ბუნებრივი კაპიტალი ადამიანთა საქმიანობის შემადგენელი ნაწილია და განიხილება როგორც არა მხოლოდ რესურსული წყარო, არამედ კვლავწარმოების პირდაპირი შედეგი. თანამედროვე ეკონომიკურმა ურთიერთობებმა წარმოშვა სამეურნეო საქმიანობის ფორმები - ბუნების დაცვისა და აღდგენის ღონისძიებები, რისთვისაც საჭიროა საკმაო მატერიალური და ბუნებრივი რესურსები, ასევე ინვესტიციური ხასიათის რესურსები.

ბუნებრივი რესურსების ამოწურვის პრობლემა არახელსაყრელი ზეგავლენას ახდენს ქვეყნის უსაფრთხო განვითარებაზე, რისთვისაც საჭიროა მათი დეტალური გაანალიზება. ამ მიზნით გაეროს სტატისტიკური განყოფილება ეროვნულ ანგარიშებში რთავს ეკონომიკური და ეკოლოგიური ანგარიშების დამხმარე სისტემას რომლის ელემენტებში ნათლად არის გამოკვეთილი გარემოს ბუნებრივ პირობებთან დაკავშირებული დანახარჯების აღწერა,რამდენადაც ასეთი ხარჯები ეკონომიკურ ზრდაზე უარყოფით გავლენას ადხენს და მათ აუცილებლად გამოქვითავენ ქვეყნის ეროვნული შემოსავლიდან.

ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებასა და ბუნებრივი რესურსების ათვისებას შორის, რომელიც საჭიროა ადამიანის საარსებო საშუალებებისა და ცხოვრების მაღალი დონის შესანარჩუნებლად, დიდ განსხვავებაა და ატარებს წინააღმდეგობრივ ხასიათს. ჯერ კიდევ ძველად, ამ პრობლემის მიმართ არ იყო გულგრილი ადამინთა საზოგადოება. ყველა ეპოქას თავისი სატკივარი ჰქონდა და შესაბამისად ცდილობდა პრობლემის მოგვარებას.

გლობალური ეკოლოგიური საშიშროების წინაშე მსოფლიო აღმოჩნდა გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან, ბირთვული იარაღის ტესტირებიდან გლობალური კლიმატის ცვლილებამდე, რამაც გამოიწვია მსოფლიოში „მწვანე პოლიტიკის" განვითარების აუცილებლობა, თუმცა გარემოსდაცვითი პრობლემები XX საუკუნემდეც არსებობდა.

უძველეს სამყაროში, ძველინდური ლიტერატურის ძეგლი „მანუ-მსრიტი" - მანუს კანონთა კრებული, გარკვევით აღნიშნავს, რომ არ შეიძლება ცხოველების მოკვლა და მცენარეული სამყაროს განადგურება, აუცილებელია ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება და ეკოსისტემების შენარჩუნება.დიდ ბრიტანეთში ჰაერისა და წყლის დაბინძურების კანონები XIII საუკუნიდან მოქმედებს.

საქართველოშიც ბუნების დაცვის ტრადიცია

ოდითგანვე ჰქონდათ. ძველ ქართულ ხელნაწერებში უამრავი საინტერესო ცნობებია შემონახული ბუნების ცალკეული ობიექტების სამართლებრივი დაცვის შესახებ. თამარ მეფის სიგელებში მოხსენიებულია „ტყის მცველნი". მრავალი თანამდებობის არსებობის შესახებ გვამცნობს „ხელმწიფის კარის გარიგებაც" ( XIV საუკუნე); ვახტანგ I -ის დროს არსებობდა ე.წ. „ყორუმები" ანუ ამა თუ იმ მიზნით არსებული დაცული ტერიტორიები, მაგალითად, „ სანადირო ალაგები" და ა.შ. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რელიგიური მოსაზრებების გამო ტერიტორიების დაცვას. „ხატის ტყეებმა" რიგ რეგიონებში შემოგვინახა დღემდე ხელუხლებელი კორომები.

საქართველოში ნადირობის როლი თავისებურადაა ასახული ხალხური რწმენა-წარმოდგენებში. არაერთი ჩვეულება ბუნების დაცვასაც უწყობდა ხელს. მაგალითად,საქართველოს რიგ რაიონებში მონადირეს ეკრძალებოდა ერთ ნადირობაზე სამზე მეტი მსხვილი ნადირის მოკვლა, სანადირო ადგილიც და სეზონიც ტრადიციით რეგულირდებოდა. წესის დამრღვევ მონადირეს სოფელი,თემი სასტიკად სჯიდა,საჯაროდ კიცხავდა და აჯარიმებდა. როცა მონადირე 1000-ზე მეტ ნადირს მოინადირებდა, თოფს მიწაში მარხავდა და ნადირობას თავს ანებებდა.

თანამედროვეობის აქტუალური პრობლემაა ბუნებრივი რესურსების გამოყენების ორგანიზება ისე, რომ დავიცვათ ჩვენი სამყაროს ეკოლოგიური წონასწორობა და ამავდროულად გავაძლიეროთ ადამიანის უფლებები და დემოკრატიული გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა. თანამედროვე მიდგომა რესურსების გამოყენებაზე კონტროლის დაწესების შესახებ გულისხმობს გარკვეული „რესურსების პოლიტიკის" შემუშავებას. ტერმინი „რესურსების პოლიტიკა" გულისხმობს თუ ვინ და როგორ აკონტროლებს და იყენებს გარემოს. „რესურსების პოლიტიკა" გვთავაზობს შევხედოთ მიმდინარე კონფლიქტებს რესურსების გამოყენების გარშემო,როგორც კომპლექსურ სისტემას ბუნების,ადამიანის,ინტერესების,ძალთა თანაფარდობის და კულტურების ურთიერთქმედებას სხვადასხვა ტერორიებზე ( ადგილობრივ, რეგიონულ და გლობალურ დონეებზე) .ეს თვალთახედვა გვთავაზობს პრობლემების გადაჭრას ადამიანისა და გარემოს უფლებების დაცვის კუთხით,იგი კითხვის ქვეშ აყენებს თვით ბუნებას,როგორც რესურსის ცნებას და ამდენად, გვაძლევს თავისუფლებას ვიფიქროთ ტრანსფორმაციულ სტრატეგიებზე.

ქვეყნები განსხვავდებიან,როგორც ბუნებრივი სიმდიდრეების მოცულობის,ასევე მათი გამოყენების ეფექტიანობის მიხედვით, რაზეც პირდაპირ არის დამოკიდებული ქვეყნების უსაფრთხო განვითარება. ეკონომიკაში არსებობს ერთი უცნაური მოვლენა,რომელსაც ეკონომისტები „სიმდიდრის წყევლას" უწოდებენ. საინტერესოა კოლუმბიის უნივესიტეტის პროფესორის, 2001 წლის ნობელის პრემიის ლაურეატის იოსებ სტიგლიცის აზრი ამ საკითხთან მიმართებით, თუ როგორ უნდა დავიცვათ თავი „სიმდიდრის წყელისაგან". ეს ტერმინი იქიდან წარმოდგება,რომ ქვეყანა, რომელი უხვადაა დაჯილდოებული ბუნებრივი სიმდიდრეებით,- ძირითადად ვითარდება გაცილებით უარესად ,ვიდრე იგი,რომელიც ასეთ წყალობას მოკლებულია. თუმცა ეს ყველა მათგანს როდი ეხება: არსებობენ ისეთი ქვეყნები,რომლებიც ყელამდე არიან ჩაფლული სიმდიდრეში, მაგრამ ვითარდებიან კარგად ან ყოველ შემთხვევაში,ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით სულაც სულაც არ ჩამოუვარდებიან სხვა მდიდარ ქვეყნებს. ეს იმიტომ ხდება, რომ ხელისუფლება არასწორად ახდენს საკუთარი სიმდიდრეების გამოყენებას, უმეტესად საკუთარ ინტერესებს ითვალისწინებს, რასაც მოჰყვება ქვეყნის განვითარების შეფერხება. ასეთ დროს აუცილებელია ქმედითი ღონისძიებების განხორციელება მდგომარეობის გამოსწორების მიზნით.

საქართველო არ წარმოადგენს გამონაკლისს ამ კუთხით,რადგანაც დიდი ხანია არაკეთილსინდისიერად და კანონის დარღვევით ხდება ბუნებრივი სიმდიდრეების მოპოვება და ექსპორტირება საზღვარგარეთ,რაც იწვევს ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევას და მის თანამდევ პრობლემებს.საქართველოსათვის პრიორიტეტს ეკოლოგიის სფეროში წარმოადგენს ბუნებრივი რესურსების გამოყენების კრიზისული სიტუაციების აღმოფხვრა,ეკოლოგიური კატასტროფების შედეგების ლიკვიდაცია. ჩვენს ქვეყანაში რესურსების ეფექტიანად ათვისებას ძალიან უშლის ხელს დაგროვილი და ათვისებული რეგიონული რესურსების, განსაკუთრებით წიაღისეული რესუსების,ამოღების ძველებური წესების არსებობა.

საქართველოსათვის ეკოლოგიური მიზნებიდან საყურადღებოა: მეწარმეთა ჩართვა ბუნების დაცვითი ღონისძიებების განხორციელებაში; ეკოლოგიურ-ეკონომიკური წონასწორობის აღდგენისადმი ხელის შეწყობა ეკოლოგიურად სუფთა (უნარჩენო) ტექნოლოგიის დანერგვით; ხე-ტყის რესურსების, თევზის მარაგებისა და სამონადირეო ზონების და ნაკრძალების აღდგენა-განვითარება.

ეკოლოგიურ პოლიტიკაში, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა სახის პოლიტიკაში,ერთმანეთისაგან განასხვავდება მიზანი და მისი მიღწევის გზები და მეთოდები.ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი მიზანი და გამოწვევა ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებაა,გარემოს დაცვა მავნე ზემოქმედებისაგან; მაქსიმალურად შემცირება გარემოში მავნე გამონაბოლქვებისა,სასურსათო უსაფრთხოება და ა.შ. ამ მიზნების მიღწევის გზები კი ის მეთოდებია,რომლებიც აპრობირებულია მსოფლიოში ეკოლოგიური მდგომარეობის გაჯანსაღებისათვის.ეს მეთოდები არ წარმოადგენს მხოლოდ აკრძალვებს საწარმოთა მიმართ,რათა მათ თავისდროულად დანერგონ მოწინავე ,გარემო პირობე-

ბის დამზოგავი ტექნოლოგიები.თანამედროვე პირობებში სულ უფრო ხშირად საუბრობენ,ჩაართონ ,,ბაზარი ეკოლოგიის სამსახურში'' - ეს არის გარკვეული საბაზრო მექანიზმების დაწესება,რაც ეფუძნება იმას,რომ ქარხნებს,რომლებიც არ ითვისებენ მათვის დაწსებულ გარემოს დაბინძურების ლიმიტებს, აქვს იმის უფლება,რომ დარჩენილი ლიმიტი მიჰყიდონ იმ სააწარმოებს,რომლებსაც არ ჰყოფნით იგი. ამ სახის ვაჭრობების მასშტაბები აშშ-ში მილიარდობით დოლარს აღწევს, ხოლო ჩიკაგოში გარემოს დაბინძურების ლიმიტებით ვაჭრობის სპეციალური ბირჟაც კი არსებობს.

გლობალური კლიმატურ ცვლილებებს მიეძღვნა იაპონიაში,კიოტოს ოქმის შემუშავება,რომლის თანახმად,შეიძლება სათბურის აირების ემისიებით ვაჭრობა.კიოტოს ოქმი ძალაში შევიდა 2005 წლის 16 თებერვლიდან, რომლის მოქმედების ვადა ძალაში დარჩა 2020 წლამდე კატარში,დოჰაში მიღებული გადაწყვეტილების თანახმად. არსებობს მეცნიერული მტკიცებულებები, რომ კაცობრიობას აქვს 50-100 წელი იმისათვის,რომ გაატაროს გადამწყვეტი კულტურული ცვლილებები.თუ ეს მართალია.ამ საუკუნის განმავლობაში,ჩვენ შესაძლოა აღმოვჩნდეთ გზაჯვარედინზე,სადც უნდა ავირჩიოთ გზა ან მდგრადი განვითარებისაკენ,ან გავაგრძელოთ ამჟამინდელი არამდგრადი განვითარების კურსი.

ბიზნესის განვითარება იწვევს გარემოს მეტისმეტად დაბინძურების რისკები ზრდას,რაც საბოლოოდ საზოგადოების განვითარებას აფერხებს. ჩვენი ქვეყნისათვის ეს აქტუალური პრობლემაა, რაც დაკავშირებულია,ეკონომიკის დაბალი წარმადობის გამო, მოძველებული ტექნოლოგიების გამოყენებასთან. ასეთი პრობლემები იწვევენ ეკოლოგიურ კატასტროფების წარმოქმნის საშიშროებას, რომელთა ეკოლოგიური დარეგულირება სახელმწიფოს პირდაპირი მოვალეობაა.ამ პროცესში სასურველია ჩაერთოს საბაზრო მექანიზმი,რომელიც ხელს შეუწყობს ეკონომიკურ ზრდას და ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

გარემოს დაცვის გაუმჯობესების მიზნით,საქართველოში სასურველია შემუშავდეს ,,ეროვნული ეკოლოგიური პროგრამა'',რომლის უშუალო მიზანი იქნება საერთაშორისო ნორმატივების დაცვა ატმოსფერული ჰაერისა და წყლის აუზების მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებით.დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ტექნიკურად გაუმართავი ავტომობილების ექსპლუატაციის აღკვეთას,უნარჩენო ტექნოლოგიების დანერგვას, ენერგოდამზოგავი მანქანა-მოწყობილობების გამოყენებას,სასურსათო უსაფრთხოების პროგრამის შემუშავებას,რომელიც პირდაპირ არის დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების, განსაკუთრებით მოზარდი თაობის ჯანმრთელობასა და მომავალთან; უნდა შეწყდეს ტყეების უსისტემო გაჩეხვა და უცხოელებზე გაყიდვა; ყურადღება უნდა მიექცეს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მწარმოებელთა წახალისებას, სოფლის მეურნეობის განვითარებისა და ეროვნული ეკონომიკის აღმავლობისადმი მხარდაჭერას.

ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით საქართველოს შეუძლია გახდეს საერთაშორისო თანამშრომლობის ტერიტორია. ამასთან უნდა იქნეს დაცული ქვეყნის ჭეშმარიტი სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა. ამის საფუძველი კი გახდება საუკეთესო განათლების სისტემა,გამართული საინვესტიციო გარემო და საფინანსო პოლიტიკა,არაკრიმინოგენური გარემო და ეკოლოგიური კეთიდღეობა.

### გამოყენებული ლიტერატურა:


1. საქართველოს ეკონომიკა, მონოგრაფია.მთავარი რედაქტორი როზეტა ასათიანი. გამომცემლობა ,, სიახლე ''. თბილისი.2012.

2. იოსებ სტიგლიცი. როგორ დავიცვათ თავი ,,სიმდიდრის წყევლისაგან''. (ა.გრიშიკაშვილი). ჟ.,,ეკონომიკა'' N2(87)2005.

3. დემურ გადელია.რეგიონის ეკონომიკური და ფინანსური პოტენციალი. თბილისი. 2003.

4. ლეშეკ ბალცეროვიჩი. თვისუფლება და განვითარება.თავისუფალი ბაზრის ეკონომიკა.თბილისი. 2004.

4. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ოფიციალური ვებ-გვერდი.

5. რესურსების პოლიტიკა სამართლიანი მომავლისათვის.ჰაინრიხ ბიოლის ფონდის მემორანდუმი. https://ge.boell.org › default › files › resource_politics_for_fair_future_geo

6. www. Geostat.ge

# ინოვაციების ზოგიერთი საკითხისათვის საქართველოში

***მედეა ლომინაშვილი-ფრუიძე***
*ედ, აწსუ ასოცირებული პროფესორი*
***თინათინ გუგეშაშვილი***
*ეად, აწსუ ასოცირებული პროფესორი*

**რეზიუმე**

ეკონომიკური ზრდის გრძელვადიანი განვითარების თვალსაზრისით ყველა მეცნიერი და ქვეყნის ხელისუფლება თანხმდება ინოვაციების განვითარების აუცილებლობაზე. ეს განსაკუთრებით კარგად ესმით იმ ქვეყნებში სადაც მარტივმა გადაწყვეტილებებმა ამოწურეს თავი და მათი ზრდის განვითარება დამოკიდებულია უფრო ეფექტური საწარმოო ფაქტორების შერწყმაზე. ჩვენი აზრით თანამედროვე ეკონომიკაში ყველაზე მნიშვნელოვანია ინსტიტუციონალური ინოვაციები. ნებისმიერი ეკონომიკური სუბიექტის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა სახის ინსტიტუციურ ცვლილებებთან. ინოვაციური განვითარების არჩეული სტრატეგიიდან გამომდინარე, ქვეყანაში ინოვაციური საქმნიანობის ხელშეწყობის მიმართულებით გამოყოფილი უნდა იქნეს სახელმწიფო პრიორიტეტები.

**საკვანძო სიტყვები:** ინოვაცია, ინსტიტუტები, შესაძლებლობები, ინოვაციური პროდუქტები, კომპანიები

## О НЕКОТОРЫХ ВОПРОСАХ ИНОВАЦИИННОГО РАЗВИТИЯ ГРУЗИИ

**Гугешашвили Тинатини**
Академический доктор экономических наук
Доцент, Департамента бизнес администрирования
Государственный университет им. Акаки Церетели
**Ломинашвили-Пруидзе – Медея**
Доктор экономических наук, Доцент
Департамента бизнес администрирования
Государственный университет
им. Акаки Церетели

**РЕЗЮМЕ**

Деятельность любого экономического субъекта связана с институцио-нальными инновациями различного рода. Институциональние изменения означают изменения институциональной структуры как набора взаимосвязанних правил и неформальных ограничений .определяюших систему стимулов для экономических агентов .

Реалии экономической деятельности показывают, что роль сознательно созданных институтов возрастает в крупномасштабных институциональных изменениях. Например, такие как социально-экономические преобразования страны, реформы и революции. Институциональные изменения в Грузии совпадают с реформами перехода к рыночной экономике, в частности, с Революцией роз 2003 года.

Как известно, существующая законодательная база изменилась: были приняты многочисленные новые законы, регулирующие рыночные отношения, которые укрепили Институт частной собственности, а также Институт предпринимательства, создали новые рыночные структуры - биржи, коммерческие банки, акционерные и страховые компании и аналогичные учреждения. Инновация является наиболее важной задачей для современного бизнеса. Компании, которые продвигают инновации и думают о том, что предложить рынку, гораздо более успешны, чем другие компании. В этом исследовании мы представляем инновационные продукты страховых компаний, работающих в Грузии.

**Ключевые слова:** иновации, возможности, шновационные продукты, компании.

* * * *

ეკონომიკური ზრდის გრძელვადიანი განვითარების თვალსაზრისით ყველა მეცნიერი და ქვეყნის ხელისუფლება თანხმდება ინოვაციების განვითარების აუცილებლობაზე. ეს განსაკუთრებით კარგად ესმით იმ ქვეყნებში სადაც მარტივმა გადაწყვეტილებებმა ამოწურეს თავი და მათი ზრდის განვითარება დამოკიდებულია უფრო ეფექტური საწარმოო ფაქტორების შერწყმაზე. ჩვენი აზრით თანამედროვე ეკონომიკაში ყველაზე მნიშვნელოვანია ინსტიტუციონალური ინოვაციები. ნებისმიერი ეკონომიკური სუბიექტის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა სახის ინსტიტუციურ ცვლილებებთან. რას ვგულისხმობთ ინსტიტუციურ ინოვაციებში?- ეს არის ფორმალურ და არაფორმალურ ინსტიტუტებში სიახლეების უზრუნველყოფის მექანიზმი, დადგენილი თამაშის წესების ინოვაციური ცვლილებები სხვადასხვა სუბიექტებს შორის მათ ეკონომიკურ საქმიანობაში.

ეკონომიკური საქმიანობის რეალიები გვიჩვენებს რომ შეგნებულად შექმნილი ინსტიტუტების როლის წილი იზრდება მსხვილმასშტაბიანი ინ-

სტიტუციური ცვლილებების დროს. მაგალითად, როგორიცაა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ტრანსფორმაცია, რეფორმები და რევოლუციები. საქართველოში ინსტიტუციური ცვლილებები ემთხვევა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის რეფორმებს, კონკრეტულად კი 2003 წლის „ვარდების რევოლუციას“. როგორც ცნობილია ამ დროისათვის შეიცვალა არსებული საკანონმდებლო ბაზა: მიღებულ იქნა საბაზრო ურთიერთობების რეგულირების უამრავი ახალი კანონი, რომლებმაც გაამყარეს კერძო საკუთრების ინსტიტუტი, ასევე მეწარმეობის ინსტიტუტი, შეიქმნა ახალი საბაზრო სტრუქტურები- ბირჟები, კომერციული ბანკები, სააქციო და სადაზღვევო საზოგადოებები და მსგავსი ინსტიტუტები. როგორც ცნობილია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის ტიპის მქონე ქვეყნები განსხვავდებიან ინოვაციური საქმიანობის ტემპებით, რამდენადაც ინოვაციის პროცესი ვითარდება რიგი ფაქტორების გავლენით და ამ ფაქტორების როლი შეიძლება იყოს სხვადასხვა.

ინსტიტუციური ინოვაციები ხორციელდება საინსტუტიციო ბაზრის მეშვეობით, რომელიც იძლევა საშუალებას ავირჩიოთ თამაშის წესები მათ თანამეგობრობაში. ამ ბაზრის უმნიშვნელოვანეს ფუნქციად გვევლინება ინოვაციების წახალისება და ადაპტირებული მოქმედებების ფორმების წახალისება. ინოვაციები შეიძლება აღმოცენდნენ სამ დონეზე: ინსტიტუციურ სტრუქტურაში სისტემური ცვლილებების დონეზე; ცალკეული სფეროების და დარგების (ლოკალურ) დონეზე ცვლილებებით და კერძო ეკონომიკურ და სოციალური პრაქტიკის ცვლილებების დონეზე.

საქართველოში მოქმედებს ინოვაციების ინსტიტუციური შესაძლებლობების გაზრდის პროექტი, რომელსაც ევროკავშირისა და მსოფლიო ბანკის დაფინანსებით ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო ანხორციელებს.

„ჩვენ გვჭირდება მეტი ინიციატივა, რომელიც საქართველოში ხელს შეუწყობს ინოვაციური ეკოსისტემის ჩამოყალიბებას, წაახალისებს ინოვაციურ კომპანიებსა და მკვლევარებს, რათა მათ შეძლონ საკუთარი ტექნოლოგიური იდეებისა და პროექტების მონეტიზება და შემდგომში მათი რეალიზება კომერციულად მომგებიან პროდუქტებში. ამდენად, აღნიშნული პროექტის განხორციელება დადებითად აისახება ეკონომიკის ზრდის პროცესზე“, - აცხადებს ნიკოლოზ ალავიძე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე.

ინოვაციის ინსტიტუციური შესაძლებლობების გაზრდის პროექტი ფინანსდება ევროკავშირის მიერ 2.7 მილიონი ევროს ოდენობით გამოყოფილი თანხით და ხორციელდება მსოფლიო ბანკის მიერ. პროექტის მიზანია: ა) გაზარდოს ინოვაციის ინსტიტუციური შესაძლებლობები და განახორციელოს ინოვაციისა და მეწარმეობის პოლიტიკა და პროგრამები საშუალო და გრძელვადიანი სტრატეგიებითა და შედეგებით; ბ) მოახდინოს საქართველოში საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და კერძო სექტორს შორის ტექნოლოგიური ინოვაციების შესაძლებლობის ტესტირება და დემონსტრირება; გ) გააუმჯობესოს ინოვაციური სტარტაპების ინვესტირების და ადრეულ ეტაპზე მყოფი კომპანიების დაფინანსების შესაძლებლობები.

«მსოფლიო ბანკი კვლავაც განაგრძობს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მხარდაჭერას, რადგან ის თავად გარდაიქმნა სტარტაპერი სააგენტოდან განვითარებულ სტრუქტურად, რომელიც ახდენს საქართველოს ინოვაციებისა და მეწარმეობის პოლიტიკისა და პრაქტიკის კოორდინირებას. ევროკავშირის მხარდაჭერითა და მსოფლიო ბანკის ტექნიკური დახმარებით განხორციელებული პროექტი საშუალებას მისცემს ინოვაციის ინსტიტუციურ შესაძლებლობებს გადადგას შემდგომი ნაბიჯები ინსტიტუციური შესაძლებლობებისა და ეფექტურობის გაზრდისკენ, ტექნოლოგიური ცვლილებისკენ და ინოვაციური, ადრეულ ეტაპზე მყოფი კომპანიების ინვესტირების შესაძლებლობების გაუმჯობესებისკენ.» - აცხადებს მსოფლიო ბანკის სამხრეთ კავკასიის რეგიონული დირექტორი მერსი ტემბონი.

„ინოვაციური განვითარების არჩეული სტრატეგიიდან გამომდინარე, ქვეყანაში ინოვაციური საქმნიანობის ხელშეწყობის მიმართულებით გამოყოფილი უნდა იქნეს შემდეგი სახელმწიფო პრიორიტეტები:

1. მეწარმეობის განვითარება მეცნიერულ-ტექნიკურ სფეროში;

2. ისეთი ეკონომიკური და სამართლებრივი გარემოს შექმნა, რომელშიც აქტიურად განვითარდებოდა ინოვაციური პროცესები;

3. ინოვაციური ინფრასტრუქტურის განვითარება (ინოვაციურ-ტექნოლოგიური ცენტრები, ტექნოპარკები, ბიზნეს-ინკუბატორები, ინფორმაციული სისტემები, სპეციალისტების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემები მენეჯმენტის სფეროში, ინოვაციის მხარდაჭერის სხვადასხვა ფონდები, მათ შორის ვენჩურული ინვესტირება, დაზღვევის და ლიზინგის კომპანიები და ა.შ.).“[1]

„ზოგადად, როდესაც ინოვაციებზე იწყებ ფიქრს, უნდა გაითვალისწინო რამდენიმე მნიშვნელოვანი დეტალი. პირველი არის ის, რომ შენ შეიძლება იყო ნოვატორი ბაზარზე და სხვა კომპანიებს გაუკვალო გზა ამით ან იყომეორე მოთამაშე. აქ პროდუქტის ნაირსახეობასაჩ დიდი მნიშვნელობა აქვს, თუმცა მთავარი მაინჩ ისაა, რამდენად ხარ ფოკუსირებული იმ სიახლეებძე, რასაც მომავალში ბაზარს შესთავაზებ და კონკურენტებთან შედარებით წახვალ ერთი ნაბიჯით წინ“.[2]

---

1 საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამაhttp://www.nplg.gov.ge

2 http://davidkenchadze.ge/ka/blog/243

ინოვაციები არის თანამეთროვე ბიზნესის ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა. კომპანიები, რომლებიც ინოვაციების მართვას უზრუნველყოფენ და სულ ფიქრობენ, რა შესთავაზონ ბაზარს ახალი, ხდებიან გაცილებით წარმატებულები სხვა კომპანიებთან შედარებით. აღნიშნულ კვლევაში წარმოგიდგენთ საქართველოში მოქმედი სადაზღვევო კომპანიების ინოვაციურ პროდუქტებს. პირველმა ქართულმა სადაზღვევო კომპანია „ალდაგმა" მომხმარებლისთვის ახალი ინოვაციური პროდუქტები შექმნა. მომსახურების სფეროში თანამედროვე ტექნოლოგიების მიმართულებით შეიქმნა „ლოიალობის პროგრამა". ალდაგის ლოიალობის პროგრამაში ჩართვისას, მომხმარებელი მიიღებს გადახდილი პრემიის ათმაგ ბონუს ქულებს, აღსანიშნავია, რომ ყოველი უზარალო წლის შემდეგ შესაძლებელი იქნება დაგროვილი ქულების სადაზღვევო პოლისის შესაძენად გამოყენება. ქულები გამოყენებისას 100 ქულა უდრის 1ლარს. პროგრამის ფარგლებში დასაშვებია ქულების დაგროვება სამი წლის მანძილზე და მათი შემდგომში გამოყენება. კიდევ ერთი სიახლე რომელიც ალდაგმა მომხმარებელს წარუდგინა ახალი მობილური აპლიკაცია და ინტერნეტპორტალია, რომლის სახელწოდებაა profile.aldagi.ge იგი წარმოადგენს ონლაინ პროფილს. ამ ინოვაციით კომპანიის კლიენტები სადაზღვევო პოლისებთან, გადახდებთან, სადაზღვევო შემთხვევებთან, ზარალის ანაზღაურებასთან და საპენსიო ფონდთან დაკავშირებულ საკითხების მართვას თავადვე შეძლებენ. „მომხმარებლის პროფილი" ალდაგის ახალ მობილურ აპლიკაციაშიც გააქტიურდა, რაც დამატებით საშუალებას მისცემს მომხმარებელს შემთხვევის ადგილზე დააფიქსირონ ზარალი, გადაიღონ და გადააგზავნონ ფოტომასალა ალდაგში. სადაზღვევო ბაზრის ლიდერი კომპანია მომხმარებელს დროთა განმავლობაში კიდევ შესთავაზებს ინოვაციურ პროდუქტებს.

როგორც ცნობილია სადაზღვევო კომპანია „კოპენბურის" რებრედინგი დასრულდა და იგი ბაზარზე „თიბისი დაზღვევის" სახელით გააგრძელებს ოპერირებას. „კოპენბურგი" თიბისი ბანკმა სადაზღვევო ბაზარზე შესვლის სტრატეგიული გადაწყვეტილების თანახმად შეიძინა. რის შედეგადაც „თიბისი დაზღვევა" უკვე ახალ არხში- თიბისი ბანკის ქსელში იქნება წარმოდგენილი. ინოვაცია რომელიც შეთავაზებულ იქნა მომხმარებლისთვის მდგომარეობს მომსახურების დისტანციურობაში. „თიბისი დაზღვევის" სერვისებითა და პროდუქტებით სარგებლობა კომფორტული იქნება როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირებისათვის. მომხმარებელს შეეძლება გაყიდვების თანამედროვე არხებს და მომსახურების მაღალ ხარისხსს, რაც „თიბისი დაზღვევის" კონკურენტული უპირატესობაა.

„თიბისი დაზღვევაში " 8 მლნ ლარის ინვესტიციაა დაგეგმილი და თანხის დიდი ნაწილი მომსახურების დიჯიტალიზაციას და ინოვაციური პროდუქტების განვითარებას მოხმარდება.

დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ ინოვაცია ზრდის ქვეყნის ბიზნესის კონკურენტუნარიანობას და ქმნის სამუშაო ადგილებს - ეს არის, ასე ვთქვათ, "ხელსაყრელი ბიზნესგარემო". ინოვაციების პოლიტიკა წარმოადგენს ევროკავშირის 2020 წლის სტრატეგიის მნიშვნელოვან ნაწილს ახალი სამუშაო ადგილების შექმნის თვალსაზრისით. შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ინოვაციური ეკოსისტემის განვითარების მიზნით ინოვაციური ინსტიტუციების მხარდაჭერა სრულ შესაბამისობაშია ევროკავშირის მიერ საქართველოში ბიზნესის განვითარების მხარდაჭერის ვალდებულებასთან.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამაhttp://www.nplg.gov.ge

2. დავით კენჭაძე, ინოვაციები-კომპანიის წარმატებული მომავლის გარანტი http://davidkenchadze.ge/ka/blog/243

3. საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო https://idfi.ge/public/upload/IDFI/2020/Qashibadze1.pdf

4. ინოვაციების სახეობები https://businesshub.ge/ge/innovation/increase-rd/types-of-innovation

5. https://drive.google.com/file/d/0BxXvq66Lof71elZXNnhUWGVCc1U/view საქართველოს ინოვაციების სტრატეგია.

6. https://drive.google.com/file/d/0BxXvq66Lof71QTkycmE4SmluZ2M/view ინოვაციების განხორციელების სამოქმედო გეგმა

# კაპიტალის ბაზარის როლი ეროვნული ეკონომიკის გაუმჯობესებაში

*ირინე მამალაძე*
*სტუ. პროფესორი*

**რეზიუმე**

განვითარებული ქვეყნების საფინანსო ინსტიტუტები მაღალეფექტიანია, რამდენადაც ისინი მოიცავს სხვადასხვა საფინანსო დაწესებულებებს, რომლებიც სთავაზობენ სხვადასხვა სახის ფინანსურ მომსახურებას, რაც ხელს უწყობს ეკონომიკაში ინდივიდთა პირად მონაწილეობის და დანაზოგების ზრდას.[1] ასეთ რთულ სისტემას აქვს სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტების ფართო ნაკრები, როგორიცაა სასესხო ვალდებულებები ობლიგაციები და თამასუქები, აქციები, ვარანტები, დეპოზიტური სერტიფიკატები, სვოპები, ფორვარდული კონტრაქტები და ვადიანი დეპოზიტები. საფინანსო ინსტიტუტები მოიცავენ საინვესტიციო ბანკებს, საფინანსო კომპანიებს, სალიზინგო და ფაქტორინგულ კომპანიებს, საპენსიო ფონდებს, „სარისკო“ კაპიტალის კომპანიებს და სხვ.

საფონდო ბაზრები შეიძლება შეიქმნას რეფორმირების ადრეულ ეტაპზე, მაგრამ შეფასებისა და ინფორმაციის შეგროვების მექანიზმების არასრულყოფილების გამო გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების უმრავლესობას წლები დასჭირდება, ვიდრე ეს ბაზრები მნიშვნელოვან როლს შეასრულებენ.

**საკვანძო სიტყვები:** საფინანსო ინსტიტუტები, სასესხო ვალდებულებები, კაპიტალის ბაზარი, საფონდო ბირჟა, საინვესტიციო ბნკები,კომერციული ბანკები, ეროვნული წარმოება, ეროვნული შემოსავალი, კაპიტალდაბანდებათა მოცულობა, მყიდველობითუნარიანობის მაშტაბი,

* * * *

საქართველოში ფინანსური ბაზრის ფორმირება-ფუნქციონირება თანმხლები პრობლემებით მიმდინარეობს. დაბალია წარმოების ზრდის ტემპი, ეროვნული ეკონომიკა ნაკლებად ემორჩილება საბაზრო ურთიერთობათა კანონზომიერებებს, ფაქტობრივად მოდუნებულ მდგომარეობაშია ფასიანი ქაღალდების პირველადი ბაზარი, ნაკლებად არის ახალი ემისიები. ყოველივე ამის გამო სუსტძალოვანია კაპიტალის ბაზარი, იგი მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს ეროვნული ეკონომიკის მოთხოვნილებებს. ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზრის განვითარების პროცესში აუცილებელია ქვეყანაში განხორციელდეს ახალი ემისიები და სხვადასხვა ფასიანი ქაღალდების გამოშვება, სხვანაირად საეჭვოა ჩამოყალიბდეს ლიკვიდური საფონდო ბაზარი. ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზარი საფონდო ბირჟის სახით ეკონომიკის რეალურ სექტორში ინვესტიციების მოზიდვის ნაცადი საშუალებაა. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისეთი კანონების მიღებას როგორიცაა: კანონი საინვესტიციო ფონდების შესახებ, კანონი მუნიციპალური და სახელმწიფო ქონების გამიჯვნის შესახებ, ცვლილებების შეტანა საგადასახადო კოდექსში და სხვა.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში საბაზრო ურთიერთობების ეფექტიანად ჩამოყალიბებისა და საფინანსო პოლიტიკის სრულყოფის საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საბანკო სისტემის განვითარებას. ცენტრალური ბანკი კომერციულ ბანკებზე ზემოქმედებისა და ფულად-საკრედიტო რეგულირებისთვის იყენებს კომერციული ბანკების რეფინანსირების მეთოდს, რომელიც მიჩნეულია კომერციული ბანკების საკრედიტო დაბანდებებისა და ლიკვიდურობის მოქნილ მექანიზმად. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში საბანკო სისტემამ ხელი უნდა შეუწყოს ქვეყანაში ეკონომიკის სახელმწიფოებრივ რეგულირებას, გრძელვადიანი დაბანდებების მწყობრი მექანიზმის ჩამოყალიბებას და ეკონომიკის ყველა სფეროში საბაზრო ურთიერთობათა განვითარებას. ამასთან, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სრულყოფისთვის აუცილებელია განხორციელდეს საკრედიტო რეგულირება, რადგანაც მას შეუძლია ზემოქმედება მოახდინოს ისეთ ეკონომიკურ პარამეტრებზე, როგორიცაა კაპიტალდაბანდებათა მოცულობა, მყიდველობითუნარიანობის მასშტაბები, ვალუტის კურსის დონე და ა.შ.[2]

გარდამავალი პერიოდის საწყის ეტაპზე კომერციული ბანკები თავიანთ საქმიანობას დაკრედიტების დარგში წარმართავენ მოკლევადიანი კრედიტების გაცემისთვის, თანაც ძირითადად დასაქმებული არიან სავაჭრო-საშუამავლო საქმიანობის დასაკმაყოფილებლად და არა მატერიალური წარმოების სფეროს მომსახურებაზე. მოგვიანებით კი, კომერციული ბანკებისათვის და მთლიანად ეროვნული მეურნეობისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის მიმართულება უნდა გახდეს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ორიენტაციის ისეთი შეცვლა, როცა შესამჩნევი უპირატესობა მიენიჭება

1 გრეჰემი ე. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და ვაჭრობა. "ეკონომიკური რეფორმები დღეს". N 1, გვ. 37-42; 1999

2 ერქომაიშვილი გ., ბიზნესი _ ფირმის ფუნქციონირების ძირითადი ასპექტები. თბილისი, თსუ, 2007 გორგასალიძე მ, "ადამიანისეული კაპიტალი ეროვნული სიმდიდსრის ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორი, ჟურნალი "ეკონომიკა", N10,2005.4.

მატერიალური წარმოების სფეროს დაფინანსებას, რითაც უზრუნველყოფილი იქნება ეკონომიკის პერსპექტიული განვითარება. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ერთ-ერთი მიმართულებაა ცენტრალური ბანკის მიერ კომერციული ბანკების საქმიანობის რეგულირება და კონტროლის გაძლიერება, რაც გამოიხატება ყველა ბანკის მიმართ მინიმალური სარეზერვო მოთხოვნის დაწესებით, რათა ბანკის კლიენტები რამდენადმე მაინც იქნენ დაცული შესაძლო დანაკარგებისაგან, ხოლო კომერციულმა ბანკებმა იგრძნონ ფინანსური პასუხისმგებლობა და თავი აარიდონ სარისკო და ნაკლებად ეფექტიან საკრედიტო გარიგებებს. საფინანსო პოლიტიკის აქტუალური საკითხია საგადამხდელო ბალანსის რეგულირება. საგადამხდელო ბალანსი, ერთი მხრივ, ქვეყნის საგარეო-სავაჭრო და სავალუტო-საფინანსო პოლიტიკის შემუშავების საფუძველია, ხოლო, მეორე მხრივ, უზრუნველყოფს ქვეყნის შიგნით სწორი საკრედიტო პოლიტიკის გატარებას. ეკონომიკის სტაბილიზაციის უზრუნველსაყოფად აუცილებელია საგადამხდელო ბალანსის მდგომარეობაზე ზემოქმედება მოვახდინოთ ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა: ფასები შიდა ბაზარზე, ეროვნული წარმოება, ეროვნული შემოსავალი და დასაქმების დონე. აღსანიშნავია, რომ საგადამხდელო ბალანსი დიდ ზეგავლენას ახდენს ქვეყნის ფულადი ერთეულის სავალუტო კურსის ჩამოყალიბებაზე.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების საინვესტიციო კლიმატის გაჯანსაღებაში მნიშვნელოვან როლს უცხოური ინვესტიციები ასრულებს. რადგან მათ მხოლოდ საკუთარი ძალებით საინვესტიციო პრობლემის დაძლევა არ შეუძლიათ. ამასთან, დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს უცხოური ინვესტიციების პირობების და ხელსაყრელობის ანალიზს, საუკეთესო ვარიანტების შერჩევას. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში უცხოური კაპიტალი ითვლება საინვესტიციო კაპიტალის ერთ-ერთ მთავარ წყაროდ. სინამდვილეში კი ნებისმიერ ქვეყანაში კაპიტალდაბანდებათა დიდი ნაწილი ხორციელდება შინაგანი დაგროვების ხარჯზე, რისთვისაც აუცილებელია საბანკო სისტემის რეფორმა და საფინანსო შუამავლების ქსელის შექმნა (საფონდო ბირჟა, სადაზღვევო კომპანიებით და სხვ.) ინვესტირების შიდა წყაროების ეფექტიანი გამოყენების მიზნით. შიდა დაგროვების უკმარისობის პირობებში უცხოური კაპიტალის მოდინება კაპიტალის დამატებითი წყაროს როლს ასრულებს. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს კაპიტალის დაბანდების გარდა ტრანსნაციონალური კორპორაციები გადასცემენ თანამედროვე ტექნოლოგიებს, ცოდნას მართვისა და ბიზნესის სფეროში, ამასთან, აფართოებენ ვაჭრობას ზემოთ აღნიშნულ ქვეყნებთან. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებით ტრანსნაციონალური კორპორაციების დაინტერესების მიზეზებია:

1. სამუშაოს ძალის დაბალი ფასი.

2. პოტენციურად დიდ ბაზარზე საკუთარი მდგომარეობის უზრუნველყოფის შესაძლებლობა;

ამასთან, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში უცხოური კაპიტალდაბანდებათა მოდინების ხელისშემშლელი მიზეზია:

1. ტრანსნაციონალური კორპორაციების ინტერესთა დამცველი საკანონმდებლო ბაზის არარსებობა;

2. რთული ბიუროკრატიული სისტემა, რომელიც ბევრ დროს ართმევს და აძნელებს მოლაპარაკებებს;

3. მოშლილი ინფრასტრუქტურა;

4. სამუშაო ძალის დაბალი შრომისნაყოფიერება. უცხოური კაპიტალის დიდი ნაწილი ძირითადად გამოიყოფა მრავალმხრივი და ორმხრივი დახმარების სახით.

მსოფლიო ბანკი აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებთან უკვე დიდი ხანია თანამშრომლობს. იგი გამოუყოფს ამ ქვეყნებს კრედიტს პირველ რიგში, ინფრასტრუქტურის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის, აგრეთვე საგადამხდელო ბალანსის მოკლევადიანი მიზნების მისაღწევად. გარდა ამისა, გარდამავალი ეკონომიკის პირობებში მსოფლიო ბანკის მრავალი სააგენტო აწარმოებს გამოკვლევებს ვაჭრობის, ეკონომიკის, ფინანსური სექტორის, მრეწველობის, გარემოს დაცვის, ცხოვრების დონის გაუმჯობესების, ჯანმრთელობის დაცვის სფეროებში. მსგავს გამოკვლევებს აწარმოებენ სხვა ორგანიზაციებიც როგორიცაა საერთაშორისო სავალუტო ფონდი (სსფ), ევროპის კავშირი, ევროპის საინვესტიცო ბანკი, იაპონიის ექსპორტ-იმპორტის ბანკი და სხვ.

ამრიგად, ქვეყნის ფინანსური პრობლემების დაძლევის გზაზე დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებსა და დასავლეთის მოწინავე ქვეყნებს, მაგრამ საქართველომ საკუთარი ინვესტიციების დასაფინანსებელი წყაროები უპირატესად შიდა რეზერვებითა და მოსახლეობის დანაზოგების მობილიზაციით უნდა გამონახოს, რადგან საგარეო დაფინანსების წყაროებზე დამოკიდებულება განაპირობებს ქვეყნის სავალუტო მდგომარეობის არამდგრადობას და მნიშვნელოვან არამყარობას. საფონდო ბაზრის განვითარების მსოფლიო პრაქტიკა მოწმობს, რომ წარმატებების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოს მიერ შემუშავებულია და თანმიმდევრულად არის დაცული საფინანსო პოლიტიკის უმთავრესი პრინციპები. ფინანსური ბაზარი არ წარმოადგენს საქართველოსთვის უკვე ჩამოყალიბებული და ტრადიციული საქმიანობის სფეროს. ამიტომ მისი განვითარებისთვის აუცილებელია დამატებითი სტიმულები, განსაკუთრებით შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმის შემუშავება-დაწესება. განსაკუთრებით ყურადსაღებია ის გარემოება, რომ ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფორმირება-განვითარებაში აჩქარება საზიანოა. ბირჟა, უპირველეს ყოვლისა, არის ლიკვიდობა, რომელიც

ათეული წლების მანძილზე გროვდება. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მის განსავითარებლად დიდხანს უნდა ვიცადოთ. პირველ რიგში, აუცილებელია საბროკერო ბიზნესის განვითარება, წინააღმდეგ შემთხვევაში ხელში არალიკვიდური ბირჟა შეგვრჩება, დაბალი ოპერატიული და საფასო ეფექტიანობით, ე.ი. ხშირი იქნება სკანდალები და საბოლოო ჯამში, დაეცემა მისი რეპუტაცია. დღეს ქვეყანას სჭირდება კარგი კანონები, რომლებიც უზრუნველყოფს დამოუკიდებელი საბროკერო ფირმების თავისუფლად განვითარებას და საინვესტიციო ბიზნესის ეროვნული ეკონომიკის დამოუკიდებელ დარგად ჩამოყალიბებას. ნებისმიერი ქვეყნის საფინანსო სისტემა საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფინანსური ბაზრის და საკრედიტო-საბანკო დაწესებულებების მეშვეობით ხელს უწყობს ფულადი სახსრების დაგროვების პროცესს და მათ დაბანდებას იმ სფეროში, რომელიც მაღალი შემოსავლების მიღების შესაძლებლობას იძლევა. საქართველოში ფინანსური ბაზრის ფორმირება-განვითარებას ხელს უწყობს პრივატიზაციის პროცესი, მესაკუთრეთა ფენის წარმოშობა, რომლებიც ფლობენ რეალურ ქონებას და ეკონომიკურად დამოუკიდებლები არიან. სწორედ ეკონომიკურად დამოუკიდებელ მესაკუთრეებს გააჩნიათ სავაჭრო გარიგებათა დადების უნარი და შესაძლებლობები ფინანსურ ბაზარზე. ამასთან, ფინანსური ბაზრის ფუნქციონირების აუცილებელი პირობა ნორმატიული დოკუმენტების შექმნაა. საყურადღებოა, რომ დღეისთვის ქვეყანაში შექმნილია გარკვეული სამართლებრივი ბაზა და სტრუქტურა ამ საქმის წინ წასაწევად. თუმცა, ჯერჯერობით ეროვნულ ეკონომიკაში თავისუფალი ფულადი სახსრების მობილიზაცია და მისი ეფექტიანი გამოყენება დაყვანილია სპეკულანტურ ურთიერთობამდე. საქართველოში ფინანსურ ბაზარს გააჩნია შემდეგი თავისებურებები:

1. მცირე მოცულობები და არალიკვიდობა;

2. მატერიალური ბაზის, ვაჭრობის ტექნოლოგიების, რეგულაციური და სა- ინფორმაციო ინფრასტრუქტურის, დეპოზიტარული და კლირინგული ქსელის განუვითარებლობა, სახელმწიფოს დაბალი მარეგულირებელი როლი;

3. ბაზრის სახელმწიფოებრივი რეგულირების დაქუცმაცებული, სპორადული სისტემა. სახელმწიფო ხელისუფლება ბაზარზე პირდაპირ ზემოქმედებს ისეთი ორგანოების მეშვეობით, როგორიცაა: ეროვნული ბანკი (ბანკების მიერ ფასიანი ქაღალდების ოპერაციებზე კონტროლი, ფინანსთა სამინისტრო (არასაბანკო საფინანსო ინსტიტუტების კონტროლი), ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია;

4. რისკის მაღალი დონე;

5. ეკონომიკის არასტაბილურობა;

6. საინვესტიციო კრიზისი;

7. საბაზრო დეფიციტი და ბაზრის აგრესიულობა და ა.შ.

საქართველოში ფინანსური ბაზრის განვითარების ერთ-ერთი მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორია საფონდო ბირჟის განვითარების სახელმწიფო კონცეფციის უქონლობა, რის გარეშეც წარმატებების მიღწევა მნიშვნელოვნად გადაიწევს დროში.[3] ფინანსური ბაზრის განვითარების კონცეფციის შემუშავებისას უნდა იქნეს გათვალისწინებული აღნიშნული ბაზრის მდგომარეობის ანალიზის ჩატარება, ამ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრა და ბაზრის განვითარების ღონისძიებათა კომპლექსური გეგმის შემუშავება.

### გამოყენებული ლიტერატურა:


1. გრეჰემი ე. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და ვაჭრობა. "ეკონომიკური რეფორმები დღეს". N 1, გვ. 37-42; 1999

2. ერქომაიშვილი გ., ბიზნესი _ ფირმის ფუნქციონირების ძირითადი ასპექტები. თბილისი, თსუ, 2007 გორგასალიძე მ, "ადამიანისეული კაპიტალი ეროვნული სიმდიდსრის ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორი, ჟურნალი "ეკონომიკა", N10,2005.4.

3. მესხია ი., გლობალური კრიზისი და საქართველოს ეკონომიკა, ჟურნალი "სოციალური ეკონომიკა", N2, 2009წ

4.Economy of the European Union. Wikipedia(http://en.wikipedia.org/wiki/Economy_of_the_European_Union)

5.http://financial-dictionary.thefreedictionary.com/Brown+Field+Investment


3 მესხია ი., გლობალური კრიზისი და საქართველოს ეკონომიკა, ჟურნალი "სოციალური ეკონომიკა", N2, 2009წ

# უმუშევრობის შემცირების თანამედროვე ღონისძიებები

***ლამარა ბერიძე***
*სტუ პროფესორი*

**MODERN MEASURES TO REDUCE AN UNEMPLOYMENT**

**Lamara Beridze**
Professor of GTU

**RESUME**

Creating new jobs and improving employment is a complex problem. It is conditioned by objective and subjective factors. The following circumstances, which are causally related, are noteworthy among the objective preconditions: Transforming the economic system into a market economy system; establishment of a system based on labor market principles (with the natural level of unemployment); the disproportion between the existing workforce structure and the aggregate demand structure of the economy; the problem of so-called “mono cities”; atrophic sectoral and regional structure of the economy.

Subjective factors include: low level of functioning of the institutional system, including weak state regulation of labor relations; Ineffective state employment policy; Lack of preventive measures to reduce the number of unemployed, as well as the lack of an effective mechanism of state control in the field of labor relations in the regions; Inadequate financial support for employment promotion programs at regional and local government levels. Effective level of employment in regions cannot be achieved without the functioning of employment services that would implement employment programs and related activities.

The main ways of solving employment problems in the region we foresee: regulaton of the job system development; regulation of demand on job placement; development of professional training and retraining system; Seasonal employment of women and youngsters; organization of public works.

**Keywords**: Unemployment, employment, labor market, labor force, migration.

**საკვანძო სიტყვები:** უმუშევრობა, დასაქმება, შრომის ბაზარი, სამუშაო ძალა, მიგრაცია

* * * *

ჩვენს სინამდვილეში, ხელისუფლების მიერ მიღებული უამრავი სტრატეგიული და პროგრამული დოკუმენტის მიუხედავად, კვლავ მწვავე გამოწვევად რჩება პრობლემები მოსახლეობის დასაქმების, მიგრაციის, დემოგრაფიული ბალანსის, მდგრადი ეკონომიკური განვითარებისა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროებში.

ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და დასაქმების გაუმჯობესება კომპლექსური პრობლემაა. იგი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორებით არის განპირობებული.

ობიექტურ წანამძღვრებს შორის აღსანიშნავია მიზეზ-შედეგობრივად ურთიერთდაკავშირებული შემდეგი გარემოებები:

- ცენტრალიზებულად მართვადი ეკონომიკური სისტემის საბაზრო ეკონომიკურ სისტემად გარდაქმნის მიმდინარე პროცესის შედეგად, ლიკვიდირებულ იქნა არაკონკურენტუნარიან საწარმოთა მნიშვნელოვანი ნაწილი;
- „საყოველთაო დასაქმების“ დოქტრინის უარყოფის შედეგად ფორმალური ანუ მოჩვენებითი დასაქმების სისტემის ნაცვლად მიმდინარეობს რაციონალური, შრომის ბაზრის პრინციპებზე დაფუძნებული სისტემის (უმუშევრობის ბუნებრივი დონით) დამკვიდრების პროცესი. ამან გაზარდა სტრუქტურული უმუშევრობა და გაამწვავა დისპროპორცია არსებული სამუშაო ძალის სტრუქტურასა და ეკონომიკის ერთობლივი მოთხოვნის სტრუქტურას შორის;
- წარმოიშვა ეგრეთწოდებული „მონო ქალაქების“ პრობლემა. საქართველოში გვაქვს დასახლებები (ქალაქები: რუსთავი, ზესტაფონი, ჭიათურა, ტყიბული და სხვა), რომელთა ფორმირება, განვითარება და მოსახლეობის ცხოვრების დონე ერთი-ორი საწარმოს ფუნქციონირებაზეა დამოკიდებული. ტრადიციული საწარმოო-ეკონომიკური კავშირების მოშლის შედეგად, აღნიშნულმა სამრეწველო ცენტრებმა მნიშვნელოვანწილად დაკარგეს საგარეო-სავაჭრო ფუნქცია და წარმოიშვა მძიმე სოციალური შედეგები (მასობრივი უმუშევრობა, ცხოვრების დონის მკვეთრად დაცემა, მიგრაცია და სხვა);
- ეკონომიკის ატროფირებული სექტორული და რეგიონული სტრუქტურა. ეგრეთწოდებული ცალმხრივი სპეციალიზაციის მქონე რეგიონები (კახეთი – ყურძენი; სამეგრელო, გურია – ჩაი და სხვა სუბტროპიკული კულტურები; შიდა ქართლი – ხილბოსტნეული და ა.შ.). განსაკუთრებით რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ მაღალმთიანი დასახლებები (ძირითადად მეცხოველეობის სპეციალიზაციით), რომლებიც გამოირჩევიან მცირე და მწირი სასოფლო-სამეურნეო სავარგულებით, რთული რელიეფით, მკაცრი ბუნებრივ-კლიმატური პირობებით.

სუბიექტურ ფაქტორებს შორის აღსანიშნავია:

➢ ინსტიტუციური სისტემის ფუნქციონირების დაბალი დონე, მათ შორის, შრომითი ურთიერთობების სუსტი სახელმწიფო რეგულირება;

➢ დასაქმების არაეფექტიანი სახელმწიფო პოლიტიკა;

➢ უმუშევართა რაოდენობის შემცირების პრევენციული ღონისძიებების, აგრეთვე, რეგიონებში შრომითი ურთიერთობების სფეროში სახელმწიფო კონტროლის ქმედითი მექანიზმის ნაკლებობა;

➢ რეგიონული და ადგილობრივი თვითმმართველობის დონეებზე დასაქმების ხელშეწყობის პროგრამების არასათანადო ფინანსური უზრუნველყოფა.

ბოლო წლებში დასაქმების მაჩვენებლების რამდენადმე გაუმჯობესების მიუხედავად, უნდა აღვნიშნოთ, რომ ქვეყანაში არ არსებობს დასაქმების ეფექტიანი სახელმწიფო პოლიტიკა. მოსახლეობის დასაქმების პრობლემების გადაწყვეტა შეუძლებელია თვისებრივად ახალი ინსტრუმენტების შემუშავების გარეშე შრომითი კანონმდებლობის სრულყოფისა და მიგრაციული პოლიტიკის სფეროში.

დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკა უნდა დაეფუძნოს შემდეგ პრინციპებს:

- ღირსეული ხელფასით და მაღალი კვლიფიკაციით უზრუნველყოფილი სამუშაო ადგილების შექმნა;

- მოქნილი შრომითი კანონმდებლობისა და მაღალი დისციპლინის დამკვიდრება;

- სამუშაოს მაძიებელ პირთა სწავლება, გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება;

- სამუშაო ადგილების აქტიურად შერჩევა და რაციონალური განაწილება;

- ახალი სამუშაო ადგილების, მათ შორის დროებითი დასაქმების და საზოგადოებრივ სამუშაოთა დაფინანსება;

- ახალი სამუშაო ადგილების ორგანიზაცია თვითდასაქმების სისტემის განვითარების მეშვეობით;

- სამეწარმეო საქმიანობისა და მცირე ბიზნესის ხელშეწყობა.

რეგიონებში მოსახლეობის დასაქმების რეგულირების პროცესისადმი თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომების შემუშავების დროს გადასაწყვეტია შემდეგი ამოცანები:

- რეგიონებში შრომის ბაზრისა და მოსახლეობის დასაქმების მდგომარეობის შესწავლა;

- რეგიონში მოსახლეობის დასაქმების ეფექტიანობის შეფასების მაჩვენებლების განსაზღვრა, არაფორმალური დასაქმების და მისი რეგიონული თავისებურებების გამოკვლევა;

- რეგიონში მოსახლეობის დასაქმების სისტემის მართვის ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმების გამოვლენა და შეფასება;

- რეგიონში მოსახლეობის დასაქმების სისტემის მართვის მექანიზმების სრულყოფის ძირითადი მიმართულებების შემუშავება.

რეგიონებში დასაქმების ეფექტიანი დონის მიღწევა შეუძლებელია დასაქმების სამსახურების ფუნქციონირების გარეშე. ისინი განახორციელებენ დასაქმების პროგრამებს და შესაბამის ღონისძიებებს, უზრუნველყოფენ რეგიონის მოსახლეობის პროდუქტიულად დასაქმებას. სწორედ, თითოეული მაცხოვრებლის "თვითკმაყოფილების ფაქტორი" დასაქმების გარემოს მიმართ, წარმოადგენს რეგიონში დასაქმების დონის დამახასიათებელ მაჩვენებელს.

"თვითკმაყოფილების ფაქტორის" თვისებრივ კრიტერიუმებს წარმოადგენენ: შრომის მოტივაციის დონე; ღირსეული ხელფასი; ჯანმრთელობის მდგომარეობა; შრომის დაცვა; კვალიფიკაციის ამაღლება.

მოსახლეობის დასაქმების პრობლემების კვლევის განხორციელების დროს მნიშვნელოვანია "არაფორმალური დასაქმების" საკითხების ანალიზი. სამეცნიერო ლიტერატურაში არ არსებობს ზუსტი განმარტება არაფორმალური სექტორის შესახებ. Aარაფორმალური დასაქმება განისაზღვრება, როგორც არარეგისტრირებული (ანუ ზეპირი შეთანხმების საფუძველზე) დასაქმება. კონტრაქტის არარსებობა განასხვავებს არაფორმალურ დასაქმებას ჩრდილოვანისაგან, რომლის დროსაც ზეპირი მოლაპარაკებები შრომის პირობებსა და ანაზღაურებაზე ყალიბდება მოქმედი შრომითი ხელშეკრულების გვერდის ავლით.

არაფორმალურად დასაქმებულთა რაოდენობის განსაზღვრის მიზნით, დამატებით გათვალისწინებულ უნდა იქნას ფორმალურ სექტორში არარეგისტრირებული დასაქმებულები.

დიდი მნიშვნელობა აქვს შრომის ბაზარზე მიმდინარე ძვრების პროგნოზირებას, რათა დროულად მოხდეს რეაგირება მასობრივი უმუშევრობის გამომწვევი სტრუქტურული, სამეცნიერო-ტექნიკური და რეგიონული პოლიტიკის შედეგებზე.

დასაქმების სახელმწიფო რეგულირება მოიცავს:

- ეკონომიკური მეთოდები (შეღავათიანი დაბეგვრა და დაკრედიტება, მეწარმეთა მასტიმულირებელი საბიუჯეტო პოლიტიკა შეინარჩუნონ და შექმნან სამუშაო ადგილები, განახორციელონ კადრების პროფესიული სწავლება და სხვა);
- ორგანიზაციული მეთოდები (დასაქმებისა და შრომითი მოწყობის სამსახურების შექმნა, შრომის ბაზრის მომსახურე ინფორმაციული სისტემების, პროფორიენტაციის, კადრების მომზადებისა და გადამზადების სახელმწიფო სისტემების ჩამოყალიბება და სხვა);
- ადმინისტრაციულ-საკანონმდებლო მეთოდები (შრომითი ხელშეკრულებების დადების წესის, სამუშაო დროის ხანგძლივობის, ზეგანაკვეთურ სამუშაოთა რეგლამენტირება, მეწარმეთათვის სავალდებულო ანარიცხების შემოღება დასაქმების

ეროვნულ ფონდში, შრომითი ცხოვრების პერიოდის რეგულირება და სხვა).

შრომის ბაზარზე სახელმწიფოს ზემოქმედების ღონისძიებებს შორის განარჩევენ ირიბი და პირდაპირი ზემოქმედების ზომებს. პირდაპირი ზემოქმედების ზომები ხორციელდება სახელმწიფო პროგრამების რეალიზაციის გზით, რომელნიც მიმართულნი არიან შრომის ბაზრის ცალკეულ სპეციფიკურ სეგმენტებზე. მათ აქვთ შერჩევითი მიმართულება და ზემოქმედებენ ძირითადად შრომის მიწოდების დინამიკაზე. ირიბი ზემოქმედების ზომები მიმართულნი არიან მეწარმეობის პირობების შენარჩუნებაზე ან შეცვლაზე და გულისხმობენ ზემოქმედების მაკროეკონომიკური ბერკეტების გამოყენებას.

რეგიონში დასაქმების პრობლემების გადაწყვეტის ძირითად გზებად გვესახება: სამუშაო ადგილების სისტემის განვითარების რეგულირება; სამუშაო ადგილებზე მოთხოვნის რეგულირება; კადრების პროფესიული მომზადებისა და გადამზადების სისტემის განვითარება.

სახელმწიფო რეგულირების მნიშვნელოვანი ღონისძიებაა ბიუჯეტის სახსრებით განხორციელებული საინვესტიციო პროექტების ექსპერტიზა, დასაქმებაზე ზემოქმედების კრიტერიუმის მიხედვით. ამასთან დაკავშირებით, აუცილებელია გამოყენებულ იქნას დამსაქმებელთა ეკონომიკური სტიმულირების მექანიზმები.

ეკონომიკის სტრუქტურული ტრანსფორმაციის დროს დიდი ყურადღება უნდა მიექცეს იმ ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მეორად დასაქმებას, ქალების და ახადგაზრდების სეზონურ დასაქმებას, მოზარდთა პროფესიული ორიენტაციის სისტემის განვითარებას, ახალგაზრდებისა და ქალთა მეწარმეობისა და დასაქმების მხარდაჭერას, დევნილთა და იძულებით გადაადგილებულთა შრომით მოწყობას.

უმუშევრობის პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი გზაა საზოგადოებრივი სამუშაოები. მიღებულ უნდა იქნას საზოგადოებრივ სამუშაოთა სახელმწიფო პროგრამა. ცნობილია, რომ საზოგადოებრივ სამუშაოთა ფართოდ გავრცელებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი აშშ-ის ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანასა და უმუშევართა არმიის შემცირებას დიდი დეპრესიის წლებში.

რეგიონში დასაქმებულთა რაოდენობის ზრდის უზრუნველსაყოფად უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლების სასწავლო პროგრამები უნდა შეესაბამებოდეს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს. მნიშვნელოვანია, რომ პერიოდულად ჩატარდეს კვლევა, რათა გაანალიზდეს შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნა და მიწოდება. კვლევის შედეგებს გამოიყენებენ როგორც ადგილობრივი საგანმანათლებლო დაწესებულებები, ასევე, თვითმმართველობის ორგანოები სხვადასხვა მუნიციპალური პროგრამების დაგეგმვის დროს.

საყურადღებოა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის წინადადებები მთიან და დეპრესიულ რეგიონებში მოსახლეობის მიგრაციის შეჩერებისა და დასახლებების რეაბილიტაციის მიზნით, კერძოდ:

- პირველ რიგში, უნდა ვეცადოთ, რომ ადგილობრივი მოსახლეობა დაბრუნდეს და თუ ამას ვერ მივაღწევთ, პირობები უნდა შეიქმნას, თუნდაც მათი ნახევარწლიანი მომთაბარე ცხოვრებისათვის, ანუ მიტოვებულ ადგილებში ნაწილობრივი დაბრუნებისათვის;
- კარგი იქნება, თუ დავასახლებთ (წინასწარი მომზადების შემდეგ) მშობლების მზრუნველობამოკლებულ 18 და მეტი წლის ახალგაზრდებს;
- შეიძლება ვიფიქროთ იმ ოჯახებზეც, რომლებმაც გაჭირვების გამო დაკარგეს სახლ-კარი და ღვთის ანაბარად დარჩნენ;
- ასევე სასურველია, მთის დაუსახლებელ ტერიტორიებზე მოეწყოს მიმაგრების ადგილები, რომ შედარებით მსუბუქი დანაშაულის მქონე ადამიანებმა მოიხადონ სასჯელი და თავისი შრომით წვლილი შეიტანონ მხარის აღორძინებაში.

### გამოყენებული ლიტერატურა


1. ლ. ბერიძე, „მოსახლეობის დასაქმების სისტემის სრულყოფისათვის". ჟ. „ეკონომისტი", NN1, თბილისი, 2015, გვ. 25-36.

2. ლ. ბერიძე, მ. ჭიპაშვილი. „შრომის ბაზარი საქართველოში - განვითარების პრობლემები და სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობა". აკადემიკოს პაატა გუგუშვილის 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის -„ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები" (10-11 ივლისი) - მასალების კრებული. 2015. გვ. 116-120.

3. ლ. ბერიძე, მოსახლეობის დასაქმების რეგულირების რეგიონული ასპექტები. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის - „ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების განვითარების აქტუალური პრობლემები"- მასალების კრებული. 27-28 ივნისი. თსუ, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. 2014. გვ. 406-409

4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალები მოსახლეობისა და დასაქმების სფეროში, 2010-2018 წწ.

5. The economic development of e region is the basis of self-government. Interntional Conference "Local and Regional Development in Europe – Contemporary Challenges".COUNCIL OF EUROPE, GTZ, MRDI.July 8-9, Batumi, 2010

6. Буторин А. М. Основные направления регулирования занятости. М., 2012.

# დოლარიზაციის ძირითადი ფაქტორები საქართველოში

*ზვიად ბეშკენაძე*
*აწსუ ასოცირებული პროფესორი*

**ОСНОВНЫЕ ФАКТОРЫ ДОЛЛАРИЗАЦИИ В ГРУЗИИ**

**Звиад Бешкенадзе**

**РЕЗЮМЕ**

В статье рассматриваются вопросы долларизации грузинской экономики. Основное внимание уделяется основным причинам финансовой долларизации. Мы пришли к следующим выводам: основной прямой причиной долларизации были гиперинфляция, обесценение национальной валюты и недоверие к национальной валюте; Дальнейший рост долларизации связан с резким обесценением национальной валюты; Инфляция, которая появляется периодически, является просто стимулирующим фактором долларизации; В условиях таргетирования инфляции, макропруденциального регулирования и плавающего валютного курса, существование стабильно высоких темпов долларизации вызваны т.н. „храповим эфектом", гистерезисом, хроническим обесцениванием валюты и его ожиданиями, высокой зависимостью страны от иностранных денежных переводов, низким качеством развития финансового рынка и другими институциональными факторами.

Основной вывод по этому вопросу заключается в следующем: связь между депозитами в иностранной и национальной валюте и финансовой долларизацией не выявлены, и основным прямым фактором, который непосредственно влияет на долларизации, является колебание (обесценивание) национальной валюты. Таким образом, мы считаем что одной из основных мер по снижению долларизации является поддержание долгосрочной стабильности денежной единицы и восстановление доверия к нему.

**საკვანძო სიტყვები**: აქტივების შეფარდებითი შემოსავლიანობა, ფინანსური დოლარიზაცია, რეალური დოლარიზაცია, სავალუტო ჩანაცვლება, მაკროპრუდენციალური რეგულირება.

* * * *

თავდაპირველად განვიხილოთ დოლარიზაციის მიზეზებთან და დაძლევის გზებთან დაკავშირებული არსებული თეორიული მიდგომები, გამოვთქვათ ჩვენი თეორიული მიდგომები მათთან დაკავშირებით, შევამოწმოთ ისინი ემპირულად და საბოლოოდ გავაკეთოთ დასკვნები.

დოლარიზაციის ფაქტორებთან დაკავშირებული ძირითადი მიდგომები (თეორიები) ასეთია:

იზე და ეიატი (Ize, Yeyati - 2003) გამოდიან ფულად-საკრედიტო და ეკონომიკური ტურბოლენტობიდან, ასევე ეროვნული ინსტიტუტების სისუსტიდან, რამდენადაც, მათი აზრით, დოლარიზაცია სხვა არაფერია თუ არა ეკონომიკური სუბიექტების ჰიპერინფლაციისგან დაზღვევის რაციონალური მისწრაფების გამოვლინება [2].

კალვო, ვეგა (G. Calvo, C. Vegh 1997) დოლარიზაციას ხსნიან აგრეთვე არა მხოლოდ ინფლაციის დონით, არამედ აქტივების რეალური შემოსავლიანობის განუსაზღვრელობის დინამიკით, რომელიც წარმოიშობა ინფლაციის ვოლატილურობით [3].

დოლარიზაციასა და ინფლაციას და აქტივების შემოსავლიანობას შორის დამოკიდებულებაზე ხაზია გასმული ასევე ტომასის (Thomas, 1985) მოდელში, მას ემატება აგრეთვე მისგან გამომდინარე (მასთან დაკავშირებული) სხვა ფაქტორებიც. კერძოდ, სრულყოფილი ფინანსური ბაზრისა და კაპიტალის მაღალი საერთაშორისო მობილობის პირობებში დოლარიზაციის დონე დამოკიდებულია სხვადასხვა ვალუტაში აქტივების შეფარდებით შემოსავლიანობაზე და მის ცვლილებაზე, ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივების რისკიანობაზე. მოდელი მიჯნავს დოლარიზაციის მიზეზებს დოლარიზაციის ფორმების მიხედვითაც, კერძოდ ის აჩვენებს, რომ სავალუტო ჩანაცვლება დამოკიდებულია ნომინალურ საპროცენტო განაკვეთზე, მაშინ როდესაც მთლიანად დოლარიზაცია (სავალუტო ჩანაცვლებას + აქტივების ჩანაცვლება) - რეალური საპროცენტო განაკვეთების, სხვადასხვა აქტივების სხვაობებზე და რისკთან დამოკიდებულებაზე. მოდელში რისკების საფუძველია სამშობლოსა და უცხოეთს შორის ფასების შეფარდებითი მერყეობები. ასევე, ემპირულ კვლევებზე დაყრდნობით გამოკვეთილია კავშირი დოლარიზაციისა და ფინანსური ბაზრების განვითარების დონეს შორის. კერძოდ, ერთის მხრივ, აქტივების შეფარდებითი შემოსავლიანობა და შეფარდებითი ინფლაციური მერყეობები გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში წარმოადგენენ დოლარიზაციის მთავარ ფაქტორს. აქედან გამომდინარე დოლარიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი ინსტრუმენტია ეროვნულ ვალუტაში შემოსავლიანობის მაღალი დონის მხარდაჭერა, პროგნოზირებადი გაცვლითი კურსი და ინფლაციის სტაბილური ტემპების შენარჩუნება, ხოლო მეორეს მხრივ, გარდამავალ ქვეყნებში დოლარიზაციის დონე არ წარმოადგენს სრულად დამოუკიდებელს ტრანზაქციური

მოტივებიდან (სავალუტო ნაკადებიდან, როგორც გადახდის საშუალებისგან), რაზედაც მეტყველებს მისი საგარეო ვაჭრობის ბალანსზე დამოკიდებულება.

ასეთი დამოკიდებულების არსებობა შეიძლება მოწმობდეს საფინანსო ბაზრის განუვითარებლობაზე, რამდენადაც საოჯახო მეურნეობები და საწარმოები უძლურები არიან მოახდინონ საგარეო-სავაჭრო სავალუტო ნაკადების კომპენსირება ფინანსური ინსტრუმენტების დახმარებით. ფინანსური შუამავლობის განვითარებისკენ და მისი ეფექტურობის ამაღლებისკენ მიმართული ღონისძიებები ხელს შეუწყობენ მოცემული ურთიერთკავშირის შესუსტებას.

საფინანსო ბაზრის განუვითარებლობაზე, როგორც დოლარიზაციის ფაქტორზე, აქცენტს აკეთებს აგრეთვე ბალინო (Ballino – 1999) და სხვ. ბალინო ხაზს უსვამს, რომ "დოლარიზაცია მაკროეკონომიკური სტაბილურობის ნაკლებობისა და ფინანსურ ბაზრებზე დეფექტების არსებობის ანარეკლია" და დოლარიზაციის შემცირების მიზნით რეკომენდაციას იძლევა მთავრობამ ხელი შეუწყოს ალტერნატიული ფინანსური ინსტრუმენტების (აქციების, ობლიგაციების, წარმოებული ფასიანი ქაღალდების) გამოყენებას. მსგავს მოსაზრებას ანვითარებს მონგარდინი (Mongardini – 1999). ის აქცენტს აკეთებს ეროვნულ ვალუტაში დენომინირებულ გრძელვადიან ფასიან ქაღალდებზე და განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს სახელმწიფო ობლიგაციებზე. ვეტლოვი (Vetlov – 2001) ინსტიტუციალურ ფაქტორებს შორის, რომლებიც ზემოქმედებას ახდენს დოლარიზაციაზე, გამოყოფს ასევე საშინაო ფინანსური ბაზრის სიღრმეს. ეკონომიკის ფინანსურ განვითარებას მიიჩნევს მნიშვნელოვან ფაქტორად ასევე სავასტანო (Savastano – 1996). მისი არსი შეიძლება დავიყვანოთ შემდეგზე: მაღალინფლაციურ გარემოსთან კარგად ადაპტირება შესაძლებელია კარგად განვითარებული ფინანსური ბაზრის პირობებში, ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული მაღალშემოსავლიანი ინსტრუმენტების საშუალებით. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში დოლარიზაციასთან დაკავშირებით ნაშრომები ვითარდება სხვადასხვა მიმართულებით. მაგალითად, ვან არლე (Van Arle 1995) აფასებს სავალუტო ჩანაცვლების ზემოქმედებას სენიორაჟზე ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. ბოლო წლებში ავტორები ახდენენ ცნობილი თეორიული მოდელების ტესტირებას ან ეძებენ დოლარიზაციის ფაქტორებს ad hoc მოდელის დახმარებით და სხვ..

ეკონომისტთა უმრავლესობა თანხმდება მასზედ, რომ დოლარიზაციის სხვადასხვა ფორმა და მათი მიზეზები შეიძლება განსხვავებული, მსგავსი ან/და ურთიერთდაკავშირებული (ურთიერთშემავსებელი) იყოს. მაგალითად, ფინანსური დოლარიზაცია მით მეტი მაღალია ეკონომიკაში, რაც მეტია სავალუტო ჩანაცვლება. ის ასევე გარკვეულ დადებით კორელაციურ კავშირშია რეალურ დოლარიზაციასთან [4] (თუმცა ფინანსური დოლარიზაციისა და რეალური დოლარიზაციას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი შედარებით იშვიათია). განვავრცოთ მოცემული პოზიცია.

როდესაც ეკონომიკის სუბიექტების აზრით ეროვნული ვალუტა ვერ ასრულებს მიმოქცევის საშუალების ფუნქციას (და მას, როგორც წესი, ადგილი აქვს მაღალი ინფლაციისას/დევალვაციისას), ამ ფუნქციას „თავის თავზე იღებს" უცხოური ვალუტა, ანუ სახეზე გვაქვს სავალუტო ჩანაცვლება. ამასთან, პარალელურად, უცხოური ვალუტა შეიძლება გამოყენებულ იქნას აგრეთვე ფასებისა და ხელფასების ნომინირებისთვის (ანუ როგორც ღირებულების საზომი), ანუ ადგილი ექნეს რეალურ დოლარიზაციას. ამ შემთხვევაში, დოლარიზაციის ეს ორი ფორმა ერთმანეთთან თანაარსებობენ. დოლარიზაციის ფორმებმა შეიძლება შეავსონ ერთმანეთი მაგალითად, როდესაც სავალუტო ჩანაცვლებას თან ახლავს ფინანსური დოლარიზაციაც. კერძოდ, როდესაც ეკონომიკური აგენტები გარიგებებს ახორციელებენ უცხოურ ვალუტაში, გარიგებებს შორის პერიოდში სიმდიდრეს ასევე ინახავენ უცხოურ ვალუტაში. მისი მასშტაბები (უცხოურ ვალუტის ნაღდში, დანაზოგების სახით გამოყენების სტიმულები) განსაკუთრებით მაღალია მაშინ, როდესაც სახელმწიფო ღონისძიებებით იზღუდება ფინანსური დოლარიზაცია. ამასთან, ამ ფორმების თანაფარდობის (თანაარსებობის ხარისხის) ცვლილება, ერთი ფორმის მეორეში გადასვლა, შეიძლება ასევე პრუდენციალური ზემოქმედების შედეგი იყოს - დეპოზიტების დოლარიზაციის ადმინისტრაციული (ებ-ის რეგულაციებით) შეზღუდვის შემთხვევაში, სავალუტო ჩანაცვლება შეიძლება გადავიდეს დომინირებად მდგომარეობაში ფინანსურ დოლარიზაციასთან შედარებით. ამ შემთხვევაში უცხოური ვალუტა, რომელიც ხელზე აქვთ ეკონომიკურ აგენტებს გამოყენებულ იქნება როგორც გარიგებისათვის, ასევე დანაზოგების ფორმით, როგორც უცხოურ ვალუტაში დეპოზიტების ალტერნატივა.

ზოგი ავტორი აქცენტს აკეთებს მონეტარულ პოლიტიკასა და დოლარიზაციის ფორმებს შორის კავშირზე, მაგალითად იზეს და პარადოს (Ize, Parrado - 2006) მიხედვით: რეალური დოლარიზაცია დაკავშირებულია ეკონომიკური (გამოშვებისა და მწარმოებლურობის) შოკების წინააღმდეგ მიმართული მონეტარული პოლიტიკის რეალურ და ფინანსურ დოლარიზაციაზე ასიმეტრიულ ზემოქმედებასთან - რეალურ დოლარიზაციაზე ზემოქმედება სუსტია, ხოლო ფინანსურ დოლარიზაციაზე - შედარებით დიდი ინფლაციური პროცესების განვითარებიდან გამომდინარე; ვაჭრობის გლობალიზაცია ზრდის ფინანსურ დოლარიზაციას, მაშინ როდესაც რეალური (მაგალითად ხელფასების) დოლარიზაცია ნაკლებად იცვლება; ეკონომიკური აგენტები ინარჩუნებენ ეროვნულ ვალუტაზე გარიგებისათვის

მოთხოვნას რეალური შოკების საწინააღმდეგო ინსტრუმენტის ფორმით. მაშინ, როდესაც ნომინალური შოკებისგან თავის დაცვის მიზნით ფინანსური გარიგებებისას გამოყენებულ იქნება უცხოური ვალუტა. ამასთან, გლობალურ ეკონომიკური შოკებსა და საშინაო შოკებს შორის მაღალი კორელაციის არსებობის შემთხვევაში, უნდა ველოდოთ რეალური დოლარიზაციის ზრდას იმ შემთხვევაში, თუ საშინაო მონეტარული პოლიტიკა წინ ვერ ელობება ამ შოკებს.

ამგვარად, არსებობს მჭიდრო კავშირი, სავალუტო ჩანაცვლებასა (და გარკვეულწილად რეალურ დოლარიზაციას) და ფინანსურ დოლარიზაციას შორის - უმეტეს შემთხვევაში ისინი ავსებენ ერთმანეთს, ზოგჯერ კი შეიმჩნევა ერთი ფორმიდან მეორეში გადასვლა.

დოლარიზაციი ზემოთ მოყვანილ ძირითად ფაქტორებთან (მაღალი ინფლაცია და გაუფასურება/დევალვაცია, სხვადასხვა ვალუტაში აქტივების/დეპოზიტის შეფარდებითი საპროცენტო განაკვეთი და შეფარდებითი შემოსავლიანობა, რისკები, კაპიტალის და მთლიანად ფინანსური ბაზრის განვითარების დონე) ერთად გამოყოფენ ასევე სხვა მიზეზებსაც, ესენია: ეკონომიკური აგენტების მხრიდან საკუთარი ვალუტისადმი და მთლიანად ფულად-საკრედიო პოლიტიკის მიმართ უნდობლობა, ფასებისა და რეალური/ნომინალური გაცვლითი კურსის ვოლიტალურობას და მათ ნეგატიურ მოლოდინები, უახლოეს წარსულში მაღალი ინფლაციის ან/და დევალვაციის არსებობა. ამასთან დოლარიზაციის ხელისშემწყობად ასახელებენ ისეთ გლობალურ, მაკრო და მეგაეკონომიკურ ფაქტორებსაც, როგორიცაა: ეკონომიკური გლობალიზაცია და ინტეგრაციული პროცესები; ეკონომიკის (საფინანსო და სასაქონლო ბაზრის) ღიაობა; პოლიტიკური ქაოსი; ქვეყნის ეკონომიკის მცირე ზომა; ეროვნული ვალუტის დაბალი კონვერტირება; არასტაბილური მაკროეკონომიკური გარემო (ეროვნული ვალუტის საშინაო და საგარეო გაუფასურების გარდა დოლარიზაციას ხელს უწყობს სავაჭრო, და მთლიანათ მიმდინარე ოპერაციების, ბალანსის ქრონიკულად უარყოფითი სალდო, ბიუჯეტის დეფიციტი, მაღალი საგარეო ვალები და სხვ.);

აქ წინასწარ, ავღნიშნავთ, რომ ჩვენი აზრით საქართველოში ეს უკანასკნელნი წარმოადგენენ ფუნდამენტურ ფაქტორებს, რომლებიც პროვოცირებას უკეთებენ (იწვევენ) პირდაპირი ზემოქმედების ფაქტორებს, რომელთა საშუალებითაც (გადამცემი მექანიზმით) საბოლოოდ ირიბი ზემოქმედება ხდება დოლარიზაციაზე. თუმცა ჩვენ მოცემული სტატიის ფარგლებში ყურადღებას არა ფუნდამენტურ, ირიბ ფაქტორებზე, არამედ პირდაპირი ზემოქმედების მიზეზებზე გავამახვილებთ.

რაც შეეხება დოლარზიაციის გაზომვის საკითხს. ეროვნული ეკონომიკის დოლარიზაციის შეფასების ირიბ მაჩვენებლებად შეიძლება გამოყენებულ იქნას: ვალუტის კურსი; სხვადასხვა ვალუტაში მოზიდული დეპოზიტებისა და სხვადასხვა ანაბრების მოცულობა; ფიზიკური პირების მიერ დოლარში და ეროვნულ ვალუტაში დეპოზიტებისა და ანაბრების საშუალო წლიური ზრდის შედარებითი ტემპი.

რაც შეეხება დოლარიზაციის დონის შეფასების პირდაპირ მეთოდებს დოლარიზაციის ფორმების მიხედვით. პრაქტიკულად არც ერთ ქვეყანაში (მათ შორის საქართველოში) ოფიციალური სტატისტიკა არ გვაძლევს მონაცემებს უცხოურ ვალუტაში ნომინირებული ფასებისა და ხელფასების შესახებ. ამდენად რეალური დოლარიზაციის რაოდენობრივი შეფასება შესაბამისი ეკონომიკური მაჩვენებლების არარსებობის გამო შეუძლებელია. მსგავსი შეიძლება ითქვას სავალუტო ჩანაცვლებასთან დაკავშირებით, რამდენადაც ასევე რთულია ნაღდი ფულის სახით უცხოური ვალუტის რაოდენობის განსაზღვრა. ფინანსური დოლარიზაციას კი, როგორც წესი, ზომავენ ან საბანკო აქტივების მხრიდან - უცხოურ ვალუტაში ნომინირებული სესხების (კრედიტების) ხვედრითი წილის მიხედვით, ან საბანკო პასივების მხრიდან - უცხოურ ვალუტაში დეპოზიტების მიხედვით.

მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკურ მეცნიერებაში არ არსებობს დოლარიზაციის დონის განსაზღვრის ერთმნიშვნელოვანი მეთოდი, მოიძებნება მოცემული მოვლენის მიახლოებითი მასშტაბების განსაზღვრის რიგი ინდიკატორები. მაგალითად, ედგარ ფეიგემ (Edgar L. Feige) განსაზღვრა 4 ინდიკატორი: 1. დოლარიზაციის ინდექსი = დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში (FCD) / ფართო ფულადი მასა (M3); 2. სავალუტო ჩანაცვლების ინდექსი = უცხოური ვალუტა ბრუნვაში (FCC) / საერთო ვალუტა ბრუნვაში (TCC); 3. აქტივების ჩანაცვლების ინდექსი = დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში (FCD) / დეპოზიტების მთლიანი მოცულობა (TCD); 4. დოლარიზაციის ამომწურავი არაოფიციალური ინდექსი = (FCD+FCC) / (M3+FCC).

როგორც ავღნიშნეთ, რამდენადაც მიმოქცევაში უცხოური ვალუტის ნაღდით განსაზღვრა საკმაოდ რთულია, მე-2 და მე-4 ინდექსების გამოანგარიშება ნაკლებად შესაძლებელია. ასევე უცხოური ვალუტა ხელზე ბრუნვაში არ არის შესული ფულადი აგრეგატების სტანდარტულ გაანგარიშებებში. FCC მიხედვით მონაცემების ნაკლებობის გამო უპირატესად მიმართავენ 1 და 3 ინდექსებს, თუმცა მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ, ქვეყნის შიგნით ბრუნვაში დიდი რაოდენობით უცხოური ვალუტის არსებობის შემთხვევაში, მოცემული ინდექსები მნიშვნელოვნად შეამცირებენ ფაქტობრივი დოლარიზაციის მასშტაბებს.

გარდა ამისა, ეკონომისტებმა იზემ და ლევი-ეიატიმ (Ize, 1998) აჩვენეს, რომ საბაზისო დოლარიზაციის მაჩვენებელი წარმოადგენს უფრო მნიშვნელოვან და ზუსტ მაჩვენებელს დოლარიზაციის დინამიკის შესაფასებლად. მათმა საბაზისო დო-

ლარიზაცია წარმოადგინენ როგორც ინფლაციისა და ნომინალური გაცვლითი კურსის ფუნქცია: $\lambda^*=[S\pi\pi+Cov(\mu\pi,\ \mu e-\mu\pi)]/See$, სადაც: $S\pi\pi$ და See - ინფლაციისა და ნომინალური დევალვაციის დონის დისპერსიაა; $\mu\pi$ - ინფლაციის დონე; $\mu e$ - დევალვაციის დონეა (ნომინალური გაცვლითი კურსის ზრდის ტემპია).

მოცემული ფორმულა შეიძლება გამოყენებულ იქნას მონეტარული პოლიტიკის დოლარიზაციაზე ზემოქმედებისთვის. ინფლაციის დისპერსიის მატება ხელს უწყობს დოლარიზაციის დონის ზრდას, ხოლო ნომინალური კურსის მერყეობის ზრდა შეამცირებს დოლარიზაციას.

ვიდრე გადავიდოდეთ საქართველოში დოლარიზაციის მიზეზების (ფაქტორების) განხილვაზე, განვსაზღვროთ თუ როგორია დოლარიზაციის მასშტაბები ეროვნულ ეკონომიკაში. საქართველოში, ზემოთ დასახელებულ პრობლემათა გამო, შესაძლებელია (ხდება) მხოლოდ ფინანსური დოლარიზაციის, უფრო სწორად დეპოზიტების დოლარიზაციისა (აქტივების ჩანაცვლების ინდექსის) და სესხების (კრედიტების) დოლარიზაციის გამოთვლა, რომელიც მხოლოდ ნაწილობრივ (არასრულად) ასახავს მთლიანად ეკონომიკის დოლარიზაციის დონეს.

რამდენადაც ვერ ხერხდება რეალური დოლარიზაციისა და სავალუტო ჩანაცვლების მასშტაბების რაოდენობრივი შეფასება ჩვენ აქცენტს გავაკეთებთ ფინანსურ დოლარიზაციაზე, უფრო კონკრეტულად მის ერთ-ერთ ფორმაზე - დეპოზიტების დოლარიზაციაზე და ცნებაში „დოლარიზაცია" ამ უკანასკნელს ვიგულისხმებთ.

2018 წლის ბოლოს საბანკო სექტორში განთავსებული უცხოური ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების მოცულობის შეფარდება სადეპოზიტო ვალდებულებების მთლიან მოცულობასთან - დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი (ფართო ფულში - M3 აგრეგატში - შემავალი დეპოზიტების მიხედვით) შეადგენდა 62,1 %. იგივე მაჩვენებელის დინამიკა გასული 6 წლის დეკემბრის თვეში იყო შემდეგი 2012 – 60,35 %, 2013 – 55,67 %, 2014 – 57, 08 %, 2015 – 66,72%, 2016 – 69,83%, 2017 – 63,61%. 2019 წლის ივნისის ბოლოს კი - 60,86%. 2019 წლის პირველ იანვარს საბანკო სექტორის მიერ გაცემულ სესხებში უცხოური ვალუტით გაცემული სესხების წილი - სესხების (კრედიტების) დოლარიზაციის მაჩვენებელი შეადგენდა 56,9%. იგივე მაჩვენებელის დინამიკა გასული 6 წლის 01 იანვრისთვის იყო შემდეგი 2013 – 67.5 %, 2014 – 62.4 %, 2015 – 60, 80 %, 2016 – 64,58%, 2017 – 65,36%, 2018 – 56,98%. 2019 წლის 01 ივლისისთვის კი - 56,71%. დეპოზიტების მთლიან მოცულობაში. როგორც ვხედავთ აქტივების ჩანაცვლების მასშტაბები საქართველოში საკმაოდ მაღალია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ფინანსური ბაზრის განუვითარებლობის პირობებში დოლარიზაციის მთლიანი დონის შესაფასებლად დიდი როლს თამაშობს მიმოქცევაში არსებული და მოსახლეობის მიერ ტეზავრირებული უცხოური ვალუტის მასა ნაღდით, რომელიც მცირე არ უნდა იყოს. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ უცხოურ მკვლევართა აზრით სავალუტო ჩანაცვლება უფრო დომინირებს გარდამავალ ქვეყნებში ფინანსურ დოლარიზაციასთან შედარებით, უნდა ვივარაუდოთ, რომ მთლიანად დოლარიზაციის მასშტაბები უფრო შთამბეჭდავია.. თუმცა, რამდენადაც მისი აღრიცხვა სტატისტიკას ნაკლებად ექვემდებარება, მთლიანობაში დოლარიზაციის სრული მასშტაბების განსაზღვრა შეუძლებელია.

თუ ჩვენ M3 ფულად აგრეგატს (ფართო ფულს უცხოური ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების საერთო თანხით) გამოვაკლებთ M2 ფულად აგრეგატს (ფართო ფულს უცხოური ვალუტით დეპოზიტების გარეშე) მივიღებთ თუ რა რაოდენობის უცხოური ვალუტაა ქვეყნის ფულად ბრუნვაში. ეროვნული ბანკის მონაცემებით 2019 წლის ივლისში M2 აგრეგატი შეადგენდა 10934057 ათას ლარს, ხოლო M3 აგრეგატი 23119414 ათას ლარს. მათ შორის სხვაობა კი შეადგენს 12185358 ათას ლარს (ანუ ეს იგივე დეპოზიტებია უცხოური ვალუტით ლარში). თუ ჩვენ ერთმანეთს შევადარებთ მონეტიზაციის კოეფიციენტებს ამ მონაცემების (M3 და M2 აგრეგატების) მიხედვით, დავინახავთ რამდენად დოლარიზებულია ქვეყნის ეკონომიკა: 2019 წლის ივნისისთვის მონეტიზაციის კოეფიციენტი M3-ის მიხედვით შეადგენდა 50,69, M2 -ის მიხედვით 24,04. მონეტიზაციის ამ კოეფიციენტებს შორის თანაფარდობა გვიჩვენებს ეროვნული და უცხოური ვალუტა რა პროპორციით ემსახურება სამეურნეო საქმიანობას. მათ შორის თანაფარდობა საკმაოდ დიდია და ის 2-ზე მეტია. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ფულზე მოთხოვნის ოფიციალური მაჩვენებელი (M0), რომელიც აერთიანებს მხოლოდ ეროვნულ ვალუტას, სრულად ვერ ასახავს ნაღდი ფულის მიმოქცევაში მიმდინარე პროცესებს (ფულად მიმოქცევაში უცხოური ვალუტის რაოდენობას ნაღდით). ანუ, ფაქტობრივად, სტატისტიკის არარსებობის გამო, ვერ ხდება ნაღდი ფულის სახით უცხოური ვალუტის რაოდენობის განსაზღვრა მიმოქცევაში. იმ შემთხვევაში თუ სავალუტო ჩანაცვლების მასშტაბები დიდია, უნდა ვივარაუდოთ, რომ მთლიანად ეკონომიკის დოლარიზაციის ხარისხი კიდევ უფრო მაღალია.

აღსანიშნავია, რომ მონეტიზაციის კოეფიციენტი წარმოადგენს ერთგვარ ინტეგრალურ მაჩვენებელს, რომელიც ასახავს სამეურნეო სუბიექტების ნდობის ხარისხს ეროვნული ვალუტის მიმართ. ის წარმოადგენს რეგულიატორს და აჩვენებს საკრედიტო აქტივობის ხარისხს. მართალია მისი ოპტიმალური დონე მკაფიოდ მოცემული არსად არ არის, თუმცა შეიძლება მისი დონე დაიყოს: 60%-ზე მეტი - ითვლება ხელსაყრელად, 50% - ზღვრული დონე, და 30% - კრიზისული დონე. თუ მისი დონე 100%-ზე მეტია, ადგილი აქვს მაღალ ეკონომიკურ ზრდას (მა-

გალითად ლუქსემბურგში ის 300%-ზე მეტია). ისმება კითხვა არსებობს თუ არა მიზეზ-შედეგობრივი კავშირი დაბალ მონეტაზიაციასა (დემონეტაზიაციასა) და ეკონომიკის დოლარიზაციას შორის. მართალია დემონეტაზიაცასა და დოლარიზაციას შორის გარკვეული კორელაციური კავშირი შეიძლება არსებობდეს, რამდენადაც ეროვნული ვალუტის „დეფიციტისა" („უკმარისობის") და შედეგად, მის მიერ გარკვეული ფუნქციების შეუსრულებლობის პირობებში, ის შეიძლება თავის თავზე უცხოურმა ვალუტამ აიღოს, თუმცა ნაკლებად სავარაუდოა, რომ ის წარმოადგენდეს დოლარიზაციის მთავარ მიზეზს. მისი მიზეზი უპირველესად კურსის ვოლიტარულობა, ეროვნული ვალუტსი მიმართ უნდობლობა და გარკვეულწილად ეროვნულ ვალუტაში შემოსავლიანობის შეფარდებითი დაბალი დონეა, რომლის განხილვასაც სწორედ ახლა ვიწყებთ.

რა არის საქართველოში დოლარიზაციის ძირითადი ფაქტორები? საქართველოს ეროვნული ბანკი დოლარიზაციის ძირითად მიზეზებად ასახელებს: ისტორიულ ფაქტორებს, რომლებმაც შეასუსტეს ნდობა ეროვნული ვალუტისადმი, ინფლაციის მაღალ მაჩვენებელს, კურსის მკვეთრი მერყეობებს წარსულში, განუვითარებელ ფინანსურ ბაზრებს, არამდგრად პოლიტიკურ ვითარებას, ფულად გზავნილებს უცხოეთიდან. მოვახდინოთ მოცემული და სხვა ფაქტორების ანალიზი.

თუ განვიხილავთ რეტროსპექტიულ ჭრილში, ჩვენი აზრით საქართველოში დოლარიზაციის თავდაპირველ პირდაპირ, ძირითად მიზეზს (90-იანი წლების დასაწყისში) ფულადი სუროგატის - კუპონის ჰიპერინფლაცია, გაუფასურება და ეროვნული „ფულადი ერთეულის" მიმართ უნდობლობა წარმოადგენდა, რაც თავისთავად შედეგი იყო: ეკონომიკური კავშირების რღვევის და მისგან გამოწვეული წარმოების მნიშვნელოვანი ვარდნის; ტრანსფორმაციული პროცესების შედეგად განვითარებული ღრმა კრიზისების; არაეფექტური „საბაზრო რეფორმების"; არაგონივრული მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის; ტოტალური კორუფციისა და მექრთამეობის და ა. შ.; ლარის შემოღებისთანავე დეპოზიტების დოლარიზაცია საქართველოში 40 პროცენტის ფარგლებში იყო. შემდგომში, ჩვენი აზრით, დოლარიზაციაზე არსებითი ზემოქმედება მოახდინა 1998 წლის ფინანსურმა კრიზისმა რუსეთსა და სხვა ქვეყნებში, რომელიც საქართველოზეც გავრცელდა. კერძოდ, ის აისახა ეკონომიკის ზრდის ტემპების შემცირებასა და ლარის კურსის საშინაო და საგარეო მკვეთრ გაუფასურებაში, რამაც გავლენა ფინანსურ დოლარიზაციაზეც მოახდინა მისი ზრდის მიმართულებით. კერძოდ, თუ 1997 წელს დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი 42 პროცენტის ფარგლებში იყო, 1998 წელს ის 57,9% გაუტოლდა, ხოლო 1999 წელს უკვე - 73.2% იყო. სწორედ 1999 წელს გვქონდა ინფლაციის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი -13,2 პროცენტიანი ნიშნული და ამ პერიოდში (1998-2000 წ.წ.) მოხდა ეროვნული ვალუტის კურსის მკვეთრი -50%-იანი გაუფასურება (თუ 1998 წლის დასაწყიში კურის იყო 1$-1,3 ლარი, 2000 წლის დასაწყისში 1$-1,79 ლარი, რომელიც 2001 წლის დასაწყისამდე 1$-1,96 ლარამდე გაიზარდა). ამგვარად, ჩვენი აზრით, ინფლაციისა და გაუფასურების მაღალი მაჩვენებელი და მათი შემდგომი ზრდის მოლოდინები წარმოადგენდა დოლარიზაციის გაზრდის მთავარ პირდაპირ მიზეზს მოცემულ, და, გარკვეულწილად, შემდგომ პერიოდებშიც.

მართალია 2000-2004 წლებში ინფლაცია სტაბილურდება (2000 წელს ინფლაცია იყო 8,5%, 2001 წ. – 4,9%, 2002 წ. – 4,7%, ხოლო 2003-2004 წლებში ის საშუალოდ 5,3 პროცენტის ფარგლებში მერყეობს), მაგრამ ეროვნული ვალუტა დროის მოცემულ მონაკვეთში ისევ (11%-ით) გაუფასურდა. მიმდინარე გაუფასურება და წარსულში კურსის მკვეთრი მერყეობები წარმოადგენდა სწორედ დოლარიზაციის ყველაზე მაღალი (საშუალოდ 85 პროცენტი) მაჩვენებლის პირდაპირ მიზეზს საქართველოში ამ პერიოდში.

არსებობს საყოველთაოდ მიღებული მოსაზრებები, რომ გასულ პერიოდში მაღალი ინფლაცია/დევალვაცია სრულად ვერ ხსნის ფინანსურ დოლარიზაციას, განსაკუთრებით დეპოზიტების დოლარიზაციას. მაღალმა ინფლაციამ შეიძლება განაპირობოს ეკონომიკური აგენტების არახელსაყრელი მოლოდინები, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს რეფლაციის და/ან დევალვაციის გაგრძელების რაციონალური წინაპირობები, მაშინ გარკვეული პერიოდის განმავლობაში შესაძლებელია დეპოზიტების დოლარიზაციის შემცირება. უფრო მეტიც, ფინანსური დოლარიზაციისას საინფლაციო დანაკარგები არ წარმოადგენს ისე მნიშვნელოვან ფაქტორს, რამდენადაც, დადებითი რეალური საპროცენტო განაკვეთის პირობებში, ფინანსურ კონტრაქტებზე საპროცენტო სარგებელი უკვე ითვალისწინებს ინფლაციის მოსალოდნელ ტემპებს. ამასთან, პრაქტიკაში ფინანსური დოლარიზაცია შეიძლება იყოს საკმაოდ მდგრადი და მას შეიძლება ადგილი ექნეს საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში, ინფლაციის/დევალვაციის ტემპების შემცირების მიუხედავად. ამგვარად, ფინანსური დოლარიზაცია წარმოადგენს უფრო რთულ ფენომენს მაღალი ინფლაციის/დევალვაციის პასუხად გამოვლინებულ ადაპტირებულ მოლოდინებთან შედარებით.

მოცემული შეხედულებები გარკვეულწილად მართლდება ჩვენი ქვეყნის შემთხვევაშიც - რამდენადაც, 2000-2004 წლებში, ინფლაციის ტემპების დასტაბილურების მიუხედავად, შენარჩუნებული გაუფასურებისა და ნეგატიური მოლოდინების ფონზე ფინანსური დოლარიზაციის მასშტაბები კიდევ უფრო გაიზარდა და 2002 წელს ისტორიულ მაქსიმუმს - 85,8 პროცენტს მიაღწია, რაც მთელი სამი წლის (2005 წლამდე) მანძილზე შენარჩუნდა

(ინფლაციასა და დოლარიზაციის მასშტაბებს შორის დამოკიდებულება ნაკლებად ვლინდება მთელ საანგარიშო პერიოდებში იხ დიაგრამ 1. ამაზე ცოტა ქვემოთ). აღნიშნული ტენდენციები ლოგიკურია და დასტურდება საერთაშორისო პრაქტიკიდანაც, კერძოდ:

დოლარიზაციის მასშტაბები არ მცირდება მისი წინაპირობების ამოწურვის შემდეგაც, ე.წ. „ხრუტუნას ეფექტის" არსებობის გამო. Uუფრო კონკრეტულად: მართალია, თავდაპირველად დოლარიზაციის განვითარება დაკავშირებული იყო ეროვნული ვალუტის კურსის საშინაო და საგარეო ვოლატილურობასთან, დოლარიზაციის დონე რჩება მაღალი მაშინაც, როდესაც საშინაო ფინანსური პირობები უმჯობესდება. მეანაბრეები რყევებისას იწყებენ რა სახსრების განთავსებას უცხოურ ვალუტაში, აგრძელებენ მას სტაბილურობის დროსაც;

საერთაშორისო პრაქიკიდან ასევე დასტურდება, რომ ფინანსური სტაბილიზაციას და ინფლაციის შემცირებას ავტომატურად არ მივყავართ დოლარიზაციის ხარსიხის ავტომატურ, მყისიერ, მნიშვნელოვან შემცირებასთან. ზოგჯერ (მაგალითად პოლონეთში) შეინიშნებოდა მისი მცურავი შემცირება, ზოგჯერ (როგორც რუსეთსა და პოლონეთში) ფულად-საკრედიტო სფეროსა და მთლიანად ეკონომიკაში სიტუაციის დადებითისკენ შეცვლას თან ახლდა დოლარიზაციის ზრდა. Aმგვარად, დოლარიზაციის ხარისხი, ისე როგორც სხვა მაკროეკონომიკური ცვლადები, ექვემდებარებიან ჰისტერეზისის ეფექტს.

2005 წლიდან 2008 წლამდე ეროვნული ვალუტა იწყებს გამყარებას (2004 წელს 1 დოლარი - 2,11 ლარიდან, 2009 წლის დასაწყისისთვის 1 დოლარი - 1,66 ლარამდე), თუმცა მოცემული პერიოდი ხასიათდება ინფლაციის მაღალი ტემპებით (ამ პერიოდში ინფლაცია საშუალოდ 10 პროცენტის ფარგლებშია, გარდა 2006 წლისა – 5,2 პროცენტი). Aამ პერიოდში დეპოზიტების დოლარიზაცია ეტაპობრივად მცირდება (თუ 2004 წელს ის 85,2% იყო, 2008 წლისთვის 64,2 პროცენტამდე შემცირდა), რაც, ჩვენი აზრით, ლარის კურსის დასტაბილურების შედეგია (აქაც დასტურდება მოსაზრება მასზედ, რომ - ფინანსური დოლარიზაციისას საინფლაციო დანაკარგები არ წარმოადგენს გადამწყვეტ ფაქტორს).

2009 წლიდან, საშუალოვადიან პერიოდში ინფლაციის მიზნობრივი დონის მიღწევისა და ამით სწორი მოლოდინების შექმნის მიზნით, იწყება მონეტარული თარგეთირების რეჟიმიდან (გულისხმობდა ფულადი მასის სასურველი ზრდის ტემპის მიღწევას ინფლაციის რეგულირების მიზნით) ინფლაციის თარგეთირების რეჟიმზე გადასვლა, რამდენადაც ირღვეოდა მართვად მაჩვენებელსა და სამიზნე მაჩვენებელს (სარეზერვო ფულსა და ინფლაციას) შორის სტაბილური კავშირი. საგარეო შოკების რეალურ ეკონომიკაზე (ინფლაციასა და ეკონომიკურ ზრდაზე) ზემოქმედების შემცირების მიზნით კი, ინფლაციის თარგეთირების პარალელურად არ ხდება გაცვლითი კურსის თარგეთირება (კურსის მიზნობრივი მაჩვენებლის შენარჩუნება). უფრო მეტიც, ეროვნულმა ბანკმა გრძელვადიან პერიოდში მიზნად დაისახა სავალუტო ინტერვენციების კიდევ უფრო შემცირება და საბოლოოდ გაუქმება, რაც ფაქტობრივად გატარდა/ტარდება კიდეც პრაქტიკაში. დოლარიზაციის მასშტაბების შემცირების (დედოლარიზაციის – ლარიზაციის) მიზნით იწყება გარკვეული მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების/პრუდენციალური ღონისძიებების გატარება, მაგალითად: რეფინანსირების სესხების ამოქმედება კომერციული ბანკების მხრიდან მიმდინარე ლიკვიდობის უკეთ მართვის, საოპერაციო დანახარჯების შემცირებისა და, ამით, ლარით გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთისა და, შესაბამისად, სესხების დოლარიზაციის შემცირების უზრუნველსაყოფად; მინიმალური სავალდებულო სარეზერვო მოთხოვნის დიფერენციაცია ვალუტების მიხედვით, ლარის დეპოზიტზე საპროცენტო განაკვეთისა და, ამით, ლარში ანაბრების შეფარდებითი ზრდისა და, შედეგად, ფინანსური დოლარიზაციის მასშტაბების შემცირების უზრუნველსაყოფად; ეროვნულ ვალუტაში ცვლადი საპროცენტო განაკვეთებით სესხების წახალისება და, ამით, ეროვნულ ვალუტაში სესხის გაცემის და, შედეგად, სესხის ლარიზაციის ზრდა. ასევე: ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ახალი ინსტრუმენტების გამოჩენა, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მხრიდან ეროვნულ ფიმნანსურ ბაზარზე ლარში დენომინირებული ფასიანი ქაღალდების ემისიაზე ხელშეწყობა, კორპორატიული ფასიანი ქაღალდების გამოშვებაზე მხარდაჭერა და ამით, დეპოზიტების დოლარიზაციის მასშტაბების შემცირება და სხვ.

2016 წელს ებ-მა გამოაქვეყნა დედოლარიზაციის 10 პუნქტიანი გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა: 1. ლარის გრძელვადიანი სესხების ხელმისაწვდომობის გაზრდას შემდეგი ღონისძიებების საშუალებით - გადამცემი მექანიზმის მოქნილობისა და გირაოს ბაზის გაზრდით კომ. ბანკებზე საკმარისი ლიკვიდური აქტივების შექმნისა და მოკლევადიანი დეპოზიტების გრძელვადიან სესხებად გადასაქცევად უზრუნველსაყოფად; ბაზელ III-ის შესაბამისი ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის შემოღებით, სადაც უპირატესობა ექნება ეროვნულ ვალუტას; კაპიტალის ბაზრის განვითარების ხელშეწყობით და ახალი ფინანსური ინსტრუმენტარების შემოღებით (სხვა მიზნებთან ერთად, ეს ხელს უწყობს ეროვნულ ფულად ერთეულში განთავსებების ზრდას და ფინანსური დოლარიზაციის მასშტაბების შემცირებას); საპენსიო რეფორმებზე ხელშეწყობით რათა გაიზარდოს გრძელვადიან ინსტრუმენტებზე მოთხოვნა და მისგან გამომდინარე ლარის გრძელვადიანი რესურსი; 2. სავალუტო რისკების ადეკვატურ გადანაწილებას – მცირე სესხების ეროვნული ვალუტით გაცემის, სესხების გალარებისა და

მაკროპრუდენციული ინსტრუმენტების მეშვეობით ებ-ის მიერ არაჰეჯირებულ (რისკისგან დაუცველ) უცხოურ ვალუტაში მსხესხებელზე შესაბამისი ბუფერების შექმნის გზით; 3. ლარით ფასდადებას, რომელიც გულისხმობს: ნებისმიერი საქონლის/მომსახურების ლარში ფასდადებას და კომ. ბანკებში უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის დაცული მომსახურების დანერგვას უძრავი ქონების ლარით ანგარიშსწორებისთვის ხელშესაწყობად (ხელს უწყობს რეალური დოლარიზაციისა და სავალუტო ჩანაცვლების მასშტაბების შემცირებას).

ებ 2017 წლიდან იწყებს ლარიზაციის კომპლექსური ღონისძიებების გატარებას: 2017 წლის 11 იანვრიდან ძალაში შევიდა საქრთველოს მთავრობის დადგენილება, რომლის მიხედვითაც შემუშავდა ღონისძიებები 2015 წლის 1 იანვრამდე დოლარში გაცემული სესხების გალარებისთვის; 2017 წლის 1 ივლისიდან იურიდიულ პირებს დაეკისრა ვალდებულება საქონლის/მომსახურების ფასის კოტირება მოახდინონ მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში; საკანონმდებლო ცვლილებებით 2017 წლის 1 იანვრიდან 100 ათას ლარამდე, ხოლო 2019 წლის 1 იანვრიდან 200 ათას ლარამდე სესხები გაიცემა მხოლოდ ლარში და სხვ.

2019 წლის საქართველოს ეროვნული ბანკის "მაკროპრუდენციული პოლიტიკის სტრატეგია საქართველოსთვის" მიხედვით ფინანსური სისტემის დოლარიზაციის შემცირების მიზნით მთავარი ინსტრუმენტებია: სავალუტო საკრედიტი რისკის ბუფერი (CICR); სტრესს-ტესტების ბუფერი; ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (LCR) უცხოურ ვალუტაში; შეზღუდვები ღია უცხოურ სავალუტო პოზიციაზე; სარეზერვო მოთხოვნა; ვალუტის მიხედვით დიფერენცირებული სესხის მომსახურებისა და სესხის ვალდებულების კოეფიციენტი; სესხის აკრძალვა უცხოურ ვალუტაში 200 000 ლარის ქვემოთ [4:19].

აღსანიშნავია, რომ დედოლარიზაციის ღონისძიებების (მაკროპრუდენციული რეგულირების) გააქტიურებისა და ინფლაციის სტაბილური ტემპების მიუხედავად, ეროვნული ვალუტის მკვეთრი გაუფასურების ფონზე დოლარიზაციის დონე საქართველოში ისევ მაღალი რჩება - ის 2019 წლისთვის 62 პროცენტის ფარგლებში მერყეობს. Aამგვარად, საყოველთაოდ მიღებული შეხედულებები, რომ ინფლაციის თარგეთირების რეჟიმმა მცურავი სავაულოტო კურსისა და სათანადო მონეტარული და მაკროპრუდენციული რეგულირების პირობებში ხელი უნდა შეუწყოს დედოლარიზაციას, საქართველოში არ მართლდება.

Kკიდევ ერთ "შეუსაბამობასთან" დაკავშირებით, რომელთანაც მივედით სტატისტიკური მასალის დამუშავებისას. კერძოდ, სავალუტო კურსის საპროცენტო განაკვეთის პარიტეტის თეორიიდან (და სხვადასხვა შეხედულებებიდან) გამომდინარე, ეკონომიკური აგენტების გადაწყვეტილებაზე, ეროვნულ თუ უცხოურ ვალუტაში განათავსონ ანაბარი, დამოკიდებულია ეროვნულ ვალუტაში დეპოზიტზე რეალურ შემოსავლიანობასა/რეალურ სარგებლის განაკვეთსა (რომელიც ითვალისწინებს ინფლაციას) და უცხოურ ვალუტაში დეპოზიტზე რეალურ შემოსავლიანობას (რომელიც წარმოადგენს უცხოურ დეპოზიტზე რეალური საპროცენტო განაკვეთისა და ეროვნული ვალუტის კურსის ფუნქციას) შორის განსხვავების მოლოდინებზე. კერძოდ, თუ რეალური შემოსავლიანობის მოლოდინი ეროვნულ ვალუტაში დეპოზიტზე მეტია რეალური შემოსავლიანობის მოლოდინზე უცხოურ ვალუტაში დეპოზიტზე, მაშინ მეანაბრეები, სხვა თანაბარ პირობებში, უპირატესობას ანიჭებენ განთავსებებს (ანაბრებს) ეროვნულ დეპოზიტში და პირიქით. ანუ შეფარდებითი რეალურ შემოსავლიანობასა და დეპოზიტების დოლარიზაციას შორის არსებობს პირდაპირი/დადებითი კორელაცური კავშირი. დახურული სავალუტო პოზიციის არსებობისა და ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტირების პირობებში, ის იგივე ზემოქმედებას ახდენს აგრეთვე კრედიტების დოლარიზაციაზე, ანუ მთლიანობაში ფინანსურ დოლარიზაციაზე. ჩვენ ჩავატარეთ მოცემული მოსაზრების "ტესტირება" 2012 – 2019 წლების პერიოდში დაშვებით, რომ ეროვნული ვალუტის გაუფასურების მოლოდინი წლის დასაწყისში ემთხვეოდა მის რეალურად გაუფასურებას წლის ბოლოს. თეორიაზე დაყრდნობით როდესაც სიდიდე **($\mu_d$-$\mu_f$)** არის დადებითი (ცხრილი 1-ის სვეტი 6), ანუ, იმ პერიოდში, როდესაც შემოსავლიანობა დეპოზიტებზე ეროვნულ ვალუტაში აჭარბებს შემოსავლიანობას დეპოზიტზე უცხოურ ვალუტაში, თანაფარდობა ვადიანი დეპოზიტები ლარში/ვადიანი დეპოზიტები დოლარში უნდა იზრდებოდეს და პირიქით. თუმცა, როგორც ცხრილი 1-დან ჩანს (სვეტი 6 და 10), ასეთი დამოკიდებულება საანგარიშო პერიოდში ნაკლებად შეინიშნება. ეს კარგად ჩანს 2 დიაგრამიდანაც: დოლარიზაცია უვადო და ვადიანი დეპოზიტების მიხედვით (მათ შორის ლოგიკური დამოკიდებულებაა - ორივე დეპოზიტი დინამიკაში ერთი და იგივე მიმართულებით იცვლებიან) არა თუ უცხოურ ვალუტაში დეპოზიტების შემოსავლიანობის ცვლილების მიმართულებით, არამედ მისი საპირისპირო მიმართულებით იცვლებიან. ასევე, როგორც დიაგრამ 1 –დან ჩანს 2012-2019 წწ. პერიოდში მთლიანობაში ნაკლებად ვლინდება კავშირი ფინანსური დოლარიზაციის სიდიდესა და ინფლაციას შორის.

ისმება კითხვა: თუ არა შემოსავლიანობა, ინფლაცია და მისი მოლოდინები რა არის მთავარი ფაქტორი რაც განსაზღვრავს დეპოზიტების (და მაშასადამე სესხების) დოლარიზაციას? ჩვენი აზრით, მთავარი ფაქტორი, რომელიც ზემოქმედებას ახდენს ფინანსურ დოლარიზაციაზე საქართველოში, ეს არის ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობა. ეს დასტურდება დიაგრამ 3 –ით, რომლიდანაც კარგად ჩანს, რომ 1995-2019 წლებში დეპოზი-

ტების დოლარიზაცია იცვლება იმის შესაბამისად როგორაც მერყეობს ლარის კურსი დოლართან მიმართებით.

ამდენად, დასკვნები საერთაშორისო პრაქტიკიდან მასზედ, რომ ფინანსური დოლარიზაცია მნიშვნელოვნად მცირდება ინფლაციის თარგეთირების რეჟიმზე გადასვლის შემდეგ ეროვნული ვალუტის საბაზრო ცურვის რეჟიმის არსებობის პირობებში და, პირიქით - აღმოჩნდება სტაბილური გაცვლითი კურსის თარგეთირებისას, ჩვენი ქვეყნის შემთხვევაში ნაკლებად დასტურდება.

ჩვენი ქვეყნის შემთხვევაში ასევე არ დასტურდება იზეს (Ize - 2005) მოდელი და სხვადასხვა ემპირული კვლევები (მაგალითად, Piantkovsky – 2003) მასზედ, რომ დოლარიზაციის წინაამღდეგ ბრძოლის უფრო ეფექტური ინსტრუმენტია გაცვლითი კურსის მოქნილობის ამაღლება, რაც რეალურ საპროცენტო განაკვეთს უცხოურ ვალუტაში აქცევს უფრო ვოლიტალურად, ამიტომ უფრო მიმზიდველი გახდება ეროვნულ ვალუტაში ფინანსური კონტრაქტები. მართალია, როგორც ვნახეთ, საქართველოში მოქნილი კურსის არსებობა და მისი მერყეობები ვოლიტალურად აქცევს შემოსავლიანობას უცხოურ ვალუტაში დეპოზიტებს, ეროვნულ დეპოზიტზე კი შემოსავლიანობა საკმაოდ სტაბილურია, თუმცა შედეგად დოლარიზაციის მასშტაბები არ შემცირებულა.

ჩვენი ქვეყნის შემთხვევაში ასევე არ დასტურდება მოსაზრებებიც მასზედ, რომ ეროვნული საპროცენტო განაკვეთის შეფარდებითი მაღალი დონის შენარჩუნება (უცხოურ ვალუტაში საპროცენტო განაკვეთების ხელოვნურად - მაკროპრუდენციული ღონისძიებებით – შემცირება, ხოლო ეროვნულში – გაზრდა) წარმოადგენს ეფექტურ მექანიზმს დოლარიზაციის შესამცირებლად. კერძოდ, როგორც ცხრილი 1-დან ჩანს, 2012-2019 წ.წ. უცხოურ ვალუტაში დეპოზიტებზე სარგებლის შემცირებას (ამ პერიოდში ის ეტაპობრივად შემცირდა 10 %-დან 4,3 %-მდე) და ეროვნულ ვალუტაში დეპოზიტზე მის მაღალ დონეზე შენარჩუნებას (20012წ. – 14%; 2019წ. – 10,9%) დოლარიზაციის დინამიკაში რაიმე არსებითი ცვლილება არ გამოუწვევია (თუ 2012წ. დეპოზიტების დოლარიზაცია 57,4% იყო, 2019წ. მან 62% შეადგინა). Uფრო მეტიც, მაღალი საპროცენტო განაკვეთის სტიმულირება არ წარმოადგენს ეკონომიკური/მონეტარული პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებას, რამდენადაც ის უარყოფითად აისახება ეკონომიკურ ზრდაზე. ამასთან, გარდა ამისა, მან შეიძლება მიგვიყვანოს დოლარიოზაციის ფორმის შეცვლასთან სავალუტო ჩანაცვლების სასარგებლოდ. შედეგად, საბანკო სექტორიდან ლიკვიდობის გადადინებამ შეიძლება განაპირობოს დამატებითი პრობლემები ბანკებისათვის. ეს უკანსაკნელი საკმაოდ საშიშია გლობალური კრიზისებისა და საბანკო სექტორში ლიკვიდობის უკმარისობის პირობებში. ამიტომ, საპროცენტო განაკვეთებზე დაფუძნებულმა დედოლარიზაციის აქტიური პოლიტიკამ შეიძლება მიგვიყვანოს საბანკო სისტემიდან ლიკვიდობის გადადინებასთან. ამიტომ, შემოსავლების ზრდის საკმაოდ დაბალი დონის პირობებში, საპროცენტო განაკვეთის პოლიტიკის საშუალებით დედოლარიზაციის პოლიტიკა არ იქნება ეფექტური, რამდენადაც შემცირდება არა დოლარიზაციის დონე, არამედ შეიცვლება მისი ფორმა, რისთვისაც დამახასიათებელი იქნება ბანკებიდან ლიკვიდობის გადადინება. თუმცა, რეალური დოლარიზაციისა და სავალუტო ჩანაცვლების მასშტაბების გაანგარიშების შეუძლებლობიდან გამომდინარე, ჩვენ ამის დამტკიცება ემპირულად არ შეგვიძლია.

რაც შეეხება კიდევ ერთ შეხედულებას, რომელიც განსხვავებულ რაკურსში იხილავს ინფლაციის თარგეთირებისა და გაცვლითი კურსის არათარგეთირების რეჟიმების კავშირს დედოლარიზაციასთან. კერძოდ, 1. გაცვლითი კურსის განსაზღვრულობამ და ინფლაციის სტაბილურობამ შეიძლება ურთიერთგამორიცხოს ერთმანეთი. მაგალითად, თუ შევეცდებით სტაბილური გაცვლითი კურსის შენარჩუნებას, სრულიად შესაძლებელია შედეგად მივიღოთ ინფლაციის ცვალებადობის ზრდა. ამიტომ უპირატესობა ენიჭება ინფლაციის თარგეთირებას; 2. ამ პირობებში სავალუტო კურსის შესაძლო მერყეობამ შეიძლება არ გამოიწვიოს უარყოფითი შედეგები აქტივების შეფარდებითი შემოსავლიანობისთვის, თუ ფინანსური ბაზრები განვითარებულია და საპროცენტო განაკვეთები ადეკვატურად რეაგირებენ კურსის ცვლილებაზე და მის მოლოდინებზე.

მოცემული შეხედულების პირველ ნაწილთან დაკავშირებით ჩვენი პოზიცია ასეთია – ქვეყნის მაღალი იმპორტდამოკიდებულების (საიმპორტო კვოტის) პირობებში, ეროვნული ვალუტის გაუფასურების (და მისი მოლოდინის) ქრონიკული ტენდეციები სწორედაც რომ თავისუფლად მცურავი კურსის პირობებში ქმნიან ინფლაციური მერყეობების საფრთხეებს. ამასთან, პარტნიორ ქვეყნებში მათი ვალუტის მნიშვნელოვანი გაუფასურებისა და მაღალი ინფლაციის შემთხვევაში იქმნება ინფლაციური პროცესების ჩვენს ქვეყანაში “გადმოტანის” (ე.წ. “ინფლაციის იმპორტირების”) საშიშროება (თუმცა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ მცურავ სავალუტო კურსს საგარეო შოკების შთანთქმის უნარი გააჩნია). ამდენად, მოცემული დამოკიდებულება საქართველოს პირობებში გადახედილ უნდა იქნას.

რაც შეეხება აღნიშნული შეხედულების მეორე ნაწილს. მასთან მიმართებით ჩვენი დამოკიდებულება ასეთია – საქართველოში განუვითარებელი ფინანსური ბაზრის პირობებში, იმ დროს, როდესაც თავისუფალი ფულადი სახსრების მფლობელების შესაძლებლ;ობა გააკეთონ განთავსებები (ინვესტირება) საბანკო დაწესებულებების გარეთ (ფინანსურ ბაზრებზე და სხვადასხვა ფონდებში, ფასიან ქაღალდებში და სხვა ფინანსურ ინსტრუმენტარებში) შეზღუდულია, სავალუტო კურსის

ვოლიტალურობა მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს საბანკო სექტორში აქტივების შეფარდებით შემოსავლიანობაზე (რამდენადაც საპროცენტო განაკვეთებიც ადექვატურ რეაგირებას ვერ ახდენენ კურსის ცვლილებებზე) პრუდენციული რეგულირების მიუხედავად. თავისუფალი კონკურენტული ბაზრისა და უცხოური კაპიტალის (ე.წ. „ცხელი ფულის“) თავისუფალი შემოდინების პირობებში შემოსავლიანობა დეპოზიტზე ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში უნდა გამოთანაბრდეს და მათი ვოლიტალურობა უნდა დასტაბილურდეს, თუმცა ეს ასე არ ხდება მისი ხელიშსემწყობი პრუდენციალური რეგულირების მიუხედავად. ამის მიზეზად საფინანსო-საკრედიტო ბაზრის განუვითარებლობა, უარყოფითი მოლოდინები, დაბალი ფინანსური კულტურა, ეკონომიკური აგენტების (განსაკუთრებით არაკორპორაციული სუბიექტების) არასაკმარისი ცოდნა მოცემულ სფეროში, კონკურენციის დაბალი ხარისხი და ბაზრის ოლიგოპლიური ხასიათი და სხვა ფაქტორები მიგვაჩნია.

კიდევ ერთ საკითხთან დაკავშირებით – რამდენად უწყობს ხელს ფინანსურ (და ზოგადად) დოლარიზაციას გზავნილები უცხოეთიდან. მოსახლეობა, რომლებიც გზავნილების სახით ფულად შემოსავალს ღებულობენ უცხოურ ვალუტაში, მიმდინარე ხარჯების გაწევის შემდეგ, ეროვნული ვალუტის პერმანენტული გაუფასურებისა და ნეგატიური მოლოდინების ფონზე, დარჩენილ თანხას ინახავს საბანკო დეპოზიტების, ან ხელზე დანაზოგების სახით იმ უცხოურ ვალუტაში, რომელშიდაც მიიღეს გზავნილების სახით. რამდენადაც, გზავნილების უმეტესი ნაწილი კონვერტირდება ლარში და იხარჯება პირველადი მოხმარების საქონლის შესაძენად, ხოლო დანარჩენი - ნაწილდება გრძელვადიანი დანიშნულების საქონლის მოხმარებასა და დანაზოგებზე იმ ვალუტაში, რომელშიდაც მიღებული იქნა გზავნილი (რამდენადაც გარიგებების წარმოება და დაზოგვა მდგრად ვალუტაში წარმოადგენს სავალუტო და სხვა რისკებიდან თავის დაცვის საშუალებას), ამდენად შეიძლება დავასკვნათ, რომ გზავნილები მონაწილეობს დოლარიზაციიის ყველა ფორმაში. უფრო კონკრეტულად - რეალურ დოლარიზაციასა და სავალუტო ჩანაცვლებაში, რამდენადაც უძრავი თუ მოძრავი ქონებისა და სხვადასხვა აქტივების არამარტო ფასების ნომინირება, არამედ გარიგებებიც ხდება დოლარში (ასევე, გარკვეულწილად ევროშიც). იმის გავითვალისწინებთ, რომ უცხოური გზავნილების მოცულობა საქართველოში საკმაოდ დიდია (საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით 2018 წელს მან შეადგინა 1,579 მლრდ. დოლარი. ხოლო 2019 წლის მხოლოდ 7 თვეში კი 960 მლნ. დოლარი) და ქვეყანაში პირადი შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი ფულადი გზავნილების ხარჯზე ფორმირდება, უნდა ვივარაუდოთ, რომ მისი როლი მაღალია დოლარიზაციის ყველა ფორმაში;

გზავნილების თუ რა მოცულობა „დოლარიზდება“ ეკონომიკაში რაოდენობრივად ირიბად შესაძლებელია განისაზღვროს იმით თუ როგორია ეკონომიკაში მთლიანად მოხმარებისადმი/დაზოგვისადმი ზღვრული მიდრეკილება (თუმცა მოცემული სტატიის ფარგლებში ჩვენ მის გაანგარიშებებს არ ვახდენთ). მაგრამ, საკმაოდ რთულია რაოდენობრივად ზუსტად შევაფასოთ მოსახლეობის ეს ჯგუფები მათი სავალუტო შემოსავლებიდან თუ რამდენს ინახავს ხელზე გარიგებისათვის და რამდენს - დაზოგვისათვის, როგორია ფინანსურ და რეალურ დოლარიზაციაში მისი წილი.

თუ შევაჯამებთ: დოლარიზაციის თავდაპირველ პირდაპირ, ძირითად მიზეზს ფულადი სუროგატის - კუპონის ჰიპერინფლაცია, გაუფასურება და ეროვნული ფულადი ერთეულის მიმართ უნდობლობა წარმოადგენდა; დოლარიზაციის შემდგომი ზრდა ეროვნული ვალუტის კურსის ნახტომისებურ გაუფასურებასთანაა დაკავშირებული; ინფლაცია კი, რომელიც პერიოდულად იჩენს თავს, წარმოადგენს დოლარიზაციის მხოლოდ მასტიმულირებელ ფაქტორს; ინფლაციის თარგეთირების, მაკროპრუდენციული რეგულირებისა და მცურავი კურსის სისტემის პირობებში დოლარიზაციის მასშტაბების სტაბილურად მაღალი ტემპების შენარჩუნება ე.წ. "ხრუტუნას ეფექტით", ჰისტერზისით, ვალუტის კურსის ქრონიკული გაუფასურებით და მისი მოლოდინებით, უცხოურ გზავნილებზე ქვეყნის მაღალი დამოკიდებულებით, ფინანსური ბაზრის განვითარების დაბალი ხარისხით და სხვა ინსტიტუციური ფაქტორებით (მთლიანად საფინანსო სისტემის განვითარების დონე, ფინანსური ბაზრის სიღრმე, ნდობის ხარისხი მთავრობისა და ებ-ის, ლარისა და ლარში ფინანსური აქტივების, ეროვნული საბანკო სისტემის და ა.შ. მიმართ) არის განპირობებული.

მთავარი დასკვნა კი მოცემულ საკითხთან დაკავშირებით ასეთია: კავშირი უცხოურ და ეროვნულ ვალუტაში დეპოზიტებზე შემოსავლიანობასა და ფინანსურ დოლარიზაციას შორის არ ვლინდება და ძირითად პირდაპირ ფაქტორს, რომელიც უშალო ზემოქმედებას ახდენს დოლარიზაციის მასშტაბებზე ეროვნული ვალუტის კურსის ვოლატილურობა (გაუფასურება) წარმოადგენს. ამდენად, დოლარიზაციის მასშტაბების ერთ-ერთ მთავარ ღონისძიებად ეროვნული ფულადი ერთეულის გრძელვადიანი სტაბილურობის შენარჩუნება და მის მიმართ ნდობის აღდგენა მიგვაჩნია.

ცხრილი 1

| წლები | საპროცენტო განაკვეთი დეპოზიტზე პერიოდის დასაწყისში | | ვალუტის მიმდინარე კურსი (Eₜ) | ვალუტის კურსი 1 წლის შემდეგ (დაშვება: მოლოდინი = რეალობა) ($E_{t+1}$) | შემოსავლიანობა დეპოზიტზე უცხოურ ვალუტაში $\mu_f = r_f + [(E_{t+1} - E_t)/E_t]*100\%$ | ეროვნულ ვალუტაში დეპოზიტის განთავსების სარგებლიანობა უცხოურთან შედარებით (“+” - სარგებლიანია; “-„ - არა სარგებლიანი) ($\mu_d - \mu_f$) | ვადიანი დეპოზიტები პერიოდის დასაწყისში (ათასი ლარი) | | ვადიანი დეპოზიტები ლარში / ვადიანი დეპოზიტები დოლარში x100 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | უცხოურ ვალუტაში ($r_f$) | ეროვნულ ვალუტაში (შემოსავლიანობა ეროვნულ დეპოზიტზე) ($r_d = \mu_d$) | | | | | ლარში | უცხოურ ვალუტაში | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
| 2012 | 10,0 | 14,0 | 1,6703 | 1,6567 | 9,18 | +4,8 | 590918 | 2630062 | 22.5 |
| 2013 | 9,5 | 14,1 | 1,6562 | 1,7363 | 14,34 | -0,24 | 649697 | 3399984 | 19.1 |
| 2014 | 8,2 | 12,4 | 1,7366 | 1,8636 | 15.51 | -3,11 | 1001280 | 3547601 | 28.2 |
| 2015 | 6,7 | 10,6 | 1,8821 | 2,3949 | 33,94 | -23,34 | 1623401 | 4266135 | 38 |
| 2016 | 5,6 | 11,3 | 2,3966 | 2,6468 | 16,03 | -4,7 | 1516359 | 5920233 | 25.6 |
| 2017 | 5,2 | 11,6 | 2,6468 | 2,5922 | 3,13 | +8,46 | 1393666 | 6652289 | 20.95 |
| 2018 | 4.5 | 11,4 | 2,5922 | 2,6766 | 7,76 | +3,64 | 2390302 | 6374825 | 37.49 |
| 2019 | 4,3 | 10,9 | 2,6727 | 2,9279 | 13.84 | -2,94 | 3047381 | 7125991 | 42.76 |
| | | | | | | | | | |

**დიაგრამა 1. გაცვლითი კურსის პროცენტული ცვლილება, ინფლაცია და ფინანსური დოლარიზაცია**



**დიაგრამა 2. დეპოზიტებზე შემოსავლიანობა, გაცვლითი კურსი და დოლარიზაცია**



დიაგრამა 3. გაცვლითი კურსის დინამიკა, ინფლაცია და დოლარიზაცია




### ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ:

1. საქართველოს ეროვნული ბანკი “მაკროპრუდენციული პოლიტიკის სტრატეგია საქართველოსთვის”, 2019

2. Ize, A. Financial Dollarization / A. Ize, E.L. Yeyati // Journal of International Economics. – 2003. – № 59. – P. 323–347.;

3. Calvo, G. From Currency Substitution to Dollarization and Beyond: Analytical and Policy Issues / G. Calvo, C. Vegh // In Money, Inflation and Output. – Cambridge, MA: MIT Press. – 1997. – P. 153–175.

4. Ize, A. Real Dollarization, Financial Dollarization, and Monetary Policy / A. Ize, E. Parrado // Central Bank of Chile. – Working Paper. – 2006. – № 375. – 24 p.

5. Balino, T., A. Benett and E. Borensztein (1999) Monetary Policy in Dollarized Economies, IMF Occasional Paper No.171.

# ნიკო ნიკოლაძის შეხედულებანი პოლიტიკურ ლიდერებზე

***ვაჟა შუბითიძე***
*სტუ პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი*
***ოთარ დავითაშვილი***
*სტუ პროფესორი, ისტორიის დოქტორი*

**რეზიუმე**

სტატიაში გაანალიზებულია მე-19 საუკუნის უდიდესი ქართველი მოაზროვნისა და იდეოლოგის ნიკო ნიკოლაძის შეხედულებები პოლიტიკურ პარტიებსა და ლიდერებზე. ნაშრომში დასმული ეს უაღრესად აქტუალური საკითხი ნიკოლაძის მიერ განხილულია საფრანგეთის (ლუი ბლანი და ლეონ გამბეტა) და საქართველოს პოლიტიკოსთა მაგალითზე. ფრანგი პოლიტიკური ლიდერების ნიკოლაძესეული შეფასებები არის ძალზე პროფესიონალური და კრიტიკული და წარმოადგენს მნიშვნელოვან მონაპოვარს ქართული პოლიტიკური აზრისათვის, კვალიფიციური პოლიტიკური ლიდერების შერჩევისა და ჩამოყალიბებისათვის როგორც თანამედროვე ეტაპზე, ასევე მომავალში

**NIKO NIKOLADZE'S VIEWS ON POLITICAL LEADERS**

**RESUMÉ**

The article analyzes the views of the great Georgian thinker and ideologist Niko Nikoladze of the 19th century political parties and leaders. Nikoladze considered this very important issue on the example of politicians of France (Louis Blaney and Leon Gambeba) and Georgia. Nikoladze's assessment of French political leaders is very professional and critical and represents an important achievement for Georgian political opinion, for the selection and development of qualified political leaders as well in the future.

* * * *

**პოლიტიკაში მთავარია ენერგია, როგორც მოქმედების გეგმის შესადგენად, ისე მისი განხორციელებისათვის. ენერგია კი, ცნობილია, ძნელად შესანახია, მაგრამ ადვილად გასანიავებელი. ადამიანზე საჭიროა იმსჯელო არა მისი განზრახვისა და მისწრაფების მიხედვით, არამედ შედეგებით. (ნიკო ნიკოლაძე)**

ნიკო ნიკოლაძეს, რომელიც მიჩვეული იყო "მსოფლიო მასშტაბით აზროვნებას" (გ. ქიქოძე), ძალზე საინტერესო შეხედულებები აქვს გამოთქმული პოლიტიკურ პარტიებსა და ლიდერებზე, მათ როლზე საზოგადოებაში, მათ ნაკლოვანებებსა და სისუსტეებზე.

ევროპაში სწავლისა და იქ არცთუ ხანმოკლე მოღვაწეობის პერიოდში ნიკოლაძემ კარგად ჩაიხედა ევროპის და, მაშინ ყველაზე მოწინავე ქვეყნის, საფრანგეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

საქართველოში ჩამოსულმა და აქაური რეალობის შემხედვარე ნიკომ უმალ შეამჩნია მთელი რიგი განსხვავებები ევროპულ და რუსულ პოლიტიკურ სისტემებს შორის (სადაც შედიოდა საქართველო იძულებით). პირველი თვალშისაცემი სხვაობა იყო ის, რომ საფრანგეთში ჰყვაოდა თავისუფალი აზრი, სხვადასხვა საწინააღმდეგო შეხედულებანი და ქმედებანი, ჩვენთან კი **"ის ნაკლოვანებაგვჭირს, რომ თითოეულს ჩვენგანს უნდა, რომ ყველა დანარჩენი მისივე კალაპოტზე ჩამოსხმული იყოს, მისივე ხასიათი ჰქონდეს, მასსავით ფიქრობდეს, ყველაფერზე და ყველაფერში მის მსგავსად მოქმედებდეს. ეს შეუძლებელი და უსარგებლო, თითქმისსავნებელი, საქმეა"** - ანუ ადგილი ჰქონდა განსხვავებული აზრის მოუთმენლობას და მისადმი უპატივცემულობას, რასაც პირდაპირ მივყავართ ავტორიტარიზმისაკენ. თუ განსხვავებული აზრები უნდა იყოს, მაშინ ლოგიკურად, საზოგადოებაც სხვადასხვა პარტიებისგან უნდა შედგებოდეს და არა ერთი პარტიისაგან, თუნდაც ქვეყანა დაპყრობილი იყოს და დამოუკიდებლობისათვის იბრძოდეს. ეს საჭიროა საღი აზრის გასამარჯვებლად, თორემ მთავარ, ეროვნულ საკითხებში ყველა პარტიის წარმომადგენლები ერთი აზრის უნდა იყვნენ - მიაჩნდა ნიკოს.

ნიკო ნიკოლაძე პარტიების, სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფების დაარსებას აუცილებლად თვლიდა იმის გამოც, რომ ძალა ერთობაშია, თანამოაზრე ადამიანთა გაერთიანებული მცდელობა რაღაცა შედეგის მომტანია, მარტო კაცი, თუნდ ილია ჭავჭავაძე, ვერაფერს მიაღწევს: **"კერძო პირი ცხოვრებაში უბრალო პაიკია, რომელსაც ისტორიული ძალა და ჩარხი ატრიალებს ან ათამაშებს. ათასიც რომ იხტუნაოს ამ პაიკმა, ათასიც რომ თავის ნებით გაიწიოს, ქვეყნის ჩარხის ბრუნვა მას მაინც უპოვის თავის ადგილსდა თავის ნებაზე დაატრიალებს. მართალია კაცის გონიერებასაც ბევრი შეუძლია ამ საქმეში, მაგრამ ეს ბევრის შეძლება მარტოიმაში მდგომარეობს, რომ ზოგი პაიკი გაიგებს, რა ძალა ათამაშებს მას, და ამ ძალით ისარგებლებს, ამ ძალას დაეხმარება; ზოგიკი ამას ვერ მიხვდება და ბრიყვულად თავს გაალხვინებს ან მთელ თავის ღონეს ამ ძალასთან შეუფერებელ ბრძოლაში დალევს... ეს უნდა გვახსოვდეს კარგად, მეტადრე იმიტომ, რომ ჩვენში ზოგიერთ ყმაწვილთაგანს ჰგონია, რომ ქვეყნის ისტორია მით იწყებადა მითვე გათავდებაო".**

ნიკოლაძე ასევე კატეგორიულად მიუღებლად თვლის ბელადომანიას, რომელიც ვერ ეგუება განსხვავებულ აზრს და ქმედებებს, შეწინააღმდეგებას და ა.შ.: **“აზრების სიუხვეს შედარებას, წინააღმდეგობას არ ვითმენთ, ცოდვათ ვთვლით, ვდევნით; გვგონიასაჭირო დისციპლინა ჩვენში მარტო მაშინ დაარსდება, როცა ჩვენი ქვეყნის შვილები თვალ ახვეულად ერთს მოთავეს გაყვებიან... ამას ვეძებთ და საჭირო დისციპლინას კი ვერ ვახერხებთ, ვერ ვაწყობთ. განა ეს უბედურება არ არის?**

შესაბამისად ნიკოლაძეს შეუწყნარებლად მიაჩნია ბრმა მორჩილება და ბრმა დისციპლინა, რომელიც თანამდებობის ან ფულიანი პირის, ყალბი ავტორიტეტების მიმართ ბრმა და ინერციით მომდინარე ნდობაზეა დაფუძნებული: **“დღესაც ბევრ ალაგს მინახავს, რომ დიდი ჩინით ან დიდი სიმდიდრით აღჭურვილს კაცს, გონებით კი ღარიბს და ხასიათით სუსტს, უშველებელი ხმა დაგავლენა ჰქონდეს საზოგადოებაში. ათასი და ათი ათასი უჯერის მას, და იმას კი არავინ კითხულობს, მართლა ჭკუისათვის ანპატიოსნებისათვის მისცეს ეს ჩინი, მართლა ჭკუითა და პატიოსნებით მოიგო ეს გავლენა?”**

„ევროპულ საზოგადოებაში, - თვლიდა ნიკოლაძე, - ასე იოლად ავტორიტეტს ძნელად თუ ვინმე მოიხვეჭს. ევროპელთათვის მათი პოლიტიკური ლიდერები (ბელადები) ახლო ნაცნობნი არიან ჯერ კიდევ ბევრად ადრე მათ განდიდებამდე. ისინი იძულებულნი არიან სახელი და ნდობა ნაბიჯ-ნაბიჯ მოიპოვონ და მხოლოდ მათი ნიჭის, იდეალებისა და ხასიათების საერთოდ აღიარებული უპირატესობა უქმნით შესაძლებლობას ხელი მოჰკიდონ მმართველობის საჭეს. ნიკოლაძის თქმით, სახელის მოხვეჭისაკენ რომ გზა გაიკაფონ და თანამემამულეთა ნდობა დაიმსახურონ, ისინი აუცილებლად უნდა ეხმიანებოდნენ თითქმის ყველა იმ საკითხს, რაც მათს თანამედროვეებს აღელვებთ;

ნიკო ნიკოლაძე აკეთებს ევროპული და რუსული პოლიტიკური პარტიების შედარებით ანალიზს. მისი დაკვირვებით რუსეთში (საქართველოშიც) პოლიტიკური პარტიების მესვეურნი ვიწრო ჰუმანიტარული განათლების მქონე ადამიანები არიან და შორს დგანან ტექნიკურ-ეკონომიკური განათლებისაგან: “აქ (რუსეთში) ისეთი პირები მეთაურობდნენ, რომელთაც სრულიად არაფერი გაეგებოდათ არც ფინანსების, არც ტექნიკის, არც ვაჭრობის, არც თავიანთი ქვეყნის ეთნოგრაფიის. სამხედრო ან საზღვაო საქმეზე ხომ რაღა ლაპარაკი უნდა. სწავლა თითქმის ყველას ჰქონდა - რაცა ებადა - მარტო ლიტერატურული, ფილოსოფიური ან იურიდიული, ისიც ვიწრო სამსაჯულო მხრის. **საზღვარს გარედ კი ყველა პოლიტიკური პარტიის კადრი და შტაბი სხვადასხვასპეციალისტების საჩინო მოღვაწეებისგან არიან შემდგარნი. პარტიებს იქ მეტად რთული სასიცოცხლო საქმეები მორიგად უდგათწინ, რომლის მართვა ერთობ მარჯვე ღონისა და ცოდნის მოხმარებას თხოულობს. ამიტომ მეთაურებს გავლენის შერჩენა როდიღაშეუძლიათ მარტო ფრაზების რახა-რუხით ან მიუწვდომელი სიმაღლისაკენ ფრთების ფართხალით”.**

1881 წლის ივნისში თავის გაზეთში “ობზორი” ნიკო ნიკოლაძემ დაბეჭდა სტატია “საფრანგეთის რესპუბლიკური პარტიის კანდიდატები”, რომელშიც საუბარია ამ პარტიის და მის ლიდერთა მზადებაზე არჩევნებისთვის. იგი აქებს ამ პარტიის ხელმძღვანელებს, რომლებმაც გადაწყვიტეს რესპუბლიკური პარტიისაკენ მიიზიდონ თანამედროვე საფრანგეთის ყველა უნიჭიერესი და დიდი ადამიანი. ამ მიზნით მათ პოლიტიკურ სარბიელზე წამოსწიეს თითქმის ყველა ის პირი, რომელთაც თავი გამოიჩინეს და დიდი სახელი მოიხვეჭეს მეცნიერებასა და ხელოვნებაში. მათ წამოაყენეს და სენატში გაიყვანეს ორი ყველაზე უფრო გამოჩენილი ქიმიკოსი - ბიურცი და ბარტელო. ამ ღირსეული ადამიანების არჩევამ ულაპარაკოდ ჩააწყნარა თვით პარტიული მტრებიც კი. ნიკოლაძე ხაზს უსვამს, რომ “ამ არჩევნებში კიდევ ერთხელ გამოჩნდა გამბეტას დიდი ორგანიზაციული ნიჭი: **პარტიას, რომელსაცშეუძლია დაფასება, თავისკენ მიზიდვა და წარმოჩენა ქვეყნის საუკეთესო ადამიანების, თავისუფლად შეუძლიადაუმარცხებლობის იმედი ჰქონდეს მომავალშიც... იმისათვის, რათა შეძლო ასეთი ადამიანების დაფასება თავად უნდა იყონიჭიერი, რათა დაინახო მათი ღირსება და არ გეშინოდეს მათი მეტოქეობისა”.**

ნიკოლაძე მიუთითებს, რომ პოლიტიკური პარტიები ერთმანეთს ებრძვიან გავლენისათვის და გამარჯვებისათვის, რაზეც დიდ ენერგიას ხარჯავენ, მაგრამ საბოლოო ჯამში ეს არაა მთავარი - უმთავრესია თუ როგორ გამოიყენებს გამარჯვებული პარტია თავის გავლენას და შეასრულებს თავის დანაპირებს: **“ყველაზე უფრო მძიმე და გავლენიანი საქმე პარტიებისათვის, იმაში მდგომარეობს, თუ როგორ მოიხმარს რომელიმე პარტია თავის გამარჯვებას, რას გაარიგებს და გააწყობს ის, როცა ბრძოლის ასპარეზი ხელშიდარჩება, როგორ გამოიყენებს ის თავის გავლენას და დააგვირგვინებს თავის შრომას. რაც უფრო ხეირიანათ და დაუფანტველათხმარობს თავის ძალას გამარჯვებული პარტია, მით უფრო ხანგრძლივია მისი გავლენა, მით უფრო და უფრო სუსტდება მისიწინააღმდეგი პარტია, მით უფრო ძლიერდება საზოგადოების მყუდროება და ბედნიერება”.**

ნიკოლაძე ამასთან აკონკრეტებს, რომ როგორც გამარჯვებულმა, ისე სხვა ნორმალურმა პარტიებმა ხალხისთვის ყველაფერი უნდა გააკეთონ ღიად, გამჭვირვალედ, ყოველგვარი ოინების, კომბინაციების და ინტრიგების გარეშე: **“რაც კი რამ გაკეთებულა ქვეყანაზედიდი ან სახეირო, ხალხისთვის, გაკეთებულა აშკარად, საქვეყნოდ, პირდაპირი, მარტო პატიოსანი საშუალებით, მარტონამდვილის ძალით, გონებითის ან ფიზიკუ-**

**რის ძალით, და არა ოინობით, პირფერობით, ფარისევლობით, და სხვა ამ რიგისაშუალებით. მარტო "კლიკას", ავაზაკურს ბრბოს შეეფერება ქვეშქვეშურად მოქმედება საზოგადო ასპარეზზე".**

ნიკო ნიკოლაძე გამოყოფს ორგვარ ხერხს ამა თუ იმ საზოგადოების, პარტიის სათავეში დასადგომად და მის სამართავად. პირველი ესაა საკუთარი გეგმისა და იდეის გამომუშავება და მათი დაყვანა უმეტესობის აზროვნებამდე სერიოზული იდეური ბრძოლის გზით, რაც აზრთა შეჯახებაზეა დაფუძნებული. ასეთი ბრძოლის წარმატებით დამთავრების შემდეგ გამარჯვებული მიმართულების პოზიცია არა მარტო მყარია, არამედ პოზიტიურად მოქმედებს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. **ასეთი მიმართულების მეთაურსგამარჯვების შემდეგ უკვე აღარავითარი განსაკუთრებული დანიშნულება აღარ აქვს. რაკი მისი აზროვნება, მიზანი, სისტემა დატექნიკა საყოველთაო საკუთრებადაა ქცეული, შესაძლებელია ნებისმიერმა ინტელიგენტმა უფრო მოხერხებულად წარმართოსუკვე დაწყებული საქმე.** ერთი სიტყვით "ამა თუ იმ მიმართულების გამარჯვება წინ სწევს მთელ საზოგადოებას, ვინაიდან მის აზროვნებასა და განწყობილებაში მხოლოდ პროგრესის საშუალებითაა შესაძლებელი ასეთი გამარჯვების მიღწევა, იმ იდეების საყოველთაო საკუთრებად ქცევა, რომელიც თავდაპირველად მხოლოდ რამდენიმე ინტელიგენტის არსებაში თუ იყო მიჩქმალული".

ნიკოლაძის თქმით, მეორე ხერხი შეუდარებლად უფრო მარტივი და ხელმისაწვდომია. **იმ შემთხვევების დროს, რომელიცსაზოგადოების ყურადღებას იმსახურებენ, საკმარისია დაეყრდნო ადამიანთა უმეტესობის განწყობილებას, მიხვდე მათსურვილებს და შეძლო მათი ერთ ფორმულაში ჩამოყალიბება, რომ საზოგადოება სიამოვნებით დაგაყენებს თავის მეთაურად. მაგრამ ამას აქვს ძალზე ნეგატიური მხარეც: "ეს ხომ ჩამორჩენილი საზოგადოების ხელში სრულიად უმნიშვნელო ფიგურადქცევას ნიშნავს, ეს ხომ ფლუგერის როლია, რომელიც მხოლოდ უმრავლესობის განწყობილებას გამოხატავს და განა ასეთიადამიანი მართავს საზოგადოებას? პირიქით, სწორედ საზოგადოება მართავს ამგვარ "ხელმძღვანელს". განაღა უნდა გვიკვირდეს, რომ ასეთი "წინამძღოლი" წარამარა იძულებული ხდება, ბრბოს მუდმივ ცვალებადი განწყობილების გათვალისწინებით დღესგვიმტკიცოს ის, რასაც ერთი წლის წინ უარყოფდა და პირიქით? (მერე ამ საკითხს უფრო ჩაუღრმავდა გუსტავ ლებონი - ვ.შ.). რათქმა უნდა, ამგვარ "ინტელიგენციას" უკვე აღარავითარი გავლენა აღარა აქვს მასაზე, რადგან აქ როლებია შეცვლილი: მასთვითონ კი აღარ მიჰყავს საზოგადოება, არამედ საზოგადოება მიათრევს მას ყველგან, საითაც კი გაიწევენ მისი ბნელიინსტინქტები.**

ნიკოლაძის დაკვირვებით მეთაურის, წინამძღოლის სავარძელში დაუმსახურებლად აღმოჩენილი ადამიანის მთავარი მახასიათებელია ის, რომ იგი ყოველგვარ საშუალებას მიმართავს, რათა ჩამოიშოროს ყველა ნიჭიერი, დამოუკიდებლად მოაზროვნე ადამიანი, ირგვლივ შემოიკრიბოს უნიჭოები, რომლებიც უსიტყვოდ შეასრულებენ "მეთაურის" ნება-სურვილს და სრულიად უპასუხისმგებლოდ გაიყოფენ, მასთან შეთანხმებით, წინამორბედის ფლუგერულ როლს, ასეთ "წინამძღოლებს" ისე ეშინიათ და გაურბიან ნიჭიერ ადამიანებს, როგორც ეშმაკი - საკმეველს: **"ნიჭიერი ხალხის რაღაც საქმით დასაინტერესებლად საჭიროამუშაობა, დაბეჯითება, აზრის თანმიმდევრობა, ხასიათის სიმტკიცე, მათ არ შეიძლება მხოლოდ უბრძანო: "გააკეთეთ ეს და ეს", საჭიროა იქვე დაასაბუთო - რატომ უნდა გაკეთდეს სწორედ ეს და არა სხვა რამ, ხოლო გონებაჩლუნგებთან კი, რომელთა უჭკუოთავეებში არასოდეს დაიბადება რაიმე წინააღმდეგობა, ეჭვი ან შეკითხვა, შეიძლება შემოიფარგლო მითითებითა დაბრძანებებით".**

საბოლოოდ ნიკოლაძე დაასკვნის, რომ ასეთი მეთაურების სურვილი - გამოჩდნენ დიადნი, რის მიღწევასაც ისინი ცდილობენ თავის გარშემო მხოლოდ ქონდრისკაცების შემოკრებით, მარცხისთვისაა განწირული - "წიწილებში მამალიც გამოირჩევა სიმაღლით, მაგრამ მას ამისთვის გიგანტად არავინ თვლისო", "საჭიროა ქონა არა მხოლოდ გონების, ცოდნის, ხასიათის ბრწყინვალებისა, არამედ დარბაისელი ხარისხისაც. მაშინ თავისუფლად და ყოველგვარი მოთხოვნილების გარეშე დამყარდება ის პრესტიჟი, ურომლისოდაც წარმოუდგენელია რაიმე დისციპლინა".

რა შემთხვევაში შეიძლება შესთავაზოს პიროვნებამ თავის თავი ლიდერად ხალხს? ნიკოლაძის დაჟინებული თვალსაზრისით, **ისსათავეში უნდა დადგეს იმ შემთხვევაში, "თუ თანამემამულეებზე უფრო გამჭრიახი, დაკვირვებული, მოხერხებულია და იცისროდის უნდა დაძრას ისინი წინ, ხოლო როცა საჭიროა, ადგილზე შეაჩეროს".**

ნიკო ნიკოლაძე ერთმანეთს ადარებს ევროპელ და ქართველ საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეებს. მისი აზრით, ევროპის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მთავარ როლს ჩვეულებრივ ორი ტიპის მოღვაწენი ასრულებენ: ფანატიკოსები და მოანგარეები (ე.ი. ანგარებიანი ადამიანები). რაც შეეხება საქართველოს, **"საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვის მომზადებული ადამიანები, - ხაზსუსვამს ნიკოლაძე, - რომლებიც ამ საქმიანობისთვის საჭირო ცოდნით და ნიჭით იყვნენ აღჭურვილნი, ჩვენში ძლიერ ცოტაა. კიდევ უფრო ნაკლებად გვყვანან ფანატიკოსები, რომლებიც იკისრებდნენ საზოგადოებრივ მოღვაწეთა რკინის ბორკილებისტარებას... კიდევ უფრო მეტი რაოდენობით გვყვანან სავსებით მოუმზადებელნი პირნი, რომლებსაც ბრწყინვალესაზოგადოებრივი მდგომარეობის უზომო მადა აქვთ, მაგრამ სრულიადაც არ გააჩნიათ არც მშვიდი ანგარიშიანობა, არცგა-**

**მძლეობა, არც უნარი, რომ საკუთარი ძალ-ღონით და მეტნაკლებად რიგიანი საზოგადო საშუალებებით მიაღწიონ თავიანთმიზანს და რაკი სხვა ტიპის საზოგადო მოღვაწენი ჩვენ არ გაგვაჩნია, ამიტომ ბურთი და მოედანი რჩება ხოლმე ამ ორი ტიპს - სათნო აზიზ-მაზიზებს, ერთი მხრივ, და არაკეთილსინდისიერ ინტრიგანებსა და მოანგარეებს - მეორეს მხრივ".**

ასეთი "ლიდერებისა" და "მოღვაწეების" ჩამოყალიბებაში და ხელისუფლებაში მოსვლაში ნეგატიურ როლს ჩვენი საზოგადოებაც ასრულებს მისთვის დამახასიათებელი ისეთი თვისებებით, როგორიცაა პირმოთნეობა, მლიქვნელობა, პანეგირიკი, უპასუხისმგებლობა (ანუ "ყიზილბაშობა", როგორც ამას ილია ჭავჭავაძე უწოდებდა): "გასაგებია ისეთი საზოგადოების მავნებლობა - წერდა ნ. ნიკოლაძე, **- სადაც თქვენს აზრებს ბრმად იმეორებენ და სადაც კრიტიკული დამოკიდებულების ნაცვლად ხოტბასგასხამენ. ასეთ ვითარებაში ადამიანის გონებას ეუფლება ძილი და იგი სულ უფრო ნაკლებს მუშაობს საკუთარ თავზე".**

პოლიტიკური ლიდერების შესახებ ნიკო ნიკოლაძის თვალსაზრისი ყველაზე კარგად გამოჩნდა მის ვრცელ ნარკვევში **"ლუი ბლანიდა გამბეტა"**, რომელიც პირველად რუსულ ენაზე დაიბეჭდა მ. სალტიკოვ-შჩედრინის ჟურნალში "ოტეჩესტვენნიე ზაპისკი". ესაა უსერიოზულესი პოლიტოლოგიური, ანალიტიკური გამოკვლევა თავის თანამედროვე ცნობილ ფრანგ პოლიტიკოსებზე, რომლებიც თითქმის ერთდროულად გარდაიცვალნენ. ლუი ბლანი (1811-1882) და **ლეონ გამბეტა (1838-1882) იყვნენ საფრანგეთის რესპუბლიკური პარტიის ლიდერები და ძალზე ცნობილი პოლიტიკოსები.**

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ნიკო ნიკოლაძესთვის მნიშვნელოვანია როგორც ლიდერობის **თვისებათა თეორია** (რომელიც აქცენტს აკეთებს ლიდერის პიროვნულ თვისებათა მრავალფეროვნებაზე), ასევე სიტუაციური თეორია (რომლის მიხედვით სიტუაცია ქმნის ან წარმოაჩენს ლიდერს). **მისთვის მაინც გადამწყვეტია ლიდერის პრაქტიკული და არა იმდენად თეორიული მოღვაწეობა.** გამბეტას პოლიტიკური მოღვაწეობის ანალიზს იგი იწყებს მისი გარდაცვალების ცნობით, რომ სიკვდილმა პოლიტიკურ ასპარეზს ჩამოაშორა უდიდესი ძალა, რომელსაც შეეძლო გავლენა მოეხდინა არა მარტო საფრანგეთის ბედზე, არამედ მსოფლიო მოვლენათა მსვლელობაზე, ე.ი. ნიკოლაძეს გამბეტა მიაჩნდა მსოფლიო მნიშვნელობის ფიგურად, რომელშიც იგი ხედავდა სწორედ პრაქტიკულ ძალას. ნიკოლაძე აქვე იმოწმებს საზოგადოებრივ აზრს, რომლის თანახმად **მოაზროვნენი შეიძლება დაიშრიტონ და გაღატაკდნენ, მაგრამ პრაქტიკული მოღვაწენი მუდამ ახალგაზრდები და დაუშრეტელნი არიან. მათ შეუძლიათ ღრმა მოხუცებულობამდესარგებლობა მოუტანონ საზოგადო საქმეს. ამიტომ, როცა ასეთი მოღვაწენი კვდებიან, ყველას ეჩვენება, რომ მათთან ერთადიმარხება უამრავი ნაყოფიერი საქმე (ეს სიტყვები თავად ნ. ნიკოლაძეზეა ზედგამოჭრილი).**

ნიკო ნიკოლაძე მაღალ შეფასებას აძლევს ლუი ბლანისა და გამბეტას მოღვაწეობას, რომლებმაც თვალსაჩინო როლი შეასრულეს საფრანგეთის ისტორიის კრიტიკულ პერიოდებში 1848-1882 წლებში. ნიკოლაძის მოხდენილი გამოთქმით **"მათ ჰქონდათ საათებიდა თვეები ყველაზე უფრო სახარბიელო დიქტატურისა - გონების, ტალანტის დიქტატურისა".** მათ ამ აღიარებას მიაღწიეს სიმდიდრის, არმიის, ორგანიზაციის (პარტიის), პირადი პატივისმცემლებისა და მაჩანჩალების გარეშე, ყველაზე შფოთიან პერიოდებში მიაღწიეს ფრანგთა მორჩილებას, რაც ძნელი გასაკეთებელია. მათი ერთადერთი იარაღი იყო თანამოქალაქეთა რწმენა და გონებაზე ზემოქმედება.

ნიკოლაძე იკვლევს, თუ რა განაპირობებდა დროდადრო მათში ძალის ან უძლურების მოზღვავებას, მათი პოლიტიკური მნიშვნელობის არასტაბილურობას, მათ გავლენას თანამედროვეთა გონებასა და ბედზე.

ნიკოლაძე მიუთითებს, რომ **ნეკროლოგებით, რომლებშიც ყველა მიცვალებული გენიოსადაა გამოყვანილი, ძნელია რეალობის დასიმართლის დადგენა.** ისეთ ქვეყანაში პირველობის მოსაპოვებლად, როგორიცაა საფრანგეთი, საჭიროა ასჯერ უფრო მეტი ნიჭი და ძალა, ვიდრე სხვა რომელიმე ქვეყანაში. ნიკოლაძე ხაზს უსვამს გამბეტას მრავალმხრივ ნიჭს, რომელსაც განგებამ უხვად უწყალობა ყველა ღირსება, რაც სახელმწიფოს მეთაურისთვისაა აუცილებელი: **მჭევრმეტყველება** (რომლითაც მასებს ატყვევებდა), **მოქნილიგონება** (ადვილად რომ შეუძლია შეითვისოს ყოველი ახალი და ადვილადვე გახადოს საზოგადოების საკუთრება), **გამბედაობა** (რაც კადნიერებამდე და თავხედობამდეც მიდიოდა), **მხიარულება (იმსახურებდა ყველას სიმპატიას), ფრთხილი ანგარიშიანობა, ენერგიულობა, სიმტკიცე, მოთმინების უნარი, ლაკონური მეტყველების ოსტატი** (მასზე მეტად არავის შესწევდა ძალა რთული პოლიტიკური აზრის ორსიტყვიან ფორმულაში ჩამოსხმისა, რაც თვით გულცივთა გონებაშიც კი იბეჭდებოდა), **საკუთარი თავისრწმენა** (არავის სჯეროდა საკუთარი ვარსკვლავისა და თავისი მოწოდებისა ისე, როგორც ამ კაცს ჯერ კიდევ ბევრად უფრო ადრე, ვიდრე მის სახელს ვინმე გაიგონებდა), **ბედმა მას ასევე უხვად მოუვლინა სხვადასხვა სიტუაციები, პირობები, შემთხვევები, რომლითაც მისი ტალანტი ასე რელიეფურად წარმოჩნდა.**

ნიკოლაძეს მიაჩნია, რომ იმ ხალხს, რომელიც სედანის შემდეგ (1870 წელი) ნაპოლეონ III არმიის განადგურებასთან ერთად შიშსა და ძრწოლას მოეცვა, იგი ციდან მოევლინა ღმერთივით, გამამხნევებელი სიტყვით და მისი ხელის ერთი აქნევით მიწიდან ამოიზარდა ხუთი არმია. მართალია მან ვერ შე-

აჩერა პარიზის დაცემა (ეს არავის შეეძლო), მაგრამ ნაციონალური საბჭოს ჩამოყალიბების და კომუნის დაცემის შემდეგ იგი რესპუბლიკის გამარჯვების მაუწყებლად მოგვევლინა. მისი მცდელობებით გაცვდა ყველა ზრახვა, ჩანაფიქრი და ინტრიგა ფრანგი მონარქისტების. **თუმცა ასეთი პოპულარობის მქონე ადამიანმაც კი ვერ შეძლო მასზე უგონოდშეყვარებული მასა გადაეყვანა გზიდან და თავის რჩეულ გზაზე დაეყენებინა.**

ნიკოლაძის აზრით, ბრწყინვალე ნიჭიერებამ გამბეტას მხოლოდ იმიტომ შეუქმნა ავტორიტეტი, რომ მან თავისი ნიჭი მართალ საქმეს მიუძღვნა, საქმეს, რომელიც მოიტანა ისტორიულმა პროგრესმა. **როდესაც თავისი წარმატებით თავბრუდახვეულმა, თავისავტორიტეტს ბრმად მინდობილმა გამბეტამ მოწინააღმდეგეს სძლია, მან წარმოიდგინა, რომ მისთვის ყველაფერი დასაშვებია, რომ მას შეუძლია გაბედოს და შეცვალოს ისტორიის ბორბლის ტრიალი, შეუძლია მოატყუოს ისტორიის პროგრესი. ვიდრე ის ამსაქმის ერთგული იყო, ძალაც მის მხარეზე იყო, რადგან ქვეყნის ყველა ცოცხალი ძალა მას მიეკედლა. მიუხედავად იმისა, რომმან დაუშვა რამდენიმე ძალზე მნიშვნელოვანი შეცდომა, ამ ჩავარდნებმა მისი მნიშვნელობა არ დააკნინა ფრანგთა თვალში.**

ნიკოლაძე გამბეტას უდიდეს დამსახურებად თვლის საშუალო ფენის - არმიისა და ბურჟუაზიის მიზიდვას მონარქიიდან რესპუბლიკისაკენ და დისციპლინის განმტკიცებას მათ შორის. მეორე დიდი დამსახურება იყო ის, რომ გამბეტამ შეძლო რესპუბლიკური პარტიის გაფართოება მთელი ქვეყნის მასშტაბით: "როცა პირველი ფალანგის საგმირო საქმეები პარტიისკენ მიიზიდავს მომხრეთა მასებს, **შემდეგ საჭირო ხდება გონიერი და შორსმჭვრეტელი ორგანიზაციის ჩამოყალიბება, რომლის მიზანიიქნება წინსვლა არა ნახტომებით, არა ალალბედზე და თავპირისმტვრევით, არამედ მტკიცე და ბუნებრივი ნაბიჯებით, რომლისსიმწყობრეც იმატებს პარტიის ძლიერების თანდათანობით განმტკიცების ხარჯზე. დგება საკითხი, რომ ძალთა და სახსართახარჯვა უნდა შეეფარდოს მოსალოდნელ შედეგთა ნამდვილ მნიშვნელობას, რაც წინასწარ უნდა აიწონ-დაიწონოს, გამოითვალოსყოველი ნაბიჯი, ყოველი გადასვლა, რათა არ მოგვიხდეს უკან დაბრუნება ან ერთი და იმავე ადგილის ტკეპნა".**

აქედან გამომდინარე ნიკოლაძე აკეთებს შესაბამის დასკვნას, რომ **"პოლიტიკაში მთავარია ენერგია, როგორც მოქმედების გეგმის შესადგენად, ისე მისი განხორციელებისთვის. ენერგია კი, ცნობილია, ძნელად შესანახია, მაგრამ ადვილი გასანიავებელი...**შეიძლება მოაგროვო პიროვნებათა მასა, რომელთაც ძალა შესწევთ გამოავლინონ ენერგია გარკვეული საათებისა და დღეების მანძილზე, ძალუძთ ძრწოლის გარეშე შეხვდნენ სიკვდილს, გაბედულად შეუშვირონ მკერდი ტყვიას, მაგრამ ბევრ მათგანს, სავსებით ენერგიულ პიროვნებას, მაინც არ ეყოფა ამტანობა, შეინარჩუნოს ენერგიის იგივე ვადა რამდენიმე წლის მანძილზე, არა მხოლოდ სიკვდილის, არამედ წვრილი, ოდნავ შესამჩნევი დაბრკოლების წინაშეც. **სიკვდილის მუქარის წინ ქედმოუხრელი ადამიანებიწამდაუწუმ იდრიკებიან და ქედს უხრიან წვრილ ინტრიგებს, პროზაულ დაბრკოლებებს. ამის გამო პოლიტიკური მოღვაწეშეუდარებლად მტკიცე და თანმიმდევრული უნდა იყოს პარტიული პროგრამის განხორციელებაში, ვიდრე დროდადროგაელვებულ აფეთქებებსა და მანიფესტაციებში, რაოდენ სახიფათო და ეფექტურიც არ უნდა იყოს ისინი".**

ნიკოლაძის თქმით, გამბეტამ შექმნა საერთო ფრანგული მასშტაბის ძლიერი პარტია, სადაც **ტალანტები ვერც კი ასწრებდნენგამოვლენას, რომ უკვე აწინაურებდნენ, უძებნიდნენ შესაბამის როლს. ამით აღწევდნენ პოლიტიკაში ყველაზე უფრო ძნელადგანსახორციელებელ შედეგს - ამოექაჩათ რაც შეიძლება მეტი სარგებელი ქვეყანაში არსებული ძალებიდან სათანადო სფეროშიყოველგვარი ნიჭის ჩაყენების გზით: "ძალთა ასეთი ეკონომიის წყალობით რესპუბლიკური პარტია, რომელიც მანამდემოუმზადებელი და პრაქტიკულად უძლური ჩანდა, უცებ გამობრწყინდა, გამოავლინა მცოდნე პრაქტიკული და ნიჭიერიადამიანების ისეთი რაოდენობა, რომელზედაც არც ერთ პარტიას არ შეუძლია ეოცნება საფრანგეთში. სწორედ ამგვარორგანიზაციაშია საჭირო ის "დისციპლინა", ურომლისოდაც არ შეიძლება პარტიის არსებობა და არა მისი ყველა წევრის ბრმამორჩილებაში რომელიმე პიროვნებისადმი, რაოდენ გენიალურიც არ უნდა იყოს იგი".**

ნიკოლაძე პატივს მიაგებს გამბეტასნაირ დიდ ლიდერებს, მაგრამ თვლის, რომ **"ცალკეულ პირთა ნება-სურვილი, შეცდომა თუმოქმედება, რა გავლენიანიც არ უნდა იყვნენ ისინი, უძლურია ისტორიულ განვითარებასთან".**

პოლიტიკაში ძალზე მნიშვნელოვანია დაშვებული შეცდომების ანალიზი, ის თუ რა გაკვეთილები გამოაქვთ აქედან პოლიტიკოსებს. ნიკოლაძე გამოყოფს გამბეტას რამდენიმე მნიშვნელოვან შეცდომას, რამაც მისი პოლიტიკური დასამარება გამოიწვია და კრახი განაცდევინა: "გერმანიასთან დამარცხების და საფრანგეთის დამცირების შემდეგ ომით დაღლილ და განაწამებ ფრანგებს მან წამოუყენა ლოზუნგი-მოთხოვნა "ომი, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს", რაც არასწორი იყო, **ის ასევე უარყოფდა სოციალური საკითხისარსებობას, ცხოვრობდა, ფიქრობდა და მოქმედებდა მხოლოდ სადღეისოდ და მომავლისკენ არ იყურებოდა, არ სჯეროდამოვლენეთა გარდაუვალი ცვალებადობა და ულმობელობა. დღევანდელი პოლიტიკის წვრილმანი მიზანი მას მუდმივადავიწყებდა მომავლის არსებით ინტერესებს. მას არამცთუ მარტო დღევანდელი კვერცხი ერჩივნა ხვალინდელ ქათამს, -**

**ესშედარება კარგად ვერ გამოხატავს მის უზრუნველობას, არამედ მუდმივად მზად იყო ცხვირწინ მოტანილ ოსპის შეჭამანდზეგაეცვალა პირმშოს ყველა უცილობელი უფლებები. გარდა ამისა, ის მზად იყო მომავლისათვის სიკეთისა და ოქროს მთებსდაჰპირებოდა ვინმეს, რათა დღეს ერთი კაპიკი მიეღო, ხოლო როცა ჰპირდებოდა, არასოდეს ახსოვდა, რომ სიტყვას შესრულებაუნდა.** ყველაფერ ამას კი მზაკვრობისა და ეშმაკობის გამო კი არ აკეთებდა, ვინმეს მოტყუების მიზნით კი არ სჩადიოდა, არამედ **ბოშური უზრუნველობის გამო**, იმის გამო, რომ არ იყო მიჩვეული სერიოზულად ეფიქრა მომავალზე და მტკიცედ ხსომებოდა, როგორც თავისი, ისე სხვისი დაპირება".

ნიკოლაძე ხაზს უსვამს გამბეტას სწორ ტაქტიკას, რომ ლეგალურად აეღოთ ხელში ძალაუფლება, რასაც ყველა იზიარებდა. ამასთანავე ყველა ფიქრობდა, რომ ადამიანს, რომელიც ასეთ იდეებს ქადაგებს და აშკარად ხედავს ძალაუფლების მისი პარტიის ხელში გადასვლის დროის სწრაფ მოახლოებას, უთუოდ წარმოდგენა აქვს იმაზე, როგორ უნდა ისარგებლო ძალაუფლებით. გამბეტას ამ შეცდომიდან გამომდინარეობს ნიკოლაძის გონივრული დასკვნა, რომ **"ადამიანები, რომელთაც ხელთ უპყრიათ ძალაუფლება დაარ იციან, როგორ მოუტანონ თავიანთ ხალხს კეთილდღეობა, ღირსნი არ არიან ძალაუფლებისა და ვერც შეინარჩუნებენ მას"** (ეს ზუსტად მიესადაგება საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდის ყველა ხელისუფალთ 1990-2018 წლებში - ვ.შ.).

აქედან გამომდინარეობს ნიკოლაძის მეორე ბრწყინვალე და პრაგმატული დასკვნა, რომ **"პარტიამ უნდა მოჰკიდოს ხელიმმართველობას რეფორმებისა და გაუმჯობესების მზა პროგრამით, რადგან, როცა ძალაუფლებას მიაღწევ, მერე უკვე გვიანღააფიქრი, მხოლოდ მოქმედებაა საჭირო. ყოველგვარი მერყეობა დასაშვებია ძალაუფლების ხელში ჩაგდებამდე და არა მაშინ, როცაყოველი წუთი საქმეს უნდა მოხმარდეს"** (ეს დღემდე არის ქართული მმართველი პოლიტიკური პარტიების უდიდესი მინუსი - ვ.შ.).

ნიკოლაძე მიუთითებს, რომ გამბეტამ ვერ წარმოადგინა ვერც რეფორმათა პროგრამა, ვერც პოლიტიკური სისტემის გარდაქმნის გეგმა; წლების მანძილზე იგი ერთ ადგილს ტკეპნიდა. ანრი როშფორმა გააშიშვლა მისი აქილევსის ქუსლი, როცა იხუმრა: გამბეტა ისე შეუდგება ხვალიდან რეფორმებს, როგორც ზარმაცი მოსწავლეები იფიცებიან ხოლმე - მომავალი ორშაბათიდან დავიწყებ მეცადინეობასო.

ნიკოლაძე აქვე ხაზს უსვამს გამბეტას არასწორ საკადრო პოლიტიკას ხელისუფლებაში მოსვლის დროს: **"მან პორთფელების უმეტესინაწილი ისეთ ხალხს დაურიგა, რომელთაც არამცთუ მარტო ქვეყანა არ ენდობოდა, არამედ პარლამენტის ვიწრო წრეებშიცავტორიტეტი არ ჰქონდათ... ლომი დაწვა და კატა შობაო... დაცემის ძალა და სიღრმე შეესაბამებოდა გამბეტაზე დაკისრებულიიმედების და სასოების სიმაღლეს... ყველა ის განცხადება, მის კუბოს რომ აცილებდა, ეხებოდა გამბეტას პატრიოტიზმს, 1870 წლის ამბებში მის როლს, მაგრამ ამასთან ერთად, არავის, თვით მის მახლობელ მეგობრებსაც კი, აზრადაც არ მოსვლიათ ეთქვათ, რომ გამბეტას სახით საფრანგეთმა დაკარგა დიდი კანონმდებელი ძალა, განმაახლებელი, ნოვატორი, ყველამ იცოდა და ხედავდა, რომ გამბეტა ამ მხრივ საოცრად უნაყოფო იყო"**. საბოლოოდ ნიკოლაძე დაასკვნის, რომ "გამბეტა ფრანგების თვალში სწორედ ის დატენილი რევოლვერი იყო, რომელსაც მშვიდობიანი მოქალაქენი ყოველ შემთხვევაში იძენენ თავდასხმის მოლოდინში მტრების შესაშინებლად, მაგრამ რომელსაც თვითონვე სიფრთხილითა და ფარული შიშით უყურებენ, რა არის, პატრონს რაიმე უბედურება არ შეამთხვიოს... **გამბეტა არ იდგა თავისი როლისა და ამოცანის სიმაღლეზე - დაემარცხებინა ბისმარკი. თავისი მოუხერხებლობით ის მოწინააღმდეგეს უმართავდა ხელს... გამბეტა დროულად მოკვდა, დაასწრო, ვიდრე ქვეყანა მისი შემოქმედებითი სიბერწისმოწმე გახდებოდა"**.

ამავე ნარკვევში ნიკო ნიკოლაძე იძლევა მეორე გამოჩენილი პოლიტიკოსის, მოაზროვნისა და მოღვაწის ლუი ბლანის გამბეტასთან შედარებას.

ნიკოლაძე თვლის, რომ ლუი ბლანს არ ჰქონია გამბეტას ნიჭის ბრწყინვალე მხარეები, არ გააჩნდა მისნაირი ცხოველი, მგზნებარე ტემპერამენტი, მაგრამ მასზე შეუდარებლად **ღრმა და პრინციპული იყო**: "ავადმყოფურად მორიდებულს მთელი არსებით სძულდა სცენური გარემო და განზრახ გაურბოდა ყოველგვარ ეფექტს. მას სწამდა, რომ ჰქონდა სავსებით პოპულარული მწერლის ღრმა შემოქმედებითი გონება, ნიჭი და რცხვენოდა დამდაბლებულიყო იმ ილეთებამდე, რომლებიც ბრბოს განვითარების დონეს ახასიათებდა". ნიკოლაძე ხაზს უსვამს მის ბრწყინვალე ორატორულ ნიჭს და ინტელექტს **("ჰქონდა ტალანტი თავისამდეაემაღლებინა თავისი მკითველები და მსმენელები, იცოდა, როგორ გამხდარიყო პოპულარული და გასაგები თვით ყველაზედაბალი წრისათვის"). ნიკოლაძე თვლის, რომ ლუი ბლანმა რესპუბლიკას უფრო მნიშვნელოვანი სამსახური გაუწია, ვიდრეგამბეტამ.** მისი დამსახურება იყო, რომ მუშათა კლასმა მხარი დაუჭირა რესპუბლიკას. 1848 წლის რევოლუციური მოვლენების დროს "მოსახლეობის კერპი ლუი ბლანი პოლიტიკის ყოვლისშემძლე მესვეური იყო. მაშინ მან ვერ გაბედა ისეთი თამამი, მაგრამ მეტისმეტად სარისკო ნაბიჯის გადადგმა (დროებითი მთავრობის გარეკვა, რაც მის ერთ სიტყვაზე იყო დამოკიდებული - ვ.შ.), მან არ მოისურვა თავი დიქტატორად გამოეცხადებინა, ვერ მოახერხა ან ვერ შეძლო ესარგებლა ბურჟუაზიული პანიკით, რათა დროებით მაინც გაეტარებინა ცხოვრებაში ისეთი რეფორმები, რომელთა კვალსაც შემდგომ ვერავითარი

რეაქცია ვერ მოსპობდა". ლუი ბლანის შეცდომებზე დაყრდნობით ნიკოლაძე აკეთებს დასკვნას, რომ **"პოლიტიკური მოღვაწე, რომელსაც მოვლენათა მსვლელობაწამოსწევს ხელისუფლებაში, ის კი ხელიდან გაუშვებს შესაძლებლობას ამოქაჩოს იქიდან თავისი დოქტრინისა და პარტიისათვისრაც შეიძლება მეტი სარგებელი, თითქმის ყოველთვის კარგავს ნდობას თავის მიმდევრებში, ხოლო მოწინააღმდეგეთა თვალში კიყოველგვარ ავტორიტეტს"** (იქვე).

ნიკოლაძე ხაზს უსვამს, რომ საჭირო იყო ახალი თაობის მოსვლა, 1848 წლის შეცდომებისა და გულგატეხილობის დავიწყება, რომ ლუი ბლანის დოქტრინის (სახელმწიფო სოციალიზმი - ვ.შ.) არსებით მხარეებსა და მის უდიდეს ტალანტს კვლავ შეექმნა მისთვის მნიშვნელობა და ავტორიტეტი რესპუბლიკელთა მასებში. მიუხედავად იმისა, რომ იგი 22 წელი (1848-70 წ.წ.) იძულებით გადახვეწილი იყო ინგლისში, რომელიც ლუი ბლანმა შრომაში და ბრძოლაში გაატარა, ამ დევნილის პრესტიჟმაც კი ვერ შეძლო განემტკიცებინა მისთვის გარკვეული პოლიტიკური როლი მესამე რესპუბლიკის მთავრობაში. **1870 წლის შემდეგ ლუი ბლანისსაზოგადოებრივი მოღვაწეობა არ შეესაბამებოდა მის მნიშვნელობას 1848 წელს, როგორც თვითონ განმარტა, იგი სრულიადშეგნებულად გაუჩინარდა, დარწმუნებული, რომ პარტიისა და სამშობლოს საარსებო ინტერესები ამას მოითხოვდნენ"** (ანუ, გააკეთა ის, რაც აქამდე ვერც ერთმა ქართველმა პოლიტიკოსმა ვერ შეძლო - ვ.შ.).

იმედია, რომ ახლო მომავალში გაბათილდება ის სკეპსისი და გულისტკივილი, რომელიც ნიკოლაძემ გამოთქვა 105 წლის წინ: "ეღირსება კი ოდესმე ჩვენი უბედური ქვეყანა, რომ მის საქმეთა სათავეში, მისი ბედის მეთაურად, მისი საჭიროების გამომხატველად, მისი ენერგიის წარმმართველად თანამედროვე ცოდნით შეიარაღებული წინამძღოლები ჰყავდეს? თუ მას ელის დაღუპვა ისე, რომ ვერ ეღირსოს ნათელს და იმ მეთაურთა მსხვერპლი შეიქნეს, ვინც ვერც კი ხვდება თავის გონებრივ სიბნელეს და ქვეყანას უფსკრულისაკენ რომ მიაქანებს".

ამრიგად, ნიკო ნიკოლაძის შეხედულებანი პოლიტიკური პარტიისა და ლიდერობის შესახებ დღესაც მაღალი მეცნიერული დონით გამოირჩევა და კვლავაც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია ქართული პოლიტიკური სისტემისა და პოლიტიკური ელიტისათვის, პარტიული მშენებლობისათვის და მომავალი პოლიტიკური ლიდერების სწორ გზაზე დასაყენებლად.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. ვაჟა შუბითიძე ნიკო ნიკოლაძე - კაცი-სახელმწიფო,თბ; 2013;

2. ნიკო ნიკოლაძე თხზულებანი,ტ.8, ქუთაისი, 2003;

3. ნიკო ნიკოლაძე 170, საიუბილეო კრებული, თბ; 2013;

4. ოთარ ჯანელიძე ნიკო ნიკოლაძე(ბიოგრაფიიდან ამოხეული ფურცლები),თბ; 1998;

5. ქეთევან ჯიჯეიშვილი ქართული დემოკრატიის სათავეებთან (ნ.ნიკოლაძე, ა.ჯორჯაძე), თბ; 2002.

# კვალიფიციურად დაგეგმილი სახელმწიფო შესყიდვის ეტაპები და კომპონენტები

*ელენე მენაბდე-ჯობაძე*
*ეკონომიკის დოქტორი*
*ირმა ჭანტურიძე*
*სტუ-ს დოქტორანტი*

**THE STAGES AND COMPONENTS OF QUALIFIEDLY PLANNED STATE PROCUREMENT**

**Elene Menabde-Jobadze**
Doctor of economics
**Irma Chanturidze**
GTU, PHD

**RESUME**

Crucial and radical reforming of Georgia's state procurement sector was launched in 2010 and the process is still in progress. Both the law and electronic system of the state procurement is eventually improved and developed. Introduction of electronic service of procurement was basically aimed at ensuring maximally transparent performance of state procurement procedures, fostering competitive market and minimizing corruption risks. Although, the electronic system provides maximum transparency and equal circumstances for all suppliers, the law still contains the means of procurement, which carry high risks of corruption transactions, leaves opportunities for partial decisions, allows selective approaches and therefore, there is a need to revise the applicable legislation and make particular focus on its gaps.

State procurement is one of the least corruption resistant systems as it is deals with administering state and local funds. Considering the research and analysis of the applicable legislation, it is evident that its major part complies with international standards. Most urgent steps for reforming the state procurement system have been already taken, however, there still remain the gaps that need to be further remedied in order to develop procedures and increase the quality of transparency.

**Key words:** supply, demand, competition, market survey, state procurement, planning

**საკვანძო სიტყვები:** მიწოდება, მოთხოვნა, კონკურენცია, ბაზრის კვლევა, სახელმწიფო შესყიდვები, დაგეგმვა.

* * * *

საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სფეროს მნიშვნელოვანი და გარდამტეხი რეფორმები დაიწყო 2010 წლიდან, რომელიც დღესაც გრძელდება. იხვეწება და ვითარდება, როგორც კანონმდებლობა ასევე ელექტრონული სისტემა. შესყიდვების ელექტრონული სისტემის შექმნის ძირითად ამოცანას წარმოადგენდა სახელმწიფო შესყიდვების მაქსიმალურად გამჭვირვალედ წარმართვა, კონკურენტუნარიანი ბაზრის შექმნა და კორუფციის მინიმუმამდე დაყვანა. მიუხედავად იმისა, რომ ელექტრონული სისტემა მაქსიმალურად გამჭვირვალეა და თანაბარ პირობებს ქმნის ყველა მიმწოდებელი კომპანიისათვის, კანონმდებლობაში ჯერ კიდევ არსებობს შესყიდვის საშუალებები, რომლებიც შეიცავს კორუფციული გარიგების მაღალ რისკებს, იძლევა სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების საშუალებას, შერჩევითობას და შესაბამისად მოითხოვს გადახედვასა და ყურადღების მიპყრობას.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სახელმწიფო შესყიდვების წარმატებით განხორციელების წინაპირობაა კარგად და კვალიფიციურად დაგეგმილი წინამოსამზადებელი ეტაპები, როგორიცაა: შესყიდვების დაგეგმვა, ბაზრის მოკვლევა და საკვალიფიკაციო და ტექნიკური მოთხოვნების შემუშავება. აქ უკვე აღარაფერს ვიძახით იმის თაობაზე, რომ შემსყიდველ ორგანიზაციას უნდა ჰყავდეს კვალიფიციური და პროფესიონალი თანამშრომელი, რომელიც ყველა ამ ეტაპს წარმატებით განახორციელებს.

აღნიშნული ეტაპების არაკვალიფიციურად წარმართულ პროცესებს კი მივყავართ იმ შედეგებამდე, რომლის თანმდევია გადაუდებელი და დაგვიანებული შესყიდვა, შესყიდვის პირობების არაობიექტური განსაზღვრა, როგორიცაა შესყიდვის მოკლე ვადების დადგენა, შესყიდვის შემცირებულ კონკურენციის პირობებში წარმართვა და შედეგად კი შეუსაბამო საქონლის თუ მომსახურეობის მიღება.

შესყიდვების მოსამზადებელი ეტაპი არის შესყიდვის პროცესის საწყისი ფაზა, რათა შემდგომ ეტაპზე სწორად წარიმართოს და სწორად იყოს მართული როგორც შესყიდვების განხორციელების ეტაპები, ისე შესყიდვის შედეგად გაფორმებული ხელშეკრულებები და მოხდეს მათი ანალიზი და შეფასება. შესყიდვის სწორი დაგეგმვა შესყიდვების მთლიანი ციკლის უმნიშვნელოვანესი ნაწილი და წარმატებული შესყიდვის წინაპირობაა. პირველი და უმთავრესი პრობლემა შესყიდვების სფეროში, თავს იჩენს არასწორად დაგეგმილი შესყიდვებისას. დგება არასასურველი შედეგები, კერძოდ კი ხშირდება სახელმწიფო შესყიდვის გაჭიანურება, დგება გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვე-

ული სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების აუცილებლობა, ხშირდება ხელშეკრულების პირობების ცვლილებების საჭიროება, რიგ შემთხვევაში ხორციელდება საჭიროებასთან შეუსაბამო შესყიდვა. შესაძლებელია ასევე დადგეს რისკი იმისა, რომ არასწორად დაგეგმვამ გამოიწვიოს კონკურენციის შემცირება, რაც თავის მხრივ გამოიწვევ საჯარო ფინანსების არარაციონალურად ხარჯვას და ჯანსაღი კონკურენციის უგულებელყოფას.

უნდა აღინიშნოს, რომ შესყიდვების დაგეგმვა მჭიდროდაა დაკავშირებული ბიუჯეტთან. ბიუჯეტის დაგეგმვისას შემსყიდველი ორგანიზაცია წინასწარ განსაზღვრავს შუალედურ და საბოლოო მისაღწევ შედეგს, რისთვისაც მას ასევე ესაჭიროება სწორად დაგეგმილი ღონისძიების და რესურსების ერთობლივად განსაზღვრა. ასეთ შემთხვევაში შესყიდვა წარმოადგენს შემსყიდველის მიერ დაგეგმილი პროექტის აუცილებელ კომპონენტს, რომლისთვისაც უკვე თავისთავად საჭიროებას წარმოადგენს შესყიდვის ობიექტის ფიზიკური და ხარისხობრივი მახასიათებლების ზუსტი ფორმულირება.

როგორც ექსპერტები ირწმუნებიან, შესყიდვის ყოველ პროექტს ახასიათებს სამი ძირითადი განზომილება:

1. პროექტის ღირებულება;
2. პროექტის შესრულებისათვის საჭირო დრო;
3. პროექტის ხარისხი.

სამივე კომპონენტი შესყიდვისათვის ძირითად და უმნიშვნელოვანეს ასპექტს წარმოადგენს და ნებისმიერი მათგანის ცვლილება გამოიწვევს დანარჩენის ცვილებას. მაგალითად, თუ მცირდება კონკრეტული პროექტის შესასრულებელი დრო, ხარისხის ცვლილების გარეშე მისი შესრულება გამოიწვევს ფინანსური რესურსის ზრდას. ასევე მოხდება სხვა ნებისმიერი კომპონენტის ცვლილებისას.

შესყიდვის ერთგვაროვნების იდენტიფიკაციის შემდგომ ხდება უკვე სავარაუდო ღირებულების განსაზღვრა და მისი გეგმაში ასახვა, რომლისთვისაც აუცილებელია მოკვლეულ იქნას ბაზარი.

ბაზრის კვლევა განსაკუთრებით მაშინაა მიზანშეწონილი, როცა შემსყიდველ ორგანიზაციას გააჩნია შესაბამისი გმოცდილება ანალოგიური შესყიდვის განხორციელებისას. კვლევა ასევე მნიშვნელოვანია, როცა შესყიდვის მოცულობა და სავარაუდო ღირებულება განსაკუთრებით მაღალია. ბაზრის კვლევის არარსებობა ხშირ შემთხვევაში მიგვიყვანს მაღალ ფინანსურ დანახარჯებთან, რაც ორგანიზაციისათვის წამგებიანია და შესყიდვა კვალიფიცირდება როგორც არამიზნობრივი ხარჯი ან არაეფექტური შესყიდვა.

კვლევაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მიმწოდებელთა გამოკითხვა და ღია კარის დღე. მიმწოდებელთა გამოკითხვა, როგორც წესი საჭიროა ჩატარდეს ბაზრის კვლევის პარალელურად, რათა მივიღოთ ბაზრის სრული სურათი. მათთან პირდაპირი კომუნიკაციით მარტივად დასადგენია რა წარმოადგენს მიმწოდებლებში ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობისათვის ბარიერს. კვლევების შედეგად დადგინდა, რომ ესენია:

1. ორაზროვნად და კონკრეტიკას მოკლებული შესყიდვის ობიექტის აღწერა;
2. ზედმეტად და წვრილმან დეტალებამდე გაწერილი ტექნიკური დავალება, რომელიც ამცირებს კონკურენციას;
3. შესყიდვის ობიექტისათვის არაადეკვატურად დაბალი მიწოდების ვადა;
4. მიმწოდებლებისათვის სპეციალიზირების გაუთვალისწინებლობა, როცა ხდება შესყიდვის ობიექტების გაერთიანება, რომელიც ხელს უშლის ერთი მიმწოდებლის მიერ სამუშაოს შესრულებას;
5. ტენდერის მიმდინარეობის მოკლე ვადა, რომელიც ხელს უშლის ტექნიკური დავალების კარგად გაცნობას და შესწავლას;
6. შესყიდვის ობიექტის სპეციფიკისათვის არაადეკვატურად მაღალი საკვალიფიკაციო მოთხოვნები (ბრუნვა, გამოცდილება);
7. გადახდის არახელსაყრელი პირობები (არაადეკვატურად დიდი ვადა);
8. სეზონური ფაქტორების გაუთვალისწინებლობა.

ყველა ჩამოთვილილი მიზეზების გათვალისწინებით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო იძლევა რეკომენდაციებს ხშირი და ინტენსიური შეხვედრების დაგეგმვისას მიმწოდებლებთან, განსაკუთრებით მაშინ, როცა შემსყიდველს გააჩნია ეჭვი: შესყიდვის ობიექტის მიწოდების ბაზრის არსებობის შესახებ; როცა არ არის დარწმუნებული მიმწოდებელთა მხრიდან ტენდერში მონაწილეობის ინტერესში; თუ ორგანიზაციის მოთხოვნა სპეციფიური და იშვიათია.

შესყიდვების დაგეგმვის მიმოხილვის შედეგად შეგვიძლია გავაკეთოთ მოკლე რეზიუმე:

1. მოსამზადებელ ეტაპზე საჭიროა აქტიურად იყოს ჩართული როგორც შესყიდვების კოორდინატორები, ისე სხვა სამსახურებრივად დაკავშირებული პასუხისმგებელი პირები (ლოჯისტიკის სამსახური, საფინანსო სამსახური). მნიშვნელოვანია ორგანიზაციის საჭირებების კვალიფიციური შეფასება, ვინაიდან საჭიროებების არასათანადოდ შეფასება იწვევს იმ ალტერნატივის დაშვებას, რომლებიც შეუსაბამობაშია შემსყიდველი ორგანიზაციის რეალურ საჭიროებებთან. ორგანიზაციის საჭიროებების გადამეტებულად შეფასება კი წარმოქმნის მისაღები ალტერნატივების შეზღუდვის რისკს.
2. შემსყიდველის წლიური გეგმის განსაზღვრისას დგება ცალკეული შესყიდვის მოსამზადებელი სამუშაოების წარმოების აუცილებლობა;
3. ბაზრის კვლევის მასშტაბი დამოკიდებულია დაგეგმილი შესყიდვის მოცულობაზე, სპეციფიკაციასა და მნიშვნელობაზე.

დაგეგმვის ბოლო ეტაპს წარმოადგენს უკვე

შესყიდვის განხორციელება, რომელიც ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორებისაგან შედგება და მათი არასწორად წარმართვაც იწვევს შესყიდვების შეფერხებას. მაგალითად, ელექტრონული ტენდერის ჩატარებისას უმნიშვნელოვანესი და მთავარ რისკ ფაქტორს სახელმწიფო შესყიდვების არასწორად განხორციელებისას წარმოადგენს სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნების ჩამოყალიბება. სატენდერო დოკუმენტაცია არის იმ დოკუმენტთა და საკვალიფიკაციო მოთხოვნათა ის ნუსხა, რომელიც აღწერს შესყიდვის ობიექტს და რომელსაც ადგენს სატენდერო კომისია. სატენდერო დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს:

✓ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს ელექტრონულ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტი;

✓ შესასყიდი საქონლის რაოდენობას, სამუშაოს ან მომსახურების მოცულობას, მიწოდების ადგილს, ვადას და ფორმას;

✓ შესყიდვის ობიექტის ტექნიკურ მახასიათებლებს, რომლებიც შეიძლება იყოს როგორც ფუნქციური, ისე ტექნიკური. ხელშეკრულების ძირითად პირობებს, რომლებიც წინასწარ არის ცნობილი;

✓ მითითებას ხელშეკრულების შესრულების გარანტიაზე არსებობის შემთხვევაში;

✓ მეთოდები, რომლის მიხედვითაც მოხდება სატენდერო წინადადების ღირებულების დაანგარიშება, მათ შორის დამატებითი ღირებულების გადასახადის და ინფორმაცია სხვა გადასახადების შესახებ (ტრანსპორტი, დაზღვევა და სხვა);

✓ სატენდერო კომისიის და სატენდერო კომისიის აპარატის შემადგენლობა;

✓ სხვა დამატებით ინფორმაციას და მითითებას განმარტების მოთხოვნის საშუალებებსა და პროცედურებზე.

შემსყიდველის მხრიდან აღნიშნული ტექნიკური და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების მოთხოვნა ემსახურება მიმწოდებლის ცოდნის, გამოცდილების, ფინანსური შესაძლებლობების გამორკვევას და ასევე პოტენციური მიმწოდებლის სანდოობის შეფასების მიზანს. ყველა ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმი წარმოადგენს გარანტს (მეტნაკლებად), შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, რათა სრულყოფილად და მაღალი ხარისხით შესრულდეს შესაბამისი პროექტი. რომელიმე კრიტერიუმის არ არსებობა, ან მისი დაბალი მაჩვენებელი, პროექტის გამჭვირვალობას ეჭვქვეშ აყენებს და მისი ჩავარდნის რისკს წარმოქმნის.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონი ძირითადად დამაკმაყოფილებელია. უზრუნველყოფს ეფექტიანობას და სამართლიანობას, ელექტრონული პლატფორმა აძლიერებს კანონმდებლობის არადისკრიმინაციულ ხასიათს და უზრუნველყოფს ზოგად გამჭვირვალობას. თუმცა, გარკვეული საკითხები საჭიროებს გაუმჯობესებას, ესენია: ბაზრის კვლევა, სატენდერო პირობების კვალიფიციურად შედგენა, ელექტრონული ტენდერების პროფესიონალურად წარმართვა, წარუმატებელი ტენდერების რაოდენობა, პირდაპირი შესყიდვების წილი, შესყიდვების კანონმდებლობიდან გამონაკლისების რაოდენობა და აგრერირებული მონაცემების შედგენა და გამოქვეყნება.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2018 წლის ანგარიში

2. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონი

3. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი"

4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალური ვებგვერდი http://www.procurement.gov.ge/ უკანასკნელად გადამოწმებულია 15.09.2019.

5. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო" საქართველო სახელმწიფო შესყიდვების სისტემა, თბ 2013.

6. კუნკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სტრატეგია, თბ 2013.

# მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები და მათი გადაჭრის გზები

***ლია ჭყონია***
*სტუ ასოცირებული პროფესორი*
***მარინა ბაღათურია***
*სტუ-ს ასისტენტ-პროფესორი*

**SOCIO-ECONOMIC AREAS OF HIGHLANDS PROBLEMS AND WAYS TO SOLVE THEM**

**Lia Chkonia,** Associate Professor of GTU
**Marina Bagaturia,** Assistant Professor of GTU

**RESUME**

The most pressing problem for the highland populations is low income and unemployment. Only 22% of the population is employed on paid work. For 51% of households, the main source of income is pension and state aid. For 35% of families, the monthly income does not exceed 250 GEL. In the majority of highland settlements, agriculture is the main source of population activity and, therefore, income.

The Law of Georgia on the Development of Highland Regions was enacted in 2016 and a strategic development plan was developed. Within this framework certain benefits were granted to the individuals and entrepreneurs living in the settlements. The law provides certain benefits that have already yielded some results.

The Law on the Development of Highland Regions provides for various benefits. The entrepreneur, after being granted the status of a Highland Settlement Enterprise, will be exempt from income tax for 10 years and will not be taxed by the state as income from the business.

Highland Settlement Enterprises are exempt from income tax for 10 years.

The enterprise will not pay property tax in the same area for 10 years.

It is noteworthy that the land tax in the same territory is also exempted from the property tax.

Tax benefits and social benefits are provided for residents, pupils, students, teachers, medical staff, retirees.

* * * *

საქართველოში მაღალმთიან დასახლებად ითვლება დასახლება, რომელიც ზღვის დონიდან 1500 მეტრის სიმაღლეზე ან მის ზევით მდებარეობს. საქართველოს კანონმდებლობით მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მინიჭებული აქვს აგრეთვე ზღვის დონიდან 1 500 მეტრ სიმაღლეზე ქვემოთ მდებარე სხვა დასახლებებსაც, რომლებიც აკმაყოფილებენ კანონით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს და ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეებში მდებარე დასახლებებს, როგორიცაა: ხევი, მთიულეთი, პანკისის ხეობა, მაღალმთიანი აჭარა, გუდამაყრის ხეობა, ფშავ-ხევსურეთი, თუშეთი, ზემო სვანეთი, ქვემო სვანეთი, ლეჩხუმი, რაჭა.

საქართველოს ტერიტორიის 79% მთაგორიანია. მაღალმთიან დასახლებათა შორის უმეტესობა სოფლის კატეგორიისაა (98.5%,1 705 სოფელი), მცირე რაოდენობით კი - დაბის (1%, 17 დაბა) და ქალაქის (0.5%,8 ქალაქი) ტიპის. სულ მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მინიჭებული აქვს 1.731 დასახლებას. ამ სტატუსით დღეისათვის სარგებლობს საქართველოს 245.287 მოქალაქე (მოსახლეობის 9%).

მთის რეგიონები მძიმე ეკონომიკურ, ეკოლოგიურ, სოციალურ და კულტურულ ვითარებაში იმყოფება. პრობლემები ბევრია. მთიანი დასახლებები მოწყვეტილნი რაიონის ცენტრებს. დაბალ დონეზე მიმდინარეობს სოფლის მეურნეობის სამუშაოები, სავალალოა განათლების სისტემის მდგომარეობა და სამედიცინო მომსახურება, უგზოობა, უსინათლობა, სრულყოფილად არ მიეწოდებათ პრესა, მოშლილია კომუნიკაციები, სათანადოდ ვერ ვითარდება ტურისტული ინდუსტრია, საკურორტო მეურნეობა და სამთო სპორტი. იკარგება მთაში არსებული ტრადიციები და კულტურული მემკვიდრეობა. მოსავლელია უძველესი არქიტექტურული და საეკლესიო ძეგლები, მწვავეა გენდერული თანასწორობის საკითხი. ქალთა საკუთრებრივი უფლებები, გამოწვევად რჩება ორსულთა, მშობიარეთა და მეძუძურ ქალთა ჯანმრთელობის, შრომითი და საყოფაცხოვრებო პირობები. შესამჩნევია მოსახლეობის დაბერება. რომლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ახალგაზრდა და შრომისუნარიანი მაცხოვრებლების მიგრაციაა. მაღალმთიანი დასახლებებიდან მიგრაციის მიზეზებად სტიქიური უბედურების სიხშირის ზრდა, დასაქმებასა და განათლებაზე ხელმისაწვდომობის პრობლემაა.

მაღალმთიანი დასახლებების მოსახლეობის ყველაზე მწვავე პრობლემა დაბალი შემოსავლები და უმუშევრობაა. მოსახლეობის მხოლოდ 22% არის დასაქმებული ანაზღაურებად სამუშაოზე. შინამეურნეობების 51%-ისთვის შემოსავლების ძირითადი წყარო პენსია და სახელმწიფო დახმარებაა. ოჯახების 35%-ისთვის ყოველთვიური შემოსავალი 250 ლარს არ აღემატება. მაღალმთიანი დასახლებების უმრავლესობაში მოსახლეობის საქმიანობის და, შესაბამისად, შემოსავლების ძირითადი წყარო სოფლის მეურნეობაა.

2016 წლიდან ამოქმედდა საქართველოს კანონი „ მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ იმავე წელს შეიქმნა მთის განვითარების ეროვნული საბჭო და მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი. რომლის ფარგლებშიც გარკვეული შეღავათები დაუწესდათ დასახლებებში მაცხოვრებელ ფიზიკურ პირებს და მეწარმე სუბიექტებს. კანონში გათვალისწინებულია გარკვეული შეღავათები, რამაც უკვე გამოიღო გარკვეული შედეგები.

მთის კანონში ვკითხულობთ: „ამ კანონის მიზანია საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის სტიმულირებისათვის შეღავათების განსაზღვრა, რომლებიც უზრუნველყოფს მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ პირთა კეთილდღეობას, ცხოვრების დონის ამაღლებას, დასაქმების ხელშეწყობას, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას“.მაღალმთიანი რეგიონების განვითარების სტრატეგიის ფარგლებში 2023 წლისათვის საქართველოს მაღალმთიან დასახლებებში საბაზისო ინფრასტრუქტურის, სოციალური და საჯარო სერვისების, ტურისტული მიმზიდველობის, სოფლის მეურნეობაზე და წარმოებაზე დაფუძნებული ეკონომიკური საქმიანობის ხელშეწყობით შესაძლებელია გაუმჯობესდეს მოსახლეობის ცხოვრების დონე და დემოგრაფიული დინამიკა.

მაღალმთიანი დასახლების საწარმოს / მეწარმე ფიზიკური პირის სტატუსს იღებს მაღალმთიან დასახლებაში ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი მეწარმე სუბიექტი. „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ კანონი შეღავათებს სხვადასხვა მიმართულებით ითვალისწინებს. მეწარმე, მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსის მინიჭების შემდეგ, საშემოსავლო გადასახადისგან 10 წლით თავისუფლდება და ამ საწარმოს საქმიანობით მიღებულ შემოსავალს სახელმწიფო არ დაუბეგრავს.

მაღალმთიანი დასახლების საწარმო თავისუფლდება მოგების გადასახადისგან სტატუსის მინიჭებიდან 10 წლის მანძილზე.

საწარმო 10 წლის მანძილზე არ გადაიხდის საკუთრებაში არსებული, ამავე ტერიტორიაზე მდებარე ქონების გადასახადს. საყურადღებოა, რომ ქონების გადასახადისგან ასევე თავისუფლდება მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის საკუთრებაში არსებული, ამავე ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთი.

მაღალმთიან რეგიონებში მეწარმეობის განვითარების ხელშესაწყობად სახელმწიფომ „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდაჭერის კომპონენტის ფარგლებში 2016-2017 წლებში 2 ათასზე პროექტი დაახლოებით 16 მლნ ლარით დააფინანსა. დღემდე, სხვადასხვა სოციალური პროგრამების ფარგლებში, გამოიყო დაახლოებით 183 მლნ ლარი.

პროექტები მოიცავს, როგორც სოფლის მეურნეობის და წარმოების, ასევე მომსახურების სექტორსაც.

მხარდაჭერილია პროექტები მეფუტკრეობის, მეღვინეობის, მეცხოველეობის, მემცენარეობის, სასათბურე მეურნეობის, სამშენებლო მასალების წარმოების, სასტუმრო ბიზნესის, ავტომობილების მომსახურების, საკადასტრო მომსახურების, ვაჭრობის და სხვა მიმართულებებით.

აღსანიშნავია, რომ პროგრამა მოიცავს სხვადასხვა მიმართულების ტექნიკურ დახმარებასაც ბენეფიციართათვის, როგორც ბიზნესის დაწყებამდე, ასევე დაწყების შემდგომაც; მათ შორის, მენეჯმენტის, მარკეტინგის, ფინანსების მართვის და ა.შ. მიმართულებებით. მაღალმთიან დასახლებებში 500-მდე სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივი ფუნქციონირებს. სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, კოოპერატივებს გადაეცათ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, სხვადასხვა საქმიანობისთვის საჭირო მოწყობილობები, ჩაუტარდათ ტრენინგები. სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის გამარტივებული მოთხოვნები ვრცელდება იმ ბიზნეს-ოპერატორებზე, რომლებიც ახორციელებენ სურსათის/ცხოველის საკვების წარმოებას, გადამუშავებას, პირველად წარმოებას და დისტრიბუციას არაქარხნული წესით.

პროგრამა მოიცავს ტურიზმის კომპონენტს, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია მაღალმთიან დასახლებებში ახალი სასტუმროების მშენებლობის ან/და არსებულის გაფართოებისათვის დაფინანსების მიღება.

აღსანისნავია მთის კანონის სოციალური და საგადასახადო შეღავათები.

კანონის ამოქმედების შემდეგ დაბადებული პირველი ბავშვისა და მეორე ბავშვისათვის, რომელთა ერთ-ერთი მშობელი არის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირი, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული წესით 1 წლის განმავლობაში იღებს ყოველთვიურ ფულად დახმარებას – არანაკლებ 100 ლარისა. ხოლო მესამე ბავშვისა და ყოველი შემდგომი ბავშვისათვის – 2 წლის განმავლობაში ყოველთვიური ფულადი დახმარება არის 200 ლარი.

მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრები პენსიონერები ყოველთვიურად დამატებით სახელმწიფო პენსიის არანაკლებ 20 პროცენტს იღებენ.შეღავათია გათვალისწინებული სამედიცინო პერსონალისთვის, ვინც მაღალმთიან დასახლებაში მდებარე, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ და მის მართვაში არსებულ სამედიცინო დაწესებულებაში მუშაობს. ექიმი დამატებით მიიღებს სახელმწიფო პენსიის ორმაგ ოდენობას, ხოლო ექთანი – სახელმწიფო პენსიის მოცულობას. ყოველთვიური დანამატი სამედიცინო პერსონალისთვის, მკაცრ კლიმატურ პირობებში მცხოვრებ-

თათვის,საპენსიო ასაკის მუდმივად მცხოვრებ და სოციალური პაკეტის მქონე პირებს 2016 წ ლიდან ეძლევათ ყოველთვიური დანამატი პენსიის 20%

ზამთრის პერიოდში (15 ოქტომბრიდან მომდევნო წლის 15 აპრილის ჩათვლით) მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებლებისთვის ელექტროენერგიის საფასურის გადახდა ბიუჯეტიდან. აბონენტს (საყოფაცხოვრებო მომხმარებელს) 100 კილოვატამდე მოხმარებული ენერგიის ნახევარს სახელმწიფო აუნაზღაურებს. ანუ, თვეში მაქსიმუმ 50 კილოვატის საფასურს ბიუჯეტი გადაუხდის.

მაღალმთიან დასახლებებში მდებარე 505 საჯარო სკოლას, რომელშიც 2018 წლის 1 იანვრისთვის 43 046 მოსწავლე სწავლობდა, ვაუჩერი გაზრდილი ოდენობით ეძლევა. ასევე, კანონის შესაბამისად, ვაუჩერული დაფინანსების გაზრდილი ოდენობით უზრუნველყოფილია მაღალმთიან დასახლებაში მდებარე ყველა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება.

მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლის და პროფესიული სასწავლებლის მასწავლებლები ხელფასზე დამატებით საბაზო თანამდებობრივი სარგოს მიიღებენ- არანაკლებ 35%. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ან მის სისტემაში შემავალი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განსაზღვრული შესაბამისი პროგრამის მონაწილე მასწავლებლისათვის, რომელიც პროგრამის ფარგლებში მაღალმთიან დასახლებაში მდებარე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობს, მიიღებს დანამატს – შრომის ანაზღაურების არანაკლებ 50 პროცენტს. პირველკლასელებს და მათ დამრიგებლებს ურიგდებათ გრიფირებული სახელმძღვანელოები და კომპიუტერები. ხორციელდება საჯარო სკოლის მოსწავლეების სატრანსპორტო მომსახურება.

სახელმწიფო სასწავლო გრანტით (2250 ლ) ფინანსდება 226 სტუდენტი, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე სწავლობენ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე,

„მთის კანონით“გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათებით უკვე ისარგებლა 300-ზე მეტმა საწარმომ და 20000-ზე მეტმა პირმა.

მთის მოსახლეობის ყოფის გაუმჯობესებისა და ეკონომიკურ აქტივობის ხელშეწყობის მიზნით, იგეგმება მსხვილი და სტრატეგიული დანიშნულების გზების მშენებლობები. ასეთი პროექტებია: პირიქითა ხევსურეთთან დამაკავშირებელი როშკა-არხოტის 28 კმ-იანი გზის მშენებლობა; ზემო იმერეთი - რაჭის დამაკავშირებელი 51.8 კმ-იანი საავტომობილო გზის მშენებლობა; სნო - ჯუთა - როშკა - შატილი და კიდევ რამდენიმე ხეობის და ასევე, ბაღდათი- აბასთუმნისა და ლენტეხი-მესტიის დამაკავშირებელი გზების მშენებლობა.

მიკრობიზნესის ხელშეწყობა დ მეწარმეთა საჭიროებებზე ორიენტირებული საინვესტიციო პროგრამების შემუშავება, ფერმერული მეურნების და კოოპერატივების, ასევე - ბაზარზე მოთხოვნადი სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების მხარდაჭერა, აგრო დაზღვევის სისტემის განვითარება, მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრები მოსახლეობის ეკონომიკური დ ასამეწარმეო საქმიანობის წახალისება, სამეწარმეო უნარების ასამაღლებლად შესაძლებლობების შექმნა და განვითარების სპეციალური პროგრამების შემუშავება. მაღალმთიანი რეგიონების განვითარების სტრატეგიის ფარგლებში 2023 წლისათვის საქართველოს მაღალმთიან დასახლებებში საბაზისო ინფრასტრუქტურის, სოციალური და საჯარო სერვისების, ტურისტული მიმზიდველობის, სოფლის მეურნეობაზე და წარმოებაზე დაფუძნებული ეკონომიკური საქმიანობის ხელშეწყობით შესაძლებელია გაუმჯობესდეს მოსახლეობის ცხოვრების დონე და დემოგრაფიული დინამიკა.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი „ მთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ 2015 წ.

2. საქსტატის მონაცემები 20116-1019 წწ

3. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ოფიციალური მასალები

4. საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის მასალები.

# ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

***ნაზი ჭიკაიძე***
*სტუ პროფესორი*
***ბექარ კილასონია***
*სტუ დოქტორანტი*

## MODERN PROBLEMS OF ECONOMIC THEORY

**Nazi Chikaidze**
Professor of GTU
**Bekar Kilasonia**
GTU PHD

## SUMMARY

When it comes to economic theories, it is important to emphasize that non-economic doctrines and theories would actually be able to function fully in the state. It is precisely economic theories that ensure that any country is able to use its resources properly and thus derive economic benefits. Every state strives to be economically robust and healthy, but only to a small extent. The development of the world was followed by numerous changes and eventually development on a global scale.

Economic theories that allow for some leverage need to be reconsidered over time to build a strong state, no matter how much or how accurately it is conveyed. The need for revision stems from the fact that over the years a number of theories or doctrines have undergone transformation, changes caused by various causes.

**Key words:** „Economic theories", „Friedman's Monetary Economic Theory", „Neoclassical economic theories", „The General Theory of Employment, Interest and Money", „Globalization".

## შესავალი

როდესაც საქმე ეხება ეკონომიკურ თეორიებს აუცილებელია ხაზი გაესვას იმ უმთავრეს ფაქტორს, რომ არა ეკონომიკური მოძღვრება და თეორიები, რეალურად შეუძლებელი იქნებოდა სახელმწიფოს სრულფასოვანი ფუნქციონირება. სწორედ ეკონომიკური თეორიები გახლავთ იმის გარანტი, რომ ნებისმიერმა ქვეყანამ შეძლოს მის ხელთ არსებული რესურსების ჯეროვანი გამოყენება და შესაბამისად ეკონომიკური სარგებლის მიღება. ნებისმიერი სახელმწიფო ცდილობს იყოს ეკონომიკურად ძლიერი და ჯანსაღი, თუმცა ამას მცირედი რაოდენობა თუ ახერხებს. ეკონომიკური თეორიები, რომლებიც საშუალებას იძლევიან შეიქმნას გარკვეული ბერკეტი ძლიერი სახელმწიფოს შენებისა, დროთაგანმავლობაში გადახედვას საჭიროებენ, იმისდა მიუხედავად თუ რა ოდენობის ან რამდენად ზუსტადა ის გადმოცემული. გადახედვის აუცილებლობა კი გამომდინარეობს იქიდან, რომ წლების მანძილზე რიგმა თეორიებმა თუ დოქტრინებმა განიცადა ტრანსფორმაცია, ცვლილებები, რომლებიც გამოწვეული იყო სხვადასხვა მიზეზებით.

## ძირითადი ნაწილი

მსოფლიო განვითარებას თან მოჰყვა უამრავი ცვლილებები და საბოლოო ჯამში განვითარება გახლდათ გლობალური მაშტაბით. სწორი, მეცნიერულად დასაბუთებული და გამართული თეორიული მოძღვრება საუკუნეთა მანძილზე ინარჩუნებს აქტუალურობას და ამ თვალსაზრისით იგი ყოველთვის თანამედროვეა, თუმცა მას გააჩნია რიგი პრობლემები, რომელზედაც ქვემოთ ვისაუბრებთ. მაგალითად ჯონ მეინარდ კეინზი რომელიც ითვლება თანამედროვე მაკროეკონომიკური თეორიის ფუძემდებელად, დასაქმების, სარგებლისა და ფულის ზოგადი თეორია – სრულიად ახალი ეკონომიკური აზროვნების საფუძველი გახდა. ნაცვლად იქამდე გაბატონებული აზრისა, რომ ეკონომიკა თვითრეგულირებადია (რაც ნიშნავს იმას, რომ არ საჭიროებს მთავრობის ჩარევას ეფექტურად ოპერირებისთვის), ზოგადი თეორია გვეუბნება, რომ ეკონომიკა მიდრეკილია ხანგრძლივი რეცესიებისა და კრიზისებისაკენ. ზოგადმა თეორიამ საფუძველი ჩაუყარა კეინსიანიზმს – მიმართულებას, რომელიც მეოცე საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ეკონომიკურ სკოლას წარმოადგენს. მისი პოპულარობა 2008 წლის კრიზისის შემდეგ, კვლავ გაიზარდა.

კლასიკოს ეკონომისტებს სჯეროდათ, რომ საქონლისა და მომსახურების მიწოდება ყოველთვის ნაკლებია მოთხოვნაზე. შესაბამისად, მათი აზრით, მოთხოვნა ყოველთვის იარსებებს, მას შემდეგ, რაც ბაზარი საქონლის ფასს განსაზღვრავს. ეს თეორია ჟ.ბ. სეის კანონის სახელით არის ცნობილი და მას ასევე ეთანხმებოდა XIX საუკუნის ყველაზე გავლენიანი კლასიკოსი ეკონომისტი დევიდ რიკარდო. ტრადიციულმა ეკონომისტებმა ეს თეორია ასევე მოარგეს შრომის ბაზარს, ანუ ისინი ამბობდნენ, რომ დასაქმება დამოკიდებულია შრომის ფასზე, ანუ ხელფასებზე, ან სხვა სახის შემოსავლებზე, რომელსაც იღებს დასაქმებული დამსაქმებლისგან შრომის სანაცვლოდ.

შესაბამისად, ტრადიციულ ეკონომისტებს სჯე-

რათ, რომ უმუშევრობის შემცირება შესაძლებელია სწორედ შრომის ფასის შემცირებით, ანუ სახელფასო განაკვეთის დაწევით. კეინზი ეწინააღმდეგებოდა ამ აზრს და ამბობდა, რომ დასაქმების ეს კლასიკური თეორია დგას ორ ფუნდამენტურ დაშვებაზე, რომლებსაც „გადახედვა" სჭირდება. პირველი ისაა, რომ კლასიკური გაგებით, ხელფასი ტოლია შრომის ზღვრული პროდუქტისა, მეორე კი ისაა, რომ გადახდილი ხელფასი საკმარისია მუშების დასარწმუნებლად, რათა გაყიდონ საკუთარი სამუშაო ძალა. ამ ორი დაშვების მიხედვით, შრომის ბაზარი განსაზღვრულია სამუშაო ძალის მიწოდებით და მასზე მოთხოვნით, ანუ ბაზარი მიისწრაფვის იმ მდგომარეობისკენ, სადაც მიწოდებული სამუშაო ძალა მთლიანად შთანთქმულია მასზე მოთხოვნით. შესაბამისად, ასეთ გარემოში, უმუშევრობა არის რაღაც უჩვეულო მოვლენა, გამოწვეული ეკონომიკური შოკების მიერ, რომელიც თავისუფალი ბაზრის პირობებში შრომის ფასის (ხელფასების) შემცირების გზით მცირდება. ამ თეორიის მთავარი არსი იმაში მდგომარეობს, რომ თუ დამსაქმებელიც და დასაქმებულიც თავისუფალია ყოველგვარი რეგულაციისგან, მხოლოდ მათ შორის ხელფასზე მოლაპარაკების გზით დაუბრუნდება შრომის ბაზარი სრულ დასაქმებას. რეალურად ეს თეორია გახლავთ შესანიშნავი იმ გაგებით, რომ ის იმ დროში და ახლაც ასახავს იმ რეალობას რომელიც გასაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას, თუმცა მასაც გააჩნია რიგი სისუსტეები, რომლებიც შემდეგში სხვადასხვა პრობლემების გამომწვევი შესაძლოა გახდეს. არა მარტო კეინზის, არამედ ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორია, ფრიდმანის მონეტარული ეკონომიკური თეორია, ვერ იქნება სრულყოფილი იქიდან გამომდინარე, რომ იცვლება გარემო ფაქტორები, ხდება რაციონალური გადაფასებები და შესაბამისად ამ თეორიათა გადაწყობაც აუცილებელია. პრობლემა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ შესაძლოა რომელიმე თეორიამ კონკრეტულ სახელმწიფოს მისცეს ძალიან კარგი შედეგი თუმცა სხვა სახელმწიფოსათვის იგივე შედეგის მომტანი ვერ გახდეს. თეორიათა გამოყენება, მისი დაფუძნება დამოკიდებულა თავად სახელმწიფოს მიზნებსა და მის ხელთ არსებულ ბუნებრივ თუ ადამიანურ რესურსებზე.

ნებისმიერი მცდელობა იმისა, რომ არსებული თეორიები მოერგოს ეკონომიკას და იყოს ის განვითარებადი და მზარდი, ვერ იქნება მიღწეული თუ გარემო ფაქტორები არ იქნება გათვალისწინებული. გარემო ფაქტორებთან ერთად აუცილებელია გათვალისწინებული იყოს თავად შიდა ფაქტორები. მსოფლიოს უმეტესი ქვეყნები, მხედველობაში ვიღებთ წამყვანი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს, უმალვე შესაძლოა წააწყდნს დიდძალ სიძნელეებს თუ სწორად არ იქნება გათვლილი არსებული რისკები. როდესაც ხდება ამ თუ იმ თეორიების აკუმულირება და ერთ ჩარჩოში ჩასმა, აუცილებელია იმ რისკების შეფასება და გაანალიზება, რომელიც მასზე ქმედითად მოქმედია.

ნებისმიერი სახელმწიფო ცდილობს იყოს წამყვანი ეკონომიკის კუთხით, ანუ მისი ეკონომიკური სიძლიერე გამოხატული იყოს ინოვაციებში და წარმოადგენდეს განვითარების ღერძს, თუმცა ეს არსებული დოქტრინებითა და თეორიებითაა მიღწევადი. ამ თეორიებს კი თან ახლავს მუდმივად პრობლემები, რომელთა გადაფასება ხორციელდება პერიოდულად და საბოლოოდ სახეზე გვაქვს ახალი მოდერნიზებული და მასზე მორგებული თეორია. სწორედ თეორიების არასწორი შეფასება და დანერგვა იწვევს დიდ პრობლემებს სხვადასხვა სახელმწიფოებში.

მაგალითისათვის ავიღოთ საქართველოში, ბოლო წლებში მეტნაკლებად არასტაბილური ვითარება შეინიშნება. არასტაბილური ვითარება არამარტო ეკონომიკის სფეროში, არამედ ყველა სფეროშია წარმოდგენილი. მით უმეტეს როდესაც ინფლაციის დონე ძალიან მაღალია და ლარის კურსი ყოველდღიურად ცვალებადია და გაუფასურებისკენაა მიდრეკილი. დღითიდღე იცვლება მოსახლეობის ნდობა მთავრობისა და სხვადასხვა საფინანსო ორგანიზაციების მიერ, რომლებიც წამყვანი როლის მატარებლები არიან ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. ჩვენი ქვეყნის ასეთი მდგომარეობა მართალია გამოწვეულია სხვადასხვა შიდა თუ გარე ფაქტორებით, თუმცა აუცილებელია იმის აღიარებაც, რომ ეკონომიკური ზრდისა და გაჯანსაღების მოდელი ან არასწორად არის არჩეული, ან ის რისკები არ იყო გათვლილი, რომელიც პირდაპირი დამოკიდებულებით შემოიფარგლა. ძალიან ბევრი მაგალითები შეიძლება მოვიყვანოთ სხვადასხვა თეორიებზე და მათ პრობლემებზე, თუმცა უმთავრესი მაინც ის გახლავთ, რომ დროთა განმავლობაშიუ აუცილებელია ამ თეორიათა მოდერნიზაცია და სწორი გეზის არჩევა. შესაძლოა თეორია ქაღალდზე სხვანაირად იყოს ასახული, თუმცა რეალური ჩვენება ძალიან განსხვავდებოდეს მოსალოდნელისაგან. სწორედ ამიტომ ხაზგასმით შეიძლება იმის თქმა, რომ სანამ არსებული თეორიები არ იქნება თანამედროვეობის შესატყვისი, ის ვერანაირად ვერ შეძლებს სწორ და გამართულ ფუქციონირებას. ცვლილებები თეორიებში იმდენად უნდა იყოს აღქმადი და გასაგები, რომ ქვეყანამ შეძლოს მის საფუძველზე წინსვლის შესაძლებლობა. თეორია რომელიც უბრალოდ ქაღალდზე აღიბეჭდა და ვერ გაცდა ამ ნიშნულს, უბრალოდ უსარგებლოა და მხოლოდ ისტორიას წარმოადგენს. უდიდესი მოღვაწენი და მოაზროვნენი ყოველდღიურად ცდილობდნენ თეორიების მოდერნიზებას. დისკუსიებსა და გონებრივ ომებში იბადებოდა საღი აზრი, რომელიც რეალობასთან ძალიან ახლოს იყო შესატყვისი. თუ ადრე შესაძლებელი არ იყო ის რომ არსებული თეორიები გამოსაცდელად გამოეყენებინათ, როგორც მაგალითი, დღეს ინოვაციებისა და განვითარების ეპოქაში ეს უკვე ხელმი-

საწვდომი და შესაძლებელია. არაქვს მნიშვნელობა რა რაოდენობის თეორიებს მოვიყვანთ და გავაშალაშინებთ, მთავარი ის არის, რომ დღეს უკვე 21-ე საუკუნეში, რომელიც ინოვაციებისა და პროგრესის საუკუნედ ითვლება, აუცილებლად მოიპოვება არსებულ თეორიებს ნაკოვანებები, იმისდამიუხედავად როდის ვის მიერ ან რა მიზნით იყო შემუშავებული. განვითარებას თან მოსდევს რიგი თავისებურებანი, რომლებიც ხასიათდებიან დადებითი ან უარყოფიი ტენდენციით. თეორია, რომელიც არ არის ამ განვითარების მატარებელი და პროგრესირებადი, შეუძლებელია ჩაითვალოს სრულფასოვან და ჯეროვანი გამოყენების თეორიებად. თანამედროვეობაში ამ თეორიების პრობლემა სწორედ ის არის, რომ მათ მიაღწიეს მწვერვალს კონკრეტულ დროს, კონკრეტულ მომენტში და უკვე მათი მოდერნიზება შეუძლებელია. თუ თეორიაში ოდნავადაც მაინც არ არსებობს შესწორების საშუალება, ის ვერ იქნება მორგებული თანამედროვეობას, რადგან სამყარო იმდენად ცვალებადი და არაპროგნოზირებადი გახდა, რომ მომავლის პროგნოზირება თითქმის შეუძლებელია. ადრე თუ მეცნიერები მუშაობდნენ თეორიათა კონკრეტულ რაოდენობაზე, აკრიტიკებდნენ მათ და შესაბამისად გამოჰყავდათ ერთიანი დოქტრინები, დღეს ეს უკვე ძალიან ძნელადმისაღწევი და რთულია. რთულია იმ გაგებით, რომ სახელმწიფოები მშვიდობისა და სოლიდარობისათვის კი არ იბრძვიან, არამედ პირველობისათვის. ადამიანების მოთხოვნილების ცვლილებებიც პირაპირ კავშირშია ამ თეორიათა სწორი განსაზღვრისაკენ. განვითარებულ მსოფლიოში ყოველივე ადამიანს სურს რომ განვითარება მისი შემავსებელი კომპონენტი გახდეს.

## დასკვნა

გლობალიზაციის პირობებში, როდესაც რადიკალურად შეიცვალა მსოფლმხედველობა, როდესაც შესაძლებელი გახდა მეტი ეკონომიკური სარგებლის მიღება, აუცილებელი გახდა სხვა ახალი თეორიების ჩამოყალიბება. ამისათვის აუცილებელი შეიქნა იმ ადამიანური რესუსრსების გამოყენება, რომლებიც ყოველდღიურად ცდილობენ ახალ-ახალი გამოწვევების წინაშე რადიკალური ცვლილებების შემოთავაზებას, სხვადასხვა სიტუაციური ქეისების შემუშავებას და ამ ქეისების შესაბამისად უკვე ეკონომიკაში გაშვებას. თეორია რომელიც სახელმწიფოსათვის იქნება ეკონომიკური წინსვლის გარანტი, ჩაითვლება უპირატესად და შესაბამისად სახელმწიფოც შეძლებს სწორ ფოკუსირებას თუ სად როდის და როგორ არის ფუნქციონირება საჭირო. ამიტომ აუცილებელია დაისვას საკითხი, თუ რა არის არსებული თეორიების თანამედროვე პრობლემები, შესაბამისად ამ პრობლემების მოგვარების გზებიც.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. მექვაბიშვილი ე. „თანამედროვე ეკონომიკური თეორიები“ (ლექციების კურსი), თბილისი 2016.

2. ჟვანია ნ. „საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკა“, თბილისი 2006

3. John Maynard Keynes “The General Theory of Employment, Interest and Money”, Publication Date: December 20, 2016

# მთავრობის სწორი ეკონომიკური პოლიტიკა - ეკონომიკური ზრდისა და ქვეყნის სიძლიერის საწინდარია

*ომარ გოცაძე*
*სტუ პროფესორი*

**რეზუმე**

მთავრობის სწორი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებაზე, დიდადაა დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკისა და ხალხის ცხოვრების დონის ამაღლება. მაშინ, როცა მცირე ბუნებრივი რესურსების მქონე აგრარულ ქვეყანას, სოფლის მეურნეობის პროდუქტები უცხო ქვეყნებიდან შემოაქვს, ვერ ვიტყვით, რომ მთავრობა სწორ ეკონომიკურ პოლიტიკას ატარებს და ქვეყანას, რომელსაც ადამიანთა ინტელექტუალური რესურსი გააჩნია და, შეუძლია თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი საწარმო აამუშაოს, ამ დროს ქვეყნიდან კაპიკებში გაგქონდეს ხის დაუმუშავებელი მასალა და ოქროს ფასში შემოქონდეს ამავე მასალისაგან დამზადებული ავეჯი, ხელისუფლების მხრიდან შეცდომაა. ისეთი სუსტი ეკონომიკისა და ბუნებრივი რესურსებით ღარიბი ქვეყანის მთავრობა, როგორიც საქართველოა, თავს ნებას არ უნდა აძლევდეს პროდუქცია ნედლეულის სახით გაიტანოს. ქვეყანა, რომლის მშპ 14 მილიარდი ამერიკილი დოლარიც არ არის, ხოლო სავაჭრო ბალანსი უარყოფითია და -5,780.4 მილიონ ამერიკულ დოლარის შეადგენს, ვერ ვიტყვით, რომ ხელისუფლება სწორ ეკონომიკურ პოლიტიკას ატარებს.

**CORRECT ECONOMIC POLICY OF THE GOVERNMENT IS THE PRECONDITION FOR ECONOMIC GROWTH AND STRENGTH OF THE COUNTRY**

**ABSTRACT**

Improvement of the country's economy and people's standard of living largely depends on the government's correct economic policies. While an agrarian country with small natural resources is importing agricultural products from foreign countries, we cannot say that the government is pursuing the right economic policy. A country with an intelligent human resource and capable of operating a state-of-the-art enterprise, which exports wooden raw materials from the country cheaply and imports furniture made of the same material at a reasonable price, is a mistake by the government. A country with a poor economy and natural resources like Georgia should not be allowed to use itsproduct as raw materials. In the country, whose GDP is not 14 billion US dollars and its trade balance is negative and equals 5,780.4 million US dollars, we cannot say that the government is pursuing the right economic policy.

**საკვანძო სიტყვები:** ხელისუფლების სწორი ეკონომიკური პოლიტიკა. მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა. მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესება. უარყოფითი სავაჭრო ბალანსი. დაუმუშავებელი ხის მასალის გატანის ნაცვლად, მისგან დამზადებული მზაპროდუქციის რეალიზაცია.

* * * *

ხალხის მიერ არჩეული და ნდობაგამოცხადებული ხელისუფლების უპირველესი მოვალეობა და საზრუნავი უნდა იყოს მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება. ეს სადავო არაა და ამაზე შევჩერდები. იმისათვის, რომ მოსახლეობის კეთილდღეობა ამაღლდეს და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა განმტკიცდეს, აუცილებელია ეკონომიკის განვითარება, ქვეყნის მშპ–ის გაზრდა და საგარეო ვაჭრობის დადებითი ბალანსი. ყველა ამ პრობლემის გადასაჭრელად, მთავრობის მიერ გატარებულ რეფორმებსა და სწორ ეკონომიკურ პოლიტიკას, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. სტატიაში საუბარია მხოლოდ ქვეყნიდან ხის მორებისა და ნახევარფაბრიკატების გატანისა და შემოტანილ მზა ავეჯთან იდაკავშირებით ხელისუფლების მიერ გატარებულ ეკონომიკურ პოლიტიკაზე.

საქართველოს, რომელიც ჯერ კიდევ ტრადიციულ აგრარულ ქვეყანად რჩება, თავისი ხალხის გამოსაკვებად ხახვი, ნიორი და კარტოფილი თურქეთიდან, ჩინეთიდან და ინდოეთიდან არ უნდა შემოქონდეს. ამ მიმართებით ხელისუფლებამ, მეტი ყურადღება უნდა გამოიჩინოს სოფლის მეურნეობის მუშაკების მიმართ და, მათ შეღავათიანი პირობები შეუქმნან უხვი და იაფი სოფლის პროდუქტების საწარმოებლად. ჩვენდა სამწუხაროდ, არც თუ ისე დიდი ხნის წინ, საქართველოსთან შედარებით ეს ჩამორჩენილი ქვეყნები ეკონომიურად ისე განვითარდნენ, და ისეთ პროგრესს მიაღწიეს ტექნიკის განვითარების მხრივ, რომ ზემოაღნიშნული პროდუქტების წარმოება ბევრად იაფი უჯდება, ვიდრე ქართველ გლეხს. ამიტომ შეღავათებია საჭირო, რომ ქართველ გლეხს და ფერმერს, მოწეული მოსავალი იაფი დაუჯდეს და უცხო ქვეყნებიდან შემოტანილ პროდუქტებს კონკურენცია გაუწიოს.

მართალია სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშემწყობი პროგრამა, „მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის ღონისძიებები",რომელიც მთავრობის მიერ 2014–16წწ. განახორციელდა, სასარგებლოდ წაადგა სოფლის

მეურნეობის მუშაკებს, რადგან ამ საშეღავათო ღონისძიებებით საგაზაფხულო სამუშაოები, ხვნა-თესვისა და სასუქით უზრუნველყოფის ხარჯები აუნაზღაურდათ. ამ მიმართებით სულ დაიხარჯა 149,260,390 ლარი. წელიწადში საშუალოდ 50 მილიონი. პროგრამა რა თქმა უნდა შეღავათიანი იყო და სასიკეთოდ წაადგა თითოეულ გლეხკაცს, მაგრამ არც თუ დიდი შედეგის მომტანი. ცხოვრებამ დაადასტურა ბევრად აჯობებდა ეს თანხები სასოფლო-სამეურნეო მანქანა–იარაღების შესაძენად დახარჯულიყო და, შეძენილი ტექნიკა თანაბრად განაწილებულიყო სოფლებზე. ამ თანხით შეიძლებიდა 130 ცხენისძალიანი სოფლის პირობებში ადაპტირებული და, მათთვის ყველაზე მეტად საჭირო და მოხერხებული „ბელარუსის" ტიპის 1500 ტრაქტორის შეძენა. რომელიც უნდა განაწილებულიყო და საკუთრებაში გადაცემოდა სოფელს. შეიძლება მთლიანად არა, მაგრამ მნიშვნელოვანწილად მაინც გადაჭრიდა სოფლად ხვნის პრობლემას და ამდენი დაუხნავი და აუთვისებელი მიწებიც აღარ იქნებოდა ქვეყანაში. მშრომელი კაცის შრომასაც მეტი ეფექტი ექნებოდა და ტრაქტორებიც უფო დიდი ხნით მოემსახურებოდნენ მოსახლეობას, ვიდრე ეს სამი წელი იყო. ამიტომ უკეთესი იქნებოდა ხელისუფლებას გაეთვალისწინებინა საქვეყნოდ ცნობილი შეგონება, რომ„ადამიანები თევზით კი არ უნდა მოვამარაგოთ,მათთევზის ჭერა უნდა ვასწავლოთ".

ქვეყნის ეკონომიკისა და მშპ–ის შექმნაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ქვეყნის საგარეო ვაჭრობის დადებით ბალანსს, ანუ წმინდა ექსპორტს, რომელიც სამწუხაროდ ამ ბო;ო 10 წლის მანძილზე უარყოფითია და საკმაოდ ჩქარი ტემპით ღრმავდება. 2009 წელთან შედარებით, როცა ბალანსი -3,342.1მლიონ ამერიკულ დოლარს შეადგენდა, 2018 წლისათვის დეფიციტი თითქმის გაორმაგდა და -5,780.4 მილიონამდე გაიზარდა. დაწვრილებითი მონაცემები მოცემულია ცხრილში N1.

მონაცემები საგანგაშოა, რადგან მილიარდობით უარყოფით სავაჭრო ბალანსზეა საუბარი და, ისიც ისეთი პატარა, სუსტი ეკონომიკისა და მცირე ბუნებრივი რესურსების მქონე ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა და რომლის საგარეო ვალი 5 მილიარდ აშშ დოლარზე მეტია, ქვეყნიდან ბუნებრივი რესურსების დაუმუშავებლად გატანა დანაშაულის ტოლფასია. ამ მიმართებით ხელისუფლებას მეტი ქმედითი ღონისძიებების გატარება ჭირდება ქვეყნის ეკონომიკის ასაღორძინებლად, უარყოფითი სავაჭრო სალდოს შესამცირებლად და მშპ-ის გასაზრდელად. ამისათვის აუცილებელია პირველ რიგში ბუნებრივი რესურსების სასაქონლო პროდუქციად გადაქცევა და, ამ გზით მისი მაქსიმალურად და ეფექტიანად გამოყენება. ქვეყნისათვის ბევრად მომგებიანია, როცა ექსპორტზე გაგვაქვს არა ნედლეული და ნახევარფაბრიკატები, არამედ მზა პროდუქცია. შეცდომაა, როცა ავეჯის წარმოების დიდი გამოცდილების მქონე ქვეყანაში, ხის მორები გაგვაქვს კაპიკებად და მზა ავეჯი შემოგვაქვს მამასისხლად. საქართველო, რომელსაც ავეჯის წარმოების საკმაოდ მდიდარი გამოცდილება გააჩნდა, სადაც წლების წინ უზარმაზარი საავეჯო კომბინატები მუშაობდნენ, ხელისუფლებას მათ მოშლა-განადგურებაზე კი არა, გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაზე უნდა გაემახვილებინა ყურადღება. ბოლოსდაბოლოს, XXI-ე საუკუნეში, ქვეყნისათვის რა გახდა ერთი თანამედროვე უახლესი ტექნოლოგიით აღჭურვილი საავეჯო კომბინატის შექმნა, რომ ამ მიმართებით ქვეყნის შინამოთხოვნაც დავაკმაყოფილოთ და ნამეტი პროდუქციაც ქვეყნის გარეთ გავიტანოთ. ამ პრობლემის მოსაგვარებლად ქვეყანაში ადამიანთა ინტელექტუალური რესურსიც მოიძებნება და შემართებაც, მხოლოდ პოლიტიკური ნებაა საჭირო.

ამ საკითხის თვალსაჩინოდ წარმოჩენისათვის, სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან ავიღე 2009–2019წწ. 10 წლის მანძილზე საქართველოდან გატანილი სხვადასხვა ჯიშის ხის მასალისაგან (კაკლის გარდა) დამზადებული სათბობი ხე-ტყის, მორების, კუნძების, ფიჩხების, დაუმუშავებელი, დახერხილი და დაპობილი ნედლეული და ნახევარფაბრიკატების გაყიდვიდან შემოსული თანხები და, ქვეყნის მიერ საზღვარგარეთიდან შესყიდული და შემოტანილი სხვადასხვა დანიშნულების ხის ავეჯში გადახდილი თანხები. აღნიშნულ წლებში საქართველოდან გატანილია სხვადასხვა ჯიშის ხის მასალისაგან (კაკლის გარდა) დამზადებული სათბობო ხე-ტყის, მორების, კუნძების, ფიჩხების, დაუმუშავებელი, დახერხილი და დაპობილი131,374,400 აშშ დოლარის ღირებულების 394,174.4 მ³, ნედლეული და ნახევარფაბრიკატები, ხოლო შემოტანილია ხის მასალისაგან დამზადებული 406,093,600 აშშ დოლარის ღირებულების სხვადასხვა დანიშნულების ავეჯი. თუ ამ ოფიციალურ მონაცემებს, უკანო-

**საქართველოს საგარეო ვაჭრობა** (მლნ.აშშ. დოლარი) **ცხრილი N1**

| | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2916 | 2017 | 2018 | *2019 იანვარი სექტემბ* |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბრუნვა | 5609.4 | 6913.3 | 9258.7 | 10433.0 | 10932.9 | 11462.9 | 9504.4 | 9407.0 | 10679.1 | 12491.8 | 9193.7 |
| ექსპორტი | 1133.6 | 1677.3 | 2186.4 | 2376.6 | 2910.3 | 2861.0 | 2204.2 | 2113.0 | 2735.8 | 3355.7 | 2719.2 |
| იმპორტი | 4475.7 | 5236.0 | 7072.3 | 8056.4 | 8022.5 | 8601.8 | 7300.2 | 7294.0 | 7943.3 | 9136.1 | 6474.5 |
| სალდო | **-3342.1** | **-3558.8** | **-4885.8** | **-5679.7** | **-5112.2** | **-5740.8** | **-5096.0** | **-5180.9** | **-5207.6** | **-5780.4** | **-3755.3** |

ნო გზით მოჭრილ და კონტრაბანდის სახით გატანილ ხე-ტყესაც დავამატებთ, რომელიც საკმაოდ სოლიდურია, რომელიც მშპ-ის შექმნაში არავითარ მონაწილეობას არ იღებს და მაფიოზთა ჯიბეებში ილექება, მდგომარეობა კიდევ უფრო სავალალოა. თუამ თანხებს 10 წელიწადზე გავყოფთ, წლიურად საშუალოდ 13,113,744 აშშ დოლარის ხეტყის ნედლეული და ნახევარფაბრიკატები გაგვაქვს, ხოლო 40,609,360 აშშ დოლარის ამავე ნედლეულისაგან დამზადებული მზა პროდუქცია შემოგვაქვს. თანაფარდობა ერთი სამზეა. მაშინ, როცა ძალზე უხეში გათვლებითაც კი, საშუალოდ წელიწადში გატანილი 39,417.4 $м^3$ ნედლეული და ნახევარფაბრიკატებისაგან ბევრად მეტი ღირებულების მზა პროდუქციის შექმნას შევძლებდით, ვიდრე ეს ერთი წლის მანძილზე უცხოეთიდან შემოტანილი 40,609,360 აშშ დოლარის ღირებულების მზა ავეჯი იყო. ამით ქვეყნის ეკონომიკაც გაიზრდებოდა, მუშახელი დასაქმდებოდა და რამდენიმე ასეულ ოჯახს შემოსავალი გაუჩნდებოდა, უარყოფითი სავაჭრო ბალანსიც ცოტა შემცირდებოდა და მშპ-იც გაიზრდებოდა. თუ ასეთივე პოლიტიკა სხვა დარგებშიდაც გატარდებოდა, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში, ამით ქვეყნის მასშტაბით საექსპორტო პროდუქცია მნიშვნელოვნად გაიზრდებოდა, ხოლო იმპორტი შემცირდებოდა, რაც საბოლოო ჯამში, თუ ნულზე არა, საგრძნობლად მაინც შეამცირებდა იმ კატასტროფულ უარყოფით ბალანსს, რომელიც სამწუხაროდ დღეს გვაქვს და, რომელსაც -5,780,4. მილიონი აშშ დოლარი ჰქვია. ეს შემცირებული სავაჭრო ბალანსი კიდევ მშპ-ს დაემატებოდა და 41 მილიარდი ლარის ნაცვლად 48 ან 50 გვექნებოდა, ხოლო თუ ნულოვან შედეგს მივაღწევდით და იმპორტ-ექსპორტს ერთმანეთს გაუტოლებდით, მაშინ ხომ, როგორც იტყვიან ჩვენს ბედს ძაღლიც არ დაჰყეფდა და მშპ-იც 60 მილიარდ ლარს მიაღწევდა, რაც ჩვენისთანა პატარა ქვეყნისათვის, მნიშვნელოვანი ნახტომი და წინგადადგმული ნაბიჯი იქნებოდა ეკონომიკაში და, მნიშვნელოვანწილად დადებითად აისახებოდა მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდის საქმეში. მხოლოდ ასეთი რეფორმებითა და რეალურად გამოშვებული პროდუქციის ზრდის ხარჯზე უნდა ავამაღლოთ ქვეყნის ეკონომიკა და არა, ტურიზმითა და მომსახერუბით შექმნილი ეკონომიკით, რომელიც რა თქმა უნდა კარგია, მაგრამ ქვეყანის ფეხზე დასაყენებლად არასაკმარისი (ცხრილი N2).

ხის დაუმუშავებელი მასალის გატანასა და მისი მზა პროდუქციად გადაკეთების საქმეში, ერთ მნიშვნელოვან ხელისშემშლელ პრობლემაზეც უნდა გავამახვილო ყურადღება, რაც დღევანდელი სოფლის მოსახლეობისათვის მეტად მტკივნეული და ყურადსაღებია. ამ ცოტა ხნის წინათ, თითქმის ყველა სოფელში ფუნქციონირებდა ხის სახერხი კუსტარული საამქროები, რომელიც ამ მიმართებით ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემებს ნაწილობრივ წყვეტდა და მოსახლეობის კერძო საკუთრებაში არსებული ხის მასალის სასაქონლო პროდუქციად გადაქცევის საქმეში ეხმარებოდა. რატომღაც ამ ბოლო პერიოდში, ვითომდა კონტრაბანდული ხე-ტყის წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით აიკრძალა და, თითქმის ყველა სოფელში ფუნქციონირება შეწყვიტა სახერხმა საამქროებმა. რამაც უამრავი პრობლემა შეუქმნა სოფლის მაცხოვრებლებს. ძვირფასო ხელისუფალნო, მგლის შიშით ცხვარი კი

**ბოლო ხუთი წლის მანძილზე ქვეყნის მშპ-ის ზრდისა და ინფლაციის მაჩვენებლები. ცხრილი N2**

| | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018* | I .2019* | II.2019* |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **მშპ.მიმდინარე ფასებში მილიარდი ლარი** | 29.2 | 31.8 | 34.0 | 37.8 | 41.1 | 9.7 | 11.0 |
| **მშპ.მუდმივ 2010წ–ფასებში მილიარდი ლარი** | 25.6 | 26.3 | 27.1 | 28.4 | 29.7 | 6.6 | 7.6 |
| **მშპ-ის რეალური ზრდა, პროცენტული ცვლილებება** | 4.6 | 2.9 | 2.8 | 4.8 | 4.7 | 4.9 | 4.5 |
| **მშპ-ის დეფლატორი, პროცენტული ცვლილება** | 3.8 | 5.9 | 4.2 | 6.1 | 3,6 | 2.4 | 3.8 |
| **მშპ. ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), ლარი** | 7837.4 | 8524.8 | 9129.0 | 10152.0 | 11013.9 | 2617.2 | 2961.1 |
| **მშპ. ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), აშშ დოლარი** | 4438.3 | 3754.9 | 3857.8 | 4046.8 | 4345.5 | 981.0 | 1081.1 |
| **მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი აშშ დოლარი** | 16.5 | 14.0 | 14.4 | 15.1 | 16.2 | 3.7 | 4.0 |

არ უნდა გავწყვიტოთ, მგელს უნდა ვებრძოლოთ, რომ ცხვარი არ შეგვიჭამოს. საქართველო ის ქვეყანაა, სადაც კარგად ხარობს კაკლის ხეები და იგი საკმაოდ დიდი რაოდენობითაცაა გაშენებული. მისი ხნოვანება მართალია საუკუნეს და მეტ ხანს ძლებს, მაგრამ დროთა განმავლობაში ბუნებრივი სიკვდილით ან ავადმყოფობით, ეს ხეებიც ხმებიან. რატომღაც ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე შეიმჩნევა ქვეყნის მასშტაბით კაკლის ხეების მასიური ხმობის პროცესი. ვინაიდან კაკალის მერქანს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ძვირფასი ჯიშის მერქანთა შორის და დიდი პოპულარობით სარგებლობს, ამ რესურსითაც უნდა ვისარგებლოთ და ეს ნედლეული გამოუყენებელი არ უნდა დაგვრჩეს. მისგან დამზადებული ავეჯი ხომ უნიკალური და ძვირადღირებულია. განსაკუთრებული მოთხოვნა კაკლის ფესვებისაგან დამზადებულ იარაღის კონდახებზეა, რომლის ღირებულება ხშირ შემთხვევაში, იარაღის ღირებულებას უტოლდება ხოლმე. აი ასეთი მწყობრი ნაბიჯებითა და დაუღალავი შრომით, სწორი ეკონომიკური პოლიტიკითა და ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე მიზანმიმართული ქმედებებით, შეიძლება ქვეყნის ეკონომიკის აღორძინება და ხალხის კეთილდღეობის ამაღლება. ამიტომ ხელისუფლებამ ამ მიმართებით მეტი ყურადღება უნდა გამოიჩინოს და სწორი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებით ქვეყნის ეკონომიკა ააღორძინოს.

### გამოყენებული ლიტერატურა:


1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები.

# უცხოური ინვესტიციების მნიშვნელობა და ევროკავშირის მიერ განხორციელებული უახლესი ღონისძიებები საქართველოში

***თამარ აბუაშვილი***
*სტუ ასოცირებული პროფესორი*
***ნინო ბენდიანიშვილი***
*სტუ დოქტორანტი*

## რეზიუმე

თანამედროვე პირობებში უცხოურ ინვესტიციებს ქვეყნის ეკონომიკაში განსაკუთრებული ადგილი აქვს. უცხოური ინვესტიციების შემოდინება ქვეყანაში განაპირობებს ინოვაციების დანერგვას, ტექნოლოგიურ პროგრესს, კაპიტალით და მმართველობითი უნარით, ასევე დანარჩენი აქტივებით უზრუნველყოფას. კერძო კომპანიებს განვითარების საშუალება ექმნებათ, რაც უმუშევრობის დონეზეც აისახება.

აღნიშნული საკითხი არის ერთ-ერთი აქტუალური თემა თანამედროვე პერიოდის გათვალისწინებით. საინვესტიციო თვალსაზრისით საქმიანობისა და განხორციელებული უხოური ინვესტიციებისათვის ქვეყნებს შორის ურთიერთკავშირს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამ მხრივ აუცილებელია დანერგილი ინოვაციების ათვისება და ტექნოლოგიური სიახლეების შემუშავება. როგორიცაა ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებების ანალიზი და ეკონომიკური მნიშვნელობა. ასევე საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებული ხელშეკრულებები. აგრეთვე, თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი და საინვესტიციო აქტიურობის გაუმჯობესების გზების ძიება.

**საკითხს აქტუალურობას** სძენს ის **სიახლეები,** რომ მაგალითად **ევროკავშირი** ახალ პროგრამას იწყებს **ციფრული ეკონომიკის** მხარდასაჭერად.**[1]** ასევე ტარდება ევროკავშირის დღეები თუ აგროსაინვესტიციო (პირველი აგროსაინვესტიციო ბიზნეს ფორუმი ზუგდიდში 11.05.2019)**[2]** თუ სხვა მიმართულების საინვესტიციო ფორუმები. (30 მაისი-**2019წ,** საერთაშორისო საინვესტიციო ფორუმი - კახეთი, წინანდალი 2019), სადაც ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მხარდაჭერით გამოაცხადეს ტენდერი 30-50 მეგავატზე ახალ, **მზის ელექტროსადგურის** მშენებლობაზე.**[3]**

**საკვანძო სიტყვები:** უცხოური ინვესტიციები; ევროკავშირის მხრიდან ინვესტირება; საინვესტიციო აქტიურობა; ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებები; საინვესტიციო უახლესი ღონისძიებები; ევროკავშირთან თანამშრომლობა.

## IMPORTANCE OF FOREIGN INVESTMENT AND NEWEST EU ARRANGEMENTS IN GEORGIA

## RESUME

In modern conditions, foreign investment has a special place in the country's economy. The income of foreign investment in the country is conditioned the introduction of innovation, technological progress, capital and managerial ability.

This issue is one of the topical subject of the modern period. There is a great deal of relevance between countries in terms of investment performance. It's important the analysis of bilateral investment treaties and the economic significance. Also the agreements concluded between Georgia and the European Union.

The issue is actual because the EU is starting a new program to support the digital economy. **[1]** There are also EU days, agri-investment (First hold in Zugdidi 11.05.2019) **[2]** or other investment forums. (May 30, 2009, International Investment Forum - Tsinandali 2019), with the support of the European Bank for Reconstruction and Development, announcing a tender for the construction of a new solar power building at 30-50 MW.**[3]**

**Keywords:** Foreign investment; EU investment; Investment activity; Bilateral investment agreements; Latest investment measures; Cooperation with the European Union.

* * * *

უცხოურ ინვესტიციებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე პერიოდში. ინვესტიციები წარმოადგენს ეკონომიკის განუყოფელ ნაწილს. უცხოური ინვესტიციები და დამყარებული საერთაშორისო ურთიერთობები, განსაკუთრებით ევროკავშირის ქვეყნებთან უმნიშვნელოვანესია. აუცილებელია სწორი პოლიტიკის და შესაბამისი გარემოს უზრუნველყოფა. განსახილველი საკითხი არის ერთ-ერთი აქტუალური თემა თანამედროვე

პერიოდის გათვალისწინებით.

**ევროკავშირისკენ** სწრაფვა საჭიროებს იმის გააზრებას, თუ ეკონომიკის რომელი მოდელი უნდა იქნეს საქართველოსთვის გამოყენებული საინვესტიციო პოტენციალის სრულად ასათვისებლად.**[4]**

საინფორმაციო წყაროების მიხედვით, **საინვესტიციო ფონდების საქმიანობას ახალი კანონი** დაარეგულირებს.**[5]** **საინვესტიციო პოტენციალის** თვალსაზრისით, კი საქართველოში გამოიყოფა **თბილისში ტურისტული სექტორი, კრეატიული მიმართულება, ჯანდაცვა (პლასტიკური ქირურგია), საცალო ვაჭრობა, სერვისი. ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით** კი სასტუმროების, პერსონალის, ტექნიკის უზრუნველყოფა. აღსანიშნავია სტუმართმასპინძლობის, ფარმაცევტული, გართობისა და ვაჭრობის სექტორები. მნიშვნელოვანია საგადასახადო შეღავათები, კანონმდებლობის დახვეწა, სერვისის, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, სტანდარტების და საქართველოში წარმოებული პროდუქციის ხარისხის ამაღლება. აგრეთვე სატრანსპორტო პოლიტიკის პრობლემის აღმოფხვრა და შესაბამისი სამომავლო ქმედებები საინვესტიციო თვალსაზრისით. **პიტერ დრუკერის** მიხედვით, „მომავლის პროგნოზირების საუკეთესო გზა - ეს მისი შექმნაა". ასე, რომ მომავლის თანამედროვე საზოგადოების პროგნოზირების და განვითარების საუკეთესო გზა არის მისი შექმნა, ქმედება და შესაბამისი გარემო-პირობების უზრუნველყოფა საინვესტიციო თუ სხვა თვალსაზრისით. სწორედ ეს არის დღევანდელი რეალობის უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხი და გამოწვევა.

**საკითხის აქტუალობასა** და სიღრმისეულობას ადასტურებს სხვადასხვა საერთაშორისო პროგრამა და უამრავი ღონისძიება. განსაკუთრებით თანამედროვე პერიოდში ინოვაციური ტენდენციების გათვალისწინებით. აგრეთვე ინიციატივები, მიდგომები თუ ბოლო პერიოდის ღონისძიებები. მნიშვნელოვანია ტურისტული პროგრამები თუ სხვა აქტივობები და ჩატარებული საინვესტიციო ფორუმები, სადაც ხორციელდება საქართველოს საინვესტიციო შესაძლებლობების მიმოხილვა. **პირველი აგროსაინვესტიციო ბიზნეს ფორუმი** ჩატარდა ზუგდიდში 11.05.2019, **[2]** ხოლო **საერთაშორისო საინვესტიციო ფორუმი** - კახეთში, წინანდალში 2019 წლის 30 მაისს.**[3]**

საჭიროა შეიქმნას საკითხის ეფექტიანად მართვისა და დაცვის ეროვნული პოლიტიკა. აგრეთვე ჩამოყალიბდეს **კომპლექსური მიდგომა.** მიზანშეწონილი იქნებოდა ქვეყანაში საინფორმაციო და ტექნოლოგიური საშუალებების **მეშვეობით ერთიანი საერთაშორისო პლატფორმის შექმნა,** რითაც უზრუნველყოფილი იქნება უცხოელი ინვესტორებისათვის ქვეყნის შესაძლებლობების, რესურსების, მომსახურების სფეროების გაცნობა. ყურადღება სჭირდება უარესი პირობების შეთავაზების ფაქტებს. აღნიშნული საკითხების სრულყოფა და თანამშრომლობა კი ხელს შეუწყობს ეროვნული ინტერესების უზრუნველყოფასა და ადგილობრივი ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესებას.

აღსანიშნავია იმ საქმიანობის განხორციელება და შესაბამისი გარემოს უზრუნველყოფა, რაც მოიზიდავს უცხოურ ინვესტიციებს. თანამედროვე პერიოდში, უცხოურ ინვესტიციებს დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ, ეკონომიკურად ძლიერი ქვეყნის შესაქმნელად საჭიროა მსოფლიო მეურნეობაში ჩართვა და მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობების დამყარება. განსაკუთრებით კი **ევროკავშირის** ქვეყნებთან. აღსანიშნავია საინვესტიციო ურთიერთობები. აუცილებელია, მონაწილეობა მივიღოთ იმ პროცესებში, რომლებიც თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარეობს. ჩვენს ქვეყანას აუცილებელია ჰქონდეს ეკონომიკური კავშირები რიგ მძლავრ ქვეყნებთან, რაც უზრუნველყოფს ჩვენს მსოფლიომეურნეობრივ პროცესებში ჩართვასა და მძლავრი ქვეყნების დაინტერესებას უცხოური საინვესტიციო თვალსაზრისით. ჩვენი მიზანიც სწორედ, რომ უცხოური ინვესტიციების მაქსიმალურად გამოყენება და შესაბამისი პირობების შექმნაა მძლავრ სახელმწიფოთა მსხვილი კომპანიების დასაინტერესებლად საქართველოში საინვესტიციო საქმიანობების განსახორციელებლად. რაც უზრუნველყოფს ეკონომიკურ ეფექტიანობას. ასევე აუცილებელია აღნიშნული პროცესების სახელმწიფო რეგულირება და საერთაშორისო კანონმდებლობით დაცვა.

სწორი პოლიტიკის დაგეგმვისა და შესაბამისი გარემოს უზრუნველყოფით არის შესაძლებელი მაქსიმალური სარგებლის მოტანა საქართველოსთვის. საინვესტიციო კლიმატზე კი დამოკიდებულია საქართველოს კერძო სექტორის აქტიურობა, აღნიშნული სექტორის განვითარება და საინვესტიციო აქტუალობა.

აღსანიშნავია **განათლების სფეროში ჩადებული ინვესტიცია.** განათლებასა და მეცნიერებას სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს ქვეყნის კეთილდღეობისა და მდგრადი ეკონომიკური განვითარებისათვის. თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემაში დიდ მნიშვნელობას იძენს შესაბამისი საგანმანათლებლო პოლიტიკა და განვითარების სტრატეგია. განსაკუთრებით აღსანიშნავია უწყვეტი განათლების მნიშვნელობა. აღნიშნულთან დაკავშირებით **ევროკავშირის მემორანდუმის "სწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე"** პრინციპების განხორციელება ხელს უწყობს ფორმალურ განათლებასთან ერთად არაფორმალური, ინფორმალური განათლე-

ბის განვითარებას, მათ შორის, ზრდასრულებისათვის.

ევროკავშირისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ორწლიანი **"თვინინგ-სეიბალის" პროექტის** ფარგლებში, მომზადდა „აღიარების სახელმძღვანელო," რომლის მიზანია საქართველოში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი განათლების აღიარების სისტემის ჩამოყალიბება. აგრეთვე ლისაბონის კონვენციასა და თანმხლებ დოკუმენტებთან მისი შესაბამისობის უზრუნველყოფა.

საქართველო მიმზიდველია ინვესტორებისთვის. თუმცა გამოსასწორებლად რჩება რიგი ფაქტორები. აუცილებელია ევროკავშირთან თანამშრომლობის გავლენის მნიშვნელობის გაცნობიერება საქართველოს ეკონომიკაზე. ჩვენთვის, ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია **ევროკავშირის ქვეყნებთან** თანამშრომლობა და ევროკავშირთან დადებული ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებები. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ არსებობს **საინვესტიციო დავების მოგვარების საერთაშორისცენტრი ICSID და გაეროს საერთაშორის სავაჭრო სამართლის კომისია. ხოლო** UNCITRAL (სტოკჰოლმის სავაჭრო პალატა, საერთაშორისო სავაჭრო პალატა და ა.შ.) ICSID-ს გადაწყვეტილება პირდაპირ სავალდებულოა სახელმწიფოსთვის.[6]

საკვლევი თემის ისტორია მრავალწლიანია და საკითხის მდგომარეობას თანამედროვე მეცნიერებაში განაპირობებს განსახილველ სამეცნიერო წიგნებში მკაფიოდ და ნათლად ჩამოყალიბებული სხვადასხვა შეხედულება. განსაკუთრებით აღსანიშნავია თემის ირგვლივ აქტუალური საკითხები პროფესორ **ალექსანდრე სიჭინავასა** და ირინა გოგორიშვილის სახელმძღვანელოში „საერთაშორისო საინვესტიციო საქმე და ტრანსნაციონალური კორპორაციები". მასში განხილულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: საერთაშორისო ინვესტიციების მნიშვნელობა, ინვესტირების როლი საქართველოში. აგრეთვე მსოფლიო საინვესტიციო გარემო და ტრანსნაციონალური კომპანიები. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი ადგილობრივ და მსოფლიო დონეზე. ასევე ამ მიმართულებით სამოტივაციო ფაქტორები. საერთაშორისო ინვესტიციების მექანიზმები.**[7]**

გასათვალისწინებელია პროფესორ **შოთა ვეშაპიძეს,** ეკა ლეკაშვილის, ამბროსი გრიშიკაშვილისა და ნანა ასლამაზიშვილის „მსოფლიო ეკონომიკა", რომელშიც ჩამოყალიბებულია მნიშვნელოვანი შეხედულებები. ასევე განხილულია მსოფლიო მეურნეობის შესახებ განსაზღვრებები, სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკის შესახებ ინფორმაცია, გეოგრაფიის მოკლე მიმოხილვა, გავრცელებული რესურსები ადგილმდებარეობის მიხედვით, კულტურა, სასარგებლო წიაღისეული, პოლიტიკური წყობის შესახებ ინფორმაცია ტრანსეროვნული კორპორაციების არსებობა და მიმოხილვა, ევროპული გაერთიანებები და სხვა., რაც მჭიდრო კავშირშია ინვესტირებასთან ევროკავშირის მხრიდან. განსაკუთრებით კი აღსანიშნავია ქვეყნების კლასიფიკაცია სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიხედვით და ევროკავშირის ეკონომიკა. **[8]**

მნიშვნელოვანია აკაკი გვარუციძეს, მერაბ ვანიშვილის, რედ.: **ალექსანდრე სიჭინავა**; რეცენზ.: **ნატო ჩიკვილაძე „ევროკავშირის ბიუჯეტი და საქართველოს ამოცანები",** სადაც ჩამოყალიბებულია შესაბამისი მიდგომები და საქართველოს მხრიდან განსახორციელებელი ამოცანები ევროკავშირთან დაკავშირებით.**[9]**

აგრეთვე, აღსანიშნავია პროფესორ გურამ ჯოლიას „საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები", რომელშიც: განხილულია საქართველო ზოგადად საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემაში.**[10]**

კვლევის მიზანს კი წარმოადგენს შესაძლებლობის ფარგლებში პირველადი მცდელობა ხელი შეუწყოს აღნიშნული მიმართულების განვითარებას, კავშირურთიერთობათა გაღრმავებას. ასევე სამეცნიერო კვლევებსა და დისკუსიებში ამგვარი საკითხების განხილვის ხელშეწყობა და ახალგაზრდების დაინტერესება. სოციალურ-ეკონომიკური და **საინვესტიციო** ურთიერთობების პოპულარიზაცია და ამ სფეროში მეტი მუშაობა, მაქსიმალური შედეგების მისაღწევად, აგრეთვე **ევროკავშირთან** თანამშრომლობის ძირეული საკითხების განხილვა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საკითხი საჭიროებს უფრო ფართომასშტაბიან და სერიოზულ კომპლექსურ მიდგომას. ეს კი განსახორციელებელი არის სახელმწიფოებრივ დონეზე.

აღსანიშნავია, რომ საიხლეს წარმოადგენს **2020 წელს დაგეგმილი დღგ-ის მნიშვნელოვანი ცვლილებები.** მთავარი მიზეზი ის არის, რომ საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების შესაბამისად, ჩვენს ქვეყანას ევროკავშირის წინაშე აღებული აქვს დღგ-ის ქართული კანონმდებლობის ევროკავშირის დღგ-ის წესებთან დაახლოებასთან დაკავშირებით ვალდებულება. რადგან ევროკავშირში არის ერთიანი სავაჭრო სივრცე, მისი წევრი ქვეყნების კანონმდებლობებს შორის საჭიროა თანხვედრა.**[11]** აუცილებელია წარმოჩნდეს და გავითვალისწინოთ ინოვაციები და ახლებური ხედვა საკითხის მიმართ. განსაკუთრებით კი უცხოური გამოცდილება.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1) https://eeas.europa.eu/delegations/georgia/62496/node/62496_ka [უკანასკნელად გადამოწმდა 16.09.19]

2) http://www.radioatinati.ge/regioni/article/68735-pirveli-agrosainvesticio-biznes-forumi-zugdidshi-video-.html [უკანასკნელად გადამოწმდა 15.09.19]

3) http://www.enterprisegeorgia.gov.ge/ka/სიახლეები/საერთაშორისო-საინვესტიციო-ფორუმი [უკანასკნელად გადამოწმდა 08.09.19]

4) პაპავა ვ., „ექსპერტის აზრი - დამწევი და ჩამორჩენილი ზრდა - ევროკავშირის პოსტკომუნისტური ქვეყნები გამოცდილება და საქართველო", საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, თბ.2018, გვ.22

5) https://www.youtube.com/watch?v=XsB-3qJ2o2G8 [უკანასკნელად გადამოწმდა 10.09.19]

6) https://www.coursehero.com/file/p7ijdac/განმარტეთ-ორმხრივი-საინვესტიციო-ხელშეკრულების-სამართლებრივი-შინაარსი-რა/ [უკანასკნელად გადამოწმდა 12.09.19]

7) სიჭინავა ა., გოგორიშვილი ი., "საერთაშორისო საინვესტიციო საქმე და ტრანსნაციონალური კორპორაციები", თბ.2012, „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი", გვ. 302

8) ვეშაპიძე შ., ლეკაშვილი ე., გრიშიკაშვილი ა., ასლამაზიშვილი ა., "მსოფლიო ეკონომიკა", თბ. 2008, დამხმარე სახელძღვანელო; გვ.681;

9) გვარუციძე ა., ვანიშვილი მ., "ევროკავშირის ბიუჯეტი და საქართველოს ამოცანები", [რედ. : ალექსანდრე სიჭინავა ; რეცენზ. : ნატო ჩიკვილაძე], თბ.2010, გვ.83;

10) ჯოლია გ., „საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები", სახელმძღვანელო, თბ.2008, "ტექნიკური უნივერსიტეტი", გვ.684;

11) http://forbes.ge/news/7030/dRgis-mniSvnelovani-cvlilebebis-analizi [უკანასკნელად გადამოწმდა 16.09.19]

# კონკურენციის პოლიტიკის ევროპული მოდელის ანალიზი

*ლია კვარაცხელია*
*სტუ ასოცირებული პროფესორი*
*მალხაზ წულაია*
*სტუ დოქტორანტი*

**აბსტრაქტი**

კონკურენციის შესახებ უცხოეთის ქვეყნების კანონმდებლობათა ანალიზი საშუალებას იძლევა გამოიყოს საბაზრო ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების ორი ფორმა - ამერიკული და ევროპული. ამერიკული მოდელი ემყარება ბაზარზე არსებული ყველა სამართლებრივი ურთიერთობების კონკურენციულ (ანტიმონოპოლიურ) რეგულირებაზე დაქვემდებარების პრინციპს. ამის მაგალითს წარმოადგენს, აშშ-ში უცხოური ინვესტიციების სამართლებრივი რეგულირება, რომელიც წარმოაჩენს აშშ–ში კონკურენციის შესახებ კანონმდებლობის თავისებურებებს, რომელთაგან უმთავრესი არის – ანტიმონოპოლიური რეგულირების მექანიზმის სრულყოფის ხარისხი. კონკურენციული კანონმდებლობის ევროპული მოდელი კი, უპირველეს ყოვლისა მიმართულია მონოპოლიური (დომინირებული) მდგომარეობის ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ, მონოპოლიებზე ზედამხედველობისა და კონტროლის უზრუნველყოფისაკენ; ნორმები არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ ევროპულ მოდელში გამოყოფილია ცალკე კანონის რეგულირების სფეროდ. აღნიშნული მოდელი გამოიყენება დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში და ევროპის რიგ ქვეყნებში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში.[1] წინამდებარე სტატია კი ეხება კონკურენციული პოლიტიკის ევროპულ მოდელს.

**საკვანძო სიტყვები:** კონკურენცია, კონკურენციის ევროპული მოდელი, კონკურენციის ამერიკული მოდელი.

**ANALYSIS OF THE EUROPEAN MODEL OF COMPETITION POLICY**

**Lia Kvaratskhelia**
Associate Professor of GTU
**Malkhaz Tsulaia**
PhD student of GTU

**ABSTRACT**

The analysis of the laws of foreign countries on competition allows two forms of legal regulation of market relations - American and European. The American model is based on the principle of subordinating all (legal) antitrust regulation on market relations. An example of this is the legal regulation of foreign investment in the United States, which illustrates the peculiarities of competition law in the United States, the most important of which is the degree of perfection of the antitrust regulation mechanism. The European model of competition law, above all, is aimed against the abuse of monopoly domination, supervision and control of monopolies; The norms of unfair competition in the European model are divided into separated law regulation areas. The current model is used in UK, France and several Europe countries, Australia, New Zealand and the Republic of South Africa. This article deals with the European model of competitive policy.

**keywords:** Competition, European Model of Competition, American Model of Competition.

**კონკურენციის პოლიტიკის ევროპული მოდელი:** კონკურენციის პოლიტიკის რეალიზების ერთ-ერთ მოდელს წარმოადგენსევროპული მოდელი. ზოგიერთი მკვლევარის აზრით კონკურენციის პოლიტიკის რეალიზების მოდელებს შორის შეიძლება ცალკე გამოიყოს ევროკავშირის მოდელი, თუმცა არსებობს მოსაზრებები, რომ ევროკავშირის მოდელი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ევროპული მოდელის ერთ-ერთი სახეცვლილება და ევროპული მოდელის შემადგენელი ნაწილი.

უშუალოდ განვიხილოთ კონკურენციის პოლიტიკის ევროპული მოდელი (დიდი ბრიტანეთის და ევროკავშირის მაგალითზე), მისი ძირითადი პარამეტრები, მახასიათებლები და აღსრულების მექანიზმები.

**ევროკავშირის მაგალითი:** ევროკავშირი ეს არის ევროპის სახელმწიფოთა გაერთიანება, რომლის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა ომის შემდგომ ევროპაში მშვიდობისა და სტაბილურობის დაცვა და ეკონომიკური ინტეგრაციის მეშვეობით წევრი ქვეყნების ერთობლივი განვითარება. კავშირი დაარსებულ იქნა ევროპის ქვანახშირის მომპოვებელი და ფოლადის მწარმოებელი ქვეყნების (თავდაპირველად ამ გაერთანებაში შედიოდა ექვსი ქვეყანა) მიერ 1951 წლის 18 აპრილს პარიზში ხელმოწერილი ხელშეკრულების ხაფუძველზე აღნიშნული ხელშეკრულება წარმოადგენს ამ გაერთანების კონსტიტუციურ საფუძველს.

ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების წარმატებამ წევრ სახელმწიფოებს უბიძგა, დაედოთ მსგავსი ხელშე-

1 ფეტელავა ს. „კონკურენციის თეორია და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში", გამომცემლობა „ლიო" თბ. 2007, გვ. 45

კრულებები სხვა სფეროებშიც და მიღწეული შეთანხმების საფუძველზე 1957 წლის 25 მარტს რომში ხელი მოაწერეს ევროპული ატომური ენერგიის გაერთიანებისა და ევროპის ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულებებს. ევროპის ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულება, რომელიც ძირითადად „რომის ხელშეკრულების" სახელწოდებითაა ცნობილი, ძალაში შევიდა 1958 წლის 1 იანვრიდან და მის საფუძველზე ბრიუსელში ჩამოყალიბდა თანამშრომლობის ორგანიზაციის კომისია. „რომის ხელშეკრულებით" გათვალისწინებული იყო წევრი სახელმწიფოების უფრო მჭიდრო ეკონომიკური ინტეგრაცია, რომელიც თავდაპირველად დაწყებულ იქნა თავისუფალი სავაჭრო ზონით, რაც მოგვიანებით საბაჟო კავშირში გადაიზარდა, ხოლო 1993 წლის 1 იანვრიდან უკვე შეიქმნა ერთიანი ევროპული საერთო ბაზარი, საერთო წესებითა და კანონმდებლობით ეკონომიკური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, რამაც ფაქტიურად სულ სხვა სიბრტყეზე წამოსწია ამ ქვეყნებს შორის არსებული ეკონომიკური თანამშრომლობის ასპექტები.

კონკურენციის პოლიტიკა წარმოადგენს ევროკავშირის ეკონომიკური პოლიტიკის ძირითად შემადგენელ ნაწილს (მიმართულებას), რომელიც დაფუძნებულია ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის საკანონმდებლო ბაზაზე (მუხლი 81 - 90) და ემსახურება ერთიან ბაზარზე თავისუფალი კონკურენციის დაცვას და კონკურენციის სტიმულირებას საერთო ეკონომიკურ ტერიტორიაზე. ამდენად, შესაძლებელია ითქვას, რომ კონკურენციის პოლიტიკა ეს არის არა მიზანი, არამედ ინსტრუმენტი ამ მიზნის მისაღწევად.

ვროკავშირის კონკურენციის პოლიტიკა დაფუძნებულია ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების (TFEU) მეშვიდე ნაწილის პირველი თავის დებულებებზე (101-109 მუხლები) და კონცენტრირებულია ისეთ ძირითად მიმართულებებზე, როგორიცაა:

- კარტელები და სხვა სახის ანტიკონკურენციული პრაქტიკა,
- დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება,
- შერწყმების/კონცენტაციების კონტროლი,
- ლიბერალიზება და სახელმწიფო დახმარებები.[2]

**ანტიკონკურენციული შეთანხმებები:** ხელშეკრულების 101–ე მუხლი (პირველი ნაწილი) კრძალავს ნებისმიერ შეთანხმებას (ფორმალურს თუ არაფორმალურს), ან შეთანხმებულ ქმედებას, ორ ან მეტ დამოუკიდებელ ერთეულს შორის, რომელმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს წევრ ქვეყნებს შორის ვაჭრობაზე და რომლის მიზანი, ან შედეგია კონკურენციის დაუშვებლობა, შეზღუდვა ან აღკვეთა. 101(1) განსაზღვრავს აკრძალულ შეთანხმებებს, როგორიცაა:

ა) შესყიდვის ან გაყიდვის ფასების ან სხვა სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენა (ფიქსირება);

ბ) წარმოების, ბაზრების, ტექნიკური განვითარების ან ინვესტიციებისშეზღუდვა;

გ) ბაზრების განაწილება;

დ) იდენტურ ტრანზაქციებზე განსხვავებული/დისკრიმინაციული პირობების გამოყენება გარკვეულ სავაჭრო პარტნიორებთან, რითაც ხდება მათი კონკურენციულად წამგებიან მდგომარეობაში ჩაყენება;

ე) გარიგების პირობად მხარისთვის ისეთი დამატებითი ვალდებულების დაკისრება, რომელიც არც საგნობრივად და არც კომერციული თვალსაზრისით დაკავშირებული არ არის გარიგების საგანთან.

101(2) ნაწილით ბათილია ამ მუხლით გათვალისწინებული ნებისმიერი აკრძალული შეთანხმება, თუ მასზე არ ვრცელდება კანონმდებლობით დადგენილი გამონაკლისები.

ამავე მუხლის მესამე ნაწილით, საზოგადოებრივი ინტერესების გათვა-ლისწინებით, დაშვებულია გამონაკლისები იმ შეთანხმებების,გადაწყვეტილებების, შეთანხმებული ქმედებების მიმართ, რომლებიც ხელს უწყობს საქონლის წარმოების ან მიმოქცევის გაუმჯობესებას, ტექნიკურ-ეკონომიკურ პროგრესს და, ამასთანავე, უზრუნველყოფს მომხმარებლის კეთილდღეობის გაზრდას. გარდა ინდივიდუალური გამონაკლისებისა, შეთანხმება ავტომატურად კანონიერად ითვლება თუ იგი აკმაყოფილებს კომისიის ჯგუფური გამონაკლისების შესახებ რეგულაციის მოთხოვნებს[3] და არ შეიცავს 102-ე მუხლის დარღვევის ნიშნებს.

**კონკურენციის უმნიშვნელოდ შემზღუდველი ხელშეკრულებები:** ევროკავშირის კონკურენციის სამართალი - ითვალისწინებს გამონაკლისებს უმნიშვნელო საბაზრო ძალაუფლების მქონე ეკონომიკური აგენტების მონაწილეობით განხორციელებულ შეთანხმებებზე. კერძოდ ე.წ. „De minimiss"[4] წესით 101(1) მუხლით გათვალისწინებული აკრძალვები არ ვრცელდება თუ:

ა) ჰორიზონტალური ხელშეკრულების მხარეთა ერთობლივი წილი შესაბამის ბაზარზე 10 პროცენტზე ნაკლებია;

ბ) ვერტიკალური შეთანხმების (შეთანხმება არაკონკურენტ ეკონომიკურ აგენტებს შორის) მხარეთა საბაზრო წილები 15 პროცენტზე ნაკლებია;

გ) თუ ხელშეკრულება მოიცავს როგორც ჰორიზონტალური, ისე ვერტიკალური ხელშეკრულების

2 ლაფაჩი ქ., კუტივაძე ნ., „კონკურენციის მარეგულირებელი ინსტიტუციური ჩარჩო საქართველოში" მომზადებული ევროკავშირი-საქართველოს ბიზნესსაბჭოს მიერ, (http://eugbc.net/wp-content/uploads/2015/04/Publication-on-Competition-Geo.pdf ) გვ. 8

3 Commission block exmeption regulation, (EC) No 330/2010)

4 Commission Notice on Agreemen of Minor Importance, 2001

მახასიათებლებს, ხელშეკრულების თითოეული მხარის საბაზრო წილი არ აღემატება 5 პროცენტს.

გამონაკლისები არ ვრცელდება კარტელურ გარიგებებზე, როგორიცაა ფასების ფიქსირება (მათ შორის გადასაყიდი ფასების შენარჩუნება) ან ბაზრების დაყოფა ტერიტორიული ნიშნით.

**დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვა:** ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 11:50 102-ე მუხლით აკრძალულია ერთი ან მეტი ეკონომიკური აგენტის მიერ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება საერთო ბაზარზე ან მის მნიშვნელოვან ნაწილზე, როგორც შეუსაბამო საერთო ბაზართან, თუ მას შეუძლია იმოქმედოს საერთო ბაზარზე და მნიშვნელოვნად შეზღუდოს ვაჭრობა წევრ სახელმწიფოთა შორის. ამავე მუხლის თანახმად, დომინირების ბოროტად გამოყენებად ითვლება:

ა) პირდაპირ ან არაპირდაპირ არასამართლიანი გასაყიდი ან შესაძენი ფასების ან ვაჭრობის სხვა რომელიმე არასამართლიანი პირობის დაწესება;

ბ) მომხმარებლის საზიანოდ წარმოების, ბაზრების ან ტექნიკური განვითარების შეზღუდვა;

გ) სავაჭრო პარტნიორებთან არათანაბარი პირობების გამოყენება ერთგვაროვანი გარიგებების შემთხვევაში, რითაც მათ აყენებს არათანაბარ პირობებში კონკურენციის თვალსაზრისით;

დ) ხელშეკრულების წინაპირობად მეორე მხარისათვის ისეთი ვალდებულებების დაკისრება, რომელიც თავისი ბუნებით ან კომერციული დანიშნულებით არ უკავშირდება ხელშეკრულების საგანს.

დომინირებული მდგომარეობის განსაზღვრისას, გარდა საბაზრო წილისა ევროკომისია ითვალისწინებს ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა: კონკურენტების მდგომარეობა, ბაზარზე შესასვლელი და წარმოების გაფართოების ბარიერები, მასშტაბის ეფექტი, მყიდველის საბაზრო ძალაუფლება, სანედლეულო ბაზების ფაქტორების ხელმისაწვდომობა, ვერტიკალური ინტეგრაციის ხარისხი, საბაზრო მდგომარეობის სტაბილურობა, ბაზრის განვითარების დონე, მნიშვნელოვანი აქტივებისადმი წვდომა, ფირმისა და მისი კონკურენტების ფინანსური რესურსები და სხვა.

**სახელმწიფო დახმარებები და ლიბერალიზაცია:** ევროკავშირის კონკურენციის სამართალი შეიცავს სპეციალურ წესებს, რომელთა მიზანია თავიდან აიცილონ საერთო ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვა გამოწვეული ამა თუ იმ კომპანიისათვის სახელმწიფო დახმარებების მინიჭებით. ბაზრების ლიბერალიზაციის ხელშეწყობის მიზნით დადგენილია სპეციალური წესები: სახელმწიფო მონოპოლიებთან მიმართებაში ხელშეკრულებით - მუხლი 107(1) - აკრძალულია კომპანიისათვის სახელმწიფო რესურსის გადაცემა ან დახმარება ნებისმიერი ფორმით, რომელიც აფერხებს კონკურენციას. სახელმწიფო დახმარების კონცეფცია საკმაოდ ფართოა და მოიცავს ყველაფერს რამაც შესაძლოა მის მიმღებს მოუტანოს კომერციული სარგებელი, მათ შორის: სამთავრობო სუბსიდია, საგადასახადო გამონაკლისები, სახელმწიფო ან სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი საწარმოებიდან საქონლის ან მომსახურების მიწოდება უპირატესი პირობებით, გარანტიების მიცემა, ვალის ჩამოწერა და სხვა. საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, განსაზღვრულია გამონაკლისებიც. ხელშეკრულებით - 107(2)-მუხლით ნებადართულია დახმარება ინდივიდუალური მომხმარებლისათვის სოციალური დახმარების სახით, თუ ეს არ გამოიწვევს შესაბამისი საქონლის წარმოშობის დისკრიმინაციას; დახმარება, რომლის მიზანია სტიქიური მოვლენებისა და ფორსმაჟორული გარემოებების შედეგების აღმოფხვრა და სხვა. გარდა ამისა 107(3) მუხლის თანახმად შესაძლოა თავსებადი იყოს კონკურენციის წესებთან დახმარება, რომელიც არ ზღუდავს კონკურენციას ან არ ქმნის მისი შეფერხების საშიშროებას, რომელიც გაიცემა გარკვეული განუვითარებელი რეგიონების ეკონომიკური აღორძინებისათვის; საერთო ევროპული მნიშვნელობის /ინტერესის მქონე, პროექტების განსახორციელებლად; გარკვეული ეკონომიკური საქმიანობის ან სფეროს განვითარებისათვის; კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების ხელშეწყობისათვის; კომისიას გააჩნია ექსკლუზიური უფლებამოსილება დაადგინოს გაცემული სახელმწიფო დახმარების შესაბამის პოლიტიკასთგან თავსებადობა და განახორციელოს მონიტორინგი წევრი სახელმწიფოების მიერ განხორციელებულ პოლიტიკაზე სახელმწიფო დახმარებების სფეროში. შესაბამისად, წევრ სახელმწიფოებს მოეთხოვებათ უზრუნველყონ ევროკომისიის ინფორმირება დაგეგმილი სახელმწიფო დახმარებების აწ უკვე დამტკიცებულ სქემებში მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ (ხელშეკრულების 108 (3) მუხლი).[5]

**ევროპის კონკურენციის კანონის აღსრულება:** ევროკავშირის კონკურენციის სამართლის ცენტრალური აღმასრულებელი ორგანოა ევროკომისია მისი კონკურენციის გენერალური დირექტორატის სახით. ეროვნულ სააგენტოებს უფლება აქვთ გამოიყენონ, როგორც ევროკავშირის კონკურენციის სამართლის ნორმები, ასევე შიდა წესები დადგენილი შესაბამისი ქვეყნების კანონმდებლობით. გენერალური დირექტორატს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც ჰყავს სამი მოადგილე უფლებამოსილი შესაბამისად:

ა)შერწყმები და ანტიტრასტი; ბ) სახელმწიფო დახმარებები; გ) ოპერაციები;

მნიშვნელოვანი ეტაპი ევროკავშირის კონკურენციის წესების აღსრულებაში დაიწყო 2004 წლის 1 მაისიდან ახალი რეგულაცია 1/20039 ის ამოქმე-

5 ლაფაჩი ქ., კუტივაძე ნ., „კონკურენციის მარეგულირებელი ინსტიტუციური ჩარჩო საქართველოში" მომზადებული ევროკავშირი-საქართველოს ბიზნესსაბჭოს მიერ, (http://eugbc.net/wp-content/uploads/2015/04/Publication-on-Competition-Geo.pdf ) გვ. 12

დებით. ევროკავშირის კონკურენციის სავარძლის აღსრულების სიტემის რეფორმის ორი ძირითადი შედეგია:

ა) 101(3) (ყოფილი 81(3)) მუხლის პირდაპირი აპლიკაცია, რაც გულისხმობს რომ შეთანხმებები ეკონომიკურ აგენტებს შორის აღარ ექვემდებარება წინასწარი შეტყობინების რეჟიმს და შეთანხმების მონაწილე თავად განსაზღვრავს ექცევა თუ არა მისი ქმედება 101/3 მუხლით გათვალისწინებულ გამონაკლისებში;

ბ) „ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ" ხელშეკრულების 101 და 102-ე მუხლების დეცენტრალიზებული აღსრულება და წევრი ქვეყნების კონკურენციის სააგენტოების უფლებამოსილებების გაფართოება.

სანქციები - ევროკომისიას და კონკურენციის ეროვნულ სააგენტოებს შეუძლიათ გამოიძიონ საქმე და დააკისრონ ჯარიმა კანონდარღვევისათვის. ჯარიმის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წლიური ბრუნვის 10% -მდე თუ საკითხი ევროკომისიის ქვემდებარეა. ეს წესები გამოიყენება იმ შემთხვევაშიც თუ ქმედება ან შეთანხმება განხორციელდა ევროპის ეკონომიკური არეალის გარეთ, მაგრამ გავლენას ახდენს ევრობაზარზე. ევროკომისია იყენებს აგრეთვე პერიოდულ ჯარიმებს, რაც განისაზღვრება კომისიის გადაწყვეტილების შეუსრულობლობის ყოველი ვადაგადაცილებულ დღეზე დღიური ბრუნვის 5 %-მდე ოდენობით.[6]

იუსტიციის სამინისტროსთან არსებული ანტიტრესტული კანონმდებლობის შემსწავლელი კომისიის ყოფილი წევრი ჯ. ვან-საისი მონოგრაფიაში „აშშ-ს ფედერალური ანტიტრესტული კანონმდებლობა". ის წერდა „ჩვენი მამები - კანონმდებლები ეთანხმებოდნენ არისტოტელეს იმაში, რომ „უკეთესია, საკუთრებაიყოს კერძო, რადგანაც ასეთ შემთხვევაში „თითოეული ადამიანი იმუშავებს ისე, რომ გააუმჯობესოს თავისი კერძო საკუთრება" და ამით გაზარდოს ერთობლივი ინდუსტრიული სიმდიდრე ამასთან, ისინი იზიარებდნენ ადამ სმითის მოსაზრებას წარმოებაში „უხლავი ხელის" ფაქტორთან დაკავშირებით ისინი იყვნენ დარწმუნებული, რომ სახელმწიფოს რესურსების განაწილება არ შეიძლება იყოს დამოკიდებული ბიზნესის მაგნატების, ან სახელმწიფო დაგეგმვის ორგანოების პირად შეხედულებებზე". მიაჩნდათ, რომ კონკურირებადი ძალების ურთიერთქმედება ყველაზე ეფექტიანად წინ წაწევს ჩვენ მატერიალურ პროგრესს"[7]

6 Guidelines on the methods of setting fines. OLC 010,01.09.2006, p. 37

7 Ван-Сайс Дж.Дж., - Федеральное Антимонопольное Законодательство США, Третье пересмотренное издание, с анг. Пер. Бакуркина Т.Н., No Перевода Т-23100, Всесоюзный центр переводов, М., Дата перевода 30.10.90 с.23

## გამოყენებული ლიტერატურა

1. გველესიანი რ., გოგორიშვილი ი. – ეკონომიკური პოლიტიკა. წიგნი I, გამომცემლობა „უნივერსალი", თბ. 2008გოგიაშვილი შ. „საქართველოს კონკურენციის ეკონომიკური პოლიტიკის განვითარების ქრონოლოგია", ჟურნ. „ეკონომისტი", #2 2013

2. კლუმპი რ. „ეკონომიკური პოლიტიკა მიზნები, ინსტრუმენტები და ინსტიტუციები" თბ. 2013

ლაფაჩი ქ., კუტივაძე ნ., „კონკურენციის მარეგულირებელი ინსტიტუციური ჩარჩო საქართველოში" მომზადებული ევროკავშირი-საქართველოს ბიზნესაბჭოს მიერ, (http://eugbc.net/wp-content/uploads/2015/04/Publication-on-Competition-Geo.pdf)

3. პაპავა ვ. „საქართველოს ეკონომიკა რეფორმები და ფსევდორეფორმები", გამომცემლობა „ინტელექტი, თბ. 2015

4. სმიტი ა. „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ", თბ. 1928

5. ფეტელავა ს. „კონკურენციის თეორია და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში", გამომცემლობა „ლიო" თბ. 2007

6. კონკურენციის სააგენტოს კვლევა „საავტომობილო საწვავის (ბენზინი, დიზელი) სასაქონლო ბაზრის შესახებ" 2015, 14 ივლისი

7. "კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონი, თბ. 2014

8. Васильева Н., Горячева Ю., Доронина Н. и др., Конкурентное право Российской Федерацм, 1999

9. Ван-Сайс Дж.Дж., - Федеральное Антимонопольное Законодательство США, Третье пересмотренное издание, с анг. Пер. Бакуркина Т.Н., No Перевода Т-23100, Всесоюзный центр переводов, М., Дата перевода 30.10.90

10. Гелхорн Э., Ковасик В. – Антитрестовское законодательство и экономика (Перевод на русский язык), Вашингтон, 1995

11. William E. Kovacic, „Competition Policy in the European Union and the United States: Convergence or Divergence?", Bates White Fifth Annual Antitrust Conference, Washington, D.C. June 2, 2008

# კონკურენტული ბაზრები და კონკურენციის როლი საბაზრო ეკონომიკაში

*თეონა ბაქანიძე*
*სტუ ასოცირებული პროფესორი*
*მაგდა ბაქანიძე*
*სტუ ასისტენტ პროფესორი*

**რეზიუმე**

სტატიაში განხილულია თუ რა არის ბაზარი და როგორ განისაზღვრება იგი. თუ რა სახის ბაზრები არსებს და როგორ ფორმირდება საბოლოოდ საქონლისა და მომსახურების ფასები ბაზარზე, რა ახდენს მათზე გავლენას. წარმოდგენილია თუ რა არის კონკურენტული ბაზარი, რა სპეციფიკით ხასიათდება ასეთი ტიპის ბაზრები და ასევე განხილულია კონკურენტული ბაზრის მაჩვენებლის ორი ძირითადი მახასიათებელი. წარმოდგენილია კონკურენცია, როგორც სრულყოფილი ასევე არასრულყოფილი.

**საკვანძო სიტყვები:** ბაზარი; კონკურენცია; კონკურენტული ბაზრები; სრულყოფილი კონკურენცია; ფასისადმი შემგუებლობა.

## COMPETITIVE MARKETS AND THE ROLE OF COMPETITION IN A MARKET ECONOMY

**Teona Bakanidze**
PhD in Business Administration,
Associate Professor
**Magda Bakanidze**
PhD in Business Administration,
Assistant professor

**RESUME**

The article discusses: what the market is and how it is defined; what kind of markets exist and how the prices of goods and services ultimately shape the market, what influences on them. Here is also presented what is the competitive market, what are the characteristics of such markets, and two key features of the competitive market index. The competition is presented as perfect as well as imperfect

* * * *

ეკონომიკურ ლიტერატურაში ხშირად გვხვდება ტერმინი „ბაზარი“, ბუნებრივია, ჩნდება კითხვა თუ რას ნიშნავს ეს ტერმინი და როგორ განისაზღვრება იგი? ბაზრები სხვადასხვაგვარი და უმეტესწილად არაორგანიზებული ადგილია, სადაც მყიდველები და გამყიდველები ერთმანეთს ხვდებიან განსაზღვრულ დროსა და ადგილზე, სადაც მყიდველები, როგორც წესი განსაზღვრავენ საქონელსა და მომსახურებზე მოთხოვნას, ხოლო გამყიდველები, განსაზღვრავენ საქონლისა და მომსახურების მიწოდებას. უფრო კონკრეტულად, რომ განვიხილოთ თუ როგორ განსაზღვრავს საქონლისა და მომსახურების ფასსა და რაოდენობას მყიდველი და გამყიდველი ბაზარზე ურთიერთქმედების პროცესში.

მოვიყვანეთ ერთი კონკრეტული მაგალითი. მაგალითად, განვიხილოთ მინერალური წყლის ბაზარი რომელიმე ქალაქში. მინერალური წყლის გამყიდველები ერთმანეთს არ ხვდებიან გარკვეულ შეთანხმებულ დროს, ისინი სხვადასხვა ადგილას იმყოფებიან და განსხვავებულ პროდუქციასაც სთავაზობენ მომხმარებლებს, არც მინერალური წყლის მყიდველები ხვდებიან ერთმანეთს წინასწარ შეთანხმებულ დროს, ასევე არ არსებობს მინერალური წყლის დოგმატური ფასის განმსაზღვრელი ფაქტორი. ყოველი გამყიდველი მინერალური წყლის ფასს თვითონ აწესებს და ყოველი მყიდველი თვითონ იღებს გადაწყვეტილებას, თუ რა რაოდენობის მინერალური წყლის შეძენა სურს მოცემულ ფასად.

მიუხედავად არაორგანიზებულობისა, მინერალური წყლის მყიდველთა და გამყიდველთა რაოდენობა ქმნის ბაზარს. თითოეულმა მომხმარებელმა იცის, რომ შეძლია გააკეთოს არჩევანი სხვადსხვა გამყიდველს შორის და ასევე თითოეულმა გამყიდველმა იცის, რომ მისი საქონელი და მომსახურება სხვა გამყიდველების მიერ შეთავაზებული პროდუქტის მსგავსია. მინერალური წყლის ფასს ამ შემთხვევაში არა კონკრეტული მყიდველი ან გამყიდველი განსაზღვრავს, არამედ ყველა მყიდველი და გამყიდველი განსაზღვრავს ბაზარზე ურთიერთქმედების პროცესში. მოცემულ შემთხვევაში მინერალური წყლის ბაზარი მაღალკონკურენტული ბაზარია. უნდა ითქვას, რომ ბაზრების უმეტესობა დღესდღეობით კონკურენტული ხასიათისაა. განვმარტოთ, თუ რა არის კონკურენტული ბაზარი.

კონკურენტულია ბაზარი, სადაც ბევრი გამყიდველი და მყიდველია და ასევე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, როგორც განხილული მაგალითიდან ჩანს, თითოეული მათგანი უმნისვნელო გავლენას ახდენს საქონლისა და მომსახურების ფასზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კონკურენტულ ბაზარზე საქონლისა და მომსახურების ფასები ყალიბდება მიწოდება-მოთხოვნის საფუძველზე.

უნდა აღინიშნოს, რომ კონკურენტული ბაზრის

პირობებში თითოეული გამყიდველი შეზღუდულია ფასის განსაზღვრასი, ვინაიდან სხვა გამყიდველებიც მათი პროდუქციის მსგავს საქონელსა და მომსახურებას ქმნიან დ აწვდიან მომხმარებლებს. კონკურენტული ბაზრის შემთხვევაში გამყიდველს არ გააჩნია არანაირი პირობა და მიზეზი, რომ დააწესოს არსებულ ფასზე ნაკლები ფასი და ასევე მას არ აქვს მიზეზი დააწესოს არსებულზე მეტი ფასი, რადგან მომხმარებელი ნებისმიერი სხვა გამყიდველისგან შეიძენს მას უფრო დაბალ და მისთვის მისაღებ ფასად.

ასევე უნდა გამოვყოთ, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც დამახასიატებელია სრულყოფილი კონკურენციის ბაზრებზე : - სრულყოფილი კონკურენციის ბაზრის პირობებში ფირმებს თავისუფლად შეუძლიათ როგორც აღნიშნულ ბაზარზე შესვლა, ასევე ამ ბაზრიდან გასვლაც. ასე მაგალითად ნებისმიერ მსურველს შეძლია გადაწყვიტოს მინერალური წყლის წარმოების ფირმის შექმნა და ასევე მას შეუძლია გადაწყვიტოს აღნიშნული საქმიანობის შეწყვეტა.

აქვე ჩნდება კითხვა თუ რა არის კონკურენცია? სიტყვა (ტერმინი) „კონკურენცია” . იგი წარმოიშვა გვიანდელი ლათინური სიტყვიდან „concurentia” (concurrere) და პირდაპირი მნიშვნელობით (სიტყვა-სიტყვით) ნიშნავს - შეტაკებას, შეჯახებას. ამასთან, საზოგადოებაში დამკვიდრებული ტერმინის შესაბამისად კონკურენციის ქვეშ იგულისხმება სამეურნეო სუბიექტებს შორის ისეთი შეჯიბრი, რომლის დროსაც მათი დამოუკიდებელი მოქმედებები ეფექტიანად ზღუდავენ თითოეული მათგანის შესაძლებლობას ცალმხრივად იმოქმედონ საქონლის მიმოქცევის საერთო პირობებზე შესაბამის ბაზარზე (ზღუდავენ მეტოქის შესაძლებლობას უპირატესობა მოიპოვოს ბაზარზე და ხელს უწყობენ მომხმარებლისათვის საჭირო საქონლის წარმოებას).

კონკურენციის ბაზრის ძირითადი დამახასიათებელი თვისებებია: 1. დამოუკიდებლად მოქმედ გამყიდველთა დიდი რაოდენობით არსებობა, რომლებიც თავიანთ პროდუქციას სთავაზობენ მაღალორგანიზებულ ბაზარს. 2. სხვადასხვა გამყიდველის მიერ შეთავაზებული პროდუქცია ძირითადად ერთგვაროვანია. კონკურენტული ფირმები აწარმოებენ სტანდარტულ ანუ ერთგვაროვან პროდუქციას. მოცემული ფასის დროს მომხმარებლისათვის სულერთია რომელ გამყიდველთან შეიძენს პროდუქტს. 3. ფასისადმი შემგუებლობა. წმინდა კონკურენციის პირობებში ყოველი ფირმა პროდუქციის საერთო საბაზრო რაოდენობიდან იმდენად უმნიშვნელო მოცულობის პროდუქციას აწარმოებს, რომ გამოშვების გადიდება ან შემცირება საგრძნობ ზეგავლენას ვერ მოახდენს ფასზე. ამიტომ კონკურენტული მიმწოდებელი კი არ ცდილობს შეცვალოს ფასი, არამედ „ეგუება” ფასს. 4. დარგში თავისუფალი შესვლა და გამოსვლა. ეს ნიშნავს, რომ არ არსებობს რაიმე სერიოზული დაბრკოლება – კანონმდებლური, ტექნოლოგიური, ფინანსური და სხვა – რასაც შეუძლია ხელი შეუშალოს არსებული ფირმების გამოსვლას დარგიდან ან ახალი ფირმების აღმოცენებას დარგში; 5. ბაზარზე უამრავ გამყიდველთან ერთად უამრავი მყიდველია, რომლებიც დამოუკიდებლად მოქმედებენ.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. ვეშაპიძე შ., ეკონომიკის საფუძვლები, თბ., 2015, 345 გვერდი
2. სამადაშვილი უ., შენგელია რ. თანამედროვე ეკონომიკა, თბ., 2013, 405 გვერდი
3. მენქიუ გ., ეკონომიკის პრინციპები, თბ., 2000, 1064 გვერდი
4. ლემონჯავა პ., აბრალავა ა., ეკონომიკის პრინციპები, თბ., 2011, 408 გვერდი
5. ბერიძე ლ., ჭიპაშვილი მ., მუჯირიშვილი დ., მაკროეკონომიკა, თბ., 2010, 448 გვერდი
6. ბერიძე ლ., ჭიპაშვილი მ., მუჯირიშვილი დ., ტატუნაშვილი ლ., მიკროეკონომიკა, თბ., 2008, 333 გვერდი
7. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&cl=CL1.2&d=HASH0129f666565e778cbc8e8698&gt=1
8. http://www.newvision.ge/sites/default/files/comp_book_color_final.pdf

# ეკონომიკური თავისუფლების თეორიული ასპექტები

*ლია კვარაცხელია,*
*სტუ ასოცირებული პროფესორი*
*ქეთევან ხორავა*
*სტუ დოქტორანტი*

**„არ არსებობს თავისუფლება, ეკონომიკური თავისუფლების გარეშე"**
**მარგარეტ ტეტჩერი.**

**რეზიუმე**

ეკონომიკური თავისუფლება ქვეყნის განვითარების საწყისია. თუ გადავხედავთ მცირე რესურსების მქონე ქვეყნებს მათი, როგორც სახელმწიფოს განვითარება პირდაპირ დაკავშირებულია ეკონომიკურ თავისუფლებასთან. თუ დავსვამთ რა ან ვინ არის სახელმწიფოს ღერძი, პასუხი არის - თავისუფალი ადამიანი, ხოლო ეკონომიკური სისტემის მამოძრავებელი ძალა - ეკონომიკური თავისუფლება. ეკონომიკური თავისუფლება ის მთავარი ელემენტია, რომელმაც პროგრესს მიაღწია როგორც საზოგადოების, ასევე ეკონომიკის განვითარებაში.

**THEORETICAL ASPECTS OF ECONOMIC FREEDOM**

**Lia Kvaratskhelia,**
Associate Professor of TSU
**Keteva Khorava**
PhD student of GTU

**RESUME**

Economic freedom is the beginning of the country's development. If we look at countries with low resources we will discover that, the development of the state is directly linked to economic freedom. The answer to the question who, or what is the axis of the state is simple-Free individual, while driving force of the economical system is-The economic freedom. Economic freedom is a key element that has made progress into development of both, society and economic growth.

**გარდამავალი ტიპის ეკონომიკის ქვეყნების გამოწვევები.** გარდამავალი ტიპის ეკონომიკის ქვეყნისათვის ეკონომიკური თავისუფლების ხარისხს დიდი მნიშვნელობა ენიჭება საბაზრო სისტემის ჩამოყალიბებაში. ფაქტობრივად ის წარმოადგენს მთავარ ფაქტორს ახალი თვითგანვითარებადი, ძლიერი, რეგენერაციის უნარის მქონე ეკონომიკური სისტემის ჩამოსაყალიბებლად. საბაზრო ეკონომიკა უპირველესად ეკონომიკურ თავისუფლებას ემყარება, რაც არჩევანის თავისუფლებაში გამოვლინდება. კაცობრიობის განვითარების მანძილზე ნათლად ჩანს, რომ ეკონომიკურ სისტემებს შორის, ყველაზე მისაღები საბაზრო ეკონომიკაა სახელმწიფოებისათვის, რადგან სწორედ მოწინავე ქვეყანათა რიგში საბაზრო ეკონომიკის მქონე სახელმწიფოებია წარმოდგენილი სხვადასხვა სტატისტიკურ კვლევებში. ეკონომიკური თავისუფლება ქმნის ნიადაგს სწორედ იმ სიახლეების დასანერგად რომელიც სჭირდება ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკას ფუნქციონირებისათვის, რათა გლობალიზაციის პირობებში ეკონომიკურ წარმატებას მიაღწიოს ქვეყანამ, როგორც მის ფარგლებში ასევე ფარგლებს გარეთ.

საქართველო მე-XX საუკუნის ბოლოს გახდა საბაზრო ეკონომიკის ქვეყანა. სწორედ ამიტომ ვფიქრობ, რომ სოციალიზმმა თავისი დაღი დაასვა არა მხოლოდ სახელმწიფოებრიობის შეგნებას მოქალაქეებში, არამედ თავისუფალი ბაზრის ჩამოყალიბების იდეას.

მნიშვნელოვანია სახელმწიფო იღწვოდეს სრულყოფილი ეკონომიკური თავისუფლებისკენ, რაც თავისი არსით გულისხმობს ეკონომიკური ზრდის და განვითარების ისეთ საბაზრო წინაპირობებს, როგორიც არის თავისუფალი ბაზარი; კერძო საკუთრება, დაცული საკუთრება, დაბალი ინფლაცია, ქვეყნებს შორის შეუზღუდავი ვაჭრობა და ღია ბაზრები.

სწორედ ამ მოტივით დავინტერესდით გვეკვლია საქართველოს ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი, რადგან საქართველოს ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის დაკვირვება წლიდან წლამდე ეს არის პულსაცია, რომელიც გვიჩვენებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მდგომარეობას.

პოსტსაბჭოთა ქვეყნებში საბაზრო ეკონომიკას ალტერნატივა არ გააჩნია. სოციალისტური რესპუბლიკიდან საბაზრო ეკონომიკის ქვეყნად ჩამოყალიბება მარტივ პროცესს არ წარმოადგენს. გარდამავალი ეკონომიკის უკლებლივ ყველა ქვეყანაში წარმოიშვა თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის მრავალი პრობლემა, „კომუნიზმიდან თავისუფალ ბაზარზე გადასვლა ფრენის პროცესში თვითმფრინავის ძრავის შეცვლის ტოლფასია"- ასე დაახასიათა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა თანამედროვეობის ცნობილმა ეკონომისტმა - კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორმა ჟერარ ლორანმა.

საბაზრო ეკონომიკას შეუძლია შექმნას ეკონომიკური ზრდისა და განვითარების ისეთი საბაზრო წინაპირობები, როგორიცაა თავისუფალი ბაზარი, საკუთრება-კერძო და დაცული, ინფლაცია- დაბალი, ქვეყნებს შორის ვაჭრობა - განუსაზღვრელი. ეს კი აუცილებელია იმისათვის, რომ მიღწეული იქნეს ფასების ლიბერალიზაცია, მთავრობა არ ჩაერიოს კერძო კომპანიათა მართვაში, შეწყვიტოს მათი სუბსიდირება, უზრუნველყოს კონტრაქტების შესრულება, სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა და ეფექტიანობა, ადმინისტრაციული რეგულირების ოპტიმალური მინიმიზაცია, ბიუჯეტის დაბალანსება და სავაჭრო ბარიერების მოხსნა.

ნებისმიერი ქვეყნის მთავრობა, რომელიც ამას მიაღწევს, შეძლებს ეკონომიკურ ზრდაზე წარმატებული გათვლების გაკეთებას. თუმცა პოსტსოციალისტური ქვეყნების დიდმა ნაწილმა აქ ჩამოთვლილი ღონისძიებების რეალიზაცია მთლიანად ვერ შეძლო.

სასურველი რეფორმების განსახორციელებლად არა მარტო საბაზრო ეკონომიკის ელემენტებში გათვითცნობიერება, არამედ მეცნიერულად დასაბუთებული სტრატეგიის შემუშავება. სხვა სიტყვებით, საჭიროა არა მარტო საბოლოო მიზანს შორიდან ხედავდე, არამედ უნდა შეგეძლოს მათთან მისასვლელი ბილიკის დადგენაც.

ეკონომიკური თავისუფლება ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას უწყობს ხელს. ეკონომიკურ თავისუფლებაში რეალურად იგულისხმება, თუ რამდენად ერევა მთავრობა ბიზნესის საქმიანობაში, ქვეყნის ეკონომიკის რა წილი მოდის სახელმწიფოს ფუნქციების შესრულებაზე და რამდენად კარგი სამართლებრივი გარემოა კერძო საკუთრების დაცვისთვის. ცალკეული რადიკალური შემთხვევების გამოკლებით, დასავლეთის ქვეყნების პოლიტიკური ძალები ძირითადად თანხმდებიან იმაზე, რომ ეკონომიკური თავისუფლება ქვეყნისთვის კარგია. აღნიშნული ქვეყნები ეკონომიკური თავისუფლების მაღალ დონეს თავისუფლების შეფასების სხვადასხვა კრიტერიუმში მაღალი მაჩვენებლით აღწევენ.

**საქართველოში ღია ეკონომიკის ფორმირების ძირითადი მიმართულებებია:** შრომის საერთაშორისო დანაწილებაში საქართველოს მონაწილეობის გაფართოება; საგარეო ეკონომიკური კავშირების, როგორც ეკონომიკური ზრდისა და სტრუქტურული გარდაქმნების ინტენსიური ფაქტორის, როლის გაძლიერება, კაპიტალ-აღჭურვილობის, პროდუქციის წარმოების ხარჯებისა და ხარისხის, ანუ, ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიხედვით სამამულო წარმოების მსოფლიო დონეზე გასვლა. საქართველოს მსოფლიო მეურნეობასთან ურთიერთქმედების მოდელის შეცვლა ქვეყნის ახალი საგარეო ეკონომიკური სპეციალიზაციის ბაზაზე ტრადიციული საქონელ-გაცვლიდან თანამშრომლობის უფრო მაღალ ფორმებზე გადასვლა, კაპიტალების გადახლართვა, სამეცნიერო-ტექნიკური კოოპერაცია, საწარმოო ინტეგრაცია, ქვეყანაში ცალკეული საბაზრო ინსტიტუტების, მექანიზმებისა და მთლიანად კონკურენტული გარემოს ფორმირების დაჩქარება, რომელიც ჯერ კიდევ სუსტია, ან, საერთოდ არ არსებობს.

ხაზგასასმელია, რომ დღეს ყველა ქვეყანა გლობალურ გარემოში ცხოვრობს და, ბუნებრივია, რომ მათი ეკონომიკაც მეტნაკლებად გახსნილია. ქვეყნის მონაწილეობის გააქტიურებას მსოფლიო მეურნეობაში ეკონომიკის ინტერნაციონალიზაცია ეწოდება. თუმცა, ეკონომიკური კარგახსნილობა შეიძლება იყოს კარგიც და ცუდიც. ასე მაგალითად, საქართველოს საგარეო ვაჭრობის დეფიციტი დაახლოებით მილიარდ ნახევარი დოლარია იმპორტი ოთხნახევარჯერ აღემატება ექსპორტს. რომ არა ესოდენ დიდი უარყოფითი სავაჭრო სალდო, საქართველოს ორჯერ მეტი ბიუჯეტი ექნებოდა. საქმე ისაა, რომ სავაჭრო დეფიციტი იფარება აღებული ვალით. ამ უკანასკნელის მომსახურება კი ბიუჯეტის მიერ ხდება, რაც ზრდის მის დეფიციტს.

ამასთან, ქვეყანაში იმპორტის სახით უპირატესად მზა პროდუქტი შემოედინება და არა რესურსები. ექსპორტის სახით კი უპირატესად რესურსები გაედინება. როგორც ერთი, ისე, მეორე ტენდენცია ქვეყანაში ახალი და მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილების მულტიპლიკაციის გამრავლების შემაფერხებელია. მრავალი ჩვეულებრივი სამომხმარებლო საქონელიც კი გარედან შემოგვაქვს, მაშინ, როდესაც მოსახლეობის ნახევარი სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული. ასე მაგალითად, 2008 წლის განმავლობაში 22 მილიონი ლარის ღირებულების კარტოფილი, 19 მილიონის პომიდორი, 17 მილიონის ხახვია იმპორტირებული სხვადასხვა ქვეყნიდან. მხოლოდ ამ ოთხმა კულტურამ 70 მილიონი ლარი შეადგინა. მთლიანად იმპორტირებულმა სოფლის მეურნეობის პროდუქციამ კი - 500 მილიონ აშშ დოლარზე მეტი, რაც ჩემი გათვლებით მინიმუმ 100 000 დასაქმებული ადამიანის ეკვივალენტია, თუკი ამ რაოდენობის პროდუქციის წარმოება საქართველოში მოხდებოდა.

აღნიშნული ნეგატიური ტენდენციების მინიმიზებისათვის საჭიროა

- ექსპორტის ზრდა და პარალერულად იმპორტ ჩამნაცვლებელი ეორვნული პროდუქციის წარმოება;
- ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე ექსპორტისა და იმპორტის ოპტიმიზება;
- უფრო აქტიური მონაწილეობა მსოფლიო ვაჭრობაში.

თავის არიდება შიდა ბაზრის ზომაზე მეტად დაცვისგან და იმ ფირმების წახალისება, რომელიც მსოფლიო ბაზრისთვის კონკურენტუნარიან პროდუქციას აწარმოებენ. ასევე, მნიშვნელოვანია ფასი, ხარისხი, ლარის ბუნებრივი კურსი და სტაბილური მიწოდება. ციტრუსების, ხილისა და სხვათამიწო-

დების სტაბილურობა და ხარისხი კი შეუძლებელია მიღწეულ იქნას სასაწყობო და სამაცივრო მეურნების გარეშე, ე.ი. აუცილებელია ამ სფეროებში ინვესტიციების განხორციელება, რათა შესაძლებელი გახდეს წელიწადის ნებისმიერ დროს ბაზრის მოთხოვნებს დაკმაყოფილება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საერთაშორისო ბიზნესში ფუნქციონირებადი ფირმის მართვა გაცილებით რთულია, ვინაიდან, მისი მენეჯერები კარგად უნდა ერკვეოდნენ მსოფლიო ეკონომიკურ პირობებსა და ტენდენციებში. ამასთან, თვალი უნდა ადევნონ მიზნობრივ მიმღებ ქვეყანაში პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებს, სადაც ისინი ახორციელებენ, ან აპირებენ ბიზნესს, შეისწავლონ მათი ენა, ეროვნული კულტურა, ტრადიციები, მეურნეობის გაძღოლის მეთოდების სპეციფიურობანი, ფულადი სისტემა, გადასახადები, სამეურნეო კანონმდებლობა და თავიანთი ეკონომიკური, კომერციული და ფინანსური ქცევები პარტნიორთა ქცევის სტილს, ორგანიზაციის მართვა კი ბაზრის ცვალებად პირობებს მიუსადაგონ. ბაზრის პირობებისადმი კომპანიათა ადაპტირების ამგვარ მეთოდოლოგიას, რომელიც ხელს უწყობს საერთაშორისო გარემოს ყველა შესაძლებლობის, მათ რიცხვში, ცალკეულ შემთხვევებში კონკურენტების რესურსების გამოყენებასა და ახალ ბიზნესში სწრაფად შესვლას, აუთსორსინგი ეწოდება

**Heritage Foundation-ის** 2019 წლის საქართველოს მონაცემები. Heritage Foundation ქვეყნების ეკონომიკურ თავისუფლებას სხვადასხვა კომპონენტის მიხედვით განსაზღვრავს, მათ შორის არის ქონების უფლება, სასამართლო სისტემა, მთავრობის ერთიანობა, გადასახადები, მთავრობის ხარჯები, ჯანდაცვა, ბიზნესის თავისუფლება, შრომის, მონეტარული, ვაჭრობის, ინვესტიციების და ფინანსური თავისუფლება.

**Heritage Foundation** -ის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში საქართველოს კვლავ მე-16 ადგილი უჭირავს, თუმცა, ეკონომიკური თავისუფლება 75,95-ად არის შეფასებული, რაც გასულ წელთან შედარებით ნაკლებია - 2018 წელს ეს მაჩვენებელი 76,25 გახლდათ.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. The Heritage Foundation (2019), Index of Economic Freedom (Online web-page: www.heritage.org)

2. ე. მექვაბიშვილი, თანამედროვე ეკონომიკური თეორიები( ლექციების კურსი) , თბილისი, 2016წ.

3. რევაზ კაკულია, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების თეორიული ასპექტები, 2007 წ.

4. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020 http://www.mrdi.gov.ge/sites/default/files/1_sakartvelos_socialur

5. http://unik.edu.ge/uploads/documents/science-center/ekpr/ekpr03.pdf)

6. About The Index, (https://www.heritage.org/index/about)

# AGILE მეთოდოლოგია – ეკონომიკის ინოვაციური მართვის ინსტრუმენტი

*ირაკლი ჯანგავაძე*
*სტუ მოწვეული ასისტენტ პროფესორი*

**რეზიუმე**

ინოვაციების საუკუნე თანამედროვე მოთხოვნებს უყენებს კაცობრიობის განვითარების პოსტინდუსტრიულ ეპოქას. იცვლება სტანდარტები (მოთხოვნები) პრაქტიკულად ყველა მიმართულებით – წარმოება, მომსახურება, ტექნოლოგიები, ეკონომიკისა და ბიზნესის მართვა და სხვა.

უკანასკნელ პერიოდში განსაკუთრებით მოთხოვნადი გახდა საწარმოო პროცესებში მართვის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, რომლის ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმანტს ე.წ. „მოქნილი" მიდგომა წარმოადგენს.

Agile მეთოდოლოგია აშშ-ში იქნა შემუშავებული, რომელსაც საფუძვლად უდევს 4 მთავარი ფასეულობა და 12 ძირითადი პრინციპი. Mმისი წარმატებით დანერგვა ფირმის დანაკარგების შემციებას და სამუშაო პროცესების ოპტიმიზაციას უზრუნველყოფს.

**საკვანძო სიტყვები:** ეკონომიკის ინოვაციური მართვა, Agile მენეჯმენტი, Agile მეთოდოლოგია, Agile მანიფესტი, „მოქნილი" მიდგომა, ორგანიზაციული სტრუქტურა, პროცესების ოპტიმიზაცია, დანაკარგების შემცირება, უკუკავშირი, Lean მენეჯმენტი.

## AGILE METHODOLOGY - INNOVATIVE MANAGEMENT TOOL OF ECONOMICS

**Irakli Jangavadze**
Invited Assistant Professor at GTU

**RESUME**

The century of innovation puts modern demands on the post-industrial era of human development. Standards (requirements) are changing practically in all areas - production, services, technology, economics and business management, etc.

Recently, the use of modern management technologies has become a requirement and one of the main tools is a „flexible" approach.

The Agile methodology was developed in the USA, which is based on 4 main values and 12 principles. As a result of its successful implementation, innovative companies achieve cost reduction and optimization of work processes.

**ძირითადი ტექსტი**

ეჯაილ, იგივე მოქნილი მენეჯმენტი, წარმოადგენს მართვის თანამედროვე მეთოდების და მიდგომების კომპლექსურ სისტემას, რომლის ტერმინოლოგიური განმარტება გულისხმობს 2 მთავარ შესაძლებლობას: 1. ვაკეთოთ საქმე სწრაფად და მარტივად; 2. ვიფიქროთ და ვიაზროვნოთ სწრაფად. აღნიშნული მახასიათებლები თანამედროვე ბიზნესის წარმატების საწინდარია.

Agile მენეჯმენტი უზრუნველყოფს:

**1. გუნდის ფოკუსირებას მომხმარებლის საჭიროებებსა და მიზნებზე** – ბიზნესში წარმატების მთავარ გარანტს კლიენტზე ფოკუსირება წარმოადგენს, რაც არამარტო ბიზნესის მფლობელს, არამედ ყველა იმ თანამშრომელს უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული, ვინც უშუალოდ მონაწილეობს პროდუქტისა და სერვისის შექმნაში. თითოეულს კარგად უნდა ესმოდეს ვინ არიან მათი მომხმარებლები, რა სურთ მათ, რა სახის პრობლემებს გადაჭრის შეთავაზებული პროდუქტი (სერვისი), რა უყვართ, რისი ეშინიათ მომხმარებლებს და ა.შ.

**2. ორგანიზაციული სტრუქტურისა და პროცესების გამარტივებას** – მნიშვნელოვანია, რომ ორგანიზაციულ სტრუქტურაში მიმდინარე პროცესები და მოქმედი წესები იყოს რაც შეიძლება მარტივი. ეს საშუალებას მისცემს პერსონალს ფოკუსირდნენ უშუალოდ საქმიანობასა და იმ ღირებულებებზე რომელსაც ისინი ქმნიან და არა შემზღუდველ რეგლამენტსა და წესებზე. ამასთან, რაც უფრო დიდია კომპანია, მით მეტი სარგებლის მომტანია გამარტივებული პროცედურები. სირთულეს ახასიათებს ექსპონენციალური ზრდა, რომელთან ბრძოლის ქმედით ინსტრუმენტს Agile მიდგომა წარმოადგენს.

**3. მოკლე ვადებში მუშაობას** – თანამედროვე სამყაროში მაღალია რისკი იმისა, რომ დავხარჯოთ დიდი დრო და ენერგია ისეთ საქმიანობაზე, რაც გამოსადეგი არ იქნება, ან უბრალოდ უკვე მოძველებულია.

მსგავსი პრობლემისგან თავის არიდების მიზნით ე.წ. „იტერაციულ-ინკრემენტალური" მიდგომა გამოიყენება, როდესაც:

- მუშაობა მიმდინარეობს დორის მოკლევადიან მონაკვეთებში (1, 2 ან 4 კვირა);
- თითოეული დროის მონაკვეთში გაწეული სამუშაო იძლევა არა უბრალოდ შუალედურ შედეგს, არამედ თუნდაც მცირე ღირებულების, მაგრამ რეზულტატის მომტან დემო ვერსიას.

**4. აქტიურ უკუკავშირს** – მოცემული პუნქტი

მნიშვნელოვანია, რამდენადაც იგი იძლევა შესაძლებლობას დროთა განმავლობაში, მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, მოხდეს სამუშაო პროცესში კორექტივების შეტანა, აღმოიფხვრას არსებული შეცდომები (დანაკარგები) და გაუმჯობესდეს შედეგი.

საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია სიახლის წარმოებასთან, ექსპერიმენტული ცდებით გამოირჩევა. მიღებული შედეგების გათვალისწინებით მიმდინარეობს პროდუქცის შესაბამისად დამუშავება, რასაც უკუკავშირი ეწოდება.

Agile აქტიურად იყენებს უკუკავშირს სხვადასხვა მიმართულებით: კლიენტებთან ურთიერთობა, პროცესების მართვა, ორგანიზაციული სტრუქტურის ფორმირება და სხვ.

**5. თანამშრომელთა როლისა და ჩართულობის ამაღლებას** – ტრადიციული მმართველობის სტილის მენეჯერები მოქმედებენ პრინციპით: „რატომ უნდა მივანიჭოთ თანამშრომელს მეტი თავისუფლება, როდესაც შესაძლებელია მივცეთ მზა ფურცელი ინსტრუქციებით?" არსებობს 3 მიზეზი იმისა, თუ რატომ არ უნდა ვიაზროვნოთ მსგავსად:

- ადამიანებს, რომლებიც გონებრივი შრომით არიან დაკავებული, არ უყვართ როდესაც თავს „რობოტებად"გრძნობენ და მათ ართმევენ გადაწყვეტილების მიღების, ანუ გონებრივი შრომის (აზროვნების) უფლებას, რაც იწვევს მოტივაციის დაკარგვას;
- დამოუკიდებლობის მინიჭებით, იმავდროულად ადამიანებს ეკისრებათ პასუხისმგებლობაც. ისინი ვალდებულნი არიან დამოუკიდებლად იაზროვნონ, ისწავლონ გადაწყვეტილებების მიღება და მათზე ინდივიდუალური პასუხისმგებლობის აღება;
- როდესაც თანამშრომელს შეუძლია თავად გადაჭრას პრობლემა მენეჯმენტის ზედა რგოლთან შეკითხვების დასმის და შესაბამისი პასუხების ლოდინის გარეშე, დროც მნიშვნელოვნად დაიზოგება და საქმე ოპერატიულად გადაწყდება.

Agile მიდგომა ეფუძნება თვითორგანიზებული გუნდური სისტემის ფორმირებას და მენეჯმენტის ნებისმიერ დონეზე ლიდერობის (ინიციატივიანობის) წახალისებას.

**6. ჰუმანურ ფასეულობებზე დაფუძნებულ მიდგომებს** – პერსონალის მართვისას არ შეიძლება საქმიანობის მორალური ასპექტების უგულებელყოფა. როდესაც საქმე გვაქვს, არა მექანიკურ, არამედ თანამშრომელთა გონებრივ სამუშაოსთან, მხედველობაში მიიღება სამოტივაციო პრინციპები. მაგ: ადამიანებს უნდა მიეცეთ თვითრეალიზაციის, კვალიფიკაციის ამაღლების და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების შესაძლებლობები. ისინი უნდა აცნობიერებდნენ, რომ მიეკუთვნებიან რაღაც მნიშვნელოვანის ნაწილს.

მართვის Agile ტექნოლოგია ხელს უწყობს პროცესების წარმართვას, სადაც ბედნიერი და მოტივირებული პერსონალი მეტ პროდუქტიულობას უზრუნველყოფს.

**7. მუდმივ ცვლილებებს** - Agile მეთოდოლოგიის დანერგვა არ წარმოადგენს მთავარ მიზანს, არამედ ის მიზნის მიღწევის საშუალებაა. იგი გულისხმობს, რომ ყოველთვის შესაძლებელია საქმე უკეთ შესრულდეს, მუდამ იქნება გამოწვევები, რომლებიც უნდა გადაიჭრას, იარსებებს შეკითხვები რომელთაც პასუხი უნდა გაეცეს... ეს ციკლი მუდმივია, ისევე როგორც კაცობრიობის დაუსრულებელი ბრძოლა გადარჩენისა და განვითარებისთვის.

2001 წლის თებერვალში, იუტას შტატში (აშშ) გამოიცა Agile მანიფესტი, რომელიც წარმოადგენდა იმ დროისთვის დამკვიდრებული მოუქნელი პრაქტიკის ალტერნატიულ მეთოდოლოგიას პროგრამული უზრუნველყოფის მიმართულებით.

მანიფესტი მოიცავს 4 მთავარ ფასეულობას (იდეას) და 12 ძირითად პრინციპს.

**მთავარი ფასეულობებია:**

1. ადამიანები და მათ შორის თანამშრომლობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პროცესები და მექანიზმები;
2. ნაწარმოები პროდუქტი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ყოვლისმომცველი დოკუმენტაცია;
3. დამკვეთებთან ურთიერთობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე დადებული ხელშეკრულება;
4. ცვლილებებისადმი მზადობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საწყისი გეგმისადმი ერთგულება.

**ძირითადი პრინციპებია:**

1. კმაყოფილი მომხმარებელი ფასეული პროგრამული უზრუნველყოფის დროული და შეუფერხებელი მიწოდების სანაცვლოდ;
2. პოზიტიური დამოკიდებულება ცვლილებებისადმი, თუნდაც წარმოების ბოლო ეტაპზე;
3. პროდუქტის/სერვისის ინტენსიური მიწოდება (თვეში ან კვირაში ერთხელ);
4. მჭიდრო (ყოველდღიური) კომუნიკაცია დამკვეთებსა და სპეციალისტებს შორის;
5. პროექტზე უნდა მუშაობდნენ მოტივირებული ინდივიდები, რომლებიც უზრუნველყოფილი არიან შესაბამისი პირობებით და სარგებლობენ მაღალი ნდობის ხარისხით;
6. კომუნიკაციის მთავარ მეთოდს პირისპირ საუბრის ფორმა წარმოადგენს;
7. გამართულად მომუშავე პროდუქტი პროგრესის საუკეთესო საზომია;
8. სპონსორებს, სპეციალისტებსა და დამკვეთებს უნდა შეეძლოთ აყვნენ თანამედროვე განვითარების ტემპს და განუსაზღვრელი რისკის პირობებშიც შეინარჩუნონ ეფექტიანობა;
9. მუდმივად უნდა გაუმჯობესდეს პროდუქტის ტექნიკური მახასიათებლები და დიზაინი;
10. ხელოვნებაა არ ვაკეთოთ ზედმეტი საქმე;
11. თვითორგანიზებული ჯგუფი ქმნის საუკეთესო პროდუქტს;

ცხრილი. ტრადიციული და ლინ მენეჯმენტის შედარებითი ანალიზი

| ტრადიციული მართვა | Lean მენეჯმენტი |
|---|---|
| წარმოება ეფუძნება გაყიდვების პროგნოზირებულ მაჩვენებლებს | წარმოება ეფუძნება მომხმარებელთა უშუალო დაკვეთებს |
| დაუსრულებელი წარმოება განიხილება ოპერაციული საქმიანობის ჩვეულ ნორმად. | დაუსრულებელი წარმოება ასოცირდება დანაკარგებთან, რომელიც უნდა შემცირდეს/აღმოიფხვრას. ამასთან, იგი მიანიშნებს პროცესების გაუმჯობესების აუცილებლობაზე. |
| სისტემის გაუმჯობესება არ ეფუძნება დანაკარგების შესწავლა/გაანალიზებას | სისტემის სრულყოფა დაფუძნებულია დანაკარგების აღმოფხვრაზე |
| მმართველი რგოლი არის ცვლილებების მთავარი შემოქმედი. | თითოეულ თანამშრომელს შეუძლია ლინ მენეჯმენტის პრინციპების რეალიზაცია, ასევე საქმიანობის სრულყოფისა და გამარტივების ინდივიდუალური ხედვის წარმოდგენა |
| ფუნქციონირებადი პროცესი არ საჭიროებს გაუმჯობესებას | გამართული პროცესიც მუდმივად უნდა გაუმჯობესდეს და დაიხვეწოს |
| დასაქმებულთა ფუნქციური ვალდებულებების შესრულება არ მოიაზრებს შეცდომებს | ღირებულებებზე დაფუძნებულ ოპერაციულ სტრუქტურაში შეცდომების დაშვების ალბათობა მინიმიზირებულია. |

12. აუცილებელია მუდმივი ადაპტაცია ცვლილებებისადმი. გუნდი მუდმივად უნდა მუშაობდეს ეფექტიანობის ამაღლების შესაძლებლობებზე და საჭიროების შემთხვევაში ცვლიდეს საკუთარი საქმიანობის სტილს.

Agile მიდგომის ერთ-ერთ ფორმას წარმადგენს **Lean მენეჯმენტი.** იგი არის ოპერაციული მართვის მეთოდოლოგია, რომელიც კომპანიას საშუალებას აძლევს დანაკარგების შემცირებით მეტი ღირებულება შეუქმნას კლიენტს. ლინ მენეჯმენტის ისტორია სათავეს იღებს უდიდეს იაპონურ კორპორაცია **„ტოიოტა"-ში.** იგი პირველი კომპანია გახდა რომელმაც შეცვალა წარმოების სტანდარტული მეთოდები და შექმნა სრულიად ახალი მიდგომა ამ სფეროში.

ლინ მეთოდოლოგია გულისხმობს ახალი ტიპის მართვის ფილოსოფიას და პრაქტიკას. მენეჯმენტის ეს ინოვაციური სისტემა ორგანიზებას უკეთებს არა მარტო წარმოებას და ლოჯისტიკას, არამედ მომწოდებელ ფირმებს და კლიენტებსაც. სისტემა უზრუნველყოფს სამუშაო პროცესების ოპტიმიზაციას და მუდმივ განვითარებას.

ლინ მენეჯმენტი მოწოდებულია მომხმარებელთა საჭიროებების შეცნობის და პროცესებიდან ზედმეტი ხარჯის აღმოფხვრაზე, არა თანამშრომლების სამსახურიდან გაშვებით, არამედ წარმოების მოცულობის გაზრდით და დროის დაზოგვით.

არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება ტრადიციული მართვის თავისებურებებსა და ლინ მენეჯმენტის მახასიათებლებს შორის, რომელიც წარმოდგენილია ცხრილის სახით.

მეთოდის დანერგვით მიღწევადი შედეგებია: საწარმოო პროცესების მაღალი ეფექტიანობა; დანახარჯების შემცირება; პროდუქტიულობის ზრდა; გაყიდვების მოცულობის და მოგების ზრდა; კლიენტის კმაყოფილების ზრდა; თანამშრომელთა ჩართულობის ამაღლება; სწრაფი განვითარება.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. ქუთათელაძე გ. იაპონური მენეჯმენტი და მისი ტრანსფერის თეორიულ-ემპირიული შესაძლებლობა საქართველოში. თბ., 2015.
2. Кирюшин, С.А. КОНЦЕПТУАЛЬНАЯ МОДЕЛЬ ЛИН-МЕНЕДЖМЕНТА НА ОСНОВЕ ИСПОЛЬЗОВАНИЯ МЕТОДОЛОГИИ «СИСТЕМА СИСТЕМ» 2015.
3. Цепков, М. Agile и другие новые технологии управления для организации работы креативных команд. Kazan. 2018
4. https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%93%D0%B8%D0%B1%D0%BA%D0%B0%D1%8F_%D0%BC%D0%B5%D1%82%D0%BE%D0%B4%D0%BE%D0%BB%D0%BE%D0%B3%D0%B8%D1%8F_%D1%80%D0%B0%D0%B7%D1%80%D0%B0%D0%B1-%D0%BE%D1%82%D0%BA%D0%B8

# ეკონომიკური ზრდის პოტენციალი და შემადგენლები საქართველოში

*ეკატერინე გიგოლაშვილი,*
*სტუ დოქტორანტი*

**რეზიუმე**

მსოფლიო ეკონომიკა ყოველწლიურად იზრდება, მაგრამ შექმნილი მატერიალური და სულიერი დოვლათი, სარგებელი, საზოგადოების ყველა წევრამდე ვერ მიდის. ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ ეკონომიკური ზრდა ინკლუზიური გავხადოთ. ეკონომიკური ზრდა ინკლუზიურია, როდესაცმას თან ახლავს სიღარიბის შემცირება.

ინკლუზიური ზრდა ნიშნავს იმას, რომ ყველას ჰქონდეს შესაძლებლობა მისგან მიიღოს სარგებელი. ინკლუზიური ზრდის მიღწევა შესაძლებელია მოსახლეობის მაქსიმალურ ჩართულობით ეკონომიკურ პროცესებში, უმუშევრობის შემცირებით, მეტი შემოსავლების და შესაძლებლობებს მიღებით. ინკლუზიურობის გარეშე ეკონომიკური ზრდა შეუძლებელია.

ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია გამოიკვეთოს პრიორიტეტული მიმართულებები, საწარმოთა (კომპანიების) დაბალანსებული, ოპტიმალური ეკონომიკური ზრდის ხელისშემშლელი ფაქტორები, გამოწვევები და მათი ოპტიმალური გადაჭრის გზები. მათი დაძლევა ხელს შეუწყობს საქართველოს ეკონომიკის გაძლიერებას, მისი მეწარმე სუბიექტების - კომპანიების (საწარმოების) შემოსავლების პერმანენტულ ზრდას.

მსოფლიო მეურნეობრივ პროცესებში საქართველოს აქტიური მონაწილეობის პოტენციალის გამოყენებას მყარ საფუძველს უქმნის ეკონომიკისა და ბიზნესის გაძლოლის მყარი ტრადიციები, მოწინავე კულტურა, განათლებასა და ინოვაციურ განვითარებაზე, მუდამ მსოფლიო ცივილიზაციის პროგრესულ ღირებულებებზე ორიენტირება.

**საკვანძო სიტყვები:** უსაფრთხოება და მგრადი განვითარება, ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა, კონკურენტული გარემო, სამოქალაქო საზოგადოება.

**RESUME**

The World Economy is growing every year, but at the same time the created material and spiritual benefits cannot reach all members of society. Therefore, it is important to make economic growth inclusive. Economic growth is inclusive when it is accompanied by reduction of poverty. Inclusive growth means that everyone has the opportunity to benefit from it. Inclusive growth can be achieved by both maximizing population involvement in economic processes and reducing unemployment, generating more income and opportunities.

Economic growth is impossible without inclusivity. For this reason the country must define priority areas, the factors impeding the optimal economic growth, the challenges and ways solving them optimally. If we overcome them it can strengthen Georgian economy as well as increase revenue of entrepreneurial entities – including companies (enterprises).

In World Agricultural Processes, potential of Georgia for active participation is supported by strong traditions of economics and business, advanced culture, innovations in education and development focused on the progressive values of world civilization.

**Keywords:** Security and Sustainable Development, Inclusive Economic Growth, Competitive Environment, Civil Society.

## შესავალი

თანამედროვე მსოფლიოს ახასიათებს გლობალიზაციის განვითარების ტენდენცია. მისი გამომწვევი წყაროებია: მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი; მსოფლიო ვაჭრობის ლიბერალიზაცია; ტრანსნაციონალიზცია; საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა; კულტურული ტრადიციების გაერთიანება.

გლობალიზაციის პროცესები წინააღმდეგობრივი ბუნებისაა, რაც მრავალ პრობლემას წარმოშობს. გლობალიზებული მსოფლიო ხასიათდება პოზიტიური და ნეგატიური ტენდენციებით. გლობალიზაციას შეუძლია ქვეყანას მოუტანოს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი შედეგები.

გლობალიზაციის პროცესები ადეკვატურ გავლენას ახდენენ საქართველოს ეკონომიკის განვითარებაზე. თანამედროვე გლობალიზაცია ქვეყანას ახლი გამოწვევების წინაშე აყენებს. უმთავრესი ისაა, რომ უზრუნველყოფილი იქნას უსაფრთხოება და მგრადი განვითარება. მდგრადი განვითარება ნიშნავს, თანამედროვე მოთხოვნილებების ისე დაკმაყოფილებას, რომ საფრთხე არ შეექმნას მომავალი თაობების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. მდგრადი განვითარება დამყარებულია დემოკრატიული საზოგადოების ისეთ ეკონომიკაზე, რომელშიც შერწყმულია ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპი.

მდგრადი განვითარების მიღწევა ქვეყნის წარმატებისა და წინსვლის მნიშვნელოვანი გამოწვევაა. მნიშვნელოვანია ეკონომიკური ზრდის ტემპის ამაღლება, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ განვითარებას, სიღარიბის დაძლევას, თითოეული ოჯახის შემოსავლების ზრდას. საქართველოში ეკონომიკური ზრდის თანამედროვე თავისებურებები გა-

მოკვლეულია უ. სამადაშვილის, მ. თოქმაზიშვილის, რ. ასათიანის, ვლ. პაპავას, გ. ერქომქიშვილის, დ. იაკობიძის, გ. ცაავას, ა. სიჭინავას, დ. კვარაცხელიას, გ. ქეშელაშვილის, ნ. ჭითანავას, მ. ჯიქიას და სხვათა შრომებში.

### ძირითადი ტექსტი

საქართველოს ეკონომიკური ზრდის თავისებურებების შესწავლა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით მოითხოვს, უპირველეს ყოვლისა პრობლემის განხილვას მთლიანობაში. ამ სახის კვლევისთვის მნიშვნელოვანია ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური და სოციალური შედეგების ანალიზი. ცხრილი ასახავს სწორედ საქართველოს მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს.

ეკონომიკის ზრდასა და განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის სახელმწიფოს. მთავრობას შეუძლია კონკურენტული გარემოს შექმნა, ძირითადი ინფრასტრუქტურის განვითარება, განათლებაზე ზრუნვა, ბიზნესის კეთების გაადვილება, დაბალი, გონივრული გადასახადების შემოღება, ბიზნესსესხების გაიაფება, საპროცენტო განაკვეთის შემცირება. მნიშვნელოვანია, რომ ბიზნესის დამწყებნი ახლოს გაეცნონ ევროკავშირთან გაფორმებული ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეტანხმების DCFTA-ის მოთხოვნებს. ამით შესაძლებელი გახდება დავინახოთ, როგორ შესაძლებლობებს იძლევა აღნიშნული შეთანხმება, როგორია მოთხოვნები საქონლის და მისი ხარისხის თვალსაზრისით ევროკავშირის ბაზარზე. ქართული პროდუქცია აქ ხშირად არ არის კონკურენტუნარიანი როგორც ფასით, ასევე ხარისხით. მნიშვნელოვანია გავეცნოთ, როგორ თანამშრომლობენ ბიზნესები ევროკავშირში. ეს საშუალებას მისცემს მეწარმეებს, დაძლიონ დაბალპროდუქტიულობა, ცოდნასა და ტექნოლოგიებზე დაბალი წვდომა. ასევე მნიშვნელოვანია მეწარმეებმა გაცნობიერონ, რომ აუცილებელია პროდუქციის ხარისხის გაზრდა, ევროკავშირის და სხვა ბაზრებზე პროდუქციის შესახებ სათანადო ინფორმაციის გავრცელება.

მნიშვნელოვანია, საქართველოში მეწარმეები შეეჩვიონ თანამშრომლობას და გაერთიანებების შექმნას. ამის მიღწევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზა არის კოოპერატივების შექმნა. მნიშვნელოვანია ეკონომიკური ზრდის დაჩქარება. ეკონომიკური ზრდის დაჩქარება შეუძლებელია სიღარიბის დაძლევის, დასაქმების გაუმჯობესების, შრომის ბაზრის განვითარების გარეშე. ამ მიზნით მნიშვნელოვანია მსოფლიო თანამეგობრობის ქვეყნების

**ცხრილი**

**საქართველოს ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები**

| | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| მოსახლეობა წლის ბოლოს (ათასი კაცი) | 3,718 | 3,717 | 3,722 | 3,729 | 3,726 | 3,730 | 3,723 |
| უმუშევრობის დონე | 17.2% | 16.9% | 14.6% | 14.1% | 14.0% | 13.9% | 12.7% |
| წლიური ინფლაცია (დეკემბერი/დეკემბერთან) | -1.4% | 2.4% | 2.0% | 4.9% | 1.8% | 6.7% | 1.5% |
| მშპ, მლრდ ლარი | 26.2 | 26.8 | 29.2 | 31.8 | 34.0 | 37.8 | 41.1 |
| მშპ, მლრდ აშშ დოლარი | 15.8 | 16.1 | 16.5 | 14.0 | 14.4 | 15.1 | 16.2 |
| მშპ რეალური ზრდა | 6.4% | 3.4% | 4.6% | 2.9% | 2.8% | 4.8% | 4.7% |
| მშპ ერთ სულზე, აშშ დოლარი | 4,250 | 4,341 | 4,438 | 3,755 | 3,857 | 4,047 | 4,346 |
| მშპ ერთ სულზე, მსყიდველობითი უნარის პარიტეტით, PPP (მიმდინარე საერთაშორისო $) | 8,008 | 8,544 | 9,239 | 9,630 | 10,065 | 10,742 | 11,600 |
| დანაზოგის დონე (ეროვნული დანაზოგი/მთლიან ეროვნულ განკარგვად შემოსავალთან) | 16.0% | 17.7% | 18.6% | 18.3% | 19.3% | 22.8% | 24.6% |
| მიმდინარე ანგარიში/მშპ | -11.9% | -5.9% | -10.8% | -12.6% | -13.1% | -8.8% | -7.7% |
| საგარეო სავაჭრო გახსნილობა (საქონისა და მომსახურების ექსპორტი+საქონლისა და მომსახურების იმპორტი)/მშპ | 95.7% | 101.8% | 103.3% | 105.5% | 102.0% | 112.0% | 121.3% |
| პირდაპირი უცხოური ინვესტიციები/მშპ | 6.5% | 6.3% | 11.0% | 11.9% | 10.9% | 12.6% | 7.6% |

**წყარო:** საქართველოს ეროვნული ბანკი

დახმარება, რომლებმაც წარმატების მიღწევის თავიანთი ორიგინალური მოდელები დაამუშავეს. მაგრამ მათი გამოცდილების ზუსტი ასლების სახით გადმოტანა, ძირითადად მათ მიერ შემუშავებულ დასაქმების პროექტებზე ორიენტირება, მთლად სასურველი შედეგის მომტანი ვერ არის. ასეთი გამოცდილების გაზიარება მხოლოდ მოკლევადიან პერიოდში შეიძლება იყოს ეფექტიანი. ბევრი პრობლემა, რომელიც ხშირად მოჯადოებულ წრედ გვეჩვენება, შეიძლება მარტივად მოგვარდეს. ამის მიღწევას შევძლებთ, თუ გვეცოდინება ჩვენი შესაძლებლობები, ბუნებრივი ცივილიზაციური, ინსტიტუციონალური, მინერალური, ადამიანური რესურსები, შრომითი მიგრაციის საკითხები, ადგილობრივი თავისებურებები. ამ გზით შეიძლება ეფექტიანად გამოვიყენოთ სხვათა გამოცდილება. სწრაფი რეფორმების გზით შესაძლებელი გახდება ქვეყნის ინდუსტრიული განვითარების ტემპების დაჩქარება.

მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანაში უფრო მეტი ყურადღება მივაქციოთ არა რეგულაციებს, არამედ სიღარიბის დაძლევას და ახალი სამუშაო ადგილების გაჩენას. რეგულაციები მხოლოდ ჩვენი თავისებურებებიდან უნდა გამოვიყვანოთ. არცერთი რეგულაცია არ იწვევს ეკონომიკურ ზრდას, მისი ასლის სახით სხვა ქვეყნიდან გადმოტანა კი მიუღებელია. ეკონომიკური ზრდა თავისუფალი გარემოს დამკვიდრებაზე გადის. ესაა გზა, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის უფლებების დაცვას, პირადი ქონების, კერძო საკუთრების, უსაფრთხო პირობების დაცვას.

დიდი პრობლემაა ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების საკითხი. საშუალო შემოსავლების მქონე მოქალაქეთა რაოდენობა ძალიან მცირეა. მაგალითად, შემოსავლების სამსახურის ცნობის მიხედვით, გვაქვს ასეთი მონაცემები. 2017 წელს, 40.000 ლარზე მეტი და 100.000 ლარზე ნაკლები შემოსავალი 35.418 პირს ჰქონდა საქართველოში. 2018 წელს, 40. 000-დან 100. 000 ლარამდე შემოსავალი, იანვარ-ნოემბრის მონაცემებით ჰქონდა 32.787 ფიზიკურ პირს, ოჯახს, ხოლო 100. 000-ზე მეტი - 9. 923-ს.

ეფექტიანი დასაქმების მნიშვნელოვანი გზა არის ინდუსტრიულ რელსებზე გადასვლა. ამის მიღწევა შესაძლებელია ქვეყნის სასარგებლო წიაღისეულის, ენერგეტიკული, ჰიდრო, ქარის ენერგიის და სხვა რესურსების ათვისებით. ამის საშუალებას იძლევა საქართველოს ეკონომიკურ პოტენციალი, მისი მოსახლეობა და შრომითი რესურსები, მეცნიერულ-ტექნოლოგიური პოტენციალი, მიწის ფონდი, კლიმატი და ჰავა, ენერგეტიკული რესურსები, ხელსაყრელი გეოგრაფიული და გეოეკონომიკური მდებარეობა.

დიდია შრომის საერთაშორისო დანაწილებაში მზარდი მონაწილეობის პერსპექტივები. აღნიშნულის მისაღწევად კი, საჭიროა მრეწველობის, ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტის, აგრარული სექტორის, მომსახურების სფეროს, ტურიზმის განვითარების შესაძლებლობების რეალიზება.

მსოფლიო მეურნეობრივ პროცესებში საქართველოს აქტიური მონაწილეობის პოტენციალის გამოყენებას მყარ საფუძველს უქმნის ეკონომიკისა და ბიზნესის გაძღოლის მყარი ტრადიციები, მოწინავე კულტურა, ისტორიულად, მუდამ მსოფლიო ცივილიზაციის პროგრესულ ღირებულებებზე ორიენტირება.

საქართველოს ბუნებრივ რესურსებს შეადგენს მინერალური, ბიოლოგიური, მიწის და წყლის, მსოფლიო ოკეანის და რეკრეაციული რესურსები. სასარგებლო წიაღისეულს შეადგენს ნახშირი, სხვადასხვა სახის მადნეული, ნავთობი, მინერალური წყლები, ბუნებრივი საწვავი და ინერტული აირები.

მსოფლიო წყლის რესურსების საერთო მოცულობა (ერთდროული მარაგი) დაახლოებით 1390 მლნ.კუბ.კმ-ს შეადგენს აქედან 1340 მლნ კუბ.კმ - მსოფლიო ოკეანის წყალია, 2%-ზე ნაკლები- მტკნარი წყალი (35,8 მლნ. კუბ. კმ), ხოლო გამოყენებისთვის ხელმისაწვდომია მხოლოდ 0,3%. მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით, საქართველო სასმელი წყლის მარაგების მიხედვით მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანაა.

ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ათვისება ინდუსტრიალიზაციისა და ეფექტიანი დასაქმების მნიშვნელოვანი გზაა. შესაძლებელია სათანადო სტიმულირებით მივაღწიოთ, რომ ევროკავშირის, ჩინეთის და აშშ-ს ბევრმა მაღალტექნოლოგიურმა საწარმომ საქართველოში გადმოიტანოს თავიანთი წარმოება. ეს ქვეყანაში უკვე ხორციელდება. აღსანიშნავია, რომ ჩინეთის მხარის მონაწილეობით და საქართველოს სახელმწიფოს ხელშეწყობით საქართველოს ერთ-ერთ რეგიონში (ტყიბულში) მალე მაღალი ხარისხის ქურთუკების საწარმო გაიხსნება, სადაც ცნობილ ბრენდების ქურთუკები იწარმოება. აქ 300-მდე მაღალი ანაზღაურების მქონე-მუშა დასაქმდება. ისინი წინასწარ ტრენინგებს გაივლიან. დაინერგება ულტრათანამედროვე ტექნოლოგიები.

ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია ექსპორტის წახალისება, განსაკუთრებით ევროკავშირის ბაზარზე, ინვესტიციების წახალისება, დიდი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, სატრანსპორტო, განსაკუთრებით საზღვაო კავშირების განმტკიცება და გაზრდა. მნიშვნელოვანია, რომ ევროკავშირის ტრანსევროპული სატრანსპორტო ქსელის (TEN-T) გეგმით საქართველოში იგეგმება 18 პრიორიტეტული პროექტის დაფინანსება, ჯამურად 3.4 მილიარდი ევროს მოცულობის თანხით. ინვესტიციები მოხმარდება გზების, რკინიგზების, პორტებისა და სხვა ლოგისტიკური ცენტრების მშენებლობასა და რეაბილიტაციას.

მსოფლიოში სოფლის მეურნეობაში გამოიყენება ხმელეთის დაახლოებით 40%, მ.შ. 11% შეადგენს სახნავი მიწა, 1,1% უკავია მრავალწლიან კულტურებს, 26% საძოვრებს.

მოსახლეობის ერთ სულზე მოდის დაახლოებით 0,23 ჰა სახნავი მიწა. საქართველო მცირემიწიანი ქვეყანაა. მას დიდი და მდიდარი ტრადიციების მქონე სოფლის მეურნეობა აქვს. ქვეყანა წარმოადგენს ხორბლისა და ვაზის ერთ-ერთ სამშობლოსა და აკვანს.

დღესდღეობით გამოკვეთა საქართველოს ეკონომიკის ის პრიორიტეტული დარგები, რომლებიც განსაზღვრავენ როგორც სოფლის მეურნეობის, ისე მთელი ქვეყნის პოტენციალს: მევენახეობა და ღვინის მრეწველობა, მეხილეობა და საკონსერვო მრეწველობა, მეჩაიეობა და ჩაის მრეწველობა, მეციტრუსეობა და ციტრუსების პროდუქციის გადამმუშავებელი მრეწველობა, მემარცვლეობა, მებოსტნეობა, მეკარტოფილეობა, მეცხოველეობა, ტექნიკური და საკვები კულტურების პროდუქციის წარმოება.

ეკონომიკური ზრდის და უმუშევრობის დაძლევის მნიშვნელოვანი გზაა კომპანიების საქმიანობაში სახელმწიფოს ჩაურევლობა, ფულად რესურსებზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, საგადასახადო სისტემის ლიბერალიზაცია.

როგორი გადასახადები გვაქვს საქართველოში? თუ შევადარებთ მსოფლიოში არსებულ გადასახადებს შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში გვაქვს მოგების და დღგ-ს საშუალო ზომის გადასახადები, აქციზი-მცირე რაოდენობის პროდუქციაზე. ასევე გვაქვს ქონების და საკმაოდ ლიბერალური საბაჟო გადასახადები. მაგრამ, საქართველო გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში 66-ე ადგილზეა, ქვეყანას აქვს მცირე და ღარიბი ეკნომიკა, საფრთხეები რეგიონში არსებული სირთულეების გამო, ბიზნესის სფეროში განათლების და გამოცდილების სიმწირე, კვალიფიკაციის, ხარისხის პრობლემები.

ქვეყანაში, დასაქმების თვალსაზრისით, დადებითი მხარეებიდან აღსანიშნავია: ბიზნესის სიადვილე, ნაკლები გადასახადები, სოციალური დახმარების სისტემის სიმარტივე, ნაკლები რეგულაციები, საერთაშორისო შეთანხმებებთან, განსაკუთრებით ევროკავშირის, ჰარმონიზება, კარგი პარტნიორები, კარგი ბუნებრივ-კლიმატური პირობები და ხელსაყრელი გეოეკონომიკური გარემო.

უარყოფითი მხარეებიდან აღსანიშნავია: მცირე ბაზარი, ღარიბი მოსახლეობა და მეზობლები, უსაფრთხოების პრობლემები, რეგიონული პრობლემები, მდიდარი ქვეყნების სიშორე, გამოუცდელობა, შრომის უხარისხობა, ბოლომდე ჩამოუყალიბებელი ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტები.

ამ ეტაპზე შემაფერხებელი გარემოებების დასაძლევად საჭიროა სწრაფი საგადასახადო რეფორმების გატარება, კერძოდ: მოგების გადასახადის მნიშვნელოვანი შემცირება; საშემოსავლო გადასახადის შემცირება; დღგ-ს შემცირება; საშემოსავლო გადასახადის სამართლიანი გადანაწილება ცენტრისა და ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს შორის.

მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზი საშუალებას იძლევა მთლიანობაში განვსაზღვროთ ქვეყნის ეკონომიკური ზრდისა და განვითარების შედეგები. თუმცა იმისათვის, რომ დავადგინოთ რა გამოწვევების წინაშე დგას ქვეყნის ეკონომიკა მთლიანად და მისი მეწარმე სუბიექტები, ასევე მნიშვნელოვანია გავაანალიზოთ ეკონომიკის მონაცემები გლობალური რეიტინგების მიხედვით, რომელიც ეყრდნობა შემდეგი საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების ანგარიშებს და შეფასებებს (იხ. ცხრილი 1. **წყარო:** საქართველოს ეროვნული ბანკი).

სისტემური რეფორმების წარმატებულმა და ეფექტიანად განხორციელებამ საქართველოს პოზიციებს მნიშვნელოვნად გააუმჯობესა, რაც აისახა ავტორიტეტულ საერთაშორისო რეიტინგებში

**ცხრილი 1**
**საქართველოს მაჩვენებლები ძირითად საერთაშორისო რეიტინგების მიხედვით**

| | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| S&P | BB- | BB- | BB- | BB- | BB- | BB- | BB- |
| FITCH | BB- | BB- | BB- | BB- | BB- | BB- | BB- |
| MOODY'S | Ba3 | Ba3 | Ba3 | Ba3 | Ba3 | Ba2 | Ba2 |
| SCOPE | | | | | | | BB |
| ადამიანის განვითარების ინდექსი (რეიტინგი/ქვეყანა) | 0.750 (81/187) | 0.757 (79/187) | 0.765 (76/188) | 0.771 (70/188) | 0.776 (71/189) | 0.780 (70/189) | |
| გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი, რეიტინგი (ადგილი/ქვეყანა) | 4.07 (77/144) | 4.15 (72/148) | 4.22 (69/144) | 4.22 (66/140) | 4.32 (59/138) | 4.28 (67/137) | |
| ბიზნესის კეთება (რეიტინგი/ქვეყანა) | 9/185 | 8/189 | 15/189 | 24/189 | 16/190 | 9/190 | |

**ცხრილი 2: საქართველო ბიზნესის კეთების სიმარტივის რეიტინგში, 2006-2019 წლები**

| საანგარიშო პერიოდი | DB 2006 | DB 2007 | DB 2008 | DB 2009 | DB 2010 | DB 2011 | DB 2012 | DB 2013 | DB 2014 | DB 2015 | DB 2016 | DB 2017 | DB 2018 | DB 2019 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| წელი | 2005 | 2006 | 2007 | 2008 | 2008 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 |
| რეიტინგებში ადგილი | 112 | 37 | 21 | 16 | 13 | 17 | 12 | 9 | 14 | 24 | 23 | 16 | 9 | 6 |

**ცხრილი 3: საქართველო ბიზნესის კეთების სიმარტივის რეიტინგების შედარება, 2018-2019 წლები**

| | DB 2019 რეიტინგი | DB 2019 ქულა | DB 2018 ქულა | ქულის % ცვლილება |
|---|---|---|---|---|
| საერთო (Overall) | 6 | 83.28 | 82.8 | 0.48 |
| ბიზნესის დაწყების სიმარტივე | 2 | 99.34 | 97.84 | 1.50 |
| სამშენებლო ნებართვის აღება | 27 | 77.61 | 77.57 | 0.04 |
| ელექტროენერგიის ხელმისაწვდომობა | 39 | 84.38 | 84.32 | 0.06 |
| ქონების რეგისტრაცია | 4 | 92.86 | 92.85 | 0.01 |
| კრედიტის აღება | 12 | 85 | 85 | .. |
| მცირე წილის მფლობელ ინვესტორთა დაცვა | 2 | 81.67 | 81.67 | .. |
| გადასახადების გადახდა და მათი მოცულობა | 16 | 89.03 | 87.14 | 1.89 |
| საგარეო ვაჭრობის სიმარტივე | 43 | 90.03 | 90.03 | .. |
| კონტრაქტის პირობების აღსრულება | 8 | 76.9 | 75.97 | 0.93 |
| გადახდისუნარიანობის აღდგენა | 60 | 56.03 | 55.59 | 0.44 |

(იხ. ცხრილი 2 წყარო:მსოფლიო ბანკი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო).

2019 წელს საქართველო ბიზნესის კეთების სიმარტივის რეიტინგის მიხედვით, 190 ქვეყანას შორის ქვეყნების დაშორებით საუკეთესო მაჩვენებლიდან (DTF) – 83.28 ქულა (0.48 პუნქტიანი გაუმჯობესება) მე-6 ადგილი დაიკავა. აღნიშნული საქართველოში განხორციელებული ინსტიტუციური რეფორმების შედეგია (იხ. ცხრილი 3. წყარო: მსოფლიო ბანკი).

წინა წელთან შედარებით, 2019 წელს საქართველოს სარეიტინგო მდგომარეობა 10 ინდიკატორიდან შემდეგ 4 ინდიკატორში გაუმჯობესდა: ბიზნესის დაწყება - მე-2 ადგილი; მშენებლობის ნებართვა - 27-ე ადგილი; გადასახადების გადახდა – მე-16 ადგილი; ვაჭრობა საზღვრებს მიღმა – 43-ე ადგილი; წინა წელთან შედარებით, 2019 წელს საქართველოს სარეიტინგო ქულა (DTF) 10 ინდიკატორიდან შემდეგ 7 ინდიკატორში გაუმჯობესდა: ბიზნესის დაწყება - 99.34 ქულა; მშენებლობის ნებართვა - 77.61 ქულა; ელექტროენერგიასთან მიერთება - 84.38 ქულა; ქონების რეგისტრაცია - 92.86 ქულა; გადასახადების გადახდა – 89.03 ქულა; კონტრაქტის აღსრულება – 76.90 ქულა; გადახდისუუნარობა - 56.03 ქულა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მსოფლიოს ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი. 2018 წლის მიხედვით საქართველოს პოზიციები ინდიკატორების შემდეგი სახით იყო წარმოდგენილი: მთავრობის ზომა – 35-ე ადგილი 7.53 ქულა; სამართლებრივი სტრუქტურა და საკუთრების უფლების დაცვა – 35-ე ადგილი 6.31 ქულა; მყარი ვალუტა - 63-ე ადგილი 9.22 ქულა; საერთაშორისო ვაჭრობის თავისუფლება – მე-7 ადგილი 8.56 ქულა; რეგულაციები - მე-8 ადგილი 8.49 ქულა.

საქართველოს რეიტინგი ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი 2019 წელს 180 ქვეყანას შორის მე-16 პოზიციაზე აღმოჩნდა 75.9 ქულით. 2019 წელს საქართველომ წინა წელთან შედარებით ევროპის რეგიონში პოზიცია 1 ადგილით გაიუმჯობესა და მე-8 ადგილი დაიკავა. რეგიონში 44 ქვეყანას შორის საქართველოს საშუალო ქულა (75.9) 7.3 ქულით აღემატება ევროპის რეგიონის საშუალო ქულას (68.6), მსოფლიოს საშუალო ქულას (60.8) კი - 15.1 ქულით.

გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის (GCI) განსაზღვრავს მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი. აღნიშნული ინდექსი ზომავს მაკროეკონომიკური გარემოს ხარისხს, ქვეყნის საჯარო ინსტიტუტების მდგომარეობას და ტექნოლოგიური მზაობის დონეს. ინდექი ეყრდნობა საჯაროდ ხელმისაწვდომ (სტატისტიკურ) მონაცემებსა (WB, IMF, etc.) და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ალმას-

რულებელ პირთა მიერ ჩატარებული კვლევების შედეგებს, რომელიც ხორციელდება პარტნიორი ინსტიტუტების ხელშეწყობით (სამეცნიერო ინსტიტუტები და ბიზნეს-ორგანიზაციები). ანგარიში (GCI) მოიცავს იმ ფაქტორების ანალიზს, რომლებიც მნიშვნელოვანია ქვეყანაში ბიზნეს-კლიმატის შექმნის, მწარმოებლურობისა და კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად; იგი გამოკვეთავს ქვეყნის ძლიერ და სუსტ მხარეებს, ახდენს პრიორიტეტების იდენტიფიცირებას პოლიტიკური რეფორმების განხორციელების ხელშეწყობისათვის. აღნიშნული ინდექსის მიხედვით, 2018 წელს საქართველო 66-ე პოზიციას იკავებდა, რომლის სარეიტინგო მაჩვენებელი - 60,9 ქულით განისაზღვრა.

მართალია, გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი (GCI) უმეტესად დადებით ტენდენციას ავლენს გაუმჯობესების მიმართულებით, თუმცა საქართველოს სარეიტინგო ქულა შემცირდა ისეთი ინდიკატორების მიხედვით, როგორიცაა: ინფრასტრუქტურა – შემცირდა 0.1 პროცენტული პუნქტით; მაკროეკონომიკური სტაბილურობა - შემცირდა 0.4 პროცენტული პუნქტით; შრომის ბაზარი - შემცირდა 0.3 პუნქტით; ფინანსური სისტემა - შემცირდა 1.4 პროცენტული პუნქტით.

2018 წელს კორუფციის აღქმის ინდექსის მიხედვით საქართველო 58 ქულით 180 ქვეყანას შორის 41-ე პოზიციას იკავებს. აღნიშნული ინდექსი ზომავს კორუფციის აღქმის ინდექსს, რომელიც მოიცავს კორუფციის საერთო მოცულობას (სიხშირე ან/და კორუფციული გარიგებების მოცულობა) როგორც პოლიტიკურ, ისე საზოგადოებრივ სექტორში და ახდენს ქვეყნების რანჟირებას კორუფციის აღქმის მიხედვით. აღნიშნული რეიტინგი ახდენს ქვეყნების ერთმანეთთან შედარებას. ქულები მიუთითებს კორუფციის აღქმის დონეს საჯარო სექტორში; კორუფციის აღქმის ინდექსი მოიცავს 13 დამოუკიდებელ კვლევას.

## დასკვნა

საერთაშორისო რეიტინგების მიხედვით განხორციელებული კვლევები საშუალებას იძლევა შეფასდეს ცალკეული ქვეყნის მიხედვით მიღწეული დადებითი შედეგები და დადგინდეს ის სფეროები, რომლებშიც იგი გამოწვევების წინაშე დგას. საქართველოს საერთაშორისო რეიტინგების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ქვეყანის ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია გაუმჯობესდეს ინფრასტრუქტურა, მაკროეკონომიკური სტაბილურობა, შრომის ბაზარის დინამიკა, ფინანსური სისტემის მდგრადობა და სხვ.

საქართველოს ეკონომიკური ზრდის ტემპების დასაჩქარებლად მნიშვნელოვანი რეზერვები აქვს. მათგან აღსანიშნავია ქვეყნის ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი, აუთვისებელი მიწები, კოოპერირება, ინდუსტრიალიზაცია, მოდერნიზაცია. საქართველოს ეკონომიკის ზრდის დაჩქარების მიზნით მნიშვნელოვანია ისეთი სექტორების როლი, როგორიცაა: ჰიდროენერგეტიკა, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, სოფლის მეურნეობა, კვებისა და მსუბუქი მრეწველობა, ტურიზმი, ფინანსური სექტორი. დიდ შესაძლებლობებს იძლევა ქვეყნის ხელსაყრელი გეოეკონომიკური მდებარეობა, დემოკრატიულ, ევროატლანტიკურ ღირებულებებზე მტკიცე ორიენტირება და სხვა მრავალი.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები. ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი. თბ., ოქტომბერი 2008.

2. ცაავა გ., სიჭინავა ა. კორპორატიული ფინანსები.თბ., 2018.

3. სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მდგრადი ენერგეტიკის პოლიტიკა: განვითარების შესაძლებლობები და არჩევანი ძირითადი ავტორი: პეტრაოპიცი, DIW Econ თანაავტორები: არტემ ხარაზიანი, სომხეთი ასტღინე პასოიანი, სომხეთი მურმან მარგველაშვილი, საქართველო მუსლუმ გურბანოვი, აზერბაიჯანი თბილისი, **2015**

4. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020. file:///C:/Users/comp/Downloads/Strategy24% 2012%2013%20(2).pdf

5. გაეროს 2030 წლის მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების შესახებ (ღია მმართველობის პარტნიორობის გზამკვლევის სპეციალური გამოშვება). https://idfi.ge/public/upload/Meri/OGP-Geo.PDF

6. 2018 წლის ეკონომიკური შედეგები და 2019 წლის პერსპექტივები. "ინტერპრესნიუსი" თსუ-ს პროფესორ ლადო პაპავასა და საბუნებისმეტყველო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს ალექსანდრე თვალქრელიძეს ესაუბრა.https://www.interpressnews.ge/ka/article/527231-2018-clis-ekonomikuri-shedegebi-da-2019-clis-perspektivebi/

7. ნათია თურნავა, ინტერვიუ: „რასაც ჩავთვლი საჭიროდ, აუცილებლად მოგახსენებთ".https://imedinews.ge/ge/interview/266/rasats-chavtvli-sachirod-autsileblad-mogakhsenebt

8. ეკა გეგეშიძე, მთლიანი შიდა პროდუქტი და ეკონომიკური ზრდა. სადისერტაციო ნაშრომი. თბილისი 2010. http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Disertaciebi_economics/eka_gegeshidze.pdf

9. ივანე ჩხაიძე, კაპიტალიზაცია - საქართველოს ეკონომიკური ზრდის პრობლემა და მისი დაძლევის გზები, სადისერტაციო ნაშრომი. თბილისი 2015. http://dl.sangu.edu.ge/pdf/dissertacia/ivanechxaiedze.pdf

10. ვეშაპიძე შ., ყარალაშვილი შ. ესტონური ეკონომიკური მოდელის შემოღების საფრთხეები საქართველოში. ჟურნ.: „ბიზნეს-ინჟინერინგი", N3, 2017.

# სკანდინავიის ქვეყნების ეკონომიკური მოდელი

***სონია ჩეჩელაშვილი***
*ეკონომიკის დოქტორი,*
*ასოცირებული პროფესორი*
*წმიდა ტბელ აბუსერისძის სასწავლო უნივერსიტეტი*
***ლელა ჯახაია***
*ეკონომიკის დოქტორი,*
*ასოცირებული პროფესორი*
*წმიდა ტბელ აბუსერისძის სასწავლო უნივერსიტეტი,*

## ЭКОНОМИЧЕСКАЯ МОДЕЛЬ СТРАН СКАНДИНАВИИ

**Соня Чечелашвили**,
Доктор экономики,
ассоциированный профессор
**Лела Джахая**,
Доктор экономики,
ассоциированный профессор

**РЕЗЮМЕ**

государства всеобщего благосостояния зародилась намного раньше, чем Эспинг Андерсен развил свою теорию (1990 г.) о характеристиках благоденствия ведущих государств. В послевоенный период, когда Европу разделял "Железный занавес", Скандинавию упоминали часто. Особенно — Швецию. Часто обсуждались особенности их внутренней и международной политики, которые основывались на политике так называемого "третьего пути", являющегося чем-то средним между бесконтрольным капитализмом и строго контролируемым социализмом тех времён. В пределах исследования государств благосостояния, отличающаяся от всех прочих социальная политика Скандинавских стран стала предметом активного обсуждения ещё в 1980-х годах, когда у теории функционалистской сходимости появились серьёзные противники в лице последователей ресурсов власти, которые выделяли классовую политику, как ведущую часть института государства благосостояния. В сравнительных исследованиях государств благосостояния по сей день важна нордическая модель, хотя и в этих странах постоянно меняются общие стандарты государства благосостояния.

**საკვანძო სიტყვები:** ეკონომიკური მოდელი, ნორდიკული მოდელი, მოდელის კეთილდღეობა, ეკონომიკური პროცესები, სახელმწიფო, კონცეფცია.

* * * *

სკანდინავიის ნახევარკუნძულის, იგივე ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნები მსოფლიოში მდგრადი ეკონომიკური მდგომარეობით გამოირჩევიან. „Welfare States" – კეთილდღეობის სახელმწიფოები, ასე მოიხსენიებენ შვედეთს, ფინეთს, ნორვეგიას, დანიას და ისლანდიას.

ნორდიკულ-სკანდინავიური კეთილდღეობის სახელმწიფოს კონცეფცია გაცილებით ადრე ჩაისახა, ვიდრე ესპინგ-ანდერსენი განავითარებდა თავის თეორიას (1990წ) დაწინაურებული კეთილდღეობის სახელმწიფოთა მახასიათებლებზე. ომის შემდგომი პერიოდის პირველ ათწლეულებში, მაშინ როდესაც ევროპას „რკინის ფარდა" ყოფდა, სკანდინავიურ ქვეყნებს ხშირად ახსენებდნენ. განსაკუთრებით კი შვედეთს. ხშირად განიხილებოდა მათი, როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო პოლიტიკის თავისებურებანი, რომელიც დამყარებული იყო ე. წ. „მესამე გზის" პოლიტიკაზე, ანუ გარკვეულ შუალედზე უკონტროლო კაპიტალიზმსა და მკაცრად კონტროლირებად იმდროინდელ სოციალიზმს შორის. კეთილდღეობის სახელმწიფოთა შედარებითი კვლევების ფარგლებში, სკანდინავიური ქვეყნების ყველასაგან განსხვავებული სოციალური პოლიტიკა აქტიური განხილვის საგანი ჯერ კიდევ 1980-იან წლებში გახდა, როდესაც ფუნქციონალისტური თანხვედრის თეორიას სერიოზული მოწინააღმდეგეები გამოუჩნდა ძალაუფლების რესურსთა სკოლის მიმდევრების სახით, რომლებიც ხაზს უსვამდნენ კლასობრივი პოლიტიკის როლს, როგორც წამყვანისა კეთილდღეობის სახელმწიფოთა ინსტიტუციურ თვისებებში. კეთილდღეობის სახელმწიფოთა შედარებით კვლევებში დღესაც კი ძლიერ ანგარიშგასაწევია ნორდიკული მოდელი, თუმცა ამ ქვეყნებშიც კი კეთილდღეობის სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი ზოგადი სტანდარტები მუდმივად იცვლება.

როგორც ცნობილია, განსხვავებული ნორდიკული მოდელის კეთილდღეობის სახელმწიფოს ყოველთვის გააჩნდა ძლიერი მახასიათებლები, იგი ხშირად განიხილება, როგორც სხვა ქვეყნებისათვის მისაბაძი მაგალითი. მისი ასეთი შარმი ძირითადად გამოწვეულია საყოველთაოდ მოწონებული ისეთი მახასიათებლებით, რომლებიც ხალხში უდიდეს კეთილგანწყობასა და სიმპათიას იმსახურებს, ესენია: არსებული მოდელის უნარი მიაწოდოს ხალხს სასურველი შედეგები, პროდუქცია, იმავდროულად შეინარჩუნოს კიდეც საკუთარი ეკონომიკური სიმტკიცე და სრული დასაქმება.

ნორდიკული მოდელის პოპულარობა სკანდინავიურ ქვეყნებში მოვლენების ცვლილებასთან პარალელურად იცვლებოდა, თავის პიკს მან 1980-იან წლებში მიაღწია, როდესაც შვედეთმა, ნორვეგიამ და ფინეთმა მიაღწიეს მოსახლეობის სრულ დასაქმებას, მაშინ როცა დანარჩენი ევროპა დანიის ჩათვლით მასობრივ უმუშევრობას ებრძოდა, რომელიც ნავთობის კრიზისების გამოძახილი იყო. თუმცა ნორდიკული მოდელის მაღალი პოპულარობა შემცირდა მაშინ, როდესაც 1990-იან წლებში ზემოხსენებულ ქვეყნებში თავი იჩინა გარკვეულმა ეკონომიკურმა პრობლემებმა, უმნიშვნელო დეფიციტებმა, მოდელისათვის აქამდე მიუღებელმა უმუშევრობის მაღალმა დონემ. 1990-იანი წლების მიწურულიდან კი ადრინდელი პოპულარობა თითქოს ისევ გაიზარდა, ნორდიკულმა ქვეყნებმა ისევ მიაღწიეს დასაქმების სრულ დონეს, ასევე მათთან ერთად დანიამაც თავი დააღწია ორი ათწლეულის მანძილზე გაბატონებულ უმუშევრობას და გახდა უპირველესი რეფორმატორი მაკროეკონომიკური სტაბილურობისა და სრული დასაქმების საკითხებში, რაც რიგი გონივრული ქმედებების დამსახურებაა.

ნორდიკული მოდელის კონცეფციის ისეთი გაგება, თითქოს იგი წინასწარ შორს გამიზნული გეგმების მიხედვით შეიქმნა არასწორ შთაბეჭდილებას შეგვიქმნის მასზე და საბოლოოდ არასწორ დასკვნებს გამოვიტანთ. მოწინავე სკანდინავიური კეთილდღეობის სახელმწიფოების მახასიათებლებსა და თავისებურებებს დიდი ხნის ისტორია აქვს, ისინი შედეგია მთელი რიგი პოლიტიკური მონაპოვრების, თანმიმდევრული რეფორმებისა და მათი არასრული იმპლემენტაცია-დანერგვის. მარტივად რომ ვთქვათ, ისინი შედეგია არა რაიმე წინასწარი გონივრული დაგეგმვისა, არამედ პოლიტიკური ევოლუციის ხანგრძლივი პროცესისა.

ისევე როგორც სხვაგან, ნორდიკულ სახელმწიფოებშიც კეთილდღეობის სახელმწიფოს მოდელის ადრეული განვითარების ეტაპები დაკავშირებულია ინდუსტრიალიზაციასთან და სოციალური, დემოგრაფიული და პოლიტიკური ცვლილებების მთელ რიგ საკითხებთან: ურბანიზაცია, მუშათა კლასის გაჩენა, ერის ფორმირება, პროგრესული გარღვევა პოლიტიკური დემოკრატიისაკენ.

სკანდინავიური მოდელის განსაკუთრებულობა გამოიწვია იმ ინდივიდუალურმა, მხოლოდ ამ ქვეყნებისათვის დამახასიათებელმა პირობებმა, რომლებმაც გამოარჩია სკანდინავია დანარჩენ ევროპას. ისტორიული განვითარების პროცესებში მიუთითებენ რაღაც ახალი, ნორდიკული ქვეყნებისათვის დამახასიათებელი გზისკენ კეთილდღეობის სახელმწიფოს შენების გრძელ მარშუტზე.

სკანდინავიაში მიწათმფლობელობის წესი განსხვავებული იყო, გლეხურ მოსახლეობას შედარებით ძლიერი პოზიცია ეკავა, გაზრდილი იყო მათი ავტონომია თავიანთ ტერიტორიებზე, პროდუქციის მთავარი წყაროს ოჯახური ტიპის ფერმები წარმოადგენდნენ. ეს ფერმერები ინდუსტრიალიზაციის დასაწყისიდანვე მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილად და უფლებების მქონე პოლიტიკურ ძალად დარჩნენ განსხვავებით ბრიტანეთისა და დანარჩენი ევროპისა, სადაც გლეხობა ჯერ კიდევ არსებულ ფეოდალურ წესებს ემორჩილებოდა.

დამოუკიდებელი ფერმერები სკანდინავიური ტრიპოლარული კლასობრივი სტრუქტურის მნიშვნელოვან ქვაკუთხედად დარჩნენ მუშათა და მონინავე კლასებთან ერთად. ასეთმა ინდივიდუალურმა კლასობრივმა სისტემამ და მისმა შედეგებმა უდიდესი გავლენა იქონია კეთილდღეობის სახელმწიფოს მშენებლობის პროცესზე. საგულისხმოა, რომ მოქალაქეობისა და თანაბარი უფლებების იდეებმა, როგორც ფერმერებში, ასევე მუშათა კლასში ჰპოვა დასაყრდენი. ამან კი კარგი პირობები შექმნა თანამშრომლობისა და კონსენსუსისათვის. სოციალური პოლიტიკა აქ მხოლოდ „მუშათა საკითხებს" არ ეხებოდა, იგი ასევე მოიცავდა სოფლის მოსახლეობასთან დაკავშირებულ თემებსაც, ეხმარებოდა მათ უნივერსალური გადაწყვეტილებების მიღებაში.

ქილდალისა და ქუნლეს მიერ 2005 წელს გამოშვებულ წიგნში წამოჭრილია საკითხი იმისა, თუ სახელმწიფოებრივ ინსტიტუტებსა და მორალურ ღირებულებებს შორის რომელ მათგანს აქვს უფრო მეტი გავლენა სკანდინავიურ საზოგადოებებში, წიგნის ავტორები ხაზს უსვამენ იმას, რომ კეთილდღეობის პროგრამები გამოხატულებაა მათი მორალური კონცეფციებისა და ღირებულებებისა, სადაც უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს ისეთ იდეებს, როგორებიცაა უნივერსალიზმი, კეთილდღეობაზე საზოგადო პასუხისმგებლობა, „მუშაობა ყველასათვის".

დასავლელი ეკონომისტების შეფასებით, სწორედ ამ ქვეყნებში ვხვდებით ისეთ პოლიტიკურ სისტემას, რომელშიც სოციალური პოლიტიკა მთავრობის პრიორიტეტული მოღვაწეობის სფეროა, სახელმწიფო თავის თავზე იღებს ყველა მოქალაქის კეთილდღეობაზე ზრუნვას. როგორც ეკონომისტები აღნიშნავენ, ჩრდილოეთ ევროპის ეკონომიკური დაწინაურება ძირითადად მე-20 საუკუნის 70 წლებიდან იწყება, რა თქმა უნდა, ეს პროცესები თითოეულ ქვეყანაში დამოუკიდებლად და ინდივიდუალურად განვითარდა, თუმცა სწორედ დროის ეს მონაკვეთი გახდა გარდამტეხი მათთვის.

„სკანდინავიური მოდელი" მსოფლიოში ცნობილია, როგორც ეკონომიკური განვითარების ისეთი გეგმა, რომელიც მცირე ქვეყნისთვის ხელსაყრელია ისე, რომ ჰყავდეს დაცული და უზრუნველყოფილი მოსახლეობა. შვედეთის მაგალითზე ნათლად ჩანს, რომ საგადასახადო ტვირთი ქვეყანაში საკმაოდ მძიმეა, მაგრამ ადამიანიების ანაზღაურება იძლევა იმის საშუალებას, რომ მათ გადასახადების სიმძიმე ნაკლებად იგრძნონ. შვედეთში სწავლა, მედიცინა, ბავშვების აღზრდა, პენსია ნაწილობრივ ან მთლი-

ანად, სახელმწიფოს და მუნიციპალიტეტების მიერ ფინანსდება. არსებობს „სკანდინავიური მოდელის“ მეორე ვერსიაც, რომელიც გულისხმობს მოდელის მეტ ლიბერალიზაციას, კრიტიკოსების დავის საგანი სწორედ სოციალური საკითხების წინა პლანზე წამოწევაა. თუმცა უნდა ითქვას, რომ სოციალური საკითხების პრიორიტეტულობა ეკონომიკურთან შედარებით, დღესდღეობით, მნიშვნელოვნად დიდია, როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში.

სკანდინავიის ქვეყნებში ფინანსურ კეთილდღეობაზე წინ განათლებას, ჯანდაცვას და უსაფრთხოებას აყენებენ. ისინი თვლიან, რომ მათი ეკონომიკური მდგომარეობის მთავარი მიზეზი სწორედ პრიორიტეტების სწორად განსაზღვრაა.

მათი პრიორიტეტები და ძირითადი მახასიათებლები შემდეგია:

· უფასო სოციალური სერვისები, საკუთრების უფლების დაცვა;

· ბიზნესის კეთების სიმარტივე;

· სახალხო პენსიების სისტემა;

· თავისუფალი ვაჭრობისთვის დაბალი ბარიერები;

· ბაზრის მცირე რეგულაცია, ბაზრის თავისუფლება;

· პროფკავშირების სიმრავლე;

· კორუფციის ძალიან დაბალი დონე.

ბოლო მონაცემებით, კვლევის შედეგად 178 ქვეყნიდან სკანდინავიის ქვეყნები ყველაზე ნაკლებად კორუფციული ქვეყნების ათეულში შედიან.

რეგიონის დარგობრივი სტრუქტურები ჩამოყალიბდა სპეციფიკურ ვითარებაში, კერძოდ, საერთაშორისო კაპიტალის კონკურენციის პირობებში, რომელმაც საშუალება მისცა რეგიონის ქვეყნებს განევითარებინათ რეგიონისათვის მისაღები, პრიორიტეტული დარგები, რამაც ეს ქვეყნები ჩააყენა ცივილიზებული ქვეყნების რიგში. სპეციალიზებული დარგების პროდუქციის ექსპორტით, რეგიონი პირველ ადგილზე გავიდა ევროპაში. ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნების ეკონომიკური სტრუქტურების ფორმირება მიმდინარეობდა მაღალხარისხოვანი პროდუქციის სპეციალიზაციის გზით, დარგების განვითარებისას გამოიყენება ერთის მხრივ ბუნებრივი რესურსები, მოსახლეობის მაღალი პროფესიონალიზმი და მეორე მხრივ, მეცნიერულ - ტექნიკური პროგრესის მიღწევები.

ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნების სოფლის მეურნეობას მკვეთრად გამოხატული მეცხოველეობის მიმართულება აქვს. მისი ხვედრითი წილი მთლიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაში 75-78%-ია. აღნიშნული ქვეყნები არა მარტო იკმაყოფილებს საკუთარ მოთხოვნებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქციაზე, არამედ მეცხოველეობის პროდუქტების უდიდესი ნაწილი გააქვთ კიდეც მსოფლიოს სხვა ქვეყნებში. განსაკუთრებით კარგი პირობებია სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის სამხრეთ შვეციასა და დანიაში. ფინეთში ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროვინციები მდებარეობს ქვეყნის სამხრეთ დასავლეთით. აღნიშნულ ქვეყნებში ძირითადად გავრცელებულია ფერმერული მეურნეობები. ფერმები მდებარეობენ განცალკევებულად, მათი სპეციალიზაცია მკვეთრად გამოკვეთილია. იშვიათად იყენებენ დაქირავებულ შრომას, ფერმის სიდიდე გამომდინარეობს ფერმერის ოჯახის შემადგენლეობიდან.

სკანდინავიის ქვეყნები გვაძლევენ იმის ნათელ მაგალითს, თუ როგორ შეიძლება გახდეს პატარა ქვეყანა ეკონომიკურად ძლიერი. დასავლურ გამოცემებში წერენ, რომ სკანდინავიური მოდელი შეიცავს ძალიან მარტივ ფორმულას: „იფიქრე მოქალაქეებზე, მიეცი მათ სასურველი სახელმწიფო და ისინი დაგეხმარებიან მართო სისტემა სწორად – სისტემის სწორი მართვა კი პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების ჰარმონიაში გამოიხატება".

## ბიბლიოგრაფია:


1. https://www.google.ge/url?sa=t&rct=j&q=&esrc=s&source=web&cd=1&cad=rja&uact=8&ved=0ahUKEwj356j5k-nYAhWEDuwKHUz3AvoQFgglMAA&url=http%3A%2F%2Fwww.ttimes.ge%2Farchives%2F34379&usg=AOvVaw346p72POG7wghZ3eUdPuT2

2. https://www.google.ge/url?sa=t&rct=j&q=&esrc=s&source=web&cd=2&cad=rja&uact=8&ved=0ahUKEwj356j5k-nYAhWEDuwKHUz3AvoQFggtMAE&url=http%3A%2F%2Feuropean.ge%2Fketildgeobis-saxelmwifos-modelebi-nordikuli-qveynebi-i%2F&usg=AOvVaw3aGpU1573_RZJPKh3XJvbx

# განათლების სისტემის ეფექტიანობის ამაღლების და ინოვაციური სისტემის ფორმირების მნიშვნელობა

***ირინა ბენია***

*სტუ ასოც. პროფესორი*

**რეზიუმე**

განათლების დონე ქვეყნის წარმატებისა და განვითარების ერთ-ერთი მთავარი პირობაა. რამდენადაც განათლებულია ერი, იმდენად წარმატებულია ეს ქვეყანა. განათლება და მეცნიერება ქვეყნის განვითარებისთვის გამორჩეულად პრიორიტეტული, გრძელვადიან შედეგზე გათვლილი სფეროებია.

ადამიანური კაპიტალი ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური პროგრესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რესურსია. განათლება ის სფეროა, რომელიც უზრუნველყოფს პასუხისმგებლობისა და დემოკრატიული ღირებულებების მქონე მოქალაქეთა აღზრდას და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კადრების მომზადებას.

**საკვანძო სიტყვები:** განათლების სისტემა, გრძელვადიან შედეგზე გათვლილი სფეროები, ინოვაციური პროცესი, სწავლების ახალი ტექნოლოგიები, ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა, განათლების ხარისხის უზრუნველყოფა, ინკლუზიური განათლება.

**SUMMARY**

The level of education is one of the main condition of countries success and development. As educated is the nation as successful is the country. Education and science are the firstly claimed long-term oriented spheres.

Human capital is one of the most important resources of every countries economic and social progress. Education is the sphere that guarantees the upbringing of the citizens with the feeling of responsibility and democratic values, also secures the training of the specialists in accordance with the labor-market's demands.

* * * *

განათლების დონე ქვეყნის წარმატებისა და განვითარების ერთ-ერთი მთავარი პირობაა. რამდენადაც განათლებულია ერი, იმდენად წარმატებულია ეს ქვეყანა. განათლება და მეცნიერება ქვეყნის განვითარებისთვის გამორჩეულად პრიორიტეტული, გრძელვადიან შედეგზე გათვლილი სფეროებია.

საქართველო ოდითგანვე მძლავრი კულტურული და საგანმანათლებლო ცენტრი იყო და სრულიად ბუნებრივია ჩვენი ქვეყნის ესოდენ დიდი სწრაფვა, რათა გავაუმჯობესოთ და უფრო მრავალმხრივი და ეფექტური გავხადოთ განათლების სისტემა.

როგორც წესი, ინოვაციები წარმოიშვებიან ტრადიციული პრობლემების ახალი ხერხებით გადაწყვეტის ცდების შედეგად. სწორედ მაშინ იბადება ახალი იდეა, რომელიც ნოვატორული აზრის მატარებელია. ინოვაციების უმეტესობა არის მემკვიდრეობით კავშირში ისტორიულ გამოცდილებასთან და აქვს ანალოგები წარსულში. ეს გვაძლევს იმის მტკიცების საფუძველს, რომ ინოვაციური პროცესი ესაა მიზანმიმართული და შემოქმედებითი პროცესი განვითარების, შესაბამისად კი, განსაზღვრული კრიტერიუმების შესატყვისი ახალი იდეების და ახალი პროდუქციის შესაქმნელად.

დღეს ინოვაციური ცვლილებები მიდის იმ მიმართულებით, როგორიცაა განათლების ახალი შინაარსის ფორმირება; სწავლების ახალი ტექნოლოგიების დამუშავება და რეალიზაცია, მათ შორის ინფორმაციების; როგორც პედაგოგების, ისე მოსწავლეების საქმიანობის სახეობებში და აზროვნების სტილში ცვლილებები; საშუალო და უმაღლესი რგოლების ალტერნატიული სასწავლო დაწესებულებების შექმნა და განვითარება.[1]

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სფეროში არსებული პოსტსაბჭოური სისტემის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად გარდაქმნის მიზნით ბოლო ათწლეულის მანძილზე არაერთი რეფორმა განხორციელდა. პირველი ინტერვენციების გარკვეული დადებითი შედეგების მიუხედავად, შემდგომი არათანამიმდევრული პოლიტიკისა და სფეროს არასათანადო დაფინანსების პირობებში სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო დაწყებული ცვლილებების წარმატებით დასრულება და სისტემის მუდმივი განვითარება.[2]

წლების განმავლობაში განათლების სისტემის გაუმჯობესების მიზნით ბიუჯეტიდან მილიონობით ლარი გამოიყო. სხვადასხვა სასტიპენდიო პროგრამის ფარგლებში უამრავ სტუდენტს შესაძლებლობა მიეცა, სწავლა უცხოეთში გაეგრძელებინა. ცვლილებები შეეხო საჯარო სკოლებსაც. პედაგოგებისათვის ამოქმედდა სხვადასხვა წამახალისებელი პროგრამა. ეტაპობრივად მოხდა სახელფასო სისტემის ცვლილებაც. თუმცა აღნიშნული საკმარისი არ აღმოჩნდა და პრობლემა პრობლემად დარჩა. ქვეყანაში განათლების დონის მაჩვენებელი არცთუ ისე სახარბიელოა.[3]

განათლების სფეროში არსებული არასახარბიე-

1 http://education.ge/index.php?do=definition/view&id=1210

2 განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები (განსახილველი ვერსია) http://www.mes.gov.ge/uploads/strategia..pdf

3 http://forbes.ge/news/393/brZeni-qarTveli-eri

ლო მდგომარეობა საგანგაშოა იმდენად, რამდენადაც განათლების სფეროს ეფექტურობაზე დიდად არის დამოკიდებული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა და ქვეყნის ევროპული ინტეგრაციის პროცესის წარმატება.

დღევანდელი მდგომარეობით, საქართველოს ზოგადი განათლების სისტემა სრულად ვერ უზრუნველყოფს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებით განსაზღვრული შედეგების მიღწევას. სისტემური პრობლემების გამო, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების უმეტესობა სათანადოდ ვერ ამზადებს მოსწავლეებს განათლების შემდგომი საფეხურებისთვის, შრომითი საქმიანობის დაწყების, საზოგადოებაში ინტეგრაციისა და თვითრეალიზაციისათვის. საერთაშორისო კვლევების მიხედვით, საქართველოს მოსწავლეთა აკადემიური შედეგები ჩამორჩება საერთაშორისო სტანდარტულ სკალირებულ მაჩვენებელს წიგნიერებაში (რაც გულისხმობს კითხვის, წაკითხულის გააზრების, მიღებული ინფორმაციის დამუშავებისა და პრაქტიკაში გამოყენების უნარს), მათემატიკასა და ბუნებისმეტყველებაში.[4]

საზოგადოების ჩართულობა და სოციალური პარტნიორობა გამოწვევაა განათლების ყველა საფეხურზე და მეცნიერების ყველა სფეროში. განათლება უნდა გახდეს რეალურად ღია სისტემა, მის განვითარებაზე მეტი პასუხისმგებლობა უნდა გაიზიაროს საზოგადოებამ, დაინტერესებულმა პირებმა. მათ უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, მიიღონ მონაწილეობა განათლების ხარისხის უზრუნველყოფაში. ეს არის სისტემის მუდმივი განვითარების ერთ-ერთი წინაპირობა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია როგორც განათლების სისტემაში მოქმედი დაწესებულებების გააქტიურება, ასევე საზოგადოებისა და კერძო სექტორის ცნობიერების ზრდა და მათი ჩართულობა. მნიშვნელოვანია კვლევის სფეროში ბიზნესის ჩართულობის გაზრდა.[5]

ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების ერთ-ერთი გამოწვევაა საქართველოში მეცნიერების განვითარებისა და ევროპულ სამეცნიერო სივრცეში ინტეგრაციის ხელშეწყობა. 2014 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები ამ მიმართულებით,[6] კერძოდ, ორჯერ გაიზარდა სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული სტუდენტების რიცხვი, ასევე გაორმაგდა პროგრამის – „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" – ბიუჯეტი.[7]

2013-2014 წლებში საგანმანათლებლო პროცესების ეფექტიანად დაგეგმვის მიზნით ჩატარდა სისტემის სრული დიაგნოსტირება, დადგინდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჭიროებები და განისაზღვრა სტრატეგიული განვითარების პრიორიტეტები. ყველაზე გადაუდებელი საკითხი იყო განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

განათლების და მეცნიერების სამინისტრომ 2013 წელს ინკლუზიური განათლება ერთ-ერთ პრიორიტეტად განსაზღვრა და სტრატეგია მოამზადა, რომლის მიზანია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების სრული ინკლუზია განათლების სისტემაში და სხვადასხვა მიზეზებით სკოლის გარეთ დარჩენილი ან სკოლიდან გასული ბავშვებისთვის „განათლების მეორე შანსით" უზრუნველყოფა.

მეცნიერების განვითარების მიმართულებით მნიშნელოვანია გაგრძელდეს მუშაობა მეცნიერების მართვის შედეგზე დაფუძნებული მოდელის ფორმირების მიმართულებით და განხორციელდეს ინტერვენციები შემდეგი ამოცანების მიხედვით:

- მეცნიერების ხარისხის მართვისა და დაფინანსების მოდელის სრულყოფა
- კვლევით საქმიანობაში საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება;
- კვლევითი პროდუქტის კომერციალიზაციის ხელშეწყობა;

გრძელვადიანი სტრატეგიის არსებობა უზრუნველყოფს: შესაბამისი ფინანსური რესურსების სწორ მობილიზებას; სხვა დარგობრივ სამინისტროებსა და სტრუქტურებთან ეფექტურ კოორდინაციასა და განათლებისა და მეცნიერების სფეროში თანამიმდევრული, შედეგზე ორიენტირებული პოლიტიკის გატარებას განათლების ხარისხის ამაღლებისათვის.[8]

განათლების სისტემა საკუთარი საგანმანათლებლო კლიმატის, ლანდშაფტისა და მისწრაფებების მიხედვით უნდა დაიგეგმოს და არა რომელიმე წარმოსახვითი „საერთაშორისო სტანდარტების» შესაბამისად. ამგვარად უფრო მეტი მოლოდინი იქნება იმისა, რომ სკოლამ, მასწავლებელმა, სახელმძღვანელომ, მედიამ, სახელმწიფომ ხელი შეუწყოს პიროვნული ღირსებისა და თავისუფლების მოყვარული მოქალაქეების და არა რომელიმე საერთაშორისო შეჯიბრში „გამარჯვებული» სტატისტიკური ერთეულების აღზრდას. სწორედ ასე შეიქმნება ის სისტემა, რომელიც საუკეთესო იქნება ჩვენი ქვეყნისთვის.

განათლების ცალკეული დონეების მიხედვით თავმოყრილი საერთაშორისო კავშირების მეცნიე-

4 განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები (განსახილველი ვერსია) http://www.mes.gov.ge/uploads/strategia..pdf

5 განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები (განსახილველი ვერსია) http://www.mes.gov.ge/uploads/strategia..pdf

6 ანგარიში 2013-2014

7 განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები (განსახილველი ვერსია) http://www.mes.gov.ge/uploads/strategia..pdf

8 განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები (განსახილველი ვერსია) http://www.mes.gov.ge/uploads/strategia..pdf

რული შესწავლა საფუძველს დაუდებს ახალ იდეებს, რომლებიც აისახება ახალ საერთაშორისო პროექტებში. შემდგომში ისინი, უფრო განვითარებული ფორმით, კვლავ განხორციელდება საქართველოში, რაც ორმხრივად მომგებიანია როგორც დონორისთვის, ისე ბენეფიციარისთვის.[9]

საქართველოში განხორციელებული წარმატებული პროექტები შესაძლებელია ადვილად გავრცელდეს და დაინერგოს სხვა რეგიონებშიც, რაც მნიშვნელოვანი იქნება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისთვისაც.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საერთაშორისო სამეცნიერო და საგანმანათლებლო კავშირების გაღრმავება განვითარებულ ქვეყნებთან, სხვა დასახელებულ დადებით ეფექტებთან ერთად, არის საქართველოს ეკონომიკის ინოვაციური განვითარებისკენ მისასვლელი უმოკლესი გზა.

მიუხედავად მნიშვნელოვანი ცვლილებებისა, ხელმისაწვდომობა კვლავ რჩება განათლების პოლიტიკის მნიშვნელოვან გამოწვევად და ამ მიმართულებით მუშაობა უნდა გაგრძელდეს. ამასთანავე გრძელვადიან პერსპექტივაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება განათლების ხარისხის გაუმჯობესებას, რომელიც დღეისათვის პრიორიტეტად რჩება განათლების ყველა საფეხურზე.

9 http://online.tsu.edu.ge/ge/science/9970/?p=16

### გამოყენებული ლიტერატურა


1. ანგარიში 2013-2014
2. განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები (განსახილველი ვერსია) http://www.mes.gov.ge/uploads/strategia..pdf


### ინტერნეტსაიტები


http://online.tsu.edu.ge/ge/science/9970/?p=16

http://forbes.ge/news/393/brZeni-qarTveli-eri

http://education.ge/index.php?do=definition/view&id=1210

# სატრანსპორტო დერეფნები და საქართველოს როლი

## საქართველოზე გამავალი სატრანსპორტო დერეფნის ისტორიული მიმოხილვა

*დავით ფერაძე*
*სტუ დოქტორანტი*

**TRANSPORT CORRIDORS AND ROLE OF GEORGIA**

**D. Peradze**

**RESUME**

Transportation is the center of the world! It is the glue of our daily lives. When it goes well, we don't see it. When it goes wrong, it negatively colors our day, makes us feel angry and impotent, curtails our possibilities.

In spite of increasing competition, prospects for increasing the Europe-Caucasus-Asia Transport Corridor's (Middle Corridor) efficiency exist. This claim can be supported by the existing geopolitical and geo-economic reality, as well as the inherent potentials for improving the principal features of the corridor itself. With the view to realize these potentials, a whole set of measures needs to be undertaken, covering countries common strategy, geo-politics, customs, tariff and transport policy, theoretical and practical knowledge, environmental and legislative framework as well as economic management activities and tasks.

Deeper cooperation with partner countries and international organizations to set up a transport corridor information data base which would be available for decision makers, experts, mass media, transport and forwarding companies. Develop a special program in conjunction with the European Commission, with financial institutions like the World Bank, the European Bank for Reconstruction and Development and the representatives of other donors and investors, with the aim to better coordinate international efforts to improve Georgia's transit infrastructure and strength it's Geographical and Political position in the whole region.

* * * *

აბრეშუმის დიდი გზა ტრანსკონტინენტური სავაჭრო-საქარავნო გზაა, რომელიც ჩინეთს ხმელთაშუა და შავი ზღვების სანაპიროებთან აკავშირებდა.

ამ გზით ვაჭრობა ძვ. წ. II საუკუნიდან იღებს სათავეს, როდესაც ჰანის დინასტიამ დაიწყო სავაჭრო ურთიერთობა დასავლეთთან. აბრეშუმის გზით გაჰქონდათ მაღალხარისხოვანი ჩინური აბრეშუმი, ძვირფასი ქვები, ლითონები, ტყავი და ტყავის ნაწარმი, პირუტყვი, მარცვლეული, ხილი და ბოსტნეული, სუნელები და სხვა საქონელი რომელიც რომში, ბიზანტიაში, ახლო აღმოსავლეთის დიდი სახელმწიფოების – პართიისა და მოგვიანებით, სასანიანთა ირანის შუამავლობით ჩინეთიდან შეჰქონდათ.

თავად სახელი "აბრეშუმის გზა" არ გულისხმობდა მხოლოდ აბრეშუმით ვაჭრობას, ეს სახელი ეწოდა იმის გამო, რომ სწორედ ჩინურ აბრეშუმს მოჰქონდა ერთ-ერთი ყველაზე სარფიანი მოგება. "აბრეშუმის გზით" შევიდა ჩინეთში მინა, ფუფუნების საგნები, გავრცელდა ზოგიერთი კულტურული მცენარე, შეაღწია რელიგიურმა და ფილოსოფიურმა მოძღვრებებმა.

საინტერესოა რომ, ძველ ბერძნულ ენაზე „ჩინეთს"-ს „სერეს" უწოდებდნენ, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს "აბრეშუმის მიწას". მიუხედავად ამისა, ტერმინი აბრეშუმის გზა" პირველად საკმაოდ გვიან 1877 წელს, გერმანელი გეოგრაფისა და ისტორიკოსის ფერდინანდ ფონ რიხტფენმა (Ferdinand von Richthofen) ნაშრომებში გამოჩნდა, რომელიც აღწერდა ამ მარშუტებს.

შუა საუკუნეებში სახმელეთო მარშრუტმა ნელ-ნელა დაკარგა არსებული ფუნქცია, რადგან სახელმწიფოთა შორის არსებული არაერთი დაპირისპირების ფონზე ხმელეთზე მოძრაობა უფრო და უფრო სახიფათო გახდა; მაგალითისთვის - ოსმანეთის იმერიამ 1453 წელს სრულად გაწყვიტა ჩინეთთან ყველანაირი სახის ვაჭრობა. ზემოდხსენებული მიზეზებიდან გამომდინარე სახმელეთო ტრანსპორტი წარმატებით ჩაანაცვლა საზღვაო ტრანსპორტმა. საზღვაო ტრანსპორტი დღემდე ლიდერობს საერთაშორისო გადაზიდვებში და ევროპასა და აზიას შორის საერთაშორისო ვაჭრობა ყველაზე ხშირად სწორედ საზღვაო გადაზიდვების მეშვეობით ხდება.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან – საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ – ისტორიული აბრეშუმის გზის აღდგენის არაერთი ინიციატივა გამოიკვეთა. აღსანიშნავია, რომ ეს ტერმინი საკმაოდ ფართო მნიშვნელობით გამოიყენება და მის ქვეშ მოიაზრებენ თითქმის ყველა პროექტს, რომლებიც ევრაზიის კონტინენტის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებს აკავშირებს. ევროკავშირის ინიციატივით შეიქმნა პროექტი TRACECA, რომელიც 14 ქვეყანას აერთიანებს და ევროპისა და ცენტრალურის აზიის ქვეყნებს შორის სატრანსპორტო სისტემისა და ვაჭრობის განვითარებას ისახავს მიზნად რუსეთსა და ირანზე გამავალი მარშრუტების გვერდის ავლით. 2011 წელს ამერიკის შეერთებული შტატები ასევე გამოვიდა ინიციატივით, აღედგინა სავაჭრო ურთიერთობები აბრეშუმის გზის გასწვრივ.

**ნახ. 1. TRACECA-ს მარშრუტი (ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო კორიდორი)**




**წყარო:** ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანი ან ტრასეკა (ინგლ. Transport Corridor Europe-Caucasus-Asia TRACECA), http://www.traceca-org.org/en/home/

## აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელის პროექტი

2013 წლის 7 სექტემბერს ჩინეთის პრეზიდენტმა სი ძინ პინმა (Xi Jinping) ყაზახეთში ვიზიტისას პირველად გაახმოვანა აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელის (Silk Road Economic Belt) კონცეფცია, რომელიც ითვალისწინებს ჩინეთის ცენტრალური და დასავლეთის რეგიონების სახმელეთო ტრანსპორტით დაკავშირებას ცენტრალურ აზიასთან, ახლო აღმოსავლეთთან და ევროპის ქვეყნებთან.

ერთი გზა, ერთი სარტყლის პროქტი მსოფლიოს მეგაპროექტების დიდ-ბაბუასაც უწოდებენ. სი ძინ პინ-ის წამოწყებულ პროექტის საერთო სავარაუდო ღრებულებაა 4-6 ტრილიონი აშშ დოლარია. იგი მოიცავს 65 ქვეყანას, პროექტის ფარგლებში სარგებელს მიიღებს 4,8 მილირადი ადამიანი. პრეოქტის დასრულების ვადაა 2050 წელი, რომლის ეკონომუკური ეფექტი შეეხება მსოფლიო მოსახლეობის 62%-ს და ქვეყნების ეკონომიკის 40%-ს.

აღნიშნული პროექტით ჩინეთის დაინტერესება რამდენიმე ფაქტორით არის განპირობებული. ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ჩინეთის ეკონომიკური ზრდა ძირითადად მის აღმოსავლეთ და სამხრეთ პროვინციებზე აისახა, რადგან აღნიშნულ რეგიონში წარმოებული საქონლის გადაზიდვა საზღვაო ტრანსპორტით ევროპისა და ამერიკის მიმართულებით გაცილებით მარტივია. შესაბამისად, ჩინეთი ნაკლებად განვითარებული დასავლეთ პროვინციების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე ზრუნავს და ახალი სავაჭრო კავშირების შექმნა სურს, რაც, თავის მხრივ, აღნიშნულ პროვინციებს გამოაცოცხლებს. ასევე, საზღვაო გადაზიდვისთვის საჭირო შედარებით დიდი დრო ჩინურ პროდუქციას რიგ შემთხვევაში ნაკლებად კონკურენტულს ხდის ევროპულ ბაზარზე. ამასთან, სამხრეთ ჩინეთის ზღვაში არსებული დავა და პოტენციური დაპირისპირება ჩინური პროდუქციის უსაფრთხო ექსპორტს უქმნის საფრთხეს.

ერთი გზა, ერთი სარტყლის პროქტი მსოფლიოს მეგაპროექტების ფუძემდებელია. პროექტის საერთო სავარაუდო ღირებულებაა 4-6 ტრილიონი აშშ დოლარია. იგი მოიცავს 65 ქვეყანას, პროექტით სარგებელს მიიღებს 4,8 მილირადი ადამიანი. გეგმით ეს მეგაპროექტი უნდა დასრულდეს 2050 წლისთვის, რომლის ეკონომუკური ეფექტი შეეხება მსოფლიო მოსახლეობის 62%-ს და ეკონომიკის 40%-ს.

**ნახ. 2. ერთი გზა - ერთი სარტყლის (BRI) ინვესტიციები ენერგეტიკულ, სატრანსპორტო და სხვა სექტორებში**




**წყარო:** https://www.moodys.com/

Moody-ზე დაყრდნობით ერთი გზა, ერთი სარტყლის პროქტის ფარგლებში მონაწილე ქვეყნებში მხოლოდ 2014-2018 პერიოდში პირდაპირმა ინვესტიციებმა შეადგინა 159 მილიარდი აშშ დოლარი, ხელი მოეწერა 321 მილიარდი აშშ დოლარის სამშენებლო ხელშეკრულებებს.

ნახ 3. ჩინეთის მხრიდან გაცემული სესხები




**წყარო:** https://www.moodys.com/newsandevents/topics/China-Increasing-credit-differentiation-between-regions-and-sectors-00702A

„ერთი გზა, ერთი სარტყლის" ინიციატივას 5 წლის მანძილზე 145-ზე მეტმა ქვეყანამ და საერთაშორისო ორგანიზაციამ დაუჭირა მხარი. საქართველო არის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მონაწილე. ბოლო 5 წლის განმავლობაში , საქართველომა და ჩინეთმა ხელი მოაწერა მემორანდუმს „აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელის განვითარებისთვის თანამშრომლობის შესახებ", ამ პერიოდის მანძილზე გაიხსნა პირდაპირი სატვირთო სარკინიგზო ხაზი, ულელტეხილის მონაკვეთზე დაიწყო რკინიგზის მოდერნიზაციის პროექტი ბიუჯეტით 260 მლნ აშშ დოლარი, ასევე სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტიბის განხორციელება, სატრანსპორტო მარშუტების მოდერნიზაცია და საზღვრის გადაკვეთის პროცედურების გამარტივება. დაიწყო პირდაპირი ფრენა პეკინიდან თბილისის მიმართულებით, ასევე ჩატარდა მნიშვნელოვანი ერთობლივი თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმი. წარმატებით დასრულდა მოლაპარაკებები თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შესახებ. საქართველო გახდა აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკის დამფუძნებელი წევრი ქვეყანა.

აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელის პროექტი, რომელსაც ასევე სახმელეთო აბრეშუმის გზასაც უწოდებენ, შეესაბამება ისტორიულ აბრეშუმის გზას, რამოდენიმე ალტერნატიული ვარინტებით:

**ა) ჩრდილოეთ დერეფანი - რუსეთზე გამავალი ჩრდილოეთის გზა**

ჩრდილოეთის გზა დღევანდელი მდგომარეობით ყველაზე განვითარებული მარშრუტია აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელის პროექტში და ორ მარშრუტს მოიცავს. ტრანსციმბირის სარკინიგზო მაგისტრალი ჩინეთს რუსეთისა და ბელარუსის გავლით ევროპულ ქვეყნებთან აკავშირებს, ხოლო 2011 წელს ამოქმედებული ჩუნცინი-სინძიანი-დუისბურგის რკინიგზით ჩინეთი ყაზახეთის, რუსეთის, ბელარუსისა და პოლონეთის გავლით გერმანიაში დუისბურგის პორტს უკავშირდება. აღნიშნული მარშრუტის სიგრძე დაახლოებით 11,000 კილომეტრია და შესაძლებლობას იძლევა, ჩინური საქონელი დასავლეთ ევროპის ბაზარზე 16 დღეში მოხვდეს, რაც რამდენჯერმე ნაკლებია საზღვაო გადაზიდვასთან შედარებით, რასაც 45-60 დღე სჭირდება. მიუხედავად იმისა, რომ სარკინიგზო გადაზიდვა საზღვაო ტრანსპორტთან შედარებით ფუფუნებაა, მისი ფასი საგრძნობლად ჩამოუვარდება საჰაერო გადაზიდვას და მნიშვნელოვან ალტერნატივას წარმოადგენს ძვირად ღირებული და მალფუჭებადი საქონლის გადასაზიდად. ჩრდილოეთის გზას უკვე აქტიურად იყენებს არაერთი ცნობილი კომპანია, მაგალითად HP და კომპანია Foxconn-ი, რომელიც Apple-ის ერთ-ერთი მომწოდებელია.

**ნახ. 4. ჩრდილოეთ დერეფანი - რუსეთზე გამავალი ჩრდილოეთის გზა.**



მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილოეთის გზაზე ინფრასტრუქტურა უკვე არსებობს და მარშრუტიც ფუნქციონირებს, ჩინეთი მაინც მუშაობს ალტერნატიულ გზებზე, რათა მოახდინონ მარშუტების დივერსიციფირება, ახალი ბაზრების ათვისება, დერეფანში არსებული ზოგიერთი ქვეყნების მიმართ სხვადასხვა სახის სანქციების დაწესების შემთხვევაში - სატვირთო გადაზიდვების შეუფერხებლად მოძრაობის უზრუნველყოფის მიზნით. ამასთან, აღნიშნული მარშრუტის გეოგრაფიული მდებარეობის გამო, რკინიგზის მოვლის ხარჯები საკმაოდ დიდია, რაც აძვირებს ჩრდილოეთის გზის გამოყენებას, ასევე გასათვალისწინებელია რუსეთის პორტებში გამტარიანურობის საკითხი, რომელიც ბოლო წლებში მაქსიმუმს არის მიღწეული, რაც ქმნის საცობებს და შესაბამისად იზრდება ტვირთის მოცდენის პერიოდი; ასევე ნეგატირუად მოქმედებს ზამთარში მკაცრი კლიმატური პირობები.

**ბ) სამხრეთ დერეფანი - ირანზე გამავალი გზა**

აბრეშუმის გზის მეორე ვარიანტი ცენტრალური აზიის ქვეყნების: ყირგიზეთის, უზბეკეთისა და თურქმენეთის სარკინიგზო და საგზაო ინფრასტრუქტურის გავლით ჩინეთს სპარსეთის ყურეზე მდებარე ირანულ საპორტო ქალაქთან ბენდერ აბასთან აკავშირებს. თუმცა, ასევე შესაძლებელია ირანიდან მარშრუტი თურქეთის მიმართულებით გაგრძელდეს და ევროპულ ქვეყნებთან დაკავშირება ამ გზით მოხდეს. როდესაც ჩინეთში სახელმწიფოს მიერ კონტროლირებულმა მასმედიის საშუალებებმა აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელის სავარაუდო რუკა გამოქვეყნეს, მასზე სწორედ ე.წ. სამხრეთის გზა გახლდათ ასახული, რომლის მეშვეობითაც ირანისა და თურქეთის გავლით ჩინეთი ევროპას უკავშირდება. ეს პროექტი შესაძლებლობას მისცემს ჩინეთს, ცენტრალური აზიის ქვეყნებზე გავლენა გაზარდოს და ირანს დაუკავშირდეს, რაც გაუმარტივებს წვდომას ისეთ ენერგორესურსებზე, როგორიცაა თურქმენული გაზი და ირანული ნავთობი.

აღნიშნული პროექტის ამოქმედება მნიშვნელოვან პრობლემებთან არის დაკავშირებული, რომელთაგან მნიშვნელოვანია თანამედროვე ინფრასტრუქტურის არარსებობა და უმთავრესი გამოწვევა - ქვეყნის გეოპოლიტიკა, პოლიტიკური არასტაბილურობა, საერთაშორისო სანქციები. ამ მარშრუტის გამოყენებით მხოლოდ ყაზახეთსა და თურქეთს შორის სარკინიგზო გადაზიდვა 25-30 დღეს გრძელდება

1990-იანი წლებიდან ირანის სანქციების ეფოქა დაიწყო, ამ სანქციებმა არაერთი საკითხი მოიცვა - იქნებოდა ეს ირანთან ვაჭრობა, ირანის ენერგეტიკის სექტორი თუ ირანის ბანკები. 2010 წელს შემოღებულმა სანქციების ფართომასშტაბიანმა პაკეტმა თითქმის სრულად აკრძალა ირანთან ექსპორტი და იმპორტი. 2015 წელს, ერთი მხრივ გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრებსა და გერმანიას, მეორე მხრივ კი ირანის ისლამურ რესპუბლიკას შორის მიღწეული შეთანხმების შემდეგ, 2018 წელს მაისში, ვაშინგტონის შეთანხმებიდან ცალმხრივ გამოსვლას მოჰყვა თეირანისთვის სანქციების დაწესება-აღდგენა. შესაბამისად 2018 წლის გამკაცრებული სანქციების დაწესებიდან გამომდინარე, ამ მასშტაბის პროექტში ირანის სტაბილურ პარტნიორად ჩამოყალიბებას გარკვეული დრო დასჭირდება.

**ნახ. 5. სამხრეთ დერეფანი, ირანზე გამავალი გზა.**



ნახ. 6. შუა დერეფანი - ტრანსკასპიური მარშრუტი



**გ) შუა დერეფანი - საქართველოზე გამავალი გზა „ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტი“**

შუა დერეფანი, რომელიც საქართველოზე გადის, იწოდება როგორც ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტი.

ჩრდილოეთისა და სამხრეთის მარშრუტის ალტერნატივ გზას, წარმოადგეს ე.წ. „შუა დერეფანი“, რომელიც გადის კასპიის ზღვაზე და უერთდება როგორც შავ ზღვას ასევე თურქეთს[1].

2013 წლის 7 ნოემბერს, ქალაქ ასტანაში - მეორე საერთაშორისო სატრანსპორტო და ლოგისტიკის ბიზნესს ფორუმზე - „ახალი აბრეშმის გზა“, საქართველოს, ყაზახეთი და აზრებაიჯანის სარკინიგზო ადმინისტრაციის ხელმძღვანელებმა გააფორმეს მემორანდუმი - ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტის ასოციაციის შექმნაზე (TITR).

რამოდენიმე ანალიტიკურმა ორგანიზაციამ, მათ შორის კასპიის სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტმა გამოაქვეყნა კვლევა სახელწოდებით „კასპიის სატრანზიტო დერეფანი“, რომელიც სწორედ აღნიშნულ მარშრუტს ეძღვნება. კასპიის სატრანზიტო დერეფანი ითვალისწინებს ცენტრალური აზიის გავლით ჩინური ტვირთების რკინიგზით ტრანსპორტირებას კასპიის ზღვის პორტებამდე ყაზახეთსა (აკტაუ, კურიკი) და თურქმენეთში (თურქმენბაში). კასპიის ზღვის გავლით ტვირთი ბაქოს პორტში ჩავა, ხოლო შემდეგ სს „საქართველოს რკინიგზით“ მოხხვდება ტრანსპორტირება საქართველოს პორტებამდე, ისევე როგორც ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზით - თურქეთში და შემდგომ თურქეთს გავლით ხმელთაშუა ზღვაში, საიდანაც ევროპული ქვეყნებისკენ შემდგომი გადაადგილებაა შესაძლებელი. საქართველოს გავლით შუა დერეფნის მარშუტი უზრუნველყოფს ჩინური და ცენტრალური აზიის ტვირთების ევროპულ და თურქულ ბაზარზე მოხვედრას, და პირიქით ევროპიდან და თურქეთიდან ექსპორტირებული ტვირთის აზიაში ტრანსპორტირებას.

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ პერიოდში ‘’ახალი აბრეშუმის გზის’’ (შუა დერეფანი) სატრანზიტო დერეფანში ტვირთნაკადები მნიშვნელოვანად გააქტიურდა, ჯერ კიდევ სრულად არ არის ათვისებული აღნიშნული დერეფნის პოტენციური შესაძლებლობები.

აღნიშნული პოტენციალის სრულფასოვანი რეალიზაცია მჭიდრო კავშირშია იმ ინსტიტუციური, სტრუქტურული და სტრატეგიული გამოწვევების ეფექტიან გადაჭრასთან, რომელთა მოუგვარებლობის გამო, ‘’ახალი აბრეშუმის გზის’’ სატრანზიტო დერეფანი ნაკლებად კონკურენტუნარიანია, როგორც ფინანსურად ასევე ტრანსპორტირების ვადების მხრივ ალტერნატიულ დერეფნებთან შედარებით.

ევროპისა და აზიის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთკავშირში საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი როლი უკავია შუა დერეფანზე გამავალ ყველა იმ სატრანზიტო მარშრუტს, რომელიც უზრუნველყოფს ტვირთნაკადების გადაზიდვას, როგორც სახმელეთო, ისე საზღვაო და შერეული ფორმით. ახალი „აბრეშუმის გზის“ სატრანზიტო დერეფანი ნაკლებად კონკურენტუნარიანია, როგორც ტრანსპორტირების ტარიფების, ასევე ტრანსპორტირების ვადების მხრივ ალტერნატიულ დერეფნებთან შედარებით.

შავ და კასპიის ზღვებს შორის მდებარე ევრაზიის სატრანსპორტო არტერიის „შუა დერეფნის: მნიშვნელოვანი ნაწილია საქართველოს რკინიგზა[2], რომელიც ევროპას ცენტრალურ აზიასთან და

1 http://titr.kz/en/pressa/news/114-titr-sessions-of-the-working-group-and-general-meeting-held-in-nur-sultan

2 სს“ საქართველოს რკინიგზა“ დაფუძნდა 1872 წელს,

შემდგომ ჩინეთთან უმოკლესი გზით აკავშირებს. უკანასკნელ პერიოდში კავკასიის დერეფნის გასწვრივ სარკინიგზო მიმოსვლის მოცულობის ზრდის საფუძველი გახდა ტრასეკას (TRACECA) ფარგლებში განხორცილებული პროექტების მიერ სარკინიგზო მიმოსვლის უსაფრთხოებისა და ეფექტიანობის ზრდა. ამჟამად, საქართველოს რკინიგზის ყველაზე მომგებიანი მიმართულება სატვირთო გადაზიდვებია და ამ გადაზიდვებით საქართველოს რკინიგზა, კასპიისა და ცენტრალური აზიის რეგიონების ევროპასთან დამაკავშირებელ ალტერნატიულ გზად განიხილება, რომელიც უკავშირდება ფოთის, ბათუმისა და ყულევის პორტებს, საიდანაც ტვირთები პირდაპირ გადაიზიდება ბულგარეთის, რუმინეთის, უკრაინის, რუსეთისა და თურქეთის პორტებში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2019 წლის 23 ივლისს თურქეთის ქალაქ ერზრუმიდან „საქართველოს რკინიგზის" კუთვნილი ვაგონებით ბაქო-თბილისი-ყარსის პრეოქტის ფარგლებში საქართველოს მიმართულებით პირველი სატვირთო მატარებელი დაიძრა.

### ტრანზიტის შესაძლებლობები და უკანასკნელი წლების ტენდენციები

2013 წელს საქართველოს, აზერბაიჯანის და ყაზახეთის რკინიგზების ინიციატივით დაფუძნდა სატარიფო კომიტეტი, რომელიც მიზნად ისახავს ტრანსკასპიური დერეფნის კონკურენტიუნარიანობის გაზრდას. მოგვიანებით კომიტეტის ბაზაზე შექმნილ ახალ ლოგისტიკურ პროექტს – „ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო მარშუტი" შეუერთდნენ აქტაუს, ბაქოს, ბათუმის პორტები. აღნიშნული გაერთიანების ფარგლებში არაერთხელ იქნა ინიცირებული და დამტკიცებული გამჭოლი ტარიფები სხვადასხვა ტვირთზე, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა და გაამარტივა ტრანსპორტირება შუა დერეფანში.

„ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო ასოციაციის" მუშაობის შედეგად, 2015 წლის 13 დეკემბერს ჩინეთის პორტ ლიანუნგიანის ტერმინალიდან, 29 ნოემბერს გამოსული ელექტრო ტექნიკით დატვირთული პირველი მატარებელი საქართველოში შემოვიდა. საბოლოო დანიშნულების წერტილში ტვირთი 3 დღის ვადაში ჩავიდა. ჩინეთიდან მატარებელმა გაიარა შემდეგი ქვეყნები - ყაზახეთი, აზერბაიჯანი კასპიის ძრვის გავლით, დღეს კი საქართველოს გავლით ჩავა თურქეთში. ეს იყო პირველი ტრანზიტული ტვირთი და რეალურად განხორციელებული „აბრეშუმის გზის" პროექტი.

ტრანზიტულმა მატარებელმა უმოკლეს დროში დააკავშირა აზია – ევროპას. ჩინეთის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილიდან, პორტ ლინუნგანიდან წამოსული ტვირთი სტამბოლში მაქსიმუმ 14-15 დღეში ჩადის, ეს შესანიშნავი შედეგია იმ პირობებში, როცა იგივე დანიშნულების მისაღწევად, საზღვაო ხაზს 3-4 ჯერ მეტი დრო სჭირდება.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, მეორე ძირითადი შემზღუდველი ფაქტორი შუა დერეფანში სატრანზიტო ტვირთვებისთვის, იყო და არის სატრანზიტო პერიოდი, როგორც აღმოსავლეთიდან ევროპის მიმართულებით, ასევე დასავლეთიდან ჩინეთის და ცენტრალური აზიის მიმართულებით. იმისათვის რომ შემცირებულიყო ტრანზიტის პერიოდი შუა დერეფანში, 2019 წლის აპრილის თვეში ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტის წევრმა ორგანიზაციებმა ერთობლივად გადაწყვიტეს კასპიის ზღვაში კონტეინერმზიდი „ტურკესტანის" გაშვებაზე, რომელიც იმოძრავებს წინასწარგანსაზღვრული რეგულარული გრაფიკით ყაზახეთსა და აზერბაიჯანის პორტებს შორის. შედეგად, ჩინეთიდან ევროპის მიმართულებით კონსოლიდირებული ტვირთის ყაზახეთის საექსპორტო ტვირთთან ერთად კონტეინერებით გადაზიდვა კიდევ უფრო დაჩქარებულ რეჟიმში შესრულდება. ამ გადაწყვეტილებამ დადებითად იმოქმედდა საქართველოს, აზერბაიჯანის და აღმოსავლეთ თურქეთის დანიშნულებით მომავალ ტვირთების ტრანსპორტირების ვადებზე. თუ იმისავ გათვალიწინებთ, რომ საქართველოსა და ჩინეთს შორის 2018 წლიდან მოქმედებს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება და იმავე წელს საქართველოს საგარეო ბრუნვამ ორ ქვეყანას შორის 1 მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბა, ვიმედოვნებთ რომ ტრანზიტის დროის შემცირება კიდე უფრო გაზრდის საგარეო ბრუნვას.

კასპიის ზღვაზე კონტეინერმზიდის გაშვებამ ნაწილობრივ მოაგვარა სატრანზიტო დროის შემცირების საკითხი მთლიან დერეფანში. მიუხედავადა ამისა, აზიიდან შემოსული ტვირთი საქართველოს პორტებიდან 8-14 დღის მერე ხვდებოდა ევროპის შავი ზღვის პორტებში, რაც ნაკლებად კონკურენტულია ალტერნატიულ დერეფნებთან შედარებით

სურათი წარმოდგენილიაა შავი ზღვის აკვატორიაში არსებული საზღვაო ხაზების მარშუტები, სადაც კარგად ჩანს, რომ კონსტანცა პორტსა და საქართველოს პორტებს შორის პირდაპირი საზღვა ხაზის არარსებობა.

დღეის მდომარეობით შავ ზღვაზე არსებული საზღვაო ხაზები, კონტეინერმზიდი გემები აღმოსავლეთ ევროპის პორტებში შედიან სხვადასხვა პორტების გავლით, რაც სატრანზიტო დროს ახანგრძლივებს. იმის მიუხედავად, რომ შავ ზღვაზე არაერთი საზღვაო ხაზია და უამრავი ხომალდი გადაადგილდება, (იხ. ნახ. 7) არც ერთი მათგანი არ აკავშირებს პირდაპირ საქართველოს პორტებს ევროპის აღმოსავლეთ პორტებთან.

100% ელექტროფიცირებულია, საექსპლუატაციო სიგრძე 1 575 კილომეტრია. http://www.railway.ge/

**ნახ. 7. შავი ზღვის აკვატორიაში არსებული საზღვაო ხაზების მარშუტები**




**ნახ. 8. შავ ზღვაზე არსებული საზღვაო ხაზები**[1]




1 სურათი Marine Traffic ვებ გვერდის 2019 წლის 7 ივლისის მდომარება შავი ზღვის აკვატორიაში.

2019 წლის თებერვალში სს „საქართველოს რკინიგზა“ გამოვიდა ინიციატივით საქართველოს პორტები დაეკავშირებინა ევროპისა და უკრაინის პორტებთან პირდაპირი საზღვაო ხაზით, რომლის საშუალებითაც შავ ზღვაზე ტრანსპორტირების პერიოდი შემცირდებოდა 9-14 დღიდან 2-3 დღემდე. სამუშაო ჯგუფმა შეისწავლა შავი ზღვის აკვატორიის ძირითადი პორტები და ტექნიკურ-ეკონომიკური დასაფუძვლების საფუძველზე, ევროპის მიმღებ პორტად შეირჩა რუმინეთის საპორტო ქალაქი - კონსტანცა, რომელსაც მეტსახელად „ევროპის კარიბჭე“-ს უწოდებენ, ხოლო უკრაინაში - ოდესის პორტი.

მას შემდგომ, რაც შავ ზღვაზე კონტეინერმზიდი გემი გაეშვება, რომელიც დააკავშირებს ერთმანეთს აღმოსავლეთ ევროპას საქართველოს პორტებით ცენტრალურ აზიასა და ჩინეთს, სატრანზიტო დრო აღმოსავლეთ ჩინეთის პორტიდან წამოსული ტვირთი შეაღწევს ევროპაში სარკინიგზო მაგისტრალით და კასპიის და შავი ზღვის კონტეინერმზიდი გემებით 17-19 დღეში, იმის გათვალისწინებით, რომ დღეს არსებული საზღვაო სატრანზიტო პერიოდი შეადგენს მინ 35-50 დღეს.

ნახ. 9. მულტიმოდალური სარკინიგზო, საზღვაო მარშუტი (შუა დერეფანი).




## გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:


1. **ბოცვაძე ლ., ერაძე კ., ბოცვაძე ვ.** (2011), „ლოჯისტკური მენეჯმენტი და მოდელირება“, საქართველოს ბიზნესის აკადემია.

2. **ვეშაპიძე შ., ოსაძე ლ., სეხნიაშვილი დ.** (2012), „ლოჯისტიკა“, სტუ.

3. **მარგალიტაძე ი., გეგეშიძე ე.** (2017), „სატრანსპორტო პოლიტიკის კონცეფციები და საზღვაო საქმე“, სტუ.

4. **მოისწრაფიშვილი მ.** (2017), „ლოჯისტიკის საფუძვლები“, სტუ.

5. „სატრანსპორტო ლოჯისტიკა“ (2015), საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.

6. **Gleissner H., Femerling, J.** (2013), “Logistics: basics, exercises, case studies”, Sprnger.

7. **Globerson S., Wolbrum G.** (2014), “Logistics Management and Supply Chain Management: A Critical Evaluation”, *International Journal of Business and Economics Research*, 3(2): 82-88.

8. **Kondratjev J.** (2015), “Logistics, transportation and warehouse in supply chain”, Finnish Universities of Applied Sciences.

9. **Merc O.** (2010), “The Competitiveness of Global Port-Cities: Synthesis Report”, OECD.

10. **Renner M., Gardner G.** (2010), “Global Competitiveness in the Rail and Transit Industry”, Worldwatch Institute, Washington, D.C.

11. “Transportation & Logistics 2030”, PWC, Vol. 5.

TRACECA, http://www.traceca-org.org

www.moodys.com

www.railway.ge

http://titr.kz/

# დაგროვებითი საპენსიო სისტემის ფუნქციონირების მექანიზმები საქართველოში

*რეზი თუშიშვილი*
*სტუ დოქტორანტი*

**რეზიუმე**

საქართველოში სოციალური დაცვის პრობლემატიკა ბოლო ათწლეულის განმავლობაში თავის აქტუალურობას არ კარგავს. პირიქით, სოციალური საკითხები სულ უფრო მეტ სიმწვავეს იძენენ, რადგან არ არის გადადგმული ამ პრობლემის გადაჭრისთვის ეფექტური და სწრაფი შედეგის მომტანი ნაბიჯები. მართალია, უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში აღნიშნულ სფეროში მნიშვნელოვანი წინსვლა შეინიშნება და, შეიძლება ითქვას, საქართველოს მთავრობისთვის, საზოგადოების საჭიროებებიდან გამომდინარე, სოციალური სისტემის რეალური ტრანსფორმაცია უმთავრეს ამოცანად და სტრატეგიულ პრიორიტეტად იქცა, მაგრამ მის მიმართ პრეტენზიები სულ უფრო და უფრო მატულობს,რადგან მოლოდინი დღევანდელი მთავრობის მოქმედებების მიმართ რეალურად მიღებული შედეგებისგან ძალზე შორს აღმოჩნდა. როდესაც საუბარია ამა თუ იმ ქვეყნის სოციალურ სისტემაზე, მეცნიერები, პირველ რიგში, ყურადღებას ამახვილებენ სახელმწიფოს უნარზე, საკუთარი საზოგადოება 4 ყველაზე დიდი, გაუთვალისწინებელი, სოციალური რისკისგან - სიღარიბის, უმუშევრობის, ავადმყოფობისა და ინვალიდობისგან დაიცვას. ასეთივე რანგში უნდა განვიხილოთ გათვალისწინებადი რისკისგან სიბერისგან დაცვაც. თუ ამ სფეროებში სამთავრობო პოლიტიკა ასე თუ ისე წარმატებულია, მაშინ საზოგადოების კეთილდღეობის გარკვეული დონე მიღწეულად შეიძლება ჩაითვალოს.

**საკვანძო სიტყვები:** საპენსიო რეფორმა, სოციალური სისტემა, უმუშევრობა, კერძო ფონდი.

**MECHANISMS OF ACCUMULATING PENSION SYSTEM FUNCTIONING IN GEORGIA**

**Rezi Tushishvili,**
GTU's PhD student

**RESUME**

The social security problem in Georgia has not lost its actuality over the past decade. On the contrary, social issues are becoming more and more burdened by the government's often overt and unreasonable steps. It is true that in the last decade there has been a significant progress in the field and the real transformation of the social system has become a strategic priority for the Government of Georgia and the needs of the society, but complaints are increasingly increasing, as the expectations of today's It turned out to be far from the real results of the action. When it comes to the social system of a particular country, scientists are primarily focusing on the ability of the state to protect their society from the biggest, unforeseen, social risk - poverty, unemployment, illness and disability. In the same capacity, we should consider the risk from the risk of protection. If the government policy in these areas is so successful, then the level of well-being of society can be considered as achieved.

* * * *

თანამედროვე მსოფლიოს განვითარებულმა სახელმწიფოებმა დიდი ხანია სიღრმისეულად გააცნობიერეს საპენსიო სისტემის რეფორმირების აუცილებლობა, რომელიც ადეკვატური იქნება ცივილიზებული სამყაროს წინაშე არსებული ფინანსური, დემოგრაფიული და ეკონომიკური გამოწვევებისა. მოსახლეობის მატებისა და დაბერების, სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდის, გახშირებული ფინანსური კრიზისებისა და შრომითი ძალის შემცირების ფონზე, მსოფლიო ბანკმა დაადასტურა, რომ პრობლემა რთულად სამართავია, საპენსიო უზრუნველყოფასთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორები კომპლექსური, ხოლო არსებული სისტემის ახლით ჩანაცვლება გადაუდებლად აუცილებელი, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, როგორიც არის საქართველო.

საპენსიო სისტემა საქართველოში, ისევე, როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში, სადაც ჯერ კიდევ მოქმედებს «pay as you go» სისტემა, რომლის დროსაც სოციალური გადახდები დამოკიდებულია სახელმწიფოს შემოსავლებზე, გაკოტრების პირას აღმოჩნდა. ადრე თუ გვიან ამ სისტემების რეფორმირება აუცილებლად გახდება საჭირო. რაც უფრო დიდი ხნით გადაიდება ეს რეფორმა, მით უფრო რთული იქნება გადასვლა თვითდაფინანსებად საპენსიო სისტემაზე. საქართველომ უნდა გაიზიაროს ის გამოცდილება, რომელიც ამ სფეროში სხვადასხვა ქვეყნების პრაქტიკიდან დაგროვდა. ადამიანებს უნდა მიეცეთ უფლება, თავიანთი საპენსიო დანაზოგები განათავსონ ინდივიდუალურ პირად ანგარიშებზე, რომელთაც განკარგავენ ერთმანეთთან კონკურენციაში მყოფი კერძო ფირმები. ეს ფირმები მოახდენენ საპენსიო დანაზოგების ინვესტირებას საფინანსო ბაზრებზე, თავისი კლიენტების მთელი შრომითი საქმიანობის მანძილზე. გარდა ამისა, მოქალაქეებს უნდა დავუტოვოთ არჩევანის უფლება, რათა მათ სურვილის შემთხვევაში, შეეძლოთ შენატანების წა-

რმოება როგორც სახელწიფო საპენსიო სისტემაში, ასევე კერძო საპენსიო ფონდებში. იმავდროულად, საპენსიო რეფორმა უნდა მოვარგოთ ქვეყნის სპეციფიკას. იმისათვის, რომ საპენსიო სისტემის პრივატიზაციიდან მაქსიმალური სარგებელი მივიღოთ, ცხადია, აუცილებელია სხვა სოციალური რეფორმების გატარებაც, და უმეტეს შემთხვევაში, სრულიად ახალი სისტემების ფორმირებაც კი. საპენსიო რეფორმას, სოციალური სისტემის ჩამოყალიბების თვალსაზრისით, კატალიზატორის როლის შესრულება შეუძლია. ახალი სისტემის თანახმად, მომავალი პენსიის ოდენობას განსაზღვრავს იმ თანხის რაოდენობა, რომელსაც ადამიანი აგროვებს თავისი შრომითი საქმიანობის მანძილზე. სახელმწიფოს არც დასაქმებულები და არც დამსაქმებლები არ გადაუხდიან გადასახადს, რომელსაც იგი სოციალური უზრუნველყოფისთვის გამოიყენებდა. აქედან გამომდინარე, მომუშავეც არ მიიღებს მომავალში სახელმწიფო პენსიას.მიუხედავად იმისა, რომ კონსერვატიული მოდელის მქონე სახელმწიფოებს საერთო შენატანებზე დაფუძნებული უმუშევრობის დაზღვევის სისტემები აქვთ, განსხვავება მათ შორის მაინც შეინიშნება. კერძოდ, საფრანგეთში შენატანების უფრო მეტი წილი მოდის დამქირავებელზე, იტალიაში კი დაზღვევა მხოლოდ დამქირავებელთა მიერ ფინანსდება. შენატანების სიდიდე დარგის განვითარებით განისაზღვრება. უმუშევართა დახმარების ძველი გერმანული სისტემა, რომელიც დაფუძნებული იყო წარსულ დამსახურებებსა და შემოსავლებზე, დღემდე არსებობს გერმანიაში, ავსტრიაში, ბელგიასა და საფრანგეთში. თუმცა, მიმაჩნია, რომ საქართველოს არც ერთი აღნიშნული ვარიანტი არ გამოადგება, ვინაიდან თავად ევროპელებისათვის უკვე დიდი ხნის მანძილზე აშკარად თვალშისაცემია ამგვარი სისტემის არაეფექტიანობა, პირველ რიგში, იმიტომ, რომ იგი ადამიანებს სამუშაოს ძიების მოტივაციას ართმევს და ამდენად, ზრდის და ახანგრძლივებს უმუშევრობას. საჭიროა ისეთი სისტემის მოფიქრება, რომელიც, ერთი მხრივ, უბიძგებს უმუშევარს მეტი აქტიურობისაკენ სამუშაოს ძიების პროცესში, ხოლო მეორე მხრივ, იგი არ იგრძნობს თავს დაუცველად უმუშევრად ყოფნის პირობებში. ჩემი აზრით, ამ ორივე მიზნის ერთდროულად მიღწევა შესაძლებელია უმუშევრობის ფონდის კერძო შენატანების ჩამოყალიბებით. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ასეთი რადიკალური რეფორმის გატარება გაცილებით იოლია საქართველოში, ვიდრე, მაგალითად, დანიაში ან რომელიმე სხვა მაღალგანვითარებულ ქვეყანაში, რადგანაც უმეშევართა შემწეობის სახელმწიფო ფონდები, რომლებიც დღესდღეობით ჩვენს ქვეყანაში არსებობს, იმდენად მწირია, რომ მისი ჩანაცვლება ალტერნატიული კერძო ფონდების მეშვეობით სწრაფად და უმტკივნეულოდ შეიძლება განხორციელდეს, ყოველგვარი სოციალური მღელვარების ან რაიმე გართულების გარეშე. პროცესს დამატებით შეამსუბუქებს ისიც, რომ შემოთავაზებული მოდელის ფარგლებში სახელმწიფო ადამიანებს მისცემს არჩევანის უფლებას, დარჩეს უმუშევრობის სახელმწიფო შემწეობის იმედად, თუ გადავიდეს ნებაყოფლობითი კერძო შენატანების სისტემაზე. იმისათვის, რომ არსებობდეს უმუშევრობის დაზღვევის ამგვარ სისტემაზე გადასვლის სტიმული, საჭიროა ხელისუფლებამ გაათავისუფლოს საშემოსავლო გადასახადისაგან ყველა დასაქმებული, განურჩევლად იმისა, თუ სად მუშაობს იგი, კერძო თუ სახელმწიფო სექტორში, როგორც კი იგი გადაწყვეტს, უმუშევრობის დაზღვევის კერძო ფონდებში შენატანების გაკეთებას. ეფექტიანობის ყველაზე მთავარი განმსაზღვრელი ამ შემთხვევაში უნდა იყოს ის გარემოება, რომ უმუშევრობის დროს ადამიანს აქვს მკაფიოდ გამოხატული სტიმული, რაც შეიძლება სწრაფად დააღწიოს თავი ამ მდგომარეობას, ანუ აქტიურად ეძებოს ახალი სამუშაო, ვინაიდან ამ პირობებში იგი უმუშევრობის შემწეობას სახელმწიფო ბიუჯეტიდან კი არ იღებს, არამედ საკუთარი ფონდებიდან. რაც უფრო მალე იშოვის იგი ახალ სამსახურს, მით უფრო მეტს დაზოგავს საკუთარი შენატანებიდან და, შესაბამისად, მეტ თანხაზე მიუწვდება ხელი მომავალში ანალოგიურ სიტუაციაში აღმოჩენისას, ან საპენსიო ასაკის მიღწევისას. ამჟამად სოციალური ანარიცხების სისტემა საქართველოში გაუქმებულია, მის ნაცვლად სახელმწიფომ საკუთარ თავზე აიღო დაზღვევის ფონდების დაფინანსება, თუმცა მხოლოდ ჯანმრთელობის დაზღვევის მიმართულებით და მხოლოდ იმ ფენებისთვის, რომელნიც სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იმყოფებიან, კერძო ორგანიზაციებს კი ნებაყოფლობითი დაზღვევის შესაძლებლობა აქვთ.

საქართველოში ფაქტობრივად იგნორირებულია უმუშევრობის დაზღვევა და არ არსებობს კომპენსაციის სისტემა, რომელიც ადამიანს ასეთ შემთხვევაში საარსებო მინიმუმით მაინც უზრუნველყოფდა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ 2009 წლიდან მოქმედებს კანონი «საქართველოში უმუშევრობის შემწეობის დანიშვნის შესახებ», რომლის თანახმადაც შემწეობა დაენიშნა რეგისტრირებულ ყველა უმუშევარს, თავად შემწეობა კი განისაზღვრა 55 ლარით, რაც საარსებო მინიმუმთან შედარებით ბევრად ნაკლებია (2009 წელს ის შეადგენდა 128 ლარს 2019 წელს კი _ 189 ლარს). ამავე კანონით განისაზღვრა ისიც, რომ უმუშევართა აღრიცხვაზე, რეგისტრაციასა და დაფინანსებაზე პასუხისმგებელია შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

მიუხედავად ამისა, უმუშევართა უმეტესობა არაინფორმირებულობის ან მწირი შემწეობის გამო, რეგისტრაციისათვის ხშირად საერთოდ არ მიმართავს სამინისტროს, რაც ამ სისტემის მოუქნელობაზე მეტყველებს. შეიძლება თამამად ითქვას, რომ უმუშევრობის დაზღვევის სისტემა ფაქტობრივად ხელახალ ფორმირებას საჭიროებს. იგივე ითქმის

საპენსიო დაზღვევაზეც, რომელიც ევროკავშირის ქვეყნების სოციალური დაცვის სისტემებში ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილად ითვლება. ასეთივე ტიპის სისტემა უნდა ჩამოყალიბდეს საქართველოშიც.

**რეკომენდაცია:** მიზანშეწონილად მიმაჩნია საქართველოში დაინერგოს:

- ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა და დაბალანსებული მაკროეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება სოციალურ მოთხოვნილებათა გათვალისწინებით;
- განათლების, ჯანდაცვის, საპენსიო უზრუნველყოფის, უმუშევრობის დაზღვევისა და სხვა სოციალური სფეროების პრივატიზება;
- ინდივიდუალიზმის პრინციპებისა და პირადი ანგარიშების სისტემის დანერგვა;
- ადამიანებისთვის კერძო და სახელმწიფო სისტემებს შორის არჩევანის გაკეთების უფლების მინიჭება;

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. გაბელაშვილი კ. მოსახლეობის ცხოვრების დონის ანალიზისა და რეგულირების მეთოდოლოგიური საკითხები საქართველოში. დისერტაცია. ეკ. მეცნ.კანდ, 2009

2. „საჯარო ინვესტიციების მართვა მუნიციპალურ დონეზე“ გზამკვლევი ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთათვის. თბილისი 2012.

James C. Van horne and John M. Wachowicz, JR. 2011. “Fundamentals of Financial Management” –(twelfth edition) www.booksites.net/wachowicz

3. ჩიქავა ლ. უთანასწორობა შემოსავლების განაწილებაში და მისი განმსაზღვრელი ფაქტორები. ჟ. ეკონომიკა. ¹7-9. 2007

4. ჩიქავა ლ. სილარიბე და მისი დაძლევის ძირითადი მიმართულებები. ჟ. ეკონომიკა და ბიზნესი. N1. 2008

https://www.geostat.ge/ka/modules/categories/49/saarsebo-minimumi 03.10.19

# ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფაქტობრივი მდგომარეობა საქართველოში


***ვალერი მგალობლიშვილი***

*სტუ, დოქტორანტი*



**რეზიუმე**

ფასიანი ქაღალდების ბაზრის მეშვეობით ხდება სახელმწიფოს, იურიდიული და ფიზიკური პირების ფულადი დანაზოგების აკუმულირება და მათი მიმართვა კაპიტალის ბაზრებისკენ. იგი საბანკო კრედიტის ერთგვარ ალტერნატივას წარმოადგენს, ავსებს საბანკო კრედიტის სისტემას და ურთიერთქმედებს მასთან. განვითარებულ ქვეყნებში ეს საქმიანობა შემოსავლის მიღების ერთ-ერთი საშუალებაა და პოპულარულია მოსახლეობაში, რაც ფულის მოძრაობის სიჩქარეს და მის ღირებულებას ზრდის.

იმის მიუხედავად, რომ ფასიანი ქაღალდის უამრავი სახესხვაობაა ცნობილი, მათ ერთი უმნიშვნელოვანესი თვისება გააჩნიათ - ყოველი მათგანის უკან დგას რეალური ღირებულების მატარებელი ეკონომიკური რესურსი. ამის გაკონტროლება ხდება ბირჟაზე ლისტინგის მეშვეობით, რომელიც ახდენს ფასიანი ქაღალდის შემოწმებას, მის ნამდვილობას და მატერიალურ უზრუნველყოფას. ეს ყველაფერი კი მნიშვნელოვანია საზოგადოების ფასიანი ქაღალდების ბაზრისადმი ნდობის მოსაპოვებლად და სწორი ინვესტირების განსახორციელებლად. კვლევა ორიენტირებულია განხილულ იქნეს საქართველოში არსებული სიტუაცია ფასიანი ქაღალდების ბაზართან დაკავშირებით.



**საკვანძო სიტყვები:** ფასიანი ქაღალდების ბაზარი, საფონდო ბაზარი, საბანკო კრედიტის სისტემა, ინვესტიციების განხორციელება.


**THE CURRENT STATE OF THE SECURITIES MARKET IN GEORGIA**


**Valeri Mgaloblishvili**

GTU, PhD student



**SUMMARY**

A securities market is used in an economy to attract new capital with the help of physical and legal persons and supports money movement to the capital market. It is important that the securities market is an alternative to the bank credit, complements the bank credit system and interacts with it. In the developed countries buying and selling securities is one of the ways to earn more income, which also increases the money movement speed and therefore, increases its value.

There are many different types of securities known and they have one of the most important qualities – behind each security paper is economic resource carrying fair value. This process is controlled by exchange market. Thanks to this, securities market can gain more confidence for public and it helps investors to make the right investment.

The research is focused on the condition of securities market in Georgia. It will also demonstrate the real problems of trading process and establish prospects for developing securities market in Georgia.



**Keywords**: securities market , stock market, bank credit system , making investments.


* * * *

ბიზნესის და საერთოდ, ეკონომიკის დაფინანსებისთვის მსოფლიო პრაქტიკაში მიღებულია ორი გზის გამოყენება. ესენია - კრედიტი ბანკში და ფასიანი ქაღალდების ბაზარი. საბანკო სისტემა საქართველოში კარგად არის განვითარებული და ეკონომიკური სუბიექტების უმრავლესობაც სწორედ საბანკო კრედიტს მიმართავს, როდესაც ფულადი სახსრების საჭიროება აქვთ.

საყურადღებოა თუ რა მიმართებაა საბანკო კრედიტსა და დეპოზიტს შორის? ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ დეპოზიტების განთავსება ხდება კომერციულ ბანკებში შედარებით დაბალი საპროცენტო სარგებლის მოლოდინით, ხოლო ბანკების მიერ ამავე სახსრების გასესხება - გაცემა კრედიტის სახით კი ხდება უფრო მაღალ პროცენტში. ეკონომიკურ სუბიექტს თუ ფულადი სახსრების საჭიროება გააჩნია, ბანკი მასზე ბევრად მაღალ პროცენტში გასცემს კრედიტს, ვიდრე დეპოზიტზე სარგებელს გადაუხდიდა. როგორც აღვნიშნე, არსებობს ბიზნესის დაფინანსების მეორე მექანიზმიც - ფასიანი ქაღალდების ბაზარი. შეგვიძლია ვთქვათ, რომ საბანკო სისტემა და ფასიანი ქაღალდების ბაზარი ერთმანეთისათვის ორი ალტერნატიული სისტემაა როგორც თანხის დაბანდების, ასევე საჭირო ფულადი სახსრების მოსაძიებლად.

სამწუხაროდ, საქართველოში ამ ორი გზიდან მხოლოდ ერთი განვითარდა - საბანკო სისტემა. ფასიანი ქაღალდების ბაზარი კი, უამრავი მცდელობის მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ განუვითარებელია და უდიდეს ძალისხმევას საჭიროებს, რათა ოდნავ მაინც მიუახლოვდეს განვითარებული ქვეყნების ფასიანი ქაღალდების ბაზრის მოდელს.

მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში ფასიანი ქაღალდების ბაზარი ერთ-ერთი წამყვანი სექტორია ქვეყნის ეკონომიკაში. რა თქმა უნდა, ქვეყნების მიხედვით ფასიანი ქაღალდების ბაზარს ინდივიდუალური მახასიათებლები გააჩნია, მაგრამ ძირითადი

როლი და მნიშვნელობა მაინც მსგავსია. აღნიშნულ ბაზარს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, როდესაც საქმე ეხება მსხვილ წარმოებას, ვაჭრობას, მსხვილ კორპორაციებს საერთაშორისო კომპანიებს და ა.შ. ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებას სპეციფიკური ხელშეწყობა, ხელსაყრელი გარემო, საკანონმდებლო ბაზა და მთავრობის მხრიდან ხელშეწყობა ესაჭიროება.

საქართველოში, ფასიანი ქაღალდების ბაზრის საწყისი ყალიბდებოდა 1998-2000 წლებში, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვით აშშ-ს საუკეთესო სპეციალისტებს ამ დარგში. აშკარა რეკომენდაცია იმ დროისთვის იყო, რომ ეკონომიკის დაფინანსების ორი კონკურენტი სისტემა უნდა განვითარდეს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად. მოგეხსენებათ ორ კონკურენტ სფეროს წარმოადგენს საბანკო კრედიტების სისტემა და ფასიანი ქაღალდების ბაზარი. თუ გადავხედავთ მსოფლიოს წამყვან ქვეყნებს, ვნახავთ, რომ ასეთ ქვეყნებში ორივე სისტემა დაახლოებით განვითარების ერთნაირ დონემდეა მიყვანილი. ამის მიზეზად შეიძლება დავასახელოთ ის, რომ განვითარებულ ქვეყნებში ორივე ალტერნატიული სისტემის განვითარება დაიწყო ერთი საწყისი წერტილიდან და ორივე სისტემისთვის თანაბრად მიმდინარეობდა. შეიძლება ითქვას, რომ ასეთ ქვეყნებში მთავრობის მხრიდან გააზრებული იყო ორივე სფერო აუცილებლობა და ორივე სფეროს თითქმის ერთნაირი განვითარების დონე, რადგან არ მომხდარიყო ერთი სისტემის მოხვედრა მეორე სისტემის გავლენასა და დაქვემდებარებაში. ამიტომაც, ორივე სისტემა გადიოდა წინსვლის ერთნაირ გზას.

შედეგად, ეკონომიკის დაფინანსების ამ ორ სისტემას შორის, მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში, ჩამოყალიბებულია ჯანსაღი კონკურენცია, რაც ორივე სისტემის გამართულ ფუნქციონირებას უწყობს ხელს. ჩვენს ქვეყანაში, ამ საკითხის ხედვა სხვანაირად არის. საბანკო სექტორი შედარებით მალე განვითარდა და პოპულარობა მოიხვეჭა, მეტ-ნაკლებად დაიმსახურა ხალხის ნდობა. ფასიანი ქაღალდების ბაზარი კი განვითარების საწყის ეტაპზე დარჩა. რა თქმა უნდა, საბანკო სისტემისთვის კონკურენტი სფეროს განვითარება არ შედის ინტერესებში, მაგრამ ქვეყნის ეკონომიკას ჭირდება ორივე სფეროს ჯანსაღი კონკურენცია და თანაარსებობა.

როგორც ყველა ახლად დანერგილ სისტემას, ფასიანი ქაღალდების ბაზარსაც ესაჭიროება შესაბამისი გარემო განვითარებისთვის. ეს გარემო კი უამრავ კომპონენტს მოიცავს. მხოლოდ მათი კომპლექსური მოქმედებით შეიძლება მივაღწიოთ სასურველ შედეგს.ის ფაქტორები, რაც ბაზრის განვითარებას აფერხებდა და პირიქით, ცუდად მოქმედებდა მასზე, შედარებით აღმოფხვრილია.

ქვეყნის მაკროეკონომიკური მაჩვენებლები შედარებით დარეგულირდა, ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი შემცირებულია, კომპანიების გამჭირვალობაც აღარ წარმოადგენს პრობლემას საჯარო რეესტრის არსებობის გამო.

როგორც აღვნიშნეთ, ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების საძირკველს წარმოადგენს შესაბამისი კანონმდებლობის შემუშავება. ამასთან ერთად, ბაზრის განვითარების პროცესი უნდა იყოს პრიორიტეტული ქვეყნისათვის. მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევით იქნება შესაძლებელი ბაზრის განვითარების იმ დონემდე მიყვანა, რომ დადებითად იმოქმედოს ქვეყნის მაკროეკონომიკულ მაჩვენებლებზე.

2000 დან 2007 წლამდე ფასიანი ქაღალდების ბაზარი თანდათან ვითარდებოდა, ძლიერდებოდა. 2007-2008 წლებში მოხდა საკანონმდებლო ცვლილებები ფასიანი ქაღალდების ბაზართან დაკავშირებით, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა ბაზარზე. ძირითადი ცვლილება იყო დამოუკიდებელი რეგულატორის გაუქმება.

შედეგად, საქართველოს ეროვნულ ბანკს დაეკისრა ფასიანი ქაღალდების ზედამხედველობა. რასაკვირველია, ეროვნული ბანკისათვის პრიორიტეტული ყოველთვის საბანკო სისტემა იქნება. იქედან გამომდინარე, რომ ეს ორი სფერო ერთმანეთის კონკურენტია, შესაბამისად, საბანკო სისტემასთან მიმართებაში, ფასიანი ქაღალდების ბაზარი ნაკლებად აღმოჩნდა ყურადღების ცენტრში.

ძირითადი ცვლილებები ზუსტად ბანკების და ფასიანი ქაღალდების ბაზრის ურთიერთობას შეეხო. მაგალითად, ბანკებს საშუალება მიეცათ აღნიშნულ საქმიანობაში მიეღოთ მონაწილეობა. ასევე, გაუქმდა ის შეზღუდვები, რაც ეხებოდა საფონდო ბირჟის მესაკუთრეობას და შედეგან, ბანკებს მიენიჭათ მეტი უფლებები კონკურენტ სფეროში.

ბირჟის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნიუანსია გამჭირვალობა და გარიგებების დადება ბირჟაზე. 2008 წლამდე ფასიან ქაღალდებზე გარიგებების დადება ხდებოდა ბირჟაზე - შესაბამისად გარემო იყო გამჭირვალე და კონკურენტიანი. ცვლილებების შემდეგ, გარიგებების დადება ხდებოდა ბირჟის გარეთ.

2007 წლამდე ბირჟის გარეთ თითქმის არანაირი გარიგება არ იდებოდა, კანონმდებლობაში ცვლილების შეტანის შემდეგ, კი შედეგი სახეზეა - ბირჟისგარეთ დადებულმა გარიგებებმა რეკორდული მაჩვენებელი აჩვენეს 2000-2012 წლების პერიოდისათვის. ანუ ეს ნიშნავს, რომ შეიქმნა ფასიან ქაღალდებზე გარიგებების დადების არაკონკურენტული და რაც მთავარია, გაუმჭირვალე, არაკონტროლირებადი გარემო. სწორედ ამ პროცესს მოჰყვა ის, რომ ფასიან ქაღალდებზე ინფორმაცია, კერძოდ, მათ ფასებზე, არც ისე სანდოა, როგორც ადრე. შედეგად მივიღეთ ის, რომ გაუმჭირვალე გარემო ინვესტორს აბრკოლებს და უარს ათქმევინებს ინვესტიციის განხორციელებაზე.

საბოლოოდ, ადგილობრივმა და უცხოელმა ინვესტორებმა მნიშვნელოვნად შეამცირეს თავიანთი

ქმედებები საფონდო ბირჟაზე. მათ სერიოზული უნდობლობა გაუჩნდათ საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის მიმართ, რასაც განხორციელებული ოპერაციების საგრძნობი შემცირება მოჰყვა.

2000-2007 წლებში ბაზრის განვითარების შედეგად, NASDAQ-OMX-მა გამოთქვა საქართველოს საფონდო ბირჟის საკონტროლო პაკეტის შეძენის სურვილი, რაც საბანკო ჯგუფის ინიციატივით ვერ განხორციელდა.[1] აღნიშნული პროცესი რომ განხორციელებულიყო, საქართველოს საფონდო ბირჟა გადავიდოდა განვითარების შემდეგ ეტაპზე და მოხდებოდა მისი რეალური ამუშავება. როგორც ვხედავთ, ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული.

რაც შეეხება საფონდო ბირჟის დღევანდელ მდგომარეობას, შემდეგია: საქართველოს საფონდო ბირჟის ოფიციალური მონაცემებით, 2019 წლის 1 იანვრიდან 12 ივნისამდე დაიდო მხოლოდ 19 გარიგება ლარში[2]. ცხრამეტივე გარიგება დაიდო ფასიან ქაღალდებზე, რომელთა ემიტენტია სს"ლიბერთი ბანკი", ანუ წელს სხვა ორგანიზაციის ფასიანი ქაღალდები ჯერ არ გაყიდულა საფონდო ბირჟაზე. გარიგებები დოლარში საერთოდ არ გაფორმებულა.

არასაბირჟო გარიგებებს რაც შეეხება, ლარში გარიგებების რაოდენობა აღნიშნულ პერიოდში არის 7, ხოლო დოლარში 83.[3] როგორც ვხედავთ, ჩვენს მიერ ნაშრომში აღწერილი ტენდენცია ისევ გრძელდება, და არასაბირჟო გარიგებები, ამ შემთხვევაში დოლარში, გაცილებით მეტია რაოდენობრივად ვიდრე საბირჟო.

ბირჟის განვითარებას შეაფერხებს ისიც, თუ საქართველოში არსებული კომპანიების ფასიანი ქაღალდების გატანა მასიურად მოხდება უცხოურ ბირჟებზე. მსგავსი მოვლენა უარყოფით გავლენას მოახდენს საქართველოს ბაზარზე ფასიანი ქაღალდების მიწოდებაზე და მიწოდებას გაზრდის სხვა ქვეყნის ბირჟისათვის. საქართველოში არსებულ კომპანიებს სურვილი უნდა უჩნდებოდეთ, რომ ფასიანი ქაღალდები განათავსონ საქართველოს საფონდო ბირჟაზე. ამისათვის სახელმწიფომ გარკვეული რეგულაციებიც კი შეიძლება დააწესოს.

## დასკვნები

• ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებისათვის საჭირო საწყისები ქვეყანაში შექმნილია. ბუნებრივია, ფასიანი ქაღალდების ბაზრის ამუშავება და განვითარების იმ დონემდე მისვლა, რაც ევროპულ თუ ამერიკულ ბირჟებზე ხდება რთული და ხანგრძლივი პროცესია. პირველ რიგში, აუცილებელია მთავრობის მხრიდან დიდი დაინტერესება და ხელშეწყობა. ასევე, საჭიროა უცხოელი ექსპერტების დახმარება და გამოცდილების გაზიარება.

• მნიშვნელოვანია, რომ ამაღლდეს მოსახლეობის ცნობადობა ფასიანი ქაღალდების ბაზრის კუთხით.

• მნიშვნელოვანია, ამ კუთხით უცხოელი ექსპერტების მოწვევა თავად კომპანიების მხრიდან. ანუ კომპანიებს სტიმული უნდა ჰქონდეთ იმისათვის, რომ ფასიანი ქაღალდები განათავსონ საქართველოს საფონდო ბირჟაზე. უცხოელი ექსპერტები დაეხმარებიან მათ გამოცდილების გაზიარებაში და შესაბამის თანამშრომლებს ასწავლიან, თუნდაც როგორ უნდა შექმნან მომგებიანი საინვესტიციო პორტფელი.

• აუცილებელია საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა; იგი უნდა იყოს მარტივი გასაგები და არ უნდა მოიცავდეს რისკებს დაინტერესებული კომპანიებისათვის.

1 https://idfi.ge/ge/securities-market-georgia

2 https://www.gse.ge/otc-trades?securities_id=&from=Jan+1%2C+2019&to=Jun+12%2C+2019

3 https://www.gse.ge/otc-trades?securities_id=&from=Jan+1%2C+2019&to=Jun+12%2C+2019

## გამოყენებული ლიტერატურა


1. საქართველოს კანონი ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ. 1998წელი.

2. საქართველოს კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე. 2009წელი.

3. ქოქიაური ლ., შონია ნ., ფასიანი ქაღალდების ბაზარი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 2008 წ. 438 გვ.

4. საქართველოს კაპიტალის ბაზარი.დიაგნოსტიკური შესწავლა და რეკომენდაციები. 2015 წ.

5. სიჭინავა ა., ვეშაპიძე შ., ჯოლია გ., სეხნიაშვილი დ., ჩიკვილაძე ნ., კვარაცხელია ლ., ქირია ვ., ჭიკაიძე ნ., მენაბდე-ჯობაძე ე., ყურაშვილი გ.,კიკვაძე ტ., შენგელია რ., კაიშაური თ., აბუაშვილი თ., როსტიაშვილი თ. „ეკონომიკური კვლევის მეთოდები". თბილისი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. 2014. 371გვ.

6. ჯოლია გ. საბირჟო საქმის საფუძვლები. თბილისი. სტუ. 2009 წელი. 186 გვ.

7. Valdez Stephen, Global Financial Markets. Macmillan, 2010

8. Никитина Т.В., Репета-Турсунова А.В. Финансовые рынки и финансово-кредитные институты :учебное пособие. Изд-во СПбГЭУ, 2014. – 115 с.

# ეკონომიკის რეგულირების მექანიზმები

*თამთა უთნელიშვილი,*
*თამარ ლომიძე*
*სტუ-ს დოქტორანტები*

**REGULATION MECHANISMS OF ECONOMIC**

**Tamta Utnelishvili , Tamar Lomidze**
*Doctoral students Of GTU*

**SUMMARY**

*In the stratege of regulation the main is state effectiveness according to the effectiveness is the state of so*ciety. The most important aim of state economical regulation is social economical stability. The issues face to the country influence on the economic regulation mass, instruments and effectiveness by the state.

Therefore the issues of state economic regulation are linked not only creating market condition, but also they provide confession rights internal and external policy for carrying out society interests.

Without state regulatory role there can't be modern scientific and technical achievments which are based on market economy . The directions forms, methods and mechanisms of state regulation are changeable. The state has still obligation to protect the property rights, the fight against monopolistic tendencies, the regulation of money turnover, the relationship regulation between entrepreneur and employers and etc. The aims of national economic regulation for the state are:

• The space of defined area;

• Moral ethical and psychological space formation and support for the development of the nation and persuade of strategy interests;

• The define institutional economic goals ;

• The existing of economic interests in the country.

• The dynamic development of infrastructure;

• The dynamic development as stability as legitimacy of institutional environment.

For the state regulation role the most important requipment is flexible policy.

Keywords: The essence of the regulation, Legal regulation mechanism, Economic regulation mechanism

**საკვანძო სიტყვები:** *რეგულირების არსი, სამართლებრივი რეგულირების მექანიზმები, ეკონომიკური რეგულირების მექანიზმები.*

## ძირითადი ტექსი

### 1. რეგულირების არსი

უნდა აღინიშნოს, რომ მეტად მნიშვნელოვანია თანამედროვე ეკონომიკაში რეგულირების მექანიზმების გაანალიზება, მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში ჩართვა, ინდივიდების და სამეურნეო ერთეულების სოციალიზაცია. ამასთან, ქვეყნის ეკონომიკა უნდა ეყრდნობოდეს კონკურენტუნარიანობის პრინციპების დაცვას. საბაზრო ეკონომიკის განვითარების სახელმწიფოებრივ რეგულირებაში გადამწყვეტ როლს თამაშობენ პროგნოზირება, სტრატეგიული, ინდიკატორული, დაგეგმვა და პროგნოზირება. აღნიშნული მოხდება მაშინ, როცა საქართველო მოახდენს ევროპასთან ეკონომიკურ ინტეგრაციას საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებით თანმიმდევრულად ღონისძიებების განხორციელებას (იხ. ნახაზი).

საყურადღებოა, რეგულირების მართვის მასშტაბები, ფორმები. როგორც ცნობილია, ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება წარმოადგენს ეკონომიკაში სახელმწიფოს მონაწილეობის ერთ-ერთ ძირითად ფორმას, რომლის დროსაც სახელმწიფო ახდენს ზემოქმედებას რესურსების და შემოსავლების განაწილებაზე, ეკონომიკური განვითარების დონესა და ტემპებზე, ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობაზე.

საყურადღებოა, სახელმწიფოს ძირითადი ფუნქციების ჩამოყალიბება ეკონომიკის რეგულირებაში.

- საკუთრების უფლების დაცვა;
- ფულის ბრუნვის სიჩქარის, სავალუტო კურსისა და საკრედიტო ურთიერთობის რეგულირება;
- საბიუჯეტო სექტორის რეგულირება და ფისკალური პოლიტიკა;
- საზოგადოებაში შემოსავლების გადანაწილება;

### 2. სამართლებრივი რეგულირების მექანიზმები

სამართლებრივი რეგულირების მექანიზმები მიმართულია სასაქონლო ბაზრებზე დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკურ აგენტთა მხრიდან ამ მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტების აღსაკვეთად. ამის მაგალითია ანტიმონოპოლიური რეგულირების სამშობლოში აშშ-ში როგორც „შერმანის აქტი", ასევე „რომის ხელშეკრულება", რომლებიც მცირე ბიზნესში დასაქმებულთა მხრიდან ძლიერმა ზეწოლამ გამოიწვია. კონკურენციის კანონმდებლობა უნდა უზრუნველყოფდეს კონკურენციის შემზღუდავი შეთანხმებების და დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აღმოფხვრის ეფექტიან ნორმებს და აღსრულების მექანიზმებს. Kკონკურენციის ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა ესაა ქვეყნის ეკონომიკური სისტემის კონსტიტუცია. არსებობს კონკურენციის კანონმდებლობის და რეგულირების ოთხი ვარიანტი:

1. რეგულირება შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს

| | |
|---|---|
| **პროგნოზირების მიზნებია:**<br>• ქვეყნის სოციალურ ეკონომიკური განვითარების ტენდენციების განსაზღვრა;<br>• სწორი გადაწყვეტილებების და შედეგების გაანალიზება საგარეო ეკონომიკურ არეალში ;<br>• დროული კორექტირება საშინაო საგარეო ბაზრების ნიშან--თვისებების; | **სტრატეგიული დაგეგმვის ფუნქციებია:**<br>• ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სამომავლო გეგემების განსაზღვრა;<br>• ეკონომიკური, ინოვაციური განვითარებისათვის უპირატესობის მინიჭება;<br>• ეკონომიკური პრიორიტეტების მექანიზმების შემუშავება; |
| **ინდიკატორული დაგეგმვის ფუნქციებია:**<br>• იმ ინდიკატორების, მაჩვენებლების განსაზღვრა, რომელიც აკონტროლებს ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტებს;<br>• რეგიონული და ადგილობრივი ბიუჯეტების ინდიკატორების, რესურსებთან დაკავშირება;<br>• ეკონომიკური ბერკეტების ინდიკატორებთან შესაბამისობა; | **პროგრამირების ფუნქციებია**:<br>• სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი პრიორიტეტების გამოვლენა;<br>• სტრატეგიული ამოცანების მოქმედი ძალების კონცენტრაცია;<br>• პროგრამირების ეკონომიკასთან კავშირი. |

კონკურენციის პოლიტიკას;

2. რეგულირებას შეუძლია შეცვალოს კონკურენციის პოლიტიკა;

3. რეგულირებას შეუძლია მოახდინოს კონკურენციის პოლიტიკის კოპირება;

4. რეგულირების სისტემას შეუძლია გამოიყენოს კონკურენციის საკითხებით დაკავებული ორგანოს მეთოდები.

საქართველოს საკონკურენციო სამართლის სრულყოფის პროცესში მნიშვნელოვანია ქვეყნის უპირატესი ხელშეწყობის პრინციპი, რაც გულისხმობს ერთი ქვეყნის მიერ მეორე მონაწილე ქვეყნისათვის მინიჭებული თითოეული საბაჟო შეღავათი ავტომატურად გავრცელდეს ამ შეთანხმებაში მონაწილე ყველა ქვეყანაზე.

ამასთან საყურადღებოა კონკურენციული კანონმდებლობის ამერიკული და ევროპული მოდელი. პირველი ეკონომიკურ აგენტთა შერწყმის საფუძველზე მკაცრ ცონტროლს აწესებს ბაზრის მონოპოლიზირებაზე. მეორე კი მიმართულია დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ. ამასთან, დიდი ქვეყნებისაგან განსხვავებით პატარა ქვეყნებში მონოპოლიური რეგულაციები გამკაცრებულია. მაგალითად, სინგაპურის საინტერესო რეგულაციებია: შეთანხმებული ტარიფების დაწესების შეზღუდვა, კარტელური გარიგებების აკრძალვა. მსოფლიოში გავრცელებული პრაქტიკის მიხედვით, პატარა ბაზრის რეგულირების მიმართულებებიც ამას მოწმობს:

- ➢ ერთი ფირმის დომინირების რეგულირება;
- ➢ ბუნებრივი მონოპოლიების რეგულირება;
- ➢ ოლიგოპოლიური ბაზრების რეგულირება
- ➢ კომპანიათა შერწყმის კონტროლი;

თავისუფალი კონკურენციის მხარდამჭერი კანონმდებლობა და ანტიმონოპოლიური რეგულირება, რიგ ქვეყნებში განიხილება, როგორც სიღარიბესთან ბრძოლის მექანიზმი, რომლის ქვეშაც მოიაზრება მეწარმეთა ფენის ზრდის ხელშეწყობა.

პირველი საკონკურენციო სამართლებრივი აქტი, რომელიც საქართველოში (ანტიმონოპოლიური რეგულირების) რეალიზაციას უყრიდა საფუძველს, იყო საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ მიღებული 1992 წლის 17 მარტს „საქართველოს რესპუბლიკაში სამეურნეო საქმიანობის დემონოპოლიზაციის ზოგიერთი ღონისძიებების შესახებ.

დღეისთვის, საქართველოში კონკურენციის საკითხებს რამდენიმე ნორმატიული აქტი არეგულირებს, კერძოდ :

➢ „საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას, აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა, მომხმარებელთა უფლებები დაცულია კანონით".

➢ საქართველოს კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ".

საქართველოს კანონით კონკურენციის შესახებ თავი 1. მუხლი 2-ით განისაზღვრება თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის არამართლზომიერად შემზღუდველი ქმედებები, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის დარღვევის თავიდან აცილებისა და აღკვეთის სამართლებრივი საფუძვლები, უფლებამოსილი ორგანოს კომპეტენცია.

### 3. ეკონომიკური რეგულირების მექანიზმები

კონკურენციის პოლიტიკა პოლიტიკა, როგორც ეკონომიკური პოლიტიკის ნაწილი წარმოადგენს იმ სახელმწიფო ორგანოების მიდგომებს, რომელთაც, კანონით ევალებათ კონკურენციის ზედამხედველობა შესაბამისი სტრუქტურის მეშვეობით.

საყურადღებოა, რომ პროდუქციის ერთეულზე მუდმივი დანახარჯების წილი იზრდება და შესაბამისად ფასებიც უფრო მაღალია. დღეისთვის

ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის სერიოზული ფაქტორია პროდუქციის ღირებულებაში ენერგორესურსების წილი. გაძვირებული ენერგომატერებლები ზრდიან დანახარჯებს, შესაბამისად ფასებს და ამცირებენ კონკურენტუნარიანობას. საქართველოს კანონი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ ხელს უწყობს ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში უზრუნველყოფილ იქნეს ლიცენზიის მფლობელთა და მომხმარებელთა ინტერესების დაბალანსება.

საყურადღებოა, საქართველოს მოქმედი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების ქმედებები რეგულირების მხრივ:

1. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია არეგულირებს:

• სამაუწყებლო სფეროში ლიცენზიების გაცემას;

• ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობის ავტორიზაციას;

• ნუმერაციის რესურსების გამოყოფას;

• ურთიერთჩართვას;

• სიხშირეთა განაწილებას ტელემაუწყებლობის სფეროში;

• მონიტორინგს.

2. უმთავრესი ნორმატიული აქტის „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ" მიზანი ასევე ემსახურება საქართველოს წყალმომარაგების, ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის ბაზრების და ტარიფების სისიტემების ჩამოყალიბებას. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2019 წლის ანგარიშზე დაყრდნობით შეინიშნა შემდეგი ტენდენციები:

– ელექტროენერგიის შიდა მოხმარება, წინა წელთან შედარებით, გაიზარდა 7.6 %-ით (იხ. გრაფიკი 1);

– 2009-2018 წლების მონაცემებით საქართველოში ყოველწლიურად ელექტროენერგიის წარმოება 3.9%-ით იზრდება;

– საანგარიშო წელს ელექტროენერგიის იმპორტი - 0.8 %-ით გაიზარდა წინა წელთან შედარებით;

– საანგარიშო წელს ნეტო-აღრიცხვის რეგულაციაში მოექცა 39 ახალი მიკროელექტროსადგური;

– ელექტროენერგიის მიღების ინდექსით, მსოფლიო ბანკის „Doing Business 2018"- ისანგარიშის შესაბამისად, საქარტველო 9 პოზიციით დაწინაურდა და 30-ე ადგილი დაიკავა;

– ელექტროენერგიის ქსელის წესებს „ გამჭვირვალობის რეგულაცია" დაემატა, რომელიც ხელს შეუწყობს ელექტროენერგეტიკული ბაზრის გახსნილობას და ევროპასთან ენერგეტიკული გაწევრიანებით აღებული ვალდებულებების შესრულებას;

– ბუნებრივ გაზზე 2018 წელს გაზზე კვლავ შემცირდა მოთხოვნა 3.2%-ით;

– 2018 წელს საცალო მომხმარებელთა გაზიფიცირებამ საანგარიშო წელს 1, 239, 022 შეადგინა (იხ. გრაფიკი 2);

– 2019 წელს იგეგმება ევროკავშირის დახმარებით ჭკვიანი აღრიცხვის ხელშეწყობის მარეგულირებელი სტრატეგიის შემუშავება.

ამასთან აუცილებელია არსებობდეს სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის მექანიზმი, რომ-

**ელექტროენერგიის წარმოება და მოხმარება. გრაფიკი 1**




**წყარო**: საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია

ბუნებრივი გაზის მომხმარებელთა რაოდენობა. გრაფიკი 2.




**წყარო:** საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია

ლის დროსაც სახელმწიფო ასრულებს შემდეგ ფუნქციებს :

➢ სახელმწიფო უზრუნველყოფს რეგულირების საგადასახადო, საკრედიტო სისტემებს;

➢ ქმნის კონკურენტულ გარემოს;

➢ ქმნის პირობებს უმაღლესი ხარისხის საქონლისა და მომსახურების ზრდისთვის;

➢ ახდენს სტიმულირებას ინოვაციურ პროდუქციაზე;

➢ ხელს უწყობს მეწარმეობის ორგანიზაციულ ფორმირებას;

ამრიგად, სახელმწიფომ არაკეთილსინდისიერი მონოპოლიებისგან გამომდინარე მეწარმეებს ხელი უნდა შეუწყოს, ჯანსაღი კონკურენციის სრულყოფას ეკონომიკური მექანიზმით. Uწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო ბაზარზე კონკურენციის გასაწევად საჭიროა არა მარტო ბუნებრივი რესურსები და ინოვაციური პოტენციალი, არამედ საჭიროა ინოვაციების შექმნასა და ეფექტურ გამოყენებაზე მივმართოთ ინტელექტუალური პოტენციალიც.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება წიგნი I ევგენი ბარათაშვილი, გურამ ჯოლია, ნოდარ გრძელიშვილი, ირინა მამალაძე, დალი სეხნიაშვილი, დავით ჩახვაშვილი თბ.,2011;

2. სლავა ფეტელავა.კონკურენციის თეორია და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში; გამომცემლობა „ლოი" თბ..2007;

3. კონკურენციის პოლიტიკა და ბაზრის რეგულირების პრაქტიკა. ეკონომიკის პრობლემების კვლევის ცენტრი. FRIEDRICH EBERT STIFTUNG. 2012;

4. საქართველოს კანონი კონკურენციის შესახებ;

5. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020 (პროექტი);

6. სემეკი 2019 წლის ანგარიში. თბილისი 2019

# კრიტიკული ინფრასტრუქტურის რეგულირება როგორც საინვესტიციო უსაფრთხოების ბერკეტი

*გივი ჩუბინიძე*
*სტუ დოქტორანტი*

**რეზიუმე**

სახელმწიფოს მთავარი მიზანია უზრუნველყოს საკუთარი მოსახლეობა უსაფრთხოება და მათი ეკონომიკური საქმიანობის უსაფრთხოების დაცვა. რაც გულისხმობს ურთიერთდამოკიდებული სისტემების, ქსელებისა და აქტივების უსაფრთხოების უზრუნველყოფას, რომლებიც ემსახურებიან საზოგადოების ფუნქციონირებას. ზოგადად კრიტიკულად მნიშვნელოვანი მატერიალური ინფრასტრუქტურის მაგალითები მოიცავს: **გზებს, ხიდებს, აეროპორტებს, საკომუნიკაციო საშუალებებსა და ელექტროსადგურებს.** ინფრასტრუქტურის ამ სხვა სახეობებში შედის: **ფინანსური საქმიანობა, ელექტროენერგიის წარმოება და მიწოდება, სამედიცინო მომსახურება, მთავრობის საგანგებო სამსახურები და საჰაერო და სახმელეთო ტრანსპორტი.**

სახელმწიფოსა და მასში შემავალი ინსტიტუტების სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, **კრიტიკული ინფრასტრუქტურის** ნუსხით გათვალისწინებული სერვისების უწყვეტად მიწოდების უზრუნველყოფა. ასევე უნდა აღინიშნოს რომ კრიტიკული ინფრასტრუქტურის უსაფრთხო და უწყვეტი ფუნქციონირება, არამარტო ჩვენი, არამედ ევროკავშირის და ნატოს ქვეყნებისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია.

**საკვანძო სიტყვები:** მოსახლეობის უსაფრთხოება; საზოგადოების ფუნქციონირება; კრიტიკული ინფრასტრუქტურა; სრულფასოვანი ფუნქციონირება; საინფორმაციო უსაფრთხოება; კრიტიკული ინფრასტრუქტურის ობიექტები;

**RESUME**

**Givi Chubinidze**
Doctorate of GTU

The main purpose of the state is to ensure the safety of its population and the security of their economic activities, which means ensuring the safety of interconnected systems, networks and assets that serve the functioning of society.

Examples of generally critical material infrastructure include: roads, bridges, airports, communications facilities and power plants. These and other types of infrastructure include financial activities, electricity generation and supply, medical services, government emergency services and air and land transport.

Ensuring the continuous delivery of services provided by the critical infrastructure list is vital to the full functioning of the State and its institutions. It should also be noted that the safe and continuous operation of critical infrastructure is not only a priority for us but for the EU and NATO.

**Key words:** Population safely; community capacity; Critical Infrastructure; Full functionality; Information security; Critical Infrastructure Facilities.

* * * *

სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური დაცვის მექანიზმად შემუშავენულია **კრიტიკული ინფრასტრუქტურა.** რომელსაც სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატი განმარტავს შემდეგნაირად: *„კრიტიკული ინფრასტრუქტურა წარმოადგენს ობიექტებს, სისტემებს, სერვისებს ან მათ ნაწილებს, რომელთა განადგურება, მოშლა/დაზიანება ან ფუნქციონირების შეფერხება მნიშვნელოვან ზიანს აყენებს ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს, სახელმწიფო უსაფრთხოებას, ადამიანთა სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, ასევე, ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობის უზრუნველყოფას".* სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატის მიერ, შეიქმნა სამუშაო ვერსია დოკუმენტისა; „კრიტიკული ინფრასტრუქტურის მარეგულირებელი ჩარჩო", მასში მოყვანილია კრიტიკული ინფრასტრუქტურის პროცედურებისა და ინსტიტუციური მოწყობის სქემა.

კრიტიკული ინფრასტრუქტურა საკუთარი არსით განიხილება როგორც ეროვნული უსაფრთხოებისა და სამოქალაქო დაცულობის ნაწილი, რაც ერთერთ მთავარ მაჩვენებელს წარმოადგენს ინვესტიციის განხორციელებისას და მოქმედებს საერთაშორისო საინვესტიციო იმიჯზე, ყველა სახელმწიფოს პრიორიტეტული მიზანია ამ ტიპის ინფრასტრუქტურის დაცვა ბუნებრივი, ტექნოლოგიური თუ ტერორისტული საფრთხეებისგან, ასევე ამ საფრთხეების მართვა, მათზე რეაგირება და დამდგარი ნეგატიური შედეგების აღმოფხვრა. კრიტიკული ინფრასტრუქტურის ნუსხის დაცვის სისტემა კომპლექსურია და მოიცავს მთელ საკითხების ჯაჭვს, თუმცა მას აქვს სამი ძირითადი რგოლი:

- ✓ კრიტიკული ინფრასტრუქტურის მაიდენტიფიცირების კრიტერიუმების განსაზღვრა და ნუსხის შედგენა.
- ✓ კრიტიკული ინფრასტრუქტურის ფუნქციონირებისათვის საჭირო პირობებისა და სტანდარტების შემუშავება.
- ✓ კრიტიკულ ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული საინვესტიციო პოლიტიკის განსაზღვრა.

**კრიტიკული ინფრასტრუქტურის განვითარება** ხდება არსებული გამოწვევებიდან გამომდინარე, ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებას მოჰყვა ახალი ხარვეზების გაჩენა, რომლებიც მოიცავს საარსებოდ მნიშვნელოვან ყველა სფეროს და უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის საქმიანობას. ამიტომ, სახელმწიფო ხელისუფლების პასუხისმგებლობაში შედის მნიშვნელოვანი სოციალური სტრუქტურებისა და ინსტიტუტების, საჭირო დონესის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. უსაფრთხოების და მდგრადობის მისაღწევად მნიშვნელოვანია კრიტიკული ინფრასტრუქტურის ნუსხაში შემავალი პირების (იხ. ცხრილი N1) პრიორიტეტებად დალაგება და განსაზღვრა იმისა თუ როგორ მოხდება კოორდინაცია მათ შორის, საჭიროა ჩამოყალიბდეს მკაფიო მიზნები, განისაზღვროს რისკები, მოხდეს მათი თავიდან აცილება ან შემუშავებულ იქნას შემარბილებელი პირობები.

ცხრილში მოყვანილი სექტორების ერთობლიობა წარმოადგენს ქვეყნის კრიტიკულ ინფრასტრუქტურას, თუმცა რაღათქმაუნდა საჭიროა მისი კონკრეტიზაცია და განხილვა ისე როგორც ცალკეული ობიექტები, მათი უწყვეტი ფუნქციონირება მნიშვნელოვანია როგორც მშვიდობიანობის, ისე საგანგებო სიტუაციების და ომიანობის დროს. კრიტიკული ინფრასტრუქტურის არსებობა თავისთავას გულისხმობს იმას რომ მასში შემავალ ობიექტებზე შესაძლოა გავრცელდეს, უსაფრთხოების განსხვავებული, მარეგულირებელი ნორმები, სახემლწიფო ინტერესებიდან გამომდინარე.

**ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა** მსოფლიოში არსებული კომპანიებისა თუ სახელმწიფოების ერთერთი მთავარი გამოწვევაა და მისი სრულად უზრუნველყოფა წარმოუდგენელ რესურსს მოითხოვს, ამიტომაც ამ სფეროს ინვესტირება შედის როგორც სახელმწიფოს ისე კერძო სექტორის ინტერესებში, კიბერშეტევების ან სხვა მიზეზების შედეგად მატერიალური და (ან) ინფორმაციული ინფრასტრუქტურის განადგურებამ ან

ცხრილი N1

| N | სექტორები | შესაძლო ობიექტები |
|---|---|---|
| 1 | ენერგეტიკა | ელექტროგენერაციის ობიექტები; გადამცემი ხაზები და ქვესადგურები; ცენტრალური ნავთობსადენები და ნავთობსაცავები; ნავთობგადამამუშავებელი საწარმოები; რალური და შიდაგანაწილების მაღალი და საშუალო წნევის გაზსადენები, გაზსაცავი. |
| 2 | სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა | მაგისტრალური გზები; აეროპორტები; რკინიგზა; საზღვაო პორტები. |
| 3 | საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ICT) | მაგისტრალური საკომუნიკაციო ხაზები; ანძები და სხვა გადამცემი საშუალებები; დაცული სამთავრობო და კერძო საინფორმაციო ცენტრალური სერვერები; სატელევიზიო, რადიო, სატელეფონო, და სხვა მსხვილი საკომუნიკაციო საშუალებები. |
| 4 | ფინანსები | ეროვნული ბანკის საცავი; კომერციული ბანკების ცენტრალური საცავები; ფინანსური და მონეტარული სისტემის საკვანძო ელემენტები. |
| 5 | ჯანდაცვა | საავადმყოფოები (საზღვრისპირა, რეფერალური); NCDC; ბიოლოგიური ლაბორატორიები. |
| 6 | სოფლის მეურნეობა | სურსათის საცავები & სასაწყობო მეურნეობები; საკვები პროდუქტების საწარმოები; ლაბორატორიები. |
| 7 | წყლის მიწოდება | სასმელი წყლის რეზერვუარები და განაწილების ცენტრალური ინფრასტრუქტურა. |
| 8 | საგანგებო სიტუაციები | სახანძრო-სამაშველო ობიექტები; სწრაფი რეაგირების სამსახურები. |
| 9 | სამთავრობო სტრუქტურები | ადმინისტრაციული და სხვა სახელმწიფო აპარატის სრულყოფილი ფუნქციებისთვის მნიშვნელოვანი ობიექტები. |
| 10 | მრეწველობა და საფრთხის შემცველი ნარჩენები | ქიმიური და სხვა მასშტაბური საწარმოები; რადიოაქტიური და დარიშხანის ნარჩენების სამარხები. |
| 11 | თავდაცვა | თავდაცვითი შენობები, ნაგებობები; საბრძოლო ტექნიკა და მასალები; სამხედრო ბაზები და სტრატეგიული თავდაცვითი ინფრასტრუქტურის სხვა ობიექტები. |

გამართავობამ შეიძლება გამოიწვიოს მოსახლეობის, ინვესტორების, კომპანიებისა და სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოების დიდი ზიანი.

სახელმწიფოში სახელმწიფო ორგანოებისა, აქტიური წარმოებისა თუ სხვადასხვა მომსახურების უსაფრთხოების დაცვა შეუძლებელია ინფორმაციული უზრუნველყოფის გარეშე, ანუ კომპიუტერებისა და ქსელების გარეშე, რომლებიც წარმოდგენილია დისპეტჩერიზაციის კონტროლისა და მონაცემთა შეგროვების სისტემებით (SCADA), რომელთა ურთიერთდამოკიდებულება საშუალებას აძლევს მათ გაცვალონ ინფორმაცია და განახორციელონ ანალიზი ყველა კრიტიკული ფუნქციის შესახებ. ინფრასტრუქტურის ამ სხვა სახეობებში შედის: ფინანსური საქმიანობა, ელექტროენერგიის წარმოება და მიწოდება, სამედიცინო მომსახურება, მთავრობის საგანგებო სამსახურები და საჰაერო და სახმელეთო ტრანსპორტი. რაც პირდაპირ კავშირშია ინვესტიციების მოზიდვის პროცესთან, მისი ერთერთი ყველაზე საფრთხილო და გასათვალისწინებელი ფაქტორია საინვესტიციო უსაფრთხოება და სახელმწიფო უსაფრთხოების ინტერესები.

**საინვესტიციო პოტენციალის გამოყენების ხარისხზე** დამოკიდებულია კრიტიკული ინფრასტრუქტურის ნუსხაში შემავალი სექტორების მასში ჩართულობა. საინვესტიციო პოტენციალი, თავის მხრივ, მჭიდროდაა დაკავშირებული კონკრეტულ, სტრატეგიულ რესურსებთან, რომლებიც შეიძლება მიჩნეულ იქნას ნუსხის პრიორიტეტებად. ამიტომ საჭიროა საინვესტიციო უსაფრთხოების გაზრდის ღონისძიებები მოხდეს კრიტიკული ინფრასტრუქტურის სფეროში შემავალ ობიეტებზე.

კრიტიკული ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებამ და მისმა განვითარებამ შესაძლებელია დადებითად იმოქმედონ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული მიზნების განხორციელებაზე, შემდგომ ეტაპზე კი მათ დაგეგმვაზეც.

ლიბერალური საინვესტიციო პრინციპები აღიარებულია საერტაშორისო ორგანიზაციებისა და ყველა განვითარებული ქვეყნის მიერ, მაგრამ ყველა მათგანს გააჩნია საინვესტიციო უსაფრთხოების პოლიტიკა, რომელიც უკავშირდება კრიტიკულ ინფრასტრუქტურას და გულისხმობს გარკვეული შეზღუდვების დაწესებას, კრიტიკული ინფრასტრუქტურაში შემავალი აქტივების ან სერვისების ფლობაზე და განკარგვაზე. ამ საკითხის მიმართ განსხვავებულ ქვეყნებს აქვთ განსხვავებული მიდგომა, თუმცა შეგვიძლია გამოვყოთ სამი ძირითადი მიდგომა:

I: საკანონმდებლო დონეზე ცალკეულ სექტორებში უცხოური ინვესტიციების ნაწილობრივი ან მთლიანი აკრძალვა;

II: წინასწარი განხილვა ყველა საინვესტიციო წინადადების, რომელიც აკმაყოფილებს კანონით განსაზღვრულ კრიტერიუმებს;

III: შემოწმების სისტემები, რომლებიც განსაზღვრავენ ინდივიდუალურ, პოტენციურად პრობლემურ და უკვე განხორციელებულ ტრანზაქციებს.

ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკების პრევენცია მნიშვნელოვნადაა შესაძლებელი ზომოთ მოყავნილ შემთხვევებინდან პირველ შემთხვევაში, თუმცა მას აქვს ერთი დიდი მინუსი და ეს არის ეკონომიკური განვითარების შეფერხება, რასაც იწვევს ინვესტიციების ნაწილობრივ ან და სრული დაბლოკვა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კანონმდებელი აწესებს ზოგად შეზღუდვებს ინვესტორისთვის. მაგრამ შედარებით რბილი მიდგომა გულისხმობს განახორციელოს რისკების შეფასება წინასწარი ან შემდგომი შესწავლის გზით, რაც საქართველოსთვის საუკეთესო პრაქტიკად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან მესამე მიდგომა სრულიად ლიბერალურია და ინდივიდუალური განხილვის მექანიზმები საშუალებას იძლევა შეფასდეს მხოლოდ პოტენციურად რისკის შემცველელი გარიგება, რომელიც აკმაყოფილებს გარკვეულ კრიტერიუმებს. წინასწარი განხილვის მიდგომა ითვალისწინებს კონკრეტული საინვესტიციო წინადადების წინასწარი თანხმობის საჭიროებას, წინააღმდეგ შემთხვევაში ინვესტიცია არ განხორციელდება.

### გამოყენებული ლიტერატურა


1. CyberHouse ინფორმაციული უსაფრთხოებისა და ინფორმაციული სისტემების აუდიტოტი https://www.cyberhouse.ge/
2. საქართველოს კანონი „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ 07.02.2012
3. Alexander Fekete, Federal Office of Civil Protection and Disaster Assistance, Bonn, Germany (2011), “Common Criteria for the Assessment of Critical Infrastructures”;
4. European Commission Staff Working Document (2012), “The Review of the European Programme for Critical Infrastructure Protection (EPCIP)”;
5. European Commission Staff Working Document (2012), “The Review of the European Programme for Critical Infrastructure Protection (EPCIP)”;

# ეკონომიკური ციკლები და ეკონომიკურ ზრდა

*პაატა ბახტაძე*
*სტუ დოქტორანტი*

**რეზიუმე**

ნაშრომში განხილულია ეკონომიკური ციკლების გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე, გრძელი ტალღების განვითარების შესაძლო მექანიზმი ინოვაციების კუთხით, რისთვისაც გამოყენებულია სტატისტიკური მონაცემები, მიშვნელოვანი ინოვაციების შესახებ მოკლე ისტორიული ექსკურსი, რის საფუძველზეც ნაჩვენებია მათი გავლენა ციკლურობაზე და თავის მხრივ ეკონომიკურ ზრდაზე.

ეკონომიკური ციკლების, შესწავლას აქვს ხანგრძლივი ისტორია, რომლის დროსაც ეკონომიკური აქტივობების პერიოდული მონაცვლებასთან დაკავშირებით შეიქმნა არაერთი თერია. რომლებიც ეკონომიკის ციკლურ რყევებს ხსნიან სხვადასხვა ფაქტორით. ბოლო პერიოდამდე ანუ 2008 წლის ეკონომიკურ კრიზისამდე თითქოს ეკონომიკური ციკლის თეროიული კვლევა მინელებული იყო და უფრო გააქტიურებული იყო ეკონომიკური ზრდის თეორიები.

მოცემულ შემთხვევაში ჩვენ გვსურ ისტორიული ფაქტებით და სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე ვაჩვენოთ ეკონომიკური ციკლების გავლენა მშპ-ზე, როგორც ეკონომიკური ზრდის ძირითად მაჩვენებელზე.

**გამოყენებული ტერმინები:** ეკონომიკური ციკლები, ეკონომიკური ზრდა, მშპ. ინოვაციები.

**RESUME**

The given work discusses the influence of economic cycles to economic growth. The possible mechanism of development of long waves in the aspect of innovations for which statistic data are used, brief historical excursus about significant innovations based on which their influence to cycle is demonstrated and to its part at economic growth.

Keywords: Economyc cycles, Economic growth, GDP, Inovations.

* * * *

ნაშრომში გამოყენებული სტატისტიკური მონაცემები აღებულია მსოფლიო ბანკის მიხედვით, 1960-2017 წლების პერიოდზე. აღნიშნული პერიოდი ემთხვევა ციკლების დათარიღების მიხედვით კონდრატიევის მე-4 ტალღის დაღმავალ ფაზას და მეხუთე ტალღას თითქმის სრულად. მოცემული გვაქვს მთლიანად მსოფლიოს რეალური მშპ აბოლუტურ მაჩვენებლებში და მისი ზრდის ტემპების მონაცემები. ქვემოთ იაგრამებზე მონიშნულია საშუალო ვადიანი ციკლების და გრძელი ტალღების შესაბამისი ფაზის შესაძლო პერიოდები.

დიაგრამებიდან ჩანს რომ, წარმოდგენილი პერიოდის განმავლობაში ადგილი ქონდა 7 საშუალოვადიან ციკლს და ასევე მოკლევადიან ციკლებს, კონდრატიევის ტალღების გავრცელებული დათარიღების მიხედვით მე-4 ტალღის დაღმავალ ფაზაზე უმეტესად ადგილი აქვს უარყოფით ტრენდულ მაჩვენებლებს, ხოლო მე-5 ტალღის აღმავალ ფაზაზე უმეტესად ადგილი აქვს დადებით მონაცემებს, რაც მოდის შესაბამისობაში კონდრატიევის გრძელი ტალღების განმარტებასთან. ასევე ამ ციკლების შესაბამისად ხდება ძირითადი მთლიანი ფიქსირებული კაპიტალის და უმუშევრობის ტემპების ცვლილებაც. უმუშევრობა ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების მიხედვით 1998-1999 წლებში, 6,06% დან გაიზარდა 6,35% მდე, ხოლო 2007-2009 წლებში 5,29 დან 5,92% მდე. ფიქსირებული კაპიტალი 1974-1975, 1981-1982, 2001-2002 და 2008-2009 წლებში შესაბამისად შემცირდა 6,4-6,29, 7,69-7,4, 12,89-12,8 და 16,29-14,86 ტრილიონ დოლარამდე. პირდაპირი ინვესტიციების მოცულობა, როგორც მოცემულ ქვეყანაში ასევე მოცემული ქვეყნის რეზიდენტების მიერ სხვა ეკონომიკებში განხორციელებული









მთლიანობაში მიყვება ეკონომიკური ციკლის დინამიკას. რაც თავის მხრივ ჯდება ეკონომიკური ციკლების თეორიაში. როგორც დიაგრამიდან ჩანს 2000-იანი წლებიდან დაწყებული მკვეთრად იზრდება მსგავსი საინვესტიციო აქტივობები. არსებული მონაცემების მიხედვით მსოფლიოში შრომის მწარმოებლურობა იზრდება, მაგრამ მაგალითად მთლიანი მსოფლიოს მაჩვენებელი აშშ, იაპონიის ევროკავშირის და მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნების მწარმოებლურობას შესაბამისად ჩამორჩება 5, 4 და 3 - ჯერ. ფინანსური სექტორის მიერ გაცემული სესხების მოცულობა მშპ-ს თან მიმართებით 1961 დან 2016 წლების პერიოდში შეიცვალა 79.3% დან 184% მდე. სამეცნიერო კვლევებზე და გამოგონებებზე დანახარჯები ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით ბოლო 2 ათეული წლის განმავლობაში მუდმივად იზრდება მაგრამ, ბოლო პერიოდში ამ დანახარჯების შესაბამისად რეალური მშპ-ს წილობრივი მაჩვენებელი მთლიანობაში მცირდება. (ეს, თავის მხრივ, ტექნოლოგიური სიახლეების თეორიული ახსნის შესაბამისი მოვლენაა).

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენაა კომპანიების საბაზრო კაპიტალიზაციის ზრდა, რომელიც მიმდინარეობს მთელი მსოფლიოს მასშტაბით და რათქმაუნდა მსოფლიო ეკონომიკის წამყვანი ქვეყნება და რეგიონებში. კომპანიების საბაზრო კაპიტალიზაცია უკვე ბევრად აღემატება მთლიან მსოფლიო მშპ-ს.

თითქმის იდენტური სურათია მსოფლიოს სხვადასხვა წამყვანი ქვეყნების და რეგიონების სტატისტიკური მონაცემების ანალიზის შემთხვევაშიც ისეთი როგორიცაა აშშ, ევროკავშირი, იაპონია და ჩიეთი. ეს მონაცემები ნათლად აჩვენებს ციკლების გავლენას ეკონომიკურ ზრდაზე. პრაქტიკულად მითითებული მოკლე, საშუალო და გრძელი ციკლები ცვლის ყველა იმ ძირითად მონაცემს რაზეც აგებულია ეკონომიკური ზრდის თეორია და მოდელები.

გარდა ზემოთ მოტანილი ინფორმაციისა და მსოფლიოს რეალური მშპ-ს ზრდის ტემპების დიაგრამის მიხედვით თუ განვიხილავთ მე-4, მე-5 ტალღის ტექნოლოგიურ საფუძვლებს დავინახავთ თუ როგორ ვითარდებოდა მე-4 ტალღის პირობებში ის სიახლეები რაც მე-5 ტალღის პირობებში იყო ერთერთი მნიშვნელოვანი:

1. მეხუთე ტალღის ძირითადი ტექნოლოგიები გაჩნდა ჯერ კიდევ მეოთხე ციკლის აღმავალ ფაზაზე, კერძოდ გამოჩნდა ნახევარ გამტარები, ოპტიკურ ბოჭკოვანი კაბელები და უსადენო სატელეფონო კავშირების თეორიული და პრაქტიკული მოდელები.

2. კონდრატიევის მეთხე ტალღის დაღმავალ ფაზაზე 1970 წლებში, რომელიც ამავდროულად დიაგრამის მიხედვით მოიცავს საშუალოვადიან ციკლებს პერიოდით 1974-1982 წლები, ადგილი ქონდა მიკროპროცესორის და ინტერნეტისათვის და ფიჭური კავშირგაბმულობისათვის საჭირო ბაზის შექმნას.

3. კონდრატიევის მეოთხე ტალღის აღმავალი ფაზის დასაწყისი 80-იანი წლების დასაწყისში უკვე დაინერგა ინტერნეტი, და დაიწყო კომპიუტერების პროგრამულ უზრუნველყოფის დახვეწა. კიდევ ერთი საშუალოვადიანი ეკონომიკური ციკლში, 90-იან წლები, დაიწყო მასიური კომპიუტერიზაცია, და უსადენო სატელეკომუნიკაციო სისტემების განვითარება, რომელიც დღემდე გრძელდება

4. კონდრატიევის მეხუთე ციკლის შესაბამისი საშუალო ვადიან ციკლში (1990-2001 წლები) კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის შემდგომი გაუმჯობესება და კომპიუტერების მასიური გავრცელების დაწყება.

5. კონდრატიევის მეხუთე ციკლის ტალღის შესაბამისი საშუალოადიანი ციკლის (2002-2009 წლები) ამ პერიოდზე უსადენო ტელეფონების მასიური შემოსვლა და გავრცელება.

როგორც ვხედავთ ამ პერიოდში ადგილი აქვს ეკონომიკის ახალი დარგების და სექტორების გამოჩენას, რომელიც დაკავშირებულია სამეცნიერო სიახლეებთან და ინოვაციებთან. შესაბამისად, როგორც საშუალოვადიანი ისე გრძევადიანი ციკლების თეორიის შესაბამისად ადგილი აქვს საინვესტიციო გადაწყვეტილებების და დარგებს შორის კაპიტალის გადაადგილებას (რასაც რათქმაუნდა მოყვება უფრო მოკლევადიანი რყევები) და ეკონომიკური ზრდის საფუძვლების ცვლა.

დღემდე პრაქტიკულად მიმდინარეობს ამ ტექნოლოგიების გაუმჯობესება განვითარების პროცესი და ეს არის ძირითადი ბაზისი ეკონომიკური ზრდისათვის.

შემდეგი გრძელვადიანი ტალღის სავარაუდო ტექნოლოგიური ბაზა გაჩნდა მე-5 ტალღის აღმავალ ფაზაზე, ამ ფაზის შესაბამის 1990-2001 საშუალოვადიანი ციკლის დროს გამოჩნდა ინტერეტ მაღაზიები, და არასაბანკო ელექტრონული ფულადი ანგარიშსწორებების სისტემები, 2001-2009 გაჩნდა ციფრული ეკონომიკის სხვა შემადგენელი კერძოდ ღრბელური ტექნოლოგია, ხოლო 2009-2016 წლები გამოჩნდა ელექტრონული ფული და სხვა მნიშვნელოვანი ტექნოლოგიები რომლებიც საფუძველს ქმნის ციფრული სისტემების საშუალებებით ბიზესს მართვისათვის. გამოჩნდა ელექტრომობილები. მე-5 ციკლის დაღმავალ ფაზაზე გამოჩნდა მე-5 თაობის ინტერნეტი. ყოველივე ზემოთქმულმა სხვა ტექნოლოგიეთან ერთად სავარაუდოდ უნდა უზრუნველყოს შემდგომი ტალღის შესაბამისი აღმავალი ფაზის დაწყება.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. მ. გველესიანი ეკომომიკისი ლექციების მოკლე კურსი' „კომენტარი" თბილისი 2000

2. გველესიანი მ. ეკონომიკური ციკლის საიდუმლო. „კომენტარი" თბ., 2004

3. ა. აქუბარდია ეკონომიკური კრიზისი და K ციკლები. „ბიზნესი და კანონმდებლობა 2009.

http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0periodika--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-en-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&c=periodika&cl=CL1.12&d=HASH01a1bb460dc9d746bbf59c71.9.1#HASH01a1bb460dc9d746bbf59c71.9.1

4. А. В. Сидорович и авторскии колектив. Курс экономическоой теории "дис" 1997 г.

5. В.А. Коломаев Экономико-математическое моделирование „юнити„ 2005 г.

6. В. А. Цветков Циклы и кризисы: теоретическо-методологический аспект 2012

http://www.ipr-ras.ru/articles/tsvetkov13-03.pdf

7. С. Ю. Глазев Современная теория длинних волн в развитии экономики

8. სტატისტიკური მონაცემები https://data.worldbank.org/indicator

9. Л.В. Иваненко Сравнителнии анализ некоторых подходов к моделированию влияния человеческого капитала на добавленную стоимость в экономике 2016

# გლობალური კრიზისების დადებითი მხარეები ეკონომიკური თავისუფლების პირობებში

***მარიამ ძებისაშვილი***
*სტუ-ს დოქტორანტი*

**THE POSITIVE SIDES OF GLOBAL CRISES IN CONDITIONS OF ECONOMIC FREEDOM**

**Mariam Dzebisashvili**
GTU, PHD

**RESUME**

In Mariam Dzisashvili's article „The positive side of global crises in conditions of economic freedom" is discussed what is economic freedom and why it's important for the development of the country. We are also familiar with the types of economic crises, their causes and ways to solve them. In this article, we read some interesting facts about how less developed countries can achieve economic success during the global crisis. The example of Georgia is explained, how can we achieve economic benefits under conditions of economic freedom during the global crisis. In the final section of the article the author discusses the pros and cons of the crisis and she makes a comparison, that should lead us to the right decisions.

**Keywords:** Economic freedom, The global crisis, Economic prosperity, Index of Economic Freedom, Development, Low-developed countries, Resources, Investor.

**საკვანძო სიტყვები:** ეკონომიკური თავისუფლება, გლობალური კრიზისები, ეკონომიკური კეთილდრეობა, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი, დაბალი განვითარების ქვეყნები, რესურსები, ინვესტორი.

* * * *

ეკონომიკური თავისუფლება მიჩნეულია ეკონომიკური კეთილდღეობისა და განვითარების მახასიათებლად. იგი ასტიმულირებს სამეწარმეო სახის აქტივობებს. მისი უმთავრესი პრინციპები აძლიერებს ინდივიდს, რაც უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება მისი უფლებების კიდევ უფრო განმტკიცებასა და მეტი არჩევანის მინიჭებაში. ადამიანები კი, რომელთაც გააჩნიათ მეტი არჩევანი და მტკიცე უფლებები, უფრო მეტად იჩენენ სამეწარმეო ინიციატივებს, რაც საბოლოო ჯამში, აისახება უმუშევრობის დონის შემცირებასა და კერძო ინვესტიციების დონის მატებაში. სხვა თანაბარ პირობებში, იგი ხელს უწყობს რესურსების ყველაზე ეფექტიან გადანაწილებას ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში.

1995 წლიდან, Wall Street Journal-ის ექსპერტები და Heritage Foundation-ის კვლევითი ცენტრი ყოველწლიურად აქვეყნებს მონაცემებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ეკონომიკური თავისუფლების შესახებ. ამჟამად, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ინტრუმენტია სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის განსასაზღვრავად.

Heritage Foundation-ის კვლევა მოიცავს მსოფლიოს 186 ქვეყანას და აფასებს მათ 12 კატეგორიის მიხედვით:

- ✓ კანონის უზენაესობა (საკუთრების უფლება, სასამართლოს ეფექტიანობა, მთავრობის კეთილსინდისიერება);
- ✓ მთავრობის ზომა (ფინანსური კეთილდღეობა, საბიუჯეტო დანახარჯები, საგადასახადო ტვირთი);
- ✓ რეგულირების ეფექტიანობა (ბიზნესის თავისუფლება, შრომის თავისუფლება, მონეტარული თავისუფლება);
- ✓ ბაზრის ღიაობა (ვაჭრობის თავისუფლება, ინვესტირების თავისუფლება, ფინანსური თავისუფლება).

საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყანაში მთლიანი შიდა პროდუქტის წარმოების პროცესს ახასიათებს ეკონომიკური კრიზისების პერიოდული გამეორება. ეკონომიკური კრიზისი - ესაა ნორმალურ ეკონომიკურ აქტივობაში მიმდინარე ნეგატიური მოვლენები, დარღვევები, რომელიც დროთა განმავლობაში გადაეცემა ეკონომიკური სუბიექტების ფართო ფენებს და იწვევს ქვეყნის ეკონომიკის ხანგრძლივ ჩამორჩენას მისი პოტენციური დონისგან. ამდენად ეკონომიკური კრიზისები ასახავს ეკონომიკაში არსებულ დისპროპორციებს (ჭარბწარმოების კრიზისები, საკრედიტო კრიზისი და სხვა)

მსოფლიო კრიზისული ვითარება, მიუხედავად მისი დიდი მასშტაბებისა მთლიანად ყველა ქვეყნის ან რეგიონის კრიზისს არ იწვევს, შესაძლებელია გლობალური კრიზისი ლოკალური წარმატების ფაქტორიც კი იყოს. ამრიგად, რიგი ქვეყნების სწორ ეკონომიკურ პოლიტიკას ეკონომიკური თავისუფლების გზით, შეუძლია გაზარდოს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები, ეკონომიკური ზრდის ტემპი და აღმავლობა.

როგორ შეიძლება განხორციელდეს ეს? როგორც ვიცით, კრიზისის წინა პერიოდში იწყება დაღმავლობა ე.წ. „გაბერილი ბუშტის გასკდომა", რაც გამოწვეულია აქტივების არარეალურად მაღალი ღირებულებით. ანუ მათი ფასი ბევრად აღემატება მათ ლიკვიდურობის რეალურ შესაძლებლობებს, ამავდროულად მიუხედავად მსოფლიო ეკონომიკური სივრცის ერთიანობისა და მასში მეტწილად ღია ეკონომიკის არსებობისა (ყველა ქვეყნის ეკონომიკა კავშირშია სხვა ქვეყნის ეკონომიკასთან), არიან

ქვეყნები და რეგიონები, რომლებშიც ეკონომიკური აქტივები სხვადასხვა ეკონომიკური და არაეკონომიკური მიზეზებიდან გამომდინარე, რეალურ თავისუფალ საბაზრო ფასთან შედარებით რამდენჯერმე ნაკლები ღირს ან გაცილებით მეტი, ვიდრე რეალური თავისუფალი ღირებულება. აღნიშნული ვითარება ზოგ რეგიონში ხდება კაპიტალის და ფულადი რესურსების ჭარბად კონცენტრირების მიზეზი, რაც დროთა განმავლობაში ეკონომიკური კრიზისის წინაპირობას ქმნის. ზოგ რეგიონში კი იწვევს “შიმშილს“ ამის განმაპირობებელი ერთ-ერთი სერიოზული ფაქტორია ეკონომიკური თავისუფლება.

კრიზისის წინა პერიოდში, როგორც კი ფინანსური აქტივების მფლობელნი იგრძნობენ მცირედ რყევას, (ეკონომიკის გადახურებას, ერთობლივი მიწოდების გადაბერებას, მთავრობის ადმინისტრაციული რეგულირების სიმძიმეს) ანუ თუ დაიწყო ეკონომიკური თავისუფლების შეზღუდვა, ფინანსები (ფული) ტოვებს მიმოქცევის სფეროს და ის დროებით შესაძლო რისკების თავიდან აცილების მიზნით, ჩერდება (კონსერვირდება) ბაზარზე ან ეკონომიკაში ხელსაყრელი ახალი ვითარების შექმნამდე, რიგ შემთხვევაში ის გაედინება იმ რეგიონიდან, სადაც „საქმიანობის თავისუფლება“ იზღუდება, კრიზისული ვითარებით თუ ზოგადად ეკონომიკური პოლიტიკით.

აღნიშნული ქმედება ხელს უწყობს კრიზისის გაღრმავებას და აჩქარებს ეკონომიკური დაღმავლობის პროცესს, ამ ფონზე მთავრობები იძულებულები არიან გაზარდონ ადმინისტრაციული ჩარევის დონე ეკონომიკაში, მისი რეგულირების თვალსაზრისით. ამგვარი რეგულაციური პოლიტიკის გამო კიდევ უფრო იზღუდება ეკონომიკური თავისუფლება.

შექმნილ ვითარებაში საინვესტიციო სახსრების მქონე აგენტები ეძებენ “გაჩერებული“ ფულის დაბანდების ადგილებს, ვინაიდან ინვესტიციები მოძრაობენ მოგებისკენ თავისუფალი მოღვაწეობის ადგილებისკენ. ასეთი ალტერნატივის გამოჩენის უდიდესი შესაძლებლობები აქვთ ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებად ქვეყნებს, სადაც აქტივები რეალურზე ნაკლები ღირს და ეს მიმზიდველია მნიშვნელოვანი დაბანდებების მოზიდვის თვალსაზრისით, თუ რა თქმა უნდა ისინი შეძლებენ შესთავაზონ თავისუფალი ეკონომიკური გარემო ეკონომიკური საქმიანობისთვის. ანუ საუბარია იმ ფაქტორების მოხსნაზე, რის გამოც ინვესტორები გაურბიან შესაბამის კრიზისულ რეგიონებს და ქვეყნებს.

მუსირებს აზრი, რომ გლობალური კრიზისი აზარალებს ყველას განვითარებულ თუ განვითარებად ქვეყნებს. საქართელოს მაგალითზე ამის არგუმენტია საზვარგარეთ (განვითარებულ რეგიონებში) სამუშაოდ წასული მოქალაქეები და მათი ანაზღაურება, რამეთუ ისინი სამშობლოში მნიშვნელოვან ფინანსურ აქტივებს აგზავნიან. ეს ფაქტორი ნამდვილად არსებობს, ზოგი მათგანი ეკონომიკური კრიზისის მქონე ქვეყნებში საქმიანობენ, თუმცა ამ ქვეყნებში, როგორც წესი, ისინი არაკვალიფიციურ სამუშაოს ასრულებენ და ამიტომ კრიზისული ვითარება ნაკლებად აისახება მათზე.

საზღვარგარეთ დასაქმებული მოქალაქეები გამონაკლის შემთხვევაში, თუ იძულებული გახდებიან სამუშაოს უქონლობის გამო დაბრუნდნენ სამშობლოში ესეც დადებითად იმოქმედებს ქვეყნის ეკონომიკაზე. მცირედ დანაზოგთან ერთად ისინი უცხოურ გამოცდილებასაც ჩამოიტანენ მცირე საქმიანობის თვალსაზრისით. ამით ქვეყანას უბრუნდება არა ინერტული არამედ მოტივირებული ადამიანური რესურსი, რომელსაც შეუძლია გადაიქცეს ბიზნესის თუ სხვადასხვა სახის ეკონომიკური საქმიანობის წარმატებულ ფენად. საბოლოოდ კი ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალს აამაღლებს რაოდენ არასასურველადაც არ უნდა ჩანდეს ეს.

ჯამურად ამგვარი არგუმენტებით მოყვენილი დანაკარგები მცირეა იმ შესაძლებლობებთან და პოტენციალთან შედარებით, რისი გამოყენებაც გლობალური კრიზისული ვითარებისას შეიძლება დიდი მოცულობის საინვესტიციო დაბანდებებითა თუ სხვა სიკეთების სახით, რისი მიღებაც სრულად არის დამოკიდებული ეკონომიკური თავისუფლების ხარისხზე და მის ამაღლებაზე.

თანაბარ სტაბილურ ვითარებაში, იმ სიკეთეების მიღება, რაც ეკონომიკურად მოწინავე რეგიონების თუ ქვეყნების მოსახლეობის საშუალო ფენას შეუძლია, ჩვენისთანა ქვეყნების მოქალაქეების 90-% შეუძლია მიიღოს მხოლოდ 7-10 წლის პერსპექტივაში.

გლობალურ კრიზისულ ვითარებაში ეს სიკეთეები (მაგ: ავტომანქანა, საყოფაცხოვრებო ტექნიკა, მომსახურების და წარმოების დანადგარები) შესაძლებელია კრიზისული ფონიდან გამომდინარე „გაიაფდეს“ დაბალ განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის მათი შემოსავლების უფრო მეტად სტაბილურობის გამო.

ზემოთხსენებულიდან გამომდინარე, 7-10 წლიან პერსპექტივაში მისაღები სიკეთეები სავსებით რეალურია მიიღონ 1-2 წელიწადში, რაც ეკონომიკური თუ სოციალური წინსვლის დაჩქარებულ ტემპს წარმოადგენს და რასაკვირველია სწრაფ სვლას ცხოვრების დონის გაუმჯობესებისკენ.

არ ვამტკიცებთ, რომ ზოგადად გლობალური კრიზისი დადებითი მოვლენაა, მაგრამ რეალური კრიზისების არსებობა სახეზეა და ამ ფონზე საჭიროა სწორი პოლიტიკა, რომელიც ყველაზე დადებითად იმოქმედებს, ერთი მხრივ, ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნების წამოწევისთვის და მეორე მხრივ მოწინავე ქვეყნების კრიზისიდან გამოსაყვანად.

ამრიგად, ეკონომიკურად დაბალგანვითარებულ ქვეყანას გლობალური კრიზისის ფონზე, შეუძლია გაცილებით მეტი მიიღოს ვიდრე დაკარგოს. უფრო მეტიც, სწორი ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური თავისუფლების უზრუნველყოფით, შესაძლებელია უფრო ადრე გადაინაცვლონ მაღალი

ეკონომიკური ზრდის და განვითარების მქონდე ქვეყნების რიგებში. ამავდროულად შეიძლება ითქვას, რომ მათთვის ეს შესაძლებლობები გაცილებით მეტია მსოფლიო კრიზისის ფონზე ვიდრე სხვა თანაბარ პირობებში.

განვმეორდები, რომ აღნიშნულისთვის საჭიროა ეკონომიკური თავისუფლება და მისი ხარისხის ამაღლება, რაც ხელს უწყობს კაპიტალის კონცენტრაციას, (უცხოური და ადგილობრივი) დაბანდებას და ეკონომიკური საქმიანობის წარმართვას. თავის მხრივ ფულადი კაპიტალის კონცენტრაცია ზრდის საერთო მსყიდველობით უნარს და შესაძლებლობებს აქტივების თავისუფალი შეძენისთვის. აღნიშნული კი ხდება წინაპირობა ეკონომიკური თავისუფლების უზრუნველმყოფი მთავარი ფაქტორის კერძო საკუთრების სათანადო დონეზე არსებობის და მისი ხელშეუხებლობის.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ სწორი ეკონომიკური პოლიტიკით გლობალური კრიზისის ფონზე, როცა გლობალურ დონეზე იზღუდება ნებსით თუ უნებლიედ ეკონომიკური თავისუფლება, კრიზისები და მისი სამთავრობო რეგულირებები გვაძლევს უნიკალურ შანსს ეკონომიკის ნახტომისებრი განვითარებისათვის. ამავდროულად კრიზისული წამყვანი ქვეყნებისთვის, თუ დამატებით ბარიერები მოიხსნება ქვეყნებს შორის, ეკონომიკურად დაბალგანვითარებული ქვეყნები შესაძლოა იქცნენ მაშველ რგოლებად, მათი ეკონომიკების კრიზისიდან გამოყვანის თვალსაზრისით (კრიზისის გამო გაჩერებული სხვადასხვა საქონლისა და მომსახურების, ტექნიკისა და ტექნოლოგიების მოთხოვნის სტიმულებით).

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. მალხაზაშვილი დ., რას გვიჩვენებს ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი. თბილისი: გამომცემლობა „აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები“, 2008, 223 გვ.

2. სეფაშვილი ე., ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი და საქართველო. თბილისი: გამომცემლობა „ახალი აზრი“, 2003, გვ. 1-26

3. http://www.economy.ge/ უკანასკნელად გადამოწმებულია-24.09.2019.

# POLITICAL-ECONOMIC PROBLEMS OF THE SOUTH CAUCASUS REGION AND MODERN CHALLENGES

***Irine Tchanturidze***
*Akaki Tsereteli State University*
*Doctoral candidate*

**ABSTRACT**

The processes in the Caucasus region are characterized by special dynamics. The South Caucasus is an important region thanks to its geopolitical location. It is a place of coincidence of interests of many different countries.

Most of the responsibilities for the situation lies with the three republics of the South Caucasus, as these states have suffered the catastrophic consequences of major political games; consequently, they must realize their responsibilities to their own people and change their approaches, their internal confrontation with the foreign policy interests of the region again.

This precedent will be important not only for the further development of the region's political-economic processes. If integration into the transatlantic structures is a major task for Georgia since independence, the main challenge for modern Armenia and Azerbaijan remains the Karabakh conflict and the search for a solution.

**Key words:** South Caucasus natural resources economic characteristics, Euro integration, regional conflicts

**POLITICAL-ECONOMIC PROBLEMS OF THE SOUTH CAUCASUS REGION AND MODERN CHALLENGES**

The processes in the Caucasus region are characterized by special dynamics. The South Caucasus is an important region thanks to its geopolitical location. It is a place of coincidence of interests of many different countries. The strategic economic interests of the Black and Caspian Basin, European, Asian and often African countries will be intertwined here. The region is considered as a "corridor" by many factors (rail, air and communication in general). Therefore, the situation in the Caucasus in general has a significant impact not only on the countries of the given region, but also on the Trans regional world processes, including the situation in the Euro-Atlantic area.

A clear example of this is the geo-economic interests of NATO in the region. Various measures undertaken by the organization show that the Caucasus can also be considered a territory of NATO's "advanced defense" strategy. Therefore, every step taken towards establishing peace and stability in the region is of particular importance. The Caucasus region is rich in natural resources, with energy, and recreation resources too: Countries in the region also produce agricultural products.

The Caucasus is divided into 2 sub regions: North Caucasus and South Caucasus (Transcaucasia). The latter, despite being relatively small in area, is characterized by a significantly higher population density and developed scientific and technical potential. The South Caucasus consists of three independent states: Georgia, Armenia and Azerbaijan. In this paper we will discuss the socio-economic situation of each of these countries in general, as well as the problems and contemporary challenges in the region.

First, I will focus on Georgia. As individuals try to find their place in society as well as in the world, every state is looking for its niche in order to occupy a dignified place in the international arena. This is exactly the case in our country, as the new century and sovereignty have made Georgia's role in the international division of labor more important than it remembered in the country's history.

Given the key economic characteristics, such as overall GDP, GDP per capita and the Human Development Index, our country is in a very poor position. It ranks 70th in the Human Development Index and 112th in the overall GDP.

These figures once again demonstrate that the country faces a very difficult task before moving on from a country with a transition economy. It is also noteworthy that Georgia has the most active relations with international organizations from the countries of the region.

It is a member of more than 37 international organizations, such as the United Nations, the OSCE, the Council of Europe and more. In recent years, Georgia has received significant financial support from reputable international organizations such as the International Monetary Fund, the World Bank and others.

Nine international organizations have permanent representation in Tbilisi, making it a priority for the country to take effective steps to join NATO and the European Union. In 1996 a Partnership and Cooperation Agreement was signed between Georgia and the European Union.

In 2004, the organization developed a "European Neighborhood Policy" that enabled Georgia to establish new relations with the European Union. The Vilnius Summit on July 23, 2013 was historic for Georgia as it was at that time that Georgia completed its initial

association with the European Let me briefly refer to this agreement. The Association Agreement is an agreement on cooperation between the EU and non-EU countries. Cooperation generally covers political, trade, social, cultural and security spheres. Article 127 of the Treaty on the Functioning of the European Union is regarded as the legal basis for the Association Agreement. The first states to sign the Association Agreement were Greece and Turkey (1960).Union.

Instead of associate membership status, the EU imposes on partner countries: political, economic, trade and judicial reforms. Instead, associate members have free access to some or all of the EU markets, including the agricultural products market. Associate members also receive financial and technical assistance. The association agreement also often includes a free trade agreement. Therefore, the challenges facing the country, which point to Georgia's potential in the international arena, are important. We will discuss each of these in more detail later.

Azerbaijan is the leader among the countries of the South Caucasus in terms of territory and population. It accounts for 47 percent of the region's territory and 48 percent of the population. In Azerbaijan, not only is the overall GDP high, in terms of GDP per capita and the Human Development Index, but also the average wage rate compared to Georgia and Armenia which is 50 US dollars.

Following the declaration of independence, the country embarked on the path of a developing market economy, ownership changed completely and the private sector was promoted, and the country was liberated from the planned economy. Its specialization is gradually changing, and it is in line with the interests of the country itself.

Armenia is the third state in the region, twice as large as Georgia, and 2,5 times smaller than Azerbaijan, with a territory of 29,8 thousand square kilometers, population 3, 3 million. Armenia is actively involved in the process of solving the problems of the common Caucasian economic space and plays a prominent role there. More specifically, when discussing the socio-economic situation in the region, we will discuss the role of each of them.

The South Caucasus is one of the hottest spots in the current political situation. The problem of coincidence of Russian, Georgian, Armenian, Turkish, Azerbaijani and Western interests in the region is very acute, and in many cases it leads to very undesirable results. The term "South Caucasus" is a new term in world political literature.

This was followed by the collapse of the Soviet Union, as a result of which Georgia, Armenia and Azerbaijan regained independence, which led to serious geopolitical changes in the region. In response, in 1998 Russia developed a concept of state policy in relation to the North Caucasus, thereby taking a step against building a common "Caucasian House". At the same time, the South Caucasus began to emerge as a political and economic sub region.

The situation is further complicated by the fact that the countries in the region are largely in a reactionary state and do not have a pre-formed approach to the problematic issues that may have a more detrimental effect in the future. Russia understands the importance of building the American "New Silk Road", new energy roads.

For Central Asia and the Caspian Basin it weakens its function as a sole proprietor, which will significantly reduce Russia's importance in world politics. With the creation of the Eurasian Union, Russia seeks to maintain geopolitical control over the region, and thus operates in the Middle East, Central Asia and the South Caucasus. With Armenia and Azerbaijan, Russia continues to speculate on the Nagorno-Karabakh conflict, with its 49-year-old military base stationed in Armenia, permanently arming Azerbaijan.

As for Georgia, after the recognition of the breakaway regions, Russia has lost its leverage over the impact of the conflicts and has the only opportunity for direct aggression.

It should be noted first of all that the South Caucasus exists as an energy corridor. Except for the existing energy sources, which flows from Azerbaijan to Georgia via Europe and Turkey.

The South Caucasus is also a potential corridor through which resources in the Central Asian and Caspian Basin countries can pass. Historically, the South Caucasus is the region on the Silk Road. The Baku-Tbilisi-Karsi Railway will directly connect the three countries to each other (Turkey-Georgia-Azerbaijan) and create a unique way to connect with European or Asian countries in the shortest possible time.

The arrangement of highways and border crossings within the countries themselves have further facilitated the rapprochement of the countries of the South Caucasus and the establishment of international economic relations.

The South Caucasus is an opportunity to further deepen business and trade related to the import and sale of both European and Asian goods.

The political situation in the countries of the South Caucasus is constantly tense. There are three factors contributing to this tension:

1. Great interest in the region of global and external forces;

2. Interregional-territorial claims, three frozen conflicts;

3. Negative dynamics of domestic-political development.

Any way forward for the future of the South Caucasus region is directly linked to the resolution of existing

ethno political conflicts, the most important of which is the Nagorno-Karabakh conflict. Despite efforts by international bodies to try to offer countries a solution to the conflict, they failed, and the parties' positions remained unanimous.

The significance of the conflict is that the governments of Armenia and Azerbaijan do not agree to compromise. It is imperative for anyone to give up his position, especially since today the West plays a nominal role in resolving this problem and trying to limit itself to formal and very modest negotiations.

In our view, despite the region's shared socialist past and many other common interests, different challenges in each of the countries of the modern South Caucasus are on the agenda.

Apart from the Nagorno-Karabakh problem, the region faces challenges such as the situation in South Ossetia and Abkhazia. Georgia's strategy at this point is to somehow mitigate Russia's influence in the conflict zones and to spread the influence of friendly states and international organizations in these areas.

If integration into the transatlantic structures is a major task for Georgia since independence, the main challenge for modern Armenia and Azerbaijan remains the Karabakh conflict and the search for a solution.

However, despite the urgency of the matter, regulating the issue revolves around a closed circle. It needs a great deal of political will or a changed geopolitical situation in the current, real, difficult situation. Other regional conflicts in the South Caucasus can also be mentioned. In such way.

We believe that most of the responsibilities for the situation lies with the three republics of the South Caucasus, as these states have suffered the catastrophic consequences of major political games; Consequently, they must realize their responsibility to their own people and change their approaches, their internal confrontation with the foreign policy interests of the region again, in this context the Nagorno-Karabakh conflict is the node that can be opened by internal forces without any third involvement

This precedent will be important not only for the further development of the region's political processes. If the parties do not make a fair concession in the future and still hope to settle the situation with the intervention of a third party then the issue will remain unresolved for a long time.

Unlike the situation in the occupied territories of Georgia, Armenia and Azerbaijan can resolve the conflict without the intervention of any third party. In the case of Georgia, the interests of Russia and Georgia can be clearly identified.

**REFERENCES**

1. კუპატაძე ო,გელიტაშვილი ბ, გელაშვილი ზ, ეკონომიკის საწყისები, ESM თბილისი 2000, გვ. 82.

2. Cantillon, Richard (2010) [1755]. An Essay on Economic Theory. Auburn, Alabama: Ludwig von Mises Institute pg. 65

3. "Anne-Robert-Jacques Turgot (1727–1781)", The Concise Encyclopedia of Economics, Library of Economics and Liberty (2nd ed.), Liberty Fund, 2008

4. François Quesnay (1694–1774). The Concise Encyclopedia of Economics. Library of Economics and Liberty (2nd ed.). Liberty Fund. 2008.

5. Smith, Adam [1776] (1977). An Inquiry into the Nature and Causes of the Wealth of Nations. University Of Chicago Press. ISBN 0-226-76374-9. p 21

# საგანმანათლებლო სისტემის მომსახურების მსოფლიო ბაზრის ანალიზი

*ნანა სულაძე*
*სტუ დოქტორანტი*

**რეზიუმე**

ნაშრომში განათლება განიხილება, როგორც სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარებისა და ადამიანური კაპიტალის აღწარმოების საბაზრო სფერო. ცოდნა, როგორც განათლების შედეგი. ყურადღება ექცევა იუნესკოს მიერ შემუშავებულ განათლების საერთაშორისო სტანდარტთა კლასიფიკაციას (ISCED). მსოფლიო ბაზრის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა მჭიდრო კავშირი ეკონომიკური განვითარების დონის საგანმანათლებლო სისტემასთან. კვლევამ გამოავლინა ლიდერი ქვეყნები: განათლების ინდექსით, საგანმანათლებლო მომსახურების ექსპორტით, მსოფლიოს უნივერსიტეტების საერთაშორისო რეიტინგით, საშუალო სკოლებში სწავლების ხარისხით, დისტანციური განათლების მასშტაბებით, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების რაოდენობის მიხედვით. ნაშრომში ხაზგასასმელია მსოფლიოში საგანმანათლებლო მომსახურების გაყიდვები და საგანმანათლებლო მომსახურებათა ექსპორტიდან ეროვნული ბიუჯეტის შემოსავლების ზრდა.

**საკვანძო სიტყვები:** განათლების სისტემა, ეკონომიკური განვითარება, მსოფლიო ბაზრის ანალიზი.

**АНАЛИЗ МИРОВОГО РЫНКА УСЛУГ СИСТЕМЫ ОБРАЗОВАНИЯ**

**Нана Суладзе**
докторант ГТУ

**РЕЗЮМЕ**

В статье рассматривается образование как сфера экономического развития государства и воспроизводства человеческого капитала. Знания как результат обучения. Внимание обращается на Международную классификацию стандартов образования (МСКО), разработанную ЮНЕСКО. На основе анализа мирового рынка выявлена тесная связь с образовательной системой уровня экономического развития. В ходе исследования были определены страны-лидеры: по индексу образования, по экспорту образовательных услуг, по международному рейтингу университетов мира, по степени качества среднего образования, по шкале дистанционного образования, по количеству студентов в высших учебных заведениях. В статье освещаются продажи образовательных услуг по всему миру и увеличение доходов национального бюджета от экспорта образовательных услуг.

**Ключевые слова:** система образования, экомическое развитие, анализ мировова рынка

**შესავალი**

განათლება სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების უმთავრესი ქვაკუთხედია. ანტიკური პერიოდიდან მოყოლებული ნებისმიერი საზოგადოების მთავარი ამოცანის შესრულებაში განათლება, მეცნიერება და კულტურა დაგროვილი ცოდნის თაობიდან თაობისათვის გადაცემას ემსახურება.

განათლება პიროვნების სოციალიზაციის, ადაპტაციისა და ინტეგრაციის პროცესის ნაწილია, განსაზღვრავს მომავალი თაობებისათვის დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების მიზანმიმართულ-ფორმალიზებული გადაცემის შესაძლებლობას - სოციალური ინსტიტუტების ფარგლებში. განათლება ადამიანური კაპიტალის აღწარმოების საბაზრო სფეროა, რომელშიც ადამიანი ყალიბდება როგორც პიროვნება. მიღებული ცოდნა ადამიანს ეხმარება სოციუმში ცხოვრების არსის აღქმაში, ვინაიდან მსოფლმხედველობა, საზოგადოებაში პიროვნების როლისა და ადგილის განსაზღვრა, საზოგადოების ჰუმანიტარული საფუძვლების, მორალისა და ზნეობის ნორმების ათვისება, ინდივიდის სოციალურ-კულტურული განვითარება ადამიანს ხდის საზოგადოების სრულყოფილ წევრად. საგანმანათლებლო სისტემაში ადამიანის პროფესიული მომზადება მყარ საფუძველს უყრის მის პროფესიულ საქმიანობას, რაც ეხმარება პიროვნული შესაძლებლობების, საკუთარი შრომითი პოტენციალის მაქსიმალურ რეალიზაციაში. ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ სწორედ ადამიანური კაპიტალის თეორიაში განიხილება მოსახლეობის განათლების დონე, როგორც მისი ფასეულობის ძირითადი შემადგენელი, ხოლო განათლება ერთსულოვნად აღიარებულია, როგორც შრომითი საქმიანობის მუდმივი შემადგენელი. გარდა ამისა, თანამედროვე გამოკვლევები ამტკიცებენ მყარ კავშირს ადამიანის განათლებასა და მისი სიცოცხლის ხანრძლივობას შორის. აქედან გამომდინარე, ცოდნა, როგორც განათლების შედეგი, მნიშვნელოვანია სიცოცხლის ხანრძლიობისათვის და მას გააჩნია სოციოლოგიური მნიშვნელობა[21].

## საგანმანათლებლო სისტემის მომსახურების მსოფლიო ბაზრის შეფასება

უძველესი შუმერთა ცივილიზაციიდან მოყოლებული მსოფლიოს აკადემიურ წრეებში უმთავრეს მიმართულებად არამარტო განათლების მიღებასა და აღმზრდელობითი კულტურის დანერგვას მიიჩნევენ, არამედ უფრო მეტ ზრუნვას განათლების დონის ამაღლებაზე იჩენენ. ეს პროცესი მიმდინა-

რეობს იმდენად მიზანსწრაფულად, რომ მზარდი ინფორმაციული ნაკადის გადამუშავების, განზოგადებისა და ანალიზის პროცესში იქმნება გარკვეული სიძნელეები. 70-იანი წლების დასაწყისში იუნესკოს მიერ განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაცია (ISCED) შემუშავდა, რომელიც გაეროს ეკონომიკური და სოციალური კლასიფიკაციის საერთაშორისო ოჯახის წევრია და რეფერირებად კლასიფიკაციას წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამებისა და მათთან დაკავშირებული კვალიფიკაციების განათლების დონეებისა და სფეროების მიხედვით ორგანიზების საქმეში. ISCED-ი მოიცავს ბავშვების, ახალგაზრდებისა და მოწიფულთა სწავლების ყველა შესაძლებლობას, რომელიც ატარებს ორგანიზებულ და უწყვეტ ხასიათს, განსაკუთრებულ საგანმანათლებლო მოთხოვნილებათა მქონე მოსწავლეების ჩათვლით, მიუხედავად სასწავლებლის ან სასწავლო დაწესებულებლის ტიპისა, რომელიც უზრუნველყოფს ამგვარ სწავლებას, ან ფორმისა, რომლითაც ხორციელდება განათლება[6].

საერთაშორისო საგანმანათლებლო სტატისტიკის მონაცემების ანალიზმა საშუალება მოგვცა, შეგვეფასებინა საქართველოს ეროვნული საგანმანათლებლო სისტემების განვითარების დადებითი და უარყოფითი მხარეები და განგვესაზღვრა განათლების განვითარების მსოფლიო ტენდენციები, რომელთა ძირითადი წყაროებია:

• იუნესკოს სტატისტიკის ინსტიტუტის ყოველწლიური მოხსენებები განათლების შესახებ (Global Education Digest);

• ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მასალები (ყოველწლიური ანგარიშები განათლების შესახებ ორგანიზაციის წევრ და პარტნიორ ქვეყნებში Education at a Glance - OECD Indicators);

• მსოფლიო ბანკის მოხსენებები

მსოფლიოს ქვეყნებში უმაღლესი განათლების შესახებ ინფორმაციის მნიშვნელოვანი წყაროა უნივერსიტეტების მსოფლიო ასოციაციის მიერ შექმნილი მონაცემთა ბაზა World Higher Education Database (WHED) [13].

განათლების სისტემის განვითარების სხვადასხვა ასპექტების განხილვისათვის მნიშვნელოვანია ისეთი მაჩვენებლის განხილვა, როგორიცაა:

1. განათლების ინდექსი, რომელიც ახასიათებს ქვეყნის საგანმანათლებლო პოტენციალს ზრდასრული მოსახლეობის წიგნიერების ამაღლებასა და ქვეყნის დაწყებით, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხულთა საერთო რაოდენობის ზრდას.

2. ზრდასრულ (25-64 წელი) მოსახლეობაში უმაღლესი განათლების მქონე პირების წილი, საგანმამათლებლო სისტემის მრავალწლიანი ფუნქციონირების შედეგზე გათვლით.

ყურადსაღებია, რომ ეკონომიკური განვითარების დონე მჭიდრო კავშირშია საგანმანათლებლო სისტემასთან. მსოფლიოს ეკონომიკურმა ფორუმმა ანგარიში Human Capital 2017 გამოაქვეყნა, რომელშიც მსოფლიოს 130 ქვეყანაა შეფასებული. ინდექსი სხვადასხვა ქვეყნის მოსახლეობას განათლებისა და უნარ-ჩვევების დონით აფასებს. მოქალაქეების განათლების და გადამზადების კუთხით რეიტინგში პირველ ადგილს ნორვეგია იკავებს. იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც მოქალაქეებს განათლების საუკეთესო შესაძლებლობასა და უნარ-ჩვევებს აძლევენ უმეტესად ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნები დომინირებენ. მეორე ადგილს სიაში ფინეთი იკავებს, შვეიცარია კი მესამე პოზიციაზეა. დანია რეიტინგში მე-5 პოზიციაზეა, ხოლო შვედეთი მერვე ადგილს იკავებს. რეიტინგის მეოთხე პოზიციაზე მოხვდა აშშ, გერმანიამ მეექვსე პოზიცია დაიკავა, ხოლო ახალმა ზელანდიამ - მეშვიდე. ათეულში მოხვდნენ სლოვენია და ავსტრია. კვლევის მიხედვით, მსოფლიში „ადამიანური კაპიტალის“ მხოლოდ 62%-ია განვითარებული, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყნები საკუთარი მოსახლეობის "შესაძლებლობების" 38%-ს უგულვებელყოფენ. ინდექსს მიღმა მსოფლიოს ის 25 ქვეყანა მოხვდა, რომლებსაც საკუთარი „ადამიანური კაპიტალის“ 70%-ზე მეტი არ აქვთ განვითარებული. აღსანიშნავია, რომ WEF-ის სიაში ვერ მოხვდა საქართველო. იგი არც გასული წლის სიაში იყო წარმოდგენილი. გარდა ამისა, მსოფლიოს 50 ქვეყნის სარეიტინგო ქულა 100-დან 60 - 70-მდე მერყეობს. საკუთარი მოსახლეობის არამატერიალური შესაძლებლობების 50%-60% მსოფლიოს 41 ქვეყანას არ აქვს ათვისებული. რაც შეეხება საქართველოს მეზობელ ქვეყნებს, - სიაში ვერ მოხვდა აზერბაიჯანი. სომხეთმა რეიტინგში 49-ე ადგილი დაიკავა, რუსეთმა მე-16, თურქეთმა კი - 75-ე. რეიტინგის ლიდერები, ტრადიციულად, ის ეკონომიკები ხდებიან, რომლებსაც საკუთარი მოსახლეობის განათლებაზე გრძელვადიანი ხედვა და გეგმა აქვთ, სამუშაო ძალის უნარ-ჩვევები კი ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაშია.[4,25,28].

უნდა აღინიშნოს, რომ კვლევამ გამოავლინა ლიდერი ქვეყნები: განათლების ინდექსით - ავსტრალია, დანია, ირლანდია, ესპანეთი, კანადა, ახალი ზელანდია, ნორვეგია, ფინეთი (განათლების ინდექსი 0,99); საგანმანათლებლო მომსახურების ექსპორტით - აშშ, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი, ავსტრალია [4,25]; მსოფლიოს უნივერსიტეტების საერთაშორისო რეიტინგით აშშ, დიდი ბრიტანეთი [1,26,14]; საშუალო სკოლებში სწავლების ხარისხის საერთაშორისო გამოკვლევის PISA (Programme for International Student Assessment) მაჩვენებლით - ფინეთი, კორეა, იაპონია [22,15]; დისტანციური განათლების მასშტაბებით - ჩინეთი, ინდოეთი, აშშ [16], ხოლო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების რაოდენობის მიხედვით ლიდეორობენ აშშ (13,2 მლნ კაცი), ინდოეთი (11,8 მლნ კაცი), ჩინეთი (10,8 მლნ კაცი), რუსეთი (6,9 მლნ კაცი) [17].

განხილული მაჩვენებლების ერთობლიობის მიხედვით შეგვიძლია გამოვყოთ განათლების სფეროში ლიდერი ქვეყნების ჯგუფი: აშშ, დიდი ბრიტანეტი, გერმანია, საფრანგეთი, იაპონია, ავსტრალია, ესპანეთი, კანადა, შვედეთი, ნიდერლანდები, ფინეთი, კორეა, ჩინეთი, ინდოეთი.

როგორც ანალიზმა გვიჩვენა, აშშ ბევრად უსწრებს წინ სხვა ქვეყნებს მაჩვენებელთა უმრავლესობის მიხედვით, მათ რიცხვში ისეთ მნიშვნელოვან დარგებში, როგორებიცაა საგანმანათლებლო მომსახურების ექსპორტი, უნივერსიტეტების საერთაშორისო რეიტენგები, დისტანციური სწავლების მასშტაბები. აშშ-ის განათლების სისტემის ერთადერთი სუსტი ადგილია მოსწავლეთა ფუნქციონალური განათლების საერთაშორისო გამოკვლევების შედეგები.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მსოფლიოს უდიდესმა სახელმწიფოებმა დაიწყეს განათლების, როგორც თავიანთი საგარეო პოლიტიკის ნაწილის განხილვა, რომელიც ემსახურებოდა გეოეკონომიკურ და გეოპოლიტიკურ მიზნებს. გასული საუკუნის ბოლოსათვის ჩამოყალიბდა მსოფლიო მეურნეობის საგანმანათლებლო მომსახურების მსოფლიო ბაზარი, რომლის წლიური ბრუნვა რამდენიმე ასეული მილიარდი აშშ დოლარია, ხოლო მომხმარებელთა მოცულობა რამდენიმე მილიონ ადამიანს შეადგენს. ამ სპეციფიკურ ბაზარზე ვაჭრობენ სხვადასხვა სახის საქონლითა და მომსახურებით, როგორიცაა სკოლებში სწავლება, ენების კურსები, მოსამაზადებელი განყოფილებები, კვალიფიკაციის ამაღლება, დისტანციური სწავლება, დამატებითი განათლება, სხვადასხვა პროგრამები, მეთოდიკები, წიგნები, სასწავლო CD-დისკები, ტრანსპორტი, გართობა და სხვა. მაგრამ გაყიდვების ყველაზე მასობრივი საგანი, რომელსაც ბაზრის ლომის წილი უჭირავს, უცხოელი სტუდენტებისათვის უმაღლესი განათლების მიცემაა.

ხაზგასასმელია, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შეფასებით, მსოფლიო საგანმანათლებლო ბაზრის მოცულობა შეადგენს 50-60 მლრდ აშშ დოლარს. ბაზარი, რომელიც სამოცდათხუთმეტი წელია ყალიბდება, დღეისათვის თითქმის სრულად გადანაწილებული. გამოკვეთილი ლიდერია აშშ, რომელიც აკონტროლებს მსოფლიო საგანმანათლებლო ბაზრის თითქმის 22%-ს. მსოფლიოში საგანმანათლებლო მომსახურების გაყიდვების მოცულობით მეორე ადგილზეა დიდი ბრიტანეთი (11,67%), რომელმაც უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე გაასამმაგა უცხოელი სტუდენტების მიღება უმაღლეს სასწავლებლებში. შემდეგ მოდის გერმანია (9,52%-ით) და საფრანგეთი (8,67%-ით). ლიდერთა ჩამონათვალში შედის აგრეთვე ავსტრალიაა, რომელსაც ათვისებული აქვს მსოფლიო ბაზრის დაახლოებით 7-8% და კანადა, რომლის წილად მოდის მსოფლიო საგანმანათლებლო მომსახურების გაყიდვების 4,87%. მე-7 ადილზეა რუსეთის ფედერაცია და მისი წილი საერთაშორისო ბაზარზე დაახლოებით 3,31%-ს, დანარჩენი ქვეყნები 32,73% შეადგენს.[14]

აშშ-ში წელიწადში მილიონზე მეტი სტუდენტი ჩამოდის, თითქმის ორჯერ მეტი, ვიდრე დიდ ბრიტანეთში. აშშ-ის უმაღლესი სკოლა უცხოელი სტუდენტებისაგან ღებულობს თხუთმეტჯერ მეტ შემოსავალს, ვიდრე მათზე ხარჯავს აშშ-ის მთავრობა. განათლება მნიშვნელობით მეხუთეა ამერიკული ეკონომიკის ექსპორტში. თუმცა ბაკალავრიატის საფეხურზე მიღებულ, ახალ სტუდენტთა რიცხვი გასულ წელს 6.6 %-ით შემცირდა. კლების ეს ტენდენცია ორი წლის წინ დაიწყო. ერთ-ერთი მთავარი დამაბრკოლებელი ფაქტორი აბიტურიენტებისთვის სწავლის გადასახადია - წელიწადში 20-დან 70 ათას დოლარზე მეტი, რაც ამერიკას უფრო ნაკლებად მიმზიდველს ხდის საერთაშორისო სტუდენტებისთვის მაშინ, როცა გლობალური კონკურენცია იზრდება. “განათლების საერთაშორის ინსტიტუტის” მკვლევრის, რაიკა ბანდარის, თქმით, გასული 30 წლის განმავლობაში, სწავლის საფასური ამერიკის საჯარო ინსტიტუტებში 213 %-ით გაიზარდა, კერძო სასწავლებლებში კი 130 $-ით[2].

ბრიტანეთში ყველა უნივერსიტეტი თვითონ ადგენს სწავლების ღირებულებას დარგებისა და სპეციალობების მიხედვით, რომელიც მერყეობს წელიწადში 6250-დან 20000 ფუნტ სტერლინგამდე. ავსტრალიასა და კანადაში წელიწადში სწავლის საფასური დაახლოებით 1,5-2 ჯერ ნაკლებია, ვიდრე აშშ-ში. მსოფლიოში საგანმანათლებლო მომსახურების ფასი საშუალოდ შეადგენს 10 ათასს დოლარს [11]. სხვა სახელმწიფოები კი ამ ფაქტს სათავისოდ იყენებენ და საზღვარგარეთ სწავლის მსურველი სტუდენტების სწორედ შედარებით ნაკლები საფასურით მიზიდვას ცდილობენ. გარდა ამისა, მათ ცხოვრების უფლებისა და მოქალაქეობის მიღების გზებს უადვილებენ. ამერიკის უძლიერესი კონკურენტი ამ მხრივ დიდი ბრიტანეთია. თუმცა, ბოლო დროს, კანადამაც ბევრი სტუდენტის მიზიდვა შეძლო, გამარტივებული პროცედურებითა და სხვა უპირატესობებით. კანადა უცხოელ კურსდამთავრებულს ერთწლიანი მუშაობის შემდეგ ცხოვრებისა და მუშაობის უფლებას გაცილებით მარტივად სთავაზობს, ვიდრე აშშ. ეს კი იმ სტუდენტებისთვის, რომელთა ქვეყნებიც ამ ქვეყნების მსგავსად განვითარებული არ არის, დიდი შესაძლებლობაა. ბევრ უცხოელ სტუდენტს, ხშირად შტატებში დროებით სამუშაოდ დარჩენა, ან აქ ცხოვრების უფლების მიღება სურს. ზოგიერთის მშობლიური ქვეყნის მდგომარეობა სიტყვის თავისუფლების, ეკონომიკისა თუ განათლების განვითარების მხრივ, მათ ცოდნას, შესაძლებლობებსა და მოთხოვნებს არ შეესაბამება. მსოფლიოში საერთაშორისო სტუდენტების თითქმის ნახევარი ორი ქვეყნიდან - ჩინეთიდან (363 341) და ინდოეთიდანაა (196 271) წარმოშობით.

განათლება ეროვნულ ეკონომიკაში იძლევა კი-

დევ ერთ სოლიდურ შემოსავალს, რასაც განაპირობებს სტუდენტების ცხოვრება და კვება. ასე მაგალითად, სხვადასხვა ინგლისურ ქალაქში ცხოვრება თითოეული სტუდენტისათვის მერყეობს დაახლოებით 7-10 -13-15 ათასი აშშ დოლარამდე წელიწადში. აშშ-ში სტუდენტური ცხოვრება მოითხოვს 6-14 ათასს დოლარს წელიწადში, ხოლო ავსტრალიასა და კანადაში 30%-ით ნაკლებს.[11]

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თითოეული უცხოელი სტუდენტისგან მიღებული ჯამური ეკონომიკური ეფექტი წელიწადში მერყეობს 50-65 ათასი აშშ დოლარიდან (კემბრიჯისა და ჰარვარდის სტუდენტებისათვის) 15-20 ათასს დოლარამდე (კანადისა და ავსტრალიის პროვინციების უნივერსიტეტების სტუდენტებისათვის). ეროვნულ ეკონომიკაში უცხოელ სტუდენტებთან ერთად, მსოფლიოს მასშტაბით შედის 100-120 მლრდ აშშ დოლარი, რომლის ნახევარი პირდაპირ მიემართა საგანმანათლებლო დაწესებულებებში. საერთაშორისო სტუდენტების 65 % დაფინანსებას საერთაშორისო ინსტიტუტებიდან თუ ფონდებიდან, სხვადასხვა წყაროდან იღებს. საერთაშორისო სტუდენტების თითქმის 60 % სწავლის გადასახადს თავად, საკუთარი ოჯახის ფინანსებით იხდის. სტუდენტების 8-10%-ს სწავლის საფასურს უფარავენ თავად მიმღები ქვეყნის მთავრობები, უნივერსიტეტები ან კოლეჯები. გამომგზავნი ქვეყნების ეროვნული მთავრობების ან უნივერსიტეტების წილი შეადგენს სულ რაღაც 4-5%. დაახლოებით ამდენივე შეაქვთ კერძო სპონსორებს. საერთაშორისო ორგანიზაციების წილი კი არ აღემატება ერთ პროცენტს.[25] მათ უმეტესობას ამერიკულ სასწავლებლებში სხვადასხვა დახმარების მიღების უფლება არც აქვს.

განათლების ექსპორტს დიდი ბრიტანეთის ხაზინაში შეაქვს მეტი შემოსავალი, ვიდრე ფინანსური მომსახურებების ბაზარს და საავტომობილო მრეწველობას.[8] ასე, მაგალითად, უცხოელი სტუდენტების მიერ გაწეულმა ხარჯებმა სწავლასა და ცხოვრებაზე შეადგინა 8,5 მლრდ ფუნტ სტერლინგი, რაც 39%-ით მეტია წინა სასწავლო წელთან შედარებით. ამ პერიოდში უცხოელი სტუდენტების რიცხვი 235174 -დან გაიზარდა 315935-მდე. შემოსავლების დიდი ნაწილი მოდის სტუდენტებზე, რომლებიც სწავლობენ უმაღლესი განათლების პროგრამებზე. მათგან მიღებული შემოსავალი აღემატება 5,6 მლრდ ფუნტ სტერლინგს. ენის შემსწავლელი კურსების სტუდენტებისაგან მიღებული შემოსავალი შეადგენს დაახლოებით 1 მლრდ ფუნტ სტერლინგს. ჩატარებული კვლევებით როგორც უნივერსიტეტების, ენის შემსწავლელი კურსების სტუდენტებიდან, ასევე ტრენინგებიდან, სტაჟირებიდან, საკონსულტაციო მომსახურებებიდან, სასწავლო მასალების, წიგნების, თემატური პრესის გამოშვებიდან, პროგრამული უზრუნველყოფით მიღებული შემოსავლებიდან, წინა სასწავლო წელს მიღებულმა საერთო შემოსავლებმა შეადგინეს 28 მლრდ ფუნტი სტერლინგი, მაშინ, როდესაც ფინანსური მომსახურების ბაზარს მოაქვს 19 მლრდ ფუნტი სტერლიგი წელიწადში.[9]

საერთაშორისო საგანმანათლებლო რუკაზე დღეისათვის არსებობს ორი ძირითადი საანმანათლებლო ცენტრი - ჩრდილოამერიკული და ევროპული. აშშ, სადაც სწავლობს 600 ათასზე მეტი უცხოელი სტუდენტი, მეზობელ კანადასთან ერთად, მოიცავს მსოფლიოს სტუდენტების მესამედს. ევროპის ჯამური საგანმანათლებლო ბრუნვა, სტუდენტების რიცხოვნებითაც და შემოსავლების ოდენობითაც სავსებით შესადარისია ამერიკულთან. მესამე ცენტრია ავსტრალია, რომელიც მნიშვნელოვნად მცირეა. იქ მეზობელ ახალ ზელანდიასთან ერთად ჯამში სწავლობს დაახლოებით 200 ათასი უცხოელი სტუდენტი.

Primary activities of the mining company for extracting not renewable natural resources come into conflict with the sustainability principal to save nature for future generations. But keeping existing reserves of not renewable natural resources unused that requires a rapid closure of mining company along with complete their exhausting lead to a necessary closure of mining company identically. As a consequence mining company closure directly affects spatial depression while sustainable development supposes economic systems to be developed in a long period to provide high life standards on those territories.

The mining company liquidation requires new investment projects to be found by the owner. For employees it means losses of their jobs. By extension, environment destroyed through mining need to be recovered or otherwise it is the company that has sole responsibility for it and nothing excludes liability for its fraud.

Contradictions pointed out above make risks of shaping or exacerbation of economic, social and ecologic spatial depression with deprivation of source of financing state and local budgets, pushing up unemployment, resettlement and reeducation of miners including members of their families, worsening ecology and having risks of territorial flooding and underground gas methane explosion.

Thus the concept of mining company sustainable development must suggest its life cycle extension through diversifying its activities in a way that ensures absence of sustainability roll particularly during the process of transition from digging minerals to its termination.

The forth conflict item is that socially and ecologically important objects of external environment are not integrated into the model of the mining company particularly into the legal one. But at the same time sustainable development suggests that economic, social and ecologic systems to be closely related. As rule social and ecologic objects are local or the state property so they are not included into the model of the mining company and don't meet distributed company's resources. However the company is relatively responsible for such objects development to achieve its own sustainable development. In this connection a strong factor of interpersonal agreement between owners of the company and social and ecologic objects is to be found that in different cases drives or slows down redistribution of resources for these objects.

Consequently uncertainty of organizational hierarchy and lack of rights and liabilities of the company to run social and ecologic objects located on the nearby territory reserved by law make such objects to be considered by the company only as ones for sponsorship in case of appropriate profit and owner's wish.

For regional economy this contradiction means loss of stable finance source for maintaining social infrastructure and objects of ecologic safety, their destroying and high dependence on decision of company's owner. Thus the concept of the mining company sustainable development must suggest that social and ecologic objects should be integrated into the company model in a certain way.

## DISCUSSION

The above stated analysis of existing contradictions between principals of sustainable development and principals of mining company activities allows the way of running mining company for the purpose of its

sustainable development based on OVAL framework. OVAL is a short name for Object Value Based Sustainable Development. It must be pointed out that in the context of the article Object Value Based Sustainable Development approach does not refer to widely used in practice Activity Based Costing, Process Accounting, Responsible Center Accounting that show methods of cost accounting in a whole.

The main objective of these methods is to monitor production costs for the purpose of their reducing and redistribution of overhead costs. Wherein the object of cost accounting (function, process, center of generating costs) is differ from the object of cost calculation which is products and services.

Unlike these approaches the OVAL sustainability approach pursues the goal of analyzing economic activities of the company to provide its sustainable development with a view to finding and using reserves of enhancing harmony of economic, social and ecologic systems interaction through eliminating above mentioned sustainability roll.

An option to control costs subject to constraints on mining company development only according to the principals of OVAL-sustainability could be a field for further study.

The OVAL – sustainability consists of two fundamental concepts: object and value. And this must be the most debatable point of the research as it is still unclear how to separate objects in a sole production chain of the company. An integration of these concepts for the purpose of adaptation to harmonic company's development may contribute to solving the conflict between sustainable development principals and market economy rules.

**BIBLIOGRAPHY**

1. Mei S., Katsuya A., Hiroshi O. Corporate Sustainable Assesment Base on Corporate Social Responsibility / Sun Mei, Agata Katsuya, Onoda Hiroshi // World Academy of Science, Engineering and technology. – 2011. – N 59. – p.747 – 750.

2. Susarla A. and Nazareth K. Sustainable Development: an Introduction / A. Susarla and K. Nazareth // Center for Environment Education. – 2007. – 40 p.

3. Joan Enric Ricart, Miguel Ángel Rodríguez, Pablo Sánchez, Lara Ventoso The Sustainable Enterprise: Learning from DJSI Leaders / Center for Business in Society (CBS) and the Center of Globalization of IESE Business School, in collaboration with SAM Research Inc., BBVA Foundation, December 2005. – 327 p.

4. Methodology Overview: The Definitive Global Sustainability Benchmark [Elektronnyi resurs]. – Rezhym dostupa: http://www.global100.org/methodology.html.

# საბანკო ბიზნესზე ერთდროულად მოქმედი რისკების ურთიერთზემოქმედების ფაქტორი

***გიორგი ცაავა***
*სტუ პროფესორი,*
*ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი*

**რეზიუმე**

ალნიშნულია, რომ რისკის საერთო ნორმატივის გაანგარიშების ფორმულის - მრიცხველში საკრედიტო რისკების მნიშვნელობები უბრალოდ შეიკრიბება (ჯამდება) და მათი ერთმანეთზე ზემოქმედების ფაქტორი არ იყო გათვალისწინებული. შეთავაზებულია ბანკის საერთო რისკის დაშვებადობის ხარისხის გაანგარიშების კორექტირებული ფორმულა.

**საკვანძო სიტყვები:** რისკი; საბანკო კრედიტი; ფინანსური აქტივები; ფინანსური კოეფიციენტების ანალიზი.

**ESTABLISHMENT OF THE FACTOR OF MUTUAL INFLUENCE OF SIMULTANEOUSLY ACTING RISKS ON THE BANKING BUSINESS**

**Prof. Tsaava G.**

**SUMMARY**

1. It has been established that in the calculation formula for the general standard of the bank's risks - in the numerator, the values of credit risks simply add up (run along) and do not take into account the degree of their mutual influence on each other, as such a factor is taken into account in the formula for determining the value of the annual inflation rate and is also confirmed in the formula for bringing the monthly interest rate for using the loan to the quarterly basis for interest payments.

2. An adjusted formula is proposed for calculating the degree of admissibility of the overall risk of the bank, where, taking into account the interaction of different risks acting simultaneously on the bank's operations, on the basis of which the values in the numerator should actually be increased by 35%, which can be expressed as follows:

Nr = 1.35 x (R1 + R2 + ... + Ri + ... + Rn) x E / K.

Or Nr = [(1 + Raverage ) 12 - 1] x 100.

Or Nr = [(1 + Raverage) 12 - 1] x 100 = [(1 + 0.05 / 5) 12 - 1] x 100 = [(1 + 0.01) 12 - 1] x 100 = (1,138 - 1) x 100 = 0.138 x 100 = 13.8 units

which in comparison directly with the addition of the result (10.25 units) is equal to an increase of 35%.

3. It is proposed that the coefficient of adequacy of the bank capital (K) should be calculated by the corrected formula:

K = (Gross capital) /

/ 1.35 (Risk-weighted assets) = 8%

**Key words:** Risk; Bank advance; Financial assets; Ratio analysis.

* * * *

განსახილველ პრობლემატიკასთან მიმართებაში მნიშვნელოვანია ალინიშნოს, რომ ***„ბოროტებას თავისთავად წარმოადგენს არა თვით რისკი, არამედ მხოლოდ ის რისკი, რომელიც მცდარადაა შეფასებული და რომელსაც არასწორად მართავენ".*** ასევე ყურადღება გვინდა გავამახვილოთ იმ ავტორისეულ აქსიომურ მოსაზრებაზე, რომ ***„ბუნებაში, ეკონომიკაში, ფინანსებში, საბანკო საქმეში ახალი, არის არა მარტო კარგად დავიწყებული ძველი, როგორც ეს ისტორიასთან მიმართებით თქმულებაშია დამკვიდრებული, არამედ დღემდე უჩინარის, უხილავისა და უცნობის მომავალიც".***

შეიძლება ხანგრძლივად ვისაუბროთ და დისკუსირება ვაწარმოოთ საკრედიტო რისკის სახეობების, არსის, კლასიფიკაციის, შეფასების ხერხებისა და მათი შემცირების შესახებ, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენი მიზანია ვაჩვენოთ, თუ პრაქტიკაში პოტენციალური მსესხებლის საკრედიტო რისკის ანალიზი როგორ ხორციელდება და ჩვენ მისი შეფასებიისას რა განსაკუთრებული პრობლემა აღმოვაჩინეთ.

ზოგადად ძირითადად შემდეგი სახეობის რისკები არსებობს: საბაზრო რისკი, ლიკვიდობის რისკი, საოპერაციო რისკი, პროცენტული რისკი, სავალუტო რისკი, საქმიანი რისკი, საანგარიშსწორებო რისკი, სამართლებრივი რისკი, სარეპუტაციო რისკი, საკრედიტო რისკი, ქვეყნიური რისკი, რეგიონალური რისკი, დარგობრივი რისკი, კლიენტის რისკი, საწარმოო რისკი, საგადახდო რისკი, პროექტის რისკი, უზრუნველყოფის რისკი და სხვა.

**.საბანკო საქმიანობის სპეციფიკის ძალისხმევით საბანკო მენეჯმენტში,** საკუთარი დანაზოგების ბანკისადმი მიმნდობი კლიენტების ინტერესების დაცვისა და თვით ბანკის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, **რისკების ეფექტურად მართვის საკითხები პირველ რიგითობაზეა წამოწეული.**

ბანკების საქმიანობაში და მათი ფინანსური მდგომარეობის შეფასებაში განმსაზღვრელ როლს, აღნიშნული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ერთდროულად მოქმედი რისკები ასრულებენ. **რისკის ქვეშ გაიგება - სამომავლო ფულად ნაკადებთან მიმართებაში განუსაზღვრელობა, დაგეგმილთან შედარებით ღირებულებით გამოსახულებაში წარმოდგენილი დანაკარგების ან შემოსავლების სრულად მიუღებლიბის ალბათობა.**

ბანკების საქმიანობის საერთო რეგულირებისათვის, მათ შორის მასზე ამა თუ იმ სახეობის

რისკების ზემოქმედების შეზღუდვის მიზნით, **საზედამხედველო ორგანოების მიერ სავალდებულო ეკონომიკური ნორმატივები და ლიმიტები გამოიყენება.** ამასთან, მოცემული პრობლემის განხილვისას **ყველაზე დიდი მნიშვნელობა საკუთრივ იმ რისკების ნორმატივებს გააჩნიათ, რომლებიც მათ დასაშვებ ზღვრებს განსაზღვრავენ.** განვიხილოთ შემდეგი პრაქტიკული მაგალითები:

**მაგალითი 1: ბანკის საერთო რისკის დონის განმსაზღვრელი ფორმულა ($N_r$)** წარმოდგენილია ქვემოთ შემდეგი სახით, სადაც განსაკუთრებით გვინდა ავღნიშნოთ, რომ გაანგარიშების ფორმულაში ბანკის დასაშვები საერთო რისკის მაჩვენებლები (შიდა საბანკო რისკები შეიძლება იყოს: სტრუქტურული, კლიენტების შემადგენლობის, საანგარიშსწორებო, საემისიო, ბანკის თანამშრომლების ბოროტმოქმედების, აქტიური და პასიური ოპერაციებისა და კაპიტალის, ანუ საბალანსო, საკრედიტო, საპროცენტო, სავალუტო, რეფინანსირების, დაუბალანსებელი ლიკვიდობის, ოპერაციების არასაკმარისი დივერიფიკაციის, ანუ საბანკო სპეციალიზაციის რისკები) უბრალოდ იკრიბება (ჯამდება) და მათი ურთიერთ ზემოქმედების მნიშვნელოვანი ფაქტორია უგულებულყოფილი, როგორც აღნიშნული გარემოება წლიური ინფლაციის ტემპის გაანგარიშების ფორმულაში, ყოველთვიური ინფლაციის ტემპების ერთმანეთზე ზემოქმედებაა გათვალისწინებული (2, с. 247-255):

**$Nr = (R1 + R2 + \ldots + Ri + \ldots + Rn) \times E / K$,**

სადაც: Nr – ბანკის დასაშვები საერთო რისკის ხარისხია; Ri – ბანკის რისკებია i – ოპერაციების მიხედვით ან რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების გათვალისწინებით (i = 1, 2, … , n); E – ქვეყნიური რისკებია (გარე რისკები); K – ბანკის კაპიტალია.

დავუშვათ, რომ საბანკო ბიზნესზე ერთდროულად მოქმედებს 5 სახეობის რისკი, თითოეული 5 ერთეულის სიდიდით, მაშინ ბანკის საერთო რისკის დონის განმსაზღვრელი ფორმულიდან გამომდინარე:

$N_r = (5 + 5 + 5 + 5 + 5) \times 5 / 12 = 10,25$.

ბანკის საერთო რისკის დასაშვები კრიტერიალური დონე, აქედან გამომდინარე 10 ერთეულის ფარგლებშია დადგენილი:

- N = (0 – 5) - ბანკის რისკის **დაბალი დონეა**, რომელსაც მან გარკვეული დროით შეიძლება იგნორირება გაუკეთოს;
- N = (5 – 10) - რისკის **საშუალო დონეა,** რომლისადმი საბანკო დაწესებულების მხრიდან გულმოდგინე ყურადღებას მოითხოვს;
- N = 10 - რისკის **მაღალი დონეა,** რომლის ზევით მნიშვნელობისას შეიძლება ბანკის გაკოტრებაც მოყვეს.

**მაგალითი 2: კომერციული ბანკებისათვის დადგენილი ეკონომიკური ნორმატივი kk1 (პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი) - ითვალისწინებს, რომ ბანკის პირველადი კაპიტალი უნდა იყოს რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების არანაკლებ 8 პროცენტისა** (3, გვ.282)**,** სადაც რისკის მიხედევით შეწონილი აქტივები უბრალოდ მხოლოდ იკრიბება (ჯამდება).

**მაგალითი 3: კომერციული ბანკებისათვის დადგენილი ეკონომიკური ნორმატივი kk2 (საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი) - ითვალისწინებს, რომ ბანკის პირველადი კაპიტალი უნდა იყოს რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების არანაკლებ 12 პროცენტისა** (3, გვ.282)**,** სადაც რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები კვლავ მხოლოდ უბრალოდ იკრიბება (ჯამდება).

ზემოთმოყვანილ სამივე მაგალითში - **ბანკის საერთო რისკის დასაშვებ დონეში, ასევე** კომერციული ბანკებისათვის დადგენილ **ეკონომიკურ ნორმატივებში (kk1 და kk2) გაანგარიშების ფორმულების** სტრუქტურაში ჩაღრმავების შედეგად, წინამდებარე ნაშრომის ავტორის ყურადღება ისეთ ფაქტორზე იქნა გამახვილებული, რომ ფორმულებში - საკრედიტო რისკების მნიშვნელობები (R1 + R2+ … + Ri + … + Rn) და რისკების მიხედვით შეწონილი აქტივების შედეგები **უბრალოდ მხოლოდ ჯამდება** (იკრიბება) და მათი ერთმანეთზე უშუალოდ ზემოქმედების ხარისხი (ფენომენი) არ არის გათვალისწინებული, როგორც აღნიშნული ფაქტორი გაითვალისწინება ინფლაციის წლიური ტემპის გაანგარიშების ფორმულაში გათვალისწინებულია: $[(1 + r_{თვ.})^n – 1] \times 100\%$ (1, გვ. 48). მაგალითად, თუ ზოგადად წლის განმავლობაში ყოველთვიური ინფლაცია 9%-ის ტოლია, მაშინ წლიური ინფლაცია არა (9% x 12 თვეზე) = 108%-ის, არამედ ყოველთვიური ინფლაციის მნიშვნელობების ერთმანეთზე უშუალოდ ზემოქმედების ხარისხის გათვალისწინებლის შედეგად, ტოლი იქნება:

**$[(1 + r_{თვ.})^n – 1] \times 100\% = [(1 + 0,09)^{12} - 1] \times 100\% = (1,09^{12} – 1) \times 100\% = (2,813 – 1) \times 100\% = 1,813 \times 100\% = 181,3\%$-ის,**

ანუ წლის განმავლობაში სხვადასხვა თვეების ინფლაციის მნიშვნელობების ერთმანეთზე უშუალოდ ზემოქმედების ხარისხის გათვალისწინებით (მათი მნიშვნელობების უბრალოდ დაჯამებისაგან განსხვავებით) რეალური მნიშვნელობის ნაზარდი კოეფიციენტი ამ შემთხვევაში (181,3 : 108) = 1,6-ის ჯერადია.

რამდენადაც ქვეყანაში თვიური 9%-იანი ინფლაცია მეტად არარეალურია, ავტორის მიერ ქვემოთ განხილულია საქართველოში რეალური თვიური ინფლაციის მნიშვნელობის 0,3-დან - 0,7%-ის პირობებში და თვიური ინფლაციების ერთმანეთზე უშუალოდ ზემოქმედების ხარისხის გათვალისწინებით, რეალური წლიური ინფლაციის გაანგარიშების ცხრილური მონაცემები და ნაზარდის კოეფიციენტებია ჩამოყალიბებული (იხ. ცხრ. 1).

**ცხრილი 1. ინფლაციის რეალური წლიური ტემპის გაანგარიშების მონაცემები თვიური ინფლაციების ერთმანეთზე ზემოქმედების გათვალისწინებით**

| თვიური ინფლაცია, პროცენტებში: | წლიური ინფლაცია ტოლია არა: $(r_{თვ.} \times 12) =$ | წლიური ინფლაცია გაიანგარიშება: $[(1 + r_{თვ.})^{12} -1] \times 100=$ | ნაზარდის კოეფიციენტი ტოლია: |
|---|---|---|---|
| თვიური ინფლაცია 0,3% | (0,3 x 12) =3,6% | [(1 + 0,3)$^{12}$ -1] x 100% = 4,26% | K = 4,26 / 3,6 = =1,2 |
| **თვიური ინფლაცია 0,4%** | **(0,4 x 12) = 4,8%** | **[(1 + 0,4)$^{12}$ -1] x 100% = 6,01%** | **K = 6,01 / 4,8 = =1,3** |
| **თვიური ინფლაცია 0,5%** | **(0,5 x 12) = 5,0%** | **[(1 + 0,5)$^{12}$ -1] x 100% = 7,56%** | **K = 7,56 / 5,0 = =1,3** |
| **თვიური ინფლაცია 0,6%** | **(0,6 x 12) = 7,2%** | **[(1 + 0,6)$^{12}$ -1] x 100% = 10,12%** | **K = 10,2 / 7,2 = =1,4** |
| თვიური ინფლაცია 0,7% | (0,7 x 12) = 8,4% | [(1 + 0,7)$^{12}$-1] x 100% = 12,52% | K = 12,5 / 8,4 = =1,5 |

მოცემული ცხრილური მონაცემებიდან ჩანს, რომ თვიური ინფლაციის 0,4%-დან 0,6%-მდე ფარგლებში ვარირებისას, ნაზარდის კოეფიციენტი თვიური ინფლაციების მაჩვენებლების ერთმანეთზე ზემოქმედების გათვალის-წინებით, 1,3-დან 1,4-ის ფარგლებში მერყეობს, ანუ საშუალო სიდიდე 1,35-ის ტოლია.

მოცემული ფორმულის მოდიფიცირების დამადასტურებელ არგუმენტად ასევე შეიძლება იურიდიული პირების მიერკრედიტის გამოყენებაზე პროცენტების გადახდის სიდიდის გაანგარიშების ფორმულაც იქნას გამოყენებული. ცნობილია, რომ კრედიტის გამოყენებაზე პროცენტების გადახდა ინდივიდუალური მეწარმეების მიერ - ყოველთვიურად, ხოლო იურიდიული პირების მიერ კი - ყოველთვიურად ან ყოველკვარტალურადაც არის დასაშვები. პროცენტის სიდიდის ყოველთვიური მნიშვნელობიდან ყოველკვარტალურ მნიშვნელობაზე გადაანგარიშება ხორციელდება შემდეგი ფორმულის საფუძველზე:

**J = [(1 + i / 12) x 3 - 1] x 4,**

სადაც: J – წლიური საპროცენტო განაკვეთიდან გამომდინარე ყოველკვარტალურად გადასახდელი სიდიდეა, პროცენტებში; i - წლიური საპროცენტო განაკვეთია, გამისახული ათწილადებში.

დავუშვათ, რომ წლიური სასესხო განაკვეთი 24%-ის, ანუ i = 0,24-ის ტოლია, მაშინ ყოველკვარტალურური გადასახდელი საპროცენტო განაკვეთი ტოლი იქნება არა (2% x 3 თვეზე) = 6%-ს, არამედ:

**J = [(1 + 0,24 / 12) x 3 - 1] x 4 = [(1 + 0,02) x 3 - 1] x 4 = (3,06 - 1) x 4 = 2,06 x 4 = 8,24%.**

აქედან გამომდინარე, კვარტალის (3 თვის) განმავლობაში ყოველთვიური საპროცენტო განაკვეთის ერთმანეთზე ზეგავლენის გათვალისწინებიტ ნაზარდი კოეფიციენტი ტოლი იქნება: **(8,24 : 6,0 ) = 1,37-ის.**

ამდენად საბანკო ბიზნესზე ერთდროულად რეალურად მოქმედი **რისკების ერთმანეთზე ზემოქმედების გათვალისწინებით რისკის მთლიანი მნიშვნელობა მინიმუმ 1,35-ის ჯერადად, ანუ 35%-ით უნდა იქნას გაზრდილი** და ბანკის საერთო რისკის დაშვებადობის ხარისხის კრიტერიალური დონის განმსაზღვრელი ფორმულა უკვე შემდეგი სახით უნდა იქნას ჩამოყალიბებული:

**Nr = 1,35 x (R1 + R2+ ... + Ri + ... + Rn) x E / K,**

და აღნიშნულიდან გამომდინარე საბანკო ბიზნესზე ერთდროულად მოქმედი რისკებიც ერთმანეთზე აუცილებლად იმოქმედებენ და ბანკის საერთო რისკის დაშვებადობის ხარისხის კრიტერიალური დომე უკვე (აღნიშნულ ჯერადობაზე შემცირებული უნდა იქნას) შემდეგი სახით უნდა იქნას ჩამოყალიბებული:

1) დაბალი დონე Nr = 0 – 4 ერთეული;
2) საშუალო დონე Nr = 4 – 7 ერთეული;
3) მაღალი დონე Nr = 7 და მეტი ერთეული.

აღნიშნულიდან გამომდინარე და წლიური ინფლაციის ტემპის გაანგარიშების ფორმულის კონსტრუქციის გამოყენებით, მთლიანი რისკის გაანგარიშების ფორმულა შემდეგი სახითაც აქვს შემოთავაზებული:

**Nr = [(1 + $R_{სშ}$)$^{12}$ - 1] x 100,** საიდანაც

**Nr = [(1 + $R_{სშ}$)$^{12}$ - 1] x 100 = [(1 + 0,05/5)$^{12}$ - 1] x 100 =**

**= [(1 + 0,01)$^{12}$ - 1] x 100 = (1,138 - 1) x 100 =**

**= 0,138 x 100 = 13,8 ერთეულს,**

რაც მონოგრაფიის მე-12 გვერდზე Nr-ის ფორმულაში ერთდროულად მოქმედი რისკების სიდიდეების შეკრებით მიღებული შედეგის (10,25 ერთეული) 34,7%% -იან ნაზარდს შეადგენს, ანუ ერთდროულად მოქმედი რისკების ერთმანეთზე ზემოქმედების თითქმის 35%-იანი ნაზარდის ფენომენს ადასტურებს.

შეთავაზებულია ასევე ბანკის კაპიტალის ადე-

**ცხრილი 2.რისკების მიხედვით შეწონილი აქტივებისა და კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტის გაანგარიშების გამარტივებული ილუსტრაცია**

| | | | |
|---|---|---|---|
| **ა) ბალანსი (მაგალითად, ათას ლარში)** | | | |
| **აქტივები:** | | **პასივები:** | |
| -სალარო | 20 | -დეპოზიტები | 242 |
| -ფულადი სახსრები ბანკში | 60 | -საწესდებო კაპიტალი | 12 |
| -იპოთეკური კრედიტი | 90 | -წმინდა გაუნაწილებელი მოგება | 2 |
| -სხვა სესხები | 100 | -მთლიანი კაპიტალი | 14 |
| **სულ აქტივები:** | **270** | **სულ პასივები:** | **270** |
| **ბ) რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები და კაპიტალი:** | | **ბ) რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები და კაპიტალი** (ერთდროულად მოქმე-დი რისკების ერთმანე-თზე ზემოქმედების ავ-ტორისეული კოეფიცი-ენტი 1,35-ის გათვალის წინებით ვარიანტი): | |
| 1)მთლიანი კაპიტალი | 14 | | **14** |
| 2)რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები: | | | |
| -სალარო (რისკის ნულოვანი წონა)<br>20 x 0,00 = 0 | 0 | | **0** |
| -ფულადი სახსრები ბანკში (რისკის წონა 20%)<br>60 x 0,20 = 30 | 30 | **(30 / 1,35) = 23** | **23** |
| -იპოთეკური კრედიტები (რისკის წონა 50%)<br>90 x 0,50 = 45 | 45 | **(45 / 1,35) = 33** | **33** |
| -სხვა კრედიტები (რისკის წონა 100%)<br>100 x 1,00 = 100 | 100 | **(100 / 1,35) = 74** | **74** |
| 3)რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების ჯამი | 175 | **(175 / 1,35) = 130** | **130** |
| **გ)კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი** განსაზღვრული როგორც: | | **გ)კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი** განსაზღვრული როგორც: ერთდროულად მოქმე-დი რისკების ერთმანე-თზე ზემოქმედების ავტორისეული კოეფიციენტი 1,35-ის გათვალისწინებით: | |
| (მთლიანი კაპიტალი) / (რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები) = 14 / 175 = 0,08 ე.ი. 8% | **8%** | **(მთლიანი კაპიტალი) / 1,35 x(რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები) =<br>14 / (175 / 1,35) x 1,35 = = 14 / (130 x 1,35) = 0,08 ე.ი. 8%** | **8%** |

კვატურობის კოეფიციენტის (K) გაანგარიშების კორექტირებული ფორმულა, რომელსაც შეიძლება შემდეგი სახე ქონდეს:

**K = (მთლიანი კაპიტალი) /**

**/ 1,35 (რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები) = 8%**

ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით შემდეგი სახის დასკვნის გაკეთება არის შესაძლებელი:

**1. დადგენილია,** რომ ბანკის **რისკის საერთო ნორმატივის** გაანგარიშების ფორმულის - მრიცხველში **საკრედიტო რისკების მნიშვნელობები უბრალოდ შეიკრიბება (ჯამდება)** და მათი **ერთმანეთზე ზემოქმედების ფაქტორი არ არის გათვალისწინებული,** როგორც ასეთი ფენომენი **წლიური ინფლაციის ტემპის გაანგარიშების ფორმულაში** და კრედიტის გამოყენებაზე დარიცხვადი **თვიური საპროცენტო განაკვეთის სიდიდის კვარტალურ ბაზისამდე დაყვანის ფორმულაშიც არის დადასტურებული.**

**2.შეთავაზებულია** ბანკის საერთო **რისკის დაშვებადობის ხარისხის გაანგარიშების კორექტირებული ფორმულა (Nr),** სადაც ბანკის ოპერაციების მიხედვით ერთდროულად მოქმედი სხვადასხვა რისკების ერთმანეთზე ზემოქმედებაა გათვალისწინებული, რომლის საფუძველზე ფორმულის მრიცხველში რისკების მნიშვნელობა რეალურად მინიმუმ 35%-ით უნდა იქნას გაზრდილი, შემდეგი სახით შეიძლება გამოისახოს:

**$Nr = 1,35 \times (R1 + R2 + \ldots + Ri + \ldots + Rn) \times E / K$.**

**ან $Nr = [(1 + R_{სშ})^{12} - 1] \times 100$,**

საიდანაც: **$Nr = [(1 + R_{სშ})^{12} - 1] \times 100 = [(1 + 0,05/5)^{12} - 1] \times 100 =$**

**$= [(1 + 0,01)^{12} - 1] \times 100 = (1,138 - 1) \times 100 =$**

**$= 0,138 \times 100 = 13,8$ ერთეულს,**

რაც უშუალოდ მხოლოდ დაჯამებით (შეკრებით) მიღებულ შედეგთან მიმართებაში (10,25 ერთეული) 35%-იანი ნაზარდის ტოლია.

3.ასევე შეთავაზებულია, რომ ბანკის **კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი** (K) ასევე გაანგარიშებული უნდა იქნას ავტორისეული კორექტირებული ფორმულით:

**K = (მთლიანი კაპიტალი) /**

**/ 1,35 (რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები) = 8%.**

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. Цаава Г.Ф., Бицадзе В.Г., Липартия З.Ш. – Финансовый менеджмент – учебник. – Тбилиси, издательство «Академиа Наук Абхазии», 2006. – 992 с.

2. Лаврушин О.И. – Деньги. Кредит. Банки: учебник, конспект лекции по дисциплине «Деньги. Кредит. Банки». – Москва: КНОРУС, 2005. – 460 с.

3. Цаава Г.Ф., Хантадзе Г.Г. – Банковское дело (Теория, методы и практика), учебник. – Тбилиси, издательство: «Дани», 2014. – 600 с. (На грузинском языке).

# მცირე ინოვაციური ბიზნესი საქართველოში: არსებული პირობები, განვითარების პრობლემები

*კახაბერ ციმინტია*
*სსუ ასოცირებული პროფესორი*

**რეზიუმე**

მაღალი და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაში, საშუალო ფენის ფორმირებაში, დასაქმების ზრდაში, სოციალური დიფერენციაციის შემცირებაში, შესაბამისად მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ხარისხის მისაღები დონის უზრუნველყოფაში განსაკუთრებული როლი მცირე ბიზნესს ენიჭება. ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ XXI საუკუნის დასაწყისისთვის, პოსტინდუსტრიული საზოგადოების თავისებურებების შესაბამისად, როდესაც განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორი ხდება ცოდნა, ინფორმაცია, სპეციფიკური ნიშნებიც შემოვიდა. კერძოდ, მცირე ბიზნესის განვითარებაში არსებითი როლი ინოვაციურმა ხასიათმა შეიძინა.

XXI საუკუნეში საქართველოში განხორციელებულმა სისტემურმა და რადიკალურმა რეფორმებმა დადებითი გარემო შექმნა მცირე ინოვაციური ბიზნესის ფუნქციონირებისთვის და ამჟამადაც აქტიურად ხორციელდება მათი განვითარების ღონისძიებები. ამასთან, მიღწეული დონე კვლავაც არასახარბიელოა. საქართველოს ეკონომიკის ინოვაციურობის მაჩვენებელი ძალიან დაბალია. საქართველოში მცირე ინოვაციური ბიზნესის განვითარების შემაფერხებელ ფაქტორებად წარმოგვიდგება ფინანსებზე ხელმისაწვდომობის სირთულე და სიძვირე, დეკლარირებული და რეალური პირობების განსხვავებულობა, რეგიონებში მცირე ბიზნესის განვითარების დაბალი დონე, საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების და შესაბამისი სახელმწიფო პროგრამების ნაკლებობა.

**საკვანძო სიტყვები:** ინოვაცია. მცირე ბიზნესი. ინოვაციური ბიზნესი. ბიზნესის განვითარება

**SMALL INNOVATIVE BUSINESS IN GEORGIA: CURRENT CONDITIONS, DEVELOPMENT PROBLEMS**

**Kakhaber Tsimintia**
Associated Professor of Sokhumi State University

**RESUME**

Providing high and inclusive economic growth, middle class formation, Increasing employment, In the reduction of social differentiation, Accordingly, Providing the level of living and quality of life of the population a special role is given to small businesses. It is noteworthy that at the beginning of the XXI century, according to the peculiarity of post-industrial society, when development determinant factor becomes knowledge, information, and specific signs. In particular, the essential role of small business development has acquired by innovative character.

Systemic and radical reforms implemented in Georgia in the XXI century have created a positive environment for the functioning of small innovative businesses and are still actively involved in their development activities. At the same time, the level reached is still unfavorable. The level of innovation in the economy of Georgia is very low. In Georgia for small innovative business development the complexity and cost of available finances, the difference in declared and real terms, low level of small.

**Keywords:** innovation. Small Business. Innovative business. Business development.

* * * *

მაღალი და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაში, საშუალო ფენის ფორმირებაში, დასაქმების ზრდაში, სოციალური დიფერენციაციის შემცირებაში, შესაბამისად მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ხარისხის მისაღები დონის უზრუნველყოფაში განსაკუთრებული როლი მცირე ბიზნესს ენიჭება. ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ XXI საუკუნის დასაწყისისთვის, პოსტინდუსტრიული საზოგადოების თავისებურებების შესაბამისად, როდესაც განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორი ხდება ცოდნა, ინფორმაცია, სპეციფიკური ნიშნებიც შემოვიდა. კერძოდ, მცირე ბიზნესის განვითარებაში არსებითი როლი ინოვაციურმა ხასიათმა შეიძინა.

ცნობილია, რომ ინოვაცია მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან novation (განახლება, ცვლილება). თანამედროვე ინოვაციური კონცეფციების ფუძემდებლად კი იოზეფ შუმპეტერი ითვლება და მისი ყველაზე ცნობილი განმარტებით ინოვაცია ესაა მეწარმის მიერ წარმოების ფაქტორებისა და პირობების „ახლებური კომბინაცია". ფართო გაგებით ინოვაცია ეს არის სიახლეთა დანერგვის პროცესი, რომელიც იწვევს პროდუქციის ხარისხობრივ ან ეფექტიანობის ზრდას. ი. შუმპეტერი ინოვაციის დახასიათებისას გამოყოფდა „ხუთ ტიპურ ცვლილებას".

1. ახალი, მომხმარებლისთვის მანამდე უცნობი პროდუქციის ან არსებული პროდუქციის ხარისხობრივად ახალი სახის დანერგვა.

2. წარმოების ახალი მეთოდების დანერგვა, რომ-

ლებიც ეფუძნებიან სამეცნიერო აღმოჩენებს ან წარმოადგენენ პროდუქციის ან ნედლეულის კომერციული გამოყენების ახალ ხერხს.

3. წარმოების გარკვეული დარგისთვის მანამდე უცნობი ახალი ბაზრის აღმოჩენა (გახსნა), იმისდა მიუხედავად ეს ბაზარი მანამდე არსებობდა თუ არა.

4. ნედლეულის ან ნახევარფაბრიკატის ახალი წყაროს მიღება, იმისდა მიუხედავად ეს წყარო მანამდე არსებოობდა თუ არა.

5. დარგის ორგანიზებაში ცვლილების რეალიზება. კერძოდ, მონოპოლიური პოზიციის დაკავება (ტრესტების შექმნით) ან ამ მდგომარეობის დაკარგვა [4].

მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ინოვაციურ პროცესებში მსხვილი ბიზნესის არსებითი, გაბატონებული მდგომარეობა არ იწვევს მცირე და საშუალო ფირმების გაქრობას და მათი მნიშვნელობის შემცირებას. მაგალითად, XX საუკუნის დასასრულისთვის ამერიკული კომპანიები, 1000 კაცზე ნაკლები დასაქმებულით, შეიმუშავებდნენ 17-ჯერ მეტ მსხვილ ტექნოლოგიურ სიახლეებს ვიდრე ფირმები 10 000-ზე მეტი დასაქმებულით [5, გვ. 45). ასევე, სამეცნიერო კვლევებზე მცირე ინოვაციურ სფეროში დანახარჯების ეფექტიანობა 4-ჯერ მაღალია, ვიდრე მსხვილ კორპორაციებში [6, გვ.102]. 1 დასაქმებულზე მცირე ბიზნესი 2,5-ჯერ მეტ ინოვაციას ქმნის ვიდრე მსხვილი და ამასთან 75%-ით ნაკლები დანახარჯებით [7, გვ. 30].

XXI საუკუნის განვლილ პერიოდში საქართველოში განხორციელებულმა რადიკალურმა და სისტემურმა რეფორმებმა, როგორც საზოგადოებრივი საქმიანობის სხვა სფეროებში, ისევე ბიზნესშიაც მნიშვნელოვანი დადებითი პირობების ფორმირება მოახდინა. კერძოდ, საფინანსო, საბიუჯეტო, საბაჟო, საბანკო და საგადასახადო სისტემაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად დაძლეულ იქნა საბიუჯეტო და ენერგეტიკული კრიზისები, შემცირდა საგადასახადო ტვირთი და გამარტივდა საგადასახადო სისტემა, გამარტივდა საბაჟო პროცედურები, ახლიდან შეიქმნა ეფექტური და მარტივი სახელმწიფო სერვისების სისტემა, მინიმუმამდე იქნა დაყვანილი კორუფცია.

საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ძირითად სამოქმედო პროგრამას წარმოადგენს „საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის“, რომლის ძირითად მიზნადაც განსაზღვრულია: მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, მათი კონკურენტუნარიანობის და ინოვაციების შესაძლებლობების ამაღლება, შედეგად კი შემოსავლებისა შემოსავლების და სამუშაო ადგილების ზრდა და შესაბამისად, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის მიღწევა. კონკრეტულ მიზნებად კი დიფერენცირებულია: 1. 2020 წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოების გამოშვების ზრდა წლიურად საშუალოდ 10%-ით; 2. 2020 წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა ზრდა 15%-ით; 3. 2020 წლისთვის მწარმოებლურობის ზრდა 7%-ით [1; გვ.23]. აღნიშნული სტრატეგიის ძირითადი ამოცანებად განსაზღვრულია: ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლება; სამეწარმეო უნარების ამაღლება და თანამედროვე სამეწარმეო კულტურის დანერგვა; მცირე და საშუალო საწარმოების მოდერნიზაციის და ტექნოლოგიური გაუმჯობესების ხელშეწყობა [1; გვ.23], ხოლო პოლიტიკის სტრატეგიული მიმართულებებად: 1: საკანონმდებლო, ინსტიტუციური და სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება; 2: ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება; 3: მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარების განვითარება და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა; 4: ექსპორტის ხელშეწყობა და მცირე და საშუალო საწარმოთა ინტერნაციონალიზაცია; 5: ინოვაციების, კვლევის და განვითარების ხელშეწყობა [1; გვ.24]. აღსანიშნავია რომ საქართველოს ინოვაციურ პოლიტიკას წარმართავს საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო, რომელიც ამ მიმართულებით საკმაოდ ნაოფიერ საქმიანობას ეწევა. სხვადასხვა რეგიონებში ფორმირებულია 20-ზე მეტი სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია, ინოვაციური და მაღალტექნოლოგიური ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით მოქმედებს პროექტი „სტარტაპ საქართველო“.

მიუხედავად ბიზნეს-გარემოს არსებითი გაუმჯობესებისა მცირე ბიზნესის განვითარების თვალსაზრისით სიტუაცია კვლავაც პრობლემურია. შესაბამისად, კვლავაც არახელსაყრელია კონკურენტული გარემო, მაღალია უმუშევრობა და სოციალური დიფერენციაცია.

საქართველოს ეკონომიკის ინოვაციურობაზე შეიძლება ვიმსჯელოთ ქვეყნის გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსით (GCI) (ცხრილი 1). „გლობალური კონკურენტუნარიანობის მოხსენების“ („The Global Competitiveness Report“) მიხედვით გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსით საქართველო 2014-2015 წლების მონაცემებით 144 ქვეყნას შორის 69-ე ადგილს იკავებდა (4.22 ქულა), 2016-2017 წლებისთვის აღნიშნულ რეიტინგში 10 საფეხურით წაიწია და 138 ქვეყანას შორის - 59-ე ადგილი (4.32 ქულა) დაიკავა, ხოლო 2017-2018 წლებისთვის 137 ქვეყანას შორის - 67-ე ადგილი უკავია (4.28 ქულა).

ეკონომიკის ინოვაციურობა გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის (GCI) ერთ-ერთი კომპონენტია და ამ მაჩვენებლით საქართველოს მდგომარეობა არასახარბიელოა. კერძოდ, 2017-2018 წლების ანგარიშით 118-ე ადგილს იკავებს 137 ქვეყანას შორის. განსაკუთრებულად ნეგატიურია ქვეყნის ინოვაციურობის ისეთი კომპონენტები, როგორიცაა: ინოვაციური შესაძლებლობები; სამეცნი-

ცხრილი 1.

**საქართველო რეიტინგი გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით**

| მაჩვენებელი | | 2014-2015 წწ (144 ეკონომიკას შორის) | 2015-2016 წწ (140 ეკონომიკას შორის) | 2016-2017 წწ (138 ეკონომიკას შორის) | 2017-2018 წწ (137 ეკონომიკას შორის) |
|---|---|---|---|---|---|
| | | ადგილი | ადგილი | ადგილი | ადგილი |
| | | ქულა | ქულა | ქულა | ქულა |
| ჩგლობალური კონკურენტუნარია-ნობის ინდექსი (GCI) | | 69 | 66 | 59 | 67 |
| | | 4.22 | 4.22 | 2.32 | 4.28 |
| ინოვაციურობა | | - | - | 116 | 118 |
| | | | | 2.8 | 2.8 |
| 01 | ინოვაციური შესაძლებლობები | 110 | 121 | 105 | 99 |
| | | 3.3 | 3.4 | 3.7 | 3.7 |
| 02 | სამეცნიერო-კვლევითი ინსტი-ტუტების ხარისხი | 119 | 119 | 118 | 127 |
| | | 2.8 | 2.8 | 3.0 | 2.7 |
| 03 | ჯკვლევებსა და განვითარებაზე კომპანიების დანახარჯები | 126 | 127 | 123 | 122 |
| | | 2.4 | 2.5 | 2.7 | 2.7 |
| 04 | კვლევებსა და განვითარებაში უნივერსიტეტებისა და საწარ-მოების თანამშრომლობა | 128 | 128 | 119 | 116 |
| | | 2.6 | 2.6 | 2.7 | 2.8 |
| 05 | მთავრობის მიერ თანამედროვე ტექნოლოგიური პროდუქტის შესყიდვა | 69 | 95 | 84 | 78 |
| | | 3.5 | 3.0 | 3.1 | 3.2 |
| 06 | მეცნიერებისა და ინჟინრები-სადმი ხელმისაწვდომობა | 122 | 113 | 115 | 125 |
| | | 3.2 | 3.3 | 3.3 | 3.0 |
| 07 | პატენტების გამოყენება | 65 | 60 | 59 | 70 |
| | | 1.3 | 1.6 | 2.1 | 1.0 |

ერო-კვლევითი ინსტიტუტების ხარისხი; კვლევებსა და განვითარებაზე კომპანიების დანახარჯები; კვლევებსა და განვითარებაში უნივერსიტეტებისა და საწარმოების თანამშრომლობა; მეცნიერებისა და ინჟინრებისადმი ხელმისაწვდომობა [8, გვ.14; 188-189. 9, გვ.7; 176-177. 10, გვ. 7; 184-185. 11, გვ. 13; 124-125].

მცირე ინოვაციური ბიზნესის განვითარებაში არსებულ საკითხებს შორის განსაკუთრებულად გვინდა აღვნიშნოთ ორი ძირითადი პრობლემა: არახელსაყრელი კონკურენციული გარემო და დაბალი მწარმოებლობა. განვითარებული მცირე ბიზნესი მიუთითებს კონკურენტული გარემოს არსებობაზე. თავის მხრივ, მცირე ბიზნესის განვითარებისთვის აუცილებელია ხელსაყრელი კონკურენტული ფონი. საქართველოში ამ მიმართულებით არახელსაყრელი პირობებია შექმნილი ბიზნესის წარმოებას ხელს უშლის დეკლარილებულიდან განსხვავებული რეალური პირობები, რომლებიც დამატებით სირთულეებს უქმნიან ფირმების ფუნქციონირებას. მეორეს მხრივ, მთელ რიგ დარგებში დაბალია მწარმოებლურობა. მწარმოებლურობის ცნობილი დეტერმინანტებიდან (ფიზიკური და ადამიანური კაპიტალი, ბუნენრივი რესურსები, ტექნოლოგიური ცოდნა), ერთმნიშვნელოვნად მხოლოდ ბუნებრივი რესურსების ხელსაყრელობაზე შეიძლება მივუთითოთ. ასევე მნიშვნელოვან პრობლემებად გვევლინება ფინანსებისადმი ხელმისაწვდომობის სიძვირე და სირთულე, აგრარულ სექტორში დაზღვევის სისტემის გაუმართაობა, საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების ნაკლებობა.

ამგვარად, XXI საუკუნეში საქართველოში განხორციელებულმა სისტემურმა რეფორმებმა დადებითი გარემო შექმნა მცირე ინოვაციური ბიზ-

ნესის განვითარებისთვის და ამჟამად აქტიურად ხორციელდება მათი განვითარების ღონისძიებები. ამასთან, ინოვაციური ბიზნესის განვითარების მიღწეული დონე კვლავაც არასახარბიელოა. ამ სფეროში არსებულ პრობლემათა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია დაბალი კონკურენტუნარიანობა, მწარმოებლურობის დაბალი დონე, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის სირთულე და სიძვირე, დეკლარირებული და რეალური პირობების განსხვავება, რეგიონებში ინოვაციური ბიზნესის განვითარების დაბალი დონე, საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების და შესაბამისი სახელმწიფო პროგრამების ნაკლებობა.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1.საქართველოსმცირედასაშუალომეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის. http://gov.ge/files/439_54422_706524_100-1.pdf

2. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია. საქართველო 2020. http://www.economy.ge/uploads/ecopolitic/2020/saqartvelo_2020.pdf

3. ციმინტია კ. მიკრო და მცირე ბიზნესის განვითარების პრობლემები საქართველოში. ჟურ. „ბიზნეს-ინჟინერინგი“. 2018, №3-4.

4. Schumpeter J. Theorie der Wirtschaftlichen Entwicklung. 1912. https://www.google.com/search?client=opera&q=(Theorie+der+Wirtschaftlichen+Entwicklung.+1912).&sourceid=opera&ie=UTF-8&oe=UTF-8

5. Гончаров В.В. Новые прогрессивные формы организаций в промышленности. М.,1998.

6. Рузавина Е., Шеховцова Н. Венчурный капитал и инновации. РЭЖ., №7, 1992.

7. Фирсов В.А. Венчурное предпринимательство как интегратор науки и бизнеса. „Автоматизация и Современные Технологии. №1, 1995

8. The Global Competitiveness Report 2014-2015.

9. The Global Competitiveness Report 2015-2016.

10. The Global Competitiveness Report 2016-2017.

11. The Global Competitiveness Report 2017-2018.

# ფერმერული მეურნეობის პრიორიტეტულ მიმართულებებში არსებული პრობლემები.

*მანანა შალამბერიძე*
*აწსუ ასოცირებული პროფესორი*
*ზეინაბ ახალაძე*
*აწსუ ასოცირებული პროფესორი*

**PROBLEMS IN PRIORITY AREAS OF FARMING**

**Manana Shalamberidze**
**Zeinab Akhaladze**

**RESUME**

In the context of a market economy, the development of priority farming directions is an important step in the development of agriculture.

The organizational form of farming in Georgia has not been adequately aligned with the economic structure, labor process, and purpose. To do this, we should consider the directions that are promising and that will firmly take its place in the system of market relations. because the production of this development in the nation's food security and food independence to reach medium-term priority for the local production of products to satisfy the maximum demand of the population, for the parties and regions to define the priorities of the production, which is a bunch of any p it is connected, it can be concluded that the domestic and farming problems in the priority areas and the elimination of the need for the development of a relevant legal framework, tax system, the more the introduction of the program. Otherwise, many enterprises will cease to exist in one form or another, which will pose a serious threat to agriculture.

**საკვანძო სიტყვები:** აგრარული სფერო; ფერმერული მეურნეობები; აგრობიზნესი,

* * * *

საბაზრო ეკონომიკის პირობებში სოფლის მეურნეობის განვითარებაში მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენს ფერმერული მეურნეობების პრიორიტეტულ მიმართულებების განვითარება ბოლო პერიოდში აგრარულ სფეროში განხორციელდა რთული ორგანიზაციულ-სამეურნეო და სამრეწველო წარმოების სინთეზი აგრობიზნესის სახით. აგროსფეროში გაერთიანდა საკუთრივ სოფლის მეურნეობა, სოფლის მეურნეობისათვის წარმოების საშუალებათა მწარმოებელი და სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი დარგები, შესაბამისი სავაჭრო რგოლები და ა.შ. აგრობიზნესის სისტემაში წამყვანი პოზიცია უჭირავს კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის სხვა დარგების კოოპერაციულ ფერმერთა გაერთიანებას.

ქვეყანაში მომხდარი ძირეული ცვლილებების ანალიზიდან კარგად ჩანს, რომ დეკოლექტივიზაციის სტიქიურად დაწყებულმა მოვლენებმა, სოფლის მეურნეობაში მძიმე სიტუაცია ჩამოაყალიბა. დაინგრა მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მოიშალა ორგანიზაციულ-მმართველობითი ურთიერთობანი. ასეთ სიტუაციაში აუცილებელი იყო შექმნილიყო საოჯახო, გლეხური და ფერმერული მეურნეობების ისეთ მმართველობით-ორგანიზაციულ ურთიერთობათა სისტემა, რომელიც პირადი და სახელმწიფო ინტერესების დაცვისა და, რაც მნიშვნელოვანია, სოფლის მეურნეობის კომპლექსურ განვითარებას შეუწყობს ხელს. საოჯახო, გლეხურ და ფერმერულ მეურნეობების ბაზაზე ნებაყოფლობის პრინციპზე, კოოპერატივების, ფირმების ასოციაციების, სააქციო საზოგადოებების შექმნა მნიშვნელოვნად აამაღლებს მათ სიცოცხლის უნარიანობას. ამჟამად ყველაზე მეტად გავრცელებულია ოჯახური და ფერმერული მეურნეობები. აღსანიშნავია, რომ მაღალგანვითარებულ ქვეყნებში სოფლის მეურნეობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ოჯახური და ფერმერული მეურნეობები მთელი რიგი შეღავათებით სარგებლობენ. ამიტომაა, რომ ხშირად სხვა დარგის საწარმოები თავიანთი კაპიტალის ნაწილს სოფლის მაურნეობაში სწორედ გარკვეული შეღავათებით სარგებლობის უფლების მოპოვების მიზნით აბანდებენ. რადგან წარმოების ამ სფეროს განვითარებით ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებისა და სასურსათო დამოუკიდებლობის მიღწევა საშუალო ვადიან პერიოდში პრიორიტეტულია ადგილობრივი წარმოების პროდუქციით მოსახლეობის მოთხოვნის მაქსიმალური დაკმაყოფილება, ამისათვის ცალკეული მხარეების და რაიონებისათვის უნდა განისაზღვროს წარმოების პრიორიტეტული მიმართულებები, რომელიც რამოდენიმე პრობლემასთან არის დაკავშირებული, კერძოდ:

* წარმოების ეფექტიანობის ამაღლებით მოგების ზრდის მიღწევა, თვითდაფინანსებისა და კომერციული ანგარიშიანობის გატარება (ცხადია, მხოლოდ უცხოური ინვესტიციებით შეუძლებელია მუდმივად საწარმოთა საბრუნავი საშუალებების განახლება. მისი ძირითადი წყარო საკუთარი და ადგილზე მოზიდული ფულადი სახსრები უნდა გახდეს);

* სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა სტრუქტურული ცვლილებების დაჩქარება და აგროსასურსათო სექტორის მართვის ოპტიმიზაცია, რომელიც

მოიცავს სოფლის მეურნეობის შიდა დარგობრივი სტრუქტურების, მომსახურე და გადამმუშავებელი საწარმოების ოპტიმალურ ურთიერთკავშირს;

* სოფლად მრავალფორმიანი საკუთრებითი ურთიერთობების განვითარება კერძო საკუთრების პრიმატით, ძველი სისტემიდან მემკვიდრეობით მიღებული სამეურნეო ფორმების ტრანსფორმაცია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების, საიჯარო, ფერმერული, გლეხური მეურნეობების სახით;

* მიწის თავისუფალი ბაზრის შექმნა.

აღნიშნული პრობლემების დარეგულირება, თავის მხრივ, ფერმერული მეურნეობის პრიორიტეტულ მიმართულებებში სწორად განსაზღვრავს განვითარების პერსპექტივებს, რისთვისაც საჭიროა შემდეგი ასპექტის გათვალისწინება:

* აგრარულ პოლიტიკაში გასათვალისწინებელია ის, რომ ქვეყნის გარდამავალ ეტაპზე წარმოების განვითარების პერსპექტივებსა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგობრივ სტრუქტურას განსაზღვრავს არა უშუალოდ საბაზრო მოთხოვნილება, არამედ საბაზრო პირობებში საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების დონე, მისი თავისებურებანი, რაც უწინარესად, საწარმოო-ბუნებრივი პირობებიდან და მთელი რიგი სხვა სპეციფიკური ფაქტორებიდან გამომდინარეობს.

* ბაზრის მოთხოვნილებას რეალური პროდუქციის მიწოდებით უნდა უპასუხოს სასოფლო-სამეურნეო წარმოებამ, რისთვისაც შესაბამისად უნდა შეიცვალოს წარმოების წესი, დარგობრივი სტრუქტურა, წარმოების ეკონომიკური და ორგანიზაციული საფუძვლები. განვითარდეს ის დარგები, რომელთა პროდუქცია კონკურენტუნიარიანია, როგორც შიდა, ასევე გარე ბაზრებზე.

* საჭიროა იმის გათვალისწინება, რომ ნებისმიერი ქვეყნის ბაზრის გაჯერება ხდება საკუთარი წარმოების და იმპორტული პროდუქციის გონივრული შეთანაწყობით, ამ ორი ელემენტის რაციონალური ინტეგრაციით, უმაღლესი ეკონომიკური სარგებლიანობის პრინციპიდან გამომდინარე.

შეიძლება დავასკვნათ, რომ ოჯახური და ფერმერული მეურნეობების პრიორიტეტულ მიმართულებებში არსებული პრობლემების აღმოფხვრისა და განვითარებისათვის საჭიროა, სათანადო იურიდიული ბაზის შექმნა, საგადასახადო სისტემის დახვეწა, უფრო მეტი სახელმწიფო პროგრამის დანერგვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამა თუ იმ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით ბევრი საწარმო არსებობას შეწყვეტს, რაც სერიოზულ საფრთხეს შექმნის.

**ლიტერატურა:**

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2012- 2022.
2. მ. შალამბერიძე ფერმერული მეურნეობის მენეჯმენტი ქუთაისი 2015
3. ო. ქეშელაშვილი ფერმერული მეურნეობის მენეჯმენტი.–თბილისი 2006.
4. ს. თურმანიძე , გ.ჭკადუა, გ. ვაშაკიძე, ი. ძირკვაძე ბიზნეს მენეჯმენტი სოფლის მეურნეობაში. .თბ. 2006

# კომპანიათა საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის თავისებურებები და კონკურენცია

*ლალი ჩაგელიშვილი-აგლაძე,*
*ეკ. მეცნ. დოქტ. პროფესორი,*
*გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის*
*ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის*
*ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი*
*კობა ჩაგელიშვილი,*
*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,*
*გურამ თავართქილაძის სახელობის*
*თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი*

## რეზიუმე

ნაშრომში განხილულია ინტერნაციონალლიზაციის თავისებურებები თანამედროვე კონკურენციის პირობებში. ქართული კომპანიების მაგალითზე გაანალიზებულია ინტერნაციონალიზაციის მოდელები და მოცემული კომპანიებისათვის მათი გამოყენების რეკომენდაციები; გამოვლენილია ის პრობლემები, რომლებიც ხელს უშლიან ინტერნაციონალიზაციის განხორციელებას ქართულ კომპანიებში.

**საკვანძო სიტყვები:** ინტერნაციონალიზაცია, კომპანია; ინოვაცია; მოდელი; კონკურენტუნარიანობა.

## FEATURES OF INTERNATIONALIZATION OF COMPANIES BUSINESS ACTIVITY AND COMPETITION

**Lali Chagelishvili-Agladze,**
**Koba chagelishvili**

## RESUME

Article analyzes the character of internationalization under the condition of modern competitiveness, models of internationalization on the examples of Georgian companies. There are given recommendations of their use for the companies mentioned in the article. The article identifies the problems which prevents implementing internationalization in Georgian companies.

**Key words:** internationalization, company, innovation, model, competition.

## შესავალი

უკანასკნელ პერიოდში სახელმწიფოებს შორის ინტეგრაციის პროცესი მნიშვნელოვნად დაჩქარდა. მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა პროცესებმა ახალი ამოცანები დასახეს ქვეყნების წინაშე. დღეისათვის ფაქტიურად ხდება ფუნქციების გადანაწილება და ცალკეული სახელმწიფოს პოზიციების წინ წამოწევა მსოფლიო გლობალურ სივრცეში. რაც თავისთავად განაპირობებს საერთაშორისო კონკურენციის კიდევ უფრო მეტად გაძლიერებას. მძაფრი კონკურენციის პირობებში სახელმწიფოთა წინაში დგება საკითხი ეროვნული ეკონომიკური სუბიექტების დაცვისა და მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობის და მდგრადობის შესახებ. აღნიშნული კი სულ უფრო მეტად საჭიროებს ინტერნაციონალიზაციის პროცესის დაჩქარებასა და მისი მასშტაბების ზრდას, რადგანაც კლასიკური განმარტებით ინტერნაციონალიზაცია წარმაოდგენს ქვეყნებს შორის მდგრადი ეკონომიკური ურთიერკავშირის პროცესს.

ინტერნაიონალიზაციის პროცესის განხილვა აუცილებელია მოხდეს კომპლექსურად, როგორც მაკრო ისე მეზო და მიკრო დონეებზე, რათა ქვეყნებზე ინტერნაციონალიზაციის გავლენის შეფასება და მაკორექტირებელი ქმედებები საბოლოოდ საზოგადოებრივი კეთილდღეობის ამაღლებას უზრუნველყოფდეს.

ინტერნაციონალიზაციის თეორიებისა და ინტერნაციონალიზაციის პროცესის ემპირიული ანალიზის შედეგად შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოსაგან განსხვავებით, კომპანიებს შეუძლიათ არჩევანი გააკეთონ ინტერნაციონალიზაციაში ჩართვის ან მასზე უარის თქმით, ინტერნაციონალიზაციის პროცესი შეუქცევადია მიკრო სუბიექტებისთვისაც და მათი არჩევანი გამართლებულია მხოლოდ მოკლე პერიოდისათვის, გრძელვადიანი პერიოდში კი მსგავსი მიდგომა აშკარად განწირულია.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, გლობალიზაციის თანამედროვე ტემპებისა და მძაფრი კონკურენციის პირობებში, მიკრო დონეზე ინტერნაციონალიზაციის პროცესების შეუქცევადობის დასაბუთება; მასზე მოქმედი მოტივატორების გამოკვეთა და მათი მოდელების სახით წარმოდგენა.

## ანალიზი

ინოვაციების თანამედრვე ტემპებმა სულ უფრო მეტად ცხადჰყვეს და დააჩქარეს ინტერნაციონალიზაციის პროცესი როგორც მაკრო, ასევე მეზო და მიკრო დონეებზე. მეცნიერების მიდგომები ქვეყნების და მათი საქმიანის აქტივობის სასიცოცხლო ციკლის თეორიებთან მიმართებაში დღეს სულ სხვა კუთხით განიხილება. ინოვეციურმა ეკონომიკამ

შემცირა კომპანიათა აქტივობის სასიცოცხლო ციკლის პერიოდი და ამით სულ უფრო მეტად გაამძაფრა კონკურენცია მსოფლიო მასშტაბით. აღნიშნული შესამჩნევია როგორც წარმოების ასევე მომსახურების სფეროებში. დღეს მსხილი საერთაშორისო კომპანიები წარმატების ფუნქციონირებენ მსოფლიო მასშტაბით და განსხვავებულ სტრატეგიებს ახორციელებენ. ამით ისინი ახდენენ საკუთარი რესურსების დივერსიფიცირებას და მასშტაბის ეფექტსაც აღწევენ განსხვავებით ეროვნული კომპანიებისა (განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში). განვითარებად ქვეყნებში(ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები) მოქმედი კომპანიების დიდი ნაწილი (72%) ფრთხილად ეკიდება ინტერნაციონალიზაციის საკითხს, ისინი დიდ დროს უთმობენ საკუთარი შესაძლებლობების წინასწარ ანალიზს და ამით კონკურენციის გარეთ რჩებიან.

ჩვენს მიერ ჩატარებული ემპირიული ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ 30 ეროვნული კომპანიიდან (როგოორც წარმოების ასევე მომსახურების სფეროში მოქმედი) მხოლოდ 12 მათგანი საკუთარი საქმიანი აქტივობის სასიცოცხლო ციკლის აგებისას აანალიზებს ინოვაციების სასიცოცხლო ციკლს და აღნიშნულის ბაზაზე სახავს ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიას; 10 მათგანი ჯერ კიდევ არ ფიქრობს ამ მიმართულებით; 8 სუბიექტი კი აქცენტს აკეთებს ჯერ საკუთარი ბაზის გაძლიერებაზე და შემდეგ აღნიშნულ პროცესებში. ჩართვაზე.

**სურ.1. ქართული კომპანიების მიერ ინტერნაციონალიზაციის განხორციელების მოდელური სტრუქტურა %-ში 2019 წლისათვის**




ეს უკანასკნელნი სასიცოცხლო ციკლის სტადიების მოდელით ფუნქციონირებას არჩევენ, რაც ჩვენი აზრით. მიუღებელია. აღნიშნული მოდელი მეტად შეზღუდულია და გარკვეულ სტადიამდე მოაქვს კომპანიისათვის შედეგი. იგი ვერ უზრუნველყოფს თანამედროვე ხედვების განვითარებას და რეალური პროცესების აღქმას კომპანიისათვის, რის გამოც ასეთი კომპანიები მინიმუმ 5 მაქსიმუმ 7 წელში ბაზრიდან გასვლის საშიშროებას აწყდებიან.

სტადიურ მოდელებზე ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის ბოლოს თქვეს უარი ევროპულმა კომპანიებმა, რასაც წინ უძღოდა ევროპულ სამეცნიერო წრეებში ამ თეორიების უარყოფითად შეფასება. ეს სწორედ ის პერიოდია, როცა მსოფლიო ბაზრის სამრეწველო სეგმენტზე მოთხოვნა დაეცა ჭარბი მიწოდებისა და ინოვაციების არ არსებობის მიზეზით და განვითარება დაიწყეს მომსახურების ბაზრებმა.

უნდა აღინიშნოს, რომ ანალიზის ჩატარებისას ჩვენს მიერ არ ყოფილა ხაზგასმა იმ გარემოებაზე, თუ რომელ სფეროს მიეკუთვნებოდნენ კომპანიები, რადგანაც მოგვაჩნია, რომ მიუხედავად ამ ფაქტორისა, კონკურენციის თანამედროვე პირობებში თითქმის ყველა კომპანია ორიენტირებულია ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებაზე, რადგანაც მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი მაღალხარისხიანი,კონკურენტურანიანი პროდუქციის/მომსახურების მიწოდება ბაზრისათვის.

ამ კუთხით, კონკურენციის თანამედროვე ეტაპზე აქტუალური გახდა კომპანიების მარკეტინგული მართვა, რაც ქსელურ თეორიებში კარგადაა განვითარებული. მათში მნიშვნელოვანი ყურადღებაა გამახვილებული ბაზრის აგენტებს შორის ურთიერთობებზე. რაც სხვაგვარად შეგვიძლია აღვნიშნოთ, როგორც ბაზრის მოთამაშეთა ქცევითი ურთიერთობები. ქსელური თეორიების მიხედვით შიდა ურთიერთქმედებები მუდმივად ცვლადი, ნაკლებად სტრუქტურირებული და ცოდნის გაცვლა და ნდობის მოპოვება ამყარებს საერთაშორისო ბაზარზე მოქმედ სუბიექტებთან ურთიერთობებს. ამდენად, საგარეო ბაზარზე გასვლა ამ შემთხვევაში დამოკიდებულია უცხოურ და ადგილობრივ ბაზრებზე მოქმედ სუბიექტებს შორის ურთიერთობებზე. ამ დროს ინტერნაციონალიზაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას კომპანიამ საკუთარი სტრატეგია უნდა ააგოს სხვა სუბიექტებთან ურთიერთობების გათვალისწინებით.

ინტერნაციონალიზაცის მოდელების მიხედვით კომპანიათა კლასიფიკაცია შემდეგნაირად შეგვიძლია წარმოვადგინოთ (იხ. სურ.2):

როგორც ევროპაში, ასევე პოსტ საბჭოთა სივრცეში (რუსეთი, ბელორუსი, მოლდოვა, საქართველო, უკრაინა, სომხეთი) და ბალტიის ქვეყნებში სულ უფრო პოპულარული და გამოყენებადია ე.წ. პირობითი მოდელები. აქ ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ამ შემთხვევაში კომპანია ექცევა ტურბულენტურ და არახელსაყრელ გარემო ზემოქმედების ქვეშ. აღნიშნული მოდელის გამოყენების შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღებისას, კომპანია უნდა ეყრდნობოდეს პროფესიონალი მენეჯმენტის მიერ განხორციელებულ გარემოს ანალიზს, რის შემდეგაც შესაძლებელია ოპტიმალური ალტერნატივის შერჩევა და ინტერნაციონალიზაცია შეიძლება განვიხილოთ როგორც დაგეგმილი პროცესი.

## დასკვნა

ნაშრომში ჩატარებული ანალიზის შედეგად გამოვლინდა რიგი პრობლემებისა, რომლებიც ხელს უშლიან „ქართულ კომპანიებს" კონკურენტულ

სურ. 2 კომპანიათა კლასიფიკაცია ინტერნაციონალიზაცის მოდელების მიხედვით




ბრძოლასა და ინტერნაციონალიზაციის სწორად და დროულად განხორციელებაში. მათგან ხაზგასასმელია:

- ➢ მარკეტინგული მართვის პრობლემა;
- ➢ ინოვაციური ხედვის და პროცესის შეფასების პრობლემა;
- ➢ ალიანსებისადმი არასწორი მიდგომები

ქართული კომპანიები მოკლებული არიან მარკეტინგული მართვის უნარების მქონე მენეჯერებს, რომელთაც უნდა გააჩდეთ ბაზრის ხედვის, დროის ეფექტის და კომუნიკაციის ეფექტურად დამყარების უნარები. მენეჯერთა დაბალი კვალიფიკაციის გამო ისინი გაურბიან ინოვაციების განხორციელებას იმ მიზეზით, რომ მათ ამის ფინანსური რესურსი არ გააჩნიათ, არადა სწორედ ინტერნაციონალიზაციის სწორად და დროულად განხორციელება სხვადასხვა ალიანსების გზით იმ ფინანსური შედეგის მომტანია, რომელიც ყველა კომპანიის მიზანს წარმოადგენს.

ზემოდ აღნიშნული ანალიზიდან გამომდინარე, რეკომენდაციის სახით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ სამეცნიერო წრეებში აქტიურად განხილულ მოდელებს შორის ჩვენს მიერ შემოთავაზებულია **ქსელური და პირობითი მოდელები.** რაც შეეხება სასიცოცხლო ციკლის მიხედვით **სტადიების მოდელს,** ის არაეფექტურია იმ ნიშნით, რომ არ არის მოქნილი, ვერ უზრუნველყოფს კომპანიის კონკურენტუნარიანობას და სწრაფ რეაქციას ცვლილებებზე და დამახასიათებელია ქაოტური კომპანიებისათვის;

მოდელების მიხედვით კომპანიათა კლასიფიკაცია კი შეგვიძლია შემდეგნაირად წარმოვადგინოთ:

**ქსელური მოდელის** განხორციელება შესაძლებელია ინოვაციურ, მაღალტექლოგიურ და მეცნიერებატევად სფეროებში ფუნქციონირებადი კომპანიებისათვის – ფსევდო ინოციურები;

**პირობითი მოდელის** განხორციელება რეკომენდირებულია არა მეცნიერებატევად და მაღალტექნოლოგიური სფეროს კომპანიებში; ასევე ნაკლებად მოქნილი კომპანიებისათვის, რომლებიც ახალ მაგრამ ტრადიციული საქონლის/მომსახურების ბაზრებზე შედიან და პირველად ახორციელებენ საერთაშორისო ალიანსებს – პრობლემათა მმართველები.

## ლიტერატურა


1. **გ. ღარანიძე - კონკურენტული უპირატესობის სისტემური კვლევის საკითხები თბ.2019**

2. Asakawa, K. (2011, October). *Global R&D management*. Tokyo: Keio University Publishing Co.

3. Kazuyuki Motohashi,(2015) Global Business Strategy; Multinational Corporation Venturing into Emerging Markets;

4. Michael E. Porter, (2005)Competitive Setrategy Techniques for Analizing Industries and Competitors;

5. Meyer, K. E., & Thaijongrak, O. (2013). The dynamics of emerging economy MNEs: How the internationalization process model can guide future research. Asia Pacific Journal of Management, 30(4)

6. Vahlne, J. E., & Johanson, J. (2013). The Uppsala model on evolution of the multinational business enterprise – from internalization to coordination of networks. International Marketing Review, 30(3),

7. Schilling, M. A., & Steensma, H. K. (2002). Disentangling the theories of firm boundaries: A path model and empirical test. Organization Science, 13(4),

8. Song, S. (2014). Subsidiary Divestment: The Role of Multinational Flexibility. Management International Review, 54(1),

9. А.В. Бухвалов, О.А. Алексеева, (2015)Стратегии Международных Компании: влияние факторов неопределенности; №11(К)- Санкт-Петербург

10. А.В. Данильченко. У.В. Бертош. О.Ф.Малашенкова. (2015) БГУ, Интернационализация Дуловой Флтивности Стран и Компании; Минск.

# ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარების პერსპექტივები მცირე და საშუალო ბიზნესში

*ნაზი ჭიკაიძე*
*სტუ პროფესორი*

**რეზიუმე**

ქვეყნის განვითარებისა და ეკონომიკური წინსვლის ერთ-ერთ ამოსავალ პირინციპს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება წარმოადგენს. იგი როგორც ბიზნეს სისტემის, ასევე მთელი ეკონომიკური სისტემის ფორმირების, განვითარებისა და სტაბილურობის ერთ-ერთი პირველი წყაროა.

თანამედროვე, მსხვილი ეკონომიკური სისტემის მქონე სახელმწიფოთა გამოცდილება ნათლად ამტკიცებს მაღალგანვითარებული და ეფექტიანი მცირე სამეწარმეო სექტორის არსებობის აუცილებლობას. სწორედ მცირე მეწარმეობა წარმოადგენს იმ მძლავრ რგოლს, რომელიც იწვევს ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას. ქვეყნის აღორძინების საფუძველი ეკონომიკის მოცემული სექტორის დაჩქარებული განვითარებაა. მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის მიზანია მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, მათი კონკურენტუნარიანობის და ინოვაციების შესაძლებლობების ამაღლება, რის შედეგადაც მოხდება შემოსავლების და სამუშაო ადგილების ზრდა და შესაბამისად, მდგრადი ეკონომიკური ზრდის მიღწევა.

**საკვანძო სიტყვები:** ინოვაცია; ტექნოლოგიები; მცირე ბიზნესი; მდგრადი განვითარება.

**PERSPECTIVES OF INOVATIVE DEVELOPMENT TECHNOLOGY IN SMALL AND MEDIUM BUSINESS**

**Nazi Chikaidze**
Professor of GTU

**RESUME**

One of the key principles of development and economic advancement of the country is the promotion of small and medium-sized businesses. This is one of the first sources of formation, development and stability of both the business system and the entire economic system.

The experience of countries with a modern, large economic system clearly demonstrates the need for a highly developed and efficient small business sector. It is small entrepreneurship that is a powerful link to economic and social development. The basis for the revival of the country is the accelerated development of the given sector of the economy. The goal of the SME development strategy is to create a conducive environment for them, increase their competitiveness and innovation opportunities, which will lead to an increase in incomes and jobs and to sustainable economic growth too.

**Keywords:** innovation; Technologies; Small Business; sustainable development.

## შესავალი

საქართველოში ეკონომიკური რეფორმების უმნიშვნელოვანეს მიმართულებას წარმოადგენს მცირე და საშუალო საწარმოთა განვითარება. სწორედ ამ სექტორის ეფექტიან ფუნქციონირებაზეა დამოკიდებული საბაზრო კონკურენცია, სამომხმარებლო ბაზრის გაჯერების ხარისხი, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა. საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის დაჩქარებული განვითარების აუცილებლობას ის გარემოებაც განაპირობებს, რომ მცირე ბიზნესი ავლენს მოქნილობას, სიცოცხლისუნარიანობას, რადგანაც ხასიათდება რა ბაზრის მოთხოვნაზე სწრაფი რეაგირების უნარით, სპეციალიზაციის მაღალი ხარისხით, რესურსების მობილიზაციის მეტი შესაძლებლობებით. ის წარმოადგენს საგადასახადო შემოსულობათა მნიშვნელოვან წყაროს, ასევე განსაკუთრებული როლი აკისრია ინოვაციური განვითარების თვალსაზრისით. საქართელოში დღეის მდგომარეობით, საკმაოდ გამარტივებულია მცირე და საშუალო ბიზნესის დაფუძნების პროცედურები, რაც ამარტივებს ახალი საქმიანობის დაწყების შესაძლებლობებს სხვადასხვა სფეროებში.

მცირე ბიზნესს ძალუძს საკუთარი წარმოება აღჭურვოს უახლესი თანამედროვე ტექნოლოგიებით, რაც მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითრებისათვის. დადგენილია, რომ მცირე ბიზნესს შეუძლია დროის მცირე მონაკვეთში მოახდინოს საკუთარი საწარმოო იარაღების და დანადგარების შეცვლა ინოვაციური და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების მეშვეობით.

## ძირითადი ნაწილი

ქართული მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება დღეის მდგომარეობით ვერ პასუხობს ინოვაციურობის სტანდარტებს, რაც სერიოზულ კრიზისს იწვევს ამ სფეროში, რომელიც ჯერ-კიდევ გასული საუკუნის 80-იანი წლებში დაიწყო. აღნიშნული კრიზისი გამოვლინდა ახალი ტექნიკის რაოდენობის შემცირებაში და მათი წარმოებაში დანერგვის კუთხით. მნიშვნელოვნად გაუარესდა და დაეცა სამრეწველო პროდუქციის, განსაკუთრებით მზა ნაწარმის კონკურენტუნარიანობა. ეკონომიკის ღიაობის შედეგად სამრეწველო პროდუქციამ საბა-

ზრო მოთხოვნებს ვერ გაუძლო, რის გამოც მოხდა ბაზრიდან მათი განდევნა, როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო დონეზე, რამაც მნიშვნელოვანი კრიზისი შეუქმნა ქართული ეკონომიკის განვითარებას. ინოვაციური ტექნოლოგიები ძალიან მცირე დოზით ხვდება საწაროებში, რაც აფერხებს მათ საწარმოო პროცესს, ასევე მნიშვნელოვანია ინოვაციური მიდგომები და ცოდნა შესაბამის ბიზნესის დარგებთან დაკავშირებით. შეგვიძლია გამოვყოთ რამოდენიმე სუბიექტურიდა ობიექტური მიზეზი:

- საქართველოს ეკონომიკაში, ჭარბობს ფიზიკურად და მორალურად მოძველებული ტექნოლოგიები, რომლებიც შეცვლას საჭიროებენ, რადგან კვლავწარმოების თანამედროვე მოთხოვნებს ვერ პასუხობენ. ახალ ტექნოლოგიურ სისტემებზე გადასვლის ფონზე რაც მსოფლიოში მიმდინარეობს, და იცვლება თვისებრივად ახალ და მოდერნიზებულ ტექნოლოგიურ საშუალებებზე, საქართველოში კი გასული საუკუნის 90-იან წლებში არსებული ტექნოლოგიური დონის დაქვეითებას აქვს ადგილი;
- ბაზრის მასშტაბების შემცირებამ და ტრადიციული საწარმოო-ტექნოლოგიური კავშირების მოშლამ, მკვეთრმა დაცემამ წარმოებისა და ინვესტიციების, ინფლაციის გაზრდილმა ტემპებმა და სხვა ფაქტორებმა განაპირობეს ინოვაციური შესაძლებლობების შეზღუდვა;
- სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის არარსებობა; არ სარგებლობენ სათანადო მხარდაჭერით ახალი ტექნიკის ამთვისებელი და შემმუშავებელი საწარმოები. არ მიიმართება ინვესტიციები და კერძო სექტორის რესურსები ინოვაციებზე;
- ტრანსნაციონალური კორპორაციები და საზღვარგარეთული მონოპოლიები სამრეწველო საქონლისა და მნიშვნელოვანწილად სურსათის ბაზარზე, გაბატონებულნი არიან, რაც მათზე დამოკიდებულს ხდის ქვეყნის ეკონომიკას და გადააქცევს იაფი ნედლეულის და მზა პროდუქციის გასაღებისა ბაზრად;
- საბიუჯეტო დეფიციტისა და მზარდი შიდა და საგარეო ვალის პირობებში იმყოფება ეკონომიკური კრიზისის ზღვარზე. სახელმწიფო ძალაუნებურად ემიჯნება პერსპექტიულ ინვესტიციურ-ინოვაციურ პრობლემებს, რომელთა გადაწყვეტაზეც არის დამოკიდებული ქვეყნის მომავალი;
- სამეურნეო ხელმძღვანელი კადრები მოუმზადებელია, რომ ინოვაციურ-ინვესტიციურ ბაზარზე განახორციელონ ეფექტინად საქმიანობა, არ წარმოებს პრაქტიკულად მენეჯერთა მომზადება, რომლის გარეშეც შეუძლებელია ბაზრის ამ ურთულეს სეგმენტზე წარმატების მიღწევა. შეიძლება ითქვას, ზემაღნიშნულის მიუხედავად, რომ გარკვეული წანამძღვრები საქართველოში შეინიშნება ინოვაციური მცირე მეწარმეობის განვითარებისათვის. ეკონომიკის გამოცოცხლება სამეწარმეო და საბანკო წრეების მიერ მასშტაბურად გაცნობიერებაა იმ შესაძლებლობების, რომ ინოვაციური მიდგომების გაეშე, შეუძლებელია მნიშვნელოვანი მიღწევების განხორციელება ეკონომიკაში. მხარდამჭერი პოლიტიკის გარეშე კონკურენტულ ბრძოლაში შეუძლებელია გადარჩენა და წარმატების მიღწევა. პირველი მცდელობები ინოვაციური საქმიანობის გააქტიურების მიმართულებით, ამას უკავშირდება რათა განვითარდეს არსებული ინოვაციური ცენტრები, ტექნოლოგიური ინკუბატორები, ვენჩურული ფონდები. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში ინოვაციები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. შრომითი საქმიანობის ინტელექტუალიზაციის მეშვეობით ხორციელდება ინოვაციების დანერგვა აპრობირება. ინოვაციური საშუალება ახალი საწარმოო ძალების მოზიდვის საშუალებას იძლევა. ამა თუ იმ სფეროში ინოვაციათა კონცენტრაცია ხელს უწყობს კვლავწარმოების სტრუქტურის შესაბამისობაში მოყვანას გარემოს სტრუქტურასთან და შეცვლილი მოთხოვნილებების პირობებთან. სამეწარმეო საქმიანობას ასტიმულირებენ ინოვაციები განსაკუთრებით მცირე ბიზნესის სფეროში, ახალი საქონლისა და ტექნოლოგიების ათვისებისაკენ. მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს სახელმწიფოს სტრატეგიული მიდგომა ინოვაციების კუთხით, სადაც წარმოდგენილია ხუთი პრიორიტეტული მიმართულება მცირე და საშუალო საწარმოებში ინოვაციების განვთარების და დანერგვისათვის. საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ განხორციელდა მცირე და საშუალო მეწარმეობის სტიმულირების სხვადასხვა მნიშვნელოვანი პროექტები, ინოვაციური ბიზნეს-უნარების განვითარებისთვის დაინერგა ტრენინგების სისტემა, რაც მეწარმე სუბიექტებს გაუუმჯობესებს ტექნოლოგიებთან ურთიერთობის და მათი ათვისების უნარ-ჩვევებს. „ბიზნეს-უნარების განვითარებისთვის დაგეგმილია ინოვაციური ტრეინინგები, შემუშავდა ინოვაციების და R&D-ს წამახალისებელი ინსტრუმენტები, ინოვაციური ბიზნეს-უნარების განვითარებისთვის“[1]

აღნიშნული ტრენინგები განხორციელდება და მათი უზრუნველყოფა მოხდება ბიზნეს-ინკუბატორის პროექტის ფარგლებში. მნიშვნელოვანი შეხვედრები და ღონისძიები არის დაგეგმილი სამეცნიერო წრეებთან, სახელმწიფოს სტრატეგიული განვითარების ფარგლებში, რაც მოიცავს მცირე და საშუალო მეწარმეობისთვის ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვისა და ხელის შეწყობის მექანიზმების ამუავებას. მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს დაფინანსების სისტემების განვითარება „200-მდე საგრანტო პროექტი განხილულ იქნა 2017 წელს და 60-პროექტი დაფინანსებულია. შემდეგი დაფინანსების სქემები შემუშავდა:

- ✓ მიკრო გრანტების პროგრამა;
- ✓ პროგრამა სტარტაპ საქართველო;
- ✓ თანადაფინანსების გრანტების პროგრამა.

1 მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2016-2020 წლების სტრატეგია, გვ.16

350 განაცხადიდან მიკრო გრანტების პროგრამის ფარგლებში 2016-2017 წწ და დაფინანსდა 200-მდე ბენეფიციარი 5000 ლარის ოდენობის გრანტით. 50 მაღალტექნოლოგიური პროექტი სტარტაპ საქართველოს პროგრამის ფარგლებში შეირჩა და დაფინანსდა 20 სტარტაპი. ასევე მნიშვნელოვან პრიორიტეტად არის მოაზრებული, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების უნარჩვევების გამოყენების გაუმჯობესება. 10 გუნდი დატრეინინგდა ბიზნეს ინკუბატორის პროექტის ფარგლებში 2017 წელს 70-მდე მონაწილე.[2]

ტექნოლოგიების გადაცემის ოფისის ეროვნული საპილოტე (NTTO) პროექტის ინიცირების მსოფლიო ბანკის ექსპერტებთან ერთად შემუშავდა. ასევე მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს მეწარმეობაში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ინოვაციური ტექნოლოგიების (ICT) შესაბამისად გამოყენების და უნარების გაუმჯობესება. განხორციელდა ინოვაციური ცნობიერების ამაღლების მიზნით შემდეგი სახის ტრენინგები:

1. Little Beats-ის ვორქშოფი;
2. Code.org-ის ვორქშოფი;
3. Lego Robotics-ის ვორქშოფი;
4. როგორ მუშაობს ფაბ-ლაბი;
5. როგორ შევქმანთ სტარტაპი;
6. ინტელექტუალური საკუთრება;
7. რა არის ციფრული მარკეტინგი;
8. ტრენინგი: „ახალგაზრდები ინოვაციური განვითარებისთვის“, რომელიც მოიცავს პროგრამირებისა და კომპიუტერული დიზაინის საწყისი ეტაპების შესწავლას, სოციალური მედიის შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას.[3]

სახელმწიფოს ასევე აქვს შემდეგი სახის მნიშვნელოვანი პრიორიტეტები დასახული მცირე მეწარმეების ინოვაციური ტექნოლოგიების და მიდგომების განვითრების კუთხით, ესენია:

- FabLab-ები;
- iLab-ები;
- TechPark;

9. BroadBand for all კომპიუტერიზაციისთვის.

მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშეწყობის მიზნით გადადგმულია მნიშვნელოვანი და ხელშესახები ნაბიჯები, რაც დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების კუთხით.

## დასკვნა

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მიმართულებით წარმოებს მნიშვნელოვანი და ძირეული პროექტები, რომელთა განხორციელებაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მცირე და საშუალო ბიზნესის სტანდარტის ამაღლებას, მაგრამ დღევანდელ დღემდე სავალალო მდგომარეობაა შექმნილი ინოვაციური კუთხით, რაც საჭიროებს გადახედვას და არსებული პრობლემის გამოსწორებას, ინოვაციური მიმართულებით, ნაკლებად არიან ჩართულნი საქართველოში მოქმედი მცირე და საშუალო ბიზნეს საწარმოები, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მნიშვნელოვნად ჩამორჩება განვითარებული ქვეყნების ტექნოლოგიურ პროცესებს ქართული ბიზნესი.

მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის საგანმანათლებლო პროგრამებში მათი ჩართვა და ცოდნის ამაღლება მარკეტინგის და პროდუქციის ბრენდირების კუთხით, ასევე სტანდარტიზაციის მიმართულებით, მაგრამ, ვფიქრობთ აღნიშნული მიმართულებები არ არის საკმარისი, რაც საჭიროებს მეტ ხელმისაწვდომობას მცირე და საშუალო ბიზნესმენებისთვის თანამედროვე ტექნოლოგიურ საშუალებებზე. აღნიშნულ პირობებში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება შეუძლებელია სახელმწიფო მხარდაჭერის ღონისძიებათა მძლავრი სისტემის შექმნისა და განხორციელების გარეშე.

მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო მეწარმეთა ინტერნაციონალიზაციის საკითხი, აღნიშნულთან დაკავშირებით საჭიროა სახელმწიფოს მიერ შემუშავებული მიდგომები მოვიდეს სისრულეში, ასევე მოხდეს ხელშეწყობა საერთაშორისო ბაზრებზე ქართული მცირე და საშუალო ბიზნესი წარმომადგენელთათვის შესაბამისი კავშირების დამყარებასა და ფორმირებაში.

საქართველოს ეკონომიკური სისტემების გაჯანსაღება და მისი სტაბილური განვითარება პირდაპირ არის დაკავშირებული მცირე და საშუალო ბიზნესის სფეროში შემუშავებული სახელმწიფოს სტრატეგიული ეკონომიკური პოლიტიკის წარმატებულ რეალიზაციასთან.

საქართველოს რეგიონებში და ცენტრალურ ქალაქებში დამატებით ბიზნეს-ინკუბატორების ქსელის შექმნა-განვითარების პარქტიკული რეალიზაცია ხელს შეუწყობს მეწარმეობის განვითარებასა და მოსახლეობის დასაქმებას ჩვენს ქვეყანაში. ამასთან, ჩვენი ქვეყნის მთავრობის მიერ გატარებული სტრატეგიული ღონისძიებები, საქართველოს ბიზნეს გარემოს გაუმჯობესების მიზნით ხორციელდება მნიშვნელოვანი სამართლებრივი, ინსტიტუციონალური და სტრატეგიული ღონისძიებები, რაც ასევე წარმოდგენილია მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიაში, რომელიც სრულ თავსებადობაში და ჰარმონიზაციაში იქნება ამ სფეროში ევროკავშირის პოლიტიკასთან.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტარატეგია 2016-2020 წლებისათვის: http://www.economy.ge უკანასკნელად გადამოწმდა 20.09.2019წ.

2.მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები; http://www.economy.ge უკანასკნელად გადამოწმდა 20.09.2019წ.

2 მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2016-2020 წლების სტრატეგია, გვ.20

3 მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2016-2020 წლების სტრატეგია, გვ.20

# ეკონომიკური ანალიზის და დაგეგმვის აქტუალური საკითხები მცირე და საშუალო ბიზნესის სტაბილურობისთვის


***მედეა ლომინაშვილი-ფრუიძე***
*ეკონომიკის დოქტორი*
*აწსუ ასოცირებული პროფესორი*
***შოთა ლომინაშვილი***
*აწსუ ასოცირებული პროფესორი*
*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი*
***თინათინ გუგეშაშვილი,***
*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი*
*აწსუ ასოცირებული პროფესორი*



**რეზიუმე**

საბაზრო ეკონომიკის კონკურენტულ გარემოში საქმიანობის მიუხედავად იშვიათად თუ მოიძებნება მეწარმე, ვისთვისაც ეკონომიკური და ფინანსური პროცესების დაგეგმვა და ანალიზი სასურველია. ხშირად მეწარმეთა ნაწილი, რომლებიც აწარმოებენ ბიზნეს პროცესების ანალიზს, აცნობიერებს რა კონკურენტული ბაზრის რთულად პროგნოზირებადობას, ბრენდებს შორის მიმდინარე კონკურენტული ომის პირობებში, ბიზნეს პროცესების ანალიზს და დაგეგმვას გარდაუვალ რუტინად მიიჩნევენ. ბაზარზე კონკურენტული უპირატესობის და გრძელვადიანი სტაბილურობის შენარჩუნების, მოგების სტიმულირების, სამეურნეო საქმიანობის ნაკლოვანებების თუ პოტენციალის გამოვლენის მიზნით აუცილებლობას წარმოადგენს ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობის უწყვეტი ანალიზის წარმოება.

საქართველოს სხვა რეგიონების მსგავსად, იმერეთის რეგიონულ ეკონომიკაში მცირე და საშუალო ბიზნესის ადგილის გათვალისწინებით აქტუალურია მათი ფუნქციონირების გარემოს ნაკლოვანებების და სუსტი წერტილების კვლევა. მცირე და საშუალო საწარმოების დონეზე არსებულმა პრობლემებმა განსაზღვრა კვლევის მიმართულება და ბიძგი მისცა ამ სექტორის გაჯანსაღების პოლიტიკის მიმართულებით კვლევებს. სტატიაში ხაზგასმულია, მცირე და საშუალო მეწარმეების მიერ მეტწილად დამკვიდრებული მიდგომების გადახედვის და პროცესების ანალიზის მნიშვნელობის გააზრების აუცილებლობა, რაოდენ რუტინულიც უნდა იყოს ეს მათთვის.



**საკვანძო სიტყვები:** უწყვეტი ანალიზი, დაგეგმვა, რესურსები, ხარჯების ოპტიმიზაცია, თვითლირებულება.


## TOPICAL ISSUES OF COST OPTIMIZATION, ANALYSIS AND PLANNING FOR THE STABILITY OF SMALL AND MEDIUM-SIZED BUSINESSES


**Medea Lominashvili**
PruidzePhd in Economics
Associated Professor
Akaki Tsereteli State Univeristiy

**Shota Lominashvili**
Phd in Economics
Associated Professor at
Akaki Tsereteli State Univeristiy

**Tinatin Gugeashashvili**
Phd in Economics
Associated Professor at
Akaki Tsereteli State Univeristiy



**ABSTRACT**

Despite the fact that market economy operates in a competitive environment, it is rare to find an entrepreneur who is comfortable with the planning and analyzing the economic and financial processes. Often, some entrepreneurs, who do business process analysis, since they realize the difficulty of competitive market predictability, in the condition of ongoing competitive war between brands, they view business process analysis and planning as inevitable routine. In order to maintain competitive advantage and long-term stability in the market, to stimulate profits and to identify shortcomings or potentials of economic activity, there is a need for continuous analysis of economic and financial situation.

As in other regions of Georgia, taking into consideration the place of small and medium-sized businesses in the regional economy of Imereti, it is relevant to examine the environmental shortcomings and weaknesses of their functioning. The problems existing at the level of small and medium-sized businesses have defined the direction of the research

and has pushed towards researching of recovery policies of this sector. This article emphasizes the need for rethinking the approaches adopted by small and medium-sized businesses and the necessity of understanding the importance of process analysis, no matter how routine it may seem for entrepreneurs.

**Keywords:** Continuous analysis, planning, resources, cost optimization.

* * * *

დრომ და გამოცდილებამ აჩვენა, რაც უფრო რთულ ფორმებს იძენს ცივილიზაცია, მით უფრო იზღუდება პიროვნების თავისუფლება. საბაზრო ეკონომიკის კონკურენტულ გარემოში საქმიანობის მიუხედავად იშვიათად თუ მოიძებნება მეწარმე, ვისთვისაც ეკონომიკური და ფინანსური პროცესების დაგეგმვა და ანალიზი სასურველი პროცესია. ხშირად მეწარმეთა ნაწილი, რომლებიც აწარმოებენ ბიზნეს პროცესების ანალიზს, აცნობიერებს რა კონკურენტული ბაზრის რთულად პროგნოზირებადობას, ბრენდებს შორის მიმდინარე კონკურენტული ომის პირობებში, ბიზნეს პროცესების ანალიზს და დაგეგმვას გარდაუვალ რუტინად მიიჩნევენ. ბაზარზე კონკურენტული უპირატესობის და გრძელვადიანი სტაბილურობის შენარჩუნების, მოგების სტიმულირების, სამეურნეო საქმიანობის ნაკლოვანებების თუ პოტენციალის გამოვლენის მიზნით აუცილებლობას წარმოადგენს ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობის უწყვეტი ანალიზის წარმოება.

სამეურნეო პროცესების უწყვეტი ანალიზი იძლევა რესურსების მაქსიმალურად დაზოგვის შესაძლებლობას, რითაც მუდმივად პროგნოზირებადი გარემო მეწარმე სუბიექტებისთვის არასტაბილური ეკონომიკური რყევებისადმი მდგრადობის განმსაზღვრელი ხდება. საქართველოს სხვა რეგიონების მსგავსად, იმერეთის რეგიონულ ეკონომიკაში მცირე და საშუალო ბიზნესის ადგილის გათვალისწინებით აქტუალურია მათი ფუნქციონირების გარემოს ნაკლოვანებების და სუსტი წერტილების კვლევა. ბიზნესის ეფექტიანი ფუნქციონირების ნაკლოვანებები ნამდვილად სახეზეა (რაც სტატიაში დაზუსტდება შემდგომ კვლევის შედეგების სახით) და მათი აღმოფხვრის აუცილებლობამ საწარმოების გაჯანსაღების მიზნით, განსაზღვრა კვლევის მიმართულებაც.

მცირე და საშუალო საწარმოების დონეზე არსებულმა პრობლემებმა განსაზღვრა კვლევის მიმართულება და ბიძგი მისცა ამ სექტორის გაჯანსაღების პოლიტიკის მიმართულებით კვლევას. საერთო სურათის შესაქმნელად სტუდენტების ჩართულობით მოვახდინეთ მცირე და საშუალო მეწარმეების გამოკითხვა ქუთაისის მასშტაბით[1]. კვლევის ფარგლებში გამოიკითული იყო 75 მეწარმე სუბიექტი. ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ გამოკითხულთა 51% აზრით, ბიზნესის წარუმეტებლობის მიზეზია არასტაბილური ეკონომიკური გარემო. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ გამოკითხულთა მხოლოდ მცირე ნაწილი აცნობიერებს ბიზნესის სტაბილურობაში საკუთარ პასუხისმგებლობას. მათი მხოლოდ 9% ატარებს საქმიანობის ეკონომიკურ ანალიზს ყოველწლიურად, ხოლო 30% ყოველთვიურად. უფრო საინტერესოა ის გარემოება, რომ ეკონომიკური პროცესების ანალიზი მათთვის გაიგივებულია მხოლოდ პროდუქციის აღრიცხვის, შემოსავლების და ხარჯების დათვლასთან. რაც არ შეიცავს ეკონომიკური პროცესების კვალიფიციურ შეფასებას, ნაკლოვანების გამოვლენას და მათი აღმოფხვრის გზების დაგეგმვას.

მეწარმეთა 35% საერთოდ არ აქვს არანაირი წარმოდგენა ფასწარმოქმნის პოლიტიკაზე და სარეალიზაციო თვითღირებულების განსაზღვრის მეთოდებზე. 65% თვლის რომ ფასის დადგენა არ საჭიროებს განსაკუთრებულ უნარებს და არც კონკურენტების პოზიციით ინტერესდებიან ფასწარმოქნის პროცესში, რადგან ისედაც ახერხებენ მოგების მიღებას. თუმცა გარკვეული გადამზადების და მეწარმეობრივი უნარების გაზრდის სურვილი დააფიქსირა გამოკითხულთა 31.8%, რისთვისაც მხოლოდ 15.4% გადაიხდიდა გარკვეულ თანხას, ხოლო 16.4% თუ გაივლიდა სწავლებას, მხოლოდ უფასო ტრენინგის ფარგლებში. მეწარმეთა უმრავლესობა 67.2% თვლის, რომ ფლობს ბიზნესის მართვის საკმარის უნარებს და არ საჭიროებს გადამზადებას.

განსაკუთრებით საყურადღებოა ამ კვლევის შედეგების დაპირისპირება იმერეთის მცირე და საშუალო ბიზნესის ბრუნვის მაჩვენებლებთან, დიაგრამა N1-ის მიხედვით,

დიაგრამა 1-ის მიხედვით, 2015 წელთან შედარებით, იმერეთში ფიქსირდება პროდუქციის ბრუნვის კლებადი დინამიკა ქვეყნის მთლიანი პროდუქციის წილთან მიმართებით და თავად იმერეთის საწარმოებს შორის ზომების მიხედვითაც. მაშინ, როდესაც 2017 წელს 2015 წელთან მიმართებაში, საქსტატის მონაცემებით, მთლიანად ქვეყნის მასშტაბით ფიქსირდება გამოშვებული პროდუქციის 27.4% ზრდა[2]. ასეთი მონაცემების პირობებში ნაკლებად სარწმუნოა იმ გამოკითხულ მეწარმე სუბიექტების თვითკმაყოფილება, რომლებიც თავს იწონებენ ბიზნესის მართვის საჭირო უნარებით.

სინამდვილეში ადგილი აქვს ბიზნესის მართვის მანკიერ პრაქტიკას, ის რომ კონკურენტული ეკონომიკის პირობებში ბიზნეს პროცესების ანალიზის და დაგეგმვის გარეშე მეწარმეები უმეტესად ღებულობენ მოგებას რესურსების არარაცანიონალური ეკონომიის და ხშირად ხარისხის დათმობის ხარჯზე, წარმოედგენს პრობლემას. ეკონომიაზე ფიქრში მყოფი მეწარმეები, ბიზნეს პროცესების ანალიზის

1 კვლევა ჩატარდა 2017-2018 სასწავლო წელს „ეკონომიკის" პროგრამის სტუდენტების ჩართულობით.

2 საქსტატის მონაცემები. https://www.geostat.ge/media/13671/Mewarmeoba-sakqrtveloshi-2015.pdf

**იმერეთის რეგიონში პროდუქციის ბრუნვის სტრუქტურის ცვლილება საწარმოთა ზომების მიხედვით ქვეყნის საერთო მაჩვენებელში (%) დიაგრამა 1.**

**წყარო:** საქსტატის მონაცემები https://www.geostat.ge/media/13847/Mewarmeoba-saqartveloshi-2017.pdf




გარეშე ძნელად თუ ახერხებენ ხარჯების სტიმულირებას პროდუქციის ხარისხის დათმობის გარეშე.

ხარჯების მსგავსი წესით დაზოგვა ნამდვილად არ ნიშნავს მათ სტიმულირებას და ვერ გახდება საწარმოსთვის გრძელვადიანი მულტიპლიკაციური ეფექტის მომტანი, რადგან საბოლოოდ დადის ეკონომიაზე ხარისხის დათმობის ხარჯზე. რაც არის მანკიერი პრაქტიკა და ამუხრუჭებს ეკონომიკურ განვითარებას.

მდგომარეობას ისიც ამძიმებს, რომ საქართველოს რეალობაში მეწარმეთა მცირე შემოსავლები ძირითადად განაპირობებს ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზის უგელებელყოფას. უფრო მეტიც, მათთვის ბიზნეს პროცესების ეკონომიკური ანალიზი ხშირად გაიგივებულია მხოლოდ საქმიანობის შედეგების მაკონტროლებელ ფუნქციასთან და არ არის გასაკვირი, რომ მეწარმეთა მხრიდან ხდებოდეს ანალიზის საჭიროების უგულებელყოფა.

ჩვენ უნდა შევძლოთ ბიზნესის წარმატებულად მართვის უკვე აპრობირებული მეთოდების დანერგვა. განვითარებულ ქვეყნებში მეწარმეებმა იციან, რომ ანალიზს აქვს მართვის დამოუკიდებელი ფუნქცია, რადგან შეუძლებელია ბიზნეს პროცესების ანალიზის გარეშე ხარჯების ოპტიმიზაცია და შემოსავლების სტიმულირება ეფექტიანად.

საწარმოს შემოსავლების სტიმულირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად უნდა განისაზღვროს ბიზნესის მართვაში მისი პროგნოზირების და დაგეგმვის უნარების ზრდა და განვითარება. რომლის კვალობაზეც შესაძლებელია გამოვლინდეს რესურსების არსებული და გამოუყენებელი რეზერვები და არგუმენტირებული დასაბუთებულობის კვალობაზე მოხდეს არაეფექტიანი ხარჯების შეკვეცა. დაიგეგმოს თვითღირებულების განსაზღვრის ისეთი მეთოდები, რომლებიც ყველაზე რაციონალური იქნება მცირე ბრუნვის პირობებში და განსაზღვრავს მაქსიმალური მოგების მიღებას არსებული რესურსების პირობებში.

მცირე და საშუალო ბიზნესის გაჯანსაღების ამოცანაა, პროცესების ანალიზის გზით განისაზღვროს დანახარჯების (გაწეული ხარჯების) ფორმირების ოპტიმალური რაოდენობა. ქუთაისის მასშტაბით მცირე და საშუალო ბიზნესის საწარმოების ძირითად ნაწილს წარმოადგენენ სავაჭრო და მომსახურების სფეროს საწარმოები. მათი ეფექტიანი ფუნქციონირების კონცეფციის შემუშავებისას გასათვალისწინებელია მათი სპეციფიკა. სავაჭრო საწარმოებს თავიდანვე აქვთ რთული მოცემულობა დანახარჯების და ფასის რეგულირების თვალსაზრისით. როგორც წესი, მათ არ შეუძლიათ არეგულირონ წარმოების დანახარჯების რაციონალურობა წარმოების საწყის დონეზე. მაგრამ საჭიროებენ, შემდგომი რეალიზაციისთვის შეძენილ პროდუქციაზე, არანაკლებ მნიშვნელოვანი, მიმოქცევის ხარჯების სწორად დარიცხვას. ტრანსპორტირების, დასაწყობების და რეალიზაციის ხარჯების ოპტიმიაზაცია არსებითია, რადგან შეიძლება მნიშვნელოვნად გაზარდოს არასასურველი დანახარჯების წილი სარეალიზაციო ფასში და პროდუქტს დააკარგვინოს ფასის კონკურენტული უპირატესობა ბაზარზე.

სავაჭრო საწარმოებში ხარჯების ოპტიმიზაციის მიზნით უწყვეტად უნდა ხდებოდეს ტრანსპორტირების, დასაწყობების და რეალიზაციის სხვა ხარჯების შედარებითი ანალიზი. ნებისმიერი გადახარჯვის გამოვლენის დეტალური და მიზეზ-შედეგობრივი კვლევის პირობებში შესაძლებელია მათი გადახარჯვის, თუ ზედმეტობის შემთხვევაში, მისი განმსაზღვრელი მიზეზობრივი ფაქტორების გამოვლენა, შემდგომში გადახარჯვის აღკვეთის მიზნით. მუდმივად უნდა ხდებოდეს ხარჯების ნუსხაში თითოეული მუხლის ხვედრითი წილის შედარებითი დინამიკური ანალიზი, რეალიზებული პროდუქცი-

ის მოცულობასთან მიმართებით მისი ცვლილების გათვალისწინებით. ასევე, საჭიროა განისაზღვროს მომგებიანობის ცვლილების დინამიკა ხარჯებთან მიმართებით. ხარჯების დასაბუთებული ოპტიმიზაცია საწარმოებისთვის კონკურენტული ფასის ჩამოყალიყების და გრძელვადიანი სტაბილურობის განმსაზღვრელია.

როდესაც მეწარმეს არ შეუძლია რეალიზაციის მნიშვნელოვანი გაზრდა, რესურსების ეფექტიანად მართვის მიზნით უნდა შეძლოს რესურსების დაზოგვის გზით მოგების სტიმულირება. რადგან რეალიზაციის გაზრდა საკმაოდ რთული და კაპიტალტევადია მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის, საჭიროა დაიგეგმოს თვითღირებულების განსაზღვრის ისეთი მეთოდები, რომლებიც ყველაზე რაციონალური იქნება მცირე ბრუნვის პირობებში და განსაზღვრავს მაქსიმალური მოგების მიღებას არსებული რესურსების პირობებში. თვითღირებულების რაციონალური მეთოდების მისადაგებისთვის შეიძლება განვითარებული ქვეყნების გამოცდილების გაზიარება ქართული რეალობის გათვალისწინება.

მაგალითად, ყველაზე რაციონალურად შეიძლება იყოს მიჩნეული იაპონელი მენეჯერების მიერ ფასწარმოქმნის ტრადიციული ფორმულის „ამოყირავების" ეფექტის გამოყენება ჩვენს რეალობაში - თვითღირებულება + მოგება = ფასს.

კვლევის პროცესში ჩამოყალიბებული იქნა მცირე და საშუალო ბიზნესის კონკურენტუნარიანობის და სტაბილურობის კონცეფცია, რომლის ძირითად მდგენელებად შეიძლება განისაზღვროს:

- მეწარმეთა მმართველობითი კულტურის ამაღლება;
- საწარმოთა რესურსების გამოყენების ეფექტიანობის შეფასება;
- დანახარჯების შემცირებისთვის აუცილებელი რესურსების გამოვლენა საწარმოთა ანალიზის გზით;
- პროდუქციის ასორტიმენტის „ABC" კატეგორიების მიხედვით დიფერენციაციის გზით არაპრიორიტეტული ხარჯების შემცირება;
- საწარმოს ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობის სისტემატიური კონტროლი;
- დანახარჯების ოპტიმიზაცია და მოგების სტიმულირების სტრატეგიის არსებობა;
- საკუთარი რესურსების გამოყენებით განვითარების უზრუნველყოფა;
- დამატებითი სარგებლის მიღება (საბრუნავი კაპიტალის გამოთავისუფლებით;

ხარჯების ოპტიმიზაცია და წარმოების ინტენსიფიკაცია კომპლექსური ღონისძიებების ერთობლიობაა, რომელსაც შეიძლება მმართველობითი სტრატეგიის ცვლილების საჭიროებაც მოჰყვეს და ეს არ არის დაუძლეველი და მიუღწეველი ქართულ რეალობაშიც. მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო მეწარმეების მიერ დროულად მოხდეს მეტწილად დამკვიდრებული მიდგომების გადახედვა და პროცესების ანალიზის მნიშვნელობის გააზრება, რაოდენ რუტინულიც უნდა იყოს ეს მათთვის.

### გამოყენებული ლიტერატურა:


1. Paul Howe, Amanda Freeman., Stability and Continuity of Operations for Small and Medium. IFAC Proceedings Volumes. Volume 45, Issue 10, 2012, Pages 132-137;
2. Nonhlanhla Mbatha, Musawenkosi Ngibe., FACTORS AFFECTING FINANCIAL STABILITY OF SMALL AND MEDIUM ENTERPRISES: A CASE STUDY OF EMERGING MARKETS. Factors affecting financial stability of small and medium enterprises: A case study of emerging markets, February 2017
3. https://www.researchgate.net/publication/313548836_Factors_affecting_financial_stability_of_small_and_medium_enterprises_A_case_study_of_emerging_markets
4. https://www.geostat.ge/media/13847/Mewarmeoba-saqartveloshi-2017.pdf
5. https://www.geostat.ge/media/13671/Mewarmeoba-sakqrtveloshi-2015.pdf

# ლარის კურსზე მოქმედი ფაქტორების ანალიზი

*ტარიელ კიკვაძე*
*სტუ-ს პროფესორი*
*დავით გეგია*
*ბიზნესადმინისტრირების დოქტორი*

**SUMMARY**

Exchange rate of national currency are influenced by several political and economic factors.

Financial-economic stability of families, firms and regions of country deeply depends on its predictability.

According to Academia fundamental factors that affects exchange rate are direct investments, money transfers, export-import balance, inflation, unemployment, etc.

This article deals with some factors export, investment, visitors spending and transfers. Malty linear regression analysis was performed on base of data from Geostat and National Bank of Georgia. Despite of claims of Academia that analysis show that in realm of Georgian economy above mentioned factors are not significant players. As result of investigation we could state that GEL are influenced by low-formalized factors such as political events, expectations, force-major situations, and etc.

ვალუტის კურსი ძალზე სენსიტიური მაჩვენებელია, რომელზეც მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული ქვეყნის, რეგიონების, ფირმებისა და საზოგადოების თითოეული წევრის საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობა. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება მის მეტნაკლებად ზუსტ პროგნოზირებას, რასაც ართულებს როგორც მასზე მოქმედი ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორების სიმრავლე, ისე სხვადასხვა ტიპის ფორს-მაჟორული სიტუაციები და მოლოდინები. ამასთან, ეს ფაქტორები ხშირად მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან.

საერთოდ მიღებულია გამოყონ ვალუტის კურსზე მოქმედი ფუნდამენტური ფაქტორების ორი დროითი ასპექტი - გრძელვადიანი და მოკლევადიანი. აღნიშნული გარემოება აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული პროგნოზირების მოდელებში.

[5]-ში, მაგალითად, მოყვანილია ვალუტის კურსზე მოქმედი რამდენიმე ისეთი მიმნიშვნელო მაჩვენებელი, როგორიცაა უმუშევრობის დონე, მთლიანი შიდა პროდუქტი (GDP), ფულადი მასების მონაცემები (M0,M1,M2,M3,M4), სავაჭრო ბალანსის დეფიციტი, ინფლაციის ინდექსები და სხვ.

თუ გადავხედავთ ჩვენი ეროვნული ვალუტის კურსის ცვლილების დინამიკას 1995 წლიდან დღმდე [4], თვალშისაცემია მისი სტაბილურობა 1998 წლამდე (დაახლოებით 1.3 აშშ დოლართან მიმართებაში). 1998-2000 წლებში მან ნახტომისებური ცვლილებები განიცადა და 2.5-ს მიაღწია. 2003-2004 წლებში ეროვნული ვალუტის კურსი მეტნაკლებად სტაბილური გახდა (დაახლოებით 2.0-ის ფარგლებში. 2004 წლიდან მოყოლებული ლარის კურსმა გამყარება დაიწყო, რასაც ხელისუფლების ცვლილებასა და რეფორმების გატარებას უკავშირებენ. გამყარების პროცესი ომამდე გრძელდებოდა და თითქმის 1.4-მდე ჩამოვიდა. უნდა აღინიშოს, რომ ომისშემდგომ პერიოდში, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად, ლარის კურსს მნიშვნელოვანი რყევები არ განუცდია ( იგი 1.7-ის ფარგლებში მერყეობდა) რაც ძირითადად ეროვნული ბანკის საკმაოდ ხშირი ინტერვენციებით ხერხდებოდა.

სპეციალისტები მიიჩნევენ რომ ლარის კურსზე ფუნდამენტური ფაქტორების საგრძნობი გავლენა 2014 წლიდან დაიწყო. ამ პერიოდიდან მოყოლებული ლარის კურსმა რამდენიმე ანტირეკორდი დაამყარა და სადღეისოდ "მიღწეულია" აბსოლუტური ანტირეკორდიც (იგი 3.0-ს გადასცდა).

ამგვარად, გასაგებია, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ეროვნული ვალუტის კურსზე მოქმედი ფუნდამენტური ფაქტორების გაანალიზება, მისი სტაბილურობისა და გამყარების გზების ძიება.

წინამდებარე ნაშრომში არის ქართულ სამეცნიერო-კვლევით სივრცეში ერთერთი პირველი მცდელობა ლარის კურსზე მოქმედი ფუნდამენტური ეკონომიკური ფაქტორების გაანალიზებისა ეკონომეტრიკული მოდელის გამოყენებით. კერძოდ, ექსპერტებთან კონსულტაციის საფუძველზე შერჩეული იქნა შემდეგი ფუნდამენტური ეკონომიკური ფაქტორები: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ვიზიტორთა ხარჯები, ექსპორტის მოცულობა და ფულადი გზავნილები. ცხრილი 1-ში მოყვანილია შესაბამისი 2014-2018 წლების კვარტალური დამუშავებული სტატისტიკური მონაცემები, რომელიც დაფუძნებულია [2,3] წყაროებზე.

ცხრილი 1

| კურსი USD/GEL | ინვესტიციები მლნ USD | ვიზიტორთა ხარჯები, მლნ USD | ექსპორტი მლნ USD | ფულადი გზავნილები მლნ USD |
|---|---|---|---|---|
| **Y** | **X1** | **X2** | **X3** | **X4** |
| 1,7477 | 326,6 | 163,1 | 695,8 | 323,6 |
| 1,7691 | 209,7 | 194,8 | 723,7 | 373,7 |
| 1,7524 | 740,5 | 346,2 | 733,7 | 399,1 |
| 1,8636 | 540,9 | 145,9 | 707,9 | 344,0 |
| 2,2275 | 335,0 | 107,9 | 501,4 | 249,4 |
| 2,2483 | 483,0 | 129,0 | 579,8 | 289,2 |
| 2,3816 | 515,9 | 214,8 | 563,7 | 264,3 |
| 2,3949 | 331,7 | 129,7 | 559,8 | 277,0 |
| 2,3679 | 378,8 | 108,7 | 442,6 | 237,2 |
| 2,3423 | 411,5 | 129,3 | 506,0 | 288,2 |
| 2,3297 | 491,7 | 258,3 | 563,9 | 307,2 |
| 2,6468 | 283,7 | 112,6 | 600,4 | 320,8 |
| 2,4452 | 393,6 | 103,9 | 577,9 | 293,1 |
| 2,4072 | 355,8 | 202,2 | 662,5 | 340,3 |
| 2,4767 | 622,8 | 308,1 | 706,6 | 368,3 |
| 2,5922 | 522,2 | 160,7 | 788,5 | 385,5 |
| 2,4144 | 300,1 | 193,1 | 732,1 | 356,4 |
| 2,4516 | 390,4 | 261,1 | 859,9 | 390,1 |
| 2,6151 | 344,7 | 398,2 | 854,8 | 411,6 |
| 2,6766 | 197,1 | 183,6 | 907,7 | 421,5 |

ამგვარად რეგრესიის მოდელის შესადგენად შემოვიღოთ შემდეგი აღნიშვნები:
Y - ლარის კურსი დოლართან მიმართებში;
X1 - პირდაპირი უცხოური ინვესტიციები;
X2 - შემოსავლები ტურიზმიდან;
X3 - ექსპორტის მოცულობა;
X4 – ფულადი გზავნილები.

მოყვანილ აღნიშვნებში საძიებელ წრფივი მრავლობითი რეგრესიის განტოლებას ექნება შემდეგი სახე:

$$Y1 = a + b_1X1 + b_2X2 + b_3X3 + b_4X4$$

რეგრესიის პარამეტრების პოვნა განხორციელდა MS Office Excel პროგრამის გამოყენებით. რეგრესიული ანალიზის შედეგები წარმოდგენილია ნახ 1-ზე.

SUMMARY OUTPUT

| *Regression Statistics* | |
|---|---|
| Multiple R | 0,267572476 |
| R Square | 0,07159503 |
| Adjusted R Square | -0,175979629 |
| Standard Error | 0,319915194 |
| Observations | 20 |

ANOVA

| | *df* | *SS* | *MS* | *F* | *Significance F* |
|---|---|---|---|---|---|
| Regression | 4 | 0,118388 | 0,029597 | 0,289186 | 0,880429 |
| Residual | 15 | 1,535186 | 0,102346 | | |
| Total | 19 | 1,653574 | | | |

| | *Coefficients* | *Standard Error* | *t Stat* | *P-value* | *Lower 95%* | *Upper 95%* |
|---|---|---|---|---|---|---|
| Intercept | 2,542260182 | 0,574253 | 4,427071 | 0,000490 | 1,31827 | 3,76625 |
| X1 | -0,000530407 | 0,000649 | -0,817774 | 0,426286 | -0,00191 | 0,00085 |
| X2 | 0,000383787 | 0,001311 | 0,292634 | 0,773811 | -0,00241 | 0,00318 |
| X3 | 0,000721487 | 0,001993 | 0,362073 | 0,722348 | -0,00353 | 0,00497 |
| X4 | -0,001718047 | 0,004842 | -0,354791 | 0,727685 | -0,01204 | 0,00860 |

**ნახ. 1 რეგრესიული ანალიზის შედეგები**

რამდენადმე მოულოდნელია დეტერმინაციის კოეფიციენტის დაბალი მნიშვნელობა. ეს შეიძლება აიხსნას შემდეგი მიზეზებით:

- მონაცემების არასაიმედოობით;
- არასწორი სპეციფიკაციით;
- მულტიკოლინეარობის არსებობით.

მულტიკოლინეარობის არსებობისა და სპეციფიკაციის ხარისხის შესამოწმებლად ჩატარდა კორელაციური ანალიზი. მაგალითისათვის ქვემოთ მოგვყავს სავალუტო კურსის (ჰორიზონტალური ღეძი) ფულად გზავნილებზე (ვერტიკალური ღერძი) დამოკიდებულების კორელოგრამა (ნახ. 2) და წრფივი კავშირის სიმჭიდროვე პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და ექსპორტს შორის (ნახ. 3):




**ნახ. 2 სავალუტო კურსსა და ფულად გზავნილებს შორის დამოკიდებულების კორელოგრამა**

| | X1 | X3 |
|---|---|---|
| X1 | 1 | |
| X3 | -0,08086 | 1 |

**ნახ. 3 კორელაცია პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და ექსპორტს შორის**

ამგვარად, მრავალფაქტორული ანალიზის ისეთმა მძლავრმა ინსტრუმენტმა, როგორიცაა მრავლობითი რეგრესიული ანალიზი მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ჩვენს რეალობაში ფუნდამენტური ეკონომიკური ფაქტორების გავლენის ხარისხი ეროვნული ვალუტის კურსზე არ არის ისეთი მნიშვნელოვანი, როგორსაც სამეცნიერო წრეებში მიიჩნევენ. სავარაუდოა, რომ მასზე ძლიერ გავლენას ახდენს ნაკლებად ფორმალიზებადი ისეთი ფაქტორები, როგორიცაა პოლიტიკური მოვლენები, სხვადასხვა სახის მოლოდინები, ფორს-მაჟორული სიტუაციები და ა.შ.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. კიკვაძე ტ. ბერიძე თ. ეკონომეტრიკის საფუძვლები. სტუ, თბილისი, 2011, 194 გვ.
2. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304
3. https://www.geostat.ge/ka
4. https://m2b.ge/post/269963-laris-istoria-1995-wlidan-dremde
5. http://zp-invest.ru/forex/vliyaniye_na_kurs.htm

# ჯანდაცვის სფეროს მნიშვნელოვანი ასპექტები სოციალურად ორიენტირებულ გარემოში


***შოთა ლომინაშვილი,***
*აწსუ ასოცირებული პროფესორი*
***ნაირა ვირსალაძე***
*აწსუ ასოცირებული პროფესორი,*
*ქუთაისის უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი*
***მავლინა ყიფიანი***
*ქუთაისის უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი*


## რეზიუმე


ნებისმიერი ცივილიზებული ქვეყნის მნიშვნელოვანი ამოცანა საკუთარი მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზრუნვაა. მაგრამ, რესურსების დეფიციტი აიძულებს სახელმწიფოს გააკეთოს არჩევანი, სამედიცინო მომსახურებაზე მოსახლეობის დაკმაყოფილების მიზნით, ეროვნული შემოსავლის რა ნაწილი დახარჯოს ჯანდაცვაზე, როგორ ეფექტურად გაანაწილოს იგი.

სტატიაში განხილულია ჯანდაცვის დაფინანსების მიზნით გაწეული დანახარჯების სტრუქტურა და დინამიკა. ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზმა აჩვენა, რომ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ამოქმედების შემდეგ ქვეყანაში სამედიცინო სერვისებზე მოსახლეობის ფინანსური ხელმისაწვდომობა გაუმჯობესდა და მოსახლეობის მიერ ჯანდაცვაზე გაწეული დანახარჯები მნიშვნელოვნად გაიზარდა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ეს ზრდა ძირითადად მედიკამენტებზე ფასების ზრდით არის გამოწვეული. ჯანდაცვის დაფინანსების სტრუქტურაში კვლავ დაბალია სახელმწიფო დანახარჯების წილი და მაღალია კერძო გადახდების წილი, რასაც მოსახლეობა საკუთარი შემოსავლებიდან ფარავს. შედეგად, ქვეყანაში იზრდება სიღარიბის ზღარზე მყოფი შინამეურნეობების რიცხვი, ვისთვისაც ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯები კატასტროფულად მაღალია.

გატარებული რეფორმების მიუხედავად კვლავ დაბალია სამედიცინო მომსახურების ხარისხი, მისი კლინიკური შედეგები არასახარბიელოა და მნიშვნელოვნად ჩამორჩება დასავლეთის ქვეყნებს.

მომსახურების გაუმჯობესების და დაფინანსების გაზრდის მიზნით, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრისას, სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს, რომ ჯანდაცვის სექტორის განმტკიცებაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკური ზრდა, ამიტომ მოსახლეობის ჯანმრთელობა აღიარებულ უნდა იქნეს ეკონომიკის ზრდის რეალურ ფაქტორად, რათა ჩამოყალიბდეს მისი პოტენციალის გადიდების პირობები და განისაზღვროს მყარი სოციალური გარანტიების შექმნის ეკონომიკური საფუძველი.



**საკვანძო სიტყვები:** ჯანდაცვა, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა, ჯანდაცვის დაფინანსება, ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯები.


## IMPORTANT ASPECTS OF HEALTH CARE IN A SOCIALLY ORIENTED ENVIRONMENT


**Shota Lominashvili**
Associate Professor
of Akaki Tsereteli State University
**Naira Virsaladze**
Associate Professor of Akaki Tsereteli State
University and Kutaisi University
**Mavlina Kipiani**
Assistant Professor of Kutaisi University


## RESUME


An important task of any civilized country is to take care for the health of its own population. But the shortage of resources forces the state to make choice about how to spend and distribute national income effectively on the health care in order to satisfy the population.

The article deals with the structure and dynamics of health care spending. The analysis of official statistical data showed that after the introduction of the universal health care program ,the financial access of the population to the medical services has improved in the country , and the cost of health care has increased significantly. However, it should also be said that this increase is mainly caused by the rise of prices on medicine. The share of public payments in the healthcare financing structure is still low and the share of private payments is high that is paid by the income of its own population. As a result, the number of households on the poverty line, for whom health care costs are catastrophically high, increases.

Despite the implemented reforms, the quality of medical services is still low, its clinical results are poor, and far behind from the Western countries.

To improve the service and increase funding for social and economic development priorities, the state must take into consideration that the economic growth of the country is depended on the improvement of the health care sector of the country ,so the health of the population must be recognized as a real economic growth factor, in order to formulate the conditions for

its potential growth and identify the economic basis for creating solid social guarantees..

**Keywords**: health care, universal health care program, health care financing, health care spending.

* * * *

ჯანმრთელობა დამიანის ეკონომიკური აქტიურობის საფუძველია. სწორედ ამიტომ ყოველი ცივილიზებული ქვეყნის მნიშვნელოვანი ამოცანა საკუთარი მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზრუნვაა. მაგრამ, რესურსების დეფიციტი სახელმწიფოს აიძულებს გააკეთოს არჩევანი რა აწარმოოს, როგორ აწარმოოს და ვისთვის აწარმოოს. აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია ჯანდაცვის სექტორში. სამედიცინო მომსახურებაზე მოსახლეობის დაკმაყოფილების მიზნით სახელმწიფომ უნდა განსაზღვროს ეროვნული შემოსავლის რა ნაწილი დახარჯოს ჯანდაცვაზე, როგორ ეფექტურად გაანაწილოს იგი.

ცნობილია, რომ სოციალისტური სისტემის პირობებში საქართველოს ჯანდაცვის სისტემა ეფუძვნებოდა სახელმწიფო დაფინანსების მოდელს. მართალია, საავდმყოფოების და პოლიკლინიკების მომსახურებას მთლიანად სახელმწიფო ბიუჯეტი აფინანსებდა და მოსახლეობა სარგებლობდა მომსახურების ფართო სპექტრით, თუმცა, მომსახურების ხარისხი დაბალი იყო. 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან პოლიკლინიკების სახელმწიფო დაფინანსება მთლიანად გაუქმდა და ისინი კერძო დაფინანსებაზე გადავიდნენ. თვითდაფინანსება ნაწილობრივ შეეხო საავადმყოფოებსაც.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ქვეყანაში განვითარებულ ეკონომიკურ კოლაფსს მოჰყვა არარეგულირებული სამედიცინო ბაზარი, სამედიცინო დაწესებულებების დაფინანსების მინიმუმამდე შემცირება და ინფრასტრუქტურის რადიკალური ამორტიზაცია. თუ 1990 წელს ქვეყანაში ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარაჯი ერთსულ მოსახლეზე 130-135 აშშ დოლარის ეკვივალენტი იყო, 1993-94 წლებში იგი 45 ცენტამდე შემცირდა[1]. მოსახლეობის დიდმა ნაწილმა, შემოსავლების არ ქონის გამო, დაკარგა სამედიცინო მომსახურების მიღების ხელმისაწვდომობა. ხოლო, სამედიცინო დაწესებულებებში შემოსულობების სიმცირის გამო კიდევ უფრო გაუარესდა მომსახურების ხარისხი, შესაბამისად, გაუარესდა სამედიცინო სფეროს ძირითადი სტატისტიკური მაჩვენებლები. ასე მაგალითად, 2005 წლისათვის,მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით, თუ ევროკავშირის ქვეყნებში ყოველ 100 ათას დაბადებულზე დედათა სიკვდილიანობა 18.1 ერთეულს შეადგენდა, საქართველოში მან 66 ერთეული შეადგინა. საერთო ევროპულ მაჩვენებელზე 2,5-ჯერ მაღალი იყო ჩანასახოვან მდგომარეობაში მყოფ ბავშვთა და 1,5-ჯერ მაღალი ახალდაბადებულთა სიკვდილიანობაც. დედათა სიკვდილიანობის ძირითად მიზეზად არასაკმარისად განვითარებული ჯანდაცვის ინფრასტრუქტურა (რომელიც ვერ უზრუნვეყოფდა მშობიარობის და მის ადრეულ პერიოდში დედების ხარისხიან გამოკვლევას) და აბორტების არალეგალურად გაკეთების პრაქტიკა სახელდებოდა. დედათა სიკვდილიანობის შემთხვევები უმეტესად დაბალი შემოსავლების მქონე ოჯახებში ფიქსირდებოდა, რომლებსაც არ ქონდათ ჯანმრთელობის დაზღვევა და სახსრების უქონლობის გამო ნაკლებად მიუწვდებოდათ ხელი სამედიცინო მომსახურებაზე.

ჯანმრთელობის დაზღვევის არმქონე მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის და მათი ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით 2013 წლის 28 თებერვლიდან ჩვენს ქვეყანაში ამოქმედდა საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამა.

პროგრამის ამოქმედებით ჯანდაცვაზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობისა და ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯების დასახასიათებლად ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ შემუშავებულ მაჩვენებლებსა და ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით მოვახდინეთ ამ სექტორის ეკონომიკურ-სტატისტიკური ანალიზი.

ანალიზმა აჩვენა, რომ ჯანდაცვაზე გაწეული მთლიანი დანახარჯები 2012-2017 წლებში 2 191 მლნ. ლარიდან გაიზარდა 2 878 მლნ. ლარამდე, ზრდის ტემპმა შეადგინა 131% (იხ. გრაფიკი №1)

ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების ხვედრითმა წილმა სახელმწიფოს მთლიან დანახარჯებში 2017 წლისათვის შეადგინა 10 %, რაც 4,7 %-ით აღემატება 2012 წლის მაჩვენებელს. აღნიშნულიდან ნათლდ ჩანს სახელმწიფოს დამოკიდებულება ჯანდაცვის სექტორისადმი, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებს იგი მის მიერ ნაკისრი ვალდებულებებით ჯანდაცვაზე დანახარჯებს სხვა სექტორებთან შედარებით და რამდენად ფასეულია მისთვის თითოეული მოქალაქის ჯანმრთელობა. მსოფლიო სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ჯანდაცვაზე დანახარჯების ძირითად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო დაფინანსება - 33% და სავალდებულო სოციალური დაზღვევა - 26%, საკუთარი ჯიბიდან გადახდები და კერძო სადაზღვევო შენატანები ერთად შედარებით მცირეა, შესაბამისად 18% და 19% (Getzen 2012). როგორც ვხედავთ, ჩვენს ქვეყანაში, ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების ხვედრითი წილი სახელმწიფოს მთლიან დანახარჯებში მნიშვნელოვნად ჩამორჩება მსოფლიო სტატისტიკურ მონაცემებს (იხ.ცხრილი №1)

ჯანდაცვის სისტემის დაფინანსებაში სახელმწიფო დანახარჯების წილი მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, რომელთა შორის მთავარი მისი ეკონომიკური განვითარების დონე და ბიუჯეტის შესაძლებლობებია. ქვეყანაში, რაც უფრო დიდია

1 https://www.moh.gov.ge/uploads/files/2018/Failebi/06.08.2018.pdf

ცხრილი №1

საქართველოში ჯანდაცვაზე გაწეული დანახარჯები

2012-2017 წლებში

| | | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | **ჯანდაცვაზე მთლიანი დანახარჯი (მლნ. ლარი)** | 2191 | 2254 | 2460 | 2518 | 2865 | 2878 |
| 1.1 | ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯი (მლნ. ლარი) | 450 | 547 | 693 2 | 913 | 1 067 | 1 092 |
| | მ.შ. ტერიტორიული ერთეულები | 41 | 43 | 41 | 51 | 63 | 70 |
| 1.2 | ჯანდაცვაზე კერძო დანახაჯი (მლნ. ლარი) | 1 690 | 1 655 | 1 720 | 1 559 | 1 750 | 1737 |
| 1.2.1 | ჯიბიდან გადახდები (მლნ. ლარი) | 1 609 | 1 557 | 1 623 | 1 444 | 1591 | 1575 |
| 1.2.2 | კერძო დაზღვევა (მლნ. ლარი) | 81 | 98 | 97 | 115 | 159 | 162 |
| 1.3 | საერთაშორისო დახმარებები და გრანტები (მლნ. ლარი) | 50 | 51 | 47 | 46 | 47 | 48 |
| 2. | **სახელმწიფო დანახარჯების წილი (%)** | | | | | | |
| 2.1 | მთლიანი დანახარჯებიდან | 20.6 | 24.3 | 28.2 | 36.3 | 37.2 | 38 |
| 2.2 | სახელმწიფო ბიუჯეტიდან | 5.3 | 6.3 | 7.2 | 8.6 | 9.7 | 10 |
| 2.3 | მშპ-დან | 1.7 | 2.0 | 2.4 | 2.9 | 3.1 | 2.9 |
| 3. | მთლიანი დანახარჯების წილი მშპ-დან | 8.4 | 8.5 | 8.5 | 8.5 | 8.4 | 7.6 |

წყარო: ჯანდაცვის ეროვნული ანგარიში 2012-2017,

https://www.moh.gov.ge/uploads/files/2019/Failebi/02.05.19-2012-2017-geo.pdf

მშპ, მით მეტია სახელმწიფოს წილი ჯანდაცვის სისტემის დაფინანსებაში. ჯანდაცვის ხარჯების უმეტეს ნაწილს სახელმწიფო იხდის ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამებით ან სოციალური დაზღვევის სისტემების საშუალებით. ბუნებრივია, რაც უფრო მეტია ჯანდაცვაზე დანახარჯები, მით უფრო ხელმისაწვდომია სამედიცინო დახმარება, მაღალია მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის მაჩვენებლები და სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების ზრდა არ არის ჯანდაცვის დაფინანსების პოლიტიკის უმთავრესი ამოცანა. სახელმწიფო დაფინანსების ზრდა შეიძლება გამართლებული იყოს მხოლოდ ჯანდაცვის სისტემის მიერ რესურსების ეფექტიანი გამოყენების შემთხვევაში.

როგორც ვიცით, ჯანდაცვაზე მთლიანი დანახარჯები მოიცავს როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო დანახარჯებს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით, ჯანდაცვის სახელმწიფო დანახარჯები უნდა შეადგენდეს ჯანდაცვის მთლიანი ხარჯების 40%-ზე მეტს. ქვეყნებში, სადაც ეს მაჩვენებელი 40%-ზე ნაკლებია, სახელმწიფოს შეზღუდული პასუხისმგებლობა გააჩნია ჯანდაცვის სექტორში პრობლემების გადასაჭრელად. საქართველოში ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების ხვედრითმა წილმა მთლიან დანახარჯებში 2017 წლისათვის შეადგინა 38%, რაც იმის მაჩვენებელია, რომ სახელმწიფო დაფინანსების წილი ჯერ კიდევ ჩამორჩება ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით გათვალისწინებულ ზღვარს.

ჯანდაცვის დაფინანსების მნიშვნელოვან მაჩვენებელს მიეკუთვნება ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯები მთლიან შიდა პროდუქტში. საქართველოში ჯანდაცვაზე სახელმწიფო ხარჯების მატების მიუხედავად, მისი წილი მშპ–ში საკმაოდ დაბალია

გრაფიკი №1

ჯანდაცვაზე მთლიანი დანახარჯები

2012-2017 წლებში (მლნ. ლარი)




წყარო: გრაფიკი აგებულია ჯანდაცვის ეროვნული ანგარიშების მონაცემებზე დაყრდნობით

გრაფიკი №2

ჯანდაცვაზე გაწეული დანახარჯების სტრუქტურა

2012-2017 წლებში




წყარო: გრაფიკი აგებულია ჯანდაცვის ეროვნული ანგარიშების მონაცემებზე დაყრდნობით

და შეადგენს 2.9%-ს. მაშინ როდესაც, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით, მისი წილი მშპ-ში 5% მაინც უნდა იყოს.

რაც შეეხება მაჩვენებელს „მთლიანი დანახარჯები ჯანდაცვაზე მშპ-თან მიმართებით" გვიჩვენებს ქვეყნის საერთო შემოსავლებში ჯანდაცვის წილს. იგი საზოგადოების კეთილდღეობის საუკეთესო სტანდარტული საზომია. სხვადასხვა ქვეყნების მიხედვით ეს მაჩვენებელი მერყეობს 1-დან 17 %-მდე ფარგლებში. 2017 წლის საქართველოს ჯანდაცვის ეროვნული ანგარიშების მიხედვით იგი 7.6%-ია და განვითარებული ქვეყნების მაჩვენებლებს ჩამორჩება, რაც იმაზე მეტყველებს, რომ საკუთარი ეკონომიკიდან საქართველო ჯანდაცვაზე ხარჯავს იმაზე ნაკლებს, ვიდრე განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნები.

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ამოქმედების შემდეგ ჯანდაცვის დაფინანსებაში სახელმწიფო დანახარჯების წილი 20.5 %-დან 38%-მდეა გაზრდილი, რაც დადებითი ტენდენციაა. მაგრამ ჯანდაცვის დანახარჯების ნახევარზე მეტს (54,7%) მოსახლეობა საკუთარი შემოსავლებიდან იხდის. ჯანდაცვაზე გაწეული დანახარჯების სტრუქტურა ნაჩვენებია №2 გრაფიკზე.

როგორც ვხედავთ, მოსახლეობის მიერ ჯანდაცვაზე გაწეული დანახარჯები კვლავ მაღალია, რაც ძირითადად მედიკამენტებზე ფასების ზრდით არის გამოწვეული (ხარჯების უდიდესი წილი - 69% მედიკამენტებზე მოდის, მედიკამენტების დაფინანსება კი სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამაში მინიმალურად არის გათვალისწინებული.). მედიკამენტებზე ფასების ზრდა პირდაპირ აისახება მოსახლეობის შემოსავლებზე. რის გამოც ბევრი ოჯახი იძულებულია უსახსრობის გამო უარი თქვას საჭირო სამედიცინო მომსახურებაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით 2017 წლიდან ქვეყანაში ამოქმედდა „ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფისა" და „უფასო მედიკამენტების" სახელმწიფო პროგრამები, რაც იმედია დახმარებას გაუწევს გაღარიბებულ მოსახლეობას საჭირო სამედიცინო მომსახურების მიღებაში.

ამრიგად, ჯანმრთელობის სისტემაში გატარებული რეფორმების მიუხედავად, სამედიცინო მომსახურების ხარისხი, მისი კლინიკური შედეგები კვლავ არასახარბიელოა და მნიშვნელოვნად ჩამორჩება დასავლეთის ქვეყნებს. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ამოქმედების შემდეგ სამედიცინო სერვისებზე მოსახლეობის ფინანსური ხელმისაწვდომობა გაუმჯობესდა, მოსახლეობის მიერ ჯანდაცვაზე გაწეული დანახარჯები მნიშვნელოვნად გაიზარდა, თუმცა ეს ზრდა ძირითადად მედიკამენტებზე ფასების ზრდით არის გამოწვეული. ასევე, მნიშვნელოვნად გაიზარდა იმ შინამეურნეობების რაოდენობა, ვისთვისაც ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯები კატასტროფულად მაღალია. სოციალურად ორიენტირებული სახელმწიფოს უმთავრესი მიზანი ადამიანის ცხოვრების ხარისხის (კეთილდღეობის) ამაღლებაა. ამ მიზნის მისაღწევად ეკონომიკურმა სისტემამ თავისი ფუნქციონირებით უნდა უზრუნველყოს ისეთი საზოგადოებრივ-სამართლებრივი გარემოს შექმნა, როცა: შესაძლებელი გახდება ადამიანის სრულყოფილი დასაქმება, შრომითი აქტივობის გაძლიერება, პროფესიული მომზადება, დასვენების ორგანიზაციისათვის ხელის შეწყობა; სადაც განათლების, მეცნიერების, კულტურის, ჯანდაცვის საქმე მხოლოდ საბაზრო მექანიზმზე არ არის მინდობილი და სახელმწიფო თავისი აქტიური ჩარევით ხელს შეუწყობს ქონებრივი დიფერენციაციის რთული პროცესის შერბილებას, სოციალური სამართლიანობის პრინციპის დაცვას, საზოგადოების ულარიბესი ფენების ინტერესების გათვალისწინებას, ოჯახის სტაბილურობას და ა. შ. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ის, რომ სოციალური სფეროს განმტკიცებაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ეკონომიკური ზრდა. განათლება, მეცნიერება, კულტურა, ჯანმრთელობა აღიარებულ უნდა იქნეს ეკონომიკის ზრდის რეალურ ფაქტორად, რათა ჩამოყალიბდეს მათი პოტენციალის გადიდების პირობები, განისაზღვროს მყარი სოციალური გარანტიების შექმნის ეკონომიკური საფუძველი.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. ვერულავა თ. ჯანდაცვის ეკონომიკა. საქართველოს უნივერსიტეტი, 2009.
2. ვერულავა თ. ჯანდაცვის დანახარჯები ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციები და საქართველოს ჯანდაცვის დაფინანსება. სიახლეები, ეკონომიკა და სოციალური პოლიტიკა, პუბლიკაციები ,სტატია18, ნოემბერი 2015
3. ხმალაძე მ. სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში, თსუ, 2011.
4. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ჯანმრთელობის ეროვნული ანგარიში 2012-2017, თბ., 2018.
5. Getzen 2012. Thomas Getzen. Health Economics and Financing. 5th Edition. Wiley. 2012.
6. The World Bank 2015. Health expenditure, public (% of GDP). World Bank Open Data. 2015.

# წარმოებისა და საწარმოო პროცესების მართვა

*ლუარა გვაჯაია*
*სტუ პროფესორი*

**რ ე ზ ი უ მ ე**

სტატიაში განხილულია წარმოებისა და საწარმოო პროცესების მართვის არსი და მისი მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საქმეში; განმარტებულია ცნებების: „მართვა“ და „მენეჯმენტი“ - როგორც საერთო, ისე განმასხვავებელი მახასიათებლები; გაანალიზებულია „წარმოებისა“ და „საწარმოო პროცესის“ ცნებების არსი, წარმოების სახეები და ტიპები, ორგანიზაციის მართვის ხაზობრივი და ფუნქციონალური სტრუქტურების არსი; განხილულია სამეურნეო საქმიანობის ორგანიზაციული და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები.

**საკვანძო სიტყვები:** წარმოება, საწარმოო პროცესი, მართვა, მენეჯმენტი, პროდუქცია, საქონელი, სამუშაო, მომსახურება, წარმოების ტიპი, წარმოების ორგანიზაცია, ინდივიდუალური წარმოება, სერიული წარმოება, მასიური წარმოება, კომპანია, კორპორაცია, კონსორციუმი, მართვის სტრუქტურა, ხაზობრივი სტრუქტურა, ფუნქციონალური სტრუქტურა.

**MANAGE PRODUCTION AND PRODUCTION PROCESSES**

Luara Gvajaia
GTU Professor

**R E S U M E**

The article discusses the essence of manufacturing and production processes management and its importance in the development of the country's economy; The concepts of "management" and "management" - both common and distinctive; The essence of the concepts of "production" and "production process", types and types of production, the essence of linear and functional management structures of the organization are analyzed; Organizational and organizational-legal forms of economic activity are discussed.

**Keywords**: production, production process, management, management, products, goods, work, services, production type, production organization, individual production, serial production, mass production, company, corporation, consortium, management structure, linear structure, functional structure.

* * * *

**მართვა** ზოგადად ადამიანის, სოციალური ჯგუფებისა და ერთობების შეგნებული ზემოქმედებაა სხვადასხვა ობიექტზე და გარემომცველ სამყაროში მიმდინარე პროცესებზე, მათში მონაწილე ადამიანებზე და მათ შორის ურთიერთობებზე; მისი მიზანია პროცესისადმი განსაზღვრული მიმართულების მიცემა და სასურველი მიზნებისა და ამოცანების განხორციელება.

„მართვა“ უნივერსალური ცნებაა, იგი გულისხმობს ნებისმიერი ობიექტის თუ პროცესის, როგორც ეკონომიკური, ისე არა ეკონომიკური ბუნების მართვას. ცნებები - **„მართვა“** და **„მენეჯმენტი“** ერთმანეთთან ახლოსაა, მაგრამ მათ შორის განსხვავებაა. მენეჯმენტი ეკონომიკის მართვის ნაწილია, რომლის ზემოქმედება ვრცელდება ორგანიზაციების, სამეწარმეო სტრუქტურების, მათი პერსონალის, საწარმოო პროცესების, სამეწარმეო საქმიანობის, ბიზნესის ცალკეული სახეობის, ორგანიზაციის, ფირმის, ეკონომიკური პროექტის მართვაზე. ფართო გაგებით, მენეჯმენტი ეკონომიკური ობიექტების, პროცესების, ურთიერთობების მართვაა ანუ ზოგადად, ეკონომიკური მართვაა. აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ **„მართვა“ და „მენეჯმენტი“ თავისი შინაარსით ახლოსაა ერთმანეთთან.**

ჩვენი სტატიის მიზანია ეკონომიკის განვითარების მთავარი ღერძის - **წარმოების და საწარმოო პროცესების - მართვის არსისა და შინაარსის დადგენა.** ცნება **„წარმოება“** მიეკუთვნება ეკონომიკისა და მართვის საკმაოდ გავრცელებულ, ბაზისურ ცნებათა რიცხვს. ფართო გაგებით „წარმოებაში“მოიაზრება ნებისმიერი პროდუქტის შექმნა, საქმიანობა, გამიზნული ადამიანებისათვის საჭირო ნივთების შესაქმნელად. უფრო ზოგადად, მას განსაზღვრავენ, როგორც საქმიანობას, ქმედებებს, რომელთა მეშვეობით ადამიანები სხვადასხვა რესურსის გამოყენებით ქმნიან სხვადასხვა სახის ეკონომიკურ პროდუქტს, რაც აუცილებელია ცხოვრებისათვის, ეკონომიკის განვითარებისათვის, სიმდიდრის გაზრდისათვის.

ისტორიულად წარმოებაზე შეხედულება ყალიბდებოდა როგორც მატერიალურ წარმოებაზე, ანუ შრომის პროდუქტების შექმნაზე მატერიალურ-ნივთობრივი ფორმით. ეს შეხედულება ცალკეულ ადამიანებში დღემდე შენარჩუნებულია. ბოლო პერიოდში „წარმოების“ცნება გამოიყენება აგრეთვე სულიერ, კულტურულ მომსახურებებში, სწავლების, ჯანდაცვის, მეცნიერებისა და მართვის საკითხებში; უკვე ხმარებაშია, „ცოდნის წარმოება“, „სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქციის წარმოება“,

„ფილმების წარმოება, თვით „ჯანმრთელობის წარმოებაც" კი. ამრიგად, „წარმოების" ცნება გამოიყენება ნებისმიერ შემოქმედებით საქმიანობაში.

წარმოების შედეგს ზოგადად უწოდებენ **„პროდუქციას".** „პროდუქციის" „საქონლისაგან" განმასხვავებელი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მას მიეკუთვნება ყველა წარმოებული პროდუქტი იმის და მიუხედავად, ხვდებიან თუ არა ისინი მიმოქცევის სფეროში. თანამედროვე ეკონომიკაში და მართვის თეორიაში ცნება „პროდუქცია" გამოიყენება იშვიათად; წარმოების შედეგებს, წარმოებად პროდუქტებს კი უწოდებენ „სამუშაოს", „საქონელს", „მომსახურებას".

**„სამუშაო"** - ეს საწარმოო საქმიანობის ფიზიკურად ნათლად შესაგრძნობი შედეგია, რომელიც იზომება როგორც თვით საქმიანობის მოცულობით, ასევე მისი შედეგის სიდიდით, მასშტაბით. სამუშაოები, როგორც წარმოების ელემენტი და მისი შედეგი, ასახავენ პროდუქციის, საქონლის თვისებებს და უფრო მეტი ზომით - მომსახურებებს.

**„საქონელი"** - საწარმოო საქმიანობის პროდუქტის სახით - წარმოადგენს ყიდვა-გაყიდვის წარმოების, გამყიდველებსა და მყიდველებს შორის საბაზრო ურთიერთობების შემდგომ ობიექტს, იგი უნდა აკმაყოფილებდეს მომხმარებლის მოთხოვნებს. არსებობს საქონლის შემდეგი სახეები: საწარმოო დანიშნულების, სამომხმარებლო, საბოლოო და შუალედური მოხმარების, გრძელვადიანი და მოკლევადიანი მოხმარების, ყოველდღიური მოთხოვნილების, სეზონური, სანედლეული პროდუქტები და მზა ნაწარმი, მატერიალურ-ნივთობრივი საქონელი, საინფორმაციო პროდუქტები, სულიერი ფასეულობანი.

**„მომსახურება" -** სპეციფიკური შრომის პროდუქტია საქმიანობის სახით, რომლის შესრულებისას იცვლება ადრე შექმნილი პროდუქტის ხარისხი ან ხდება პიროვნების მოთხოვნილების დაკმაყოფილება, რაც არ თხოულობს ახალი მატერიალურ-ნივთობრივი პროდუქტის შექმნას. მომსახურებებს მიეკუთვნება სწავლება, მკურნალობა, საყოფაცხოვრებო, კომუნალური, სატრანსპორტო მომსახურება, კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობა, ბავშვებისა და მოხუცების მოვლა, საკონსულტაციო საქმიანობა, ინფორმაციის მიწოდება, საქმიანი ოპერაციების განხორციელების უნარი. მიუხედავად იმისა რომ მომსახურება არ არის მატერიალურ წარმოებასთან უშუალო კავშირში, თანამედროვე ეტაპზე მომსახურების საქმიანობასაც განიხილავენ წარმოებასთან ერთიან ჭრილში.

წარმოების მართვაში განმსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭება **წარმოების ტიპებსა და წარმოების ორგანიზაციის მეთოდებს,** რაზედაც არსებითად დამოკიდებულია საწარმოო პროცესების მართვის ხერხები და მეთოდები.

**წარმოების ტიპი** უპირველესად განპირობებულია და ხასიათდება პროდუქტის გამოშვების მასშტაბით და რეგულირებით, რომლებიც თავის მხრივ დამოკიდებულია წარმოების კონცენტრაციაზე და რეგულირებაზე. წარმოების მართვის თეორიასა და პრაქტიკაში განასხვავებენ **ინდივიდუალური, ერთჯერადი, წვრილსერიული, სერიული და მსხვილსერიული, მასიური წარმოების ტიპებს.** წარმოების ტიპის განსაზღვრა, მისი მიკუთვნება რომელიმე ერთ-ერთი ზემოთ აღნიშნული ტიპის თუ კლასისადმი, უნდა მოხდეს წარმოების ტექნოლოგიური პროცესებისა და მისი შესაბამისი დანადგარების, წარმოების ორგანიზაციის მეთოდის შერჩევის პოზიციიდან გამომდინარე. წარმოების ტიპთან კავშირშია სამუშაო ადგილების ორგანიზაცია და დატვირთვა, შრომის ინტენსივობა, საწარმოო და მომსახურე პერსონალის კვალიფიკაცია.

**ინდივიდუალური წარმოება** ხასიათდება ცალკეული ერთეული, არა განმეორებადი პროდუქციის პერიოდულად გამოშვებით. თითოეული მათგანი გამოირჩევა განსხვავებული კონსტრუქციული პარამეტრით, ხარისხით , თვისებებით.

**წვრილსერიული წარმოება** ხასიათდება ერთი ტიპის ნაწარმის მცირე პარტიებით პერიოდული გამოშვებით, ეს იძლევა წარმოების ცალკეული რგოლის, უბნის, სამუშაო ადგილების ტიპიური, განმეორებადი ტექნოლოგიური ოპერაციების შესრულებაზე სპეციალიზირების საშუალებას.

**სერიული წარმოება** გამოირჩევა არსებითად დიდი პარტიების სერიულად გამოშვებით, რაც იძლევა სამუშაო ადგილების კონკრეტული ოპერაციებით დატვირთვის საშუალებას.

**მსხვილსერიული წარმოება -** ხასიათდება ასეულობით და ათასობით ერთი ტიპის ნაწარმის გამოშვებით, რაც უფრო აძლიერებს კონკრეტულ ტექნოლოგიურ ოპერაციასთან მუშაკის ხანგრძლივად მომსახურებას, შესრულებული ოპერაციის ხარისხის ამაღლებას.

**მასიური წარმოების** პროცესში ერთგვაროვანი პროდუქციის გამოშვების მოცულობა რამდენიმე ათასს შეადგენს წლის განმავლობაში, ხასიათდება დანადგარის ტექნოლოგიური სპეციალიზაციის და ძირითადი წარმოების პერსონალის ფუნქციონალური სპეციალიზაციით. ეს იძლევა საწარმოოს პროცესის ტექნოლოგიური ელემენტების სტანდარტიზაციის, ტიპიზაციის პოტენციურ შესაძლებლობას , რის შემდეგ მკვეთრად მცირდება დამუშავების დრო და იზრდება შრომის მწარმოებლურობა. გამოიყენება სპეციალიზირებული ტექნოლოგიური დანადგარები, იქმნება წარმოების ავტორიზაციის შესაძლებლობები.

**უწყვეტი წარმოება** ხასიათდება მუდმივი ნაკადით და დიდი მოცულობით პროდუქციის გამოშვებით. ასეთი წარმოების ტექნოლოგია ატარებს სტაბილურ ხასიათს, რაც იძლევა ტექნოლოგიის უმაღლეს დონემდე სრულყოფის საშუალებას. უწყვეტი წარმოება შეიძლება მუშაობდეს კონვეიერული სისტემით. ამასთანავე მან უნდა უზრუნველყოს

მდგრადი მუშაობა, ერთი ადგილის ჩავარდნამ შეიძლება წარმოება მიიყვანოს გაჩერებამდე, პროდუქციის გამოშვების დარღვევამდე, უწყვეტი ხაზების გაჩერებამდე, ყოველივე ეს დიდ დანაკარგებთანაა დაკავშირებული.

განსაკუთებული მნიშვნელობა ენიჭება **ორგანიზაციის მართვის სტრუქურის** სწორად და რაციონალურად ჩამოყალიბებას. როდესაც მართვის სტრუქტურა , მისი რეალური ფუნქციონირება ხდება იმ შინაარსის შესაბამისად, რაც საპროექტო სქემაში იყო ჩადებული, მეტყველებს მენეჯმენტის მაღალ დონეზე, მართვის პროცესის მოწესრიგებულობაზე, ფუნქციების ზუსტ განაწილებაზე.

ორგანიზაციის მართვის სტრუქტურა სხვადასხვანაირია. უპირველესად სტრუქტურას განაპირობებს ორგანიზაციის მასშტაბი, რომელიც განსაზღვრავს როგორც მუშაკთა რიცხოვნობას, ისე წარმოების მოცულობას. მნიშვნელოვანწილად შიდა მართვის სტრუქტურა დამოკიდებულია მისი მართვის პროფილზე. სხვადასხვა სახის სტრუქტურებია დამახასიათებელი ორგანიზაციებისათვის, რომლებიც აწარმოებენ მატერიალურ, სულიერ, ინფორმაციულ პროდუქტებს, საქონელსა და მომსახურებას. დამახასიათებელი განსაკუთრებულობებით გამოირჩევიან მანქანათმშენებელი, სამშენებლო, სასოფლო-სამეურნეო სატრანსპორტო ორგანიზაციების მართვის სტრუქტურები, ასევე გამოხატული სპეციფიკით გამოირჩევიან მეცნიერების, კულტურის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, საბინაო -კომუნალური სფეროს ორგანიზაციათა მართვის სტრუქტურები.

**მართვის ხაზობრივი სტრუქტურა** მიეკუთვნება მართვის ყველაზე მარტივ სტრუქტურას. ასეთი სტრუქტურა ითვალისწინებს ვერტიკალურ ხაზობრივ კავშირებს. თითოეული სახაზო ხელმძღვანელი უშუალოდ ექვემდებარება საწარმოს ხელმძღვანელს. იგი მართავს ორგანიზაციის მსხვილი რგოლის საქმიანობას და პასუხს აგებს მის საქმიანობაზე და ურთიერთ თანამშრომლობს სხვა რგოლების ხელმძღვანელობასთან უმაღლესი ხელმძღვანელობის მეშვეობით. მართვის ასეთი სქემის ნაკლოვანება იმაშია, რომ არ არსებობს პირდაპირი ჰორიზონტალური კავშირები, ასეთი კავშირები ხორციელდება მხოლოდ ხელმძღვანელობის მეშვეობით. ხაზობრივ ხელმძღვანელებს გააჩნიათ შესაძლებლობა მათზე დაქვემდებარებულ სამსახურებზე პირდაპირი , უშუალო ზემოქმედებისა. ასეთი სქემა ორგანიზაციისა გამოირჩევა სიმკაცრით, ხელმძღვანელთა მოქმედების ველის შეზღუდულობით.

ხელმძღვანელობისათვის უფრო ფართო შესაძლებლობებს იძლევა **ფუნქციონალური სტრუქტურა.** ასეთი სტრუქტურა ყველაზე უფრო ტიპიურია და გავრცელებულია. მისი მთავარი ნიშანია - სტრუქტურების დაყოფა შემადგენელ ნაწილებად შესასრულებელი ფუნქციების სახისა და შინაარსის მიხედვით. ასეთი მიდგომისას ობიექტის მართვა ხორციელდება მათი ფუნქციების მართვის მეშვეობით კონკრეტული ფუნქციების შესრულებაზე პასუხიმგებელი ხელმძღვანელების მხრიდან, ჯამში შემსრულებელები დაქვემდებარებული არიან სხვადასხვა ფუნქციონალურ ხელმძღვანელებზე თითოეული ხელმძღვანელის ფუნქციონალური ამოცანების შესაბამისად.

ფუნქციონალური სტრუქტურის ორგანიზაციებში ვეტრიკალური კავშირები ნაწილობრივ ხდებიან ჰორიზონტალურები, რაც ქმნის უფრო ღრმა კავშირებს და შედეგად ამაღლებს მართვის სისტემურობის დონეს.

ხაზობრივი და ფუნქციონალური სტრუქტურების უპირატესობათა შერწყმისაკენ სწრაფვა იწვევს **ხაზობრივ-ფუნქციონალური სტრუქტურის** ჩამოყალიბებას.

**ფუნქციონალური სამსახურები** ხელმძღვანელობენ ფინანსების, დაგეგმვის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის, პროექტირებისა და კონსტრუირების, გასაღების, მარკეტინგის, ხარისხის, საკადრო საკითხების, ინფორმაციული უზრუნველყოფის, აღრიცხვისა და კონტროლის სტრუქტურების საქმიანობებს. სახაზო მართვის ორგანოები განაგებენ წარმოებას, ცალკეული სახის პროდუქციის გამოშვების საკითხებს, ტექნიკური პროცესების მიმდინარეობას, ორგანიზაციის ტერიტორიული სტრუქტურების მართვას, ადმინისტრაციული ხელმძღვანელობის საკითხებს.

მოკლედ შევეხებით სამეურნეო საქმიანობის **ორგანიზაციულ და ორგანიზაციულ- სამართლებრივ ფორმებს.** სამეურნეო სუბიექტები , თავიანთი სტატუსიდან გამომდინარე, იყოფა ორ კატეგორიად: ფიზიკური პირები და იურიდიული პირები. **ფიზიკურ პირად** ითვლება ნებისმიერი მოქალაქე, რომელიც მოქმედებს დამოუკიდებელი სუბიექტის რანგში თავისი სახელით. **იურიდიული პირი** კი არის ორგანიზაცია, რომელსაც გააჩნია საკუთრებაში, სამეურნეო მფლობელობაში თუ ოპერატიულ მართვაში განკერძოებული ქონება და თავისი ვალდებულებით პასუხს აგებს ამ ქონებაზე, შეუძლია თავისი სახელით შეიძინოს და განახორციელოს როგორც ქონებრივი, ისე კერძო უფლებები.

ეკონომიკური და სამეურნეო საქმიანობის მყარი და მასშტაბური სახით მოწყობის ფორმაა **„ორგანიზაცია“,** რომელიც ხასიათდება, როგორც ცალკეული პირების, საზოგადოებრივი ჯგუფების გაერთიანება, რომელსაც გააჩნია გამოხატული სტრუქტურა, განსაზღვრული ამოცანები და მოქმედებათა პროგრამა.

დამოუკიდებელ სამეურნეო სუბიექტს უწოდებენ **საწარმოს** იმ შემთხვევაში, თუ იგი შექმნილია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და ახორციელებს პროდუქციის წარმოებას, მომსახურებას საზოგადოების სხვადასხვა მოთხოვნილების დაკმაყოფილებისა და მოგების მიღების მიზნით.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში იზრდება ორ-

განიზაციის ისეთი ფორმები, როგორიცაა, **კოოპერატივები, მცირე საწარმოები,** ასევე **ერთობლივი საწარმოები.** ამასთანავე მსხვილი ინტეგრაციული ფორმის სახით წარმოიქმნენ **კონცერნები, ასოციაციები, კონსორციუმები.**

საზღვარგარეთის ქვეყნებში, ნაცვლად ტერმინისა - **„საწარმო",** ძირითადში იყენებენ - **„ფირმას".** ფირმას უწოდებენ სამეურნეო ორგანიზაციას, კომპანიას, რომელსაც გააჩნია იურიდიული პირის უფლებები და ახორციელებს საქმიანობას შემოსავლებისა და მოგების გაზრდის მიზნით. **„კომპანიები"** - საწარმოებია მრავალფეროვანი პროფილით და დაფუძნებულია მეანაბრეთა წილობრივი მონაწილეობის საფუძველზე. **კორპორაცია** კი არის იურიდიულ პირად დარეგისტრირებული ორგანიზაცია, როგორც საწარმოთა, ორგანიზაციათა, ფიზიკურ პირთა მსხვილი გაერთიანება, რომელშიც საკუთრების უფლებები მათ შორის განაწილებულია როგორც აქციონერებს შორის. კორპორაცია, როგორც სამეურნეო საქმიანობის ფორმა, დომინირებს აშშ-ის ეკონომიკაში.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. В. А. Райзберг. Курс управления экономикой. 2003.
2. ე. ბარათაშვილი, ნ. გალახვარიძე, კ. არაბული, ნ.გრძელიშვილი. საქართველოს ეკონომიკა. 2012.
3. ლ.გვაჯაია. მართვა, მენეჯმენტი, რეგულირება. ჟ. „სოციალური ეკონომიკა". N4, 2017.
4. ლ. გვაჯაია. ხელმძღვანელობის სტილი - დაქვემდებარებულებთან ხელმძღვანელის საქმიანი ურთიერთობის ხერხი.

# საქართველოს ტურიზმის სექტორის ძირითადი გამოწვევები და მათი გავლენა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე

***მარინა მეტრეველი***
*სტუ პროფესორი*
***ნინო კეკელიძე***
*სტუ დოქტორანტი*

**MAJOR CHALLENGES OF TOURISM SECTOR IN GEORGIA AND ITS IMPACT ON ECONOMIC DEVELOPMENT OF THE COUNTRY**

**Marina Metreveli**
Georgian Technical University,
Business Technology Faculty, Professor

**Nino Kekelidze**
Georgian Technical University,
Business Technology Faculty, Doctoral Student

**RESUME**

This paper discusses the major challenges of tourism sector in Georgia and its impact on economic development of the country. Georgia has been a growing destination for international tourism. Tourism has become one of the strategic directions of the Georgian economy.

The aim of this paper is to define which challenging areas are outstanding in Georgia, explore how this process influences the international tourism flows' formation. For this aim, the research objectives are to define the chalenging factors and to identify the aspects and the conditions for the promotion of sustainable and high-end tourism in Georgia. The research findings suggest that approximation to the European standards are the most important as well as implementation of more tourism researches which will minimize the negative influences and pay attention to to sustainable tourism management. The paper discusses the characteristics of tourism challenges in Georgia and the prospects of the development of sustainable tourism.

**Key words:** Tourism Challenges, Georgia, Economic development

* * * *

საქართველოში შემომყვანი და გამყვანი ტურიზმის განვითარების სტატისტიკური მონაცემები გვიჩვენებს, რომ ტენდენცია ზრდადია. პოზიტიური ცვლილებები და რეფორმები ხელს უწყობს საერთაშორისო ტურიზმს, თუმცა, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის სტატისტიკისა და დაგეგმარების სამმართველოს ინფორმაციის მონაცემებით, მიუხედავად იმისა, რომ 2009-2013 წლებში ტურიზმი საქართველოში 300%-ზე მეტით გაიზარდა და ეკონომიკის მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა, ტურისტები საქართველოში მსოფლიო საშუალო მაჩვენებელზე ნაკლებს ხარჯავდნენ.

აღნიშნულ სიტუაციას მდგრად განვითარებაზე შეიძლება არ ჰქონდეს დადებითი გავლენა. საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიის მიზანია ტურისტული ვიზიტის ხანგრძლივობის გაზრდა და მაღალიგადახდისუნარიანი ბაზრებიდან ტურისტული ნაკადების გაზრდა. აღნიშნული საკითხები აქტიურად განიხილება ექსპერტთა საზოგადოების მიერ და გახდა ტურისტული სტრატეგიის მიზანი 2025 წლისათვის. მოცემული მიზნის მისაღწევად, საჭიროა ტურისტული სერვისების ხარისხის გაზრდა. საქართველოს ევროპული მისწრაფებების გათვალისწინებით, ვფიქრობთ, რომ საქართველოს ტურიზმის მარეგულირებელი აქტების ევროპულ კანონმდებლობასთან, ნორმებთან და სტანდარტებთან დაახლოება ევროპიზაციის პროცესს დააჩქარებს. მეორე მხრივ, ტურიზმის სფეროში ჩართული აქტორების რეგულირების ნაკლებობა, როგორიცაა სატრანსპორტო და ტურისტული კომპანიები, სასტუმროები, კვებითი ობიექტები, ა.შ., ზოგ შემთხვევაში ხელს უწყობს არასამართლიან და არაპროფესიონალურ აქტოვობებს, რაც სფეროს რეპუტაციას ლახავს. 1997 წელს მიღებული "საქართველოს კანონი ტურიზმისა და კურორტების შესახებ" ქართული ტურიზმის თანამედროვე განვითარების შესაბამის ცვლილებებს მოითხოვს. "საქართველოს კანონის "ტურიზმისა და კურორტების შესახებ" მიღების დროს ქვეყანაში რთული და დღევანდელისგან განსხვავებული ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება იყო. ტურიზმი კი მსოფლიოში ცნობილია, როგორც სწრაფად განვითარებადი დარგი. ცხადია, ამ განვითარებას ბევრი ცვლილებები მოსდევს, რომლებიც თანხვედრაში უნდა იყოს ქვეყნის როგორც პოლიტიკურ ისე ეკონომიკურ განვითარებასთან. ქვეყანაში ტურიზმის განვითარების პოლიტიკა და ტურისტული საქმიანობის რეგულაცია უნდა წარ-

**დიაგრამა N1**
**საერთაშორისო მოგზაურები წლების მიხედვით**




მართოს დარგის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანომ – ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნულმა სააგენტომ, მაგრამ მოძველებული სამართლებრივი ბაზა ამ საქმიანობის ეფექტურად წარმართვის შესაძლებლობებს ზღუდავს." (მ. მეტრეველი, ტურიზმის ეკონომიკა და პოლიტიკა, 2011 წელი, გვ. 204). ტურიზმის სფეროში ბევრი გამოწვევა არის, რომელიც შესაბამის რეაგირებასა და რეგულირებას მოითხოვს. მაგალითად, სერვისის გაწევის ხარისხთან და შესაბამისი სტანდარტების დამკვიდრებისათვის რეგულირებაა საჭირო ტურიზმის სფეროს შემადგენელ სხვადასხვა სექტორში, რათა მიიღწეს დარგის მდგრადი განვითარება. ტურიზმი არაპირდაპირ მოიხმარს საჯარო სიკეთეებს, როგორიცაა სუფთა გარემო, ღირშესანიშნავი ადგილები, საჯარო შენობები, ბუნებრივი და არქიტექტურული ობიექტები, ა.შ. შესაბამისად, მნიშვნელოვანია დარგის მდგრადობის შენარჩუნება და გარემოზე გავლენის შემცირება, რომელიც ფიზიკური და იურიდიული პირების ჩართულობით შეიძლება განხორციელდეს. ლიცენზირება და ხარისხის გაზრდა არის მიდგომა, რომელიც გაზრდიდა ტურიზმში ჩართული აქტორების პასუხისმგებლობასა და მდგრადი მომსახურებების გაწევას. მეორე მხრივ, გაზრდილი ტურისტული სერვისების ხარისხიდან მოზიდული რესურსები ტურიზმის ინკლუზიურობის, სოციალური მიზნებისა და ხელმისწავდომობის გასაუმჯობესებლად შეიძლება გადამისამართდეს.

ლიცენზირებისა და კვალიფიკაციის მინიჭების პროცედურების არარსებობა არის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა, რაც არ არის შესაბამისად განხილული ტურიზმისა და კურორტების შესახებ საქართველოს კანონში, მიუხედავად იმისა, რომ ამის მნიშნელოვნება აღნიშნულია ევროკავშირსა და საქართველოს შორის დადებული ასოცირების შეთანხმების 94-95 მუხლებში.[1] ხელშეკრულების 328-ე მუხლი ტურიზმს ეხება და მასში აღნიშნულია: „მხარეები ითანამშრომლებენ ტურიზმის სფეროში კონკურენტული და მდგრადი ტურიზმის, როგორც ეკონომიკური ზრდისა და გაძლიერების, დასაქმებისა და საერთაშორისო გაცვლების ხელშემწყობი ინდუსტრიის განვითარების მიზნით".[2]

ასოცირების შეთანხმების 330-ე მუხლი კი კონცენტრირებულია შემდეგ საკითხებზე ტურიზმის სფეროში:

ა) ინფორმაციის, საუკეთესო პრაქტიკის, გამოცდილებისა და "know-how"-ს გაცვლა;

ბ) საჯარო, კერძო და ადგილობრივი თემების ინტერესებს შორის პარტნიორობის შენარჩუნება, ტურიზმის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის მიზნით;

გ) ტურისტული ნაკადების, პროდუქტების და ბაზრების, ინფრასტრუქტურის, ადამიანური რესურსების და ინსტიტუციური სტრუქტურების ხელშეწყობა და განვითარება.

დ) ეფექტიანი პოლიტიკის შემუშავება და იმპლემენტაცია;

ე) ტურიზმის სფეროში მომზადება და შესაძლებლობების განვითარება, რაც მომსახურების სტანდარტების გაუმჯობესებისკენაა მიმართული; და

ვ) ტურიზმის განვითარება და ხელშეწყობა, მათ შორის, ადგილობრივ თემებში".[3]

უნარ-ჩვევებისა და სამუშაო ბაზარზე ორიენტირებული კვალიფიკაციის ნაკლებობა არის მნიშვნელოვანი გამოწვევაა. საქართველოს უმაღლესი, ისევე როგორც პროფესიული განათლების სისტემაში ბიზნესის ადმინისტრირების ან ტურიზმის საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტები ზოგად ცოდნას იძენენ ტურიზმის შესახებ, რომელიც არ არის ორიენტირებული სპეციალურ კომპეტენციებზე და სამუშაო ბაზრის მოთხოვნებზე. საჭირო პრაქტიკუ-

1 ევროკავშირი, საგარეო მოქმედებათა სამსახური, ასოცირების ხელშეკრულება ევროკავშირსა და ატომური ენერგიის ევროპულ საზოგადოებასა და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, ერთი მხრივ, და საქართველოს, მეორე მხრივ, ევროკავშირის ოფიციალური ჟურნალი გ 261 ტომი 57, ლ 261 / 45-261/46, 2014 წლის 30 აგვისტო.

https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/association_agreement.pdf

2 იქვე, 261/116

3 იქვე

ლი უნარ-ჩვევების ნაკლებობისა და უცხო ენების ცოდნის პრობლემაც აქტუალურია. გარდა ამისა, ტურიზმის სფეროში არსებული სახელმძღვანელოები და გაიდლაინები ეროვნული და გლობალური ტურიზმის ტენდენციების შესაბამისად საჭიროებს განახლებას.

საქართველოს კანონმდებლობა ორიენტირებულია ბიზნესის წამოწყების სიმარტივეზე, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია ტურისტული საქმიანობის განმახორციელებელი იურიდიული პირის ერთ დღეში რეგისტრაცია, რაც არ მოითხოვს დარგში განათლების ან გამოცდილების ქონას, ფინანსურ გარანტიას, ან რაიმე მომსახურების სტანდარტის დაკმაყოფილებას. აღნიშნული პირობა ხელს უწყობს კერძო სექტორის ზრდასა და ახალი კომპანიების რეგისტრაციას, რომლის მიხედვითაც საქართველო ბიზნესის კეთების სიმარტივის საერთაშორისო რეიტინგებში მოწინავე ადგილებს იკავებს, თუმცა ამასთანავე დაბალი რეგულირება მოიცავს დარგის განვითარების საფრთხეებს. 2016 წელს ტურისტული სააგენტოების წინააღმდეგ რამდენიმე თაღლითობის საქმე გახმაურდა, რაც შეეხებოდა კომპანიების გადახდისუუნაროდ გამოცხადებასა და მომსახურების გაწევის გარეშე კლიენტთათვის საფასურის გადახდას.[4] შესაბამისი მარეგულირებელი კანონმდებლობის არაეფექტურობისა და მომხმარებლების მიერ მათი უფლებების დარღვევის შესახებ რეაგირების დაბალი მაჩვენებლების პირობებში, არასამართლიან კონკურენციაში ჩაბმულ ბაზრის მონაწილეებს საშუალება ეძლევათ გააგრძელონ მსგავსი პრაქტიკა. მეორე მხრივ, ძლიერი მომხმარებლის უფლებათა დაცვის რეგულატორის არარსებობა ასევე აფერხებს მსგავს საქმეებზე ეფექტურ რეაგირებას. სახალხო დამცველის აპარატი კონცენტრირებულია ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის შემთხვევებზე და მომხმარებელთა უფლებების დაცვის საქმეები როგორც წესი, ნაკლებად ჟღერდება. საქმის წარმოება სასამართლოში ფინანსური და დროის რესურსების ხარჯებთანაა დაკავშირებული, რასაც ტიპიური მომხმარებელი თავს არიდებს, განსაკუთრებით თუ მიღებული ზარალი მნიშვნელოვანი არ არის. ბევრ ევროპულ ქვეყანაში ტურისტული კომპანიის დაფუძნებისათვის შესაბამისი ნებართვებია საჭირო, ისევე როგორც კომპანიის დაფუძნების ფინანსური გარანტიის არსებობა. ხოლო ტურიზმის სტანდარტები ისევე როგორც მომხმარებლის უფლებები და მოვალეობები საკანონდებლო დონეზე რეგულირებულია.

სატრანსპორტო სექტორი საქართველოში ასევე გამოირჩევა დაბალი რეგულაციით. მიუხედავად იმისა, რომ თეორიულად თავისუფალი საბაზრო პირობები და კონკურენცია მომსახურების ხარისხის გაზრდას უნდა იწვევდეს, საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ არსებული თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პირობების ფარგლებში ტრანსპორტის მომსახურების ხარისხი ჯერ კიდევ გასაუმჯობესებელია, რომ ევროკავშირის სტანდარტებს დაუახლოვდეს. “სატრანსპორტო რეგულირებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან იგი გავლენას ახდენს ტრანსპორტის ფასზე, ხელმისაწვდომობასა და ხარისხზე” (მ. მეტრეველი, ტურიზმის ბიზნესი, 2011, გვ. 45). ნებისმიერი მოქალაქე, რომელსაც აქვს მართვის მოწმობა შეიძლება ჩაერთოს ტურისტთა ტრანსპორტირებაში. ქალაქ თბილისში 2018 წლიდან ამოქმედდა ტაქსის ლიცენზირება მინიმალური პრინციპების დაცვით. მინიმალისტური რეგულაციის პირობებში, ადგილობრივ და საერთაშორისო მგზავრებს მომსახურება ეწევათ ტექნიკურად გაუმართავი ავტოსატრანსპორტო საშუალებით, რომელსაც მართავს მძღოლი პროფესიული თუ ფსიქოლოგიური შეფასების გავლის გარეშე. საგზაო უსაფრთხოების დონეც გასაუმჯობესებელია.

განთავსების საშუალებების ორგანიზებაც მარტივია. ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია შექმნას საკუთარი სასტუმრო, ჰოსტელი, გესტჰაუზი, ა.შ. ერთი მხრივ, ეს შინამეურნეობების შემოსავლის გენერირებას უწყობს ხელს, თუმცა მინიმალური რეგულირების პირობებში, განთავსების საშუალებების ტექნიკური გამართულობა და მომხმარებლის უფლებები არ არის შესაბამის დონეზე უზრუნველყოფილი; არ ხდება სასტუმროების თუ სხვა ტიპის განთავსების საშუალებების სანიტარიული და უსაფრთხოების ნორმების ინსპექტირება, ისევე როგორც არ არის შემუშავებული კატეგორიზაციის ადგილობრივი, ცენტრალური, თუ კერძო (ან ვარსკვლავების მინიჭების) სქემა. მხოლოდ გლობალური ბრენდები, როგორიცაა მერიოტი, რედისონი, ჰოლიდეი ინი და ა.შ., საკუთარ საერთაშორისო ლიცენზირების სტანდარტებს იცავენ, რომლის მიხედვითაც თვითრეგულირება ხდება. სასტუმროების ხარისხის უზრუნველყოფისათვის, სასურველია ერთიანი სერტიფიცირების სქემის არსებობა, რომ მხოლოდ შესაბამისი სტანდარტების განთავსების საშუალებას მიენიჭოს კატეგორია.

ტურისტული გიდების სფეროშიც იგივე სიტუაციაა. ნებისმიერი პიროვნება, რომელიც ერთ-ერთ უცხო ენას ფლობს, შეიძლება წარდგენილ იქნას ტურისტული ჯგუფის გიდად, მიუხედავად პროფესიული კვალიფიკაციისა,ა ქვეყნის გეოგრაფიის, ისტორიის, ტრადიციებისა თუ სხვადასხვა სპეცი-

---

4 მარიამ აფციაური, ტურისტული კომპანიების აფერა და მოტყუებული მგზავრები, რეზონანსი, 01.09.2016, http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=5&id_artc=30467

ფიკის ცოდნის დამადასტურებელი საბუთის გარეშე. აღნიშნული სიტუაცია გაწეული ტურისტული სერვისის ხარისხს ამცირებს და რეგულაციას საჭიროებს.

ზემოხსენებული გამოწვევები დომინანტურია ტურიზმის დარგში და შესაბამისად, ეს აფერხებს მის მდგრად განვითარებას. მეორე მხრივ, აღნიშნული სიტუაცია საქართველოს ტურისტული ბაზრის შესწავლის საჭიროებას კიდევ აქტუალურს ხდის. როგორც ზემოთ აღინიშნა, მიუხედავად ევროპული ინტეგრაციის მიზნისა, ჯერ კიდევ ბევრი დეტალია გადასაწყვეტი საქართველოს ტურიზმის სექტორის ევროპულ სტანდარტებთან დასაახლოებლად. შესაბამისად, საინტერესოა გამოვიკვლიოთ ევროკავშირის არაწევრი ქვეყნის მაგალითზე ტურიზმის პოლიტიკის განვლენა სხვა დარგებზე. აღნიშნული საკითხის ღრმა კვლევა ნათელს ჰფენს იმ შესაძლებლობებსა და შეზღუდვებს, რაც დარგშია. შესაბამისად, საერთაშორისო ტურისტული ნაკადების შესწავლა ევროკავშირის ქვეყნებსა და საქართველოს შორის აღნიშნული პრობლემატიკის კვლევაში მნიშვნელოვანია.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. მსოფლიო ბანკი, საქართველოს ტურიზმის სტრატეგია – ახალი ბილიკი მომავლისთვის. 7 დეკემბერი 2015 წ.;

http://www.worldbank.org/en/news/feature/2015/12/07/a-tourism-strategy-for-georgia-new-path-ahead

2. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, საქართელოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025;

3. ევროკავშირი, საგარეო მოქმედებათა სამსახური, ასოცირების ხელშეკრულება ევროკავშირსა და ატომური ენერგიის ევროპულ საზოგადოებასა და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, ერთი მხრივ, და საქართველოს, მეორე მხრივ, ევროკავშირის ოფიციალური ჟურნალი L 261 ტომი 57, ლ 261 / 45-261/46, 2014 წლის 30 აგვისტო; https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/association_agreement.pdf

4. მარიამ აფციაური, ტურისტული კომპანიების აფიორა და მოტყუებული მგზავრები, რეზონანსი, 01.09.2016 http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=5&id_artc=30467

5. მ. მეტრეველი, ტურიზმის ბიზნესი, 2011 წელი;

6. მ. მეტრეველი, ტურიზმის ეკონომიკა და პოლიტიკა, 2011 წელი.

# შემოსავლების უთანაბრობის გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე

***ხათუნა თოდუა***
*აწსუ ასოცირებული პროფესორი*

**THE IMPACT OF INCOME INEQUALITY ON ECONOMIC GROWTH.**

**Khatuna Todua**

**ABSTRACT**

Income inequality has a negative impact on subsequent economic growth. In particular, what matters most is the gap between low income households and the rest of the population. The influence of income inequality on the development of real gross domestic product is transmitted through a number of mechanisms, and is not unambiguous. Human capital is an important channel through which inequality affects growth. It's obvious, that increased income disparities depress skills development among individuals with poorer parental education background.

Redistribution policies are a key tool to ensure the benefits of growth are most broadly distributed, but it is also very important to promote equality of opportunity in access to and education. This implies a focus on families with children and youths - promoting employment for disadvantaged groups through active labor market policies.

**Key wards:** income inequality, economic growth.

**საკვანძო სიტყვები**: შემოსავლების უთანაბრობა, ეკონომიკური ზრდა.

* * * *

მსოფლიოს ნებისმიერი სახელმწიფოს წარმატების ძირითად საფუძველს ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპის მიღწევა წარმოადგენს, ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი კი შემოსავლების ოპტიმალური განაწილებაა.

საიმონ კუზნეცმა ეკონომიკური ზრდის კანონზომიერებების კვლევის შედეგად დაასკვნა, რომ თავდაპირველად ეკონომიკური ზრდა მიმდინარეობს შემოსავლების უთანაბრობის ზრდის ფონზე, ხოლო შემდეგ, გარკვეულ დონეზე, იწყება შემოსავლების გათანაბრება, და პირიქით, ეკონომიკურ ზრდას ხელს უწყობს რაღაც დონემდე შემოსავლების უთანაბრობის შემცირება.

ნორმალური უთანაბრობა, რომელიც ჯინის კოეფიციენტის ოპტიმალურ მნიშვნელობას შეესაბამება, ახდენს ეკონომიკური დინამიკის მძლავრი სტიმულების გენერირებას და იმავდროულად, არ არღვევს საზოგადოების სოციალურ მდგრადობას, ამიტომ იგი არათუ დასაშვები, არამედ სოციალურად სამართლიანიცაა.

ამის საპირისპიროდ, შემოსავლების ჭარბი უთანაბრობა ამუხრუჭებს ეკონომიკურ ზრდას. ჭარბი უთანაბრობის პირობებში, როგორც კვლევები გვიჩვენებს, ჯინის კოეფიციენტსა და მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავლების ზრდის ტემპს შორის უარყოფითი ურთიერთკავშირია. ჯინის კოეფიციენტის 0,1 პუნქტით ამაღლებას ეკონომიკური ზრდის წლიური ტემპის 0,51 %-ით შემცირება მოჰყვება. თუკი ჯინის კოეფიციენტის მნიშვნელობა 0,2-დან 0,3-მდე დიაპაზონშია, ხოლო დეცილური კოეფიციენტი - 7-დან 10-მდე, მაშინ სახეზეა ნორმალური უთანაბრობა.

სამწუხაროდ, საქართველოში ეს მაჩვენებლები ბევრად მაღალია, კერძოდ, ჯინის კოეფიციენტი - 0,40, დეცილური კოეფიციენტი კი - 27-ის ფარგლებშია, რაც იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოში ადგილი აქვს ჭარბ უთანაბრობას.

საქართველოში 2017 წელს ფიზიკური პირების 46 %-ის ყოველთვიური შემოსავალი საშუალოდ 400 ლარზე ნაკლები, ხოლო 1 %-ის შემოსავლები კი - 8 333 ლარზე მეტი იყო. მაღალანაზღაურებად სექტორებში მუშაობდა დასაქმებული მოსახლეობის 2 %, მაშინ, როდესაც ორ ყველაზე დაბალანაზღაურებად სექტორში დასაქმებულთა 52 % იყო კონცენტრირებული.

საქართველო ღარიბებისა და მილიარდერების ქვეყანაა, მოსახლეობის ორივე ეს კატეგორია სწრაფად იზრდება, რასაც ვერ ვიტყვით საშუალო კლასზე, არადა, ძლიერი საშუალო კლასი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის პერსპექტივებს ქმნის. ისტერლი ასკვნის, რომ საშუალო კლასის შემოსავლების წილის გაზრდა 7 %-ით, იწვევს მოსახლეობის შემოსავლების 3 %-ით ზრდას.

ამასთან, შრომისუნარიანთა ნაწილს, სხვადასხვა მიზეზის გამო, საერთოდ არ სურს მუშაობა, 2016 წელს მოსახლეობის 65 % -დან ვინც თავს დასაქმებულად არ თვლის, 47 %, ანუ დაახლოებით 980 ათასი ადამიანი არ იყო დაინტერესებული სამსახურის შოვნით. ეს მაჩვენებელი 2015 წლის მონაცემებთან შედარებით, ფაქტობრივად, არ შეცვლილა. შრომისუნარიანი ასაკის ღარიბებს შორისაც იზრდება ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობის წილი, ყალიბდება ღარიბების ერთგვარი სუბკულტურა; ეს ნიშნავს იმას, რომ იზრდება სოციალური დახმა-

რების მიმღებთა რიცხვი. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2016 წელს საპენსიო და სოციალური პაკეტის მიმღებთა რიცხვმა 887 ათას 300, ხოლო 2017 წელს - 898 ათას 100 ადამიანი შეადგინა. სოციალური ხარჯები სულ უფრო მძიმე ტვირთად აწვება სახელმწიფოს.

შემოსავლების მაღალი უთანაბრობა საქართველოში ამუხრუჭებს ეკონომიკურ ზრდას. უთანაბრობის ეკონომიკურ ზრდაზე ზემოქმედების ერთ-ერთი მექანიზმი დაკავშირებულია კაპიტალის ბაზრის არასრულყოფილებასთან, ვინაიდან კაპიტალის ბაზარი გადანაწილების ერთ-ერთი საშუალებაა, განვითარებული ფინანსური ბაზრის პირობებში კაპიტალი ხელმისაწვდომია მოსახლეობის ფართო ფენებისათვის, ხოლო მათი განუვითარებლობის შემთხვევაში - მოსახლეობას არა აქვს საშუალება ისესხოს, რათა მოახდინოს ინვესტირება ადამიანურ კაპიტალში.

გალორი და ზეირა, მიუთითებენ რა, რომ მოსახლეობის დაბალშემოსავლიანი ფენებისათვის განათლებაზე წვდომა შეზღუდულია, ამტკიცებენ, რომ ადამიანურ კაპიტალში ინვესტიციების შეზღუდვა ამუხრუჭებს ეკონომიკურ ზრდას. არასრულყოფილი საკრედიტო ბაზრის პირობებში შემოსავლების განაწილება მოქმედებს განათლებაზე ხელმისაწვდომობაზე და პროფესიის არჩევანზე, ის ზემოქმედებს უნარებისა და კომპეტენციების განვითარებაზე დაბალი განათლების დონის ოჯახების მოქალაქეებში და შედეგად, შრომის ბაზრის სეგმენტაციაზე კვალიფიციურ და არაკვალიფიციურ სამუშაო ძალად.

დღეს საქართველოში სავალდებულო განათლების საფეხურზე სკოლაში დასწრების მაჩვენებელი 97 %-ია; ამის მიუხედავად, 15-დან 18 წლამდე ყოველი მეხუთე ღარიბი ბავშვი აღარ ღებულობს განათლებას.

განათლება საზოგადოებაში არსებული უთანაბრობის გამოთანაბრების როლს სათანადოდ ვერ ასრულებს, რადგან უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა დღეისათვის მაინც შეზღუდული რჩება მოწყვლადი ჯგუფებისათვის. ყველაზე ღარიბი მოსახლეობის ჯგუფში უმაღლეს განათლებაში ჩართულობის მაჩვენებელი 9 %-ს შეადგენს, ხოლო ყველაზე მდიდარი მოსახლეობის ჯგუფში - 38 %-ს. უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდათა წილი გაცილებით მაღალია იმ ჯგუფში, რომელშიც ოჯახის უფროსსაც აქვს მიღებული უმაღლესი განათლება (73 %), ვიდრე იმ ოჯახებში, რომლებშიც ოჯახის უფროსს მხოლოდ ზოგადი განათლება აქვს (18 %).

შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია ხარისხიან განათლებაზე წვდომის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა, პირველ რიგში - ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერა, მოქალაქეთა მოწყვლადი ჯგუფების დასაქმების ხელშეწყობა.

გარდა ამისა, საქართველოს პირობებში, როცა სახეზეა ბაზრისა და დანაზოგების სიმცირე, ასევე, შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობა, მოზნობრივი ეკონომიკური პოლიტიკის გატარების გარეშე კაპიტალის ბაზარი გადამწყვეტ როლს ვერ შეასრულებს ეკონომიკურ ზრდაში.

უთანაბრობის ეკონომიკურ ზრდაზე ზემოქმედების კიდევ ერთი მექანიზმი უკავშირდება იმას, რომ უთანაბრობა იწვევს სოციალურ-პოლიტიკურ არასტაბილურობას; ის აზიანებს საზოგადოებრივ ქსოვილს, არღვევს სოციალურ სამართლიანობას, იწვევს სოციალურ რყევებს და დამნაშავეობის ზრდას, რაც, თავის მხრივ, ინვესტორებში ქმნის გაურკვევლობის განცდას, იწვევს ეკონომიკურ არასტაბილურობას, საკუთრების უფლებების დარღვევას, რის შედეგად იზრდება ხარჯები უსაფრთხოების დაცვაზე, საბოლოოდ კი ეკონომიკური ზრდა მცირდება.

2014-2018 წლებში საქართველოს ეკონომიკა საშუალოდ 3,9 %-ით გაიზარდა (2014 წელს -4,6 %-ით, 2015 წელის - 2,9 %-ით, 2016 წელს - 4,8, ხოლო 2018 წელს - 4,7 %-ით).

შემოსავლების დონით საქართველო დაბალ-საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნების ჯგუფს მიეკუთვნება; იმისათვის, რომ საქართველომ დაბალ-საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნების ჯგუფიდან, უფრო მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნების ჯგუფში სწრაფად გადაინაცვლოს, მისი მშპ-ს მაღალი რეალური ზრდის ტემპია საჭირო, ამისათვის კი უთანაბრობის შემცირება, საშუალო კლასის გაძლიერებაა აუცილებელი, რაც მიიღწევა გადანაწილების სწორი პოლიტიკის გატარებით, აგრეთვე ხარისხიან განათლებაზე წვდომის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფით, მოსახლეობის უმრავლესობის საჭიროებებზე სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ორიენტირებით.

## გამოყენებული ლიტერატურა:


**1.** რამაზ აბესაძე, „ეკონომიკური განვითარება - ეკონომიკური ზრდისა და ხალხის კეთილდღეობის ამაღლების მთავარი ფაქტორი".

ხელმისაწვდომია მისამართზე: https://tsu.ge/science/?leng=ge&cat=jurnal&jnomeri=4&tid=21

ნანახია 4 მაისს, 2019 წ.

**2.** თამარ ბრეგვაძე, „უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში - უმაღლესი განათლების პოლიტიკის ანალიზი ხუთი სტრატეგიული მიმართულების მი-

ხედვით - უმაღლესი განათლება და დასაქმება", თბ., 2013 წ.

ხელმისაწვდომია მისამართზე: https://drive.google.com/file/d/0B9RC0lzxlY4ZcGlONGFsUldNRjA/view. ნანახია 9 მაისს, 2019 წ.

**3.** ოთარ ნადარაია, ოთარ გორგოძე, დავით უტიაშვილი, ნინო შარუმანაშვილი, „ეკონომიკური ზრდა და სტრუქტურული ტრანსფორმაცია", ჟურნ. „ეკონომიკა და საბანკო საქმე", ტ. I, № 29, 2013 წ.

ხელმისაწვდომია მისამართზე: https://www.nbg.gov.ge/uploads/journal/2013/n_2/nadaraia.pdf

ნანახია 9 მაისს, 2019 წ.

**4**. მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევა - 20127, გაეროს ბავშვთა ფონდი, ივნისი, 2018 წ.

ხელმისაწვდომია მისამართზე: https://www.unicef.org/georgia/media/1036/file

ნანახია 9 მაისს, 2019 წ.

**5.** უთანასწორობის შემცირება: განვითარებისა და კეთილდღეობის ფუნდამენტური პირობა",

ხელმისაწვდომია მისამართზე: http://european.ge/utanascorobis-shemcireba-ganvitarebisa-da-ketildgeobis-fundamenturi-piroba/

ნანახია 3 მაისს, 2019 წ.

**6**. Galor, O., Zeira J., „Income Distribution and Macroeconomics"," Review of Economic Studies, 60 (1), 1993, pp. 35-52.

**7**. Castello-Climent, A. and R. Domenech, „Human Capital Inequality, Life Expectancy and Economic Growth", Economic Journal, 2007.

**8**. Human Development Reports, 2018.

**9**. Шевяков А. Ю., „Неравенство доходов, как фактор экономического и демографического роста", „Инновации", № 1 (147), 2011 г.

**10**. Любимов И. Л., „Неравенство и экономический рост", Российское предпринимательство, 2016 г., Том 17, №1, стр. 11-22.

**11**. Ф. Чиньяно, „Тенденции неравенства доходов и его воздействие на экономический рост".

**12**. С. А. Данканич, „Неравенство доходов населения виды и последствия".

ხელმისაწვდომია მისამართზე: https://www.pia.ge/ru/post/147319 - ნანახია 3 მაისს, 2019 წ.

# მცირე და საშუალო ბიზნესის ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო პარტნიორული მოდელის არსი და მნიშვნელობა

**პარმენ ლემონჯავა,**
*ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, სტუ პროფესორი*
**ნატო გეგენავა**
*ეკონომიკის დოქტორი, სტუ ასოცირებული პროფესორი.*

## ESSENCE AND MEANING OF THE STATE PARTNERSHIP MODEL OF ECONOMIC DEVELOPMENT OF SMALL AND MEDIUM BUSINESS

**SUMMARY**

The work refers to the essence and meaning of the state partnership model of economic development of small and medium business. It refers to the payment of special attention to the use of the state partnership model of economic development of small and medium business. It is indicated in the work that the development of small and medium-sized business plays an important role in the process of development of economy as a whole.

The use of such model of business development creates the condition for rational use, easy solutions for social-economic problems and significant improvement of the quality of the production to be produced in the business activity process of any country.

Therefore, the state, as well as small and medium business should be interested in the use of this model, as the interests of them both coincide in this aspect.

For the development of small and medium business the partner state should render all possible assistance to the development of the business combining both the state and private enterprises.

The relationship between the partner state and small and medium business should be defined for an short term. This model of economic development should be completed and widely used in Georgia as well.

**საკვანძო სიტყვები და წინადადებები**: მცირე და საშუალო ბიზნესი, სახელმწიფო პარტნიორული მოდელი, ახალი დამოუკიდებელი მენეჯმენტი, ნორმატიული იურიდიული ბაზა, ახალი ეკონომიკის განვითარების შექმნა, საფუძვლიანი და ეფექტური, პარტნიორული მოდელი, რესურსების გამოყენების დროს წარმოშობილი რისკები, დამატებითი უწყვეტი წყარო, გადიდების მასშტაბები. თანამშრომლობა ეფექტიანია, კერძო და სახელმწიფო საწარმოები, პარტნიორული ურთიერთობა..

განვითარდეს კონსესური მომსახურება, პარტნიორული უზრუნველყოფა, ინვესტიციების მოზიდვის პროცესში დახმარება.

* * * *

თანამედორვე ეტაპზე მსოფლიო მასშტაბით საერთოდ ცნობილია ეკონომიკური განვითაებისა და ზრდის თვალსაზრისით, საბაზრო ეკონომიკის განვითარების ზოგადი ეფექტიანი მიეთოდი, მაგრამ საჭიროა სხვა დამატებითი მეთოდების ძიებაც. აქედან გამომდინარე ჩვენი აზრით აუცილებელია მცირე და საშუალო ბიზნესის ეფექტიანი განვითარების სახელმწიფო პარტნიორულ მეთოდზე ყურადღების გამახვილება.

ნებისმიერი ქვეყანაში, საბაზრო ეკონომიკის წარმატებით მშენებლობის შემდეგ განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მცირე და საშუალო ბიზნესის ეკონომიკუირ განვითარების სახელმწიფო პარტნიორული მოდელების გზით განვითარების მნიშვნელობას.

მცირე და საშუალო ბიზნესთა დიდი ნაწილი, ამ პროცესში ჩამოყალიბდნენ, როგორც დამოუკიდებელი ეკონომიკური სუბიექტები, რომლებიც წარმატებით დაადგნენ სახელმწიფო პარტნიორული მზრუნველობის საფუძველზე სოციალურ-ეკონომიკურ განვითარების გზას. ნიშანდობლივია, აღინიშნოს, რომ ამ საფუძველზე მიეცათ მათ, ახალი დამოუკიდებელი მენეჯმენტის ნორმატიული ეკონომიკური და იურიდიული ბაზის შექმნისა და მისი შესაბამისი ახალი ეკონომიკის განვითარების შესაძლებლობა, მოსახლეობის ცხოვრების დონის რამდენადმე ამაღლებისა და კეთილდღეობის გაუმჯობესების საშუალება.

თანამედროვე ეტაპზე მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში წარმატებით გამოიყენება მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო პარტნიორული მოდელის გზით ეკონომიკური განვითარების მეთოდი. აქედან გამომდინარე მეტად მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო პარტნიორული მოდელით ეკონომიკური განვითარების გამოცდილების გავრცელება იმ ქვეყნებში, სადაც არა აქვს მას ადგილი.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამჟამად, საქართველოში ეკონომიკური განვითარება რეალურად მიმდინარეობს ძირითადად ორი სახის საკუთრების ბიზნესის ფორმით, მაგრამ ჩვენი აზრით საფუძვლიანი და ეფექტიანი იქნება მცირე და საშუალო ბიზნესთა სახელმწიფო პარტნიორული განვითარების მოდელზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება და სამეურნეო საქმიანობაში პრაქტიკულად გამოყენება, რადგან ეს მოდელი ეკონომიკუირ განვითარების დამატებით ფაქტორებში მნიშვნელოვანია.

მცირე და საშუალო ბიზნესთა სახელმწიფო პარტნიორული მოდელით განვითარება ქმნის დიდ შესაძლებლობას დანახარჯების შემცირებისათვის,

რადგან მას შეუძლია დიდ სახელმწიფო ბიზნესში გამოყენებული მეცნიერული კვლევების შედეგების გამოცდილებისა და მათი ყველა დამატებითი სახის წარმოების საშუალებათა ეფექტიანად გამოყენება.

სახელმწიფო პარტნიორული ამ მოდელის გამოყენება განსაკუთრებით საჭიროა მცირე და საშუალო ბიზნესში, რადგან მწირია მათი ფინანსები, დაბალია წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობა და საჭიროებენ სახელმწიფოსაგან ყოველმხრივი სახის დახმარებას.

სახელმწიფო პარტნიორული ამ მოდელის გამოყენება საერთოდ ქვეყნის სამეურნეო პროცესში ქმნის შესაძლებლობას რესურსების გამოყენების დროს წარმოშობილი რისკების აცილების ან შემცირების, სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების ადვილად გადაჭრის და საერთოდ შესასრულებელ ყველა სახის სამუშაოზე ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ პრობლემების ადვილად გადაწყვეტის საშუალებას.

ბუნებრივია, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის დიდ ნაწილს არ აქვს რესურსები საქონლისა და მომსახურების დიდი მასშტაბით წარმოების საშუალება. აქედან გამომდინარე ამ ბიზნესებსაც სჭირდებათ სახელმწიფოსაგან დახმარების თვალსაზრისით ხელშეწყობა, რადგან ასეთ შემთხვევაში მათ ეძლევათ შესაძლებლობა გაზარდონ წარმოების გადიდების მასშტაბები. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ურთიერთობის შემთხვევაში სახელმიწფოებიც დაინტერსებულნი არიან, რადგან მათ ეძლევათ შესაძლებლობა ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების დამატებით უტყუარი წყარო. ასე, რომ სახელმწიფოც და მცირე და საშუალო ბიზნესის ამ ურთიერთობის მოდელის გამოყენებით დაინტერესებულია და თანამშრომლობაც მაღალეფექტიანია, რადგან აქ ორივეს ეკონმიკური ინტერსები ემთხვეა ერთმანეთს. ამასთან აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო საწარმოთა და მცირე და საშუალო ბიზნესთა პარტნიორული ურთიერთობა, ჩვენი აზრით, უნდა განისზღვროს მოკლე პერიოდით, რადგან ამით საშუალება მიეცემათ არახელსაყრელი ურთიერთობების შემთხვევაში უმტკივნეულოდ გააუქმდეს მათ შორის გაფორმებული ორმხრივი თანამშრომლობა.

მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო პარტნიორული ურთიერთობების საფუძვლიანად მიმდინარეობის საფუძველს წარმოადგენს, სახელმწიფოს პარტნიორული უზრუნველყოფის ბიზნესის უძრავი ქონების, როგორც მოკლევადიანი ისე ხანგრძლივი დროით ბიზნესის განვითარებისათივს გადაცემა. სახელმწიფოს ასეთი ღონისძიებების განხორციელების შედეგად, მცირე და საშუალო პარტნიორულ ბიზნესებს მიეცემათ კონკრტულად დასახული ღონისძიებების განსახორციელებლად პროფესიულად კვალიფიციური სამუშაო ძალის მოზიდვის საშუალება.

ჩვენი აზრით, ეკონომიკის ზოგიერთი ქვედარგში საქონლისა და მომსახურების სახეების ნაწილის წარმოება შეიძლება გადაცეს მათ საპარტნიორო ბიზნესს, რადგან მათი წარმოება აქ გარკვეული თვალსაზრისით შეიძლება იყოს ეფექტიანი და საჭირო ვიდრე პარტნიორ საწარმოში.

მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო პარტნიორული მოდელით შეიძლება და აუცილებელიც არის მის პარტნიორობის ქვეშ მყოფ ბიზნესებზე გაწიოს ფინანსური დახმარება. მნიშვნელოვანია პარტნიორ სახელმწიფო საწარმოებმა ამ სახის ბიზნესის განვითარების თვალსაზრისით ინვესტიციების მოზიდვაში ქმედითი დახმარება გაუწიოს, ამ ბიზნესში საქველმოქმედო საქმიანობას პირდაპირი ინვესტირების გზით.

მცირე და საშუალო პარტნიორული ბიზნესთან სხვადასხვა ფორმის სახით ურთიერთობის არსებობის მიუხედავად, ჩვენი აზრით საერთოდ უნდა განხორციელდეს და უფრო განვითარდეს კონცენსიური მომსახურება, რომელშიც იგულისხმება, სახელმწიფოს პარტნიორული უზრუნველყოფის ქვედანაყოფების სახელმწიფო და კერძო საწარმოებთან საერთოდ მეურნეობის ურთიერთობის სამართლებრივი ნორმებით რეგულირება.

პარტნიორულ ბიზნესთან ურთიერთობის კონსენსიური მომსახურება უნდა ემყარებოდეს ორივე სუბიექტის ერთობლივ ინტერესს, რომლის საფუძველი უნდა იყოს კონსენსიური მომსახურებით საფუძვლიანი განვითარებული კანონმდებლობა.

საქართველოშიც, ეკონომიკის განვითარების მდგომარეობისა და საჭიროებიდან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ განსკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საბაზრო ეკონომიკის გამოყენების განვითარებას საერთო ზოგადი მოდელის პარალელურად, მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო პარტნიორული მოდელით ეკონომიკის განვითაებისა და სრულყოფის საკითხს, რადგან ამ მოდელის გამოყენება, ეკონომიკის განვითარებისა და ზრდის პროცესში განაპირობებს დანახარჯების შემცირებას, წარმოების რაოდენობრივ ზრდასა და მაღალ ხარისხობრივ გაუმჯობესებას.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. ლემონჯავა პ., გეგენავა ნ., კერძო საწარმოთა ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო პარტნიორული მოდელის არსი, - ჟურნ. "სოციალური ეკონომიკა., "XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები", 2017, №4.

2. ლემონჯავა პ., გეგენავა ნ., ეკონომკური განვითარების საწარმოთა სახელმწიფო პარტნიორული მოდელის არსი, - ჟურნ. "ბიზნეს-ინჟინერინგი" 2016, №3.

3. ლემონჯავა პ., გეგენავა ნ., სახელმწიფო პარტნიორული მოდელი, მცირე და საშუალო ბიზნესის ეფექტიანი განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორია, ჟურნ. "ბიზნეს-ინჟინერინგი", 2018, №3-4.

# მარკეტინგის როლი საბანკო მენეჯმენტის სრულყოფაში

***აკაკი გვარუციძე***
*სტუ ასოცირებული პროფესორი*
***თორნიკე წიკლაური,***
*სტუ დოქტორანტი*

**რეზიუმე**

სტატიაში აღნიშნულია, რომ მარკეტინგი განსაკუთრებულ როლს თამაშობს საბანკო მენეჯმენტის სრულყოფაში, რომ მარკეტინგთან მიმართებაში ბანკის პროდუქტების ბაზარზე აქტიური შეთავაზების მიზნით რეგულარული ღონისძიებების კომპლექსია ჩამოსაყალიბებელი. მომსახურების ხარისხის რეგულარული ანალიზი საჭიროა განხორციელდეს შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით: მომსახურების სიჩქარე, ოპერაციის ჩატარების ვადიანობა, მუშაობაში შეცდომებისა და უზუსტობების არსებობა, კონსულტირების ხარისხი. საბანკო მომსახურების სფეროში გასაღების სტიმულირების სტრუქტურირებული სისტემის შემუშავებაა განსახორციელებელი.

**საკვანძო სიტყვები:** საბანკო მენეჯმენტი, საბანკო საქმიანობა, საინვესტიციო რესურსები.

## MARKETING ACTIVITY AS AN INSEPARABLE PART OF BANKING MANAGEMENT

**Akaki Gvarutsidze**
Associate Professor of GTU
**Tornike Tsiklauri**
PhD student of GTU

**SUMMARY**

It is inticated in the article that marketing plays a great role in the Banking Management and in relation with Marketing in order to offer Bank products to market regular activities must be established. Service gualities regular study must be done according to following indicators.

Service speed relatity of operation, existence of mistakes and non-accurancy, and the level of consultations.

In the Bank service field the structural system of sales must be worked out.

**Key words:** Bank management, marketing business, investment sources.

## შესავალი

თანამედროვე ბანკის მარკეტინგის კომპლექსის ძირითადი ელემენტები: საბანკო მარკეტინგი საბანკო მენეჯმენტის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს და პროდუქტების ფინანსური მომსახურების ბაზარზე გატანაში ბანკის სტრატეგიას განსაზღვრავს. მარკეტინგის, როგორც კონკურენტული სტრატეგიის ინსტრუმენტის სახით გამოყენება კლიენტებთან მუშაობაში აუცილებელ ინსტრუმენტს წარმოადგენს. აღნიშნულთან დაკავშირებით მარკეტინგის თეორიაში სტრატეგიული მარკეტინგის ცნებას გამოყოფენ. სტრატეგიული მარკეტინგის როგორც სტრატეგიული მენეჯმენტის შემადგენელი ნაწილის მიზანს წარმოადგენს ბაზრის მონიტორინგი და სოციალურ-ეკონომიკური მონიტორინგები.

სოციალურ-ეკონომიკური მონიტორინგების მიზანია ყოვლისმომცველი ინფორმაციული მასალის მომზადება ბანკის განვითარების მიზნით სტრატეგიული და მიმდინარე გადაწყვეტილებების მისაღებად.

## ძირითადი საკითხის ჩამოყალიბება

სტრატეგიული მარკეტინგის არსი ბანკის ისეთ პოლიტიკაში გამოიხატება, როდესაც ახალი საბანკო პროდუქტების დამუშავება, როდესაც ახალი საბანკო პროდუქტების დამუშავება, დანერგვა და ათვისება საბაზრო გარემოს წინასწარ ჩატარებული მარკეტინგული კვლევების ბაზარზე ხორციელდება. მარკეტინგული სტრატეგიის პროცესში წყდება საკითხები: როგორია კონკურენტების ძალა და სისუსტე სწორად შეფასებული საბანკო პროდუქტების ბაზარზე და როგორ უნდა იქნას ბანკის მომსახურეობისათვის სეგმენტები და "ნიშები" შერჩეული და საკუთარი ზემოქმედების სფერო გაფართოებული.

ტექნიკური მარკეტინგი განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა ვიმუშაოთ საბანკო პროდუქტების მომხმარებელთან, თუ როგორ უნდა ეფექტურად განვახორციელოთ მათთვის საბანკო პროდუქტების მიყიდვა. გაყიდვების მართვა შეიძლება იყოს ეფექტური, თუ დეტალურად გვეცოდინება რა მოთხოვნებს აყენებენ მომხმარებლები პროდუქტისადმი, საბანკო მომსახურების რომელი მახასიათებლები აინტერესებს მოცემულ მომენტში მომხმარებელს, და რომლები პირიქით უარყოფით ემოციას იწვევენ.

სტრატეგიული საბანკო მარკეტინგის ძირითად პარამეტრებს თანამედროვე ეტაპზე წარმოადგენენ:

- საბანკო საქმიანობის საბოლოო შედეგის მიზანმიმართულობა – კლიენტის მოთხოვნილების ყველაზე უფრო მაღალი ხარისხით დამაკმაყოფილებელი მომსახურების განხორციელება. მოგების მიღება საბანკო საქმიამობის თვითმიზანს არ უნდა ემსახურებოდეს;

• მარკეტინგული საქმიანობის გრძელვადიან შედეგებზე გათვლა ბაზარზე მომსახურების ეფექტური რეალიზაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში არის შესაძლებელი, თუ ბანკი მკაცრად მიყვება წინასწარ დასახული გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიას. საბანკო სისტემის რეფორმირების შედეგი უნდა გახდეს სტრატეგიულ მენეჯმენტში ბაზრის მარკეტინგული კვლევების მონაცემების ფართოდ გამოყენება;

• პოტენციალური კლიენტების მოთხოვნილებებისადმი, აქტიური ხელშეწყობის ტაქტიკისა და სტრატეგიის შემუშავება ერთობლიობაში, მათზე მიზანმიმართული ერთდროული ზემოქმედების გამოყენება. აღნიშნული პრინციპი ლოიალური საკლიენტო ბასის ფორმირებაზეა ორიენტირებული;

• მარკეტინგული საქმიანობის დაგეგმვაში “პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის” გამოყენება, რომელიც განხილვად პერიოდში განისაზღვრება - პროდუქტის ჩამოყალიბების ეტაპები (საბანკო პროდუქტის საინკუბაციო პერიოდი), მოთხოვნილების გაჯერება და გასაღებითი ბაზრების გაფართოებისათვის ახალი შესაძლებლობების მოძიება (სიმწიფის პერიოდი), საბანკო პროდუქტებზე მოთხოვნის შემცირება.

არჩეული სტრატეგიაზე დამოკიდებულებაში განასხვავებენ კონცენტრირებულ, დიფერენცირებულ და არადიფერენცირებულ სტრატეგიულ მარკეტინგს.

კონცენტრირებული მარკეტინგი ხორციელდება ბაზრის ერთ-ერთ არჩეულ სეგმენტებზე, კონკრეტული მოთხოვნილებების გამოვლენის მიზნით კონკრეტულ საბანკო პროდუქტთან მიბმის გარეშე. გამოიყენება ბაზრებზე, რომლებიც არადამაკმაყოფილებადაა შესწავლილი.

**დიფერენცირებული მარკეტინგი** მდგომარეობს იმაში, რომ ბანკი რიგ მსგავს პროდუქტებს, იცის რა ამა თუ იმ სახეობის მომსახურებაზე მოთხოვნის ჩარჩოები, ბაზრის რამდენიმე სეგმენტებს თავაზობს. იგი ტრადიციული საბანკო მომსახურეობებისათვის არის დამახასიათებელი.

**არადიფერენცირებული მარკეტინგი** დაკავშირებულია ბანკის მიერ საკუთარ მომსახურეობებზე მოთხოვნის ფორმირების მიზნით, უფრო მეტად ათვისებული პროდუქტების შეთავაზებასთან.

მარკეტინგის ცნება პროდუქტთან (მომსახურებასთან) მჭიდროდ არის დაკავშირებული, რამდენადაც საბანკო მარკეტინგის საბოლოო მიზანს მისი წარმატებული რეალიზაცია წარმოადგენს.

აღნიშნულთან დაკავშირებით მარკეტინგის კომპლექსის განხილვა საჭიროა საბანკო პროდუქტის დახასიათებიდან იქნას დაწყებული, რომელიც დანარჩენი ელემენტების შინაარსს განსაზღვრავს (ნახ. 1).

როგორც რეალიზაციისათვის განკუთვნილი ნებისმიერი სხვა პროდუქტი, საბანკო პროდუქტი საკუთარი განვითარების ყველა სტადიებს გადის, როგორებიცაა: პროდუქტის შექმნის იდეის წარმოშობა; იდეის არჩევა; დაგეგმილი გაყიდვების მოცულობის ანალიზი; ტესტ-მარკეტინგი (მომხმარებლების რეაქციის შემოწმება); პროდუქტის კომერციალიზაცია (კონკრეტული ფასის დადგენა და მისი გაყიდვა). საბანკო პროდუქტის განსაკუთრებულობას წარმოადგენს ის, რომ იგი - ფულადი მიმოქცევის ინსტრუმენტია და კლიენტებსა და ბანკს შორის ფინანსური შუამავლის ორგანიზაციის მიზნებს ემსახურება. ამრიგად, საბანკო მარკეტინგი შეიძლება განისაზღვროს როგორც საქმიანობა, რომელიც მიმართულია საბანკო პროდუქტის კლიენტამდე ინსტრუმენტების გარკვეული ნაკრების მეშვეობით მიტანამდე (შეთავაზებამდე), რომელთა შემადგენლობაში შედიან ბაზრის კვლევა, რეკლამა, მომსხურების შეთავაზება, გაყიდვების სტიმულირება, გაყიდვისშემდგომი კონტროლი.

სტრატეგიული მარკეტინგის საფუძველს როგორც სტრატეგიული მენეჯმენტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს ბაზრის მონიტორინგი და სოციალურ-ეკონომიკური მონიტორინგი. სოციალურ-ეკონომიკური მონიტორინგის მიზანია - ყოვლისმომცველი ინფორმაციული მასალის (მონაცემთა ბაზის) მომზადება ბანკის განვითარების მიზნით სტრატეგიული და მიმდინარე გადაწყვეტილებების მისაღებად. მონიტორინგი, მარკეტინგული კვლევების მასშტაბზე დამოკიდებულებაში, ხორციელდება შემდეგი მიმართულებებით:

1. რეგიონის დარგების განვითარების სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზი,

**ნახაზი 1. ბანკის მარკეტინგის კომპლექსის შემადგენლები**

| საბანკო პროდუქტი | |
|---|---|
| მოთხოვნა საბანკო მომსახურეობებზე: | • სტრატეგიები და მიზნობრივი პოლიტიკა;<br>• გაყიდვების სტიმულირება;<br>• ბაზარზე გატანის მეთოდები;<br>• მარკეტინგული კვლევები;<br>• სეგმენტირება, პოზიციონირება;<br>• გაყიდვისშემდგომი შეფასება |

რომლის პროცესში ფასდება: იმ რეგიონის დარგების სტრუქტურა, რომელშის გათვალისწინებულია ბანკის ექსპანსია; საწარმოების - ბანკის პოტენციალური კლიენტების საწარმოოსამეურნეო საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები, გადახდისუნარიანობა; რეგიონის განვითარების დინამიკა.

სოციალურ-ეკონომიკური მონიტორინგის მოცემული განაყოფი რეგიონების დარგების ზრდის ან დეპრესიულობის მახასიათებელს უნდა ასახავდეს.

2. სოციალურ-დემოგრაფიული სიტუაცია: მოსახლეობის, რიცხოვნობა, სტრუქტურა; ცხოვრების დონე (შემოსავლები ერთ სულ მოსახლეზე, სამომხმარებლო ხარჯების დონე); მოსახლეობის მსყიდველობითი შესაძლებლობა (ფულადი შემოსავლებისა და საყოფაცხოვრებო მინიმუმის თანაფარდობა); სახსრების ანაბრებზე დალექვის დონე.

3. ფინანსური რისკების ანალიზი, რომელიც მოიცავს მაჩვენებლების განვითარების ხარისხისა და დინამიკის, ასევე თითოეულ მათგანზე ბანკების წილის ცვლილების ისეთ მახასიათებლებს, როგორებიცაა: დეპოზიტებისა და ანაბრების ბაზარი; ფულადი სახსრების ბაზარი; კრედიტების ბაზარი; სავალუტო ბაზარი; საფონდო ბაზარი; ინვესტიციების ბაზარი; საგადახდო საშუალებების ბაზარი.

4. საინვესტიციო აქტიურობა, რომელიც რეგიონის მიმზიდველობის მახასიათებელია საინვესტიციო რისკებისა და ბანკის სხვადასხვა რეგიონალურ პროგრამებში ბანკის მონაწილეობის შესაძლებლობის თვალსაზრისით. ამისათვის საჭიროა გაანალიზებული იქნას: ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვითი ნაწილები; საინვესტიციო პროგრამების ეფექტიანობა; ეკონომიკური რეფორმების მსვლელობის მაჩვენებლები.

პოლიტიკური რისკების შეფასება, რომელიც მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: ეკონომიკური რეფორმების მსვლელობის მაჩვენებლებს (პრივატიზაცია, საკანონმდებლო ღონისძიებები); ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში არჩევნების შედეგები; ეკონომიკური ბოროტმოქმედებების დონე.

მონიტორინგის მიხედვით საერთო დასკვნები კონკრეტულ რეგიონში საბანკო საქმიანობის განვითარების მიმზიდველობას უნდა ახასიათებდეს როგორიცაა: კეთილსასურველობას; შედარებით კეთილსასურველობას; რეგიონის ეკონომიკის არამდგრად მდგომარეობას; ძირითადად არაკეთილსასურველობას; სერიოზული საინვესტიციო და საბანკო რისკების არსებობას; ბანკის საქმიანობის რეგიონში მიუღებელობას. თუ სოციალურ-ეკონომიკური მონიტორინგის შედეგად მოცემულ რეგიონში საბანკო ბიზნესის განვითარების შესახებ დადებითი დასკვნა გაკეთდა, მაშინ შემდეგი ნაბიჯი შეიძლება საბანკო მომსახურეობების ბაზრების მონიტორინგის განხორციელება იყოს, რომლის მიზანი - ცალკეული სეგმენტების პერსპექტიულობის შეფასებაა. ასე, მაგალითად, კორპორაციული კლიენტების ბაზარი ანალიზირდება შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით: პოტენციალური კლიენტების რაოდენობა ბანკის უშუალო ზემოქმედების ზონაში; ბანკის კლიენტების რაოდენობა და ხვედრითი წილი ბაზარზე ლიდერის პოზიციის მქონე საწარმოების საერთო რაოდენობაში; კლიენტების რაოდენობა, რომელთაც ბაზარზე მნიშვნელოვანი წილი გააჩნიათ და ბანკები კონკურენტებში ეწევიან მომსახურებას; მსხვილი კლიენტების არსებობა და რაოდენობა ბანკის უშუალო ზემოქმედების ზონაში.

საცალო მომსახურების ბაზრის მონიტორინგი მოსახლეობის მომსახურებაში ყველაზე უფრო მიმზიდველი სეგმენტების გამოვლენის მიზნით ხორციელდება. ასეთი ანალიზისათვის გამოიყენება შემდეგი მაჩვენებლები:

1. მაცხოვრებლები და დასაქმებული მოსახლეობის რაოდენობა.

2. მოსახლეობის შემოსავლების დონე ბანკის უშუალო ზემოქმედების ზონაში.

3. დანაზოგების პოტენციური სიდიდე ერთ მაცხოვრებელზე (მიმდინარე ფულადი შემოსავლები) თვის ბოლოსათვის.

4. საცალო კლიენტების მომსახურების რაოდენობა.

ბაზრების მონიტორინგის განხორციელების შედეგად კონკრეტულ რეგიონში საბანკო ბიზნესის სტრატეგია განისაზღვრება. პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ ფაქტორებს და დემოგრაფიულსაც კი საბანკო ინვესტიციების მიმართულების განსაზღვრაში გადამწყვეტი როლის შესრულება შეუძლიათ. ამ რიგში ასევე არ შეიძლება ეროვნული ურთიერთობებიც იქნას გამორიცხული, რომლებიც მომსახურეობების შემადგენლობაზე და დახასიათებაზე ზემოქმედებენ. აღნიშნული მნიშვნელოვანია ამა თუ იმ რეგიონში ბანკის სარეკლამო კომპანიის ორგანიზაციისას იქნას გათვალისწინებული. დედაქალაქის ზოგიერთი ბანკების მუშაობის პრაქტიკა რეგიონებში გვიჩვენებს, რომ მსხვილი ქალაქებისათვის დამახასიათებელი საცალო ბაზრისათვის რეკლამის ზოგიერთი ელემენტების დაძალება მცირე ქალაქებში და სასოფლო ადგილებში ნეგატიურად აღიქმება.

ბანკში მარკეტინგის ორგანიზაცია რთული ამოცანაა და იგი ბანკის ფორმირების ისტორიასთან, კადრების კვალიფიკაციასთან, ბანკის მიერ ფინანსურ ბაზრებზე დასახული ამოცანებთან მჭიდროდაა დაკავშირებული. ყველა ბანკს მარკეტინგის რეკომენდაციებზე ადექვატურად რეაგირება არ შეუძლია. საკუთარ ბანკში შეიძლება მარკეტინგის ფუნქციების შემსრულებელი სხვადასხვა სამსახურები იქნას შექმნილი, მაგრამ თუ საბაზრო ცვლილებებზე ეფექტური რეაგირების ხელშემწყობი შესაბამისი ატმოსფერო არ არის შექმნილი, მაშინ აღნიშნული სამსახურები მხოლოდ მოდურ ატრიბუტებად, უფრო კი, ბანკში ზედმეტ რგოლებად გარდაიქმნება.

მარკეტინგის საერთო ამოცანები კომპლექსური მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარეობენ, რომლებიც ბანკის წინაშეა დაყენებული. აღნიშნული ამოცანები ფინანსური მომსახურეობების კორპორაციული და საცალო ბაზრის ათვისებასთან მიმართებაში კონკრეტულ ღონისძიებებში ტრანსფორმირდებიან.

მარკეტინგთან მიმართებაში ღონისძიებების კომპლექსის შემუშავებისას საჭიროა გათვალისწინებული იქნას ის ფაქტი, რომ აღნიშნული საქმიანობა სხვებისაგან განსხვავებით ინსტრუქციულ აღწერას და რეგლამენტაციას ყველაზე ნაკლები ხარისხით ექვემდებარება და შემოქმედებით მიდგომას მოითხოვს. მარკეტინგის ფუნქციების სტრუქტურირება და ცენტრალიზაციის ხარისხი მრავალ ფაქტორებზეა დამოკიდეული, რომელთა შორის გადამწყვეტებს წარმოადგენენ: განყოფილებებისა და ფილიალების რაოდენობა და განთავსება, კვალიფიციური პერსონალის არსებობა, მარკეტინგის ამოცანების დეტალიზაციის ხარისხი. საკუთარი სპეციფიკა გააჩნია მარკეტინგის ორგანიზაციას ბანკებში, რომელთაც განყოფილებებისა და ფილიალების გავრცობილი ქსელი გააჩნიათ. ფილიალებს, როგორც წესი, ბაზრის ამომწურავი გამოკვლევის განხორციელების შესაძლებლობები არ გააჩნიათ, მაგრამ ფილიალის ძლიერ მხარეს ადგილობრივი პირობების კარგი ცოდნა წარმოადგენს. ამოტომ ფილიალის მუშაკებმა ზედმიწევით უნდა იცოდნენ, მოცემულ რაიონში ვინ სარგებლობს მომსახურების კონკრეტული სახეობებით, რომელი მომსახურეობებია განსაკუთრებით პოპულარულები, რომლები არა, და რომელი პოტენციალური კლიენტები საჭიროებენ მომსახურებას. საჭიროა საკუთარი ფილიალის ძლიერი და სუსტი მხარეები მუდმივად იქნას შეფასებული, კლიენტების მომსახურების დონე კონკურენტების დონესთან იქნას შედარებული. აღნიშნული მონაცემები ბანკის მიზნობრივი კლიენტების არჩევისათვის მეტად მნიშვნელოვანია.

ეფექტური მარკეტინგის საფუძველში საბანკო მომსახურეობებზე მოთხოვნის დეტალური შესწავლაა ჩადებული. შეიძლება გამოიყოს მოთხოვნის რამდენიმე ნაირსახეობა:

**ნულოვანი მოთხოვნა** - მომხმარებლების უმეტესობა საბანკო მომსახურების მოცემული სახეობისადმი ინტერესს არ ავლენენ, და აღნიშნულთან დაკავშირებით მარკეტინგის სტიმულირებასთან მიმართებაში საჭიროა შესაბამისი ღონისძიებები იქნას ჩატარებული, თუ მოცემული სიტუაცია ლოკალურ ხასიათს ატარებს, ან ბანკის პროდუქტიულ რიგში ცვლილებები არის შესატანი.

**უარყოფითი მოთხოვნა**, რომელიც ბანკის სარეკლამო პირობებისაგან დამოუკიდებლად ნებისმიერი პროდუქტისადმი ნეგატიური ურთიერთობის ფორმაში ვლინდება. აღნიშნული შეიძლება უარყოფით იმიჯთან იყოს დაკავშირეული როგორც თვით მომსახურების, ასევე იმის მიმართაც, ვინც აწვდის მას.

**შემცირებადი მოთხოვნა**, რომელიც კლიენტების სიჭარბით ან სამომხმარებლო უპირატესობების ცვლილებებით არის გამოწვეული, და ამ შემთხვევაში ბაზრის ახალი სეგმენტების ხარჯზე მოთხოვნის ამაღლებისათვის შესაძლებლობის მოძიება ხორციელდება.

რიგ შემთხვევებში ბანკს შეიძლება **მერყევ მოთხოვნასთან** ჰქონდეს შეხება, რომელიც სეზონური მერყეობებისათვის არის დამახასიათებელი. ასეთი მოთხოვნა, მაგალითად, სოფლისმეურნეობრივი, სატრანსპორტო და სამშენებლო საწარმოების დაკრედიტებასთან მიმართებაში მომსახურებაზე შეიმჩნევა.

მარკეტინგულ საქმიანობაში ასევე საბანკო მომსახურეობებზე **პოტენციალურ მოთხოვნას** გამოყოფენ, რომელსაც ბანკის განვითარების პერსპექტივების შეფასებისათვის დიდი მნიშვნელობა გააჩნია.

მოთხოვნის შესწავლა მჭიდროდ არის დაკავშირებული **"ბანკის ზემოქმედების ზონების"** განსაზღვრასთან, ანუ პირობით საზღვართან, რომლის ჩარჩოებში ბანკი ან ფილიალი მარკეტინგული ღონისძიებების სხვადასხვა ინტენსიურობით განხორციელებას გეგმავს. ასეთი ზონები შეიძლება ტერიტორიალური, დარგობრივი, დემოგრაფიული ან რაიმე სხვა ნიშან-თვისებით იქნას კლასიფიცირებული. ასე, მაგალითად, გეოგრაფიული ნიშან-თვისების მიხედვით, როგორც ყველაზე წარმატებულად მომუშავე ბანკების პრაქტიკა გვიჩვენებს, უშუალო ზემოქმედების ზონაში რეკომენდირებულია ბანკის მიმდინარე ტერიტორიაზე განთავსებული ყველა კლიენტების არანაკლებ 15-25% იქნას ჩართული. ასეთი მიდგომაა დამახასიათებელი, თუ ფიზიკური პირების მომსახურებაზე აქტიური მოზიდვის შესახებ არის საუბარი. იურიდიული პირებისათვის აღნიშნული მაჩვენებელი 10-15% ნაკლებს შეადგენს. ირიბი ზემოქმედების ზონა შეიძლება ყველა კლიენტებიდან 35-40% იქნას გაფართოებული, რომლებიც შეიძლება ბანკის პოტენციალური ზემოქმედების ზონასთან იქნას მიკუთვნებული.

ბანკის მომსახურებაზე მოთხოვნის შეფასება **ბაზრის ტევადობის** (დამტეობა) გაანგარიშებისათვის საფუძველს წარმოადგენს, რომელიც განისაზღვრება როგორც ბაზრის მოცემულ სექტორში ან სეგმენტში და ბაზრის წილში მოცემული საბანკო მომსახურების სრულად მოხმარება - მომსახურების ფაქტიური მოხმარება კონკურენტებთან შედარებით. ბაზრის ტევადობის და წილის გაანგარიშება განისაზღვრება სტატისტიკური მეთოდებით (სტატისტიკური ორგანოებისა და საბანკო ანგარიშგებების მონაცემების გამოყენებით) ან ექსპერტული მეთოდით (გამოკითხვების მეშვეობით).

ბაზარზე საკუთარი მომსახურებების შეთავაზებასთან მიმართებაში ღონისძიებების დაგეგმვისათვის დიდი მნიშვნელობა შეიძლება **მომსახურების პოტენციალური ტევადობის** გაანგარიშებას ჰქო-

ნდეს, რომელიც ბანკის ზემოქმედების ზონაში ყველა კლიენტების მიერ დროის გარკვეული მონაკვეთის განმავლობაში მომსახურების შეძენის საერთო მოცულობას გამოხატავს:

**ტევ$_{ჯ}$ = (რდ$_{ი}$ ხ კლ$_{ი}$ ხ ელ$_{ჯ}$ ) - გჯ$_{ჯ}$ - წლ$_{ჯ}$ ,**

სადაც: ტევ$_{ჯ}$ - ბაზრის პოტენციალური ტევადობაა ჯ-დი მომსახურების;

რდ$_{ი}$ - რაოდენობრიობაა ი-დი ჯგუფის მომხმარებლების;

კლ$_{ი}$ - ერთ კლიენტზე მოცემული მომსახურების მოხმარების დონეა;

ელ$_{ჯ}$ - მომსახურებაზე მოთხოვნის **ელასტიურობის** კოეფიციენტია, ანუ შემოსავლის დამოკიდებულებაა ფასისაგან (ტარიფისაგან);

გჯ$_{ჯ}$ - ბაზრის ფაქტიური **გაჯერებულობაა** მოცემული მომსახურეობებით;

წლ$_{ჯ}$ - კონკურენტების **წილია.**

ამა თუ იმ სახეობის მომსახურებაზე მიმდინარე და პოტენციალური მოთხოვნის ანალიზიდან გამომდინარე, გადადიან ბანკის მთლიანი პროდუქტიული რიგის დაგეგმვაზე. ბანკისათვის პროდუქტიული რიგის დაგეგმვას მეტად მნიშვნელოვანი დანიშნულება აქვს, რეალურად უფრო მეტიც, ვიდრე კომერციული საწარმოსათვის, რამდენადაც საწარმოს, მის პროდუქტზე მომხმარებლის უკმაყოფილების შემთხვევაში, მისი უკან გამოთხოვა შეუძლია. მსგავსი რამ ბანკისათვის გამორიცხულია, რამდენადაც მას ფულადი სახსრების დაბრუნების ან საკუთარი აქტივების უკან გამოთხოვის შესახებ საკითხის მომენტალურად გადაწყვეტა არ შეუძლია. ამას შეიძლება დაემატოს, რომ ბანკის ყველა პროდუქტები, როგორც წესი, პერსონიფიცირებულებია.

კომუნიკაციური პოლიტიკის ჩარჩოებში, განსაკუთრებით ახალი საბანკო პროდუქტების სფეროში, განსაკუთრებულ როლს გასაღების სტიმულირება ასრულებს. საზღვრები რეკლამასა და გასაღების სტიმულირებას შორის საკმაოდ გამჭვირვალეა. რეკლამა ძირითადად მომსახურების რეალიზაციის წინმსწრებ ეტაპზე მოქმედებს. გასაღების სტიმულირება კომუნიკაციური პოლიტიკის, გაყიდვის გაადვილებისა და დაჩქარების მიზნით, ძირითადი სახსრების მხარდამჭერია. როდესაც ბანკი ფოსტის მეშვეობით ავრცელებს ბუკლეტებს, პროსპექტები ინფორმაციით მომსახურების ასორტიმენტის შესახებ უკვე - რეკლამაა. თუ კი ბანკი კლიენტთან (მაგალითად, ბანკის განყოფილებაში) უშუალო კონტაქტისას დამხმარე საშუალებების სახით პლაკატებს, ბროშურებს, პროსპექტებს იყენებს, კლიენტურასთან კავშირის ასეთ ფორმას - გასაღების სტიმულირება ეწოდება. თანამშრომელს ხელთან ახლოს ბროშურების, პროსპექტების და ა.შ. ნაკრები ყოველთვის უნდა გააჩნდეს.

რეკლამისაგან განსხვავებით გასაღების სტიმულირება ბაზარზე მოკლევადიანი ზემოქმედების საშუალებას წარმოადგენს. მას ბანკის პროდუქტებზე მდგრადი მოთხოვნის უზრუნველყოფა და ხანგრძლივი ურთიერთობების დალაგებისათვის ახალი კლიენტურის მიზიდვა არ შეუძლია. მაგრამ, დაკვირვებების მიხედვით, გასაღების სტიმულირებასთან მიმართებაში ღონისძიებებისაგან ეფექტი მნიშვნელოვნად უფრო ჩქარა მიიღწევა, ვიდრე კლიენტებზე ზემოქმედების სხვა მეთოდების შედეგად. ამიტომ გასაღების სტიმულირება შეთავაზებადი მომსახურების შესახებ კლიენტების გაცნობიერების ამაღლების, საბანკო პროდუქტებისათვის საჭირო იმიჯის შექმნისათვის გამოიყენება. გასაღების სტიმულირების ინსტრუმენტები შეიძლება ზემოქმედების ობიექტზე დამოკიდებულებაში იქნას კლასიფიცირებული (ცხრ. 1).

კომპლექსური მომსახურება ითვალისწინებს, რომ პრიფილურ მომსახურებასთან ერთად კლიენტისათვის შეიძლება ძირითადთან დაკავშირებული რიგი დამატებითი მომსახურება იქნას შეთავაზებული. ასე, მაგალითად, საკრედიტო მომსახურე-

**ცხრილი 1. მოთხოვნის სტიმულირეტბის ძირითადი მეთოდები**

| | გაყიდვების გასაღების სტიმულირება: | |
|---|---|---|
| პირდაპირი სტიმულირება | ბანკის თანამშრომლების სტიმულირება | ირიბი სტიმულირება |
| • კომპლექსური მომსახურება<br>• პერსონალური გაყიდვები;<br>• მომსახურების პრეფერენციალური შისტემა<br>• მომსახურეობების სტრუქტურირებული გაყიდვა | • ინდივიდუალური<br>• წახალისება<br>• მოგებაში მონაწილეობის სისტემა<br>• ბონუსები | • ერთობლივი რეკლამა<br>• ტარიფების ეფექტური განაკვეთები<br>• საწარმოო და საინვესტიციო კოოპერაციის გაფართოება<br>• კლიენტის განვითარებაშიგადატეხის წერტილებზე ყურადღების გამახვილება |

ბის მიწოდებასთან ერთად, ბანკს შეუძლია რისკების ნაწილის დაზღვევა შეთავაზოს, და ამისათვის ვადიანი ბაზრის ინსტრუმენტები - სავალუტო ფიუჩერსები და ოფციონები გამოიყენოს.

საანგარიშსწორებო-სალაროს მომსახურებასთან მიმართებაში, ჩვეულებრივ ოპერაციებთან ერთად შეიძლება კლიენტის “კლიენტი ბანკის” ელექტრონული გადახდების სისტემასთან მიერთება იქნას შეთავაზებული. ამასთან დამატებითი მომსახურეობების გადახდა შეიძლება შემცირებული განაკვეთებითა და ტარიფებით იქნას განხორციელებული.

პრაქტიკული თვალსაზრისით პროდუქციის გასაღება ბანკის კლიენტების მოძიებასთან პირდაპირ არის დაკავშირებული. ბანკის ძირითადი სტრატეგიული ხაზი გაყიდვების ორგანიზაციაში - ღონისძიებების მკაცრი მიზანმიმართული კომპლექსის შექმნაა, რომელიც მომსახურების პოზიციონირების (საბანკო პროდუქტის ძირითადი მახასიათებლების კლიენტის მოთხოვნილებისადმი მაქსიმალურად მიახლოება) შესაძლებლობას იძლევა. საუბარია, უპირველეს ყოვლისა, მხარდამჭერი ხასიათის მომსახურეობების შესახებ, რომლებიც კლიენტის ეფექტური ბიზნესის ორგანიზაციისათვის არის საჭირო, თუ საუბარია იურიდიული პირების შესახებ და თავისუფალი სახსრების საიმედოდ განთავსებისა და შემხვედრი მომსახურების განხორციელების შესახებ, თუ საუბარია მოსახლეობის შესახებ. ამაში შედის: საკორესპონდენტო ურთიერთობების ქსელის განვითარება, იურიდიული ფინანსური და ბუღალტრული კონსალტინგი, აქტუარული მომსახურეობები, ნდობითი ოპერაციები, აგენტურული მომსახურეობები, შემხვედრი მოწოდებების მიხედვით ფონდირების ორგანიზაცია, კლიენტებისათვის სტრატეგიული ინვესტორების მოზიდვა, თამასუქების მეშვეობით ურთიერთანგარშსწორების სქემების შექმნა, ბანკის მეანაბრეებისათვის დამატებითი მომსახურეობების კომპლექსი. ამ შემთხვევაში საუბარია **ვერტიკალურად ორიენტირებული მარკეტინგული სტრატეგიის შესახებ.**

მარკეტინგის პროდუქტიული პროგრამის რეალიზაცია ბანკში კლიენტების მომსახურების პრეფერენციული სისტემის შექმნას, ანუ ინდივიდუალური ფასდაკლებების სისტემის შექმნას ითვალისწინებს. კორპორატიულ კლიენტთან მუშაობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძლება კლიენტის საინვესტიციო პროგრამების წინასწარ სტრუქტურირებამ, საბანკო პროდუქტების ნაკრების შექმნითა და აღნიშნული პროგრამების მომსახურებისათვის ბანკის სხვადასხვა ქვედანაყოფების სპეციალიტებისაგან მიზნობრივი მუშა ჯგუფების ჩამოყალიბებით დაიმკვიდროს. ასეთი ჯგუფების ფორმირება მსხილი კლიენტის მიერ საინვესტიციო პროექტის რეალიზაციის პერიოდში ხორციელდება და ისინი საბანკო მომსახურების სხვადასხვა სტადიებზე ახორციელებენ საკუთარ ფუნქციებს, როგორებიცაა: მარკეტინგული კვლევები, ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებისა და საკრედიტო განაცხადის მომზადება, აღრიცხვისა და ინვესტიციების მართვის საკითხებში კონსულტირება, ხოლო შემდგომში მომსახურეობების პოზიციონირება. საბანკო მომსახურების ასეთი ფორმა შეიძლება კლიენტზე კონკურენტული ბრძოლის მნიშვნელოვანი ელემენტი გახდეს.

**მუშაკების სტიმულირება** ითვალისწინებს ბანკის თანამშრომლების მიერ რაიმე სახის საბანკო მომსახურების განხორციელებასთან მიმართებაში ძალისხმევის წახალისებას, არსებული კლიენტების ან ახლების მოზიდვის მომსახურების გაუმჯობესებისათვის წახალისებას, ახალი საბანკო პროდუქტების შექმნისათვის წახალისებას. პერსონალის სტიმულირების მეთოდებს შორის სხვადასხვა ხერხები, კონკურსები, საჩუქრები, ბანკის ქვედანაყოფებს შორის შეჯიბრებები, დამატებითი შვებულებები გამოიყენება. გასაღების სტიმულირებას რეკლამის მეშვეობით ბაზარზე საბანკო პროდუქტების გატანისას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ბანკისა და მისი მომსახურეობების რეკლამას არა მარტო კლიენტის ყურადღების მოქცევა, არამედ გარიგების დადებაში მომხმარებლის დაიტერესებაც, დარწმუნებაც შეუძლია. აღნიშნული მოითხოვს მომსახურების ყველა ღირსებების გონივრულად წარდგენას, რომელთა შესახებ მიდის საუბარი რეკლამაში ერთი მხრივ, და კლიენტისათვის მისი დამატებითი უპირატესობების ხარჯზე უფრო სასურველად გახომა, მეორე მხრივ.

დიდი მნიშვნელობა აქვს კლიენტების განვითარების **“გადატეხის წერტილების”** (ისეთების როგორიცაა გასაღებითი საქმიანობის გაფართოება, ახალი წარმოებების გახსნა, საექსპორტო ოპერაციების გადიდება, შტატების გაფართოება და ა.შ.) რეგულალურ დაკვირვებას და რეკლამასთან და მომსახურეობის, მაგალითად დაზღვევასთან, სახელფასო სქემებთან, აქტუარულ მომსახურებასთან მიმართებაში ადექვატური მარკეტინგული ზომების მიღებას.

**საბანკო მომსახურეობების ბაზრის სეგმენტირება:**

**ბაზრის სეგმენტაცია -** არის საქმიანობა საბანკო მომსახურეობების, მათზე მოთხოვნის სტრუქტურის შესაბამისად, პოტენციალური მომხმარებლების კლასიფიკაცირებასთან მიმართებაში. მოთხოვნის სეგმენტაცია მომხმარებლების ჯგუფებად, ეგრეთ წოდებული “სუბრინკებად” დაყოფის სხვადასხვა კრიტერიების გამოყენებაზეა დაფუძნებული. საბანკო მომსახურეობების მარკეტინგში შეიძლება გამოყოფილი იქნას სეგმენტაციის კრიტერიების შემდეგი ჯგუფები:

• რეგიონალურები - მოთხოვნის თავისებურებები სხვადასხვა რეგიონებში საბანკო მომსახურეობებზე;

• სქესობრივ-ხნოვანებითი - მოთხოვნის განმას-

ხვავებელი თავისებურებები სხვადასხვა ხნოვანებისა და სქესის ადამიანების;

• პროფესიონალური - განსხვავებები დასაქმების სახეობების მიხედვით;

• ეკონომიკურები - მოთხოვნის დამოკიდებულება მომსახურების ფასისაგან, კლიენტის ეკონომიკური მდგომარეობისაგან და მოსახლეობის სხვადასხვა ფენების შემოსავლების დონისაგან.

ბაზრის სეგმენტაციისადმი ერთიანი მიდგომა არ არსებობს, რომელიც პოტენციალური კლიენტის მოძიების ვექტორის ერთსახად განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა. ვთქვათ, მსხვილ ბანკს განშტოებული ფილიალური ქსელით შეუძლია მისი ბაზრის სეგმენტაცია გეოგრაფიული ნიშან-თვისებით მოახდინოს და განახორციელოს. მცირე საქალაქო ბანკებს პირველად სუბრინკებად შეიძლება საბანკო მომსახურების, მაგალითად საქალაქო ინფრასტუქტურა, მცირე ბიზნესი და ა.შ. მოემსახუროს. ბანკისათვის წამყვან როლს კლიენტის სეგმენტაციის საწარმოო-ეკონომიკური კრიტერიები ასრულებენ. მათ მიეკუთვნებიან: დარგი, რომელსაც კლიენტის საწარმო მიეკუთვნება; საწარმოს სიდიდე და მისი ფინანსური მდგომარეობა; ფულადი სახსრების სიდიდე შრომის ანაზღაურებაზე; სახსრების ნაშთები ანგარიშსწორების ანგარიშზე.

## დასკვნა

ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით მოკლე დასკვნის სახით შეიძლება ჩამოვაყალიბოთ მარკეტინგთან მიმართებაში რეგულარული ღონისძიებების კომპლექსი, რომლებიც ბანკის პროდუქტების ბაზარზე აქტიურ განთავსებასთანაა დაკავშირებული:

1. გამოკითხვების მომზადება და ჩატარება ბანკის კორპორაციული სტრატეგიის შესაბამისად განთავსებული კლიენტების წინასწარ განსაზღვრულ სეგმენტებში სამომხმარებლო უპირატესობების შესწავლას ითვალისწინებს.

2. მომსახურების ხარისხის რეგულარული გაზომვები უნდა განხორციელდეს შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით: მომსახურების სიჩქარე, ოპერაციის ჩატარების ვადიანობა, მუშაობაში შეცდომებისა და უზუსტობების არსებობა, კონსულტირების ხარისხი.

3. საბანკო მომსახურების გასაღების სტიმულირების სტრუქტურირებული სისტემის შემუშავება შედგება შემდეგი ძირითადი ელემენტებისაგან: მიზნობრივი რეკლამა; მომსახურეობების პაკეტის პირადი საპრეზენტაციო გაყიდვა; კავშირები საზოგადოებასთან; კლიენტებისათვის ღია სემინარების ჩატარება და სხვები.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. Геронина Н.Р., Зверев О.А. - Актуальные вопросы банковского менеджмента: стратегическое управление, банковский маркетинг, финансовое планирование, управление инновациями. Монография. - Москва: МБИ, 2009. - 165 с. (С. 23-35).

2. ცაავა გ., ხანთაძე გ., საბანკო მენეჯმენტი (თეორია, მეთოდები და პრაქტიკა). სახელმძღვანელო, თბ., გამომც. «დანი", 2015.

# მცირე და საშუალო მეწარმეობის მდგომარეობა საქართველოში

***ნატო გეგენავა***
*სტუ ასოცირებული პროფესორი*
***მერი ჯანჯღავა***
*სტუ დოქტორანტი*

საქართველოსათვის როგორც გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნისათვის, განსხვავებით განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებისაგან, სადაც ძირითადი აქცენტი გადატანილია მხოლოდ საბაზრო სისტემის განვითარებასა და მისი მექანიზმის სრულყოფაზე, პირველი რიგის ამოცანაა თვით ამ საბაზრო სისტემის საფუძვლების შექმნა, დიდი ზომის საწარმოების რესტრუქტურირება, ბაზართან ადაპტირება და კონკურენტუნარიანობის ზრდა, ეკონომიკური ტრანსფორმაციის შედეგად წარმოქმნილი ჭარბი სამუშაო ძალის დასაქმება, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური წონასწორობის უზრუნველყოფა. ამ ამოცანების გადაწყვეტა მცირე და საშუალო ბიზნესის (მსბ) განვითარებით მიიღწევა.

მსმ-ის რეგიონალურ სტრუქტურაში გამოიკვეთება საწარმოთა კონცენტრაცია დედაქალაქში, რაც ზემოაღნიშნული ტენდენციების მსგავსად განსაკუთრებითაა დამახასიათებელი გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ქვეყნის სამრეწველო პოტენციალის მქონე რეგიონები (აჭარის ა.რ., იმერეთის მხარე, ქვემო ქართლის მხარე და სხვ.) ხელსაყრელ პირობებს ქმნიან მცირე მეწარმეობის განვითარებისათვის, რაც შესაბამის მაჩვენებელთა შედარებით მაღალ დონეში გამოიხატება. **[1]**

მსმ-ის განვითარების შედარებით დაბალი დონით გამოიყოფიან ქვეყნის მაღალმთიანი რეგიონები (რაჭა-ლეჩხუმისა და სვანეთის მხარე, სამცხე-ჯავახეთი, მცხეთა-მთიანეთი და სხვა).

2010 წლის მონაცემებით საწარმოთა მთლიანმა ბრუნვამ 24400.6 მლნ ლარი შეადგინა რაშიც საშუალო ბიზნესის ბრუნვა 2350.3, მცირე ბიზნესის-1581.2 მლნ ლარი. 2010-2015 წლებში მთლიანი ბრუნვა 24400.6 მლნ ლარიდან 56984.9 მლნ ლარამდე გაიზარდა, ანუ 2.3-ჯერ გაიზარდა. (მონაცემები დათვლილია შეფასების ძველი მეთოდით)

2016-2017წწ. საერთო ბრუნვა 64081.8 მლნ ლარიდან 72557 მლნ ლარამდე, ანუ 1.13-ჯერ გაიზარდა. (მონაცემები დათვლილია შეფასების ახალი მეთოდით)

პროდუქციის გამოშვება 2010-2015წწ. 13303.7 მლნ ლარიდან 29993.9 მლნ ლარამდე, ანუ 2.25-ჯერ გაიზარდა. (მონაცემები დათვლილია შეფასების ძველი მეთოდით).

პროდუქციის გამოშვება 2016-2017 წლებში 34156.8 მლნ ლარიდან 37024.8 მლნ ლარამდე, 1.08-ჯერ გაიზარდა. (მონაცემები დათვლილია შეფასების ახალი მეთოდით)

2010 წელს საქართველოში იყო 397805 ადამიანი და 2015 წელს იგივე მაჩვენებელმა 626739 ადამიანი შეადგინა, ანუ 1.5-ჯერ მეტი დასაქმებული იყო ვიდრე 2010 წელს.2010-2015 წლებში ეს მაჩვენებელი 1.02-დან 1.25- ჯერ იზრდებოდა. გაიზარდა. (მონაცემები დათვლილია შეფასების ძველი მეთოდით)

2016-2017 წლებში დასაქმებულთა რაოდენობა 666790-დან 2540282-მდე ანუ 3.8-ჯერ გაიზარდა, რაც მაღალი მაჩვენებელია. (მონაცემები დათვლილია შეფასების ახალი მეთოდით)

შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება 2010-2015 წლბში ყველაზე დიდი 650 ლარი იყო და ყველაზე დაბალი 395 ლარი საშუალო ბიზნესში, ხოლო მცირე ბიზენსში-ყვლაზე მაღალი-443ლარი და ყველაზე დაბალი 283 ლარი. (მონაცემები დათვლილია შეფასების ძველი მეთოდით)

2016-2017 წლებში საშუალო საწარმოებში შრომის საშუალო თვიური ანაზღაურების დონე 1085 ლარიდან 1264 ლარამდე გაიზარდა. (მონაცემები დათვლილია შეფასების ახალი მეთოდით) **[2]**

მცირე და საშუალო საწარმოების განმარტება ეფუძნება საწარმოთა ბრუნვის მოცულობას და დასაქმებულთა რაოდენობას და მისი გამოყენება მნიშვნელობას პოულობს ბიზნესის შესახებ ოფიციალური სტატისტიკის მომზადებისას. შეფასების ძველი მეთოდი გულისხმობს საქარმოთა კლასიფიკაციას შემდეგნაირად: მსხვილი ზომის საწარმოებს განეკუთვნება საწარმო, სადაც დასაქმებულთა საშუალოწლიური რაოდენობა აღემატება 100 კაცს ან საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა 1.5 მლნ ლარს. საშუალო ზომის საწარმოებს მიეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა მერყეობს 20-დან 100 კაცამდე, ხოლო საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა-0.5 მლნ ლარიდან 1.5 მლნ ლარამდე. მცირე ზომის საწარმოებს მიეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა არ აღემატება 20 კაცს და საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა არ აღემატება 0.5 მლნ ლარს. რაც შეეხება შეფასების ახალი კრიტერიუმებით საწარმოთა კლასიციფაკიცას, შემდეგია: მსხვილი ზომის საწარმოებს განეკუთვნება საწარმო, სადაც დასაქმებულთა საშუალოწლიური რაოდენობა აღემატება 249 კაცს ან საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა 60 მლნ ლარს. საშუალო ზომის საწარმოებს მიეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა სა-

შუალო წლიური რაოდენობა მერყეობს 50-დან 250 კაცამდე, ხოლო საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა – 12 მლნ ლარიდან 60 მლნ ლარამდე. მცირე ზომის საწარმოებს მიეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა არ აღემატება 50 დასაქმებულს და საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა არ აღემატება 12 მლნ ლარს. **[2]**

მთლიანობაში სტატისტიკური მონაცმებეზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბიზენს სექტორში წინსვლებია გამოვლენილი წინა წლებთან შედარებით, რაც მაჩვენებელთა ზრდაში გამოიხატება.

2017 წელს საქართველო - მე-16 ადგილზეა 190 ქვეყანას შორის ქვეყნების დაშორებით საუკეთესო მაჩვენებლიდან (DTF) – 80.20 ქულა (2.48 პუნქტიანი გაუმჯობესება). ასევე ტოპ რეფორმატორად სახელდება 2006 წლიდან, რაც აიხსნება იმით, რომ ქვეყანაში განხორციელდა 44 რეფორმა როგორც ინსტიტუციური, ასევე მარეგულირებელი გარემოს დახვეწის კუთხით.

მნიშვნელოვანი რეფორმები განხორციელდა:

• ლიცენზიებისა და ნებართვების რაოდენობის შემცირება;

• "ერთი სარკმლის პრინციპი" და „დუმილი თანხმობის ნიშანია" შეიქმნა სალიცენზიო აპლიკაციებისათვის ;

• გამარტივებული საგადასახადო კოდექსით 21 გადასახადიდან დარჩა მხოლოდ 6 გადასახადი ;

• ქონების დარეგისტრირებისათვის საჭირო დრო და ღირებულება შემცირდა. **[3]**

საქართველო პირველ ათეულშია შემდეგი კომპონენტების მიხედვით:

• ქონების რეგისტრაცია – მე-3 პოზიცია

• კრედიტის მიღება – მე-7 პოზიცია

• მინორიტარულ ინვესტორთა უფლებების დაცვა - მე-7 პოზიცია

• ბიზნესის დაწყება - მე-8 ადგილი

• მშენებლობის ნებართვა - მე-8 ადგილი 2017 წელს საქართველო დასახელებულია, როგორც რეგიონის ლიდერი ქვეყანა განხორციელებული რეფორმების კუთხით.

2012 წლის შეფასების შემდეგ, რეგიონის ერთ-ერთმა ძლიერმა რეფორმატორმა, საქართველომ, მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მცირე და საშუალო ზომის საწარმოების (მსს) პოლიტიკის ინსტიტუციური ჩარჩო. გარე ზეწოლების მიუხედავად, ქვეყანა მოქნილ მაკროეკონომიკურ გარემოს და რეგულაციების და პროცედურების გამარტივებით შექმნილ ხელსაყრელ ბიზნესკლიმატს ინარჩუნებს. ელექტრონული მმართველობის სერვისების გაფართოებამ და ბიზნესის რეგისტრაციის შემდგომმა დახვეწამ ბიზნესის კეთების სიადვილე კიდევ უფრო გაამყარა. 2012 წლის შემდეგ, მიზნობრივი ხელშეწყობის ღონისძიებების დანერგვით, სამთავრობო მიდგომა მსს-ს განვითარებისადმი ჰორიზონტალური რეფორმების ფარგლებს გასცდა. **[4]**

საქართველოს 2016 წლის მსს პოლიტიკის მდგომარეობა მცირე და საშუალო ბიზნესის ინსტიტუციური და საოპერაციო გარემოს უწყვეტ გაუმჯობესებას ასახავს.ამ მიმართულებებში საქართველო კვლავ საუკეთესოა რეგიონში. მნიშვნელოვანი წინსვლა აღინიშნა ბიზნესის ინფრასტრუქტურის, დაფინანსების ხელმისაწვდომობის, ვაჭრობის ტექნიკურინ ბარიერების გაუქმების და მსს-ის ინტერნაციონალიზაციის კუთხით. გასაუმჯობესებელი რჩება მცირე და საშუალო ბიზნესი მწვანე ეკონომიკაში და, მიუხედავად მნიშვნელოვანი პროგრესისა, ინოვაციები. წინსვლა აღინიშნა ადამიანური კაპიტალის მიმართულებებშიც მიუხედავად იმისა, რომ 2012 წლის შემდეგ შეფასების გაფართოებისთვის დამატებითი ინდიკატორების შემოღებამ 1- ლი მიმართულების ქულის შემცირება გამოიწვია. ასოცირების ხელშეკრულება და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე (DCFTA), რომელიც ევროკავშირთან 2014 წლის ივნისში გაფორმდა, საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესს შესაძლებლობებსაც სთავაზობს და გამოწვევების წინაშეც აყენებს. ექსპორტის და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წახალისების გარდა, იგი ინსტიტუციურ და მარეგულირებელ რეფორმასაც დააჩქარებს, რაც ქვეყნის სტანდარტების ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოებას დაეხმარება. DCFTA ასევე შეუწყობს ხელს ეკონომიკის ზოგიერთი სექტორის (მაგალითად, ტურიზმი, სოფლის მეურნეობა) გამოუყენებელი პოტენციალის ათვისებას, ტექნოლოგიებისა და ცოდნის ტრანსფერისთვის პირობების შექმნას ქართული საწარმოების გლობალურ საწარმოო ჯაჭვში ჩართვის კვალდაკვალ.

საქართველოს ეკონომიკა მოქნილი აღმოჩნდა საშინაო თუ საგარეო შოკების, მათ შორის, რუსეთთან 2008 წლის სამხედრო კონფლიქტის და გლობალური ფინანსური კრიზისის ზემოქმედების მიმართ. 2010-2012 წლებში მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) საშუალო 6.6%-იანი წლიური ზრდის შემდეგ, საქართველოს ეკონომიკის ზრდის მაჩვენებელი 2013 წელს 3.3%-მდე შემცირდა, რაც ინვესტიციების კლებით აიხსნება. 2014 წელს ზრდამ იმატა და 4.7%-ს მიაღწია. ამას ხელი შეუწყო 2013 წლის ივლისში საქართველოს პროდუქტებისთვის რუსეთის ბაზრის გახსნამ (რითიც, განსაკუთრებით, ღვინის სექტორმა ისარგებლა) და 2014 წლის ივნისში ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების და DCFTA-ს ხელმოწერის შემდეგ სავაჭრო შესაძლებლობების გაფართოებამ. **[4]**

ბოლო წლებში, ხელისუფლებამ ბიზნესგარემოს გასაუმჯობესებლად მეორე თაობის რეფორმების განხორციელება დაიწყო. მაგალითად, ახალი საგადასახადო კოდექსით, რომელიც 2011 წლის იანვრიდან ამოქმედდა, მიკრო და მცირე საწარმოების

უფრო გამარტივებული საგადასახადო ადმინისტრირება იქნა შემოღებული. მცირე ბიზნესი დაბალი განაკვეთებით იბეგრება (დასაბეგრი შემოსავლის 3% ან 5%), რაც 2018 წელს შეიცვალა ხოლო მიკრობიზნესი საშემოსავლო გადასახადისგან საერთოდ გათავისუფლდა. საქართველოს მთავრობამ დააანონსა 2018 წელს ცვლილებების შეტანა საგადასახადო კოდექსში მცირე მეწარმეთათვის 500 000 ლარამდე აპირებენ დასაბეგრი ბრუნვის გაზრდას (იყო 100 000ლარი), ხოლო დაბეგვრის განაკვეთის შემცირებას 1%-მდე (იყო 5% და 3%)უფრო ზოგადად, 2014 წლის ივნისში მიღებული სტრატეგია „საქართველო 2020“ (საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია) ხაზს უსვამს ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის საჭიროებას და პრიორიტეტულ მიმართულებებად კერძო სექტორის გაძლიერებას, ადამიანური კაპიტალის განვითარებას და ფინანსების ხელმისაწვდომობის ზრდას განსაზღვრავს. მცირე და საშუალო ზომის საწარმოები საქართველოში საქართველოს ამჟამად მსს-ს ორი განსაზღვრება აქვს - ერთი მოცემულია კანონში საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ, ხოლო მეორე (საგადასახადო კოდექსში) ექსკლუზიურად საგადასახადო მიზნებისთვის გამოიყენება. საგადასახადო კოდექსის განსაზღვრება მხოლოდ იმ მიკრო და მცირე საწარმოებს ეხება, რომლებსაც თვითდასაქმებული მეწარმეები ფლობენ/ამუშავებენ. ძირითადი განსაზღვრება არ განმარტავს მიკროსაწარმოს და მას საბალანსო უწყისის კრიტერიუმად არ განიხილავს. **[4]**

საქართველოს პრემიერ მინისტრის ინიციატივით, 2014 წლის ივნისიდან, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების და სოფლის მეურნეობის სამინისტროებმა ახალი სამთავრობო პროგრამის „აწარმოე საქართველოში" განხორციელებადაიწყეს. **[5]**

2016 წლიდან სახელმწიფო პროგრამას „აწარმოე საქართველოში" ახალი კომპონენტი დაემატა, რომელიც მეწარმეებს შესაძლებლობას აძლევს რეგიონებში განავითაროს სასტუმრო ბიზნესი, შექმნას სამუშაო ადგილები, მოიზიდოს მეტი დამსვენებელი და ხელი შეუწყოს რეგიონის განვითარებას.

სახელმწიფო პროგრამას „აწარმოე საქართველოში" ახალი, კინოინდუსტრიის განვითარების კომპონენტი "გადაიღე საქართველოში" დაემატა, რომელიც ქვეყანაში გადაღებებზე გაწეული კვალიფიციური ხარჯების 20%-დან 25%-მდე ანაზღაურებას გულისხმობს. **[6]**

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება და DCFTA საქართველოში პროგრამის ხანგრძლივობა განისაზღვრება 2015-2019 წლებში. ევროკავშირის ბიუჯეტი ამ პროექტის დასაფინანსებლად შეადგენს 6, 03 მილიონ ევროს და გამნახორციელებელი პარტნიორია GIZ.

პროექტი მხარს უჭერს საქართველოში ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცესთან (DCFTA-სთან) დაკავშირებული ინსტიტუციური და მარეგულირებელი რეფორმების დანერგვას. ეს საფუძველს უყრის მცირე და საშუალო ბიზნესის გამყარებას ფართო ზრდის უზრუნველყოფისათვის, საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და ახალ ნორმატიულ პირობებთან ადაპტირების უზრუნველსაყოფისათვის, რაც საშუალებას აძლევს მას, გამოიყენოს შესაძლებლობები DCFTA-ს ფარგლებში. **[7]**

### გამოყენებული ლიტერატურა:


1. ეკატერინე გოზეჯიშვილი., თემა: საქართველოში მცირე და საშუალო მეწარმეობის სახელმწიფო რეგულირების სრულყოფის მიმართულებები, დისერტაცია, 2013 წელი.
2. http://www.geostat.ge
3. http://www.economy.ge/uploads/ek_ciprebshi/reitingebi/reitingebi_geo/Doing_Business_2017_-_GEO_8.12.pdf
4. http://www.oecd.org/global-relations/Georgia_GEO%20(2).pdf
5. http://qartuli.ge/geo/sub/about-program/program-details
6. http://enterprisegeorgia.gov.ge/ge/whatwedo/film-industry-incentive?v=95
7. http://eu4business.eu/ka/programme/mcire-da-sashualo-mecarmeobis ganvitareba-da-dcfta-sakar tveloshi?destination=programmes%3Fpage%3D2

# ბიზნესის ემპირიული კვლევის პროცესის ეტაპების ზოგადი დახასიათება

*მერაბ ვანიშვილი*
*ეკონომიკის დოქტორი, სტუ პროფესორი*
*ლექსო ლემონჯავა*
*ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,*
*სტუ ასოცირებული პროფესორი*

**რეზიუმე**

ბიზნესის კვლევის ჩატარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ემპირიული კვლევით დადგენილი ფაქტები, რომლებიც ეფუძნება მკვლევარის უშუალო პრაქტიკულ ურთიერთქმედებას საკვლევ ობიექტთან. შესაბამისად, ემპირიულ მეთოდთა ჯგუფს მიაკუთვნებენ რეალობის შემეცნების ისეთ მეთოდებს, რომლებიც მოქმედებენ ცდების დონეზე. ამ მეთოდების გამოყენება ვარაუდობს ადამიანის გრძნობის ორგანოების მიმართვას საქმიანობის ამა თუ იმ ფორმაში, სინამდვილის ასახვის გრძნობით ფორმებზე დაყრდნობას.

კვლევის ემპირიულ და თეორიულ მეთოდებს შორის არსებული დიდი განსხვავების მიუხედავად, მათი საერთო მიზანია ადამიანთა ცოდნის გამდიდრება არსებული რეალური ბიზნეს-სამყაროს შესახებ. ამდენად, კვლევის ზოგადი თანმიმდევრობა ერთნაირია რიგ სპეციფიკურ თავისებურებათა გათვალისწინებით.

წინამდებარე სტატიაში, უახლეს ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით, განიხილება ემპირიული კვლევის პროცესის ზოგადი ალგორითმი.

**საკვანძო სიტყვები:** კვლევის ალგორითმი, ემპირიული კვლევა, გენერალური ერთობლიობა, რეპრეზენტატიული ამონარჩევი, პოზიტივიზმი, ინტერპრეტივიზმი, კონტექსტუალიზაცია, ტრიანგულაცია.

## GENERAL OUTLINE OF THE STAGES OF THE BUSINESS EMPIRICAL RESEARCH PROCESS

**Merab Vanishvili**
Doctor of Economics,
Professor of Georgian Technical University
**Lexo Lemonjava**
Doctor of Business Administration,
Associate Professori of Georgian Technical University

**RESUME**

Empirical research based on the researcher's direct practical interaction with the research object plays an important role in conducting business research. Accordingly, the group of empirical methods is assigned to the methods of cognition that operate at the level of the test. The use of these methods suggests the appeal of the human sensory organs to one or another form of activity, based on a sense of reality.

Despite the vast differences between empirical and theoretical research methods, their overall aim is to enrich people's knowledge of the current real-world business world. Thus, the general sequence of research is the same in view of a number of specific features.

This article, based on the latest literature sources, discusses the general algorithm of the empirical research process.

**Keywords:** Research Algorithm, Empirical Research, General Cohesion, Representative Selection, Positivism, Interpretivism, Contextualization, Triangulation.

## შესავალი

სამეცნიერო კვლევის ჩატარების ამოცანა მოითხოვს ფართო თვალსაწიერს და სამეცნიერო კვლევის მეთოდების ღრმა ცოდნას. ამ შემთხვევაში კვლევის ლოგიკა, რომელიც საშუალებას გვაძლევს აღმოვფხვრათ სუბიექტივიზმი არაფორმალური მეთოდების გამოყენებისას, დავაბალანსოთ თეორიული და ემპირიული მეთოდების გამოყენება, განვახორციელოთ მიღებული შედეგების ინტერპრეტაცია, წარმოადგენს მეცნიერული შემეცნების დომინანტს.

სამეცნიერო კვლევის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს პირველადი ინფორმაცია. ბიზნესის კვლევის სფეროში პირველადი ინფორმაცია არის ამა თუ იმ სამეურნეო პროცესის, მოვლენის, ღონისძიების ამსახველი ფაქტები. საყოველთაო კომპიუტერიზაციის ეპოქაში ფაქტობრივი ინფორმაციის მნიშვნელოვანი ნაწილი ფორმირდება ინფორმაციულ სისტემებში და ინახება მონაცემებისა და ცოდნის ბაზებში სტრუქტურირებული ან არასტრუქტურირებული მონაცემების სახით.

ბიზნესის კვლევის ჩატარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ემპირიული კვლევით დადგენი-

ლი ფაქტები, რომლებიც ეფუძნება მკვლევარის უშუალო პრაქტიკულ ურთიერთქმედებას საკვლევ ობიექტთან. შესაბამისად, ემპირიულ მეთოდთა ჯგუფს მიაკუთვნებენ რეალობის შემეცნების ისეთ მეთოდებს, რომლებიც მოქმედებენ ცდების დონეზე (მაგალითად, დაკვირვება, გამოკითხვა, გაზომვა, ექსპერიმენტი). ამ მეთოდების გამოყენება ვარაუდობს ადამიანის გრძნობის ორგანოების მიმართვას საქმიანობის ამა თუ იმ ფორმაში, სინამდვილის ასახვის გრძნობით ფორმებზე დაყრდნობას.

კვლევის ემპირიულ და თეორიულ მეთოდებს შორის არსებული დიდი განსხვავების მიუხედავად, მათი საერთო მიზანია ადამიანთა ცოდნის გამდიდრება არსებული რეალური ბიზნეს-სამყაროს შესახებ. ამდენად, კვლევის ზოგადი თანმიმდევრობა ერთნაირია რიგ სპეციფიკურ თავისებურებათა გათვალისწინებით.

წინამდებარე სტატიაში, უახლეს ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით, განიხილება ბიზნესის ემპირიული კვლევის ზოგადი ალგორითმი.

## კვლევის შედეგები

კვლევის პროცესი შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი ზოგადი ალგორითმის სახით (ნახაზი 1). ეს ალგორითმი ზუსტად შეესაბამება კვლევის თეორიულ მეთოდებს, მაგრამ კვლევის პროცესის არსის გასაგებად სასარგებლოა ემპირიული მეთოდების შემთხვევაშიც.

ქვემოთ მოკლედ იქნება წარმოდგენილი 1-ელ ნახაზზე ასახული კვლევის პროცესის ცალკეული ეტაპების შინაარსი.

<u>*საკვლევი საკითხი:*</u> თავდაპირველად მკაფიოდ უნდა განისაზღვროს საკვლევი საკითხი, - თუ რა მიზანი აქვს კომპანიის მენეჯმენტს თუ მკვლევარს. საკვლევი საკითხი შესაძლებელია იყოს რომელიმე ბიზნეს-კომპანიის მიმზიდველობა ინვესტორისათვის, გარკვეული სახის მარკეტინგული კვლევა, მომხმარებელთა მოთხოვნების შესწავლა, კომპანიის ორგანიზაციული ეფექტიანობის დადგენა, საინვესტიციო პროექტის მომზადება და ა.შ. საკითხის ხასიათიდან ან სპეციფიკიდან გამომდინარე, კვლევა შეიძლება უკავშირდებოდეს საკითხის გარშემო არსებული სათანადო სამეცნიერო თუ სხვა სახის ლიტერატურის მოძიებასა და ანალიზს. არსებული სტატისტიკური ინფორმაციის გაანალიზებას და სხვ.

საკვლევი საკითხი შეიძლება აღმოჩნდეს ძალიან ფართო ან ძალიან ვიწრო. კვლევის პროცესში შესაძლებელია საკვლევი საკითხის დაზუსტება შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით: რამდენად ზოგადია ეს საკითხი, რა თეორიულ-პრაქტიკული დანიშნულება შეიძლება ჰქონდეს ასეთ კვლევას, როგორი მონაცემების მოპოვება არის შესაძლებელი და სხვ. კვლევის ჩატარების შედეგად საკითხი შეიძლება გაფართოვდეს ან დავიწროვდეს მიღებული შედეგებისგან დამოკიდებულებით.

<u>*ცვლადები:*</u> საკვლევი საკითხის შესასწავლად უნდა ვიცოდეთ, თუ რა მახასიათებლებით შეიძლება მისი თვისებების გამოკვლევა. საკვლევი საკითხის ისეთ მახასიათებელს, რომლის დაკვირვება და გაზომვა შესაძლებელია, ეწოდება ცვლადი. ამრიგად, კვლევის კორექტულად ჩასატარებლად მკაფიოდ უნდა განისაზღვროს ის ცვლადები, რომლებიც განაპირობებენ საკვლევი საკითხის შინაარსსა და სპეციფიკას. საზოგადოდ, ცვლადების განსაზღვრაში გარკვეულ დახმარებას გაგვიწევს უკვე მოძიებული ინფორმაცია, მათ შორის ჩატარებული ლიტერატურული ანალიზი.

**ნახაზი 1. კვლევის პროცესის ზოგადი ალგორითმი**



როდესაც ვიცით, თუ როგორი ცვლადებით არის შესაძლებელი მოვლენის შესწავლადახასიათება, მაშინ შეგვიძლია ვიფიქროთ იმის შესახებ, თუ რა ინფორმაცია გვჭირდება და როგორ მოვიპოვოთ ეს ინფორმაცია ამ ცვლადების შესახებ. მაგალითად, ბიზნეს-კომპანიის საინვესტიციო მიმზიდველობისათვის მრავალი ცვლადი გვექნება: კომპანიის საფინანსო და მატერიალურ-ტექნიკური მახასიათებლები და ა.შ.

*გენერალური ერთობლიობა:* ცვლადების დადგენის შემდეგ უნდა გავარკვიოთ, თუ რა სახის და რა ოდენობის ინფორმაცია ახასიათებს გამოსაკვლევ მოვლენას მთლიანობაში. ეს არის მონაცემთა ე.წ. გენერალური ერთობლიობა ან, სხვანაირად, სამიზნე ერთობლიობა - სრული ინფორმაცია მოვლენის შესახებ, ყველა ის მონაცემი, რომლიც უკავშირდება საკვლევ საკითხს. მაგალითად, თუ კომპანიას სურს ახალი პროდუქციის გამოშვება, მაშინ მისთვის სამიზნე ერთობლიობა იქნება ამ პროდუქციის სავარაუდო მომხმარებელი მოცემულ რეგიონში. ბიზნეს-კომპანიის საქმიანობის შესწავლისთვის გენერალური ერთობლიობა ძირითადად წარმოადგენს მისი საბალანსო უწყისის მონაცემებს წლების განმავლობაში. ამასთან, შეიძლება საჭირო გახდეს აგრეთვე მონაცემები კომპანიის თანამშრომლების შესახებ, მათი დენადობა, შინაგანაწესი, დისციპლინის დარღვევების ოდენობა და ხასიათი და ა.შ.

*რეპრეზენტატიული ამონარჩევი:* საკვლევი საკითხის შესახებ დასკვნების გასაკეთებლად და შემდეგ გადაწყვეტილების მისაღებად მთელი სამიზნე ერთობლიობის გამოკვლევა მხოლოდ იშვიათ შემთხვევებშია შესაძლებელი ან საჭირო. კვლევის პრაქტიკულად ჩატარების მიზნით საკმარისია ე.წ შერჩევითი მეთოდის გამოყენება, რაც გულისხმობს გენერალური ერთობლიობიდან მცირე რაოდენობის ისეთი ინფორმაციის შერჩევას, რომელიც ობიექტურად და სრულყოფილად დაახასიათებს მთელ გენერალურ ერთობლიობას. ასეთ, შედარებით მცირე სიდიდის ცალკეულ ერთობლიობას, რომელიც ობიექტურად ახასიათებს გენერალურ ერთობლიობას, ეწოდება რეპრეზენტატიული (წარმომადგენლობითი) ამონარჩევი (a representative sample).

*მონაცემების შეგროვება:* მას შემდეგ, რაც დადგენილია რეპრეზენტატიული ამონარჩევის მახასიათებლები და მისი ფორმირების წესი, იწყება სათანადო პირველადი ან/და მეორადი ინფორმაციის (მონაცემების)შეგროვება. მონაცემები შეიძლება იყოს როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი. რიგ შემთხვევაში თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემების შეგროვების წესები ერთნაირია, მაგრამ არის არსებითი განსხვავებაც: თვისებრივი მონაცემების შეგროვება და ანალიზი, როგორც წესი, ერთდროული პროცესია, ხოლო რაოდენობრივი კვლევების შემთხვევაში ჯერ ხდება რაოდენობრივი ინფორმაციის შეგროვება, ხოლო შემდეგ მისი დამუშავება (როგორც წესი, სტატისტიკური ანალიზის მეთოდებით). მონაცემთა შეგროვების პროცესის ზოგადი თანმიმდევრობა შესაძლოა შემდეგნაირად წარმოვადგინოთ:

⇨ ცვლადების განსაზღვრა;

⇨ მონაცემთა შეგროვების მეთოდის არჩევა;

⇨ მონაცემთა საცდელი შეგროვება და მეთოდის საჭიროებისამებრ მოდიფიცირება;

⇨ საკვლევი ერთობლიობის (ამონარჩევის) განსაზღვრა;

⇨ კვლევისთვის საჭირო ინფორმაციის შეგროვება.

აღნიშნული თანმიმდევრობა არის ინფორმაციის შეგროვების პროცესის მხოლოდ საილუსტრაციო სურათი. სინამდვილეში მონაცემების შეგროვების პროცესი არ არის ისეთი თანმიმდევრული, როგორც ეს აქ არის წარმოდგენილი. უფრო მეტიც, კვლევის მონაცემები შესაძლებელია მოპოვებულ იქნას სხვადასხვა წყაროებიდან და ამისთვის, სავარაუდოდ, გამოყენებული იქნება სხვადასხვა მეთოდი.

თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემების შეგროვების პროცესი რიგი ნიშნებით მსგავსია. თუმცა, არის არსებითი განსხვავებაც, რაც პარადიგმების დაშვებებით გამოიხატება. თვისებრივი მონაცემები ჩვეულებრივ გარდამავალია, მათი გაგება შესაძლებელია მხოლოდ მოცემულ კონტექსტში და უკავშირდება ინტერპრეტივისტულ პარადიგმას, რაც შედეგად იწვევს ვალიდურობის მაღალ ხარისხს. აღნიშნულის საპირისპიროდ, რაოდენობრივი მონაცემები ჩვეულებრივ არის ზუსტი, მათი მიღება შესაძლებელია სხვადასხვა ვითარებაში და სხვადასხვა კონტექსტში, დაკავშირებულია პოზიტივისტურ მეთოდოლოგიასთან, შედეგები კი გამოირჩევა სანდოობის მაღალი ხარისხით. ამიტომ, კვლევის პროექტში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის მეთოდები.

ზოგჯერ პოზიტივისტური პარადიგმის მიხედვით ჩატარებული კვლევაც მოითხოვს თვისებრივი მონაცემების შეგროვებას, რომლებიც შემდეგ რაოდენობრივ მონაცემებად უნდა გარდაიქმნას. ამ შემთხვევაში საჭიროა ე.წ. *„მეთოდოლოგიური ტრიანგულაციის“* გამოყენება.

იმასთან დაკავშირებით, რომ თვისებრივი მონაცემების გაგება შესაძლებელია მხოლოდ კონტექსტში, საჭირო ხდება წინასწარი ინფორმაციის შეგროვება სიტუაციის (კონტექსტის) გასაცნობად, რაც მონაცემთა *კონტექსტუალიზაციას* ნიშნავს. მონაცემები კონტექსტის შესახებ დაკავშირებულია

დროსა და ადგილმდებარეობასთან, სამართლებრივ, სოციალურ, პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ზეგავლენასთან.

საინტერესოა, მაგალითად, რამდენად ოპტიმისტური იქნება ადამიანის შეხედულება მომავალზე, თუ იგი მუშაობს ნახშირის მომპოვებელ შახტაში, რომელიც ქალაქ ტყიბულში მდებარეობს, სადაც არ არის დაცული შრომის უსაფრთხოების პირობები და შახტაც შეიძლება დაიხუროს. მომავლის შესახებ მისი შეხედულება „ალბათ" განსხვავებული იქნება იმ ადამიანის შეხედულებისგან, ვინც მუშაობს გერმანიაში თანამედროვე მაღალტექნოლოგიურ კომპანიაში კარგი ანაზღაურებით, ან იმისაგან, ვინც ანტალიაში ტურიზმის ბიზნესშია დაკავებული.

ამრიგად, თვისებრივი მონაცემების შეგროვების დროს კვლევის ეფექტიანად წარმართვისთვის აუცილებელია არსებული კონტექსტში (სიტუაციაში) გარკვევა, რაც ხელს შეუწყობს მკვლევარის მგრძნობიარობას და გააუმჯობესებს მის მიერ მონაცემთა ინტერპრეტაციის ხარისხს.

კონტექსტუალიზაციისთვის საჭირო მონაცემები შესაძლებელია მოვიძიოთ ლიტერატურაში, სტატისტიკურ მასალებში, ქვეყნისა და დარგის პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის დახასიათებაში და სხვ. მნიშვნელოვანია აგრეთვე ინფორმაცია, რომელიც შეიძლება მივიღოთ რეგიონების ადგილობრივი გაზეთებიდან, მკითხველთა წერილებიდან. ამ თვალსაზრისით, შესაძლებელია ნაკლებად სანდო იყოს პოლიტიკური გაზეთები და რედაქტორის სტატიები.

თუ კომპანიას ვსწავლობთ, მაშინ საინტერესოა აგრეთვე კომპანიის ყოფილი თანამშრომლების აზრი ამ კომპანიის შესახებ. ოღონდ, ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ყოფილი თანამშრომლების მიერ სამსახურის დატოვების მიზეზებიც. სასურველია ინფორმაციის აუდიო/ვიდეო ჩაწერა, აგრეთვე წერილობითი შენიშვნების გაკეთება ინფორმაციის შეგროვების დროს და ა.შ.

თვისებრივი ინფორმაციის შეგროვების დროს გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი ერთიანი პროცესია. განსხვავებულ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე რაოდენობრივი მეთოდების შემთხვევაში, როდესაც შესაძლებელია ჯერ შეაგროვო მონაცემები და შემდეგ დაამუშავო ინფორმაცია სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით.

თვისებრივ ინფორმაციაში დიდი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ თვით ინფორმაციას, არამედ აგრეთვე წინადადების სტილს, წყობას, სასვენ ნიშნებს. სასვენი ნიშნების მცირე ცვლილებას შეუძლია გამოიწვიოს წინადადების აზრის რადიკალური ცვლილება (მაგალითად, იმის და მიხედვით, თუ სად არის დასმული მძიმის ნიშანი, გვექნება განსხვავებული აზრი).

*<u>მონაცემების პირველადი დამუშავება:</u>* შემდეგი ეტაპია მონაცემების პირველადი დამუშავება შერჩეული პარადიგმის მეთოდოლოგიის მოთხოვნების შესაბამისად. საკვლევი საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლოა საჭირო გახდეს მონაცემების დახარისხება, გასუფთავება შესაძლო შეცდომების ან/და გაყალბებისგან, გრაფიკული წარმოდგენა, რიცხვითი მახასიათებლების გამოთვლა და ა.შ. არსებობს მონაცემების პირველადი დამუშავების მრავალი მეთოდი.

*<u>სპეციალური ამოცანების გადაწყვეტა</u>:* მონაცემების პირველადი დამუშავების შემდეგ უკვე შეიძლება კვლევის მიზნების შესაბამისი საკითხების დამუშავება. საკვლევის საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, ეს ეტაპი ამოცანათა საკმაოდ ფართო სპექტრს მოიცავს. ამ ეტაპზე შესაძლოა ჩატარდეს მონაცემების თვისებრივი ან/და რაოდენობრივი ანალიზი, მოდელირება, პროგნოზირება, კორელაციური და რეგრესიული ანალიზი, კვლევის დაგეგმვის დროს ჩამოყალიბებული ჰიპოთეზების (თუ ასეთები არსებობს) შემოწმება და სხვ.

ინტერპრეტივისტული პარადიგმისთვის ჰიპოთეზების შემოწმება არაფორმალურ ხასიათს ატარებს და ყოველ ცალკეულ შემთხვევაში შესაბამისი პროცედურის მიხედვით ხორციელდება. პოზიტივისტური პარადიგმისთვის კი დამუშავებულია ჰიპოთეზების შემოწმების კარგად ფორმალიზებული სტატისტიკური მეთოდები.

ამ ეტაპით ფაქტობრივად დასრულებულია კვლევის ძირითადი „სამუშაო" ნაწილი. ამის შემდეგ უკვე უნდა განხორციელდეს კვლევის შედეგების ინტერპრეტაცია და კვლევის საკითხთან დაკავშირებული სათანადო გადაწყვეტილების მიღება, რაც კვლევის ალგორითმში უკუკავშირის პროცესით არის ნაჩვენები. კვლევის შედეგად მიღებული მონაცემებით კეთდება სამეტაპიანი დასკვნა საკვლევი საკითხის შესახებ:

*დასკვნა 1 - უკუკავშირის პირველი ეტაპი:* ვინაიდან კვლევის შედეგები მიღებულ იქნა რეპრეზენტატიული ამონარჩევის ბაზაზე, ამდენად, სპეციალური ამოცანების გადაწყვეტის შედეგად კეთდება დასკვნა რეპრეზენტატიული ამონარჩევის შესახებ, მაგალითად, ვარგისია თუ არა შესამოწმებლად აღებული მოწყობილობათა პარტია, კარგ შედეგებს იძლევა თუ არა ახლად მიღებული/დამზადებული მედიკამენტები და ა.შ.

*დასკვნა 2 - უკუკავშირის მეორე ეტაპი:* რეპრეზენტატიული ამონარჩევის შესახებ გაკეთებული დასკვნის საფუძველზე ხდება დასკვნის განზოგა-

დოება მთლიანად გენერალურ ერთობლიობაზე. მაგალითად, თუ მოწყობილობების/მედიკამენტების რეპრეზენტატიულმა ამონარჩევმა ვერ დააკმაყოფილა სტანდარტული მოთხოვნები, მაშინ ივარაუდება, რომ მთლიანად უვარგისია ამ დასახელების მოწყობილობების/მედიკამენტების ის პარტია, საიდანაც იქნა აღებული საცდელი ეგზემპლიარები.

*გადაწყვეტილების მიღება - უკუკავშირის მესამე ეტაპი:* გენერალური ერთობლიობის შესახებ გაკეთებული დასკვნის საფუძველზე მიიღება დასკვნითი გადაწყვეტილება საკვლევი საკითხის შესახებ, რასაც შემდეგ შესაბამისი აქტივობა მოჰყვება. მაგალითად: მოწყობილობების/მედიკამენტების შესახებ უარყოფითი დასკვნის შესახებ მიღებულ იქნება გადაწყვეტილება, რომ წაეყენოს პრეტენზია ამ მოწყობილობების/მედიკამენტების დამამზადებელ კომპანიას; ბიზნეს კვლევებისთვის, თუ ვარკვევთ საკითხს იმის თაობაზე, თუ რა სახის პროდუქცია მოსწონს მომხმარებელს, ალბათ მიღებული იქნება გადაწყვეტილება ბიზნეს აქტივობა მოწონებული კომპანიის პროდუქციის წარმოების გაძლიერების შესახებ და სხვ.

*სპეციალური აქტივობა:* კვლევის შედეგების ინტერპრეტაციისა და მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, ხორციელდება სათანადო მოქმედება, რაც კვლევის საბოლოო მიზანს წარმოადგენს. ნებისმიერი კვლევა მხოლოდ მაშინ არის გამართლებული, როდესაც ის კონკრეტული აქტივობით არის დაგვირგვინებული. და შესაბამისად, გამართლებულია კვლევის საჭიროებისათვის გაწეული ფინანსური და სხვა სახის დანახარჯები. ასეთი ბიზნეს აქტივობა გამომდინარეობს მიღებული გადაწყვეტილებიდან, მაგალითად: მოწყობილობების/მედიკამენტების შემთხვევაში აქტივობა იქნება მომწოდებლებთან კონტრაქტის გაწყვეტა, საკომპენსაციო თანხის მოთხოვნა, ახალი მომწოდებლების ძიება და ა.შ. ბიზნეს აქტივობის შესახებ მოწონებული პროდუქციის წარმოების გაძლიერება/დაწყება, სათანადო დანადგარების შეძენა, პერსონალის გადამზადება და ა.შ.

მას შემდეგ, რაც გადავწყვეტთ, თუ რა და როგორ უნდა გაკეთდეს ემპირიული კვლევისას, დგება მონაცემთა შეგროვების ფაზა. შეგვიძლია ერთმანეთისაგან განვასხვაოთ მონაცემთა შეგროვების სამი ძირითადი ფორმა: დაკვირვება, გამოკითხვა და მეორად მონაცემთა ანალიზი.

## დასკვნები

ჩატარებული გამოკვლევა შესაძლებლობას გვაძლევს გავაკეთოთ შემდეგი ძირითადი დასკვნები:

1. კვლევის ემპირიულ და თეორიულ მეთოდებს შორის არსებული დიდი განსხვავების მიუხედავად, მათი საერთო მიზანია ადამიანთა ცოდნის გამდიდრება არსებული რეალური ბიზნესსამყაროს შესახებ. ამდენად, კვლევის პროცესის ზოგადი თანმიმდევრობა ერთნაირია სპეციფიკურ თავისებურებათა გათვალისწინებით. კვლევის პროცესის ზოგად ალგორითმში ყურადღება გამახვილებულია მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და გადაწყვეტილების მიღების ეტაპებზე.

2. თავდაპირველად მკაფიოდ უნდა განისაზღვროს საკვლევი საკითხი, - თუ რა მიზანი აქვს კომპანიის მენეჯმენტს/მკვლევარს. საკვლევი საკითხი შესაძლებელია იყოს, მაგალითად, რომელიმე ბიზნეს-კომპანიის საინვესტიციო მიმზიდველობა, გარკვეული სახის მარკეტინგული კვლევა, მომხმარებელთა მოთხოვნების შესწავლა, კომპანიის ორგანიზაციული ეფექტიანობის დადგენა, საინვესტიციო პროექტის მომზადება. კვლევის პროცესში საკითხი შეიძლება გაფართოვდეს ან დავიწროვდეს მიღებული შედეგებისგან დამოკიდებულებით.

3. კვლევის კორექტულად ჩასატარებლად მკაფიოდ უნდა განისაზღვროს ის ცვლადები, რომლებიც განაპირობებენ საკვლევი საკითხის შინაარსსა და სპეციფიკას. ცვლადების განსაზღვრაში გარკვეულ დახმარებას გაგვიწევს უკვე მოძიებული ინფორმაცია, მათ შორის ჩატარებული ლიტერატურული ანალიზი. როდესაც ვიცით, თუ როგორი ცვლადებით არის შესაძლებელი მოვლენის შესწავლა-დახასიათება, მაშინ შეგვიძლია ვიფიქროთ იმის შესახებ, თუ რა ინფორმაცია გვჭირდება და როგორ მოვიპოვოთ ეს ინფორმაცია ამ ცვლადების შესახებ.

4. ცვლადების დადგენის შემდეგ უნდა გავარკვიოთ, თუ რა სახის და რა ოდენობის ინფორმაცია ახასიათებს გამოსაკვლევ მოვლენას მთლიანობაში. ეს არის მონაცემთა ე.წ. გენერალური ერთობლიობა ან, სხვანაირად, სამიზნე ერთობლიობა - სრული ინფორმაცია მოვლენის შესახებ, ყველა ის მონაცემი, რომლიც უკვშირდება საკვლევ საკითხს.

5. კვლევის პრაქტიკულად ჩატარების მიზნით საკმარისია ე.წ შერჩევითი მეთოდის გამოყენება, რაც გულისხმობს გენერალური ერთობლიობიდან მცირე რაოდენობის ისეთი ინფორმაციის შერჩევას, რომელიც ობიექტურად და სრულყოფილად დაახასიათებს მთელ გენერალურ ერთობლიობას. ასეთ, შედარებით მცირე სიდიდის ცალკეულ ერთობლიობას, რომელიც ობიექტურად ახასიათებს გენერალურ ერთობლიობას, ეწოდება რეპრეზენტატიული ამონარჩევი.

6. რეპრეზენტატიული ამონარჩევის მახასიათებლების და მისი ფორმირების წესის დადგენის შემდეგ იწყება სათანადო პირველადი ან/და მეორადი ინფორმაციის (მონაცემების) შეგროვება. მონა-

ცემთა შეგროვების პროცესის ზოგადი თანმიმდევრობა შესაძლოა შემდეგნაირად წარმოვადგინოთ: ცვლადების განსაზღვრა; მონაცემთა შეგროვების მეთოდის არჩევა; მონაცემთა საცდელი შეგროვება და მეთოდის საჭიროებისამებრ მოდიფიცირება; საკვლევი ერთობლიობის (ამონარჩევის) განსაზღვრა; კვლევისთვის საჭირო ინფორმაციის შეგროვება. კვლევის მონაცემები შესაძლებელია მოპოვებულ იქნას სხვადასხვა წყაროებიდან და სხვადასხვა მეთოდებით.

7. შემდეგი ეტაპია მონაცემების პირველადი დამუშავება შერჩეული პარადიგმის მეთოდოლოგიის მოთხოვნების შესაბამისად. საკვლევი საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლოა საჭირო გახდეს მონაცემების დახარისხება, გასუფთავება შესაძლო შეცდომების ან/და გაყალბებისგან, გრაფიკული წარმოდგენა, რიცხვითი მახასიათებელების გამოთვლა და ა.შ. არსებობს მონაცემების პირველადი დამუშავების მრავალი მეთოდი.

8. მონაცემების პირველადი დამუშავების შემდეგ უკვე შეიძლება კვლევის მიზნების შესაბამისი საკითხების დამუშავება. საკვლევი საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, ეს ეტაპი ამოცანათა საკმაოდ ფართო სპექტრს შეიცავს. ამ ეტაპზე შესაძლოა ჩატარდეს მონაცემების თვისებრივი ან/და რაოდენობრივი ანალიზი, მოდელირება, პროგნოზირება, კორელაციური და რეგრესიული ანალიზი, კვლევის დაგეგმვის დროს ჩამოყალიბებული ჰიპოთეზების (თუ ასეთები არსებობს) შემოწმება და სხვ. ამ ეტაპით ფაქტობრივად დასრულებულია კვლევის ძირითადი „სამუშაო" ნაწილი.

9. კვლევის შედეგად მიღებული მონაცემებით კეთდება სამ-ეტაპიანი დასკვნა საკვლევი საკითხის შესახებ: (1) ვინაიდან კვლევის შედეგები მიღებულ იქნა რეპრეზენტატიული ამონარჩევის ბაზაზე, ამდენად, სპეციალური ამოცანების გადაწყვეტის შედეგად კეთდება დასკვნა რეპრეზენტატიული ამონარჩევის შესახებ; (2) რეპრეზენტატიული ამონარჩევის შესახებ გაკეთებული დასკვნის საფუძველზე ხდება დასკვნის განზოგადოება მთლიანად გენერალურ ერთობლიობაზე; (3) გენერალური ერთობლიობის შესახებ გაკეთებული დასკვნის საფუძველზე მიიღება დასკვნითი გადაწყვეტილება საკვლევი საკითხის შესახებ, რასაც შემდეგ შესაბამისი აქტივობა მოჰყვება.

### გამოყენებული ლიტერატურის სია

1. კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში. პირველი ქართული გამოცემა / ჩავა ფრანკფორტნაჩმიასი, დევიდ ნაჩმიასი. - თბ., 2009. - 585 გვ.

2. Business research Methods. Donald R. Cooper; Pamela S. Schindler, Mc Graw Hill, ISBN 0-07-249870-2003.

3. Методология и методы научных исследований в экономике и менеджменте [Текст]: пособие для вузов / Завьялова Н.Б., Головина А.Н., Завьялов Д.В., Дьяконова Л.П., Мельников М.С. и др.; под ред. Н. Б. Завьяловой, А.Н. Головиной. – Москва-Екатеринбург, 2014.

# კვლევითი პროექტები და მათი მნიშვნელობა

*ქეთევან კიწმარიშვილი*
*სტუ ასოცირებული პროფესორი*


## რეზიუმე

განასხვავებენ კვლევით და ვენჩერულ პროექტებს: კვლევითი პროექტი წარმოადგენს სოციალურ-კულტურული, ეკონომიკური, და პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე აქტუალური თეორიული და პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტაზე მიმართულ კვლევებისა და სამუშაოების გეგმას. კვლევით პროექტებში მოცემულია მეცნიერულად დასაბუთებული ტექნიკური, ეკონომიკური ან ტექნოლოგიური გადაწყვეტები. ვენჩურული პროექტები დაკავშირებულია ახალი საწარმოების შექმნასთან, საცდელი ნიმუშების ან პროდუქციის პარტიის დამზადებასთან, დანადგარების (აღჭურვილობის) შეძენასთან და სხვა ძვირადღირებულ სამუშაოებთან. ეს პროექტები კომერციულია და ფინანსდება, როგორც წესი, კომერციული ბანკებიდან უკან დაბრუნების პირობით. ბევრ კომერციულ ბანკში შექმნილია სპეციალური განყოფილებები, დამუშავებულია საინვესტიციო საქმიანობის პრინციპები.


**საკვანძო სიტყვები:** სამუშაოს ორგანიზება, სამუშაო გარემო, ფსიქოლოგიური კლიმატი, ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევები.

## RESEARCH PROJECTS AND THEIR PECULIARITIES

**Ketevan Kitsmarishvili**
Associated Professor of GTU


## SUMMARY

There are research and venture projects: research project represent a plan of works and research that are oriented toward the solution of theoretic and practical tasks having social-cultural, economic and political significance. Research projects introduce technical, economical or technological solutions argued under scientific manner. Venture projects are connected to the occurrence of new enterprises, production trial samples or party of product, purchase of installation (equipment) and other expensive works. This project commercial and as a rule, it is financed on condition for return from commercial banks. Most commercial banks have special departments, where principles of investment business are being processed.


**Keywords:** organizing work, working environment, psychological climate, fundamental and applied research.

## შესავალი

კვლევითი პროექტები ზეგავლენას ახდენენ ქვეყნის მეცნიერების, ეკონომიკის განვითარებაზე, სოციალური პრობლემების მოგვარებაზე, ეკოლოგიურ სიტუაციაზე, ამიტომაც ძალიან მნიშვნელოვანია ამ პროექტის მართვის ეფექტური სისტემის შექმნა. უპირველეს ყოვლისა კვლევითი ინოვაციური პროექტების წარმატება დამოკიდებულია კვლევითი საქმიანობით დაკავებულ ორგანიზაციებში ახალგაზრდა ნიჭიერი მეცნიერების მოდინებაზე. კვლევებისა და გამოყენებითი სამუშაოების ეფექტიანი მართვისთვის აუცილებელია ჩამოყალიბებული, გეგმაზომიერი მუშაობა, რომლის განხორციელებაში ჩართულნი არიან სხვადასხვა პროფესიისა და ფუნქციების შემსრულებელი სპეციალისტები.

## ძირითადი ნაწილი

კვლევითი პროექტის თითოეული მონაწილის პიროვნული თვისებები (მაგალითად, სამეცნიერო კოლექტივის ხელმძღვანელის), გადამწყვეტ როლს თამაშობს ინოვაციური პროექტის წარმატების უზრუნველყოფაში.

უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება კვლევითი პროექტის ხელმძღვანელის არჩევას პროექტზე ეფექტური მუშაობისთვის. პროექტის ხელმძღვანელი უნდა გამოირჩეოდეს ფართო ერუდიციითა და თავისი სპეციალობის სფეროში დიდი უნარებით.

ეს ეხება ორგანიზაციის უმაღლესი რგოლის მენეჯერებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სამეცნიერო ნაწილის ხელმძღვანელობას.

ინოვაციური პროექტების მენციერ-ხელმძღვანელები თავისუფლდებიან ადმინისტრაციულ-სამეურნეო ფუნქციებისა და ორგანიზაციის სხვა, მიმდინარე სამუშაოებისგან. შედეგად ისინი ადვილად მოახდენენ ძალებისა და ყურადღების კონცენტრირებას კვლევითი პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელის ამოცანებზე.

პროექტის ხელმძღვანელი უნდა გამოირჩეოდეს შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების უნარით, უნდა გააჩნდეს ფანტაზია და გარკვეული შინაგანი მოწიწება მეცნიერებისა და ტექნიკის ცნობილ მოღვაწეთა წინაშე, მცირე დოზით პატივმოყვარეობა, ოპტიმიზმი და პასუხისმგებლობის გრძნობა, უნდა იყოს ინიციატივიანი, ენერგიული, შეეძლოს იმპროვიზირება და კოლექტიურ სამუშაოში მონაწილეობა, უნდა გააჩნდეს პრაქტიკული გამოცდილება.

**სამუშაოს ორგანიზება** დიდ გავლენას ახდენს პროექტის მიზნების მიღწევაზე. უმნიშვნელო-

ვანესი ელემენტი ამ შემთხვევაში არის იმ ორგანიზაციების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომლებიც ასრულებენ ინოვაციურ პროექტს.

**სამუშაო გარემო** და **ფსიქოლოგიური კლიმატი** (ატმოსფერო) ასევე წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს ინოვაციური პროექტის მიზნის მისაღწევად. ვინაიდან კეთილგანწყობილი, დადებითი ატმოსფერო ხელმძღვანელობის ხარისხზე მეტყველებს და ამცირებს კადრების დენადობას. ეს უკანასკნელი კი ქმნის აუცილებელ წინაპირობას სამეცნიერო ტრადიციების ფორმირებისა და შენარჩუნებისთვის და იმ ორგანიზაციის ფასეული მიღწევაა, რომელიც დაკავებულია კვლევებით. სწორედ ამიტომ უმაღლესი მენეჯმენტის უპირველესი ამოცანაა ამგვარი ტრადიციების შენარჩუნება და მათი რაოდენობის ზრდა. მდიდარი მენციერული და პრაქტიკული გამოცდილება უწყობს ხელს კვლევების თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის მეცნიერული შედეგების მიღებას. შემოქმედებითი მუშაკების განთავისუფლება ისეთი ფუნქციების შესრულებისგან, რომლებიც უშუალოდ არ უკავშირდება კვლევებსა და სამეცნიერო სამუშაოებს, ხელს უწყობს ნორმალური სამუშაო გარემოს ჩამოყალიბებას, რაც უზრუნველყოფს კვლევებისა და მეცნიერული მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებას.

კვლევითი პროექტის ხელმძღვანელმა თავისი დროის არა ნაკლებ 80% უნდა დაუთმოს:

- ➢ სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ანალიზს;
- ➢ პროექტის შემსრულებელთა ხელმძღვანელობას;
- ➢ კვლევებისა და შემუშავებების შედეგების პრაქტიკული და სამეცნიერო მნიშვნელობის შეფასებას;
- ➢ სამუშაოების დაგეგმვას;
- ➢ სამეცნიერო ანგარიშგების შედგენას;
- ➢ წიგნებისა და მონოგრაფიების წერას.

კვლევითი პროექტების ეფექტური მართვა მიიღწევა მათი დაგეგმვით და სახელშეკრულებო ბაზაზე სამუშაოების შესრულების გზით.

კვლევითი პროექტისთვის, როგორც ეს ზემოთ ვახსენეთ, ერთ-ერთ რთულ პრობლემას წარმოადგენს თემის ამორჩევა. **ფუნდამენტური** და **გამოყენებითი** კვლევების შემთხვევებში არსებობს გარკვეული განსხვავებები არჩევის კრიტერიუმებში.

**ფუნდამენტური კვლევების** თემები უკავშირდება მეცნიერების ახალ სფეროებს. ამგვარი კვლევებიდან ეფექტის მიღება მოკლე ვადებში შეუძლებელია. ის შეიძლება გამომჟღავნდეს მომავალში და გამოიწვიოს მეცნიერებისა და ტექნიკის არნახული პროგრესი. ასეთი კვლევის დროს ხდება თემის წინასწარი ზოგადი ფორმულირება, რამეთუ კვლევის კონკრეტული მიმართულებები ჯერ ცნობილი არ არის. ისინი დგინდება ექსპერიმენტებისა და ჩატარებული გაზომვების ანალიზით მიღებული პირველი დასკვნების საფუძველზე. ამასთან, უნდა გვახსოვდეს, რომ გამოკვლეული მოვლენის ანალიზის შედეგები შესაძლებელია განსხვავდებოდეს მოსალოდნელისაგან. ამას ყურადღება უნდა მიექცეს, რადგან სწორედ აქ შეიძლება აღმოჩენის გაკეთება.

**გამოყენებადი კვლევების** თემები, როგორც წესი, სრულდება შეკვეთების საფუძველზე. ასეთი თემების შესრულების დაინტერესება აქვთ სამინისტროებს. მათი ფორმულირების პროცესში მონაწილეობა უნდა მიიღოს დამკვეთის წარმომადგენლებმაც.

ამგვარი კვლევების ეკონომიკური ეფექტი მნიშვნელოვნად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად პასუხობს არჩეული თემა დროის მოთხოვნებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თემის დამუშავების წარმატება განისაზღვრება მასზე მუშაობის დაწყების დროულობით.

იდეალურია, თუ თემის შესრულებისთვის უკვე ჩატარებულია მოსამზადებელი სამუშაოები, ანუ შექმნილია გარკვეული წინაპირობები. მაშინ კვლევების დასრულების შემდეგ, როცა ბაზარზე ჯერ კიდევ არ არის კონკურენტული პროდუქცია, შესაძლებლებელია პროდუქციის სერიული წარმოების დაწყება. თემის ამორჩევისას მნიშვნელოვანია მეცნიერების შესაბამისი სფეროს განვითარების მსოფლიო დონის შესახებ ხარისხიანი ინფორმაციის მოპოვება-გათვალისწინება, რადგან მხოლოდ უახლესი მიღწევათა ცოდნა განაპირობებს თემის დასაბუთებულ არჩევანს.

ინფორმაციის მოპოვება და მისი ხარისხი მიიღწევა თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგოების გამოყენებით, რაც ზეგავლენას ახდენს კვლევების შედეგებზე.

ამასთან, ბუნებრივ-სამეცნიერო და ტექნიკური ინფორმაცია ერთმანეთისაგან განსხვავდება შინაარსის სპეციფიკით და ხასიათით, ასევე თემისთვის თავისი წონადობით და თავისდროულობით. დროსთან მიმართებაში ფასეულია საკუთრივ სამეცნიერო კვლევების ჩატარებისას (აღმოჩენები, გამოგონებები, სამეცნიერო კონცეფციები, მეთოდები და სხვა) მიღებული ინფორმაცია. კიდევ უფრო ფასეულია კონფერენციაზე თუ სხვა ღონისძიებებზე შეხვედრისას მეცნიერთა პირდაპირი კონტაქტის დროს მიღებული ინფორმაცია, ვინაიდან ასეთი შეკრებებისას პრობლემებზე მსჯელობის პროცესში ხდება მათი გარკვეულწილად შეფასებაც.

მნიშვნელოვანია ინფორმაციის მიღება პრესიდან (ყოველდღიური ან ყოველკვირეული გამოცემები) და საინფორმაციო სააგენტოებიდან, რადგან ასეთი ინფორმაცია ეხება სიახლეებს.

მნიშვნელოვანია აგრეთვე საერთაშორისო სამეცნიერო წრეებში ცნობილ გამოცემებში საკუთარი პუბლიკაციები, ვინაიდან ეს ხელს უწყობს იმ კოლეგებთან უკუკავშირის დამყარებას, რომლებიც განხილულ საკითხთან დაკავშირებით აგზავნიან კომენტარებს, კონკრეტულ შენიშვნებსა თუ წინა-

დადებებს. ყოველივე ეს უზრუნველყოფს მეცნიერისა და იმ ორგანიზაციის სამეცნიერო და ტექნიკურ პრესტიჟს, სადაც ის მუშაობს.

სამეცნიერო პუბლიკაციების მომზადებისას საჭიროა ყურადღების მიქცევა იმაზე, რომ ამან არ გამოიწვიოს კონკურენტთა საქმიანობის სტიმულირება, და, მეორეს მხრივ, საიდუმლო ინფორმაცია არ გასაჯაროვდეს.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამეცნიერო წიგნებსა და რეფერატულ ჟურნალებს, კატალოგებსა და პროდუქციის ნიმუშებს, გამოფენებზე დასწრებას, ბაზრობებს.

სამეცნიერო და ტექნიკური ინფორმაციის მოპოვებაში უშუალოდ უნდა მონაწილეობდნენ სამეცნიერო ქვეგანყოფილებების ხელმძღვანელები.

ინფორმაციის შეგროვების, შენახვისა და კლასიფიკაციის სისტემა ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ მისი მიღება თავისუფლად შეეძლოთ მკვლევარებს, ის უზრუნველყოფს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ეფექტურ მართვას.

კვლევითი პროექტების მართვის ეფექტიანობა გარკვეულწილად დამოკიდებულია დროის აღრიცხვაზე.

შრომის ორგანიზება კვლევითი საქმიანობის ცალკეულ სტადიაზე, ხელს უნდა უწყობდეს სამუშაოს შესრულების ვადების დაცვას.

კვლევების მართვისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა გადაწყვეტილებათა მიღებისა და მათი რეალიზაციის მეთოდებს.

აქტუალურ და მნიშვნელოვან თემებზე კონცენტრაცია ხელს უწყობს კვლევითი საქმიანობით დაკავებული ორგანიზაციის წარმატებას.

კვლევითი საქმიანობის თავისებურებებიდან გამომდინარე კვლევის შედეგის ფორმალური პოზიციიდან შეფასება, ანუ ეფექტიანობის განსაზღვრა მიღებული ეფექტისა და ხარჯების თანაშეფარდებით, დაუშვებელია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კვლევითი პროექტებისთვის დამახასიათებელია ცალკეული პროცესების განუმეორებლობა (მაგალითად, კონკრეტული ამოცანის გადაწყვეტის გზა). გარდა ამისა, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს პროდუქტი ექვემდებარება სწრაფად გაუფასურების პროცესს, რაც უპირველეს ყოვლისა, ტექნიკური ინფორმაციის მორალური ცვეთის შედეგია. ეს ყოველივე განპირობებულია მოძველებული ინფორმაციის ახლით შეცვლის მუდმივი უწყვეტი პროცესით.

სამეცნიერო კვლევებისა და პრაქტიკული მუშაობის შედეგებში თავიდანვე ჩადებულია პოტენციური ეკონომიკური ეფექტი.

ამასთან, ნებისმიერი კვლევითი პრობლემის გადაჭრა დროისა და სხვა უამრავ ფაქტორზეა (თანამშრომელთა კვალიფიკაცია, საჭირო ინფორმაციისა და დანადგარებს არსებობა) დამოკიდებული, ამიტომ კვლევითი პროექტის მართვისას აუცილებელია შემოქმედებითი ეფექტურობის გათვალისწინება.

შემოქმედებითი ეფექტურობა დაკავშირებულია საკუთრივ სამეცნიერო საქმიანობის თავისებურებებთან. კვლევის შედეგები შეიძლება იყოს არაერთგვაროვანი (არა ერთმნიშვნელოვანი), ან უარყოფითი. თუმცა მნიშვნელოვანია პრობლემის გადაჭრის უმოკლესი გზის ძიება (იმ პირობით, რომ პრობლემა მკაფიოდაა ფორმულირებული), შესაბამისად, კვლევის ეფექტურობის მაჩვენებელი შეიძლება გამოისახოს შემდეგი სახით:

$$K_{ef} \; \frac{T_{\text{უ}}}{T_{\text{ფ}}}$$

სადაც: $T_{\text{უ}}$ – გამოსაკვლევი პრობლემის გადასაჭრელად უმოკლესი გზის გათვალისწინებით დროის დანახარჯი.

$T_{\text{ფ}}$ – გამოკვლევის ჩატარებაზე დროის საერთო ფაქტიური დანახარჯი.

კვლევითი პროექტის მენეჯერმა დროულად უნდა გამოავლინოს უსარგებლო სამუშაოები. მნიშვნელოვანია კვლევითი სამუშაოების ოპტიმალური სტრატეგიის ამორჩევა.

შესაძლებელია სამეცნიერო საქმიანობის მართვის ეფექტურობის შეფასება **ხარისხობრივი** და **რაოდენობრივი** მეთოდებით.

**ხარისხობრივი მეთოდით** ფასდება სამეცნიერო სამუშაოების შედეგების შესაბამისობა დასახულ ამოცანასთან და მათი რეალიზაციის ხერხები.

სამეცნიერო სამუშაოთა რეალიზაციის ხერხები შეიძლება სრულიად განსხვავებული იყოს. ისინი დამოკიდებულია საქმიანობის ხასიათსა და შედეგების გამოყენებაზე, შემდეგ შემთხვევებში:

➢ საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ელექტრონიკის განვითარების პერსპექტივების განსაზღვრისას;

➢ ახალი წარმოების ტექნოლოგიების შემუშავებისას;

➢ ახალი მასალებისა და ქიმიური პროდუქტების შემუშავებისას;

➢ ახალი ტექნიკის შემუშავებისას;

➢ უმაღლეს სასწავლებლებსა და სხვა სასწავლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესში ამ სიახლის გამოყენებისას;

➢ აღმოჩენებსა და გამოგონებებზე საავტორო მოწმობების მიღებისას;

➢ მონოგრაფიების, სტატიების მომზადებისას;

➢ სამეცნიერო მოხსენებების გაკეთებისას.

შეფასების ხარისხობრივი მეთოდის გამოყენების დროს ითვალისწინებენ ამ საკითხზე ავტორიტეტული მეცნიერებისა და მეცნიერების შესაბამის სფეროში მომუშავე სპეციალისტთა მოსაზრებებს, სამეცნიერო საბჭოების აზრს, რეცენზიებს, გამოხმაურებებს, მითითებებს პროდუქციაზე.

ხარიხობრივ მეთოდს ავსებს **რაოდენობრივი**. იგი გამოიხატება:

➢ შესრულებულ კვლევით სამუშაოების რაოდენობაში;

➢ ბეჭდვით მედიაში პუბლიკაციების მოცულობაში;

➢ შეტანილი საპატენტო განაცხადების რაოდენობაში;

➢ მიღებული პატენტების რაოდენობაში;

➢ პუბლიკაციათა მოცულობაში ერთ მეცნიერთანამშრომელზე.

კვლევითი პროექტების ეფექტურობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული შრომის პირობებზე.

**შრომის პირობები** არის გარე ფაქტორთა გამოვლენის კომპლექსი, რომელიც მომუშავეთა მიერ ვალდებულებების შესრულებისას (ფსიქოლოგიური კლიმატიდან შესასუნთქი ჰაერით დამთავრებული) შეგრძნების ორგანოების საშუალებით განსაზღვრავს მათ განწყობილებას, სულიერ მდგომარეობას, შრომისუნარიანობასა და ჯანმრთელობას. სამუშაო და არასამუშაო ვითარება გავლენას ახდენს თანამშრომელთა ფიზიკურ და ფსიქიკურ მდგომარეობაზე და აისახება მათი შრომის ეფექტიანობაზე. შრომის პირობებში იგულისხმება ფსიქოლოგიური კლიმატი, შენობის კეთილმოწყობა, ვენტილაცია, სამუშაო ადგილის მოხერხებულობა, კედლების შეფერილობა, ჰაერის ტემპერატურა და ა.შ.

ორგანიზაციის ხელმძღვანელობა და ინოვაციის მენეჯერი დიდ ყურადღებას უნდა უთმობდნენ თითოეულ სამუშაო ადგილზე შრომის კომფორტული პირობების შექმნას, რაც სამეცნიერო მუშაობის მოტივაციის უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს.

სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს მართვის ეფექტურობა უნდა შეფასდეს შექმნილი ფსიქოლოგიური კლიმატის გათვალისწინებით. ფსიქოლოგიური კლიმატი ხასიათდება კოლექტივის წევრთა შორის ურთიერთობებით. შეიძლება იყოს:

➢ **კარგი;**

➢ **დამაკმაყოფილებელი;**

➢ **ასატანი;**

➢ **დაძაბული** (კამათი, კონფლიქტები, ინტერესთა დაპირისპირება).

გასათვალისწინებულია ისიც, რომ სამეცნიერო შრომა შემოქმედებითი და ყველაზე უფრო ნაკლებად რეგლამენტირებული საქმიანობაა და ამდენად, აქ მეცნიერის თუნდაც გაფუჭებული გუნება-განწყობილება, გაცილებით მეტად უარყოფითად მოქმედებს შედეგებზე, ვიდრე საქმიანობის სხვა სფეროში.

სამეცნიერო-ტექნიკური სფეროს ორგანიზაციებში მიზეზების გამოვლენა და კონფლიქტების თავიდან აცილება დიდ მნიშვნელობას იძენს. თუმცა, სათქმელია ისიც, რომ სამეცნიერო ორგანიზაციებში სრულიად ბუნებრივია იდეებისა და მსჯელობების შეფასებათა ფონზე კამათის წარმოშობა. არ არსებობს შეუცდომელი ადამიანი, მაგრამ ჯანსაღი კამათის გადაზრდა კონფლიქტში დაუშვებელია.

სამეცნიერო ორგანიზაციის ხელმძღვანელმა უნდა დაიცვას წონასწორობა თავის სისტემაში. მისმა პრინციპულობამ და ავტორიტეტმა ხელს უნდა შეუწყოს კოლექტივში შემოქმედებითი და კეთილგანწყობილი ვითარების (ატმოსფეროს) შექმნას. ნიჭიერი ხელმძღვანელი კარგი ფსიქოლოგი და კოლეგა უნდა იყოს. განხილვები და ჯანსაღი კამათი ზრდის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პროდუქტიულობას.

სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების მართვის ეფექტიანობაზე გავლენას ახდენს ასევე ტექნიკური და საწარმოო ფაქტორები.

დიდი მნიშვნელობა აქვს შენობასაც: სივიწროვე და მოწყენილობა ვერ უზრუნველყოფს ორგანიზაციის იმ თანამშრომელთა ეფექტიან მუშაობას, რომლებიც დაკავებულნი არიან კვლევებით. თანამშრომელთა განთავსება ოთახებში სასურველია მოხდეს მათი სურვილისა და ფსიქოლოგიური თავსებადობის გათვალისწინებით.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. კიწმარიშვილი ქ. ინოვაციური მენეჯმენტი. "ბეჭდვის სამყარო". თბილისი, 2016 წ.

2. აბრალავა ა., გვაჯაია ლ., ქუთათელაძე რ., საინოვაციო მენეჯმენტი, თბ., 2015.

3. Инновационный менеджмент, под ред. С. Ильенковой, М., 2014.

4. http: //www.russba.ru/

# სახელმწიფო საგადასახადო მენეჯმენტი საგადასახადო მენეჯმენტის სისტემაში

***ზურაბ ჯორბენაძე***
*სტუ პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი*
***დავით ბიბიჩაძე***
*სტუ პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი*
***გრიგოლ აბრალავა***
*სტუ მაგისტრანტი*

**აბსტრაქტი**

საგადასახადო მენეჯმენტის ერთ-ერთი ძირეული სტრუქტრული ნაწილია სახელმწიფო საგადასახადო მენეჯმენტი. ამ სახის მოცემულობა საგადასახადო სივრცის მოქმედი ყველა სუბიექტისაგან ადექვატურ ყურადღებას და რეაქციას მოითხოვს. ამ დროს ერთ-ერთი არსებითი მომენტია საგადასახადო მენეჯმენტის მთელი სტრუქტურის დინამიურობის დაცვა-შენარჩუნება. ამ სახის პირობის შენარჩუნება კი წარმოუდგენელია საგადასახადო კანონმდებლობის, საგადასახადო სისტემის, საგადასახადო პოლიტიკის და მთლიანად მთელი საგადასახადო პროცესის, საბაზრო ურთიერთობების გარემოს და ა.შ. საკითხების სრულად შეცნობის გარეშე განხორციელდეს. სწორედ ამ მოცემულობაში მთელის ძალით „შემოდის" სახელმწიფო. ამ მიმართებით ჩვენს ქვეყანას საკმაო წარმატებები გააჩნია, მაგრამ მაინც ნებსით თუ უნებლიედ მაინც რჩება ე.წ. მიუწვდომელი დონეები. ამ სახის ჩავარდნის წინაპირობას ქვეყნის მასშტაბით თანამედროვეობის ადექვატური ეკონომიკის, სამეწარმეო-ეკონომიკური თუ სოციალურ-პოლიტიკური ურთიერთობების არ არსებობა განაპირობებს. ამ სახის რეალობაში კი ფაქტია რომ საგადასახადო მენეჯმენტის კატეგორიის მიერ ასახული ურთიერთობის რთული მოცემულობა სრულად არ არის გაცნობიერებული. ამიტომაც ეკონომიკის მართვის ფუნდამენტური დებულებების მიმართ სისტემური მიდგომის ფონზე დღეს აქტუალურია საქართველოში არსებული რეალობის გათვალისწინებით საგადასახადო მენეჯმენტის არსში ჩაწვდომა, მისი ერათ-ერთი სტრუქტურის - სახელმწიფო საგადასახადო შეცნობა, ამ ტიპის(სახის) მენეჯმენტის მოთხოვნების სრულად განშლის არეალის წარმოჩენა.

**საკვანძო სიტყვები.** საგადასახადო მენეჯმენტი, სახელმწიფო როგორც სტრატეგიული და ტაქტიკური საგადასახადო მენეჯმენტის სტრუქტურული დონე, სახელმწიფო საგადასახადო მენეჯმენტი რეალიზაციის პარადიგმები.

**რეზიუმე**

დღეს სამეწარმეო-ეკონომიკური ურთიერთობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე სახელმწიფო საგადასახადო მენეჯმენტი საგადასახადო მენეჯმენტის ერთიან სისტემაში ერთ-ერთი გამორჩეული სახეა. ამ სახის მენეჯმენტის მნიშვნელობა და ეკონომიკური თუ სოციალური დატვირთვა ყველა ცივილიზირებულ საგადასახდო სივრცეში ყოველთვის ყურადსაღებია. ამ მოცემულობის ფონზე ჩვენს ქვეყანაში მისი კომპლექსურად გაანალიზება და სისტემურად განხილვა შეიძლება ითქვას ყურადღების გარეშეა დარჩენილი: ფაქტია რომ ჩვენთან არ ან/და ვერ ხდება საგადასახადო მენეჯმენტის სტრუქტურულ დონეებზე სრულად რეალიზაცია საკითხის გაანალიზება, სახელმწიფო საგადასახადო მენეჯმენტი შეუცნობადი რეალობაა, რაც საბოლოო ჯამში ეკონომიკის წინსვლის ერთ-ერთი სერიოზული მუხრუჭად წარმოჩინდება. აღნიშნულის პრევენციის მიზნით ჩვენის აზრით პრაქტიკაში სახელმწიფო საგადასახადო მენეჯმენტის სტრატეგიული და ტაქტიკური სახეების პარამეტრების სრულად შეცნობა ქვეყნის ეკონომიკის წინსვლაზე სერიოზულ გავლენას მოახდენს. ამ მიმართულებით მოძრაობა კი არ იქნება ადექვატური შედეგის მომტანი, თუ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში არსებული რეალობის გათვალისწინებით არ წავმართავთ სახელმწიფო საგადასახადო მენეჯმენტის კატეგორიის წვდომა-გაანალიზებას პროცესს. სხვა შემთხვევაში ფაქტია ქვეყნის საგადასახადო სივრცე ზოგადად ხოლო მისი სუბიექტები კონკრეტულად „არაცივილიზირებულ" ქაოსში მოექცევიან. ამ მოცემულობის დაძლევა კი სრულიად ხელეწიფება ჩვენს ქვეყანას, რამდენადაც საგადასახადო სივრცე სრულიად გამჭირვალეა, ხოლო მეწარმე სუბიექტის მოქმედების არეალი „გასუთავებულია", ხოლო საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება ეკონიმიკის მართვის სფეროში სრულიად მართვის პროცესის ეფექტიანად წარმართვისკენ სისხლხორცეულად მომართული არის. ამ დროს კი პრობლემისადმი მიზანდასახულობისკენ მოძრაობა უბრალოდ წარმოუდგენელიც კი არის სახელმწიფო საგადასახადო მენეჯმენტის არსის სისტემური შეცნობის გარეშე.

**STATE TAX MANAGEMENT IN THE TAX**

**MANAGEMENT SYSTEM**

**Zurab Jorbenadze**
Doctor of Economics, Associate Professor of Georgian Technical University
**Davit Bibichadze**
Doctor of Business Administration, Associate Professor of Georgian Technical University
**Abralava Grigol**
Master 0f Georgian Technical University

**RESUME**

Today, tax management is one of the most unique forms of management in the modern system of developed entrepreneurial and economic relations. The importance of this type of management is always high in all civilized taxation area. Against this backdrop, in Georgia, its complex analysis and systematic review is simply without attention: Is not represent and recognition of strategic and tactical management requirements, The analysis of the issue is not on the structural level of tax management, which will be shown as one of the major brakes in the economy. To use of strategic and tactical parameters of tax management in practical activities will seriously affect in the country's economy, In other case, the country's tax space and its subjects will be in a civilized chaos. This can be overcome by our country as far as the State Tax Management area is transparent, Legislative authorities are focused on the effectiveness of management process in the field of ecnomics, which is unthinkable without the systemic knowledge of the essence of tax management.

* * * *

საბაზრო ეკონომიკის მართვის სისტემის ერთ-ერთი არსებითი და ამავე დროს სპეციფიკური ნაწილია საგადასახადო მენეჯმენტი. საგადასახადო მენეჯმენტის არსში ჩადებულია საგადასახადო სივრცის მართვის სისტემური მიდგომის საერთო პრინციპები და დებულებები.

საგადასახადო მენეჯმენტის ფუნქციონალურ შინაარსს და ორგანიზაციულ სტრუქტურას განსაზღვრავს მეცნიერება ფინანსების შესახებ. ამიტომაც სრულებით არ არის პარადოქსული ის ფაქტი რომ ხანგრძლივი დროის მანძილზე, თითქმის XX ს-ის დასაწყისამდეც კი, ფინანსების თეორია ვითარდებოდა როგორც მეცნიერება გადასახადების შესახებ. ფინანსების მეცნიერების პოლიტეკონომიკური პარამეტრები და „ორგანიზაციული პერიპეტიები" შესაბამის ასახვას ჰპოვებს საგადასახადო მენეჯმენტის სივრცეზრივ განფენილობაზე და განსაზღვრავენ ვერტიკალურ სტრუქტურას.

აღნიშნული მოცემულობა სრულებით არ ამარტივებს საგადასახადო მენეჯმენტის კატეგორიის არსს: მარტივად, მოვლენების განვითარების კვალობაზე იგი განსაკუთრებულ შინაარსის მქონე სამეცნიერო-პრაქტიკულ სიმბიოზმს წარმოადგენს; მისი მთავარი ორიენტირია საგადასახადო მექანიზმის სისტემური ფუნქციონირების უზრუნველყოფა. სწორედ ამ დროს ის სრულად წარმოსდგება თავისი ორგანიზაციული პირობებით, მიზნობრივი დანიშნულებითა და მრავალწახნაგოვანი შინაარსით.

ფინანსების საერთო სისტემის სახელმწიფო ფინანსებად და საწარმოს(ფირმის) ფინანსებად დაყოფის მოცემულობიდან გამომდინარე ერთიან საგადასახადო მენეჯმენტში ორი დონის საგადასახადო მენეჯმენტს გამოჰყოფენ. ესენია - სახელმწიფო საგადასახადო მენეჯმენტი და კორპორაციული საგადასახადო მენეჯმენტი. ეკონომიკურ ლიტერატურაში აღიარებულია რომ საკითხის ამ რანგში დაყენება სრულად შეესაბამება ფინანსების საერთო სისტემის სტრუქტურას.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ სახელმწიფო საგადასახადო მენეჯმენტისა და კორპორაციული საგადასახადო მენეჯმენტს შორის არსობრივი თავისებურებებს, მაშინ ორივე სახის მენეჯმენტი თავისი ფუნქციონალური დატვირთვით სწორხაზოვნად იდენტურნი არიან, მაგრამ მათი სპეციფურობა არა თუ ნიველირებულია, პირიქით თვალშისაცემიც კი არის.

საგადასახადო მენეჯმენტი ქვეყნის საგადასახადო სივრცის მასშტაბით შემოქმედებითი ხასიათის მართველობითი ხასიათის მქონე პროცესია. ზედაპირულად ის საგადასახადო კანონმდებლობის დადგენილი დებულებების მექანიკურ გამოყენების პროცესის იდენტურია, მაგრამ შინაარსობრივად „შემოქმედებით" პროცესს გულისხმობს. აღნიშნული ყველაზე ნათლად სახელმწიფო საგადასახადო მენეჯმენტის მიმართ სჩანს და სწორედ მის მიმართ არის მისაღები. ამ რეალობაში სახელმწიფო საგადასახადო მენეჯმენტის მოცემულობა სრულად რეალიზდება მის შემდეგ ძირითად ფუნქციებში:

1. საგადასახადო ნაკადების მართვის პროცესების ორგანიზაცია;
2. საგადასახადო დაგეგმვა;
3. საგადასახადო რეგულირება;
4. საგადასახადო კონტროლი.

სწორედ სახელმწიფო საგადასახადო მენეჯმენტის მენეჯმენტის ფუნქციები ხელს უწყობს მის წინაშე მდგარი შემდეგი სახის ამოცანების გადაჭრას. ამ დროს სრულიად შესაძლებელია:

1. საგადასახადო შემოსავლების და საგადასახადო მოგების ეფექტური გამოყენების რეალიზაცია;
2. დასაშვები ან/და მისაღები საგადასახადო რისკის დონეზე საგადასახადო მოგების (საგადასახადო შემოსავლებსა და საგადასახადო ხარჯებს შორის სხვაობა) უზრუნველყოფა;
3. საგადასახაადო მოგების დასაშვებული მოცულობის დროს საგადასახადო რისკების მინიმალიზაცია;

4. საგადასახადო მენეჯმენტის ქვედადონის სუბიექტების ფინანსური მდგრადობისა და გადახდისუნარიანობის მიღწევა;

5. საგადასახადო სივრცეში საგადასახადო რეგულირების და საგადასახადო კონტროლის სხვ. ღონისძიებების ეფექტურობის ამაღლება.

საგადასახადო მენეჯმენტის თეორიასა და პრაქტიკაში მეტად საინტერესო საკითხია სტრატეგიული და ტაქტიკური საგადასახადო მენეჯმენტის საკითხი. წესით სტრატეგიული და ტაქტიკური საგადასახადო მენეჯმენტის მოთხოვნები თანაბარზომიერად ვრცელდება საგადასახადო მენეჯმენტის სტრუქტურულ დონეებზე - მიკრო და მაკრო დონეებზე. ამ მოცემულობის ფონზე საინტერესოა საქართველოში მაკრო დონეზე ანუ სახელმწიფოს დონეზე არსებულ სტრატეგიულ და ტაქტიკურ საგადასახადო მენეჯმენტზე ყურადღების გამახვილება.

დღეს საქართველოში სტრატეგიული და ტაქტიკური საგადასახადო მენეჯმენტი ასე თუ ისე ჩამოყალიბებულია; მოძრაობა ამ მიმართულებით კვლავაც გრძელდება, მაგრამ წარმატებული სტრატეგიული მენეჯმენტიდან ჯერ კიდევ შორს ვდგევართ. კერძოდ, სტრატეგიული საგადასახადო მენეჯმენტი დაბეგვრის ე.წ. ესტონური მოდელის გარშემო ტრიალებს, რაც საბოლოო ჯამში პერსპეტივაში მართვის სისტემის სტრატეგიული ელემენტების - საგადასახადო დაგეგმვის, პროგნოზირების და რეგულირების მოცემულობისკენ სულ უფრო სრულად მიემართება. რაც შეეხება ტაქტიკურ საგადასახადო მენეჯმენტს, იგი ჩვენის აზრით საქართველოში არსებულ რეალობაში უბრალოდ სუსტია, და ის არ შეესაბამება ქვეყნის მასშტაბით არსებულ სტრატეგიულ საგადასახადო მენეჯმენტის მოცემულობას. ამ სახის შეხედულების არსებობა მაგალითად არაპირდაპირი გადასახადების (დღგ-ს, აქციზის) მიმართ არსებულ შემდეგ რეალობას ემყარება: სახელმწიფო საგადასახადო შემოსულობების ოპტიმაზაციის მიმართულებით გატარებული ღონისძიებები მარტივად შეუსაბამოა საგადასახადო მენეჯმენტის სტრატეგიასთან. კერძოდ, ეკონომიკის განვითარების კონკრეტული პერიოდის ამოცანების გადაწყვეტის მიზნით ქვეყანაში სავსებით მისაღები გახდა საგადასახადო პროცესში ოპერატიული ცვლილებების ჩატარება: ერთ შემთხვევაში ქვეყანაში აქციზის გადასახადის განაკვეთი „ექსტრემალურად“, საკმაოდ „მგრძნობიარედ“ იზრდება, ხოლო მეორე შემთხვევაში კი დღგ-ს დაბეგვრის ბაზა მცირდება, ან სხვა შემთხვევაში დღგ-თი დაბეგვრის ბაზაში კვლავაც რჩება საკმაოდ სერიოზული გაურკვევლობა, რაც სტრატეგიული საგადასახადო მენეჯმენტის წარმატებას სერიოზულად ამუხრუჭებს.

აღნიშნული მოცემულობა ლოგიკური შედეგია იმ რეალობისა რასაც ჩვენს ქვეყანაში ვაწყდებით: პირველ რიგში აღმასრულებელი და საკონონმდებლო ხელისუფლება ვერ აცნობიერებს რომ საგადასახადო მენეჯმენტის მეცნიერულობის მომეტს, ანუ ვერ იცავს როგორც საზოგადოებაში ისე ცალკეულ საწარმოებში(ფირმებში) ფულადი ურთიერთობების მართვის კონცეპტუალურ საფუძვლებს, ვერ ხედავს მთელი კვლავწარმოების პროცესის განვითარების საერთო კანონზომიერებს. მეორე ფაქტორია ის რომ, ჩვენი ქვეყანა მეტწილად არ არის ორიენტირებული როგორც სახელმწიფო შემოსავლების ისე საწარმოების(ფირმების) მოგებისა და ხარჯების ოპტიმიზაციის სფეროში მომავალ წარმატებებზე. აქ უკუგდებულია საგადასახადო მართვის ფორმების, მეთოდების და ელემენტების წმინდა ინტუიციური კომბინაცია, მაღალპროფესიონალიზმი და ეკონომიკური „დახვეწილობა“. და ბოლოს, საგადასახდო შემოსავლების მართვის მიმართულებით საგადასახადო ურთიერთობის სუბიექტების პრაქტიკული საქმიანობა არ შეესაბამება საბაზრო ურთიერთობის ფორმებსა და მეთოდებს.

საგადასახადო მენეჯმენტი უნდა განვიხილოთ როგორც გადაწყვეტილების მიღების პროცესი. კერძოდ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები და საწარმოები საგადასახადო ნაკადების მოძრაობასთან დაკავშირებული სიტუაციის გადაწყვეტის მიზნით მოვალენი არიან მიიღონ გადაწყვეტილება. ამ დროს საჭიროა გავითვალისწინოთ აქ არსებული გარე სამყაროს ცვლილება და მოსალოდნელი რეაქცია. ეს მოცემულობა სახელმწიფოს მხრიდან გამოვლინდება გადასახადის გადამხდელის ქცევაში და მათდამი საგადასახადო დაბეგვრის ობიექტების წარდგენაში ვლინდება, ხოლო გადასახადის გადამხდელთათვის ის კი საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილებაში მოსჩანს. ამ მოცემულობაში საგადასახადო მენეჯმენტის სუბიექტები უკუკავშირის საფუძველზე მოვალენი არიან მოერგონ მათთვის გარე სამყაროს.

მენეჯერული გადაწყვეტილება ინფორმაციის დამუშავების და ანალიზის საფუძველზე მიიღება. ამიტომაც საგადასახადო მენეჯმენტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი არის ინფორმაციული უზრუნველყოფა.შემდეგ უნდა მოხდეს საგადასახადო ნაკადების მართვის ფორმების, მეთოდების, ინსტრუმენტების ხერხების შერჩევა; შემდეგ კი უნდა მოხდეს საგადასახადო შემოსავლების და ხარჯების სფეროში გადაწყვეტილების მიღება და ბოლოს კი მიღებულ გადაწყვეტილებაზე კონტროლი.

საგადასახადო მენეჯმენტი ეს მართვის სისტემაა. აღნიშნული მოცემულობა მას მართვის სუბიექტის და ობიექტის ურთიერთმოქმედების მიმართ სისტემური მიდგომის საფუძველზე ენიჭება და იგი მართველობითი გადაწყვეტილების პროცესად წარმოსდგება.

საგადასახადო მენეჯმენტის სუბიექტად გამოდის სახელმწიფო თავისი ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების სახით (საქართველოს პარლამენტი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს შემოსავლების

სამსახური, სხვა სახელმწიფო სტრუქტურები და დაწესებულებები) და ასევე გადასახადის გადამხდელები - იურიდიული პირები(ფირმები, კორპორაციები, საწარმოები.

საგადასახადო მენეჯმენტის ობიექტად გამოდის მართვის სუბიექტების საგადასახადო შემოსავლები და საგადასახადო ხარჯები. საგადასახადო მართვის ობიექტი საკმაოდ რთული და დინამიური სისტემაა. ამ ფონზე თვით საგადასახადო მენეჯმენტის შედარებით ღია სისტემაა. მისი როგორც მართვის სისტემის მენეჯმენტის სხვა სახეებთან შედარებით ღიაობა განპირობებულია გადასახადზე (გადასახადების სისტემაზე, ცალკეული გადასახდების დაბეგვრის ელემენტებზე, საგადასახადო დაბეგვრისა და საგადასახადო პროცესის სხვა წესებზე) მოთხოვნის დაწესების პროცესის სახელმწიფო მონოპოლიზმით, საწარმოს, ანუ გადასახადის გადამხდელის მხრიდან საგადასახადო გადასახდელების მინიმალიზაციის, საგადასახადო ვალდებულების შემცირებით(შეკვეცით) და საგადასახადო ნაკადების ოპტიმიზაციის მოთხოვნით.წარმოდგენილი სახის დაშვებები (სახელმწიფო მონოპოლიზმი, საგადასახადო გადასახდელების მინიმალიზაციის და საგადასახადო ნაკადების ოპტიმიზაციისმოთხოვნა და ა.შ.) საგადასახადო მენეჯმენტის მექანიზმს საშუალებას აძლევს საგადასახადო ტვირთი ოპტიმალურ პარამეტრებში მოაქციოს.

საგადასახადო ტვირთის ოპტიმალურ პარამეტრებში მოქცევა ქვეყნის ეკონომიკაში შექმნილი ერთობლივი დამატებული ღირებულების (საერთო პროდუქტის) საერთო მასიდან საგადასახადო შემოსავლების აკრეფის ქვედა და ზედა საზღვრებს შორის „ოქროს“ ზღვარზე გადის.ამ სახის მოცემულობის ფონზესაგადასახადო მენეჯმენტის სისტემა მოვალეა სრულად უნდა ჩაერთოს საგადასახადო ტვირთის თანაბარზომიერად და პროპორციულად გაანაწილოს სუბიექტებს, სფეროებს დარგებს შორის. აქ უცილობლად გათვალისწინებული იქნეს გადახდისუნარიანობის პრინციპი; ეს უკანასკნელი კი გულისხმობს რომ საკითხი სტრუქტურულად უშუალოდ დაქვემდებარებული უნდა იყოს გადასახადის გადამხდელის ფინანსურ შესაძლებლობასთან, მიღებული შემოსავლების სიდიდესთან და მის საერთო კეთილდღეობასთან.

## დასკვნა

საგადასახადო მენეჯმენტი ეს არისმართველობითი ხასიათის გადაწყვეტილებების მიღების მეცნიერება, ხელოვნება და პრაქტიკა. იგი ფინანსური მეურნეობისა და გადასახადების საბაზრო მეთოდებით სახელმწიფო მართვის პროცესის მიმართ არსებითი მოცემულობაა. ის როგორც ფინანსური მენეჯმენტის საგადასახადო ნაწილის სახე სრულ კოორდინაციას უკეთებს საგადასახადო სუბიექტების სტრატეგიას და ტაქტიკას საგადასახადო სივრცეში. სტარატეგიული და ტაქტიკური საგადასახადო მენეჯმენტი შესაბამის სტრუქტრულ დონეზე - მაკრო და მიკრო დონეზე შესაბამისი დატვირთვით მოვალეა მართვის სუბიექტების საგადასახადო შემოსავლები და საგადასახადო ხარჯები სისტემურად წარმოადგინოს და საგადასახადო ტვირთის განაწილება-გადანაწილების მთელს პროცესს ცივილური ფორმა და შინაარსი მისცეს.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. აბრალავა ა. ჯორბენაძე ზ. საგადასახადო რისკი სამეწარმეო-ეკონომიკური რისკის სიტემაში. თბილისი 2017 წელი ISBN 978-9941-27224-0 გვ.117

2. მალაშხია გ. გადასახადების ობიექტურობისა და ეფექტიანობის პრობლემა. ფინანსების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომების კრებული. „გარდამავალი პერიოდის საფიანანსო-ეკონომიკური პრობლემები საქართველოში“. ტ. III, თბილისი 1999, გვ.93-97

3. საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“. www. Forms.ge.

4. საქართველოს საგადასახადო კოდექსი. თბილისი. 1917, გვ. 379

5. www. Budgetmonitor.ge/ka/taxrevenues

6. www.nnre.ru/delovaja._literatura/nalogovyi_menedzhmeht/p2.php

# ფირმის მომარაგებისა და მარაგების საბაზრო გარემოს მექანიზმები და მახასიათებლები

***მარინა ქურდაძე***
*სტუ პროფესორი*
***მარინა გარდაფხაძე***
*პროფესორი, ახალი უმაღლესი სასწავლებელი*

**რეზიუმე**

მომარაგების და მარაგების ორგანიზაციული მართვის სტუქტურების და ფუნქციონირების მექანიზმების თანმიმდევრული ფორმირების პროცესი მოითხოვს სიახლეთა კვლევის, დამუშავების, დანერგვის და მათი რეალიზების ერთიანი-სისტემური მეთოდების გამოყენებას. Fფუნქციონირების მექანიზმში არსებული ან მოსალოდნელი დაბრკოლებები განპირობებულია მასზე მოქმედი მრავალი შიდა თუ გარე ფაქტორით, დიდი მოცულობის საჭირო ინფორმაციის მოძიების და დამუშავების სიძნელით. ამიტომ საჭიროა კვლევის ერთიანი სისტემის გამოყენება, ანუ უნდა არსებობდეს ხედვის ერთიანი არე, რომელშიც მოექცევა მართვის ერთიანი სპექტრი და არა მისი გარკვეული ნაწილები. ამ კონტექსტში ნაშრომში განხილულია ფირმაში მარაგებისა და მომარაგების შემდგომი მართვის სისტემური კვლევა და ანალიზი. სისტემური მიდგომა დაფუძნებულია კვლვის ობიექტის, ამ შემთხვევაში მარაგსა და მომარაგებაზე (ობიექტი, მოვლენა ან პროცესი) სისტემურ ხედვაზე, ანუ მისი მახასიათებლების და მათ შორის არსებული კომუნიკაციური კანონზომიერებების მთლიანობაზე, ინტეგრირებული განხილვის და კვლევის შესაძლებლობაზე. სისტემური მიდგომის გამოყენებით შესაძლებელია კომპლექსურად ყოველმხრივ შევისწვლოთ ფირმაში ამ კუთხით სისტემის ფუნქციონირების პრობლემები, გამოვყოთ პრიორიტეტული ქვესისტემები და მოვახდინოთ მათი ძირითადი ეკონომიკური მახასიათებლების რაციონალური მართვა.

ნაშრომში ყურადღება ეთმობა მართვის სტრუქტურის სრულყოფის ერთ-ერთ მიმართულებას. კერძოდ არსებულ მართვაში მარაგებისა და მომარაგების კუთხით ხაზოვან-ფუნქციონალური სტრუქტურის შევსებას მიზნობრიობით, რაც შეიქმნება ფირმის ძალებით, განახორციელებს მიზნობრივ ფუნქციონირებას და შექმნის მათემატიკური მოდელის ბაზურ ვარიანტს.

საკვანძო სიტყვები.

მომარაგება, მარაგები, სისტემა, პრედიკატია, ინტერგრაციულობა.

**FIRM SUPPLY AND MECHANISMS AND CHARACTERISTICS OF THE SUPPLIES MARKET ENVIRONMENT.**

**Marina Kurdadze**
professor. Georgian Technical University.
**Marina Gardapkhadze**
professor. New Higher Gher Education Institute.

**ABSTRACT**

The process of consistent formation of organizational management structures and functions of supply and stock management requires the use of unified systematic methods of researching, processing, implementing and delivering them. F or obstacles to the functioning of the mechanism are due to many internal or external factors acting on it, the difficulty of obtaining and processing large amounts of information. Therefore, it is necessary to use a unified system of research, so there should be a unified area of vision that encompasses a unified spectrum of management, not some parts of it. In this context, the paper discusses the systematic research and analysis of the firm's further management of supplies and supplies. A systematic approach is based on the systematic view of the research object, in this case the supplies and supply (object, event or process), that is, the integrity of its characteristics and the communicative regularities among them, the possibility of integrated review and research. Using a systematic approach, it is possible to fully understand the problems of the system functioning in this regard in the firm, to identify priority subsystems and to rationally manage their key economic characteristics. The paper focuses on one of the areas of perfecting the management structure. Specifically, in the current management of supplies and supply, the linear-functional structure is filled with a purpose that will be created by the firm's forces, will perform the intended function and create a basic variant of the mathematical model.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა იყო უალტერნატივო გზა მაშინ როდესაც საქართველოში ეკონომიკური კრიზისი დაიწყო.

ქვეყანაში საინვესტიციო რესურსების მობილიზება წარმოების ტექნოლოგიური სრულყოფისა და მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის საფუძველზე მიმდინარეობს რათა მიღწეულ იქნას გაუმჯობესებული ხარისხის პროდუქციის წარმოება რითაც ქვეყანა თავის ადგილს იმკვიდრებს მსოფლიო ბაზარზე. ბაზარი კი მწარმოებლისა და მომხმარებლის თავისუფლებაა, რომელიც მათ შორის პირდაპირ კავშირს და ჩარევის გარეშე ფასწარმოქმნას გულისხმობს. ცნობილია, რომ საბაზრო ურთიერთობაში, პრობლემა "რა", "როგორ" და "ვისთვის" წყდება ფასეულობის მოთხოვნის და მიწოდების, მოგების და ხარჯების სისტემების საშუალებით.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფირმას შეუძლია იყიდოს ყველა მისთვის აუცილებელი რესურსი შესაბამის ბაზარზე, უფრო მეტიც, იქონიოს მარაგი გარკვეული პერიოდის გათვლის საფუძველზე ან და განსაზღვროს პროდუქციის გამოშვების მაქსიმალური მოცულობა, რომელიც შეიძლება წარმოებული იქნეს არსებული ტექნოლოგიის პირობებში შეძენილი რესურსების სხვადასხვა კომბინაციით.

ფირმის მიერ გამოშვებული პროდუქციის მარაგი და ამ პროდუქციის წარმოებაზე შეძენილი საშუალებების მომარაგება სხვადასხვა ეკონომიკური კატეგორიაა და საჭიროებს სისტემურ მიდგომას მათი ოპტიმალური ვარიანტებით ხარჯვის ან გამოშვების თვალსაზრისით. ასევე საგულისხმოა, როცა სისტემურ მიდგომებს განვიხილავთ, აუცილებელი ხდება მსაზღვრელი დროითი პარამეტრებისა და გარემოებების გათვალისწინება, თუ როგორი ან რა პროდუქტის წარმოება/მარაგზე და პროდუქციის მომარაგებაზეა საუბარი.

თვითონ სისტემური მიდგომა მარაგების და მომარაგების საკითხებში წარმოადგენს ისეთი მეთოდების და საშუალებების ერთობლიობას, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს გამოვიკვლიოთ გამოსაშვები პროდუქციის, მის წარმოებაზე საჭირო საშუალებების და მიმდინარე პროცესების სისტემის თვისებები, ყურადღება მივაქციოთ თითოეულ სტრუქტურას და ფუნქციებს. თანაც გათვალისწინებულ უნდა იყოს სისტემაში ყველა სტრუქტურათაშორისი კავშირი, ასევე თითოეული სტრუქტურის, სისტემაზე და გარემოზე ურთიერთგავლენა.

სისტემური მიდგომის ძირითადი განსაკუთრებულობა მარაგებთან და მომარაგებასთან მიმართებაში წარმოადგენს ფირმის ძირითად მამოძრავებელ ღერძს რათა ფირმამ და მისმა სამომავლო ფუნქციონირებამ აზრი შეიძინოს, გათვლილი იყოს საჭიროებისდამიხედვით ყველა მდგომარეობა და არ გამოიწვიოს საქონელბრუნვაში ხარვეზები.

სისტემური მიდგომის დროს აქცენტი კეთდება ობიექტის მომარაგებაზე, როგორც პროცესების მთლიან, ინტეგრაციულ თვისებების ანალიზზე, მისი სტრუქტურის და ფუნქციების გამოვლენაზე. არსებითი მნიშვნელობა აქვს მომარაგებაში მიმდინარე მართვის პროცესებს, რომლებიც მოითხოვენ მომარაგებასთან მიმართებაში მარაგების გამოკვლევას, მასში მიმდინარე ცირკულირებული ინფორმაციის, ქმედებების და მიზნის არჩევის თვალთახედვით.

საჭიროდ ვთვლით განვმარტოთ, რომ ფირმის მომარაგების და მარაგების თვალსაზრისით სისტემის ქვეშ ნაგულისხმევია წარმოების პროცესში მარაგთა რაოდენობასთან ურთიერთობაში და კავშირებში მყოფი მომარაგება რომლებიც ქმნიან გარკვეულ ერთიან, მთლიან "ორგანიზმს".

აღსანიშნავია, რომ თვითონ მომარაგება არ წარმოადგენს ერთიანი სისტემის (მომარაგება+მარაგები) შემადგენელი ელემენტების ჯამს, რადგან ორივე კატეგორია ყალიბდება მისი შემადგენელი საშუალებათა ურთიერთქმედების შედეგად, თანაც ეს ურთიერთქმედება მარაგს აძლევს ახალ თვისებებს, რომელიც არ გააჩნია ცალკე აღებულ მოსამარაგებელ საშუალებებს. ამიტომ მარაგთა რაოდენობა ( $N$ ) მეტია, ვიდრე ცალკეულად აღებული მოსამარაგებელ საშუალებათა ( $n$ ) ჯამი, თანაც მათ ერთიანობაში ანუ სისტემაში წარმოიქმნება ( $\Delta N$ ) განსაკუთრებული სისტემური თვისებები, ანუ

$$N - \sum nj = \Delta N > 0$$

როგორც ცნობილია მომარაგების შემდეგ-დამზადების, წარმოებისა და რეალიზაციის პროცესების განხორციელება იწვევს აქტივების წრებრუნვას, ფულადი საშუალებები გადადის წარმოების საშუალებებში, წარმოების საშუალებები იღებს მზა პროდუქციის ფორმას, მზა პროდუქცია ისევ

გარდაიქმნება ფულად ფორმად და პროდუქციის რეალიზაციის შედეგად უბრუნდება წარმოებას გადიდებული ოდენობით. შემდეგ კვლავ ხორციელდება წრებრუნვა. ბუღალტრულად სამივე პროცესის თითოეული საფეხურის მიხედვით განისაზღვრება დანახარჯების წრებრუნვა და შესაბამისად, ეკონომიკური ეფექტი. ამის მიხედვით თითოეული ფირმის საქმიანობა დინამიურია, მუდმივად განმეორებადია და ერთი უწყვეტი პროცესია. ბუღალტრულად კი ამ პროცესების ყოველგვარი ცვლილებების გამოსახვა ხდება ფულადი საზომი ერთეულით რაც ფირმაში მიმდინარე სამეწარმეო საქმიანობის ოპერაციაა. კვლევის მიზნიდან გამომდინარე ამ ერთიან სისტემაში საშუალებათა გაერთიანება უნდა მიმდინარეობდეს შეთანხმებული ურთიერთქმედებების ფორმირების შედეგად, რომელიც ფლობს ინტეგრაციულ თვისებებს რაც გაერთიანებამდე არ ქონდათ.

ჩვენს მიერ შემოთავაზებულ მარაგისა და მომარაგების, როგორც ერთიან სისტემაში ჩამოყალიბებული საშუალებათა სტრუქტურა არის შედარებით კონსერვატიული მახასიათებელი: ის შეიძლება შენარჩუნდეს უცვლელად საკმაოდ დიდ ხანს, ხოლო მომარაგების მდგომარეობა ამ დროს შეიძლება არსებითად შეიცვალოს მრავალი მიზეზთა გამო, მაგრამ თუ სისტემის ფუნქცია და სტრუქტურა პრაქტიკულად არ შეიცვლება დროის განსაზღვრული პერიოდისთვის მაშინ მათთვის შემოდის სხვა მსაზღვრელები, როგორც სტაბილური სისტემის მსაზღვრელი.

მეცნიერების ბევრ დარგში მათ შორის ეკონომიკაში, მართვის თეორიაში და ა.შ სისტემურმა მიდგომამ საკმაოდ დაიმკვიდრა ადგილი, რთული ობიექტების გამოკვლევების დროს. მეცნიერებს უყალიბდებათ სისტემური აზროვნება, ანუ ჩვევა იაზროვნონ ისე, რომ ხედავდნენ მთლიან სურათს, თანაც ემყარებოდნენ სხვადასხვა თეორიულ მეთოდს და რთული ობიექტების ინტუიციურ ხედვას მთლიანობაში. როცა კვლევის ახალი ობიექტებისთვის და სხვადასხვა პრაქტიკული ამოცანებისთვის არსებული მოდელები არ კმარა, მაშინ სისტემური აზროვნება საშუალებას იძლევა შექმნას ახალი მოდელები. სისტემური აზროვნება ხანდახან გაიგება, როგორც კვლევის მეთოდებისა და ხერხების, სისტემის აღწერის და კონსტრუირების ერთობლიობა. სისტემურ აზროვნებას ხშირად ახასიათებს შინაგანი წინააღმდეგობები და პარადოქსულობა. იმისათვის, რომ გამოვიკვლიოთ რომელიმე ობიექტი, მოვლენა ან პროცესი როგორც სისტემა, აუცილებელია მოვახერხოთ მისი როგორც მთლიანობაში განსაზღვრა და ანალიზი.

მომარაგებისა და მარაგების მახასიათებელ მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს მისი თვისებები, ანუ რა კატეგორიის მარაგია და რა კატეგორიის მომარაგებაზეა საუბარი- ჩვენ შემთხვევაში მიდგომები ზოგადია და ამ ერთიანი სისტემისთვის, მხოლოდ სრუქტურულ მახასიათებლებს შევეხებით საჭიროების მიხედვით თანაც მნიშვნელოვანია სახელდობრ ის თვისებები, რომლებიც სისტემას განასხვავებენ, როგორც მთლიანს და რომლებიც არ წარმოადგენენ მხოლოდ მისი ელემენტების თვისებების ჯამს (მაინტეგრირებელი). ასეთი მიდგომით მთლიანი სისტემა წარმოგვიდგება, როგორც ($m$) სტრუქტურათა სიმრავლე, რომლებიც წარმოადგენენ წინასწარ მოცემული სისტემის (რის მარაგს და მომარაგებას განვიხილავთ) წარმომქმნელი ($R$) თანადობების მატარებლებს (გააჩნიათ არნიშნული თანადობები) ფიქსირებული $P$ თვისებებით. რასაც სიმბოლურად ასე ჩავწერთ: $(m)S = df[R(m)]P$, სადაც $S$-პრედიკატია. ($R$) სიმბოლო ჩაიწერება ფრჩხილების მარცხნივ, $P$-კი მარჯვნივ. მოყვანილი განმარტების და სიმბოლური ჩაწერის ფარგლებში, რომ ამოვხსნათ რომელიმე ამოცანა, საჭიროა გამოვყოთ სისტემის წარმომქმნელი მხოლოდ ისეთი ($R$) თანადობები ელემენტების ($m$) სიმრავლეზე, რომლებსაც აღმოაჩნდებათ ($P$) თვისება და რომელიც არსებითია მოცემული ამოცანისთვის.

მარაგისა და მომარაგების ეს მიდგომა, როგორც ერთიანი სისტემისა, ზოგადია. სასურველია ამის მიხედვით Aაისახოს და აიხსნას შემავალ სტრუქტურათა ქცევა და კონკრეტული მიდგომებისთვის კონკრეტული ფორმალიზებული მოდელი.

თუ ავიღებთ რაიმე კონკრეტული პროდუქტის ერთ მთლიან მარაგს, როგორც სიმრავლეს და მას განვიხილავთ როგორც ერთ მთლიან სიმრავლეთა სისტემას. $S^*$ და ამ სიმრავლიდან გამოვყობთ სისტემათა კლასს $S \subset S^*$, რომელთა ფუნქციონირებაც მიმართულია გარკვეული მიზნის რეალიზებაზე. აღნიშნული სისტემები ($S$) შესაძლებელია განვსაზღვროთ შემდეგი სახით:

$$S = < a, st, tPs, co, ti >;$$

სადაც სისტემის მიზანია-$a$ ; სისტემის სტრუქტურაა- $st$ ; მიზნის მიღწევის პირობა-$co$ ; მიზნის მიღწევის დრო-$ti$ ; $tPs \in TP$ -ტექნოლოგიური პროცების სიმრავლე, რომელთა რეალიზაციაც ხდება უშუალოდ მარაგებზე და მომარაგებაზე მიღებული ინფორმაციის დამუშავების მეთოდების და საშუალებების დახმარებით.

$tPs \in TP$ – გულისხმობს იმ დროისთვის არსებული ინფორმაციის გენერირების ტექნოლოგიურ პროცესებს, რაც გამოიხატება აღქმაში, გაცნობიერებაში, გაგებაში, ცოდნის წარმოდგენაში, ლოგიკურ დასკვნაში, პროგნოზირებაში, საქმიანობის რეალიზაციაში, საჭიროების ახსნაში და მიდგომაში. ამიტომ $tPs(met, re, \Pr, Is)$, სადაც $met$ –მიზნის მიღწევის მეთოდებია, $re$ –მიზნის მიღწევის საშუალებები, $\Pr\sqrt{Is}$ –უკუ ინფორმაცია, რომელიც ყოველთვის იჩენს თავსასეთ სისტემებში ($S$). თვითონ ამ სისტემის სტრუქტურა $St$ ორგანიზებულ იქნას ისე, რომ ხელი შეუწყოს მიზნის რეალიზებას. $S$ სისტემის სტრუქტურულ ელემენტებს წარმოადგენს ობიექტები ($O$), კავშირები ($C$), თანადობები ($R$). სისტემის ობიექტებს წარმოადგენს არაცოცხალი ($On$), ცოცხალი ($Oj$) და სოციალური ($Os$) ბუნების ობიექტები. მიზნის მიღწევის საშუალებები ($re$) განიხილება ფართო გაგებით, მატერიალური, ფინანსური, პროგრამული, ენობრივი, აპარატურული და ა.შ. შემადგენლების გათვალისწინებით.

$Is$ -ინფორმაციის დამუშავება კავშირშია მიზნის რეალიზებასთან. პირობები ($co$)-ითვალისწინებს მოთხოვნებს, წინაპირობებს, შედეგებს და ხელს უწყობს მიზნის მიღწევას.

დრო ($ti$)-ისე განისაზღვრება, რომ უზრუნველყოფილია მიზნობრიობა., გამოიყოფილია დროის ინტერვალი, სადაც მიმდინარეობს ყველა აუცილებელი საქმიანობა.

საჭიროება მოითხოვს დავაკონკრეტოთ მარაგისა და მომარაგების, როგორც ერთიანი სისტემის პოტენციალის ცნებას, რომელიც არ ითვლება ბაზურ მახასიათებლად, მაგრამ არის ძალზე მნიშვნელოვანი.

როდესაც ფირმაში ორგანიზებულად მიმდინარეობს მარაგთა და მომარაგებათა $A$ სისტემაში სტრუქტურული ელემენტების $(a_1, a_2, ..., a_n)$ ურთიერთქმედება, მიზანმიმართულია და სინქრონიზებულია ძირითადი მიზნის მიღწევაზე. ასეთი სისტემის $P$ პოტენციალი განსაზღვრული პარამეტრის მიხედვით მეტია ყველა შემადგენელი ელემენტის (ქმედების) პოტენციალთა ჯამზე.

$$P(A) > [P(a_1) + ... + P(a_n)]$$

რაც უფრო მეტია სისტემაში ქმედებები, მით მეტია სისტემის ორგანიზებულობა და მით მეტად აჭარბებს სისტემის პოტენციალი შემადგენელი ქმედებების პოტენციალების ჯამს. როცა სისტემის ორგანიზებულობის ხარისხი არ არის მაღალი ან სისტემიაში შეუთანხმებლობის და არამიზანმიმართულობის გამო დაბალიც კი არის, მაშინ:

$$P(A) \le [P(a_1) + ... + P(a_n)]$$

ამ დროს ქრება სისტემის ინტეგრაციულობის თვისება და ამიტომ სისტემა მკაცრი გაგებით, არ არსებობს, ე.ი ირღვევა ბალანსი მარაგსა და ამ მარაგზე გაწეული მომარაგების კოეფიციენტებს შორის. ამ შემთხვევაში მაღალი პოტენციალის მისაღწევად, მიზნობრივ სისტემაში აუცილებალია გამოიკვეთოს მიზნის დადგენა და შემადგენელი ელემენტების ურთიერთშეთანხმებული ქმედებების ორგანიზება. სხვა შემთხვევაში არ იარსებებს სისტემის ინტეგრაციულობის თვისება და ხშირად მთლიანი სისტემაც. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თუ გამოვიყენებთ ზემოდ მითითებულ ფორმულირებას და კარგად შედგენილ ალგორითმს, მაშინ მიზნის ფუნქცია-ნაკლები დანახარჯი და მეტი საქონელბრუნვა სისტემური მიდგომების გამოყენებით მარაგებისა და მომარაგების კუთხით მიაღწევს დადებით შედეგს.

**ლიტერატურა:**

1. შოთა ვეშაპიძე, ლალი ოსაძე, დალი სეხნიაშვილი. ლოგისტიკა. თბ. 2012
2. Гайдаенко О.В., Логистика. -3-е, КноРус, 2011.
3. Шехтер Д., Логистика: Искусство управления цепочками поставок Претекст 2008.

# სატრანსფერო ფასების როლი ეკონომიკაში

***ნელი სესაძე***
*სტუ, ასოცირებული პროფესორი*
***ლია პიტიურიშვილი***
*სეუ, ასოცირებული პროფესორი*

**რეზიუმე**

სტატიაში განხილულია სატრანსფერო ფასწარმოქმნის როლი და მნიშვნელობა ბიზნესსუბიექტებისათვის და მთლიანად ეკონომიკისათვის. შიდასაფირმო ფასწარმოქმნის სფერო ისტორიულად შეზღუდული ინტერესის საგანს წარმოადგენდა. გასული საუკუნის 60-იან წლებში სატრანსფერო ფასწარმოქმნის სისტემის გამოყენება გააქტიურდა შიდა საინფორმაციო სტრუქტურის მაღალი დონის ორგანიზაციის საწარმოებში-ტრანსნაციონალური კომპანიებში. სატრანსფერო ფასი კომპანიის სტრუქტურული ერთეულების მენეჯერთა მიერ ეფექტური გადაწყვეტილებების მიღების მოტივაციის გაზრდის ხერხს წარმოადგენს.

საგადასახადო ორგანოების სატრანსფერო ფასწარმოქმნის საკითხისადმი დიდ ყურადღება გამოწვეულია ტრანსნაციონალური კომპანიების მიმართ საგადასახადო ტვირთის გაანგარიშებასთან დაკავშირებით.

**საკვანძო სიტყვები:** სატრანსფერო ფასები, ასოცირებული კომპანიები, კონტროლირებული ოპერაცია, ეგთო-ს მოდელური კონვენცია; ტრანსნაციონალური კომპანიები,

## THE ROLE OF TRANSFER PRICES IN THE ECONOMY

**Neli Sesadze.**
GTU professor
**Lia Pitiurishvili**
SEU professor

**ABSTRACT**

In article the system of transfer pricing as one of the main tools allowing to construct effective business process of the company is considered. In the sixties to transfer pricing interest sharply grew. It is connected with the fact that during this period the multinational companies sharply increased the presence worldwide. As management decisions of heads of divisions are based on profitability of business segments which they operate, the transfer prices perform key function in distribution of resources. From this point of view the purpose of transfer pricing for the decentralized group of companies is achievement of its highest potential of profitability. At the same time, this mechanism can be used by the companies for reduction of the general tax burden of group of companies. This is achieved through the concentration of profits in controlled companies that are taxpayers in foreign countries with preferential tax treatment.

**Keywords:** transfer pricing, associated companies, controlled transactions, OECD Model convention, transnational companies

## ძირითადი ნაწილი

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფასწარმოქმნის საფუძველს მიწოდებისა და მოთხოვნის კანონები წარმოადგენს. მიწოდება და მოთხოვნა ერთად განსაზღვრავს მრავალი საქონლისა და მომსახურების ფასს. ფასი კი ის სიგნალია, რომელიც რესურსების განაწილებას წარმართავს. ადამ სმიტის სიტყვებით -თუკი საბაზრო ეკონომიკას უხილავი ხელი მართავს, მაშინ უხილავი ხელი ეკონომიკური ორკესტრის სადირიჟოროდ სწორედ ფასების ღილაკს იყენებს. ბაზრის კონტრაგენტები დაპირისპირებული ინტერესების ფონზე, ცდილობენ ჩამოაყალიბონ წონასწორობა მიწოდება- მოთხოვნას შორის, რომლის შედეგიცაა კონკურენტული ფასები. [1]

ფასწარმოქმნის მსგავსი სისტემა აწესრიგებს ურთიერთდამოუკიდებელი გამყიდველებისა და მყიდველების გარიგებებს, მაგრამ მიუღებელია ასოცირებული პირების მიმართ, რომლებიც გაერთიანებულნი არიან ერთიან ჯგუფში, რომლის ფარგლებშიც განხორციელებულ გარიგებებზე ზეგავლენას ახდენს ჯგუფის წევრთა შორის არსებული ურთიერთობების ხასიათი. სატრანსფერო ფასი- შიგასაფირმო ფასია.

სატრანსფერო ფასის ფესვები ფირმის სტრუქტურული ქვედანაყოფებს შორის ეკონომიკურ ურთიერთობებში უნდა ვეძებოთ. თუ განვიხილავთ კომპანიას, როგორც ბიზნეს-ერთეულების ერთობლიობას, რომელთაგან თითოეული მათგანი ასრულებს თავის საკუთარ ფუნქციას და შეაქვს თავისი წილი საერთო დამატებით ღირებულებაში, მაშინ ცხადი ხდება, რომ ერთი კომპანიის ფარგლებში მიმდინარეობს საქონლისა და მომსახურების მუდმი-

ვი გაცვლა. შიდა (საანგარიშსწორებო ) ფასი, რომლითაც ანხორციელებენ ქვედანაყოფები საქონლისა და მომსახურების გაცვლას ურთიერთშორის სატრანსფერო ფასის სახელით არის ცნობილი

ეს სისტემა მოითხოვს კომპანიის საქმიანობის დანაწევრებას პასუხისმგებლობის ცენტრებად და თითოეული მათგანის ეფექტიანობის განსაზღვრას ცალკცალკე.

სატრანსფერო ფასწარმოქმნა იმ წესების ერთობლიობა, რომელსაც ბიზნესუბიექტები იყენებენ, რათა გაანაწილონ ერთობლივად გამომუშავებული შემოსავალი პასუხისმგებელ ცენტრებს შორის.[2]

სატრანსფერო ფასწარმოქმნის ძირითადი პრინციპები განხილულია რ. ენტონის და ჯ. დირდენის ნაშრომში. მათ დაამტკიცეს, რომ ტრანსფერული ფასწარმოქმნა განსაზღვრავს საწარმოთა შორის საქონლისა და მომსახურების მიწოდების მოცულობას და სიხშირეს, ზეგავლენას ახდენს შემოსავლებსა და დანახარჯზე, რადგან გამყიდველისთვის იგი შემოსავალია, ხოლო მყიდველისათვის -დანახარჯი, ამასთან ეს ფასი თითოეული საწარმოს ინტეგრაციულ სტრუქტურაში მონაწილეობიდან ფინანსური შედეგის გაანგარიშების შესაძლებლობას იძლევა. ტრანსფერული ფასწარმოქმნის პრობლემის ეკონომიკურ-მათემატიკური ინტერპრეტაცია შემუშავებულ იქნა ჯ. ხირშლეიფერის მიერ, რომელმაც განიხილა ორპროდუქტიანი ფირმა.[3]

ჯ. ხირშლეიფერის კვლევებმა დაამტკიცა, რომ ტრანსფერული ფასწარმოქმნა უნდა შეესამებოდეს როგორც ცალკეული საწარმოს, ისე იმ ინტეგრირებული არხის სტრატეგიას, რომელშიც არის იგი გაერთიანებული. [4]

შეიძლება გამოიყოს საწარმოთა მიერ ტრანსფერული ფასების გამოყენების მიზანთა ორი დიდი ჯგუფი: კორპორაციის შიდა და გარე მოტივები.

ტრანსფერული ფასების გამოყენების შიდა კორპორაციის მიზანია:

• საერთო მოგებაში ქვედანაყოფების წვლილის განსაზღვრა და მატერიალური სტიმულირების სისტემის შემუშავება

• ქვედანაყოფების მუშაობის ეფექტიანობის და პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება. ეს უკავშირდება იმ გარემოებას, რომ სტრუქტურულ ქვედანაყოფებში ძლიერდება წარმოების დანახარჯების შემცირების და პროდუქციის ხარისხის ამაღლების სტიმული.

მსოფლიო ეკონომიკის პრაქტიკაში ცნობილია სატრანსფერო ფასწარმოქმნის 3 სახე: საბაზრო ფასების საფუძველზე-„გაშლილი ხელის" პრინციპი; „თვითღირებულება+", ხელშეკრულებითი ფასები; [4]

საბაზრო ფასების საფუძველზე სატრანსფერო ფასების ჩამოყალიბება უფრო მეტად გამოიყენება ჯგუფის დეცენტრალიზაციის მაღალი დონის პირობებში. ამ დროს ქვედანაყოფები თავისუფალნი არიან არჩევანში: მიაწოდონ პროდუქცია გარე მომხმარებელს, თუ შიდა მომხმარებელს.

გავრცელებულია მეთოდი „თვითღირებულება+". იგი გამოიყენება საბოლოო პროფილური პროდუქციის (მომსახურების) წარმოებაში ჩაბმული ყველა ქვედანაყოფის მიერ. ამ მეთოდით დანახარჯებს ემატება შესაბამისი დანამატი, რომელიც ასახავს მოგების ნორმას პროდუქციის ერთეულზე.

ტრანსფერული ფასები ჰოლდინგების მიერ გამოიყენება მენეჯერთა ქცევის მოტივაციის ამაღლების მიზნებისათვის დაგეგმვის, გადაწყვეტილების მიღების, რესურსების განაწილების საქმიანობასთან დაკავშირებით ბიზნესსუბიექტის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე.

კორპორაციის გარე მოტივები საერთაშორისო ტრანსფერულ ფასწარმოქმნას ეხება, რომელიც უკავშირდება ორგანიზაციის მიერ დადებულ ფასებს, როცა საქონელი ან მომსახურება გადააქვთ ამავე ორგანიზაციასთან დაკავშირებულ სტრუქტურებში, რომლებიც განსხვავებული საგადასახადო კანონმდებლობით რეგულირდება. მოგება კონცენტრირდება იმ კონტროლირებად სტრუქტურებში, რომელნიც იმყოფებიან შეღავათიანი დაბეგვრის პირობების მქონე ქვეყნებში. შედეგად მიიღება საგადასახადო ტვირთის შემცირება და საერთო მოგების ზრდა.

წარმოებული საქონელი რეალიზდება შემცირებული ფასებით საწარმოზე, რომელიც იმყოფება შეღავათიანი დაბეგვრის პირობების მქონე ქვეყანაში. შემდგომში ეს უკანასკნელი ახდენს ამ საქონლის რეალიზაციას ნორმალურ, საბაზრო ფასებში.

შესაძლოა არსებობდეს სხვა ვარიანტიც, როდესაც მწარმოებელი კომპანია იმყოფება დაბეგვრის უფრო შეღავათიან პირობებში. ამიტომ მიყიდის სავაჭრო საწარმოს მეტად მაღალ ფასში, ამით მოგების კონცენტრაცია ხდება მწარმოებელი საწაროს დონეზე და ღებულობს საგადასახადო შეღავათს.

ერთი ქვეყნის ფარგლებში შესაძლოა გამოყენებულ იქნას ანალოგიური მექანიზმი, როცა მოგების კონცენტრაცია ხდება იმ კომპანიაში, რომელზედაც ვრცელდება საგადასახადო დაბეგვრის შეღავათიანი პირობები. შემდეგ აკუმულირებული მოგება შესაძლოა გადანაწილდეს ჯგუფის დანარჩენ მონაწილეებზე ფულადი სახსრების, დივიდენდების, სესხების გაცემის, საწესდებო კაპიტალის გადიდების და სხვა გზით.

სახელმწიფო განიხილავს ტრანსფერულ ფასწარმოქმნას მისი ფისკალური ინტერესების დარღვევად, თუკი ტრანსფერული ფასწარმოქმნა მიზნად

ისახავს საგადასახადო ტვირთის შემცირებას. სახელმწიფო ასეთ პირობებში ეროვნულ კანონმდებლობაში, თუ საერთაშორისო შეთანხმებებში ადგენს ნორმებს, რითაც კორექტირებას უკეთებს საგადასახადო ბაზას.

გადასახადების ოპტიმიზაციის მიზნებისათვის ტრანსფერული ფასწარმოქმნის გამოყენების პირველ მცდელობას ჰქონდა ადგილი 1897 წელს, როდესაც ძმებმა ვესტი შექმნეს სახელშეკრულებო ურთიერთობების სისტემა მათდამი კუთვნილ კომპანიებს შორის, ისე, რომ მოგების უდიდეს ნაწილს ოფშორულ იურისდიქციებში ტოვებდნენ.

სატრანსფერო ფასწარმოქმნის შესახებ წესები კანონმდებლობაში გათვალისწინებულ იქნა 1915 წელს დიდ ბრიტანეთში, ხოლო 1917 წელს აშშ-ში.

მიუხედავად ამისა, ეს თემა არ იყო ასე აქტუალური. მისადმი ინტერესი გაიზარდა 1960 წელს, რადგან ამ დროიდან მსოფლიო ეკონომიკაში წარმართველი ძალა ხდება ტრანსეროვნული კორპორაციები.

1970 წლიდან ქვეყნებმა დაიწყეს სატრანსფერო ფასწარმოქმნის საგადასახადო საკითხების საერთაშორისო რეგულირება. 1979 წელს, ხოლო შემდეგ 1984 წელს ეთგო-მ გამოსცა ეგრეთწოდებული რეკომენდაციები სატრანსფერო ფასთან დაკავშირებით (Transfer pricing Guidelines for multinational enterprises and tax administrations). ეს რეკომენდაციები განახლებულ იქნა 1995 წელს და მას შემდეგ ახლდება რეგულარულად . ეთგო-ს მოდელური კონვენცია თავდაპირველად მიმართული იყო ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისაკენ. დროთა განმავლობაში მისი მოქმედების სფერო კიდევ უფრო გაფართოვდა და მოგების გადასახადისაგან თავის არიდების საკითხებიც მოიცვა. [8]

ევროკომისიამ ჩართო ტრანსფერული ფასწარმოქმნა ქცევის კოდექსში (“codes of conduct” by the EU Council). ევროკომისიამ შეიმუშავა guidelines on low-value-adding intra-group services, რომელიც მიღებულ იქნა 17 მაისს, 2011 წელს. გაერო-მ გამოაქვეყნა ანგარიში 1988 წელს “International Income Taxation and Developing Countries”.

ეთგო-ს მოდელურ კონვენციაში შეტანილ იქნა ცვლილებები 2017 წელს. იგი დაუკავშირდა პროექტს BEPS(Base erosion and profit shifting, BEPS)- საგადასახადო ბაზის ეროზიის და დაბეგვრისაგან მოგების გადატანის სამოქმედო გეგმას . ამ პროექტმა გააერთიანა საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევა მოგების ოფშორებში გადატანის და მოგების გადასახადის თავიდან აცილების პრობლემასთან ბრძოლაში. 2017 წლის მდგომარეობით მასში 110 ქვეყანა მონაწილეობს, ამასთან მან შეიქმნა „ინკლუზიური საფუძველი“, განვითარებადი ქვეყნების პროექტში ჩართვისათვის.[8]

საერთაშორისო ტრანზაქციების სატრანსფერო ფასწარმოქმნა საქართველოში აქტუალურია 2011 წლის 1 იანვრიდან, როცა ქართულ კანონმდებლობაში პირველად განისაზღვრა ამ თემასთან დაკავშირებული პრინციპები, თუმცა უშუალო ინსტრუქცია მიღებულ იქნა 2013 წლის 18 დეკემბერს. ამ თემას ეძღვნება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 126-129 მუხლები და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 18 დეკემბრის N423 ბრძანება. [6] იგი დაფუძნებულია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის 2010 წლის სატრანსფერო ფასწარმოქმნის სახელმძღვანელოს მითითებებზე, რომელიც მიეძღვნა მულტი-ნაციონალურ კომპანიებს და საგადასახადო ორგანოებს (ეთგოს სახელმძღვანელო).[9] ეთგო-ს სახელმძღვანელო სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს, მაგრამ პრაქტიკაში იგი წარმოადგენს კონტროლირებული ოპერაციების შეფასების საერთაშორისო სტანდარტს.

ეთგო-ს მოდელური კონვენციის მიხედვით განისაზღვრა ასოცირებული პირები. ასოცირებულ პირებად ჩაითვლებიან კომპანიები შემდეგი პირობების არსებობის შემთხვევაში:

• თუ საწარმო, პირდაპირ ან ირიბად მონაწილეობს სხვა საწარმოს კონტროლში, მართვაში ან კაპიტალში.

• ერთი და იგივე პირი პირდაპირ ან ირიბად მონაწილეობს ორივე საწარმოს მართვაში, კონტროლსა და კაპიტალში.

საქართველოს საგადასახადო კოდექსში მსგავსი ურთიერთობების აღსანიშნავად შემოღებულია ტერმინი ურთიერთდამოკიდებული პირები.[7]

განსაზღვრულ იქნა კონტროლირებადი ოპერაცია - გარიგების ერთ-ერთი მხარე წარმოადგენს შეღავათიანი დაბეგვრის მქონე/ოფშორული ქვეყნის რეზიდენტს; ან ეს არის სათავო ოფისსა და მის მუდმივ დაწესებულებას შორის განხორციელებული ოპერაცია. კონტროლირებული ოპერაციები მოიცავს როგორც საქონლისა და მომსახურების გაყიდვის ან შესყიდვის ოპერაციას, ფინანსურ ოპერაციას, ან არამატერიალური აქტივთან დაკავშირებულ ოპერაციას.

საქართველოს შემოსავლების სამსახური კონტროლირებული ოპერაციების შეფასებისას მისაღებად თვლის ფასებს, რომელიც დგინდება „გაშლილი ხელის“ პრინციპის საფუძველზე.

## დასკვნა

სახელმწიფოებრივმა რეგულაციებმა სატრანსფერო ფასწარმოქმნის სფეროში ხელი უნდა შეუწყოს საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებას,

ინვესტიციების წახალისებას, საგადასახადო ორგანოებს შორის კონფლიქტების შემცირებას, ზოგადად ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას.

სატრანსფერო ფასწარმოქმნის სისტემა სტრუქტურული ქვედანაყოფების მოტივაციის გაზრდის მიზნით გამოსაყენებელია საქართველოშიც, კერძოდ საბანკო სისტემაში. საბანკო სისტემა თავის მომსახურებას სთავაზობს მრავალრიცხოვანი ფილიალების მეშვეობით, რომელთა საქმიანობის ეფექტიანობის შეფასებისა და კონტროლისათვის. მნიშვნელოვან ბერკეტად გვესახება სატრანსფერო ფასწარმოქმნის გამოყენება. სატრანსფერო ფასწარმოქმნა კომერციული ბანკების აქტიური ოპერაციებისათვის საჭირო ფულად სახსრებზე შიდა საბანკო ფასის დადგენის საფუძველი იქნება.

### გამოყენებული ლიტერატურა


1. ატკინსონი ენტონი, კაპლანი რობერტ; მმართველობითი აღრიცხვა, მეხუთე გამოცემა, 2009

2. მენქიუ გრეგორი, ეკონომიკის პრინციპები, 2008

3. Anthony R.N., Dearden J. Management Control Systems. - R.D. Irwin, 1984

4. Hirshleifer J. Internal pricing and decentralized decisions. - Boniniet.al., 1964

https://www.hse.ru/data/385/393/1238/Kasatkin.pdf უკანასკნელად გადამოწმებულია 08.20. 2019

5. http://rs.ge/4827 შემოსავლების სამსახურის სასარგებლო ინფორმაცია

6. https://www.matsne.gov.ge/ka/document/download/2078069/0/ge/pdf საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №423 2013 წლის 18 დეკემბერი საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების შეფასების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

7. https://www.oecd-ilibrary.org/taxation/oecd-transfer-pricing-guidelines-for-multinational-enterprises-and-tax-administrations-2017_tpg-2017-en ეუთო-ს მოდელური კონვენცია ახალი რეკომენდაციები

8. https://www.oecd-ilibrary.org/taxation/oecd-transfer-pricing-guidelines-for-multinational-enterprises-and-tax-administrations-2010_tpg-2010-en უკანასკნელად გადამოწმებულია 08.20. 2019

# სოფლის მეურნეობის ინოვაციური განვითარების სფეროები და მხარდაჭერის მექანიზმები

***თამარ ხმალაძე***
*სტუ ასისტენტი, დოქტორანტი*
***კონსტანტინე ხმალაძე***
*სტუ პროფესორი*

**СФЕРЫ И МЕХАНИЗМЫ ПОДДЕРЖКИ ИННОВАЦИОННОГО РАЗВИТИЯ СЕЛЬСКОГО ХОЗЯЙСТВА**

**Хмаладзе Т. К.**
Асистент, Докторант, Грузинский Технический Университет
**Хмаладзе К. Н.**
Профессор, Грузинский Технический Университет

**АННОТАЦИЯ**

Выделяются следующие основные направления инновационного развития сельского хозяйства: селекционно-генетическая, производственно-технологическая, организационно-управленческая и социо-экологическая.

Инновационное развитие невозможно без создания инвестиционной базы. Это: Инвестиции в человеческий капитал; Инвестиции в развитие биологических ресурсов, на основе разработок и освоения нововведений, обеспечивающих повышение плодородия почвы, рост урожайности сельскохозяйственных культур и продуктивности сельскохозяйственных животных; Инвестиции в разработку технологий, обеспечивающие совершенствование технико-технологического потенциала сельского хозяйства на основе применения энерго- и ресурсосберегающей техники и наукоемких технологий.

Необходимо усиление государственной финансовой поддержки фермерских хозяйствам в виде кредитов, выдачи гарантий, субвенций и т. д.

Важнейщим источником финансирования и механизмом поддержки инновационного агропроизводства должна стать «Государственная программа поддержки села».

**საკვანძო სიტყვები:** ინოვაციური განვითარება; ინოვაციური სფეროები; ინვესტიციები; მხარდაჭერის მექანიზმები.

* * * *

სოფლის მეურნეობა ტრადიციულად ჩვენი ქვეყნის საბაზისო, წამყვანი სამეურნეო სფეროა. ამ დარგში დასაქმებულია შრომისუნარიანი მოსახლეობის ნახევარზე მეტი.

სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მხრივ მცირემიწიანობის მიუხედავად, საქართველოს სოფლის მეურნეობა ხასიათდება წარმოების ბუნებრივ ფაქტორთა მაღალი კონკურენტუნარიანობით. პირველ რიგში, იგულისხმება ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობები, მეურნეობრიობის ტრადიციები და კვლიფიკაცია, სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგობრივი და ტერიტორიული სპეციალიზაცია, მონო კულტურების მაღალი ხვედრითი წონა.

მიუხედავად ამისა, სისტემური ტრანსფორმაციის პირობებში სოფლის მეურნეობა და მთლიანად, აგროსამრეწველო კომპლექსი აღმოჩნდა მძიმე მდგომარეობაში. ეს განაპირობა ბაზრების დაკარგვამ, დარგში ინვესტიციების მკვეთრმა შემცირებამ, მეურნეობის გაძღოლისა და ინსტიტუციური სისტემის მოშლამ, ქმედითი სახელმწიფო პოლიტიკის არარსებობამ. შედეგად, დაეცა წარმოების ტექნიკური დონე, შრომის მწარმოებლურობა და დასაქმების დონე. გაიზარდა უმუშევრობა, შიდა და გარე მიგრაცია, გაუარესდა ცხოვრების დონის მაჩვენებლები [1].

ბოლო პერიოდში შეინიშნება გარკვეული ძვრები აგროსექტორის გამოცოცხლების მიმართულებით, თუმცა, ქვეყანას კვლავ არ გააჩნია სისტემური და მწყობრი პოლიტიკური ხევა მოცემული დარგის ასაღორძინებლად.

გვჭირდება კონკრეტული მეთოდებისა და მექანიზმების შემუშავება სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინოვაციურ რელსებზე გადასაყვანად. გამოვყოფთ ინოვაციური პოლიტიკის შემდეგ ძირითად მიმართულებებს [2]:

- სელექციურ - გენეტიკური: არახელსაყრელი პირობების, დაავადებისა და მავნებლებისადმი მდგრადი ჯიშების წარმოებაში დანერგვა;
- საწარმოო - ტექნოლოგიური: რესურსდამზოგი ტექნოლოგიების დანერგვა;
- ორგანიზაციულ-მმართველობითი: დეგრადირებული აგროლანდშაფტის კარტოგრაფიულ-აეროკოსმოსური მონიტორინგის სისტემის დანერგვა;
- სოციო-ეკოლოგიური: პროდუქტიულობაზე ეროზიის საწინააღმდეგო კომპლექსების ზეგავლენის ეკოლოგიური და ეკონომიკური შეფასების მეთოდიკის სრულყოფა.

ინოვაციური განვითარება შეუძლებელია მყარი საინვესტიციო ბაზის შექმნის გარეშე. პირველ რიგში, ეს არის ინვესტიციები ადამიანურ კაპიტალში

(განათლება, მეცნიერება და კვლევები, მონაცემთა ბანკის შექმნა ინოვაციების შესახებ, საინფორმაციო-საკონსულტაციო სისტემები); მეორე, ინოვაციები ბიოლოგიური რესურსების შექმნა-განვითარებაში (სიახლეები, რომლებიც უზრუნველყოფენ )ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებას, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველების პროდუქტიულობის ზრდას; მესამე, ინვესტიციები ახალი ენერგო- და რესურსდამზოგი ტექნიკის და მეცნირებატევადი ტექნოლოგიების შექმნასა და დანერგვაში.

შეიძლება ითქვას, რომ სოფლის მეურნეობა განიცდის მწვავე საინვესტიციო დეფიციტს, რაც ფერმერთა უმრავლესობის მცირე შემოსავლიანობითა და დაბალკონკურენტუნარობით არის განპირობებული. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ფერმერთა სახელმწიფო ფინანსური მხარდაჭერის შემდგომი გაძლიერება სასოფლო-სამეუნეო წარმოებაში ინოვაციების დანერგვის საქმეში. მიზანშეწონილია, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემის ფარგლებში სპეციალური ინსტიტუციის – ფერმერთა მხარდამჭერი სპეციალური ორგანოს შექმნა. მის მიზანს უნდა შეადგენდეს სოფლად ინოვაციურ მეწარმეთა ხელშეწყობა და დაკრედიტება

ფერმერთა მხარდამჭერი ორგანო (პირობითად – ადმინისტრაცია) განიხილავს საკითხებს სესხების ან მათზე გარანტიების გაცემის შესახებ მხოლოდ ინოვაციური სამეწარმეო პროექტების მიხედვით. ვიზიარებთ ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოთქმულ მიდგომებსა და მექანიზმებს ფერმერთა ფინანსური მხარდაჭერის ფორმებისა და მექანიზმების თაობაზე [3].

ფერმერების მხარდამჭერი ადმინისტრაცია გასწევს ორი ძირითადი სახის საკრედიტო მომსახურებას:

- სასოფლო-სამეურნეო სესხები და სესხები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე;
- სესხები ბიზნესსა და მრეწველობაზე.

სასოფლო-სამეურნეო სესხების პროგრამები. მათი დანიშნულებაა ფინანსური დახმარება აღმოუჩინოს საოჯახო მეურნეობებს ან კოოპერატივებს. ეს სესხებია:

- კრედიტები ფერმების შესაძენად;
- კრედიტები ფერმერული მეურნეობის წარმართვისათვის;
- კრედიტები შეზღუდული რესურსების მქონე ფერმერებს;
- სპეციალიზირებული სესხები, მაგალითად, აკვაკულტურის განვითარებისათვის;
- სესხები საგანგებო ეკონომიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით;
- სესხები სტიქიურ მოვლენებთან დაკავშირებით;
- კრედიტები მიწებისა და წყლების რეკულტივაციაზე.

აღნიშნული სესხების ვადები და პირობები განსხვავებულია, თუმცა, ჩვეულებრივ, მათი არსი მდგომარეობს იმაში, რომ ადმინისტრაცია გასცემს გარანტიებს (თავდებობებს) ადგილობრივი საკრედიტო ინსტიტუტების მიერ გამოყოფილ ინოვაციურ სესხებზე.

სესხები ბიზნესსა და მრეწველობაზე. ფერმერების მხარდამჭერი ადმინისტრაციამ აქტიურად უნდა შეასრულოს გარანტის როლი კრედიტებზე, რომლებიც გაიცემა კომერციული ბანკების მიერ აგრომრეწველობის განვითარებისა და გაფართოების მიზნით.

გარანტიები სესხებზე გაიცემა ბიზნესის შემდეგ სახეობებზე:

- შენობებისა და მიწის შეძენა;
- შენობის აღდგენა ან ახლის მშენებლობა;
- მანქანებისა და მოწყობილობების შეძენა;

საბრუნავი კაპიტალის შეძენა მარაგების სესაქმნელად და ფულად ნაკადებზე მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

სესხის მაძიებლის განცხადების განხილვის დროს მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მისი საიმედობა და უზრუნველყოფის დონე.

სესხის საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ადგილობრივი საკრედიტო დაწესებულებებისა და ფერმერების მხარდამჭერი ადმინისტრაცის მიერ. ჩვეულებრივ, იგი უნდა აღემატებოდეს სახაზინო ობლიგაციების განაკვეთს დაფარვის ანალოგიური ვადებით. განაკვეთი შეიძლება იყოს ფიქსირებული ან ცვლადი, კომერციული სესხის გამცემის მონაწილეობის ხასიათის შესაბამისად.

ფერმერების მხარდამჭერ ადმინისტრაციას შეუძლია მოითხოვოს განმცხადებელი მფლობელების ან პარტნიორების უპირობო პირადი გარანტიები. აგრეთვე, შესაძლებელია მოთხოვნილ იქნას სესხის მაძიებელთა სიცოცხლის დაზღვევა. იმ შემთხვევაში, როდესაც კრედიტის მოთხოვნილი თანხა აღემატება 1 მლნ ლარს, აუცილებელია ჩატარებულ იქნას კვლევა პროექტის განხორციელებადობის შესახებ.

სესხის გაცემა ბიზნესსა და მრეწველობაზე ფერმერების მხარდამჭერი ადმინისტრაცის პროგრამების ფარგლებში, არ გულისხმობს იმ პირობას, რომ ადმინისტრაციის მიერ გარანტად დადგომამდე, მაძიებელმა კომერციული ბანკიდან მიიღოს უარი დაკრედიტებაზე.

საყურადღებოა, რომ ბევრ სასოფლო რეგიონში სესხის მიღების შესაძლებლობა ბიზნესისა და მრეწველობის განვითარებაზე გახდება მნიშვნელოვანი ფინანსური სტიმული ახალი სამუშაო ადგილების შექმნისა და კაპიტალის ინვესტირების მხრივ. თუმცა, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სესხის გაცემის მრავალი წინასწარი პირობის არსებობა ამ ფინანსურ წყაროს გახდის მიუწვდომელს მრავალი დამწყები მეწარმისათვის.

სოფლის მეურნეობაში ინოვაციური მეწარმეობის განვითარების სახელმწიფო მხარდაჭერის მნიშ-

ვნელოვან წყაროდ უნდა გადავაქციოდ «»სოფლის მხარდაჭერის პროგრამა» [4]. პროგრამის ძირითადი პრინციპების დაცვით, სასურველია, გამოყოფილი რესურსების ხარჯვის მიზნობრიობით დამატებით განისაზღვროს ინოვაციური სამეწარმეო პროექტებისადმი საინვესტიციო-ინფრასტრუქტურული ხელშეწყობა. კერძოდ, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული თანხა გამოყენებული უნდა იქნეს სოფლის პირველი რიგის სოციალურ-ეკონომიკურ საჭიროებებისა და ინოვაციური საქმიანობების დასაფინანსებლად; კერძოდ, ეს შეიძლება იყოს:

ა) ადგილობრივი ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაცია მაგ. ხიდის აღდგენა, სოფლის გზის შეკეთება, მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების სისტემის შეკეთება, სარწყავი არხების რეაბილიტაცია, ნაპირსამაგრი თუ სანიაღვრეთა გამწმენდი სამუშაოების ჩატარება და ა.შ. ეს მნიშვნელოვნად დაასტიმულირებს ინოვაციური ინვესტიციების მოზიდვას ინვესტორის მიერ გასაწევი ხარჯების დაზოგვის კუთხით.

ბ) სოფლის კეთილმოწყობის სამუშაოების ჩატარება, რაც სოციალური სფეროს განვითარების დონის ამაღლებით, სხვა თანაბარ პირობებში, წაახალისებს ინოვაციური კაპიტალის მოზიდვას.

სოფლის მხარდაჭერის» პროგრამის განხორციელების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით აუცილებელია შემდეგი ღონისძიებების გატარება:

- სოფლის მოსახლეობის მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველსაყოფად საინფორმაციო-საკონსულტაციო საქმიანობის გაფართოება;

- ტრენინგ-სემინარების ორგანიზება პროგრამის ფარგლებში საჭიროებათა იდენტიფიცირებისა და პრობლემების სწორად შერჩევისათვის;

- მოსახლეობის შრომითი მონაწილეობის როლის ამაღლება ცალკეული პროექტების ანუ სამუშაოების შესრულების დროს. ამისათვის საჭიროოა მათი პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ქმედითი სისტემის შექმნა;

- მუნიციპალიტეტის გამგეობის საქმიანობის წარმართვა დაფინანსების სხვადასხვა წყაროს ხარჯზე განხორციელებული ინოვაციური საინვესტიციო პროექტების «სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" პროექტებთან სინდიცირების მიმართულებით;

- «სოფლის მხარდაჭერის პროგრამით" განხორციელებაზე გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებების ეტაპობრივად გაზრდა დაფინანსების სხვა წყაროების შემცირების კვალობაზე;

- დიფერენცირებული მიდგომა პროგრამით გათვალისწინებული სახსრების განაწილების დროს. რეგიონების მიმართ უნდა განხორციელდეს ეფექტიანი სელექციური მიდგომა, კერძოდ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი საინვესტიციო რესურსები არ უნდა იქნას განაწილებული პროპორციულად, ზოგადი დემოგრაფიული მაჩვენებლების მიხედვით. ფინანსური რესურსები უნდა წარიმართოს ეგრეთწოდებული სტატისტიკური ტერიტორიების სოფლის მეურნეობის ინოვაციური განვითარების საჭიროებებისა და მასთან დაკავშირებული კონკრეტული ინფრასტრუქტურული ამოცანების გადაწყვეტის მიმართულებით, სამხარეო და მუნიციპალური კუთვნილების მიუხედავად. მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს დეპრესიულ რეგიონებს, მათი განვითარების დონის გამოთანაბრების უზრუნველსაყოფად;

- მეტი მიზანდასახულობა და ეფექტიანობა უნდა იქნას მიღწეული «სოფლის მხარდაჭერის პროგრამისა» და დაფინანსების სხვადასხვა წყაროს ხარჯზე განხორციელებული საქმიანობის კოორდინაციის სფეროში.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო აღწერა 2014 | საქსტატი. თბილისი.

2. Устюкова В.Н., Пахомова А.А. ИННОВАЦИОННОЕ РАЗВИТИЕ СЕЛЬСКОГО ХОЗЯЙСТВА: ПРОБЛЕМЫ И ПЕРСПЕКТИВЫ // Современные проблемы науки и образования. – 2014. – № 6.

3. ლ. ბერიძე. ფერმერთა სახელმწიფო ფინანსური მხარდაჭერის სისტემის ჩამოყალიბებისათვის. საერთაშორისო კონფერენციის შრომების კრებული. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2012. გვ. 47-49. http://ispc.tsu.ge

4. კ. ხმალაძე. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ეფექტიანად განხორციელებისათვის. «სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების პრიორიტეტები», - შრომების კრებული. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი, 2012. გვ. 566-570.

# ხორცპროდუქტების წარმოების ახალი ტექნოლოგიების განვითარების პერსპექტივები

*გურამ ტყემალაძე*
*ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,*
*სსმმ აკადემიის აკადემიკოსი, სტუ*
*გიული გოგოლი*
*სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი,*
*სტუ პროფესორი*
*გოჩა ჭუმბურიძე*
*სტუ დოქტორანტი*

**PROBLEMS AND PROSPECTS OF NEW TECHNOLOGIES IN THE PRODUCTION OF MEAT PRODUCTS**

**Guram Tkemaladze,**
**Giuli Gogoli,**
**Gocha Chumburidze**

**SUMMARY**

According to the modern concept of human nutrition, food should be safe, balanced with essential nutrients and perform healing or preventative functions. With this in mind, supplying the food market to meet the needs of mass consumption or specific sex, age, physiological and health needs of people requires the introduction of new approaches and technologies in the processing industry.In the meat industry, one of the promising areas of practical biotechnology is the production of "initial cultures" of microorganisms with probiotic, proteolytic and other properties, as well as the use of multicomponent mixtures containing enzymes and / or nutrients;The second important direction in the production of meat products is the use of food additives of natural and artificial origin, which reduce the duration of technological processing of raw materials, as well as improve the taste, aroma, structure of the finished product and extend its shelf life.

**საკვანძო სიტყვები:** ბიოტექნოლოგია, საკვები დანამატები, ფერმენტშემცველი ნარევი, კომბინირებული ძეხვეული, უვნებლობა

* * * *

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის სტატისტიკური მონაცემებით, პლანეტის მოსახლეობის სურსათით მომარაგების პრობლემა სერიოზული შეშფოთების საგანია[1]. საქმე ისაა, რომ მოსახლეობის ნახევარზე მეტი განიცდის სურსათის ნაკლებობას, დაახლოებით 500მლნ ადამიანი შიმშილობს, ხოლო, ზოგადად, კაცობრიობა იკვებება არასრულყოფილად დაბალანსებული საკვებით.

სწორი კვება არის ადამიანის ჯანმრთელობის, შრომისუნარიანობისა და დღეგრძელობის ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი. საკითხი მით უფრო აქტუალურია, რადგან ცხოვრების დღევანდელი რიტმი, დატვირთვა, საარსებო გარემოს ხშირი ცვლა და სხვა მოითხოვს კონკრეტული სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფისა და პროფესიის მომხმარებლის რაციონის შედგენილობისადმი დიფერენცირებულ მიდგომას. ამდენად, არსებობს მრავალი გარემოება, რომლებიც მოითხოვს კლასიკურისგან ძირეულად განსხვავებული მიდგომებისა და მეთოდების შემუშავების აუცილებლობას. სწორედ ამის გამოა, რომ ორგანიზმის მოთხოვნილების შესაბამისი სტრუქტურისა და შედგენილობის სურსათით მომხმარებელთა უზრუნველყოფა, გახდა მკვლევრების, დიეტოლოგების, სურსათის უვნებლობის სპეციალისტებისა და მეწარმეთა სისტემატური ყურადღების საგანი.

ერთ-ერთი ასეთი მიმართულებაა კომბინირებული სასურსათო პროდუქტების წარმოება, რომლებიც მოიცავს ბიოტექნოლოგიური მეთოდებისა და საკვებდანამატების ფართო სპექტრს, მათ შორის, მიკროორგანიზმების, ნუტრიენტებისა და სხვათა გამოყენებას. ასეთი პროდუქტების წარმოება, ნედლეულის რაციონალურად გამოყენების Aგარდა, დაკავშირებულია მაღალი ხარისხის ახალი ასორტიმენტისა და სხვადასხვა პროფესიულ-ასაკობრივი ჯგუფის ადამიანების მოთხოვნების შესატყვისი (სამედიცინო და ბიოლოგიური პარამეტრების მქონე,) ფუნქციური სასურსათო პროდუქტების შექმნასთან.

ადამიანის ყოველდღიური რაციონის მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოდგენილია ხორცითა და ხორცპროდუქტებით, რამაც განაპირობა ხორცპროდუქტების წარმოებაში ბიოტექნოლოგიური მეთოდების ფართოდ დანერგვა, აგრეთვე სპეციფიკური მოქმედებისა და მულტიფუნქციური დანიშნულების საკვებდანამატების გამოყენება.

თანამედროვე ბიოტექნოლოგიური მეთოდის ერთ-ერთი მიმართულება ეფუძნება მიკროორგანიზმების სხვადასხვა სახეობისა და შტამის გამოყენებას და, ამდენად, პირდაპირ ან ირიბად არის დაკავშირებული გენურ ინჟინერიასთან; გენეტიკური

სისტემის შეცვლის გზით შესაძლებელი ხდება მაღალეფექტური სასარგებლო მიკროორგანიზმების ახალი ფორმების მიღება და მრავალფუნქციური პროდუქტის წარმოების გაფართოება.

ამ მხრივ, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს პრობიოტიკური თვისებების მქონე მიკროორგანიზმების სასტარტო კულტურები [2, 3].

ერთ-ერთი ასეთი მიმართულებაა ბიოტექნოლოგიური მეთოდებით ხორცის ნედლეულის ხარისხობრივი მაჩვენებლების რეგულირება, მისი სტრუქტურის, ფერის, გემოსა და არომატის სასურველი პარამეტრების მიღწევა. საქმე ისაა, რომ მიკროორგანიზმების მიზანმიმართულად ჩართვა შესაძლებელს ხდის ხორცში ბიოლოგიურად აქტიური კომპონენტების(ორგანული მჟავები, ბაქტერიოცინები, ფერმენტები, ვიტამინები და სხვ.)წარმოქმნას, რომლებიც ნედლეულისა და, საბოლოოდ, მზა ნაწარმის ორგანოლეპტიკური და სანიტარიულ-მიკრობული მაჩვენებლების გაუმჯობესებასთან ერთად, ხელს უწყობს წარმოების პროცესის ინტენსიფიცირებას.

მიკროორგანიზმების სასტარტო კულტურების შერჩევისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მზა ნაწარმის გემოვნურ თვისებებზე მათი გავლენის ხარისხს. ასეთი მიკროორგანიზმების ჯგუფს მიეკუთვნება რძემჟავა ბაქტერიების მიკროკოკთა ოჯახის ზოგიერთი შტამი. ისინი ხასიათდება განსაკუთრებული მეტაბოლური თვისებებით და შედარებით კარგად ეგუება გარემოს, მაგალითად ხორცის ფარშის pH-ის ცვლილებას. იმავდროულად, ამ მიკროორგანიზმების მიერ წარმოქმნილი ფერმენტული კომპლექსები შლის ხორცის ფარშის ძირითად კომპონენტებს, გარდაქმნის რა მათ არომატულ და ფიზიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებად, რომლებიც, თავის მხრივ, აუმჯობესებს მზა პროდუქტის ბიოლოგიურ ღირებულებას, ორგანოლეპტიკასა და უვნებლობის ხარისხს [4, 5].

აღსანიშნავია გამოყენებული მიკროორგანიზმების პროტეოლიზური აქტივობა, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს დაბალი ბიოლოგიური და კვებითი ღირებულების კოლაგენშემცველი ნედლეულის ფარშში დიდი რაოდენობით ჩართვის შემთხვევაში [6,7]. მაგალითად, რძემჟავა ბაქტერიას *Lactobacillus casei* აქვს უნარი დაშალოს ხორცის ცილის როგორც ადვილმოსანელებელი, ასევე შემაერთებელ-ქსოვილოვანი ცილებიც, რომლებიც მიეკუთვნება ძნელადმოსანელებელს [8]. ამასთან, დაშლისას წარმოიქმნება ბაქტერიების ცხოველმყოფელობისთვის აუცილებელი ეგზოფერმენტები, ხოლო pH-ის კლების დინამიკა მიუთითებს პროდუქტში რძემჟავას დაგროვებაზე[3]. ასეთ სასტარტო კულტურებს მიეკუთვნება პროპიონმჟავა ბაქტერიები და ბიფიდობაქტერიები. ამ უკანასკნელთა მნიშვნელობა არის ისიც, რომ ხასიათდება ანტაგონისტური აქტივობითა და ტოქსიკური მეტაბოლიტების დაშლის უნარით, აგრეთვე, მრავლდება რა ანაერობულ პირობებში, აგროვებს არომატულ ნაერთებს, რაც მეტად მნიშვნელოვანია ძეხვეულის წარმოებაში.

ზოგიერთი მიკროორგანიზმი, მაგ., *Lactobacillusalternates* ხელს უწყობს ნახევრად შებოლილი და შებოლილი ძეხვეულის ფერის სტაბილიზებას [9].

ხორცპროდუქტების წარმოებაში მეორე ბიოტექნოლოგიური მიმართულებაა ხორცის დელიკატესების დამზადებისას ფერმენტების შემცველი მრავალკომპონენტიანი დამმარილებელი ნარევების გამოყენება.საქმე ის არის, რომ სწორად შერჩეული ნარევი ერთდროულად მოქმედებს ხორცში მიმდინარე ოსმოსურ, დიფუზიურ და ბიოქიმიურ პროცესებზე, რაც იძლევა წინასწარ განსაზღვრული სტრუქტურულ-მექანიკური და მაღალი ხარისხის მზა ნაწარმის მიღების საშუალებას [10, 11,].

მომხმარებლებში სულ უფრო პოპულარული ხდება კომბინირებული ხორცპროდუქტების წარმოება, რომელთა დამზადების მოდელი ითვალისწინებს ფარშში მრავალი სახის დანამატის, მათ შორის, ამინომჟავების, ენერგეტიკული ნივთიერებებისა და სხვათა. გამოყენებას. ეს ნივთიერებები, თავის მხრივ, უზრუნველყოფს მზა ნაწარმის სენსორული თვისებების, ყუათიანობისა და ბიოლოგიური სრულფასოვნების გაუმჯობესებას.

ბიოტექნოლოგიური მეთოდები, რომლებიც გარდა ახალი, უფრო ეფექტური საკვებით მომხმარებელთა უზრუნველყოფისა, საშუალებას იძლევა გადაიჭრას ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემები, როგორებიცაა ადამიანის ჯანმრთელობისა და მისი საარსებო გარემოს დაცვა;

ისტორიულად, სორცპროდუქტების დამზადებისას ისეთი საკვებდანამატებით, როგორებიცაა: სუფრის მარილი, ნატრიუმის ნიტრიტი, ნატრიუმის ასკორბატი, ნატრიუმის გლუტამინატი, მჟავე და ნეიტრალური ფოსფატები, სანელებლები და სხვა გამოიყენებოდა ოდითგანვე. დღეისათვის მათი ჩამონათვალი რამდენიმე ასეულამდე გაიზარდა; შემოთავაზებული საკვებდანამატები წარმოადგენს ბუნებრივ, ბუნებრივის ანალოგიურ, ან ხელოვნური სინთეზით მიღებულ ნივთიერებებს, და ხორცპროდუქტების რეცეპტურაში მათი ჩართვის მიზანია: 1. ნედლეულის ორგანოლეპტიკური და ფიზიკურ-ქიმიური თვისებების გაუმჯობესება, 2. პროდუქტის დამზადების ტექნოლოგიური პროცესის, ან მისი ცალკეული ოპერაციის გაიოლება, 3. მზა ნაწარმის გამოსავლიანობის გაზრდა, 4. მისი სტრუქტურისა და იერ-სახის გაუმჯობესება 5. შენახვის პერიოდის გახანგრძლივება და სხვ. ყველა მათგანი კოდირებულია სიმბოლოთი "E", დაჯგუფებულია დანიშნულების მიხედვით და მიკუთვნებული აქვს რიგითი ნომერი.დღეს მათი რაოდენობა ათასობით განისაზღვრება.

საქართველოს კანონმდებლობით [12,13] ტერმინი "საკვებდანამატი" განმარტებულია როგორც ნივთიერება, რომელიც ჩვეულებრივ პირობებში არ

გამოიყენება სურსათად, მაგრამ ემატება სურსათს წარმოების, გადამუშავებისა და შენახვისას. ნებისმიერ შემთხვევაში, მათი დამატება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც ისინი არ უქმნის საფრთხეს ადამიანის ჯამრთელობას და არ გროვდება ორგანიზმში, აგრეთვე კონკრეტული პროდუქტის დამზადებისას, თუ სხვა გზით შეუძლებელია ტექნოლოგიური ამოცანის გადაწყვეტა.

ხორცის გადამამუშავებელი საწარმოების მიერ საკვებდანამატების გამოყენების კიდევ ერთი აუცილებლობა განპირობებულია ძირითადი ნედლეულის ჭარბი იმპორტით და ხასიათდება არაერთგვაროვანი ფიზიკურ-ქიმიური თვისებებით, აგრეთვე დაბალი ხარისხით. მაგალითად, ძეხვეული, ლორი, ნახევარფაბრიკატები და სხვა ხორცპროდუქტები მზადდება გაყინული ხორცისაგან, რომელიც სიცივით დამუშავებისას და შემდგომი შენახვისას განიცდის შეუქცეველ ცვლილებებს, კარგავს რა ახალი, გაცივებული და მომწიფებული ხორცისთვის დამახასიათებელ ფიზიკურ-ქიმიურ თვისებებს, მათ შორის, ტენის შებოჭვისა და მეორეული სტრუქტურების წარმოქმნის უნარს. გარდა ამისა, საკვებდანამატების ფართო სპექტრის რეცეპტურაში ჩართვა საშუალებას იძლევა კონკრეტული სოციალური და ფიზიოლოგიური ჯგუფის ადამიანების ორგანიზმის მოთხოვნილების შესატყვისი კონკურენტუნარიანი სასურსათო პროდუქტების წარმოების საშუალება.

საკვებდანამატების უვნებლობის საკითხი მეტად საყურადღებო და მნიშვნელოვანი პრობლემაა. გადასაწყვეტია განისაზღვროს ადამიანის ორგანიზმის რეაქცია დანამატის დოზაზე (კონცენტრაციაზე). აგრეთვე მკაცრად დასადგენია მათი რაოდენობის ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები.

დაბოლოს, საკვებდანამატების გამოყენებით ხორცპროდუქტების დამზადების მრავალი საკითხი ჯერ კიდევ დამუშავების ან აპრობაციის სტადიაშია და, ამდენად, წარმოების ინოვაციური ტექნოლოგიური სქემები, ცალკეულ შემთხვევაში, საჭიროებს დაზუსტებას.

ჩვენ მიერ დამუშავებულია მოდელი, რომლის თანახმად შემოთავაზებულია კონსერვანტებად მცენარეული საკვებდანამატები, რომლებიც ხასიათდება მსგავსი მოქმედებით და პრაქტიკულად არ ავლენს უკუჩვენებებს.

### გამოყენებული ლიტერატურა:


1.http://www.fao.org/publications/ru/?page=3&ipp=4&no_cache=1&tx_dynalist_pi1[par]=YToxOntzOjE6IkwiO3M6MToiNyI7fQ== (Мониторинг продовольственной безопасности и питания в поддержку осуществления повестки дня в области устойчивого развития на период до 2030 года,23.06.2019);

2. Соловьева А. А., Зинина О. В., Ребезов М. Б. Особенности использования стартовых бактериальных культур в производстве мясопродуктов. Техника и технология пищевых производств: Материалы IX международной научно- технической конференции (25–26 апреля, 2013 г), Могилев, 2013;

3. Машенцева Н. Г. ,Хорольский В. В. Функциональные стартовые культуры в мясной промышленности.Москва, ДеЛи принт, 2008;

4. Berdague I., Montel M., Talon R. Influence of starter cultures on the volative content and aroma of dry sausage // Proccedeedinas of 38th ICOMST. -Clermont ferrand, 1992;

5. Думин М. В., Потапов К. В., Ярмонов А. Н. Стартовые культуры для мясных деликатесов. Мясная индустрия, 2002;

6. Рогов И. А., Титов Е. И., Нефедова Н. В, Семенов Г. В., Рогов С. И.Синбиотики в технологии продуктов питания. Монография , М., МГУПБ, 2006;

7. Ханхалаева И. А. Научные основы биотехнологии мясных продуктов с использованием пробиотических микроорганизмов. Автореферат диссертации на соискание ученой степени доктора технических наук, Улан-Удэ, 2006.

8. Cheng C., Nagasawa T. Growth stimulans for bifidobacteria produced by Lactobacillus casei..New strateg. Improv. Hum. weelfare. World conf. Anim. Tokyo, 1983;

9. Benezet A., De la Osa J., Olmo N., Flores F. Lactobacillus alternates del color en embutidos crudos curados.Alimentaria. 1997 - 35, № 288;

10. Бибишев, Р. А. Совершенствование технологии производства мясных продуктов с применением ферментного препарата протепсин. Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата технических наук, Воронеж, 2007;

11. Ильина Н.М., Куцова А.Е., Буйленко Ю.С., Фомина Т.Ю. Применение методов биотехнологии в мясной промышленности. Вестник ЮУрГУ. Серия «Пищевые и биотехнологии», 2017, т. 5, № 3;

12.საქართველოს კანონი: სურსათის/ცხოველთა საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1659434?publication=13 (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 22.05.2019);

13. ლაფერაშვილი ქ., ქუჩუკაშვილი ზ., სურსათის უვნელობა და ხარისხი, თბილისი 2011;

# საზღვაო პორტებში სამუშაო პროცესების ეფექტიანობის შეფასება


***თინათინ გეგენავა***
*სტუ დოქტურანტი*
***გიორგი ცეცხლაძე***
*სტუ დოქტურანტი*
***რევაზ ველიჯანაშვილი***
*სტუ პროფესორი*



## რეზიუმე

საზღვაო პორტების განვითარების და ორგანიზაციის საკითხები ეკონომიკურ მეცნიერებაში ერთ-ერთ ყველაზე შეუსწავლელ საკითხადაა მიჩნეული მთელი მსოფლიოს მასშტაბით. საქართველოს პორტებში თითქმის არ გამოიყენება დაგეგმვისა და მართვის მეცნიერების უახლოეს მიღწევებზე დაფუძნებული მეთოდები, შესაბამისად ნავმისადგომებში ტვირთების დამუშავება არარითმულ ხასიათს ატარებს, ამავე დროს იზრდება ტვირთნაკადების დამუშავების ღირებულებაც.

საზღვაო პორტების ეფექტიანობის შეფასებისათვის, საკითხის კვლევისადმი გამოკვეთილია ორმხრივი მიდგომა. სახელმწიფოს პოზიციებიდან ეფექტიანობას ვაფასებთ გადაზიდული ტვირთების მოცულობით და პორტებში დასაქმებულთა რიცხოვნობით.

საზღვაო ტრანსპორტის ეფექტიანობა მნიშვნელოვნად განპირობებულია პორტების რიტმული დატვირთვის უზრუნველყოფით. ხშირია შემთხვევები, როცა დატვირთვა გადატვირთვის მოცულობა დროის მოკლე მონაკვეთებში სწრაფად იზრდება, ხოლო დროის უმეტეს მომენტებში პორტები თითქმის უფუნქციოდაა.


## ASSESSMENT OF WORKING PROCESSES EFFECTIVENESS IN SEA PORTS


**Tinatin Gegenava**
PhD of GTU
**Giorgi Tsetskladze**
PhD of GTU
**Revaz Velijanashvili**,
Professor of GTU



## RESUME

The issues of marine ports development and organization are one of the most unpredictable issues in economic science worldwide, especially for the maritime ports of Georgia. Therefore, in the ports of Georgia almost are not applied methods based on the latest achievements of planning and management sciences, and therefore the cargo handling in the harbors has not rhythmic character, at the same time is increasing the cost of cargo handling.

A bilateral approach is revealed in researching the issue of assessing the efficiency of marine ports. We estimate efficiency from the position of the state with the volume of freight cargo and ports by the number of employees.

The efficiency of maritime transport is largely provided due to the rhythmic loading of ports. There are frequent cases where the load reset volume increases rapidly in short-term periods of time, and in most moments the ports are almost out of functions.


## შესავალი

საქართველო მდებარეობს მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან და რთულ გეოპოლიტიკურ რეგიონში, დიდი აბრეშუმის გზის საკვანძო ადგილზე, რომელიც ისტო-რიულად უდიდეს როლს თამაშობდა ევროპისა და აზიის განვითარებასა და ურთიერთობებში.

''ახალი აბრეშუმის გზის'' სატრანზიტო დერეფანში ტვირთნაკადები მნიშვნელოვანად გა–აქტიურდა, ჯერ კიდევ სრულად არ არის ათვისებული აღნიშნული დერეფნის პოტენციური შესაძლებლობები. აღნიშნული პოტენციალის სრულფასოვანი რეალიზაცია მჭიდრო კავშირშია იმ ინსტიტუციური, სტრუქტურული და სტრატეგიული გამოწვევების ეფექტიან გადაჭრასთან, რომელთა მოუგვარებლობის გამო, ''ახალი აბრეშუმის გზის'' სატრანზიტო დერეფანი ნაკლებად კონკურენტუნარიანია ალტერნატიულ დერეფნებთან შედარებით.

ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის შესაბამისად, საქართველოს აქვს შესაძლებლობა ნახსენებ სატრანზიტო დერეფანში შეასრულოს საკვანძო ფუნქცია, მოახდინოს საკუთარი სატრანსპორტო-ლოჯისტიკური სისტემის სიღრმისეული ინტეგრაცია საერთაშორისო ლოჯისტიკურ სისტემებში და ამით ხელი შეუწყოს ქვეყნის საერთო ეკონომიკურ განვითარებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - „საქართველო 2020“ - განსაზღვრავს სატრანზიტო პოტენციალის მაქსიმალური გამოყენების მიზნით განსახორციელებელი პოლიტიკის შემდეგ მიმართულებებს:

ა) სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სრულყოფა და ლოჯისტიკური ცენტრების განვითარება;

ბ) ინვესტიციების ხელშეწყობა ენერგეტიკის, ტრანსპორტის და ლოჯისტიკის სფეროში, სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის გაძლიერება;

გ) კონკურენტული გარემოს ფორმირება და ინფორმაციული სისტემების განვითარება;

დ) საერთაშორისო და რეგიონულ სატრანსპორტო სისტემებში ინტეგრაცია.

საქართველოს ეკონომიკაში საზღვაო ტრანსპორტს სტრატეგიულად უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ფოთის, ბათუმისა და ყულევის პორტები. მათი მეშვეობით საქართველოზე გამავალი ტრანზიტული ტვირთები გადაიზიდება, ვარნას, კონსტანცას, ნოვოროსისკის, ოდესისა და სტამბულის პორტების მიმართულებით.

**ფოთის პორტი** საქართველოს პირველი ნავსადგურია. 1889-1905 წლებში ორჯერ მოხდა პორტის ფორმირება და დღეს ის TRACECA-ს უმნიშვნელოვანეს შემაერთებელ რგოლს წარმოადგენს. ამჟამად, ნავსადგური 2650 მეტრის სიგრძისაა და 14 ნავმისადგომს აერთიანებს. ტვირთის ტრანსპორტირებისთვის საჭირო პირობები მორგებულია როგორც მშრალი, ისე თხევადი ტვირთების გადასაზიდად. ფოთის პორტში მშრალი და თხევადი ტვირთების ტვირთბრუნვა შეადგენს დაახლოებით – 600,000 TEU-ს, არსებული ნავმისადგომის მთლიანი სიგრძე 2,900 მეტრს შეადგენს, სადაც 20-ზე მეტი საპორტო ამწეა განლაგებული.

**ბათუმის პორტი,** ფოთის ნავსადგურის მსგავსად, ამუშავებს თხევად და მშრალ ტვირთებს, რომლის გამტარუნარიანობა დღეს 15 მლნ. ტონას შეადგენს და მისი 28 მლნ ტონამდე გაზრდა მოსალოდნელია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბათუმის საკონტეინერო ტერმინალის გამტარუნარიანობა წელიწადში 100 000 TEU-ს შეადგენს. მშრალი ტვირთების ტერმინალის მაქსიმალური გამტარუნარიანობა წელიწადში 2,0 მილიონი ტონაა. ბათუმის ნავთობტერმინალი ყაზახეთის პირველი სტრატეგიული კაპიტალდაბანდებაა შავ ზღვაზე. ტერმინალი უზრუნველყოფს ნავთობისა და ნავთობ–პროდუქტების გადატვირთვის მომსახურებას ყაზახეთიდან, აზერბაიჯანიდან, თურქმენეთიდან, საქართველოდან და სხვა ქვეყნებიდან. ბათუმის ნავთობტერმინალს ნავთობი საქართველოს რკინიგზის მეშვეობით, ვაგონ-ცისტერნებით მიეწოდება, რომელთა დაცლა თანამედროვე სარკინიგზო ესტაკადებზე ხორციელდება. ნავთობტერმინალის გამტარუნარიანობა წელიწადში 15 მლნ ტონამდე ნავთობს შადგენს. ბათუმის ნავთობტერმინალზე მოქმედებს 7 ნავთობჩამოსასხმელი სარკინიგზო ესტაკადა, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია ერთდროულად 194 ვაგონცისტერნის ან დღე-ღამეში 770-ზე მეტი ვაგონ-ცისტერნის დაცლა.

**ყულევის საზღვაო ტერმინალის** გამტარუნარიანობა - წელიწადში 10 მლნ ტონამდე ნავთობ–პროდუქტის გადატვირთვის საშუალებას იძლევა, აქედან: 3 მლნ ტონა ნავთობის, 3 მლნ ტონა დიზელისა და 4 მილიონი ტონა მაზუთის. სარეზერვუარო პარკის მთლიანი მოცუ–ლობა 320 ათასი კუბური მეტრია, 380 ათას ტონამდე გაზრდის პოტენციალით. ნავთობპროდუქტების ჩამოსხმის მწარმოებლურობა საათში 1000-დან 8000-მდე კუბურ მეტრს შეადგენს.15 2010 წლის ივლისიდან ყულევის პორტმა ყაზახური ნავთობის გადაზიდვა დაიწყო. ამ პროექტის რეალიზაციისათვის, რომელიც დიდტონაჟიანი ტანკერების (100 000 ტონაზე მეტი ტვირთამწეობის) მომსახურების აუცილებლობასთან იყო დაკავშირებული, პორტმა განახორციელა ფსკერის დაღრმავების სამუშაოები. 2012 წლის ივლისში კი ნავთობ–ტერმინალში არსებული პროპილენის გადასატვირთი ახალი კომპლექსის მეშვეობით, ყულევის ტერმინალით ქიმიური პროდუქციის გადატვირთვაც გახდა შესაძლებელი. სატრანსპორტო დარგების მიერ გადაზიდული ტვირთების საერთო მოცულობის ტრენდს თუ გადავხედავთ, 2014 წლიდან დღემდე, ტრენდი კლებადია. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად მცირდება საზღვაო პორტებსა და ტერმინალებში (იხ. გრაფიკები).

საქართველოს საზღვაო პორტების ძირითადი კონკურენტები ტრანზიტულ ტვირთებზე რუსეთის და უკრაინის შავი ზღვის პორტებია, რომელთა უმეტესობას შედარებით უკეთესი ბუნებრივი პირობები გააჩნია ნავმისადგომთა სიღრმის გამო, მაგრამ საქართველოს პორტებს შეუძლიათ მომხმარებლისათვის უკეთესი სერვისული მომსახურეობის შეთავაზება. საქართველოს პორტებში თითქმის არ გამოიყენება დაგეგმვისა და მართვის მეცნიერების უახლოეს მიღწევებზე დაფუძნებული მეთოდები, შესაბამისად ნავმისადგომებში ტვირთების დამუშავება არარითმულ ხასიათს ატარებს, ამავე დროს იზრდება ტვირთნაკადების დამუშავების ღირებულებაც. ამ საკითხების გადაწყვეტა საქართველოს საზღვაო პორტების კონკურენტუნარიანობის ამაღლების ერთ-ერთი მიმართულებაა.

საზღვაო პორტებიში სამუშაო პროცესების (ტვირთნაკადების დამუშავების, დატვირთვა გადმოტვირთის, ტვირთების დასაწყობების, და სხვა), ეფექტიანობის შეფასებისათვის, საკითხის კვლევისადმი გამოკვეთილია ორმხრივი მიდგომა. სახელმწიფოს პოზიციებიდან ეფექტიანობას ვაფასებთ გადაზიდული ტვირთების მოცულობით და პორტებში დასაქმებულთა რიცხოვნობით. ხოლო პორტების, როგორც ორგანიზაციული სტრუქტურის ეფექტიანობა შეფასებულია ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური პარამეტრებითა და ინვე–სტიციების განხორციელების შედეგებით.













## დასკვნა

საქართველოს საზღვაო პორტების სისტემა დღეისათვის წარმოდგენილი ორი მსხვილი - ბათუმის და ფოთის, აგრეთვე სუფსისა, ანაკლიის და ყულევის შედარებით მცირე ნავსად–გურებით, ისინი ძირითადად აკმაყოფილებს საქართველოს სატრანზიტო და ადგილობრივი ტვირთების მიღების და გადამუშავების ამოცანებს. თუმცა ბათუმის ნავსადგურში ზოგჯერ გემებს ნავმისადგომების დაკავების გამო, უხდებათ რეიდზე ლოდინი რამდენიმე დღის განმავლობაში, რაც ერთის მხრივ ზრდის გემის მომსახურეობის პერიოდს, მეორეს მხრივ გემები, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში, დიდი რისკის ქვეშ ექცევიან მოსალოდნელი უამიდობის გამო აღნიშნულისათვის მიგვაჩნია: ბათუმის პორტში დაინერგოს გემების მომსახურეობის გრაფიკული და ავტომატური მართვის სისტემა მათი მოსალოდნელი შემოსვლის, მათგან მიღებული ინფორმაციის და ნავმისადგომის სიმძლავრის გათვალისწინებით. ასეთი სისტემის გარკვეული ელემენტები რა თქმა უნდა დანერგილია ბათუმის პორტში, მაგრამ მათი არასრულყოფილების გამო, ვერ ხერხდება სამუშაოთა და მომსახურეობის ისეთი დაგეგმვა, რომ მივაღწიოთ პორტის სიმძლავრის მაქსიმალურ გამოყენებას.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. იხ. ფოთის საზღვაო პორტის ოფიციალური საიტი. http://www.potiseaport.com/. გადამოწმებული 12.01.2016 წელს.

2. იხ. ბათუმის საზღვაო პორტის ოფიციალური საიტი. http://www.batumiport.com/. გადამოწმებული 12.01.2016 წელს.

3. საქართველოს მთავრობა „ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2012-2015 წლებისათვის“. (გადამუშავებული ვარიანტი). თბილისი, 2011. გვ.23.

4. რადიო „კომერსანტი, FM 95,5. 2015-03-09 09:18:02. საიტიდან: https://www.google.ge/#q=ტვირთბრუნვის+პროგნოზი&hl=ka&prmd=imvns&ei=wAauT46AA6_44QSGk_G.გადამოწმებულია 20.05.2015.

5. Савченко-Бельский, В.Ю. “Теория и методология управления экономическими рисками транспортных предприятий”, М., 2008

# დატვირთვა გადმოტვირთვის მოწყობილობების მუშაობის ხანგამძლეობისა და ეკოლოგიურობის ამაღლება ეფექტური შემზეთი მასალების გამოყენებით

*გიორგი ცეცხლაძე*
*სტუ დოქტორანტი*
*თინათინ გეგენავა*
*სტუ დოქტორანტი*
*რევაზ ველიჯანაშვილი*
*სტუ პროფესორი*
*დათო ფრიდონაშვილი*
*სტუ პროფესორი*

**რეზიუმე**

გემებზე არსებულ დატვირთვა გადმოტვირთვის (დ/გ) მოწყობილობებისათვის გამოიყენება მრავალი სახეობის შემზეთი მასალები: ზეთები, საცხები და ა.შ. რომლებიც განაპირობებენ მათ ენერგეტიკული დანიშნულების გაზრდას. აღნიშნულს თან ერთვის, საწვავისგაზრდა. ზემოთ აღნიშნული ხაზს უსვამს საზღვაო გადაზიდვების ეკოლოგიური პრობლემის აქტუალობას თანამედროვე მსოფლიოში. ნაშრომში ყურადღება გამახვილებული იქნება სატვირთო გემის დ/გ–ის მოწყობილობების ხანგამძლეობისა და ეკოლოგიურობის ამაღლებაზე მაღალეფექტური შემზეთი მასალების გამოყენებით.

შემზეთი მასალების გამოყენებით დ/გ მოწყობილობების ძალური აგრეგატების კვანძების ეკოლოგიურობის ამაღლება მიიღწევა მათი შემადგენლობის შერჩევით, დანამატების გამოყენებით. ზეთების თვისებებისადმი წაყენებული მოთხოვნებიდან უმეტესობა არაპირდაპირ ეხება დ/გ მოწყობილობების ძალური აგრეგატების კვანძების ეკონომიურობასა და ეკოლოგიურობას,ასევე აუმჯობესებს დ/გ მოწყობილობების ძალოვან აგრეგატების მუშაობას და საიმედეობას.

## INCREASE OF DURABILITY AND ECOLOGICAL COMPATIBILITY OF HANDLING DEVICES OPERATION USING EFFICIENT LUBRICATING MATERIALS

**Tinatin Gegenava,** GTU doctorant
**Giorgi Tsetskladze,** GTU doctorant
**Revaz Velijanashvili,** Professor of GTU
**David Fridonashvili,** Professor of GTU

**RESUME**

For existing on the ships handling devices are used a variety of lubricant materials: oils, lubricants, etc that will increase their energy destination. The mentioned is accompanied by increased fuel consumption.

The above mentioned emphasizes the importance of the environmental problem of maritime transport in the modern world. In this paper, attention is focused on improving the durability and environmental friendliness of the handling equipment of a cargo ship using lubricants.

With the use of lubricants, improving the environmental performance of power aggregates unit's of handling devices can be achieved by selecting their composition, using additives. Most of the requirements imposed on the properties of oils are indirectly related to the efficiency and environmental friendliness of power aggregates unit's, as well as to the improvement of the performance and reliability of handling devices power aggregates unit's.

**საკვანძო სიტყვები:** დატვირთვა გადმოტვირთვა (დ/გ); გემის დ/გ–ის მოწყობილობები; საზღვაო გადაზიდვების ეკოლოგიური პრობლემები;მაღალეფექტური შემზეთი მასალები.

## შესავალი

ტრანსპორტი არის იმ საშუალებათა ერთობლიობა, რომელთა დანიშნულება ადამიანების, ტვირთის და ინფორმაციის ერთი ადგილიდან მეორეში გადატანაა. განასხვავებენ მიწისზედა, წყლის და საჰაერო ტრანსპორტს. მიწისზედა ტრანსპორტში იგულისხმება სარკინიგზო, საავტომობილო და მილსადენი ტრანსპორტი. წყლის ტრანსპორტში - საზღვაო და სამდინარო, საჰაეროში - საავიაციო ტრანსპორტი. აღსანიშნავია, რომ საზღვაო გადაზიდვები ეკოლოგიურ პრობლემებთანაა დაკავშირებული, რაც თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს პრობლემად იქცა. ის თანამედროვე მეცნიერულ-ტექნოლოგიური მიღწევების პარალელურად იზრდება. სწორედ ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ გლობალურ ეკოლოგიურ პრობლემას წარმოადგენს საზღვაო გადაზიდვების ეკოლოგია. როგორც ვიცით გემებზე არსებულ დატვირთვა გადმოტვირთვის (დ/გ) მოწყობილობებისათვის გამოიყენება მრავალი სახეობის შემზეთი მასალები:ზეთები, საცხები და ა.შ, რომლებიც განაპირობებენ

მათ ენერგეტიკული დანიშნულების გაზრდას, რაც იწვევს საწვავის გაზრდას.

ზემოთ აღნიშნული ხაზს უსვამს საზღვაო გადაზიდვების ეკოლოგიური პრობლემის აქტუალობას თანამედროვე მსოფლიოში. ნაშრომში ყურადღება იქნება გამახვილებული სატვირთო გემის დ/გ–ის მოწყობილობების ხანგამძლეობისა და ეკოლოგიურობის ამაღლებაზე მაღალეფექტური შემზეთი მასალების გამოყენებით.

## შემზეთი მასალების გავლენა დ/გ მოწყობილობების ძალოვანი აგრეგატების ეკოლოგიურობაზე

**ძრავის (მოტორული) ზეთები**

ძრავის ზეთების თვისებებისადმი წაყენებული მოთხოვნებიდან უმეტესობა არაპირდაპირ ეხება დ/გ მოწყობილობების ძალური აგრეგატების კვანძების ეკონომიურობასა და ეკოლოგიურობას. მაგალითად, ზეთების მცირე სიბლანტე, მაღალი სიბლანტე, ტემპერატურული და დაბალტემპერატურული თვისებები, მათთან შერწყმულ ანტიფრიქციულ და ცვეთასაწინაღმდეგო თვისებებთან ერთად, უზრუნველყოფენ მცირე ენერგეტიკულ დანაკარგებს და ამით საწვავის ეკონომიას აგრეგატების გაშვებისა და საექსპლუატაციო რეჟიმებზე მუშაობის დროს; დაბალი აორთქლებადობა და მცირე ხარჯი უზრუნველყოფს ზეთის ეკონომიას. ერთდროულად მაღალი ჟანგვასაწინაღმდეგო და გამრეცხი თვისებები განაპირობებს ნაკლები რაოდენობის ნადების (ნალექის) წარმოქმნას. მაღალი ანტიკოროზიული თვისებები და კერძოდ, ტუტიანობა, ამცირებს კოროზიულ ცვეთას და ა.შ. აღნიშნული ჯამში განაპირობებს დ/გ მოწყობილობების ძალური აგრეგატების კვანძების მიერ გარემოს გაჭუჭყიანების შემცირებას, შესაბამისად, საწვავის და ზეთის ხარჯის, ჰაერში ზეთის ორთქლის გამოყოფის, ძრავის გამონაბოლქვი აირების კვამლიანობისა და ტოქსიკურობის შემცირებისა და ზეთების გამოცვლის ვადების გაზრდის გზით.

მოტორული ზეთების თვისებები, მათი დ/გ მოწყობილობების ძალური აგრეგატების კვანძების ეკოლოგიურობაზე გავლენის თვალსაზრისით, შეიძლება დაიყოს თვისებებად:

– რომლებიც გავლენას ახდენს ძალური აგრეგატების ენერგეტიკულ დანაკარგებზე; – რომლებიც გავლენას ახდენს ძალური აგრეგატების შეზეთვის მუშაობის უნარიანობის ცვლილებაზე; – რომლებიც გავლენას ახდენს ნამუშევარი ზეთების უტილიზირებისა და რეგენერაციის მოხერხებულობაზე;

დ/გ მოწყობილობების ძალური აგრეგატების კვანძების ეკოლოგიურობის ამაღლება მიიღწევა მათი შემადგენლობის შერჩევით, დანამატების გამოყენებით და სხვა.

## დ/გ მოწყობილობების ძალოვანი აგრეგატების ენერგეტიკული დანაკარგების შემცირება და ეკოლოგიურობის ამაღლება

დ/გ მოწყობილობების ძალოვანი აგრეგატების შემზეთი და მოტორული ზეთების ფიზიკურ-ქიმიური და საექსპლუატაციო თვისებების მაჩვენებლებისადმი სათანადო სტანდარტებით წაყენებული მოთხოვნების თანახმად, დ/გ მოწყობილობების ძალოვანი აგრეგატე ბით წაყენებული მოთხოვნების თანახმად, დ/გ მოწყობილობების ძალოვანი აგრეგატების საწვავეკონომიურობაზე და შესაბამისად, მის ეკოლოგიურობაზე გავლენის თვალსაზრისით ერთ-ერთი უპირველესი და უმნიშვნელოვანესია ე. წ. რეოლოგიური მაჩვენებლები-კინემატიკური სიბლანტე $100^0C$-ზე, $0^0C$-ზე და მიზნობრივად შერჩეულ უარყოფით ტემპერატურებზე; დინამიკური სიბლანტე (ძირითადად უარყოფითი ტემპერატურისას) და სიბლანტის ინდექსი, რომლებიც ანტიფრიქციული თვისებების მაჩვენებლებთან ერთად განსაზღვრავენ ენერგეტიკულ დანაკარგებს დ/გ მოწყობილობების ძალო-ვან აგრეგატებში, შესაბამისად შიდა და გარე ხახუნზე.

საწვავის ეკონომია ძირითადად მიიღწევა ზეთების რეოლოგიური მახასიათებლების ამაღლებით ან მათში სპეციალური დანამატების – ხახუნის მოდიფიკატორების შეტანით, რაც უზრუნველყოფს შიდა და გარე ხახუნზე ძალოვან აგრეგატებში, სიმძლავრის დანაკარგების შემცირებას მისი სხვადასხვა რეჟიმზე მუშაობისას.

დ/გ მოწყობილობების ძალოვან აგრეგატებში ენერგიის დანაკარგების 10% მოდის ხახუნზე. აქედან, დახლოებით 7% იხარჯება ძრავში ხახუნის დაძლევაზე. შიდაწვის ძრავში დანაკარგები მოდის დგუშსა და ცილინდრის მასრას შორის ხახუნზე. ამ ზონაში ხახუნით განპირობებულია კარბურატორიან და დიზელის ძრავებში ჯამური მექანიკური დანაკარგების 65-70%. ვარაუდობენ, რომ შიდაწვის ძრავებში სიმძლავრის დანაკარგების 2/3 მოდის თხევად, ხოლო 1/3 – ელასტოჰიდრო დინამიკურ და ზღვრულ ხახუნზე.

საწვავის ხარჯი თითქმის სწორხაზოვნად იზრდება ძრავის ზეთის სიბლანტის გაზრდისას. შესაბამისად, მაღალი სიბლანტის მქონე ზეთებიდან დაბალი სიბლანტის ზეთებზ გადასვლა განაპირობებს ხახუნზე სიმძლავრის დანაკარგების და აქედან გამომდინარე, საწვავის ხარჯის შემცირებას. ხახუნის მომენტი დამოკიდებულია არა მარტო ზეთის სიბლანტეზე, არამედ მის შემადგენილობაზეც. მაგალითად, შიდაწვის ძრავში პოლიმერებით შესქელებული ზეთებისათვის (რომელთა სიბლანტე $100^0C$-ზე 7-30 $მმ^2$/წმ-ის ფარგლებშია) ხახუნის მომენტის სიდიდე მნიშვნელოვნად ნაკლებია, ვიდრე ასეთივე სიბლანტის მქონე შეუსქელებელი ზეთებისათვის. ეს აიხსნება მაღალი ძაბვების პირობებში შესქელებული ზეთების სიბლანტის

შექცევადი შემცირებით. ეს ეფექტი განსაკუთრებით მაღალია გარემო ჰაერის დაბალი ტემპერატურების დროს.

დ/გ მოწყობილობების ძალოვანი აგრეგატების იმ კვანძებში, სადაც უპირატესად რეალიზდება ზღვრული შეზეთვის რეჟიმი. არსებული მონაცენების თანახმად, ამ დროს ხახუნის კოეფიციენტის 24-50%-ით შემცირება, განსაზღვრულ პირობებში საწვავის ხარჯს საშუალოდ 0,7-2,7%-ით ამცირებს.დ/გ მოწყობილობების ძალოვან აგრეგატებში ზეთების ანტიფრიქციული ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთი ყველაზე რაციონალური გზაა მათ შედგენილობაში სპეციალური დანამატებისხახუნის მოდიფიკატორების შეტანა. იგი აუმაუმჯობესებს ზეთების ანტიფრიქციულ, აგლეჯა და ცვეთასაწინაღო თვისებებს, მათ შორის, მაღალ სამუშაო ტემპერატურებზეც.

მოდიფიკატორების ძირითადი დანიშნულებაა ზღვრული და ელასტოჰიდროდინამიკური შეზეთვის რეჟიმებზე მომუშავე ხახუნის კვანძებში სიმძლავრის დანაკარგებისა და საწვავის საექსპლუატაციო ხარჯის შემცირება. ყველაზე გავრცელებული ხახუნის მოდიფიკატორებია კოლოიდური დისპერსიები და ზეთში ხსნადი ნაერთები.

პირობითი კლასიფიკაციის მიხედვით, კოლოიდური დისპერსიები მიეკუთვნება მეორე თაობის ანტიფრიქციულ დანამატებს, ხოლო ზეთში ხსნადი ნაერთები – მესამე თაობისას.

საკმარისად ეფექტურ დანამატებად ითვლება კოლოიდური გრაფიტი და ნახშირბადის სხვა ალოტროპიული სახე-სხვაობები.

ბორშემცველი ტიპის მისართის "OLOA-9750" (რომელიც კალიუმის ბორატს წარმოადგენს) სხვადასხვა ფუნქციონალური დანიშნულების ზეთების გამოცდამ აჩვენა, რომ მისი მოქმედება მჟღავნდება არა ზეთში შეტანისთანავე, არამედ ექსპლუატაციის განსაზღვრული დროის შემდეგ.

საწვავის ხარჯის შემცირება, ასევე, შეიმჩნევა ძრავის ზეთში მოლიბდენის დისულფიდის შეტანისას. მოლიბდენის დისულფიდის კოლოიდური დისპერსიები გამოდის სავაჭრო მარკით - „მოლიკოტ", "მოლიკვანტ", "ეკომინ" და სხვა.

მოლიბდენის ზეთში ხსნადი ნაერთების ("მზხნ"), მაგალითად, „პფ-4"-ის ძრავის ზეთში შეტანისას საწვავის კუთრი ხარჯის შემცირებამ შეიძლება შეადგინოს 2,4-3,6%.

„მზხნ"-ის ტიპის მეორე მისართის ფრიქტოლის (ф-81) ძრავის ზეთებზე დამატება განაპირობებს ხახუნზე ენერგოდანაკარგების შემცირებას და ამით დ/გ მოწყობილობების ძალოვან აგრეგატებში ხარჯის შემცირებას. ამასთან ერთად, მისართის ეფექტიანობა მუშაობის ხანგრძლივობის, დატვირთვისა და სრიალის სიჩქარის (ლილვების ბრუნვის სიხშირის) გადიდებით იზრდება. თუმცა, ფრიქტოლისათვის დამახასითებელია მისი მოქმედების გარკვეული საინდუქციო პერიოდი, რომლის შემდეგ საწვავის ხარჯი სტაბილიზირდება გარკვეულ დონეზე.

შიდაწვის ძრავის ნამუშევარი აირების ტოქსიკურობაზე ფრიქტოლის გავლენის შესწავლამ აჩვენა, რომ მათში საშუალოდ 10 და 20%-ით მცირდება ნახშირჟანგისა და აზოტის ოქსიდების შემცველობა ზეთში 1% ფრიქტოლის შეტანით. ამასთან, გემის შიდაწვის ძრავიდან გამონაბოლქვი ტოქსიკური კომპონენტების საერთო რაოდენობაც შემცირდება, რამდენადაც ფრიქტოლი საწვავის ხარჯის 3-5% შემცირებასაც განაპირობებს. ასევე აუმჯობესებს დ/გ მოწყობილობების ძალოვან აგრეგატების მუშაობას და საიმედოობას.

### დ/გ მოწყობილობების ძალოვანი აგრეგატების მუშაობის საიმედოობის ამაღლება ზეთების მახასიათებლების მაჩვენებლების ნორმირებით

აღსანიშნავია, რომ ზეთის ერთ-ერთი მაჩვენებელი, ტუტიანობის რიცხვი ახასიათებს არა მარტო გოგირდის შემცველი ზეთების მიდრეკილებას მაღალტემპერატურული ნალექების წარმოქმნისადმი, არამედ ასეთი ზეთების უნარსაც შეამციროს კოროზიულ-მექანიკური ცვეთა, რაც დადებით გავლენას ახდენს დ/გ მოწყობილობების ძალოვანი აგრეგატების მუშაობის საიმედოობის ამაღლებაზე, ეკოლოგიურობაზე, საწვავის ხარჯის შემცირების, ასევე ზეთის მუშაობის ვადის გახანგრძლივების თვალსაზრისით.

საწვავებში გოგირდის შემცველობა ზრდის მათ კოროზიულ აგრესიულობას, წვის პროცესში გოგირდის ჟანგეულებისა და შემდგომში მათგან სათანადო მჟავების წარმოქმნის გამო, რაც ხელს უწყობს ძრავის დეტალების კოროზიას და კოროზიულ-მექანიკურ ცვეთას. გოგირდიანი ზეთის შემთხვევაში „რგოლი-ცილინდრი"–ს წყვილის ცვეთა უფრო ნაკლებია, ვიდრე უგოგირდო ზეთის გამოყენებისას.

დ/გ მოწყობილობების ძალოვან აგრეგატებში დეტალების კოროზიისა და მექანიკურ-კოროზიული ცვეთის შესამცირებლად ეფექტურად იყენებენ ჟანგვასაწინაღო ანტიკოროზიულ დანამატებს და ლითონის დეაქტივატორებს, ზოგჯერ კი ხახუნის მოდიფიკატორებსაც. ისინი, ჯამში, ხელს უშლიან მუშაობის პროცესში ზეთებში ზეჟანგების და მჟავების წარმოქმნას, რომელთაგან პირველნი განაპირობებენ ლითონურ ზედაპირზე ჟანგეულების, ხოლო მჟავები კი მათთან ზეთში უხსნადი მარილების წარმოქმნას.

ანტიკოროზიული დანამატები და ლითონის დეაქტივატორები, ასევე, ამცირებენ ლითონის ზედაპირებზე ზეთების კოროზიული მოქმედების ეფექტს და, შესაბამისად, ირიბად მოქმედებენ დ/გ მოწყობილობების ძალოვან აგრეგატების ეკოლოგიურობის ამაღლებაზე.

ზეთის ეკოლოგიურობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მაჩვენებლად შეიძლება მიჩნეული იქნეს

ფეთქვის ტემპერატურა, რაც ახასიათებს მის ხანძარსაშიშროებას და ამით გარემოზე მისი მავნე ზემოქმედების შესაძლებლობას. აღნიშნული ტემპერატურა ზეთების თითქმის ყველა მარკისათვის უნდა აღემატებოდეს $200^0$C-ს.

ზეთის ეკოლოგიურობას ასევე ახასიათებენ მაჩვენებლები ქაფწარმოქმნისადმი მიდრეკილება და შეთავსებადობა შემამჭიდროებელი დეტალების (საფენები, ჩობალები და ა.შ.) მასალებთან. ორივე შემთხვევაში სათანადო ნორმების დარღვევისას ზეთი ქაფის, ორთქლის ან თხევადი სახით შეიძლება მოხვდეს გარემოში (ნიადაგი, ჰაერი, წყალი) და დააბინძუროს იგი. ასეთ ვითარებაში მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო გაჭუჭყიანებას, არამედ ზეთის კომპონენტების ტოქსიკურობასაც. ასევე მნიშვნელოვანია ზეთის კომპონენტების შეთავსებადობა გამონაბოლქვი აირების ნეიტრალიზაციის სისტემის კატალიზატორებთან, რომლებთანაც შეხებაშია ისინი. შეუთავსებლობის ან ცუდი შეთავსებადობის შემთხვევაში, კატალიზატორების ეფექტიანობა მთლიანად ან ნაწილობრივ ეცემა, რაც გამოიწვევს ნამწვი აირებით გარემოს გაჭუჭყიანების გაზრდას.

**სატრანსმისიო ზეთები**

რამდენადაც სატრანსმისიო ზეთები გამოიყენება ისეთ აგრეგატებში, სადაც წვის პროცესი არ მიმდინარეობს, ისინი, ცხადია, ძრავის ზეთებისაგან განსხვავებით გავლენას ვერ მოახდენენ სამუშაო ნარევის წვის სისრულეზე და ნამწვის წარმოქმნაზე, ამიტომ, მათი გავლენა დ/გ მოწყობილობების ძალოვანი აგრეგატების ეკოლოგიურობაზე მოტორულ ზეთებთან შედარებით ნაკლებია, მაგრამ, თავისთავად, მაინც ანგარიშგასაწევია, რამდენადაც ისინი გავლენას ახდენენ შიდა და გარე ხახუნით გამოწვეულ ენერგეტიკულ დანაკარგებზე ტრანსმისიის აგრეგატებში, მათში ხმაურსა და ვიბრაციაზე, შემამჭიდროებელი დეტალების მასალების თვისებებზე. ამასთან, ზეთი თხევადი, ორთქლის ან ქაფის ფაზაში შეიძლება მოხვდეს გარემოში (ჰაერი, ნიადაგი, წყალი) აგრეგატების შემჭიდროვების ადგილების ჰერმეტულობის დარღვევის გამო ან მოხდეს მისი აალება. აღნიშნულიდან გამომდინარე, სატრანსმისიო ზეთს ერთდროულად უნდა ჰქონდეს შეძლებისდაგვარად დაბალი სიბლანტე, მაღალი სიბლანტე-ტემპერატურული, დაბალტემპერატურული, ანტიფრიქციული, მადემპფირებელი, ჟანგვასაწინალო, ანტიკოროზიული, ფეთქვასაწინალო თვისებები და მათი დიდი რესურსი. ასევე იგი არ უნდა იყოს ტოქსიკური და კანცეროგენული.

არსებული სტანდარტების მიხედვით, დ/გ მოწყობილობების ძალოვან აგრეგატებში სატრანსმისიო ზეთების ეკოლოგიურობის განმაპირობებელი თვისებების მაჩვენებლებიდან ნორმირებულია მხოლოდ სიბლანტე; ფეთქვის და გალაბვის ტემპერატურები; გოგირდის, ფოსფორის, წყლის და მჟავების შემცველობა; მიდრეკილება ქაფწარმოქმნისადმი.

## დ/გ მოწყობილობების ძალოვანი აგრეგატების ენერგეტიკული დანაკარგების შემცირება ტრანსმისიის აგრეგატებში და ეკოლოგიურობის ამაღლება

ზეთის სიბლანტესა და დ/გ მოწყობილობების ძალოვან აგრეგატებში–ტრანსმისიის აგრეგატებში სიმძლავრის დანაკარგებს შორის პირდაპირი კავშირია. რაც ნაკლებია სიბლანტე, მით ნაკლებია ენერგიის დანაკარგები შიდა ხახუნზე და შესაბამისად, ნაკლებია საწვავის ხარჯი. ეს კი შესაბამისად განაპირობებს გარემოს გაჭუჭყიანების შემცირებას.

უნდა აღინიშნოს, რომ დღეისათვის ტექნიკის, ნავთობ და ქიმიური მრეწველობის მიღწევები უკვე იძლევა საშუალებას დ/გ მოწყობილობების ძალოვან აგრეგატებში გამოყენებული იქნას დაბალი სიბლანტის სატრანსმისიო ზეთები, რამდენადაც ახალი თაობის დანამატები უზრუნველყოფენ მათ მაღალ შემზეთ თვისებებს, ხოლო შემჭიდროებათა მასალების გაუმჯობესება უზრუნველყოფენ - შემჭიდროებათა კვანძებიდან ზეთის დანაკარგების გამორიცხვას ან მაქსიმალურად შემცირებას.

დაბალსიბლანტიანი სატრანსმისიო ზეთების გამოყენების ეკოლოგიური ეფექტი შედარებით მაღალი იქნება დ/გ მოწყობილობების ძალოვან აგრეგატებში ექსპლუატირებისას გარემო ჰაერის დაბალი ტემპერატურის დროს. ასეთ პირობებში ყველაზე პერსპექტიულია ე.წ. შესქელებული ზეთების გამოყენება, რამდენადაც ზეთის შემსქელებელი დანამატი (მისი მოქმედების მექანიზმის თავისებურებიდან გამომდინარე) საშუალებას იძლევა ჰაერის მაღალი ტემპერატურისას ზეთის სიბლანტე არ იყოს დასაშვებზე მცირე სიდიდისა, ხოლო ტემპერატურის შემცირებისას კი სიბლანტე საგრძნობლად არ გაიზრდება.

ზეთების კოროზიული აგრესიულობა სახიფათოა არა მარტო ტრანსმისიის აგრეგატების დეტალების ცვეთის ამაღლების თვალსაზრისით, არამედ აგრეგატებში სიმძლავრის დანაკარგების გაზრდის თვალსაზრისითაც. უკანასკნელი შეიძლება განპირობებული იქნეს პირველ რიგში ფერადი ლითონების (ალუმინი, სპილენძი, მათი შენადნობები და სხვ.) დეტალების დაზიანებით კოროზიისაგან, კოროზიულ-მექანიკური ცვეთისაგან, რაც გაზრდის ღრეჩოებს და ამით ხახუნს მათი და მათთან შეწყვილებული დეტალების ზედაპირებს შორის, ასევე კბილანებს შორისაც (მათი კბილების მოდების დარღვევის გამო). აღნიშნული გამოიწვევს არა მარტო ენერგეტიკული დანაკარგების და, შესაბამისად, საწვავის ხარჯის გაზრდას, არამედ ხახუნის ზედაპირების გადახურების გამო თვით ზეთის ფუძისა და მისი დანამატების რესურსის შემცირებასაც და ამით მისი ხარჯის გაზრდას. ეს კი ჯამში უარყოფითად აისახება დ/გ მოწყობილობების ძალოვან აგრეგატებში სამუშაო პროცესების ეკოლოგიურობაზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ლითონის ზედაპი-

რების კოროზია ძლიერდება წყლის თანაარსებობი-სას.

კოროზიული აგრესიულობის შესამცირებლად სატრანსმისიო ზეთებს უმატებენ ე.წ. კოროზიის ინ-ჰიბიტორებს, რომლებიც ამუხრუჭებენ ზეთის ჟან-გვის პროცესს, ანეიტრალებენ მასში უკვე არსებულ მჟავე პროდუქტებს და ახდენენ ლითონის ზედაპი-რების დეაქტივირებას (პასიურს ხდიან მათ, როგო-რც ჟანგვის პროცესის კატალიზატორებს) მათზე წარმოქმნილი აფსკის საშუალებით.

ზეთის ხარჯის გაზრდას, რაც ეკოლოგიური სა-ფრთხის მატარებელია (და რაც მოიცავს მის გაზ-რდილ დანაკარგებს შემჭიდროების კვანძებიდან ზეთის გაჟონვისა და მისი შეცვლის შედარებით შე-მოკლებული ვადების გამო) განაპირობებს მის შეუ-თავსებლობას შემჭიდროების ელემენტების მასა-ლებთან, ჭარბი ქაფწარმოქმნის უნარი და დაბალი ჟანგვის საწინააღმდეგო თვისებები. ამასთან, მნიშ-ვნელოვანია, რომ ზეთი არ იყოს ტოქსიკური, რათა დამატებით ეკოლოგიური პრობლემები არ შეიქმნას მისი მოხმარებისას ან გარემოში მოხვედრის დროს.

## დასკვნა

თანამედროვე მსოფლიოში სატვირთო გემის დ/გ–ის მოწყობილობების ხანგამძლეობისა და ეკოლოგიურობის ამაღლება ზემაღალ ეფექტური შემზეთი მასალების გამოყენებით საზღვაო გადა-ზიდვების ეკოლოგიური პრობლემა აქტუალურია. დღეისათვის ტექნიკის, ნავთობ და ქიმიური მრეწვე-ლობის მიღწევები უკვე იძლევა საშუალებას დ/გ მოწყობილობების ძალოვან აგრეგატებში გამოყე-ნებული იქნას დაბალი სიბლანტის სატრანსმისიო ზეთები, რამდენადაც ახალი თაობის დანამატები უზრუნველყოფენ მათ მაღალ შემზეთ თვისებებს.

შემზეთი მასალების გამოყენებით დ/გ მოწყობი-ლობების ძალური აგრეგატების კვანძების ეკოლო-გიურობის ამაღლება მიიღწევა მათი შემადგენლო-ბის შერჩევით, დანამატების გამოყენებით. ზეთების თვისებებისადმი წაყენებული მოთხოვნებიდან უმე-ტესობა არაპირდაპირ ეხება დ/გ მოწყობილობების ძალური აგრეგატების კვანძების ეკონომიურობასა და ეკოლოგიურობას,ასევე აუმჯობესებს დ/გ მო-წყობილობების ძალოვან აგრეგატების მუშაობას და საიმედეობას. გადაზიდვის სისწრაფეს, მომსახუ-რების საიმედეობას ტვირთის შენახვა დახარისხე-ბას შენარჩუნებაში. აღნიშნულს თავისი წვლილი შეაქვს დარგის ეკონომიკურ ზრდაში.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. აფაქიძე, თ., მეტრეველი, კ., კუსიანი, ვ. *„ავტო-მობილების ეკონომიურობისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების ზეთების საშუალებით ამაღლების გზები“*, თბილისი, ტექნიკური უნივერსიტეტი, 1996, გვ.136
2. Climate Change 2014 Synthesis Report Summary for Policymakers, https://www.ipcc.ch/pdf/assessment-report/ar5/syr/AR5_SYR_FINAL_SPM.pdf(ბოლოს ნანახია: 25.04.2018)
3. May, Sandra, “*What Is Climate Change?”*, NASA, May 14, 2014, https://www.nasa.gov/audience/forstudents/k-4/stories/nasa-knows/what-is-climate-change-k4.html (ბოლოს ნანახია: 25.04.2017)
4. Григорьев М.А. и др. *„Качество моторного масла и надежность двигателей,“* Москва, Изд. стандартов, 1981, 231 с.
5. Данилов А.М. Присадки и добавки, *„Улучшение экологиче-ских характеристик нефтяных топлив“*, Москва, изд. “Химия”, 1996. - 232 с.
6. Папок К.К., Рагозин Н.А, *„Словарь по топливам, маслам, смазкам, присадкам и специальным жидкостям,“* Москва, изд. “Химия”, 1975, 392 с.
7. Чулков П.В., Чулков И.П, *„Топлива и смазочные материалы: ассортимент, качество, применение, экономия, экология,“* Москва, изд. “Политехника”, 1995, 304 с.

# ავტომობილის გამონაბოლქვის გამწმენდი ახალი ქიმიური შედგენილობის ნეიტრალიზატორ-კატალიზატორის მიღება თმს მეთოდით

*ნონა თევდორაძე, ციცინო თურქაძე, ამირან ხვადაგიანი, მერაბ ირემაძე, რომან თოფურია, ნიკა ხვადაგიანი*
*სტუ ?????????*

**რეზიუმე**

თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზის, საწყისი კომპონენტების შერჩევითა და პროცესის ოპტიმალური პარამეტრების დადგენით შესაძლებელია მიღებული იქნას სასურველი ფორიანობისა და ქიმიური შედგენილობის ნეიტრალიზატორ-კატალიზატორი.

**საკვანძო სიტყვები:** ნეიტრალიზატორ-კატალიზატორი, თვითგავრცელებადი მაღალტემპერატური სინთეზი, ფოროვანი მასალები

**ABSTRACT**

**Nona Tevdoradze,**
**Amiran Khvadagiani, Tsitsino Turkadze,**
**Merab Iremadze, Roman Topuria,**
**Nika Khvadagiani**

By using the method of self-propagation high-temperature synthesis, and through the correct selection of initial components and the establishment of the process optimal parameters, it is possible to produce the neutralizer-catalyzers with the desired porosity and chemical composition.

**Key words:** Neutralizer-catalyst, Self-propagating high-temperature synthesis, Porous materials

## ძირითადი ნაწილი

გარემოს დაცვა ამ საუკუნის გლობალური პრობლემაა. ტექნიკურ პროგრესთან ერთად იზრდება პრობლემებიც, რომელიც იწვევს გარემოს დაბინძურებას. ამ საფრთხეების ერთ-ერთი ძირითადი გამომწვევი ფაქტორი გამონაბოლქვია. ავტოტრანსპორტის წილი გარემოს დაბინძურებაში 90%-ზე მეტია. განვითარებად ქვეყნებში განსაკუთრებით მწვავედ დგას ეს პრობლემა, რადგანაც ძირითადად მეორადი ავტომობილების მოხმარება ხდება. საქართველოში, განსაკუთრებით კი თბილისში, ჰაერის დაბინძურების მაჩვენებელი ძალიან მაღალია და ევროპის ქვეყნებთან შედარებით თითქმის 3-ჯერ აღემატება ნორმას, მაშინ როცა ვაშინგტონში სავარაუდოდ ჰაერის დაბინძურება ნორმაზე 10%-ით დაბალია.

ავტომობილის მიერ ატმოსფეროს დაბინძურების მოცულობას ძირითადად განსაზღვრავს საწვავის ხარისხი და ავტომობილში გამოყენებული ნეიტრალიზატორ-კატალიზატორის ვარგისიანობა. საქათველოში დღეისათვის1 მილიონ 200 ათასამდე ავტომობილია. მათგან 90%-ზე მეტს ფიზიკური ცვეთის გამო ნეიტრალიზატორ-კატალიზატორი ნაწილობრივ ან უფრო ხშირად მთლიანად მწყობრიდან არის გამოსული, რის გამოც მაღალია გამონაბოლქვში ტოქსიკური ნივთიერებების რაოდენობა მასში ნახშრბადის მონოოქსიდის, აზოტის ოქსიდების და ნახშირწყალბადების არსებობის ხარჯზე (CO, $N_2O_X$, $C_xH_y$) . [1]

ნეიტრალიზატორ-კატალიზატორი შეზღუდული ჰაერცვლის პირობებში უნდა ხასიათდებოდეს მოქმედების მაღალი ეფექტურობით, მექანიკური სიმტკიცით და ვიბრაციის მიმართ მდგრადობით, მაღალი თერმული მედეგობით, სტაბილურობით და მაღალი ქიმიური მდგრადობით, რაც დაკავშირებულია ზოგიერთი კომპონენტის (გოგირდი, ტყვია და სხვა).

მრეწველობაში გამოყენებული ნეიტრალიზატორ-კატალიზატორი წარმოადგენს სამ კომპონენტიან სისტემას. ლითონური კორპუსი, რომელიც დამზადებულია უჟანგავი ფოლადისაგან და მასში განთავსებულია ლითონური ან კერამიკული კონსტრუქცია დაფარული იშვიათი ლითონებით :პლატინა, პალადიუმი და რადიუმი (Pt, Pd , Ra).

ავტომობილებში გამოყენებული ნეიტრალიზატორ-კატალიზატორის თვითღირებულება მაღალია, რაც გამოწვეულია მასში შემავალი იშვიათი და ძვირადღირებული ლითონების პლატინა (Pt) , პალადიუმი (Pd) და რადიუმი (Ra) შემცველობით. თვითღირებულება იცვლება ავტომობილის კლასისა და ნაკეთობის ზომის მიხედვით. ნეიტრალიზატორ- კატალიზატორის შემადგენლობაში იშვიათი ლითონების შეცველობა იცვლება: პლატინა (Pt) 3- დან 7 გრამამდე, პალადიუმი (Pd) 1, 5- დან 5 გრამამდე და რადიუმი (Ra) 0, 8 -დან 1, 5 გრამამდე.[2] ნეიტრალიზატორ- კატალიზატორის თვითღირებულებაზე მნიშვნელოვანად მოქმედებს მიღების ტექნოლოგიის სირთულე, რაც მდგომარეობს მის მრავალსტადიურობასა და ენერგოტევადობაში.

ნაკეთობის მიღებისას პირველ ეტაპზე ხდება კორპუსის მიღება, ხოლო მეორე ეტაპზე სხვადასხვა მეთოდებით მისი დაფარვა ძვირადღირებული ლითონებით.

იშვიათი ლითონების პლატინა (Pt) , პალადიუმი (Pd) და რადიუმი (Ra) მოპოვება მსოფლიოში მათი წიაღისეულის სიმცირის გამო შეზღუდულია. ეს

ლითონები მიეკუთვნება დედამიწის ქერქის იშვიათ ელემენტებს და მათი წიაღისეულიდან მიღება ხდება რთული ტექნოლოგიით. (მაგ. 1 გრ. პლატინის მისაღებად საჭიროა 400 ტონა წიაღისეულის დამუშავება). აღნიშნული ლითონების ღირებულებისა და დეფიციტურობის გამო ნეიტრალიზატორ-კატალიზატორში მათი მეორადი გამოყენება ხდება.

ნეიტრალიზატორ - კატალიზატორში ლითონების პლატინა (Pt) , პალადიუმი (Pd) და რადიუმის (Ra) ხდება ძრავის მიერ გამოყოფილი CO (მხუთავი აირი), ნახშირწყალბადების ($C_nH_m$), აზოტის ჟანგების ($N_2O_x$) დაჟანგვა ან ამ ტოქსიკური ნივთიერებების აზოტამდე ან წყლამდე აღდგენა.

Pt- Pd ჟანგბადთან ურთიერთქმედებით ხდება ნახშირბადის (II) ოქსიდის და ნახშირწყალბადების დაჟანგვა ნახშირბად (IV) ოქსიდამდე, ხოლო Ra- ისა და ძრავიდან გამოყოფილი CO -ნახშირბადის მონოქსიდის მოქმედებით ხდება აზოტის ოქსიდებიდან აზოტის აღდგენა.

კატ.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| CO | $O_2$ | Pt | | $CO_2$ |
| $C_nH_m$ | → | Pd | -> | $H_2O$ |
| $N_2O_x$ | | Ra | | $N_2$ |

გაცილებით რთულადაა საქმე დიზელის ძრავის შემთხვევაში. ამ დროს აღნიშნული მავნე აირების გარდა გამოიყოფა ნახშირი (C), რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე. რიგ შემთხვევებში დიზელის ძრავებში გამოყოფილი ნახშირის ნაწილაკების რაოდენობის შემცირება იწვევს აზოტის ოქსიდების რაოდენობის გაზრდას. ხშირად ამ ძრავებში გამოყენებულ ნეიტრალიზატორ- კატალიზატორს დამატრებით აქვს ნახშირის ნაწილაკების შემგროვებელი ფილტრები.

ავტომობილში გამოყენებული ნეიტრალიზატორ-კატალიზატორის ფიზიკური ცვეთა დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე. ესენია: ძრავის მუშაობის სწორი რეჟიმი, საწვავის , შემზეთი მასალების ხარისხი და სხვა. განვითარებად ქვეყნებში გამოიყენება დაბალი ხარისხის საწვავი, რომელიც შეიცავს ტყვიას, გოგირდს და სხვა მინარევებს.ეს ნივთიერებები უარყოფით გავლენას ახდენს ნაკეთობის მუშაობის ეფექტურობაზე და შესაბამისად გარემოს ეკოლოგიურ მდგომარეობაზე.[3]

მიუხედავად საწვავის ხარისხისა და ძრავის სწორი მუშაობის რეჟიმის შერჩევისას ავტომობილში ნეიტრალიზატორ-კატალიზატორის ფიზიკური ცვეთის შედეგად გარკვეული პერიოდისა და გარბენის გამო (> 100 000კმ-ზე) გამოდის მწყობრიდან და აუცილებელია მისი შეცვლა. განვითარებად ქვეყნებში ნაკეთობის შეცვლა მისი დეფიციტურობისა და ძვირადღირებადობის გამო წარმოადგენს სერიოზულ პრობლემას. აღნიშნულიდან გამომდინარე ძალიან მნიშვნელოვანია მეთოდებისა და ტექნოლოგიების შემუშავება, რომელიც საშუალებას მოგვცემს მიღებული იქნას დაბალი თვითღირებულებისა და მაღალი ფიზიკო-მექანიკური და ქიმიური მდგრადობის მქონე ნეიტრალიზატორ- კატალიზატორი.

ჩვენს მიერ ნეიტრალიზატორ- კატალიზატორის მისაღებად გამოყენებულია თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზის მეთოდი. ეს მეთოდი წარმოადგენს ენერგოეფექტურ, ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიას. აღნიშნული მეთოდის გამოყენება საშუალებას იძლევა ერთ სტადიაში, საწყისი კომპონენტების სწორი შერჩევით მიღებული იქნას მაღალი ფიზიკო-მექანიკური და ქიმიური მდგრადობის მქონე ნეიტრალიზატორ-კატალიზატორი, რომელშიც იშვიათი ლითონები პლატინა (Pt), პალადიუმი (Pd) და რადიუმი (Ra) ჩანაცვლებული იქნება გაცილებით იაფი და არადეფიციტური ლითონებით, როგორიცაა: სპილენძი (Cu), ნიკელი (Ni), ქრომი (Cr).

თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზის მეთოდით ნეიტრალიზატორ-კატალიზატორების მიღების დროს საწყისი კაზმის ქიმიური შემადგენლობის სწორად შერჩევა განსაზღვრავს რეაქციის სწორად წარმართვას, რაც განაპირობებს სასურველი ქიმიური შემადგენლობის საბოლოო პროდუქტის მიღებას. ჩვენს შემთხვევაში ქიმიური ეგზოთერმული რეაქცია მიმდინარეობს Me-B და Me –C- ს შორის, საწყის ნარევში დამატებით შეყვანილია ცნობილი კატალიზური ლითონები: სპილენძი (Cu), ნიკელი (Ni), ქრომი (Cr). ეს ლითონები რეაქციაში არ მონაწილეობენ და ბორთან და ნახშირბადთან არავითარ ქიმიურ ნაერთებს არ წარმოქმნიან, საბოლოო პროდუქტში ისინი განაწილებულია თანაბრად, რაც განპირობებულია მათი დისპერსიულობის სწორად შერჩევით. ცხრ.N1-ში მოცემულია Ti –B- ისა და Ti-C -ის სისტემის წვის ტემპერატურა და საბოლოო პროდუქტის ფორიანობა სპილენძის (Cu), ნიკელის (Ni), ქრომის (Cr) საერთო რაოდენობის 30 % - ის შემცველობისას თანაფარდობით 2:1:1 (იხ. ცხრ. 1).

ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა გვიჩვენა, რომ თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზის მეთოდის გამოყენების დროს საბოლოო პროდუქტის ფორიანობა დამოკიდებულია საწყის ნარევში კატალიზური ლითონების (Cu , Ni , Cr) დისპერსიულობასა და რაოდენობაზე. დადგენილია , რომ ამ პარამეტრების ცვლით შესაძლებელია საბოლოო პროდუქტის ფორიანობის ცვლილება დიდ დიაპაზონში (15 -75 %)

ცხრ. N 2 -ში მოცემულია თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზის (თმს) საბოლოო პროდუქტის ფორიანობის დამოკიდებულება საწყის ნარევში შემავალი კატალიზური ლითონების

**ცხრილი 1**

| საწყისი კაზმის შემადგენლობა | წვის ტემპერატურა $K^0$ | ფორიანობა % |
|---|---|---|
| Ti –B (Cu , Ni , Cr) | 2400 - 2700 | 15 -75 |
| Ti-C (Cu , Ni , Cr) | 2200- 2500 | 20- 65 |

**ცხრილი 2**

| N | საწყის კაზმში Cu , Ni , Cr დისპერსიულიბა (მკმ) | ნაკეთობის ფორიანობა |
|---|---|---|
| 1 | < 40 | 20- 30 |
| 2 | 40- 80 | 30- 50 |
| 3 | > 100 | 50- 80 |

**ცხრილი 3**

| N | საწყის კაზმში Cu , Ni , Cr რაოდენობა % | საბოლოო პროდუქტის ფორიანობა % |
|---|---|---|
| 1 | 10 | 70- 80 |
| 2 | 20 | 50- 70 |
| 3 | 30 | 30- 50 |

(Cu , Ni , Cr) დისპერსიულობაზე.

თმს მეთოდით მიღებული ნაკეთობის ფორიანობა ძირითადი პარამეტრია, რომელიც განსაზღვრავს მისი მუშაობის მაღალეფექტურობას. როგორც ცხრილიდან ჩანს, ფორიანობის რეგულირება შესაძლებელია საწყის კაზმში შემავალი ელემენტების დისპერსიულობის ცვლილებით.

ცხრ. N3 -ში მოცემულია თმს სამოლოო პროდუქტის ფორიანობის დამოკიდებულება კატალიზური ლითონების (Cu , Ni , Cr) რაოდენობაზე საწყის კაზმში.

მიღებული შედეგებიდან ცხადია, რომ თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზის პროცესის დროს საწყის ნარევში კატალიზური ლითონების რაოდენობის გაზრდით საბოლოო პროდუქტის ფორიანობა მცირდება, რაც იმით აიხსნება, რომ მცირდება სინთეზის ტემპერატურა, რადგან ეს ლითონები რეაქციაში არ მონაწილეობენ და წარმოადგენენ ინერტულ დანამატებს.

ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა გვიჩვენა, რომ თმს მეთოდით შესაძლებელია მივიღოთ

ფორიანი მასალები ნეიტრალიზატორ-კატალიზატორისათვის აუცილებელი ქიმიური შემადგენლობით. მიღებული საბოლოო პროდუქტი ხასიათდება მოქმედების მაღალი

ეფექტურობით (შეზღუდული ჰაერცვლის პირობებში), მაღალი მექანიკური და ქიმიური მედეგობით და ვიბრაციის მიმართ კარგი მდგრადობით.

## დასკვნა

თმს მეთოდის გამოყენება ახალი კლასის ნეიტრალიზატორ-კატალიზატორის მისაღებად შესაძლებელს ხდის რთული ენერგოტევადი, მრავალსტადიური, ტრადიციული ტექნოლოგია შეიცვალოს მარტივი, ენერგოეფექტური მეთოდით, რომელიც საშუალებას იძლევა ნეიტრალიზატორ- კატალიზატორში ძვირადღირებული, იშვიათი ლითონები (პლატინა (Pt) , პალადიუმი (Pd) და რადიუმი (Ra)) ჩანაცვლებული იქნება გაცილებით იაფი და არადეფიციტური ლითონებით (სპილენძი (Cu), ნიკელი (Ni), ქრომი (Cr)). ეს საბოლოო ჯამში ამცირებს ნაკეთობის თვითღირებულებას და ხსნის მისი დეფიციტურობის პრობლემას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი ქვეყნისთვის, როგორიცაა საქართველო.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. Джвареля Н. Каталическое дожигание монооксидов в отработанных газах транспорта. Москва, Из-во “ЛЕГА” 2009 г. 99 с.

2. Повловский В.А. Переработка автомобильных катализаторов. “Автомобильная промишленность” -2002, N9, c. 31-39

3. Данилов Н. И. , Шелоков Я. М. Экологические проблемы использования топлива. Екатеринбург, 2004, с. 109

4. А. И. Хвадагиани, А. Г. Мержанов, И. П. Боровинская “Фазообразование при горении системи Ti-B” Сообщения АН ГССР, 12, Ноябрь. 1984

5. А. И. Хвадагиани, А. А. Хвадагиани, Д. В. Сахвадзе, Г. В. Тавадзе “ Использование твердых сплавов на основе диборида титана в качестве износостойких материалов.” Сообщения АН СССР, 12, 1990

# ქართული წარმოების სასურსათო პროდუქტების ხარისხის ამაღლება და უვნებლობისადმი კონტროლის გაძლიერება

***ხათუნა მურვანიძე***
*სტუ დოქტორანტი*
***მურად გარუჩავა***
*ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სტუ პროფესორი*
***გიორგი ქვარცხავა***
*ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, სტუ პროფესორი,*
***გურამ ტყემალაძე***
*ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სტუ პროფესორი*

თანამედროვე პირობებში წარმოებული სურსათი, ობიექტური რეალობიდან გამომდინარე, ფიზიკურ, ქიმიურ და ბიოლოგიურ საფრთხეებთან ერთად, შეიცავს ტექნოლოგიური პროცესის შედეგად წარმოქმნილ მავნე და, ხშირ შემთხვევაში, კანცეროგენურ ნივთიერებებსაც. ამის კარგი მაგალითია აკრილამიდი [1]. რომლის წარმოქმნის საშიშროება პირველად აღწერეს შვედმა მეცნიერებმა 2002 წელს. სურსათში აკრილამიდის გამოსავლენად და ადამიანის ორგანიზმზე რისკების შესასწავლად საერთაშორისო ორგანიზაციებმა შეიმუშავეს ამ რისკების მართვისა და რეგულირების სტრატეგიული გეგმა. აღნიშნული გლობალური საკითხები კარგად არის წარმოდგენილი FAO/WHO მსოფლიო ორგანიზაციების მიერ [2].

ყავა წარმოადგენს ადამიანის ყოველდღიური მოხმარების მნიშვნელოვან პროდუქტს. ყავის საერთაშორისო ორგანიზაციის ISO მონაცემებით[3], მსოფლიოს მოსახლეობის მიერ ყოველწლიურად მოხმარებული ყავის რაოდენობა შეადგენს დაახლოებით 10 მლნ ტონას. ანუ, მსოფლიოში 2მილიარდ 200 ათასი ადამიანი დილას 1 ფინჯანი ყავით იწყებს. ადამიანის ორგანიზმზე ყავის ზემოქმედება დღემდე კამათსა და აზრთა სხვაობას იწვევს. ექსპერთა ერთი ნაწილი, ეყრდნობა რა ყავის მარცვლის მდიდარ ქიმიურ შედგენილობას, ამტკიცებს, რომ ყავა სასარგებლოა და ის ჩვენი რაციონის აუცილებელი ინგრედიენტი უნდა იყოს, მეორე კი, დარწმუნებულია, რომ საჭიროა მისი მაქსიმალურად შემცირება [4].

ადამიანის ორგანიზმზე ყავის მოხმარებით გამოწვეულ უარყოფით შედეგებზე მსჯელობა აქტუალური გახდა მას შემდეგ, რაც 2002 წელს, შვედი მეცნიერების მიერ დადასტურებულ იქნა მაღალ ტემპერატურაზე (1200 და მეტი ) თერმულად დამუშავებულ საკვებ პროდუქტებში, მათ შორის ყავაში , ქიმიური ნივთიერება - აკრილამიდის წარმოქმნა [1,5].

ცხოველებზე ჩატარებული კვლევებით ვერ დასტურდება ადამიანის ორგანიზმისთვის აკრილამიდის კანცეროგენურობა. წლების განმავლობაში სხვადასხვა ორგანიზაციები აკრილამიდს განიხილავენ, როგორც პოტენციურ კანცეროგენურ ნივთიერებას. 2010 წელს კალიფორნიის სასამართლოს მიერ დადგენილ იქნა, რომ შტატში ყავის მწარმოებელმა და რეალიზატორმა ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ პროდუქციაზე სპეციალური აღნიშვნა ონკოლოგიური დაავადებების რისკების შესახებ, მარცვლის თერმული დამუშავების პროცესში წარმოქმნილი აკრილამიდის გამო [7]. 2015 წელს, სასურსათო პროდუქტების უვნებლობის ევროპულმა სააგენტომ (EFSA) დაადასტურა აკრილამიდის კანცეროგენური ბუნება.

აღნიშნულთან დაკავშირებით FAO/WHO მომხმარებელს ურჩევს დაიცვას ხილითა და ბოსტნეულით გამდიდრებული დიეტა. სხვადასხვა ქვეყანაში ორგანიზმზე საკვებისმიერი აკრილამიდის ყოველდღიური ზემოქმედება განსხვავდება და დამოკიდებულია ტრადიციულ ადგილობრივ დიეტასა და სამზარეულო ჩვევებზე. საკვებ დანამატების ექსპერტთა გაერთიანებული კომიტეტის (JECFA) შეფასებით, საკვებით მიღებული აკრილამიდის ყოველდღიური რაოდენობა საშუალოდ შეადგენს 1 მგ/კგ სხეულის მასაზე, ხოლო ა.შ.შ-ში საკვები პროდუქტებისა და წამლების კონტროლის სააგენტოს (FDA) მიხედვით –0.4 მგ / კგ სხეულის მასაზე. (შედარებისთვის, WHO - ს თანახმად, სასმელ წყალში აკრილამიდის შემცველობა არ უნდა აღემატებოდეს 0.1-0.5 მკგ / ლ) [6,8].

როგორც ცნობილია აკრილამიდი შედარებით მაღალი კონცენტრაციით წარმოიქმნება ნახშირწყლებით მდიდარ პროდუქტებში, როგორებიცაა: კარტოფილის ჩიფსები, კარტოფილი ფრი, კრეკერები, პური, კომერციული ყავის ფხვნილი, ხსნადი ყავა და მოდუღებული ყავა. ზოგიერთი გამოკვლევის თანახმად, ნედლი ყავა ან მოდუღებული ყავა არ შეიცავს აკრილამიდს, გაზომვადი რაოდენობით [4,9 ].

ყავის მარცვლის არომატი და გემო, თერმული დამუშავების დროს, მაიარის, ე.წ. გამუქების, თავისუფალ ამინომჟავებსა და აღმდგენ შაქრებს შორის მიმდინარე არაფერმენტული რეაქციების შედეგია. [9-11]. აკრილამიდის უშუალო წყაროს ამინომჟავა ასპარაგინი წარმოადგენს. აკრილამიდი წარმოიქმნება აგრეთვე სხვა ამინომჟავებსა და რედუცირებად შაქრებს შორის (განსაკუთრებით გლუკოზა და

ფრუქტოზა).

თერმული დამუშავების წესი და ხანგრძლივობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მზა ყავის ფიზიკურ და ქიმიურ მაჩვენებლებზე. ყავის ხარისხი განისაზღრება მასში შემავალი ნივთიერებებით, გადამუშვებისა და მომზადების ტექნოლოგიით, აგრეთვე მომხმარებელთა ცხოვრების წესითა და ტრადიციებით [11-14].

კვლევა ვაწარმოეთ ლაბორატორიულ პირობებში. მიზანს წარმოადგენდა მოხალული ყავის კომერციულ ნიმუშებში:

I. აკრილამიდის რაოდენობრივი განსაზღვრა;

II. ყავის ნიმუშის ფერის ინტენსივობის ცვლილების დამოკიდებულება, მასში აკრილამიდის რაოდენობრივ შემცველობაზე;

III. ყავის კომერციული ნიუშების pH-ის გავლენის დადგენა მასში აკრილამიდის რაოდენობაზე.

აკრილამიდის რაოდენობრივ განსაზღვრას (კალიუმის პერმანგანატთან აკრილამიდის ჟანგვა-აღდგენითი რეაქციის საფუძველზე) ვაწარმოებდით სპექტროფოტომეტრიული მეთოდით. რომელიც მოიცავდა: ნიმუშის ჰომოგენიზაციას, წყლიან აბაზანაზე აცეტო-ნიტრილითა და გამოხდილი წყლით გაჯირჯვებას, 1-პროპანლისა და წყლის ნარევით ექსტრაქციას, როტაციულ ამაორთქლებელზე წყლისა და 1-პროპანლის მოცილებას ნიმუშის სრულ აორთქლებამდე. მშრალი ნაშთი მუშავდებოდა 2-ჯერ აცეტონიტრილითა და ჰექსნის ნარევით. სუფთა ნიმუში (~2მლ) ინახებოდა ავტოდოზატორში.

საკალიბრო მრუდის ასაგებად გამოვიყენეთ კალიუმის პერმანგანატის სტანდარტული ხსნარი, რომლის სტანდარტიზაცია მოვახდინეთ ნატრიუმის ოქსალატით. თითოეული სამუშაო ხსნარი მზადდებოდა უშუალოდ მუშაობის დაწყებამდე, გამოხდილი წყლით სტანდარტული ხსნარის განზავებით. გაზომვები ჩავატარეთ „**DataStream - CE9000 Series Spectrophotometer**" მარკის სპექტროფოტომეტრზე, *A355 ნმ* ტალღის სიგრძეზე (*A-absorbanse* - ოპტიკური სიმკვრივე, ექსტინცია), 1მმ სისქის მქონე 4მლ-იან კვარცის კიუვეტაში. საკალიბრო მრუდზე (ნახ.1) წარმოდგენილია *A 355 ნმ* ცვლილება აკრილამიდის კონცენტრაციაზე დამოკიდებულებით.

საანალიზოდ ავიღეთ სხვადასხვა ტემპერატურაზე თერმულად დამუშავებული ყავა „არაბიკა". ექსპოზიცია 15წთ. ზემოთ აღნიშნული მეთოდით განვსაზღვრეთ მასში აკრილამიდის რაოდენობა. განსაზღვრის პირველი შედეგები მოცემულია ნახ.2.

როგორც ნახაზიდან ჩანს, აკრილამიდის შემცველობა „არაბიკაში" იცვლება თერმული დამუშავების დროს. კერძოდ, ტემპერატურის მატების შესაბამისად ხდებოდა ყავის მარცვლის გამუქება და მასში აკრილამიდის რაოდენობის გაზრდა. 100 0C-ზე მოხალულ ყავაში აკრილამიდის რაოდენობა თითქმის ნულის ტოლია, 150 0C-ზე მოხალვისას კი აკრილამიდის რაოდენობა შეადგენდა 0,2 მგ/100გ-ში, 180 0C -ზე 0,4 მგ/100გ-ში და 250 0C -ზე 2.2 მგ/100გ-ში (ნახ.2).

ყავის მარცვლის თერმული დამუშავებისას მიმდინარე ქიმიური გარდაქმნების ხასიათი დაკავშირებულია აგრეთვე მასში pH-ის ცვლილებასთან [13,14].

საანალიზოდ ავიღეთ სხვადასხვა ტემპერატურაზე მოხალული ყავა (ნახ.2), ექსპო-ზიციით - 5, 10 და 15 წთ და განვსაზღვრეთ მათში pH. განსაზღვრის შედეგები მოცემულია (ცხ.1).

როგორც ცხრილიდან ჩანს, საანალიზო ყავის ნიმუშის მჟავიანობის მაჩვენებელი, ექსპოზიციისა და მოხალვის ტემპერატურის მატებასთან ერთად იცვლება (ცხრ.1). კერძოდ, 5 წთ ექსპოზიციის დროს, ტემპერატურის მატების შესაბამისად, მჟავიანობის მაჩვენებელი მნიშვნელოვან ცვლილებას არ განიცდის. ცვლილება შეიმჩნეოდა ექსპოზიციისა და ტემპერატურის მატებასთან ერთად. pH (4,28), 10 წთ ექსპოზიციის დროს 100 0C -დან 250 0C მდე იზრდება (5,86). pH-ის ცვლილება ყველაზე მეტად შეიმჩნევა (იზრდება 6,59-მდე) 250 0C-ის დროს, 15 წთ

**ნახ.1. აკრილამიდის საკალიბრო მრუდი**




**ნახ.2. აკრილამიდის კონცენტრაციის ცვლილება ყავაში მოხალვის ტემპერატურისაგან დამოკიდებულებით.**



ცხრ. 1. ყავა „არაბიკა"-ში pH-ის მნიშვნელობის ცვლილება ექსპოზიციისა და ტემპერატურის ცვლილებასთან დაკავშირებით

| ექსპოზიცია, წთ | მოხალვის ტემპერატურა $^0$C და შესაბამისი pH | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | 100 $^0$C | 150 $^0$C | 180 $^0$C | 250 $^0$C | 300 $^0$C |
| 5 | 4,22 | 5,51 | 5,51 | 5,28 | 4,85 |
| 10 | 4,28 | 5,73 | 5,78 | 5,86 | 4,51 |
| 15 | 4,36 | 5,96 | 6,44 | 6,59 | 4,28 |

ექსპოზიციის პირობებში. საანალიზო ნიმუშის 300 0C-ზე გაცხელებისას კი, იგივე ექსპოზიციის პირობებში, pH მნიშვნელოვნად მცირდება (4,28) (ცხ.1).

ამგვარად, თერმული დამუშავების გახანგრძლივება და ტემპერატურის მატება (2500C-მდე) იწვევს მოხალული ყავის pH-ის მომატებას და შესაბამისად აკრილამიდის რაოდენობის გაზრდას. ტემპერატურის შემდგომი გაზრდით, ექსპოზიციის იმავე პირობებში, ხდება pH-ის შემცირება. რაც სავარაუდოდ დაკავშირებული უნდა იყოს მაიარის რეაქციაში მონაწილე ნახშირწყლების რაოდენობრივ ცვლილებებთან.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. გ.ტყემალაძე, გ.ქვარცხავა. „სასურსათო ტექნოლოგიებში სურსათის უვნებლობისადმი მოთხოვნათა გამკაცრებისა და კონტროლის გაზლიერების აუცილებლობა". საერთაშორისო სამეცნიერო-პაქტიკული კონგერენციის შრომათა კრებული. ტ.II.გვ.75-79. ქუთაისი 2018.

2. ტყემალაძე გ., მახაშვილი ქ. ეკოლოგიურად უსაფრთხო პროდუქტების წარმოების ბიოქიმიური საფუძვლები. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიები სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისთვის", შრომათა კრებული, 2016, გვ.59-68.

3. Illy A., Viani R. (1995): Espresso Coffee: The Chemistry an Quality. London.

4. Richelle M, Tavazzi I, Offord E. 2001. „Comparison of the Antioxidant Activity of Commonly Consumer Polyphenolic Beverages (Coffee, Cocoa, and Tea) Prepared per Cup Serving. Journal of Agricultural and Food Chemistry. 51:4654 4659.

5. „Health Implications of Acrylamide in Food" Report of a Joint FAO/WHO Consultation WHO Headquarters, Geneva, Switzerland 25-27 June 2002 .World Health Organization , 2002

6. Codex alimentariusinternational foodstandart 2019.

7. Scientific Opinion on acrylamide in food EFSA Panel on Contaminants in the Food Chain (CONTAM)2, 3 European Food Safety Authority (EFSA), Parma, Italy. EFSA Journal 2015;13(6):4104

8. WHO Technical Report Series – JECFA 68-2007number: 947, Affiliation: World Health Organization DOI: 10.13140/RG.2.1.2728.6165 Report

9. Brathen E. And Knutsen S.H.2005. „Effect of temperatureand time on the formation of acryamide in starch-based and cereal model systems, flat breads and bread". Food Chem. 92: 693-700.

10. Mururgan M, Agatian G, Semval AD and Sharma G K. „ Overview of Acrylamide Mitigation Strategies in Various Processed Foods". INTERNATIONAL MAGAZINE OF ADVANCED RESEARCHES DOI Magazine: 10.21474 / IJAR01. Defense Food Research Laboratory (DFRL), Defense Research and Development Organization (DRDO), Siddartha Nagar, Mysore - 570 011, Karnataka, India

11. Brathen E. And Knutsen S.H.2005. „Effect of temperatureand time on the formation of acryamide in starch-based and cereal model systems, flat breads and bread". Food Chem. 92: 693-700.

12. Becalski A., Lau B.P. –Y., Lewis D. and Seaman S.W. 2003. „Acrylamide in foods: occurrence, sources, and modeling.J.Agric. Food Chem., 51:802-808.

13. Becalski A., Lau B.P. –Y., Lewis D. and Seaman S.W. Hayward.S., Sahagian M., Ramesh M., and Leclerc Y.2004. „Acrylamide in French fries: influence of free amno acids and sugars". J.Agric. Food Chem. 52:3801-3806.

14. Rince Alfia Fadri , Kesuma Sayuti, , Novizar Nazir, Irfan Suliansyah. „ THE EFFECT OF TEMPERATURE AND ROASTING DURATION ON PHYSICAL CHARACTERISTICS AND SENSORY QUALITY OF SINGGALANG ARABICA COFFEE (Coffea arabica) AGAM REGENCY'. Journal of Applied Agricultural Science and Technology ISSN: 2621-2528 3 (2): 189-201 (2019)

# იპოთეკური დაკრედიტების მათემატიკური მოდელირება

*ნინო კუტიბაშვილი*
*ეკონომიკის დოქტორი*
*ტარიელ კიკვაძე*
*სტუ პროფესორი*

**რეზიუმე**

სტატიაში წარმოდგენილია იპოთეკური პორტფელის, როგორც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პოტენციალის მქონე მექანიზმის, ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირება, რომლის მიზანია ობიექტზე მოქმედი ფაქტორების ქცევის შესწავლით, იპოთეკური დაკრედიტების სამომავლო განვითარების განსაზღვრა.

**საკვანძო სიტყვები:** დაკრედიტება, იპოთეკური პორტფელი, წრფივი რეგრესიული განტოლება, საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი.

**MATHEMATICAL MODELING OF MORTGAGE LENDING**

**Nino Kutibashvili**
Doctor of Economics
**Tariel Kikvadze**
GTU Proffessor

**RESUME**

The article presents the Economic and mathematical modeling of Mortgage lending as a mechanism of economic development potential of a country. That aims determine the future development of Mortgage lending by studying the behavior of the factors operating on the site.

* * * *

იპოთეკური სისტემის, როგორც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პოტენციალის მქონე მექანიზმის კვლევისას, გაჩნდა ინტერესი, ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების საშუალებით შესწავლილიყო საქართველოში დღეს მოქმედი ანალოგიური სისტემა და მისი სამომავლო ქცევა. კერძოდ, იპოთეკური პორტფელის განვითარების კვლევა მისი მოცულობის სხვადასხვა ფაქტორებზე დამოკიდებულების განსაზღვრის საშუალებით. ამისათვის, იპოთეკური დაკრედიტების როგორც პირველად, ასევე მეორეული ბაზრის მატერიალურ გამოხატულებაზე - იპოთეკური სესხების პორტფელზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორების მონაცემთა შესახებ ინფორმაციის მოძიება იყო საჭირო. მრავალწლიან გამოცდილებაზე დაყრდნობით, სწორედ ის ფაქტორები შეირჩა პარამეტრების სახით, რომელიც აუცილებელია იპოთეკური სესხების გაცემისათვის და მეტ-ნაკლებად განსაზღვრავს მის მოცულობას. შესაბამისად, იპოთეკური პორტფელზე მოქმედი ფატორებიდან შეირჩა:

1. **შესაძენი უძრავი ქონების 1 კვადრატული მეტრის საშუალო ფასი -APSM (Average Price per Square Meter) -** მთავარი პარამეტრი, რაზეც დამოკიდებულია გასაცემი იპოთეკური სესხის მოცულობა.
2. **მიწოდებული უძრავი ქონების რაოდენობა - NUS (Number Unit Suppled) -** ფაქტორის შემოტანილია პრაქტიკული გამოცდილებიდან გამომდინარე, რადგან, მასზე დამოკიდებულია პორტფელში სესხების რაოდენობა.
3. **საშუალო შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე თვეში -PCI (Per Capita Income) -** აღნიშნული ფაქტორი განსაზღვრავს იპოთეკურ სესხზე შენატანს, გადამხდელუნარიანობას და სესხის მოცულობას.
4. **საშუალო შეწონილი პროცენტი ლარში გაცემულ იპოთეკურ სესხებზე - WAP GEL (Weighted Average Percent in GEL) -** როგორც სესხზე მოთხოვნისა და შეძენილი უძრავი ქონების რეალური ღირებულების განმსაზღვრელი ფაქტორი.
5. **საშუალო შეწონილი პროცენტი უცხოურ ვალუტაში გაცემულ იპოთეკურ სესხებზე - WAP FC (Weighted Average Percent in Foreign Currency) -** როგორც სესხზე მოთხოვნისა და შეძენილი უძრავი ქონების რეალური ღირებულების განმსაზღვრელი ფაქტორი, პორტფელის დაბალი ლარიზაციის პირობებში.

შესაძლებელი იყო ფაქტორების დამატება, მაგალითად, სესხის საშუალო შეწონილი ვადიანობა, მაგრამ მხოლოდ იპოთეკური სესხებისთვის ამის გამოყოფა შეუძლებელი აღმოჩნდა, ვინაიდან ეროვნული ბანკის ოფიციალურ, გამოქვეყნებულ ანგარიშებში სესხების ვადიანობის მაჩვენებლები [1] მოიცავს ყველა გაცემულ სესხს და დიფერენცირებულია მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული კრედიტების საშუალო ვადიანობად და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული კრედიტების საშუალო ვადიანობად, ამრიგად, აღნიშნული ფაქტორის გამოყენება გამოირიცხა.

მნიშვნელოვანი იყო მონაცემების მოძიება 2000 წლიდან, თვალსაჩინო რომ ყოფილიყო სხვა ფაქტორთა (მათ შორის, პოლიტიკურის) ზემოქმედება და ამ ფონზე დასკვნების გაკეთება. თუმცა, თავი იჩინა სირთულემ - სტატისტიკური ანგარიშების წლების

მიხედვით სხვადასხვა ვერსიების არსებობის სახით. მნიშვნელოვანი და გასაგებია, რომ ყოველწლიურად ხდებოდა მონაცემთა აღრიცხვისა და სტატისტიკის გაუმჯობესება და შესაბამისად, არსებული მონაცემის ახალი მეთოდებით წარმოჩენა, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან, მათი კვლევებში გამოყენება შედეგებს არ მოიტანს. მაგალითად, საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტენის 2007 წლის გამოცემიდან „კომერციული ბანკების მიერ უცხოური ვალუტით გაცემული იპოთეკური სესხების მოცულობა და საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთები" [2], მოხდა საჭირო მონაცემების - იპოთეკური პორტფელის მოცულობის და საპროცენტო განაკვეთების ამოღება. თუმცა, საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტენის 2009 [3] სარჩევში ვნახულობთ, რომ „კომერციული ბანკების მიერ უცხოური ვალუტით გაცემული იპოთეკური სესხების მოცულობა და საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთები" შევიძლია მოვნახოთ 45-ე გვერდზე, მაგრამ იქ გვხვდება „კომერციული ბანკების მიერ უცხოური ვალუტით გაცემული უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების მოცულობა და საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთები", ამავდროულად, სქოლიო, შენიშვნის სახით განმარტავს, რომ: - „ცხრილში მოცემული მაჩვენებლების შინაარსის დაზუსტების მიზნით, ადრე გამოყენებული ტერმინი „იპოთეკური სესხები" შეიცვალა ტერმინით „უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები" [3. 4, 5]. ყოველივე აქედან გამომდინარე, 2012 წლამდე მომზადებული ანგარიშიდან ჩვენთვის საჭირო ინფორმაციის გამოყოფა ვერ მოხერხდა, ვინაიდან იპოთეკური სესხების მონაცემები გაერთიანებული აღმოჩნდა უზრუნველყოფილი სესხების მონაცემებში.

საბოლოოდ, იპოთეკური სესხების პორტფელის 2012-2015 წლის მაჩვენებელის, საცხოვრებელი უძრავი ქონების კვადრატული მეტრი ფართობის ღირებულების და მიწოდებული ქონების მონაცემების აღება მოხდა უძრავი ქონების საერთაშორისო ორგანიზაციის „კოლიერს ინტერნაციონალის" კვლევებზე დაყრდნობით [6], [7], [8]. სესხის საპროცენტო განაკვეთები მოძიებული იქნა ეროვნულის ბანკის სტატისტიკის გვერდზე [9]. პორტფელები 2015 წლიდან ეროვნული ბანკის წლიური ანგარიშებიდანაა აღებული, რადგან ამ პერიოდიდან მეტ-ნაკლებად გამოყოფილია იპოთეკური სესხის მონაცემები ცალკე. რაც შეეხება ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის გვერდზე [11].

2018 წლის საშუალო შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს 2019 წლის 14 აპრილის მდგომარეობით არ ჰქონდა გამოქვეყნებული, ამიტომ მოდელირების თარიღისთვის აღებული იქნა საშუალო მაჩვენებლი წინა წლების მიხედვით,ხოლო 2019 წლის პირველი სამი თვის მონაცემი 2018 წლის ანალოგიურია. 2019 წლის მონაცემთა გათვალისწინება, შესაძლოა, ეს დავის საგანი იყოს, თუმცა, პასუხისმგებლიანი დაკრედიტების საფუძველზე ეროვნული ბანკის გამკაცრებული რეგულაციების შემდგომი მონაცემის ჩართვა აღნიშნულ კვლევაში მიზანშეწონლად მოვიჩნიე.

თავდაპირველად, იპოთეკური სესხის ქცევაზე ფაქტორთა დამოკიდებულების განსაზღვრისთვის აიგო ქართული იპოთეკური ბაზრის საწყისი მონაცემების საბაზო ცხრილი, რომელიც ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელის, ანუ წრფივი რეგრესიული განტოლების ასაგებადაა საჭირო.

მართალია, მონაცემთა სიმრავლე გაცილებით მეტი რომ ყოფილიყო, შედეგებს უფრო საინტერესოს და უტყუარს გახდიდა, მაგრამ, როგორც აღვნიშნე, სამსახურების მიერ მომზადებული მონაცემებისა და სისტემატიზების ნაკლოვანებათა გამო, ამის შესაძლებლობა არ აღმომაჩნდა. ამიტომ, მთელი ანალიზი მიმართული იყო იქით, რომ გამომე-

**ცხრილი N 1. საქართველოს იპოთეკური ბაზრის საწყისი მონაცემების ბაზა**

| | იპოთეკური სესხების მოცულობა ნაშთი (მლნ ლარი) | 1 კვ.მეტრის საშუალო ფასი (ლარი) | მიწოდებული საცხოვრებელი უძრავი ქონების რაოდენობა | საშულო შემოსავალი თვეში 1 სულ მოსახლეზე თვეში (ლარი) | საშუალო შეწონილი პროცენტი ლარში ( %) | საშუალო შეწონილი პროცენტი უცხოურ ვალუტაში გაცემულ სესხებზე ( %) |
|---|---|---|---|---|---|---|
| თარიღისთვის | MLP | APSM | NUS | PCI | WAP GEL | WAP FC |
| 2012 | 928 | 1063 | 8957 | 222 | 16.1 | 12.7 |
| 2013 | 1191 | 1157 | 7055 | 251 | 11 | 12.4 |
| 2014 | 1674 | 1239 | 5500 | 279 | 12.4 | 12.1 |
| 2015 | 2617 | 1637 | 5507 | 290 | 15.3 | 9.3 |
| 2016 | 3506 | 1791 | 20389 | 302 | 10 | 7.3 |
| 2017 | 4315 | 1770 | 20716 | 317 | 12.5 | 7.3 |
| 2018 | 6031 | 1764 | 34418 | 332 | 12.1 | 6.3 |
| 2019.01.03 | 6022 | 1764 | 21566 | 332 | 10.6 | 6.5 |

ცხრილი 2. სრული რეგრესიული განტოლება (მოდელი)

| | *Coefficients* | *Standard Error* | *t Stat* | *P-value* |
|---|---|---|---|---|
| Intercept | 24510.66122 | 5362.270511 | 4.570948289 | 0.044678 |
| APSM | -10.78948929 | 1.660845225 | -6.49638457 | 0.022885 |
| NUS | -0.040974577 | 0.021500175 | -1.90577877 | 0.196952 |
| PCI | 33.08850465 | 5.08536744 | 6.506610395 | 0.022815 |
| WAP GEL | 78.96327471 | 37.16147355 | 2.124869311 | 0.167522 |
| WAP FC | -1599.719701 | 246.23774 | -6.4966471 | 0.022883 |

***წყარო:*** სტუ ეკონომიკური პროცესების მოდელირების ლაბორატორიის გაანგარიშებები.

ვლინა ფაქტორი, რომელიც სწორედ, მონაცემების არქონას დააკომპენსირებდა.

ცხრილი N1-ის მიხედვით გამოვიკვლიოთ იპოთეკური სესხების პორტფელის **MLP (Mortgage Loan Portfolio)** დამოკიდებულება მრავალრიცხოვან ფაქტორთა ანალიზის საფუძველზე:

აღსანიშნავია, რომ მონაცემთა დამუშავება და რეგრესიული განტოლებების აგება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ეკონომიკური პროცესების მათემატიკური მოდელირების ლაბორატორიის დახმარებით მოხდა. რის შემდეგაც, შედგებზე დაყრდნობით გაკეთდა ეკონომიკური ანალიზი.

ამოცანა იყო, პირველ რიგში, ყველა ფაქტორის გათვალისწინებით მრავლობითი რეგრესიის წრფივი განტოლების შედგენა. შემდგომ ფაქტორების მულტიკოლინარობის შეწავლა კორელაციურ მატრიცაში და ზედმეტი ფაქტორების გამორიცხვის შემდეგ, ახლი წრფივი მოდელის შედგენა. საბოლოოდ, ორივე მოდელის რეგრესიის განტოლების ხარისხის შეფასება დეტერმინაციის კოეფიციენტის $R^2$ მიხედვით და ადეკვატურობის შეფასება ფიშერის კრიტერიუმის მიხედვით.

ნდობის დონე $\alpha=0,05$.

ექსელის ცხრილებში წარმოებული გაანგარიშებების შედეგად მივიღეთ შემდეგი სახის წრფივი მრავლობითი რეგრესიული მოდელი (იხ ცხრილი 2).

გადავხედოთ მიღებულ წრფივ რეგრესიულ განტოლებას იპოთეკური სესხების პორტფელის მოცულობისთვის და გავაანალიზოთ:

MLP= - 10,79 APSM - 0,04 NUS + 33,09 PCI + 78,96 WAP GEL -

- 1599,72WAP FC +24510.66

როგორც გამოთვლებმა აჩვენა, ამ მოდელისთვის დეტერმინაციის კოეფიციენტი $R^2=0.992503913$. რაც ნიშნავს, რომ რეგრესიის განტოლებამ 99%-ით ახსნა ფაქტორთა ქცევა და გაანგარიშებებიდან შემთხვევითი გადახრა მხოლოდ 1%-ს შეადგენს. რაც შეეხება განტოლების ადეკვატურობის მახასიათებელს, F კრიტერიუმს, F=186.36, რაც კრიტიკულ მაჩვენებელზე გაცილებით დიდია.

თავად ფაქტორთა შესახებ მსჯელობისთვის ქვეყნის იპოთეკური ბაზრის საწყისი მონაცემების ბაზაზე შევადგინოთ კორელაციური მატრიცა (იხ ცხრილი 3).

მატრიცის შესწავლისას აღმოჩნდა, რომ MLP ძალზე მჭიდრო კავშირშია ყველა იმ ფაქტორთან, რომელიც შეირჩა, გარდა WAP GEL ფაქტორისა.

ამ ცვლადის მიმართ, პირველივე მოდელში, ეკონომიკური თეორიის კანონებისადმი შეუსაბამო ქცევა დაფიქსირდა - ლარში გაცემული სესხე-

ცხრილი N3 წყვილთა კორელაციური მატრიცა ყველა ფაქტორის გათვალისწინებით

| | MLP | APSM | NUS | PCI | WAP GEL | WAP FC |
|---|---|---|---|---|---|---|
| MLP | 1 | | | | | |
| APSM | 0.86378768 | 1 | | | | |
| NUS | 0.87995583 | 0.718126993 | 1 | | | |
| PCI | 0.93426331 | 0.921447814 | 0.750141956 | 1 | | |
| WAP GEL | -0.45088042 | -0.417476763 | -0.441806146 | -0.526540028 | 1 | |
| WAP FC | -0.94397538 | -0.972949919 | -0.843861278 | -0.930071861 | 0.451830458 | 1 |

***წყარო:*** სტუ ეკონომიკური პროცესების მოდელირების ლაბორატორიის განანგარიშებები.

ბის საშუალო შეწონილი პროცენტის პორტფელის მოცულობასთან კავშირი არაადეკვატურია - კოეფიციენტის ნიშნით თუ ვიმსჯელებთ, პროცენტის ზრდამ პორტფელის ზრდა უნდა გამოიწვიოს, რაც წარმოუდგენელია. ამ კონკრეტული ცვლადის კავშირი საკვლევ ობიექტთან მიმართებაში საკმაოდ სუსტი აღმოჩნდა, თუმცა, ეს პარამეტრი შემდგომ, კვლევის ობიექტზე მისი დამოკიდებულების ანალიზისთვის ახალი მოდელის აგებისას უგულებელყოფილი არ ყოფილა. რაც შეეხება წყვილთა მულტიკოლინარობის ანალიზს, ჩანს, რომ APSM პარამეტრი მჭიდროდ უკავშირდება PCI და ეს იოლად ახსნადია - რაც უფრო მეტია საშუალო შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე, მით მეტია მოთხოვნა საცხოვრებელ უძრავ ქონებაზე და ეს ზრდის კვადრატული მეტრი ფართობის ფასს. ანალოგიურად აიხსნება WAP FC პარამეტრის APSM ფაქტორთან დამოკიდებულების სიმჭიდროვე უარყოფითი ნიშნით - სესხის საპროცენტო განაკვეთის შემცირება საცხოვრებელი ქონების სესხით შეძენის მოთხოვნას ზრდის და ეს იწვევს კვადრატული მეტრის ღირებულების ზრდას. მაგრამ, რატომღაც, იგივე სიჭიდროვე არ გვაქვს WAP GEL ფაქტორთან მიმართებაში და ისეთი სურათი იკვეთება, თითქოს, ლარში საპროცენტო განაკვეთი ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეკონომიკის კანონებს არ ემორჩილება. რაც შეეხება PCI ფაქტორს, ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლების მოცულობის გაზრდა, სესხის აღების მოხოვნას ამცირებს დანაზოგების შექმნის ხარჯზე, ეს კი სესხზე ფასების შემცირებას იწვევს. წყვილებს შორის დაფიქსირდა მულტიკოლინარობა, ამიტომ, მათგან რომელიმე უნდა დარჩეს, დანარჩენები გამოირიცხოს და კიდევ ერთი ახალი მოდელი აიგოს. ვინაიდან, არსებულ მატრიცაში WAP FC ფაქტორს MLP მნიშვნელობასთან დანარჩენ ფაქტორებზე უფრო ძლიერი კავშირი ჰქონდა 0,94 კოეფიციენტით, დატოვებულ იქნა, ხოლო APSM და PCI გამოირიცხა. დარჩენილი 3 ფაქტორით აიგო ახალი რეგრესიული განტოლება (იხ ცხრილი 4).

ახალი კოეფიციენტებიდან გამომდინარე, სამ ფაქტორზე დამოკიდებულმა მათემატიკურმა მოდელმა მიიღო შემდეგი სახე :

MLP= 0.06 NUS – 8.2WAP GEL – 510.74 WAP FC +7226.7

ამ განტოლების დეტერმინაციის კოეფიციენტი წინა მოდელთან შედარებით ოდნავ შემცირდა და ამჯერად $R^2$=0.92. მაგრამ ეს ისევ არგუმენტია იმისა, რომ ჩვენი გამოთვლებისთვის განტოლების ხარისხი საკმაოდ მაღალია. რაც შეეხება F კრიტერიუმს, იგი ამჯერად შემცირებულია F=14,41, მაგრამ მაინც აჭარბებს კრიტიკული მაჩვენებლის დონეს.

როგორც ვხედავთ, მოდელი იმეორებს მაკროეკონომიკის კანონს - პროცენტის განაკვეთის სესხზე მოთხოვნასთან უარყოფით კორელაციურ დამოკიდებულებას როგორც ლარში, ასევე უცხოურ ვალუტაში გაცემულ სესხებზე და MLP მცირდება იმ კოეფიციენტის პროპორციულად, რაც ფაქტორს განტოლებაში ახლავს. ამ შემთხვევაშიც, განტოლების მიხედვით აიგო წყვილთა კორელაციური მატრიცა და გაანალიზდა ნარჩენ ფაქტორთა მულტიკოლინარობა (იხ ცხრილი 5).

ამ შემთხვევაშიც, როგორც ვხედავთ, MLP ისევ მჭიდრო კავშირშია დარჩენილ ფაქტორებთან, გარდა WAP GEL ფაქტორისა და მას საბოლოოდ გამოვრიცხავ, ისევე როგორც მულტიკოლინარული WAP FC და NUS წყვილიდან მეორეს. რჩება მხოლოდ WAP FC ფაქტორი და მისთვის დგება ახალი, ერთცვლადიანი მოდელი (იხ ცხრილი 6):

ერთ ფაქტორზე დამოკიდებული მათემატიკური მოდელია :

MLP= – 691.52WAP FC + 9666.38

დეტერმინაციის კოეფიციენტი $R^2$=0.89; ხოლო ადეკვატურობა ისევ ბევრად მეტი რჩება კრიტიკულ მაჩვენებელზე და F=49.

საინტერესო იყო ამ დამოკიდებულების გრაფიკული სახის გამოვლენა. პორტფელის მოცულობა უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების პროცენტთან რა სახის დამოკიდებულებას გამოავლენდა, რამდენად გაფანტული და არაპროგნოზირებადი შეიძლებოდა ყოფილიყო იპოთეკური პორტფელის განვითრების მაჩვენებლები? როგორც გრაფიკიდან გამოჩნდა (ნახ.1), მნიშვნელობები წრფეს უახლოვდება.

როგორც ვნახეთ, იპოთეკური დაკრედიტების განვითარების პროგნოზირება, მხოლოდ ერთი ფაქტორითაც არის შესაძლებელი, ისე, რომ არ გავითვალისწინოთ სხვა დანარჩენი ფაქტორები, რომელიც ზემოთ არის აღწერილი და ეს ერთადერთი

**ცხრილი N4. რეგრესიული განტოლება სამი ფაქტორის გათვალისწინებით**

| | *Coefficients* | *Standard Error* | *t Stat* | *P-value* |
|---|---|---|---|---|
| Intercept | 7226.717714 | 3107.326825 | 2.325702483 | 0.080630908 |
| NUS | 0.056339142 | 0.05353076 | 1.052462949 | 0.351963784 |
| WAP GEL | -8.195679537 | 154.3788336 | -0.053088104 | 0.960207283 |
| WAP FC | -510.7449372 | 201.4110032 | -2.535834334 | 0.064264725 |

***წყარო:*** სტუ ეკონომიკური პროცესების მოდელირების ლაბორატორიის გაანგარიშებები.

ცხრილი N5. კორელაციური მატრიცა სამი ფაქტორის გათვალისწინებით

| | MLP | NUS | WAP GEL | WAP FC |
|---|---|---|---|---|
| MLP | 1 | | | |
| NUS | 0.87995 | 1 | | |
| WAP GEL | -0.45088 | -0.44181 | 1 | |
| WAP FC | -0.94398 | -0.84386 | 0.45183 | 1 |

***წყარო:*** სტუ ეკონომიკური პროცესების მოდელირების ლაბორატორიის გაანგარიშებები.

ცხრილი N6. რეგრესიული განტოლება მხოლოდ WAP FC ფაქტორით

| | *Coefficients* | *Standard Error* | *t Stat* | *P-value* |
|---|---|---|---|---|
| Intercept | 9666.383507 | 946.3061862 | 10.2148582 | 5.13011E-05 |
| WAP FC | -691.5158691 | 98.69625801 | -7.006505444 | 0.000421354 |

**წყარო:** სტუ ეკონომიკური პროცესების მოდელირების ლაბორატორიის გაანგარიშებები.

ნახ.1. იპოთეკური პორტფელის უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების პროცენტთან დამოკიდებულების გრაფიკი




***წყარო:*** სტუ მათემატიკური მოდელირების ლაბორატორიის გაანგარიშებები.

ფაქტორი - უცხორ ვალუტაში გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი გახლავთ.

როგორც ცნობილია, მაკროეკონომიკის კანონებიდან გამომდინარე, პროცენტის განაკვეთი სესხზე მოთხოვნის განმსაზღვრელია, ეს დამოკიდებულება საფუძვლად უდევს მონეტარულ პოლიტიკას და ქვეყნის ეკონომიკაში ფულის მასის მანიპულატორს წარმოადგენს.

მაგრამ, შეგვიძლია კი, ჩვენი განტოლების მიხედვით, იგივე თეორია ლარში გაცემული იპოთეკური სესხების პროცენტებისთვის მართებულად ჩვათვალოთ? ამ კითხვაზე პასუხისთვის, კიდევ ერთი მოდელის აგება მოგვიწევს - იპოთეკური პორტფელის ლარში გაცემული სესხების პროცენტზე დამოკიდებულებისთვის (იხ ცხრილი 7).

რომელსაც აქვს ამგვარი სახე:

MLP= -423.29WAP GEL+ 8574.91

მაგრამ დეტერმინაციის კოეფიციენტი $R^2$=0.20 ტოლია, რაც ნიშნავს, რომ ამ მოდელმა ფაქტორის ქცევის მხოლოდ 20% ახსნა. რაც შეეხება ადეკ-

ცხრილი N7. რეგრესიული განტოლება მხოლოდ WAP GEL ფაქტორით

| | *Coefficients* | *Standard Error* | *t Stat* | *P-value* |
|---|---|---|---|---|
| Intercept | 8574.909131 | 4331.073199 | 1.979857817 | 0.095042656 |
| WAP GEL | -423.2860503 | 342.0946018 | -1.23733625 | 0.262187569 |

***წყარო:*** სტუ მათემატიკური მოდელირების ლაბორატორიის გაანგარიშებები.

ვატურობას, F=1.53 და ამ თვალსაზრისითაც არ გვაქვს მოდელი სრულყოფილი. მაგრამ ვცადოთ, ვნახოთ, გრაფიკულად რა სახეს მიიღებს ეს დამოკიდებულება.

როგორც ვხედავთ (ნახ. 2), ფაქტორის მნიშვნელობაზე დამოკიდებულება გაბნეული წერტილების სახით წარმოგვიდგა. რაც კიდევ ერთხელ თვალსაჩინოდ გამოხატავს ლარის საპროცენტო განაკვეთზე პორტფელის მოცულობის დამოკიდებულების არაპროგნოზირებულობას.

როდესაც იპოთეკური დაკრედიტების განვითარების მოდელებს ვაანალიზებთ და მათემატიკური გამოთვლებით ვადასტურებთ, რომ იპოთეკური პორტფელის მოცულობას ხსნის უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების პროცენტზე დამოკიდებულება და ამას ვერ ახერხებს ლარში გაცემული სესხების პროცენტი, ძნელი ასახსნელია საკრედიტო პორტფელის ლარიზაცია რა შედეგებზე გაგვიყვანს (იხ ნახ. 2).

ამ შემთხვევაში პროგნოზი მხოლოდ ექსპერტულ შეფასებას უნდა დაეყრდნოს, რადგან შეუძლებელია მონაცემების ექსტრაპოლაციით პროგნოზის გაკეთება.

არსებობს რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოება, რომელმაც შეიძლება ახსნას ამგვარი შეუსაბამობა:

1. კვლევის დროს, იპოთეკურ პორტფელში უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების მაღალი წილობრივი მაჩვენებელი;
2. სტატისტიკური მონაცემების აღრიცხვის არასისტემურობა, მათი არასრული აღრიცხვა.

ეკონომიკის კანონების თანახმად, რეფინანსირების (მონეტარული) განაკვეთის ზრდას სესხებზე მოთხოვნა უნდა შეემცირებინა, მაგრამ როგორც მოდელიდან ჩანს, ამ ფაქტორებს შორის დამოკიდებულების არაპროგნოზირებადობა შედეგებს ვერ განსაზღვრავს. რაც შეეხება უცხოურ ვალუტაში სესხის აღებას, მიუხედავად ცვლადი, LIBOR განა-

ნახ.2. იპოთეკური პორტფელის ეროვნულ ვალუტაში გაცემული სესხების პროცენტთან დამოკიდებულების გრაფიკი




***წყარო:*** სტუ ეკონომიკური პროცესების მოდელირების ლაბორატორიის გაანგარიშებები.

კვეთზე დამოკიდებულებისა, მოთხოვნის ზრდა თვალსაჩინოა იმავე ცხრილში პორტფელის ზრდის დინამიკის გათვალისწინებით.

აქედან გამომდინარე, შესაძლებელია, ვივარაუდოთ, რომ არსებული არჩევანის საშუალება, რომელიც პოტენციურ მსესხებელს ჰქონდა სესხის ფასიდან გამომდინარე, უცხოურ ვალუტაში სესხის აღებით სრულდებოდა, რეფინანსირების განაკვეთის ცვლილება სესხის მოთხოვნაზე კონტროლს ვერ ახორციელებდა და, ამ შემთხვევაშიც ვაწყდებით ჯამური იპოთეკური პორტფელის ქცევას ეკონომიკური თეორიის კანონების წინააღმდეგ. შესაძლებელია, ეს მოცემულობა შეიცვალოს საკრედიტო პოტფელის ლარიზაციის ფარგლებში გადადგმული ნაბიჯების შედეგად. აქედან გამომდინარე, მიღებული შედეგი - ლარში სესხის პროცენტის ცვლილებით იპოთეკური პორტფელზე მანიპულირების შეუძლებლობა უნდა გადამოწმდეს რამდენიმე წლის შემდეგ, ყოველწლიურად შექმნილი მონაცემების ბაზაზე დაყრდნობით.

### გამოყენებული ლიტერატურა


1. http://sab.ge/sites/default/files/ipotekuri_sesxebis_mimoxilva.pdf - იპოთეკური სესხების მიმოხილვა, საზოგადოება და ბანკები, (უკანასკნელად გადამოწმდა 14.04.2019);

2.საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტენი -N4 (106), იანვარ-დეკემბერი 2007, თბილისი , გვ 50;

3. საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტენი N4 (130), იანვარ-დეკემბერი 2009, თბილისი. გვ. 45;

4.საქართველოს პროფესიონალ ქონების შეფასებელთა ასოციაცია. უძრავი ქონების შეფასება. მეორე კანადური გამოცემა. თბილისი 2003, 545 გვ;

5. С.Г.Ерошенков - «Анализ истории и эволюции ипотеки на примере развитых и развивающихся стран» - Реферат “19”апреля 2004 г [Электронная библиотека];

6. Georgia Residential Market Report – Colliers International research 2014;

7. Georgia Residential Market Report - Colliers International research 2015;

8. Georgia Residential Market Report - Colliers International research 2017;

9. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304 ეროვნული ბანკის სტატისტიკური მონაცემები (უკანასკნელად გადამოწმდა 14.04.2019);

10. Юдин С.В. Математика в экономике – учебное пособие. Тула 2009, сс 188-200;

11. http://www.geostat.ge/?action=page&p_id=18-1&lang=geo- შინამეურნეობების შემოსავლები, (უკანასკნელად გადამოწმდა 14.01.18);

# საქართველოს საბანკო სექტორის გამოწვევები

*კახაბერ კუპატაძე*
*ეკონომიკის დოქტორი*

## CHALLENGES OF THE GEORGIAN BANKING SECTOR

**Kakhaber Kupatadze**

**RESUME**

In Georgian Economy a banking sector is one of the biggest and most profitable which has grown very fast in the last twenty years. Also this sector is the biggest employer in the country. During last twenty years the sector managed to deal with big challenges and make the business more attractive, profitable and reliable for investors and consumers, but there are still several challenges that has to be overcome for the future development. Today Georgian banking sector lacks proper revenue diversification and is mostly depended on fast and consumer loans, which makes it less sustainable to economic risks. Geopolitical and internal risks are high too, which decreases investments and increases investors demanded premium. Georgian GDP grow and it's demographic developments are not optimistic too and decreases demand for consumer and business loans. Despite a big step forward there is still a sustainable risks for the sector future development.

**Key words**: loan; Diversification; Interest Rate; inflation; exchange rate; GDP.

**საკვანძო სიტყვები:** სესხი; დივერსიფიკაცია; საპროცენტო განაკვეთი; ინფლაცია; გაცვლითი კურსი, ეკონომიკური ზდა.

* * * *

საქართველოს ეკონომიკაში საბანკო სფეროს ერთ-ერთი წამყვანი პოზიცია უჭირავს, გამომდინარე იქიდან, რომ მაღალი ტემპით ვითარდება ის გვევლინება ერთ-რთ მთავარ დამსაქმებლად.

ბანკები მომსახურების სტანდარტებს დღითი დღე ხვეწენ და ავითარებენ. ტექნოლოგიების განვითარებამ კი ხელი შეუწყო სერვისების მრავალფეროვნებას და ამ სერვისების მომხმარებლის მოთხოვნებზე მაქსიალურად მორგებას, რამაც გაზარდა ბანკების მოქნილობა, ლოიალური მომხმარებელი და შესაბამისად მოგებაც. ასევე საგულისხმოა ის ფაქტიც რომ დღესდღეობით ბანკებს მეტად ენდობიან, განსხვავებით 90-იანი წლებისა, როცა ბევრმა ადამიანმა დაკარგა დეპოზიტები. ლოიალური მომხმარებლის რიცხვიც იზრდება რაზეც მოწმობს დეპოზიტებისა და სხვა საბანკო მომსახურეობების გაზრდილი მოცულობაც. ბოლო ოცი წლის მანძილზე კომერციულ ბანკებში არსებული დეპოზიტების მთლიანი მოცულობა 63,5 მილიონი ლარიდან 9,5 მილიარდ ლარამდე გაიზარდა. [6]

მიუხედავად მნიშვნელოვანი წარმატებისა რომელსაც ქართულმა საბანკო სექტორმა მიაღწია დამოუკიდებელი საქართველოს არსეობის მანძილზე, არსებობს ასევე გამოწვევები რომელთაც შესაძლოა სამომავლოდ გარკვეული პრობლემები შეუქმნანს საბანკო სექტორის სწრაფ ზრდას.

კონკურენტუნარიანობა შესაძლოა ერთ-ერთ გამოწვევად იქცეს სამომავლოდ ქართული ბანკებისთვის. ქართული ბანკები სწრაფად ითვისებენ ტექნოლოგიებს რაც ამაღლებს მათ კონკურენტუნარიანობას, მაგრამ მაღალი საპროცენტო განაკვეთები და შემოსავლის არადივერსიფიცირება არ მისცემს მათ საშუალებას უცოურ მსვილ ბანკებს გაუწიონ სათანადო კუნკურენცია. ქართული ბანკებისთვის ფინანსების მოზიდვის ორი ძირითადი წყარო არსებობს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები და რეზიდენტი ფიზიკური დაიურიდიული პირები. უცხოური ფინანსური ინსტიტუტებიდან სახსრების მოზიდვა შედარებით დაბალი პროცენტით ხდება, თუმცა ევროპულ ქვეყნებთან შედარებით მაინც მაღალია, რაც გამოწვეულია ქვეყნის საკრედიტო რეიტინგით და რეგიონის ზოგადი რისკიანობით. ამასთანავე ასეთ რესურსს მრავალი სახის შეზღუდვა და ვალდებულება მოჰყვება (ყოველწლიური ფინანსური აუდიტი, სხვადასხვა სახის კოვენანტები, მრავალი კოეფიციენტის გარკვეულ ზღვარზე შენარჩუნების ვალდებულება); ამასთანავე ყველა ქართული ბანკისთვის არ არის ხელმისაწვდომი უცხოური საფინანსო ინსტიტუტების ფინანასები (მათი სიმცირის, დაბალი საკრედიდო რეიტინგის თუ სხვა მიზეზის გამო). ზემოთხსენებული მიზეზებიდან გამომდინარე შედარებით პატარა ქართული ბანკებისთვის სახსრების მოზიდვის უმთავრეს წყაროს ადგილობრივი, მაღალი განაკვეთის მქონე დეპოზიტები წარმოადგენს. ფინანსების ძვირად მოზიდვა კი თავისმხრივ იწვევს გაცემული სესხების მაღალ პროცენტს. მაგალითისთვის ევონულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საშუალო ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 20%-ია. აღნიშნული საპროცენტო განაკვეთებით ქართულ ბანკებს გაუჭირდებათ უცხოურ ბაზრებზე გასვლა და ადგილობრივი მძლავრი ბანკებისთვის ბაზრის წილის წართმევა. გარდა უცხოური ბაზრებისა ქართული ბანკებისთვის არც ადგილობრივ ბაზარზე იქნება ადვილი უცხოური მსხვილი ბანკებისთვის კონკურენციის გაწევა, თუ ისინი საქართველოში ფილიალებს გახსნიან და თავიანთი იაფი კაპიტა-

ლით გადაწყვეტენ ადგილობრივი ბაზრის წილის ათვისება. მაღალი საპროცენტო განაკვეთები ასევე ბანკებს პოტენციურ კლიენტებს აკარგვინებს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სესხებზე შეზღუდული მოთხოვნის პირობებში. [6]

საბანკი სფეროს სწრაფი ზრდისთვის კი ერთ-ერთი მთავარი დამაბრკოლებელი ბარიერი შემოსავლების სტრუქტურა შეიძლება იქცეს. საბანკო სფეროს შემოსავლები არ არის საკმარისად დივერსიფიცირებული. ქართული ბანკების შემოსავლის 80-85%-ს საკრედიტო შემოსავლები შეადგებს რაც მთელ საბანკო სექტორს ძალზე დამოკიდებულს ხდის კრედიტების მოთხოვნაზე. ზრდის რისკებს როცა მოთხოვნა სესხებზე მცირდება და არ უტოვებს შემოსავლის ალტერნატიურ წყაროებს განსხვავებით უცხოური ბანკებისა, სადაც შემოსავლების 70% არასაკრედიტო საქმიანობიდან ღებულობე. ქართული ბაკები არ ეწევიან საფონდო ბირჟაზე ვაჭრობას, არ ახდენენ მსხვილ ინვესტიციებს ფასიან ქაღალდებში, ნაკლებად ღებულობენ მონაწილეობას მსვილ ეკონომიკურ პროექტებში, მათ უმრავლესობას საინვესტიციო ბანკი ან ბროკერი არც კი გააჩნიათ. ყოველივე ზემოთაღნუშნული გამოწვეულია როგორს სუბიექტური ასევე ობიექტრუი მიზეზებითაც, მაგრამ მიუხედაბად ყველაფრისა ამცირებს პოტენციურ შემოსავალს და ზრდის რისკებს.

დივერსიფიკაციის ჭრილში ქართული ბანკები ცდილობენ საქართველოს ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში საკუთარი შვილობილი კომპანიების შექმნას, ბოლო დროს ქვეყანაში მეტად აქტუალური გახდა ბანკების არაპროფილური საქმიანობა ეკონომიკის სვადასხვა დარგში, რასაც ბანკები თავიანთი შვილობილი კომპანიების მეშვეობით ანხორციელებდნენ. ძირითადად საქმე ეხელა საქართველოს სამი წამვანი ბანკის არაპროფილურ საქიანობას. ეს ბანკებია „საქართველოს ბანკი“, „თიბისი ბანკი“ და „ლიბერთი ბანკი“. საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკები არაპროფილურ აქტივებს ფლობენ ლიზინგის, დაზღვევის, ტურიზმისა და უძრავი ქონების სექტორებში. ბანკების ზემო ჩამოთვლილი ქმედება ამახინჯებს ეკონომიკის სტრუქტურას, ქმნის დარგებში მონოპოლისტებს და ამცირებს კონკურენციას, რაც საბოლოოდ საფრთხეს უქმნის ეკონომიკის ზრას.

გარდა ზემოთჩამოთვლილი საკითებისა საქართველოს საბანკო სისტემას გარკვეული გამოწვევები შესაძლოა მაკროეკონომიკური კუთითაც შეექმნას. ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა ბაზრის მცირე მოცულობაა. ქართული საბანკო სისტემა მთლიანად საკრედიტო შემოსავლებზეა დამოკიდებული და ადგილობრივ უმსვილეს ბანკებს არცერთი უხცოური ბაზარი არ აქვთ ათვისებული, ასეთ ვითარებაში კი საბანკო სექტორის სწრაფი ზრდისთვის აუცილებელია ბაზრის დიდი მოცულობა და მოთხოვნის სწრაფი ზრდა, რისი ტენდენციაც სამწუხაროდ საქართველოში ჯერ-ჯერობით არ არის. საქართველოს მოსალეობა სულ რაღაც 3,7 მილიონია ხოლო მშპ 68,5 მილიარდი ლარი. ასევე არც ეკონომიკური ზრდის ტემპებია დამაიმედებელი. ბოლო ხუთი წლის საშუალო წლიური მშპ-ს ზრდის ტემპი 4% შეადგენს რაც განვითარებადი ქვეყნისთვის ნამდვილად არ არის კარგი მაჩვენებლები, იმისათვის რომ ქვეყნის ეკონმიკა სწრაფი ტემპებით განვითარდეს საჭიროა მინიმუმ 7-8%-იანი ზრდა. შემოსავლები და მშპ-ც ერთ სულ მოსახლეზე ნელა იზრდება. მშპ ერთ სულ მოსახლეზე 4345,5 დოლარს შეადგენს, უმუშევრობს დონე კი მაღალია. ყოველივე ზემოთჩამოთვლილი ფაქტორი მომავალში საკრედიტო მოთხოვნასა და გაცემული სესხების ზრდის ტემპზე უარყოფითად აისახება, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ბანკების შემოსავლის მთავარ წყაროს.[3]

შესაძლოა ერთ-ერთი საშუალება სამომავლოდ ქართული საბანკო სექტორის სწრაფად ზრდისა უცხოური ბაზრების ათვისება და შემოსავლის წყაროს დივერსიფიკაციაა, ჩვენ უკვე ავღნიშნეთ რომ ტექნოლოგიურად ქართული ბანკები საკმაოდ განვითარებულნი არიან თუმცაღა, მათ უცხოური ბაზარი არ აქვთ კარგად შესწავლილი, ასევე საპროცენტო განაკვეთები სესხებზე უფრო მაღალი აქვთ ვიდერე რიგ უცხოურ ბანკებს რაც ამცირებს მათ კონკურენტუნარიანობას უხცოურ ბაზარზე. თუმცაღა გარდა აღნიშნული ფაქტორებისა არსებობს ასევე მაკროეკონომიკური ფაქტორები რომლებიც ასევე ხელს უშლის ქართულ საბანკო სექტორს უცხოურ ბაზრებზე გასვლაში, კერძოდ რეგიონის ქვეყნების ეკონომიკური ზრდის მკვეთრი შენელება. მთლიანად რეგიონის ქვეყენბში მკვეთრადაა შენელებული ეკონომიკური ზრდა, დაწყებული ირანიდან დამთავრებული უკრაინა ბელარუსსით. ზოგიერთი ქვეყანა სტაგნაციასაც კი განიცდის. სამომავლო გლობალური ეკონომიკური ტენდენციები, იგულისხმება კაპიტალის მკვეთრი გადინება განვითარებადი ქვეყენბიდან განვითარებულში და პოლიტიკური არასტაბილურობა კი არ იძლევა დამაიმედებელ პროგნოზებს, წინა წლებში ისეთი სწრაფადგანვითარებადი ეკონომიკაც კი როგორიც თურქეთია კაპიტალის მკვეთრ გადინებასა და მკვეთრ საგადამხდელო ბალანსისი დეფიციტს განიცდის. აღნიშნულ კლებადი მოთხოვნის პირობებში კი ქართულ ბანკებს ძალზე გაუჭირდებათ რეგიონის ქვეყენების ბაზრების ათვისება და აღნიშნული ქვეყნებიდან სოლიდური შემოსავლის მიღება. რაც შეეხება ევროკავშირის საბანკო ბაზარს, იგი ისედაც გაჯერებულია და მძლავრი ბანკებითაა დაკომპლექტებული რომელთაც ბაზარი მთლიანად აქვთ ათვისებული.

საბნკო სექტორისთვის სამომვალო გამოწვევად შესაძლოა იქცეს გეოპოლიტიკური არასტაბილურობით, რაც ხელს შეუშლის ქართულ ბანკებს ინვესტიციებისა და იაფი კაპიტალის მოზიდვაში, ასევე რიგ ტერიტორიებზე საქმიანობის განხორციელე-

ბაში. საქართველოს გეოპოლიტიკური და რეგიონალური მდგომარეობა დღესდღეისობით ნამდვილად არ არის სახარბიელო უსაფრთხოებისა და სტაბილურობის კუთხით. უკანასკნელი 25 წლის მანძილზე არაერთი ლოკალური თუ ფართომაშტაბიანი კოფლიქტი მომხდარა როგორც ჩვენს ქვეყანაში ასევე მთლიანად რეგიონში. აღნიშნული კომფლიკტები დღემდე არ გადაჭრილა, პირიქით გაიზარდა კიდეც. ასეთ კომფლიქტურ რეგიონებს, კი ყველა ინვესტორი და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტი თავს არიდებს ან ითხოვს მაღალ პრემიას მაღალი საპროცენტო განაკვეთის სახით. ზოგიერთი ქვეყანადა და რეგიონი კი პოლიტიკური არასტაბილურობის გამო სულაც ეკონომიკური სანქციების ქვეშაა და აღნიშნულ ტერიტორიებზე ქართულ ბანკებს საქმიანობა პრაქტიკურალ არ შეუძლიათ.

როდესაც ვსაუბრობთ საბანკო სექტორის გამოწვევაზე აუცილებლად უნდა შევეხოთ ეროვნული ბანკის მონეტარულ პოლიტიკასა და სავალუტო რისკებს, რამაც შესაძლოა მოკლე და საშუალოვადიან პერიოდში როგი პრობლემები შეუქმნას ქართულ საბანკო სისტემას. ბოლო წლების მანძილზე ეროვნულმა ბანკმა მკვეთრად გაზარდა საპროცენტო განაკვეთი რომ მოეხდინა ეროვნული კურსისა და ინფლაციის სტაბილიზაცია. დღესდღეობით მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 7%-ს შეადგენს, ხოლო გაცვლითი კურსის ისტორიულ მაქსიმუმზეა. აღნიშნული ფაქტორები ამცირებს აიძულებს ბანკებს მკვეთრად გაზარდონ საპროცენტო განაკვეთები სესხებზე რაც პირდაპირპროპორციულად მაცირებს მოთხოვნას სესხეზე.

ყოველივე ზემოთჩამოთვლილიდან ნათალდ ჩანს, რომ მიუხედავად დიდი წინსვლისა ქართულ საბანკო სექტორს გამოწვევებიც არცთუ ცოტა აქვს და მათ დასაძლევად საჭიროა მუდმივი ანალიზი, სიალეების დანერგვა და საქმიანობის გაფართოება, რომ რისკები მაქსიმალურად იქნას შემცირებული.

**ბიბლიოგრაფია:**


1. სიჭინავა ა.; ინვესტიციები. თბ., 2010, 351 გვ.
2. იაკობიძე დ., დღევანდელობის ეკონომიკური გამოწვევები საქართველოში. ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი", N3, თბ., 2017, გვ. 40-45.
3. https://www.geostat.ge/ka
4. https://on.ge/category/ბანკები-ფინანსები
5. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304
6. https://agora.ge/news&category_id=7

# მიწის რეფორმის სოციალურ-ეკონომიკური შედეგები საქართველოში

***კახაბერ ჭუმბაშვილი***
*სტუ დოქტორანტი*

**რეზიუმე**

გასული საუკუნის ბოლოს ქართული საზოგადოება აღმოჩნდა დიდი გამოწვევების წინაშე, რაც განპირობებული იყო მსოფლიოში მიმდინარე პროცესებით, პირველი ის, რომ გაჩნდა ქვეყნისთვის პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვების შესაძლებლობა და მეორე: დადგა გეგმიური-სოციალისტური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის აუცილებლობა.

საქართველო აღმოჩნდა დიდი პოლიტიკური და ეკონომიკური არჩევანის წინაშე. არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე ცვლილებები გარდაუვალი იყო. სოციალისტური ეკონომიკა, ყოვლის მხრივ გააზრებულ მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე თავისებურებების და ტენდეციების გათვალისწინებით თვისობრივად ახალ კონცეფტუალურ და მეთოდოლოგიურ საფუძველზე, გარდაქმნას საჭიროებდა. საზოგადოება არ იყო მზად სოციალისტური ეკონომიკიდან, სადაც წინასწარ განსაზღრული იყო რა უნდა ეწარმოებინა, რამდენი და სად უნდა გაესაღებინა, თავისუფალ ახალ საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადასასვლელად. მიუხედავად მძიმე რეალობისა, მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რაც ნაკარნახევი იყო მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, განეხორციელებინა მიწის რეფორმა, რაც პირველ რიგში წარმოქმნიდა მიწაზე საკუთრების ახალ-კერძო საკუთრების ფორმას და მეორე ის, რომ რეფორმა ხელს შეუწყობდა ახალი ფერმერური მეურნეობების შექმნასა და განვითარებას. რაც თავის მხრივ არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას ნაწილობრივ გააუმჯობესებდა.

სტატიაშ განვიხილავთ: მიწის რეფორმით მიღებულ შედეგებს, თუ როგორი ზემოქმედება იქონია ქართულ ეკონომიკაზე, დააკმაყოფილა თუ არა საბაზრო ეკონომიკის ძირითადი მოთხოვნები და რა სოციალურ-ეკონომიკურ შედეგი მოუტანა ჩვენს ეკონომიკას.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისი სტაბილური და თანმიმდევრული წინსვლისა და განვითარებისთვის, ერთ-ერთი პრიორიტეტი მცირე და საშუალო ბიზნესი განვითარებაა, რაც თავის მხვრივ ვერ იქნება მიღწეული ისეთი საბაზრო ეკონომიკის ძიეითადი კომპონენტების გარეშე როგორიც არის მიწაზე კერძო საკუთრება, მიწადსარგებლოგის გაუმჯობესება, სწორად გათვლილი საკანონმდებლო ბაზა და სხვა.

**საკვანძო სიტყვები:** მიწის რეფორმა, Uსოციალურ-ეკონომიკური ეფექტი.

**SOCIO-ECONOMIC IMPLICATIONS OF THE LAND REFORM IN GEORGIA**

**Kakhaber Chumbashvili**
PhD from GTU

**RESUME**

At the end of the last century, Georgian society was faced with a major challenge, Which was Challenge by the ongoing processes in the world, firstly, the opportunity for the country to gain political independence, and secondly: - There was a need to move from a socialist economy to a market economy.

Georgia faced great political and economic choices. Changes in the current socio-economic situation were necessary. The socialist economy needed to be transformed into a market economy. The public was not ready for such a big changes. Despite the hard reality , the government made the decision, To were implement land reform, which will first created a new form of land ownership, private ownership on land and second: reform would be promote the creation and development of new farms that would partially improve the current socio-economic situation.

The article discusses: the results of land reform, what impact it has had on the Georgian economy, whether it has met the basic needs of a market economy, and what socio-economic impact it has had on our economy.

development of our country economic is posible with development of small and medium-sized businesses, which in turn cannot be achieved without the components of a market economy such as private ownership of land, improvement of land use and more.

**key word:** The land reform, The socio-economic effect.

* * * *

მიწის საკუთრებისა და უძრავ ნივთზე უფლებათა რეგისტრაციის საკანონმდებლო რეფორმა საქართველოში 1992 წლიდან დაიწყო საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის №-48-ე დადგენილებით "საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების შესახებ". მიწის რეფორმა უმეტესწილად, არსებულ, სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემების მოგვარებას ისახავდა მიზნად. დღეს როდესაც მიწის რეფორმის დაწყებიდან გასულია თითქმის 17 წელიწადი, ეს სრულებით საკმარისი დროა, რათა საქართველოში მიმდინარე პროცესების კონსოლიდირება

მოვახდინოთ და ვუპასუხოდ ძირითად კითხვას:

რა სოციალურ-ეკონომიკური შედეგი მოუტანა რეფორმამ ქართულ საზოგადოებას?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არც თუ ისე ადვილია, რადგან რეფორმას, როგორც განხორციელებულ აუცილებელ მოვლენას, (იმ დროისთვის როდესაც ქვეყანას სხვა ალტერნატივა არ გააჩნდა და რომელიც მოხდა ნაჩქარევად, არაკომპეტენტური და გამოცდილების არ მქონე პირების მიერ, როდესაც ქვეყანაში შეიმჩნეოდა კორუფციის მაღალი ხარისხი, არ იყო სრულფასოვანი საკანონმდებლო ბაზა), შედეგად – მოყვა როგორც პოზიტიური ასევე ნეგატიური შედეგები, თუმცა აქვე აღსანიშნავია მიწის რეფორმის ყველაზე დიდი მონაპოვარი, რეფორმის შედეგად საფუძველი ჩაეყარა ახალ საკუთრებით ფორმას – მიწაზე კერძო საკუთრებას და ეკონომიკურ ურთიერთობების გარდაქმნას.

როგორც მოგეხსენებათ, მიწის რეფორმის პირველ ეტაპზე, ჯამში სახელმწიფო რეფორმის ფარგლებში დაახლოებით 760 ათასი ჰექტარი გადაეცა მოსახლეობას, დარჩენილი 460 ათასი ჰექტარის დიდი ნაწილი იჯარით გაიცა. სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ და სოფლად მუდმივად მცხოვრებ პირებს გამოეყოთ 1.25 ჰექტარი ფართობი, ხოლო იმავე კატეგორიის მაღალმთიან ზონაში მცხოვრებ მოქალაქეებს 5 ჰექტრამდე. არასასოფლო-სამეურნეო სფეროში დასაქმებულ და სოფლად მუდმივად მცხოვრებ პირებს გამოეყოთ 0.75 ჰექტრამდე ფართობი, ხოლო იმავე კატეგორიის მაღალმთიან ზონებში მაცხოვრებელ მოქალაქეებს 5 ჰექტრამდე. ქალაქის მაცხოვრებლებს, სოფლად გააჩნდათ სამოსახლო ან სურდათ მისი შეძენა, საქალაქო დასახლებების მიმდინარე ზონებში 0.15 ჰექტის მიღება შეეძლოთ, დაბალ ზონებში 0.25 ჰექტრამდე, ხოლო მაღალმთიან რეგიონებში 1 ჰექტრამდე. რაიონულ ცენტრების და დაბების იმ მაცხოვრებლებს, რომლებიც სოფლის მეურნეობაში იყვნენ ჩაბმულნი, 0.75 ჰექტარი გამოეყოთ, ხოლო არასასოფლო-სამეურნეო სექტორში იგივე კატეგორიის მოქალაქეებს 0.5 ჰექტრამდე.

საერთო მცულობით, 1995 წლის მონაცემებით, პრივატიზაციის პირველ ეტაპზე, მოქალაქეთა სარგებლობაში გადაცემული იყო 635.5 ათასი ჰა მიწის ფართობი, აქედან სასოფლო-სამეურნეო სავარგული 580.3 ათასი ჰა (19.6%), მათ შორის სახნავი 302.7 ათასი ჰა (38.1%), მრავალწლიანი ნარგავები 171 ათასი ჰა (51%), ნასვენი 0.8 ათასი ჰა (13.3%), სათიბი 30.9 ათასი ჰა (19.8%), საძოვარი 83.4 ათასი ჰა (5%).

როგორც ზემოთ მოყვანილი მონაცემებიდა ჩანს, ყოველივე ამას, პირველ რიგში უნდა მოყოლოდა მიწაზე კერძო საკუთრების ფორმის ჩამოყალიბება, მეორე უნდა გადაეწყვიტა დასაქმების პრობლემა და მესამე ის, რომ უნდა მოეხდინა ახალი ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბება და ხელი შეეწყო ქვეყნის ეკონომიკის ზრდა-განვითარეგისთვის. შედეგმა მოლოდინი ვერ გაამართლა, რაც კარგად არის გადმოცემული საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1996 წლის 28 ივლისის №499 დადგენილებაში. სადაც ნათქვამია, რომ საქართველოში მიწის რეფორმის მნიშვნელოვანი ხარვეძებით მიმდინარეობდა, რაც განპირობებული იყო: შესაბამის საკანონმდებლო ბაზის უქონლობით და საერთო პოლიტიკურ-ეკონომიკური სიტუაციის დაძაბულობით.

აღსანიშნავია ასევე საქართველოს პრეზიდენტის აღიარება 1996 წლის 11 აგვისტოს №186 განკარგულებაში. "აგროსამრეწველო კომპლექსი ღრმა კრიზისშია, ყოველწლიურად დაუმუშავებელი რჩება ათასობით ჰექტარი მიწა, იძირკვება მრავალწლიანი ნაკვეთები, საგადასახადო სისტემა ხელს ვერ უწყობს წარმოების განვითარებას, სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ფორმალურად რეორგანიძაციის გამო ნადგურდება ათეული წლების მანძილზე დაგროვილი სიმდიდრე. საწარმოებს და ორგანიზაციებს დიდი რაოდენობით არიცხიათ ბანკის ვალები, ურთიერთგადასახადები".

ამ ობიექტურ აღიარებას ადასტურებს შემდეგი სტატისტიკური მონაცემები: 1995 წლის საქართველოში წარმოებულმა სოფლის მეურნეობის პროდუქციამ 1988 წლის მიმართ შეადგინა: ჩაის მოსავლის -9.4%, ყურძნის მოსავლის-51.3%, ხილის მოსავლის-58.1%, ციტრუსის მოსავლის-27%, მარცვლეულის მოსავლის-62.8%, ბოსტნეულის მოსავლის-63.3%, ხორცის დამზადების-60.3%, რძის წარმოების-52.9%, კვერცხის წარმოების-33.1%.

მაგალითისთვის: თუ შევადრით სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებას წლების მიხედვით 1990-2018 წლები, თვალნათლივ ჩანს კლების ტენდენცია (იხ. ცხრილი 1).

მიწის რეფორმის ერთ-ერთ ნეგატიურ მოვლენად შეიძლება დასახელდეს, ისიც რომ მან გამოიწვია მიწების ფრაგმენტაცია, ანუ მსხვილი სამექანიზაციო ფართობების წვრილ ნაკვეთებად დანაწევრება, რაც მიწების ეფექტურ გამოყენებაზე ნეგატიურად აისახება. შედეგად კი მივიღეთ დაუმუშავებელი და მოუვლელი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართები და იმედგაცრუებული მოსახლეობა. ამაზე მეტყვე-

**ცხრილი 1**

| წელი | ხორბალი | ყურძნი | ხილი | ბოსტ. | ჩაი | ხორცი | რძე | კვერცხი | მატყლი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1990 | 170,0 | 691,0 | 591,0 | 444,0 | 501,7 | 170,3 | 659,4 | 769,2 | 6,2 |
| 2018 | 107,1 | 259,2 | 188,2 | 142,2 | 1,7 | 72,6 | 555,3 | 634,8 | 1,9 |

**ცხრილი 2**

| წლები | ნათესების ფართობი ჰა | მსხვილ.რქოსანი პირუტყვი | ღორი | ცხვარი და თხა | სოფ.მეურნ.წილი მშპ |
|---|---|---|---|---|---|
| 1990 | 701,900 | 1,298,300 | 880,200 | 1,618,100 | 31,6% |
| 1995 | 453,100 | 944,100 | 352,600 | 724,800 | 44,4% |
| 2000 | 610,800 | 1,177,400 | 443,400 | 627,600 | 21,9% |
| 2005 | 539,600 | 1,190,600 | 455,300 | 815,300 | 16,7% |
| 2006 | 330,200 | 1,080,300 | 343,500 | 789,200 | 12,8% |
| 2007 | 297,200 | 1,048,500 | 109,900 | 797,100 | 10,7% |
| 2008 | 329,300 | 1,045,500 | 86,400 | 769,400 | 9,4% |
| 2009 | 289,700 | 1,014,700 | 135,200 | 673,800 | 9,4% |
| 2010 | 256,700 | 1,049,400 | 110,100 | 653,900 | 8,4% |
| 2011 | 262,400 | 1,087,600 | 105,100 | 630,400 | 8,8% |
| 2012 | 295,600 | 1,128,800 | 204,300 | 742,600 | 8,6% |
| 2013 | 310,700 | 1,229,700 | 191,200 | 856,800 | 8,4% |
| 2014 | 274.900 | 970.000 | 169.700 | 919.600 | 8,0% |
| 2015 | 263.700 | 992.100 | 161.500 | 891.400 | 7,9% |
| 2016 | 240.000 | 962.700 | 136.200 | 936.500 | 7,7% |
| 2017 | 220.300 | 909.700 | 150.700 | 907.000 | 6,9% |
| 2018 | 207.100 | 878.900 | 163.200 | 869.400 | 6,6% |

ლებს 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მონაცემები: მაგ: საქართველოში სულ რეგისტრირებულია 642 209 მეურნეობა, აქედან 68 132 (10.6%) საერთოდ არ ფლობს სასოფლო-სამეურნეო მიწას, ხოლო დარჩენილი 574 077 მეურნეობიდან 442 540 (77.1%) ფლობს 1 ჰა-ზე ნაკლებ მიწას. ამ მოცემულობას ის უარყოფითი ფაქტორიც ემატება, რომ მიწის მესაკუთრის, ხშირ შემთხვევაში, ნაკვეთები გაფანტულია ორ და მეტ ადგილას, რაც თავის მხრივ მიწის ნაკვეთების არა რაციონალური გამოყენებისკენ გვიბიძგებს. ამის ნათელი მაგალითია ისიც, რომ 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით, 337 ათასი ჰა სახნავი მიწიდან დამუშავებულია მხოლოდ 112 ათასი ჰა მიწა ანუ მხოლოდ 30%.

ყოველივე ამან განაპირობა ის, რომ 90-იანი წლებიდან მოყოლებული განვითარებული მოვლენების გამო შემცირდა ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების ნათესები და ნარგავი ფართობები, შემცირდა პირუტყვის სულადობაც, რამაც თავის მხრივ სასურსათო პროდუქტების შემცირებას შეუწყო ხელი და მძიმე ტვირთად იქცა ქვეყნის ეკონომიკისთვის. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში თვალნათლივ ჩანს კლების დინამიკა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის წილის მიხედვით მთლიან შიდა პროდუქტში (მშპ) (იხ. ცხრილი 2)..

მიუხედავად ყველა იმ ნეგატიური შედეგისა, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქვეყანაში მიმდინარე მიწის რეფორმა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური მოვლენაა, რადგამ მან უზრუნველყო მიწაზე კერძო საკუთრების ფორმის ჩამოყალიბება, საკანონმდებლო ბაზრის სრულყოფა, მიწის რეგისრტაციის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება და მიწის ბაზრის ჩამოყალიბებასა და სრულყოფას შეუწყო ხელი.

მიწის რეფორმის მეორე დიდი სოციალურ-ეკონომიკური დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მან ხელი შეუწყო სოფლად ახალი ფერმერული მეურნეობების ჩამიყალიბებას და მოთხოვნა გააჩინა აგრო სფეროში ოდესღაც დასაქმებულ სპეციალისტებზე, რაც იმაზე მეტყველებს, რომ რეფორმამ ნაწილობრივ გადაჭრა სოფლად დასაქმების პრობლემა.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. 1992 წლის 10 მარტი №290 მინისტრთა კაბინეტის დადგენილება
2. საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო კვლევითი-ინსტიტუტე. შაბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში. შრომების კრებული ტომი პირველი. თბილისი 1996 წ.
3. ნ. ჭითანავა. საქართველოს ეკონომიკის გამოწვევები და სტრატეგია. თბილისი 2018 წ.
4. საქსტატი

# ეკონომიკური მექანიზმების ეფექტიანობის განსაზღვრა მოქმედ აგროწარმოებაში

*თამარ ობლიშვილი*
*ეკონომიკის დოქტორი*

**რეზიუმე**

აგრარული სექტორის მდგრადი განვითარების თანამედროვე პირობებში უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების თავისებურებების, ტენდენციების კანონზომიერებათა გამოკვლევას, სასურსათო და სამრეწველო პოტენციალის ამოქმედების რეალური ფაქტორების თეორიულ-მეთოდოლოგიურ შესწავლას, ეკონომიკური რესურსების ეფექტურობას.

აგრარული სექტორის ეკონომიკური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის დადგენა რთული და მრავალმხრივია, მითუმეტეს მაშინ, როდესაც მიმდინარეობს საბაზრო ურთიერთობების სრულყოფა. ასეთ პირობებში საჭირო ხდება შიდა რესურსების მაქსიმალური მობილიზება, რომლის თავმოყრა და რეალიზაცია დიდ ძალისხმევას მოითხოვს, ამიტომ გადაუდებელი ამოცანაა ქვეყნის ეკონომიკური რესურსების სწორი შეფასება და მისი რეალიზაციის შესაძლებლობათა სრული გამოვლენა. უნდა შემუშავდეს ახალი აგრარული პოლიტიკა, რომელშიც უნდა აისახოს ეკონომიკური გარდაქმნების გლობალურ პროცესში სოფლის მეურნეობის როლი, მისი განვითარების მიზანი, სტრუქტურა, აგრარული წარმოების პოტენციალის უფრო სრულად ამოქმედების ურთიერთ განმაპირობებელი ფაქტორები, კერძო და სახელმწიფო სექტორის, მცირე, საშუალო საწარმოებისა და მსხვილი სამეურნეო სისტემების განვითარება, სოფლის მეურნეობის ტერიტორიული გადაადგილების და სპეციალიზაციის ძირითადი მიმართულებანი და სხვა.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური მექანიზმები, აგროწარმოება, არარაციონალური თანაფარდობა, საკრედიტო რესურსები, ინდიკატორული დაგეგმვა.

**DETERMINING THE EFFECTIVENESS OF ECONOMIC MECHANISMS IN CURRENT AGRO PRODUCTION**

**Tamar Oblishvili**

**SUMMARY**

In the modern conditions of sustainable development of the agrarian sector, the primary importance is given to examine the peculiarities of economic and social development of Georgia, regularity of the tendencies, theoretical-methodological study of real factors of enactment of food and industrial potential, efficiency of economic resources.

Establishing the effectiveness of the use of economic resources of the agrarian sector is difficult and versatile, especially when the perfection of market relations is being. In such conditions the maximum mobilization of internal resources becomes necessary, which gathering and realization requires great effort, therefore, the urgent task is the correct evaluation of the economic resources of the country and complete revealing of its realization opportunities. A new agrarian policy should be developed, in which should be reflected the role of agriculture in the global process of economic transformation, the purpose of is development, structure, mutual conditioning factors of more fully triggering of agricultural production potential, development of private and state sector, small, medium enterprises and large economic systems, main directions of agricultural territorial movement and specialization and etc.

* * * *

აგროსამრეწველო სასურსათო კომპლექსის ეკონომიკური მექანიზმი - ესაა საქონელმწარმოებლებზე (მეწარმეებსა და ს/ს მიწის მესაკუთრეებზე) ეკონომიკური ზემოქმედებისბერკეტების და მეთოდების ერთობლიობა საინვესტიციო და საწარმოო მოტივაციის გაძლიერების მიზნით. მისი მთავარი ელემენტებია: ფასი, გადასახადები, კრედიტი, დაზღვევა, ანუ ეკონომიკური მექანიზმის საფუძველს განსაზღვრავს საქონელზე ფასწარმოქმნის და ფინანსურ-საკრედიტო ურთიერთობები. თანამედროვე აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკური მექანიზმის ძირითადი ამოცანებია უზრუნველყოს შესაბამისი გაცვლა სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის დარგებს შორის, სამომხმარებლო ბაზრის გაჯერება სამამულო სურსათით, რაც ირიბად ნიშნავს სამამულო აგროწარმოების ეფექტურ განვითარებას.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების დაბალი რენტაბელობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი აგროპროდუქციისა და მისი კვლავწარმოებისათვის საჭირო საწარმოო რესურსებზე ფასების ჩამოყალიბებული არარაციონალური თანაფარდობაა. შესაბამისი მასალების გაანალიზების საფუძველზე მივედით იმ დასკვნამდე, რომ რეფორმირებამდე სოფლის მეურნეობაში საკმაოდ განვითარებული იყო შიდა დარგობრივი კონკურენცია, მაგრამ პრაქტიკულად ნულამდე იყო დასული დარგთაშორისი კონკურენტული პოტენციალი, ანუ კონკუ-

რენცია ერთი და იგივე სახეობის მწარმოებელი ს/ს დანიშნულების მიწების მფლობელებს შორის. იგივე შიძლება ითქვას ეკონომიკური მექანიზმის მეორე ძირითადი ელემენტის - საკრედიტო სისტემის შესახებ. ის ფაქტი, რომ აგრარული სექტორის რეფორმირების დაწყებიდან დღემდე ვერ მოხერხდა მიწის გამოყენება სესხის მიღებისათვის, ან ის ფაქტი, რომ დღემდე გრძელვადიან საკრედიტო რესურსებზე ძირითადად შენარჩუნებულია 20-25%-იანი სასესხო სარგებელი, იმის მანიშნებელია, შესაძლებელია ითქვას ისიც, რომ ეკონომიკური მექანიზმის ეს ელემენტიც ფაქტიურად უმოქმედოა საქართველოს სინამდვილეში. მდგომარეობის შედარებით გამოსწორების მიზნით უნდა გაგრძელდეს საქონელმწარმოებელთა მიერ კომერციული ბანკებიდან აღებული სესხების საპროცენტო განაკვეთების სახელმწიფოს მიერ სუბსიდირების პრაქტიკა, სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების დაფინანსება, განსაკუთრებით ისეთი პროგრამებისა, როგორიცაა: დეგრადირებული და ეროზირებული მიწების აღდგენის და ნაყოფიერების ამაღლების, ტყის დაცვისა და მელიორაციის, მცენარეთა და ცხოველთა მაღალპროდუქტიული, დაავადება გამძლე ახალი ჯიშების გამოყვანის და სხვა პროგრამები. ასევე სხვა ის ღონისძიებები, რომლებიც გარკვეულწილად ხელს შეუწყობენ შეღავათიან საკრედიტო რესურსებზე საქონელმწარმოებელთა ხელმისაწვდომობის გაზრდას. ამ მიზნით აუცილებელია სახელმწიფოს მიერ გატარდეს აგრარული წარმოების დაკრედიტების საკითხის მოგვარება. უნდა დაჩქარდეს სპეციალური აგრო-საკრედიტო სისტემის ფორმირება, რომლის გარეშე სასოფლო--სამეურნეო წარმოების ალმავლობა პრაქტიკულად შეუძლებელია. აგრარულ საკრედიტო სისტემის ჩამოყალიბებას საფუძვლად უნდა დაედოს განვითარებული სოფლის მეურნეობის მქონე ქვეყნების პრაქტიკული გამოცდილება (გერმანიაში ''რაიფაზენი''-ს კრედიტი, ნიდერლანდებში ''რაბოპინკი'', საფრანგეთში ''აგროკოლი'' და ა.შ.) და ჩვენი სოფლის მეურნეობის სპეციფიკური თავისებურებანი. ჩამოთვლილი ქვეყნების ანალოგიურად, ჩვენს ქვეყანაში ასეთი აგრარული საკრედიტო სისტემის ჩამოყალიბებასა და საწყისი კაპიტალის ფორმირებაში საქონელმწარმოებელთა თანამონაწილეობასთან ერთად სახელმწიფოს წილი ძირითადი უნდა იყოს. სახელმწიფოს მიერ მიღებული შესაბამისი ნორმატიული აქტით უნდა განისაზღვროს აგროსაკრედიტო სისტემის ფორმირებისა და ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბერკეტი ქვეყანაში მოქმედი ეკონომიკური მექანიზმისა შესაძლებელია ქონების დაზღვევა გახდეს, რომელიც დღეისათვის რაიმე არსებითი როლს არ თამაშობს სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაში, თუმცა ამის ტენდენცია სახელმწიფო სუფსიდირების დახმარებით უკვე შეიმჩნევა. ეს ფაქტორი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისათვის, სადაც მიწაზე მეურნეობრიობა ძირითადად მეტეოროლოგიურ პირობებზეა დამოკიდებული, სადაც როგორც წესი მოსავლიან წლებს გარკვეული თანმიმდევრობით მოუსავლიანი წლები ცვლის. ასეთ პირობებში დღის წესრიგში ყოველთვის დგება მოსავლისა და უძრავი ქონების დაზღვევის შეღავათიანი სადაზღვეო სისტემის ამოქმედების საკითხი. მიუხედავად ასეთი დიდი მნიშვნელობისა, ეკონომიკური მექანიზმის ეს ბერკეტიც ფაქტიურად არ გამოიყენება ჩვენს სოფლად სადაზღვეო სისტემის განუვითარებლობა ხელს უშლის პირველყოვლისა სოფლად საქონელმწარმოებელთა, გლეხურ მეურნეობათა და ოჯახური მეურნეობების განვითარებას. რისკის დაზღვევის პროგრესული ფორმების შემოღება აუცილებელია ასევე იმ ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის, რომლებიც თავიანთ სახსრებს აბანდებენ სასოფლო-სამეურნეო მიწებში. რიგ ქვეყნებში სადაზღვევო სისტემის აღორძინებისა და ეფექტიანობის ამაღლების მიზნით გამოყენებულია სახელმწიფოს თანამონაწილეობა სოფლად საქონელმწარმოებლების დასაზღვევი ქონების გადასახადის დაფარვაში. საქართველოში ბოლო რამდენიმე წელია აღნიშული პრაქტიკა დაინერგა და საკმაოდ წარმატებულადაც ხორციელდება. ის ერთ-ერთი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებშია გაერთიანებული და მისი მომხმარებელი ყოველწლიურად იზრდება. ანალოგიური პრაქტიკაა ევროპის ცალკეულ ქვეყნებშიც და იგი აჩვენებს, რომ ეს პროგრამა ფრიად საყურადღებოა.

და ბოლოს, უნდა აღინიშნოს ეკონომიკური მექანიზმის ერთ-ერთი ძირითადი ბერკეტის- საგადასახადო სისტემის შესახებ. ქვეყანაში მოქმედი საგადასახადო სისტემის მიხედვით, სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, რომელთა ბრუნვა არ აღემატება წლის განმავლობაში 500 000 ათას ლარს, თავისუფლდებიან ამ სახის გადასახადისაგან. ამდენად, ეს პრობლემა აბსოლუტურად სოფლად საქონელმწარმოებლებისათვის ანუ წვრილი მიწათმოქმედი გლეხებისათვის არ არსებობს. აქ თავს იჩენს ერთი ძალზედ მნიშვნელოვანი საკითხი - მიწის გადასახადი. დღეისათვის ს/ს სავარგულებზე გადასახადი არსებობს როგორც მოხმარებულ მიწაზე, რომელიც 5 ჰექტარზე მეტია, ისე მის განკარგულებაში არსებულ სარწყავ წყალზეც, რაც სრულიად ნორმალური და მისაღებია, თუმცა არის ერთი პრობლემა - გადასახადი გამოუყენებელ მიწებზეც იგივეა, რაც მოხმარებაში არსებულ ს/ს მიწებზე. ჩვენი აზრით კი ეს სრულიად არამართებულია, მითუმეტეს იმ პირობებში, როცა ჩვენს ქვეყანას არ აქვს ფუფუნება თუნდაც ერთი გოჯი მიწა დაუმუშავებელი ჰქონდეს. ასეთ შემთხვევაში ყველაზე მისასალმებელია გადასახადის გაზრდის მეთოდით ''დასჯა'' იმ ფერმერებისა და მიწის მესაკუთრეებისა, ვინც სათანადოდ ან საერთოდ არ იყენებს მიწას. იგი იძულებული გახდება ან თვითონ უზრუნველყოს მიწის

დამუშავება, გასცეს იჯარით, გააქირაოს ან გაყიდოს მის საკუთრებაში არსებული ს/ს სავარგული. სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის, გლეხური ფერმერული მეურნეობებისათვის, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ასევე მნიშვნელოვანია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადიც, რომელსაც დღეს მოქმედი კანონის თანახმად არ იხდიან 5 ჰექტრამდე მიწის მეპატრონეები, აგრეთვე სახელმწიფო საკუთრების საცდელ-ექსპერიმენტალური, სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო უმაღლესი სასწავლებლები და სხვა მოსარგებლენი. ძირითადი მიზანი ამ გადასახადის დაწესებისა არის მიწის დაცვისა და ათვისების, მიწის ნაყოფიერების ამაღლებისა და რაციონალურად გამოყენების სტიმულირება. ის უნდა გამოიყენებოდეს მიწის კადასტრის და მონიტორინგის, მიწათმოწყობის, ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების და სხვა მიზნებისათვის, რომელიც საბოლოო ანგარიშით მიწის მაღალნაყოფიერ და პროდუქტიულ გამოყენებას უკავშირდება. ამ მიზნით ადგილობრივ და ცენტრალურ ბიუჯეტში აკუმულირებული თანხები აუთვისებლობის შემთხვევაში არ უნდა ამოიღებოდეს და არ უნდა იხარჯებოდეს სხვადასხვა მიზნებზე. დღეს ეს გადასახადი არ ამართლებს მიზნებს. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ამ სახის გადასახადიდან პრაქტიკულად არაფერი ხმარდება მიწის ნაყოფიერების ამაღლებას, მიწების ეროზიისაგან დაცვის ღონისძიებების გატარებას, მიწებზე კულტურულ-ტექნიკური სამუშაოების ჩატარებას და ა.შ., რის შედეგადაც სახეზე გვაქვს ქარის მიერი და წყლის მიერი ეროზიით დაზიანებული ათობით ათასი ჰექტარი მიწა, ნაყოფიერება დაქვეითებული და დამლაშებული ნიადაგების სულ უფრო მზარდი რაოდენობა, გაუდაბნოების, მეორადი დაჭაობების და სხვა არასასურველი პროცესები. ჩვენი გათვლებით, გადასახადების სრულად მიმართვა მიზნობრივად მიწის დაცვისა და ნაყოფიერების ამაღლებისათვის, რაც ყოველწლიურად დაახლოებით 15-20 მილიონ ლარს შეადგენს და პლუს ამას მომატებული გადასახადი დაუმუშავებელ მიწებზე, სრულიად საკმარისი იქნებოდა ეროზიული პროცესების შესაჩერებლად და ნიადაგის ნაყოფიერების შესანარჩუნებლად, რომლებსაც დღეს საქართველოში პრაქტიკულად შეუქცევადი ხასიათი აქვს.

სახელმწიფო რეგულირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბერკეტს აგროწარმოებაში ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური დაგეგმვა წარმოადგენს. ინდიკატური გეგმა არ შეიცავს დირექტიულ დავალებებს რაიონებზე და ცალკეულ საწარმოებზე და არ ზღუდავს მეურნე სუბიექტის საქმიანობის მიზნებსა და მიმართულებებს. პირიქით, აწვდის მათ ინფორმაციას ქვეყანაში წარმოების მოცულობისა და პერსპექტიულ განვითარებაზე, ასევე საბაზრო კონიუნქტურაზე, პროდუქციის წარმოებისა და მოხმარების ბალანსზე. ინდიკატორული გეგმის მთავარი შემადგენელი ნაწილი სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამებია, რომლითაც სახელმწიფო უნდა ახორციელებდეს ეკონომიკის რეგულირებას, პრიორიტეტული დარგებისათვის საჭირო პირობებისა და გეგმით გათვალისწინებული პროგნოზული პარამეტრების მიღწევას. სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამები სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა ფინანსდებოდეს, ამით არ დაიკარგება ბიუჯეტური სახსრების, პრიორიტეტული დარგებისა და სფეროების აღორძინების კარგი შესაძლებლობები. სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების საბოლოო მიზანი ქვეყნის სართო ეკონომიკურ ზრდას, სხვადასხვა საწარმოო-ეკონომიკურ პირობებში მყოფი რეგიონების ეკონომიკურ გამოთანაბრებას და საბოლოო ანგარიშით მოსახლეობის დასაქმებას და ცხოვრების დონის ამაღლებას უნდა ემსახურებოდეს. ამდენად, ნებისმიერი პროგრამა შერჩეული უნდა იქნეს კონკურსის საფუძველზე წინასწარ განსაზღვრული პრიორიტეტების, დასახული მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით. საბოლოოდ ინდიკატორული დაგეგმვა აგრო წარმოების რეგულირების მნიშვნელოვანი ბერკეტია, რაც კიდევ უფრო მეტ დახვეწას და გააზრებას მოითხოვს.

დასკვნის სახით შიძლება აღინიშნოს, რომ აგროსამრეწველო-სასურსათო კომპლექსში მოქმედი ეკონომიკური მექანიზმები ამ სფეროში შექმნილი რეალური მდგომარეობის შეუსაბამოა და მოითხოვს დახვეწას. უკანასკნელი რამდენიმე წლის მცდელობის მიუხედავად, ეკონომიკური მექანიზმის ვერცერთი ბერკეტი ვერ პასუხობს სათანადოდ დროის მოთხოვნებს, თუმცა აუცილებლად აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მცდელობა და მუშაობა ამ კუთხით აქტიურად მიმდინარეობს და დიდად გასხვავდება 10-15 წლის წინანდელი მდგომარეობისაგან. თუმცა მიგვაჩნია, რომ აგრო-სასურსათო სექტორში მდგომარეობის გამოსწორების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობა არსებული ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფაა, რაც სწორი აგრარული პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაზეა დამოკიდებული.

# ბიზნეს ღირებულების შეფასების ინტეგრირებული თეორია

*დავით ახობაძე*
*სტუ დოქტორანტი*

**რეზუმე**

**ბიზნესის ღირებულების შეფასების ინტეგრირებული თეორია** არის ფინანსური და შეფასების კონცეფციების თეორიული თეორია, რომელიც შემუშავებულია ფინანსური თეორიის საფუძველზე ბაზრის მონაწილეთა რეალური ქცევის ასახსნელად.

**ინტეგრირებული თეორიის ერთერთ** საკვანძო ასპექტს წარმოადგენს მთლიანობაში საწარმოსა და ცალკეული აქციონერების წილების შეფასებათა თანაფარდობა. კომპანიის შეფასების საფუძველია ბიზნესის მიერ წარმოქმნილი ფულადი სახსრების შემოდინების მოლოდინები, ხოლო აქციონერთა წილების ღირებულების შეფასებას საფუძვლად უდევს საკუთრების კონკრეტული წილის შესაბამისი ფულადი ნაკადების ნაწილი.

საწარმოებში მინორიტარული ინტერესების შეფასების პროცესი იწყება მთლიანი საწარმოს შეფასებით. შემდგომ პროგნოზირდება ფულადი სახსრების ნაკადების შესაბამისობა წილებთან მიმართებით, აქციების ფლობის სავარაუდო ვადების საფუძველზე. დასასრულ, ხდება ამ ნაკადების დისკონტირება.

**საკვანძო სიტყვები**: ინტეგრირებული თეორია, მინორიტარული, წილი, ბიზნესი, შეფასება, ხარჯვითი, საშემოსავლო, შედარებითი, მიდგომა, კომპანია, კაპიტალი, კაპიტალიზაცია, დისკონტირება, გორდონის მოდელი.

## ИНТЕГРИРОВАННАЯ ТЕОРИЯ ОЦЕНКИ СТОИМОСТИ БИЗНЕСА

**Ахобадзе Давид**
Докторант ГТУ

**РЕЗУМЕ**

*Интегрированная теория оценки стоимости бизнеса* представляет собой теоретическое обсуждение финансовых и оценочных понятий, выработанных для объяснения реального поведения участников рынка на основе финансовой теории.

Одним из наиболее важных аспектов *Интегрированной теории* является соотношение между понятиями оценки предприятия как целого и оценки долей собственности отдельных акционеров. Оценка предприятия базируется на ожидании будущих денежных потоков, порождаемых бизнесом. Стоимость долей собственности отдельных акционеров, особенно миноритарных, основывается на той части денежных потоков предприятия, которая может быть отнесена на соответствующую долю собственности.

Оценка миноритарных интересов на предприятиях — это производный процесс. Он начинается с оценки предприятия в целом, затем следует (прогнозируется) производный денежный поток к миноритарным долям собственности в расчете на ожидаемый срок владения акциями, и, наконец, этот производный поток дисконтируется, приводится к настоящему времени по подходящей ставке дисконтирования, применительно к риску доли собственности (в сравнении с риском самого предприятия).

* * * *

დღეისათვის აშშ-ში გამოიყენება ბიზნესის ღირებულების შეფასების ახალი მიდგომები, რომლებიც წარმოადგენს სწორედ ბიზნესის ღირებულების შეფასების ინტეგრირებულ თეორია და რომლის ავტორია კრისტოფერ მერსერი. მან, არსებული გამოცდილებისა და მიდგომების ანალიზის საფუძველზე შეიმუშავა ბიზნესის ღირებულების შეფასების საკუთარი თეორია და შეფასების შესაბამისი მექანიზმები, რომელსაც ეწოდება ბიზნესის შეფასების ინტეგრირებული თეორია. აღნიშნულ კონცეფციაზე დაყრდნობით შემუშვებულ პრაქტიკაშ გამოყენებულ მოდელს Quantative Marketability Discount Model (QMDM) (ფასდაკლების ფორმირების რაოდენობრივი მოდელი) ეწოდება [1].

მერსერის ინტეგრირებული თეორია უდაოდ მნიშვნელოვანია ბიზნესის შეფასების კონცეპტუალური დებულებების სისტემაში, ხოლო მისი რაოდენობრივი მოდელი (QMDM) უკვე გახდა შემფასებელთა პრაქტიკის რეალური ინსტრუმენტი. მიუხედავად ამისა, მას ნამდვილად ვერ განვიხილავთ, როგორც რევოლუციურ თეორიას, თუმცა ეჭვგარეშეა, რომ არის მეცნიერული სიახლე და წინ გადადგმული ნაბიჯი ბიზნესის ღირებულების შეფასების თეორიის შემუშავების საქმეში.

ინტეგრირებული თეორია, მერსერისა და მისი თანაავტორის ტრევის ხარმსის მტკიცებით, საშუალებას იძლევა ბიზნესის ღირებულების შემფასებლებისთვის, საშუალებას იძლევა როგორც ჯამური, ასევე ნაწილობრივი თვალსაზრისით, რომელიც მიეკუთვნება კონკრეტულ მესაკუთრეებს წილების შესაბამისად. აღნიშნული ითვლება გორდონის მოდელისა და ბიზნესის ღირებულების შეფასების ცნობილი კონცეფციის ჰარმონიზაციით. რაც შეეხება გორდონის მოდელს, მერსერის მიერ ის გამოყენება ფინანსური და შეფასების თეორიის კონტექსტში ღირებულების ყოველი დონის ასახსნე-

ლად. ინტეგრირებული თეორია განსაზღვრავს კონცეპტუალურ კორექტირებებს ღირებულების ერთი დონიდან მეორეზე გადანაცვლების უზრუნველსაყოფად. აღნიშნული კორექტირებები ეხება კონტროლისთვის წახალისების, არასაკმარისი ლიკვიდურობის გამო ფასდაკლებების და პრემიების გამოყენებას.

მერსერის ინტეგრირებული თეირიის საფუძველი, ავტორების განმარტებით, არის გორდონის ცნობილი მოდელი, ანუ კონკრეტული პერიოდის შემოსავლის კაპიტალიზაციის მოდელი, რომლის მიხედვით ხდება ღია ბაზარზე ფასიანი ქაღალდების ღირებულების შეფასების მეთოდების განზოგადება და აღიშნება ფორმულით: ***Vo = CF*1 / (*r* – *g*),**

სადაც, *Vo* არის ბიზნესის ღირებულება;

*CF*1 – ერთი წლის ფულადი სახსრების ნაკადი;

*r* – დისკონტირების განაკვეთი;

*g* – ფულადი სახსრების ნაკადის საშუალო წლიური ზრდის ტემპი საპროგნოზო პერიოდში.

"ამასთან, მოიაზრება, რომ ფულადი ნაკადები მომავალში იზრდება უცვლელი – მუდმივი ტემპით (*გ*), ხოლო ფულადი ნაკადები გადანაწილდება აქციონერებზე, ან რეინვესტირდება შესაფასებელ კომპანიაში დისკონტირების განაკვეთიდან გამომდინარე (*რ*)." ავტორები ამ მოდელს უწოდებენ "იდეალურ" საფუძველს ინტეგრირებული თეორიის დასასაბუთებლად.

ამ მოდელის მიღებული პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე მერსერმა გაანალიზა თითოეული დონის ღირებულების ფორმირების პირობები. შედეგად, არსებითად გარდაქმნა ღირებულებების დონეების "ტრადიციული" სქემა და სრულყო იგი.

მისი სქემის მიხედვით, პირველ რიგში განსაზღვრულია საწყისი, ანუ "მინორიტარული ლიკვიდური წილის ღირებულების დონე", რომელიც გორდონის მოდელის გამოყენების შედეგად, "ზოგად წარმოდგენას იძლევა, მინორიტარული წილის ღირებულების დონეზე, საჯარო ფასიანი ქაღალდების შეფასების შესახებ". საწყისი დონე მონოგრაფიის მიხედვით, არის საწყისი ბაზა, რაზეც საჯარო კომპანიი-ანოლოგიებისთვის, საკონტროლო წილის ღირებულების მაჩვენებლის მისაღებად გასათვალისწინებელია. პრემიის კონტროლის განხორციელებისთვის კომპანიებისთვის არასაკმარისი ლიკვიდურობის მინორიტარული წილის ღირებულების მისაღებად გასათვალისწინებელია ფასდაკლება არასაკმარისი ლიკვიდურობისთვის. ბიზნესის ღირებულების გასაანგარიშებლად, პირველად დონეზე, გამოიყენება მერსერის მიერ დასაბუთებული შემდეგი ფორმულა: ***Vmm = CFe(mm) / Rmm – Gmm*,**

სადაც, *Vmm* არის კომპანიის (როგორც საჯარო, ასევე კერძო) საკუთარი კაპიტალის ღირებულება.

კერძო კომპანიებისთვის "ეს ღირებულება განისაზღვრება როგორც კომპანიის თავისუფალი გაყიდვის ფასი", ანუ "ჰიპოთეტური ღირებულება". ამ შემთხვევაში ღირებულების მაჩვენებლები გამოითვლება ანალოგიური საჯარო კომპანიების შედარების მეთოდის გამოყენებით, ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინფორმაციების გათვალისწინებით, ან არაპირდაპირი მეთოდით, კაპიტალის აქტივების შეფასების მოდელის გამოყენებით - Capital Asset Pricing Model (CAPM);

*CFe(mm)* – საწარმოს მოსალოდნელი ფულადი ნაკადები მინორიტარული ლიკვიდური წილის დონეზე მომდევნო პერიოდთან მიმართებაში;

*Rmm* – დისკონტირების განაკვეთი მინორიტარული ლიკვიდური წილის ღირებულების დონეზე. მიუხედავად იმისა, რომ უშუალოდ მისი დადგენა შეუძლებელია, ამ მაჩვენებლის იდენტიფიცირება ხდება საჯარო კომპანიების აქციების ფასის ფორმირების პრაქტიკის სპეციალური ანალიზის ფარგლებში, ან ე.წ. კუმულაციური მეთოდების გამოყენებით, რომლებიც ერთობლიობაში ითვალისწინებენ ბიზნესის კეთების სავარაუდო რისკებს კონკრეტული კერძო კომპანიისთვის.

*Gmm* – საწარმოს ძირითადი საქმიანობიდან წარმოქმნილი მოსალოდნელი მოგების ზრდის ტემპი, იმ დათქმით, რომ მისაღები მოგება სრულად გადანაწილდება აქციონერებს შორის.

ავტორების მიერ ხაზგასმულია, რომ "მინორიტარული ლიკვიდური წილის ღირებულების დონე" განიხილება, როგორც "საწარმოსთან დაკავშირებული ღირებულების დონე". ეს განპირობებულია იმით, რომ *CFe(mm)* ხასიათდება როგორც მთლიანი საწარმოს ფულადი ნაკადები. ღირებულების ამ დონიდან გამომდინარე შესაძლებელია ბიზნესის ღირებულების შეფასება სხვა დონეზე, რომელიც დაკავშირებულია კონტროლის განხორციელებასთან შესაფასებელი ბიზნესის ფარგლებში. ავტორებს აქვე შემოაქვთ კონცეფციები "ფინანსური კონტროლი" და "სტრატეგიული კონტროლი". მათი შესაბამისი ბიზნესის ღირებულების ინდიკატორები წარმოადგენენ კონტროლთან დაკავშირებული ღირებულების დონეებს.

ფინანსური კონტროლი - კონტროლის ეს ტიპი და მასთან დაკავშირებული ბიზნესის ღირებულების მაჩვენებლები ცხადჰყოფს, რა თანხის გადასახდელადაა მზად ფინანსური მყიდველი ბიზნესის ფინანსური კონტროლის განსახორციელებლად (ანუ კომპანიის აქციების საკონტროლო პაკეტის შესაძენად).

სტრატეგიული ტიპის კონტროლი – ეს არის სტრატეგიული ან სინერგიული ღირებულება.

"სტრატეგიული მყიდველები" მზად არიან კომპანიის შესაძენად უფრო მეტი თანხის გადასახდელად, ვიდრე ფინანსური მყიდველები, ვინაიდან მათ აქვთ შერწყმის სინერგიული ეფექტის მოლოდინები (მაგალითად, დუბლირებული ხარჯების აღმოფხვრის ან ძირითად საქონელთან ერთად), რომელიც გამოიწვევს მომავალი პერიოდების ფულადი ნაკადების ზრდას."

**შემდეგი სახით ცნობილია ბიზნესის ღირებულების დონეები:**




კითხვის ნიშნის (?) დასმის მიზეზები განმარტებულია შემდგომ ტექსტში.

FCD (Financial Control Premium) – პრემია ფინანსური კონტროლის განხორციელებისთვის.

MID (Minority Interest Discount) – ფასდაკლება საკუთრების მინორიტარული წილის ღირებულებაზე.

შეძენილ ბიზნესზე კონტროლის ამგვარი გაგების გამო ტრადიციული სამდონიანი სქემის სანაცვლოდ შემუშავდა ღირებულების კონცეპტუალური დონეების ახალი ოთხდონიანი სქემა. მათ შორის განსხვავებები, ავტორების მიერ, ასახულია ნახაზში ბიზნესის ღირებულების დონეები, საიდანაც ჩანს, რომ შემოტანილია უმნიშვნელოვანესი კონცეფცია "სტრატეგიული კონტროლის პრემია", რომლის გამოყენებით შესაძლებელია, ბიზნესის ღირებულების ფინანსური კონტროლის დონიდან ღირებულების სტრატეგიულ დონეზე გადანაცვლება. ამ შემთხვევაში, ფინანსურ კონტროლთან დაკავშირებული კორექტირებები უზრუნველყოფს ფულადი ნაკადების ისეთ ზრდას, რომელიც აჭარბებს ლიკვიდური მინორიტარული წილისთვის დადგენილ ნორმალიზებულ დონეს.

ისმის კითხვა თუ რა არის ნორმალიზბული ფულადი ნაკადები? ნორმალიზებული ფულადი ნაკადები არის ფულადი შემოსულობების მაჩვენებლები, რომელთა განსაზღვრისას აღმოიფხვრება ისეთი არაორდინალური ხარჯების სახეობები, როგორიცაა მაგალითად, საწარმოში ხანძრის გაჩენით წარმოშობილი დამატებითი ხარჯები, ტოპ მენეჯერების განსაკუთრებული ფულადი კომპენსაციები და ა.შ.

ავტორთა აზრით, აუცილებელია პრემიის ამ სახეობების კონცეპტუალ დონეზე ამგვარი გამიჯვნა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ღირებულების სხვადასხვა დონეების მონაცემები, რომლებიც ქვეყნდება გარკვეული პერიოდულობით, არ იძლევა აღნიშნული პრემიების მკვეთრი გამიჯვნის შესაძლებლობას. ვინაიდან, "არსებული ინფორმაცია კონტროლის პრემიების შესახებ ასახავს ფინანსური კონტროლისა და სტრატეგიული კონტროლის პრემიების გარკვეულ კომბინაციას." შესაბამისად, აქედან ვასკვნით, რომ "რეალური საკონტროლო პრემიების განხილვა, როგორც ბაზის (საფუძვლის) არაკონტროლირებადი ხასიათის საკუთრების მინორიტარული წილის ფასდაკლებების განსასაზღვრად, სამართლიანი საბაზრო ღირებულების დადგენის ჭრილში (Fair Market Value), არაკორექტულია" (Ibid). ამას განაპირობებს ის გარემოება, რომ კონტროლის პრემიების შესახებ კვლევების მონაცემები შეიძლება მოიცავდეს ერთობლიობაში ფინანსური კონტროლის პრემიასა და კომპანიის შეძენის, ანუ სტრატეგიული პრემიას. ამ შემთხვევაში, ზოგადად მიღებულმა გადასვლამ კონტროლის პრემიიდან არაკონტროლირებადი მცირე წილის ფასდაკლებაზე, შეიძლება გამიწვიოს ფასდაკლების ოდენობის არამართებული გადაჭარბება. აქედან გამომდინარე, არამართლზომიერია ჩაითვალოს, რომ არაკონტროლირებადი ხასიათისთვის ფასდაკლება კონტროლის პრემიის სარკისებური გამოსახულებაა[2].

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვასკვნით, რომ "ამგვარი ფასდაკლებები, რომლებიც გამოყენებულია ფინანსური კონტროლის ღირებულების შეფასებისას, იძლევა ბიზნესის ღირებულების, სა-

კუთრების მცირე წილის დონესთან მიახლოებულ, ან/და მასზე დაბალ სავარაუდო შეფასებას". თუკი ამას დაემატება განმარტებები დაბალი ლიკვიდურობისთვის ფასდაკლების გამოყენების შესახებ, მივიღებთ კერძო კომპანიებში არალიკვიდური მცირე წილების გადაფასების ტენდენციას.

ამგვარად, ინტეგრირებული თეორია უარყოფს:

- მიზანშეწონილობას, კონტროლის პრემიის სიდიდის საფუძველზე, ფორმულების გამოყენებით, განისაზღვროს არაკონტროლირებადი ხასიათისთვის ფასდაკლებები.
- ამ თეორიის დებულებების საფუძველზე ირკვევა, რომ პრემიის ოდენობაზე დაყრდნობით, ფასდაკლების დონის დადგენა ფორმულის გამოყენებით, იწვევს კერძო კომპანიებში საკუთრების მინორიტარული წილის შემცირებას.
- მესამე და ყველაზე მნიშვნელოვანი დასკვნა, კონტროლის პრემია წარმოიქმნება არა ავტომატურად, არამედ მხოლოდ აქციონერთა წილების ზრდის შედეგად. იგი "ემყარება ფულადი ნაკადების, რისკების ან/და შესაფასებელი ბიზნესის ზრდის ტემპების ინდიკატორების მოსალოდნელ სხვაობებს". რაც ნიშნავს, რომ კონტროლის პრემია, უპირობოდ არ წარმოადგენს ბიზნესის აქციების წილის ზრდის ფუნქციას. იგი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად იზრდება ფულადი ნაკადები მინიჭებული კონტროლის შედეგად. ამასთან, გასათვალისწინებელია რისკების პირობებისა და ფულადი ნაკადების ზრდის ტემპის ცვლილებები. საკონტროლო ხარისხამდე გაზრდილი ბიზნესის წილი, თავისთავად, დამატებით არაფერს ქმნის. ამასთან, ერთი აქციის ღირებულების ზრდა, საკონტროლო პაკეტის ჭრილში, დაკავშირებულია მხოლოდ ზრდად ფულად ნაკადებთან, რაც თავის მხრივ, განპირობებულია ბიზნესის მართვის სისტემის ხარისხობრივ გაუმჯობესებასთან.

აღწერილი პოზიციის დასაბუთებით, რაც მნიშვნელოვნად განსხვავდება კონტროლის პრემიის წარმოშობის არსებული პრინციპებისაგან და ეწინააღმდეგება იმ ტრადიციულ იდეებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია ბიზნესის შეფასების მეთოდოლოგიისადმი მიძღვნილ, პრატის, რეილისა და შვაისის, მონოგრაფიაში. აღნიშნულ სახელმძღვანელოზე დაყრდნობით, მერსერსა და ჰარმსს მოჰყავთ კონტროლის პრეროგატივების ჩამონათვალი, რომლებიც, პრატისა და სხვა სპეციალისტების აზრით, იწვევს ერთ აქციაზე გაანგარიშებული საკონტროლო წილის ღირებულების მეტობას, მინორიტარული ლიკვიდური წილის ღირებულებასთან შედარებით [3].

აღნიშნული ჩამონათვალი მოიცავს საკონტროლო წილის მფლობელების ისეთ შესაძლებლობებს, როგორიცაა მენეჯმენტის შემადგენლობის დანიშვნა/გათავისუფლება, დირექტორთა საბჭოს შეცვლა და ა.შ. მერსერმა, თანაავტორთან ერთად, დათვალა 20 ასეთი შესაძლებლობა (Ibid). ისინი ირონიულად აღნიშნავენ, რომ ეს შესაძლებლობები უფრო და უფრო ფართოვდება გამოცემიდან გამოცემამდე.

სწორედ ეს გარემოებაა გაუგებარი ინტეგრირებული თეორიის ავტორებისათვის. ვინაიდან მიაჩნიათ, რომ "ციტირებული მტკიცება შეიძლება იყოს სამართლიანი მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა იგი ეხება ერთიდაიმავე კერძო კომპანიის საკონტროლო წილის მფლობელსა და მინორიტარული პაკეტის მფლობელს". ვინაიდან "ფინანსური კონტროლის პრემია იქმნება, ფინანსური კონტროლის მყიდველის გემოვნებით გარიგების ფასში შეყვანილი ფულადი ნაკადების, ან ზრდის ტემპების ოდენობების ნებისმიერი სხვაობის შედეგად" (Ibid). ამასთან, საუბარია "მხოლოდ ლიკვიდური მინორიტარული წილის დონეზე პროგნოზირებულთან შედარებით მეტი მოცულობის ფულადი ნაკადის მოლოდინებზე".

ამასთან, "კონტროლის პრემია გაიცემა საწარმოს განსხვავებულად მართვის უფლებისთვის, ფულადი ნაკადების ზრდისა და ზრდის ტემპის მატების მიზნით" (Ibid). ამავე დროს, არ არსებობს ბიზნესის ღირებულების კონკრეტული ნაწილი, რომელიც უშუალო კავშირშია კონტროლის პრეროგატივებთან (Ibid). რაც ნიშნავს, "იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური კონტროლის მყიდველი არ გეგმავს ფულადი ნაკადების ზრდას, კონტროლის პრემიის ოდენობა იქნება ნულოვანი, ან ძალიან მცირე."

ფინანსური კონტროლის ქვეშ მყოფი ბიზნესის ღირებულებასა და ლიკვიდური მინორიტარული წილის ღირებულებას შორის კონცეპტუალური განსხვავება დამოკიდებულია ფინანსური კონტროლის პრემიაზე. ინტეგრირებული თეორიის თანახმად, საჯარო კომპანიებში ის საერთოდ არ არსებობს, ან ძალზე უმნიშვნელოა. ეს ნიშნავს, რომ ფასდაკლების ოდენობა, უკონტროლო ლიკვიდური მინორიტარული წილისა და ფინანსურად კონტროლირებადი წილისათვის, უსევე უნდა იყოს ნულოვანი, ან ძალიან მცირე. Aქედან გამომდინარე, მერსერი და ჰარმსი ასკვნიან, "მინორიტარული წილისა და ფინანსურად კონტროლიბადი წილების ღირებულებები, თითოეული პაკეტის ერთ აქციაზე გათვლით, საჯარო კომპანიების უმრავლესობისთვის თითქმის ერთიდაიგივეა".

საჯარო კომპანიებში მინორიტარული წილისთვის ფასდაკლების მცირე ოდენობა ან სულაც არარსებობა, გამოწვეულია ინვესტორების მიდგომებით, "ღია ბაზარზე თანხები დააბანდონ არა უშუალოდ კონტროლის განხორციელებისთვის, არამედ ინვესტირება მოახდინონ აქციების მინორიტარულ პაკეტებში. ამასთან, აქვთ მოლოდინები, რომ მენეჯმენტი მოახდენს კომპანიების მართვას აქციონერთა ინტერესების სრული დაცვით. მინორიტარული აქციონერები გათვლას აკეთებენ მოსალოდნელი ფულადი ნაკადების კაპიტალიზაციის დონის ზრდაზე, მიმდინარე საბაზრო ფასებში. თუკი

ეს მოლოდინები არ რეალიზდა, მათ მოუწევთ კონტროლის განხორციელება, ანუ საკუთარი აქციების გაყიდვა, რითაც შექმნიან ფინანსური მყიდველების მიერ ასეთი კომპანიების მიღების პოტენციურ შესაძლებლობას."

ინტეგრირებული თეორიის ავტორები აკეთებენ დათქმას, რომ "აღნიშნული დასკვნები და შენიშვნები ვრცელდება მხოლოდ მწარმოებელ კომპანიებზე. ჰოლდინგის ტიპის კომპანიებზე."

განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო კომპანიის ლიკვიდური მინორიტარული წილი მერსერის მიერ განხილულია როგორც "მთლიან საწარმოსთან დაკავშირებული ღირებულება... ღია ტიპის კომპანიების აქციონერები, რომლებიც ფლობენ როგორც საკონტროლო, ასევე მინორიტარულ პაკეტებს, მიიღებენ კუთვნილ მოგებას საწარმოს მთლიანი ფულადი ნაკადებიდან (ვინაიდან ისინი ყოველდღიურად კაპიტალიზირდებიან ფასიანი ქაღალდების ღია ბაზრებზე)". აქედან გამომდინარეობს ინტეგრირებული თეორიის უმნიშვნელოვანესი დებულება, რომელიც გამორიცხავს ფასდაკლების გამოყენებას არასაკმარისი კონტროლისთვის მინორიტარული წილის მიმართ. ეს დებულება, მერსერის მიხედვით, ვრცელდება როგორც საჯარო, ასევე კერძო (დახურულ) კომპანიებზე. ის გარემოება, რომ კერძო (დახურული) კომპანიების აქციები შედარებით იაფია ანალოგიური ტიპის საჯარო კომპანიების აქციებზე, აიხსნება არა კონტროლის პრეროგატივების კაპიტალიზაციით, არამედ კერძო კომპანიებში შემოსავლების მიღების შედარებით დიდი რისკებით. ეს რისკები აისახება ფულადი ნაკადების არათანაბარი დისკონტირებით.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1 Mercer Z. Christopher. Valuing Enterprise and Shareholder Cash Flow (The Integrated Theory of Business Valuation), Published Peabody Publishing, LP, Memphis, Tennessee, 2004, 390 p.;

Mercer Z. Christopher, Harms V. Travis. Business Valuation (the Integrated Theory). Second Edition, John Wiley & Sons, Inc., Hoboken, New Jersey, 2008, 225 p.

2 Пратт Ш.П. Оценка бизнеса: скидки и премии / Научный редактор А.А. Козлов. М.: Квинто-Менеджмент, 2005. С. 37

3 *Pratt Shannon, Reilly Robert, Schweis Robert.* Valuaing a Business, 4th ed. New York: McGraw – Hill, 2000, p. 347–348.

# საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშემშლელი ფაქტორები და მისი დაძლევის გზები

*ტიტე აროშიძე*
*აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრი.*
*სტუ დოქტორანტი*

**CHALLENGES OF AGRICULTURAL DEVELOPMENT AND THE WAYS TO OVERCOME IT CASE OF GEORGIA**

**Tite Aroshidze**

Minister of Agriculture
of the Autonomous Republic of Ajara.
Phd of GTU

**ABSTRACT**

Maximum utilization and intended use of capacity of Georgian agricultural potential is vitally important for the Georgian economy. For this purpose, positive results can be reached by promoting financial resources and carrying out agrarian policies that will increase competitiveness of agro production. Along with that, most important is to ensure food safety and security, which is the main duty of the Government. Georgia has a rich agricultural traditions. These traditions are integral part of country's history, mentality and cultural heritage. During the centuries, Agriculture played an important role in estabilishing and maintaining Georgia as a country. As a result of systemic measures launched in 2012, the positive tendencies are observed in development of Agriculture Sector. Despite the implemented programmes in recent years, still there many challenges in agricultural sector of Georgia. GDP from agriculture does not exceed 10%, rural employment income is still low, production of food self-sufficiency is low, foreign direct investment (FDI) in agricultural sector of Georgia is steadily low. The modern challenge of state policy should be to eliminate this backwardness.

**Key words:** Agriculture, Rural development, rural development strategy, state programmes.

****

თანამედროვე სოფლის მეურნეობის უმთავრესი გამოწვევაა, იმ ხელის შემშლელი ფაქტორების გამოვლენა, რაც აბრკოლებს მის განვითარებას. მიუხედავად დამოუკიდებლობის სამი ათეული წლისა, მაინც ვერ იქნა დაძლეული ის პრობლემები, რამაც საქართველოს სოფლის მეურნეობაში თავი იჩინა XX საუკუნის 80-იანი წლებიდან.

საბჭოთა პერიოდის საქართველოს სოფლის მეურნეობა, თითქმის 1990 წლამდე, მკვეთრად განსხვავდებოდა დღევანდელი მდგომარეობისაგან. სოფლის მეურნეობის წილი ყოველწლიურად მკვეთრად იზრდებოდა, მაღალი კლასის პროდუქტის წარმოების ხარჯზე, ხოლო სოფლის მეურნეობაში ექსპორტი იმპორტს 70%-ით აღემატებოდა.

პლანტაციები და გადამამუშავებელი ფაბრიკები სამუშაო ადგილებს ქმნიდნენ, რომლებიც საერთო მომარაგების ქსელს ემსახურებოდა. 1990-იანი წლების ბოლო პერიოდიდან სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოცულობა უწყვეტად მცირდება, შესაბამისად მცირდება მისი წილი მთლიან შიდა პროდუქტშიც, ხოლო სოფლის მეურნეობაში იზრდება თვითდასაქმებულად კლასიფიცირებულთა რაოდენობა, თუმცა მისი სტატისტიკური აღრიცხვა გართულებულია მეთოდოლოგიის სუსტი ინსტრუმენტის გამო.

ამასთანავე სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული საქმიანობის წილი საერთო მშპ სთან მიმართებაში ძალიან დაბალია, რაც რეალურად ასახავს სოფლის მეურნეობაში არსებულ ეკონომიკურ პრობლემებს.

მთლიანი შიდა პროდუქტის დარგობრივი სტრუქტურა 2018* წელი, %




1990-იან წლებში განხორციელებული პრივატიზაციის და მიწის კვაზი რეფორმის პროცესის შედეგად ჩამოყალიბდა ე.წ. „ფერმერთა" ახალი კლასი. ეს იყო გლეხის საარსებო საშუალება მიწის მცირე ნაკვეთებზე სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით მიეღო ეკონომიკური სარგებელი. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს მხრიდან მუდმივად ხდებოდა იმის დეკლარირება, რომ სოფლის მეურნეობა სტრატეგიული დარგია, სოფლის მეურნეობა, როგორც სექტორი, დამატებითად იყო მიჩნეული - თვითდასაქმებულის საარსებო საშუალებად.

ბოლო წლების განმავლობაში სტრატეგიის უქონლობის გამო სოფლის მეურნეობის სექტორი განვითარების სტაგნაციურ მდგომარეობაში იმყოფებოდა, რაც გამოწვეული იყო რამოდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორით:

- სახელმწიფოს მხრიდან ჩაურევლობის პოლიტიკა;
- სტრატეგიულ პრიორიტეტად მხოლოდ სიტყვიერად გამოცხადება;
- სტრატეგიის არარსებობა.

აღნიშნულმა გარემოებებმა სოფლის მეურნეობის პროდუქციის უწყვეტი შემცირება გამოიწვია, რაც გამოიხატებოდა ნათესი მიწების ფართობების და სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქტების წარმოების შემცირებით.

საქართველოს სოფლის მეურნეობის პოტენციალის მაქსიმალურად ათვისება და მიზნობრივი გამოყენება ქვეყნის ეკონომიკისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. სწორედ ამიტომ, დადებითი შედეგის მიღწევის უპირველესი გარანტია იქნება მკაფიოდ განსაზღვრული, კონკურენტუნარიანი წარმოებისკენ მიმართული აგრარული პოლიტიკის შემუშავება და ეკონომიკის ამ სექტორში ფინანსური რესურსების მოზიდვის ხელშეწყობა. ამავე დროს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებისა და სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფის საკითხი, რაც საქართველოს მთავრობის, ძირითადი ვალდებულებაა.

საქართველოს სოფლის მეურნეობას მდიდარი ტრადიციები გააჩნია, რაც ქვეყნის ისტორიის, ცნობიერებისა და კულტურული მემკვიდრეობის განუყოფელი ნაწილია. ამ ერთობლიობამ საუკუნეების განმავლობაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საქართველოს, როგორც სახელმწიფოს ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. საქართველოს მთლიანი ტერიტორიის დაახლოებით 43.4 % (ანუ 3 მლნ. ჰაზე ოდნავ მეტი) ითვლება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებად, რომლებიც ასევე მოიცავს საძოვრებს და მდელოებს. დანარჩენი ფართობის 43% დაფარულია ტყის საფარით. ქვეყანაში ეკოლოგიური და კლიმატური ზონების დიდი ნაირსახეობაა, რაც ზომიერი და სუბტროპიკული ზონებისთვის დამახასიათებელი სასოფლო-სამეურნეო კულტურების უმეტესობის მოყვანის შესაძლებლობას იძლევა. საქართველოს ბიოსფერო მრავალფეროვნებით გამოირჩევა, რაც განპირობებულია 12 განსხვავებული ზონისა და 49 სხვადასხვა ნიადაგის არსებობით. ქვეყანა ასევე მდიდარია როგორც საირიგაციო, ისე სასმელი წყლის რესურსებით.

არასწორი აგრარული პოლიტიკის გამო, განადგურდა აგრარული მეცნიერება, დეგრადაცია განიცადეს უმაღლესმა და საშუალო სპეციალურმა სასწავლებლებმა, განადგურდა სასწავლო-საცდელი მეურნეობები, ლაბორატორიები, თემატური მუზეუმები.

განხორციელებულმა მიწის რეფორმამ გამოიწვია მეურნეობების დანაწევრება და წარმოების ნატურალიზაცია. 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით, 0.1 - დან - 1 ჰექტრამდე მიწას ფლობდა მიწათმოსარგებლეთა 66.9%, 1-დან 5 ჰექტრამდე ფართობს - 23.3%, ხოლო 50-დან - 500 - ჰექტრამდე - მხოლოდ 0,15% (ცხრილი 3). პრობლემას ამწვავებს ისიც, რომ მეურნეობების კუთვნილი 1 ჰექტარი მიწა საშუალოდ წარმოდგენილია 2-3 ნაკვეთად. ცხადია, ასეთ პირობებში ინტენსიური სასოფლოსამეურნეო წარმოების ორგანიზება მიწების კონსოლიდაციის გარეშე შეუძლებელია, რაშიც ახლო მომავალში სერიოზული როლი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებმა უნდა შეასრულონ.

სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითადი ასპექტები სახელმწიფოს სტრატეგიულ მიმართულებებს უნდა წარმოადგენდეს, ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია, რომ საქართველომ ბოლო პერიოდის განმავლობაში, საკმაოდ დიდ წარმატებებს მიაღწია საერთაშორისო ასპარეზზე. ჯერ კიდევ 2000 წელს საქართველო გახდა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (WTO) წევრი და წევრ ქვეყნებთან სარგებლობს უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმით. ასევე, ამოქმედდა პრეფერენციათა განზოგადებული (GSP) სისტემა აშშ-სთან, კანადასთან, შვეიცარიასთან, ნორვეგიასა და იაპონიასთან. საქართველომ თურქეთსა და უკრაინასთან თავისუფალი, ხოლო დსთ-ს თითქმის ყველა ქვეყანასთან შეღავათიანი ორმხრივი სავაჭრო ხელშეკრულებები გააფორმა. 2015 წელს ევროკავშირთან ამოქმედდა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების პირობებით გათვალისწინებული რეჟიმი (DCFTA), რაც გულისხმობს საქართველოდან ექსპორტირებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თავისუფალ შეღწევას ევროკავშირის ბაზარზე.

2012 წლიდან რადიკალურად შეიცვალა მიდგომა სოფლის მეურნეობის მიმართ, დაიწყო მიზნობრივი პროგრამების განხორციელება, რასაც ხელი უნდა შეეწყო დარგის განვითარებისათვის, რადგან სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამები ხელს უწყობს მეწარმეობის განვითარებას სოფლად, სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის მიმართულებით, მნიშვნელოვანია რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სოფლისა და სოფლის განვითარების სააგენტო ახორციელებს, სხვადასხვა მიმართულებით - დანერგე მომავალი, ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამა, აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა, შეღავათიანი აგროკრედიტი, სოფლად ახალგაზრდა მეწარმეების მხარდაჭერის პროგრამა - „ახალგაზრდა მეწარმე“.

სოფლის მეურნეობის დარგის ქვეყნის ეკონომიკაში ინკლუზიისათვის მნიშვნელოვანია აღნიშნული პროექტების განხორციელება, მაგრამ ასევე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ევროორგანიზაციებიდან, ფერმერული მეურნეობების კომპლექსური

განვითარებისთვის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექსპერტების მაქსიმალური ჩართულობა.

„საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015 - 2020 წწ" ასახავს იმ გამოწვევებს და დაძლევის გზებს რაც უზრუნველყოფს გრძელვადიან პრიოდში სოფლის მეურნეობაში არსებული კრიზისის დაძლევას, სტრატეგია ითვალისწინებს მიმართულებებს და ღონისძიებების გატარებას:

- აგრარულ სექტორში დასაქმებულთა კონკურენტუნარიანობის ამაღლება
- ინსტიტუციური განვითარება
- მელიორაცია და ნიადაგის ნაყოფიერება
- რეგიონალური და დარგობრივი განვითარება - დამატებული ღირებულების შემქმნელი სრული ციკლის წარმოების განვითარების ხელშეწყობა;
- სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- სურსათის უვნებლობა, ვეტერინარია და მცენარეთა დაცვა;
- კლიმატის ცვლილებები, გარემო და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება;

სტრატეგიული მიმართულებების ამოქმედება ცალსახად იწვევს სოფლის მეურნეობის ინკლუზიურ განვითარებას. თუმცა აღსაღნიშნავია რომ თუ სოფლის მეურნეობის სტრატეგია სამომავლოდ მოექცევა „სოფლის განვითარების" სტრატეგიის ქუდის ქვეშ, რეალურად მოხდება სოფლის მეურნეობის ეკონომიკის ინკლუზიურ დარგად გადაქცევა, რაც თავის მხრივ კომლექსურად მოაგვარებს სოფლად არსებულ პრობლემებს, როგორიცაა ტურისტული მიმართულებები - აგრო ტურიზმი, ეკო ტურიზმი, რეკრიაციული ტურიზმი, გასტრო ტურიზმი და ა.შ.; სოფლად ინფრასტუქტურული მიმართულებები; მცირე და საშუალო ფერმერული და გადამამუშავებელი კლასტერების განვითარება.

მიუხედავად ბოლო პერიოდში განხორციელებული პროექტებისა, სოფლის მეურნეობაში პრობლემები კიდევ ბევრია, მისი ხვედრითი წილი მშპ-ში არ აღემატება 10 %-ს, სოფლად დასაქმებულთა შემოსავლები ისევ დაბალია, დაბალია სურსათით თვითუზრუნველყოფა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები დარგში მცირედაა წარმოდგენილი. სახელმწიფო პოლიტიკის თანამედროვე გამოწვევა, სწორედ ამ ჩამორჩენის აღმოფხვრა უნდა იყოს.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია (2017-2020), http://enpard.ge/ge/wp-content/uploads/2015/05/საქართველოს-სოფლის-განვითარების-სტრატეგია-2017-2020.pdf

2. საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020, http://www.moa.gov.ge/Ge/Public/Strategy/8

3. სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სექტორების შეფასება აღმოსავლეთი პარტნიორობის ქვეყნებში: საქართველო – ევროპის კავშირის სამეზობლო პროგრამა, 2012 წ.

4. geostat.ge

5. http://arda.gov.ge/projects/read/plant_future/2:parent;

# ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მომსახურების ხარისხის მართვა

***ვერა ბარკალაია***
*სტუ დოქტორანტი*

## რეზიუმე

სტატიაში – „ჯანდაცვის სისტემის მომსახურების ხარისხის მართვა" – როგორც სათაურიდან ჩანს, ეხება ჯანდაცვის სისტემის მომსახურების სათანადო ხარისხის უზრუნველყოფას. საუბარია სამედიცინო დახმარების თითოეული სახეობისათვის სამედიცინო დახმარების სტანდარტებზე. აღნიშნულია, რომ ჯანდაცვის მომსახურებების ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთ შემადგენელს წარმოადგენს მართვის საინფორმაციო-ტექნოლოგიური ქვესისტემა, რომელიც განსაზღვრავს ჯანდაცვის დაწესებულებების სტრუქტურის ცალკეული ელემენტების აგებისა და ურთიერთქმედების მეთოდს. წარმოდგენილია სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების ძირითადი მართვის 8 პროცესიანი მოდელი და სამედიცინო დახმარების შედეგიანობის შეფასებისათვის სამი მაჩვენებელი. მაგრამ, საბოლოო ჯამში, ჯანდაცვის სისტემისაგან პაციენტის კმაყოფილება განისაზღვრება არა მარტო პროცედურის ხარისხითა და მისი შედეგებით, არამედ იმ გარემოებებითა და პირობებით, სადაც ხორციელდება მისი მომსახურება.

საკვანძო სიტყვები: ჯანმრთელობის დაცვა, მომსახურების ხარისხი, პაციენტი, სამედიცინო დახმარება. სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულება.

## INVESTMENT PROJECTS ASSESSMENT AND FINANCIAL-ECONOMIC ANALYSIS

**Barkalaia Vera,**
PhD student GTU

## RESUME

The article assesses an important topic, such as the investment projects in Georgian healthcare system. The investment climate in Georgian healthcare is the entirety of political, economic, financial, socio-cultural, legal, and geographic factors, characterizing the given region and attracting a potential investor. Also discussed are the methods of financing investment projects and optimizing the sources of forming the investment resources. The article shows how the economic analysis of investment projects are done, what should be payed the most attention, and which resources are more profitable to use.

The assessment of investment projects in Georgian healthcare means collecting the information about the project and transferring this information to the decisionmaker in a way that is helpful in order to draw conclusions about how advisable the investment is.

And lastly, investment project is a complex of interconnected events. Its development and realization are related to several successive events, as follows: pre-investment, investment, and operational. These are the stages where the financial advisability is assessed.

Key words: investment, project, financing, resources, economic analysis.

* * * *

ჯანდაცვის მომსახურების სათანადო ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება ისეთი ქვესისტემებით, როგორიცაა ორგანიზაციულ-სამართლებრივი, მატერიალურ-ტექნიკური, საინფორმაციო-ტექნოლოგიური, საკადრო და ა. შ. ცალკეულ შემთხვევებში, როდესაც არ არსებობს ჯანდაცვის მომსახურების ცალკეულ სახეობების ხარისხის სტანდარტები, მიზანშეწონილია განვიხილოთ მართვის ამ ქვესისტემების ეკონომიკური (მასტიმულირებული) შემადგენელი.

საორგანიზაციო-სამართლებრივ სფეროში მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს მთავრობის დადგენილება, რომელშიც მითითებულია, რომ სამედიცინო დახმარების სტანდარტების დაცვაზე კონტროლი წარმოადგენს სახელმწიფოს საკონტროლო-საზედამხედველო ფუნქციას, გააკონტროლოს, შეესაბამება თუ არა გაწეული სამედიცინო დახმარება დიაგნოსტიკური, სამკურნალო და სხვა კვლევებისა და ღონისძიებების მოთხოვნებს, ასევე კონკრეტული დაავადებებისა და მდგომარეობების მედიკამენტოზური მკურნალობის მოთხოვნებს, რომლებიც დადგენილია სამედიცინო დახმარების სტანდარტებით, ასეთი სამედიცინო დახმარების მოცულობების და ხარისხის მოთხოვნებს.

სამედიცინო დახმარების თითოეული სახეობისათვის არსებობს სამედიცინო დახმარების სტანდარტები კონკრეტული დაავადებების დროს, რომლებიც მოიცავს დიაგნოსტიკური და სამკურნალო სამედიცინო დახმარების ჩამონათვალს, მათი გამოყენების რაოდენობისა და სიხშირის აღნიშვნით, გამოყენებული წამლების ჩამონათვალს ჯერადობის და საკურსო დოზების აღნიშვნით, ძვირადღირებული სამედიცინო დანიშნულების (იმპლანტების, ენდოპროტეზების და სხვა) ნაკეთობების ჩამონათვალს, სამკურნალო კვების ჩამონათვალს, მათი გამოყენების (სამედიცინო დახმარების მოცულობა)

რაოდენობისა და სიხშირის აღნიშვნით.

ჯანდაცვის მომსახურებების ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთ შემადგენელს წარმოადგენს მართვის საინფორმაციო-ტექნოლოგიური ქვესისტემა, რომელიც განსაზღვრავს ჯანდაცვის დაწესებულებების სტრუქტურის ცალკეული ელემენტების აგებისა და ურთიერთქმედების მეთოდს. ეს სტრუქტურა შეიძლება აგებულ იქნას ფუნქციონალური ან საპროცესო მიდგომების საფუძველზე, რომლებიც წარმოადგენენ მართვაში სისტემური მიდგომის გამოყენების ფორმებს.

წარმოგიდგენთ სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების ძირითადი მართვის 8 პროცესიანი მოდელს, რომელიც მოიცავს პროცესების შემდეგ სახეობებს:

1. საქმიანობის შეთანხმებული პირობების გამომუშავება არის ყველა სახეობები, რომლებიც მიმართულია ეკონომიური ურთიერთობების ყველა სუბიექტების ორგანიზაციისა და მოლოდინის შესაძლებლობების შეთანხმებაზე;

2. შრომითი რესურსების კვლავწარმოება - ეს არის საქმიანობის სახეობები, რომლებიც მიმართულია პერსონალის მუშაუნარიანობის შემდგომ პერიოდში აღდგენაზე;

3. მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა არის ორგანიზაციის საქმიანობის მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფა საჭირო რაოდენობით, ხარისხით და ვადებით;

4. მომსახურების გაწევის მეთოდების დამუშავება და მოდიფიკაცია - ეს არის მოღვაწეობის ყველა სახეობები, რომლებიც მიმართულია სამედიცინო მომსახურების გაწევის შემადგენლობასა და მეთოდების განსაზღვრისაკენ;

5. წარმოების საშუალებების კვლავწარმოება - ეს არის მოღვაწეობის ყველა სახეობები, რომლებიც მიმართულია ტექნოლოგიური მოწყობილობებისა და ინფრასტრუქტურის ობიექტების ხელმისაწვდომობის და მუშაუნარიანობის აღსადგენად შემდგომ პერიოდში;

6. მომსახურების განაწილება - მდგომარეობს კლიენტების მომსახურებისა და მათი კმაყოფილების შეფასების ღონისძიებების ჩატარებაში;

7. მომსახურებების წარმოება - საქმიანობის ყველა სახეობები, რომლებიც მიმართულია მოცემული ტექნოლოგიების (მეთოდების) და შესაბამისი რესურსების გამოყენებისა მომსახურეობების გასაწევად მოთხოვნილი ხარისხობრივი მახასიათებლებით;

8. გაანგარიშებები ვალდებულებაზე - საქმიანობის ყველა სახეობები, რომლებიც მიმართულია ეკონომიური ურთიერთობების სუბიექტების წინაშე ვალდებულებების დაფარვისაკენ.

ორგანიზაციის მართვის ფორმა, რომელიც ეწევა სამედიცინო მომსახურებების (სახელმწიფო, მუნიციპალური, კერძო), არსებით გავლენას ახდენს გაწეული მომსახურებების შინაარსზე, ურთიერკავშირსა და მართვის პროცესებზე.

მსხვილ სპდ-ში სამედიცინო მომსახურებების ხარისხის მენეჯმენტის სისტემის დანერგვის გამოცდილებამ გვიჩვენა მისი არასაკმარისად მაღალი ეფექტიანობა, რომლის მიზეზები არ შეიძლება მივაწეროთ ნაკლოვანებებს, თვით სისტემის დამუშავების დაბალ დონეს. როგორც ჩატარებულმა კვლევებმა გვიჩვენა, სამედიცინო მომსახურებების ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ეფექტიანობა ზევრად განისაზღვრება ამ სფეროს ეროვნული ეკონომიკის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ურთიერთობებით, რომლებიც გამყარებულია არსებულ ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებში, რომლებიც არ უწყობენ ხელს ხარისხით მართვის სისტემის პოტენციალურად მაღალი ეფექტიანობის სრულად რეალიზაციას.

ჯანდაცვის სფეროში მომსახურებების ხარისხის უზრუნველყოფის ქვესისტემა საბოლოოდ არ ამოწურავს სამედიცინო მომსახურების მომხმარებლისათვის (პაციენტებისათვის) ასეთ მნიშვნელოვანის ცნების შინაარსს. სამეცნიერო-მეთოდურ ლიტერატურაში არსებული ხარისხის შეფასების მიდგომები ძირითადად აქცენტირებას აკეთებენ მკურნალობის პროცედურების ხარისხზე და მის შედეგზე. ასე, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია იძლეოდა წინადადებას განხილულიყო ეს საკითხი სისტემურად და გამოყოფილიყო სამედიცინო დახმარების ხარისხის სამი ძირითადი კონპონენტი:

- ადეკვატურობა, როგორც შესაბამისობის მაჩვენებელი გაწეული ფაქტიურ მომსახურეობის ტექნოლოგიასა და მოსახლეობის მოთხოვნილებებსა და მოლოდინებს შორის, რომელიც მიეკუთვნება სამედიცინო პრობლემებს (ადეკვატურობა შეიძლება შეფასებულ იქნას კონკრეტული პროცედურის გამოყენების საბოლოო სასარგებლობით შემდგომი სიცოცხლის ხარისხზე მისი გავლენის თვალსაზრისით),

- ეკონომიურობა, როგორც გამოყენებული საშუალებების ეფექტურობის მაჩვენებელი (ხშირად განსაზღვრავენ დანახარჯების მიღწეულ შედეგებთან თანაფარდობით);

- სამეცნიერო-ტექნიკური დონე - გამოყენებული მეთოდების, მკურნალობის,დიაგნოსტიკის, პროფილაქტიკის თანამედროვეობა, როგორც სამედიცინო ცოდნისა და ტექნოლოგიის სფეროში თანამედროვე მიღწევების აღრიცხვის სისრულის შეფასების მაჩვენებელი.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპულმა ბიურომ, თავის ანგარიშში, რომელიც მიძღვნილი იყო სამედიცინო დახმარების ხარისხის უზრუნველყოფის პრინციპების ფორმირებისადმი, მიუთითა, რომ მოცემული პრობლემის გადაწყვეტის დროს აუცილებლად გათვალისწინებული ყოფილიყო მისი ოთხი ელემენტი: სპეციალისტის კვალიფიკაცია; რესურსების გამოყენების ოპტიმალობა; რისკი პაციენტისათვის; სამედიცინო ქვესისტემასთან

ურთიერთქმედებისაგან პაციენტის კმაყოფილება.

ითვლება, რომ „ხარისხის“ კატეგორიის თავისებურებას სამედიცინო დახმარებასთან დართვაში წარმოადგენს იმას, რომ ავადმყოფის გამოკვლევისა და მკურნალობის შესრულება პათალოგიის სახეობასთან და სამედიცინო დაწესებულების სპეციფიკასთან (კატეგორიასთან) სრული შესაბამისობისას, ყოველთვის მთლიანად ვერ აკმაყოფილებს პაციენტს, რადგანაც მას არა აქვს წარმოდგენა თანამედროვე მედიცინის საშუალებების რეალური პათოლოგიური მდგომარეობის კორექციის შესაძლებლობების შესახებ.

სამედიცინო დახმარების ხარისხი - ეს არის ექიმისა და პაციენტის ურთიერთქმედების შინაარსი, რომელიც დაფუძნებულია პროფესიონალის კვალიფიკაციაზე, ანუ მის უნარზე შეამციროს პაციენტის დაავადების პროგრესირების რისკი და ახალი პათოლოგიური პროცესის წარმოქმნა, ოპტიმალურად გამოიყენოს სამედიცინო რესურსები და უზრუნველყოს პაციენტის კმაყოფილება სამედიცინო ქვესისტემასთან ურთიერთქმედების დროს.

სამედიცინო დახმარების ხარისხის შეფასების ჩატარების უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს სამედიცინო დახმარების ხარისხის სტანდარტების არსებობა.

**სამედიცინო დახმარების ხარისხის სტანდარტი** - ეს არის ნორმატიული დოკუმენტები, რომლებიც ადგენენ მოთხოვნებს სამედიცინო დახმარების ხარისხისადმი პათოლოგიის (ნოზოლოგიური ფორმის) მოცემული სახეობის დროს, დიაგნოსტიკის აუცილებელი მეთოდების, პროფილაქტიკის, მკურნალობის, რეაბილიტაციის კონკრეტული სამედიცინო დაწესებულების შესაძლებლობების შესახებ თანამედროვე წარმოდგენების გათვალისწინებით. დღეს სტანდარტიზაცია უფლებას გვაძლევს უზრუნველყოთ:

- საწარმოებში ადამიანური და მატერიალური რესურსების ეკონომია;
- ოპტიმალური გადაწყვეტილების არჩევა;
- მომხმარებლის ინტერესების დაცვა საქონლისა და მომსახურების მოთხოვნადი დონის სტაბილური უზრუნველყოფის საფუძველზე;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და შრომის უსაფრთხოება;
- იდეის გამოხატვისა და დაინტერესებულ მხარეებს შორის ურთიერთობის საშუალებების შექმნა.

სტანდარტები ჯანდაცვის რესურსებზე შეიცავს მოთხოვნებს მედიცინის სპეციალისტების კვალიფიკაციაზე, უძრავ ქონებასა და სამედიცინო დაწესებულებების მოწყობილობებზე, გამოსაყენებულ მედიკამენტებსა და მასალებზე, ასევე მოთხოვნებს მათ დამზადებაზე, შენახვაზე, მომზადებაზე და ა.შ. ასეთი სტანდარტების მაგალითს წარმოადგენენ საკვალიფიკაციო მოთხოვნები სპეციალისტებისადმი, მათი სწავლებისა და ატესტაციების პროგრამებისადმი.

ორგანიზაციული სტანდარტები შეიცავენ მოთხოვნებს ჯანდაცვის რესურსების ორგანიზაციის, ეფექტური და უსაფრთხო მოხმარების სისტემებისადმი. ისინი ეხება მართვის, მკურნალობის პროცესის ორგანიზაციის, ინფორმაციული უზრუნველყოფის, ხარისხის კონტროლის პროგრამების და ა.შ. სისტემებს.

ტექნოლოგიური სტანდარტები რეგლამენტირებას უკეთებენ სამედიცინო დახმარების გაწევის პროცესს. მიუხედავად ამ პროცესის მკაცრად ინდივიდუალური ხასიათისა, მასში შეიძლება გამოვავლინოთ ზოგიერთი კომპონენტი:

- ანამნეზის შეკრება;
- ავადმყოფის ფიზიკური გამოკვლევა;
- დიაგნოსტიკური და სამკურნალო პროცედურების რიგი;
- რეაბილიტაციასა და მოვლაზე მომსახურება და ა.შ.

ჩამოთვლილთაგან თითოეული წარმოადგენს სამედიცინო დახმარების გაწევის პროცესის ტექნოლოგიურ ერთეულს და სრულდება დამყარებული ტრადიციების ან წერილობითი წესების შესაბამისად.

სამედიცინო დახმარების ხარისხის კონტროლის დროს ფასდება სამედიცინო დახმარების ხარისხის სამი ძირითადი კომპონენტი: სტრუქტურული, პროცესუალური (ტექნოლოგიური) და საბოლოო შედეგი.

სამედიცინო დახმარების ხარისხის სტრუქტურული კომპონენტის (საკადრო და მატერიელურ-ტექნიკური რესურსები) უზრუნველყოფა ხდება ჯანდაცვის მართვის ორგანოებით, რომლებიც რეგლამენტირებას უკეთებენ სამედიცინო დაწესებულებების ქსელის მოღვაწეობას და მათი ფუნქციონირების პირობებს. სამედიცინო დახმარების ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება სამედიცინო დაწესებულებების ლიცენზირებით. სტრუქტურის მაჩვენებლების ექსპერტიზა იწარმოება ლიცენზირებისა და აკრედიტაციის ორგანოებით შემდეგი დოკუმენტების საფუძველზე:

- ნაგებობათა და შენობების ტიპობრივი პასპორტები, სადაც ხდება სამედიცინო დახმარების გაწევა;
- სამედიცინო ტექნიკით აღჭურვის ტიპიური პასპორტი;
- სამეურნეო-ორგანიზაციული ტექნიკით აღჭურვის ტიპიური პასპორტი;
- საშტატო განრიგი და სპეციალისტებისადმი კვალიფიცირებული მოთხოვნები (სადისერტაციო სერტიფიკატი);
- სამედიცინო დახმარების გაწევისათვის აუცილებელი რესურსების მარაგის ჩამონათვალი.

ხარისხის პროცესუალური (ტექნოლოგიური) კომპონენტი განისაზღვრება გამოყენებული ტექნოლოგიით, რომელიც ფასდება სამედიცინო-ტექნოლოგიური, სამედიცინო-ეკონომიკური სტანდა-

რტების დახმარებით. ამის გარდა ტარდება ტექნოლოგიის კონტროლი სტანდარტების გამოყენების გარეშე და მექანიზმების ექსპერტიზა, რომლებიც უზრუნველყოფენ სამკურნალო პროცესის მართვის პროცესს. საექიმო-სამედიცინო ასოციაციები მონაწილეობენ რეკომენდაციების დამუშავებაში, რომლებიც ეხება დიაგნოსტიკასა და პაციენტების მკურნალობაში სამედიცინო ტექნოლოგიების გამოყენებას, სპეციალისტების პროფესიონალური მომზადების შეფასების კრიტერიუმებს. სამედიცინო დახმარების ხარისხის საექიმო და სამედიცინო ასოციაციის დონემდე ამაღლების მექანიზმს წარმოადგენს სპდ-ისა და მედიცინის მუშაკების აკრედიტაცია, ანუ მათი მოღვაწეობის პროფესიონალურ მოთხოვნასთან შესაბამისობის შეფასება.

სამედიცინო დახმარების შედეგიანობის შეფასებისათვის გამოიყენება სამი მაჩვენებელი:

- სამედიცინო: საერთო მაჩვენებლები (საწყისი) და შედეგიანობის სპეციალური მაჩვენებლები (საკონტროლო სპეციალობებისათვის);

- ინვესტიციური პროგრამების, ფინანსირების, ფინანსური საშუალებების გამოყენების მუშაობის ეფექტიანობის ეკონომიური მაჩვენებლები;

- სოციალური: მიკროსოციალური (სამედიცინო დახმარების ხარისხით დაკმაყოფილება) და მაკროსოციალური (სიკვდილიანობის, შობადობის, სიცოცხლის საშუალო მაჩვენებლების დონით);

ჯანდაცვის სისტემასთან ურთიერთქმედებისგან პაციენტის კმაყოფილება განისაზღვრება არა მარტო მკურნალობის პროცედურის ხარისხით და მისი შედეგებით, არამედ ასევე გარემოებებითა და პირობებით, რომლის დროსაც ხორციელდება მსგავსი ურთიერთქმედება. ეს გარემოებები და პირობები ასევე შეიძლება მივაკუთვნოთ მომსახურებებს, რომლებიც თან ახლავს, კერძო სამედიცინო მომსახურებებს. პაციენტებისათვის მნიშვნელოვანია სპდ-ში ვიზიტის რეგისტრაციის ვადები, მიღების მოლოდინის დრო, მიღების დრო და რიგის დრო, პერსონალის კვალიფიკაციის სუბიექტური შეფასება, ვიწრო სპეციალობის ექიმების არსებობა, სააფთიაქო წერილის არსებობა და ა.შ. მნიშვნელოვანია ფსიქოემოციური და, მაშასადამე, სპდ პერსონალის კეთილგანწყობილების სუბიექტური შეფასება, საუბნო ექიმების მოსახერხებელი სამუშაო გრაფიკი და სხვა მომსახურებები, რომლებსაც შეიძლება დავარქვათ სამედიცინო დახმარების სერვისული მხარდაჭერა.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. 2014-2020 წლების საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის სახელმწიფო კონცეფცია „საყოველთაო ჯანდაცვა და ხარისხის მართვა პაციენტთა უფლებების დასაცავად" https://matsne.gov.ge/ka/document/view/2657250?publication=0

2. გერზმავა ო. საზოგადოებრივი ჯანდაცვა და მენეჯმენტი. თბილისი, 2012;

3. ვერულავა თ. ჯანდაცვის ეკონომიკა და დაზღვევა. თბილისი, 2008.

# ბლოკჩეინზე დაფუძნებული ბიომეტრიული საარჩევნო სისტემა

*ქეთევან ცომაია,*
*სტუ-ს დოქტორანტი*

**რეზიუმე**

არჩევნების დემოკრატიულად, ყოველგვარი დარღვევისა და გაყალბების გარეშე ჩატარება ყველა ქვეყნისთვის აქტუალური და მნიშვნელოვანია, რასაც ადასტურებს ის ფაქტი, რომ სანდო და დაცული საარჩევნო სისტემების შემუშავება აქტიურად მიმდინარეობს ქვეყნების მასშტაბით. სანდო და დაცული საარჩევნო სისტემის შესამუშავებლად გასათვალისწინებელია რიგი ფაქტორებისა, თუმცა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და აუცილებელია ამომრჩეველთა იდენტიფიკაციის საკითხის მოგვარება და მონაცემთა საიმედოდ შენახვა. ასევე მნიშვნელოვანია საარჩევნო პროცესისადმი ამომრჩეველთა იდენფერენტულობის მაჩვენებლის შემცირება, ამომრჩევლისთვის ხელსაყრელი და კომფორტული საარჩევნო სისტემის შეთავაზებით. აღნიშნული საკითხები ცალკეულად მოგვარებულია სხვადასხვა საარჩევნო სისტემების მეშვეობით, რომელთა ზოგადი მიმოხილვა წარმოდგენილია აღნიშნულ ნაშრომში, თუმცა სრულყოფილი საარჩევნო სისტემა, რომელიც ყველა პრობლემას ერთიანად გადაჭრის ჯერ-ჯერობით პრაქტიკაში არ გვხვდება.

**საკვანძო სიტყვები**: საარჩევნო სისტემები, ბიომეტრია, ბლოკჩეინი.

**RESEARCH AND DEVELOPMENT OF BIOMETRIC ELECTION SYSTEM BASED ON BLOCK CHAIN TECHNOLOGY**

**Ketevan Tsomaia**
GTU Doctorant

**SUMMARY**

Holding elections democratically, without any irregularities or fraud, is important and actual for all countries, which is confirmed by the fact that the development of credible and secure electoral systems is actively taking place across countries. Many factors need to be considered to develop a credible and secure electoral system, but it is particularly important and crucial to address voter identification and data security problems. It is also important to reduce the rate of voter indifference toward the electoral processes by offering them a convenient and comfortable electoral system. Mentioned problems are separately solved through different electoral systems and general overview concerning those electoral systems is presented in this paper. However, a comprehensive electoral system, that solves all the problems simultaneously has not been found in practice so far.

**Keywords**: election systems, biometry, block chain.

**შესავალი**

ქვეყნების მიხედვით არსებობს განსხვავებული ტიპის საარჩევნო სისტემები, რომლებიც სხვადასხვა პრობლემის მოგვარებაზეა ორიენტირებული:

- ვებ ტექნოლოგიებზე დაფუძნეული საარჩევნო სისტემები,
- ბიომეტრიული საარჩევნო სისტემები,
- ვებ ტექნოლოგიებზე დაფუძნეული ბიომეტრიული საარჩევნო სისტემები,
- ბლოკჩეინ ტექნოლოგიაზე დაფუძნებული საარჩევნო სისტემები.

ვებ ტექნოლოგიაზე დაფუძნებული საარჩევნო სისტემები ამომრჩევლებს საშუალებას აძლევს დისტანციურად, სახლიდან გაუსვლელად მიიღონ არჩევნებში მონაწილეობა, რაც მათ საარჩევნო პროცესს მეტად უმარტივებს და ნაწილობრივ ამცირებს ამომრჩეველთა იდენფერენტულობას. ამომრჩეველთა იდენტიფიკაციის პრობლემა ბიომეტრიაზე დაფუძნებული საარჩევნო სისტემის შემუშავებით არის მოგვარებული. მონაცემების საიმედოდ შესანახად კი ბლოკჩეინ ტექნოლოგიის გამოყენებით შესაბამისი საარჩევნო სისტემის ფორმირებაზე მიმდინარეობს მუშაობა.

**ძირითადი ტექსტი**

ვებ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული საარჩევნო სისტემების განვითარება XXI საუკუნის ერთ-ერთ გამოწვევას წარმოადგენს. ჯერ კიდევ 2005 წლისთვის ესტონეთი წარმოადგენდა პირველ ქვეყანას, რომელმაც ადგილობრივ არჩევნებში ინტერნეტით ხმის მიცემის შესაძლებლობა უზრუნველყო. იმავე წელს ესტონეთში 9,137 ადამიანმა მიიღო მონაწილეობა ინტერნეტ არჩევნებში, რაც მოსახლეობის 1.9% წარმოადგენდა [1]. მას შემდეგ, დღემდე, ესტონეთში ყოველწლიურად მატულობს ინტერნეტით არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა. სტატისტიკის მიხედვით, თუკი 2007 წელს ესტონეთს საპარლამენტო არჩევნებში მხოლოდ 30,275 მოქალაქემ (3,4%) გამოიყენა ინტერნეტი ხმის მისაცემად, 2019 წლისათვის ეს მაჩვენებელი საკმაოდ გაიზარდა და 247,232-ს (43,8%) მიაღწია [2].

ელექტრონული საარჩევნო სისტემებით ასევე სარგებლობენ ან უსარგებლიათ: აშშ-ში, ავსტრალიაში, ბელგიაში, ბრაზილიაში, კანადაში, ფინეთში, საფრანგეთში, ინდოეთში, ირლანდიაში, იტალიაში, ყა-

ზახეთში, ლიტვაში, ნამიბიაში, ფილიპინებზე, რუმინეთში, შვეიცარიაში, სამხრეთ კორეაში, ესპანეთში, შვეიცარიაში, არაბეთის გაერთიანებულ ემირატებში, ბრიტანეთში, ვენესუელაში, რუსეთში, ირანსა და არგენტინაში აღნიშნული საარჩევნო სისტემების გამოყენება სატესტო, დანერგვის რეჟიმშია, ხოლო ნაწილობრივ გამოიყენება: ინდონეზიაში, ბანგლადეშში, ბულგარეთსა და ნორვეგიაში. ქვეყნებში, რომლებიცაა: ირლანდია, პარაგვაი, ჰოლანდია და გერმანია ელექტრონული ხმის მიცემის სისტემები გარკვეული ხარვეზებისა და დასაშვები ინტერნეტ / კიბერ შეტევებით გამოწვეული საფრთხეების გამო აღარ გამოიყენება [3]. ელექტრონული ბიულეტენის გამოყენება მექსიკაში, საარჩევნო უბანზე პირველად 2009 წელს დაფიქსირდა.

2017 წელს ერევანში (სომხეთი) გაიმართა ადგილობრივი არჩევნები, რომელსაც ფინანსურად მხარს უჭერდა ევროკავშირი, USAID, გერმანია, ბრიტანეთი. არჩევნების მსვლელობისას საარჩევნო უბნები აღჭურვილი იყო შესაბამისი აპარატურით, რომელიც უზრუნველყოფდა ამომრჩევლის ერთ-ერთი ბიომეტრიული მაჩვენებლის, კერძოდ, თითის ანაბეჭდის აღებას / წაკითხვას სუბიექტის ბიომეტრიული იდენტიფიცირებისთვის, რაც მიზნად ისახავდა არჩევნების გაყალბების შემცირებას [4].

დემოკრატიისა და არჩევნების მხარდაჭერის საერთაშორისო ინსტიტუტის (IDEA) მიხედვით არჩევნების მონაცემთა ბაზაში, 2016 წლის მონაცემებით, ბიომეტრიულ ტექნოლოგიაზე დაფუძნებული საარჩევნო სისტემების რაოდენობა ქვეყნების მიხედვით საგრძნობლად გაიზარდა, მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი ტექნოლოგია ევროპაში პრაქტიკულად არ გამოიყენება, აფრიკასა და ლათინური ამერიკის ქვეყნების დაახლოებით ნახევარი არჩევნების გასამართად სწორედ აღნიშნულ ტექნოლოგიას იყენებს [5].

ქვეყნები, რომლებშიც არჩევნების დროს ბიომეტრიული ტექნოლოგია იქნა გამოყენებულიო ამომრჩევლის იდენტიფიცირებისთვის, მოიცავს სომხეთს, ანგოლას, ბანგლადეშს, ბუტანს, ბოლივიას, ბრაზილიას, Bურკინა ფასოს, კამბოჯას, კამერუნს, ჩადის, კოლუმბიას, კომოროსს, კონგოს (დემოკრატიული რესპუბლიკა), კოსტა რიკას, კოტ დივუარს, დომინიკის რესპუბლიკას, ფიჯის, გამბიას, განანას, გვატამალას, ინდოეთს, ერაყს, კენისა, ლესოთოს, ლობერიას, მალავის, მალის, მავრიტანიას, მექსიკას, მაროკოს, მოზამბიკს, ნამიბიას, ნეპალს, ნიკარაგუას, ნიგერიასმ პანამას, პერუს, ფილიპინებს, სენეგალს, სიერრა ლეონეს, სოლომონის კუნძულებს, სომალილენდს, შვეიცარიას, ტანზანიას, უგანდას, ურუგვაის, ვენესუელას, იემენს, ზამბიას და ზიმბაბვეს [6].

იაპონიაში დაგეგმილია ბლოკჩეინ ტექნოლოგიის გამოყენება საარჩევნო პროცესის საიმედოობის გასაზრდელად და სისტემის დასახვეწად. ის ერთ-ერთი პირველი ქვეყანაა, სადაც აქტიური მუშაობა მიმდინარეობს ბლოკჩეინ ტექნოლოგიაზე დაყრდნობილი საარჩევნო სისტემის ფორმირებაზე. სუბუკა ითვლება ქვეყნის პირველ ქალაქად, სადაც აღნიშნული ტექნოლოგიის დანერგვას ცდილობენ. ამომრჩეველთა იდენტიფიკაცია სოციალური უსაფრთხოების ბარათების გამოყენებით იგეგმება. ამ ეტაპისთვის იაპონიის მოქალაქეებს აღნიშნული სისტემის გამოყენება სოციალურ პროექტებში კენჭისყრის მისაღებად შეუძლიათ. აღნიშნული სისტემა ჩვეულებრივი საარჩევნო პროცესებისგან რადიკალურად არ განსხვავდება, თუმცა ამომრჩეველთა ხმები საარჩევნო ყუთის ნაცვლად ბლიოკჩეინში შეინახება, რათა მონაცემების შეცვლა, წაშლა ან გაყალბება გამოირიცხოს. ქალაქ საკურას მერს მიაჩნდა, რომ ახალი სისტემა გარკვეულ გართულებებს გამოიწვევდა მომხმარებელთა მხარეს, თუმცა, მისდა გასაკვირად, სატესტო პროცესები საკმაოდ მარტივად წარიმართა. მიუხედავად აღნიშნულისა, პროცესს გარკვეული სირთულეებიც ახლდა თან: ბევრ მოქალაქეს საკუთარი პაროლი დაავიწყდა, რომელიც სისტემაში შესასვლელად იყო საჭირო, შესაბამისად მსგავსმა ამომრჩევლებმა ველარ შეძლეს არჩევანის დაფიქსირება. ასევე გართულდა ამომრჩეველთა მიერ მიცემული ხმების გადამოწმება, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა. ბუნდოვანი და გაურკვეველი იყო ამომრჩეველთა იდენტიფიცირების საკითხიც, ვინაიდან არც ერთ ეტაპზე არ მომხდარა იმის გადამოწმება, თუ ვის ეკუთვნოდა ბარათი, რომლითაც ამომრჩეველს შეეძლო სისტემაში შესვლა და არჩევანის დაფიქსირება [7].

გარდა იაპონიისა, ბლოკჩეინ ტექნოლოგიის გამოყენებით საარჩევნო სისტემის ფორმირებაზე სამხრეთ კორეაშიც მუშაობენ. სამხრეთ კორეის მეცნიერებათა და საინფორმაციო ტექნოლოგიების მინისტრმა განაცხადა, რომ 2018 წლის დეკემბრისთვის კერძო სექტორში სატესტოდ გაუშვებდნენ ბლოკჩეინზე დაფუძნებულ საარჩევნო სისტემას, რომლის მიხედვით არჩევნების შედეგების შენახვა ბლოკჩეინში მოხდება. გარდა ამისა, ამომრჩეველს ექნება საშუალება, არჩევნების დასრულების შემდგომ, საკუთარი ხმის გადამოწმებისა, რაც გაზრდის საარჩევნო სისტემის გამჭირვალობასა და უსაფრთხოებას. არჩევნებში მონაწილეობის მიღება შესაძლებელი იქნება მობილური დივაისებისა და კომპიუტერების გამოყენებით. ამ ეტაპისთვის, ბლოკჩეინზე დაფუძნეული საარჩევნო სისტემები სატესტო რეჟიმშია და ჯერ-ჯერობით ოფიციალუ-

რად არსად არ დანერგილა, თუმცა სისტემის დახვე-წაზე აქტიური მუშაობა მიმდინარეობს [8].

## დასკვნა

სტატიაში მიმოხილულია არსებული ან შემუ-შავების პროცესში მყოფი საარჩევნო სისტემები ქვეყნების მიხედვით. ნაჩვენებია მათი ძლიერი და სუსტი მხარეები: ელექტრონული საარჩევნო სისტე-მები ამომრჩეველთა იდენფერენტულობის პრო-ბლემას ნაწილობრივ აგვარებს და ამომრჩევლებს არჩევნებში მონაწილეობის მიღების საშუალებას დისტანციურად აძლევს; ბიომეტრიული საარჩევ-ნო სისტემები ამომრჩეველთა იდენტიფიკაციის პრობლემას აგვარებს, ბლოკჩეინზე დაფუძნებული საარჩევნო სისტემები კი მონაცემთა საიმედო შე-ნახვას უზრუნველყოფს. თუმცა ისეთი საარჩევნო სისტემა, რომელიც კომბინირებულად გადაჭრის არჩევნების თანმხლებ კომპლექსურ პრობლემებს ჯერ-ჯერობით არსად არ არის დანერგილი, რაც ისეთი ახალი საარჩევნო სისტემის შემუშავებას უყ-რის საფუძველს, რომელიც აღნიშნულ საკითხებს ერთიანად / კომპლექსურად მოაგვარებს.

## გამოყენებული ლიტერატურა:


[1] Estonia pulls off nationwide Net voting, News. com, 17.10.2005

[2] “Voting results in detail”, 3.08.2019

[3] E-voting: which countries use it, where has it failed and why. Lameez Omarjee, 10.05.2019

[4] Support to the Electoral Process in Armenia (SEPA), UNDP Armenia, 2017

[5] “ICTs in Elections Database”. International IDEA, 18.07.2017

[6] Countries with biometric voter registration https://en.wikipedia.org/wiki/Biometric_voter_registration

[7] Japan is experimenting blockchain-powered voting system, Matthew Beedham, 3.09.2018

[8] South Korea to develop blockchain voting system. South Korea’s Ministry of Science and ICT will develop a blockchain voting system that will go on trial in the private sector in December, Cho Mu-Hyun, 28.11.2018

# სასურსათო-სავაჭრო ბიზნესი და მისი გავლენა საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე

*ირმა ტაბატაძე*
*სტუ დოქტორანტი*

**რეზიუმე**

ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობას განაპირობებს საკუთარ ეკონომიკურ რესურსებზე დაყრდნობა, რისი მიღწევაც შეუძლებელია სასურსათო-სავაჭრო ბიზნესის ხელშეწყობისა და განვითარების გარეშე. სასურსათო-სავაჭრო ბიზნესი ყველაზე მნიშვნელოვანი ბიზნესია მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში. ამ ბიზნესის განვითარება განაპირობებს ეკონომიკის გაჯანსაღებას, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს ქვეყანაში შემოსავლების დონის ზრდას, მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებას. ნებისმიერ ბიზნესს პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები სჭირდება. ამ სფეროში წარმატება მიიღწევა მხოლოდ თანასწორობითა და კანონის უზენაესობით. ეს არის ის ქვაკუთხედი, რაზეც დგას განვითარებული ქვეყნების ეკონომიკა, რაზეც უნდა აშენდეს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა.

**საკვანძო სიტყვები:** ბიზნესი, ეკონომიკა, სასურსათო-სავაჭრო კომპანიები, კონკურენცია.

## FOOD TRADING ENTERPRISES AND THEIR IMPACT ON THE ECONOMIC DEVELOPMENT OF GEORGIA

**Irma Tabatadze,**
Phd student of GTU

**SUMMARY**

The economic stability of a country depends on its own economic resources, which cannot be achieved without the development and development of a food trade business. The food and beverage business is the most important business in almost all countries of the world, including Georgia. The development of this business will lead to economic recovery, which in turn means an increase in the level of income in the country and an increase in the well-being of the population. Any business needs progressive people. Success in this area can only be achieved through equality and the rule of law. This is the cornerstone of the economies of developed countries, on which the economy of our country should be built.

**Keywords:** business, economics, grocery companies, competition

* * * *

სასურსათო-სავაჭრო ბიზნესი ყველაზე მნიშვნელოვანი ბიზნესი მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში. სურსათი საზოგადოების ყოველდღიურ მოთხოვნილებებს უკავშირდება და ამ თვალსაზრისით, კაპიტალის მფლობელთათვის პერსპექტიულ ბიზნესს წარმოადგენს. მასთან დაკავშირებული ბიზნესი მეტ-ნაკლებად წარმატებულია, ხოლო ბაზარი კი სრულყოფილი კონკურენციით ხასიათდება, რაც ჯანსაღი ეკონომიკური მდგომარეობის უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა.

ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობას განაპირობებს არა საგარეო წყაროებიდან მიღებული ერთჯერადი დახმარებები, რომელთაც ეკონომიკის განვითარებასთან პირდაპირი კავშირები არ გააჩნიათ, არამედ საკუთარ ეკონომიკურ რესურსებზე დაყრდნობა, რისი მიღწევაც შეუძლებელია სასურსათო-სავაჭრო ბიზნესის ხელშეწყობისა და განვითარების გარეშე.

საქართველოში უმსხვილესი და ყველაზე წარმატებული სასურსათო-სავაჭრო კომპანიებია: გუდვილი, პოპული, კარფური, სმარტი, სპარი, იოლი და სხვ.

აღნიშნულ სასურსათო-სავაჭრო კომპანიებს, საქმიანობის მსგავსი სფეროს მიუხედავად, ერთმანეთისაგან მრავალი ფაქტორი განასხვავებს. თითოეულ კომპანიას გააჩნია განვითარების საკუთარი ისტორია, ფასეულობები, ბიზნეს-პროცესების მართვის ტექნოლოგია. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მომუშავე პერსონალის პროფესიონალიზმითა და კვალიფიკაციით, მათ მიერ რეალიზებული პროდუქტისა და მომსახურების ხარისხით, საბაზრო წილით და სხვ. აღნიშნული კომპანიები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ სხვადასხვა წარმატებული პროექტების განხორციელებასა და პარტნიორობას სხვა კომპანიებთან. თითოეულ კომპანიას გააჩნია წარმატების საკუთარი მეთოდები და ხერხები.

ძლიერი და ჯანსაღი კონკურენციის მიუხედავად, თითოეულ კომპანიას ჰყავს საკუთარი მომხმარებელი, ამავე დროს, კომპანიები აქტიურად იბრძვიან პოტენციური მყიდველის შეძენა-გადმობირებაზე, რისთვისაც იყენებენ თავისებურ ხერხებსა და პოლიტიკას. მაგ., ფასდაკლებები, დაგროვებითი ბარათები და სხვ. კონკურენციასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი ფაქტორებია: სავაჭრო-სასურსათო კომპანიების მიერ განხორციელებული აქტივობები, მათ შორის ერთჯერადი თუ ხანგრძლივი აქციები, წამახალისებელი ღონისძიებები, ბონუსები თანამშრომელთა მოტივაციის ასამაღლებლად, ფასდაკლებები პროდუქციაზე. საყურადღებოა, რამდენად ხშირად მიმართავს თითოეული კომპა-

ნია აღნიშნულ ღონისძიებებს და როგორ აკმაყოფილებს საზოგადოების მოთხოვნილებებს თავიანთ საქონელსა და მომსახურებაზე. ბაზარზე მაღალკონკურენტული პოზიციის დამკვიდრებისათვის კომპანიებისათვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია თანამშრომელთა დაქირავებასა და გადამზადებასთან დაკავშირებული მთელი რიგი მნიშვნელობანი ღონისძიებების გატარებაც.

მიგვაჩნია, რომ უნდა განხორციელდეს:

• წარმოებასა და ბაზრის პოტენციალს შორის მაქსიმალური შესაბამისობის მიღწევა, რაც გულისხმობს რამდენად შეესაბამება პროდუქცია მომხმარებელთა მოთხოვნებს და რამდენად ადეკვატურია მისი სტრატეგია კონკურენციულ ბრძოლაში;

• პრივილიგებულ რეჟიმში ქართული პროდუქციის მიმოქცევა ჩვენს ბაზარზე იდენტურ იმპორტულ პროდუქციასთან შედარებით.

ამასთან აუცილებელია:

• ეფექტური საბაჟო პოლიტიკის გატარება, დაბალი საგადასახადო სისტემისა და კოდექსის განმტკიცება და გამარტივება;

• გადასახადების თავის არიდების მსურველთა წინააღმდეგ ეფექტური მექანიზმების შემუშავება;

• ლეგალური ბიზნესის წახალისება და სამამულო წარმოების პროდუქციის განვითარება, ფიქსირებული გადასახადების დაცვა;

• სასურსათო უზრუნველყოფისა და პრობლემის მოგვარება;

• შეძლებისდაგვარად საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინება და სხვ.

თავის მხრივ, **ეკონომიკური რეფორმა** უდა გულისხმობდეს ჩვენს ქვეყანაში შექმნილი ეროვნული პროდუქტის გაზრდას, კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, საკუთარი წარმოების ტექნოლოგიურ სრულყოფას, ალურიცხავი პროდუქციის შეზღუდვის ხარჯზე ჩრდილოვანი ეკონომიკის შემცირებას, იმპორტის ნაწილობრივ შეზღუდვას, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს სავალუტო რესურსების საზღვრებს გარეთ გადინების შემცირებას...

სასურსათო-სავაჭრო ბიზნესის ყოველმხრივი განვითარება განაპირობებს ეკონომიკის გაჯანსაღებას, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს ქვეყანაში შემოსავლების დონის ზრდას, მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებას. ნებისმიერ ბიზნესს პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები ესაჭიროება, ამ სფეროში წარმატება მიიღწევა მხოლოდ თანასწორობითა და კანონის უზენაესობით. ეს არის ის ქვაკუთხედი, რაზეც დგას განვითარებული ქვეყნების ეკონომიკა და რა რაზეც უნდ აშენდეს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჟურნ. „ინტელექტუალი“, N19, თბ., 2012. გვ. 109-115;

2. სამადაშვილი უ. ბიზნესის საფუძვლები, თბ., გამომცემლობა „უნივერსალი“, 2009;

3. თეთრუაშვილი ზ., საკუთარი ბიზნესი: პირველი ნაბიჯები, გორი, 2008;

4. ადეიშვილი გ., ეკონომიკური თეორია, თბ., გამომცემლობა „სიახლე“, 1998.

# სადაზღვევო ბაზრის არსებული მდგომარეობა საქართველოში და მისი განვითარების ტენდენციები

*ანა დვალი*
*სტუ, დოქტორანტი*

**რეზიუმე**

სადაზღვევო ბაზრის არსებობას ქვეყანაში რიგი უპირატესობები გააჩნია, როგორც სოციალური, ასევე ეკონომიკური. მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტი სწორედ დაზღვევის სისტემის ფუნქციონირებაა. სადაზღვევო პროდუქტის ფლობა თითოეულ პირს ანიჭებს ერთგვარ დავდაჯერებულობას და უქმნის უსაფრთხოების შეგრძნებას, რაც დიდ როლს ასრულებს როგორც პიროვნების, ასევე მისი ეკონომიკური საქმიანობის პროცესში. სადაზღვევო სისტემა, სხვა ინსტუმენტებთან ერთად, უზრუნველყოფს ეკონომიკური განვითარების სტაბილურობას და ხელს უწყობს წარმოების განვითარებას.

სადაზღვევო სისტემა საბაზრო ეკონომიკის პირობებში წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური სისტემის აუცილებელ შემადგენელ ელემენტს, რომელიც ხელს უწყობს მის სრულყოფილ ფუნქციონირებას და განვითარებას. განსაკუთერებით თანამედროვე პირობებში, ფინანსური მომსახურების სახეობები სადაზღვევო სისტემასთან ერთად ქმნის აუცილებელ საფუძველს ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის.

მსოფლიო პრაქტიკის თანახმად, რომ კაპიტალის ბაზარზე ძირითად ინსტიტუციურ ინვესტორებს შორის წარმოდგენილია სადაზღვევო ორგანიზაციები, რომლებიც ფინანსური რესურსების მნიშვნელოვან აკუმულირებას ახდენენ. სადაზღვევო ინდუსტრია ერთ-ერთი წამყვანი სექტორია ეკონომიკური განვითარებისათვის. სადაზღვევო კომპანიების მიერ ფინანსური რესურსების მობილიზება და შემდგომ მათი გარდაქმნა ინვესტიციებად, სადაზღვევო სექტორს აქცევს მნიშვნელოვან ფინანსურ წყაროდ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.

**საკვანძო სიტყვები:** სადაზღვევო სისტემა, ინსტიტუციური ინვესტორები,სადაზღვევო პროდუქტი, სადაზღვევო რეზერვები.

**THE CURRENT STATE OF INSURANCE MARKET IN GEORGIA AND ITS DEVELOPMENT TRENDS**

**Ana Dvali**
GTU, PhD student

**SUMMARY**

The insurance market has a number of social and economic advantages in the country. One of the important components of improving the welfare of the population is the functioning of the insurance system. Owning an insurance product gives each person confidence and a sense of security, which plays a large role in both the individual and his or her economic activity. The insurance system ensures the stability of economic development and contributes to the development of production.

The insurance system is the important component of the economic system, which promotes its perfect functionality and development. The types of financial services together with the insurance system create the necessary basis for the economic development of the country.

The main institutional investors in the capital market are insurance companies. The insurance industry is one of the leading sectors for economic development. Resource mobilization of insurance companies turns the insurance sector into an important financial source in the development of the country's economy.

**Keywords**: insurance system , institutional investors , Insurance product, insurance reserves.

**ძირითადი ტექსტი**

სადაზღვევო სისტემის და სადაზღვევო ბაზრის გამართული ფუნქციონირება ქვეყნისათვის დიდად მნიშვნელოვანია. იგი დადებით გავლენას ახდენს ქვეყნის როგორც სოციალურ, ასევე ეკონომიკურ განვითარებაზე. სადაზღვევო ბაზრის ფუნქციონირებას ქვეყანაში, რასაკვირველია სჭირდება რიგი ღონისძიებების გატარება. მაგალითად, დაზღვევის კულტურის და ცნობადობის ამაღლება. საზოგადოებამ აუცილებლად უნდა გააცნობიეროს სადაზღვევო სისტემის დადებითი მხარე. სადაზღვევო კომპანიების მხრიდან, ასევე უნდა გატარდეს გარკვეული ღონისძიებები, რათა დაზღვევა მოსახლეობისთვის მეტად მიმზიდველი გახდეს, მაგალითად, მინიმალური ბიუროკრატია გაამარტივებს სადაზღვევო კომპანიებისა და მათი კლიენტების თანამშრომლობის პროცესს; სადაზღვევო მომსახურების მაღალი დონე - საშუალებას იძლევა მოიზიდოს მეტი კლიენტი და დააინტერესოს მოსახლეობის დიდი ნაწილი. სწორი მარკეტინგული სვლების წყალობით, უნდა მოხდეს ქვეყანაში დაზღვევისადმი ინტერესის გამძაფრება და შესაბამისად სადაზღვევო პოლისების შეძენაზე მოთხოვნის ზრდა. დღეისათვის ერთ-ერთ პრობლემას სწორედ მოსახლეობის გულგრილობა წარმოადგენს სადაზღვევო სისტემის მიმართ. გართულებული ბიუროკრატიული პროცედურები

და სადაზღვევო პროდუქტების სიკეთის არცოდნა აფერხებს სადაზღვევო ბაზრის განვითარებას. სტატისტიკური მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ და შევადარებთ ევროპული ქვეყნების სტატისტიკურ მონაცემებს, ნათლად გამოჩნდება, რომ ევროპის სადაზღვევო ბაზრის მონაცემებამდე ჯერ კიდევ დიდი გზაა გასავლელი. უნდა მოხდეს მოსახლეობის უფლებების დაცვა სადაზღვევო კომპანიების წინაშე, რაც კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება მოსახლეობის მხრიდან, რომ დადებითად შეფასდეს სადაზრვევო კომპანიების ფუნქციონირება. მოსახლეობას უნდა ჰქონდეს ერთგვარი გარანტია იმისა, რომ სასურველ მომსახურებას მიიღებს და სადაზღვევო კომპანია არ შეეცდება თავი აარიდოს დაკისრებულ ვალდებულებას. ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა იმისათვის, რომ მოსახლეობას სტიმული მიეცეს ითანამშრომლოს ამა თუ იმ სადაზღვევო კომპანიასთან. აღნიშნულ პროცესში დიდი როლი ენიჭება დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურს. ნაშრომში როგორც აღვნიშნეთ, ამ პროცესის განუყოფელი ნაწილია სავალდებულო დაზღვევის დანერგვა, რაც მომხმარებლის დაინტერესების ამაღლებას შეუწყობს ხელს.

საქართველოში და შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოშიც სადაზღვევო პროდუქტებიდან ყველაზე გავრცელებული და პოპულარული სახეობაა ჯანმრთელობის დაზღვევა. ამას მოწმობს სტატისტიკური მონაცემები, რომლის მიხედვითად ბოლო 3 წლის განმავლობაში ჯანმრთელობის დაზღვევის მოზიდული პრემიების მოცულობა ჭარბებს ყველა სხვა სახეობას და თან მუდმივად მზარდია. საქართველოში, დაზღვევის სახეობებიდან ყველაზე პოპულარულია ქონების დაზღვევა, სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა (გარდა სარკინიგზო ტრანსპორტისა) და რა თქმა უნდა, სამედიცინო (ჯანმრთელობის) დაზღვევა.

ჯანმრთელობის დაზღვევის ასეთი პოპულარობა და ბაზარზე წილის ზრდა შეიძლება ითქვას, რომ გამოიწვია სახელმწიფო სამედიცინო პროგრამებში სადაზღვევო სექტორის მონაწილეობამ. ამასთანავე, ადრეულ მონაცემებთან შედარებით მომატებულია ქონებისა და ავტომობილების დაზღვევის წილიც. როგორც ვიცით იგეგმება ავტომფლობელთა პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შემოღება, რაც პოპულარობას მოუტანს მთლიანად სადაზღვევო სექტორს. ავტომფლობელი სავალდებულო წესით შეიძენს პასუხისმგებლობის დაზღვევას, სადაზღვევო კომპანიას კი საშუალება უჩნდება მომხმარებელს დამატებით შესთავაზოს დაზღვევის სხვა პაკეტები იქნება ეს სამედიცინო თუ დაზღვევის სხვა პროდუქტი. სადაზღვევო კომპანიებს საშუალება ექნებათ მძღოლებს შესთავაზონ კომპლექსური სადაზღვევო პაკეტი და ამით მომხმარებლები ასე ვთქვათ „შეაჩვიონ“ დაზღვევით სარგებლობის ფუფუნებას.

უდაოდ, სამედიცინო დაზღვევა როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიოშიც დაზღვევის ყველაზე გავრცელებული და პოპულარული სახეობაა. ერთ-ერთ მიზეზად შესაძლებელია დასახელდეს ისეთი სიტუაციების სიხშირის ალბათობა, რასაც შედეგად მოყვება ჯანმრთელობის დაზიანება. შესაბამისად მომხმარებელი ცდილობს წინასწარ შეიძინო ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისი, რადგან საჭიროების შემთხვევაში მინიმალური ხარჯების სანაცვლოდ მიიღოს ხარისხიანი სამედიცინო დახმარება.

ჯანმრთელობის დაზღვევა, მართალია, ყველაზე მეტად არის პოპულარული საქართველოში, მაგრამ თუ შევადარებთ სხვა განვითარებულ ქვეყნების სტატისტიკას ჩვენი ქვეყნის მაჩვენებელი გაცილებით დაბალია. საქართველოში 2018 წელს ჯანმრთელობის დაზღვევით სარგებლობს მოსახლეობის მხოლოდ 15%[1]. აღნიშნული მაჩვენებილი რომ შევადაროთ აშშ-ს ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებს, უდიდეს სხვაობას მივიღებთ. აშშ-ში **დაუზღეველი** მოსახლეობის პროცენტული მაჩვენებელია **11,1%[2],** ანუ დაზღვევით სარგებლობს 88.9%.

შეუძლებელია, ერთი კონკრეტული მიზეზის პოვნა, თუ რატომ არ სარგებლობს მოსახლეობის დიდი ნაწილი სადაზღვევო კომპანიების მომსახურებით, თუნდაც ისეთ საჭირო სექტორში, როგორიცაა ჯანმრთელობის დაზღვევა. ძირითადად, ალბათ, მაინც უნდა დავასახელოთ ის ფაქტი, რომ სადაზღვევო კომპანიები ცდილობენ თავი აარიდონ დიდი ხარჯების გაწევას სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას და მოსახლეობაც სკეპტიკურად არის განწყობილი მათ მიმართ. თვლიან, რომ სადაზღვევო პოლისის შეძენით ისინი ტყუილად იხდიან სადაზღვევო პრემიას და საჭიროების შემთხვევაში მაინც ვერ მიიღებენ საჭირო ანაზღაურებას.

სადაზღვევო ბაზრის განვითარებისათვის, ისევე როგორც ყველა სხვა სფეროს განვითარებისთვის, აუცილებელია კონკურენტული გარემოს არსებობა. ასევე საჭიროა არსებობდეს დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი საზედამხედველო სამსახური, რომელიც გააკონტროლებს კონკურენტული გარემოს შენარჩუნებას. საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული საფინანსო სექტორი არის საბანკო სფერო. კომერციული ბანკების საშუალებით ხდება მათი პარტნიორი ან შვილობილი სადაზღვევო კომპანიების სადაზღევო პოლისების გაყიდვა, მაგალითად, სიცოცხლის დაზღვევის, ავტომობილის დაზღვევის, პასუხისმგებლობის დაზღვევის. ეს პროცესი, რა თქმა უნდა, ხელს უშლის კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებას, რადგან, ასე ვთქვად, ხელოვნურადაც კი შეიძლება მოხდეს კონკრეტული სადაზღვევო კომპანიების პოლისების გაყიდვისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა.

საქართველოში რეგისტრირებულია 17 სადა-

1 http://www.insurance.gov.ge/

2 https://en.wikipedia.org/wiki/Health_insurance_coverage_in_the_United_States

ზღვევო კომპანია, 16 მათგანი ფლობს სიცოცხლის და არასიცოცხლის დაზღვევის ლიცენზიას, ხოლო ერთი მათგანი მხოლოდ არასიცოცხლის დაზღვევის ლიცენზიას. 2018 წლის განმავლობაში მოზიდულმა სადაზღვევო პრემიამ პირდაპირი დაზღვევის საქმიანობიდან შეადგინა 542.20 მილიონი ლარი. ამავე პერიოდის შედეგებით სადაზღვევო კომპანიების წმინდა მოგებამ შეადგინა 42.19 მილიონი ლარი, აქტივები შეადგენს 743.22 მილიონ ლარს, ხოლო კაპიტალი 221.64 მილიონ ლარს.[3]

დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მოზიდული პრემიების მოცულობა 2018 წელს გაზრდილია 100.8 მილიონი ლარით, წმინდა მოგება 2017 წლის მონაცემთან შედარებით, პრაქტიკულად გაორმაგებულია - 2017 წელს შეადგენდა 20.34 მლნ. ლარს, ხოლო2018 წელს - 42.19 მლნ. ლარს. აქტივებიც და კაპიტალიც საგრძნობლად არის მოამატებული, რაც სადაზღვევო ბაზრის განვითარების დადებით მაჩვენებელზე მეტყველებს.

## დასკვნა

• დაზღვევა განიხილება სპეციალისტების მიერ, როგორც ქვეყანაში წარმოების აუცილებელი ნაწილი. დაზღვევა უზრუნველყოფს საერთო ეროვნული ეკონომიკის უწყვეტ და ბალანსირებულ ფუნქციონირებას დროსა და სივრცეში.

• სადაზღვევო ბაზრის ფუნქციონირებას ქვეყანაში, რასაკვირველია სჭირდება რიგი ღონისძიებების გატარება. მაგალითად, დაზღვევის კულტურის და ცნობადობის ამაღლება. საზოგადოებამ აუცილებლად უნდა გააცნობიეროს სადაზღვევო სისტემის დადებითი მხარე.

• ჩატარებული კვლევა მოწმობს, რომ სადაზღვევო ბაზარზე მიმდინარეობს როგორც სიახლეების დანერგვა, ასევე უკვე არსებული პროდუქტების სრულყოფა. უმთავრეს სიახლეს წარმოადგენს ავტომფლობელების პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის დანერგვა.

• სწორი მარკეტინგული სვლების წყალობით, უნდა მოხდეს ქვეყანაში დაზღვევისადმი ინტერესის გამძაფრება და შესაბამისად სადაზღვევო პოლისების შეძენაზე მოთხოვნის ზრდა

• სადაზღვევო ბაზრის სრულყოფისათვის და განვითარებისთვის აუცილებელია კონკურენტული გარემოს შენარჩუნება. ჯანსაღი კონკურენცია ამ პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

3 http://www.insurance.gov.ge/

## გამოყენებული ლიტერატურა


1. საქართველოს კანონი დაზღვევის შესახებ,1997 წ.

2. საქართველოს მთავრობის დადგენილება აგროდაზღვევის პროგრამის დამტკიცების შესახებ. 2019წ.

3. საქართველოს კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ. 2018წ.

4. ვერულავა თ. „სადაზღვევო საქმის საფუძვლები". ჯანდაცვის პოლიტიკისა და დაზღვევის ცენტრი,თბილისი, (2017).

5. სიჭინავა ა., ვეშაპიძე შ., ჯოლია გ., სეხნიაშვილი დ., ჩიკვილაძე ნ., კვარაცხელია ლ., ქირია ვ., ჭიკაიძე ნ., მენაბდე-ჯობაძე ე., ყურაშვილი გ.,კიკვაძე ტ., შენგელია რ., კაიშაური თ., აბუაშვილი თ., როსტიაშვილი თ. „ეკონომიკური კვლევის მეთოდები". თბილისი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. 2014. 371გვ.

6. ვერულავა თ., დაზღვევის ისტორია . ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2013წ.

7. ვეკუა ზ., ჯანდაცვაში არსებული რისკების პრევენციის მოდელები. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. 2018წ.

8. Niels Viggo. A History of Insurance. Swiss Re Corporate History.2017

9. http://www.insurance.gov.ge/News.aspx

# ადგილობრივი თვითმმართველობა და მოქალაქეთა ჩართულობა სამოქალაქო ბიუჯეტში

*მამუკა მარღიშვილი*
*სტუ დოქტორანტი*

**რეზიუმე**

თანამედროვე მსოფლიოში არსებობს მართვის აღიარებული მოდელი და ეს არის წარმომადგენლობითი დემოკრატია, რომელიც დაფუძნებულია მართვის პრინციპზე, პირები რომლებიც ხალხმა აირჩია ხალხის ინტერესებს წარმოადგენენ ყველა დონეზე და თავისთავად ადგილობრივი თვითმმართველობა ამ პრინცის მთავარ ქვაკუთხედს წარმოადგენს, ადგილობრივი თვითმმართველობა არის მართვის ისეთი ფორმა, რომელიც გამოირჩევა თავისი ორგანიზაციული-სტრუქტურული და მატერიალური თავისებურებებით. ადგილობრივი თვითმმართველობის განსაკუთრებულობა მისი, როგორც სახელისუფლებო შტოს სპეციფიკაში გამოიხატება, ეს რგოლი ერთის მხრივ, მონაწილეობს სახელმწიფო ნების განხორციელებაში, ხოლო მეორეს მხრივ, მაქსიმალურად ცდილობს გაითვალისწინოს მოსახლეობის ინტერესები. ამასთან, სახელმწიფონო ხელისუფლების ორგანოები ვალდებულნი არიან ხელი შეუწყონ ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებას. განვითარებული ქვეყნების მსგავსად საქართველოს სახელმწიფოც ცდილობს ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებას რაზეც ბოლო დროს განხორციელებული არაერთი რეფორმა მეტყველებს, ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა სხვა მრავალ საკითხთან ერთად, ქართული თვითმმართველობისთვის დეცენტრალიზაცია და ბიუჯეტის დაგეგმვის პროესში მოქალაქეთა ჩართულობაა, სახელმწიფოს მხრიდან მიმდინარე რეფორმასთან ერთად უცხოური გამოცდილების გაზიარებას და დანერგვას დიდი მნიშვნელობა აქვს, ამ მხრივ ევროპული გამოცდილება უმნიშვნელოვანესია.

**საკვანძო სიტყვები:** ადგილობრივი თვითმმართველობა, ბიუჯეტი, მუნიცილაპიტეტი, მოქალაქეთა ჩართულობა, სამოქალაქო ბიუჯეტი.

## LOCAL SELF-GOVERNMENT AND CITIZEN INVOLVEMENT IN CIVIL BUDGET

**Mamuka Marghishvili**
Doctorant of GTU

**SUMMARY**

In the modern world, there is a recognized model of governance that is representative democracy, And which is based on the main principle,the people who have been elected by the people represent the interests of the people at all levels, and local self-government is at the heart of this principle,

Local self-government is an empowered form, it can be characterized by its organizational-structural and material-financial characteristics.

The peculiarity of local self-government is expressed in the specifics of its branch of power, which, on the one hand, participates in the implementation of state will, and on the other hand, tries to take into account the interests of the population as much as possible.At the same time, state authorities are obliged to promote the development of local self-government.

Like the developed countries, Georgia is also trying to develop local self-government, which has been demonstrated by many recent reforms,One of the recent challenges, along with many other issues, is decentralization to Georgian government and citizen involvement in budget planning,Along with the ongoing reform by the state, sharing and implementing foreign experience is important. Therefore, European experience is crucial in this regard.

* * * *

თვითმმართველობა ნიშნავს საზოგადოებრივი საქმეების მოწესრიგებას თვით ამ საზოგადოების წევრების მიერ, დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით. ამდენად თვითმმართველობა – ეს არის ჩვენი, საქართველოს მოქალაქეების, შესაძლებლობა, გადავწყვიტოთ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები, ჩვენ შეგვიძლია თვითმმართველობის საშუალებით გადავჭრათ წყლით მომარაგების, დასუფთავების, გზების, კანალიზაციის, განათების, კეთილმოწყობისა და ადგილობრივი მნიშვნელობის სხვა საკითხები. საქართველოში თვითმმართველობის გარდა სხვა ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც აღნიშნულ საკითხებს მოაგვარებს, არ არსებობს; უფრო მეტიც, სახელმწიფო ორგანოებს არა აქვთ ამის უფლენა. ამავდროულად, თვითმმართველობა არის არა მხოლოდ უფლება, არამედ პასუხისმგებლობაც მიღებულ გადაწყვეტილებებსა და შესრულებულ საქმიანობაზე. საქართველოს კონსტიყუცია და კანოკმდებლობა განსაზღვრავს როგორც თვითმმართველობის უფლებას, ასევე ამ უფლების განხორციელების შესაძლებლობას, ამ შესაძლებლობას ქმნის თითოეული მოქლაქის თანაბარი შანსი – არჩეულ იქნეს თვითმმართველობის ორგანოში და შესაძლებლობა – მონაწილეობდეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღებასა და აღსრულების პროცესში. საქართველოში ამჟამად მიმდინარეობს ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა რომლის მთავარი გამოწვევა დეცენტრალიზაციის პროცესია ხოლო ამ პროცესში მოქალაქეთა ჩართულობას და ბიუჯეტის დაგეგ-

მვას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, საქართველო მიმდინარე რეფორმის დროს ითვალისწინებს როგორც ახალ ისე უკვე არსებულ და აპრობირებულ მეთოდებს, ასე მაგალითად პროგრამა „სამოქალაქო ბიუჯეტი" რომელიც უამრავ სხვა ქვეყანაში ხორციელდება, საქართველოში სულ რამდენიმე წელია რაცე ს პროგრამა ამოქმედდა.

შამოქალაქო ბიუჯეტის და სოციალური რეფორმის იდეა XX საუკუნის 90-იან წლებში ბრაზილიის ქალაქ პორტუ-ალეგრიში დაიბადა, ქალაქი სხვა უამრავ სოციალურვ ეკონომიკურ პრობლემებს ებრძვოდა ისეთებს როგორიცაა სიღარიბე, გაუმართავი ინფრასტრუქტურა და სხვა. შამოქალაქო იდეის არსი მგდომარეობს იმაში რომ ეს უნდა ქცეულიყო კომუნიკაციის ახალ ინსტრუმენტად მოსახლეობასთან და ასევე პასუხისმგებლობის გრძნობის გაზრდა ქალაქის მოსახლეობის მხრიდან, წარმატებული იდეის განხორციელების შემდეგ სამოქალაქო ბიუჯეტმა სულ უფრო მეტი პოპულრობა მოიპოვა და XXI საუკუნის დასაწყისიდან დახვეწილ და კიდევ უფრო გამართული სახით გვხვდება ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში (ესპანეთი, ბელგია, საფრანგეთი, პოლონეთი და სხვა) სამოქალაქო ბიუჯეტი დღეისთვის 1500-ზე მეტ პატარა თუ დიდ ქალაქს აერთიანებს, საქართველოში კი ქართყლი მხარისა და პოლონური არასამთავრობო ორგანიზაციის „სხვა სივრცისას" ინიციატივით 2015 წლიდან დაიწყო, რომლიც თავდაპირველად მხოლოდ მარნეულის მუნიიპალიტეტში ხორციელდებოდა.

სამოქალაქო ბიუჯეტი წარმოადგენს მოქალაქეთა ინტერესების გამოხატვის ერთ-ერთ ფორმას მთავარი მიზანი კი მოქალაქეთა ჩართულობის გააქტიურება, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება თვითმმართველობის განხორციელებაში, მათი მონაწილეობის გაზრდა ბიუჯეტირების პროცესში, მოსახლეობის ეფექტურად წარმოჩენა, ასევე ბიუჯეტის გამჭვირვალეობის გაზრდა და თვითმმართველობის მიერ მოქალაქეებთან მჭიდრო კომუნიკაციის დამყარება. პროგრამა „სამოქალაქო ბიუჯეტი" როგორც ზემოთ ავღნიშნებ პირველ ეტაპზე მხოლოდ ერთ მუნიციპალიტეტში მიმდინარეობდა ხოლო მომდევნო ეტაპზე საქართველოს 11 მუნიციპალიტეტი ჩაერთო მათ შორის არის გორის მუნიციპალიტეტი სადაც 2017 წელს სამოქალაქო ბიუჯეტის ფარგლებში მოქალაქეთა შერჩეული 13 პროექტი განხორციელდა 2018 წელს 9, 2019 წელს 93, ხოლო 2020 წლის სამოქალაქო ბიუჯეტი დაგეგმარების პროცესშია, იმისთვის რომ სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამამ გამართულად და სრულყოფილად იმუშაოს არსებობს რამოდენიმე უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმი, რომელიც უნბა შეესაბამებოდეს ძირითად პრინციპებს, კონკრეტულად კი საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს თავად მოსახლეობა, რომელიც განსაზღვრავს პრიერიტეტებს თუ რომელი პროექტი უნდა განხორციელდეს თვითმმართველობის მიერ, პროექტის შერჩევის შემდებ ის აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ბიუჯეტში ხოლო აღნიშნული პროცესი ნათლად და გამჭვირვალედ მიმდინარეობა სავალდებულოა რაც თავისთავად მოქალაქეებს მისცემს შესაძლებლობას ჩაერთონ განხილვას პროექტის მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე, სამოქალაქო ბიუჯეტი არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოს პროექტების წარდენით, სამოქალაქო საზოგადოევა აუცილებლად უნდა ცაერთოს დისკუსიაში გამოთქვან მათი აზრი და მიღწეულ იქნეს კონსესუსი ამისთვის კი მოსახლეობას უნდა ჰქონდეს მეთი სივრცე და შესაძლებლობა თანამშრომლობისთვის და რაც მთავარია სამოქალაქო ბიუჯეტის განხორციელების დროს უზრუნველყოფილი უნდა იქნეს თვითმმართველობაში მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენისა და ჯგუფის მონაწილეობა. იმისთვის, რომ მუნიციპალიტეტს სამოქალაქო ბიუჯეტი ჰქონდეს პირველ რიგში ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილებაა საჭირო, სამართლებრივად კი მოქალაქეთა ჩართულობა უზრუნველყოფილია, „საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 85-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად: სამოქალაქო ბიუჯეტის სხვადასხვა მოდელი და მიდგომა არსებობს, თუ საერთო თანხის რა ნაწილი უნდა გამოიყოს მთლიანი ბიუჯეტიდან ან გამოიყენოს ბიუჯეტის მთლიანი თავისუფალი ფული, რაც პრაქტიკულად, მთლიანი ბიუჯეტის და პრიორიტეტების დოკუმენტის დადგენას ნიშნავს, საქართველოში კი სამოქალაქო ბიუჯეტის შემდეგი სახის პრაქტიკა არსებობს მაგალითად; სარნეულსა და გორში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 5%-ია, საჩხერეში - 1%, ბორჯომში – მთლიანი საინვესტიციო ბიუჯეტი პროექტებისთვის დამატებითი დაფინანსების მიღება შესაძლებელია ცენტრალური ადმინისტრაციიდან ან სხვა ფონდებიდან. პროგრამის მიმდინარეობამ გვიჩვენა, რომ სამოქალაქო ბიუჯეტი კარგად მუსაობს და როგორც თვითმმართველობაში ასევე მოსახლოებაში დაინტერესება იზრდება, მაგალითად 2019 წლიდან ზუგდიდის მუნიციპალიტეტმა გამოთქვა სურვილი სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამის შექმნაზე, ყოველივე ეს კი იმაზე მეტყველებს რომ საქართველობაში მისი პოპულარობა იზრდება და სულ უფრო მეტ მუნიციპალიტეტს აქვს სურვილი დანეტგონ თვითმმართველობაში სამოქალაქო ბიუჯეტი.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. საქართველოს კონსტიტუცია
2. საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი
3. ურუშაძე. ი., ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა ჩართულობის სახელმძღვანელო თბილისი 2014. გვ 9.
4. მიქელაძე, ო., ეზუგბაია. O., მუნიციპალური სამართალი, თბილისი, 2002. გვ. 18
5. https://droa.ge
6. http://participatory.ge/ka/
7. http://gori.gov.ge/mtavari1/siaxleebi/272-2019-tsels-programa-samoqalaqo-biujeti--soflebshic-ganxorcieldeba.html

# მადნეულის ტექნოგენური საბადოს ეკონომიკური პერსპექტიულობა

*თამარ კოსტავა*
*სტუ დოქტორანტი*


## რეზიუმე

თანამედროვე მსოფლიო მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დგას - ბუნებრივი პირობებისა და მინერალური რესურსების შესწავლის, რაციონალური გამოყენებისა და მთლიანად, პლანეტის მდგრადი განვითარების თვალსაზრისით. მსოფლიოში მინერალური რესურსების გამოყენება მზარდი ტენდენციით მიმდინარეობს, თუმცა მარაგები მცირდება. ამ ფონზე, დადგება დრო, როდესაც საკმარისი რესურსი აღარ იარსებებს და საჭირო გახდება ნარჩენების მეორეული გადამუშავება.

მინერალური რესურსების მოპოვების ზრდამ გამოიწვია ბუნებრივი წონასწორობის დარღვევა, რისთვისაც მნიშვნელოვანია მათი გამოყენების ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება.

ტექნოლოგიური საბადოები, ბაზრის სხვადასხვა სეგმენტისთვის ეკონომიკის მნიშვნელოვან რეზერვს წარმოადგენს. მათი ეფექტური ათვისება მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვისაც. საქართველოში ცნობილია ბოლნისის მუნიციპალიტეტი მადნეულის ფერადი და ძვირფასი მეტალის საბადოთი.

იმის გათვალისწინებით, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ მინერალური რესურსები მილევადი გახდება, აქტუალურია, ვეძებოთ მათი შემცვლელი, თუნდაც არატრადიციული ნედლეული, მეორეული, ძირითადი მინერალური სახეობების თანმდევი ელემენტები. აგრეთვე, ყურადღება უნდა მიექცეს ე.წ. ღარიბ, არაკონდიციურ მადნებს, რაც ერთობლიობაში მკვეთრად გაზრდის ეკონომიკის ეფექტიანობას და საშუალებას მოგვცემს, შევქმნათ ახალი დარგები.

მინერალური რესურსების და ნედლეულის მსოფლიო ეკონომიკა ხასიათდება ახალი ბაზრების წარმოშობით და განვითარებით. მსოფლიო ქვეყნების გამოცდილებიდან გამომდინარე, ძირეული ეკონომიკური გარდაქმნა წარმატებულად იმ კვეყნებში განხორციელდა, რომელთაც შექმნეს მოწინავე სამეცნიერო ტექნოლოგიები შემდგომი წარმოებაში დანერგვით და მოახდინეს მათი რეალიზაცია, პროცესების ეკონომიკური ეფექტურობის გათვალისწინებით.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, ტექნოგენური საბადოს პერსპექტიულობის კვლევა საწარმოს ეფექტური მართვის ეკონომიკური რეკომენდაციების შემუშავებით.


**საკვანძო სიტყვები**: ტექნოგენური საბადო; ეკონომიკური ეფექტურობის რეკომენდაციები; ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება; საწარმოს ეფექტური მართვა; მინერალური რესურსების ათვისება.

## ECONOMIC PROSPECTS OF THE MADNEULI TECHNOGENIC ORE

**Tamar Kostava**
Doctorant of GTU


## SUMMARY

The modern world faces an important challenge - in terms of studying natural conditions and mineral resources, rational use and sustainable development of the planet as a whole. The use of mineral resources worldwide is on the rise, but supplies are declining. Against this background, there will come a time when sufficient resources will no longer exist and recycling of waste will be required.

The increase in mineral resource extraction has caused disruption of the natural equilibrium, for which it is important to establish an effective system for their use.

Technological deposits are an important reserve of the economy for different market segments. Their effective utilization is also important for our country. Georgia is famous for its colorful and precious metal deposit in Bolnisi district of Madneuli.

Given that natural resources will eventually become intangible, it is important to look for substitutes, even non-traditional raw materials, for the secondary, accompanying elements of the major mineral species. Also, attention should be paid to the so-called 's. Poor, unconditional ores, which together will dramatically increase the efficiency of the economy and allow us to create new fields.

The world economy of mineral resources and raw materials is characterized by the emergence and development of new markets. Based on the experience of the countries around the world, the fundamental economic transformation has been successful in those countries that have developed advanced scientific technologies by introducing them into further production and realizing them, taking into account the economic efficiency of the processes.

The purpose of the present paper is to investigate the prospect of technological deposit by developing economic recommendations for effective management of the enterprise.

მინერალური რესურსები ეროვნული ეკონომიკის სიმდიდრის, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი შემადგენელი და სამრეწველო პროდუქციის გამოშვების უმნიშვნელოვანესი პირობაა.

თანამედროვე მსოფლიო მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას გარემოს დაცვის, ბუნებრივი პირობებისა და მინერალური რესურსების შესწავლისა, მათი რაციონალური გამოყენების, რეგიონების, დარგების, საწარმოებისა და მთლიანად, პლანეტის მდგრადი განვითარების თვალსაზრისით.

თანამედროვე მსოფლიოში აქტუალურია მინერალური რესურსების გამოყენების მასშტაბების ზრდა ეკოლოგიური ვითარების გამწვავების ფონზე. კაცობრიობა მრავალი წლის განმავლობაში იყენებს მინერალურ რესურსებს და, ამასთან, ნაკლებად ფიქრობს მათ ამოწურვაზე. ჩვენს პლანეტაზე მარაგი კი თანდათან მცირდება.

გარკვეული წლების შემდეგ დედამიწაზე დადგება დრო, როცა ადამიანთა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საკმარისი მინერალური რესურსები აღარ იარსებებს. ამიტომ საჭიროა წიაღისეულის ხელახალი გადამუშავება, რაც მათი ხანგრძლივად გამოყენების ერთ-ერთი საუკეთესო გზაა.

დედამიწაზე მინერალურ რესურსთა საკმარისი რაოდენობაა არა მარტო დღეისათვის, არამედ თვალმისაწვდომი ისტორიული მომავლისათვისაც. პრობლემას წარმოადგენს მხოლოდ მათი რაციონალური გამოყენება, რომელიც იმგვარად უნდა წარიმართოს, რომ ლანდშაფტებში არ დაირღვეს მათ შორის მილიონი წლების მანძილზე ჩამოყალიბებული თანაფარდობა და შენარჩუნდეს ბუნების და გარემოს მდგრადობა, რაც ცხადია, კომპლექსურ ხასიათს უნდა ატარებდეს და, რომელიც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საერთო-სახელმწიფოებრივი ამოცანაა, რომელთა ეფექტიან გადაწყვეტაზე დამოკიდებულია ახლანდელი და მომავალი თაობის კეთილდღეობა. მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ადამიანი თანამედროვე პერიოდში ბუნებიდან მოიპოვებს წიაღისეული რესურსების გაზრდილ ოდენობას, რაც, ცხადია, იწვევს ბუნებრივი წონასწორობის დარღვევას და ეკოსისტემის შეცვლას. თანამედროვე მსოფლიოში, როდესაც ხდება სახელმწიფოების ინტეგრაცია, ეკოლოგიურმა პრობლემებმა შეიძინა საერთაშორისო ხასიათი, რაც კიდევ უფრო ეფექტურს ხდის ბუნების დაცვითი ღონისძიებების გატარებას და ეკოლოგიური კატასტროფების მავნეობის მინიმუმამდე დაყვანას, რისთვისაც მნიშვნელოვანია მათი გამოყენების ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება[1].

როგორც ცნობილია, ტექნოგენური საბადო არის სანაყაროთი, ტერიკონით, სალექარით, კუდსაცავით, სპეციალური საწყობებით, ბუნებრივი და ხელოვნური წყალსატევებით ან სხვა აკუმულაციური ფორმებით შექმნილი წიაღის უბანი, სადაც დაგროვილია სამთომომპოვებელი ან/და მეტალურგიული საწარმოების შედეგად წარმოქმნილი ტექნოლოგიური ან სხვა სახის, მათ შორის, ბუნებრივ და ხელოვნურ წყალსაცავებში დალექილი ნარჩენები, აგრეთვე წყალსაცავებში აკუმულირებული ჩამონატანი, სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას დანაკარგის სახით დარჩენილი მინერალური რესურსები, რომელთა ოდენობა, შემადგენლობა, თვისებები და სხვა პარამეტრები ხელსაყრელია მათი უშუალოდ მოპოვების ან/და გადამუშავების შემდეგ გამოყენებისათვის[2].

მინერალური რესურსების მდგრადი მეთოდებით ათვისება დადებითად მოქმედებს ქვეყნის ეკონომიკაზე: იზრდება შემოსავალი, ხორციელდება ინვესტიციები და იქმნება სამუშაო ადგილები. აქ დაცული უნდა იქნეს ბალანსი ეკონომიკურ და გარემოსდაცვით ინტერესებს შორის, რათა არ მოხდეს მოკლევადიანი ეკონომიკური სარგებლის მიღება ხანგრძლივ ვადებში ბუნებრივი და სოციალური გარემოს გაუარესების ხარჯზე.

მინერალური რესურსების სხვადასხვა სახეობა არსებითად განსხვავდება თავისი მახასიათებლებებით. ნებისმიერი მადნის მნიშვნელოვან ბუნებრივ მახასიათებლებს მიეკუთვნება მასში ლითონის პროცენტული შემცველობა, რომელიც განსაზღვრავს მადნის ფასეულობას. მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორია მისი გამდიდრებადობა. ნებისმიერი მადანი სუფთა ლითონად გარდაქმნამდე ექვემდებარება მთელ რიგ ტექნოლოგიურ პროცესებს, რომელთაგან პირველია გამდიდრება, ანუ მასში ლითონის შემცველობის მკვეთრი ამაღლება. მადნის გამდიდრება ძვირადღირებული პროცესია, რომელზეც მოდის ლითონების მიღების საერთო დანახარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი. სხვადასხვა სახის ქიმიური შემადგენლობის მადანი მოითხოვს გამდიდრების სრულიად სხვადასხვა ტექნოლოგიას. მადნების ტექნოლოგიურ გარდაქმნებს გარემოში ხშირად თან ახლავს მნიშვნელოვანი მავნე გამონატყორცნები და მყარი ნარჩენების წარმოქმნა. მეტალურგიული წარმოების ნარჩენებში ბევრი სასარგებლო და ძვირფასი კომპონენტია, რომელთა ამოკრეფა ამა თუ იმ მიზეზით გაძნელებულია. ამიტომ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დახშული ციკლის მცირენარჩენებიანი ტექნოლოგიების შექმნას და ნარჩენებისა და კუდსაცავების ქანების გამდიდრებას.

ფერადი ლითონების მრავალი მადანი დეფიციტურია, რომელთა საბადოები განლაგებულია ძნელმისაწვდომ და აუთვისებელ რაიონებში. ეს მადნები კომპლექსური და მრავალკომპონენტიანია თავისი შემადგენლობით. ამასთან, მათში ლითონის შემცველობა პროცენტულად ძალზე მცირეა. მიუხედავად ამისა, ფერადი ლითონების მადნების ფასეულობა ბაზარზე ძალზე მაღალია ლითონის დიდი ღირებულების გამო. მადნების ჩაწოლის სამთო-გეოლოგიური პირობები და დამუშავების სისტემები სხვადასხვაგვარია. ლითონის მცირე შემცველობა

მადანში განაპირობებს გზადაგზა მიღებული ქანების მოპოვების, გადამუშავებისა და დასაწყობების დიდ მოცულობას, რის გამოც ფერადი ლითონების მადნების გადაზიდვა ნედლეულის სახით დიდ მანძილზე არამომგებიანია. მიზანშეწონილია მისი გადამუშავება მოპოვების ადგილზე, თუმცა ამასაც ეკონომიკური დასაბუთება სჭირდება. ფერადი მეტალურგიის საწარმოთა კონკურენტუნარიანობა დამოკიდებულია ბაზარზე ფერადი ლითონების შემცვლელების არსებობაზე (პლასტმასები და სხვ.) და თანამგზავრი კომპონენტების ამოკრეფის სისრულეზე მრავალკომპონენტიანი მადნებიდან.

მინერალური რესურსების ეფექტიანობის განმსაზღვრელი კრიტერიუმები დროში ცვალებადია ტექნოლოგიების განვითარების კვალობაზე. მინერალური რესურსების სარგებლიანობის კრიტერიუმი იცვლება დროში ახალი ტექნოლოგიების დანერგვის, ახალი მოთხოვნებისა და შესაძლებლობების წარმოქმნის შესაბამისად.

მოკვლეული მასალების ანალიზიდან ირკვევა, რომ საქართველოს გააჩნია მინერალური რესურსების საკმაოდ მნიშვნელოვანი მარაგები, რომელთა ეკონომიკური პოტენციალი ქვეყნის ეროვნულ სიმდიდრეში საკმაოდ ნიშანდობლივია და მათი რაციონალურად და ეფექტიანად ათვისება მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ჩვენი ქვეყნის სამრეწველო-ეკონომიკურ განვითარებაში.

ბოლნისის მინიციპალიტეტი, რომელიც საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს ოდითგანვე ცნობილია ძვირფასი მეტალების შემცველობით. ბოლნისში უმთავრესია ზოგადად გეოლოგიური და მინერალოგიური ფაქტორები. კერძოდ, რაიონის ტერიტორიაზე ვხვდებით სხვადასხვა ტიპის საბადოებს, როგორიცაა ბარიტ-პოლიმეტალური, სპილენძ-კოლჩედანიანი, ოქროს შემცველი მეორადი კვარციტები და სხვ. სწორედ ბოლნისის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს მადნეული, რომელიც სპილენძის კონცენტრატების და დორე შენადნობის ოქროს მწარმოებელ კომპანიას წარმოადგენს.

მადნეულის საბადოზე სპილენძის გამადნება წარმოდგენილია სპილენძ-კოლჩედანური მადნებით, სადაც სპილენძის საშუალო შემცველობა 1.36 %-ს შეადგენს და, რომლის მარაგი ამჟამად 300 000 ტონაა.

მადნის მოპოვება წარმოებს სამთო სამუშაოების მაღაროზე ბურღვა-აფეთქებითი მეთოდით. კარიერიდან ამოღებული მადანი ტრანსპორტირდება გამამდიდრებელ ფაბრიკაში შემდგომი გადამუშავებისათვის. წარმოების ნარჩენი მასა, ე.წ. „კუდები” გადაიზიდება სპეციალურ სანაყაროზე, კუდსაცავზე. საწარმოს დღეისათვის გააჩნია ოთხი სანაყარო (საერთო ფართობი 239,7 ჰა). საწარმოს სამთო მინაკუთვნი მოიცავს 1 039 ჰექტარ ტერიტორიას. საწარმო მუშაობს უწყვეტი რეჟიმით. სპილენძის შემცველი მადანი მოიპოვება ღია კარიერზე მიწისქვეშა აფეთქების გზით, იგი შეიძლება მოპოვებული იქნეს კლდიდანაც, შემდეგ ხდება მისი დამსხვრევა, გამდიდრება და მისთვის ფქვილის მსგავსი სახის მიცემა, ის ასე ყალიბდება კონცენტრატად. მიღებული კონცენტრატი თავსდება სპეციალურ ტომრებში და გადის ექსპორტზე.

ამჟამად მადნეულის საბადოზე სამთო-მოპოვებითი საქმიანობით დაკავებულია საქართველოსა და ამიერკავკასიაში ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანია „RMG Group“, რომელიც წარმოდგენილია კომპანიებით სს „RMG Copper“-ი და შპს „RMG Gold“, რომლებიც სპილენძისა და ოქროს შემცველი მადნების მოპოვება-გადამუშავების შედეგად აწარმოებენ სპილენძის კონცენტრატს და ოქროს დორე შენადნობს (ნახევარფაბრიკატის სახით). ამასთან, ბოლნისის ტერიტორიაზე გეოლოგიურ-სადაზვერვო და ფერადი ლითონების საძიებო - საექსპუატაციო სამუშაოებს აწარმოებს სამთამადნო კომპანია „კავკასიის სამთო ჯგუფი 2 CMG“, რომელიც „RMG Gold“-ის შვილობილი კომპანიაა.

„RMG Group“, მიერ წარმოებულ პროდუქციას ყიდულობენ მსხვილი საერთაშორისო ტრეიდერული კომპანიები. აფინაჟის (გაწმენდა) შედეგად მიღებული სუფთა ლითონები (ოქრო, სპილენძი, ვერცხლი) კი შემდგომში ლონდონის საფონდო ბირჟაზე იყიდება.

სს „RMG Copper“-ი და შპს „RMG Gold“ საქართველოში და ბოლნისის რაიონში უმსხვილესი დამსაქმებლები არიან. ორივე კომპანიაში 3000-მდე ადამიანი მუშაობს, რომელთა 90 % ადგილობრივი მოსახლეა.

2011-2014 წლებში „არემჯიმ“ საქართველოში 300 მლნ აშშ $-მდე ინვესტიცია განახორციელა.

როგორც შესწავლილი მასალების ანალიზიდან ცნობილია, მადნეულის ოქრო სპილენძ–პოლიმეტალური საბადოდან სპილენძის მადნების მოპოვების და გამდიდრების 40 წელზე მეტი დროის განმავლობაში საწარმოს ტერიტორიაზე, კუდსაცავში, დაგროვილია 50 მლნ ტონა ტექნოგენური მინერალური ნარჩენი, რომელიც შეიცავს ოქროს, ვერცხლს, სპილენძს, თუთიას და იშვიათ მეტალებს Se და Te. მათში სპილენძის საშუალო შემცველობა 0,22-0,24 %, ოქროსი – 0,61-0,65 გ/ტ, ხოლო ვერცხლის 2,16-8,0 გ/ტ–ს შეადგენს [2]. დასაწყობებული კუდებიდან ყველა სასარგებლო კომპონენტის (სპილენძის და ოქროს) წინასწარი კონცენტრაციის მიღების ტექნოლოგია, რომელიც საშუალებას იძლევა მივიღოთ სპილენძის შემცველი პირიტული კონცენტრატი გამოსავლით 14,05 %, სპილენძის შემცველობით 1,36 %, ამოკრეფით 83,22 %, ოქროს შემცველობით 3,78 გრ/ტ, ოქროს ამოკრეფით 84,31 %[3,4]. აქედან გამომდინარე სულფიდური მადნების გამდიდრების ტექნოგენური მინერალური ნარჩენების გადამუშავება და მათი ეკონომიკური გამოყენების პერსპექტიულობის მიმართულებების განსაზღვრა, რეალიზაციის მექანიზმების ჩამოყალიბება გასა-

კუთრებულად აქტუალურია. მადნეულის საბადოს სამრეწველო კომპლექსმა მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეიტანოს ქვეყნის ეკონომიკის აღორძინებაში.

პროდუქციის გამოშვებასთან ერთად მინერალურ-სანედლეულო პროფილის კომპანიები და საწარმოები ახორციელებენ კვლავწარმოებით სამუშაოებს კაპიტალდაბანდების (ინვესტიციის) ხარჯზე, რასაც ეწოდება საინვესტიციო საქმიანობა.

საინვესტიციო საქმიანობის ძირითადი ნაწილი ფორმდება საინვესტიციო პროექტის სახით, რომელიც საშუალებას იძლევა საბაზრო ეკონომიკის პირობებში არსებული შეზღუდული სახსრები გამოყენებულ იქნას ყველაზე მომგებიან ობიექტებზე და განხორციელდეს მათი ობიექტების მიხედვით განაწილება და კონტროლი. საინვესტიციო პროექტის დამუშავების პროცესში ხდება საინვესტიციო საქმიანობის ეფექტიანობის დასაბუთება. საინვესტიციო პროექტის ეფექტიანობის შეფასების ამჟამად არსებული რეკომენდაცია შეიცავს საინვესტიციო პროექტის ეფექტიანობის შეფასების მაჩვენებლების, კრიტერიუმების და მეთოდების სისტემას, რომელსაც იყენებს პროექტის შემსრულებელი საკუთრების ფორმების მიუხედავად. ეს რეკომენდაციები ეყრდნობა საინვესტიციო პროექტების შეფასების მსოფლიო პრაქტიკაში ფართოდ გამოყენებულ მიდგომებს.

დროის საბაზისო მომენტისათვის პროექტის რეალიზაციის ყოველ t წელს წარმოშობილი დანახარჯების, შედეგების და ეფექტების დაყვანა ხორციელდება მათი გამრავლებით დისკონტირების კოეფიციენტზე, რომელიც განისაზღვრება ფორმულით:

$$\mathbf{a_t=1/(1+E)^{ti-1}},$$

სადაც ტი არის საანგარიშო პერიოდის მიმდინარე წელი, E – დისკონტის (პროცენტის) ნორმა. დისკონტის ნორმა E წარმოადგენს მოგების ნორმას ინვესტორის მიერ ჩადებულ კაპიტალზე ანუ როგორც მოგების პროცენტს, რომელიც უნდა მიიღოს ინვესტორმა პროექტის რეალიზაციის შედეგად (ჩვეულებრივ აიღება 10, 15 ან 20%).

საბოლოო ჯამში, დისკონტირების მეშვეობით აისახება ის ფაქტი, რომ დანახარჯები, ფულადი შედეგები, ეფექტები, რომლებიც გათვალიწინებულია მომავალში, ფასდება უფრო ნაკლებად, ვიდრე დროის მიმდინარე პერიოდში განხორციელებული ხარჯები და მიღებული ეფექტები.

საინვესტიციო პროექტების შედარება და მათგან საუკეთესოს შერჩევა წარმოებს სხვადასხვა მაჩვენებლის მიხედვით. მათგან ყველაზე მიღებულია:

- წმინდა დისკონტირებული შემოსავალი (Net Present Value) – NPV;
- შემოსავლიანობის ინდექსი (Profilibity Index) – PI;
- შემოსავლიანობის შიგა ნორმა ანუ უკუგების შიგა განაკვეთი, რომლის დროსაც დაყვანილი ეფექტების სიდიდე დაყვანილი კაპიტალდაბანდებების ტოლია (Internal Rate of Return) – IRR;
- გამოსყიდვის ვადა ($t_გ$).

წმინდა დისკონტირებული შემოსავალი განსაზღვრავს მიმდინარე ეფექტების ჯამს მთელ პერიოდში.

თუ საანგარიშო პერიოდში არ ხდება ფასების ინფლაციური ცვლილებები ან გაანგარიშებას აწარმოებენ საბაზო ფასებით, მაშინ NPV მუდმივი დისკონტის ნორმისათვის გამოითვლება ფორმულით:

$$\mathbf{NPV=\mathcal{T}\,(R_t-Z_t)*1/(1+E)^{t-1}},$$

$$\mathbf{t=1}$$

სადაც $R_t$ არის გაანგარიშების t წელს მიღებული შედეგები;

$Z_t$ – ამავე t წელს გაწეული დანახარჯები;

T – პროექტის სიცოცხლის ვადა (შეფასების საანგარიშო პერიოდი).

თუ NPV დადებითია, პროექტი ეფექტურია და შეიძლება განხილული იქნას საკითხი მის მიღებაზე. რაც უფრო დიდია NPV, მით უფრო ეფექტურია პროექტი. თუ NPV უარყოფითია, პროექტი არაეფექტურია.

t წლის დანახარჯებში ($Z_t$) იგულისხმება როგორც შესაბამისი წლის კაპიტალური დაბანდება ($K_t$), ასევე მიღებული წლის მიმდინარე საექსპლუატაციო ხარჯები $I_t$. თავის მხრივ, მიმდინარე ხარჯებში იგულისხმება წლიური პროდუქციის თვითღირებულება ჩტ, საამორტიზაციო ანარიცხების გამოკლებით:

$$\mathbf{I_t=C_t-A_t}.$$

$R_t$-ში იგულისხმება t – წელს მიღებული ამონაგები $Q_t$ პროდუქციის რეალიზაციიდან, $P_t$– მოსალოდნელი ფასები. გარდა ამისა, პროექტის რეალიზაციიდან მიღებულ ამონაგებში შეიძლება შევიდეს, აგრეთვე, გამოთავისუფლებული ტექნიკური საშუალებების, შენობა-ნაგებობების და სხვა სახით მიღებული ამონაგები ($F_t$). ამიტომ, შედეგი $R_t$ შეიძლება გამოვსახოთ როგორც:

$$\mathbf{R_t=P_t*Q_t+F_t}.$$

ამრიგად, NPV შეიძლება ასეთნაირად განისაზღვროს:

$$\mathbf{NPV=\mathcal{T}[(P_t*Q_t-(K_t+C_t-A_t)+F_t]1/(1+E)^{t-1}}.$$

$$\mathbf{t=1}$$

რადგან Pt*Qt-Ct არის წლიური მოგება ძირითადი პროდუქციის რეალიზაციიდან Pt, ფორმულა ასეთ სახეს შეიძენს:

$$NPV=\sum_{t=1}^{T} (Prt+At-K_t+F_t)1/(1+E)^{t-1}.$$

შემოსავლიანობის ინდექსი განისაზღვრება როგორც დაყვანილი ეფექტე-ბის ფარდობა კაპიტალდაბანდებასთან:

$$PI=1/K^* \sum_{t=1}^{T} (R_t-Z_t)*1/(1+E)^{t-1},$$

სადაც K არის კაპიტალდაბანდების მოცულობა; Zt 2 t წლის დანახარჯები იმ პირობით, რომ მასში არ შედის კაპიტალდაბანდება.

პროექტი ეფექტურია, თუ PI>1.

მოგების შიგა ნორმა (IRR 2 Internal Rate of Return) წარმოადგენს დისკონტის იმ ნორმას $E_R$, რომლის დროსაც დაყვანილი ეფექტების სიდიდე დაყვანილი კაპიტალდაბანდების ტოლია. სხვა სიტყვებით – დისკონტის იმ ნორმას, რომლის დროსაც პროექტის განხორციელება დაბანდებული კაპიტალის დაბრუნებას უზრუნველყოფს ზუსტად საანგარიშო პერიოდის ბოლოს. IRR-ს განსაზღვრავენ გაანგარიშების პროცესში და შემდეგ ადარებენ ინვესტორის მიერ მოთხოვნილ შემოსავლის ნორმას დაბანდებულ კაპიტალზე. იმ შემთხვევაში, თუ პროექტის IRR ტოლია ან მეტია ინვესტორისთვის სასურველ შემოსავლის ნორმაზე, ინვესტიციები ამ პროექტში გამართლებულია და შეიძლება დაისვას საკითხი მის მიღებაზე. თუ ალტერნატიული პროექტების შედარება NPV და IRR-ის მაჩვენებლების მიხედვით მიგვიყვანს საწინააღმდეგო დასკვნებთან, უპირატესობა ეძლევა NPV-ს.

გამოსყიდვის ვადა tგ წარმოადგენს დროის იმ მონაკვეთს, რომლის განმავლობაში საწყისი დაბანდება და პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული სხვა დანახარჯები იფარება პროექტით მიღებული ჯამური ფულადი ეფექტით.

არც ერთი ჩამოთვლილი მაჩვენებელი ცალ-ცალკე საკმარისი არ არის პროექტის მისაღებად. სახსრების ინვესტირებისათვის გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა ყველა კრიტერიუმის და საინვესტიციო პროექტის ყველა მონაწილის ინტერესების გათვალისწინება[5,6].

ზემოაღნიშნული რეკომენდაციები სრულიად შესაძლებელი და მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნას მადნეულის ტექნოგენური საბადოს ეკონომიკური შეფასებისათვის.

ჩვენს მიერ ჩატარებული ეკონომიკური გათვლებით, მადნეულის ტექნოგენური საბადოს ნარჩენების (კუდების) გადამუშავების შედეგად მოსალოდნელი მთლიანი შემოსავალი დაახლოებით 300 მლნ აშშ $-ს შეადგენს, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანია.

ამიტომ, სერიოზული ყურადღება უნდა დაეთმოს საკვლევი მიმართულებით აღნიშნულ საქმიანობათა ქმედით განხორციელებას, სადაც მნიშვნელოვანია რეგიონული და დარგობრივი სამთო და გეოლოგიური კვლევების ჩატარება, რაც მინერალურ-სანედლეულო ბაზის განმტკიცების, გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოების შესრულების და მომპოვებელი დარგების წარმატებული ფუნქციონირების სტრატეგიის და ჩვენი ქვეყნის მრავალმხრივი განვითარების საფუძველია. საერთოდ, სამეცნიერო-ტექნიკურ-ტექნოლოგიური პროგრესი მინერალური რესურსების წარმოების პროცესში ჩართვის, ნედლეულისა და მასალების კომპლექსურად გადამუშავების, ნარჩენების გამოყენების დიდ შესაძლებლობებს განაპირობებს, რაც თავის მხრივ, გაზრდის მინერალურ-სანედლეულო პროდუქციის წარმოების მოგებას და რენტაბელობას, შესაბამისი სახელმწიფო მხარდაჭერის სისტემის შექმნისა და სამართლებრივი ბაზის უზრუნველყოფის პირობებში.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. წიაღის მოპოვების სექტორის ზეგავლენა საქართველოს ბუნებრივ და სოციალურ გარემოს მდგომარეობაზე და პასუხისმგებლიანი მოპოვების პერსპექტივები. „NGO Eco Renaissance", თბილისი: 2014. 82 გვ.
2. საქართველოს კანონი წიაღის შესახებ. თბილისი: 1996. გვ.15.
3. ნ. ლომიძე. მადნეულის ოქროსშემცველი სულფიდური მადნების ტექნოგენური ნარჩენების გადამუშავების პერსპექტივები. დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი, თბილისი: 2019. 29 გვ.
4. კ. კეკელიძე. მადნეულის საბადოს სპილენძ-თუთიის მადნების გამდიდრების ტექნოლოგიის სრულყოფა, ინტენსიფიკაცია. დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი, თბილისი: 2012. 29 გვ.
5. გ. ტაბატაძე, გ. ლობჯანიძე, გ. ტატიშვილი, დ. ლაბაძე. სამთო მრეწველობის საინვესტიციო პროექტების რისკები და მათი მართვის საკითხები. ჟურნალი „სამთო ჟურნალი", თბილისი: № 1(38), 2017. გვ. 214–218.
6. Чайников В.В., Гольдман Е.Л. Оценка инвестиций в освоение техногенных месторождений. М.: ООО «НедраБизнесцентр», 2000. 220 с.

# აგროკლასტერი, როგორც რეგიონის სოფლის მეურნეობის მდგრადი ინოვაციური განვითარების უზრუნველყოფის ინსტრუმენტი

*არჩილ ფარცვანია*
*სტუ დოქტორანტი*

**რეზიუმე**

ნაშრომში განხილულია ავტორის მიდგომა საქართველოს სოფლის მეურნეობაში კონკურენტუნარიანობის ამაღლების პრობლემასთან დაკავშირებით, საქმიანობის ორგანიზების კლასტერული მოდელის გამოყენების შესაძლებლობები. ასევე, ნაშრომში განისაზღვრა აგრარული კლასტერის შექმნის და ფუნქციონირების საბაზო პრინციპები.

**საკვანძო სიტყვები:** აგრარული კლასტერი, აგროსამრეწველო კომპლექსი, ეკონომიკური ინტეგრირება.

**AGRICULTURAL CLUSTERS AS AN INSTRUMENT OF SUSTAINABLE INNOVATIVE DEVELOPMENT OF AGRICULTURE OF THE REGION.**

**Archil Partsvania**

**RESUME**

The article discusses the author's approach to the application of the cluster model of organization of production in connection with increasing competitiveness in agriculture in Georgia. The basic principles of the creation and functioning of the agricultural cluster are determined.

ჩვენ შევეცდებით, ტურიზმის სფეროს განვითარების პერსპეტივიდან შევაფასოთ ეს პრიორიტეტები. პირველ მათგანია პოლიტიკური კოორდინაცია, რაც არა მარტო ამ კონკრეტული პროექტის განხორციელების მნიშვნელოვანი გარანტი, არამედ ეკონომიკის ყველა დარგის და განსაკუთრებით, ტურიზმის განვითარების საფუძველია. ჩინეთმა და აბრეშუმის გზის ქვეყნებმა უნდა გააძლიერონ მთავრობათაშორისი თანამშრომლობა, აქტიურად შეუწყონ ხელი ურთიერთობებს, თავისუფლად გაცვალონ ინფორმაცია ეკონომიკური განვითარების სტრატეგიების შესახებ, კონსულტაციების გზით, ერთობლივად გადაჭრან პრობლემები და ხელი შეუწყონ ფართომასშტაბიანი პროექტების განხორციელებისათვის ხელსაყრელი პოლიტიკური გარემოს შექმნას.

მეორე, პროექტის სასიცოცხლო და პრიორიტეტული მიმართულება ინფრასტრუქტურის ურთიერთდაკავშირებაა. იგი მოიცავს არა მარტო საერთაშორისო გზების მშენებლობას, არამედ წევრ სახელმწიფოებს შორის ინფრასტრუქტურული ობიექტების და ტექნიკური სტანდარტების სისტემების შექმნასთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინაციასაც. გარდა ამისა, ეტაპობრივად შეიქმნება აღმოსავლეთის, დასავლეთისა და სამხრეთ აზიის დამაკავშირებელი სატრანსპორტო ქსელი, რაც უზრუნველყოფს ქვეყნებს შორის როგორც ეკონომიკურ განვითარებას, აგრეთვე, ტურისტების სწრაფ და მოხერხებულ გადაადგილებას სხვადასხვა ქვეყანასა და ლოკაციაზე. ამჟამად, ჩინეთი ცენტრალური აზიის ქვეყნებთან ინფრასტრუქტურის მშენებლობზეა კონცენტრირებული და ეს არის არა მარტო სარკინიგზო, საავტომობილო, საჰაერო და საწყლოსნო ხაზების მშენებლობა, არამედ ენერგო რესურსების ტრანსპორტირებისთვის საჭირო მილსადენი ქსელის მშენებლობაც.

აზიის განვითარების ბანკის ექსპერტები პროგნოზირებენ, რომ 2020 წლისთვის ინფრასტრუქტურის მშენებლობისთვის საჭირო იქნება 8 ტრილიონზე მეტი ინვესტიცია. ჩინეთი და ცენტრალური აზიის ქვეყნები აქტიურ ზომებს ახორციელებენ იმისთვის, რომ გაუმჯობესდეს მიმდებარე ქვეყნების ეკონომიკის დონე, მყარი საფუძველი შეექმნას სამომავლო თანამშრომლობას და ადამიანების აქტიურ დაახლოებას ერთმანეთთან, რაც აგრეთვე, უაღრესად მნიშვნელოვანია ტურიზმის ინდუსტრიის განვთარებისთვის.

მესამე, უწყვეტი ვაჭრობის უზრუნველყოფა ნიშნავს ღრმა საინვესტიციო და სავაჭრო თანამშრომლობას. სტატისტიკის მიხედვით, დაახლოებით 4.4 მილიარდი ადამიანი ცხოვრობს „ერთი სარტყელი - ერთი გზა" გასწვრივ და ამ ტერიტორიების მასშტაბი და ბაზრის პოტენციალი უნიკალურია. ამასთან დაკავშირებით, მხარეები ერთობლივად მიიღებენ ისეთ ზომებს, როგორიცაა: სავაჭრო სატარიფო ბარიერების აღმოფხვრა, საბაჟო და საინვესტიციო პროცედურების გამარტივება, რეგიონული ვაჭრობის სიჩქარისა და ხარისხის გაზრდა და თავისუფალი ვაჭრობის ზონების შექმნით დაინტერესებულ ქვეყნებთან და რეგიონებთან მოლაპარაკებების ხელშეწყობა. ცნობილია, რომ ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავება ხელს უწყობს როგორც ხარისხიანი პროდუქტების შეთავაზებას და უფრო მრავალფეროვან არჩევანს ტურისტებისთვის, აგრეთვე, ტურიზმის სხვადასხვა სახის განვითარებას როგორიცაა: საქმიანი ტურიზმი, MICE ტურიზმი და სხვ.

რაც შეეხება საინვესტიციო სფეროს, პროექტის ფარგლებში გაძლიერდება საინვესტიციო თანამშრომლობა სხვადასხვა სფეროში, კერძოდ: სოფლის მეურნეობა, ენერგეტიკა, ახალი სამრეწველო სექტორები, ტურიზმი. ჩინეთის მხარე მიესალმება ჩინეთის ეკონომიკაში უცხოური კომპანიების ინვესტიციებს, რაც ხელს შეუწყობს ეკონომიკური პროგრესის მიღწევას და ერთობლივი სარგებლის და შემოსავალის მიღებას.

მეოთხე, კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება ითვლება პროექტების განხორციელების ძალიან მნიშვნელოვან საყრდენად. აქედან გამომდინარე, პროექტი ფინანსებისა და მონეტარული პოლიტიკის სფეროში შექმნის სავალუტო სტაბილურობის, ფინანსური ინვესტიციების და საკრედიტო რეიტინგის სისტემებს, რაც პირდაპირ კავშირშია მყარი ტურისტული ნაკადების არსებობასთან, რადგან ფინანსური შესაძლებლობების არსებობა და ფინანსური სტაბილურობა დიდი სტიმულია ტურიზმის სფეროს განვითარებისთვის.

მეხუთე პრიორიტეტი კი ერების დაახლოება და ურთიერთგაგებაა, რაც არის როგორც მიზეზი, აგრეთვე, შედეგი ტურიზმის სფეროს განვითარების. ჩინური ანდაზა ამბობს, რომ „ურთიერთობები ქვეყნებს შორის დამოკიდებულია ხალხთა სიახლოვეზე". ერებს შორის მეგობრული გაცვლები უფრო მყარ საფუძველს ქმნის როგორც საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებისთვის, ისე სოციალურ საფუძველს ქმნის რეგიონული თანამშრომლობის განვითარებისთვის, ხშირი კონტაქტებისთვის.

შესაბამისად, გაგრძელდება ჰუმანიტარული თანამშრომლობა, კულტურული და სამეცნიერო კონტაქტები, გაფართოვდება პერსონალის გაცვლა და ტურიზმის, მედიის, საგანმანათლებლო სფეროში თანამშრომლობა. ამჟამად ჩინეთს ყოველწლიურად 10,000 სახელმწიფო სტიპენდია აქვს გამოყოფილი აბრეშუმის გზის ქვეყნების სტუდენტებისთვის.

მრავალმხრივი ჰუმანიტარული თანამშრომლობა იმავდროულად ეხება ტურისტულ, ჯანდაცვის, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროებს და ასევე მოიცავს საკანონმდებლო ორგანოების, წამყვანი პარტიებისა და პოლიტიკური ორგანიზაციების ურთიერთქმედებას.

ცხადია, რომ ახალი აბრეშუმის გზაზე მდებარე ქვეყნების განვითარების დონე და მოდელები, პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემა, რელიგია და კულტურა განსხვავებულია და, შესაბამისად, პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და ტურისტული კონტაქტების გაღრმავება არის აუცილებელი წინაპირობა ეფექტური თანამშრომლობისათვის. ჩინელები ამბობენ, რომ სავაჭრო ბარიერების მოხსნა არის მთავარი მიზანი, კომუნიკაციის განვითარება არის საფუძველი,საფინანსო სფერო - გარანტია, ხოლო ადამიანთა შორის ურთიერთობები კი ფესვებია ამ პროექტის.

სტრატეგიული ინიციატივა „ერთი სარტყელი - ერთი გზა" საშუალებას მისცემს მასში მონაწილე ქვეყნების ეკონომიკის ეტაპობრივ განვითარებას და ხელს შეუწყობს საერთაშორისო და რეგიონულ თანამშრომლობას.

იდეოლოგიური შინაარსის თვალსაზრისით კი, ამ პროექტის ერთობლივი განხორციელებას ექნება უაღრესად დიდი მნიშვნელობა როგორც ჩინეთისთვის, ისე სხვა სახელმწიფოებისთვის.

პირველი, „ერთი სარტყელი - ერთი გზა" ქმნის რა ურთიერთობების ახალ მოდელს, ჩინეთს განიხილავს როგორც ღია სტრუქტურას, უზრუნველყოფს თავად ჩინეთის რეგიონების განვითარებას.

მეორე, ინიციატივა „ერთი სარტყელი - ერთი გზა" ქმნის ურთიერთსარგებლიანობის მოდელს, ხელს უწყობს აბრეშუმის გზის გასწვრივ მდებარე ქვეყნების სწრაფ განვითარებას.

მესამე, კონცეფცია „ერთი სარტყელი - ერთი გზა" აძლიერებს ყოვლისმომცველ და მრავალრიცხოვან სავაჭრო ურთიერთობებს, აფართოებს ქვეყნებს შორის კულტურულ კონტაქტებს და კავშირებს, უზრუნველყოფს რეგიონულ უსაფრთხოებასა და სტაბილურობას და ქმნის ახალ მსოფლიო წესრიგს.

ამ ფონზე საქართველოსთვის მნიშვნელოვანია აქტიური ჩართულობა აღნიშნულ პროექტში და ყველა დარგისთვის, განსაკუთრებით კი, ტურიზმის სფეროს განვითარებისთვის ახალი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენება. ქართულმა მხარემ ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებაზე მოლაპარაკების პროცესში უპრეცედენტო შეთანხმებას მიაღწია. კერძოდ, ქართული ტურისტული სააგენტოები და ტურ-ოპერატორები, რომლებიც ერთობლივ საწარმოს დაარეგისტრირებენ პეკინში, შანხაისა და ტიანძინის საპილოტე თავისუფალ სავაჭრო ზონებში, შეძლებენ ჩინეთის ყველა პროვინციიდან ტურისტების გაყვანას არა

მხოლოდ საქართველოში, არამედ სხვა ქვეყნებშიც.

იმედის მომცემია სტატისტიკური მონაცემებიც, რომელთა მიხედვით, 2018 წელს ჩინეთიდან საქართველოში 2017 წელთან შედარებით საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობა 75.2%-ით გაიზარდა.

2019 წლის იანვარ-თებერვალში ჩინეთიდან საქართველოში 60.2%-ით მეტი საერთაშორისო ვიზიტი შედგა გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.

ჩინეთიდან ტურისტების მოზიდვის მიზნით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ორწლიანი სამოქმედო გეგმაზე მუშაობს. ვფიქრობთ, რომ „ერთი სარტყელი - ერთი გზა“ როგორც ჩინეთის, ისე საქართველოს გარდაუვალი ისტორიული არჩევანია, რომელიც საზოგადოების განვითარების მოთხოვნებს აკმაყოფილებს. ამ კონცეფციის შემოთავაზებისას ჩინეთმა სრულყოფილად და ღრმად განიხილა და გაითვალისწინა თანამედროვე სამყაროში არსებული ზოგადი ნარატივი, აგრეთვე, მსოფლიოში, და კერძოდ, ევრაზიაში არსებული სიტუაცია. ინიციატივის „ერთი სარტყელი - ერთი გზის“ ერთობლივი განხორციელება თანამედროვე სამყაროს განვითარებას, აზიისა და ევროპის ქვეყნებს შორის უახლოესი კონტაქტების დამყარებას და მსოფლიოში მშვიდობიანი განვითარების ხელშეწყობას ემსახურება, რაც საქართველოსთვის უნიკალური შესაძლებლობაა ამ პროცესებში ჩართვის და პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. პაპავა ვლ., „ერთი სარტყელი - ერთი გზის ინიციატივა" და საქართველო, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, 2017;

2. Papava V. “A Eurasian or a European Future for Post-Soviet Georgia’s, Economic Development: Which is better?” Archives of Business Research, 2017. 5(1): 159-170, www.scholarpublishing.org/index.php/ABR/article/view/2651/1554;

3. Silagadze A., Zubiashvili T. “Parameters of the European Union and the Post-Soviet Georgia’s Economy.” International Journal of Multidisciplinary Thought, 2015. 5(3): 441-447;

4. L. Shen, Xi Jinping’s ‘One Belt, One Road’ strategy is showing the way to a new world order. https://www.scmp.com/comment/insight-opinion/article/2054143/xi-jinpings-one-belt-one-road-strategy-showing-way-new-world;

5. Guiguo Wang, The Belt and Road Initiative in quest for a dispute resolution mechanism, journal “ Asia Pacific Law Review”, Jun 2017.

# ახალი ტექნოლოგიები და ადამიანი

*კოკა კუტუბიძე*
*სტუ პროფესორი*

**NEW TECHNOLOGIES AND PEOPLE**

**Koka Kutubidze**
Professor of GTU

**RESUME**

In the article are analized scientific-technical progress were revealed, process of civilization and globalization positive and negative tendencies according to the sociology. In our epoche there has been so evidently revealed the conflict between a human being and technical environment as nowadays. A human being wasn't vulnerable to unpredictable processes in the filed of technics. In the condition of technical progress, the special relationship features of a human being and technics and their possibilities weren't always taken into the consideration. The nature and features of technical processes should always reveal and mean the demands, goals and objects of cociety. It technics controls a person and not Vice versa – a person controls technics, in such case, the fact becomes dangerous for a person, for his personal exiscence.

**საკვანძო სიტყვები:** ტექნიკური პროგრესი, ცივილიზაცია, კულტურა, ინოვაცია, უახლესი ტექნოლოგიები, კრეატიული ადამიანი.

**Keywords:** Technical progress, civilization, culture, innovation, newest technologies, creative person.

* * * *

საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე, ურთულეს ეკონომიკურ და სოციალურ გარდაქმნათა თავისებურებების განმსაზღვრელ ფაქტორებს შორის, ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი ენიჭება მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მონაპოვართა პრაქტიკულ გამოყენებას. მეცნიერებისა და ტექნიკის ინტენსიური განვითარების საფუძველზე დანერგილი ტექნიკური და ტექნოლოგიური სიახლეები არსებითად და ძირეულად ცვლის საზოგადოებაში ადამიანათა საქმიანობის ხასიათს, რაც თავისებურად აისახება საზოგადოების სოციალურ სტრუქტურებშიც, ამიტომაც, მეცნიერებისა და ტექნიკის გამოყენების მასშტაბები, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროზე ამ პროგრესის ზეგავლენის ინტენსივობა და სიღრმე მკვლევართა განსაკუთრებული ყურადღების და ინტერესის საგანია.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის თაობაზე, მისი განვითარების შესაძლებლობებზე, მისგან გამომდინარე სოციალურ შედეგებზე ბევრი იწერება ჩვენთან და უცხოურ ლიტერატურაშიც, მიმდინარეობს დავა, კამათი მისი ბუნებისა და არსის შესახებ.

XXI საუკუნის დასაწყისში-გრანდიოზული მეცნიერული აღმოჩენები, მისგან გამომდინარე შედეგები ცხადზე უცხადესია, თუმცა ცნობილია არაერთი შემთხვევა იმისა, როცა სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების უშუალო შედეგებმა ადამიანზე პირდაპირ ან ირიბად მოახდინეს არასასურველი გავლენა, მიუხედავად ამისა, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების არცერთ ეტაპზე თავად ცოდნა არ შეიცავს არავითარ საფრთხეს; საფრთხე ყოველთვის ტექნიკური და ტექნოლოგიური სიახლეებით განპირობებული ცოდნისა და შესაძლებლობების არაგონივრულ და არაკეთილსინდისიერად გამოყენებაშია.

წარმოუდგენილია მეცნიერების ნებისმიერი დარგის წარმომადგენელს 1940 წელს გაეთვალა, რომ რამდენიმე წლის შემდეგ დედამიწაზე აფეთქდებოდა პირველი ატომური ბომბი და რამდენ უბედურებას მოუტანდა იგი ადამიანებს. ეს შემთხვევა ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება ამა თუ იმ დარგის მეცნიერთა აღმოჩენებმა ხელი შეუწყოს მეტად რთული სოციალურ-ეთიკური პრობლემების წარმოქმნას.

ცნობილია, რომ არა ერთი შესაბამისი საერთაშორისო შეთანხმებების არსებობას ხელი არ შეუშლია ამერიკელებისთვის გამოეყენებინათ მომწამვლელი ნივთიერებები ვიეტნამში, მაშინ როცა ყველა ნორმალურად მოაზროვნე ადამიანს ეს დანაშაულად მიაჩნდა. ხშირია შემთხვევები, როდესაც არასამშვიდობო მიზნებისთვის გამოიყენება მშვიდობიანი კვლევები და ძალიან ბევრი აღმოჩენა.

ზოგადად, ტექნიკური პროგრესი, ცივილიზაცია არ უნდა დაემსგავსოს უმიზნოდ, უგეგმოდ აგებულ ხომალდს, რომელსაც არ ჰყავს მესაჭე. თავისთავად ცივილიზაციას არ „ჰყოფნის ცოდნა“ იმისათვის, რომ თვითონ აირჩიოს კონკრეტული კურსი მრავალი შესაძლებლობებიდან. იქმნება შთაბეჭდილება, რომ თითქოსდა მეცნიერება ჩართულია ბუნებასთან მუდმივ ქიშპობასა და ბრძოლის პროცესში. პარადოქსი კი მდგომარეობს იმაში, რომ მომავალში დიდი აღმოჩენებისა და წარმატებების პირობებში სულ უფრო რთული და არაპროგნოზირებადი ხდება მდგომარეობა.

ჩვენი საუკუნე, ერთის მხრივ, ესაა უდიდესი ცვლილებების, გრანდიოზული მეცნიერული აღმოჩენების, უახლესი ტექნოლოგიების ათვისების საუკუნე, მეორე მხრივ კი, იგი მთელი სიმწვავით სვამს

კაცობრიობის წინაშე არაერთ აქტუალურ პოლიტიკურ, მორალურ, ფსიქოლოგიურ, მედიკო-ბიოლოგიურ და სხვა პრობლემებს, რომელთა სისტემური კვლევის გარეშე გაგვიჭირდება სრულიად გავერკვეთ თანამედროვე ურთულესი ეპოქის არსში.

მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესის თანმხლები მოვლენები ძალზე რთული და მრავალმხრივია. ამჟამად ჩვენ მხოლოდ აღნიშნული პრობლემის ზოგიერთ სოციალურ-ეთიკურ და ფსიქოლოგიურ ასპექტებზე გავამახვილებთ ყურადღებას.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პირობებში ადამიანის პერსპექტივის, მისი ბედისა და მომავლის პრობლემები ახლებურად დგება დღის წესრიგში და ახლებურ მიდგომებსაც მოითხოვს. დღეს ისე, როგორც არასდროს, ადამიანებს აღელვებთ კაცობრიობის მომავალი, მისი ბედი, განვითარების პერსპექტივა.

დღის წესრიგში მწვავედ დგება კითხვები: საით მივყავართ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს? ხელს უწყობს იგი ჩვენი საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს, მათ შორის ზნეობის, კულტურის განვითარებას, თუ პირიქით, იწვევს ამ უკანასკნელთა დეგრადაციას? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესი იძლევა ხელშესახებ წარმატებებს, ეკონომიკის, წარმოების სფეროში, მაგრამ ადგილი აქვს თუ არა ამავე დროს ადამიანთა ურთიერთობების ჰუმანიზაციას? (ხომ არ იწვევს მანქანა, ტექნიკური პროგრესი ადამიანური ცხოვრების დეჰუმანიზაციას? ჰუმანიზმის დასასრული კი ბუნებრივია ყოველგვარი ადამიანურობის დასასრულადაც ითვლება-ეს კი საბოლოო ჯამში მორალური, ზნეობრივი კატასტროფის ტოლფასია. ადამიანი, რომელმაც არ ისურვა ღვთის ხატად და მსგავსად ყოფნა, მანქანის ხატად და მსგავსად იქცევა) [1] შეუძლია თუ არა კაცობრიობას, თავიდან აიცილოს ან თუნდაც მინიმუმამდე დაიყვანოს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის თანმხლები ზოგიერთი უარყოფითი სოციალური შედეგი? ზოგადად, როგორი იქნება, როგორ სახეს მიიღებს მომავალში ადამიანსა და მანქანას შორის დამოკიდებულება, მათი ურთიერთობის ხარისხი, ხასიათი (რომელი რომელს უბრძანებს, წარმართავს, დაუწესებს დღის წესრიგს) რა ელის კაცობრიობას მომავალში მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ტემპის სულ უფრო ზრდის პირობებში? ხომ არ ემუქრება ადამიანს არსებითი საფრთხე, ხომ არაა იგი გაძევებული თავისი თავიდან? ხომ არ დაკარგა მან თავისი მთლიანობა, ხომ არ დანაწევრდა და დაქუცმაცდა იგი? ეს და სხვა მსგავსი კითხვები დროულად მოითხოვს სათანადო პასუხს და რაც მთავარია, შესაბამისი პრაქტიკული ღონისძიებების გატარებას.

ერთი რამ უდავოა, არასრდოს ასე ცხადი არ ყოფილა ადამიანისა და ტექნიკური გარემოს კონფლიქტი, როგრც ახლა, ჩვენს დროში, არასდროს ადამიანი არ ყოფილა ასე დაუცველი ტექნიკის სფეროში მიმდინარე პროცესებისაგან.

ჩვენ სწორედ მათ შორის წინააღმდეგობის გამწვავების და გამოვლენის პერიოდში ვცხოვრობთ და ბუნებრივია, როდესაც ფილოსოფოსები, ფსიქოლოგები, სოციალური ანთროპოლოგიის წარმომადგენლები და სხვები ასეთ ვითარებაში დღეს უფრო მწვავედ სვამენ ადამიანისა და ზოგადად ადამიანური არსებობის პრობლემებს.

ტექნიკური პროგრესის პირობებში ყოველთვის როდია გათვალისწინებული ადამიანისა და ტექნიკის თავისებურებები, მათი შესაძლებლობები. ტექნიკური პროგრესის ხასიათსა და ბუნებაში ყოველთვის უნდა ჩანდეს და იგულისხმებოდეს საზოგადოების ინტერესები და ნორმალური მოთხოვნილებები, მათი მიზნები და მისწრაფებები. თუ ტექნიკა მართავს ადამიანს და არა პირიქით-ადამიანი ტექნიკას, ეს საშიში ხდება ადამიანისთვის, მისი პიროვნული არსებობისთვის. ყოველივე ეს საშინლად ამძაფრებს და მრისხანე პერსპექტივების წინაშე აყენებს ადამიანს. ადამიანისა და მანქანის ურთიერთობის პერსპექტივისგან გამომდინარე ხომ არ იქნება გამართლებული ნ. ბერდიაევის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ადამიანი თავისი განსაცვიფრებელი გამოგონების-მანქანის ტყვედ და მონად იქცა. ჩვენი ეპოქა, განაგრძობს იგი, უწინარეს ყოვლისა, ტექნიკის ნიშნითაა აღბეჭდილი, ასე შეიძლება ტექნიკის ეპოქად იწოდებოდეს… ადამიანს სწამს ტექნიკის სასწაული, როცა არცერთი სხვა სასწაული აღარ სწამს. დეჰუმანიზაცია-აი, რა არის, უწინარეს ყოვლისა, ადამიანური ცხოვრების მექანიზაცია და ტექნიზაცია, ადამიანის დაქვემდებარება მანქანისადმი და მისი ქცევა მანქანად. მანქანური ძალაუფლება შლის ადამიანის მთლიან სახეს. [23] ასეთ ვითარებაში ადამიანი სრულად დაკარგავს მთლიანობას, თვითმყოფადობას, რასაც საბოლოო ჯამში საზოგადოების შინაგანი გათიშულობისკენ მივყავართ.

ამ ფონზე დიდად საყურადღებოა, ჩვენი პატრიარქის დამაფიქრებელი სიტყვები: „დღეს ტექნიკამ და მეცნიერებამ განვითარებით გაუსწრო კაცობრიობის სულიერ წინსვლას და დაირღვა მათ შრის თანხმობა. ჩვენი სულიერი მოუმზადებლობის გამო მეცნიერება და ტექნიკა მოსპობით ემუქრება ადამიანის მოდგმას, საერთოდ სიცოცხლეს დედამიწაზე, და ეს ბადებს გაუცნობიერებელი დაპირისპირების გრძნობას, რაც მისდამი ერთგვარიუ გულცივობით გამოიხატება. მაინც რა არის მეცნიერება?“[4]

თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პორგრე-

1 ბ. ბერდიაევი, ადამიანის ბედი თანამედროვე სამყაროში. თბილისი. 2007. გვ. 141

2 ნ. ბერდიაევი, ადამიანის ბედი თანამედროვე სამყაროში. 2007 გვ. 180

3 ზ. კაკაბაძე, ფილოსოფია და ცხოვრება. თბილისი. გვ. 192

4 სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II, საახალწლო ეპისტოლე, 1988

სი რომ დადებითი მოვლენაა, ეს უეჭველია. ცხადია, საზოგადოებრივ ეკონომიკური სისტემის მეცნიერულ-ტექნიკური ბაზის შექმნა, მისი შემდგომი სრულყოფა წარმოუდგენელია მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების გარეშე, მაგრამ ისიც უდავოა, რომ სწორედ მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესის პირობებში კაცობრიობის წინაშე მეტად მწვავედ და გლობალურად დადგა დღის წესრიგში სულიერ ღირებულებათა პრობლემები.

როცა საზოგადოებაში ჭარბობს ცივილიზაციის მიმართულებით მოღვაწეობა-მაშინ სულიერი, კულტურული დეგრადაცია გარდაუვალი ხდება. „ადამიანი ორი მიმართულებით დაიშლება-ცხოველურობის ან მანქანურობის მიმართულებით.“ [5] თანამედროვე საზოგადოებაში სულ უფრო ცივილიზაცია მაქსიმალურად სცილდება და უპირისპირდება კულტურას.

სოციალურ გარდაქმნათა სფეროში მეცნიერებისა და ტექნიკის როლის სულ უფრო ზრდის პარალელურად აშკარა გახდა, რომ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს დადებით შედეგებთან ერთად, თან ახლავს ისეთი მოვლენები, რომელთა გათვალისწინება, რეგულირება და კონტროლი აუცილებელია საზოგადოების ოპტიმალური ფუნქციონირებისთვის. ეკოლოგიური ტიპის კრიზისები, სხვადასხვა სახის კატასტროფები ბუნების განუზომელი დამორჩილებისათვის დაუოკებელი სწრაფვა, რომელსაც ბევრი შორს მიმავალი და გამოუცნობი შედეგი მოსდევს, ადამიანთა მასობრივი მოსპობის საშუალებათა დიდი რაოდენობით დაგროვება, მომხმარებლური ტენდენციების მოჭარბება ადამიანებში, მასობრივი საზოგადოებისა და კულტურის ჩამოყალიბების საფრთხე, სტანდარტიზებული ნორმებით პიროვნების უნიკალობის ჩაკვლა (დეპერსონალიზაცია), სადაც ყველა არის სხვა და არავინ არის თვითონ [6] ადამიანისა და ადამიანური ურთიერთობების გაუცხოება. თუნდაც ის ფაქტი, რომ ადამიანები შრომის პროცესში სულ უფრო იქცევიან მანქანა-დანადგართა დანამატად და სხვა, ცხადყოფს, რომ თანამედროვე მეცნიერულ ტექნიკური პროგრესი ამავე დროს, არაერთი საჭირბოროტო პრობლემის წინაშე აყენებს კაცობრიობას.

საყოველთაო აღიარებით დღეს განსაკუთრებულ პრობლემად იქცა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპებისგან ადამიანის ეთიკურ-ზნეობრივი ცნობიერების ჩამორჩენა. ამჯერად ჩვენს ამოცანას არ შეადგენს ამ რთული მოვლენის სრული ანალიზი, თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ ე.წ. „სციენტისტური ანთროპოლოგია“, რომელიც გულისხმობს ზედმეტ, გადაჭარბებულ ოპტიმიზმს ტექნიკურ მეცნიერებათა შესაძლებლობების მიმართ, აგრეთვე ტექნიკური აზოვნების წესის უნივერსალიზაციას, და ზოგადად ტექნიკური პროგრესის გაფეტიშების ტენდენციას,-სწორედ ასეთი შეხედულებები წარმოადგენს აღნიშნული პრობლემის მიზეზსა და საფუძველს.

გასათვალისწინებელია, რომ ადამიანის საქციელი არ დაიყვანება მექანიკურ-მიზეზობრივი ტიპის საქციელზე. ამიტომ ტექნიკურ-მეცნიერული წესით რომ ვიაზრებთ ადამიანს, ანუ „სციენტისტურ ანთროპოლოგიას“ რომ ვენდობით, მხედველობიდან გვეკარგება ადამიანის პრინციპული თვისება-თავისუფლება, სწორედ ამ სპეციფიკურ უნარს-თავისუფლებას-გულისხმობს ზნეობრივი ცნობიერება და ზნეობრივი საქციელი თავის აუცილებელ პირობად. [7]

მაშასადამე, „სციენტისტური ანთროპოლოგია“ უარყოფს ადამიანის უნარს, გადალახოს ბიოლოგიურ და სოციალურ გარემოებათა სფერო და მოიქეს მათგან დამოუკიდებლად, მაგრამ ადამიანი საერთოდ ღრებულებათა მიხედივთ და განსაკუთრებით ეთიკურ ღირებულებათა მიხედვით თავის აუცილებელ პირობად ადმიანის სწორედ ამ უნარს გულისხმობს. [8]

ტექნიკური ცივილიზაციით გამოწვეულ გლობალურ პრობლემათა შორის, განსაკუთრებულია ადამიანის, როგორც ბიოსოციალური არსების პიროვნებად შენარჩუნების პრობლემა. ადამიანს უჭირს გააკონტროლოს ბუნებრივი და მის მიერვე შექმნილი ტექნიკური გარემო. რაც, თავისთავად, ანთროპოლოგიური კრიზისის საფუძველი ხდება. ამ კონტექსტში საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული ფილოსოფიური ანთროპოლოგიის ერთ-ერთ წარმომადგენელს არნოლდ გელენს: მეცნიერება და ტექნიკა განტვირთვას ემსახურება. მეცნიერება, იქნება ის საბუნებისმეტყველო თუ გონის, სამყაროში ორიენტირების საშუალებას გვაძლევს; ამით კი სამყაროს გამოყენების საგნად აქცევს. მეცნიერებას ეყრდნობა ტექნიკა, ტექნიკა ცვლის ადამიანის ორგანოს და თან მას აძლევს დიდ ძალას და ამით ორგანოთა განტვირთვებს აღწევს: ორგანოთა შენაცვლების ბრწყინვალე მაგალითია იარაღი-იქნება ეს თოხი თუ მანქანა, ტანისამოსი თუ ბორბალი [9] გელენი ნათლად ლაპარაკობს იმაზე, თუ როგორ არსობრივად განსხვავდება ადამიანის ყოფიერება ცხოველთა და მცენარეთა არსებობისგან. ცხოველსა და მცენარეს არ მოეთხოვება საკუთარი თავის გარკვევა, ისინი იმთავითვე ჩამოყალიბებულნი და გარკვეულნი არიან, ადამიანმა კი თვითონ უნდა განაგოს და განახორციელოს თავისი არსებობა და ბუნება. ორთავე, როგორც მეცნიერება, ასევე ტექნიკა ადამიანის გონიერებას უნდა ეყრდნობოდეს და შეესაბამებოდეს.

ადამიანს არ აქვს ბიოლოგიური გარემო, მისი ორგანოები არ არიან სპეციალიზებულნი. იმისათ-

5 ნ. ბერდიაევი. ადამიანის ბედი თანამედროვე სამყაროში. გვ. 213

6 მ. ჰაიდეგერი

7 ზ. კაკაბაძე - ფილოსოფია და ცხოვრება. თბი. 1979. გვ. 201

8 თამაზ ბუაჩიძე - თანამედროვე დასავლური ფილოსოფიის სათავეებთან. თბ., 2013, გვ. 353

9 იქვე, გვ. 351

ვის, რომ მან იარსებოს, უნდა იმოქმედოს, შექმნას კულტურა, რომელიც შეცვლის ბიოლოგიურ გარემოს. კულტურა გელენის თანახმად, არის ადამიანის მიერ სასიცოცხლო ინტერესებისათვის გარდაქმნილი ბუნება. კულტურის სამყარო-ადამიანის სამყაროა. [10]

ტექნიკური პროგრესის შედეგად სამყაროს სულ უფრო გარდაქმნის პროცესში წარმოიშვნენ მოულოდნელი, ხშირად შემთხვევითი სოციალური ფაქტორები, იქმნებიან ახალი სტრუქტურები და სისტემები, რომლებიც ნოყიერ ნიადაგს ქმნიან ადამიანის ცნობიერებისა და ფსიქიკის სამანიპულაციოდ და სერიოზულ საფრთხესა და სირთულეს უქმნიან ადამიანის ბიოენერგეტიკულ საფუძველს, მის იდენტობას, პიროვნების სოციალიზაციის პროცესებს.

ეს პროცესი ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორია უსახო, უპიროვნო სოციუმის ჩამოყალიბებისას, ეს კი თავისთავად დამაბრკოლებელი ფაქტორია ადამიანის ყოფიერების, არსების გააზრებისა და გაცნობიერების გზაზე. ადამიანს მტკიცედ უნდა სწამდეს და სჯეროდეს, რომ ყველაფერი რაც გაკეთებულა და მომავალშიც გაკეთდება გამოყენებული იქნება მხოლოდ ჰუმანური მიზნებისთვის, თუმცა სამწუხაროდ, არსებობს სრულიად განსხვავებული, სოციალური წინააღმდეგობებით აღსავსე მოვლენები. ხშირია შემთხვევები, როგორც არაერთ ფილმში გვინახავს, ადამიანებს ჩაუნერგავენ ელექტროდებს, გადასცემენ ამკრძალავ ან სხვა ტიპის ბრძანებებს, აიძულებენ განიცადონ ბრბოსეული სიხარული, ან იფიქრონ მათთვის მისაღებ თემებზე - ეს არაჰუმანური და მიუღებელი მოვლენებია, თუმცა შესაძლებელი. ადამიანისათვის ემოციური თავისუფლების წართმევა სხვა საშუალებებითაცაა შესაძლებელი, რაც გამოიხატება სპეციალური ფარმაკოლოგიური საშუალებების ძალით შეყვანაში ადამიანის ორგანიზმში. სამწუხაროდ, ადრეული პერიოდიდან იქმნება სხვადასხვა ტიპის პრეპარატები ადამიანთა დამორჩილებისა და განადგურებისთვის რადგანაც ჩვენს საუკუნეში, მეცნიერებამ ადამიანის ბედზე არსებითი გავლენა მოიპოვა, და მეცნიერული სიახლეები და აღმოჩენები პოტენციურად ძალიან ხშირად საფრთხის შემცველი შეიძლება აღმოჩნდეს, ამიტომაც დღეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეცნიერის ღირებულებები, მორალური სახე, მისთვის არ უნდა იყოს უმნიშვნელო, თუ როგორ იყენებს საზოგადოების ნებისმიერი წევრი მისი შრომის შედეგს - შესაბამისად აუცილებელია ადამიანის ინტელექტუალური შესაძლებლობების არა შეზღუდვა, არამედ მართვა და კანონზომიერ სისტემებში მისი ჩართვა და მოქცევა. ამ მხრივ საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული სოციოლოგიის ერთ-ერთ ფუძემდებელს მაქს ვებერს. მისი აზრით მეცნიერი მეცნიერული ეთოსით უნდა ხელმძღვანელობდეს. დღეს, როდესაც სულ უფრო იზრდება მეცნიერების გავლენა საზოგადოებაზე, მეცნიერი ზნეობრივად ინდიფერენტული ვერ იქნება, მას ყოველთვის გააზრებული უნდა ჰქონდეს პასუხისმგებლობის გრძნობა. ის, უწინარეს ყოვლისა, ადამიანია და მხოლოდ ამის შემდეგაა მეცნიერი. სწორედ ვებერის ასეთმა პოზიციამ განაპირობა ამ სფეროს პრობლემებით მომავალი თაობის სოციოლოგთა დაინტერესება. [11] ცნობილია რუსოს შეხედულებაც ამ საკითხზე-მეცნიერება საშიში იარაღია უზნეო ადამიანის ხელში.

ასეთ პირობებში როცა ადამიანს სულიერი საფრთხე ემუქრება და როცა ასეთ საფრთხეებზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ეს საფრთხეები ხშირ შემთხვევაში უმეტეს წილად შესაძლებლობების სახით არსებობენ, თუმცა ეს როდი ამცირებს შექმნილი ვითარების სირთულეს. დღის წესრიგში კვლავ მთელი სიმწვავით დგება საკუთრივ ადამიანის ბუნების, მისი სოციალური გარემოს და, საერთოდ კაცობრიობის შენარჩუნების პრობლემა. ამიტომ აუცილებელია ამ თვალსაზრისით, ამ პლანში ვეძებდეთ და ვიკვლევდეთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ფსიქო-სოციალურ პრობლემებს. ერთ-ერთი ასეთი პრობლემა ადამიანის გაუცხოების პრობლემაა.

გარკვეული საზოგადოებრივი ურითიერთობები, ხშირ შემთხვევაში ადამიანის თავისუფლების წინააღმდეგაა მიმართული და ამახინჯებს ადამიანის ბუნებას. ასეთ პროცესს გაუცხოებას უწოდებენ. შრომის პროცესში ადამიანი გაასაგნებს თავის სამუშაო ძალას, თავის თავს. ახლა მისი შრომა შექმნილი პროდუქციის სახით გვევლინება. ასეთ ვითარებას გასაგნებას უწოდებენ. გაუცხოება ისეთი გასაგნებაა, სადაც ადამიანი მის მიერ შექმნილი პროდუქციის სახით თავის თავსავე უპირისპირდება. ამ შემთხვევაში ადამიანის არსებობა, მის არსს აღარ შეესაბამება, მასვე უპირისპირდება მისივე შექმნილი სამყარო. ადამიანის გაუცხოება მისი გადაგვარების რეალურ საფრთხეს ქმნის. ადამიანში მატულობს მომხმარებლური ტენდენციები, მიმდინარეობს პრაგმატული ფსიქიკის ჩამოყალიბების განუწყვეტელი პროცესი, კომფორტისკენ სწრაფვა, რაც თავისთავად ემუქრება ადამიანს როგორც შემოქმედ აქტიურ არსებას. თანდათანობით უკანა პლანზე იწევს ადამიანური ურთიერთობები. ადამიანი ნაკლებადაა დამოკიდებული მეორე ადამიანისაგან, ცალკეული ინდივიდებისგან, რის გამოც თანდათან ფერხდება ადამიანის მიერ ჰუმანიზებული, კულტურული სამყაროს შექმნის პროცესიც. ჩვენ ვცხოვრობთ კულტურის დაცემის პირობებში ეს სიტუაცია ომს არ შეუქმნია, არამედ ომი თვითონაა მისი გამოვლენა-აღნიშნავს ალბერტ შვეიცერი. მასობრივი წარმოების საგანთა მსგავსად სტანდარტული ხდება ადამიანის ყოფა, შრომა, დასვენება,

10 ზ. კაკაბაძე, ფილოსოფია და ცხოვრება. თბილისი, გვ.60

11 კახა ქეცბაია - მაქს ვებერი - ცხოვრება და შემოქმედება. თბილისი, 2017. გვ. 112

გართობა, სხვა ადამიანებთან დამოკიდებულებები. მსგავსება ხელს უშლის განსხვავებულობას, რადგანაც ადამიანის, როგორც პიროვნების არსი მის უნიკალურობაში მდგომარეობს.

ადამიანთა შინაგანი განცალკევება, გათიშვა, განმარტოება კიდევ ერთი გარემოებითაა განპირობებული-ესაა პიროვნების ნიველირების და სტანდარტიზაციის ტენდენცია. სინამდვილეში ადამიანთა შინაგანი ერთიანობა ყოველთვის მათს ინდივიდუალურ განსხვავებულობასა და უნიკალურობას გულისხმობს.

პირველი, ვინც დეტალური ანალიზი მოგვცა „მასობრივი კულტურის" ესპანელი ფილოსოფოსი ორგეგა ი გასეტი გახლდათ. სტატიაში („მასები" 1926 წ.), წიგნში („მასების აჯანყება" 1930 წ.) მან მოგვცა უპიროვნო ინდივიდისა და კოლექტივის, ბრბოს ფენომენის ანალიზი. ცნობილია მისი ფრაზა - „გმირი გაქრა, დარჩა გუნდი." მისი აზრით, ანალოგიურ მოვლენებს ადრეც ჰქონდა ადგილი ისტორიაში, თუმცა XX საუკუნეში მან სხვა შინაარსი შეიძინა და პრინციპულად განსხვავებული ხასიათი. [12]

აღნიშნულ ფენომენს ჰაიდეგერი „მასის" ცნებით აღნიშნავს და მის დამახასიათებელ ნიშნებად ლაყბობასა და ორაზროვნებას მიიჩნევს. პროფესორ ნ. კვარაცხელიას აზრით „მან" არის არანამდვილი, ყალბი არსებობა, უპიროვნო, „არავინ", სადაც ნებისმიერი ინდივიდი არის ეგზემპლარი, ყველა დანარჩენით შენაცვლებადი, საკუთარი იერსახის არმქონე [13] უპიროვნება კი საზრისსა და საფუძველს აცლის ადამიანის ყოფიერებას და მის გაუღმერთოებულ სამყაროს, „ღმერთის სიკვდილისა" და ნიჰილიზმის შემზარავი და თავზარდამცემი ფაქტის წინაშე აყენებს მას. სწორედ ასეთ უსახო და უპიროვნო სოციუმს უწოდებს ჰაიდეგერი „მანს", გასეტი ამბოხებულ მასებს, სარტრი კი ჯოჯოხეთს. [14]

ასეთ პირობებში ყალიბდება ტრივიალურ ყოველდღიურობაზე დაქვემდებარებული სტერეოტიპის ადამიანი, რომელიც გულგრილად უდგება და თავს არიდებს საკუთარ ადამიანური ყოფიერების ფუნდამენტურ კითხვებს. ადამიანი კარგავს ინდივიდუალურობას, მომავლის პერსპექტივებს, მას უჩნდება დაუკმაყოფილებლობის გრძნობა, იძულებულია ატაროს ნიღაბი და ცვალოს იგი სიტუაციის მიხედვით.

ადამიანის ასეთი გაუცხოების პირობებში ზიანდება ადამიანის, როგორც საზოგადოებრივი არსების ბუნება.

ტექნიკური აღმოჩენებით, სიახლეებით გართული ადამიანის მზერა უფრო გარე სამყაროზეა მიმართული, შესაბამისად, ადამიანს ყურადღების გარეშე რჩება თავისი თავი, შეზღუდულია მისი თვითშემეცნების პროცესი, იგი სრულად ვერ ახერხებს შინაგანი ძალების სრულ გაშლას და რეალიზაციას. საინტერესოა ეს გარემოება ხომ არ ჰქონდა მხედველობაში ბერდიაევს, როცა ამბობდა-სულს ისე ეპყრობიან, როგორც მატერიას, აქედან კი იწყება ძალზე მძიმე პერიოდი ადამიანის პიროვნების, სულის თავისუფლებისა და მაღალი კულტურისათვის. [15]

ადამიანის გაუცხოების პრობლემასთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული პროფ. ნ. კვარაცხელიას: ჩვეულებრივ გაუცხოებასა და თვითგაუცხოებას უწოდებენ იმგვარ სიტუაციას, როცა ადამიანი არსად, არც სამყაროში და, არც თავის თავში საკუთარ თავს ვერ ხედავს და ვერ პოულობს. გაუცხოების ამგვარ გაგებას იგი ზერელედ მიიჩნევს და მასში უფრო ღრმა მეტაფიზიკურ პრობლემას ხედავს. მისი აზრით, გაუცხოება მოასწავებს ისეთ ვითარებას, როცა ადამიანი ყველგან და ყველაფერში მხოლოდ თავის თავს პოულობს და ხედავს „რა უნდა იყოს იმაზე საშინელი და თავზარდამცემი, ვიდრე ის, რომ სამყარომ ადამიანური სახე მიიღოს და მასში არაფერი ღვთაებრივი და თავისთავადი არ შეიმჩნეოდეს. სწორედ ასე გაგებული გაუცხოების ფენომენია დასავლური ნიჰილიზმის საფუძველი, ვინაიდან უკანასკნელი სხვა არაფერია, თუ არა ყოველივე თავისთავადის გაქრობა-გაარაფრება, გარდა საკუთარი თავისა." [16]

ადამიანმა ნაწილობრივ მაინც უნდა თავიდან აიცილოს ამგვარი ტიპის საშიშროებანი, უწინარეს ყოვლისა, აუცილებელია ადამიანის გაუცხოების შესაძლებლობების და გარემოს დაძლევა არა მარტო მის აზროვნებაში, არამედ რეალურ ცხოვრებაშიც, ადამიანის პრაქტიკულ მოღვაწეობაში აუცილებელია იმ სოციალური მიმართებისა და ეკონომიკური ბაზის სრულყოფა, ხშირ შემთხვევაში, უარყოფაც კი, რომელიც გაუცხოების რეალურ საფუძველს წარმოადგენს. საზოგადოების რაციონალურმა აზრმა კვლავ სისტემატური კვლევის საგნად უნდა დასახოს სიცოცხლის აზრის ძიების პრობლემა, აქტუალობა უნდა დაიბრუნოს ისეთი საკითხებით დაინტერესებამ, როგორიცაა: რისთვის ცოცხლობს ადამიანი? რა არის მისი მთავარი მიზანი, რა უშლის მას ხელს ამ მიზნის მიღწევაში და როგორ დაძლიოს წინააღმდეგობანი? უფრო მწვავედ უნდა დადგეს სულიერ ღირებულებათა გადაფასების პროცესი, რამეთუ ტექნიკური პროგრესი იძლევა საშუალებას როგორც ზნეობრივი, ასევე არაზნეობრივი მოქმედებისათვის. სწორედ ამიტომ დგება დღის წესრიგში სულიერ ღირებულებათა პრობლემა. ამჟამად, ისე როგორც არასდროს, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა პრაქტიკული გონების პრიმატის ანუ ზნეობის მიზნებისათვის მეცნიერული კვლევების დაქვემდებარების მოთხოვნა.

---

12 ნ. კვარაცხელია. ფილოსოფიური განაზრებანი. თბ., 2017. გვ. 54-55

13 იქვე გვ. 113

14 Ортега и Гасети. Восстание масс. Вве философиию 1989. №3, с. 123

15 ნ. ბერდიაევი - ადამიანის ბედი თანამედროვე სამყაროში გვ. 158

16 კვარაცხელია ნ., ადამიანი და მსოფლმხედველობა. თბ., 2001, გვ. 77

დღეს მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებამ ისეთ დონეს მიაღწია, რომ ადამიანის თითქმის ყველა სასიცოცხლო მოთხოვნილების დაკმაყოფილება შესაძლებელი, თუმცა, ეს გარემოება ადამიანის თავისუფლებას ვერ განაპირობებს. როცა ადამიანის მოქმედება მთლიანადაა განსაზღვრული და განპირობებული მოთხოვნილებებით, მაშინ იგი ახალი ღირებულებების შექმნის პროცესშიც ვერ იქნება თავისუფალი (მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ მოთხოვნილებათა სულ უფრო ზრდის კვალობაზე ადამიანი მით უფრო დამოკიდებული ხდება ტექნიკურ გარემოზე), თვით მოთხოვნილებების ხარისხი, ხასიათი კი ყოველთვის დამოკიდებულია ადამიანთა ღირებულებებით ორიენტაციაზე. სწორედ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის წინასვლაც შეიძლება სხვადასხვაგვარად წარიმართოს იმის მიხედვით, თუ როგორი იქნება ადამიანთა ღირებულებითი ორიენტაცია, როგორ გადაწყდება მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციისა და ადამიანის ურთიერთობის პრობლემა. აქ მიმართება, ურთიერთკავშირი ორმხრივია: მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია გავლენას ახდენს ადამიანთა ღირებულებითის ორიენტაციაზე; თავის მხრივ, ადამიანთა ღირებულებითმა ორიენტაციამ არსებითი გავლენა უნდა იქონიოს მეცნიერეულ-ტექნიკური რევოლუციის განვითარებაზე, მისი ისეთნაირად წარმართვაზე, რომ აუცილებელად დაძლეულ იქნეს ის საშიშროებანი და სიძნელეები, რომლებიც მოსალოდნელია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მონაპოვრებისადმი გაუფრთხილებელი მოპყრობის შემთხვევაში. აქედან გამომდინარე, თუ დღეს ადამიანისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ურთიერთობის თანამედროვე დონეზე ჭარბობს ეკონომიკური ინტერესები, ეს ორიენტაცია თანდათან უნდა შეიცვალოს ისეთნაირად, რომ ადამიანი მთელი თავისი სულიერი ცხოვრებით, ინტერესების სიმდიდრით იქცეს ყოველგვარ ეკონომიკურ, ტექნიკურ, ტექნოლოგიურ გარდაქმნათა ერთადერთ მნიშვნელოვან ფიგურად. ადამიანი, არა როგორც ეკონომიკური კატეგორია, როგორც უბრალო ფასეულობათა შემქმნელი, არამედ როგორც უმაღლესი ღირებულება, ყოველგვარი მოღვაწეობის აქტიური სუბიექტი, უნდა იყოს ნებისმიერ საზოგადოებრივ გარდაქმნათა მთავარი მიზანი. ადამიანმა ბევრი რამ დაკარგა იმის გამო, რომ იგი, რომელიც ყოველგვარ ეკონიმიკური და სოციალური გარდაქმნის მიზანი უნდა იყოს, უმეტეს შემთხვევაში განიხილებოდა და განიხილება, როგორც „მუშაკი", მწარმოებელი, შემსრულებელი და ა. შ. არაა საკმარისი რაციონალურად გავანაწილოთ და განვალაგოთ ადამიანები და მანქანა-დანადგარები, ჩარხები და ა.შ., არამედ აუცილებელია, არსებითია იმ ადამიანური ურთიერთობების გათვალისწინება, რომლებიც მყარდება შრომის პროცესში. მანქანა მომაკვდინებლად არ უნდა მოქმედებდეს ადამიანის სულზე, არ უნდა კლავდეს მის ემოციურ ცხოვრებას, არ უნდა ხრწნიდეს ადამიანურ გრძნობებს.

თუმცა, საყოველთაოდ ცნობილია ის გარემოება, რომ მაღალი ავტომატიზირებული შრომის პროცესში ადამიანი ჩართულია მრავალმხრივ ახალ ტექნოლოგიურ პროცესში, რაც მისგან მოითხოვს ფსიქიკის მაქსიმალურ დაძაბვას, რის შედეგადაც ბუნებრივად წარმოიშობა ქრონიკული (მუდმივი დატვირთვის შედეგად) და ემოციური საფრთხის გამო სტრესები, ხდება ჯანმრთელობის მკვეთრი გაუარესება, ჩნდებიან სხვადასხვა ტიპის ფსიქოზებისა და ნერვოზების ნიშნები, ირღვევა ქცევითი სფერო, შესაძლებელია განვითარდეს ფსიქოგენური ამნეზია-ყველაფერი ეს კი მკვეთრად აქვეითებს ინტელექტუალურ პროდუქციულობას. ასეთ დროს დაძაბულობის მოხსნის მიზნით ადამიანები ხშირად მიმართავენ ფსიქოაქტიური ნივთიერების მიღებას (დეპრესანტები, ჰალუცინომენები), რაც, საბოლოო ჯამში, მათი დეგრადაციის და გარდაცვალების მიზეზიც კი ხდება. ყოველივე ეს, ადამიანთა ახალი ტიპის კომუნიკაციური კულტურის ჩამოყალიბების აუცილებლობაზე მიუთითებს. სხვა შემთხვევაში შეიქმნება (თითქმის შექმნილია) ისეთი გარემო, რის თაობაზე დიდი ხნის წინათ მიანიშნებდა ნ. ბერდიაევი, რომ თანდათან იღუპება შინაგანი ადამიანი და იცვლება იგი გარეგანი, ავტომატური ადამიანით. მისი აზრით, ცივილიზაციამ განავითარა უზარმაზარი ტექნიკური ძალები... რომლებიც ბატონებენ თვით ადამიანებზე, აქცევენ მას მონად, კლავენ მის სულს. [17]

რა თქმა უნდა, მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესის გარეშე შეუძლებელია საზოგადოების განვითარება, ადამიანთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, მაგრამ ამავე დროს აუცილებელია ყურადღების გამახვილება იმ უარყოფით შედეგებზეც, რომლებიც ახლავს მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს. კერძოდ, საზოგადოების და მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენელთა შეუნელებელი ყურადღების საგანი უნდა იყოს ის გარემოება, რომ საზოგადოებაში, სადაც მხოლოდ კომფორტია მიჩნეული უმაღლეს ღირებულებად და, აქედან გამომდინარე, ტექნიკური მოღვაწეობა ითვლება ერთადერთ სერიოზულ საქმედ-ადამიანის შრომა მაქსიმალურად ივსება ტექნიკით და როგორც შემოქმედებით ელემენტს მოკლებული-მექანიკური ხდება.

იქ, სადაც წარმოება სტანდარტულია, სადაც სტანდარტული საგნების მასობრივი წარმოებაა გამეფებული, შესაბამისი გადატრიალება ხდება აგრეთვე ადამიანთა სოციალურ სამყაროში: ასეთ საზოგადოებაში ინერგება განათლებულობის, რეჟიმის თავაზიანობისა და გონებამახვილობის სტანდარტებიც კი. ანალოგიური სტანდარტის მოზღვავების საფუძველზე კი ადამიანის ცხოვრება კარგავს თვითცნობიერებისა და საკუთარ თავში

17 ბერდიაევი ნ., შემოქმედების საზრისი, მოსკოვი, 1915 (რუსულ ენაზე), გვ. 285

ჩაღრმავების უნარს და როგორც ნობელის პრემიის ლაურეატი, ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ა. შვაიცერი ამბობს, ნაცვლად პიროვნებად გახდომისა, ადამიანი დგება ადამიან-ნივთად გადაქცევის საფრთხის წინაშე.

ამერიკელი მეცნიერი ე. ფრომი თავის ტრაქტატში „ჯანსაღი საზოგადოება" სვამს კითხვებს-არის თუ არა ნორმალური თანამედროვე საზოგადოება? ფრომი საუბრობს „ნორმალურობის პათოლოგიაზე, განსაკუთრებით, თანამედროვე დასავლურ საზოგადოებაში" [18] ის საზოგადოების სიჯანსაღეს მისი წევრების სიჯანსაღეს უკავშირებს. ავადმყოფი ადამიანები დაავადებულ საზოგადოებას ქმნიან. ფრომის აზრით, ჯანსაღი საზოგადოება, „რომლის წევრები განავითარებენ გონებას იმ დონემდე, რომელიც მათ შესაძლებლობას მისცემს დაინახონ საკუთარი თავი", სხვა ადამიანები და ბუნება, ჭეშმარიტ რეალობაში და არა ინფანტილური ყველაფრის დანახვით ან პარანოიდული სიძულვილით დამახინჯებული სახით... დამოუკიდებლობის იმ ხარისხით, რომ მათ იციან განსხვავება სიკეთესა და ბოროტებას შორის, შეუძლიათ საკუთარი არჩევანის გაკეთება, გააჩნიათ მრწამსი და არა მოსაზრებები, რწმენა და არა ცრურწმენა და ბუნდოვანი იდეები, შეინარჩუნებდნენ ორიგინალურობას და მთლიანობას, გაუსწრებდნენ ბუნებას შემოქმედებაში და არა ნგრევაში [19]

აღსანიშნავია, რომ ფრომისეული „ჯანსაღი საზოგადოების" ცნება სრულიად განსხვავდება დიურკჰეიმისეული განმარტებისგან. მისთვის ჯანსაღია ის საზოგადოება, რომლის ინსტიტუციებიც ნორმალურად ფუნქციონირებენ. უფრო ადრე, ავსტრიელი მეცნიერი ფროიდი თვლიდა, რომ ცივილიზაციური ტენდენციების გავლენით ცივილიზაციის მრავალმა სისტემამ ან ეპოქებმა, შესაძლოა მთლიანად კაცობრიობამ, შეიძინოს „ნერვოზული" ხასიათი. [20]

ნაწილობრივ მაინც რომ მოიხსნას ასეთი ტიპის საშიშროება, ტექნიკური პროგრესი ხელს უნდა უწყობდეს ადამიანის სიცოცხლის შენარჩუნებას, საზოგადოების გაჯანსაღებას არა მხოლოდ ბიოლოგიური თვალსაზრისით, არამედ, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, შეუნარჩუნდეს მას სოციალური ფუნქცია.

ადამიანის არსი ხომ სწორედ მის სოციალურობაში მდგომარეობს. იგი როგორც ინდივიდი მრავალმხრივ ურთიერთობაშია სხვებთან, სადაც ეს ურთიეროთობები არ არსებობს, ადამიანები გულგრილნი ხდებიან ერთმანეთის მიმართ და მათ ხშირად ეუფლებათ სასოწარკვეთილების, მარტოობის, სევდისა და მოწყენილობის განცდა. ამიტომაც, მეცნირების და, შესაბამისად, მისი მატერიალური გამოხატულების-ტექნიკის უპირატესი განვითარების პირობებში, რასაც ამჟამად ადგილი აქვს საზოგადოებაში, საჭიროა ყურადღება გამახვილდეს იმაზე, რომ მეცნიერება ადამიანური მოღვაწეობის ერთ-ერთი, მართალია ძალზე მნიშვნელოვანი, მაგრამ არა ერთადერთი სახეა და მისი განვითარების პარალელურად ჯეროვანი ყურადღება უნდა დაეთმოს სინამდვილისადმი ადამიანის დამოკიდებულების სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვან ფორმებსაც (ზნეობა, ხელოვნება, რელიგია და სხვა), რომელთა გარეშე შეუძლებელია საზოგადოების ფუნქციონირება და ადამიანთა სულიერი სრულყოფა. სწორედ, რომ მატერიალურად უზრუნველყოფილ ადამიანს ეწვევა ხოლმე უფრო ხშირად მარტოობისა და მოწყენილობის განცდა, ვიდრე სულიერად და ზნეობრივად სრულყოფილ ადამიანს, რაც კიდევ ერთხელ აგრძნობინებს ადამიანს, რომ მისთვის სულიერებაა მთავარი და არა მატერიალურობა. არაპროგნოზირებადი და ადამიანის სულზე დამიზნებული ტექნიკა ამძაფრებს მათში განცდას იმის თაობაზე, რომ ადამიანი მოკვდავი და, მაშასადამე, ტრაგიკულია.

თუ ტექნიკა საბოლოოდ გაბატონდება ადამიანზე და ცხოვრება გახდება უსაზრისო, მაშინ ხომ არაა გამართლებული ნიცშეს სიტყვები: ადამიანი არის არსება, რომელიც ვერ შედგა და არ გამოვიდა, ამიტომ იგი უნდა დაიძლოს და გადაილახოს.

როგორც არაერთგზის აღინიშნა, თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი ქმნის არა მხოლოდ ახალ შესაძლებლობებს წინსვლისათვის, არამედ, ამავე დროს, არაერთი საჭირბოროტო ტექნიკური საშუალებების ერთიანი სისტემა შრომითი პროცესისათვის ითხოვს თითქმის გათანაბრებული ცოდნის, შეხედულებების, ემოციების, უნარ-ჩვევების მქონე ადამიანებს.

მიღწეული საერთო წარმატებებით წახალისებული და გაბრუებული ადამიანები იქცევიან ერთ მთლიან მასად და მათი ურთიერთობები გამოიხატება მხოლოდ თანაყოფნაში, ერთმანეთის გვერდით არსებობაში. ასეთ პირობებში იკარგება ყოველგვარი პიროვნული გამორჩეულობა, ორიგინალობა. ადამიანები თითქოს მხოლოდ ტექნიკური ფუნქციების მატარებელ და სტანდარტული ტიპის არსებებად გადაიქცნენ, რის გამოც ისინი ერთმანეთის მიმართ ნაკლებად მიმზიდველნი და უინტერესონი ხდებიან. ყოველივე ეს კი ადამიანებს შორის გათიშულობის მიზეზი ხდება. ხანგრძლივი, ნამდვილი ურთიერთობების ნაცვლად ყალიბდებიან პრაგმატული მოთხოვნილებებიდან გამომდინარე შედარებით სწრაფი კონტაქტები, დროებითი კავშირები, რომლებიც ძალიან მალე ქრებიან.

ბუნებრივია, ტექნიკური პროგრესით გამოწვეულ არსებით ცვლილებებს ადამიანები დიდი სიმშვიდით ვერ ხვდებიან, პირიქით, იგი მათში ძალიან ხშირად მოულოდნელობის ეფექტს, ექსტრემალური სიტუაციების განცდას და ფსიქოლოგიურ-ემოციურ სტრესებსაც კი იწვევს. ტექნიკისა და მეცნიერების განვითარების ადრეულ საფეხურზე,

18 Психоанализ и культура. М. 1995. с. 247
19 იქვე, გვ. 560
20 იქვე, გვ. 289

ნაკლებად დაძაბული და უსაფრთხო ტექნიკური გარემოს პირობებში ადამიანებს უფრო ნათელი წარმოდგენა ჰქონდათ ტექნიკის შემდგომი განვითარების პერსპექტივებსა და მომავალზე. დღეს, გლობალიზაციისა და ტექნიკის მზარდი განვითარების პირობებში სულ უფრო წარმოიქმნებიან ნაკლებად პროგნოზირებადი მოვლენები. არ ვიცით რა იქნება ხვალ, რას გვიმზადებს ბედი, შესაბამისად, იკარგება სიმშვიდე და ადამიანს ეუფლება შიში მომავლის წინაშე. არსებობს გარკვეული ზღვარი გარემოს იმ ცვლილებებისა და (ჩვენ შეგვიძლია მისი განსაზღვრა), რომლებთან ადამიანის ორგანიზმს შეგუება შეუძლია. ადამიანს გარემოს მოთხოვნის შესაბამისად შეუძლია „მოქმედებათა პროგრამის" შეცვლა. საუბედუროდ არსებობს გარემოს ისეთი ცვლილება, მისი ისეთი ტემპი და თანმიმდევრობა, რასაც გენეტიკური გზით შექმნილი რეგულირების, ინსტიქტების ევოლუციური პლასტიკურობა ვერ უმკლავდება. ამ საზღვრების წინასწარ დაუდგენლად ამ ცვლილებების შეუფერხებელი ზრდით ჩვენ შეიძლება ადამიანთა დიდ მასებზე ისეთი ზემოქმდებები მოვახდინოთ, რომლებსაც ისინი, უბრალოდ, ვერ აიტანენ. „ჩვენ ძალიან ვრისკავთ, როდესაც ადამიანებს ვაყენებთ ისეთ უჩვეულო მდგომარეობაში, რასაც მომავლის შოკს ვუწოდებთ - ამბობს ე. ტოფლერი. [21]

არსებითი და რეგულარული ცვლილებების დროს მოზღვავებულ ინფორმაციათა ძალიან დიდი ნაკადი ადამიანებში სხვადასხვა ტიპის ფსიქოლოგიურ ცვლილებებს იწვევს, რაც ძალიან ხირად გაუცნობიერებელ ხასიათს ატარებს.

ცვლილებების დროს ირღვევა ადამიანის შინაგანი წონასწორობა და, შესაბამისად, მცირდება ცხოვრებისეული სიტუაციების ხანგრძლივობა. ეს ვითარება უფრო შესამჩნევი ხდება მაშინ, როცა ადამიანები კარგავენ თავიანთ საზოგადოებრივ მდგომარეობას და ძველებურად ველარ ახერხებენ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციას.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ერთ-ერთი თავისებურება მდგომარეობს სისტემის-მეცნიერება-ტექნიკა-წარმოების შექმნასა და მის განუწყვეტელ განვითარებაში. მანქანები ცვლიან არა მხოლოდ ცოცხალ შრომას, არმედ თვით ადამიანს. მეცნიერების უშაულო საწარმოო ძალად გადაქცევამ, საწარმოო პროცესთა ავტომატიზაციამ არსებითად შეცვალა წარმოებაში ადამიანთა მოქმდების პრინციპი, მათი ამოცანები და შესაძლებლობები. წინა პლანზე წამოიწია ადამიანის მიერ ლოგიკურ ფუნქციათა შესრულებამ, საწარმოო პროცესთა მართვამ და კონტროლმა. სულ უფრო იზრდება ოპერატორების, ამწყობების, ტექნიკოს-ლაბორანტების, საკონტროლო-მზომავ ხელსაწყოთა მემონტაჟეების და სხვათა სამოქმედო ასპარეზი. სწრაფი ავტომატიზირებული პროცესები ადამიანისაგან სწრაფი, ოპერატიული მოქმედების უნარს მოითხოვს. თუ ადრე ადამიანის თვალთახედვის არეში მხოლოდ მის მიერ დამუშავებული ობიექტი შედიოდა, ამჟამად კავშირი გვაქვს არა უშუალოდ შრომის ობიექტთან, არამედ ტექნოლოგიური პროცესის მსვლელობასთან მთლიანად, ასეთ დროს ადამიანი უნდა ერკვეოდეს შრომითი პროცესის არა მხოლოდ რომელიმე კონკრეტული ამოცანის განხორციელების შესაძლებლობაში, არამედ იგი საფუძვლიანად უნდა იცნობდეს მთლიან შრომითი პროცესის მსვლელობას. როდესაც ვლაპარაკობთ მენიერების, ტექნიკის და წარმოების მჭიდრო კავშირზე, აუცილებელია გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ მენიერული და ტექნიკური ალმოჩენების დანერგვას წარმოებაში მხოლოდ მაშინ აქვს სასურველი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტი, როდესაც იგი შეესაბამება წარმოების მუშაკთა მიზნიებსა და შესაძლებლობებს. მენიერულ-ტექნიკური რევოლურციის პირობები შრომის პროცესი ყოველთვის უნდა განიხილებოდეს წარმოებაში მეცნიერული აღნოჩენების დანერგივით გამოწვეული სიახლეების, საწარმოო-ტექნოლგიურ პროცესთა გათვალისწინებით. ეს გარემოება კიდევ ერთხელ ადამიანის ფაქტორის როლის განუხრელ ზრდას უკავშირდება. ბუნებრივია, ისმის კითხვა, რა დონეს შეიძლება მიაღწიოს ადამიანისა და მანქანის დამოკიდებულებამ, რა დონემდეა შასაძლებელი ზოგადად შრომის, კერძოდ კი გონებრივი შრომის ავტომატიზაცია? ხომ არ გადაიქცევა ადამიანი მანქანის დანამატად? საბოლოო ჯამში, ხომ არ მოელება ბოლო ადამიანის შემოქმედებით შრომას? მიუხედავად იმ დიდი საშიშროებისა, რაც შეიძლება მოუტანოს მანქანამ ადამიანს, ადამიანის გონივრულმა მოქმედებამ უნდა დაძლიოს ეს წინააღმდეგობები. თავისთავად კი ადამიანის გონებრივი, ინტელქტუალური შესაძლებლობები არასდროს გაღარიბდება, რადგან შემოქმედებითი მოღვაწეობა უნდა განვიხილოთ, როგორც ადამიანის აზროვნების ისეთი ნაირსახეობა, რომელიც ქმნის მოქმედების ახალ სისტემას, ან აღმოაჩენს ადამიანთა გარემომცველ მოვლენათა ჯერ კიდევ უცნობ კანონზომიერებებს. მომავალი სამყარო არ უნდა იყოს რობოტთა სამყარო, არამედ იმ ადამიანთა სამოქმედო ასპარეზი, რომელთა ფუნქცია, უწინარეს ყოვლისა, შემოქმედება, მეცნიერული კვლევა-ძიება და ჭეშმარიტების დადგენაა. ადამიანი ხომ არ არის თავის თავში ჩაკეტილი არსება, მისი მზერა გარე სამყაროზეა მიმართული და ყოველთვის ცდილობს მაქსიმალურად მოახერხოს თავისი ძალებისა და უნარების ობიექტივაცია.

მომავალმა სამყარომ კიდევ უფრო მკაცრი ბრძოლა უნდა გამოუცხადოს ადამიანის გონების შეზღუდულობას. მან არ უნდა მისცეს ადამიანს თვითდამშვიდების უფლება, დაელოდოს როდის გამოჩნდებიან მონა-რობოტები. დღევანდელი დროის ამოცანაა-რაც შეიძლება სწორი მიმართულება მიეცეს ადამიანისა და მანქანის ურთიერთობას.

---

21 ტოფლერი ე., მომავლის შოკი, მოსკოვი, 2002 (რუსულ ენაზე), გვ. 352.

ერთი მეორისაგან პრინციპულად უნდა გავმიჯნოთ და გავითვალისწინოთ ორი რამ: ტექნიკური თვალსაზრისით რისი გაკეთება შეუძლია ადამიანს და რამდენადაა მიზანშეწონილი მისი დამზადება. ამ საკითხის რაციონალურად გადაჭრაზე დიდადაა დამოკიდებული კაცობრიობის ბედი, მისი მომავალი. ყოველი შექმნილი ტექნიკური სიახლე ადამიანის გონიერებისა და საზრიანობის მაჩვენებელი უნდა იყოს. ტექნიკური პროგრესის შედეგები შესაძლებელია გამოყენებლი იქნეს კეთილი ან ბოროტი ზრახვებისათვის, სწორედ ამიტომაა შესაძლებელი, სასურველიც მისი გონივრული მართვა. მასში (ტექნიკურ პროგრესში) ყოველთვის ჩადებელია არა მხოლოდ უსაზღვრო შესაძლებლობები, არამედ უსაზღვრო საშიშროებანიც. [22] ცივილიზაციური განვითარების ნებისმიერი ახალი ეტაპი არსებითად ცვლის ადამიანის ბუნებისადმი დამოკიდებულებას, რაც თავისთავად თვისობრივად ახალი ღირებულებითი ორიენტაციის შემუშავებაში უნდა გამოიხატებოდეს, რაშიც პირველ რიგში ადამიანთა შემოქმედებითი მოღვაწეობისა და მისი პერსპექტივების ახალი გაგება მოიაზრება.

როგორი იქნება მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების შემდგომი გზა, როგორ გამოიყენებენ ადამიანები ამ პროგრესს და მის მიღწევებს, ხომ არ იქნება მიმდინარე პროგრესი არა მარტო ინდივიდუალიზმის დასასრული, არამედ საშინელი საფრთხეც პერსონალიზმის მარადიული პრინციპის-თვით ადამიანის პიროვნების არსებობისათვისაც. ეს დიდად არის დამოკიდებული ადამიანთა კულტურის დონეზე, კულტურა კი თვითონ განიცდის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გავლენას და როგორც ხშირად მიუთითებენ ხოლმე, ეს გავლენა მკვეთრად უარყოფითი ხასიათისაა. მის შესახებ ბევრს წერენ ფილოსოფოსები, სოციოლოგები, მწერლები, ხელოვნების წარმომადგენლები და სხვა. მათ ნააზრევში სჭარბობს ტენდენცია, სადაც გამოთქმულია არცთუ უსაფუძვლო პესიმისტური მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მტრ,-მეცნიერებისა და ტექნიკის უპირატესი განვითარების წყალობით,-ანგრევს კულტურას საერთოდ და ზნეობრივ ცნობიერებას განსაკუთრებით. ჩვენ შეგვიძლია არ გავიაზროთ ეს უკიდურესად პესიმისტური აზრი, მაგრამ ხსენებული ხიფათი დიდი ყურადრების ღირსია, ეს საკმაოდ ცხადია და ნათელი. ტექნიკური პროგრესი ყოველთვის უნდა დარჩეს როგორც საშუალება, ხოლო ადამიანი მუდამ უნდა მიიჩნეოდეს უმაღლეს ფასეულობად, ყოფიერების უზენაეს რეალობად, რომელიც ყველა სხვა რეალობაზე მაღლა დგას. [23]

ადამიანის მიზანი უნდა იყოს ტექნიკური აღმოჩენების გონივრული წარმოება, მართვა და მისი მიზნობრივად გამოყენება. ბომბში, როგორც ასეთში, როგორც ფიზიკურ მოწყობილობაში, რომელშიც უზარმაზარი ენერგიაა აკუმულირებული, თავისთავად არც დადებითი და არც უარყოფითი ღირებულება არ იგულისხმება, თუმცა მისი გამოყენება შესაძლებელია როგორც კეთილი, ასევე ბოროტი საქმისათვის. [24]

სწორედ ამიტომაა საჭირო მისი გონიერი მართვა. შესაძლებელიც რომ იყოს დამოუკიდებელი მანქანების შექმნა, იგი ვერავითარ სიკეთეს ვერ მოუტანს კაცობრიობას. მანქანა ყოველთვის იმ საქმეს უნდა მოემსახუროს, რა მიზნისთვისაცაა შექმნილი.

მეცნიერებისა და ტექნიკის განუხრელმა განვითარებამ არ უნდა წარმოშვას აზრი იმის თაობაზე, რომ თითქოს კულტურის მონაპოვრებიდან მეცნიერება და ტექნიკა ერთადერთი ღირებულების მქონე ფენომენია და არა ერთ-ერთი სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი კულტურის მოვლენების გვერდით.

მეცნიერებისა და ტექნიკის როლის ყოველგვარმა გაზვიადებამ შესაძლებელია ადამიანი მიიყვანოს ინტერესების ცალმხრივად წარმათვამდე, რაც, თავისთავად, საზიანოა კულტურისა და, შესაბამისად, ადამიანთა ჰარმონიული განვითარებისათვის.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ტექნიკურ მეცნიერებათა შესაძლებლობების მიმართ გადაჭარბებული ოპტიმიზმი იწვევს ადამიანის მოღვაწეობის თითქმის ყველა სფეროში ტექნიკური აზროვნების წესის უნივერსალიზაციის ტენდენციის დამკვიდრებას. ამ სახიფათო ტენდენციამ ადამიანისა და ადამიანური ურთიერთობების კვლევის სფეროშიც კი შეაღწია. თუმცა „ადამიანის საქციელი არ დაიყვანება მექანიკურ-მიზეზობრივი ტიპის საქციელზე, ამიტომ ტექნიკურ-მეცნიერული წესით რომ ვიაზრებთ ადამიანს, ანუ „სციენტისტურ ანთროპოლოგიას", რომ ვენდობით და ვუჯერებთ, მხედველობიდან ვუშვებთ ადამიანის პრინციპულ თავისებურებას-მის თავისუფლებას. [25]

ტექნიკურ პროგრესს ყოველთვის უნდა ვიხილავდეთ არა როგორც თავისთავად მოვლენას, არამედ მრავალგვაროვანი სოციალური შედეგების გამომწვევ მიზეზს, რომელსაც დღეს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებისათვის, მისი მომავლისათვის. ამიტომაცაა, მეცნიერულ-ტექნიკური რევილუციის ქმნადობისა და მართვის პროცესში გადამწყვეტი ყოველთვის ადამიანის გონიერებაა, ვიდრე ადამიანთა ბიოლოგიური არსებობის შენარჩუნებისათვის სხვადასხვა ხელოვნურ საშუალებათა შექმნა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აუცილებელია გარკვეული ღირებულებითი ორიენტაციის ჩამოყალიბება, რომელიც გაითვალისწინებს იმ მეტად მნიშვნელოვან გარემოებას, რომ თუ ადამიანისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ურთიერთობის თანამედროვე დონეზე ჭარბობს ეკონომიკური და ტექნიკური ინტერესები, ეს ორიენტაცია თანდა-

22 Корл Ясперс-Смысл и назначение истории, М. 1991 с. 139

23 იქვე, с. 133

24 ჭავჭავაძე ნ., კულტურა და ღირებულება, თბილისი, 1984 (რუსულ ენაზე), გვ. 133

25 კაკაბაძე ზ., ხელოვნება, ცხოვრება, ფილოსოფია. თბ., 1979, გვ. 201

თან უნდა შეიცვალოს ისეთნაირად, რომ ადამიანი მთელი თავისი სულიერი სამყაროთი, ინტერესების სიმდიდრით იქცეს ყოველგვარ ეკონომიკურ, ტექნიკურ, ტექნოლოგიურ გარდაქმნათა ერთადერთ უმნიშვნელოვანეს ფიგურად. ეს გარემოება კიდევ ერთხელ ადასტურებს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ბუნების, მისი განვითარების თავისებურებათა მეცნიერულ კვლევას, მისი სოციალური შედეგების გააზრებას ფილოსოფიური თვალსაზრისით.

მხოლოდ იმ პროგრესს და ისეთ ცვლილებებს, გარდაქმნებს აქვთ არსებობის უფლება და მხოლოდ ისეთ პროგრესს უნდა შეეწყოს ხელი, ისეთი პროგრესი უნდა წახალისდეს, რომელიც შეესაბამება და შეესატყვისება ადამიანის ინტერესებს და იმყოფება ადამიანთა ადაპტაციის უნარის ფარგლებში. ამიტომაცაა, რომ ჩვენს დროში მეტად აქტუალურია პრაქტიკული გონების პრიმატის ანუ ზნეობის მიზნებისადმი მეცნიერული კვლევების დაქვემდებარების პრობლემა. ეს პრობლემა ერთნაირად მნიშვნელოვანი და საყურადღებოა როგორც ჰუმანიტარული დარგის მეცნიერთათვის, ისე ტექნიკურ-საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სფეროს წარმომადგენლებისათვის.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ნიკოლოზ ბერდიაევი - ადამიანის ბედი თანამედროვე სამყაროში, თბილისი, 2007.
2. არჩილ ფრანგიშვილი, ოლეგ ნამიჩეიშვილი - საუბრები ფილოსოფიის შესახებ, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2009 წ.
3. თამაზ ბუაჩიძე - თანამედროვე დასავლური ფილოსოფიის სათავეებთან. თბილისი, 2013
4. ი. კალანდია, კ. კუტუბიძე - ცივილიზაცია, კულტურა, პროგრესი, თბილისი 1999
5. ა. ბრეგაძე - ადამიანი, ფილოსოფია, კულტურა, თბილისი, 2008
6. იაშა (კოკა) კუტუბიძე - გლობალიზაციის ფსიქო-სოციოლოგიური ასპექტები, თბილისი, 2017
7. ნ. კვარაცხელია - ფილოსოფიური განაზრებანი. თბილისი, 2017
8. ტოფლერი ე. მომავლის შოკი, 2001 (რუსულ ენაზე)
9. იასპერსი კ. საზრისი და ისტორიის დანიშნულება, მოსკოვი, 1996 (რუსულ ენაზე)
10. ჭავჭავაძე ნ. კულტურა და ღირებულება, თბილისი, 1984 (რუსულ ენაზე)
11. კაკაბაძე ზ. ხელოვნება, ცხოვრება, ფილოსოფია. თბილისი, 1979.
12. ჯეიმს ალენი-როგორ აზროვნებს ადამიანი. თბილისი, 2014.
13. კახა ქეცბაია-მაქს ვებერი-ცხოვრება და შემოქმედება. თბილისი, 2017.
14. ფსიქოანალიზი და კულტურა. მ. 1995 (რუსულ ენაზე)

# იტალიელთა თვალით დანახული XVII საუკუნის მეორე ნახევრის ქართლის ქალაქების სოციალურ-ეკონომიკური ყოფა

***ნუგზარ ბარდაველიძე***
*სტუ პროფესორი*

**SOCIO-ECONOMIC LIFE OF THE CITIES OF KARTLI OF THE SECOND HALF OF THE 17TH CENTURY THROUGH THE EYES OF ITALIANS**

**Nugzar Bardavelidze**
Professor of GTU

**RESUME**

In the second half of the seventeenth century, in the cities of Tbilisi and Gori, the Fathers of the Order of the Capuchin restored the Catholic mission. Along with religious activities, the Capuchin fathers were also busy treating sick people. So they soon gained great sympathy from local citizens. The prefects of the Capuchin mission systematically dispatched their relationship to Rome. These relationships describe the daily activities, successes, and problems of the Capuchin mission. These relalationes represent the most objective historical texts about the 17th-century Kartli kingdom, urban life. These relationship preserved in the Vatican archives are translated and published in Georgian. Studying them allows us to restore the historical picture of that era much more objectively and fully.

**Keywords:** capuchins, mission, relations, Holy See, Catholic orders, Mission Prefect, Kingdom of Kartli

**საკვანძო სიტყვები:** კაპუცინები, მისიონი, რელაცია, წმინდა საყდარი, მისიის პრეფექტი, კათოლიკური ორდენები, ქართლის სამეფო.

* * * *

350 წლის წინ, საქართველოში მისიით ჩამოსულმა კაპუცინთა ორდენის წარმომადგენელმა მამებმა, რამდენიმე ათწლეულიანი წყვეტის შემდგომ, შესძლეს აღედგინათ მსახურება XVII-ის პირველ ნახევარში, თეატინელი მამების მიერ დაფუძნებულ თბილისისა და გორის კათოლიკურ მისიონებში. ქართლიდან რომში გაგზავნილ მისიონერთა რელაციონებში (მოხსენებით წერილებში), ისე როგორც არც ერთ სხვა იმ პერიოდის ისტორიულ წყაროში, მეტად ხატოვნად, ზუსტად, ზედმეტი შელამაზების გარეშე, საკმაო ემოციურობითაც, არის აღწერილი ქართლის, კონკრეტულად თბილისისა და გორის ქალაქური ცხოვრება. საკმაო დოკუმენტური სიზუსტით და ამავე დროს მხატვრული ენით გაცოცხლებულია იმ ეპოქის უბრალო ადამიანების ყოფა და რაც ჩვენი ისტორიოგრაფიისათვის საკმაო იშვითობაა. კათოლიკე მისიონერთა რელაციონები, ჟან შარდენის საქართველოში მოგზაურობის აღწერასთან ერთად, გვიყალიბებენ საკმაოდ ხატოვან სურათს, გვიანი შუა საუკუნეების ქართული ქალაქური ყოფის შესახებ.

მას ასე, როგორია მე-17 საუკუნის იტალიელთა მიერ დანახული ქართლის ქალაქების მკვიდრთა (იგულისხმება თბილისი და გორი) ყოფის ზოგადი სურათი? პირველი და უმთავრესი რასაც კაპუცინი მამების მიერ რომში გაგზავნილი წერილებიდან ვიგებთ: კათოლიკე მისიონერებს სრული მოქალაქეობრივი თავისუფლება აქვთ. ანუ გააჩნიათ სამლოცველოები და საცხოვრებელი ბინები, თავისუფლად აღავლენენ რიტუალებს, ქადაგებენ, აწყობენ მსვლელობებს და რეკენ ზარებს, „რომლის გაკეთება აღმოსავლეთის არც ერთ ქვეყანაში არ შეუძლიათ"[1].

მეორე მნიშნელოვანი ინფორმაცია, რასაც მისიონერთა წერილებიდან ვიგებთ, მე-17 საუკუნის ქალაქელთა ყოფის შესახებ - თურმე სხვა ქვეყნებში მკვიდრი ქრისტიანებისაგან განსხვავებით, ქართველები მკაცრად იცავენ მარხვას. მარხულობენ ოთხშაბათს, პარასკევს და შაბათს, ამ და სხვა მარხვების დროს „მისდიო იმას, რომ მარხვის პერიოდში არ ჭამო კარაქი, კვერცხი, ყველი, თევზი, ხოლო საქონლის კარაქის ნაცვლად გამოიყენო სელის ზეთი, რომლისგანაც ნებისმიერი საჭმელი მწარდება, და სხვა საკმაზის გამოყენება არ შეიძლება; და თუ ამ მარხვას დაარღვევ, უფრო უარეს მტრად ჩაგთვლიან, ვიდრე მუსლიმი და ებრაელია. და თუ ამას არ გააკეთებ, არც ერთი სული არ შემოიხედავს ეკლესიაში" [2]

კაპუცინ მისიონერთა წერილებიდან იკვეთება ისიც რომ ქართველებს უჭირთ მშობლიური მხარის დატოვება და სამსახურში სპარსეთში ან სასწავლებლად რომში წასვლაზე უარს ამბობენ, რაც დღევანდელი გადასახედიდან ძნელი წარმოსადგენია. უცხოეთში წასვლიდან თავის არიდების მიზნით კი შეიძლება სხეულის თვითდაზიანებასაც კი მიმართონ. სწორედ ამიტომ მისიონერები ვერ პოულობენ ეთნიკურად ქართველთა შორის, ევროპაში განათლების მიღების სასურველ კანდიდატებს.[3]

ქართლის ხელისუფალთ, მართალია სურთ, რომ თბილისსა და გორში მოქმედებდეს კათოლიკური

---

1 საქართველოს კაცინთა მისიონის პრეფექტის სერაფინო და მელიკოკას მიერ თბილისიდა 1674 წლის 18 ოქტომბერს წმ. კონგრეგაცია „დე პროპაგანდა ფიდესადმი მიწერილი ' წერილი. ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ. თბილისი 2018. გვ.47.

2 იქვე. გვ.49.

3 იქვე. გვ.51.

მისიონი, იყვნენ კაპუცინი მღვდელ-მონაზვნები, რომელთაც საჭიროების შემთხვევაში სამკურნალოდ მიმართავენ, თარჯიმნად ან დესპანად გამოიყენებენ, მაგრამ მათთვის სულ მცირე მატერიალური დახმარების გაწევისაგან თავს იკავებენ. მატერიალური სიდუხჭირის გამო ქართლში ჩამოსული კაპუცინი ბერები იძულებულნი არიან გამოკვებისათვის საჭირო თანხების მოსაძიებლად, სნეულთა მკურნალობაში გასამრჯელო აიღო. არსებობის მინიმუმის დაკმაყოფილების შემთხვევაში კაპუცინი მამაბი, როგორც წესი სნეულთა მკურნალობაში გასამრჯელოს არ იღებდნენ.

კაპუცინთა წერილებიდან ასევე ირკვევა, რომ ქართლის ქალაქებში არსებული მისიები რომიდან გამოგზავნილი ჯამაგირის იმედათ არიან, ხოლო იმ ეპოქის რეალობიდან გამომდინარე, რომიდან გამოგზავნილი ჯამაგირი საქართველოში დიდი დაგვიანებით აღწევდა ადრესატამდე. ის ფაქტი, რომ კაპუცინთა ქართლის მისიონებს მატერიალურად საკმაოდ უჭირდათ ადასტურებს, რომ მათი მისია არც თუ მტლად წარმატებულია. მიუხედავად იმისა, რომ რომში გაგზავნილ რელაციებში, მისიის პრეფექტები აღწერენ თავიანთ წარმატებებს, რომ თბილისის და გორის მდიდარი ვაჭრები და მათი ოჯახის წევრები იღებენ კათოლიკობას, გვჩნდება ეჭვი, რომ მთლად ასეც არ არის. ფაქტია ერთია, თუ მორწმუნეთა საკრებულო მრავალრიცხოვანი და შეძლებულია, მაშინ მის წევრებს, ორი-სამი მღვდელ-მონაზნის გამოკვება არ უნდა გაუჭირდეთ და ეს ბერები იძულებულნი არ იყვნენ გაჭირვებით გაიტანონ თავი. რომში ამ ვითარებას, ალბათ მისიის ხელმძღვანელებიც კარგად აანალიზებდნენ და სავარაუდოდ ამიტომაც განსაკუთრებულ ყურადღებას არც უთმობდნენ ქართლის მისიონებს.

ფინანსური სიძნეელები XVII საუკუნის ქართლში მოქმედი მისიონების მუდმივად თანმდევი პრობლემაა. წმინდა საყდრის რწმენის პროპაგანდის კონგრეგაციის მესვეურთა გაანგარიშებით, რაც 1670 წლის დეკრეტით დაკანონდა, ერთი მისიაში მომსახურე სასულიერო პირის წლიური ანაზღაურება 15 სკუდოთი განისაზღვრა. გორის კაპუცინთა მისიის ხელმძღვანელი ჯუზეპე ანტონიო რომანო, რომელმაც წლები გაატარა ქართლში, მას როგორც მისიის პასუხისმგებელ პირს, ხშირად უწევდა თბილისში, ერევანში და კავკასიის სხვა ქალაქებში სტუმრობა, იგი უშუალოდ იყო ადგილობრივ პროცესებში ჩართული, ყველა ადგილობრივი ნიუანსის გათვალისწინებითა და გაანგარიშებით ასკვნის, რომ გორში ან თბილისში მოღვაწე მისიონერ მღვდელ-მონაზონს, მოკრძალებული ცხოვრებისათვის, ისე რომ მხოლოდ სულების ხსნით ყოფილიყო დაკავებული და სამედიცინო პრაქტიკისაგან თავი შეეკავებინა, სჭირდებოდა მინიმუმ 22-25 სკუდო.[4] ხოლო წარმატებული საქმიანობისათვის ვიცე-პრეფექტ ფრა ბერნარდო მარია და ნაპოლის გაანგარიშებით ადამიანზე 40 სკუდო იყო აუცილებელი.[5]

XVII საუკუნის თბილისსა ან გორში, პრობლემა იყო ევროპიდან გამოგზავნილი კორესპოდენციების, მათ შორის ფულადი გზავნილების, მიღება. ქართლში მოღვაწე მისიონერებისათვის გამოგზავნილი გზავნილები ერევანში ჩამოდიოდა, სადაც ფრანგული მისია ინახავდა მათ, ვიდრე ქართლიდან კაპუცინი მამები არ ჩააკითხავდნენ. იმხანად თბილისიდან ერევნამდე ცხენით მგზავრობას ნორმალურ ვითარებასი ოთხი დღე-ღამე სჭირდებოდა. ვინაიდან რომიდან გამოგზავნილი ანაზღაურება სისტემატურად იგვიანებდა, შესაძლებელი იყო საერთოდაც გზაში დაკარგულიყო, განსაკუთრებით ომიანობისა და შინა აშლილობების დროს, ქართლში კაპუცინთა მისიონის წევრები თანხების მწვავე უკმარისობას განიცდიდნენ. სწორედ ამიტომ, უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში, იძულებულნი იყვნენ ადგილობრივი მევახშეებისაგან ესესხათ ფული, რაც კიდევ უფრო მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებდა მისიას. ვინაიდან მუდმივად რთული გარე პოლიტიკური, უფრო მეტად კი შიდა არეული ვითარების გამო, გორში „ორმაგი გირაოს უზომო პროცენტის გარეშე სესხს არ იძლევიან"[6]

კაპუცინი მამების მიერ რომში გაგზავნილ წერილებში იკვეთება კიდევ ერთი წინააღმდეგობა. მისიის პრეფექტის წერილებში ხაზგასმულ ინფორმაციას შორის, რომ „საქართველოს მისიონი ერთ-ერთი ყველაზე საიმედო, ნაყოფიერი და თავისუფალია მთელს აღმოსავლეთში. აქ ჩვენ საეკლესიო მსახურებას ისე თავისუფლად ვეწევით, როგორც დაწესებულია რომის წმინდა ეკლესიის მიერ."[7] თუმცა, რელაციებში არაერთგზის გამოსჭვივის წუხილი, რომ კათოლიკობა მიღებული ქალაქის მკვიდრი სომხები, მიუხედავად თავიანთი შეძლებული მდგომარეობისა, სასტიკ დევნას განიცდიან როგორც ნათესავებისა და თანამოქალაქეების, ასევე სომეხი სამღვდელოების მხრიდან და კათოლიკურ ტაძარს მხოლოდ ღამით და უჩუმრად სტუმრობენ. ანუ წარმოგვიდგება ამგვარი სურათი - პირველი, რომ ქართლის მეფე-მთავრები არ, ან ვერ იცავენ თავიანთ საგანმგებლო ტერიტორიაზე, ვერც მათივე თხოვნით მოწვეულ მისიონერებს და ვერც მათ ქვეშევრდომ კათოლიკე მორწმუნეებს.

მეორე - ქალაქის მოსახლეობა თანახმაა იმოქმედოს კათოლიკურმა მისიამ, რათა მოსახლეობამ შესძლოს იმკურნალოს კაპუცინ მამებთან, მაგრამ ასევე ქალაქის მოსახლეობა ცდილობს გააკონტროლონ ისინი და მოსთხოვომ იტალიელ კათოლიკეებს, ადგილობრივი წესით მკაცრად მარხულობა. მოქალაქეებს სურტ რომ კაპუცინებმა უფასოდ უმკურნალონა, უსასყიდლოდ ასწავლონ მატ ბავშვები მი-

4 სკუდო ვერცხლის მონეტა,ფრანგული ეკიუს ანალოგი იჭრებოდა პაპის ოლქში, ასევე სხვა იტალიურ სამთავროებში. შეიცავდა დაახლოებით 25 გრამამდე ვერცხლს.

5 იქვე, გვ.120

6 იქვე, გვ.99

7 იქვე. გვ.55, გვ. 117.

სიის სკოლაში და ამავე დროს არ სურთ დაეხმარონ მისიონერებს, ხელს უშალიან მისიის წარმართვაში, ცდილობენ აუკრძალონ თანამოქალაქეებს კათოლიკობის აღიარება. ამგვარი ორმაგი სტანდარტი იწვევდა კაპუცინთა განცვიფრებას და ხშირად არაკეთლსინდისიერი დამოკიდებულებით ხსნიდნენ კაპუცინთა მისიის პრეფექტები ქართლში მათ მიერ გადატანილ გაჭირვებას.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კუთხით არის საინტერესო ქართლიდან (თბილისი და გორი), რომში გაგზავნილი რელაციონები. ამ მოხსენებებში მცდელობაა გაანალიზონ იმ ეპიქის გეოსტრატეგიული ვექტორები. ევროპაში ბურჟუაზიის გაძლიერებასთან და აღმოსავლეთთან ვაჭრობის გაფართოების პალალელურად, ევროპელთა მხრიდან, უკვე ნათლად იკვეთება საქართველოზე გამავალი გზით დაინტერესების ნიშნები.

ჩვენდა სამწუხაროდ, XVII საუკუნეშიც, ისევე როგორც დღეს, გარე ძალებს, საქართველოსთან მიმართებით საკუთარი შორსმიმავალი ინტერესები გააჩნდათ. ყველა პოლიტიკური მოთამაშის მიზნების გაანალიზებას არ შევუდგებით, მაგრამ იტალიელ მისიონერებს აფრთხობთ ქართლში ფრანგი ვაჭრების შემოსვლის ალბათობა, ვინაიდან ისინი (ფრანგები ნ.ბ.) უმეტესად „ჰუგენოტები ანდა კალვინისტები არიან. როცა მათ ვაძლევდით თავშესაფარს, ჩვენს სახლებში, ვიფარებდით და ვიცავდით მათ საქონელს დიდი საფრთხისაგან. შემდეგ ერთი ფრანგი ფარულად ჩვენს ახალმოქცეულ კათოლიკეს აქეზებდა რომის პაპისა და მისი უზენაესი ხელისუფლების წინააღმდეგ. ფრანგ ვაჭრებს სურთ სავაჭრო გზა გაკვალონ კონსტანტინოპოლიდან სამეგრელომდე, აქედან საქართველომდე და შემდეგ სპარსეთამდე“. [8]

კაპუცინთა პრეფექტის შიშები სავსებით საფუძვლიანია, რადგან ფრანგი ბურჟუების დიდი ნაწილი მართლაც პროტესტანტი იყო და მათი შემოსვლა საფრთხე შეუქმნიდა კათოლიკურ მისიებს, საქართველოდან დაწყებული ირანით დასრულებული.

ქართლიდან რომში გაგზავნილი კაპუცინ მამათა წერილები, საუკეთესო წყაროა, იმ ეპიქის თბილისისა და გორის დემოგრაფიული სურათის აღსადგენად. მართალია იმ ეპოქის ქართლის ქალაქები მოსახლეობის ეთნიკურობის საკითხი საკმაოდ სენსიტიური თემაა, მაგრამ რომში გაგზავნილ რელაციებში, ქალაქის მაცხოვრებელთა ეთნიკურობასთან დაკავშირებით არაერთი ფაქტი ფიგურირებს. კაპუცინ მამათა რელაციები ის დოკუმენტური წყაროა, რომელიც გვიანი შუა საუკუნეების თბილისისა და გორის დემოგრაფიულ სურათს წარმოგვიდგენს.

XVII საუკუნის თბილისშიც და გორშიც, კათოლიკობა მიღებულ რიგითი მოქალაქეები ქართველებიც არიან და სომხებიც. მათი უმრავლესობა ადგილობრია, მათი საკუთარი სახელებიდან გამომდინარე ჩანს, რომ ისინი ეთნიკურად ქართველები არიან. თუმცა მრავლად არიან ადგილობრივი ასვე ირანის სხვადასხვა ქალაქებიდან გადმოსული სომეხი ვაჭრები ასევე ევროპიდან ცამოსული ცალკეული ოჯახებიც. დიდებულები კი უკლებრივ ყველანი ეთნიკურად ქართველები არიან.[9]

აქ გასაკვირი არაფერია, თუ გავითვალისწინებთ, რომ კათოლიკური მისიები როგორც ქართლში ასევე სამხრეთ კავკასიის სხვადასხვა სახანოების დიდ ქალაქებში მოქმედებდნენ და მათი მრევლიც თავისუფალი მოქალაქეებისაგან შედგებოდა. თუ არ ჩაავთვლით ცალკეულ ქართველ დიდებულებს, აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, ფეოდალური ეპოქის სპეციფიკიდან გამომდინარე, ეთნიკურად არაქართველი ხელოსნებისა და ვაჭრებისაგან შედგებოდა.

რომში გაგზავნილ რელაციონებში, წამოწეულია გვიანი შუა საუკუნეების საქართველოსათვის დამახასიათებელი კიდევ ერთი მწვავე თემა - ადამიანებით ვაჭრობა. კაპუცინი მამების რომში გაგზავნილი წერილებით, ზუსტი წარმოდგენა გვექმნება ამ საშინელი, არაადამიანური, თუმცა იმ პერიოდში საკმაოდ წარმატებული ლეგალური საქმიანობისადმი, რასაც ადამიანებით ვაჭრობა ჰქვია. კათოლიკე მისიონერები ცდილობდნენ მათი გაჭირვებული მატერიალური მდგომარეობიდან გამომდინარე, ყოველწლიურად ერთი ან ორი ქრისტიანი ბავშვი მაინც გამოესყიდათ. კათოლიკე მამებმა იცოდნენ რა, რომ მონად გაყიდულ ადამიანებს, ახალი პატრონები ისლამს მიაღებინებდნენ და ამით სამუდამოთ გაწირავდნენ მათ სულებს. კაპუცინ ბერ-მონაზვნებს, თავიანთ საქმიანობაში, ერთ-ერთ უმთავრეს მისიად, ქრისტიანთა სულების გადარჩენა მიაჩნდათ და ფრიად გაოცებულნი და აღშფოთებულნი იყვნენ იმ გარემოებით, რომ ქრისტიანი მებატონეები, თავიანთ ყმებს ისლამურ სამყაროში გასაყიდად იმეტებდნენ და ამით მათ სულებს სამუდამო განსაცდელში აგდებდნენ.

კიდევ ერთი პრობლემა რომლის შესახებაც მისიონერთა მიერ გაგზავნილი წერილებიდან ვიგებთ, ეს სამკურნალო წამლების საოცარი დეფიციტია. „რადგან საქართველოში მათი შეძენა შეიძლება მხოლოდ ორი ან სამი თურქისაგან და იგი იმდენად ძვირია, რომ ყველაზე მდიდრებს თუ შეუძლიათ წამლების ყიდვა[10]. ქართლში მოქმედი მისიონების ხელმძღვანელობის პრობლემაც სწორედ წამლების სიძვირეა. კაპუცინი მამები იძულებელნი არიან მოწყალების საშუალებით მიღებული თანხის ან საკვები პროდუქტის ნაწილი გაცვალონ წამლებში. წამლები კი მისიონერებს ადგილობრივი მოსახლეობის მკურნალობისთვის სჭირდებათ.

მკურნალობა საქართველოში მოღვაწე კაპუცინი მამების დამატებითი შემოსავალი და არაფორმალური საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფერო გახდა. იმ დროის მრავალი თბილისელი

8 იქვე. გვ.57.

9 იქვე, გვ.156-157

10 იქვე გვ.90

ან გორელი მოქალაქე, სწორედ კაპუცინ მამათა მკურნალობის საშულებით გადაურჩა სხვადასხვა საშინელ სენს, რომლისგან გამკურნავიც იმ ხანად არც არავინ იყო გარდაკაპუცინი მამებისა. საქართველოში კაპუცინებს მხოლოდ ექიმობით შეეძლოთ არსებობა, წამლების შესაძენად კი ერევანში უწევდათ ჩასვლა სადაც წამლები „ჩამოაქვთ მთელი აზიიდან და ინდოეთიდან და სულ მცირე ფასად იყიდება"[11] ამ პრობლემის გამოსწორებისათვის კაპუცინებს სურდათ ერევანშიც დაეფუძნებინათ თავიანთი მისიის ფილიალი, რომ ფოსტა, გზავნილები და წამლები უფრო მოკლე დროში ჩამოეტანათ თბილისა და გორში. თუ წამლებს საბითუმო ფასად შეიძენდნენ მაშინ „მამა-მისიონერები შეძლებდნენ ისე ექიმობას, რომ არ მოუხდებოდათ, მძიმე შრომის გადატანა, ხოლო წამლებისა და მკურნალობის სანაცვლოც, შეეძლოთ არ გამოერთმიათ ფული, არამედ ეთხოვათ სხვა, ადვილად მისაწვდომი საკვები, როგორიცაა ბრინჯი, ზეთი და სხვა, რომელიც აქვთ ღარიბებსაც და მდიდრებსაც".[12] სწორედ ამ პრაქტიკული მოსაზრებით აიხსნება ქართლის მისიონის მესვეურთა მიერ ერევანში მისიის ფილიალის გახსნის სურვილი, რაც რომში ხელმძღვანელობასთან გაგზავნილი არაერთ წერილში არის ასახული.

კაპუცინი მამების სპეციალურმა განსწავლულობამ სამედიცინო სფეროში, ფაქტიურად განსაზღვრა მათი ორდენით ქართველი მონარქების დაინტერესება. მკურნალებზე მოთხოვნა შემდგომ საუკუნეშიც უმთავრესი განმსაზღვრელი ფაქტორი გახლდათ კაპუცინების მისიების ფუნქციონირებისა საქართველოში. კაპუცინებთან დამოკიდებულებაზე, მათი ქართლში ყოფნის აუცილებლობაზე, ყველაზე თვალსაჩინო მეტყველებს 1761 წელს, ერეკლე II-ის მიერ, ახალციხეში კაპუცინთა მისიის ხელმძღვანელთან, მამა ლეონარდო ვიტერბოელთან გაგზავნილი წერილი. მართალია სამედიცინო უნარები მეტწილად ეხმარებოდათ კაპუცინ მამებს თავის გატანასა და მისიის მეტნაკლებად წარმატებულ განხორციელებაში. თბილისელ და გორელ მოქალაქეებს ჯანმრთელობის პრობლემები აიძულებდათ ხშირად მიემართად კათოლიკე სასულიერო პირებისათვის, ეს მატერიალური თვალსაზრისით სასარგებლო იყო მისიონერებისათვის, თუმცა სულიერი მოწოდების კუთხიდან გამომდინარე კაპუცინი მამები არც თუ კმაყოფილები იყვნენ მათი მისიის სპეციფიკის ორიენტირის ცვლილებით. [13]

ქართლში მოღვაწე კაპუცინ მამები, „სხვადასხვა საჭიროებამ აიძულა, დაეწყოთ ფულის აღება მკურნალობისთვის"[14], და ეს ფაქტი, მუდმივ სინდისის ქეჯნას იწვევს მათში. ამიტომ რომში საკუთარ ხელმძღვანელობასთან გაგზავნილ ყველა რელაციონში, სინანულს გამოთქვამენ ამ იძულებითი ქმედების გამო.

რომში გაგზავნილ წერილებში იკითხება ერთის შეხედვით უმნიშვნელო მაგრამ ყოფითი თვალსაზრისით საყურადღებო დეტალი. მისიის ხელმძღვანელობას, კაპუცინი მისიონერი ჯუზეპე ანტონიო რომანო თხოვს, რომ „აქ გამოსაგზავნი მისიონერები შეკრიბონ ერთსა და იმავე პროვინციაში, რათა მათ უფრო მეგობრულად იმუშაონ მისიონის კეთილდღეობისათვის; გარდა ამისა, ყველა ისინი უნდა იყვნენ მოქადაგენი და არა უბრალო მღვდლები".[15] ამ ფრაზიდან იკვეთება, რომ ფეოდალურ ერთეულებად დაქუცმაცებულ იტალიაში, ისევე როგორც საქართველოში, კუთხურობის პრობლემა მეტად მწვავედ იჩანდა თავს და თვით საერთო მიზნით გაერთიანებულ მისიებშიც კი კუთხურ წარმომავლობას დიდი ყურადღება ექცეოდა.

რომში გაგზავნილი წერილებიდან იმასაც ვარკვევთ, რომ საქართველოში მოღვაწე კაპუცინი მამები, ადგილობრივი რელობიდან გამომდინარე იძულებულნი იყვნენ ქართულთან ერთად შეესწავლად ბერძნული, სომხური, არაბული, სპარსული და თურქული ენები. „გამოაგზავნეთ წიგნები სადაო საკითხებზე და გრამატიკაზე, რადგან ჩვენს მისიონებსი მრავალი ენის გამოყენება გვიხდება".[16] ადგილობრივი ენების დაუფლებას მისიის ხელმძღვანელობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, სწორედ ამით აიხსნება ადგილობრივი მისიების პრეფექტების მოთხოვნები, რომ რაც შეიძლება დიდხანს დარჩენილიყვნენ ის მისიონერები, ვინც შესძლო ქართული და სხვა ადგილობრივ გამოყენებადი ენების ათვისება.

წმინდა საყდარი მე-17 საუკუნეში უკვე იმ ძალაუფლებასა და საერთაშორისო გავლენას აღარ იყო, რაც შუა საუკუნეებში, როდესაც პაპების ძალაუფლება ზენიტში იყო, (მაგალითად პაპ ინოკენტი III-ს, ისტორიკოსები თვლიან ყველაზე ძლევამოსილ ადამიანად ევროპაში), რომს არც ძალა, არც ფინანსები და არც უწინდელი ავტორიტეტი გააჩნდა, რომ ქმედითი დახმარება აღმოეჩინა საქართველოსთვის ან თუნდაც აქ მოქმედი მისიებისთვის. მისიებს, როგორც წესი, მისი გამომგზავნელი ორდენი აფინანსებდა, ხოლო კაპუცინების ორდენი არც ისე გავლენიანი იყო, როგორც, მაგალითად, იეზუიტების ორდენი, თან მათი ქარიზმაც მკაცრი სიღატაკის დაცვა გახლდათ, ამიტომაც მისიების წარმომადგენლებს უჭირდათ ქართლში მოღვაწეობა. ეს კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული რომში და ამიტომაც გადაწყვიტეს 1672 და შემდგომ 1677 წლებში კაპუცინთა ქართლის მისიონის ფრანგებისათვის გადაცემა. ფრანგულ მისიონს, ჩანს, მეტი დახმარება ექნებო-

11 იქვე, გვ.90

12 იქვე,გვ.90

13 ბარდაველიძე ნ. საქართველო-რომის ურთიერთობათა მატიანის ახალი ფურცლები, ჟურნ. „საბა", 2014.N9.გვ.16.

14 საქართველოს კაცინთა მისიონის პრეფექტის სერაფინო და მელიკოკას მიერ თბილისიდა 1674 წლის 18 ოქტომბერს წმ. კონგრეგაცია „დე პროპაგანდა ფიდესადმი მიწერილი ' წერილი. ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ. თბილისი 2018 გვ.115

15 იქვე,93.

16 იქვე, 94.

და საფრანგეთისაგან. ქართლში მოღვაწე იტალიელ კაპუცინებს კი არ უნდოდათ შეჩვეული მისიონის დატოვება და ახალ, უცხო ადგილზე გადასვლა. ამ უარს კაპუცინები ხსნიდნენ იმ მიზეზით, რომ ეს „არახელსაყრელი და საზიანოა იტალიელი ერისათვის" [17]და აქ გასაკვირი არაფერია, სასულიერო პირებიც ჩვეულებრივი ადამიანები არიან და ადამიანური თვისებებიც და მოტივებიც თითქმის ისეთივე აქვთ როგორც ერისკაცებს.

ქართლში ფრანგი მისიონერების შემოსვლა ხელს შეუწყობდა საფრანგეთსა და ირანს შორის ვაჭრობის განვითარებას, საქართველო კი სატრანზიტო გზაზე მდებარეობდა და საფრანგეთის დაინტერესება ჩვენი ქვეყნით, რეალურ სახეს მიიღებდა. დაახლოებით 40 წლით ადრე დაიწყებოდა ის პროცესი, რაზეც შემდგომ ვახტანგ მეექვსე და სულხან ორბელიანი ოცნებობდნენ. XVII საუკუნის 70-იან წლებში, საფრანგეთს ინტერესი და ძალაც მეტი ჰქონდა, ლუი XIV-ც ახალგაზრდა და ენერგიით აღსავსე იყო, ვიდრე 1714 წელს, როდესაც სულხან ორბელიანის ელჩობა შედგა. იმხანად მეფეც უკვე მოხუცი იყო, საფრანგეთიც ინგლისთან ომში დამარცხებული და რუსეთის ექსპანსიონისტური ინტერესებიც გაზრდილი. ძნელი სათქმელია, როგორ განვითარდებოდა საერთაშორისო ურთიერთობები ევროპასთან, დააღწევდა თუ არა თავს საქართველო ფეოდალურ დაქუცმაცებულობასა და მატერიალურ გაჭირვებას, მეზობელ სახელმწიფოთა მხრიდან პოლიტიკურ ზეწოლებს, მაგრამ, შესაძლოა, საფრანგეთთან კავშირებისა და თანამშრომლობის დამყარებით ქართლის მეფეების ავტორიტეტი და გავლენა ქართულ სამეფო-სამთავროებზე გაზრდილიყო. საბოოლო ჯამში კი ევროპულ ორიენტაციას რეალური სახე მიეღო და ორასწლიანი რუსული ბატონობის ეპოქაც აღარ დამდგარიყო. თუმცა ეს ფანტაზიის სფეროა და ისტორიას ფანტაზიები არ უყვარს.

ქართველ მონარქებსა და დიდებულებს, არასწორ ინფორმაციებზე დაყრდნობით, მცდარი იმედი ჰქონდათ, რომ წმინდა საყდარი მათი პირადი პრობლემების გადაჭრაში მნიშვნელოვან დახმარებას, მათ შორის მატერიალურს, გაუწევდა. ხოლო როცა ეს დახმარება არ იყო და, პირიქით, მისიონერებს სჭირდებოდათ ადგილობრივ მმართველთაგან მხარდაჭერა, ილუზიები ქრებოდა და მისიები ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან მხარდაჭერის გარეშე რჩებოდნენ, ვიდრე რაიმე ექსტრემალური სიტუაცია არ აიძულებდათ ადგილობრივ მმართველებს გახსენებოდათ მათგან სრულიად უსაფუძვლოდ მივიწყებული კათოლიკე მისიონერები. და ეს პერიოდული იგნორირება, მხოლოდ პირადი ინტერესებით ნაკარნახევი მცდელობები წმინდა საყდართან ურთიერთობების მოგვარებისა, გახლდათ მიზეზი რომის მხრიდან უნდობლობისა და არათანმიმდევრული თანამშრომლობითი ურთიერთობებისა. სწორედ ამიტომ, განსხვავებით ოსმალეთისა, სადაც ქრისტიან მისიონერებს თითქოს უარესი პირობები ჰქონდათ თავიანთი საქმიანობის წარმართვისა, საქართველოში კათოლიკეებმა ბევრად მრავალრიცხოვანი, თანმიმდევრული, ერთგული მრევლი შეიძინეს ქართველთა და სომეხთა შორის და მრევლმაც, ახალციხის საფაშოს რუსეთის იმპერიაში შემოსვლის შემდგომ, ხელი შეუწყო საქართველოს ტერიტორიაზე რეალური კათოლიკური საკრებულოების არსებობას.

საქართველოში კაპუცინთა მისიის პრობლემების ზუსტი განსაზღვრა ჩამოაყალიბა და ერთგვარი შეჯამება წარმოადგინა უფროსმა მოქადაგემ და საქართველოს მისიონის ვიცე-პრეფექტმა ფრა'ბერნარდო მარია და ნაპოლიმ. ეს რელაციონი დაცულია რწმენის გავრცელების კონგრეგაციის არქივში. ამ მოხსენებით წერილში ფრა'ბერნარდო ქართლის მისიონის მოღვაწეობის პრობლემების წარმატებით გადაჭრისათვის აუცილებელ ოთხ უმთავრეს წინააღმდეგობას აანალიზებს. [18]

**პირველი** - ეს მისიონის კადრების სწორი, მიზანდასახული შერჩევაა. თანამედროვე ტერმინოლოგიით, გუნდურად მუშაობისათვის აუცილებელი სწორი, პიროვნულ ფაქტორზე ორიენტირებული გარემოს შექმნა.

**მეორე პრობლემად** ფრა'ბერნარდო თვლის ყოველწლიური დაფინანსების უკმარისობას, რაც საქართველოში მოღვაწე მისიონერებისათვის არასაკმარისი დოტაციაა. ქართული რეალობიდან გამომდინარე, აქ მოღვაწე მისიონერები თავიანთი ორდენის წესდებით გათვალისწინებული სიღატაკის დემონსტრირებით კათოლიკე ეკლესიას ავტორიტეტს ვერ მოუხვეჭდნენ.

**მესამე პრობლემა** ეს კაპუცინთა საექიმო საქმიანობით ზედმეტად დაკავებაა, რის გამოც მისიონერები მთავარ საქმიანობას ნაკლებ ყურადღებას უთმობენ.[19]

**მეოთხე პრობლემა** ეხებოდა ახალგაზრდების ფორმაციას, აღზრდა-განათლებას რომში, წმინდა კონგრეგაციის სასულიერო სასწავლებლებში, რაც მეტად რთული გახლდათ, არა იმდენად თანხების, რამდენადაც გზაში ყმაწვილების ოსმალთა მხრიდან მოტაცებისა და ტყვედ გაყიდვის საფრთხის გამო. ეფექტურ გამოსავალს ფრა'ბერნარდო ხედავს საქართველოში მათ მიერ დაარსებულ სკოლებში, ევროპიდან კარგი პედაგოგების მოწვევას. ამით თანხებიც დაიზოგებოდა და ბევრად მეტი ქართველი ახალგაზრდა მიიღებდა განათლებას. ფრა'ბერ-

17 საქართველოს კაცინთა მისიონის პრეფექტის სერაფინო და მელიკოკას 1674 წლის 18 ოქტომბრის წერილი. გვ.47.

18 ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ, თბილისი, 2018.გვ.117.

19 როგორც არაერთგზის ავღნიშნეთ, საექიმო საქმიანობით მისიონერების დაკავება გამოწვეული იყო ერთის მხრივ ადგილობრივ ხელისუფალთა და მოსახლეობის სურვილით, მეორეს მხრივ მისიონერთა მუდმივი მატერიალური გაჭირვებით

ნარდოს აზრით, ამ პრობლემათა გადაჭრა წარმატებულს გახდიდა ქართლის მისიონის საქმიანობას და, ჩვენი გადასახედიდან, ამ მისიონის წარმატება სასიკეთო იქნებოდა მე-17 საუკუნის ქართლში ევროპული განათლების დანერგვასა და ევროპასთან კავშირების განმტკიცებაში.

და ბოლოს, კიდევ ერთი მთავარი მიზეზი და გასაღები იმისა, თუ რატომ ვერ ხორციელდებოდა საქართველოში კათოლიკეთა წარმატებული მისია. ყველა ზემოთ ჩამოთვლილ პრობლემებთან შედარებით, მნიშვნელოვანი ის ფაქტორი გახლდათ, რომ არ იყო ადგილობრივი კათოლიკე ეპისკოპოსი, რომელიც ადგილზევე მყისიერად გადაწყვეტდა და თავადვე მოაგვარებდა ყველა წამოჭრილ პრობლემას, ვისაც ექნებოდა პირდაპირი ურთიერთობა წმინდა საყდართან და ადგილობრივ უმაღლეს ხელისუფლებასთან, ვის ავტორიტეტსაც ანგარიშს გაუწევდა საერო და სასულიერო იერარქია, და ვინც თავის სფეროში გამაერთიანებელი იქნებოდა სრულიად საქართველოს კათოლიკე მრევლისა.

XVII საუკუნის მეორე ნახევარში, ქართლში კერძოდ თბილისსა და გორში მოღვაწე კაპუცინი მამების მიერ რომში გაგზავნილი მოხსენებითი წერილები, ერთ-ერთი საუკეთესო წყაროა იმ პერიოდის ქალაქური ყოფის სურათების აღდგენის თვალსაზრისით. ამ რელაციონებში უშუალო თვითმხილველთა მიერ თვალსაჩინოდ არის აღწერილი გვიანი ფეოდალური ეპოქის საქართველოს ორი ყველაზე გამორჩეული ქალაქის ყოფა, თავისი ნათელი თუ ჩრდილოვანი მხარეებით. ასევე ეს წყაროები შეიცავენ მნიშვნელოვან ინფორმაციას სამხრეთ კავკასიის სხვა კუთხეებზეც, რეგიონის სოციო-ეკონომიკურ კავშირებზე, კულტურულ ურთიერთობებზე. ამ რელაციების განსაკუთრებული ღირებულება მათი ავტორების მხრიდან გამოვლენილი ობიექტურობა და დამოუკიდებელი შეფასებაა იმ ფაქტებისა და მოვლენებისა რომელთა უშუალო თვითმხილველები და მონაწილეებიც იყვნენ საქართველოში მისიაში მსახურების დროს. ამიტომ იტალიელი კაპუცინი მამების რელაციებში აღწერილი ქართლის ქალაქური ყოფის სურათი, იმ ეპოქის სხვა წყაროებთან შედარებით, ყველაზე სრულად და შეულამაზებლად აღწერს იმ ეპოქის რეალობას.

# ექვთიე თაყაიშვილი ქართული ემიგრაციის ერთიანობის შესახებ

## ლევილისა და ჰარვარდის საარქივო მასალების მიხედვით

***შოთა ვადაჭკორია***
*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, სტუ პროფესორი*

**EKVTIME TAKAISHVILI ABOUT THE CONSOLIDATION OF GEORGIAN EMIGRATION (according to Leuville and Harvard archive materials)**

**Shota Vadachkoria**
Professor of GTU, Doctor of Historical Sciences

**ABSTRACT**

1. Attempt of consolidation (resolutions of 1932, June, 1, 20, 25 and 1939, April, 28) of the political forces by government of the Democratic Republic of Georgia in exile and the members of the presidium of the Constituent Assembly was impossible in 1940 too.

2. E.Takaishvili's activities to consolidate political emigration were fully consistent with the processes taking place in Europe and the interests of the Georgian people. At the meeting of the Constituent Assembly in 1940, February, 4, convened on his initiative (18 people were presented) resolutions about establishing of the united coordinating body was received. They aimed also to create a plan suitable to the current political situation for the liberation of Georgia together with the emigrated government. It should have been based on the joint efforts of the political emigration.

3. At the meeting of the members of the Constituent Assembly (1940, March, 2) E.Takaishvili had a speech. In his speech he proved that: to take into consideration the current ongoing political processes is important. the demand of some of the members of the Georgia political emigration, to annul the emigration government elected by the Constituent Assembly, was wrong. He also proved the importance of supporting legitimate government. if the embassy of Georgia would be restored, the leaders of the European countries would not accept a new candidate instead of A. Chkhenkeli.

4. E.Takaishvili, in his speech, reminded the meeting participants of their high responsibility to the Motherland in order to gain support for the creation of a national committee on the basis of the Constituent Assembly and expanding cooperation with the emigrated government. E.Takaishvili in his speech emphasized that the population of occupied Georgia has special expectations and hopes for the emigrated government. Thus, he reminded the Georgian emigration that they are responsible for developing the entire action plan based on consensus. The same pathos was in a special speech of E.Takaishvili in 1940, when in April he addressed the Georgian emigration.

* * * *

საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღსადგენად და საბჭოთა საოკუპაციო რეჟიმისგან ქართველი ერის გასანთავისუფლებლად მომზადებული 1924 წლის აჯანყების დამარცხებამ, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის რიგებში სრული ქაოსი დაამკვიდრა. ამ პროცესის გაღრმავებას, საბჭოთა სპეცსამსახურების გააქტიურებაც უწყობდა ხელს. შექმნილი უმძიესი მდგომარეობიდან გამოსვლის ერთ- ერთ საშუალებას, საქართველოს ემიგრაციული მთავრობის გარშემო, ქართული პოლიტიკური პარტიების ლიდერების გაერთიანება და ერთობლივი ძალისხმევით, ანტისაბჭოთა ფრონტის მაკოორდინერებელი ორგანოს შექმნა წარმოადგენდა. დასახული მიზნის პირველ საფეხურად, პარტიათა შორის კონსესუსზე დაფუძნებული შეთანხმების დოკუმენტის მიღება აუცილებლობად იქნა მიჩნეული. ამ მხრივ, გაბედული ნაბიჯი 1925 წლის 16 ნოემბერს გადაიდგა. მხედველობაში მაქვს ემიგრაციაში მყოფი 4 პოლიტიკური პარტიის (სოციალ-დემოკრატები, ეროვნულ- დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები, სოციალისტ- რევოლუციონერები) ლიდერების (კ.ჩხეიძე, გ. გვაზავა, შ.ამირეჯიბი, ს.ფირცხალავა, იას.გობეჩია) მხრიდან "შეთანხმების დებულებაზე" ხელმოწერა. ამ დოკუმენტის მიხედვით: 1)"შეთანხმების" პოლიტიკურ პარტიებს ერთობლივად უნდა ეწარმოებინათ ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად; 2) საქართველოს ემიგრაციული მთავრობისა და დამოუკიდებლობის კომიტეტის საზღვარგარეთული დელეგაციის მოქმედება, საქართველოს გასანთავისუფლებლად უნდა ყოფილიყო მიმართული; 3) ფრონტის ერთიანობის შესანარჩუნებლად, თითოეული პარტიის წარმომადგენელს, შეთანხმების ყველა მუხლი მკაცრად უნდა დაეცვა.[1]

ქართული ემიგრაციის პოლიტიკური ძალების კონსოლიდაციას, ანტისაბჭოური ემიგრაციული ფრონტის ერთიანობის შენარჩუნებასა და მის განმტკიცებას ისდახავდა მიზნად, ინტერპარტიულ დელეგაციაში გ.გვაზავასა და რ.გაბაშვილის შეყვანა. დოკუმენტური მასალით ისიც დადასტურებულია, რომ ეროვნული ფრონტიდან (ცენტრიდან) ეროვნულ- დემოკრატიული პარტიის გასვლის ფაქტი რ.გაბაშვილმა, მთავრობის თავმჯდომარის სახელზე დაწერილი განცხადებით დაადასტურა. პარტიის

სახელით მისი მხრიდან ეს ნაბიჯი, იმავე პარტიის წევრთა უმრავლესობისთვის და განსაკუთრებით ეროვნულ- დემოკრატიული პარტიის ერთ- ერთი დამფუძნებლისთვის- ექვთიმე თაყაიშვილისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. მითუმეტეს, რ.გაბაშვილის ეს ქმედება, განსაკუთრებულ ამბიციურობაზე იყო დაფუძნებული და ქართული ემიგრაციის ერთიანი ანტისაბჭოური ფრონტის რღვევას ისახავდა მიზნად. რ.გაბაშვილის მხრიდან პოლიტიკური ემიგრაციის მიმართ დაწყებული "პოლიტიკური თამაშის" მძიმე შედეგების გარდუვალობა, ე.თაყაიშვილმა დროულად შენიშნა და ემიგრაციისათვის ამ დარტყმის აცილება, აუცილებლობად მიიჩნია. მხედველობაში მაქვს, მისი უშუალო ინიციატივით, 1929 წლის 28 აპრილს მოწვეული ეროვნულ- დემოკრატიული პარტიის პასუხისმგებელ წევრთა საგანგებო კრება, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ: ექვთიმე თაყაიშვილი, გიორგი გვაზავა, ივანე ზურაბიშვილი, დავით სხირტლაძე, პავლე თუმანიშვილი, ნიკო ჯაყელი, იოსებ სარჯველაძე, დიმიტრი აფხაზი. საოქმო ჩანაწერების მიხედვით, კრებას ე.თაყაიშვილი თავმჯდომარეობდა. დღის წესრიგის ერთადერთ საკითხს, რ.გაბაშვილის მიერ მთავრობის თავმჯდომარის სახელზე შეტანილი განცხადების კანონზომიერება წარმოადგენდა. ამ ფაქტთან დაკავშირებით, იმავე კრების საოქმო ჩანაწერებში ვკითხულობთ: "ბ-ნ, რეზო გაბაშვილს კომიტეტის სახელით წარუდგენია ეროვნულ ცენტრში მემორანდუმი ულტიმატუმი მოთხოვნებისა... საჭიროდაც არ დაუნახავს პასუხისთვის მოეცადა და განუცხადებია წერილობით მთავრობის თავმჯდომარისათვის პარტიის სახელით, რომ ეროვნულ- დემოკრატიული პარტია გადის საერთო ეროვნული ფრონტიდან და იწვევს ყველა პარტიულ წევრს საერთო ფრონტის ორგანიზაციებიდან."[2]

ჩემს მიერ მოტანილი ამონაწერით ირკვევა, რომ რ.გაბაშვილის მიერ გადადგმული ნაბიჯი, ქართული ემიგრაციის პოლიტიკურ ძალთა კონსესუსზე დაფუძნებული ერთიანი ეროვნული ფრონტის დარღვევის მცდელობის პირველ საფეხურს წარმოადგენდა. მისადმი შესაბამისი პასუხის გაცემა, ეროვნულ- დემოკრატიული პარტიის ლიდერების მხრიდან უნდა მომხდარიყო. ეს მძიმე და საპასუხისმგებლო ტვირთი ექვთიმე თაყაიშვილმა თავის- თავზე აიღო და იმავე კრების მონაწილეებს შეახსენა: 1)ემიგრაციაში ეროვნული ფრონტის მთლიანობის აუცილებლობა, საქართველოში მოქმედი მებრძოლი ორგანიზაციის მიერ იყო მიღებული და მის დაუკითხავად, საზღვარგარეთ დროებით შექმნილ ორგანიზაციას, ასეთი რადიკალური გადაწყვეტილების მიღება არ შეეძლო; 2) რამდენადაც რ.გაბაშვილის მიერ კომიტეტის სახელით გაკეთებული განცხადება, იმავე კომიტეტის თავმჯდომარესთან- ივ.ზურაბიშვილთან და კომიტეტის სხვა წევრებთან შეთანხმებული არ იყო, იგი პარტიის ნებაყოფლობის გამომხატველად ვერ ჩაითვლებოდა. ამ და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების გათვალისწინებიდან გამომდინარე, კრების მიერ მიღებულ დადგენილებაში ვკითხულობთ: "1) განცხადება ბ-ნ. გაბაშვილისა, მთლიანი ფრონტის დაშლის შესახებ ჩაითვალოს... საფუძველს და ძალას მოკლებულად. ის არ არის სავალდებულო ეროვნულ- დემოკრატიული პარტიის წევრებისათვის; 2)1925 წლის შეთანხმებით დაარსებული ე.წ. "გამაერთიანებელი ეროვნულ- დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთული ბიურო" გამოცხადებული იქნას დაშლილად და გაუქმებულად; 3)ამ კრებაზე დამსწრე პარტიის პასუხისმგებელი წევრებიდან დაარსდეს... საზღვარგარეთული პარტიის ორგანო სახელწოდებით- "საზღვარგარეთული კომიტეტი ეროვნულ- დემოკრატიული პარტიისა" და აღიარებული იქნას იგი როგორც ერთიანი უმაღლესი ორგანო გაერთიანებული ეროვნულ- დემოკრატიული პარტიისა, რომელმაც უნდა იქონიოს სათანადო კავშირი საქართველოსთან."[3] იმავე კრების დადგენილებით დამტკიცდა ბიუროს ახალი შემადგენლობა (ივანე ზურაბისვილი (თავმჯდომარე), გიორგი გვაზავა (მოადგილე), დავით სხირტლაძე, იოსებ სარჯველაძე (მდივანი). ეროვნულ ცენტრში წარმომადგენლობა ივ.ზურაბიშვილს და გ.გვაზავას მიენდო.

ე.თაყაიშვილის ძალისხმევით, ეროვნულ- დემოკრატიული პარტიის მხრიდან ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობის გაგრძელების მიუხედავად, 1931 წლიდან ქართული პოლიტიკური ემიგრაციის რიგების ერთიანობის შენარჩუნება შეუძლებელი გახდა. ევროპაში მიმდინარე რთული პოლიტიკური პროცესებიდან გამომდინარე, ემიგრაციის შიგნით წარმოქმნილი პრობლემების დროული მოგვარება აუცილებელი შეიქმნა. ამ მიმართულებით პრაგმატული ნაბიჯის გადადგმის მცდელობას 1931 წელს ჰქონდა ადგილი. მხედველობაში მაქვს საქართველოს მთავრობის, დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის წევრების და დამოუკიდებელი კომიტეტის დელეგაციის გაერთიანებული სხდომა (1931 წლის 3 იანვარი). მსჯელობის ძირითად საგანს ემიგრაციის შიგნით დაპირისპირების განმაპირობებელი მიზეზების გარკვევის და ერთობლივად მისი აღმოფხვრის გზების ძიება წარმოადგენდა. ამ საკითხზე მოხსენება ნ.ჟორდანიამ გააკეთა. იგი დამსწრე საზოგადოების მისამართით აცხადებდა: "ემიგრაციას ნაციონალური დისციპლინისკენ უნდა მოვუწოდოთ, თუ ეს არ ვქენით, მაშინ რა აზრი აქვს ჩვენს აქ ყოფნას! მართალია, საქმე წყდება არა აქ, არამედ იქ საქართველოში, მაგრამ ემიგრაციას საქმისთვის

ვნებაც შეუძლია." ასეთი პრეამბულის შემდეგ, მან კატეგორიულად დააყენა საკითხი ემიგრაციის რიგებში უმკაცრესი დისციპლინის დამყარების აუცილებლობის შესახებ. ამ მიმართულებით გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმას, ნ.ჟორდანია ეროვნულ ცენტრს აკისრებდა. იმ შემთხვევაში, თუკი ემიგრაციის პოლიტიკურ ძალებს შორის ურთიერთობა დაპირისპირების ფორმით გაგრძელდებოდა, ნ.ჟორდანიას სიტყვებით რომ ვთქვათ,- ენერგიის დახარჯვისა და შრომის გაწევის მიუხედავად, ემიგრაცია საქართველოს სასიკეთოდ ვერაფერს გააკეთებდა. მითუმეტეს, ევროპაში შექმნილი ურთულესი პოლიტიკური პროცესების ცვალებადობის ფონზე, პოლიტიკური ოპონენტებისგან უცხო სახელმწიფოების წარმომადგენლებთან საქართველოს ემიგრაციული მთავრობის დაბეზღება- "ჩაშვების" ფაქტებს ჰქონდა ადგილი. ხაზგასმით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ემიგრაციული მთავრობის წინააღმდეგ იმ ეტაპზე გამოცხადებული აღნიშნული "იდეოლოგიური ომი", ნებსით თუ უნებლიედ საბჭოთა რუსეთის შესაბამისი სამსახურების ინტერესების ჩარჩოში თავსდებოდა. ისიც გასათვალისწინებელი იყო, რომ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა ურთიერთდაპირისპირების და პოლიტიკურად აწეწილი მიმდინარე პროცესების სიღრმისეული ანალიზი, ქართულ ემიგრაციას მონოლითურობასა და შეთანხმებულად მოქმედებას ავალდებულებდა. მოუფიქრებლად და ნაჩქარევად გადადგმულ ნებისმიერ ნაბიჯს, საქართველოს საკითხის, ევროპის ქვეყნების დიპლომატიური საქმიანობის დღის წესრიგიდან ამოღება და სამუდამოდ დასამარება შეეძლო. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ქართული ემიგრაციის ლიდერთა ნებისმიერი ოფიციალური ქმედება, შორსგამიზნულ პერსპექტივაზე უნდა ყოფილიყო გათვლილი და ცდომილებისგან მაქსიმალურად დაცული. ამის მიღწევა მხოლოდ მაშინ გახდებოდა შესაძლებელი, თუკი ქართული ემიგრაციის პოლიტიკური ძალები საქართველოს კანონიერ მთავრობასთან ერთიან მაკოორდინერებელ ორგანოს შექმნიდა და კონსესუსზე დაფუძნებულ მოქმედების სამომავლო გეგმასაც შეიმუშავებდა. პრობლემის მოგვარების მცდელობას შეიცავდა საქართველოს მთავრობის, დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის წევრების, დამოუკიდებელი კომიტეტის დელეგაციის 1932 წლის 16, 20 და 25 ივნისის ერთობლივი სხდომები. სამდღიანი დისკუსიისა და შესაბამისი დადგენილებების მიღების მიუხედავად, საკითხი გადაუწყვეტელი დარჩა.

ევროპაში საომარი მოქმედებების დაწყებამ და საბჭოთა რუსეთთან ფაშისტური გერმანიის დაპირისპირების გარდუვალობამ, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის წინაშე ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავების აუცილებლობა დააყენა. ამ შემთხვევაში, გადამწყვეტი სიტყვა საქართველოს კანონიერი მთავრობისადმი მხარდამჭერი ემიგრაციული პოლიტიკური ძალების ელიტარულ ფრთას უნდა ეთქვა. მითუმეტეს, იმ ეტაპზე ევროპის უდიდესი ქვეყნები, მნიშვნელოვან ანგარიშს მხოლოდ საქართველოს ემიგრაციულ მთავრობას უწევდა. ამ ფაქტორის არგამოყენება, მომავალი თაობებისა და ისტორიის წინაშე, ქართული ემიგრაციის პოლიტიკური ძალების დანაშაულებრივ ქმედებად ჩაითვლებოდა. ეს უდიდესი პასუხისმგებლობა, ქართული ემიგრაციის ერთ-ერთმა ინტელექტუალმა ლიდერმა და საქართველოს კანონიერი მთავრობისადმი მხარდამჭერმა ექვთიმე თაყაიშვილმა კარგად შენიშნა, და ამ სფეროში არსებული სიცარიელის ამოვსებას შეეცადა. პრობლემის მოგვარების მცდელობის მიზნით, მისი ინიციატივით 1940 წლის 4 თებერვალს დამფუძნებელი კრების წევრთა საგანგებო თათბირი იქნა მოწვეული, რომელსაც 18 წარმომადგენელი დაესწრო.

აღნიშნული სხდომის თავმჯდომარემ ე.თაყაიშვილმა, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ერთიანობის აუცილებლობის საკითხი დააყენა. იმავდროულად, იქ შეკრებილთ მაკოორდინერებელი ორგანოს შექმნის ხელშეწყობისკენ მოუწოდა. მისივე თქმით, ახლადშექმნილ ორგანოს, ემიგრაციაში მყოფი ქართველების შემაკავშირებელი დატვირთვის ფუნქცია უნდა შეესრულებინა და რაც მთავარია, ემიგრაციულ მთავრობასთან ერთად მიღებული გადაწყვეტილებებით, საქართველოს გასათავისუფლებლად ხელშემწყობი საფეხური მოემზადებინა. იმავე ე.თაყაიშვილის სამართლიანი მტკიცებით, ამ მიმართულებით პრაგმატული ნაბიჯის გადადგმას, ევროპაში სწრაფად ცვალებადი პოლიტიკური პროცესებიც განაპირობებდა. ეს თვალსაზრისი, ნ.ჟორდანიამაც გაიზიარა და იქ დამსწრე საზოგადოების წინაშე თავისი პოზიცია შემდეგი ფორმით ჩამოაყალიბა: 1)ქართული ემიგრაციის 19 წლიანი ისტორიის განმავლობაში, ევროპაში პირველად მომზადდა ისეთი ხელსაყრელი მომენტი, რომლიც საქართველოს გასანთავისუფლებლად შეიძლება გამოყენებულიყო; 2)პოლიტიკური პროცესები ქართულ ემიგრაციას კარნახობდა, რომ პასუხისმგებელი პირების შეკრებაზე გადაეწყვიტათ, თუ რა ფორმით მომხდარიყო არსებული დაბრკოლებების დაძლევა და ევროპაში ემიგრაციული მთავრობის ინტერესების დაცვა; 3)ორად გაყოფილი ევროპის პოლიტიკური ძალებიდან, მხარდაჭერა მოკავშირეებისადმი გამოეცხადებინათ და ეს პოზიცია, შესაბამისი დოკუმენტით გაეხმოვანებინათ.

იმავე სხდომის საოქმო ჩანაწერების მიხედვით, პოლიტიკურ ძალთა ერთიანობის აუცილებლობისა

და ორიენტაციის საკითხთან მიმართებაში, ნ.ჟორდანიას მიერ წარდგენილი დეკლარაციის განხილვა, მწვავე დისკუსიის ფონზე წარიმართა. რაც შეეხება ერთიანი მაკოორდინერებელი ორგანოს შექმნას, იმ ეტაპზე შეუძლებელი გახდა. აქედან გამომდინარე, მიღებული დადგენილებით, აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა მომდევნო სხდომისთვის იქნა გადატანილი. საარქივო მასალების მიხედვით, ექვთიმე თაყაიშვილისავე ძალისხმევით და თავმჯდომარეობით, ეს სხდომა 1940 წლის 2 მარტს, დღის სამ საათზე გაიხსნა. შეკრების მონაწილეთა წინაშე მის მიერ წარმოთქმული ვრცელი შესავალი სიტყვა, შემდეგ ძირითად დებულებებს შეიცავდა: 1)საქართველოს დამფუძნებელი კრების უკანასკნელი სხდომის მიერ, საქართველოს ოკუპაციით უცხოეთში გახიზნული მთავრობისადმი მიცემულ დაკვეთას, ქვეყნის სუვერენიტეტის აღსადგენად ევროპაში მუშაობის გაგრძელება წარმოადგენდა; 2)1924 წლის აჯანყების დამარცხებამ, პარტიების ფრაქციებად დაქუცმაცებამ და ურთიერთდაპირისპირებამ, პოლიტიკური ემიგრაციის ავტორიტეტი მნიშვნელოვნად დააზიანა. ევროპაში მიმდინარე გართულებულმა პოლიტიკურმა პროცესებმა და საომარი მოქმედებების გარდუვალობამ, ქართული ემიგრაციის პოლიტიკური ძალების გაერთიანების აუცილებლობა მოითხოვა. დასახული ამოცანის გადაწყვეტა, საფრანგეთში მყოფი დამფუძნებელი კრების წევრთა შეკრებაზე ერთიანი ეროვნული ორგანოს შექმნით იყო შესაძლებელი; 3)იმ შემთხვევაში, თუკი კოალიციისგან საქართველოს "განთავისუფლების" საკითხი დადგებოდა დღის წესრიგში, ე.თაყაიშვილის მტკიცებით, ქვეყნის პატრონობისთვის დამფუძნებელი კრების წევრები უნდა შეკრებილიყო და ახალი საპარლამენტო არჩევნები დაენიშნა. ამ ფონზე, მას დაუშვებლად მიაჩნდა საქართველოს ემიგრაციული მთავრობის, ყოფილი მთავრობის ფორმით მოხსენიება, ან მისი გაუქმების მოთხოვნის დაყენება. ე.თაყაიშვილისავე მტკიცებით, რამდენადაც მთავრობა დამფუძნებელი კრების მიერ იყო არჩეული, იგი ლეგიტიმურ მთავრობად უნდა ყოფილიყო აღიარებული. იმავდროულად დამსწრე საზოგადოებას შეახსენა, რომ საბჭოთა რუსეთისგან დაპყრობილი იმ ერების ემიგრაციამ, რომელსაც მთავრობა არ ჰყავდა, ეს პროცედურული აქტი ევროპაში განახორციელა. ეს ფაქტი, საქართველოს მთავრობისადმი ემიგრაციას მეტი პასუხისმგებლობით დამოკიდებულებას ავალდებულებდა. მითუმეტეს, ევროპის დიდი სახელმწიფოების მეთაურები, ამ მთავრობას საქართველოს საკითხთან მიმართებაში წარსულშიაც და იმ ეტაპზედაც ელაპარაკებოდა. იმ შემთხვევაში, თუკი ქართული ემიგრაციის მესვეურები ეროვნულ მთავრობას იგნორირებას გაუკეთებდა, მისი ცნობა-აღიარების აუცილებლობას, დასავლეთ ევროპის ქვეყნებს ვერ მოთხოვდნენ; 4)მთავრობის ეფექტიანი მუშაობისთვის, ე.თაყაიშვილს აუცილებლობად მიაჩნდა საზოგადოებისგან არჩეული ახალგაზრდების ბაზაზე მთავრობასთან მომუშავე 4- 5 კაციანი წარმომადგენლობის შექმნა. მისი ვალდებულება, საზოგადოებისადმი პერიოდულად ანგარიშის გაკეთება უნდა ყოფილიყო. დამფუძნებელი კრების წევრებისა და ახლად მოწვეული პირებისგან, თანასწორუფლებიანობის პრინციპზე ეროვნული საბჭო ან კომიტეტი უნდა შექმნილიყო, ხოლო მის ბაზაზე, რამდენიმე კაციანი პრეზიდიუმი.[4] თავისი სიტყვის დასასრულს, ე.თაყაისვილი დამსწრე საზოგადოებას ერთხელ კიდევ შეახსენებდა: "ბ.ბ. მომენტი დიდად საპასუხისმგებლოა. ამ პასუხისმგებლობას სამშობლოს წინაშე ვერცერთი ჩვენგანი ვერ აიცდენს. ჩვენი ქვეყანა გაძარცული და პატივაყრილი საკონცენტრაციო ლაგირს წარმოადგენს. არაფერი არ იციან რა ხდება ქვეყანაზე. ამ მდგომარეობაში... იქ ყველა ემიგრაციაზე და მთავრობაზე ამყარებს იმედს. ამათგან მოელის ზრუნვას და შველას. თუ ამ დროს ჩვენ უკუ არ ვაგდეთ ქიშპობა, უთანხმოება, პირადი ამბიციები და საერთო საქმეს ერთობლივად შეთანხმებით ვერ გავუძღვებით, ჩვენ ამას სამშობლო არ გვაპატიებს. ამიტომ სრული იმედი მაქვს, რომ ყველა თქვენგანი ჩაებმება საერთო საქმეში, არ დაზოგავს თავს, გამოიჩენს მაქსიმალურ ენერგიას და გააკეთებს იმას, რის გაკეთებაც შეუძლია საქართველოსთვის."[5]

ე.თაყაიშვილის ზემოაღნიშნული სიტყვა, ქართული ემიგრაციის სინამდვილეზე იყო მორგებული და ევროპაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს იმდენად შეესაბამებოდა, რომ საქართველოს ემიგრაციული მთავრობის თავმჯდომარემ ნ.ჟორდანიამ მაღალი შეფასება მისცა. "იმ მშვენიერი სიტყვის შემდეგ- განაცხადა მან,- რომელიც ეხლა თქვენ მოისმინეთ, მე ბევრი არაფერი დამრჩა სათქმელი..."[6]

საარქივო მასალების შესწავლის საფუძველზე ცნობილი გახდა, რომ იმავე ექვთიმე თაყაიშვილმა, ქართველთა ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმის სახელით 1940 წლის აპრილში საგანგებო მოწოდებით მიმართა ქართულ ემიგრაციას.[7] აღნიშნული დოკუმენტი, ქართული ემიგრაციის ლიდერებს ერთიანობისკენ, ევროპაში მიმდინარე ურთულესი პოლიტიკური პროცესების სწორად გააზრებისკენ, თავდაჭერილი მოქმედებისა და მათზე დაკისრებული მოვალეობის აღსრულებისკენ მოუწოდებდა.

ჩემს მიერ მოტანილი ფაქტების ანალიზი შემდეგი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას იძლევა: 1)სქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დევნილი მთავრობისა და დამფუძნებელი კრების

პრეზიდიუმის წევრების მხრიდან ემიგრაციის პოლიტიკურ ძალთა კონსოლიდაციის მცდელობა (1932 წლის 1, 20, 25 ივნისის და 1939 წლის 28 აპრილის დადგენილებები), 1940 წელსაც მიუღწეველი დარჩა. 2)ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ერთიანობისთვის ე.თაყაიშვილის მიერ გაწეული საქმიანობა, ევროპაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და ქართველი ერის ინტერესებს სრულად შეესაბამებოდა. მისი ინიციატივით მოწვეული დამფუძნებელი კრების (დაესწრო 18 კაცი) წევრთა თათბირზე (1940 წლის 4 თებერვალი) მიღებული დადგენილებები, ერთიანი მაკოორდინერებელი ორგანოს შექმნას და ემიგრაციულ მთავრობასთან ერთად, სამშობლოს გასანთავისუფლებლად პოლიტიკური სიტუაციის შესატყვისი გეგმის შემუშავებას ისახავდა მიზნად. იგი პოლიტიკური ემიგრაციის ერთობლივ ძალისხმევაზე უნდა ყოფილიყო გათვლილი. 3)დამფუძნებელი კრების წევრთა თათბირზე (1940 წ. 2 მარტი) გაკეთებულ მოხსენებაში, ე.თაყაიშვილმა დაასაბუთა: ა)ევროპაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების გათვალისწინების აუცილებლობა; ბ)ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ზოგიერთი წარმომადგენლების მხრიდან, დამფუძნებელი კრებისგან არჩეული ემიგრაციული მთავრობის გაუქმების მოთხოვნის მცდარობა და ლეგიტიმური მთავრობისადმი მხარდაჭერის საჭიროება; გ)საქართველოს საელჩოს აღდგენის შემთხვევაში, ევროპის ქვეყნების ლიდერებისგან, აკ.ჩხენკელის შემცვლელი კანდიდატის არ მიიღების გარდუვალობა; 4)თათბირის მონაწილეებისადმი ე.თაყაიშვილის მხრიდან სამშობლოს წინაშე მაღალი პასუხისმგებლობის შეხსენების ფაქტი, დამფუძნებელი კრების წევრების ბაზაზე ეროვნული საბჭოს შექმნის მხარდაჭერის მიღებას და ემიგრაციულ მთავრობასთან თანამშრომლობის გაღრმავებას ისახავდა მიზნად. ოკუპირებული საქართველოს მოსახლეობაში, ემიგრაციული მთავრობისადმი განსაკუთრებული რწმენისა და მოლოდინის წინა პლანზე წამოწევით, ე.თაყაიშვილმა ქართულ ემიგრაციას, კონსესუსზე დაფუძნებული ერთიანი სამოქმედო გეგმის შემუშავების ვალდებულება შეახსენა. ეროვნული ცნობიერებით დამძიმებული ანალოგიური პათოსი იყო ჩადებული, ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმის სახელით იმავე ე.თაყაიშვილის მიერ ქართული ემიგრაციისადმი 1940 წლის აპრილს გაკეთებულ საგანგებო მიმართვაში.

## დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა


1. შ.ვადაჭკორია. ქართული ემიგრაცია და ეროვნულ- განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში (1921- 1990) წიგნი I. თბ. 2018 წ. გვ. 109
2. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა). ფ. 2117. აღწ. 1, საქ, 284, ფურც. 1
3. იქვე. ფურც. 2
4. სცსა. ფ. 1861. აღწ. 3. საქ. 367. ფურც. 19- 20
5. იქვე. ფურც. 20
6. იქვე
7. იქვე. ფურც. 39- 40

# ბოლშევიკური გადატრიალება რუსეთში და დასავლეთის ფინანსური წრეები

*ედიშერ გვენეტაძე*
*სტუ პროფესორი*

**BOLSHEVIK COUPS IN RUSSIA AND THE WESTERN FINANCIAL CIRCLES**

**Edisher Gvenetadze**

**RESUME**

The article deals with the Bolshevik coup in Russia. The focus is on Western interests in this event. It is suggested that due to the socio-economic development of the world at the beginning of the 20th century, some circles of the West were interested in the Bolshevik coup in Russia and helped the Russian revolutionaries through their finances.

**საკვანძო სიტყვები:** ბოლშევიკები, გადატრიალება, რევოლუციონერები, დასავლეთი, ფინანსები.

* * * *

1917 წლის 16 მარტს რუსეთში მეფის ჩამოგდებიდან ერთი კვირის შემდეგ ლევ ტროცკიმ გაზეთ „ახალ დროების" დროების შენობაში ინტერვიუში თქვა რუსეთის რევოლუციის ნამდვილი მიზნები: „"... კომიტეტი, რომელიც დაიკავა მინისტრთა კაბინეტის ადგილი რუსეთში, არ წარმოადგენს რევოლუციონერთა ინტერესებსა და მიზნებს. რაც ნიშნავს, რომ ეს ყველაფერი დიდხანს არ გაგრძელდება და ადგილს დაუთმობენ ხალხს, რომლებიც უფრო მეტად დარწმუნებულად გაატარებენ რუსეთში დემოკრატიზაციას"[1, 11].

ტროცკიმ მიიღო რუსეთი დაბრუნებისათვის პასპორტი და ამაში მას დაეხმარა პრეზიდენტი ვ. ვილსონი. ვინაიდან ამერიკის ბიუროკრატია მას ურთულებდა პასპორტის მიღებას.

შესაბამისად, მან 1917 წლის 26 მარტს გემით „კრისტიანფიორდით" დატოვა ნიუ – იორკი. ამერიკელი კომუნისტმა ლინკოლნ სტეფენსის თქმით: „მგზავრთა სია გრძელი და იდუმალი იყო. ტროცკი მესამე კლასის კაიუტაში იყო რევოლუციონერთა ჯგუფთან. ჩემს სალონში იყო იაპონელი რევოლუციონერი. ბორტზე იყო ბევრი ჰოლანდიელი, რომლებიც ჩქარობდნენ სახლში. დანარჩენი კურიერები იყვნენ, ორი კი უოლ სტრიტიდან გერმანიაში გაგზავნეს ... "[2, 764].

ლ. ტროცკისთან ერთად რუსეთში დაბრუნდა გ. ჩუდნოვსკი, რომელიც იყო ზამთრის სასახლის შტურმის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, შემდეგ კი კიევის სამხედრო კომისარი. ლ. ტროცკი დააკავეს კანადაში ხოლო შემდეგ გაათავისუფლეს აშშ-ში დიდი ბრიტანეთის საელჩოს თხოვნით. მკვლევართა აზრით ტროცკი დაკავშირებული იყო მსხვილ ბანკირებთან. იგი ამ კავშირებს ახორციელებდა მისი ნათესავის აბრამ ჟივოტოვსკის მეშვეობით, რომელიც იყო ტროცკის ბიძა დედის მხრიდან და ცნობილი საბირჟო სპეკულიანტი და მილიონერი. რევოლუციამდე მას კიევსა და სტოკჰოლმში ჰქონდა კერძო ბანკი. მიუხედავად იმისა, რომ ჟივოტოვსკი ანტიბოლშევიკი იყო 1918 წელს სავალუტო გარიგებებში ის მოქმედებდა საბჭოების სასარგებლოდ.[3]

1917 წლის აპრილში ვ. ლენინმა და ოცდათორმეტმა რუსმა რევოლუციონერმა ძირითადად ბოლშევიკებმა, მატარებლით გაიარეს შვეიცარიიდან გერმანიაზე და შვედეთიდან პეტროგრადში შევიდნენ. ისინი მიიჩქაროდნენ რათა ლევ ტროცკისთან ერთად დაესრულებინათ რევოლუცია. გერმანიის გავლით მათი ტრანზიტი დამტკიცდა, ორგანიზებულ იქნა და დაფინანსდა გერმანიის გენერალური შტაბის მიერ. ვ. ლენინის ტრანზიტი რუსეთში იყო გეგმის ნაწილი, რომელიც დამტკიცდა გერმანიის უმაღლესი სარდლობის მიერ. რომლის მიზანი იყო რუსული არმიის დაშლა და ამით რუსეთის პირველი მსოფლიო ომიდან გამოყვანა. მოსაზრება, რომ ბოლშევიკებს შეეძლოთ მიმართულიყვნენ გერმანიისა და ევროპის წინააღმდეგ, არ წარმოიშვა გერმანიის გენერალურ შტაბში. მოგვიანებით გენერალ-მაიორმა ჰოფმანმა დაწერა: "ჩვენ არ ვიცოდით და არ განვიხილეთ კაცობრიობის საშიშროება ბოლშევიკების რუსეთში გამგზავრების მოსალოდნელი შედეგებისგან".[4, 177[

პოლიტიკური მოღვაწე, რომელმა დააფინანსა უმაღლეს დონეზე ლენინის მგზავრობა რუსეთში იყო კანცლერი თეობლან ფონ ბეტმან-ჰოლვეგი. რომელიც ეკუთვნოდა ფრანკფურტელ ბეტმან ბანკირთა ოჯახს, რომელთაც დიდ წარმატებას მიაღწიეს მე-19 საუკუნეში. ბეტმან-ჰოლვეგი კანცლერად დაინიშნა 1909 წელს.

ოლოფ აშბერგი იყო „ბოლშევიკების ბანკირი", რომელიც ფლობდა 1912 წელს დაარსებულ „ნია ბანკს". მის თანადირექტორთა საბჭოში შედიოდნენ ცნობილი შვედი კოოპერატორები და შვედი სპეციალისტები გ. დალიასის, კ. როსლინგის და კ ერჰარდ-მაგიუნსონის ჩათვლით[5, 98-99] 1918 წელს გერმანიისადმი სასარგებლო ფინანსური ოპერაციის გამო ეს ბანკი მოხვდა მოკავშირეთა შავ სიაში. ამის შემდეგ ბანკმა შეიცვალა სახელი და ეწოდა „სვენს ეკონომიბოლაგეტი". თუმცა ბანკი ისევ რჩებოდა აშენბერგის კონტროლის ქვეშ და ეკუთვნოდა ისევ მას. აშბერგის საქმიანობით დაინტერესებულ პირებში შედიოდნენ: 1. კრასინი(ცნობილი ბოლ-

შევიკი), რომელიც ბოლშევიკურ რევოლუციამდე იყო პეტროგრადში რუსული ფირმის „სიმენს-შუკერტის“ მმართველი; 2. იაკობ ფიურსტენბერგ-განეცკი(1879-1937) ფინანსთა სახალხო კომისარიატის წევრი პირველ ბოლშევიკურ მთავრობაში, შემდეგ საგარეო ვაჭრობისა და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის წევრი და 3. მაქს მეი - „გარანტ ტრასტის“ ვიცე-პრეზიდენტი ნიუ-იორკში, რომელიც პასუხისმგებელი იყო საზღვარგარეთის ოპერაციებზე[5, 123].

1916 წელს ო. აშბერგი, როგორც „ნია ბანკენის“ წარმომადგენელი იმყოფებოდა ნიუ-იორკში მეფის ფინანსთა მინისტრ პ. ბარკთან ერთად. აშბერგის მთავარი მიზანი იყო გაეფორმებინა 50 მლნ. დოლარიანი ხელშეკრულება რუსეთსა და ამერიკის საბანკო სინდიკატებთან, რომელთა სათავეში იდგა სტილმენის „ნეშნელ სითი ბანკი“. ეს გარიგება დასრულდა 1916 წლის 5 ივნისს. მისი შედეგი იყო 50 მილიონიანი კრედიტი რუსეთისათვის წლიური 7,5 პროცენტით. შემდეგ ნიუ-იორკის სინდიკატმა შეცვალა პოლიტიკა და გამოუშვა ამერიკული ბაზრისათვის თავისი სახელით 50 მილიონი დოლარის ოდენობის 6,5 %-იანი სერტიფიკატები.

საბოლოოდ ო. აშბერგმა და „ნია-ბანკმა“ გაუგზავნეს მატერიალური საშუალებები რუს რევოლუციონერებს, რომ ჩამოეგდოთ კერენსკის კომიტეტი და დაემყარებინათ ბოლშევიკური მმართველობა. ამის მტიკიცებულებად მკვლევარ ე. სატონს მოჰყავს კერენკის მთავრობის კონტრდაზვერვის უფროსის პოლკოვნიკ ბ. ნიკიტინის მასალები. ისინი შეადგენენ დეპეშებს სტოკჰოლმიდან პეტროგრადში და პირიქით. რომლებიც ეხება ბოლშევიკთა დაფინანსებას.[6, 112-114]

1922 წელს ბოლშევიკებმა შექმნეს თავის პირველი საერთაშორისო „როსკომბანკი“. ის დაფუძნებული იყო სინდიკატზე, რომლის შექმნაშიც მონაწილეობდნენ კერძო ბანკირები და ახალი ინვესტორები გერმანიიდან, შვედეთიდან, ამერიკიდან და ბრიტანეთიდან. „როსკომბანკს' ხელმძღვანელობდა ო. აშბერგი. მის მმართველობაში შედიოდნენ მეფის დროინდელი რუსეთის კერძო ბანკირები, გერმანიის, შვედეთის და ამერიკული ბანკების წარმომადგენლები და რა თქმა უნდა წარმომადგენელი საბჭოთა რუსეთისაგან.

დასავლეთისათვის ბოლშევიკური გადატრიალების მზადების შესახებ ცნობილი იყო ექვსი კვირით ადრე. ამას მოწმობს ის, რომ დიდი ბრიტანეთის მთავრობამ ექვსი კვირით ადრე გააფრთხილა თავისი მოქალაქეები დაეტოვებინათ რუსეთი. პირველი სრული ანგარიში რუსეთში მომხდარი მოვლენების შესახებ ვაშინგტონში ჩავიდა 1917 წლის დეკემბრის 9-ში. მასში მითითებულია, რომ გენერალი უილიამ ვ. ჯუდსონი შეხვდა ლ. ტროცკის და ამ შეხვედრას სმოლნში საბჭოების შტაბ-ბინაში ესწრებოდნენ გერმანელები.

პრეზიდენტმა ვ. ვილსონმა გასცა განკარგულება არ ჩარეულიყვნენ ბოლშევიკურ გადატრიალებაში. ეს ბრძანებულება იყო პასუხი ფრენსისის კითხვაზე მოწვეულიყო თუ არა მოკავშირეთა კონფერენცია, რომელზედაც დათანხმდა დიდი ბრიტანეთი, სახელმწიფო დეპარტამენტი თვლიდა, რომ ასეთი კონფერენცია იყო უშედეგო.[1, 54]

წითელი ჯვარი ფარულად, ზოგჯერ გამოიყენებოდა, როგორც საშუალება ან საფარი რევოლუციური საქმიანობისთვის. წითელი ჯვრის ემბლემის გამოყენება უნებართვო მიზნებისათვის საკმაოდ ხშირია. როდესაც ნიკოლოზ II პეტროგრადიდან ტობოლსკში გადაიყვანეს, მისი უსაფრთხოების გამო მატარებელს, რომელითაც ის გადაჰყავდათ წითელი ჯვრის ნიშნები ჰქონდა.

1919 წელს, ლონდონში მყოფმა აშშ-ს ელჩმა ვაშინგტონს აცნობა, რომ: „მან ბრიტანეთის მთავრობის მეშვეობით შეიტყო, რომ რამდენიმე ამერიკელი, რომლებიც ამ ქვეყანაში ჩასულიყვნენ წითელი ჯვრის ფორმაში, აცხადებდნენ, რომ ბოლშევიკები არიან... და საფრანგეთსა შვეიცარიაში უნდა ეწარმოებინათ ბოლშევიკური პროპაგანდა. ” ელჩი ასევე აღნიშნავდა, რომ 1918 წლის ნოემბერ-დეკემბერში, ამერიკული წითელი ჯვრიდან 400 ადამიანი ჩავიდა ლონდონში; მათი მეოთხედი დაბრუნდა შეერთებულ შტატებში, ხოლო დანარჩენები დაჟინებით მოითხოვდნენ საფრანგეთში გადასვლას”. იმავე ელჩის ცოტა ადრინდელ მოხსენებაში ასევე ნათქვამი იყო, რომ ამერიკის წითელი ჯვრის სამი სხვადასხვა თანამშრომელი ლონდონში გაზეთ “ლეიბორისტის” რედაქტორს დაუახლოვდა და რამდენჯერმე შესთავაზა ინსტრუქციები გადაეცა გაზეთის მეშვეობით გერმანიაში მყოფი ბოლშევიკებისთვის.

ამრიგად მკვლევარი ე. სატონი, რომელიც ეყრდნობა საარქივო მასალებს წერს რომ 1917 წელს რუსეთში გაგზავნილი ამერიკული წითელი ჯვრის მისია შორს იყო ნეიტრალური ჰუმანიზმისგან. ეს მისია სინამდვილეში იყო უოლ სტრიტის ფინანსისტების მისია, რომლებმაც გავლენა მოახდინეს კერენსკისა და ბოლშევიკებზე, რაც გზას უხსნიდა მათ რუსეთის ბაზრისა და რესურსების კონტროლისთვის.

უილიამ ბოის ტომპსონის სახელი უცნობია XX საუკუნის ისტორიისათვის, თუმცა მან ძალიან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ბოლშევიკურ რევოლუციაში.

კი მაგრამ ვინ იყო ტომპსონი? ის იყო სამთო საქმის აქციონერული საზოგადოების დამაარსებელი. პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე მან ჩაატარა ოპერაციები საბირჟო ბაზარზე ჰუჰენჰეიმის სპილენძის საწარმოებისთვის. როდესაც გუგგენჰემს სასწრაფოდ სჭირდებოდა კაპიტალი ჯონ დ როკფელერის ბაზარზე აქციებთან საბრძოლველად სწორედ ტომპსონი, დაეხმარა კონცერნ „Yukon Consolidated Goldfields“ ომის საბაბით შეეგროვებინა 3.5 მილიონი აშშ დოლარი. როდესაც გუგგე-

ნჰემს სასწრაფოდ სჭირდებოდა კაპიტალი ჯონ დ როკფელერის ბაზარზე აქციებთან საბრძოლველად სწორედ ტომპსონი, დაეხმარა კონცერნ „Yukon Consolidated Goldfields" ომის საბაბით შეეგროვებინა 3.5 მილიონი აშშ დოლარი. ტომპსონი იყო გუგგენჰაიმის კიდევ ერთი საწარმო, სინდიკატ „კენეკოტის"მენეჯერი, რომელიც შეფასებული იყო 200 მილიონი დოლარად. სწორედ სარისკო კამპანიებისთვის კაპიტალის შეგროვების განსაკუთრებული უნარი დაეხმარა ტომპსონს პოზიციების გამყარებას და დირექტორის პოსტების მოპოვებაში იმ კომპანიებში, რომლებიც აწარმოებდნენ აშშ-ში ყველაზე დიდი რაოდენობით სპილენძს. ტომპსონი ასევე იყო რკინიგზების "Chicago Rock Island and Pacific", "Magma Arizona" და სადაზღვეო კომმპანია "Underground Life Insurance" დირექტორი. და რაც ყველაზე საინტერესოა ტომპსონი იყო „Chase National Bank"-ის ყველაზე მსხვილი აქციონერი. სწორედ „Chase National Bank"-ის პრეზიდენტმა ალბერტ უიგინმა უბიძგა ტომპსონს რათა მას მუშაობა დაეწყო ფედერალურ სარეზერვო სისტემაში. 1914 წელს ტომპსონი გახდა ნიუ – იორკის ფედერალური სარეზერვო ბანკის პირველი მუდმივი დირექტორი, რომელიც იყო ყველაზე ფედერალური სარეზერვო სისტემის მნიშვნელოვანი ბანკი.(აშშ – ში ფედერალური სარეზერვო სისტემა, დაარსდა 1913 წელს. ის შეესაბამება ცენტრალური ბანკის კონცეფციას და აქვს დოლარის დაბეჭდვის უფლება, თუმცა ეს არის კერძო ბანკების სისტემა და მის გადაწყვეტილებებში არ არის დამოკიდებული აშშ – ს მთავრობაზე.)

1917 წლისთვის, უილიამ ბოიზ ტომპსონმა დაიწყო მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსების ამოქმედება, გამოავლინა ნიჭიერება კაპიტალის განაწილების პროექტების განსახორციელებლად, რისი მეშვეობითაც ადვილად შეაღწია პოლიტიკური და ფინანსური ძალაუფლების ცენტრებში. ის პირველი იყო, ვინც მხარი დაუჭირა ჯერ ა. კერენსკის, შემდეგ კი ბოლშევიკების მძლავრი მომხრე გახდა. მან დატოვა ამ მხარდაჭერის მუდმივი სიმბოლო - წიგნი რუსულ ენაზე "სიმართლე რუსეთისა და ბოლშევიკების შესახებ".[7]

ცნობილია ისიც, რომ ბოლშევიკური პროპაგანდა გერმანიაში, დააფინანსეს და ორგანიზებული იყო უილიამ ბოის ტომპსონისა და რეიმონდ რობინსის მიერ, ხოლო ქმედებები ხორციელდებოდა რუსეთის სახალხო კომისარიატის საგარეო საქმეთა მინისტრის ლ. ტროცკის მეთვალყურეობით.

ამრიგად ზემოთ მოყვანილი მასალები მოწმობენ იმას, რომ მე 20-საუკუნის დასაწყისში არსებული მსოფლიო სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გამო დასავლეთის გარკვეული წრეები დაინტერესებულნი იყვნენ რუსეთში ბოლშევიკური გადატრიალებით და თავიანთი ფინანსების მეშვეობით ეხმარებოდნენ რუს რევოლუციონერებს.

## ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ:


1. Саттон Э. Уолл-стрит и большевицкая революция. М., 1974.
2. Lincoln Steffens. Autobiography (New York: Harcourt, Brace, 1931), p. 764.
3. ვრცლად ნახეთ. Островский А.В. О родственниках Л.Д. Троцкого по материнской линии // Альманах "Из глубины времен". СПб. 1995. № 4.
4. Max Hoffman. War Diaries and Other Papers (London: M. Seeker, 1929), 2:177.
5. Olof Aschberg. En Vandrande Jude Fran Glasbruksgatan (Stockholm: Albert Bonniers Forlag, n.d.) Memoarer Stockholm: Albert Bonniers Forlag, 1946.
6. Никитин Б. Роковые годы. Париж. 1937.
7. Полковник Виллиам Бойс Томпсон. Правда о России и Большевиках (New York: Russian-American Publication Society, 1918.

# დიალოგური ნარატივის როლი მედიის დემოკრატიზაციის პროცესში

*მარინე ლომიძე*
*სტუ პროფესორი*

**რეზიუმე**

ნაშრომში განხილულია ინტერვიუ-დიალოგის, როგორც დიალოგური ნარატივის მნიშვნელობა მედიის დემოკრატიზაციის პროცესის გაღრმავებაში. ყურადღებაა გამახვილებული იმ ასპექტებზე, როცა პროფესიონალების (კორესპონდენტისა და რესპონდენტის) თანამშრომლობით იქმნება სრულფასოვანი პუბლიცისტური ტექსტი, რომელიც კომუნიკაციის მონაწილეთა საიმიჯო მედიაპროდუქტის ფუნქციას იძენს. განხილული საკითხები საშუალებას იძლევა პასუხი გაეცეს კითხვებს, რესპონდენტი:

• რამდენად გვაცნობს თავისი საქმიანობის გეგმებს, წარსული ამბების ნიუანსებს, დეტალებს;

• რამდენად გვიხსნის ნაცნობი მოვლენებისა და ფაქტების არსს, გვიზიარებს საკუთარ მოსაზრებებს;

• რამდენად აქვს საშუალება სრულყოფილად გამოთქვას საკუთარი აზრი;

• რამდენად იკვეთება ინტერვიუში მისი ინტერესი ჟურნალისტისადმი, როგორც მოსაუბრისა და პიროვნებისადმი.

ჟურნალისტი:

• როგორ აღწევს მიზანს და ინარჩუნებს ინდივიდუალიზმს;

• როგორ იცავს საზოგადოებრივ ინტერესს და ამასთან თავიდან იცილებს კომუნიკაციის ხელისშემშლელ ფაქტორებს;

• როგორ ავლენს პასუხისმგებლობას რესპონდენტისადმი; რამდენად ემიჯნება იდეოლოგიური სტერეოტიპების გავლენას და იცავს მიუკერძოებლობის პროფესიულ სტანდარტს;

• რამდენად ახორციელებს ინტერვიუს მთავარ დანიშნულებას (პიროვნებათაშორისი ვერბალური ურთიერთობა ინფორმაციის მისაღებად, ახალი ცოდნის დასაგროვებლად საზოგადოების ინფორმაციულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება).

**THE ROLE OF DIALOGUE NARRATIVE IN THE DEMOCRATIZATION OF MEDIA**

**Marine Lomidze,**
GTU Professor

**RESUME**

The paper discusses the importance of interview-dialogue as a dialogue narrative in enhancing the process of media democratization. Emphasis is placed on the aspects where, in collaboration with professionals (correspondent and respondent), a full-fledged publicist text is created that acquires the function of the image media product of the participants. The issues discussed allow the respondents to answer the questions:

• How familiar it is with its plans, nuances, and details of its past?

• Explains the essence of familiar events and facts, shares his/her views;

• To what extent is he / she able to express his / her opinion perfectly?

• To what extent in the interview does his / her interest in the journalist, the interviewee and the person show?

Journalist:

• How it achieves its goal and maintains individualism;

• How it safeguards the public interest and at the same time avoids interfering factors;

• How does the respondent show responsibility? To what extent does it fall under the influence of ideological stereotypes and upholds the professional standard of impartiality;

• The extent to which the interview serves the main purpose (interpersonal verbal communication to obtain information, meet the information needs of the public in order to acquire new knowledge).

* * * *

ნაშრომში განვიხილავ ინტერვიუ-დიალოგის, როგორც დიალოგური ნარატივის მნიშვნელობას მედიის დემოკრატიზაციის პროცესის გაღრმავებაში. ყურადღებას ვამახვილებ იმ ასპექტებზე, როცა პროფესიონალების (კორესპონდენტისა და რესპონდენტის) თანამშრომლობით იქმნება სრულფასოვანი პუბლიცისტური ტექსტი, რომელიც კომუნიკაციის მონაწილეთა საიმიჯო მედიაპროდუქტის ფუნქციას იძენს.

საკვლევი კითხვების ნუსხა ვრცელია. მივყვეთ თანმიმდევრობით.

სიტყვა ინტერვიუ (interview) ინგლისური წარმოშობისაა და საუბარს ნიშნავს. სემანტიკის მიხედვით იგი შედგება ორი კომპონენტისგან. პირველი -inter- ნიშნავს შორის, ანუ ურთიერთკავშირს, ხოლო მეორე-view- ნაწილის ერთ-ერთი მნიშვნელობა შეხედულება, მოსაზრებაა. ამდენად, ინტერვიუს ცნების გაგება გულისხმობს მოსაზრების, ფაქტის, მონაცემის ურთიერთგაცვლას.

ინტერვიუ, როგორც კომუნიკაციის აქტი, ითვალისწინებს კითხვა-პასუხის თანმიმდევრულ მონაცვლეობას, რომლის ამოცანაა ინფორმაციის მოპოვება. მაგრამ ამ პროცესის მიზნები განსხვავებულია. ერთ შემთხვევაში იგი ინფორმაციის მოძიების მეთოდია, ხოლო სხვა მხრივ ჟურნალისტური ჟანრი. დიალოგის წარმართვის (კითხვა-პასუხის

რეჟიმი) მიდგომის მიხედვით, ინტერვიუ-მეთოდისა და ინტერვიუ-ჟანრის სტრუქტურა ერთმანეთს ემთხვევა და თითქოს შესაძლებელიცაა მათი ერთ განზომილებაში გააზრება, მაგრამ პრინციპულია მათი ურთიერთგამიჯვნა ათვლის სისტემების განსხვავებულობის გამო.

ერთი ცალსახად ინფორმაციის მოპოვების საშუალება - მიზანდასახული საუბარია კვლევის პროგრამით გათვალისწინებულ კითხვებზე პასუხის მისაღებად. ამ მეთოდს ფართოდ იყენებს ბევრი მეცნიერება და დარგი: სოციოლოგია, ფსიქოლოგია, მედიცინა, კრიმინოლოგია, საზოგადოებასთან ურთიერთობა(PR), საკადრო პოლიტიკა. მათ შორის ჟურნალისტიკა, რომელიც მოპოვებულ ინფორმაციას სხვადასხვა ჟანრობრივ თხზულებაში განფენს.

საუბარი ნებისმიერი მედიაპროდუქტის შესაქმნელადაა საჭირო. ჟურნალისტები ხშირად, არცთუ უსაფუძვლოდ, დოკუმენტების შესწავლაზე მეტად უპირატესობას „ცოცხალი მასალისგან“(ადამიანებისაგან) მიღებულ ინფორმაციას ანიჭებენ. ეს ყველაზე ხელსაყრელი ახალი ამბების ჟურნალისტიკისთვისაა, სადაც ინფორმაციის წყარო შეიძლება არც დასახელდეს სხვადასხვა გარემოების გამო. ინტერვიუს ჟანრის შექმნის შემოქმედებითი პროცესი კი ეფუძნება ინფორმაციის ხილულ წყაროსთან კომუნიკაციას, რომლის ვინაობაც მჟღავნდება და სოციალური სტატუსიც.

ინტერვიუს ჟანრის ნაწარმოები მხოლოდ ისაა, რომელშიც რეალურად არსებულ ადამიანთა რეალურად შემდგარი საუბარია კონკრეტულ საკითხზე საზოგადოების ინფორმირებისათვის ან პრობლემის გასაანალიზებლად. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამგვარი ტიპის ჟურნალისტური თხზულება აქტუალურია სოციალური ინტერესისა და ღირებულების ფაქტორების გამო.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დიალოგის ფორმით შეიძლება დაიწეროს მხატვრული ნაწარმოებიც. განზოგადებული მხატვრული სახეების გმირებს, შესაძლოა, პროტოტიპებიც ჰყავდეს, მაგრამ, ცხადია, არც ესაა ჟურნალისტური ჟანრი. ეს მოხდენილი მხატვრული ხერხია იმისათვის, რომ მწერალმა დინამიკა და ერთგვარი სიმძაფრე შემატოს ტექსტს.

ამრიგად, ურთიერთობის ძველთაძველი ფორმა - საუბარი - არ კარგავს აქტუალობას. არასდროს ყოფილა იგი ისე სიცოცხლისუნარიანი, როგორც დღეს. თანამედროვე ინფორმაციით გაჯერებულ გარემოში, სადაც ასე მძლავრობს ცრუ ინფორმაციის დამკვიდრების ტენდენციები, ზნენაკლულ ადამიანთა ამბიციები, ფასდაუდებელია ინფორმაციის გავრცელების სოციალური პასუხისმგებლობა, რითაც ჟურნალისტთა პროფესიული მოვალეობის შესრულება ლამის გმირობადაა ქცეული, ხოლო გამოხატვის თავისუფლება - აულაგმავ უზნეობად და უკაცურობად. მე „სი-ენ-ენის“ ცნობილი სლოგანის - „ჟურნალისტიკას ქმნის არა ტექნოლოგიები, არამედ ინტელექტი“ მომხრეთა შორის ვარ, ვისთვისაც ეს დებულება ჟურნალისტური საქმიანობის ქვაკუთხედია და ვინც პასუხისმგებლობასა და კეთილსინდისიერებას სასიცოცხლო ფუნქციას უტოლებს ამ პროფესიაში.

აქვე მიზანშეწონილად მიმაჩნია რამდენიმე თეორიული ასპექტის ხაზგასმა, რაც, ვფიქრობ, გამიადვილებს საკითხის რელიეფურად წარმოჩენას.

ინტერვიუს, როგორც ჟურნალისტური ჟანრის, პოპულარობა XIX საუკუნეს უკავშირდება, როცა სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების კვალობაზე პრესის განვითარებამ საზოგადოებრივი მნიშვნელობის ამბების გასავრცელებლად ინფორმაციის პირველწყაროებს მიანიჭა უპირატესობა. ინტერვიუს ორიგინალურ ჟანრს სპეციალისტები განიხილავენ საუბრის წარმართვის მანერის პრინციპით, რომელიც ვლინდება საუბრის მონაწილეთა ქცევის თავისებურებითაც და ჟურნალისტური ნაწარმოების შესრულების ხერხების გამოყენების უნარით. ამ მიდგომის საფუძველზე ძირითადად სამი მოდელია ცნობილი. პირველი კონფრონტაციულია, როდესაც ჟურნალისტი არ ენდობა რესპონდენტს, როგორც ინფორმაციის წყაროს და ყველაფერში ორმაგ აზრს/თვალსაზრისს ეძიებს. მეორე-ელიტარული სტილი - კონფრონტაციული სტრატეგიის საწინააღმდეგოა, როცა ერთგვარად მაღალია ჟურნალისტის სოციალური პასუხიმგებლობა და იგი კონკრეტული სოციალური ჯგუფის ინტერესთა დამცველად გვევლინება. საუბრის გაბმის მესამე ხერხი -პარტნიორულად იწოდება.

ამგვარი სახელდების საფუძველი ჟურნალისტისა და მისი თანამოსაუბრის ერთობლივი შემოქმედებითი საქმიანობის შედეგია. ასეთი კომუნიკაცია ჟურნალისტს „აიძულებს“ იფიქროს არა „ინფორმაციის შეგროვების“ პოზიციიდან, არამედ „სიახლის ძიების“ მიდგომით, როცა დიალოგის პროცესში ორივე მონაწილე ქმნის ახალ ცოდნას და თანაბრად ეკისრება პასუხისმგებლობა ურთიერთობის შედეგზე. ეს მიდგომა ჟურნალისტისგან ერთგვარ თავდადებასაც მოითხოვს - მოსაუბრის სამყაროში „შეღწევას“, მისი ცხოვრებისა და საქმიანობის წესების, აზრების, მოტივის შესაბამისად აღქმას და საქვეყნოდ გაცხადებას.

მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით ინტევიუს რამდენიმე მოდელს განიხილავენ. მათი განსჯა ჩვენს მსჯელობას შორს წაიყვანს. ამჯერად მხოლოდ ორ მათგანზე შევაჩერებ ყურადღებას: ინტერვიუ-შეტყობინება (ინფორმაციის გავრცელება) და ინტერვიუ-მოსაზრება (მოსაზრების, შეფასების გასაჯაროვება). სპეციალურ ლიტერატურაში მათი ამგვარი სახელდებაც გვხვდება: ინფორმაციული და ანალიტიკური. ინტერვიუ-შეტყობინებაში კორესპონდენტისა და რესპონდენტის მთავარი ინტერესი არსებითად სამი ძირითადი კითხვით(რა, სად, როდის) ამოიწურება. ანალიტიკური (მოსაზრებისა და თვალსაზრისის) ჟურნალისტიკა მიზეზშედეგობრივ მსჯელობას ითხოვს და შესაბამისად მეტ კითხვასაც - რატომ, როგორ, რა მიზეზით, რა მიზნით, რას ნიშნავს ეს და ა.შ.

ინტერვიუს ეს ტიპი ითავსებს ცნობილი 5 W+ 1H-ის (Who, What, When, Why, Where + How: ვინ, რა, სად, რატომ, როდის + როგორ) პრინციპს და ავრცობს კიდეც მას. მხოლოდ ასეა შესაძლებელი გამოვლინდეს რესპონდენტის კონკრეტული შეფასებები, მიმდინარე პროცესებისადმი მისეული შეფასებები, ვარაუდები, მოსაზრებები, პოზიციების სათანადო დასაბუთება და სხვა. ამავდროულად ფაქტობრივად ყოველი ინტერვიუ მოიცავს ორივე სახეობის ელემენტებს, კლასიფიკაცია რომელიმე შემადგენლის სიჭარბეს გამოხატავს. მაგალითად, ინტერვიუ-მოსაზრება შეუძლებელია შეტყობინების გარეშე, ისევე როგორც შეტყობინებისას გარკვეული პოზიცია(ნებით თუ უნებლიეთ) შეინიშნება.

კომუნიკაციის პროცესის მარტივ მოდელში ინფორმაციის გადაცემა ითვალისწინებს ამბავს(მოვლენას, გმირს), ჟურნალისტსა და აუდიტორიას, სადაც მთხრობელი ჟურნალისტია. ინტერვიუს შემთხვევაში სწორედ მოქმედი პირი გვიყვება ამბავს, ოღონდ კონკრეტული მედიასაშუალების მეშვეობით. ამ ჟანრის გამოყენება განსაკუთრებით მაშინაა უმჯობესი, როცა ინტერვიუირებული დარგის წარჩინებული წარმომადგენელია, ავტორიტეტით სარგებლობს და მისი პერსონისადმი საზოგადოებრივი ინტერესი მაღალია.

ერთი შეხედვით, ამგვარი კომუნიკაცია თითქოს უფრო იოლია ჟურნალისტისათვის, რადგან თხრობის ტვირთი, გადმოცემის „სიმძიმე" რესპონდენტს ეკისრება. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. ამითაც შეიძლება აიხსნას ჟურნალისტების მხრიდან ამ ჟანრისადმი „მსუბუქი" დამოკიდებულება.

რამდენად დინამიკური, ადვილად აღსაქმელი და დამაინტრიგებელი იქნება საუბარი, მნიშვნელოვნადაა განპირობებული წამყვანზე, კორესპონდენტზე, რომელიც პროცესის წარმმართველი უნდა იყოს. ხშირია შემთხვევა, როცა ჟურნალისტის უნიათობის გამო, სადავეს მოსაუბრე იღებს და თავად იწყებს პროცესის გაძღოლას. ზნენაკლული არაპროფესიონალი რესპონდენტის ხელში მედიაპროდუქტი სოციალურ ფუნქციას კარგავს და საუბრის ამგვარი ვარიანტი არასრულფასოვანი ხდება. იდეალური ვარიანტია, როცა ჟურნალისტი ფლობს სათანადო მასალას, კარგად იცნობს პრობლემას, თემას, რესპონდენტს და საუბარს წარმართავს საზოგადოებრივი ინტერესის დასაკმაყოფილებლად. (ასეთი მიდგომა ერთობ სასურველი გახდა ჩვენი ქართული რეალობისთვის).

ისეც ხდება, როცა დიალოგში ორივე დაინტერესებული მხარე დაჟინებით ცდილობს საკუთარი უპირატესობის წარმოჩენას და ერთგვარ დუელს მართავს-ვინ ვის აჯობებს. აუდიტორია ამ შემთხვევაშიც გაწბილებული რჩება.

დღევანდელ ქართულ მედიაში(განსაკუთრებით შესამჩნევი ეს სამაუწყებლო მედიაშია) ჟურნალისტისა და სტუმრის საუბარი ხშირად საომარ ველს ემსგავსება-ორ ხმაში წარმართულ დიალოგში, როცა ორივე მხარე ბრალდებების ენით, ნიშნის მოგებით, და თანაც აღმატებული, არასაჭირო ტონით საუბრობს, იკარგება მთავარი სათქმელი, რა მიზნითაც შეხვედრა შედგა. დაზარალებული ისევ აუდიტორია რჩება, რადგან საკითხის არსს ვერ სწვდება და დროსაც ფუჭად კარგავს, თუ დიალოგის პროცესს ეკრანთან ბოლომდე „შერჩა" ან გაზეთი დროულად არ გადადო გვერდზე.

ეს სიტუაცია მხოლოდ ქართული პრობლემა არ ყოფილა. ამ მიდგომას უკანასკნელ წლებში ევროპასა და ამერიკაში უპირისპირებენ ინტერვიუს ე.წ. ახალ მეთოდოლოგიას, რომლის ერთ-ერთი ინიციატორიც ცნობილი კანადელი ჟურნალისტი ჯონ სავატსკია. მისი აზრით, კითხვა-პასუხის კომუნიკაციის არსებული სტერეოტიპი უნდა დაინგრეს. კითხვის დამსმელსა და მოპასუხეს შორის „პაექრობა", კანადელი ჟურნალისტის თქმით, ადამიანების ნებისმიერ საუბარს ახასიათებს და არ შეესაბამება ჟურნალისტური ინტერვიუსთვის განკუთვნილი ინფორმაციის მოპოვების ხერხს. ჯონ სავატსკი ფიქრობს, რომ ინტერვიუში შეჯიბრება არ უნდა იყოს, ინტერვიუში უნდა დაისვას კითხვები, რომლებსაც პასუხები უნდა გაეცეს.

ინტერვიუში არაჯანსაღი პაექრობის პრინციპის უარყოფა და პარტნიორული ურთიერთობის დამკვიდრების მცდელობა თანამედროვე ჟურნალისტური პრაქტიკის ჭეშმარიტი მონაპოვარია.

სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების ფაქტორებმა ინფორმაციული ნაკადის მოზღვავების პირობებში ახალი რეალიების წინაშე დააყენა კომუნიკაციის მონაწილეები. ერთი მხრივ, იდეოლოგიზირებულმა პოსტსაბჭოთა ჟურნალისტურმა საქმიანობამ ჯერ კიდევ ვერ გაითავისა ახალი დროებისათვის დამახასიათებელი გახსნილობის, გამჭვირვალობისა და ტოლერანტობის პრინციპები. მეორე მხრივ, არასწორად გაგებულმა გამოხატვის თავისუფლებამ „მეოთხე ხელისუფლება" ძალაუფლების უმართებულო ხერხებით „აღჭურვა".

ზემოთ მოყვანილი კონფრონტაციული სტილის აგრესიულობა და ელიტარული მოდელის მიკერძოებულობა, რბილად რომ ვთქვათ, არ პასუხობს დროის მოთხოვნებს. აუდიტორია ჟურნალისტისგან ელის პროფესიულად გამართულ, ადვილად აღსაქმელ, მოსაუბრისადმი კეთილგანწყობილი დამოკიდებულებით გაჯერებულ ინფორმაციასა და მსჯელობას. ჟურნალისტი ე.წ. მოდერატორია ინფორმაციის წყაროსა და ინფორმაციული პროდუქტის (მედიაპროდუქტის) მომხმარებელს შორის. ეს შუამავლობა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს სასაუბრო თემის შინაარსს, ტონალობას და სოციალურ პასუხისმგებლობას, რომ სწორად იქნას აღქმული მოსაუბრის გზავნილების კონტექსტი. ამავდროულად ჟურნალისტი ავლენს შემოქმედებით უნარს დასმული კითხვის ფორმულირებით, რითაც ვლინდება მისი ინფორმირებულობა, ერუდიცია, ტაქტი და ეთიკის ჩვევები.

საუბრის მონაწილე პირი მის მიერ გაცხადებული ფაქტობრივი მასალით, ორიგინალური მოსა-

ზრებებითა და პოზიციით უშუალოდ მონაწილეობს მედიაპროდუქტის შექმნაში. ინფორმაციის გავრცელება ან კონკრეტულ საკითხზე მსჯელობა მოქმედი პირის მეშვეობით მოვლენური საბაბის ჩვენებას უფრო მოსახერხებელს ხდის ოპერატიულობისა და სარწმუნოების თვალსაზრისით.

საუბრის მონაწილეთა ასეთი ტანდემი ქმნის სწორედ ინტერვიუს ორიგინალურ ფორმას, რომელიც მიმზიდველი ხდება აუდიტორიისათვის და მოსაუბრეთა გაწეულ შრომას ეფექტიანს ხდის.

ნებისმიერი მედიაპროდუქტის შექმნის პროცესში ჟურნალისტი არჩევანის წინაშე დგება-უნდა მიიღოს გადაწყვეტილება რა დოზით(მოცულობით) და როგორ წარმოაჩინოს პიროვნება, როგორც ინფორმაციის წყარო.

ამ დილემის გადაჭრას არსებითად საკუთრივ ჟანრი განაპირობებს. სათქმელი თვითონ ითხოვს სათანადო ფორმას. ინტერვიუსთვის რესპონდენტის შერჩევის კრიტერიუმს განსაზღვრავს როგორც მკითხველთა ინტერესები, ასევე ავტორის პოზიცია. თუ რესპოდენტი ცნობილი და გამორჩეულად საინტერესო მოსაუბრეა, იგი იმთავითვე „მომგებიანი" პერსონაა ჟურნალისტისათვის და შესაბამისად, ამ დიალოგს არ სჭირდება ჟანრისთვის დამახასიათებელი განსაკუთრებული სიახლის შემცველი ინფორმაციული საბაბი, რომლის არარსებობითაც ზოგადად შესაძლოა დაიჩრდილოს ჟურნალისტური ფორმის თავისებურება. ყველა წარმოდგენილ ინტერვიუში საგრძნობია ჟურნალისტისგან გადადგმული ნაბიჯის მოტივაცია, რომელიც გასაგებია რიგითი მკითხველისათვის.

დიალოგის შინაარსად გვევლინება ინფორმაციის შეცნობა და გაცვლა, ამავდროულად ინტერვიუს ეს ფორმა წარმოადგენს სოციალური ურთიერთობის ნიმუშს, რომლითაც ხდება ღირებულებათა სისტემის ფორმირება, გარკვეულწილად განზოგადებაც, რასაც ორივე მხარისათვის (ინტერვიუერისა და ინტერვიუირებულისათვის) პრინციპული მნიშვნელობა აქვს. ამგვარად წარმოდგენილი დიალოგები პერსონიფიცირებული ურთიერთობების გამოხატულებაა, რაც დიდ სოციალურ ენერგიას ატარებს და სათანადო გავლენას ახდენს მკითხველის ცნობიერებაზე. თუმცა სახელდობრ საკითხთა სიმრავლე და მოცულობა (ინტერვიუების პერიოდულობა, დროში განფენილობა) განსაზღვრავს დიალოგის მონაწილეთა ურთიერთობის მრავალფეროვნებას: წინასწარ შედგენილი კითხვარი და ინტერვიუ - იმპროვიზაცია. ამ ურთიერთობაში თანამოსაუბრეები თანაბრად ქმნიან დინამიკას საგნობრივი ინფორმაციით, უპირატესად საზოგადოებრივი ინტერესის ამსახველი საკითხების განხილვით.

ინტერვიუებში წამოჭრილი უნდა იყოს ყველა მნიშვნელოვანი საკითხი თუ პრობლემა, რომელიც ბოლო ათწლეულებია ასე სასიცოცხლო მნიშვნელობისაა ჩვენი ქვეყნისა და ხალხისათვის. ეს არის ქართველი საზოგადოების მორალურ-ზნეობრივი სახე, ქვეყნის განვითარების არსებული მდგომარეობა და პერსპექტივები, როგორც მატერიალური და სულიერი აღორძინების, მთავარი სოციალური ფაქტორი, ახალგაზრდობის განათლების, მიგრაციის პრობლემები და სხვა. უნდა ჩანდეს, რომ რესპონდენტს ყველაფერი აწუხებს, რაც მნიშვნელოვანია ქართველი კაცისთვის: მშობლიური მიწა, ენა, წიგნი, დაკარგული ტერიტორიები, მოქალაქეობრივი შეგნება, პასუხისმგებლობა. მას ყველაფერზე აქვს თავისი მოსაზრება, ყველა კითხვაზე აქვს პასუხი.

საკითხების მრავალმხრივი გაშუქების პრინციპის დაურღვევლობა წარმოდგენილი ინტერვიუების ტენდენციად იკვეთება. ნათქვამის დასადასტურებლად გამოვყოფ ჟურნალისტური საქმიანობის რამდენიმე მახასიათებელს.

ჟურნალისტური ჟანრები ზოგადად ნაკლებად მყარი კატეგორიაა. ისინი იხვეწება, სახეს იცვლის, ერთმანეთში იჭრება. ყოველ ნიჭიერ ავტორს მასში რაღაც მისეულად ორიგინალური შეაქვს. ინტერვიუს შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს „თავისუფალი ცურვის" პრინციპის გამოყენება, როდესაც კითხვა ისე დაისმის, რომ გულისხმობს პასუხის ყველა შესაძლო ვარიანტს: თემის ამომწურავი, მოკლე, გავრცობილი, განგაშის სიმბოლო და ა.შ. ამგვარი მოდელის არჩევით ჟურნალისტი განსაზღვრავს წინასწარმომზადებული კითხვების მნიშვნელობას, ხოლო იმპროვიზებულს წარმოაჩენს მათგან ლოგიკურად გამომდინარეს, დამატებითი კითხვები დასვას იმ შემთხვევაში, თუკი მოსაუბრის პასუხი გაუგებარია, ან რესპონდენტს არ შეუძლია (ან არ სურს) კვალიფიციურად გასცეს კითხვას პასუხი. გამოსავალი, უმთავრესად, ერთია, კორესპონდენტი კითხვას მისთვის სასურველი ვარიანტით ცვლის, რაც პროფესიულ უნარს საუკეთესოდ წარმოაჩენს.

ასეთ ვარიანტებში ე.წ. თავისუფალი ცურვის პრინციპი მოქმედებს საუბრის ორივე მონაწილისათვის. ჟურნალისტები გააზრებული, მიზანმიმართული კითხვების დასმით ამჟღავნებენ წამოჭრილი პრობლემების მასშტაბურობას. თანმიმდევრულად მიჰყვებიან პასუხებს სათანადო კითხვებით, საჭიროების შემთხვევაში აზუსტებენ პასუხს დამატებითი კითხვით, და, რაც ასე მნიშვნელოვანია, არსად არ იგრძნობა, რომ რესპონდენტი შეზღუდულია აზრის გამოთქმაში. მისი სივრცე ყოველთვის თავისუფალია და მისდამი კეთილსაიმედოდ განწყობილი. ეს კი ადასტურებს, რომ ჟურნალისტი თავს ართმევს სოციალურად განსაზღვრულ მოთხოვნას: მისცეს საშუალება მოსაუბრეს, დაეხმაროს მკითხველ აუდიტორიას საზოგადოებრივი შეგნების გაფართოებაში. ინტერვიუირებულის ფაქტობრივი დანიშნულება ხომ სწორედ ესაა: ადამიანები გაერკვნენ კონკრეტულ საკითხებში, გაიმყარონ შეხედულებები, გაეცნონ უცნობ პოზიციებს, გაუჩნდეთ მოქმედების სურვილი; ხელი შეეწყოს უცილობელი ფასეულობების დამკვიდრება- განმტკიცებას, საყოველთაო წინსვლას.

ზოგადად, ურთიერთობის პროცესში პიროვნების დადებითი თვისებების გამოყენება უნივერსა-

ლური ფაქტორია, რომელიც თანაბარი წარმატებით მოქმედებს როგორც დადებითი, ისე კრიტიკული ინფორმაციის მოპოვებისას. ჟურნალისტთან საუბრისას რესპოდენტი წარმოგვიდგება ინფორმაციული სისტემის მრავალსახოვან ელემენტად. იგი, ასე ვთქვათ, წარმოადგენს თავისი ცხოვრების გარკვეულ ეტაპებს, რომელთაც თან სდევს ავტორისეული გამარჯვებები, სიძნელეები, პიროვნული და შემოქმედებითი განვითარება და სხვა.

დიალოგში თანმიმდევრულობის პრინციპის დაცვით ჟურნალისტები ახერხებენ, ერთი შეხედვით, უმტკივნეულო საკითხების გარკვევიდან იმ თემებზე გადასვლას, რაც რესპონდენტს პირდაპირ ეხება. „თანმიმდევრულობის ეფექტი“ მხოლოდ წინასწარგანსაზღვრული კითხვების ჩამოყალიბებას არ გულისხმობს. იგი მიზნად ისახავს მოსაუბრისათვის ერთგვარი ფსიქოლოგიური ინერციის შექმნას, რაც მსჯელობის პროცესში წარმოიშობა და პრობლემის არსებით მხარეს მოიცავს.

ჟურნალისტისათვის უდიდესი ფუფუნებაა საინტერესოდ მოაზროვნე რესპონდენტი, რომელიც გამორჩეულ ხიბლს სძენს მედიაპროდუქტს. ამავდროულად, ამგვარ რესპონდენტთან საუბარი ჟურნალისტის პროფესიონალიზმის ერთგვარი ინდიკატორია. სხვაგვარად ჟურნალისტის მხრიდან შეიძლება ერთგვარი გამბედაობის ტოლფასიც იყოს - სწორად გაიგოს და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, დაუზიანებლად მიიტანოს მკითხველამდე ინტერვიუირებულის მთავარი სათქმელი იმ ნიუანსებით, რომელიც მისი აზროვნებისა და გამოთქმის ინდივიდუალობას განაპირობებს.

კორესპონდენტის ე.წ. ჩაღრმავება, ანუ ერთგვარი „ჯიუტობა“, საშუალებას აძლევს ინტერვიუირებულს მისთვის ჩვეული მანერით წარმოაჩინოს მოვლენები, პროცესები. ჟურნალისტის სწორედ ეს „ჯიუტობა“ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება განვიხილოთ როგორც ერთგვარი მასტიმულირებელი ფაქტორი.

სპეციალისტთა აზრით, ამგვარ დიალოგში, ისევე როგორც სხვა ტიპის ურთიერთობებში, ადამიანი იკმაყოფილებს საკუთარი ინდივიდუალობის რეალიზაციის, ანუ თვითრეალიზაციის მოთხოვნილებებს. ურთიერთობის ფუნქცია მრავალგვარია. ადამიანთა კავშირის დანიშნულება სხვადასხვა ინფორმაციის გადაცემითაც გამოიხატება. ურთიერთქმედება შეიძლება გავიგოთ როგორც დიალოგის მონაწილეთა ერთობლივი საქმიანობის პროცესი - საუბარი საერთო ამოცანის გადასაჭრელად: მკითხველისათვის ინფორმაციის აღქმისა და რესპონდენტის პიროვნული ფაქტორის გაგება-გაცნობიერების გაადვილება. თუმცა კორესპონდენტისთვის არსებითია არა მარტო რესპონდენტის საქმიანობის ობიექტური არსი, არამედ ქმედების მოტივი, ზნეობრივი რეგულატორი, მოვლენათა სუბიექტური ფონი. ამ მეტად მნიშვნელოვანი ინფორმაციის მისაღებად მკაცრი თანმიმდევრულობით განსაზღვრული კითხვა-პასუხი იცვლება საუბრის თავისუფალი სტილით, ხშირად იმპროვიზებული საუბრის წარმართვის ფორმით, სადაც რაციონალური საგნობრივი ინფორმაციის პარალელურად გარკვეული წილი ინფორმაციის ემოციურად მიწოდების ფორმებსაც განეკუთვნება.

სათაური დიალოგური ნარატივის, ინტერვიუ-დიალოგის ჟანრის შიდა სტრუქტურის მთავარი კონსტანტია. მისი საშუალებით მჟღავნდება აზრის მიმართულება, იკვეთება მოსაუბრის დამოკიდებულება. კონკრეტული ჟანრის (ჟურნალისტური გამოსვლის) თვისებრივი ნიშანი, როგორც პუბლიცისტური ღირებულების პოტენციალური დამადასტურებელი, სათაურია. იგი ინფორმაციულობის ხარისხით, ფაქტობრივი მასალის განზოგადებით, მიზნობრივი დანიშნულებით ავლენს ჟანრობრივ თავისებურებებს. ინტერვიუში თითქმის წესადაა რესპონდენტის საუბრიდან ფრაზის ან სიტყვის სათაურად გამოტანა. გამართლებულია ჟურნალისტთა გადაწყვეტილება. ყველა ინტერვიუს სათაური ან პირდაპირაა ტექსტიდან ციტირებული ან პერიფრაზია, რაც კონკრეტულ საკითხზე რესპონდენტის პოზიციას გამოხატავს და უნდა ვივარაუდოთ, რომ მას ჟურნალისტიც იზიარებს.

აი, ამგვარ პრინციპებზე აგებული დიალოგური ნარატივი-პუბლიცისტური ტექსტები განაპირობებენ მედიის დემოკრატიზაციის პროცესის გაღრმავებას. მკითხველებს კი საშუალება გვეძლევა პასუხი მივიღოთ კითხვებზე, რესპონდენტი:

• რამდენად გვაცნობს თავისი საქმიანობის გეგმებს, წარსული ამბების ნიუანსებს, დეტალებს;

• რამდენად გვიხსნის ნაცნობი მოვლენებისა და ფაქტების არსს, გვიზიარებს საკუთარ მოსაზრებებს;

• რამდენად აქვს საშუალება სრულყოფილად გამოთქვას საკუთარი აზრი;

• რამდენად იკვეთება ინტერვიუში მისი ინტერესი ჟურნალისტისადმი, როგორც მოსაუბრისა და პიროვნებისადმი.

ჟურნალისტი:

• როგორ აღწევს მიზანს და ინარჩუნებს ინდივიდუალიზმს;

• როგორ იცავს საზოგადოებრივ ინტერესს და ამასთან თავიდან იცილებს კომუნიკაციის ხელისშემშლელ ფაქტორებს;

• როგორ ავლენს პასუხისმგებლობას რესპონდენტისადმი; რამდენად ემიჯნება იდეოლოგიური სტერეოტიპების გავლენას და იცავს მიუკერძოებლობის პროფესიულ სტანდარტს;

• რამდენად ახორციელებს ინტერვიუს მთავარ დანიშნულებას (პიროვნებათაშორისი ვერბალური ურთიერთობა ინფორმაციის მისაღებად, ახალი ცოდნის დასაგროვებლად საზოგადოების ინფორმაციულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება).

# ქართული ტრადიციული მეურნეობის ფსიქოლოგიური და ეთნოსოციოლოგიური მახასიათებლები

*ირმა კეცხოველი*
*სტუ-ს პროფესორი*

## PSYCHOLOGICAL AND ETHNO SOCIAL CHARACTERISTIC OF GEORGIA TRADITIONAL ECONOMY

**Irma Ketskhoveli**
Professor of GTU

**RESUME**

The characteristic of traditional Georgian economy was defined by the executive psychology, and it was the base for the expression of specific and social being of traditional economy. Sometimes this attitude changed according illusion and technology of cultivation and the practice of using natural resources looked more perspective. To look through the Georgian agriculture economy, in fact, it was fully depended on cultivation of Georgian as geographical area. In the same time, it is based on several psychological and ethno social events.

What about now days, it is true that too many things have changed and changes every day for the reason of different objective and subjective cases, one and the most important thing must be migration of foreigners which is interested from the point of view of coincidence, for example, if it similar with the local population needs and attitudes. From the point of view of this if it is coincided the agricultural economy of local population and foreigner's, is not it the base of conflicts and if they are equal in different problems.

* * * *

ტრადიციული მეურნეობრიობის ხასიათი განსაზღვრავდა ქართული მეურნის ფსიქოლოგიას, რომელიც საყრდენი იყო ქართული მეურნეობრიობის თავისებურებათა და სოციალური ყოფის გამოსახატავად მეურნეობის გაძღოლის ეროვნულმა წესმა და თავისებურებებმა არსებითი გავლენა მოახდინეს ქართველი კაცის არა მარტო სამეურნეო თვისებების ჩამოყალიბებაზე, როგორიცაა: ეკონომიკური აზროვნება, შემოქმედებითი მიდგომები და კულტურების განვითარებისა ფორმებისა და მეთოდების შეთანწყობის უნარი. სწორედ ამიტომ იყო, რომ გლეხკაცის ცხოვრება და ფიქრებიც მომავალზე იყო გათვლილი და ილუზიებითაც ივსებოდა. ამავე დროს თვალს თუ გადავავლებთ ქართული სამეურნეო ეკონომიკას, იგი მთლიანად იყო დამყარებული საქართველოს გეოგრაფიული სივრცის ათვისება-დამუშავებაზე, რამაც მრავალფეროვნება შესძინა ქართულ სამეურნეო ტრადიციებს.

როგორც ცნობილია, „...ისეთ ქვეყანაში, სადაც არსებობისათვის ბრძოლაში ეყრდნობა მიწათმოქმედებას" და მიწის დამუშავებას: ასეთ ქვეყანაში ხალხის იდეოლოგია, ესთეტიკა, რელიგია – ხალხის სული თავის ილუზიებით, იდეალებით, სოციალური ყოფისა და ბუნებრივი პირობებისაკენ არის მიმართული. ასეთი სამეურნეო შემოქმედება ყველასათვის ცნობილია; დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველო თავისი მრავალფეროვანი ბუნებით იზიდავდა და იზიდავს სტუმარს და მოყვარეს, შორეულს და ახლობელს. ეს იყო არა მარტო ვაზი, არამედ მეხილეობა, მესაქონლეობა და სხვა (ერთ სტატიაში რთულია ყველაფრის განხილვა).

განსაკუთრებული მნიშვნელობას ანიჭებს ქართველი საკულტო მეურნეობა ჯიშებისა ნაირფეროვნებას. განსაკუთრებით აღსანიშნავია ვენახთან დამოკიდებულება.

ქართველი გლეხკაცობისათვის ვენახი კულტის საგანი იმოტომაც იყო, რომ მისი ქონა და არქონა განაპირობებდა თითოეული მათგანის ადგილს საზოგადოების სოციალური იერარქიის კიბეზე. ვახტანგ VI-ის სამართალი მიუთითებდა: „ბოგანო ამან ჰქუიანმ რომე ვენახი არა ქონდე, თვითო სახლი და რჩომის ალაგი ექნების, და მიწა ან ექნების და ან არა ...ვენახის მქონეს გლეხს ბოგანო არა ქუიან, რაგინდ სხვა მამული ნაკლებად ქონდეს".

ვენახის და სხვა მრავალწლიანი კულტურების მნიშვნელობაზე მეტყველებდა ისიც, რომ სამეურნეო კულტურებს მკაცრად იცავდა სამართალი, მათი შეგნებული თუ შეუგნებელი დაზიანება და განადგურება მძიმე დანაულად ითვლებოდა და სასტიკად ისჯებოდა კანონით. კერძოდ, ვახტანგ VI-ის სამართლის თანახმად, „თუ ... კაცმან კაცს ვაზი აუკაფოს, რომე არ ემართლებოდეს, სადაო და სალაპარაკო არა ქონდეს რა, ღვინით გინა სიბრიყუით აუკაფოს, რამდენიც ვაზი მოეჭრას, იმდენი აბაზი მისცეს".

ამიტომაც, ჩვენებურ გლეხკაცს ვენახი და ხილნარი მარტო გამორჩომის წყაროდ კი არ მიაჩნია, არამედ იმ წმინდა აუზადაც, სადაც მის მამა-პაპას თვისი ოფლი მიუღდენია და მოუბარებია საშვილიშვილოდ. ჩვენებურ გლეხკაცის თვალში მის ვენახს, მის ხეხილის ბაღს, მის ნაფუძარს თავისი ისტორია აქვს, მართალია ბუნდი, წარსულის ღრუბლისაგან გამოურკვეველი, მაგრამ ღრმად კი ჩაჭდეული გულში, რომ ვენახი, ხეხილის ბაღი, სალაროა მის წინაპართა ჯაფისა, გარჯისა და მხნეობისა" (ი. ჭავჭავაძე).

საგანგებოდ აღსანიშნავია ის, რომ ქართული მეურნეობრიობის ტრადიციებისადმი ერთგულება მნიშვნელოვანწილად განაპირობებდა იმას, რომ

სოციალისტური ეკონომიკის პირობებშიც არ ჩამკვდარა ქართველ ხალხში თავისუფალი, შემოქმედებითი, ინდივიდუალური მეურნეობრიობისაკენ ლტოლვა; მართალია, ასეთი საქმიანობის გზაზე მრავალი ბარიერი იყო აღმართული, მაგრამ ადამიანთა მეტად მნიშვნელოვანი ნაწილი სხვადასხვა ხერხით ფაქტობრივად მაინც ეწეოდა კერძო სამეწარმეო-კომერციულ საქმიანობას მეურნეობის მრავალ დარგში, განსაკუთრებით, ვაჭრობასა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებაში და საკმაოდ ფართოდაც იყო წარმოდგენილი.

შედარებითი ანალიზის მიხედვით შესაძლებელია აღვნიშნოთ ადრეული პერიოდი ქართველი მეურნე, როდესაც გავიხსენებთ ქართველი კაცის დამოკიდებულებას მიწის მიმართ თავისი ეთნოფსიქოლოგიით; განსაკუთრებით XX საუკუნის 20-30 წლებში, როდესაც სოციალისტური კოლექტივიზაცია ხორციელდებოდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტრუქტურით. მისი ორგანიზაციისა და გაძლოლის ფორმებით და მეთოდებით. ქართული სოფლის სახე ფაქტობრივად უცვლელი დარჩა და სამეურნეო ფსიქოლოგია თავისი ძირითადი არსით და ნიშნებით. ქართველ მეურნეთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ ვერანაირად ვერ გაითავისა შინაგანი ბუნებისათვის უცხო და მიუღებელი სოციალისტურ-კოლექტივისტური, იძულებითი, ადმინისტრაციულ-მბრძანებლური-მეურნეობრიობის პრინციპები.

რაც შეეხება დღევანდელობას, მართალია ბევრი რამ იცვლება სხვადასხვა ობიექტური, თუ სუბიექტური მიზეზების გამო, ერთ-ერთ მთავარ საკითხად მივიჩნევთ უცხოტომელთა მოსვლას, თუ შემოჭრის, აი აქ უკვე საინტერესო ხდება ის თანხვედრები ადგილობრივ მოსახლეობის სამეურნეო კულტურასთან დამოკიდებულებაში. დრო გადის მდგომარეობა ჩემი აზრით მძიმდება; არადა ჩვენი მშვენიერი ბუნება, ხალხი, ოცნება, არავისი დასაპყრობი და დასაგმობი არ უნდა გახდეს.

„ყველაფერი, რაც ჩვენს ირგვლივ არის, ძვირფასია არა მარტო იმიტომ, რომ ლამაზია, არამედ იმიტომ, რომ მასზეა დამოკიდებული ადამიანების, მთელი კაცობრიობის ბედი“ (აკად. ნ. კეცხოველი).

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია. 1930.
2. ქართული სამართლის ძეგლები, I, 1963.
3. ქართლის ცხოვრება. ტ. IV. 1973.
4. ი. ჭავჭავაძე. თხ. კრ. ტ. VI, 1956.
5. ნ. კეცხოველი. მკერდში დაჭრილი ბუნება, თბ. 1960.

# ჯანდაცვის სისტემის განვითარების თავისებურებები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში

*ზვიად ვეკუა*
*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,*
*სტუ ასოცირებული პროფესორი*

**რეზიუმე**

სტატიაში განხილულია ჩინეთის ჯანდაცვის სისტემის ისტორიული განვითარება და თანამედროვე მდგომარეობა. სოციალისტური წარსული და რეფორმირების არათანმიმდევრული, სწრაფი კურსი ჯანდაცვის სფეროში პოსტკომუნისტურ ქვეყნებში დასავლეთ ევროპის ქვეყნებისგან განსხვავებული მიდგომებსა და ტრადიციებზე გარკვეული აქცენტების გაკეთების საფუძველს ქმნის. მსგავსი პრობლემები არსებობდა მეოცე საუკუნის მიწურულს ჩინეთშიც. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიერ ჯანდაცვის სექტორის განვითარების და მართვის მიდგომები შეიძლება მაგალითი გახდეს მთელი რიგი განვითარებადი ქვეყნისთვის, მათ შორის საქართველოსთვის. გარკვეულწილად მსგავსი საბაზისო მდგომარეობა, ურბანულ დონეზე გარემოს ეკოლოგიური დაბინძურების სიმწვავე, ცენტრსა და რეგიონს შორის სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის განსხვავებულობა ჩინეთის ჯანდაცვის სისტემაში მიმდინარე ცვლილებებს და მისი განვითარების დინამიკას ქვეყანებს შორის გაღრმავებული ეკონომიკური კავშირების ფონზე საქართველოსთვის საინტერესოს ხდის.

**RESUME**

The article discusses the historical development and modern state of the health care system in china. The socialist past and the inconsistent, rapid course of reform in the post-communist countries in health care form the basis of some emphasis on different approaches and traditions from western European countries. Similar problems existed in China at the end of the twentieth century. The People's Republic of China's approaches to health sector development and management can serve as an example for a number of developing countries, including Georgia. Somewhat similar baseline, scarcity of environmental pollution at urban level, differences in access to health care between center and region make the current changes in China's health care system and its development dynamics interesting in light of Georgia's deepening economic ties.

* * * *

თანამედროვე მსოფლიოში ჯანდაცვის სისტემების რეფორმირება მეტნაკლებად მასშტაბურ ხასიათს ატარებს. ინტენსიურად მიმდინარეობს არსებული სისტემების გადაფასების, მათი ეფექტიანობის ამაღლების, მკურნალობის ხელმისაწვდომობის თანასწორობისა და ჯანმრთელობის სასურველი შედეგების მიღწევის შესახებ მსჯელობა.

როგორც სამეცნიერო კვლევების შედეგად ირკვევა, მოსახლეობის მიერ ჯანდაცვის მომსახურების ეფექტიანობის შეფასება დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან. აღმოსავლეთ ევროპის პოსტსოციალისტურ ქვეყნებში უკმაყოფილებას გამოთქვამენ უთანასწორობის გამო მკურნალობის ხარჯებთან დაკავშირებით. კვლევის ავტორები განსაკუთრებით გამოყოფენ მოსახლეობის კრიტიკულ დამოკიდებულებას და უნდობლობას სახელმწიფოს მიერ ჯანდაცვის სისტემაში გატარებული რეფორმების მიმართ[2, 269-278]. აღნიშნული პრობლემები ჩვენს მიერ ქართულ რეალობაში ჩატარებული ანკეტური კვლევის შედეგადაც დადასტურდა [1, 100-110].

მსგავსი პრობლემები არსებობდა მეოცე საუკუნის მიწირულის ჩინეთშიც. ამიტომ ჩინეთის მიერ ჯანდაცვის სექტორის განვითარების გამოცდილება შეიძლება გახდეს მაგალითი მთელი რიგი განვითარებადი ქვეყნისთვის.

1978 წლამდე ჩინეთის ჯანდაცვის სისტემა გარკვეული პარამეტრებით უახლოვდებოდა და ხშირ შემთხვევაში უსწრებდა კიდეც მაშინდელი განვითარებული ქვეყნების ჯანდაცვის მაჩვენებლებს. მაგ: 1945 წლიდან 1978-წლამდე სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა გაიზარდა 35 - წლიდან 78 - წლამდე. ჯანდაცვა იყო ძალიან იაფი. 80-იანი წლების ეკონომიკური კოლაფსის შემდეგ ეკონომიკის რეფორმირებას და საბაზრო პრინცპებზე მორგებას მოჰყვა რეფორმები ჯანდაცვის სფეროში. ჩინეთმა თავიდან აირჩია მინიმალური ჩარევის გზა, როცა 80-იან წლებში კოლექტივიზმის პრინციპი, რომელიც გულისხმობდა უფასო სამედიცინო მომსახურებას, შეიცვალა და ჯანდაცვის ადგილობრივი ორგანოები ჩამოინგა. ჩინეთის მთავრობამ ფინანსური პასუხისმგებლობა არ აიღო ჯანდაცვის სისტემაში შექმნილ პრობლემებზე. საბაზრო ეკონომიკის პრი-

ნციპებით ხელმძღვანელობისას, თუკი სამედიცინო მომსახურებაზე შეუზღუდავი ხელმისაწვდომობა იზოლირებულია ჯანდაცვის ხარჯებისაგან, მაშინ აუცილებლად დადგება სამედიცინო მომსახურებაზე მოთხოვნის ლიმიტირების საკითხი, ვინაიდან უფასო მომსახურება და ჯანდაცვის დანახარჯებისგან პაციენტის სრული გამორიცხვა საბაზრო სისტემაში შეუძლებელია. ამიტომაც მეოცე საუკუნის 90-ანი წლების დასაწყისში ჩინეთის მთავრობამ მინიმალური ინტერვენციის პრინციპით იმოქმედა და პროცესი თვითდინებაზე მიუშვა. ეს გადაწყვეტილება სოციალური თვალსაზრისით მძიმე და მტკივნეული პროცესის საფუძველი გახდა, პაციენტსა და ექიმს შორის ურთიერთობა გაუარესდა, სამედიცინო ხარჯები გაიზარდა, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა შემცირდა და სხვ. ჯანდაცვის ხარჯები უკანასკნელი სამი დეკადის განმავლობაში 90-ჯერ გაიზარდა, დიდი იყო ჯიბიდან გადახდაც. მიუხედავად ზემოჩამოთვლილი ნეგატიური მოვლენებისა, ხელისუფლება ვერ გასწვდებოდა იმ უზარმაზარ დანახარჯებს, რომელიც საჭირო იყო სისტემის დაუყოვნებლივი რესტრუქტურიზაციისთვის, რამაც გრძელვადიან პერიოდში მოიტანა შედეგი. თანამედროვე ეტაპზე ჩინეთის ურბანული და სასოფლო მოსახლეობა ჯანდაცვის დაფინანსების სხვადასხვა პრინციპებით ფინანსდება. ჩინეთის სოციალური დაზღვევის კანონი 2011 წლის ივლისში ოფიციალურად ამოქმედდა და მოიცავს სამ ძირითად სადაზღვევო სქემას - ურბანული დასაქმებულის საბაზისო სამედიცინო დაზღვევის (UEBMI), ურბანული მოქალაქის სამედიცინო დაზღვევის (URBMI) და სოფლის კოოპერატიულ სამედიცინო სისტემის რეფორმირებულ ვერსიას (RCMS). ურბანული მოსახლეობის ძირითადი ნაწილი სარგებლობს კორპორატიული დაზღვევის ტიპის სამედიცინო მომსახურებით, ხოლო სოფლებში ჯანდაცვა ფინანსდება მართული ჯანდაცვის ფორმით free-for-service-ით(ffs) [4, 9-14]. ჩინური ჯანდაცვის სისტემის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოებს შორის ჯანდაცვის დაზღვევის სხვადასხვა ფორმით სარგებლობის შესახებ ინფორმაციის კოორდინირების არარსებობაა, რაც უშვებს მოსახლეობის გარკვეული ნაწილის მიერ დაზღვევის სიკეთეთა არაკეთილსინდისიერი გამოყენების შესაძლებლობას. თუკი ეროვნულ დონეზე არსებობს ჯანდაცვის კონკრეტული მართვის სისტემა, რეგიონულ დონეზე შეიძლება სხვა სისტემა მუშაობდეს, ხოლო მუნიციპალურ დონეზე - სხვა. ეს გათიშვა დონეებს შორის ხელს უშლის სისტემის ეფექტურ მუშაობას. ამ ტიპის პრობლემატიკას განაპირობებს სხვადასხვა ხელით მართვის დაფინანსების განსხვავებული დონეები (ქალაქური - სოციალური დაცვის სამინისტრო, სოფლური - ჯანდაცვის სამინისტრო) იწვევს ზედმეტ ხარჯებს. შეიძლება მოქალაქე მონაწილეობდეს ორივე სქემაში. ინფორმაციის გაზიარების სისტემა არაეფექტურად მუშაობს. მაგ. 2011 წლისათვის 5.7 მილიონი ადამიანი აღირიცხა ორივე სქემაში ერთად. პრობლემის არსს წარმოადგენს ჯანდაცვის ინსტიტუტებისა და სამედიცინო დაწესებულებების არაკოორდინირებული ფუნქციონირება. თუმცა ნიშანდობლივია რომ აღნიშნული პრობლემებს უფრო მეტად მოსახლეობის დიდი რაოდენობა და ჯანდაცვის ბაზრის საკონტროლო არეალის სიდიდე განაპირობებს. ცენტრსა და რეგიონს შორის სამედიცინო მომსახურების არათანაბრობა და ხელმისაწვდომობის განსხვავებულობა ნიშნეულია ქართული ჯანდაცვის სისტემისათვის.

ბოლო პერიოდში ჯანდაცვის საყოველთაოობაზე აქცენტის გაკეთების პირობებში ჩინეთის ჯანდაცვის უმთავრეს გამოწვევად რჩება ჯანდაცვის გაზრდილი ხარჯები, რისი პრევენციის მიზნით მიმდინარეობს ჯანდაცვის ხარჯების კონტროლის პოლიტიკის გატარება, რაც გარკვეულწილ წინააღმდეგობებს აწყდება. [5] ამ კუთხით ჩინეთის ჯანდაცვის სისტემისათვის ასევე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს გულსისხლძარღვთა და ქრონიკული დაავადებები, რაც ექსპერტთა მოსაზრებით გამოწვეულია კატასტროფული ეკოლოგიური მდგომარეობით. ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესება ძირითადად ხდება მრეწველობის უკონტროლო ზრდით. უნდა ითქვას, რომ გარემოს ეკოლოგიური დაბინძურება ქართული ჯანდაცვის სისტემისთვისაც უკიდურესად მწვავე პრობლემას წარმოადგენს, რაც ქალაქის პირობებში უმეტესწილად დაკავშირებულია მოძველებული მანქანების გამონაბოლქვის მატებასთან. აღნიშნული პრობლემის პრევენცია შესაძლებელია თანამედროვე ინფრასტრუქტურის განვითარებით, რომელიც თავის თავში მოიცავს ეკოლოგიური სისტემების ინტეგრირებას მრეწველობასა და ინფრასტუქტურაში.

არსებული მდგომარეობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ სამომავლოდ პოლიტიკურად ნაკლებმომგებიანი, მაგრამ ეკონომიკური თვალსაზრისით გამართლებული, გადაწყვეტილებების მიღება გააჯანსაღებს ჯანდაცვის სისტემას. ქართული ჯანდაცვის სისტემაში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯების შემცირება შესაძლებელია სოციალური პოლიტიკის გარკვეული ცვლილებით. კერძოდ, ეს მიზანი შეიძლება მიღწეულ იქნას ძირითადად სიცოცხლისთვის ნაკლებსაშიში და ფინანსური თვალსაზრისით ნაკლებად მძიმე ჯანდაცვით მომსახურებაზე სახელმწიფო პასუხისმგებლობის შემცირებით და კერძო სადაზღვევო ინტერესის სტი-

მულირებით ამ სეგმენტებში. ჩინეთის ჯანდაცვის სისტემაში XXI საუკუნის პირველი ათწლეულის ბოლოს და მეორე ათწლეულის დასაწყისში განხორციელებული სისტემური ცვლილებების წარმატებით გატარების საფუძველს წარმოადგენდა განვითარების პირველ ეტაპზე ჯანდაცვაში სახელმწიფოს მინიმალური ინტერვენციის პოლიტიკა, რომელიც მეოცე საუკუნის 90-იანი წლების სისტემური კოლაფსის შემდგომ იქნა გატარებული, რაც სასურველია გაზიარებულ იქნას ქართული ჯანდაცვის სისტემაში სტაბილურობისა და თანაბარზომიერი განვითარების მისაღწევად.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში საქართველოსთვის, როგორც გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნისათვის, თავისუფალი ბაზრის გათვალისწინებით რეგიონსა და ცენტრს შორის არსებული ხარისხობრივი, ინფორმაციული და პროფესიული სხვადასხვაობების აღმოფხვრა თითქმის შეუძლებელია. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ჩინეთის ჯანდაცვის სისტემის მოდელი, რომლის მიხედვითაც ურბანული და სოფლის ჯანდაცვის სისტემები განსხვავებულ პრინციპებზეა აგებული.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. ვეკუა ზ., ჯანდაცვაში არსებული რისკების პრევენციის მოდელები, გვ 45-50, 100-110.

2. Schneider M., Popic T., Cognitive determinants of healthcare evaluations - A comparision eastern and Weastern Europe countries, Health policy, 2018, 122, 3, pp. 269-278;

3. Swedish Agency for Growth Policy Analysis, Studentplan 3, SE-831 40 Östersund, Sweden, China's Healthcare System Overview and Quality Improvements, 2013, pp. 10-15;

4. Ling R., Liu F., Lu Q. X., Wang W., Emerging Issue in Public Health: perspective on China's Healthcare System, 2011, 125, 1, pp. 9-14;

5. Jianzhou Yan, Hui-Heng Lin, Dan Zhao, Yuanjia Hu & RongShao, China's new policy for healthcare cost-control based on global budget: a survey of 110 clinicians in hospitals, BMC Health Services Research volume 19, Article number: 84 (2019)

# ПРОЦЕССЫ ЭКОНОМИЧЕСКОЙ ТРАНСФОРМАЦИИ В ГРУЗИИ И КИТАЕ

***Тамара Саджая***
*доктор экономики,*
*ассоциированный профессор ГТУ*

**АННОТАЦИЯ**

Из исторического прошлого Грузии и Китая, можно отметить, что обе страны прошли путь построения нового социалистического общества, основой которого был государственный аппарат, сосредоточивший в своих руках всю систему отношений собственности и взявший на себя функции управления Народным Хозяйством. Последствия советской модели социализма всем известны. Китайское правительство, оценив ситуацию в стране, приняло своевременное решение о необходимости проведения последовательных реформ. Благодаря правильно проведенным реформам, Китай превратился в быстроразвивающююся страну. Грузия выбрала путь радикальных и быстрых перемен, проведя программу «Шоковой терапии». Постепенно, экономическая ситуация улучшилась, однако в отношении уровня безработицы и бедности не дала ожидаемого результата. Проведенные реформы оказались недостаточными для повышения конкурентоспособности частного сектора и повышения производительности. Но несмотря на сложности, Грузия признана одной из передовых стран-реформаторов и занимает из 185 стран 6 место по принципу упрощенного ведения бизнесдеятельности. Стратегическая концепция Китая под названием «Один пояс и один путь», представляет сегодня одно из основных направлений внешнеэкономического и внешнеполитического курса КНР. По состоянию на конец апреля 2019 года, Китай подписал соглашения о сотрудничестве в рамках инициативы «Один пояс и один путь» со 126 странами и 29 международными организациями, среди которых и Грузия. Отношения Китая и Грузии строятся на принципе взаимоуважения и дружбы.

Ключевые слова: экономика, развитие, стратегия, реформы, сотрудничество, Грузия, Китай.

**ANNOTATION**

Looking at the history of Georgia and China, it should be noted, that both countries have passed the stage of building a new socialist society, when the whole system of relations was in the hands of Ideological State Apparatus, which concentrated within it the entire system of property relations and took upon itself the functions of managing the National Economy. We all know the consequences of the Soviet model of socialism. The Chinese government, assessing the situation in the country, made a timely decision on the importance of consistent reforms and due to well-implemented reforms, China has become a rapidly developing country. Georgia has chosen the way of radical and rapid change, through the “Shock Therapy” program. Gradually, the economic situation has improved, though regarding the problems in the level of unemployment and poverty the program did not give the expected result. The reforms proved insufficient to increase the competitiveness of the private sector and productivity. However, despite all the difficulties, in 2018 Georgia was named as the most active reformer amongst the 190 countries and ranks the 6th on Ease of Doing Business. Today, China’s concept, known as “One Belt and One Way” (or The Belt and Road Initiative (BRI)) represents one of the main strategic directions of foreign economic performance and policy of China. At the end of April 2019, 126 countries and 29 international organizations have signed agreements with China under the framework of the Belt and Road Initiative, with Georgia among them. Relations between China and Georgia are based on the principles of mutual respect and friendship.

* * * *

Грузия - государство, которое прошло трудный путь реформирования. Особенно трудным периодом были первые годы трансформации – гражданское противостояние, внутренние военные действия, энерго и транспортная блокада, криминогенная ситуация, безработица, инфляция, миграция рабочей силы и многое другое. Грузия выбрала путь радикальных и быстрых перемен, проведя программу «Шоковой терапии». Осуществленная реформа дала экономике частный сектор, создала множество форм собственности путем приватизации, которая была проведена поэтапно, начиная с малых, переходя к средним и крупным предприятиям. Постепенно, экономическая ситуация улучшилась, однако в отношении уровня безработицы и бедности не дала ожидаемого результата.

В настоящее время, грузинское правительство проводит экономическую политику по трем направлениям: политику на развитие сектора производства, нацеленного на создание рабочих мест; политику инклюзивного экономического роста (включая диаспоры, мигрантов, этнические меньшинства и другие группы); политику принципа ра-

ционального использования природных ресурсов.

Главным в стратегии экономического развития является обеспечение свободы частного сектора, создание такой экономической ситуации, когда частный сектор сам принимает решения относительно экономической активности, а со стороны государства обеспечивается защита прав собственности. Строится модель смешенной экономики, сосуществования частного и государственного сектора, свободного рыночного механизма и государственного участия, поддержки процесса экономического и социального развития. Государство нацелено на проведение политики, направленной на создание оптимальных условий развития частного предпринимательства, привлечения иностранных инвестиций и повышения заинтересованности иностранных инвесторов работать на территории Грузии.

В стратегии социально-экономического развития Грузии, акцент делается на развитие регионов страны, путем выявления их сравнительного преимущества, специфики и потенциала, а также, упорядочение местной инфраструктуры и снижение экономического неравенства среди регионов.

В предыдущие годы, одним из главных факторов экономического роста были осуществленные государственные (направленные на инфраструктурные проекты) и прямые иностранные инвестиции (направленные на внедрение новых технологий и знаний). Однако масштабность этого направления всё же не достаточна, а создание новых рабочих мест характеризуется низкими темпами. В стране число безработных и людей, занятых в домашнем хозяйстве примерно 70% от всего трудоспособного населения. Экономика Грузии (2004-2012 гг.) развивается низкими темпами – в среднем 6%.

Проведенные реформы оказались недостаточными для повышения конкурентоспособности частного сектора и повышения производительности. Уровень развития промышленного сектора и его экспортный потенциал остается на низком уровне. С 2004 года, Грузия начала реформу либерализации экономики. В отчете Мирового Банка по ведению бизнеса, Грузия признана одной из передовых стран-реформаторов. Сейчас Грузия занимает из 190 стран 6 место по принципу упрощенного ведения бизнес деятельности. Но, всё же, в стране существуют проблемы, мешающие производственной сфере, влияющие на доверие инвесторов и соответственно на социально-экономическое развитие в целом. Правительство Грузии активно работает для устранения проблем, которые создают неблагоприятные условия развития социально-экономического положения страны. Разрабатывает программы для улучшения бизнес и инвестиционной среды, по зашите прав собственности, по поддержке развития предпринимателей, совершенствует инвестиционное законодательство, способствует росту экспорта, разрабатывает базу для действия свободной конкуренции, развивает и углубляет международную торговлю, создает условия для развития инноваций и новых технологий и др.

Из исторического прошлого Грузии и Китая, можно отметить, что обе страны прошли путь построения нового социалистического общества, основанного на полном огосударствлении экономики и ликвидации всех формы собственности, кроме государственной. Во главе утвердившегося централизованного социализма, стоял государственный аппарат, сосредоточивший в своих руках всю систему отношений собственности и взявший на себя функции управления Народным Хозяйством, реализации выпускаемой продукции и управления финансовыми средствами.

На первом этапе развития эта система дала возможность преодолеть много трудностей и встать на путь индустриализации. Однако, со временем, советская модель социализма привела к трудностям модернизации страны. Китайское правительство, правильно оценив ситуацию в стране, приняло своевременное решение о необходимости реформ. «Только при условии внешней открытости можно полностью использовать рынок, международные и внутренние ресурсы, улучшить распределение ресурсов, подтолкнуть научно-технический прогресс, повысить экономическую эффективность, ускорить развитие китайской экономики» - так рассуждали китайские реформаторы.

Благодаря правильно проведенным реформам, Китай превратился в быстроразвивающуюся страну. Его доля в суммарном мировом ВВП составила в 1970г. -3,6%, а в 1993 г -10% , а в настоящее время составляет 12-13 %. Экономика Китая занимает первое место почти во всех отраслях экономики по миру. При годовом внешнеторговом обороте в 290 млрд. долл. вошла в первую десятку мировых торговых держав, а по размерам прямых иностранных инвестиций уступает только США и Японии.

Такие показатели были достигнуты благодаря политике государства, которое создало уникальную экономическую модель. Китайская модель экономического развития – это путь развития, который открыли сами китайцы, не копируя опыт других стран и не заимствуя другие западные модели. За 40 лет трансформации, проведения политики реформ и открытости, Китай вывел свою, особенную формулу благополучного развития экономики, формулу, получившую название «китайское чудо». Результатом открытой политики стало вливание иностранных инвестиций в экономику страны. В 1995 году в стране было зарегистрирова-

но 220 тыс. предприятий с участием иностранного капитала, а сумма прямых инвестиций достигла 114,4 млрд. долларов.

В Китае проводилась политика формирования «смешенной экономики», то есть политика сочетания плановой и рыночной систем производства. Пройдя 40 летний путь китайцы доказали, что два разных строя могут очень даже эффективно сосуществовать, о чем говорят как статистические данные, так и реальность. Прежде всего это рост благосостояния китайского народа, устойчивая экономика, свободные торговые отношения со всем миром.

Китай стал главным получателем иностранных инвестиций, а заинтересованность в Китае для ведения своего бизнеса исходила из наличия развитой транспортной, энергетической инфраструктуры, коммунального обеспечения, обеспечения безопасности предприятий в процессе работы, наличие гарантий сохранения прав собственности, защита интеллектуальной собственности и возможности сбыта производимой продукции, наличие большого количества трудоспособного населения, низкие налоги, низкие издержки на обслуживание предприятий (арендные и коммунальные платежи, ресурсное снабжение и др). Эти и другие предпосылки создали благоприятные условия для привлечения иностранных инвесторов на китайский рынок. С помощью иностранных инвестиций совместные предприятия смогли обновить свое оборудование и технологии, и, как следствие этого, повысить конкурентоспособность производимой продукции.

В период перехода от импорт-ориентированной модели к экспорт-риентированной модели важную роль играла политика расширения внешних связей: привлечение иностранных инвестиций, создание СЭЗ (интеграция регионов Китая в мировое хозяйство происходило через: зоны свободной торговли (ЗСТ), специальные экономические районы (СЭР), свободные экономические зоны (СЭЗ)). Их роль в развитии экономики КНР велика: они стали территориями накопления капитала, технологий, кадров для последующего развития всей национальной экономики, открытие 14 прибрежных городов, вступление в ВТО, экономическая стратегия «выхода за границу». В ряде крупных и средних городов созданы 15 беспошлинных зон, 49 зон технико-экономического освоения и 53 государственные зоны развития высокотехнологичных производств. Создание и развитие СЭЗ оказало значительное влияние на развитие страны.

Стратегическая концепция Китая под названием «Один пояс и один путь», представляет сегодня одно из основных направлений внешнеэкономического и внешнеполитического курса КНР. По состоянию на конец апреля 2019 года, Китай подписал соглашения о сотрудничестве в рамках инициативы «Один пояс и один путь» со 126 странами и 29 международными организациями, в числе которых и Грузия.

Отношения между Китаем и Грузией начались с 1992 года, которые динамично развиваются по многим направлениям. За последние годы значительно выросли китайские инвестиции в экономику Грузии. На территории Грузии расположена Свободная индустриальная зона, а так же, успешно функционируют до 25 китайских компаний. Заметен рост двусторонней торговли и увеличенный интерес в сфере культуры и образования обеих стран. Нельзя не отметить тот факт, что правительство Китая в 2012 году присудило Грузии «Статус привлекательной для туризма страны», что имеет большое значение для развития сферы туризма. Отношения Китая и Грузии строятся на принципе взаимоуважения и дружбы.

**ЛИТЕРАТУРА:**

1. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020-http://www.mrdi.gov.ge

2. ურთიერთობები საქართველოსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის -http://mfa.gov.ge

3. საქართველო-ჩინეთის თავისუფალი ვაჭრობა - ი. დანელია 1.09.2017, http://forbes.ge

4. Основной опыт реформы китайской экономики- http://xn----7sbbgpkiact2d2af7p.xn

5. Стратегия экономического развития «Один пояс — один путь», 14.05.2017-https://ria.ru

6. Один пояс и один путь - https://ru.wikipedia.org

# მედიაეკონომიკა - თავისუფალი დროის ინდუსტრია

*მაია ბენია,*
*სოფიკო გორგილაძე*
*სტუ ასოცირებული პროფესორები*

მედია დიდ როლს თამაშობს პოსტინდუსტრიული საზოგადოების ცხოვრებაში, რაც გამოიხატება პოლიტიკური დებატებისა და კულტურული პროცესების, მოქალაქეთა ინფორმაციით უზრუნველყოფის, მომსახურების, სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებისა და ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბების თვალსაზრისით. მედიაეკონომიკა ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის შეფასებული - როგორც ეროვნული ეკონომიკის უმთავრესი და სწრაფად მზარდი სექტორი, რომელიც ადამიანს საშუალებას აძლევს, გააცნობიეროს მედიის ფუნქციონირების კანონები, მათი თანხვედრა ბიზნესთან, სახელმწიფოსთან და მთლიან საზოგადოებასთან.

მასმედია მრავალი მიზეზის გამო ხდება ეკონომიკური ანალიზის საგანი. ერთი მხრივ, თავად მედიაინდუსტრია, როგორც ეკონომიკის ძალზედ მომგებიანი სექტორი, დაინტერესებულია ეკონომიკური კანონზომიერების შესწავლით - ასევე საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან სხვადასხვა ინსტიტუციებთან ურთიერთობით. ამასთანავე აღსანიშნავია რომ ეს განსხვავებული ინდუსტრიაა, რომელიც მხოლოდ მოგების მიღებაზე კი არაა ორიენტირებული, არამედ საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზეც. მასმედიის საშუალებით ხდება ინტერესის გაღვივება ამა თუ იმ საქონელისა და მომსახურების მიმართ. მედიაეკონომიკა არის ყველაზე მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური დისციპლინა რადგან სამ მთავარ ბურჯს ეყრდნობა :კორპორატიული ბიზნესი (რეკლამები), სახელმწიფო (რეგულატორი) და საზოგადოება (აუდიტორია, რომელიც ხარჯავს დროს და ფულს).

რას ხარჯავს მაყურებელი ტელეგადაცემების ნახვაში, რადიოს მოსმენაში? ელექტროენერგიასა და რეკლამაში გადახდილი ხარჯი, შეძენილი პროდუქტის ფასში შყვანილია, ამას ემატება ის თავისუფალი დრო, რომელსაც ტელევიზიას ვუთმობთ. ეკონომიკაში თავისუფალი დრო ითვლება ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან რესურსად, რომელსაც დასვენებისა და გართობის სფეროს მომსახურების მისაღებად ხარჯავს მომხმარებელი. მედიაინდუსტრიის, როგორც ეკონომიკის დამოუკიდებელი დარგის სწრაფი განვითარება განპირობებულია საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის წიგნიერების დონის ამაღლებითა და ინტერესთა სფეროების გაფართოებით. მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეები მნიშვნელოვანი ინდუსტრიული რევოლუციების დროა, რის შედეგადაც მუშათა დიდი რაოდენობა ქალაქებში აღმოჩნდა აკუმულირებული. მათ ჰქონდათ ფიქსირებული სამუშაო დღე, შესაბამისად თავისუფალი დროც. სწორედ ამ პერიოდში მასობრივად გამოჩნდა გაზეთები დიდ ბრიტანეთში, აშშ-ში, საფრანგეთსა და რუსეთში. მეოცე საუკუნე, რომელიც გამორჩეოდა მშრომელთა ბრძოლის სიმწვავით საკუთარი უფლებებისა და ხელფასისთვის, სტანდარტიზებული სამუშაო კვირისთვის, ხასიათდებოდა კიდევ იმით, რომ თავისუფალი დრო გაზეთებს, კინოს, თეატრს, რადიოსა და ტელევიზიას ეთმობოდა. **ცხოვრების დონის გაუმჯობესება და თავისუფალი დროის ზრდა მედიაეკონომიკის ორი ურთიერთდაკავშირებული და აუცილებელი პროცესია, რომლის გარეშეც თანამედროვე მედია უბრალოდ არ იარსებებს.**

**კრიტიკული პოლიტიკური ეკონომიკისა და ტრადიციული ეკონომიკსის ინტეგრაციის პროცესი ასე გამოიყურება -** მედიის თეორიები თავისთავად ინტერდისციპლინარული ხასიათისაა და სწორედ ეს ინტერდისციპლინარულობა ხდება მედიაეკონომიკის არსებითი მახასიათებელი, რასაც ადასტურებს ეკონომიკური და ჟურნალისტური მეცნიერებების ინტეგრირებული კონცეფციების მომრავლება. ცხადია, რომ მედიაეკონომიკის მთავარი აქცენტი მიკროეკონომიკურია, რადგან იგი პირველ რიგში განიხილავს სპეციალურ მედიაინდუსტრიასა და მედიაბაზარს, ადგილობრივი მედიაპროდუქტების მწარმოებლებისა და მომხმარებლების ქცევას. ამასთან, უნდა გვახსოვდეს, რომ მაკროეკონომიკური ფენომენები პირდაპირ გავლენას ახდენენ მიკროეკონომიკურ ფაქტორებზე. ეს ეხება ეკონომიკის ყველა დარგს, მაგრამ უფრო მძაფრად მედიაინდუსტრიას, რომელიც, მედიის საწარმოების მიერ წარმოებული საქონლის სპეციფიკის გამო, სპეციალურად შედის საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მაკროეკონომიკურ პროცესებში.

ისტორიულად, ანგლოსაქსონურ სამყაროში მედიის მკვლევარები ყურადღებას ამახვილებდნენ მედიისა და საკუთრების ეკონომიკური კონტროლის ურთიერთკავშირზე. მიკროეკონომიკურ პროცესებზე დაკვირვებამ აჩვენა რომ საზოგადოებაში ძალაუფლების გადანაწილების პროეცირება განპირობებულია სოციალურ მედიაინდუსტრიასთან ეკონომიკური ურთიერთობებით. ამ პროცესების შესაბამისად ოპერირებს მედიაინდუსტრიაც იმ ადგილობრივ ბაზარზე. პოლიტიკური ეკონომიკა არის ხალხისა და ეკონომიკური კანონების სამეწარმეო ურთიერთობების მეცნიერება, რომელიც არეგულირებს ისტორიულად ჩამოყალიბებული სოციალურ-ეკონომიკური წარმონაქმნების განვი-

თარებას. საზოგადოებაში ძალაუფლების გადანაწილება განაპირობებს მედიარესურსების წარმოების, გავრცელების, მოხმარების თავისებურებებს. მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ მედიის ეკონომიკის შესწავლისას ალინიშნება პოლიტიკური ეკონომიკისა და ეკონომიკსის განსაკუთრებული დაახლოება და ეს არცაა გასაკვირი საზოგადოებაში სოციალური მედიის განსაკუთრებული როლისა და მედიაბაზრის ორმაგი ბუნების გამო.

თანამედროვე ჟურნალისტის ამოცანაა, ჰქონდეს მინიმუმ ზოგადი წარმოდგენა მაინც ორი ურთიერთდაკავშირებული, მაგრამ მაინც რადიკალურად განსხვავებული დისციპლინის შესახებ. ეს ნიშნავს ესმოდეს მედიის ფუნქციონირება მაკროეკონომიკური კონტექსტში თუ რას უთმობს ტრადიციულად ყურადღებას სოციალური მედიის პოლიტეკონომიკური კვლევა. ჰქონდეს წარმოდგენა მედია ინდუსტრიის ზოგად მიკროეკონომიკურ მდგომარეობაზე. სწორედ ესაა **მედიაეკონომიკსის** მთავარი ამოცანა, რომელიც ასწავლის მედიასაწარმოების მიერ მატერიალური(შენობების, აღჭურვილობის, ფინანსების) და არამატერიალური (ინფორმაციის, ხალხის - ჟურნალისტების, მენეჯერების, ტექნიკური პროფესიონალების, მომსახურე პერსონალის) რესურსების რაციონალურ გამოყენებას, რაც განაპირობებს მედიასაწარმოს და მთლიანად მედია ინდუსტრიის ეფექტურ ფუნქციონირებას.

**„არ არსებობს მკვეთრი ზღვარი რომელიც მიანიშნებს კლასიკური პოლიტიკური ეკონომიკის მკაფიო გადასვლას ეკონომიკსში", - წერს კანადელი მკვლევარი ვ. მოსკო, და ჩვენც ვხედავთ რომ მედია მოქმედებს როგორც ეკონომიკის სექტორი და ასევე როგორც თანამედროვე დემოკრატიის უმნიშვნელოვანესი სოციალური ინსტიტუტი, როგორც ფასეულობათა სისტემის ჩამოყალიბების მაპროვოცირებელი და თავისუფალი დროის ინდუსტრია. ყოველივე ზემოჩამოთვლილის გარეშე წარმოუდგენელია თანამედროვე საზოგადოება.** ამ ორი დისციპლინის მჭიდრო ურთიერთკავშირი საშუალებას გვაძლევს განვიხილოთ ისინი ერთიანობაში, რადგან აერთიანებს სოციალური მედიაინდუსტრიის პოლიტეკონომიასა და ეკონომიკსს და რელევანტურს ხდის ინტეგრირებული ტერმინის „მედიაეკონომიკის" დამკვიდრებას. მედიაეკონომიკა ინტერდისციპლინარული სფეროა, რომელიც მოიცავს მედიაეკონომიკსის ელემენტებს (მედიამწარმოებლებისა და მომხმარებლების ქცევა, საბაზრო მედიასტრუქტურისა და კონკურენციის თეორია) და სოციალური მედიაინდუსტრიის პოლიტეკონომიას.

სოციალური მედიაინდუსტრიის შესწავლის ტრადიცია ერთერთი უმთავრესია მედიის კვლევაში. ეროვნული ეკონომიკების კონტექსტში მასმედიას მყარი საფუძვლები აქვს, ამის დასაბუთებად მარქსისტული თეორიაც გამოდგება, რომელმაც კაცობრიობის ისტორიაში გადამწყვეტი როლი მიანიჭა საზოგადოებრივ მასობრივ წარმოებას. კ. მარქსის დებულება, რომ იდეოლოგიური პროცესები განიხილება, როგორც ერთგვარი ზედნაშენი საზოგადოების საბაზისო ეკონომიკურ საფუძვლებზე, შემდგომ დამუშავდა მედიის თეორეტიკოსების მიერ.

ფრანგი ფილოსოფოსი ლ. ალტიუსერი, იტალიელი მოაზროვნე და პოლიტიკოსი ა. გრამში ყურადღებას ამახვილებდნენ საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურებსა და იდეოლოგიის ჩამოყალიბების განმაპირობებელ ფაქტორებზე. იდეოლოგიური სახელმწიფო აპარატი ხელს უწყობს „ექსპლუატაციის კაპიტალისტური პირობების" შენარჩუნებას (ლ. ალტუსერი), ხოლო იდეოლოგიის სფეროში საკომუნიკაციო აპარატი თავის სპეციფიკურ როლს ასრულებს არსებული წესრიგის შენარჩუნებაში. ა.გრამშმა აღნიშნა, რომ სოციალური მედიაინდუსტრია ჩათრეულია „ინკორპორირების" პროცესში - ანუ **საზოგადოების ყველა ფენაში სამყაროს აღქმის ძირითადი კონცეპტების შემოტანაში, რაც დომინანტურ ჯგუფებს საშუალებას აძლევს საკუთარი კერძო ინტერესები გაასაღოს, როგორც მთელი საზოგადოების ძირითადი ინტერესი, ცხადია პირველ რიგში ეკონომიკურ ინტერესებზეა საუბარი.**

ვინც მარქსისტული თეორიის მომხრე იყო, უფრო განზოგადებულ მომენტებს გამოყოფდნენ, მაგ.: სოციალური მედიაინდუსტრია - საზოგადოება. თუმცა ფუნდამენტური კვლევები მედიის პოლიტეკონომიის განვითარებამდე ცხადია ვერ განხორციელდებოდა. ფრანკფურტის სკოლის წარმომადგენლების ჰორკჰაიმერისა და ტ. ადორნოს ნაშრომში «განმანათლებლობის დიალექტიკა» (1947), ცალკე თავი «კულტურის ინდუსტრიაა": განმანათლებლობა, როგორც მასობრივი სიცრუე», მიეძღვნა მედიის როლისა და ფუნქციის განხილვას. ამ ნაწილში ავტორები წარმოადგენენ «კულტურის ინდუსტრიის» კონცეფციას, განსაზღვრავენ კულტურის ფორმების ახალ თვისობრიობას, რომლებიც გართობის ინდუსტრიის პარალელურად ვითარდებოდა მეოცე საუკუნეში. კულტურა გარდაიქმნა მოხმარების პროდუქტად, საბაზრო საქონლად, იყიდება და მოგება მოაქვს. ასეთი პროდუქტის ღირებულება განისაზღვრება არა მისი მაღალი მხატვრული ღირებულებითა და თვისობრიობით, არამედ საქონლის საცვლელი ღირებულებით. ამ მიზეზითაა გამოწვეული მისი მასობრივი ხასიათი, სტანდარტიზაცია და სტერეოტიპულობა.

კ.მარქსიდან მოდის მოხმარების ახალი საშუალებების ცნება. როგორც სხვა მრავალი თანამედროვე თეორეტიკოსი, მარქსიც ძირითად ყურადღებას უთმობდა წარმოების სფეროს. თუ გავითვალისწინებთ იმ დროის რეალიებს, რაც გულისხმობდა სამრეწველო გადატრიალებისა და კაპიტალიზმის დასაწყისს, გასაგები ხდება მისი აქცენტირების მიზეზი მთლიანად წარმოებაზე და წარმოების საშუალებებზე.

წარმოების მნიშვნელობა განსაკუთრებით აშშ-ში, სულ უფრო კლებულობს, მაშინ როდესაც მოხმარება მატულობს, მომსახურების სფეროში უფრო მეტი ადამიანია დაკავებული, ადამიანიები უფრო მეტ თავისუფალ დროს ხარჯავენ მოხმარებაზე და მომსახურების სექტორზე. აშშ-ს მშპ-ში 70 % მოდის მომსახურების სექტორზე და არა წარმოებაზე. წარმოების საშუალებებს მარქსი განსაზღვრავდა, როგორც „საქონელს, რომელსაც გააჩნია ფორმა, რომელთანაც შედიან მწარმოებლურ მოხმარებაში" (მარქსი, 1884|1991,გვ.471). მოხმარების საშუალებებს ის განსაზღვრავს, როგორც „საქონელს, რომელსაც გააჩნია ფორმა, რომელთანაც ინდივიდუალურ მოხმარებაში შედიან კაპიტალისტური და მუშათა კლასი" (მარქსი, 1884|1991, გვ.471). მოცემული ტერმინის ჩარჩოებში მარქსი განაცალკევებს მოხმარების საშუალებებს არსებობისათვის და ფუფუნების საგნების მოხმარებას (ადამ სმიტი ატარებდა ანალოგიურ სხვაობას). ერთი მხრივ, არსებობენ „მოხმარების აუცილებელი საშუალებები", რასაც იყენებენ მასები, მეორე მხრივ, არის „ფუფუნების საგნები, რომელიც შედის მოხმარებაში მხოლოდ კაპიტალისტურ კლასთან." ამგვარად, კვების ძირითადი პროდუქტები შეიძლება განვიხილოთ, როგორც არსებობის საშუალებები, ხოლო ძვირფასი ავტომობილები, როგორც ფუფუნების საგნები.

მოხმარების საშუალებების ცნებას ვხვდებით, ფრანგი ფილოსოფოსის ჟან ბოდრიიარის ერთ-ერთი ადრინდელ ნაშრომში „მომხმარებლური საზოგადოება". იგი გვთავაზობს მარქსისტული თეორიის გავლენის შემოწმებას, მაგრამ რამოდენიმე წლის შემდეგ, როდესაც მან უკვე მიაღწია აღიარებას, როგორც პოსტმოდერნისტულმა სოციალურმა თეორეტიკოსმა, მან უარი თქვა ამ მიდგომაზე. ბოდრიიარი არ იძლევა ცნების განსაზღვრებას, მაგრამ გამოყენების პროცესში ხსნის, რომ (მარქსისაგან განსხვავებით) ის განასხვავებს მოხმარების საშუალებებს გამოყენებული საქონლისაგან, და მისდევს იმ განმარტებას, რომელსაც ჩვენ ვიყენებთ.

რაც შეეხება მ. ჰორკჰაიმერის და ტ. ადორნოს ვერსიას, სოციალური მედიაინდუსტრია ყველა ეტაპზე ჩართულია კულტურის ინდუსტრიაში - შექმნის, მასობრივი წარმოებისა და მასალების გავრცელების ეტაპზე. ხალხთა ფართო მასებში სახელმწიფო წესრიგის პრიმატის დანერგვასაც საბაზისო ფასეულობად მედია უზრუნველყოფს. ხელოვნების ნიმუშები გარდაიქმნება მასობრივ კულტურულ პროდუქციად. შემდგომ ყოველდღიურობაში ხელოვნების ნიმუშები გადაიქცევა ყოფით საგნებად და კარგავენ მხატვრულ ღირებულებას. ამრიგად, სოციალური მედიაინდუსტრია და კულტურული ფასეულობები იკვეთება ერთმანეთთან, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ზემოთ ჩამოყალიბებულ ვერსიას.

კულტურული ფორმების მასობრივი წარმოების პროცესზე საუბრისას, მ. ჰორკჰაიმერი და ტ. ადორნო აუდიტორიას განიხილავს როგორც ერთგვაროვან მასას. მედიასაწარმოების ეკონომიკური ეფექტურობა მოითხოვს, რომ ადამიანების ყველა გამოკვეთილი ღირებული სოციალურ-კულტურული მახასიათებელი შემცირდეს და აუდიტორია გახდეს მაქსიმალურად პასიური და კონფორმისტული. ტერმინ მასმედიის ინტერპრეტაციას მ.ადორნო უშუალოდ აკავშირებს იმ მოვლენასთან, რამაც განაპირობა მასობრივი აუდიტორიის ჩამოყალიბება.მასა გვევლინება როგორც სუბიექტი, რომლის მოთხოვნის დაკმაყოფილებაც უწევს მედიას. კლასიკური განმარტტებით მოტხოვნა განაპირობებს მიწოდებას, რაც აწონასწორებს ბაზარს, მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ სოციალურ მედიაინდუტრიას დღეს უკვე ძალუძს, თვითონ გააჩინოს მოთხოვნა აქამდე არარსებულ საქონელსა და მომსახურებაზე, მიიზიდოს მომხმარებელი და გაუჩინოს ნაირგვარი მოლოდინები, არეგულიროს მოთხოვნა და გააკეთოს შემდგომი პროგნოზები, რაც ეკონომიკისათვის უმნიშვნელოვანესია. **სინამდვილეში, დღეს უკვე აუდიტორია მხოლოდ ის ობიექტია, რომელიც იღებს არა იმას, რაც სურს, არამედ იმას, რაც მას შესთავაზეს, მოაწონეს და მოანდომეს.**

ამ მოცემულობაში ძევს სოციალური მედიაინდუსტრიის პოლიტიკური ეკონომიკის საფუძვლები, რომელიც პირველად გადადის მედიაეკონომიკსში, რამდენადაც აქ ვეხებით ძირითად ეკონომიკურ თავისებურებას - ურთიერთობას რეკლამის მწარმოებლებთან. კაპიტალიზმის არსი გახლავთ მოგების მაქსიმიზაციისკენ ლტოლვა. საბაზრო მედიაეკონომიკის პირობებში ეს მხოლოდ აუდიტორიის განუხრელი ზრდის პროცესშია განხორციელებადი. ცნობილმა ამერიკელმა მკვლევარმა დ. სმაიტმა პირველმა განაცხადა 1977 წელს, რომ აუდიტორია იყო მედიაინდუსტრიის «საქონელი», რადგან იგი აწვდის რეკლამის მწარმოებელ კომპანიებს მოზიდულ, დამუშავებულ, კონსტრუირებულ და გაზრდილ-გამზადებულ აუდიტორიას. შესაბამისად სწორედ ეს ფართო მასები არის სოციალური მედიაინდუსტრიის უმთავრესი პროდუქტი.

**დ. სმაიტის პოლიტიკური ეკონომია აკავშირებს მედიის, აუდიტორიისა და რეკლამის მწარმოებლების ტრიადას და აუდიტორიასთან მიმართებაში შემოაქვს კონცეფცია „საქონელი" ანუ „პროდუქტი". არსებითად, იგი აყალიბებს მედიაეკონომიკსის თეორიულ საფუძველს. სოციალური მედიაინდუსტრიის ეკონომიკა არამარტო ჩაშენებულია საბაზრო ეკონომიკაში და არამხოლოდ ქმნის სპეციფიკურ იდეოლოგიურ პროდუქტებს აუდიტორიის ცნობიერებაში დასანერგად, არამედ დაკავებულია მასობრივი და სპეციალიზებული აუდიტორიის შექმნით რეკლამის მწარმოებელთათვის.**

დ.სმაიტის აზრით მიდის აუდიტორიის კომმოდიფიკაციის პროცესი (ინგლ.commodity -სარეალიზაციოდ გამოტანილი საქონელი) , რომლის მიხედვითაც აუდიტორიას მიენიჭა სარეალიზაციო პრო-

დუქტის სტატუსი,ეს ყოველივე ნათლად წარმოაჩენს მედიაინდუსტრიისა და საბაზრო ეკონომიკის განუყოფელ ერთობას. ამ პოზიციაში დ.სმაიტი წინააღმდეგობაში მოდის ფრანკფურტის სკოლის წარმომადგენლებთან, რომლებიც თვლიდნენ, რომ კაპიტალისტური ეკონომიკური პლატფორმისათვის, სოციალური მედიაინდუსტრია უმნიშვნელოვანესია, როგორც იდეოლოგიურად კონცენტრირებული პროდუქციის მწარმოებელი. არადა კაპიტალისტური ბაზრისთვის დღეს უკვე მთავარია მასობრივი აუდიტორიის წარმოება-ჩამოყალიბება და არა იდეოლოგიის წარმოება.

## ინფორმაციონალიზმის ეპოქა და ქსელური საზოგადოების ჩამოყალიბების ტენდენციები

პოსტიუნდუსტრიულმა საზოგადოებამ შეაბიჯა ციფრულ ერაში. კაპიტალიზმი ფაქტობრივად დასრულდა, რადგან პარეტოს ცნობილმა პრინციპმა 80/20 რაც გულისხმობს სიმდიდრის გადანაწილების თანაფარდობას - პლანეტის მოსახლეობის 80% დოვლათს განაგებს საზოგადოების 20 %, კიდევ უფრო საშიში სახე მიიღო და ჩამოყალიბდა დისპროპორციად 99/1%. ინფორმაციული კაპიტალიზმისა და ქსელური საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესები მიდის შეუქცევადი ტემპებით. მანუელ კასტელსის ტრილოგია (1996,1997,1998) საერთო სათაურით „ინფორმაციული საუკუნე: ეკონომიკა, საზოგადოება და კულტურა" საზოგადოების განვითარების ფუნდამენტურ პარადიგმებს გვთავაზობს. კასტელსი (1996) გამოხატავს პოსტმოდერნისტული სოციალური თეორიის საპირისპირო პოზიციას, რომელიც, როგორც თავად თვლის, აქეზებს „ისტორიისა და, გარკვეული დოზით, გონის დასასრულის ზეიმს, უარყოფს ჩვენი გაგებისა და გაცნობიერების უნარს". მას მწამს რაციონალიზმისა და გონის მართვის შესაძლებლობის, სწამს გააზრებული სოციალური ქმედებებისა. მიუხედავად ადრინდელი ტრადიციული ტრაგიკული ინტელექტუალური შეცდომებისა, მას სჯერა, რომ დაკვირვება, ანალიზი და თეორიის აგება ხელს უწყობს სხვა, უკეთესი სამყაროს შექმნას. კასტელსი იკვლევს ახალი საზოგადოების, კულტურისა და ეკონომიკის აღმოცენებას 70-იან წლებში აშშ დაწყებული ინფორმაციულ -ტექნოლოგიური (ტელევიზია, კომპიუტერები) რევოლუციისგანხრით. ამ რევოლუციამ, თავის მხრივ, დაწყებული 80-იანი წლებიდან გამოიწვია კაპიტალისტური სისტემის ფუნდამენტალური გარდაქმნა და გაჩენა იმისა, რასაც კასტელსიუწოდებს „ინფორმაციულ კაპიტალიზმს". გარდა ამისა აღმოცენდა „ინფორმაციული საზოგადოება" (თუმცა უნდა აღინიშნოს, რპომ მათ შორის ადგილი აქვს მნიშვნელოვან კულტურულ და ინსტიტუციონალურ განსხვავებას). ორივე აღნიშნული ფორმა ეფუძნება „ინფორმაციონალიზმს" ,რომლის დროსაც, განვითარების წესი, წარმოების ძირითადი წყარო არის ცოდნისა და ინფორმაციის საფუძველზე წარმოების ფაქტორების ოპტიმიზირების თვისობრივი შესაძლებლობის უნარი. ინფორმაციონალიზმის გავრცელება, განსაკუთრებით ინფორმაციული კაპიტალიზმისა, იწვევს პიროვნებასა და იდენტურობაზე დაფუძნებული ოპოზიციური სოციალური მოძრაობების აღმოცენებას („პროცესი, რომლის საშუალებით სოციალური აქტორი აცნობიერებს საკუთარ თავს და მნიშვნელობას აყალიბებს, პირველ რიგში, მოცემული კულტურული ნიშნის ან ნიშანთა ჯამის საფუძველზე და გამორიცხავს სხვა სოციალური სტრუქტურების დახმარებას"). ეს მოძრაობები არის მარქსისტული „კლასობრივი ბრძოლის" თანამედროვე ექვივალენტები. იმედს, წინააღმდეგობა გაუწიო ინფორმაციული კაპიტალიზმისა და მისი თანმდევი პრობლემების (ექსპლოატაცია, მუქარა პიროვნებასა და იდენტურობაზე, ინფორმაციული შეზღუდვები) გავრცელებას, იძლევა არა მუშათა კლასი, არამედ განსხვავებული სოციალური მოძრაობები (მაგალითად, ეკონომიური, ფემინისტური), რომლებიც ძირითადად ეფუძნებიან იდენტურობას. კასტელსის ჩატარებული ანალიზის არსი მდგომარეობს იმაში, რასაც ის ეძახის ინფორმაციული ტექნოლოგიის პარადიგმას. ამ უკანასკნელს აქვს ხუთი ძირითადი თვისება: პირველი - ტექნოლოგიები რომლებიც გავლენას ახდენენ ინფორმაციაზე; მეორე, რადგან ინფორმაცია არის ადამიანის მოღვაწეობის ძირითადი ნაწილი, ამ ტექნოლოგიების გავლენა ყოვლისმომცველია; მესამე, სისტემები, რომლებიც იყენებენ ინფორმაციულ ტექნოლოგიას, განისაზღვრებიან „ქსელის ლოგიკით", რომელიც მათ აძლევს საშუალებას გავლენა იქონიონ ერთდროულად მრავალ პროცესსა და ორგანიზაციაზე; მეოთხე, ახალი ტექნოლოგიები ძალზე მოქნილებია, რაც იძლევა მუდმივი ცვალებადობისა და ადაპტირების შესაძლებლობას; მეხუთე, ინფორმაციასთან დაკავშირებული ცალკეული ტექნოლოგიები ერთიანდებიან უკიდურესად ინტეგრირებულ სისტემაში.

**80-იან წლებში აღმოცენდა ახალი გლობალური ინფორმაციული, მომგებიანობით მზარდი ეკონომიკა.** ის ინფორმაციულია იმიტომ, რომ მისი სამეურნეო ერთეულები ან აგენტების (იქნება ეს ფირმა, რეგიონი თუ სახელმწიფო) წარმადობა თუ კონკურენტუნარიანობა ძირფესვიანად დამოკიდებულია მათსავე უნარზე შექმნან, დაამუშავონ და ეფექტურად გამოიყენონ ცოდნაზე დაფუძნებული ინფორმაცია. ის გლობალურია იმიტომ, რომ აქვს „უნარი ფუნქციონირებდეს, როგორც ერთიანი მთლიანი რეალურ დროსა და მთელ სივრცეში". პირველად ეს შესაძლებელი გახდა ახალი ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიების წყალობით. **ახალი ეკონომიკა „ინფორმაციულია და არამხოლოდ მარტივად ინფორმაციაზე დაფუძნებული, იმიტომ, რომ მთელი სოციალური სისტემის კულტურულ-ინსტიტუციონალური თვისებები**

**უნდა იყვნენ ჩართული ახალი ტექნოლოგიური პარადიგმის განვითარებასა და განხორციელებაში".** მიუხედავად იმისა, რომ ახალი ეკონომიკა გლობალური ხასიათისაა, არსებობენ განსაზღვრული განსხვავებები. მ.კასტელსი გამოყოფს ახალი გლობალური ეკონომიკის რეგიონებს - ჩრდილოეთ ამერიკა, ევროკავშირი და სამხრეთ - აღმოსავლეთ აზია. ამგვარად, ჩვენ ვსაუბრობთ რეგიონებად დაყოფილ გლობალურ ეკონომიკაზე. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი განსხვავებებია რეგიონებში, და ძალზე მიშვნელოვანია, რომ როდესაც დედამიწის ზოგიერთი რეგიონები ჩაერთვებიან ამ პროცესში, მაშინ ზოგიერთი სხვა რეგიონები გადიან ამ პროცესიდან, რასაც მოჰყვება სერიოზული ნეგატიური შედეგები. გადიან მსოფლიოს დიდი სფეროები (მაგალითად საჰარისქვედა მთელი აფრიკა), აგრეთვე პრივილეგირებული რეგიონების ნაწილი (მაგ.: აშშ ქალაქების ნაწილი). ახალი გლობალური ინფორმაციული ეკონომიკის აღმოცენებას თან სდევს ახალი ორგანიზაციული ფორმების - ქსელური საწარმოების გაჩენა. **ქსელური მრეწველობა ხასიათდება მოქნილი და არა მასობრივი წარმოებით, მართვის ახალი სისტემებით (ხშირად გადმოტანილია მენეჯმენტის იაპონური მოდელიდან), უფრო ჰორიზონტალური, ვიდრე ვერტიკალური მოდელის მქონე ორგანიზაციებით დასტრატეგიულ ალიანსებში მსხვილი კორპორაციების გაერთიანებით.** ყველაზე მნიშვნელოვანია ორგანიზაციის ფუნდამენტური კომპონენტი - ქსელების ერთობლიობა. სწორედ ამის გამო კასტელსი ამტკიცებს, რომ „ახალი ორგანიზაციული ფორმა აღმოცენდა, როგორც ინფორმაციულ - გლობალური ეკონომიკის მახასიათებელი: ქსელური დაწესებულება", გაგებული როგორც „დაწესებულების სპეციფიკური ფორმა, რომლის საშუალებათა სისტემა იქმნება ავტონომიურ სისტემათა მიზნების გადაკვეთის სეგმენტით". ქსელური დაწესებულება არის გლობალური ინფორმაციული ეკონომიკის კულტურის მატერიალიზაცია და ეს ქმნის შესაძლებლად სიგნალების საქონლად გარდაქმნას, ცხადია ცოდნის დამუშავების გზით. შედეგად იცვლება შრომის ბუნება (მაგალითად, შრომის ინდივიდუალიზაცია სამუშაო დროის გრაფიკის მოქნილი ფორმების შემოღებით), თუმცა ამ ცვლილების კონკრეტული ხასიათი განსხვავებულია სხვადასხვა სახელმწიფოებში. ეს ყველაფერი საბოლოო ჯამში გამოიწვევს დასაქმების ახალი პლატფორმების ჩამოყალიბებას, როდესაც ოფისების ნაცვლად, ადამიანს სახლიდანაც შეეძლება კონკრეტული სამუშაოების შესრულება. ამ მხრივ უკვე საქართველოშიც არსებობს პრაქტიკული გამოცდილება ქსელური ინდუსტრიის მუშაობისა, თუმცა მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მხრივ არასახარბიელო მდგომარეობაა. ვფიქრობ ამის მიზეზი ისაა, რომ საქართველომ ჯეროვნად ვერ გაიარა ინდუსტრიალიზაციის პროცესი, რომ აღარაფერი ვთქვათ პოსტინდუტრიალიზაციაზე და ციფრული ეპოქა პირდაპირ შემოიჭრა, ჩვენ ხომ ვერ დაგველოდება, ვერ დაყოვნდება დროში. მისი მოუხელთებლობა და სწრაფწარმავალობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ერთდროულად მყოფობს ყველგან რეალურ დროსა და სივრცეში. არ აღმოჩნდა ჩვენი საზოგადოება მზად ამ პროცესებისთვის და მხოლოდ გაჯეტების საყოფაცხოვრებო მომხმარებლურ დონეზე გამოყენება ცნობიერების ამაღლების საშუალებას ვერ იძლევა. რადგან წარმოება ფაქტობრივად მინიმალურ დონეზეც ვერ აკმაყოფილებს ქართული ბაზრის მოთხოვნებს, რომ აღარაფერი ვთქვათ ევროკავშირისა და ჩინეთის ბაზრებზე, რომლებთანაც ჩვენ მიბმული ვართ სავაჭრო ხელშეკრულებებით. მათი ბაზრები გახსნილია უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმით და ელოდებიან ჩვენგან საქონლის მიწოდებას, ჩვენ კი მოთხოვნის ძალას ვერ ვაკმაყოფილებთ. როდესაც წარმოება გვექნება მაღალ დონეზე, მაშინ ექნება აზრი ელექტრონულ კომერციას, რომლიც ჩვენს წარმოებულ უნიკალური მახასიათბელების მქონე საქონელს შეუზღუდავად შესთავაზებს მთელ მსოფლიოს. სოციალური მედიაც გართობის და სამოყვარულო დონეზეა გამოყენებული, სოციალური ქსელების მოხმარებაც ზედაპირულდა არასაქმიან ხასიტს ატარებს. ბევრ ბიზნესმენს ჯერ კიდევ არ ესმის, რომ თუ სოციალურ მედიაში არ იძებნება, არ აქვს ელექტრონული საიტი ან გვერდი მაინც, ის უბრალოდ არ არსებობს სამყაროსთვის. თავისი წარმოების 0,1% გაუკეთებს რეალიზაციას და დანარჩენი უბრალოდ საქონლის სასიცოცხლო ციკლის ამოწურავს დაელოდება დახლზე.

მარკეტოლოგები ბაზრის კვლევას უამრავ დროს და მატერიალურ რესურსს ახმარდნენ მეოცე საუკუნეში. ხოლო ისეთი ბედნიერები, როგორებიც დღეს არიან ციფრულ ერაში, არასდროს ყოფილან. სოციალური მედიის წყალობით მათ აუსრულდათ დიდი ხნის ნანატრი ოცნება: გაეგოთ ზუსტად რა სურს მომხმარებელს? ფეისბუქში, ტვიტერში, ფლიპაგრამში, ინსტაგრამში და სხვა მედიაპლატფორმებში ჩაშენებულია ისეთი პიქსელები, ალგორითმები, რომლებიც ზუსტად იმახსოვრებენ, რომელ საიტზე რამდენ ხანს დავყოვნდით, დავათვალიერეთ, მოვიწონეთ, გავაზიარეთ, რომელ შენობაში და რა მოვლენაზე გავაკეთეთ ჩექ-ინ, რომელ სასტუმროში გავჩერდით, სად ვიმოგზაურეთ, რა ტიპის საკვები მივირთვით - ვეგეტარიანული, ვეგანური თუ ორდინარული, ეკონომკლასით დავფრინავთ თუ ბიზნესკლასით, პრეტაპორტეს ხაზით ვიმოსებით თუ ჰოტ კუტიურეების ლაქშერი ბრენდებით, ხშირად ვსარგებლობთ დაგროვების ბარათებით თუ ფასდაკლებებზე ვართ ორიენტირებული და ასე შემდეგ. სემდგომ ჩვენს მიერ გამოვლენილი ინტერესების მიხედვით დაუღალავად გვთავაზობს მონათესავე სახის ინფორმაციას, რეკლამებს, ფასდაკლებებს, სპეციალურ შეთავზებებს. ყოველივე ეს საჯაროდაა გამოფენილი სოციალურ

მედიაში და მარკეტოლოგებს შეუძლიათ ზუსტად განსაზღვრონ და დაგეგმონ მარკეტინგის გრძელი ჯაჭვის ყველა რგოლი. რომელ სეგმენტზე რა გათვლები გააკეთონ, რა აწარმოონ, რამდენი, როგორი, ვისთვის და რატომ? ვის რა მოსწონს, რას ანიჭებს უპირატესობას, რას გეგმავს, სად უნდა დაისვენოს, რომელ საიტებს ათვალიერებს და რა ინტენსივობით და ასე შემდეგ.

ამ პროცესებს ვერაფერი შეაჩერებს, მოგვწონს ეს თუ არ მოგვწონს. როგორც მანუელ კასტელსი ამბობს, ციფრული ერა თავის წესებს გვკარნახობს, ხელოვნური ინტელექტის როლი კიდევ უფრო გაიზრდება, ინფორმაციული კაპიტალიზმის ეპოქაში შევედით. უამრავი პროფესია და ხელობა განიცდის ენტროპიას.უბრალოდ შრომით ბაზარზე მტელ რიგ პროფესიებზე მოთხოვნა აღარ იქნება. ახალი მულტიდისციპლინარული მეცნიერებები ვითარდება გარემოს გამოწვევების შესაბამისად, ბიოსფეროდან თანდათან ნოოსფეროში გადავინაცვლეთ, უბრალოდ უნდა ვისწავლოთ ნოოსფეროდან ახალი ცოდნის მიღებისა და გენერირების ხერხები. ამერიკაში უკვე ტრანსჰუმანიზმის იდეები პოლიტიკური პარტიის რანგშია აყვანილი. ხელოვნური ინტელექტისა და კიბერიმმორტალიტის ამბიციური იდეის მიმდევარი ზოლტვან იშტვანი კიბერუკვდავებას სთავაზობს თავის ამომრჩეველს. ახალი მსოფლიო წესრიგის ფარგლებში მაქსიმალურად უნდა ვიყოთ აღჭურვილი ახალი ცოდნით, რომელსაც სჭირდება დახარისხება და გაანალიზება, რათა ინსტურმენტად გამოვიყენოთ ჩვენი მთავარი ფასეულობათა სისტემის შესანარჩუნებლად. საქართველო მრავალი ათასი წლის წინ იყო უძველესი მაღალი კულტურის, ცივილიზაციისა და განმანათლებლობის აკვანი. ეს ცოდნა დაიკარგა, დიდი ხნით თვალს მიეფარა და ახლა დადგა ჟამი, როცა ჩვენ მსოფლიო რუკაზე უნდა დავბრუნდეთ ინტელექტის პრიმატით. აქ მასობრივად უნდა დაინერგოს ბრეინჰაბისა და ტექნოპარკის კულტურა, როგორც განვითარებულ ქვეყნებში, მთავარ პრიორიტეტად გამოცხადდეს განათლება და კულტურა, რადგან კულტურის გარეშე განათლება საშიში იარაღია. ინოვაციების შექმნითა და ექსპორტირებით ქვეყანამ უნდა მიაღწიოს დაახლოებით 10-12% ეკონომიკურ ზრდას, ეს კი მეცნიერებატევადი დარგების მაქსიმალური წახალისების გარეშე შეუძლებელია და მსოფლიოს ლიდერ ქვეყნებსაც ვერ მიუღწევიათ ჯერ.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Mosco V. The Political Economy of Communication. Rethinking and Renewal. London, Sage, 1996;

2. Назаров М.М. Массовая коммуникация в современном мире: методология анализа и практика исследований. Москва, УРСС, 2000, с. 24-30;

3. Adorno T., Horkheimer V. 'The Culture Industry: Enlightenment as Mass Deception', in The Dialectics of Enlightenment. New York: Heder and Heder, 1972;

4. Smythe D/ Communications: Blindspot of Western Marxism , Canadian Journal of Political and Sociat Theory, vol. 1, N0 3, pp. 1-27;

5. Picard R. Media Economics. Concepts and Issues. London, Sage, 1989, p. 18, 21;

6. Manuel Castells - The Information Age and Network Society, trilogy (1996; 1997; 1998);

7. Жан Бодрийяр – Общество Потребления 1970. Перевод 2006.

# გაზეთი «დამოუკიდებელი საქართველოს» დაარსების ისტორიისთვის

**(პარიზი, 1926-1939 წ.წ)**

*თეონა არველაძე*
*სტუ დოქტორანტი*

**რეზიუმე**

1921 წლის, ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ, საქართველოდან დევნილმა პოლიტიკურმა პარტიებმა პარიზს შეაფარეს თავი, სადაც შექმნეს საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა გაერთიანებული ორგა-ნო, გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველო".

გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველო" 1926 - 1939 წლებში ყოველთვიურად გამოდიოდა პარიზში. გაზეთს სხვადასხვა დროს რე-დაქტორობდნენ ცნობილი ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები: იოსებ გობეჩია (1926 -1929 წ.წ), გრიგოლ ურატაძე (1929 -1936 წ. წ) და სამსონ ფირცხალავა (1936 - 1939 წ. წ).

გაზეთში იბეჭდებოდა უნიკალური ფოტოები და უცნობი მასა-ლები ნაცნობ ისტორიულ მოვლენებზე.

„დამოუკიდებელ საქართველოში" დაბეჭდილი პუბლიკაციების დიდი ნაწილი, ისევე როგორც გაზეთის შემქნელი პოლიტ ლიდერების პოლიტიკური ფსოქოლოგია შეუსწავლელია.

გაზეთი „ დამოუკიდებელი საქართველო" თავისი მასალებით, საინტერესოსთან ერთად ღირებულია დაინტერესებული მკვლევრე-ბისთვის, ვინაიდან იგი წარმოადგენს მაგალითს - ქართული ემიგრან-ტული ჟურნალისტიკის.

**საკვანძო სიტყვები:** პოლიტიკა, პარტიები, საქართველო, იმპერია, ემიგრაცია, დამოუკიდებლობა, სამშობლო, გაზეთი, პუბლიკაცია.

**RESUME**

In 1921, after occupation of Georgia by Bolsheviks, political parties left Georgia and took refuge in Paris. They created a united body of political parties in the form of a newspaper "Independent Georgia".

"Independent Georgia" was published once month, from 1926 to 1939, in Paris. The editors of newspaper were prominent Georgian political figures: Ioseb Gobechia (1926-1929), Grigol Uratadze (1929-1936) and Samson Pircxalava (1936-1939).

The newspaper published unique photos and unknown materials.

Most of the publications are unexplored as well as political psycho-logy of political leaders.

Newspaper "Independent Georgia" with its materials is important for the history of Georgian journalism, because it presents a sample at the Georgian immigrant press.

**Keywords**: Politics, parties, Georgia, empire, emigration, independence, homeland, newspaper, publication.

* * * *

გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველო" 1926 წლის იანვრი-დან 1939 წლის ივლისის ჩათვლით ყოველთვიურად გამოდიოდა პარიზში. გაზეთი დაარსა ბოლშევიკური ოკუპაციის (1921წ.) შემდეგ საქართველოდან დევნილმა პოლიტიკურმა პარტიებმა: სოციალ დემოკრატებმა, ეროვნულ - დემოკრატებმა, სოციალისტ - ფედერალისტებმა და სოციალისტ რევოლუციონერებმა, როგორც საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა გაერთიანებული ორგანო.

გაზეთის დაარსებას წინ უძღვოდა რიგი პოლიტიკური პროცე-სები, კერძოდ: დიდ სახელმწიფოთა დაპირისპირება გავლენის სფე-როების გადასანაწილებლად, ასევე ევროპის ქვეყნებში დაწყებული რევოლუციური მოძრაობები, რამაც შეაფერხა მსოფლიოში მშვიდობის დამყარება. ცხადია ამ გარემოებებმა უარყოფითი გავლენა მოახდინა კავკასიის რეგიონზე და კონკრეტულად დამოუკიდებელი საქართ-ველოს მდგომარეობაზე.

საქართველოს პოლიტიკური რუკა XX საუკუნის 20-იან წლებში კიდევ უფრო ბუნდოვანი გახდა, ნანატრ წარმატებას მოჰყვა მარცხი. მოპოვებული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა მხოლოდ სამი წელი გაგრძელდა და ქართველი ერი კვლავ დაბრუნდა იმ მძიმე ყოფაში, რასაც რუსეთის ბატონობა ჰქვია. თუმცა არ დანებებულა და დაიწყო ახალი აქტივობები.

მოგეხსენებათ, დემოკრატიულ საზოგადოებაში, მოსახლეობის განსხვავებულ ინტერესებს პოლიტიკური პარტიები გამოხატავენ. მაგრამ რუსეთის იმპერია მეცხრამეტე - მეოცე საუკუნეთა მიჯნაზე ისეთ ფენომენს წარმოადგენდა, სადაც თვითმყრობელური მონარქიის დესპო-ტიზმი მძვინვარებდა და დემოკრატიულ ინსტიტუტებს გასაქანს არ აძლევდა. რუსეთის იმპერიის საზღვრებში მოქცეული, იმპერიის განაპირა გუბერნიად ქცეული საქართველო სოციალურ და ეროვნულ ჩაგვრას განიცდიდა.

ბოლშევიკები საბჭოთა ადამიანებს ილუზორულ, წარმოსახვით სამყაროში აცხოვრებდნენ, სადაც მიღებული იყო საზოგადების მოტ-ყუება, უტოპიური იდეებით ცხოვრება. სახელმწიფოს საშინაო პოლი-ტიკა საზოგადოების ტერორს ეფუძნებოდა. ხელისუფლება ებრძოდა მოაზროვნე ადამიანებს, რომელთაც შეიძლებოდა ეჭვი შეეტანათ სოციალისტური გარემოს იდეალურობაში. მისი მიზანი იყო შემოქმედებითი ადამიანების და პოლიტიკური მოწინააღმდეგეების მოსპობა და შიშის დათესვით მორჩილი საზოგადოების შექმნა. შესაბამისად, გა-

ნსხვავებული აზრი და ოპოზიციურად განწყობილ პარტიათა არსებობა, საბჭოთა რეჟიმისთვის მიუღებელი იყო. პოლი-ტიკური პარტიების ჩამოყალიბების პროცესი რუსეთშიც და საქართვე-ლოშიც რამდენიმე ათეულ წელიწადს გაჭიანურდა. მხოლოდ მეცხ-რამეტე საუკუნის 90-იან წლებსა და მეოცე საუკუნის დამდეგს შეიქმნა პოლიტიკური პარტიებისათვის ჯერ არალეგალური, მოგვიანებით კი - ლეგალური მოღვაწეობის მეტნაკლებად შესაფერისი პირობები.

რუსეთის იმპერიის საზღვრებში მოქცეული საქართველო სოციალურ და ეროვნულ ჩაგვრას განიცდიდა. ამტომ, ძირითადი, რაზეც ქართველი პოლიტიკოსები მსჯელობდნენ და მნიშვნელოვნად მიაჩნდათ, სოციალური და ეროვნული საკითხი იყო. სწორედ ამ საკითხებისადმი განსხვავებული მიდგომით გამოირჩეოდნენ ერთმანე-თისაგან ქართული პოლიტიკური პარტიები. საქართველოს დამოუკი-დებლობის პარიზში ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრება ქართული პოლიტიკური პარტიათა ცხარე დებატების ფონზე მიმდინარეობდა. ძირითადი პარტიები, რომლებიც გავლენას ახდენდნე საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე იყვნენ: სოციალ-დემოკრატიული პარტია, სოციალ-ფედერალისტური პარტია, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია (ესერები).

აღნიშნულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა, პარტიების ემიგრა-ციაში გახიზვნამ და საერთო ეროვნული ღირეულებების გარშემო გაერთიანებამ, განაპირობა გაზეთ „დამოუკიდებელი საქართველოს" დარსება.

გაზეთს სხვადასხვა დროს რედაქტორობდა განსხვავებული პოლიტიკური მსოფლმხედველობის, თუმცა საერთო ეროვნული მიზნე-ბით გაერთიანებული რედაქტორები. კერძოდ, 1926 წლის იანვრიდან 1929 წლის ნოემბრამდე (N 1-47) რედაქტორობდა ცნობილი ქართველი პოლიტიკური მოღვაწე სოციალისტ - რევოლუციონერი (ესერი) იოსებ გობეჩია, რომელიც 1929 წლის დეკემბრიდან (N 48) შეცვალა ასევე ცნობილმა ქართველმა პოლიტიკურმა მოღვაწემ სოციალ - დემოკრატმა გრიგოლ უროტაძემ, ხოლო 1936 წლის აგვისტოდან (N128) გაზეთს სათავეში ჩაუდგა დიდი ქართველი ეროვნული მოღვაწე სოციალისტ - ფედერა-ლისტი სამსონ ფირცხელავა, რომლის ხელში დაიხურა კიდეც „დამოუკიდებელი საქართველო" 1939 წლის ივლისში.

გაზეთის არსებობის მანძილზე, მასში თანამშრომლობდნენ და პუბლიცისტურ მოღვაწეობას ეწეოდნენ: ნოე ჟორდანია, კარლო ჩხეიძე, გიორგი გვაზავა, შალვა ამირეჯიბი, ნოე რამიშვილი, მიხაკო წერეთელი, ექვთიმე თაყაიშვილი, ივანე ზურაბიშვილი და სხვა.

„დამოუკიდებელი საქართველოს" დამაარსებლებმა გაზეთის პროგრამა, მიზანი და მიმართულება, სულ სამ სიტყვით განმარტეს: „მთლიანი ფრონტით დამოუკიდებლობისაკენ" (1926 წლის N1).

წერილში ვკითხულობთ: „დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა და მთლიანი ფრონტი ერთსა და განუყოფელ ცნებას წარმოადგენს ჩვენთვის. მათი ერთი მეორისაგან გათიშვა ეწინააღმდეგება საღს წარმოდგენას და დიდი ვნების მოტანაც შეუძლია მისთვის.

ერი ცოცხალი ორგანიზმი არის. მას აქვს თავისი სახეობა, ნებისყოფა. მაშასადამე ის მთლიანია და განუყოფელი...

ერი რა ერია, თუ ის არ ეკვეთა მთელის თავის ენერგიით, მთე-ლის თავის შემადგენლობით ამ გარედან შემოჭრილ ფათერაკს! და რაც უფრო მომწიფებულია ერი, რაც უფრო მძლავრია მასში თავდაცვის ინსტიქტი და ბრძოლის ტრადიცია, მით უფრო მთლიანად და მწყობ-რად ირაზმება ის გარეშე მტრის წინააღმდეგ". [1]

„დამოუკიდებელი საქართველო", რადგან წარმოადგენდა ეროვნულ ძალთა გაერთიანებული ფრონტის ორგანოს, მასში გამოქვეყ-ნებული მასალებიც თანაბრადაა გადანაწილებული პოლიტიკური პარ-ტიების წევრებზე. ამის მაგალითია, თუნდაც გაზეთის პირველი ნომერი სადაც ნ. ჟორდანიას წერილის „ერთი ფრონტი" პარლელურად დაიბეჭ-და: ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან გიორგი გვაზავას „საერთაშორისო სამართალი" და შალვა ამირეჯიბის „ჩვენ და ისინი", სოცილაისტ-რევოლუციონერები (ესერები) - იოსებ გობეჩიას „ბრძოლა გამარჯვებამდის", სოციალისტ - ფედერალისტები სამსონ ფირცხელავას „ ჩვენი სამი მცნება" პუბლიკაციით.

გაზეთ „დამოუკიდებელ საქართველოში" 1926-1939 წლებში გამოქვეყნებული მასალები თემატურად თერთმეტ რკალად შეიძლება დაიყოს: I. მეთაურები; II. წერილები; III. საქართველოს საკითხის გარ-შემო; IV.კავკასია; V.კორესპონდენციები; VI. ქართველები უცხოეთში; VII. საქართველოს ამბები; VIII. უცხოეთი; IX. ნეკროლოგები; X. ბიბლიოგრაფია; XI. სხვადასხვა.

გაზეთს აგრეთვე ჰქონდა მუდმივი რუბრიკები: საქართველოს საკითხი უცხოეთში", "IBERIKA", „რუსთაველიანა", „ქართველები პარიზში", „ქართველები გერმანიაში", „უცხოელები საქართველოს შესახებ", „მტრის ბანაკში", „სხვადასხვა ამბები", „ბიბლიოგრაფია", „შემოწირულება"....

გაზეთში ვხვდებით უნიკალურ ფოტოპორტრეტებსა და სხვა ფოტომასალებს , ახლო წარსულის გამოჩენილ ისტორიულ ან ნაკლებად ცნობილ პირთა შესახებ, მაგალითად: მიტროპოლიტი ნაზარი - ლეჟავა (N3); გენ. კოტე აფხაზი (N5); პეტრე მელიქიშვილი (N16); ამბროსი ხელაია (N17); , ასევე სრულიად უცნობ ან ნაკლებად ცნობილ ისტორიულ დოკუმენტებს (მაგალითად: უცნობი მასალები თბილისის უნივერსიტეტის ისტორიისთვის, კერძოდ დამოუკიდებელი საქართ-ველოს მთავრობის

1 „დამოუკიდებელი საქართველო", 1926 წ, N1

წევრის აკაკი ჩხენკელის მოგონება „თბილისის უნივერსიტეტის დაარსება" რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „დამოუ-კიდებელი საქართველოს" N25, იანვარი, 1928წ.), უნიკალურ პუბ-ლიკაციებს, ფოტოილუსტრაციებს. მაგალითად: ქართულ ემიგ-რანტულ ლიტერატურასა და ჟურნალისტიკაში და ზოგადად ქართულ რეალობაში ბევრი დაწერილა საქართველოს დამოუკიდებლობის დღეზე, თუმცა ბევრი წერილი ვერ დაიკვეხნის ამ დღესთან დაკავ-ში-რებულ იმდენ უცნობ დეტალებსა და ცალკეულ გაროებებზე, რასაც შეიცავს გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველო" .

გაზეთში დაბეჭდილი მასალები საინტერესოსთან ერთად ღირებულია ქართული ჟურნალისტიკისთვის, რადგან იგი წარმოადგენს ქართული ემიგრან-ტული ჟურნალისტიკის მაგალითს. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ სრულად შეუსწავლელია და ანალიზის გარეშეა დარჩენილი „დამოუკიდებელ საქართველოში" დაბეჭდილი როგორც პუბლიკაციების ნაწილი, ასევე პოლიტიკური ფსიქოლოგია ქართველი პოლიტ ლიდერების, რომელთაც შექმნეს გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველო" და მიუხედავად განსხვავებული მსოფლმხედველობისა შეძლეს და გაერთიანდნე საერთო ეროვნული პრობლემის წინაშე.

მიუხედავად იმისა, რომ გაზეთი მიჩნეულია როგორც წმინდა პოლიტიკური თემატიკის მატარებლად, უნდა აღინიშნოს, რომ იგი ასევე ეხმიანებოდა და ემსახურებოდა ყველა ქართულ ლიტერატურულ თუ კულტურულ აქტოვობას, ხელს უწყობდა ქართული-ეროვნულის პოპულარიზაციას. ამის დასტურია გაზეთის სხვადასხვა ნომრებში დაბეჭდილი, ექვთიმე თაყაიშვილის ემიგრანტული პერიოდის ნაშრომები (N118, 1935წ.; N134, N136, 1937წ). ასევე გაზეთში არა ერთი წერილი მიეძღვნა „პრომეთეს კლუბს", რომელიც პოლიტიკურთან ერთად, სწორედ რომ დიდი საგანმანათლებლო და კულტურულ საქმიანობას ეწეოდა „პრომეთეს (ამირანის) კლუბი". კლუბი 1925 წელს დაარსდა ვარშავაში ეროვნულ-დემოკრატი გიორგი გვაზავას ინიციატივით და პროფესორ სმალსტოცკის თავკაცობით. ეს კლუბი მიზნად ისახავდა „ჩაგრულ ერთა" მისწრაფებათა ფართოდ გავრ-ცელებას, მათი წარსულის, აწმყოს გაცნობას და საგმირო საქმეების გახმაურებას, ყველა ქვეყანაში, განურჩევლად რეჟიმისა, რაც შეიძლება მეტი თანამგრძნობისა და მეგობრის მოპოვებას).

გაზეთის ერთერთ დამატებით ღირსებად უნდა ჩაითვალოს ჩაითვალოს ის გარემოებაც, რომ იგი არაა წმინდა ჟურნალისტური ხასიათის გამომცემა. მისი ავტორები არიან არა ჟურნალისტები, არამედ ის ადამიანები, რომლებიც ქმნიდნენ პოლიტიკურ ამინდს ქვეყანაში და რომლებიც ხშირ შემთხვევაში თავად იყვნენ წყარო იმ ინფორმაციების, რომლებიც ხდებოდა ქართულ პოლიტიკაში და იბეჭდებოდა პრესის ფურცლებზე.

### გამოყენებული ლიტერატურა:


1. გურამ შარაძე, „ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. II, თბ.2001წ.
2. „დამოუკიდებელი საქართველოს", კორპუსი - ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმი.
3. კ. გვარჯალაძე, „საქართველოს მთავრობა ემიგრაციაში", პარიზი, 1936წ.
4. რ. დაუშვილი, „ქართული ემიგრაცია 1921-1939 წ.წ „თბილისი, 2007წ.
5. ი. ჩიქავა „ჟორდანიას მთავრობის და ეროვნული ძალების მოღვაწეობ საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგე-ნისთვის" (1921-1933წ.წ). თბ. 2001წ.

# კომუნიკაცია კულტურულ კონტექსტში

***ინგა ქონიაშვილი***
*სტუ დოქტორანტი*

## რეზიუმე

წინამდებარე ნაშრომი „კომუნიკაცია კულტურულ კონტექსტში“ წარმოადგენს კომუნიკაციის როგორც კულტურული ფენომენის მნიშვნელობის წარმოჩინების მცდელობას ენობრივ –კულტურული თვალსაზრისით.

დღეს, გლობალოზაციის ხანაში, როდესაც კომუნიკაცია გაადვილდა, დედამიწა „დაპატარავდა“ და ადამიანებისთვის მარტივად ხელმისაწვდომი გახდა უამრავი საინფორმაციო წყარო თუ საშუალება, შესაბამისად გამარტივდა სხვადასხვა საზოგადოებებსა და ერებს შორის კულტურულ ფასეულობათა გაზიარება.

ნაშრომში საუბარია ენის, როგორც საკომუნიკაციო ინსტრუმენტის შესახებ,რომელიც თავის მხრივ არის საზოგადოებრივი ურთიერთობის ფორმა,რომლის მეშვეობითაც ხორციელდება იდეებისა და ინტერესების ურთიერთგაცვლა.

ნაშრომში საუბარია აგრეთვე ლიტერატურაზე, კერძოდ, მხატვრულ ლიტერატურაზე, რომელიც კულტურული ცოდნის ფასეული წყაროა და რომელიც ასახავს ენას, როგორც სხვადასხვა უნარებისა და პრინციპების ორგანიზებულ სისტემას, რომელიც აწესრიგებს კომუნიკაციის კონკრეტულ აქტს და შესაბამისად, მის სოციალურ ასპექტს.

**საკვანძო სიტყვები:** კომუნიკაცია, ენა, ლიტერატურა, კულტურული ცოდნა,ევოლუცია.

## COMMUNICATION IN CULTURAL CONTEXT

**Inga Koniashvili**
Doctorate of GTU

### RESUME

The present work ‘Communication in Cultural Context’is the attempt to represent the importance of communication as a cultural phenomenon in the respect of linguistics and culture.

Today in the era of globalization, when communication has become easier ,The Earth has become ‘smaller’ and numerous information sources and means are available for humans, consequently has been getting flexible to share cultural values between societies or nations.

The work deals with language as a tool of communication, which in its turn is a form of social interaction by means of which they exchange various ideas and interests.

Also , the article treats fiction as a valuable cultural source that reflects language as an organized system of different skills and principles ,that regulates the specific act of communication and thus, social aspect.

**Key words:** Communication, language, fiction, cultural knowledge, evolution

## შესავალი

თითოეული ერი თავისი ისტორიული ცხოვრების მანძილზე კულტურული ზრდა–განვითრების სხვადასხვა საფეხურზე ქმნიდაკულტურულ ფასეულობებს, რომელთა შორის მწერლობას განსაკუთრებული ადგილი უკავია. კომუნიკაცია დგება არა მარტო ზეპირად,არამედ წერილობითაც. მაშასადამე, გარდა იმისა, რომ ენის შესწავლა თავისთავად წარმოადგენს მულტიდისციპლინარულ მცდელობას, მხედველობაში უნდა მივიღოთ ენის არა მხოლოდ საუბრის ,არამედ წერის ასპექტიც.წერა დიდ გავლენას ახდენს ენაზე, რადგან მნიშვნელოვან როლს ასრულებს ენის რეალიების შემონახვის თვალსაზრისით. კომუნიკაციის საჭიროება აძლიერებს ენის გამოყენებას და განვითარებას, ხოლო საჭიროება წარმოიშობა და ძლიერდება მაშინ და იქ ,როდესაცდა სადაც არსებობს კომუნიკაციის ობიექტი, მაშასადამესაზოგადოებაში. საზოგადოება თვით–შეცნობას ახორციელებს საკუთარ წევრებს შორის კონტაქტითა და კომუნიკაციის მეშვეობით.

## ძირითადი ნაწილი

ადამიანთა შორის კომუნიკაციას ისეთივე მნიშვნელობა აქვს,როგორც ენას,რომელიც კომუნიკაციის აუცილებელი ინსტრუმენტია. კომუნიკაცია ადამიანის ცხოვრების ნაწილია. ფსიქოლოგების განმარტებით, კომუნიკაცია საზოგადოებრივი ურთიერთობის ფორმაა, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება იდეებისა და ინტერესების ურთიერთგაცვლა. იმისათვის,რომ ეს მოხდეს აქტიურ ინტერაქციაში სუბიექტი უნდა უკავშირდებოდეს ობიექტს. კომუნიკაციის პროცესში ორი ან მეტი მხარე მონაწილეობს: 1. მოსაუბრე, 2, მსმენელი. იმისათვის, რომ შედგეს ენობრივი კომუნიკაცია, უნდა განისაზღვროს სასუბრო თემა. თემის გრშემო კომუნიკაციის მონაწილეები მიმართავენ ერთმანეთს და უზიარებენ შეხედულებებს ენის მეშვეობით, რაც საბოლოოდ უზრუნველყოფს ეფექტურ კომუნიკაციას სოციუმის წარმომადგენელთა შორის. სივრცობრივ და ტემპორალურ განზომილებაში საკუთარი პოზიციის დემონსტირებისა და დამკვიდრების აუცილებლობამ ბუნებრივად წარმოშვა მოვლენათა დოკუმენტაციის აუცილებლობა მრავალგვარი ფორმითა და სხვადასხვასაშუალებით. ასეთია მაგალითად,ლიტერატურა,რომელიც მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია გარე ფაქტორების ასახვისა. მეტიც, ლიტერატურა კულტურისა და საზოგადოების გამოხატულებაა,რომელიც ყველაზე კრეატიული და წარმოსახვითი ხერხებით გადმოგვცემს ადამიანთა აზრებს და ოცნებებს, რომლებიც დამახასიათებელია კონკრეტული დროისა და სივ-

რცისთვის. ლიტერატურა ერთდროულად აღწერს და ხელს უწყობს სოციალურ ცვლილებათა ინსპირაციას და ხშირადმიიჩნევა კულტურის სანდო წყაროდ. ჰანოვერის აზრით (2001) [1] ლიტერატურა უდაოდ ფასეული წყაროა კულტურული ცოდნისა, რადგან იგი წარმოადგენს პერსონალურ ინტერპრეტაციას იმ ღირებულებებისა და ცხოვრებისეული გამოცდილებისა, რომლებიც ლიტერატურული ნაშრომის ავტორისთვის კარგად ნაცნობია. კრუზის მიხედვით კი ლიტერატურის შესწავლასაშუალებას აძლევს ადამიანებს, განავითარონ ახალი იდეები, ეთიკური პრინციპები და წარმოადგინონ საკუთარი თავი საზოგადოების განათლებულ წევრებად. ამ თვალსაზრისით ლიტერატურის შესწავლა ახალი გამოცდილების საშუალებაა.

ლიტერატურა და ენა ურთიერთდაკავშირებულია ერთმანეთთან ,რადგან უძველესი დროიდან მოყოლებული ლიტერატურა იყო კულტურის განსახიერება, ხოლო ენა მისი გამოხატვისა და კომუნიკაციის ინსტრუმენტი. რ. სიზდიკის მიხედვით, „ენის კულტურა მდგომარეობს სიტყვების (ლექსიკის), სტრუქტურის (სინტაქსის),მორფოლოგიის, წარმოთქმის სწორად გამოყენებასა და მართლწერის ცოდნაში, ენობრივი სტანდარტები (ლინგვოსტილისტიკა) უნდა დამკვიდრდეს და გაუმჯობესდეს.“ენა ის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ,რომელიც მოიცავს ადამიანის ცხოვრების ყველა ასპექტს. კულტურული ფასეულობებს ასახავს სიტყვათა მარაგი, გრამატიკა, ფრაზეოლოგიზმები ,ანდაზები, ფოლკლორი სამეცნიერო ლიტერატურა, ზეპირი თუ წერითი მეტყველება. მხატვრული ლიტერატურა ერთ–ერთი სფეროა, რომელც ასახავს ენას ,როგორცსაზოგადოდ აბსტრაქტულ ასპექტს, სხვადასხვა უნარებისა და პრინციპების ორგანიზებულ სისტემას, სისტემას,რომელიც აწესრიგებს კომუნიკაციის კონკრეტულ აქტს და შესაბამისად, მის სოციალურ ასპექტს.

პირველი ლიტერატურული ქმნილება ინგლისურ ენაზე ,რომელიც კულტურული კონტექსტის მატარებელია, დაწერილია ძველი ინგლისურით, შუა საუკუნეების ადრეულ პერიოდში. ვგულისხმობთ „ბეოვულფს,“ანგლო–საქსონური ლიტერატურის ჰეროიკულ–ეპიკურ პოემას. საზოგადოდ, პოემა „ბეოვულფი“ ძველ ინგლისურ ლიტერატურაში გადმოგვცემს ძველი ინგლისური პერიოდის ნამდვილ ამბავს ,როდესაც გმირები იბრძოდნენ ბოროტი ძალის წინააღმდეგ, ამარცხებდნენ მას და საბოლოოდ დიდებით ბრუნდებოდნენ სახლში. მე–12 საუკუნეში განვითარდა ახალი ინგლისური ,რომელიც შუა საუკუნეების ინგლისურის სახელითაა ცნობილი, და რომლითაც იწყება შუა საუკუნეების ინგლისური ლიტერატურა.შუა საუკუნეების ინგლისური ლიტერატურის კლასიფიკაცია შემდგენაირადაა წარმოდგენილი: რელიგიური, სატრფიალო–სამიჯნურო და არტურიანული (მეფე არტურის დროინდელი). მეტიც, ლიტერატურა, რომელიც დაიწერა ინგლისში შუა საუკუნეებში,ზუსტად ასახავს იმდროის ინგლისში განვითარებულ მოვლენებს. ფრანგული ენა კარგად ესმოდა მაღალი კლასის საზოგადოებას, წიგნები,რომლებსაც ისინი კითხულობდნენ ან რომლებსაც უსმენდნენ, დაწერილი იყო ფრანგულად. შუა საუკუნეების ინგლისური ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენელმა ჯეფრი ჩოსერმა, რომელიც ასევე აღიარებულია როგორც ინგლისური ლიტერატურის მამა და შუა საუკუნეების დიდი ინგლისელი პოეტი, დაწერა ცნობილი მოთხრობების ციკლი სახელწოდებით „კენტერბერული მოთხრობები,“ რომელიც ერთგვარი ასახვაა 1387 დან 1400 წწ. –მდე ინგლისში მიმდინარეისტორიული პროცესებისა. იგი ამავე დროს,შუა საუკუნეების ლიტერატურის ანთოლოგიაა. „კენტერბერულ მოთხრობებში“ გადმოცემულია ინგლისის ეკლესიის წარმომადგენელთა განსხვავებული შეხედულებები. ნაწარმოებისრამდენიმეგმირირელიგიური ფიგურაა, ხოლო მოქმედება, რომელიც ხდება კენტერბერიში,ასახავს რელიგიის და კულტურული კონტექსტის მნიშვნელობას იმდროინდელ ინგლისში. მოგვიანებით 1476 წელს უილიამ ქექსტონმა შემოიტანა საბეჭდი დაზგა ინგლისში, რასაც უკავშირდება ინგლისური ლიტერატურის რენესანსი. აღსანიშნავია ის ფაქტი,რომ ინგლისური ლიტერატურა ვრცელდებოდა თანამედროვე ინგლისის ადრეული პერიოდის ისეთი მწერლების მიერ,როგორიც იყო, მაგალითად, შექსპირი,რომელსაც ეკუთვნის ცნობილი პიესა „ჰამლეტი.“მიუხედავად იმისა, რომ არაერთი მწერალი მოღვაწეობდა იმდროინდელ ინგლისში, უილიამ შექსპირის ნაწარმოებებმა უდიდესი გავლენა იქონიასრულიად ინგლისურენოვან სამყაროზე. ზემოხსენებულ ნაწარმოებში აღწერილია ის პოლიტიკური პრობლემები და პროცესები, რომელთაც ადგილი ჰქონდა და ხდებოდა ერთა შორის იმდროინდელ ევროპაში. სწორედ ეს წარმოადგენს ეპოქის კულტურულ მხარეს ,რომელიც წარმოდგენილია ლიტერატურულ ნაწარმოებში.

**დასკვნა:** როგორც ვხედავთ, ლიტერატურა,როგორც კულტურის ნაწილი, ასახავს საზოგადოების ცხოვრების წესს, ქცევას, მრწამსს, ფასეულობებს და რაც მთავარია, ერთმანეთთან კომუნიკაციას და მის ფორმებს. მხატვრული ლიტერატურა, როგორც წერილობითი ქმედება,,კომუნიკაციის სახეობაა. ლიტერატურული კომუნიკაცია –წერითი ან ზეპირი ტექსტის ტრანსმისია გამგზავნასა და მიმღებს შორის–მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ის აღიარებს მკითხველსა და ავტორს შორის ინტერაქციას, როგორც შემოქმედებით აქტს, რომლის მეშვეობითაც ხდება ინფორმაციის გადაცემა მკითხველის უნიკალური გარემოებების მიხედვით. გარემოებები შეიძლება იყოს სოციალური, კულტურული და ემოციური ,ამასთანავე საგულისხმოა მკითხველის ასაკისა და გამოცდილების ფაქტორიც, როცა საქმე ეხება ავტორის მესიჯის მნიშვნელობის გაგებას. ლიტერატურული კომუნიკაციის თეო-

რიისწარმოშობა დაკავშირებულია ლუის როზენბლატის სახელთან . მისი თეორიის თანახმად მკითხველს სრულიად თავისუფლად შეუძლია გააკეთოს აღმოჩენა –ანუ თავად იპოვოს პერსონალური მანერა და ენა ავტორთან ურთიერთობისა და ლიტერატურული ნაწარმოებით გადმოცემული მისი მესიჯის გაგებისა. ენა არ არის დადგენილი სიდიდე ,სახელდობრ, მისი მნიშვნელობა ცვალებადია,რომელსაც განაპირობებს კონკრეტული კულტურის წარმომადგენლების ინტერპრეტაცია. ამიტომ, მისი მნიშვნელობა დროთა განმავლობაში იცვლება . „ყოველი ენობრივი ქმედება ზეპირი თუ წერილობითი სახით , მეტყველებს ავტორის პოზიციაზე მოცემული კულტურის სოციალურ სტრუქტურაში.“ ენა ერთგვარი მედიატორია ინდივიდსა და საზოგადოებას შორის. რადგან ლიტერატურა ენის გარეშე წარმოუდგენელია, იგი ერთგვარი საშუალებაა საინტერესო ინტერპრეტაციების თავმოყრისა ისეთი ხერხით, რომელიც ასახავს კონკრეტულ ადამიანთა ჯგუფს, რომლებიც ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ისტორიის გარკვეულ მონაკვეთში. ვინაიდან ლიტერატურა ასახავს იმ დროის პრედომინანტურ პოლიტიკურ და ფილოსოფიურ პრინციპებს, რომელშიც ის დაიწერა, მსოფლიო ლიტერატურაც მსოფლიო კულტურის ევოლუციის ისტორიას ასახავს. იგი შეიძლება შევადაროთ ერთ კონკრეტულ დროში მოცემული რეგიონის კადრს. ამ ცოდნას სხვადასხვა საზოგადოება მოიხმარს არამარტო ერთმანეთთან დიალოგისთვის, არამედ იმისთვის, რათა გაეცნონ და გაიგონ ის პრიორიტეტები და გამოწვევები, რომლებიც აქვთ და რომელთა გადალახვაც უწვთ განსხვავებული კულტურის წარმომადგენლებს. რაც მთავარია, გაიგონ თუ რა გავლენას ახდენს მათი ძალისხმევა სხვა საზოგადოების წევრებზე.

## გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:


1. William Caxton ,'Baugh & Cable', 2000,p.195

2. Le PageR.B. , Tabouret –Keller A.,Acts of Identity, Cambridge University Press , 1985 [6].

3. „The Significance of Language as a Tool ofCommunication,' Anca SIRBU , 'Mircea cel Batran'Naval Academy Scientific Bulletin, Volume XVIII-2015-Issue 2 pp.405-406

4. https://www.slideshare.net/XianahMhari/language-communication-9339176

5. „Language and Culture Global Flows and Local Complexity,“ author: Karen Risager ,2006 , Series Languages for Intercultural Communication and Education, 9781853598586, Publisher- Multilingual Matters

6. Source: Beyond Culture (1976) by Edward T. Hall

7. „The Significance of Language as a Tool ofCommunication,“ Anca SIRBU, „Mircea cel Batran“ Naval Academy Scientific Bulletin, Volume XVIII-2015-Issue 2 pp.405-406

8. https://www.slideshare.net/XianahMhari/language-communication-9339176

9. LANGUAGE AND CULTURE ASA MEANSOF COMMUNICATION Impact journals : IMPACT: International Journal of Research in Humanities , Arts and Literature (IMPACT: IJRHAL) ISSN(P) :2347-4564; ISSN(E):2321-8878 Vol.4, Issue 4,Apr 2016,19-26

10. https://www.reference.com/art-literature/importance-world-literature-4eab59804b6f7230?qo=-contentSimilarQuestions

11. Importance of Literary Communication by Amanda Petrona April 17,2017 -https://penandthepad.com/importance-literary-communication-10005097.html

# ნიკო ნიკოლაძე და ევროპის უტოპიური სოციალიზმი

*ნაზი გოგოლაძე*
*სტუ დოქტორანტი*

**რეზიუმე**

ნიკო ნიკოლაძის მსოფლმხედველობა მუდმივ განვითარებას განიცდიდა და ამდენად მის ჩამოყალიბებაზე მართებული მსჯელობა მოითხოვს მთელი შემოქმედებითი ბიოგრაფიის გათვალისწინებას.

ამჯერად განვიხილავთ პუბლიცისტის დამოკიდებულებას, დასავლეთ ევროპის უტოპიურ სოციალიზმთან პირველი ემიგრაციის პერიოდში, როდესაც საბოლოოდ განისზღვრა ნ.ნიკოლაძის ინტერესთა სფეროები.

ნ. ნიკოლაძეს საჭიროდ მიაჩნდა უტოპისტ სოციალისტთა მოძღვრების განვითარება.

„მეორე დასის“ იდეოლოგები აკრიტიკებდნენ არა მხოლოდ კაპიტალისტურ ძალმომრეობას და მის აპოლოგეტებს, არამედ კაპიტალიზმის კრიტიკოსებსაც, რომელთაც მომავალი საზოგადოების შესახებ არასწორი ან ნაკლოვანებების შემცველი შეხედულებანი გააჩნდათ. მათ არ აკმაყოფილებდათ, მაგალითად, პრუდონის თეორია. ამ თეორიიდან “ახალი ახალგაზრდობა“ იზიარებდა პრუდონის მიერ კაპიტალისტური წყობილების კრიტიკას, ამასთანავე სრულიად მიზანშეუწონლად მიაჩნდა მისი გეგმები ახალი წყობილების დამყარების შესახებ.

“მეორე დასის“ იდეოლოგებს შეგნებული ჰქონდათ იმჟამინდელი საქართველოს საზოგადოებრივი ყოფის უცვლელობის პირობებში, სოციალიზმის შენების შეუძლებლობა, ამიტომ ოცნებობდნენ პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვებაზე, რომლის მეშვეობით თანდათანობით უნდა განხორციელებულიყო არსებული ეკონომიკის რადიკალური გარდაქმნები.

თუ დასავლეთ ევროპის სოციალურ-ეკონომიკური მოვლენების შეფასებისას „მეორე დასის“ იდეოლოგები მკაცრი და თანმიმდევრული რევოლუციონერ-დემოკრატები იყვნენ. ამის საშუალებას მათ ევროპული სინამდვილე აძლევედათ. იმჟამინდელი საქართველოს პირობები კი აუცილებლობით მოითხოვდა ეს სიმკაცრე რამდენადმე მშვიდობიანი ფორმით შეცვლილიყო და შეიცვალა კიდეც.

**საკვანძო სიტყვები:** ბურჟუაზია; კაპიტალიზმი; სოციალიზმი; იდეოლოგია; „მეორე დასი“; პრუდონი; თეორიები; უტოპია.

**NIKO NIKOLADZE AND EUROPEAN UTOPIAN SOCIALISM**

**Nazi Gogoladze**
Ph.D. of GTU

**RESUME**

Niko Nikoladze’s outlook has been constantly evolving, and so the proper reasoning for its formation requires consideration of the entire creative biography. This time we will consider the attitude of the publicist during the period of the first emigration to utopian socialism in Western Europe, when the fields of interest of N. Nikoladze finally emerged.N. Nikoladze considered it necessary to develop the doctrine of utopian socialists. The ideologies of the “other troupe” were criticized not only by capitalist forces and its apologists, but also by critics of capitalism who had misguided or defective views of future society. They did not satisfy, for example, Proudhon’s theory. From this theory, the “New Youth” shared Proudon’s critique of capitalist order, but also considered his plans to establish new orders completely inappropriate. The ideologists of the “Second Troupe” were conscious of the impossibility of building socialism in the conditions of the unchanged social presence of Georgia at the time, so they dreamed of gaining political power by means of which gradual transformations of the existing economy would be undertaken.

If the ideologists of the “second troupe” in the evaluation of socio-economic developments in Western Europe were rigid and consistent revolutionary-democrats. This gave them the European reality. But the conditions of Georgia of that time necessitated that this severity be somehow changed and it even changed.

**keywords:** The bourgeoisie; capitalism; socialism; ideology; the “second troupe”; Proudhon, theories; utopia.

* * * *

ნიკო ნიკოლაძის მსოფლმხედველობა მუდმივ განვითარებას განიცდიდა და ამდენად მის ჩამოყალიბებაზე მართებული მსჯელობა მოითხოვს მთელი შემოქმედებითი ბიოგრაფიის გათვალისწინებას. ამჯერად განვიხილავთ პუბლიცისტის დამოკიდებულებას, დასავლეთ ევროპის უტოპიურ სოვიალიზმთან პირველი ემიგრაციის პერიოდში, როდესაც საბოლოოდ განისზღვრა ნ.ნიკოლაძის ინტერესთა სფეროები.

დასავლეთ ევროპის სოციალისტური ლიტერატურა ნ. ნიკოლაძემსპეციალური კვლევის საგნადაც კი გაიხადა. 1864 წელს კ. ლორთქიფანიძი-

სადმიწერილში იგი წერდა: „ორი თვის მერმე მოგწერ ესე იგი გადმოვწერ პირველ 100გვერდს ჩემი „Заметки по политической экономики". ფურიესა და სენ სიმონისსისტემა აწერილი მაქვს, ახლა მაკლია: ტომას მოორ, კამპანელა, კაბეტ, ბაბეფ,ლუი ბლანი და სხვა" 2

იმ პერიოდში ნ. ნიკოლაძე განსაკუთრებით ფრანგული სოციალიზმისდაძლევის მიმართულებით მუშაობდა. ამ მხრივ საინტერესოა კ. ლორთქიფანიძისწერილი თავისი ძმის – დათასადმი. „მე და შენ, სწერდა იგი დათას. არ ვიცით ისორსული ლიტერატურა. როგორც ნიკოლაძემ ფრანცუზული ლიტერატურა...განსაკუთრებით ბევრი წაუკითხავს მას სოციალური წიგნებიო".

სენ-სიმონის მრეწველური სისტემა, შარლ ფურიეს – შრომის ორგანიზაციისასოციაციური ფორმები, რობერტ ოუენის – კომუნიზმი შემოქმედებითად აითვისესმეორე დასის" იდეოლოგებმა. მათ უტოპისტ-სოციალისტთა სისტემებისპირდაპირი გადმოტანა საქართველოს სინამდვილეში შეუძლებლად მიაჩედათ,ამიტომ ეძიებდნენ ჩვენი ცხოვრებისათვის შესაბამის კონკრეტულ ფორმებს. ამ მიმართულებით მუშაობის დროს ისინი პირველად მნიშვნელობას მაინც ქვეყნის ტექნიკურ-ეკონომიკურ პროგრესს ანიჭებდნენ.

ამასთანავე საჭიროა აღინიშნოს, რომ „ახალი ახალგაზრდობის"მესვეურები დას. ევროპის დიდ უტოპისტ-სოციალისტთა მოძღვრებას სრულიადარ თვლიდნენ საზოგადოებრივი აზრის საბოლოო მიღწევად. ნ. ნიკოლაძე კ.ლორთქიფანიძისადმი წერილში პირდაპირ წერდა: ..მე უფრო დიდი რამემეგონა ფრანცუზული სოციალიზმი და დიდი რამე კი არის, მაგრამ ჯერ კიდევძალიან ბევრი რამეა დარჩენილი შესამუშავებლადო"1

როგორც ვხედავთ, ნ. ნიკოლაძეს საჭიროდ მიაჩნდა უტოპისტსოციალისტთა მოძღვრების შემდგომი განვითარება.

„მეორე დასის" იდეოლოგები აკრიტიკებდნენ არა მხოლოდ კაპიტალისტურძალმომრეობას და მის აპოლოგეტებს, არამედ კაპიტალიზმის კრიტიკოსებსაც,რომელთაც მომავალი საზოგადოების შესახებ არასწორი ან ნაკლოვანებებისშემცველი შეხედულებანი გააჩნდათ. მათ არ აკმაყოფილებდათ, მაგალითად,პრუდონის თეორია. ამ თეორიიდან "ახალი ახალგაზრდობა" იზიარებდაპრუდონის მიერ კაპიტალისტური წყობილების კრიტიკას, ამასთანავე სრულიადმიზანშეუწონლად მიაჩნდა მისი გეგმები ახალი წყობილების დამყარებისშესახებ.

პრუდონის თეორიის საფუძვლიანი კრიტიკა მოგვცა ნ. ნიკოლაძემ. იგიწერდა: „პრუდონის სისტემის შემოღება ვერ აღმოფხვრიდა საფრანგეთისსაზოგადოებრივი წყობილების არსებით ბოროტებას – მეტოქეობის სრულსა დაგანუსაზღვრელ ბატონობას, იგი ვერ მოსპობდა იმ ბრძოლას, რომელიცწარმოებს არა მარტო სხვადასხვა ხელობისა და წოდებებს შორის, არამედცალკე პირებს შორისაც, რომელნიც ერთსა და იმავე ხელობას მისდევენ. ფრანგმწარმოებელთა დაქუცმაცებული მდგომარეობა აუცილებლად გამოიწვევდა მათშორის გამწვავებულ ბრძოლას, რომელიც თავის მხრივ მრეწველობის ურთულესანარქიად გადაიქცეოდა. პრუდონის სისტემა ამ გარემოებას ყურადღებას არაქცევდა. საფრანგეთის მრეწველობის დღევანდელ პირობებში ჩვენ ვამჩნევთშეურიგებელ ომს. ერთი მხრივ, კაპიტალისტებსა და, მეორე მხრივ, მუშებსშორის; შემდეგ ურთიერთბრძოლას თვით კაპიტალისტებს შორის და ასეთსავე მოვლენას მუშებს შორის; ამჟამად ერთი მხარე თავიდან ფეხებამდე იარაღშიაჩამჯდარი, მაშინ როდესაც მეორე მხარე შიშველ-ტიტველი დაიარება. პრუდონისსისტემა ამ მდგომარეობას შესცვლიდა იმ მხრივ, რომ ორივე მხარეშეიარაღებული აღმოჩნდებოდა, თუმცა არა ერთნაირად. მიუხედავად ამისა,ანარქია და მწარმოებელთა შორის ომი კვლავ იარსებებდა ძველებურისიმწვავით, თუ უფრი მეტად არა. პრუდონი გააფთრებით ებრძოდა მონათესავეინტერესების ყოველგვარ შეერთებას, მწარმოებელთა გარკვეული რაო დენობისშეამხანაგებას საერთო წარმოებისა და ეკონომიური მოხმარების საფუძვლებზე.ზრუდონი ისეთივე ულმობელობით ებრძოდა ამხანაგობებს, როგორც აჟიოტაჟსდა ერთნაირად შეფასებას აძლევდა როგორც ერთის, ისე მეორეს მომხრეებს"2

პრუდონის მოძღვრება, რომელიც ასე მოხდენილად გადმოსცა დაგააკრიტიკა ნ. ნიკოლაძემ. მოითხოვდა საზოგადოების ყველა წევრის გადაქცევასმესაკუთრედ. მას წამდა წვრილი საკუთრება, მსხვილი კერძო საკუთრება კი –ქურდობად მიაჩნდა. ეს უკანასკნელი, მისი აზრით, სიმდიდრის ბოროტადგამოყენების გადამწყვეტ სახსარს წარმოადგენს. ამ ბოროტების მოსპობისსაშუალებას იგი ხედავდა საკუთრების გათანასწორებაში", რომელიც წარმოებისწვრილმესაკუთრული ფორმების განვითარებაზე უნდა დაფუძნებულიყო.

პრუდონის წვრილბურჟუაზიული შეხედულებანი რეაქციულ ხასიათსატარებდა იგი ეწინააღმდეგებოდა საკუთრების კოლექტიურ ფორმებს, რომლისგარეშე კონკურენციისა და ანარქიის მოსპობა შეუძლებელია. ეს კარგად დაინახნ. ნიკოლაძემ, ამიტომ უარყო პრუდონის სისტემა.

"მეორე დასის" იდეოლოგთა მიხედვით, სამართლიანი საზოგადოების"სფუძველი ექსპლოატაციისაგან თავისუფალი კოლექტიური შრომა შეიძლებაიყოს. „...მხოლოდ საამხანაგო ცხოვრებას, მკვიდრად მოწყობილს დაყოველგვარი საქონლით ხელგამართულს, საწარმოვო კოოპერაციასთანშეერთებულს. შეუძლია მუშები კონკურენციის კლანჭებისაგან განავისუფლოს...საამხანაგო ცხოვრების წყალობით, იმ ცხოვრების, რომელიც ერთსა და იმავედროს საწარმოვოც იქნება და მომხმაოებელიც. მუშას შეეძლება თავის დროზე გამოიყენოს სათადარიგო თანხა.

სილატაკის მოსპობისა და საზოგადოების გამდიდრების მთავარ პირობად„ახალი ახალგაზრდობის“ ჯგუფის იდეოლოგები თვლიდნენ ასოციაციებს,რომელნიც მათ შორის ორგანიზაციის ყველაზე მაღალ ფორმად მიაჩნდათ.„მხოლოდ ამგვარად შეიძლება კეთილდღების გავრცელება ხალხში. თუ არაამხანაგობით, არაფერი არ მოუხრხდება რა. მართალია ასში-ორასში ერთიგამდიდრდება, მაგრამ გამდიდრდება ყოვლის უსამართლობით. მაგრამსაზოგადოებასა რა? საზოგადოება მხოლოდ ღარიბდება, ზნეობით მცირდება.

წინააღმდეგ პრუდონისა, რომელიც უარყოფდა ასოციაციის თეორიებს,„მეორე დასის“ იდეოლოგები ამ უკანასკნელთა დიდ გავლენას განიცდიდნენ. მათი პროპაგანდა დასაბამიდანვე იდგა გაზეთი „დროების“ კალმოსანთაყურადღების ცენტრში. დაარსებიდან რამდენიმე თვის მერმე „დროებამასოციაციების პრობლემას უძღვნა სპეციალური სტატიები, რომლებშიაცგარჩეულია ამ საკითხზე დასავლეთ ევროპის უტოპისტ სოციალისტთაშეხედულებანი და მოცემულია ამხანაგობათა დაარსების მნიშვნელობისთავისებური ეკონომკური დასაბუთებანა. ამით „მეორე დასის“ პოლიტიკურმაორგანომ პირველად ამცნო ქართველ საზოგადოებრიობას თავისისოციალისტური მიმართულება

„მეორე დასის“ იდეოლოგიას კარგად ჰქონდა, წარმოდგენილი ექსპლოატაციისაგან თავისუფალ კოლექტიურ შრომაზე დაფუძნებული წარმოების უპირატესობანი. მათ იცოდნენ, რომ „შეერთებულ შრომას ყოველთვის უფრობევრი ნაყიფი მოაქვს, ვიდრე განცალკევებულს“. იგი აძლიერებს მწარმოებელთაშორის კავშირს; სპობს კონკურენციასა და ანარქიას; ქმნის შრომის საგნებისშედარებით უდანაკარგოდ მოხმარებისა და წარმოების იარაღების მოუცდენელი გამოყენების შესაძლებლობას; ზრდის შრომის დისციპლინას; ამაღლებს შრომისნაყოფიერებას; აადვილებს შრომას. ასოციაციაში შემავალი ყველა წევრი ერთნაირად ისარგებლებს შრომისშედეგებით. „არ მისცემს ნებას სხვას, რომელიც იმათში არ ურევია, რომ იმათი შრომით ჯიბე გაისუქონ“. რა საფუძველზე შეიძლება მოეწყოს ასოციაციები?

ასოციაციების მოწყობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს შრომის ისეთიორგანიზაცია, რომლის ოროსაც საზოგადოების „ყოველი წევრი განურჩევლად,უზრუნველყოფილი იქნება შრომის იარაღით“. მაგრამ „მუშა ფაბრიკანტად(კაპიტალისტად – ნ.გ.) გადაქცევას არ უნდა ცდილობდეს. ასეთ საქმესყოველთვის უნდა ვებრძოლით.

წარმოების ანარქიისა და კონკურენციის მოსპობის და ასოციაციის დაარსებისსაქმეში „მეორე დასის“ იდეოლოგები განსაკუთრებულ როლს ანიჭებდნენსახელმწიფო ხელისუფლებას. ამ მხრივ ისინი დიდად იყვნენ დავალებულნი ლუიბლანის თეორიული არსენალიდან.

ლუი ბლანი დიდ ყურადღებას აქცევდა სასულიერო ხელისუფლები სეკონომიკური როლს საკითხს. იგი სახელმწიფოს მიზნად უსახავდა „ყოველგვარიუბედურების მიზეზის“ თავისუფალი კონკურენციის მოსპობას და ქვეყნისეკონომიკური ცხოვრების მოწესრიგებას შრომის ორგანიზაციის კოლექტიურიფორმების განვითარების გზით.

ლუი ბლანი წინააღმდეგობას ხედავდა არა კაპიტალისტური წყობილებისკლასებს შორის, არამედ კაპიტალიზმსა და მთელ საზოგადოებას შორის. ამისმიზეზად მას თავისუფალი კონკურენცია მიაჩნდა, სახელმწიფოს, რომელსაც იგიწარმოების უმაღლეს მმართველობას ავალებდა, უნდა გამოეყენებინა თვითთავისუფალი კონკურენცია, როგორც იარაღი თავისუფალი კონკურენციისმოსასპობად. ამ უკანასკნელის განხორციელება, მისი აზრით, საზოგადოებრივისახელოსნოების მოწყობით, ასოციაციების შექმნით იქნებოდა შესაძლებელი,ხოლო ასეთი სახელოსნოების ერთადერთი ფუძემდებელი სახელმწიფო უნდაყოფილიყო. იგი ცდილობდა საზოგადოებრივი სახელოსნოების დახმარებითგანხორციელებინა უფლება შრომაზე.

ლუი ბლანი ფიქრობდა, რომ კომუნისტური ცხოვრების უდავო უპირატესიები, განვითარება საზოგადოებრივი სახელოსნოებისა, რომლებშიაცმონაწილეობის მისაღებად მოწოდებულნი იქნებოდნენ კაპიტალისტებიც ხელსშეუწყობდა ნებაყოფლობითი ასოციაციების აღმოცენებას, რაც ადამიანისმატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დამაყოფილები საფუძველიგახდებოდა. პროგრესის ფორმულა, წერდა იგი, – თავის ერთიანობაში ორადია:ყველასი ბედი მორალური ტაძარიერი და მატერიალური გაუმჯობესებათავისუფალი შეჯერების (კონკურენციის) და ძმური ასოციაციის საშუალებით. ესშედის გმირულ დევიზებში, რომელიც ჩვენი მამების მიერ დაწერილიარევოლუციის დროშაზე: „თავისუფლება თანასწორობა და ძმობა“.

„ახალი ახალგაზრდობის, ჯგუფის იდეოლოგები სასტიკად ილაშქრებდნენქვეყნის მეურნეობრივ საქმეში სახელმწიფოს ჩაურევლობის ეკონომიკურიპოლიტიკის წინააღმდეგ. ისინი მომხრენი იყვნენ ისეთი სახელმწიფოხელისუფლებისა, რომელიც მშრომელი ხალხის ინტერესებს დაიცავდა, დაალაგმავდა ბურჟუაზიის ძალმომრეობს.

ს. მესხი წერდა: „სახელმწიფო წყობილება იმნაირად უნდა იყოსგამართული, და მოწესრიგებული, რომ ერთს რომელიმე საზოგადოების ნაწილსანუ წოდებას არ შეეძლოს მეორესი დაჩაგვრა და შევიწროვება”2.

„მეორე დასის“ იდეოლოგებს შეგნებული ჰქონდათ იმჟამინდელისაქართველოს საზოგადოებრივი ყოფის უცვლელობის პირობებში სოციალიზმისშენების შეუძლებლობა, ამიტომ ოცნებობდნენ პოლიტიკური ძალაუფლებისმოპოვებაზე, რომლის მეშვეობით თანდათანობით უნდა განხორციელებულიყოარსებული ეკონომიკის რადიკალური გარდაქმნები.

საგანგებოდ უნდა ითქვას, რომ დიდ ილიასთან ერთად „მეორე დასის"იდეოლოგებმა ჭეშმარიტად გონების თვალით განსაჯეს და ძირითადად სწორადგადაწყვიტეს 60-70-იანი წლების საქართველოში პოლიტიკური ძალაუფლებისმოპოვების საკითხი. ისინი კარგად გრძნობდნენ იმ პერიოდში ქართველისაზოგადიოების წინაშე ცარიზმის წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლისსაკითხის დისმა დღის წესრიგში ერის დაღუპვის გზაზე დაყენებას რომ ნიშნავდა,ამიტომ ეპოქის შესაბამისად წინა პლანზე ქვეყნის ტექნიკურ-ეკონომიკური პროგრესისა და განათლების ამოცანები დააყენეს. მართალია, ამის მერეც, ჩვენი ერთის დიდებულმა მესვეურებმა ვერშესცვალეს წინანდელი თვალსაზრისი, რომელიც სოციალური ყოფისცვლილებებით მოძველდა, მაგრამ მათ ღრმად სჯეროდათ, რომ ადრე თუ გვიანრუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის გამარჯვების გზითსაქართველოც მიაღწევდა თავისუფლებას.

, მიუხედავად იმისა, რომ სოციალიზმის აშენება ''მეორე დასის" იდეოლოგებსჩვენი ქვეყნის მაშინდელი საზოგადოებრივი ვითარების შეცვლის გარეშე,შეუძლებლად მიაჩნდათ, მაინც მოითხოვდნენ ზოგიერთი სოციალისტურიღონისძიების გატარებას, ხოლო ამ უკანასკნელის რეალიზაციის ფუნქციებს ისინიუწინარეს ყოვლისა, საადგილმამულო ბანკს აკისრებდნენ. მათი აზრით, ეს ბანკებიცარიზმის ბატონობის პირობებში უნდა ყოფილიყო. ფარული ქართულისახელმწიფოს მგავსი რამ, რომელიც შეზღუდავდა თავისუფალი კონკურენცია ისკანონის მოქმედებას და ეკონომიკურ ცხოვრებაში აქტიური ჩარევის გზითსოციალისტურ ღონისძიებებს გახორციელებდა.

საზოგადოებრივი ბანკების ნიკოლაძისეული პროგრამა უტოპიურია და, რათქმა უნდა, ობიექტურად მისი ძირითადი მხარეების პრაქტიკული რეალიზაცია იმპერიოდში არც შეიძლებოდა, მაგრამ მთავარი აქ ის არის, რომ ნ. ნიკოლაძემსაქართველოს სინამდვილეში პირველმა ასწია ასეთ სიმაღლეზე სახელმწიფოსეკონომიკური როლის პრობლემა და მით მომავალ თაობას თეორიულისაფუძველი შეუქმნა ამ საკითხი სავსებით მეცნიერული გადაწყვეტისათვის.

სოციალისტური თვალსაზრისი ედო საფუძვლად ნიკოლაძე-წერეთელ-მესხისფინანსურ პოლიტიკას, რომელიც იდეურ სათავეს „სამუშაო ფულის" უტოპიურითეორიებიდან იღებდა.

რობერტ ოუენი იყო ამ თეორიის ფუძემდებელი. იგი ფიქრობდა შეექმნა„მწარმოებელთა დიდი ნაციონალური კავშირი" და „სამრთლიანი გაცვლისნაციონალური ბაზარი", რომელთაც უნდა გაეხორციელებინათ ღირებულების კანონის საფუძველზე გაცვლის უზრუნველყოფა. ამავე თეორიას იზიარებდა ლუიბლანი, რომელმაც მცირეოდენი კორექტივი, უფრო სწორად, ტერმინოლოგიურიხასიათის ცვლილება შეიტანა მასში. თუ ბანკის მიერ გაცემულ ქვითარს,რომელშიაც აღნიშნულია ჩაბარებული საქონლის ღამზადებაზე დახარჯულისამუშაო დროის ოდენობა ინგლისელი სოციალისტები „სამუშაო ფულს"უწოდებდნენ. ლუი ბლანი მას უბრალოდ „ქაღალდის ფულს" უწოდებდა. იგი ვერამჩნევდა განსხვავებას ასოციაციების პირობებში და კაპიტალიზმის პირობებშიარსებული ქაღალდის ფულებს შორის.

მოკლედ რომ ვთქვათ, საზოგადოებრივი ბანკები უტოპისტებს მეურნეობისმოწესრიგების ორგანიზაციად მიაჩნდათ.

საზოგადოებრივ ბანკებს ასეთივე ამოცანას უსახავდნენ „დროება-კრებულისმეთაურები, რომელნიც ლუი ბლანის თეორიული არსენალიდან იყვნენდავალებული მეთქი ვამბობდი ზემოთ, მართლაც, პატივისცემის გრძნობითსარგებლობდა „შრომის ორგანიზაციის" ავტორი ახალი ახალგაზრდობის"ჯგუფში. 1883 წელს ჟურნალი: Отечественные записки-ის პირველ ნომერში. ნიკოლაძემ გამოაქვეყნა სპეციალური სტატია «луи Блан и Гамбетта»,რომელშიაც ლუი ბლანი, საერთოდ დადებითადაა შეფასებელი. „მისი წიგნის – „Organisation travail" დაუცხრომელმა პროპაგანდამ და ზღაპრულმაწარმატებებმა, – წეოდა ნ. ნიკოლაძე, – „მას პოპულარობა მოუხვეჭა"1. თავის მხრივ ეს ფრანგი უტოპისტი დიდ შეფასებას აძლევდა „დეკადენტურიპრესის" ავტორს, რომელიც იმჟამინდელი ევროპის მოწინავესაზოგადოებრიობაში საკმაო პოპულარობით სარგებლობდა. იგი იყო პირველიქართველთაგანი, რომელმაც ახალი ევროპის უმაღლეს სასწავლებელშისადოქტორო ს ერტაცია დაიცვა.

ლუი ბლანსა და ნ. ნიკოლაძეს წერილობრივი ურთიერთობაც ჰქონიათერთმანეთთან. მაგალითისათვის შეგვიძლია დავასახელოთ ბარათი, რომელიც1875 წლის 20 მაისს მოუწერია ლუი ბლანს ნ. ნიკოლაძისათვის.

„ბატონო, უდიდესი ყურადღებით წავიკითხე წიგნი, რომელიც თქვენ კეთილ ინებეთ მომიტანეთ ამ დილას. არ ვიცი, იქნება საფრანგეთის პრესამ ერთობ მკაცრადჩასთვალოს თქვენი მსჯელობა მის შესახებ; ერთი კი უეჭვოა, რომ თქვენი წიგნიისეთი წიგნების რიცხვს ეკუთვნის, რომელიც უნდა წაიკითხოს და კარგს იზამს,რომ მოიფიქროს ყოველმა ფრანგმა ჟურნალისტმა.

მიიღეთ, ბატონო, ჩემი მადლობა და ნება მომეცით დაურთო მას ჩემიმოლოცვაც. Lanis Blanc"1.

თუ დასავლეთ ევროპის სოციალურ-ეკონომიკური მოვლენების შეფასებისას,„მეორე დასის" იდეოლოგები მკაცრი და თანმიმდევრული რევოლუციონერ-დემოკრატები იყვნენ. ამის საშუალებას მათ ევროპული სინამდვილეაძლევედათ. იმჟამინდელი საქართველოს პირობები კი აუცილებლობითმოითხოვდა ეს სიმკაცრე რამდენადმე მშვიდობიანი ფორმით შეცვლილიყო დაშეიცვალა კიდეც. მაგრამ, ამის გამო, უმეცრება იქნებოდა გვეფიქრა, რომ,„ა-

ხალი ახალგაზრდობის“ ჯგუფის მესვეურნი რევოლუციონერ-დემოკრატებიიყვნენ მხოლოდ ევროპაში, ხოლო საქართველოში კი – რეფორმისტები. ისინიყველგან და ყველაფერში რევოლუციურ-დემოკრატიულ პოზიციაზე იდგნენ,მაგრამ იმდროინდელ ქართულ სინამდვილეში რევოლუციურ ღონისძიებათასხვანაირი გატარების საშუალება არ იყო, ამიტომ, ცხადია, გასაკვირიც არ არისმათი სამოღვაწეო პროგრამა ზოგჯერ წინააღმდეგობრივ ხასიათს რომატარებდა.

### გამოყენებული ლიტერატურა:


1. ნ.ნიკოლაძე – თხზულებანი ტ.I. ტII. ტIII
2. გ.თოდუა– „მეორე დასის“ იდეოლოგთა ეკონომიკური შეხედულებების წყაროები. ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები. ტ XI
3. მ.გაფრინდაშვილი – ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის ნარკვევები. ტ.ვ. თბილისი, 1998 წ.
4. ვ.დონდძე – ნ.ნიკოლაძის სოციოლოგიური და ისტორიული შეხედულებანი, თბილისი, 1987წ.
5. ზ.შათირიშვილი, ა.პაპავა– ევროპული იდეების ისტორია და ქართული კულტურა, თბილისი. 2008წ.
6. ვ.ბახტაძე – ნ.ნიკოლაძის სოციალურ–ეკონომიკური შეხედულებანი, თბილისი.1958წ.
7. ვ.შუბითიძე – ევროპეიზაცია და ქართული პოლიტიკური აზრი. თბილისი. 2013წ.
8. გ.ჯავახიშვილი – ნ.ნიკოლაძის მიმოწერა რუს და უცხოელ საზოგადო მოღვაწეებთან, თბილისი, 1980წ.
9. ქ.ჯიჯეიშვილი – ქართული დემიკრატიის სათავეებთან. თბილისი, 2002წ

# ФОРМИРУЮЩИЙ ЭКСПЕРИМЕНТ ПО ВЫЯВЛЕНИЮ МАТЕМАТИЧЕСКИХ СПОСОБНОСТЕЙ УЧАЩИХСЯ № 66 ПУБЛИЧНОЙ ШКОЛЫ Г. ТБИЛИСИ

***Нели Мхитарян***

**РЕЗЮМЕ**

Важная роль в развитии творческих способностей отводится во внеурочной деятельности за счет большого количества различных упражнений, логических задач и заданий, направленных на развитие способностей учащихся.

Внеклассная работа или факультативные курсы по математике повышают интерес к предмету, содействуют к развитию познавательной деятельности, углубляют и расширяют знания учащихся.

Роль педагога, в данном случае, заключается в том, чтобы направить процесс познания в русло открытия нового, культурно обогащая окружение ребёнка. Исследование нового должно стать неотъемлемой частью познания.

Для развития и формирования способностей необходимо выявление, диагностика природных задатков учеников к определенной деятельности.

Способности формируются в деятельности индивида, а в процессе деятельности создаются определенные способы задатков, которые и сказываются на развитии, т.е. росте способностей.

В настоящее время стратегическая задача развития школьного образования заключается в обновлении его содержания и достижении нового качества его результатов. Инновационная активность человека во всех областях его деятельности, а инновационные системы образования, есть системы, ориентированные на новые образовательные результаты.

В этой статье показаны, как на основании, проведенных контрольных работ, с помощью критерия Фридмана, можно показать значимость тенденции к положительному изменению интереса к математике.

1. Критерий Фридмана
2. Эмпирическое значение $\chi^2_{эмп}$

## FORMATIVE EXPERIMENT TO IDENTIFY THE MATHEMATICAL ABILITIES OF STUDENTS № 66 OF A PUBLIC SCHOOL IN TBILISI

**Neli Mkhitariani**

RESUME

An important role in the development of creative abilities is given in extracurricular activities, due to the large number of various exercises, logical tasks and tasks aimed at developing students' abilities.

Extracurricular work or optional courses in mathematics increase interest in the subject, contribute to the development of cognitive activity, deepen and expand students' knowledge.

The role of the teacher, in this case, is to direct the process of cognition in the direction of opening a new one, culturally enriching the environment of the child. Researching the new should be an integral part of cognition.

For the development and formation of abilities, it is necessary to identify, diagnose the natural inclinations of students to a specific activity.

Abilities are formed in the activities of the individual, and in the process of activity certain methods of makings are created, which affect how development, i.e. growth of abilities.

Currently, the strategic objective of the development of school education is to update its content and achieve a new quality of its results. Innovative activity of a person in all areas of his activity, and innovative education systems, are systems focused on new educational results.

This article shows how, on the basis of the control work carried out, using the Friedman criterion, one can show the significance of the trend towards a positive change in the interest of mathematics.

1. Friedman test
2. The empirical value $\chi^2_{эмп}$

* * * *

Всего в исследовании участвовало из двух 10-11-ых классов 8 учеников. Наблюдение велось с сентября 2004 г. по май 2005 года. Проводился эксперимент, т.е. углубленное обучение «Алгебры и начала анализа» в старших классах. Использовались учебники А.Н. Колмогорова 10-11кл. «Алгебра и начала анализа», Богомолова Н.В. «Практические занятия по математике: учебное пособие для техникумов», Демидовича Б.П. «Задачи и упражнения по математическому анализ», Н. Дурглишвили «Сборник задач по высшей математике» и учебники многих других авторов.

В 10 классе в первом и втором семестрах изучают углубленный курс дифференциального и интегрального исчислений. После обучения каждого курса проводились контрольные работы №1 и №2. В первом семестре 11-го класса работа велась по темам дифференциальных уравнений, с определениями, понятиями, решениями примеров. В конце этого семестра провели контрольную работу №3. Из 8 учеников 6 усиленно занимались обучением математики, двое изъявили желание посещать факультативные занятия. Проводился учебный процесс с углубленным изучением математики.

Для представления результатов эксперимента в числовой форме был введен условный термин, который назывался «показатель развития потенциала одаренности». Он позволил охарактеризовать результаты каждого учащегося, показанные при проведении данной письменной контрольной работы с учетом уровня сложности предлагаемых задач. Кроме того, рассматривается также и показатель развития потенциала одаренности по всем учащимся для сравнения с индивидуальными данными учащихся. Также, рассматривался показатель для исследования динамики его изменения в зависимости от времени.

Целью эксперимента является определение уровня математических способностей школьников 11-го класса.

В этом эксперименте ставились следующие задачи:

1) Дать представление о потенциальных учениках с математическими способностями;
2) Подтвердить уровень интеллектуальных возможностей;
3) Подтвердить уровень развития интеллекта;
4) С точки зрения учителя определить потенциал ученика о реализации математических и общих способностей в учебной деятельности.

Для выявления математических способностей было использовано:

1. Оценка по итоговым трем тестам, характеризующих показатель навыков и знаний математического анализа;
2. Выявление средней оценки математических и общих способностей этих учеников.

В исследовании получены показатели развития потенциала одаренности по трем письменным работам по математике за полтора года обучения. По этим результатам можно высказать гипотезу о повышении уровня знаний учащихся по мере их обучения. Проверка данной гипотезы с помощью рангового критерия $\chi^2_{\text{эмп}}$ Фридмана показала неслучайный характер отмеченного изменения результатов при уровне значимости 0,005.

Критерий Фридмана является непараметрическим аналогом однофакторного дисперсионного анализа для повторных измерений. Он позволяет проверить гипотезу о различии более двух повторных измерений. Этот критерий более эффективен, чем дисперсионный анализ. Критерий Фридмана является обобщением критерия Вилкоксона, при этом ранжируются индивидуальные значения измерений.

Существуют две гипотезы: нулевая и альтернативная. Первая гипотеза означает, что в разных условиях между полученными показателями существуют лишь случайные различия. А в альтернативной гипотезе между показателями имеются существенные различия. Это определяется критическим и эмпирическим значениями.

Проведем исследование на данных, полученных при проведении трех контрольных работ и определим, высказав гипотезу о повышении уровня знаний учащихся по мере их обучения. В каждой контрольной по 20 заданий. Соответственно она оценивается в 20 баллов.

**Таблица №1**

| Номер испытуемого | контрольная работа № 1 | контрольная работа № 2 | контрольная работа № 3 |
|---|---|---|---|
| 1 | 14 | 15 | 16 |
| 2 | 12 | 14 | 15 |
| 3 | 14 | 15 | 17 |
| 4 | 17 | 18 | 16 |
| 5 | 18 | 20 | 19 |
| 6 | 14 | 16 | 17 |
| 7 | 18 | 19 | 20 |
| 8 | 13 | 16 | 18 |

На данных из этой таблицы оценок в баллах по пройденным контрольным работам, проведем ранжирование индивидуальные значения показателей для каждого испытуемого в порядке убывания признака, и произведем ранжирование параметров каждой строки.

**Таблица №2**

| Номер испытуемого | контрольная работа № 1 | контрольная работа № 2 | контрольная работа № 3 |
|---|---|---|---|
| 1 | 3 | 2 | 1 |
| 2 | 3 | 2 | 1 |
| 3 | 3 | 2 | 1 |
| 4 | 2 | 1 | 3 |
| 5 | 3 | 1 | 2 |
| 6 | 3 | 2 | 1 |
| 7 | 3 | 2 | 1 |
| 8 | 3 | 2 | 1 |
| Сумма рангов | 23 | 14 | 11 |

Построим гистограмму с помощью трех данных баллов контрольных работ.

**Гистограмма №1**



**Гистограмма №2**




Определим эмпирическое значение $\chi^2_{\text{эмп}}$ по критерию Фридмана. По формуле

$$\chi^2_{\text{эмп.}} = \left[\frac{12}{n \cdot c \cdot (c+1)} \sum_j T_j^2\right] - 3 \cdot n \cdot (c+1),$$

где $C$– количество условий контрольных работ $C$ =3, $j \in 1, \dots, c$

$n$ - количество учащихся, т.е. $n$ =8 , $i \in 1, \dots, n$ ,

$T_j = \sum_i r_{i,j} -$ сумма рангов всех значений $r_{i,j}$ при $j$ -ом условии.

Критическое значение $\chi^2_{\text{крит}}(\alpha, k)$ критерия зависит от уровня значимости $\alpha$ и степени свободы $k = c - 1$

На наших данных используем критерий Фридмана.

Исследуются 8 учащихся по трем контрольным работам. Выясним, являются ли результаты контрольных работ случайными?

Вычислим эмпирическое значение критерия

$$\chi^2_{\text{эмп.}} = \left[\frac{12}{8 \cdot 3 \cdot 4}(23^2 + 14^2 + 11^2)\right] - 3 \cdot 8 \cdot 4 = 105{,}75 - 96 = 9{,}75$$

Уровень значимости $\alpha = 0.05$ и степени свободы $k = 3 - 1 = 2$

$$\chi^2_{\text{крит.}}(0.05; 2) = 6{,}25$$

$$\chi^2_{\text{крит.}} < \chi^2_{\text{эмп.}}$$

Это свидетельствует о статистической разнице на 5%-м уровне значимости.

Эмпирическое значение превосходит критическое значения, это означает, что результаты контрольных работ не являются случайными? Следовательно, нулевая гипотеза на данном уровне значимости отклоняется, и различия в уровне успеваемости существенны.

Таким образом, можно сделать вывод. Анализ динамики изменения математических способностей учащихся в контрольных работах показывает, что в процессе систематической работы, у школьников наиболее эффективно формируются необходимые в математике приемы умственной деятельности. По результатам, полученных с факультативного курса, можно сделать вывод, что в эксперименте можно использовать комплектацию класса или маленькой группы для проведения этих факультативных курсов.

В целом, полученные результаты выявляют тенденцию положительного изменения параметров интереса к математике.

**СПИСОК ИСПОЛЬЗУЕМОЙ ЛИТЕРАТУРЫ**

1. Малютина А. Математические основы психологии. Конспект лекций. ЮГУ – 2008 – 198 с.